


780  
1993

# საქართველო



1993/3-4

მარტი — აპრილი





# საშუაშე

1993

მაისი  
 პერიოდული  
 გამოცემი

(12/84)



## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ალექსო კარკანტიანი. განმანათლებელი საუკუნე. რომანი. დასასრული. თარგმნა მედეა ზუბადალაშვილმა	8
ვიქტორია კოეზია. თარგმნა გივი თათეიშვილმა	148
სამერსებ მოეში, მოთხრობები.. ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ფიოლიამ	144
კატარინა ფონ პუტანი. სვეტლანა იოვანკო. დარა ხეაულიჩი. ლექსები. თარგმნა მედეა კახიძემ	229

### წერილები

ოსო მრბეა ი გასეტი. მასეების ამბოხი. დასასრული. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	231
რედოლფ შტაინერი. კრატტიკული აზროვნების გამომწვავება. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ბეჟაშვილმა	270
მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი. ფიქრები ადამიანის მოწოდებაზე. თარგმნა ვასილ ბურკაძემ	280
ანდრე შიდი. სსრკ-დან დაბრუნება. დასაწყისი. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ	292
ნატო თნილავა. თეოდორ ფონტანეს რომანის კომედიკა.	315

11

W 3-4



საქართველოს მწერალთა კავშირი  
სსრკ-ის ლიტერატურის ორთქიური ჟურნალი



**«САУНДЖЕ»  
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ**

На грузинском языке **საუნჯე**

1993 № 3-4

**СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ**

მთავარი რედაქტორი:

**შოთა ნიშნიანიძე**

პირი პენალაქი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

**ნანა ღარიანი**

(პასუხისმგებელი მდივანი)

ზარედაქციო კოლეგია:

**ჯეჟალ აჯიაშვილი**

**მზია ბაშრაქი**

**ბარანა ბრეგვაქი**

**ბურაქი ბოგიაშვილი**

**ნოდარ ბურაქი**

**მამალი თოდუა**

**ნოდარ კაკაბაქი**

**რენე კალანდია**

**გიორგი ნიშნიანიძე**

**ღალი ზანჯიქი**

**ნიკო ყიასაშვილი**

**დავით წერეთლიანი**

მხატვარი ამთანდილ ვართაბაშვი. ტექნიკური რედაქტორი ნანა ბართაია.


გარეკანზე: მშენ დელაქრუა, დანტა და ვერგილიუსი (ქარონის ნავი) 1822 წ.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარ. 23. 06. 93, წ. ხელნაწ. დასაბუქდად 5. 08. 93 წ. ქაღალდის ზომა 70X105/16,  
საღრ. თ. 25,51, სასტ. თ. 28, ტირ. 3000. შეკვ. № 981

შასი 800 კუპ.

საქართველოს ფურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საწილობლო“ ხტაშხა,  
380009, თბილისი, მ. კობტაეის 14.





# ალესო კარკენჭიერი

## განმანათლებელი საუკუნე

რომანი

თარგმნა მადია წუბადალაშვილმა



1909

მეორე დღეს ფრანგები უკაცრიელ, ტყით დაბურულ სანაპიროზე გადასხდნენ, სადაც, „ხალხის მეგობრის“ ლოცმანის სიტყვით, ბევრი გარეული ტაჩი იცოდა; ლოცმანი, ზანგისა და ინდიელის ნაჯვარი, კუნძულ მარიგალანტას მკვიდრი, აქაური ადგილების შესანიშნავი მცოდნე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეზღვაურებში; სწორედ ამ ლოცმანმა ურჩიათ, ნაპირს მისდგომოდნენ, ცივ-ცივ წყაროში შეიძლება ღვინის ჩაციება საკადრისი საუზმისათვის — შებოლილი ღორის ხორცისთვისო. ნადირობა სულ მალე გაჩაღდა, ცოტა ხანში დახოცილი პირუტყვი, ქანცგაწყვეტილი ტახებივით დრუნჩები ჯერ კიდევ გამწარებით რომ ჰქონდათ მომუწული, ხომალდის მზარეულებსა და მის თანაშემწეებს ელაგათ წინ. თევზის გასაწმენდად დანებმომარჯვებულმა მზარეულებმა ტახებს შავი, ჯაგარაშლილი ტყავი გააძრეს, მთელ-მთელად დააწყვეს გავარვარებულ გისოსებიან მაყალზე და სანამ ტახებს ცეცხლზე ზურგები ებრაწებოდათ, გაფატრული მუცლები ჯოხებით ჰქონდათ გადაფარჩხული. შემდეგ ამ გაფატრულ მუცელში თანაზომიერად მოასხეს ლიმონისა და ნარინჯის წვენი, ბლომად ჩააყარეს მარილი, წიწკა, ნიორი, ოსურნელა, ამასობაში გავარვარებულ ნაკვერცხლებზე სქელ ფენად დაწყობილ გუაიავას მწვანე ფოთლებს ბოლქვ-ბოლქვად ავარდა მინდვრის სურნელებიანი თეთრი კვამლი — და იტყოდით, ღორის ხორცს კვამლი ქვემოდანაც ეფრქვევა და ზემოდანაცო. შემწვარი ხორცი ნაზი მოყაუისფრო თუ მოწაბლისფრო კანით დაიფარა, რომელიც დროდადრო ხმაურით სკდებოდა; დახეთქილი კანიდან ქონი მაყალში წვეთავდა, ნაკვერცხლებზე აშიშხინებული ირგვლივ ნაპერწკლებად ცვიოდა და მიწასაც შებოლილი ხორცის სურნელი ასდიოდა. უკვე შემწვარ ტახებს მუცელში ჩაულაგეს გაბტკვნილი მწვერები, ტყის მტრედები, ციცრები და სხვა ფრინველები, მერე გაფარჩხული მუცლებიდან ჯოხები მოხსნეს და ნანადირევი ფრინველი ისე მოექცა შეერთებულ, შემწვარ ნეკნებშია, როგორც მოქნილ ჰაერ-ღუმელში, სადაც ერთმანეთში აიღუფხა შავი მჭლე და თეთრი მსუქანი ხორცი; ერთი სატყვით როგორც ესტებანმა თქვა, გამოვიდა „მჯობნის მჯობნი შემწვართ-შემწვარი“ — მზარეულთა ხელოვნების ჭეშმარიტი „ქებათაქება“. ღვინო ფიალებშია და ყელში მდინარესავით მიედინებოდა, შეზარხოშებული მეზღვაურები კასრებს ნაჯახით ამტვრევდნენ, ფერდობებიდან აგორებდნენ და წვეტიან ქვებზე მიხეთქებით აპობდნენ: ორმწკრივად, ერთმანეთის მოპირდაპირედ ჩარიგებულა ხალხი კასრებს წინ და უკან თავგამეტებით იქამდე აგორებდნენ, სანამ სალტი არ გადასძვრებოდა და ნაფოტებად არ იქცეოდა, ზოგნი კასრებს ტყვიებით ხვრეტდნენ, ერთი ვიღაც კვიმატი, ეტყობა, ესპანელი, ხომალდ „დეკადის“ უმ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2.

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ცროსი მზარეული — როგორც თვითონ ამბობდა, თავისუფლების მეგობარი, — კასრებზე ისეთი გულმოდგინებით ასრულებდა ბოშურ ცეკვას, რომ რამდენიმე კასრს ძირი გააგდებინა. ყველამ საკმაოდ ბევრი დალია, ბოლოს მკვდრებივით დაეძინათ — ზოგს ხის ძირში, ზოგს პირდაპირ მზისგან გახურებულ სილაზე... დილაუთენია გამოღვიძებულმა ესტებანმა დამტვრეული სხეული გამართა და ნაპირს გახედა. ნაპირზე უკვე უამრავ მეზღვაურს მოეყარა, თანაც ესინი განცვიფრებული მისჩერებოდნენ ხომალდებს, რომლებიც ახლაც მტრის ხელში ჩათვლით, ხუთი გამხდარიყო; ახლად მოსული ხომალდი ძველისძველი და უამგადასული ჩანდა, ცხვირის ფიგურული მორთულობა სანახევროდ დამსხვრეოდა. შუა გემბანს საღებავი გახუნებოდა და ასცვივნოდა, — იფიქრებდით, რომ უხსივარი დროიდან იყო მოსული და ეკუთვნოდა იმ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ სწამდათ, რომ იქ, სადაც მთავრდება ატლანტის ოკეანე, იწყება ზღვა უკუნეთისაო. სულ მალე გემის დაძველებულ ბორტს ნავი მოწყდა, შიგ რამდენიმე ნახევრად შიშველი ზანგი იდგა; ისინი ფეხზემდგომელანი უსვამდნენ ნიჩბებს, თანაც, მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მიმავალი მენიჩბეებივით ყვარილით იმხნევედნენ თავს. ერთ-ერთი მათგანი, ალბათ, ბელადი, ნაპირზე გადმოხტა, ეტყობა, მეგობრობის გამოსამქლავნებლად, მდაბლად დახარა თავი და ზანგ მზარეულს რაღაც დიალექტზე გაუბა ლაპარაკი: კალაბარის მკვიდრი ზანგი ძლივძლიობით უგებდა უცხოდმოსულს. ამ დიალოგის შედეგად, რომლის მონაწილენი ერთმანეთს სიტყვებით კი არა, უფრო ხელებით უხსნიდნენ სათქმელს, მზარეული მიხვდა, რომ ეს ძველისძველი ხომალდი ესპანელია; მონების გემი იყო, აჯანყებული მონებისაგან შედგენილ ეკიპაჟს ზღვისათვის მიეცა თავი და ახლა ფრანგების ქვეშევრდომობაში შესულას ითხოვდა. აფრიკის მთელ სანაპიროზე უკვე ყველას გაეგო, საფრანგეთის რესპუბლიკას თავიანთი ამერიკულ კოლონიებში მონობა რომ გაუქმებინა და ზანგები თავისუფალ მოქალაქეებად ექცია... კაპიტანმა ბართელემმა ზანგების წინამძღოლს ხელი ჩამოართვა და სამფეროვანი კოკარდა გადასცა. ყოფილი მონები ამას აღტყინებული ყვარილით შეეგებნენ, კოკარდა ხელიდან ხელში გადადიოდა. ამასობაში ნავს ზანგები გადმოჰყავდა და გადმოჰყავდა სანაპიროზე, ყველაზე სულსწრაფები, რომელთაც სურდათ, რაც შეიძლება ჩქარა შეეტყობთ ახალი ამბავი, ნაპირამდე ცურვით აღწევდნენ. ანაზღვეულად თითქოს თავშეკავების ყოველგვარი უნარი დაკარგესო, ზანგები შემწვარი ტახის ნარჩენებს მისცვივდნენ — ძვლებს ღრღნა დაუწყეს, სანსლავდნენ შიგნეულების ნარჩენებს, ლოკავდნენ გაყინულ ქონს და ხარბად იკლავდნენ რამდენიმე კვირის მტანჯველ შიმშილს.

— საცოდავები — ჩაიბურტყუნა ბართელემმა და თვალეზე ცრემლი მოადგა, — ჩვენი უამრავი ცოდვა მართო ამითაც შეიძლება გამოვისყიდოთ.

გულანუყებული ესტებანი ფიალას ღვინით ავსებდა და უწვდიდა გუშინდელ მონებს, რომლებიც მაღლიერებით უკოცნიდნენ ხელებს. „ხალხის მეგობრის“ კაპიტნის მეორე თანაშემწემ ტყვეთა ხომალდის დათვალაიერება გადაწყვიტა, უკან დაბრუნებულმა ამბავი მოიტანა, ხომალდის კუბრიგები და ტრიუმი ქალაქებით არის სავსეო. საცოდავებმა არ იციან ხმელეთზე რა ხდება და შიშისაგან ცახცახებენო. წინდახედულმა ბართელემმა აკრძალა მათი ნაპირზე გადმოსხმა. ხომალდზე გაგზავნეს ხორციით, ბანანითა და ღვინით დატვირთული კანჯო; მეზღვაურები ამასობაში ხელახლა შეუდგნენ გარეულ ტახებზე წინა დღით შეწყვეტილი ნადირობისათვის მზადებას. მეორე დღეს ესკადრა პუენტ-ა-პიტრში უნდა დაბრუნებულიყო მიტაცებული პორტუგალიური გემითა და მოპოვებული



ნადავლით, ღვინითა და ზანგებით, რომლებიც შეავსებდნენ ფერადკანიანებისაგან შედგენილ ლაშქარს. ამ ჯარს გამუდმებით სჭირდებოდა მუშახელი, რადგან ვიქტორ იუგი დაუსრულებელივ აგებდა სიმაგრეებს, რაშიც ხედავდა თავისი ძალაუფლების საიმედო დასაყრდენს. ნადიში სალამოსათვის ისევ განაახლებს, მაგრამ ლხინს წინა დღესთან შედარებით რაღაც სხვაგვარი პირი უჩანდა. მეზღვაურებს რაც უფრო მეტად ეკიდებოდათ ღვინო, მით უფრო მეტად იზიდავდათ გემზე დარჩენილი ქალები — ნაპირიდან მოჩანდა ჩამავალი მზის სხივებზე აბღვრიანებული მაყლები, ისმოდა ქალთა მხიარული სიცილი. ტყვეთა გემზე ნამყოფ მეზღვაურებს შეკითხვებისგან სულს უწუხებდნენ, ყველაფერს დაწვრილებით აამბობინებდნენ. ზანგი ქალები ახალგაზრდები და ტანადები იყვნენ — მონებით მოვაჭრეებს მოხუცები არ აინტერესებდათ, რადგან მათზე მოთხოვნილება არ იყო. ღვინო რაც უფრო ეკიდებოდათ, აღწერაც მით უფრო აღმგზნები ხდებოდა:

„ისეთი სქელგავიანები არიან... თან სულ შიშვლები... ერთი მაინც განსაკუთრებით...“\* ამის თქმაზე ათი, ოცი თუ ოცდაათი მეზღვაური ნავეს ეცა და ძველი გემისაკენ აიღეს გეზი, ყურადღება არც მიუქცევიათ ბართელემის ყვირილისათვის, რომელიც ამაოდ ცდილობდა მათ შეჩერებას. ზანგებმა ჭამა შეწყვიტეს, ადგილიდან წამოცვივდნენ და შეშინებულებმა ხელების ქნევა დაიწყეს... ჩქარა ნაპირზე გადმოიყვანეს ატირებული, მავედრებელი და დამფრთხალი ზანგის ქალები, თუმცა მეზღვაურებს, რომლებიც ახლომანლო ბუჩქებისაკენ ექაჩებოდნენ მათ, არც უძალიანდებოდნენ, დანარჩენი მეზღვაურები ხარბი თვალების მისჩერებოდნენ. ოფიცრებმა დაშნები იშიშვლეს, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია... იდგა ერთი ალიაქოთი. ხმელეთზე ქალების ახალ-ახალი ჯგუფები გადმოჰყავდათ: მეზღვაურებისაგან თავის დასაღწევად ქალები აქეთ-იქით აწყდებოდნენ ნაპირს. კაპიტან ბართელემის დასახმარებლად, ხმის ჩახლენამდე ამაოდ რომ ილანძლებოდა და გინებით იკლებდა იქაურობას, ზანგებმა მარგილებს მოავლეს ხელი და თეთრებს დაერივნენ. გაიმართა გაშმაგებული ხელჩართული ბრძოლა. ხალხი სილაში გორაობდა, ერთმანეთს ფეხქვეშ ქელავდნენ; უფრო ძლიერნი ჰაერში ატაცებულ მოწინააღმდეგეს ქვიან სანაპიროზე ანარცხებდნენ; ზოგ-ზოგიერთნი ჩხუბისაგან აგზნებულები და ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი ზღვაში ცვიოდნენ და თითოეული ცდილობდა მოქიშპე თავის წყალში ჩაყოფით დაეხრჩო. ბოლოს, როგორც იქნა, ზანგები კლდოვან ხეობაში შერეკეს და მათსავე გემზე ნაშონი ჯაჭვებითა და თოკებით შეკრეს. ზიზღით აღვისილი ბართელემი „ხალხის მეგობარზე“ დაბრუნდა და ნებაზე მიუშვა მეზღვაურები მისცემოდნენ ორგაას. ესტებანმა, თადარიგისანად რომ ჰქონდა მომარაგებული გრილი ბრეზენტის, — იგი მას, ჩვეულებრივ, მთელ დღეს მზისაგან გახურებულ სილაზე აფენდა — ერთი ზანგის გოგო კლდეებს შორის ხმელი ლიქენით დაფარულ ღარტაფში შეიყვანა. გოგო სულ ნორჩი იყო; ქალი მიხვდა, უარეს ხვედრს რომ გადაურჩა და თვინიერად დაიწყო მონძმანძის მოხსნა. მკვრივ მკერდზე ძუძუსთავეები ჟანგმიწით ჰქონდა შეღებილი; ესტებანს თვალწინ დაუდგა ქალის მბზინავი, მკვრივი და კუნთებიანი ბარძაყები... კუნძულზე ირგვლივ ერთხმად ისმოდა მოკუდული ხმები, შეიძლება გაგერჩიათ ანაზღად აღმომხდარი სიცილი, წამოძახილი თუ ჩურჩული, ხანდახან კი ყველაფერს ის-

\* დამახინჯ. ფრანგ.



ეთი ჩახრინწული ბლავილი ფარავდა, გვეგონებოდათ, სადაც მახლობლად ბუნაგში დაჭრილი მხეცი ღრიალებსო. დროდადრო ჩხუბის ხმაც აღწევდა: ალბათ, ერთი ქალის დასასაკუთრებლად რამდენიმე მეზღვაური დავობდა. ესტებახს მოეჩვენა, რომ მან კვლავ იგრძნო იმ ქალის სუნი, კრიალა კანი, ხუნთქვა და ქსტები, რომელმაც ოდესღაც, ჰავანაში, არსენალის მახლობლად პირველად აგემა მომთენთავი ჟრუანტელის სიტკბო. იმ ღამით კუნძულს განუყოფლად დაუფლებოდა პრიაპი. ქალებიცა და კაცებიც ამ ღვთაების ქურუმებიც ქვეულიყვნენ და თავგამოდებით ასრულებდნენ მის საპატივცემო წეს-ჩვეულებას, ყველა ერთად აღავლენდა ლოცვას; თავშეკავებაზე არავინ ფიქრობდა, არა სცნობდნენ არც ძალაუფლებასა და არც განონებს... რიფრაჟზე ხმამაღლა აახშიანეს ფანფარება და კაპიტანმა ბართელემმა, რომელსაც ურყევად გადაეწვიტა, კვლავ განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება, ბრძანა, ყველა საჩქაროდ დაბრუნებოდა თავ-თავის ხომალდს. ის, ვინც კუნძულზე დაყოვნდება, აქვე დარჩებაო! კაპიტანსა და მეზღვაურებს შორის კვლავ დაუა ატყდა, — კაცებს სურდათ თავიანთი „ზანგი ქალების“ შენარჩუნება, ამბობდნენ, ეს საკუთარი, კანონიერი ნადავლიაო. ესკადრის სარდალმა მეზღვაურები დაამოშმინა და საზეიმოდ შეპირდა — ქალებს პუენტ-ა-პიტრში ჩასვლისთანავე დაგიბრუნებთო... მხოლოდ იქ და არავითარ შემთხვევაში მანამდე, — ყოფილი მონები, ყველა აუცილებელი ფორმალობის დაცვით, უნდა განთავისუფლდნენ და ფრანგ მოქალაქეებად იქცნენო. ზანგები — კაცებიცა და ქალებიც — თავიანთ ხომალდზე დაბრუნდნენ და ესკადრაც უკან შეტრიალდა.. მაგრამ ესტებანმა, რომელსაც ბოლო ხანებში საკმაოდ კარგად ესწავლა მიმართულების გამოცნობა — და, ყველაფერთან ერთად, ნავიგაციაშიც მიეღო გარკვეული გამოცდილება, — შეატყო, რომ ხომალდები კუნძულ ვადე-ლუპასაკენ კი არა, გეზშეცვლით მიდიოდნენ. საქმის მწარმოებლისაგან ამის გავონებაზე ბართელემმა წარბები შეიკრა.

— შენი აღმოჩენა შენთვის შეინახე, — შეუდრინა მან, — მშვენივრად იცი, არ შემძლია ამ ავაზაკებისთვის მიცემული დაპირების შესრულება. ეს დამღუპველი მაგალითი იყო. ამისთანა რამეს კომისარი ვერ მოითმენს... კურსი პოლანდიის ერთ-ერთი კუნძულისკენ ავიღეთ, სადაც ზანგებს გავყიდით.

ესტებანი დაბნეულად მიაჩერდა, მერე გაახსენა მონობის გაუქმების დეკრეტი. კაპიტანს არაფერი უპასუხნია, ისე ამოიღო მაგიდის უჯრიდან თვით ვიქტორ იუვის ხელით დაწერილი ინსტრუქციების დასტა: „თავის დემოკრატიული პრინციპების ერთგულ საფრანგეთს არ შეუძლია მონებით ვაჭრობა, მაგრამ კორსარული ხომალდების კაპიტნებს ენიჭებათ უფლება — თუკი ისინი ამას აუცილებლად და საჭიროდ მიიჩნევენ — პოლანდიის პორტში გაყიდონ ინგლისელებისათვის, ესპანელებისა და რესპუბლიკის სხვა მტრებისთვის წარმეული მონები“.

— ეს ხომ სიმდაბლეა! — იყვირა ესტებანმა, — ვერე გამოდის, ჩვენ მონობით ვაჭრობა იმიტომ ავკრძალეთ, რომ მონები სხვა ხალხებში მოვამრავლოთ?

— მე წერილობით მითითებას ვასრულებ — ცივად უპასუხა ბართელემმა, მან თითქოს იგრძნო რაღაც უდავო საბუთის მოტანის აუცილებლობა და დაუმატა: — ახირებულ დროში ვცხოვრობთ. რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე აქაურ ნავსადგურებში ხშირად შემოდითდა მონათა ხომალდი, რომელიც გემთმუპატრონე ფილოსოფოსს, ჟან-ჟაკ რუსოს მეგობარს ეკუთვნოდა, და იცი, რა ერქვა ამ ხომალდს? „საზოგადოებრივი ხელშეკრულება!“



## XXVI

ფრანგების მიერ წარმოებული კორსარული ომი რამდენიმე თვეში არაჩვეულებრივ მომგებიან საქმიანობად იქცა. კორსარები დღითი დღე მოურიდებლები ხდებოდნენ, წარმატებებითა და გამორჩენით წაქეზებულები გაცილებით მეტსა და მეტ ნადავლზე ოცნებობდნენ; აი, რატომ ბედავდნენ პუენტ-ა-პეტრის ხელის მალდის კაპიტნები სულ უფრო და უფრო შორს წასვლას — იქნებოდა ეს იქნებოდა გრანადის სანაპიროები, კუნძული ბარბადოსი თუ ვირჯინის კუნძულები. მათ იქ გამოჩენისაც კი აღარ ეშინოდათ, სადაც მტრის მრისხანე ესკადრასთან შეხვედრა ელოდათ. კაპერების ხომალდები თანდათანობით სრულყოფდნენ თავიანთ მეთოდებს. ძველი კორსარების ტრადიციების მიბაძვით ფრანგი მეზღვაურები პატარა, მაგრამ სწრაფმაკალი ხომალდებისგან შედგენილ მცირე ესკადრით მოქმედებას ამჯობინებდნენ; ასეთი გემებით მანევრირებაც იოლი იყო და მიმალვაც, ისინი აადვილებდნენ დევნისაგან თავის სწრაფად დაღწევასაც და მოწინააღმდეგის კვალზე ჯიქურად მიყოლასაც, თანაც გაცილებით მოხერხებული იყო, ვიდრე მძიმე და მოუქნელი ხომალდები, რომლებიც ხელსაყრელ სამიზნეებს წარმოადგენდა მტრის, კერძოდ, ბრიტანული არტილერიისათვის: ინგლისელი მეზარბაზნეები, ფრანგებთან შედარებით, სხვაგვარ ტაქტიკას იყენებდნენ, ისინი გემის ანძის დაზიანებას კი არა, გემის კორპუსის გახვრეტას ცდილობდნენ; დადარაჯებულნი იყვნენ, ტალღები როდის მოაფერდებდნენ ხომალდს და ზარბაზნათა ქვემოთ დახრილი ლულებიც შეუმცდარად მოქმედებდნენ. პუენტ-ა-პეტრის ნავსადგური ახალ-ახალი ხომალდებით ივსებოდა, პორტის საწყობები ვეღარ იტევდა ნაირ-ნაირ საქონელსა და ნივთებს. ნადაული დღითიდღე მატულობდა, ამიტომაც საჭირო გახდა მთელ სანაპიროზე, ქალაქის ირგვლივ, მანგროს ტყის გაყოლებით აეშენებინათ ფარდულები. იუგი, ცოტა არ იყოს, შესუქდა, მუნდირი თანდათან უვიწროვდებოდა, მაგრამ ენერჯია არ აკლდებოდა. შორეულ საფრანგეთში ყელამდე საქმეებში ჩაფლულმა დირექტორიამ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სცნო კომისრის დამსახურება, რომელმაც შეძლო ინგლისელებისათვის კოლონიის წართმევა და შენარჩუნება, — და იუგი თავის პოსტზე დატოვა. ამრიგად, იუგმა დედამიწის სფეროს ამ ნაწილში ერთპიროვნული ძალაუფლება განიმტკიცა და ისე ეჭირა თავი, თითქოს არც არავის ემორჩილებოდა და არც არავიზე არ იყო დამოკიდებული. ვიქტორმა შეძლო თითქმის მთლიანად შეესხა ხორცი თავისი სანუკვარი ოცნებისათვის — ჰგვანებოდა მოუსყიდველს. იგი ოცნებობდა რობესპიერთბას, თუმცა სხვა ყაიდის რობესპიერთბას. როგორც რობესპიერი ლაპარაკობდა **თაჰის** მთავრობაზე, **თაჰის** არმიასზე, **თაჰის** ფლოტზე, ახლა იუგიც ასევე ლაპარაკობდა **თაჰის** მთავრობაზე, **თაჰის** არმიასა და **თაჰის** ფლოტზე. ვიქტორს დაუბრუნდა ადრინდელი ქედმაღლობა და არცთუ იშვიათად ჭადრაკისა და ბანქოს თამაშის დროს საკუთარ თავს რევოლუციის საქმის ერთადერთ გამგრძელებლად იხსენიებდა. კვანძით აცხადებდა, აღარ ვკითხულობ პარიზულ გაზეთებს, რადგან მათ, „თაღლითობის“ სუნი უდითო. ამასთან ესტებანი ამჩნევდა, რომ ვიქტორი, რომელსაც თავი მოჰქონდა კუნძულის კეთილდღეობით და იმით, რომ ის, იუგი სისტემატურად უგზავნიდა საფრანგეთში ფულს, საოცრად ემსგავსებოდა საკუთარი სიმდიდრის სიამოვნებით მოანგარიშე იღბლიან კომერსანტს. როცა საფრანგეთის ხომალდები ნავსადგურში ნაალაფვეით ბრუნდებოდნენ, კომისარი ესწრებოდა



მათ გადმოტვირთვას და თვალდათვალ აფასებდა კასრების, ბარდანების, სხვადასხვა ნივთებისა და იარაღის ღირებულებას. ცრუმაგიერ პირთა დახმარებით გამარჯვების მოედნის მახლობლად მან გახსნა კოლონიური საქონლის დუქანი: ზოგიერთი საქონლის ყიდვა მხოლოდ აქ შეიძლებოდა, ამასთან ძველ ყიდდნენ, როგორც მოგუხებებოდათ. ვიქტორი თითქმის ყოველ საღამოს დადიოდა იქ და სუსტად განათებულ ვანილისსუნიან ოთახში ათვალიერებდა საანგარიშო დავთრებს; ქუჩის კუთხეში გამავალი დუქნის კარი რკინის ფირფიტებით იყო შეჭვდილი. მარტო იუგი როდი ჩასუქდა, გილიოტინამაც შეისვენა და შეიძინა სიდარბაისლე — ახლა იგი ერთ დღეს მუშაობდა და ოთხ დღეს ისვენებდა; მას ახლა ბატონ ანსის თანაშემწეები მართავდნენ. თვითონ ანსი კი მთელ დროს თავისი კუნსტკამერის კოლექციის შევსებას უნდებოდა. მას უკვე შეეგროვებინა ხეშეშოთლიანი და ქერცლფრთიანი ძველების უმდიდრესი კრებული და ზედ ლათინური სახელებიც დაერთო. ქალაქში საშინელი სიძვირე იყო, ფასები თანდათანობით იზრდებოდა, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ უცხო ქვეყნის ვაჭრებთან აღებმიცემობას არ აწარმოებდნენ, ფული ყოველთვის იშოვებოდა, ლითონის ფული მუდამ, შეუცვლელად სულ ერთსა და იგივე ჯიბეში ბრუნდებოდა; უნდა ითქვას, რომ ვერცხლის მონეტები ნელ-ნელა, ქლიბის შემწეობით, თხელდებოდა, რაც ხელის შევლებითაც ემჩნეოდა, მაგრამ ფასს უფრო და უფრო მაღალს ადებდნენ... პუნტ-ა-პიტრში ერთ-ერთი გაჩერების დროს მზემოკიდებულმა, მთლად მულატივით გაშავებულმა ესტებანმა სიხარულით შეიტყო საფრანგეთსა და ესპანეთს შორის ზავის დადების ამბავი. ჭაბუკმა იფიქრა, კვლავ დამყარდებოდა მიმოსვლა გვადელუპას, ახალ გრანადას, პუერტო-რიკოსა და ჰავანას შორის. მაგრამ იმედი მწარედ გაუცრუვდა, ვიქტორ იუგმა არ ისურვა ეცნო ბაზელში ხელმოწერილი ხელშეკრულება, ის კვლავინდებურად იტაცებდა ესპანურ ზომალდებს „ინგლისელებისათვის სამხედრო აღჭურვილობის კონტრაბანდულად გადაზიდვაში ეჭვმიტანის გამო“. კორსარული ზომალდების კაპიტნებს უფლება ჰქონდათ მოეხდინათ ესპანური გემების „რეკვიზირება“ და თვითონვე გადაეწვივით, რა უნდა ეგულისხმათ სამხედრო კონტრაბანდაში. ესტებანი იძულებული იყო კვლავინდებურად შეესრულებინა კაპიტან ბართელემის ესკადრაზე საქმის მწარმოებლის მოვალეობა. იგი დარწმუნდა, რომ ვერასდიდებით ვერ დააღწევდა თავს იმ მტანჯველ სამყაროს, რომელიც, ყოველდღიურ ფუსფუსს მოშორებული, მხოლოდ ქართა კანონებს დამორჩილებულ ზღვაზე ცხოვრების წყალობით მისთვის დღითიდღე უცხოვდებოდა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ჭაბუკი მით უფრო ურიგდებოდა აზრს, რომ უნდა ეცხოვრა დღევანდელი დღით, დროისათვის ანგარიშგაუწევლად, და ეკმარა ის მცირეოდენი სიხარული, რაც შეიძლება ადამიანს მიანიჭოს კარგმა დარმა ან მხიარულმა თევზაობამ. იგი შეეთვისა ცურვის დროს შეძენილ რამდენიმე ამხანაგს: კაპიტან ბართელემს, რომელსაც შეენარჩუნებინა ძველი რეჟიმის ოფიცრის ჩვევა — ყველაზე მრისხანე წუთებშიც კი ეფიქრა თავის გარეგნობაზე; ქირურგ ნოელს, დაუსრულებელსა და უთავბოლო ტრაქტატებს რომ წერდა პრადის ვამპირებზე, ლუდენის ეშმაკეულით შეპყრობილ მაცხოვრებლებზე და ბნელით გაწამებულ სენ-მედარელ უპოვარებზე; ტობაგოელ ზანგს, ყასაბ ახილს — სხვადასხვა ზომის ქვაბებზე განსაცვიფრებელი სონეტების შემსრულებელს; მოქალაქე ჟიბერს — ოსტატ მგმანავს, რომელიც ზეპირად კითხულობდა კლასიკური ტრაგედიების ვეება ნაწევრებს — ჟიბერი სამხრეთელი იყო, ამიტომ მის მიერ წარმოთქმული ალექსანდრიული ლექსები ვერ თავსდებოდა ტრადიციულ ზომაში, მას ყოველთვის



ზედმეტი გამოსდიოდა მარცვალი, რადგან ამბობდა არა „ბრუტუსს“, არამედ „ბრუტუსეს“, არა „ეპამინონდს“, არამედ „ეპამინონდეს“. გარდა ამისა, ანტილის კუნძულები ჭაბუკს ხიბლავდა სინათლის გამუდმებული თამაშით და ფორმის მრავალფეროვნებით, რაც მით უფრო განსაცვიფრებელი იყო, რომ იგი წარმოიქმნებოდა ერთსა და იგივე ჰაერში, ერთსა და იმავე მცენარეულობათა გარემოცვაში. ესტებანს მოსწონდა მწვანე მორევიტ გარშემორტყმული დამონიკა მთაგორიანი კუნძული: ქალაქებს აქ „ბატაი“ და „მასაკრი“\*, ერქვათ, იმ შრიხანე ამბავთა სამახსოვროდ, რომელთა შესახებ ისტორიაში ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები. ესტებანისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა კუნძულ ნევისზე მუდმივად ჩამოწოლილი ღრუბელი; ღრუბელი ისე მსუბუქად შემოხვეოდა მთებს, რომ პირველად დიდ ადმირალს ისინი ამ ადგილებში არარსებულ მყინვარებად მიუჩნევია. ჭაბუკი ოცნებობდა, რომ როდისმე ავიდოდა კუნძულ სენტ-ლუსიას ვეება წვეტიან კლდეზე, — იგი ზღვის ტალღებიდან ამოწვდილიყო და შორიდან უცნობი მშენებლების მიერ აღმართულ ხომალდების მომლოდინე შუქურას ჰგავდა, ხომალდებისა, რომლებიც თავიანთი ანძებით აქ ჯვარს მოიტანდნენ. უსასრულო არქიპელაგის ეს კუნძულები, სამხრეთიდან ალერსიანნი და სტუმართმოყვრულნი, ჩრდილოეთიდან — სადაც გამუდმებით ქროდნენ ძლიერი ქარები — მიუდგომელნი და კლდოვანნი, — ზღვის ვეება, ქაფმოდებული ტალღებისაგან იყო დაჭმული. უამრავი ლეგენდა დაღუპულ ხომალდებზე, დაკარგულ განძზე, უცნობ საფლავეებზე, ღამ-ღამობით, ქარიშხლის დროს ანთებულ მაცდუნებულ ცეცხლზე, ადრევე ნაწინასწარმეტყველებ დაბადებაზე — ამქვეყნად ქალბატონ დე მენტენონის,<sup>1</sup> ვიღაც სეფარდიელი სასწაულმოქმედი ამორძალის, შემდეგ კი კონსტანტინეპოლის დედოფლის მოვლინებაზე — ამ მიწასთან იყო დაკავშირებული. სიტყვათა მუსიკით რომ დამტკბარიყო, ესტებანს უყვარდა კუნძულთა სახელების თავისთვის, ჩუმად გამეორება: „ტურტერელი“, „სენტ-ურსიული“, „ვიერჟ-გრასი“, „ნუაიე“, „გრენადინი“, „ჟერიუზალემტომბე“... დილდილობით ზღვა ხანდახან ისეთი მშვიდი და წყნარი იყო, რომ ტაკელაჟთა თანაზომიერი ჭრაჭუნის გემის ცხვირიდან მოკიდებული კიჩომდე ისმოდა — ეს ხმები, მათა ხანგრძლიობის მიხედვით, ხან ჩუმი იყო, ხან უფრო ხმაურიანი: შეიძლება გავგერჩიათ ანაკრუზა და მაღალი ტაქტები, ფორშლაგი და პიცოკატო, მათ დროდადრო ენაცვლებოდა მკვეთრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები, რომელსაც გამოსცემდა თავისებური არფა, სადაც სიმების მაგივრობას ქარის ანაზღეული დაბერვით ახშიანებული ბაგირები ეწეოდნენ. მაგრამ იმ დღეს მსუბუქმა ქარმა უეცრად იმძლავრა, ძალა მოიკრიფა და ვეება, მძიმე ტალღები აავორა. ღია მწვანე ზღვა ჩამუქდა, ჩაბნელდა, უფრო და უფრო მძაფრად აბობოქრდა, წამდაუნქვი იცვლიდა ელფერს — ხან მომწვანო-მოშავო ფერი ეღებოდა, ხან — მწვანე გრაფიტისებური. გამოცდილი მეზღვაურები ღრმად ისუნთქავდნენ ჰაერს, ამ ზღვის მგლებმა იცოდნენ, რომ ყომრალი ღრუბლებით შესუდრულ ჰაერს სრულიად განსაკუთრებული სუნი ჰქონდა; ხანდახან ქარი ჩადგებოდა, წამოვიდოდა თბილი წვიმა, ცვიოდა ვერცხლის წყალივით მძიმე წვეთები. ჩამოწოლილ მწუხრს უეცრად გაჰკვეთდა სვეტებად დატრიალებული ქარბორბალა, ამ დროს ხომალდები გოლიათის ხელით ატაცებულელებით ტალღების ქეჩოზე ექცეოდნენ და ფარნების შიშნეული ციმციმით ღამის სიბნელეში იკარგებოდნენ. ქვემოთ გაშმაგებით თუხთუხებდა მორევი, აბობოქრებული წყალი გემის ცხვირსა და

\* „ბრძოლა“, „ხოცვა-ელეტა“. (ფრანგ.).



ბორტებს ეხეთქებოდა, ქვემოდან მომდინარე ტალღები გემის ხერხემალს სცემდნენ და მესაჭის თავგანწირული მანევრირების მიუხედავად, როცა ბრიგი ვერ ასწრებდა ტალღებისათვის კიჩოს მიშვერას, ხომალდი თავს ველარ აღწევდა მძვინვარე ტალღებს, რომლებიც გემბანზე ბორტიდან ბორტს ეხეთქებოდნენ. ბართელემმა სტიქიასთან ბრძოლის გასაადვილებლად კიჩოს გვარლის დაჭიმვა ბრძანა.

ეროვნული

— დიდ ორომტრიალში მოვხვდით, — თქვა კაპიტანმა ნამდვილი ოქტომბრისეული ქარიშხალი მძვინვარებდა: გრივალი აშკარად იმუქრებოდა, რომ შუალამის შემდეგ აპოგეას მიაღწევდა.

ესტებანი მიხვდა, კარს მომდგარი გრივალის გამო, თავს უკვე ველარ დააღწევდა მრისხანე გამოცდას; კაიუტაში ჩაიკეტა და სცადა დაეძინა, მაგრამ თვალი ერთი წუთითაც ვერ მოხუჭა; საწოლზე როგორც კი გასწორდა, შიგნეულიაბა ლამის ზემოთ ამოუვიდა. ყოველი მხრიდან ისმოდა საშინელი ღრიალი, ეს ღრიალი მთელ ჰორიზონტს ეღებოდა, რასაც გემის თითოეული შპანჭოუტი და თითოეული ფიცარი საცოდავი კენესით პასუხობდა. საათი საათს მისდევდა, გემბანზე მეზღვაურები თავგანწირვით ებრძოდნენ ქარიშხალს, ბრიგი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანებოდა ტალღებზე, ხან მალლა აიჭრებოდა, ხან ჩაიძირებოდა, ცახცახებდა, გვერდზე ყირავდებოდა და თანდათანობით ნებდებოდა ავისმომასწავებელი გრივალის ნებას. ესტებანს თავის დამორჩილება არც უცდია: საწოლზე ზურგით მიჯაჭვული, შიშით შეპყრობილი, ყელში მომდგარი გულისრევის შეგრძნებით უცდიდა, როდის შემოვარდებოდა ლუკში წყალი, აავსებდა ტრიუმს და გაანგრევდა კარს... მაგრამ უეცრად, გარიჟრაჟამდე ცოტა ადრე, მოეჩვენა, რომ ზეციდან მომდინარე მრისხანე ღრიალი მიწყნარდა, ტალღების ცემაც უფრო იშვიათად და სუსტად ისმოდა. ზევით, გემბანზე მეზღვაურები ერთხმად აღუვლენდნენ ხმამაღალ ლოცვას თავიანთ მარადიულ მოსარჩლეს, წმინდა ქალწულს, რომელიც მუდამ იფარავდა ზღვაოსნებს უფალი ღმერთის მრისხანებისგან: თავს უბედურებადატეხილი რესპუბლიკის კორსარები, ძალზე დროულად რომ განეახლებინათ ძველისძველი ფრანგული ტრადიცია, ღვთისმშობელს ევედრებოდნენ, საბოლოოდ დაეცხრო ტალღები და დაემოშმინებინა ქარი. ხალხი, რომელიც ძალზე ხშირად მღეროდა უწმაწურ კუბლეტებს, ახლა მოწიწებით ლოცულობდა მასზე, ვისაც უცოდველად ელო მუცლად. ესტებანმა პირჯვარი გადაისახა და გემბანზე ავიდა. საშიშროებას უკვე გაეკვლი: „ხალხის მეგობარი“ მარტოღმარტო შედიოდა კუნძულებით მოფენილ ყურეში, ისე რომ არაფერი იცოდა ესკადრის დანარჩენი — შესაძლოა, კურსაცდენილი ან ჩაძირული ხომალდების შესახებ.

ღიახ, ყურე კუნძულებით იყო მოფენილი, მაგრამ ეს გახლდათ საოცრად პატარა კუნძულები, ისინი მოგაგონებდათ ესკიზებს, ნამდვილ კუნძულთა მონახაზებს, თითქოსდა ერთად თავმოყრილ ეტიუდებს, ჩანახატებს, მომავალი ქანდაკების ცალკეულ ნაწილებს მოქანდაკის სახელოსნოში. არც ერთი კუნძული არ ჰგავდა მეორეს, ბუნებასაც მათ შესაქმნელად სხვადასხვანაირი მასალა გამოეყენებინა, ერთი წყება კუნძულებისა თეთრი მარმარილოსი გვეგონებოდათ, რომელთა მბრწყინავ ქვიან ზედაპირს არ აჩნდა სიცოცხლის ნასახი, ისინი მხრებად წყლით დაფარულ რომაულ ბიუსტებს ჰგავდნენ; სხვა კუნძულები წყლიდან ვეებერთელა დაძარღვული კვარცის ლოდებივით ამოშვერილიყვნენ, ამ კუნძულთა ზევით, დაფშენილ ქვიან ბექობს ბრჭყალებისებური ფესვებით ჩასჭიდებოდა ორიოდე ხე ან არადა ზღვის მარილისაგან ძროგათუთრებული, ვეებ



წყალმცენარის დარი მარტოზე. ზოგიერთი კუნძული ტალღებისაგან ისეთი გულეული ჩანდა, გეგონებოდათ წყალზე უხილავი საყრდენით დაცურავნო. ზოგი კუნძული მთლიანად ნარშავით ანდა ჩამოქცეულ კლდეთა ნაშვავით იყო დაფარული. სანაპიროს კლდეებში ზღვას მღვიმეები გამოეთხარა, თაღებში თავდაყირა ეკიდა უცნაური, თეატრალური ჭალების მსგავსი გიგანტური კაკტუსები. რომელთაც გარშემო წითელ-ყვითელ ყვავილთა კუწუბები ჰქონდა ქრეფილები. ბუნების ეს საოცარი ქმნილებები — ცილინდრისებური, პირამიდული — მრავალწახნაგოვანი მღვიმეები, ტაძრებს რომ ჰგავდნენ — მარტოდმარტო ამალღებულიყვინ კვარცხლბეკებზე, როგორც რაიმე თაყვანსაცემი საგნები; მექადან მოტანილი წმინდა ქვები თუ რაღაც გაუგებარი კულტის განმასახიერებელი გომეტრიული ემბლემები. ბრიგი თანდათან ღრმად შედიოდა ლოცმანისათვის სრულიად უცხო, უცნაურ სამყაროში. ლოცმანს ბრიგის ადგილსამყოფელის განსაზღვრაც კი უძნელდებოდა, რადგან ღამით, გრიგალის დროს, ხომალდი საგრძნობლად ასცდენოდა კურსს; ესტებანი განცვიფრებული უცქერდა ყოველივე ამას და უნდოდა კუნძულებისთვის თვითონვე გამოეგონებინა სახელები: აი, ამ კუნძულს სახელად „ანგელოზი“ შეეფერებოდა, რადგან მის ერთ-ერთ ფრესკისებურ კლდეზე ისე მოჩანდა გაშლილი ფრთების მოხაზულობა, როგორც ბიზანტიურ ხატზე; მეორეს — „გორგონა“<sup>2</sup>. მოუხდებოდა, იმიტომ, რომ დაგვირგვინებული იყო მწვანე ღიაების გველებით; მომდევნო კუნძული გადაჭრილ სფეროს ჰგავდა, მისი მეზობელი — გავარვარებულ გრდემლს, ცოტა მოშორებით ტალღები რეცხავდნენ გუანოსი და ვარხვის ცურცლით სქლად დაფარულ, წყალზე ნათელი, თონთლო გუნდასავით მოცურავე ფუმფულა კუნძულს. სანთლებიანი კიბის მსგავსი კუნძულის იქით მოჩანდა კუნძული „საგუშავო მთა“, მეჩხზე გარჩენილ გალიონისდარ კუნძულს სცვლიდა ციხეკოშკისებური კუნძული, — მის წვრილ-წვრილ ნაპრალებად დასერილ ნაპირს ეხეთქებოდნენ აქაფებული ტალღები და კლდეზე დამსხვრეულნი შხეფთა ვეება შადრევნებად იჭრებოდნენ მალა. კუნძულ „მჭმუნვარე კლდიდან“ ხომალდმა კურსი კუნძულ „ცხენის თავისკენ“ აიღო, რომელსაც თვალებისა და ნესტოების ნაცვლად ზედ ავბედითი შავი ღრმულები აჩნდა, — უკან დარჩა გავერანებული, საცოდავი, უბადრუკი კლდეებისაგან შემდგარი, ჩამოძონძილი მათხოვრებივით ბენძლი კუნძულები; ისინი სხვა, მრავალი ათასწლეულის შემდგომ წარმოქმნილი და ამიტომაც ახალი, მბრწყინავი სპილოს ძვალივით მბზინავი კლდეების გარემოცვაში კიდევ უფრო უსანდომონი ჩანდნენ. უკან დარჩა ქვის კერპის პატივსაცემად აღმართული სამკუთხა კლდისებური მღვიმე-ტაძარი, მას მოჰყვა ზღვის ფიკუსის ფესვებით ერთიანად დახლართული კუნძული „შერისხული“ — ფესვი-საცეცები აქ წლითიწლობით იქამდე ჯირჯვლდებიან, სანამ ქვებს საბოლოოდ არ დაშლიან. განცვიფრებულმა ესტებანმა აღმოაჩინა, რომ ეს შესანიშნავი ყურეთითქოს ანტილის არქიპელაგის შემცირებულ ასლს წარმოადგენდა, — ყველაფერი, რაც აქ იყო, მეორდებოდა ანტილის კუნძულებზეც და მის შემოგარენში, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით. აქ, ისევე როგორც არქიპელაგზე, შეიძლება გენახათ ყელიდან ამოფრქვეული ვულკანი, თუმცა საკმარისი იყო თოლიების გუნდის გამოჩენა, რომ ვულკანი დათოვლილივით გათეთრებულიყო. აქაც შეხვდებოდით ვიერჟ-გრასსა და ვიერჟ-მეგარს, მაგრამ აქ საკმარისი იყო გვერდი-გვერდ მოგეთავსებინათ ათეულობით ზღვის მარაო, რომ კუნძულთა ზედაპირი მთლად დაფარულიყო... ბრიგი უკვე რამდენიმე საათის განმავლობაში აუჩქარებლად მიცურავდა ყურეში, ხანდახან სიღრმეს თუ გაზომავდნენ ლოტით. უცებ



მეზღვაურებს თვალწინ გადაეშალათ ლატანებამართული მონაცრისფრო სანაპირო, სადაც შრებოდა ვეება ბადეები. აქვე იყო მეთევზეთა დასახლება — პალმის ფოთლებით გადახურული შვიდიოდე ქოხი და ნაგების ფარდული; მახლობლად აღმართული რიყის ქვისაგან ნაგები სათვალთვალო კოშკი: მზირი აქედან, თევზების გუნდის გამოჩენის მოლოდინში, ყურადღებით აკვირდებოდა ზღვას, ვკერძზე კი სიგნალის მისაცემად ნიჟარა ედო; მოშორებით, მთის წვერზე მოჩანდა პირქუში, მსხვილი ქვით ნაგები ქონგურებიანი ციხე, რომელსაც ცხელვანივით ერტყმოდა იისფერ კლდეთა ჯაჭვი.

— სალინას-დე-არაიაა, — უთხრა ლოცმანმა კაპიტან ბართელემს, კაპიტანმა მაშინვე ბრძანა მკვეთრად შემობრუნებულიყვნენ, რათა თავიდან აეცილებინათ მეფე ფილიპ II-ის სამხედრო ხუროთმოძღვრის — ანთონელის მიერ აგებულ მრისხანე ციხე-სიმაგრესთან შეხვედრის საფრთხე.

ეს ციხე-სიმაგრე უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე იდგა გუშაგივი. ესპანეთის განძის სადარაჯოზე. წყალქვეშა რიფებისაგან თავდაღწეულმა ხომალდმა ყურე მთელი სისწრაფით მოიტოვა უკან. ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ ეს იყო სანტა-ფეს ყურე.

## XXVII

გავიდა რამდენიმე თვე. კორსარული ომი გრძელდებოდა. კაპიტანი ბართელემი მუდამ უეჭველსა და ურისკო მოქმედებას ამჯობინებდა, არა ცდილობდა ზღვის რისხვის სახელის დაგდებას, მაგრამ გუმანით შორიდანვე გრძნობდა სუსტად დაცულსა და მდიდრულ ნადავლს. თუ არად ჩაევაგდებოდა უიღბლო შეტაკებას ალტონას დანიურ ხომალდთან, რომლის ეკიპაჟი ვაჟკაცურად შეებრძოლა გზაზე წინ გადამდგარ კორსარულ ხომალდს და უარი თქვა ალმის დაშვებაზე ცხოვრება ესკადრაზე წყნარად და უშფოთყელად მიედინებოდა; რაც შეეხება მთელი დღე კითხვაში გართულ საქმის მწარმოებელს, გმირობისა არაფერი ეცხო და მეზღვაურებიც, გულკეთილად რომ იგდებდნენ მასხარად, პორიზონტზე მეთევზეთა კანჭის გამოჩენაზე ურჩევდნენ ტრიუმში დამალულიყო. „ხალხის მეგობარი“ განუწყვეტლივ მიმოდიოდა ზღვაზე, პორტში მარტო გადმოტვირთვისთვის ჩერდებოდა, — თავისი ბევრი გამდიდრებული კოლეგის შურით შემყურე კაპიტანი გამორჩენისთვის პირდაპირ გახელებული იყო; თუმცა აშკარად ჩანდა, ხომალდი შეიძლება ჩქარა მწყობრიდან გამოსულიყო. სულ მცირე უამინდობაც კმაროდა, რომ ბრიგს ქალივით კვნესა-კრუსუნი დაეწყო, თანდათანობით მძიმე და მოუქნელი ხდებოდა. ყველა ფიცარს ჭრაჭუნე გაჰქონდა. ანძებსა და ბორტზე საღებავი დამსკდარიყო. მიჭყლეტილი და დასახიჩრებული პლანშირები ჭუჭყით ამოგანგლულიყო. ხომალდს სასწრაფო შეკეთება სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ესტებანი მოულოდნელად გვადელებში, — ბოლო ხანებში მას სულ მცირე ხნით უხდებოდა აქ დარჩენა და ამიტომაც ვერ მოესწრო კუნძულზე მომხდარი ცვლილების შემჩნევა. პუენტ-ა-პიტრი ამერიკის მართლაც ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქად ქცეულიყო. მექსიკაც კი, რომლის შესახებ ამდენ სასწაულებს ჰყვებოდნენ და სახელი გაეთქვა თავისი ოქრომჭედლებით, მალარობით თუ დიდი სართავი სახელოსნოებით, არ მოსწრებოდა მსგავს აყვავებას. აქ, პუენტ-ა-პიტრში ოქრო ნაკადად მოედინებოდა, მზის სხივებზე ელვარებდა ტურში მოჭრილი ლუიდორები, ესპანური დუბლონები, ბრიტანული გინეები, პორტუგალიური მოედები ჟოან V-ის, დედოფალ მარიასა და პედრო



III-ის გამოსახულებებით... რაც შეეხება ვერცხლს, იგი ხალხს მოეგდო ხელში — ექვს ლივრად ღირებული ეკიუს, ფილიპინური და მექსიკური პიასტის ლახით, რომ არაფერი ვთქვათ, ვერცხლისა და სპილენძის შენადნობ რვა პატარა მონეტაზე — ამ მონეტებს თითოეული ისე ექცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა — სჭრიდნენ, ხერუტდნენ, ქლიბავდნენ. გუშინდელ მეწვრილმანე ვაჭრებს მაღა გავიძებოდათ და ცდილობდნენ კორსარული ხომალდების მფლობელები გამხდარიყვნენ; შედარებით მდიდრები საკუთარი სახსრებითაც იოლას მდიდროდნენ; სხვები კი სააქციო საზოგადოებებსა და კომანდიტურ ამხანაგობებში ერთიანდებოდნენ. კარიბის ზღვის ამ შორეულ კუთხეში, სადაც რევოლუციას საკმაოდ ხელშესახებად განემტკიცებინა ბევრის კეთილდღეობა, გეგონებოდათ ძველი ოსტ-ინდოეთისა და ვესტ-ინდოეთის კომპანიები აღორძინებულიყო თავიანთი ოქროთი გატენილი ზანდუკებით. ნადავლის ნუსხა დღითი დღე იზრდებოდა, კანტორის დავთარი ახლა უკვე ხუთას ოთხმოცი სხვადასხვა სახის, წარმოშობისა და სახელწოდების ხომალდს ითვლიდა: ისინი კორსარებს აბორდაჟზე აყვანილი გაემარცვათ ან პირდაპირ პორტში მოეყვანათ ფრანგულ ესკადრებს. პუენტ-ა-პიტრის მცხოვრებთ ახლა ნაკლებად აინტერესებდათ რა ხდებოდა საფრანგეთში. გვადელუპას ჰყოფნიდა საკუთარი საქმეები და მას უკვე სიმპათიით და შურიტაც კი უყურებდა ზოგიერთი კონტინენტელი ესპანელი, რომელსაც კოლანდიის სამფლობელოთა მეშვეობით ჩავარდნოდა ხელში პროპაგანდისტული ლიტერატურა. ძნელად თუ წარმოიდგენდით უფრო საზეიმო სანახაობას, ვიდრე წარმატებული ექსპედიციის შემდეგ პორტში დაბრუნებულ და სანაპიროზე გადმოსულ მეზღვაურთა ქუჩაში ცერემონიული სვლა იყო. კორსარებს თან მოჰქონდათ ჩითის, ნარინჯისფერი და მწვანე მუსლინის, მასულიპატამური აბრეშუმის, მადრასული დოლბანდების, მანილური შალის და ათასგვარი ძვირფასი ქსოვილის ნიშუშები, რისგანაც ქალებს თვალები უჭრელდებოდათ; აქაურ მოდას აყოლილი მეზღვაურები უცნაურად მორთულიყვნენ; მოაბიჯებდნენ ფეხშიშველები, ან უფეხსაცმელოდ, წინდიანები, — და ხალხს ხიბლავდნენ თავიანთი ოქრომკედით ნაქარგი ბრწყინვალე მუნდირებით, ბეწვშემოვლებული კამზოლებით თუ ნაირფერი ყელსახვევებით; თავზე კი თითოეულს — ეს, ასე ვთქვათ, ღირსების საქმე იყო — მდიდრული თავსამკაული — რესპუბლიკის დროშის ფერების ფრთებით დამშვენებული ფარფლებაპრეხილი ქეჩის შლაპები ეხურათ. ზანგ ვულკანს თავისი კეთრით დაღრღნილი სხეული ისეთი ძვირფასი მორთულობით დაეფარა, რომ იმპერატორი გეგონებოდათ ტრიუმფის დღეს. ოჩოფეხებზე აჩოჩხებული ინგლისელი ჯოზეფ მერფი სპილენძის თეფშებს ერთიმეორეს ზედ აივნების წინ შემოჰკრაავდა ხოლმე. ნაპირზე გადმოსული კორსარები, რომელთაც ალტაცებული შემახილებით მიაცილებდა ხალხი, მორნ-ა-კაის მიმართულებით ეშურებოდნენ, სადაც მათ ყოფილ ამხანაგს, დაინვალიდებულ მეზღვაურს გაეხსნა კაფე „სანკიულოტთა თავშესაფარი“. აქ დახლის ზემოთ ეკიდა სხვადასხვა მგალობელი ჩიტის გალიები, კედლები აჭრელებული იყო ნახშირით დაბლაჯნილი კარიკატურებითა და უწმაწური წარწერებით. შემდეგ სამი დღე გადაბმულად ღრუობდნენ — სვამდნენ და ერთობოდნენ. ამასობაში გემის მეპატრონენი თვალყურს ადევნებდნენ საქონლის გადმოტვირთვას და იქვე ხომალდებთან, მაგიდებსა და დახლებზე დაწყობილს სახელდახელოდ ჰყიდიდნენ... ესტებანი ძალზე გაოცდა, როცა ერთხელ კაფეში ვიქტორ იუგს შეხვდა; გემის კაპიტნებით გარშემორტყმული იუგი ასეთი დაწესებულებისათვის მეტისმეტად სერიოზულ ამბებს განსჯიდა.



— დაჯექი, მეგობარო, და შენთვისაც რაიმე შეუკვეთე, — უთხრა ჭაბუკს დირექტორიის აგენტმა.

ვიქტორ იუგისათვის ეს წოდება ცოტა ხნის წინათ მიენიჭებინათ, მაგრამ, ეტყობა, მაინცდამაინც ვერა გრძნობდა თავს დარწმუნებულად და ისეთი კილოთი ლაპარაკობდა, როცა სხვისგან ესწრაფვის კაცი ქების გავონებას. იუგი, სხვადასხვა ცნობასა და ციფრებზე დამყარებით, ოფიციალური და ნახევრად ოფიციალური პატაკებიდან ნაწყვეტების მოხმობით, ჩრდილოეთის ამერიკის მცხოვრებთა ადანაშაულებდა, თითქოს ხომალდებსა და იარაღს ასყიდებდნენ ინგლისელებს იმ ჩუმი იმედით, რომ დაეჩქარებინათ საფრანგეთის წასვლა ამერიკული კოლონიებიდან, ის კი ავიწყდებოდათ, რა მოვალეობა ეკისრებოდათ ამ ქვეყნის წინაშე.

— თვით სიტყვა „ამერიკელი“ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს ამ მხარეში, — რიხით გაიმეორა ახალი პროკლამაციის ფრაზა ვიქტორმა. — ამერიკელი ყოველგვარი თავისუფლების რეტორიკადად და მტრად იქცა, მსოფლიოს წინაშე კი რა ხანია თავის ივაკერულ კომედიას თამაშობს! ყოყონური ნაციონალიზმით გამსჭვალული შეერთებული შტატები ყველგან მტერს ზედავს, ვისაც მისი ძლევამოსილების შერყევა შეუძლია. ისინიც კი, ცოტა ხნის წინათ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძოდნენ, ახლა ყველაფერს უარყოფენ, რაც მათ სიდიადეს მატებდა; ამ მუხანათ ბატონებს უნდა შევახსენოთ: ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, საკუთარი სისხლი რომ არ დაგვეღვარა ან ფული დაგვეზოგა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არ მივბმარებოდით, აქამდე ჯორჯ ვაშინგტონს მოღალატეობისათვის ჩამოჰკიდებდნენ.

და იუგი ტრაბახს მოჰყვა, თითქოს წერილი გაეგზავნოს დირექტორიისათვის და იგი შეერთებულ შტატებთან ომის გამოცხადებისათვის წაექეზებინოს, მაგრამ ამის საპასუხოდ მიღებული ინსტრუქცია არსებული მდგომარეობის სრულ შეუფასებლობას მოწმობს: თავდაპირველად აფრთხილებდნენ, მერე კაგანგაშს სტეხდნენ და მკაცრად მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ... ყველაფერმა დამნაშავენი მაინც პელარდის მსგავსი სამხედრო პირნი არიან, განაგრძობდა ვიქტორი, რომლებიც მან, ვიქტორმა, მძაფრი შეტაკების შემდეგ კოლონიიდან გაასახლა, რადგან ეს ოფიცრები ხშირად ერეოდნენ ისეთ საქმეებში, რაც არ ეკითხებოდათ, ახლა კი პარიზში მის წინააღმდეგ ათას რამეს თხზავდნენ. ამასთან იუგმა გაიხსენა ყველა თავისი წამოწყების წარმატებები, ინგლისელებისაგან კუნძულის განთავისუფლება და გვადელუპას ახლანდელი კეთილდღეობა.

— რაც შემეხება მე, მე განვაგრძობ ომს შეერთებული შტატების წინააღმდეგ. ამას მოითხოვს საფრანგეთის ინტერესები, — ისე გამომწვევად და მტკიცედ დაასრულა იუგმა, თითქოს წინასწარ სურდა ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრის აღკვეთა.

სავსებით ნათელია, თქვა გუნებაში ესტებანმა; აქამდე იგი განუსაზღვრელ უფლებებს ფლობდა, ახლა უკვე გრძნობს გარშემო ძლიერი პიროვნებების განყენას, რომელთაც წარმატებებმა და სიმდიდრემ განუმტკიცათ ძლევამოსილება. ერთ-ერთი ასეთი კაცი იყო ნარბონელი მეზღვაური ანტუან ფიუე, რომელსაც ვიქტორმა ამერიკულ ყაიდაზე აღჭურვილი, სპილენძში ჩასმული წითელი ხის პლანშირებიანი შესანიშნავი ხომალდის მეთაურობა დაავალა. ფიუე ლეგენდარულ და ბრბოს საყვარელ პიროვნებად მას შემდეგ ქცეულიყო, რაც პორტუგალიური ხომალდისთვის, ფინდიხის უქონლობის გამო, ზარბაზნით ოქროს მონე-



ტები დაეშინა. ბრძოლის შემდეგ, მისი ხომალდის — „სწორუპოვრის“ — ქირურგები კარგა ხანს უტრიალებდნენ მოწინააღმდეგის დახოცილსა და დაჭრილ მეზღვაურებს და სკალპელის შემწეობით კუნთებიდან თუ შიგნეულობიდან აკლადნენ მონეტებს. სწორედ ამ „ოქროსროლია კაპიტნად“ წოდებულმა ანტუან ფიუმემ გაბედა აეკრძალა დირექტორიის აგენტისათვის მეზღვაურთა კლუბში დასწრება, ვითომცდა იმიტომ, რომ იგი სამხედროს კი არა, სამოქალაქო ხელმძღვანელებს წარმოადგენდა. კლუბი კორსარული ხომალდების ყველაზე გავლენიანმა ხელმძღვანელებმა გახსნეს ყოფილი ეკლესიის შენობაში, რომლის ბალებსა და ადგილ-მამულს ქალაქის მთელი კვარტალი ეჭირა; თავშესაქცევად მათ თავიანთ კლუბს „პალე-როიალი“ დაარქვეს. განცვიფრებულმა ესტებანმა შეიტყო, რომ ფრანგ კორსარებს შორის კვლავ გამოცოცხლებულიყო ფრანკმასონობა, თანაც საკმაოდ ფართო გაქანება მიეღო. „პალე-როიალში“ მოეწყოთ მასონთა ლოჯა, კვლავ აღემართათ იოახიმისა და ბოასის სვეტები. ხალხმა მალე უარი თქვა უზენაესის არსის დღემოკლე კულტზე და ხელახლა დაუბრუნდნენ სამყაროს დიდ არქიტექტორს, ხირამ აბის აკაციასა და ჩაქუნს. მაგისტრებისა და რაინდების როლებში გამოდიოდნენ კაპიტნები ლაფიტი, პიერ გრო, მათიე გუა, კრისტოფ შოლიე, მტრის მხარეს გადმოსული ჯოზეფ მერფი, ლანგლუა ხის ფეხი და მულატიც კი, რომელსაც მეტსახელად „პეტრეას მულატს“ ეძახდნენ; ფრანკმასონობის ტრადიცია გვადელუპაზე ძმები მოდესტ და ანტუან ფიუმეების თავგამოდების წყალობით აღორძინებულიყო. ამრიგად, იგივე ხელები, რომელთაც აბორდაჟის დროს მოკლელულიანი თოფები ჩაებლუჯათ და შედეგებული სისხლისაგან გამავეებული მონეტების ძეინაში გვაშებს ჩხრეკდნენ, მასონებისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე ქარქაშებიდან კეთილშობილურ დაშნებს აშიშვლებდნენ. „მთელი ეს დომხალი იმის ბრალია, რომ ხალხი ჯვარცმაზე ნაღვლობს, — ფიქრობდა თავისთვის ესტებანი. — ყველა ტორეადორსა და ყველა კორსარს სჭირდება ტაძარი, სადაც შეეძლება მძიმე განსაცდელის ჟამს ცოცხლად გადარჩენისათვის ღვთაებრივი ძალისადმი სამადლობელო ლოცვის აღვლენა. იმასაც ვნახავთ, თავიანთ მარადიულ მოსარჩლეს, უწმინდეს ქალწულს აღთქმულ შესაწირავს რომ მიართმევენ“. ჭაბუკს თავისთვის ჩუმად უხაროდა, როცა ატყობდა, რომ ფარული ძალები თანდათან ძირს უთხრიდნენ ვიქტორ იუგის ძლევაშისილებას. მას გული აყროდა მეგობარზე; ეს ჩვეულებრივ ასე ხდება, ხშირად ვნატრობთ ხოლმე, დამცირებულნი და დაცემულნიც კი ვიხილოთ ის ადამიანები, ვისითაც ცოტა ხნის წინათ აღფრთოვანებულნი ვყოფილვართ, მაგრამ ვინც თანდათან მეტისმეტად ქედმაღალნი და მიუკარებელნი გამხდარან. ესტებანმა თვალი შეავლო ძველ ადგილზე მდგარი გილიოტინის ფიცარნავს. საკუთარი თავისადმი ზიზღი იგრძნო, მაგრამ არ შეეძლო აღსდგომოდა ცდუნებას და არ გაუფიქრა, — ბოლო ხანებში მთელი კვირაობით შალითაგადაფარებული და უქმად მდგარი მრისხანე მანქანა, შესაძლოა, ხელისუფლებით აღჭურვილ ადამიანს ელოდებო.

— ნამდვილი ღორი ვარ, — ჩაიბურტყუნა ჭაბუკმა, — მორწმუნე ქრისტიანი რომ ვიყო, ახლა აღსარებაზე უნდა მივდიოდე.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და საპორტო კვარტალში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელს ქალაქში, დიდი მხიარულება გამეფდა. ნავსადგურში ზარბაზნის ქუხილით შემოვიდა კრისტოფ შოლეს ესკადრა, რომლის შესახებ მთელი ორი თვის მანძილზე აღარაფერი ისმოდა; ახლა უკვე დაბრუნებულ კორსარებს თან მოჰყავდათ კუნძულ ბარბადოსის სანაპირო წყლებში საზღვაო შეტაკების დროს.



მიტაცებული ცხრა ხომალდი. ერთი ხომალდზე ესპანეთის დროშა ფრიალებდა, მეორეზე — ინგლისისა, მესამეზე — ჩრდილოეთ ამერიკის, ბოლო გემზე კი იშ-ვიათი ტვირთი აღმოჩნდა — საოპერო დასი, მუსიკოსებით, პარტიტურებითა და დეკორაციებით. ეს იყო მსახიობთა დასი პირველხარისხოვანი ტენორის ბატონ ფოკომპრეს ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე რამდენიმე წელი იყო რაც მოგზაურობდა კაპ-ფრანსუდან ჰავანასა და ახალ ორლეანში და ახლამდამდე მხვდასხვა საოპერო სპექტაკლებს; მისი რეპერტუარის მშვენიერება იყო „გრეტრიის“ რიჩარდ ლომგულა“, გარდა ამისა, რეპერტუარში ჰქონდათ „ზემირა და აზორი“, „მოახლე ქალბატონი“, „მშვენიერი არსენა“ და სხვა მდიდრული წარმოდგენები, რომლებშიც იყენებდნენ მოძრავ დეკორაციებს, ჯადოსნურ სარკეებს და ხმაურის ეფექტებს. ახლა კი ეს საგასტროლო მოგზაურობა — მიზნად რომ დაესახა საოპერო ხელოვნება გაეცნო კარაკასისა და ამერიკის სხვა ქალაქებისათვის, ამასთან, პატარა დასების გადაადგილება არ მოითხოვდა დიდ ხარჯებს და სარფიანადაც გამოდიოდა — უნდა დამთავრებულიყო პუენტ-ა-პირტში, ქალაქში, სადაც არ ჰქონდათ საკუთარი თეატრი. ბატონ ფოკომპრეს — არტისტსა და თეატრალურ იმპრესარიოს სმენოდა გვადელუპას გამდიდრების ამბავი და საკუთარ თავს ულოცავდა აქ მოხვედრას, თუმცა სულ რამდენიმე დღის წინათ კარგა გვარიანად შეშინებულიყო აბორდაჟის დროს; ისე, სიმართლე რომ ითქვას, არც მაშინ დაუკარგავს მხნეობა: ლუკში ჩავიდა და იქიდან აძლევედა თავის თანამემამულე კორსარებს სასარგებლო რჩევებს. დასის მსახიობები ფრანგები იყვნენ, ახლა ირგვლივ ფრანგები შემოხვეოდნენ და მომღერალმა, რომელიც მანამდე მიჩვეული იყო არიით — „ო, რიჩარდ, ჩემო ხელმწიფევ“ — ალეგზნო მონარქისტულად განწყობილი კოლონისტები, ანახდეულად რესპუბლიკური გრძნობის მოზღვავება იგრძნო და კორსარების საფლაგმანო ხომალდის შკანცზე აფოფხებულმა, მთელი ეკიპაჟის სასიხარულოდ, რიხიანად დასჭექა სიმღერა „ხალხის გამოღვიძება“. იგი ისეთი აღმავლობით მღეროდა, რომ მისი რულადისაგან ოფიცერთა სალონში ჭიქებს წკრიალი გაუდიოდა, რაც კაპიტნის მეორე თანამემწესაც შეიძლება დაედასტურებინა. ფოკომპრესთან ერთად ჩამოვიდა ქალბატონი ვილინიევი, რომელიც ერთნაირი წარმატებით კითხულობდა ლექსებს და საჭიროების შემთხვევაში ასრულებდა გულუბრვეილო მწვემსი გოგოსა თუ გრაკების დედისა და ბედუკუდმართი დედოფლის როლებს. ჩამოვიდნენ აგრეთვე ენამრავალი ქერა ქალიშვილები მონმუსე და ჟანდვერი, ისინი შესანიშნავად მღეროდნენ მსუბუქ არიებს პაიზიელოსა და ჩიმაროზას ყაიდაზე. ნაპირზე შეგროვილ ხალხს ნავმისადგომთან მსახიობების გამოჩენაზე უცბად სულ გადავიწყებოდათ ნაალაფევი ხომალდები: მსახიობი ქალები თავს იწონებდნენ — გვადელუპაში ჯერჯერობათ სრულიად უცხო — უკანასკნელ მოღაზე შეკერილი ტანსაცმლით, უცნაური შლაპებით, ბერძნული სანდლებით და მაღალწელიანი, ნახევრად გამჭვირვალე ტუნიკებით, უფრო ტანადს რომ ხდიდა ადამიანს; მომღერლებს სამგზავრო ზანდუკები გატენილი ჰქონდათ ძვირფასი, მაგრამ ოფლისაგან დალაქული კაბებით. მუყაოს სვეტები და ხის ტახტები მტვირთავეებს აჰკიდეს, საკონცერტო კლავიკორდი კი ყოფილი გუბერნატორის სასახლეში ჯორებშებმული ოთხთვალათი მიიტანეს, ამასთან იგი ისეთი სიფრთხილით მიჰქონდათ, თითქოს აღთქმის კიდობანი ყოფილიყოს. ქალაქში, სადაც თეატრი არ იყო, ჩამოვიდა თეატრალური დასი, და, ბუნებრივია, უნდა ეზრუნათ მის ადგილსამყოფელზე. მიიღეს კიდევ აუცილებელი ზომები... გილიოტინის ფიცარნავი მშვენიერ სცენად შეიძლება ქცეულიყო და მრისხანე მანქანაც მეზობელი სახლის უკანა ეზოში გადაიტანეს,



სადაც იგი ქათმების განკარგულებაში აღმოჩნდა; მის ხარიხაზე ქათმებს ისე ეძინათ, როგორც ქანდარაზე. ეშაფოტის ფიცარნავი გარეცხეს, სისხლის კვალი ააფხიკეს, ხეებს შორის ბრეზენტი გაჭიმეს და დაიწყეს რეპერტუარის ყველაზე პოპულარული პიესის რეპეტიცია — გარდა იმისა, რომ ეს პიესა საერთაშორისო აღიარებით სარგებლობდა, მასში თავისუფლების მოყვარული სულით გაჟღერებული რამდენიმე კუპლეტიც იყო ჩართული. ეს გახლდათ ჟან-ჟაკ რუსოს „მუსიკოსის ფლის ჯადოქარი“. ბატონ ფოკომპრეს განკარგულებაში ძალზე ცოტა მუსიკოსი იყო, ამიტომ თეატრის დირექტორმა გადაწყვიტა, მათი რიცხვი ბასკების მსროლელთა ორკესტრის მუსიკოსებით შეეკოს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახელოვანი მეომრები მარჯვედ, ოღონდ ხუთი ტაქტის დაგვიანებით ასრულებდნენ თავიანთ პარტიებს, და დასის კაპელმეისტერმაც ამჯობინა უიმათოდ გასულიყო იოლას. მომღერლებს კლავიკორდის, პობოის და ვიოლინოს აკომპანიმენტით უნდა ემღერათ, რისი მოვარებაც ბატონმა ანსმა იკისრა. რამდენიმე დღის შემდეგ გამარჯვების მოედანზე შედგა საზეიმო წარმოდგენა. წარმოდგენას უკლებლივ ესწრებოდნენ ახლად მოვლენილი კოლონიელი მდიდრები. მდაბიო ხალხს სულ უკან, მოედნის განაპირას დაახვეინეს, წარჩინებული მოქალაქეებისთვის მიჩენილი ადგილები ბრბოსგან ლურჯ ხავერდგადაკრული და სამფერი ლენტებით მორთული ბაგირებით იყო გამოყოფილი; ბოლოს გამოჩნდნენ ხომალდის კაპიტნები — ოქრომკედლით ნაქარგი მუნდირებით, ორდენებით, სამხარილღიეებით და კოკარდიანი ქუდეებით; მათ თან ახლდათ გამოპრანჭული საყვარლები, რომელთაც სულ ზედ აესხათ ყალბი თუ ნამდვილი ძვირფასეულობა, მექსიკური ვერცხლის სამაჯურები თუ კუნძულ მარგარიტას მარგალიტები. ესტებანი წარმოდგენაზე უცხოდ მორთულ-მოკაზმულ და სამკაულებით დამშვენებულ მადმუაზელ ატალასთან ერთად მოვიდა. ქალს უკანასკნელი მოდის მიხედვით პირდაპირ შიშველ ტანზე ეცვა ბერძნული ტუნიკი. ვიქტორ იუგმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა პირველი რიგი დაიკავეს, მათ გარს ეხვია მოუღურტულე და ლაქუცა ქალების მთელი გუნდი. დირექტორის აგენტი და ოფიცრები ლანგრებიდან ღვინითა და პუნშით სავსე ჭიქებს იღებდნენ და ერთხელაც არ მიუხედაიათ უკან, ბოლო რიგებისკენ, სადაც ბედნიერი ხასების დედები — საკუთარი ქალიშვილების ქცევით საქციელწამხდარი, გათქვირებული, სქელგავიანი, დიდძუძუებიანი ქალები ისხდნენ. ამ ქალბატონებს უმსგავსოდ გაფუებულ ტანზე მოდიდან გამოსული, საგულდაგულოდ ნაჭრებჩაყენებული და გაგანიერებული კაბები ეცვათ. ესტებანმა თვალი შეასწრო, როგორ შეიჭმუნხა ვიქტორმა წარბები ანტუან ფიუეს გამოჩენაზე, რომელსაც ხალხი მქუხარე ტაშისცემით შეეგება. მაგრამ ამ დროს აჟღერდა უვერტიურა და შუა ტაშისცემაში ქალბატონმა ვილინიევამ წამოიწყო კოლეტას არია:

ბედნიერება გამომეცალა,  
რა მეშველება დარჩენილს ცალად?  
შორს მიდის ჩემი კოლენი...

მერე გამოჩნდა ჯადოქარი, მან წარმოდგენა მაღალფარდოვნად, სტრასბურგული აქცენტით განმარტა და სპექტაკლიც დაიწყო; წარმოდგენამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია, მაგრამ ეს აღტაცება მაინც განსხვავდებოდა იმისგან, რაც თავის დროზე ამავე მოედანზე გილიოტინის პირველმა ამოქმედებამ გამოიწვია. ხალხი უმაღლ ხვდებოდა ნართაულად ნათქვამს და ტაშისცემით პასუხობდნენ რევოლუციური შინაარსით აღსავსე სტროფებს, კოლენი კი, რომლის როლსაც ბატონი ფოკომპრე ასრულებდა, მთელი მონდომებით წარმოაჩენდა ამგვარ ადგი-



ლებს და ვშმაკურად უპაჭუნებდა თვალს ქალების გვერდით წამოჯვებულ დირექტორიის აგენტს, ხომალდთა ოფიცრებსა და კაპიტნებს:

გულს უმეგობროდ ნაღველი მოეძალა,  
 ნადიმები და პატივი მომეშალა....  
 ყველა რჩეულ დიდ ბატონს  
 მოსწონს ჩვენი კოლეტა,  
 ეს კი არავის სწყალობს  
 ან თუ ცბიერობს, ნეტა!



წარმოდგენის დამთავრებისას გაისმა ალტაცებული შემახილები და მსახობებს, ხალხის დაჟინებული მოთხოვნით, ხუთჯერ მოუხდათ პიესის ფინალის განმეორება:

ქალაქს თუ დიდი ხმაური ავსებს,  
 ჩვენთან სიცოცხლე ხალისია,  
 სულ მუდამ ვმღერი,  
 ბედს არა ვწყველი,  
 არაფერს ვჯავრობ,  
 ცხოვრებით ვხარობ.  
 მჩუქნიდნენ თუნდ ყველა მოხდენილ ქალს,  
 არვის დავუთმობ კოლეტას თავს.

დღესასწაული რევოლუციური ჰიმნებით დასრულდა, რომელთაც ხმის დაუზოგავად მღეროდა სანკილიოტად ჩაცმული ბატონი ფოკომპრე; შემდეგ გუბერნატორის ყოფილ სასახლეში გაიმართა დიდი მეჯლისი: სვამდნენ მაღალფარდოვან სადღეგრძელოებს და მდინარესავით მოედინებოდნენ დიდებული ღვინო, ვიქტორ იუგი ყურადღებას არ აქცევდა ქალბატონ ვილიენიევას დაჟინებულ გურკუტს, რომელიც თავისი გაფურჩქნული მშვენებით ფლამანდიელი ოსტატების ტილოებიდან გადმოსულ ხორცსავსე ლედს მოგაგონებდათ, და მარტინიკელ მულატ მარიანა-ანჟელიკა-ჟაკენტან გაება ინტიმური საუბარი. დირექტორიის აგენტი ადრე თუ ქედმაღლურად ეკიდებოდა სულიერ სითბოს, ახლა, ინტრიგის ხლართებში გაბმული, არაჩვეულებრივი გულითადობით ეპყრობოდა თავის მეგობარს. იმ საღამოს ეს უმეგობრო კაცი ყველასთან არაჩვეულებრივად თავაზიანი იყო. რამდენჯერაც ჩაუარა ესტებანს, იმდენჯერ მამაშვილურად მოუთათუნა ბეჭებზე ხელი. გარიჟრაჟისას იუგი განმარტოვდა, მოდესტ ფიუე და იმხანად საფრანგეთიდან ჩამოსული ლება კი — კაცი, რომელიც დირექტორიის აგენტის ნდობით სარგებლობდა, მაგრამ არცთუ მთლად სამართლიანად დირექტორიის ჯაშუშად ითვლებოდა — ლამაზმან ქალიშვილებთან, მონმუსესა და ჟანვერთან ერთად, ქალაქის გარეუბანში გაემგზავრა. კორსართა ესკადრის გვარიანად შემთვრალმა ახალგაზრდა საქმის მწარმოებელმა სასტუმროსკენ გასწია; ბნელ ქუჩებში მიმავალ მადმუაზელ ატალას შემხედვარეს გულიანად ეცინებოდა; ქალს სანდლები დაეხადა და ტუნიკის კალთები, წინა დლით ნაწვიმარ გუბეებში რომ არ დასველებოდა, მალლა აეკრიფა, ბოლოს, იმის შიშით, ტანისამოსი არ დაშვსვაროსო, კაბა სულ გაიძრო და კისერზე შემოიხვია.

— ცხელი ღამეა, — თითქოსდა მობოდიშებით ჩაილაპარაკა ქალმა და აბეზარი მოსკიტებისგან თავდასაღწევად ხელებს მალი-მალ იტყაპუნებდა ძუძუებზე.

უკან ჩაქუჩების კაკუნი გაისმა — ხუროები შლიდნენ საოპერო სპექტაკლის დეკორაციებს.



XXVIII

1798 წლის შვიდ ივლისს — ზოგიერთი მოვლენა რესპუბლიკური კალენდრით არ აღინიშნებოდა — შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთს ამერიკის ბუნებზე ომი გამოუცხადა. ამ ამბავმა მეხის გავარდნასავით გადაუარა ევროპის მოვრობათა კანცელარიებს. აყვავებულმა, ნეტარებას მიცემულმა და სისხლით შეღებვილილმა წმინდა ქალწულმა გვადელუპას კუნძულმა კი კარგა ხანს იტყუებოდა ახალი ამბავი, რომელსაც, სანამ აქ ჩამოაღწევდა, ლამის ორჯერ გადაელახა ატლანტის ოკეანე. გვადელუპაში ყველა თავის საქმეს აკეთებდა, თანაც ყველა იმას წუხდა, არნახულად ცხელი ზაფხული დგასო. ეპიდემიამ უამრავი საქონელი იმსხვერპლა; მოხდა მთვარის დაბნელება; ბასკების მსროლელთა ბატალიონის ორკესტრს მრავალჯერ მოუხდა მწუხრის ზარის შესრულება. მინდორში, სადაც მზეზე ესპანური კურდღლისცოცხა ხმებოდა, რამდენჯერმე იფეთქა ხანძარმა. ვიქტორ იუგმა იცოდა, რომ მისი დაუძინებელი მტერი გენერალი პელარდი არაფერს ერიდებოდა, ოღონდაც კი დირექტორიის თვალში პირშავად გამოეყვანა მისი აგენტი, თუმცა იუგს ახლა უკვე ნაკლებად ანადვლებდა ეს ამბავი, რადგან თავს კვლავაც შეუცვლელად მიიჩნევდა.

— სანამ იმ ბატონებისათვის ოქროს ახალი პარტიის გაგზავნის დრო არ დადგება, მანამდე ხელსაც ვერ მახლებენ, — აცხადებდა ვიქტორი.

ხმები დაირხა, პუენტ-ა-პიტრში მიმოქცევაში არსებულმა იუგის პირადმა ქონებამ მილიონ ლივრს გადააჭარბაო. ქალაქში ბევრს ლაპარაკობდნენ მარიანა-ანჟელიკა-ჟაკენტან მის შესაძლო ქორწინებაზე. სწორედ ამ დროს გამდიდრების წყურვილით უარესად შეპყრობილმა იუგმა შექმნა ემიგრანტთა ქონების, კუნძულის ფინანსების, კორსართა ხომალდების შეიარაღებისა და საბაჟო საქმეების გამგებელი სააგენტო. ვიქტორის ამ გადაწყვეტილებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგან ეს უშუალოდ ლახავდა აქამდე მისსავე მფარველობაში მყოფი უამრავი ხალხის ინტერესებს. მოედნებსა და ქუჩებში ხმამაღლა განსჯიდნენ დირექტორიის აგენტის თვითნებობას, ისე რომ, ბოლოს და ბოლოს, იუგმა საჭიროდ მიიჩნია კვლავ გამოეტანა სამზეოზე გილიოტინა, და ქალაქში უკმაყოფილოთა ჭკუის სასწავლებლად მცირე ხნით, მაგრამ მაინც ხელახლა გაემეფებინა ტერორი. ახლად გამდიდრებულნი, გუშინდელი ფაუორიტები, ხელმრუდი ჩინოვნიკები, მესაკუთრეთა მიერ მიტოვებული ადგილ-მამულის შემოსავლით მოსარგებლე ხალხი იძულებულნი გახდნენ ენაზე კბილი დაედგათ. ლიუციფერი სასწორებით და ბეზმენტებით გარშემორტყმულ კომერსანტად იქცა — იგი ლამის მთელი დღე-ღამე საწყობებში დახვავებულ საქონელს წონიდა. ქალაქში შეიტყვეს თუ არა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთს ომი გამოუცხადაო. სწორედ იმათ, ვინც სიამოვნებით მარცვაავდა ჩრდილოეთ ამერიკის იალქნიან გემებს, ამ კატასტროფაში, რაც შეიძლება საბედისწერო გამომდგარიყო გვადელუპასთვის, ვიქტორს დაუწყეს დადანაშაულება. ომის დაწყების ამბავმა დიდი ხნის დაგვიანებით მოაღწია და საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ კუნძული უკვე გარშემორტყმული იქნებოდა მტრის ხომალდებით, და, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, შეიძლება თავსაც დასხმოდნენ. ვილაც-ვილაცები ირწმუნებოდნენ, ბოსტონიდან უკვე გამოვიდა ძლიერი ესკადრა, ბასტერში მტრის მეომრები გადმოსხეს და პალე გვადელუპას ბლოკადაც დაიწყებოდა. შიში და შფოთი თანდათან ძლიერდებოდა, და აი, ერთხელაც ქალაქგარეთ სეირნობიდან დაბრუნებული იუგის ეკიპაჟი ლიოიეს სტამბის წინ გაჩერდა, სადაც ესტებანი მორიგ კორექტურას კითხულობდა.



— თავი გაანებე მაგას და გოზიეში გამოყევი, — შესძახა ფანჯრიდან დირექტორიის აგენტმა.

გზაში ათას წვრილმანზე საუბრობდნენ. ყურეში ვიქტორი ესტებანთან ერთად ჩაჯდა ნავში, მუნდირი გაიხადა, ნიჩბებს მოუსვა და პატარა კუნძულისკენ გაემართა. ნაპირზე გადასული სილაზე გაწვა, ინგლისური სიღრის ბოთლი გახსნა და აუჩქარებლად დაიწყო:

— მე აქედან გამაძევებენ. უკეთეს სიტყვას ვერ გამოვიტყვი, რადგან რომ გამაძევებენ. დირექტორიის ვაჟბატონებს სურთ პარიზში ჩავიდეთ და ჩემი საქმიანობის ანგარიში ჩავაბარო, მაგრამ მარტო ეს როდია. აქ ჩამოდის კარგი მოხელე გენერალი დეფურნო, რომელსაც დავალებული აქვს ჩემი შეცვლა, ის არამზადა პელარდი კი კუნძულზე შეიარაღებული ძალების სარდლად ბრუნდება, — იგი სილაზე უფრო მოხერხებულად დაწვა და ბინდშეპარულ ცას მიაშტერდა, — მარტო იმასლა ელიან, ნებით ვთქვა უარი ხელისუფლებაზე, მაგრამ ჯერ კიდევ დამრჩა ერთგული ხალხი.

— საფრანგეთს ომის გამოცხადებას უპირებ? — დაინტერესდა ესტებანი; ის ფიქრობდა, რომ კორსარული ავანტურის შემდეგ, რამაც ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეტაკებამდე მიიყვანა, იუგს ყოველგვარი უგუნური ნაბიჯის გადადგმა შეეძლო.

— საფრანგეთს არა, მაგრამ მის უნამუსო მთავრობას — სიამოვნებით.

კარგა ხანს დუმილი ჩამოვარდა. ჭაბუკი საგონებელში ჩავარდნილიყო. ვერ გაეგო, რატომ გადაეწვიტა არცთუ გულახდილ დირექტორიის აგენტს მაინცდამაინც მისთვის გაენდო ჯერჯერობით ყველასთვის უცნობი სამწუხარო ახალი ამბავი. მით უფრო კატასტროფული, რომ იუგს მანამდე დამარცხების სიმწარე არ განეცადა.

— ამის შემდეგ გვადელუპაში შენს დარჩენას აზრი აღარ აქვს, — ხელახლა წამოიწყო ვიქტორმა, — კაიენაში წასასვლელ სამშვს მოგცემ, იქიდან შეიძლება პარამარიბოში წახვიდე. პარამარიბოში კი ჩრდილოეთ ამერიკისა და ესპანეთის ხომალდებიც შემოდის, ერთი სიტყვით, როგორმე მოუვლი თავს.

ესტებანს სიხარული არ გამოუმჟღავნებია. ეშინოდა აღრინდელივით მახეში არ გაბმულიყო. მაგრამ ამჯერად ყველაფერი უბრალოდ მოხდა. შერისხულმა ხელისუფალმა აუხსნა, რომ იგი დიდი ხანია ეხმარებოდა სინამარასა და კურუსში მცხოვრებ გადასახლებულებს, უგზავნიდა წამლებს, ფულსა და ყველაზე აუცილებელ რამეებს. ესტებანს გაგონილი ჰქონდა, რეკოლუციის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე იყო გადასახლებული გვიანაში, მაგრამ კერძოდ ვინ, ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი იცოდა. ჭაბუკისათვის არაერთხელ ჩამოუთვლიათ „გადასახლებულთა“ გვარები, მაგრამ გასულა ხანი და პარიზულ გაზეთებში მათი ხელმოწერილი სტატიები შეხვედრია. ხმები დადიოდა, რომ კილდერბუაც ამერიკაშიაო, მაგრამ კონკრეტულად მისი ადგილ-სამყოფელი არავინ იცოდა. იმასაც ჰყვებოდნენ, თითქოსდა ბილი ვარენს სადღაც კაიენის მახლობლად თუთიყუშები მოეშენებინოს.

— ამას წინათ მაუწყეს, ამ ბილწ დირექტორიას ბიოსათვის საფრანგეთიდან ყველაფრის გაგზავნა აუკრძალავს, უნდათ, როგორმე შიმშილით მოკლან, სიღარიბეში ამოხადონ სული.

— ბილიც ხომ ერია მოუსყიდველის მოლაღატეებს შორის? — ჰკითხა ესტებანმა.

იუგმა სახელოები აიწია და წითელი გამონაყარი მოიფხანა.



— ახლა არ არის იმის დრო, ყოფილ გამონეწილ რევოლუციონერებს საყვედურებით ვავსებდეთ. ბიოს შეცდომა მოუვიდა, მაგრამ ეს იყო პატრიოტის შეცდომა. მაგას ვერ მოვითმენ, ბიო გაჭირვებაში რომ მოკვდეს.

მაგრამ მას, ვიქტორს, შექმნილი ვითარების გამო არ შეეფერებოდა საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის ყოფილი წევრის მფარველობა; სწორედ ამიტომაც სურდა, რათა ესტებანი, იმის სამადლობლოდ, რომ აქაურობიდან თავის დაღწევაში ეხმარებოდა, მეორე დღესვე გაჰყოლოდა კაიენაში მიმავალ მძვირლითა და ღვინით დატვირთულ შხუნას „ვენერა მედიციელს“ და მისი გადასახლებული მეგობრისათვის ფული წაეღო.

— იქ არის დირექტორიის აგენტი ჟანე, რამენაირად მოერიდე, რაღაც ავადმყოფურად შურს ჩემი, ცდილობს, ყველაფერში გამეჯიბროს, ქვეყნის სასაცილოდ კი იხდის თავს. კრეტინი, დროზე უნდა მომეშორებინა თავიდან.

ესტებანმა შეამჩნია, რომ მუდამ ჯან-ღონით სავსე იუგი გამხდარიყო, ყვირთელი ფერი დასდებოდა, გადაღული პერანგიდან კი ვეება მუცელი გამოსჩრია.

— კეთილი, petiot\*, — მოულოდნელი სინაზით განაგრძო ვიქტორმა, დეფურნო როგორც კი გამოჩნდება, ციხეში ამოუაყოფინებ თავს, მერე ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს! შენი მონაწილეობა ამ დიდ მოკლენებში ამით დასრულდება. ჩქარა დაუბრუნდები მშობლიურ სახლს, თქვენს მაღაზიას, ეს სოლიდური ფირმაა და უსულგულოდ ნუ მოეკიდები. არ ვიცი, ჩემზე რა აზრის ხარ, შეიძლება ფიქრობ, რომ ტირანი ვარ, მაგრამ ერთი რამ არ დაივიწყო: არსებობს ეპოქები, რომელშიც გულმონწყალებისთვის არ არის ადგილი, — მან სილა მომუჭა და ხელისგულიდან ხელისგულზე ისე იყრიდა, თითქოს სილის საათი სჭეროდეს, — რევოლუცია სულსა დაფავს, აღარაფერი დამრჩენია ხელმოსაჭიდი, აღარც არაფრისა მწამს.

დაღამდა. ყურე ისევ გამოცურეს, ეკიპაჟში ჩასხდნენ და უმაღლ დაბრუნდნენ გუბერნატორის ყოფილ სასახლეში. ვიქტორმა რამდენიმე კონკერტი და დაღუქული პაკეტი აიღო მაგიდიდან.

— აქ საშვი და ფულია შენთვის. აქ კი ბიოს ფულია. ეს წერილი სოფიას გადაეცი. კეთილ მგზავრობას გისურვებ, ემიგრანტო.

უეცარი სინაზით აღვისილი ესტებანი იუგს გადაეხვია.

— რატომ ერეოდი პოლიტიკაში? — ჰკითხა ესტებანმა და ის დღეები გაახსენა, როდესაც ვიქტორს თავისუფლება ჯერ კიდევ არ გაეცვალა ძალაუფლების მოხვეჭაზე, რომელიც საბოლოოდ ტრაგიკული გამოდგა მისთვის.

— ალბათ იმიტომ, რომ მეფუნთუშედ დავიბადე, — უპასუხა დირექტორიის აგენტმა, — იმ დამეს ჩანგებს ჩემი საფუნთუშე რომ არ დაეწვათ, ადვილი შესაძლებელია, შეერთებული შტატების კონგრესს ომი არასოდეს გამოეცხადებინა საფრანგეთისთვის. „კლეოპატრას ცხვირი რომ არა...“<sup>1</sup> გახსოვს ვინ თქვა?

ქუჩაში გამოსული ესტებანი თავის სასტუმროსაკენ გაეშურა: უცნაური ვიწვენებოდა, რომ მომავალში ცხოვრობდა უკვე და ყველაფერი, მისთვის ჩვეულებრივი და კარგად ნაცნობი, ახლა შორეულად და გაუცხოებულად წარმოუდგებოდა. იგი ყოფილი ტაძრის წინ შეჩერდა, სადაც ახლა კორსარების მასონთა ლოჯა იყო და გაიფიქრა, რომ ამ შენობას უკანასკნელად ხედავდა. მერე ქალაქთან დასამშვიდობებლად ღუქანში შესული უკანასკნელად მიუჯდა ლიმონსა და მუსკატზე დაყენებულ სირჩა არაყს. მეღუქნის დახლი, ღვინის კასრები, აქ მოფუსფუსე

\* ყმაწვილო. (ფრანგ.).



მულატი მოსამსახურეები— დღეიდან უკვე წარსულს ეკუთვნოდა. მისი, ესტე-  
ბანის, შემბორკავი ხუნდები დამსხვრეულიყო, ტროპიკული კუნძული, რომელ-  
საც ამდენი ხნის მანძილზე მიჯაჭვოდა, მალე შორეულად და ეგზოტიკურად მო-  
ეჩვენებოდა... გამარჯვების მოედანზე ბატონი ანსის თანამემსვეები მუშაობდნენ  
— შლიდნენ გილიოტინას, მრისხანე მანქანას შეეწვიტა კუნძულზე თავისი მო-  
ღვაწეობა. განივ ხარიხაზე კონვენტის კომისრის, იუგის მიწრქმომჭრებული ლა-  
პლაპა ფოლადის დანას კვლავ ყუთში დებდნენ. მოედანთან მანქანასთან ვიწრო  
კარი, რომელშიც უამრავ ხალხს გაეკლო სინათლის საუფლოდან უკუნეთისკენ,  
საიდანაც უკან არავინ აღარ ბრუნდება. ამერიკაში თავისუფლების განსამტკიცე-  
ბლად ჩამოტანილ იარაღს დღეის ამას იქით რომელიმე საწყობში უსარგებლო  
რკინის ჯართთან ელოდა დაეანგება. გადაწყვეტა შეტაკების დროს იუგმა ბრძა-  
ნა, რაც შეიძლება შორს წაეღოთ მრისხანე მანქანა, რომელიც თვითონვე აამუ-  
შავა თავის დროზე, როცა ამას აუცილებლად მიიჩნევდა, როცა იგი საბეჭდი და-  
ზგისა და იარაღისოდენა დახმარებას უწევდა; ეტყობოდა, თაკად ისეთი სიკვდი-  
ლი ჰქონდა არჩეული, რომელიც სიამაყით აღსავსე კაცს, სიცოცხლესთან დამ-  
შვიდობებისას შესაძლებლობას აძლევს შორიდან მატქერალივით უყურებდეს  
საკუთარ თავს.

ნაწილი მეოთხე

სიკვდილის სარეცელი  
პოემა

XXIX

რემისრის საგუშაგოს, დარმის მოედანსა და პორის ქუჩას შორის ხე-  
ტიალით დაღლილი ესტებანი გზაჯვარედინთან დაბალ ბოძკინტზე ჩამოჯდა, ნა-  
ხულ-გაგონილით გაოგნებულს თავი საგიჟეთში ეგონა—The Rake's Progress. კა-  
ინაში, ამ კუნძულ-ქალაქში ყველაფერი დაუჯერებელი, შეუძლებელი და უც-  
ნაური ჩანდა. ეტყობა, რასაც შხუნა „მედიციელ ვენერაზე“ ჰყვებოდნენ,  
სრული სიმართლე იყო. წმინდა პავლე შარტრელის მონასტრის ბერები, რომელ-  
თა გამგებლობაშიც იმყოფებოდა ადგილობრივი ლაზარეთი, ბერ-მონაზვნური  
შესამოსელით ისე დადიოდნენ ქუჩებში, თითქოს საფრანგეთში არავითარი რე-  
ვოლუცია არ მომხდარიყოს, უფრო მეტიც, ისინი რევოლუციონერთა ჯან-  
მრთელობაზე ზრუნავდნენ, რომელთაც ნამდვილად გაუჭირდებოდათ მათ დაუ-  
ხმარებლად. აქ ყველა გრენადერი — არავინ იცოდა რატომ — ელზასელი  
იყო, ლაპარაკობდნენ გაურკვეველად და ვერაფრით შეგუებოდნენ აქაურ პავს,  
რის გამოც სახე მთელ წელიწადს ღუღუღოებითა და ძირმაგარებით ჰქონდათ  
დაფარული. რამდენიმე ზანგი, ახლა თავისუფალ მოქალაქეებად რომ იწოდე-  
ბოდნენ, ბორკილდადებულნი ქვეყნის საყურებლად ეშაფოტის რკინის ძელზე  
მიეჯაჭვათ... ალბათ სიზარმაცისთვის დაესაჯათ. თუმცა მალენგრის კუნძულზე  
არსებობდა კეთროვანთა თავშესაფარი, ბევრი აუადმყოფი მაინც ქუჩა-ქუჩა



დაეხეტებოდა; ამზერებდნენ საშინელ წყლულებს და მოწყალებას თხოულობდნენ. კაიენას ფერადი მოსახლეობისაგან შედგენილი ლაშქარი ჩამოკონკილთა ბრბოსა ჰგავდა. ქალაქელებს ოფლისაგან სახეები უპრიალედათ, თითქმის ყველა თეთრკანიანს პირქუში სახე ჰქონდა. ესტებანი მიჩვეული იყო გვადელ-უპელი ქალების მოხდენილ ჩაცმულობას და ძალზე ანცვიფრებდა აქაურ ზანგი ქალების ქუჩაში უსირცხვილო, გულმკერდმოღეღილი სიარულით. თუ გულმისასვლელი სანახაობა იყო, რიცა თამბაქოს ღეჭვით მოშაგლეს ხუშსხაქსა ლოყებდაბერილ მახინჯ მოხუცებს გადაეყრებოდი. დაბოლოს, აქ შეხვდებოდი პუენტ-ა-პიტრისთვის უცხო ხალხს, ქალაქის ირგვლივ მდებარე ტყეებიდან მოსულ ველურ ინდიელებს; ისინი აქ პიროგებით შემოდისოდნენ, გუიავას ნაყოფის, ჯადვარისა და ათასგვარი სამკურნალო ბალახეულობის გასასყიდად. ზოგიერთებს თან ცოლებიც ჩამოჰყავდათ, რომელთაც პირდაპირ ფორტის თხრილებში, დენთის საწყობის კედლებთან თუ კარებაჭედილი მაცხოვრის ეკლესიის უკან აიძულებდნენ პროსტიტუციას. ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდიოთ ტატუირებულსა და უცნაურად მოხატულ სახეებს, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ პეიზაჟის ეგზოტიკურობის გამამძაფრებელი გაჭახჭახებული მზის მიუხედავად, ეს, ერთი შეხედვით, ჭრელაჭრულა და თვალწარმტაცი სამყარო, სინამდვილეში ბნელი ოფორტივით უხალისო და სევდისმომგვრელი იყო. გუბერნატორის ყოფილი რეზიდენციის, უსახური და მოძველებული შენობის წინ დარგული ხეები უწყლობისაგან დამზმარიყო. ულახათოდ ნაშენებ, უამრავგალერეიან ვეება შენობაში კაიენას ჩინოვნიკების მიერ დაარსებული პოლიტიკური კლუბი მოეთაესებინათ; მაგრამ ახლა კვლავინდებური მგზნებარე სიტყვის წარმოსათქმელად აღარავის ჰყოფნიდა ძალა და კლუბი თანდათანობით სამორინედ ქცეულიყო. მოთამაშეები მოუსყიდველის ბუზებისაგან დასკინტლული სურათის ქვეშ არიგებდნენ ბანქოს: დირექტორიის აგენტის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ვერავის მოეცალა კედელში მაგრად მიღურსმული, ჩარჩოიანი სურათის ჩამოსაღებად. შეძლებული ხალხი და შემოსავლიან ადგილებზე მომუშავე ჩინოვნიკები მხოლოდ ერთადერთ გართობას სცნობდნენ — ეჭამათ და ესვათ გატყვრომამდე; გადაბმულად ღრეობდნენ, შუადღისას დაწყებულ ქეიფს შუალამემდე აგრძელებდნენ. კაიენას აშკარად აკლდა ის ხალისიანი ჟრიამული და მოღური ჩაცმა-დახურვა, რითაც ასე იყო გახალისებული პუენტ-ა-პიტრის ქუჩები. კაიენაში კაცებს ეცვათ ძველი რეჟიმისდროინდელი გაქუცული ტანსაცმელი: მაუდის სქელ ქურთუკებში ჩაფუთხულებს ზურგსა და ილიებში ოფლის თეთრი ლაქები გამოსვლიდათ. ქალები იმისთანა სულელური კაბებითა და ჩაცმულობით იწონებდნენ თავს, რასაც პარიზში, ალბათ, მარტო ოპერის გუნდის სოფლელი ქალებიღა თუ იცვამდნენ. ქალაქში ვერ ნახავდი ვერც ერთ ლამაზ სახლს, ვერც ერთ მზიარულ დუქანს, ვერაფერს ისეთს, რაზედაც ეღირებოდა თვალის შეჩერება. აქ ყველაფერი ერთფეროვანი და უსახური ჩანდა, ყოფილი ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ეკალ-ბარდი მოსდებოდა, ქალაქის სანაგვედ, ფეხისადგილად ქცეულიყო, ირგვლივ ქეციანი ძაღლები დამრწოდნენ. ზღვიდან ზურგით მდგარი და მატერიკის სიღრმეში მაცქერალი კაცი დაინახავდა ხშირ, გაბარჯულ მცენარეულობათა კედელს, საპყრობილეს სქელ კედელზე უფრო შეუღწეველს. ესტებანს ლამის თავბრუს ახვევდა იმის გაფიქრება, რომ ეს უღრანი ტყე, რომელიც ქალაქის მახლობლად იწყებოდა, უწყვეტ მასივად იყო გადაჭიმული ორინოკოსა და ამაზონის ნაპირებამდე, ესპანეთის ვენესუელამდე,



პარიზის მდინარეებსა და შორეულ პერუმდე. ის, რაც გვადელუპას ტროპიკულ პეიზაჟში თვალს ახარებდა, აქ, გვიანაში მტრული, შეულწეველი და მკაცრი იყო. უსაზომოდ გაზრდილ, ერთმანეთში გაბარჯულ ხეებს ღიანები ფესვებიდან კენწერობამდე შემოხლართოდათ, ფოთლები პარაზიტებს დაედრღნათ. ისეთი მუსიკალური სახელწოდების ადგილებიდან ჩამოსულ კაცს, როგორც იყო ლე-ლამანტენი, ლე-მული, პიჟონი, აქაურ კლდედასახელები — მარონი, თიაპოკი, აპრუაგა უხეში და უსიამოვნო ეჩვენებოდა. მისი და თითქოს წინასწარ აუწყებდნენ აქაურ ჭანჭრობზე, გაუვალ რაყსა და გახელებულ სარეველაზე... ესტებანი „მედიციელი ვენერას“ ოფიცრებთან ერთად ბატონ ჟანესათვის პატივისცემის გამოსაცხადებლად გაეშურა; ჟანემ ვიქტორ იუვის წერილი აშკარა ამრეხით წაიკითხა. გვიანაში დირექტორის აგენტის განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილ ამ კაცს — მისი შემხედვარე ვერ დაიჯერებდით, რომ იგი დანტონის ბიძაშვილი იყო — საზიზღარი შესახედაობა ჰქონდა: დაავადებული ღვიძლისაგან სახეზე მომწვანო ფერი დასდებოდა, გარეული ტახის ეშვისგან დასახიჩრებული მარცხენა ხელი კი ახლახან მოეჭრა. ესტებანმა შეიტყო, რომ ბიო-ვარენიც, გადმოსახლებული ფრანგების უმრავლესობასთან ერთად, სინამარაში იმყოფებოდა, — ბევრი მათგანი კურუში ან კონამამაში გაუგზავნათ და კაიენაში ჩამოსვლა ეკრძალებოდათ. გადმოსახლებულებს ბლომად მიეცათ დასამუშაველად ვარგისი მიწა, ასე რომ, არაფერს არ საჭიროებენ და შეუძლიათ ღირსეულად მოიხადონ საფრანგეთის რესპუბლიკის სხვადასხვა მთავრობის მიერ დადებული სასჯელი, — აუხსნა ჟანემ.

— იქ, ალბათ, ფიცის მიღებაზე უარის გამო გადმოსახლებული მღვდლებიც არიან, — დაინტერესდა ესტებანი.

— იქ ყველანაირ კაცს შეხედებით, — უპასუხა დირექტორის აგენტმა ნამალადევი გულგრილობით, — დეპუტატებს, ემიგრანტებს, ჟურნალისტებს, სასამართლო მოხელეებს, მეცნიერებს, პოეტებს, ფრანგ და ბელგიელ მღვდლებს...

ესტებანმა აღარ მიიჩნია საჭიროდ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობის გამოჩენა, კერძოდ, რომ ეკითხა, სად იმყოფებოდა ჩამოთვლილი ხალხი. „მედიციელი ვენერას“ კაპიტანმა ესტებანს ურჩია, ბიო-ვარენისათვის ფული ვინმე საიმედო შუაკაცის მეშვეობით გადაეცა. მანამდე კი ჭაბუკი კაიენას ყველაზე საუკეთესო, ვიღაც ოგარის სასტუმროში გაჩერდა, — აქ შედარებით რიგიანად კვებავდნენ და ღვინოც კარგი ჰქონდათ.

— ჩვენთან გილიოტინა არ გვიხმარია, — უთხრა ოგარმა, როცა ზანგი ანჯესა და სქოლასტიკა მაგიდიდან თითო ბოთლი ლერწმის არყის მოსატანად აღვინ, — მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ უარესი მოგვიზღო ბედმა: უცბად სიკვდილი კიდევ სჯობს, ასე ვთქვათ, თანდათანობით სიკვდილს.

და სასტუმროს მფლობელმა ესტებანს აუხსნა, რას ნიშნავდა „დასამუშაველად ვარგისი მიწა“, რითაც, ჟანეს თქმით, გადასახლებულები ბედს ეწიენ. თუ სინამარაში, სადაც ბიო იმყოფება, ხალხს მაინც რაღაცნაირად გააქვს თავი, — თქვა ოგარმა, — უფრო სწორედ, ჯახირობენ, და შაქრის სახარშავისა და რამდენიმე, ასე თუ ისე, აყვავებული ადგილ-მამულის სიახლოვე მდგომარეობას ცოტათი მაინც უმსუბუქებთ, „კურუს“, „კონამამას“ და „ირაკუბოს“ თვით სახელწოდებებიც კი თანდათანობით სიკვდილის სინონიმებად იქცნენ. გადასახლებულები ცხოვრობენ ხელისუფალთა თვითნებობით მიჩენილ ადგილებში, რომელთა დატოვება სასტიკად ეკრძალებათ. ცხრა-ცხრა, ათ-



ათი კაცია ერთად შეყუყული ჭუჭყიან ქოხებში, აქ ავადმყოფებს, ისევე, როგორც მცურავი საპყრობილები ტრიუმებში, მონაცვლებით სძინავთ ჯანმრთელებთან. გარს უნაყოფო, ჭაობიანი მიწა აკრავთ; გაჭირვებისა და შიმშილისაგან იტანჯებიან; მოკლებულნი არიან ყველაზე აუცილებელ წაშალსაც კი, იშვიათად, დირექტორიის აგენტის დავალებით, რომელიმე ქორეუგი საინსპექციო ჩამოვლისას ცოტაოდენ არაყს თუ ჩამოურიგებს, ყოველგვარი ავადმყოფობის მოსარჩენად.

— აი, რას ეძახიან „უსისხლო გილიოტინას“, — დაასრულა თხრობა ოგარმა.

— ეს, რაღა თქმა უნდა, ძალზე სამწუხაროა, — დაეთანხმა ესტებანი, — მაგრამ იქ ხომ ისეთებიც იხდებიან სასჯელს, ვინც თვითონვე ხვრეტდნენ ხალხს ლიონში, არიან საზოგადოებრივი ბრალმძებლები და მკვლელებიც, ვინც იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ დასჯილთა სხეულებს უხამსი პოხებით აწყობდნენ ეშაფოტის წინ.

— აქ ერთმანეთში აირივნენ წმინდანებიც და ცოდვილებიც, — უპასუხა ოგარმა და ბუხებს დაუწყო გარეკვა.

ის-ის იყო ესტებანმა დააპირა ბიოს ამბას გამოკითხვა, რომ მაგიდასთან მოვიდა ჩამოძონძილი, გვარიანად შემთვრალი მოხუცი და მოჰყვა ყვირილს, ფრანგები ღირსნი არიან თავსდატეხილი უბედურებისო.

— სტუმარს მოეშვი, — მიუბრუნდა მოხუცს სასტუმროს პატრონი და მის კილოში ჩანდა ერთგვარი პატივისცემა ამ წარმოსადეგი მოხუცის მიმართ, რომელსაც, უბადრუკი ჩაცმულობის მიუხედავად, მაინც შერჩენოდა რაღაც დიდებული.

— შთამომავლებით გაფუფუნებულნი, ნახირისა და ჯოგების პატრონნი ვცხოვრობდით ვითარცა ბიბლიის პატრიარქები, გვექონდა ფერმები და მარცვლეულით სავსე ბეღლები, — ოდნავ ენის ბორძიკით დაიწყო უცნობმა, თან ისეთ ძველ კონსტრუქციებს ხმარობდა, ესტებანს არასოდეს მოესმინა. — ჩვენი იყო პრე-დე-ჰურკის, პონ-დე-ბუს, ფორ-რუაიალას და სხვათა და სხვათა მიწები, ასეთ მიწებს ვეღარსად იპოვი ვეღარასოდეს! რამეთუ ჩვენ ჩვენის ღვთისმოსაობით, ჩვენის უადრესი ღვთისმოსაობით — დავიმსახურეთ წყალობა ღვთისა, — მან ნელა გადაიწერა პირჯვარი და ყველასაგან მივიწყებულმა ამ შესტმა თავისი უჩვეულობით განაცვიფრა ესტებანი. — ჩვენ აკადიელები<sup>1</sup> ვიყავით ახალი შოტლანდიიდან და ისე ვერთგულობდით საფრანგეთის მეფეს, რომ ნთელი ორმოცი წელიწადი უარყოფდით, ხელი მოგვეწერა საძაგელ ქაღალდზე და ჩვენს მბრძანებლად გვეცნო დონდროზა ანა სტიუარტი, ან უწმინდური მეფე გეორგი,<sup>2</sup> რომელსაც სამუდამო ჯოჯოხეთის ცეცხლზე დაწვა ელის. მერე დაიწყო დიდი ამბობება<sup>3</sup>, შავი ღლე დაგვადგა, ინგლისელმა ჯარისკაცებმა საკუთარი სახლიდან გამოგვაძევეს, წავგართვეს ცხენთა რემები და საქონელი, დაგვიცარიელეს ზანდუკები, ჩვენ კი ბოსტონში ან, კიდევ უფრო უარესი, სამხრეთ კაროლინაში და ვირჯინიაში გადაგვასახლეს, სადაც ზანგებზე უარესად გვეპყრობოდნენ. სილატაკის, პროტესტთა ავისმოსურნეობის და ყველა იმათი სიძულვილის მიუხედავად, ვინც ხედავდა, როგორ დავეხეტებოდით ქუჩა-ქუჩა მათხოვრებივით, ჩვენ მაინც ვადიდებდით მამაზეციერს და იმას, ვინც მამის ნაანდერძევ ტახტს განაგებს დედამიწაზე. და როცა აკადია აღარ იყო მიწიერი სამოთხე, როგორიც იყო მანამდე, სანამ ჩვენს გუთნებს უფლის კურთხევა ჰფარავდა, ჩვენ ასგზის დაგვიბრუნებდნენ მიწას და ფერმებს,



თუკი დავთანხმდებოდით და ვცნობდით ბრიტანეთის სამეფო გვირგვინს. ჩვენ კი ასგზისვე უარი ვთქვით, ბატონო, ამაზე. ბოლოს და ბოლოს, იმის შემდეგ, რაც ყოველი მეათე ჩვენთაგანი დაიღუპა, მას შემდეგ, რაც წყლულებიდან სისხლის დენა დაგვეწყო და იობივით ზეზეურად გვდიოდა ჩირქი, — საფრანგეთის გემებმა გაგვანთავისუფლეს, და ჩვენც დავბრუნდით, ბატონო ჩემო, ჩვენს შორეულ ქვეყანაში, დარწმუნებულნი, ბოლოს და ბოლოს, ხსნას ველირსეთო. მაგრამ ყველაზე უხეირო მიწებზე დაგვასახლეს, აღარავინ იცნობდა ჩვენი ჩვილისათვის ყურის დაგდება. ჩვენ მაინც ვამბობდით: „კეთილ მეფეს ბრალი არ მიუძღვის, ჩანს, არაფერი იცის ჩვენს დღევანდელ გასაჭირზე და წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენს, როგორი იყო ჩვენი მამების აკადია“. უფრო მოგვიანებით ბევრნი და მათ შორის მეც აქ, გვიანაში მოგვიყვანეს, სადაც მიწას ვერაფერს გაუგებ. ჩვენ ოდესღაც ნაძვნარებში, მუხნარსა და არყნარში ნაცხოვრებნი ანაზდად აქ მოვხვდით, სადაც მარტოოდენ მავნე ოჯახები ხარობენ, სადაც დღისით მოხნულ მიწას ღამდამობით სატანა ანადგურებს. დიახ, ბატონო, აქ სუყველგან სატანა მეუფებს, ყველაფერი სატანის კერძია, ის, რისი გაზრდაც სწორედ გინდათ, მრუდე გამოდის, რაც გგონიათ, მრუდე გამოვა, სწორედ იზრდება. გაზაფხულობით აკადიის თავზე ამოსული მზე თოვლს ადნობდა, სიცოცხლესა და ხალისს გვანიჭებდა, აქ კი, მარონის სანაპიროზე მზეც თავ-ბედს გვაწყველინებს. ჩვენს მხარეში მზისა და წვიმისგან ზღვა მოსავალი მოდიოდა, აქ ყველაფერი ჭირად ქცეულა — მზე ნათესს აშრობს, წვიმები — ალპობს. მაინც ამაყად მეჭირა თავი — მე ხომ ბოლომდე ვერთგულობდი საფრანგეთის მეფეს, მე ფრანგებს შორის ვცხოვრობდი, ასე თუ ისე, ისინიც პატივისცემით მეპყრობოდნენ, მე თავისუფალ ხალხს ვეკუთვნოდი, ყველა ხალხზე უფრო თავისუფალს, იმ ხალხს, ვინც მეფის ერთგულებაზე უარის თქმას გაკოტრება. გაძევება და სიკვდილი ირჩია... ჩვენი იყო, ბატონო, პრე-დე-ბურკის, პონ-დე-ბუს, ფორ-რუაილის მიწები... მაგრამ შავი დღე დაგვიდგა, როცა თქვენ, ფრანგებმა, — შემთვრალმა მოხუცმა ამის თქმაზე მაგრად მოკუმშული მუშტი მაგიდას დაარტყა, — გაბედეთ, თავი მოგეკვეთათ ჩვენი მეფისთვის, მოგეზდინათ მეორე დიდი ამბობება და წაგერთმიათ ჩვენთვის პატივი და ღირსება. მე ისე დამიწყეს ყურება, როგორც „საეჭვო“ პიროვნებას, ვითარცა მტერს, თვითონაც არ ვიცი, ვისი ან რისი მტერი ვიყავი — ჰო, ასე მომექცნენ, თუმცა მთელი სამოცი წელიწადი სულ იმას ვცდილობდი, როგორმე ფრანგად დავრჩენილიყავ, თუმცა დავკარგე მთელი ჩემი ავლადიდება, ჩემი ცოლი კი მცურავ საპყრობილეში გადაჰყვა მძიმე მშობიარობას, რადგან არ ვისურვეთ უარი გვეთქვა ჩვენს სამშობლოსა და ჩვენს რწმენაზე... ახლა ამქვეყნად, ჩემო ბატონო, მარტო ჩვენ, აკადიელები შეიძლება მიგვიჩნიოთ ნამდვილ ფრანგებად. ყველა დანარჩენი უბრალო შფოთისთავეები არიან, რომელთაც ღმერთიც დავიწყებიათ და საკუთარი სინდისიც, ნამუსი დაუკარგავთ და მზად არიან საამებთან, მავრებთან და თათრებთან გაითქვიფონ.

მოხუცმა ლერწმის არყის ბოთლი მოიყუდა, ფქვილის ტომრებზე პირქვე დაემხო და უმაღლ დაეძინა, თან რაღაცას ბურტყუნებდა წყულ კუთხეზე, სადაც ხეებს ვერაფერს გაუგებ.

— მართლაც რომ ღირსეული შვილები იყვნენ საფრანგეთისა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მაგათი დრო უკვე წავიდა; სხვა პლანეტიდან მოსულ ხალხს ჰგვანან, — თქვა ოგარმა.

და ესტებანს თავში გაუელვა — რა უაზრობა იყო მაინც, რომ გვიანაში







ულევი, მძიმე დღეში ჩავარდნილი დ'ერბუა იქაურ ფერშალს კაიენაში გაუგზავნია, მაგრამ იმ ზანგს, ქალაქში მისი წაყვანა ვისთვისაც დაუვალეზიათ, ავადმყოფი გზაზე დაუგდია, თან სულ მკვლეელი, ღმერთისა და ხალხის გამყიდველი უძახნია. ახლა მზეს დაუკრავს საბრალოსთვის, ბოლოს წმინდა პავლე შარტრელის ბერს ლაზარეთში მიუყვანია, სადაც, განგების წყალობით, ხელახლა მოხვედრილა „წმინდა ლუდოვიკოს“ პალატაში, კოლოს ხმამაღლა დაუწყია თურმე ღმერთისა და ღვთისმშობლის მოხმობა და ცოდვების მიტევებას იმუდარებოდა; საშინელ ყვირილზე მასთან შესული ელზასელი გუშაგი განურისხებია ამ ნაგვიანვე სინანულს და მომაკვდავისთვის წამოუძახებია, სულ რაღაც ერთი თვის წინათ პირადად მას როგორ აქეზებდა, ეგინებინა ღვთისმშობლის წმინდა სახელი და როგორ არწმუნებდა, თითქოს წმინდა ოდილიას ცხოვრება ხალხის გასაბრიყვებლად ყოფილიყოს მოჩმახული. ახლა კი მოძღვრის მოყვანას მოითხოვდა! ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარაო! — სხეული თურმე უცახცახებდა, კვნესოდა, ტიროდა, ამბობდა, შიგნეულობაში ცეცხლი მედებო, ციებ-ცხელება მწვავს და ველარაფერი მიხსნისო. ბოლოს იატაკზე დაუწყია ფორთხვა, სისხლი ამოუნთხევია და გათავებულა.

ჟანე მოხელეთა კამპანიაში ბილიარდს თამაშობდა, კოლოს სიკვდილი რომ შეატყობინეს.

— სადმე ჩამარხონ, ძალდი იყო და ძალღურად მოკვდა, — თქვა დირექტორიის აგენტმა ისე, რომ კიი ხელიდან არ გაუშვია.

კოლოს დაკრძალვის დღეს ქალაქში მოულოდნელად ამტყდარა დოღების მხიარული ბრაგაბრუგი. ზანგებს შეეტყოთ, საფრანგეთში ბევრი რამე შეიცვალაო და გადაეწყვიტათ, მოგვიანებით მაინც მოეწყოთ კარნავალი — სამი მეფის დღესასწაული — ოფიციალური ათეიზმის დროს ეს დღესასწაული თითქმის მივიწყებული ჰქონდათ, ახლა დილაუთენია სამასკარადე კოსტიუმებში გამოწყობილნი, აფრიკელ მეფეებად, დედოფლებად, ეშმაკებად, ჯადოქრებად, რაინდებად და მასხარებად ქცეულნი გამოფენილიყვნენ ქუჩებში გამხმარი გოგრებით, საყვირებითა თუ ნაირნაირი ინსტრუმენტებით, რომელთაც შეეძლოთ გამოეცათ მეღმორის, კასპარისა და ბალტისარის პატივსაცემად გამყვანი, მყვირალა ხმები. შორეული მუსიკის ხმების გაგონებაზე ცეკვის გუნებაზე დამდგარ მესაფლავეებს სახელდახელოდ ამოუთხრიათ სამარე და ნაჩქარევად ჩაუფლავთ დაუდევრად შეკოწიწებული კუბო, დაშორიშორებულფიცრებიანი სახურავით. შუადღისას, როცა მთელი ქალაქი ცეკვადა, კოლოს სამარის მახლობლად მისულა რანდენიმე ტალახში ამოგანგლული, გაქუცული, ყურებჩამოყრილი და გრძელდინგიანი ღორი. ამ მარადმშიერ ცხოველებს ხარბი დრუნჩებით დაუწყიათ სამარის თხრა და ჩაუღწევიათ კიდეც გვამამდე, რომელიც მიწის სიმძიმისაგან ჩადრეკილ ფიცრებს შორის მოჩანდა, საძაგელი პირუტყვები გააფთრებით სცემიან მიიცვალებულს და დაუწყიათ ჯიჯვნა და გაწევ-გამოწევა. ერთს ხელისთვის მოუვლია პირი და რკოსავით ჩაუხრამუნებია, მეორე თავსა სცემია, დანარჩენები კისერსა და ფერდებს მისდგომიან, სასაფლაოს ღობეზე ჩამომსხდარ, თავიანთი ჟამის მოძლოდინე სვაეებს დაუსრულებიათ ეს უსასტიკესი ანგარიშსწორება. ასე დამთავრდა ჟან-მარე კოლო დ'ერბუას ამბავი გვიანას მცხუნვარე მზის ქვეშ.

— მტარვალმა საკადრისი სიკვდილი მოიმკო, — ჩაიბურტყუნა აკადიელმა მოხუცმა.

მას გაღვიძებოდა და ფქვილის ტომრებზე წამომჯდარი გამუნიაანებული სხეულის ფხანვით უსმენდა ოგარის თხრობას.



XXX

ესტებანი სულ მალე დარწმუნდა, რომ ვიქტორ იუგი ტყუილად უიოლებ-  
და კაიენადან პარამარიბოში წასვლას. აყვავებული გვადელუპას შურით მაც-  
ქრალ ჟანეს თვითონაც გაეჩინა თავისი კორსარები: ეს წვრილმანი მტაცებლე-  
ბი, რომლებსაც ფეხი ვერ გაუწვდებოდათ რომელიმე ანტუან ფუიუსთან, თავს  
ესხმოდნენ ყველა დამარტოხლებულ ანდა კურსიდან აცდენილ ხაშაღდს და  
თავიანთი საქციელით ამართლებდნენ „პირატული ომის“ სახელს — ასე უწოდ-  
დებდნენ ჩრდილოეთ ამერიკელები კარიბის ზღვაში ფრანგთა საომარ მოქმედე-  
ბას. ლითონის ფულს დახარბებული ჟანე სულ მუქთად ჰყიდდა სურინამაში  
თავისი ხალხის მიერ ნაალაფვე საქონელს. აი, რატომ აძლევდა ჰოლანდიის  
სამფლობელოებში წასასვლელ საშვებს მხოლოდ იმათ, ვისაც ენდობოდა,  
ვინც მის სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობდა. თავისი სიმკაცრის განმარ-  
ტებისას დირექტორიის აგენტი ირწმუნებოდა, რომ ამით გაქცევის შესაძლე-  
ბლობას უსპობდა გადასახლებულებს, — რამდენიმე თვის წინათ, ახალი რე-  
ჟიმის მტრების ხელშეწყობით, მართლაც ყოფილიყო გაქცევის შემთხვევები.  
ამასთან, კაიენაში აღმაცერად უყურებდნენ ყველა უცხოს, ყოველ ახლად  
გამოჩენილ ადამიანში დირექტორიის ჯაშუსი ელანდებოდათ. ესტებანი მხო-  
ლოდ იმიტომ არ იპყრობდა ყურადღებას, რომ დატვირთვის მოლოდინში ღუ-  
ზაზე მდგარი შხუნის, „მედიცინელი ვენერას“ ეკიპაჟის წევრი ეგონათ. მაგ-  
რამ ახლოვდებოდა შხუნის წასვლის დრო და ამასთან, ალბათ, ახლოვდებოდა  
პუენტ-ა-პიტრში დაბრუნების დღეც. იქ კი, ვინ იცის, უკვე სამოქალაქო ომიც  
იყო გაჩაღებული და მძვინვარებდნენ თუთრი ტერორის აგენტები. მარტო ამის  
გაფიქრებაზე ჭაბუკს შიშის ფრუანტელი უვლიდა, გული უკვნესოდა, მკერდზე  
თითქოს მუხრუჭები უჭერდა, სუნთქვა ეკვროდა, იღუმალი შიში მტანჯველი  
სენივით აწამებდა. ღამდამობით თითქმის არ ეძინა. წუთით რომ წაეთვლიმა,  
ისეთი გრძნობით იღვიძებდა, თითქოს იხრჩობაო; კედლებს, გეგონება, ტყვედ  
ჩაეგდოთ; ჭერი ისე დაბლა დასულიყო, სუნთქვა უჭირდა, სახლი ჯურღმულად  
ეჩვენებოდა, კუნძული — საპყრობილედ, ზღვა და ტროპიკული ტყე — სქელ,  
გაურღვეველ კედლებად. აღიონსლა მოჰქონდა მისთვის მცირეოდენი შვება.  
მხნედ და იმედიანად დგებოდა, ფიქრობდა, დღისით რაიმე უცაბედი შემ-  
თხვევა უშველიდა დაეღწია თავი კაიენასათვის, მაგრამ საათი საათს მისდევდა,  
სასიკეთოდ არაფერი იცვლებოდა და ჭაბუკიც საღამოობით კვლავ სასოწარ-  
კვეთაში ჩავარდნილი თავს უსასიოდ და უმწეოდ გრძნობდა. გაიშხლართებო-  
და საწოლზე და გაქვავებული იწვა უმოძრაოდ, ხელ-ფეხის განძრევის ილაჯი  
წართმეოდა; სხეულში თითქოს ტყვია ჩასხმოდა, მის შემხედვარე ზანგ ქალს,  
ანჯესას, ციებცხელების შემოტევა ეგონა და გონზე მოსაყვანად ძალით ასმე-  
ვე ქინაქინის ნახარშს. ესტებანი ახლა მარტოობის შიშს აეტანა. ჩავიდიოდა  
სასტუმროს დარბაზში და მიუჯდებოდა ვინც უნდა ყოფილიყო — ოგარი იქ-  
ნებოდა, ვინმე შეზარხოშებული ქარიხვეტია თუ ბიბლიის პატრიარქის დარი  
აკადიელი მოხუცი, რომელიც საუბრით ცდილობდა დროის მოკვლას... ამასო-  
ბაში ხმები დაირხა, დირექტორია ჟანეს გადაყენებას უპირებს და მის პოს-  
ტზე ახალი აგენტი, ბიო-ვარენის დიდი პატივისმცემელი ვინმე ბიურნელი ჩა-  
მოდისო. ამ ამბავმა დააფრთხო კოლონიის მოხელეები. იმის შიშით, რომ სი-  
ნამარაში გადმოსახლებულებს საჩივარი არ დაეწყოთ, აბუჩად გვიგდებდნენ და  
ცუდად გვეპყრობოდნენო, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, წამლები და სანოვავე



გაეგზავნათ გამოჩენილი, თავის დროზე გავლენიანი გადასახლებულებისთვის, რომელთა სიტყვაც შეიძლება ყურად ელო დირექტორიის ახალ აგენტს. ამასთან, ერთი ძალზე საინტერესო რამ ხდებოდა: საფრანგეთის მიერ დევნილმა უკანასკნელმა იაკობინელებმა თავი წამოყვეს ამერიკაში, სადაც ხელისუფლება, გაურკვეველი მიზეზების გამო, მათ მფარველობდა, ხანდახან კი ოფიციალურ თანამდებობებზეც ნიშნავდა. უეცრად კაიენას, კურუსა და სინამარას შორის მიმოსვლა გაცხოველდა, ესტებანმა იფიქრა, ესარგებლა მდგომარეობით, რათა თავიდან მოეშორებინა ვიქტორ იუგის გამოტანებული პაკეტი და წერილი. ჭაბუკს შეეძლო უკვალოდ მოესპო ტილოშემოკრული პაკეტი, მიესაკუთრებინა ლუქით დაბეჭდილ ყუთში მოთავსებული ფასეულობანი და, ამრიგად, თავი დაეღწია არასასურველი ტვირთისაგან, რომელიც განსაკუთრებით საშიში იყო იმ ხანებში, როცა წამლაუნუმ ჩხრეკდნენ, ამასთან, არავინ მოსთხოვდა პასუხს სამარცხვინო საქციელის გამო; ახლა უკვე ნაკლებად სამარცხვინო საქციელის გამო, რადგან გადასახლებულთა შორის ყველაზე ცნობილ პიროვნებათა მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლებოდა, თანაც თვითონ ბიო-ვარენს მეტისმეტად მტრულად უყურებდა. მაგრამ პარიზში ცხოვრებასა და იუგთან დიდხანს მუშაობას უჩვეულოდ ცრუმორწმუნე გაეხადა. მას ეგონა, — რომ საკუთარი ჯანმრთელობითა და ბედნიერებით თავმომწონეობა კაცს უეჭველად სენსა და უბედურებას გადაჰკიდებდა, რომ ყისმათი გაცილებით მკაცრია იმათ მიმართ, ვისაც თავდაჯერებულად სწამს თავისი ბედნიერი ვარსკვლავისა, რაც მთავარია, სჯეროდა, თუკი ადამიანი სიტყვას ტყუის, ანდა უბრალოდ თავს არ იღებს გაჭირვებაში ჩავარდნილი უიღბლო კაცის დასახმარებლად, იგი ბედის კეთილგანწყობის იმედსაც ისპობს, რადგან აელენს ეკონომს და უგულბეღყოფს იმ იღუმალ ძალას, რაც ადამიანის ქმედებას განაგებსო. და ვინაიდან, ვერავითარი გზა, თუნდაც რისკთან დაკავშირებული, ვერ გამოიხატა პარამარიბოში წასასვლელად, ჭაბუკმა იფიქრა, შესაძლოა, ბედს უფრო გაეღიმა, დროზე თუ შეასრულებდა ვიქტორ იუგის დავალებას. რაკი არ იცოდა, ეისთვის ეთხოვა რჩევა, ისევ ოგარს გაენდო — სასტუმროს მფლობელს ათასნაირ ხალხთან ჰქონდა საქმე, მაგრამ პოლიტიკიდან შორს ეჭირა თავი, იგი მთელ დროს სამზარეულოსა და მოსამსახურეების ზედამხედველობაში ატარებდა. ოგარისაგან ჭაბუკმა შეიტყო, რომ თუ კოლო დ'ერბუას საყოველთაო ზიზღი მოემკო, რადგან ერთთავად ლოთობდა, ცუდი კომედიანტივით ღრიალებდა, მოსთქვამდა, სასიკვდილო სარეცელზე კი სულმოკლეობა გამოეჩინა, ბიო-ვარენი ყველას სძულდა, მას ეს სიძულვილი არამცთუ აშინებდა, პირიქით, სიამაფითაც აღავსებდა, რაც იმათაც კი უკვირდათ, ვინც მისი არაპირდაპირი დანაშაულით ანდა ახლა უკვე მივიწყებული, მისი უშუალო ბრძანების წყალობით იტანჯებოდნენ გადასახლებაში. ეს კაცი, თავის დროზე შეუდრეკელს რომ ეძახდნენ, არა ჰგავდა დანარჩენებს — სულით დაცემულ, მონანიე, დაბეჩავებულსა და გულგატეხილ გადასახლებულებს. ქვისგან გამოკვეთილივით განმარტოებული და მკაცრი, თავის რწმენაზე უარს არ ამბობდა, პირიქით, აცხადებდა, ისტორიის ჩარხი უკან რომ დატრიალდეს და ძველ ვითარებაში აღმოვიჩნდე, კვლავინდებურად მოვიქცევიო. ბიო-ვარენს ნამდვილად მოეშენებინა თუთიყუშები, მაგრამ ამას იმიტომ სჩადიოდა, რათა გამჭირდავად ემტკიცებინა, თითქოსდა მისი ფრინველებიც, ადამიანების დარად, იმეორებდნენ იმას, რასაც ჩასჩიჩინებდნენ... ესტებანი სიამოვნებით იტყოდა უარს სინამარაში წასვლაზე და, სასტუმროს პატრონის რჩევით, ისარგებლებ-



და ვინმე საიმედო შუაგაციის სამსახურით. ჭაბუკის განსაცვიფრებლად, ოგარმა ურჩია, დახმარებისათვის მიემართა წმინდა პავლე შარტრელის მონასტრის წინამძღვარი მონაზვნისათვის, რომელსაც ბიო-ვარენი დიდ პატივს სცემდა და „მალაღღირსპატივცემულ დას“ ეძახდა: მონაზონი თავდადებულად უვლიდა თურმე კაიენაში ჩამოსვლისთანავე მძიმე სენშეყრილ ბიოს. მეორედღეს ესტებანი უკვე შედიოდა ლაზარეთის ვიწრო დარბაზში; ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, გაკვირვებული ერთ ადგილზე გაშეშდა ზღვისკენ გაშორებული ფანჯრის მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებული ვეება ჯვარცმის წინაშე. ოთახის კედლები კირით იყო შეთეთრებული, შიგ არაერთი ავეჯი არ ჰქონდა ორი ტაბურეტის გარდა. ერთ ტაბურეტს ხარის ტყავი ჰქონდა გადაკრული, მეორეს — ჯორის დაწნული ძუა; და ამ მკაცრ გარემოში — ოკეანისა და ჯვარცმული ქრისტეს ფიგურის უსიტყვო დიალოგი განსაკუთრებულად ამაღლებული და მარადიული, დროსა და სივრცეს დაუმორჩილებელი ჩანდა. ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ეთქვათ ადამიანსა და მის გარემომცველ სამყაროზე, ნათელსა და წყვდიადზე, მათგან შექმნილ საოცრებებზე, უკვე თქმულიყო, თქმულიყო სამარადჟამოდ და ყოველივე ეს თითქოს მოქცეულიყო იმ საზღვრებს შორის, რომელიც, ერთის მხრივ, შემოფარგლული იყო შავი ხის ჯვრის მკაცრი ხაზებით, მეორეს მხრივ კი — თვალუწვდენელი და უკიდევანო ოკეანეთი; და აი, ამ ორ პოლუსს შორის ეკიდა სხეული ქრისტესი, ვისაც შეეცნო სიმწარე სიკვდილისა და მერე მკვდრეთით აღმდგარიყო... ესტებანს დიდი ხანია არ ენახა ჯვარცმა და ახლა, ახლოდან ცქერისას, ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს რაიმე უკანონო ჩაედინოს. ასე თავს კაცი, ალბათ, მაშინ გრძნობს, როცა ხვდება სამშობლოდან გაძევებულსა და ხელისუფლების უნებართვოდ უკანვე დაბრუნებულ ძველ ნაცნობს. ქრისტეს ჯვარცმა ხომ მოწამე იყო მისი ბავშვობისა, პირველად სწორედ მას ანდობდა ესტებანი თავის ფიქრებს; ქრისტეს ჯვარცმა ყველას სასთუმალთან ეკიდა იმ შორეულ მამისეულ სახლში, სადაც, ალბათ, დღემდე ელიან თავიანთი ძე-შეცდომილის დაბრუნებას. ქრისტესთან ესტებანს ბევრი სანუკვარი მოგონება აკავშირებდა! ჭაბუკს იგი მღუმარედ ახსენებდა ეგვიპტეში ცნობილ გაქცევას და ბაგაში გატარებულ დაუვიწყარ ღამეს, როცა ბეთლემში მოვიდნენ მეფეები და მწყემსები (ესტებანს გაახსენდა მწყემსებიანი მუსიკალური ყუთი, ეს საჩუქარი იღუმალმა მეფეებმა მოუტანეს შობის ღამეს, რომელიც ავადმყოფობის შემოტევის გამო განსაკუთრებულად სევდიანად ეჩვენებოდა), ახსენებდა ტაძრიდან მეწვრილმანე ვაჭრებას გარეკვას და მეთევზეებს (ესტებანის ბავშვური წარმოსახვით ისინი ჰგავდნენ ჩამოვლევჯილ, გრძელწვერა კაცებს, პავანის ქუჩებში ახლად დაჭერილ კალამარას რომ ჰყიდიდნენ), ახსენებდა ჩამდგარ ქარიშხალს და გაზაფხულის კვირა დღეების მწვანე რტოებს (სოფიას მოჰქონდა მისთვის ეს რტოები, რომელსაც წმინდა კლარას მონასტრის მონაზვნები აძლევდნენ; ეს იყო რბილფოთლებიანი, მომწარო გემოს სამეფო პალმა, მას საწოლის რკინებში ახლართებდნენ და ფოთლები რამდენიმე დღით ინარჩუნებდნენ სასიამოვნო სინორჩეს), ახსენებდა აგრეთვე საშინელ სამსჯავროს, განაჩენსა და ჯვარზე გაკვრას. „რამდენ ხანს შევძლებდი ასეთი ტანჯვის ატანას“, — ეკითხებოდა საკუთარ თავს ესტებანი ჯერ კიდევ ბავშვობისას და ეგონა, რომ ტკივილი, რომელსაც ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ხელისგულებზე ლურსმნების მიჭედებისას, შედარებით მაინც მოსათმენია; მას უამრავჯერ უცდია ამის შემოწმება, ხელისგულებს იჩხელეტდა



წვეტიანი ფანქრებით, საქარგავი ნემსებით, დაკუთხული შუშის საცობით და რწმუნდებოდა, რომ ასეთი ტკივილის მოთმენა მართლაც შეიძლებოდა. აი, ტერფებზე კი, ალბათ, უარესი იქნებოდა, ტერფები ხელისგულებზე უფრო სქელია, წამებაც გაცილებით მტანჯველი იქნებაო. ამასთან, ადამიანის მიერ გამოგონილი წამებებიდან ჯვარზე გაკვრა, შესაძლოა, ყველაზე ხაშინელი არც იყოსო — ჯვარი აკი თავისი ფორმით ერთდროულად ჯვარზეც და ჯვარზეც და ღუზასაც და, ჩანს, ასეც იყო საჭირო, რათა ძელმერიმ სწორედ ის აგონია სწორედაც რომ ჯვარზე განეცადა, რადგან ჯვარში ერთსა და იმავე დროს შერწყმულია წყლისა და მიწის სიმბოლო — სხეული ხისა და უკიდევანო ზღვა, რომელთა შორის მარადიულმა დიალოგმა ასე განაცვიფრა ესტებანი იმ ღაზარეთის ვიწრო დარბაზში. ჭაბუკს ფიქრი ციხე-სიმაგრის კოშკიდან ბუკის გამყინავმა ხმამ შეაწყვეტინა, და ანაზღად გაიფიქრა, რომ სისუსტე ამ რევოლუციისა, რომელმაც არაერთხელ შეაზანზარა მსოფლიო ახალი „Dies irae“-ს ხმებით, იმისი ბრალია, რომ მას ჭეშმარიტი ღმერთები არ ჰყავსო. პირველად იყო ღმერთი, უზენაესი, რომელსაც არ გააჩნდა თავისი ისტორია. არა ჰყოლია თავისი წინასწარმეტყველი, თავისი მოსე, რომელსაც შეეძლო მოესმინა ცეცხლმოდებული ჩირგვის მიერ გამოცემული ხმა და დაემყარებინა ჭეშმარიტი კავშირი ზენაარსსა და მის რჩეულ ხალხს შორის. იგი არ იყო შემოსილი ხორციით და სისხლით და არ უცხოვრია ხალხებს შორის. მის საპატივცემო ცერემონიას აკლდა ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა; უზენაესის კულტს აკლდა გამძლე, საფუძვლიანად მოფიქრებული ტრადიციები, ურყევი რწმენა, რომელსაც სძულს ყოველი შემთხვევითი და წარმატალი, აკლდა ისეთი რწმენა, რომელიც ერთად მოუყრიდა თავს საუკუნეების მანძილზე მცხოვრებ ყველა ხალხს: იერუსალიმში ხალხის მიერ ჩაქვავებულ ადამიანს თუ ორმოც ცეზარელ ლეგიონერს, მშვილდოსან სებასტიანეს, მწყემს ირინეას, ღვთისმეტყველებს — ავგუსტინეს, ანსელმას და თომას, და არცთუ დიდი ხნის წინათ მცხოვრებ ფილიპინელ მარტვილს ფილიპ დეხესუასს, რომლის პატივსაცემად ბევრი მექსიკური ეკლესია არის დამშვენებული ჩინეთში შაქრის ლერწმის ბოჭკოსაგან გაკეთებული ჯვარცმებით: ეს ჯვარცმები ისე ჰგავს ცოცხალ სხეულს, რომ შეხებისას ხელს უკან სწევ, რადგან გერვენება, ფერდის ჭრილობიდან, სადაც შუბია გარჭმული — შუბის წვერი ოსტატურად არის შეღებილი — სისხლი მოწვეთავსო... ესტებანს ლოცვა არ უფიქრია, — რწმენა დიდი ხანია დაკარგოდა, მაგრამ ჯვარცმას მაინც მღელვარებით შეჰყურებდა: იგი ჭაბუკს მისთვის საყვარელ ბავშვობისდროინდელ ატმოსფეროში აბრუნებდა. მემკვიდრეობის უფლებით ქრისტე მასაც ეკუთვნოდა; ესტებანს შეეძლო მას განდგომოდა, მაგრამ ღმერთი წინაპრების მიერ დატოვებული მისი საკუთრების ნაწილი იყო.

— დილა მშვიდობისა, — ხალისიანად, თუმცაღა ხმადაბლა მიესალმა მას ესტებანი.

— დილა მშვიდობის, — ზურგსუკანიდან მოისმა წინამძღერის ხმა.

ჭაბუკმა წინამძღვარს გულახდილად აუხსნა თავისი მოსვლის მიზეზი.

— წადით სინამარაში ჩვენი ემისრის უფლებით და მონახეთ აბატი ბროტიე, — უთხრა მონაზონმა, — ის სიამოვნებით შეასრულებს თქვენს დავალებას.

\* ვანკითხვის დღე.



გვიანაში აბატი ერთადერთი საიმედო მეგობარია ბატონი ბილი ვარენისა...

„ამ ქვეყანაში ნამდვილად საოცარი ამბები ხდება“, — გაიფიქრა ესტე-  
ბანმა.

XXXI



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სინამარა — ღმერთისგანაც და კაცისგანაც მივიწყებული ეს საძაგელი მყრალი კუთხე — გადასახლებულთა ადგილსამყოფელი — რაღაც უაზრო, თითქმის არარეალურ და ფანტასტიკურ მხარედ ქცეულიყო. მიწას მოღებული გაუვალი რაყი ქვეყნის გაჩენის პირველი დღეების ქაოსურ ბარდებს ჰგავდა. აქაურობა შავი ჭირისგან გაჩანაგებულსა და საფლავებად ქცეულ ძველ ქვეყანას მოგაგონებდათ, სინამარელებს კი შეიძლება დაეინტერესებინათ ახალი პოგარტი,<sup>1</sup> რომელსაც თავისი დაუნდობელი ფუნჯით შეეძლო წარმოესახა მათი ცხოვრება და საქმეები. აქ შეხვდებოდით მღვდლებს, სამზეოზე ხელახლა რომ გამოეტანათ თავიანთი აკრძალული წიგნები და წირავდნენ ტროპიკულ ტყეებში მიკარგულ ტაძრებში — ინდიელების სამლოცველოებში, რომელთა მთავარი დარბაზები შორეულად ჰგავდა გოტიკურ ნეფს. მათ მტკიცე ნივნივებს ემყარებოდა პალმისფოთლებიანი მაღალი სახურავი. აქ შეიძლება შეხვედროდით ჯგუფებად დაყოფილ კონვენტის დეპუტატებს, ისინი გამუდმებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს, რჩებოდნენ თავთავიანთსავე მოსაზრებებზე, იმოწმებდნენ ისტორიას და ციტატები მოჰქონდათ კლასიკური ტექსტებიდან, ფორუმობას კი უწევდათ საღორეებშემორიგებული უკანა ეზო; პაექრობა მეტიმეტად რომ ცხარდებოდა, ღორები ხარიხებშუა გამოყოფდნენ ხოლმე დინგებს. აქ წარმოდგენილი იყო არმიაც, მას განასახიერებდა ნახევრად ლეგენდარული პიშეგრიუ (ესტებანს ვერაფრით ვერ წარმოედგინა გენერალი პიშეგრიუ გვიანაში გამოსახლებულის როლში), იგი ბრძანებებს აძლევდა წარმოსახვით მეომრებს და ავიწყდებოდა, რომ ოკეანე ამორებდა ერთგულ ჯარისკაცებს. ამ ჭრელაჭრულა ბრბოს ცენტრში მდუმარე ატრიდივით<sup>2</sup> აღმართულიყო ყველასათვის საძულველი, შერისხული ტირანი, რომელსაც ხმას თითქმის არავინ სცემდა: თავის ფიქრებში გართული, ყველაფრის მიმართ ყრუ, გულგრილად უცქეროდა მტრულ გარემოცვას. ბავშვებიც კი ჩერდებოდნენ, როცა გვერდით ჩაუვლიდათ იაკობინელთა კლუბის ყოფილი პრეზიდენტი, კონვენტის ყოფილი თავმჯდომარე, საზოგადოებრივი ხსნის ყოფილი წევრი, ის, ვისაც ლიონში, ნანტსა და არასეში ნება დაერთო მასობრივი დასჯისთვის და ხელს აწერდა ფუკე-ტენვილიას<sup>3</sup> მიერ პრერიალში მიღებულ კანონებს, რომელიც უყოყმანოდ მოითხოვდა სენ-ჟიუსტის, კუტონისა<sup>4</sup> და თვით რობესპიერის სიკვდილით დასჯას, უფრო ადრე კი ეშაფოტზე გაამგზავრა დანტონი. მაგრამ კაიენელი ზანგების თვალში ყოველივე ეს უმნიშვნელო რამ იყო მის მიერ ჩადენილ დედის მკვლელობასთან შედარებით — ამგვარი თვალთ უყურებდნენ ისინი დედოფლის დასჯას, რომელიც, ზანგების აზრით, იყო უზარმაზარი ქვეყნის — ევროპის მფლობელი. და საოცარია! მსოფლიოს ყველაზე უდიდეს სცენაზე მომხდარ მრისხანე ტრაგედიაში ავბედითი მონაწილეობა ბილი ვარენს შიშისმომგვრელ დიდებულებას ანიჭებდა, იგი თითქოს იმათაც კი აჯადოებდა, ვინც შეურიგებელ მტრად ჰქცეოდა. და მაშინ, როცა ბიოსაგან ყოფილ მეგობრებს ამკარად შორს ეჭირათ თავი, სრულიად მოულოდნელი საბაბით, მისი სახლისკენ გზას პოულობდა ვიღაც ჩამოძონძილი ბრეტონელი ბერი, ყოფილი ეირონდისტი, მონების განთავისუფ-



ლების შედეგად გადატაკებული მიწათმფლობელი თუ აბატ ბროტიეს დარი ენციკლოპედიური ჭკუის ნატიფი მღვდელი. სწორედ ამ ბროტიეს მიუკაკუნა კარზე ჭაობითა და მანგროს ხეებით დაფარული ნაპირის გაყოფებით მიმავალ შხუნაზე დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ სინამარაში ჩამოსულმა ესტებანმა ჭაბუკს იქ დახვდა აბატის მომლოდინე, ლოთისცხვირიანი ვიღაც შვეიცარიელი სიგერი.

— ბატონ ბროტიეს რამდენიმე მომაკვდავი უნდა გენახა, მან, — ახლა, როცა ამ ქოსმენმა ჟანემ გადასახლებულებს, როგორც იქნა, გამოუგზავნა ყველაზე აუცილებელი წამლები, ლობიო და ანისული, ესენი, თითქოს განგებო, სულს მეუფეს აბარებენ, ყოველდღე ათი-თორმეტი კაცი მაინც კვდება. სინამარაც ბრიუნელის ჩამოსვლამდე ისეთსავე ვეება სასაფლაოდ იქცევა, როგორც ირაკუბოა.

ესტებანმა შვეიცარიელისგან შეიტყო, რომ ბიოს ურყევად სჯეროდა დირექტორიის ახალი აგენტის მფარველობისა და უკვე ემზადებოდა კოლონიაში მნიშვნელოვანი პოსტის დასაკავებლად, ჯერჯერობით კი სახელდახელოდ ადგენდა ადმინისტრაციული რეფორმის პროგრამას. პირქუში და უშფოთველი ეს ახალი ორესტე საღამოობით სინამარას შემოგარენში დაეხეტებოდა; იგი სუფთად იყო ჩაცმული, რაც ამკარა კონტრასტს ქმნიდა სხვა გადასახლებულთა სიფეთხუმესთან: მათი ჩამოკონკილი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი უსიტყვოდ აღაღებდა ყველაფერს — ერთი დაკვირვებული თვალის შევლება კმაროდა, რათა გამოგეცნოთ, რამდენხანს იტანჯებოდა თითოეული მათგანი. ამ ცხვირპირჩამომტირალ, ნახევრად შიშველ ადამიანთა გარემოში პირველად მოხვედრილნი გრძნობდნენ, რომ მთელი და რიგიანი ტანისამოსი ჯაეშანივით იცავს კაცის ღირსებას და მას, სხვასთან შედარებით, თითქოს ამაღლებს. უკვე გატეხილსა და გასაცოდავებულ დევნილთა შორის მოხვედრილ შურისხულ ჩინოვნიკს მალლა აემჩირა თავი, დარწმუნებულს, რომ ჩქარა დაბრუნდებოდა პარიზში, სადაც დასჯიდა და შეარცხვენდა თავის მტრებს, ათვალწუნებული მხედართმთავარი კი, მოქარგული მუნდირით რომ იწონებდა თავს, ლაპარაკობდა „თავის“ ოფიცრებზე, „თავის“ ქვეით ჯარზე და „თავის“ ზარბაზნებზე; ხალხის ყოფილი წარმომადგენელი თავს ისევ დებუტატად მიიჩნევდა, ყველასაგან დავიწყებული მწერალი კი, ნათესაეებსაც მკვდარი რომ ეგონათ, სატირულსა და შურისმაძიებლურ ლექსებს თხზავდა. აქ ყველა მემუარებსა და თავის დასაცავ სიტყვებსა წერდა, საკუთარ შეხედულებათა მიხედვით გადმოსცემდნენ რევოლუციის ისტორიას, ჰქმნიდნენ სახელმწიფოს საკუთარ თეორიას და მერე სადმე ტოტებგაშლილი ხის ჩრდილში ან ბამბუკებს შორის ხმამაღლა უკითხავდნენ ამხანაგებს. ტროპიკულ ტყეში ასეთი თავყრილობა სიკვდილის თავისებურ ცეკვასა ჰგავდა. გადასახლებულებს კვლავ ამოძრავებდათ სიამაყე, შუღლი, შეუპოვრობა, თავი მოჰქონდათ ჩინებითა და წოდებებით, მაშინ, როცა ყველაფერს უკვე შიმშილის, ავადმყოფობისა და სიკვდილის დამლა აჩნდა. ერთს გავლენიანი პიროვნების მეგობრობის იმედი ჰქონდა, მეორეს — თავისი ადვოკატის სიჯიუტისა, მესამეს სჯეროდა „მის საქმეს“ უეჭველად ხელახლა განიხილავდნენ, მაგრამ საბრალონი უკან ქოხებში დაბრუნებულნი ხელავდნენ, რომ მწერებისაგან ფეხები ჰქონდათ დაკბენილი, ფრჩხილები სძვრებოდათ, ყოველ დილით კი სხეულზე ახლად გაჩენილ წყლულებს, მუწუკებსა და მწიკვლს ამჩნევდნენ. თავდაპირველად ერთი და იგივე ხდებოდა ყველგან: გადასახლებულთა ახალი ჯგუფები, სანამ ასე თუ ისე, ჯანი მოსდევდათ,



ადგენდნენ რუსოისტულ საზოგადოებას; ანაწილებდნენ მოვალეობებს, აწესებდნენ დღის მკაცრ შინაგანაწესს და დისციპლინას, ერთმანეთის გასამხნეველად ხმამაღლა კითხულობდნენ „გეორგიკას“,<sup>5</sup> ერთად ცდილობდნენ ძველი მფლობელების სიკვდილის შემდეგ დატარიელებული ქოხების შეკეთებას, დადიობდნენ შეშისა და წყლის მოსატანად, ჭრიდნენ ტყეს, ხნავდნენ, თესავდნენ. იმედოვნებდნენ, ნადირობა და თევზაობა ყანის გაჭრამდე მიაღწევენებდათ და რაკი შერისხულ სახელმწიფო ჩინოვნიკს არ სურდა თავისი ერთადერთი კამზოლის დასვრა, მხედართმთავარს კი ეშინოდა მუნდირის დახვეის, ყველას უხეში ტილოს ტანსაცმელი ეცვა, მოსხმული ჰქონდათ ძველი შალის წამოსასხამი, რომელიც უცბად ილაქებოდა ფისისგან და ხის წვენიდან. ახალი გადმოსახლებულებიც მალე ემსგავსებოდნენ ლენენის<sup>6</sup> ტილოს გლეხებს — წვერგაბარჯლულებსა და ღრმად ჩამჯდართვალეებიანებს. ამასობაში ბეჯითი და მუყაითი სიკვდილი თავის საქმეს აკეთებდა. იგი მათ მუდამ გვერდში ედგა, სანამ ისინი მწირ ნიადაგს ოფლითა რწყავდნენ, სანამ მარგლიდნენ, მიწას ბელტებად აბრუნებდნენ და კვლებში თესლს ჰყრიდნენ. ერთს უკვე ციებცხელებისაგან აბაბანებდა, მეორე მომწვანო ნალველს ანთხევდა, მესამე ატყობდა, მუცველი წარამარა ებერებოდა, სარეველა ბალახი კი უარესად და უარესად ედებოდა მოხნულ მიწას, მარცვლოვანებს აღმოცენებისთანავე ათასი მავნებელი ესეოდა და ადამიანები თანდათანობით ძაბუნდებოდნენ, ქანცი ელეოდათ, თუმცა მაინც ცდილობდნენ მიწისთვის რაღაც გამოეგლიჯათ, მაგრამ ამ დროს იწყებოდა გადაუღებელი ტროპიკული წვიმები, და დილაუთენია გაღვიძებულნი ანაზღად ხედავდნენ, წყალს მათ ბინებშიც რომ შეედწია და მუხლებამდე სწვდებოდათ ლამის. მდინარეები ნაპირებიდან გადმოდიოდნენ, ტბორავდნენ მდელოებსა და საძოვრებს. ზანგები სწორედ ამისთანა დღეებს ირჩევდნენ ახლად მოვლენილი კოლონიისტების გასათვალად — ზანგები ხომ მათ ისე უყურებდნენ, როგორც დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომელთაც უსირცხვილოდ მიეთვისებინათ კანონით მათი, ზანგების კუთვნილი მიწა. შერისხული ჩინოვნიკი, მხედართმთავარი და კონვენტის დეპუტატი ყოველ დღით ნახულობდნენ იდუმალი მუქარით სავსე რაღაც უცნაურ საგნებს: ეს ხან ქოხის წინ მიმაგრებული წითლად შეღებილრქებიანი ხარის თავისქალა იყო, ხან გოგრის ჭურჭელში ჩაყრილი წვრილ-წვრილი ძვლები, სიმინდის მარცვლები და რკინის ნაქლიბი, ხან თავს მიმგვანებული ქვა, რომელსაც თვალებისა და ყურების ნაცვლად ნიყარები ჰქონდა ჩასმული. ნახულობდნენ ჩვრებში გახვეულ რიყის ქვებსა თუ წირთხლზე ფეხებით ჩამოკიდებულ შავ მამლებს ან კარზე ლურსმნებით ბლუჯა-ბლუჯა მიჭედებულ ადამიანის თმას, და კაცმა არ იცის, საიდან შოულობდნენ ლურსმნებს ამ კუთხეში, სადაც ლითონის ყოველი ნატეხი აღრიცხული იყო, თანაც ლურსმნებს სრულიად უხმაუროდ აჭედებდნენ. გადასახლებულები თავს მუდამ ჯადოქრულ გარემოში გრძნობდნენ, მათ თავს ზემოთ შეყრილი შავი ღრუბელი კი ლამის სახურავს ჩამოსწოლოდა. ზოგიერთები თავს იმხნევებდნენ ბრეტანელი ჯადოქრებისა და პუატელი მკითხავეების გახსენებით, მაგრამ მშვიდი ძილი მაინც ძნელი იყო, რადგან იცოდნენ, ღამდამობით მათ გარშემო დაძრწოდნენ არაკეთილმოსურნენი, ვიღაცები უთვალთვალეობდნენ, აყურადებდნენ, სახლში ისე შედიოდნენ, კვალს არა სტოვებდნენ, თუმცა თავიანთ იქ ყოფნას რაღაც საიდუმლო ნიშნებით იუწყებოდნენ. მხედართმთავარს დაჩრჩილული მუნდირი, ჩინოვნიკს — კამზოლი, ტრიბუნს — უკანასკნელი პერანგი ერთ მშვენიერ დღეს თვალსა და ხელს შუა შემოადნებოდათ, ამ



უნუგეშო ყოფამდე მათი მფლობელები ბარდებში განაბულ ჩხრიალა გველს რომ არ დაეგესლა, რომელიც კუდის ძლიერი ბიძკით მბრწყინავ ზამბარასავით ყალფზე აღმართული ანაზდუულად გამოსხლტებოდა ხოლმე სამალავიდან... რამდენიმე თვის შემდეგ ადამიანების მსგავს საბრალო მათხოვრებად ქცეული ამპარტავანი ჩინოვნიკი, ქედმაღალი მხედართმთავარი, ყოფილი ტრიბუნი, კონვენტის დეპუტატი, ჭირვეული მღვდელი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, პოლიციის აგენტი, წარსულში გავლენიანი პირი, მოხეტიალე მსახურკაცი, მონარქისტი, რის ვაინაჩრობით კერძო საკუთრების გამაუქმებელი ტახტის მოღალატე ბაბუვისტი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდნენ ცივი სამარის კარს — მათი საფლავის ჯვარსა და მიცვალებულის ვინაობის აღმნიშვნელ პატარა დაფას კი სულ მალე აღგვიდა დედამიწის პირიდან ტროპიკული წვიმები. და ყოველივე ეს თითქოს არ კმაროდა, სიკვდილით დამლდასმულ ამ მინდორს გაუმადლარი სვავებივით შესეოდნენ წვრილი კოლონიელი ჩინოვნიკები და არაფერს თაკილობდნენ: ცრუ დაპირებებში — რომ გადასახლებულთა ნათესავებს გაუგზავნიდნენ წერილებს, ავადმყოფებს მოუყვანდნენ ექიმებს, უშოვნოდნენ რაიმე ბალახის ნახარშს, ცოტაოდენ ლერწმის არაყს ან საჭმელს — მიჰქონდათ ქორწინების ბეჭდები, ბრელოკები, საოჯახო მედალიონები — დევნილთა ერთადერთი ქონება, რასაც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, რადგან მასში ხედავდნენ რაღაც თავდახსნის ღუზას, თანაც ეს ერთადერთი რამ იყო, რაც მათ ცხოვრებასთან აკავშირებდა... უკვე ჩამობნელდა, როცა ლოდინით დაღლილმა სიგერმა ესტებანს შესთავაზა წასულიყვნენ საყოველთაოდ საძულველი კაცის სახლში, რადგან აბატი ბროტიეც შეიძლება იქ ყოფილიყო. აქამდე ჭაბუკს არავითარი სურვილი არა ჰქონია, საკუთარი თვალის ენახა ვაგლახად სახელგანთქმული გადასახლებული, მაგრამ რაკი შეიტყო, შეიძლება ჩქარა იგი კაიენაში გავლენიანი კაცი გახდესო, გადაწყვიტა, დაეჯერებინა შვეიცარიელისთვის, და ცნობისმოყვარეობითა და შიშით შეაღო ძველი, მაგრამ არაჩვეულებრივად დაკრიალებული ქოხის კარი: თვლებში სევდაჩამდგარი ბილი იჯდა ტერმიტისაგან დაღრღნილ სავარძელში და ძველ გაზეთებს კითხულობდა.

XXXII

მტაცებელი მხეცა  
ბოია

ოღესღაც მრისხანე ბილი-ვარენმა ვიქტორ იუგის ამანათები ოდნავ ცერემონიული თავაზიანობით მიიღო, რაც მას ღირსებაშენარჩუნებულ დამხობილ მეფეს ამგვანებდა. თითქოს არც დაინტერესებულა, რა იყო პაკეტსა და დალუქულ ყუთში: ესტებანი მაგიდასთან მიიწვია და საწოლზე ანიშნა (წინდახედულად იგი „სპარტანულად“ მოიხსენია), სადაც ჭაბუკს შეეძლო ღამე გაეთია. შემდეგ ჰკითხა, გვადელუპაში ხომ არ მოსულა რაიმე ცნობა, რასაც ჯერ გვიანამდე — „დედამიწის ამ კლოაკამდე“ არ ჩამოუღწევიაო. როცა შეიტყო, ვიქტორ იუგი თავისი მოღვაწეობის ანგარიშის ჩასაბარებლად პარიზში იყო გამოძახებული, განრისხებული ბილი დანდობილა წამოიჭრა ადგილიდან.

— ხედავთ? ეს ბრიყვები ახლა ამ ადამიანს დალუპავენ, რომლის მცდელობით კუნძული ინგლისელების კოლონიად გადაქცევას გადაურჩა. ეგენი გვადელუპასაც დაკარგავენ და იმასაც მოვესწრებით, რომ გაიძვერა ალბიონი მათ გვიანასაც ხელიდან გამოაცლის.



„გამომსახველობითი მანერა თითქმის არ შეუცვლია“, გაიფიქრა ესტებანმა იმის გახსენებაზე, რომ თავის დროზე თვითონა თარგმნა ბიოს ცნობილ სიტყვა „გაიძვერა ალბიონის“ წინააღმდეგ, რომელსაც ზღვაზე მბრძანებლობის განსამტკიცებლად „მცურავი ციხესიმაგრეებით მოეფინა მთელი ოკეანე“ ამ დროს ოთახში შემოვიდა ის-ისაა მოხილულით საშინლად აღელვებული აბატი ბროტე: სინამარას ზანგთა გარნიზონის ჯარისკაცები მკვდრებს რად შეიძლება ჩქარა რომ დამარხონ, აღმაშფოთებლად პატარა საფლავეებს უთხრიან, გვამებს ზედ ფეხით სდგებიან და ერთიბეწო სამარეში ძალისძაღად სტენიან. ზოგან მიცვალებულთა წასაღებად თავს არც იწუხებენ, ფეხებში ხელჩაულებული თრევათრევიტ მიაქვთ საფლავებამდეო.

— ხუთი მკვდარი დაუმარხავი დაუგდიათ, ახლაც ჰამაკში ასვენიან, იბრწნებიან და ჰაერს წამლავენ. მძორის ზიდვით გავბეზრდითო, აცხადებენ ჯარისკაცები. ამალამ სინამარას სახლებში გკერდიგვერდ მოუწევთ წოლა მკვდრებსაც და ცოცხლებსაც.

ამ სიტყვებმა ესტებანს უნებურად გაახსენა ბიო-ვარენის მიერ ოთხი წლის წინათ წარმოთქმული იმავე სიტყვის ფრაზები: „სიკვდილის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ და როცა თავისუფალი ხალხი მიცვალებულს უკანასკნელ გზაზე აცილებს, ამ აქტში ყოველთვის უნდა ხედავდეს უცილობელ გაფრთხილებას. დაკრძალვის ცერემონია, რითაც პატივისცემას მივაგებთ ცხედარს, ცოცხლებს გვეხმარება აღარ გვზარავდეს სიკვდილი: ბუნების ეს საბოლოო დამშვიდობება“.

— ხედავთ, რა ხალხს მივეცი თავისუფლება? — კვლავ მიუბრუნდა ბიო კაიენაში ჩამოსვლის დღიდან აკვიატებულ იდეას.

— არ ღირს, მე მგონი, რევოლუციური ჰუმანიზმის კეთილშობილურ შეცდომად მივიჩნიოთ პლიუვიოზის დეკრეტი, — ირონიულად შენიშნა ბროტემ იმ კაცის კილოთი, რომელსაც არა მარტო შეეძლო თავისუფლად და დამოუკიდებლად საუბარი, არამედ თავს უფლებას აძლევდა, ეკამათა მრისხანე ზიოსთან, — სონტონაქსი! რომ მიხვდა, ესპანელები სენ-დომენგზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ, საკუთარი რისკისა და თავგანწირვის ფასად მიაწა ზანგებს თავისუფლება. ეს ერთი წლით იმაზე უფრო ადრე მოხდა, ვიდრე თქვენ კონვენტზე აღფრთოვანებისგან ცრემლებს დააფრქვევდით, როცა საფრანგეთის ზღვის გაღმა სამფლობელოების მცხოვრებლებისთვის თანასწორობას აცხადებდით. ჰაიტზე ცდილობენ ესპანელებს როგორმე აჯობონ; გვადელუპაზე თავს არ ზოგავენ, რათა ინგლისელების დაწოლას გაუმკლავდნენ, აქ, გვიანაში კი მდიდარი მიწათმფლობელებისა და გადმოსახლებული აკადიელების დამინებას ლამობენ, რომელთაც ბრიტანეთისა და ჰოლანდიის მხარდაჭერა აქვთ განზრახული. ამის გამო, პუენტ-ა-პიტრიდან გილიოტინა კაიენაში რომ არ ჩამოიტანეს. ჩვეულებრივი კოლონიური პოლიტიკაა!

— ამასთან, უნაყოფო, — შენიშნა სიგერმა, რომლისთვისაც პლიუვიოზის დეკრეტს მუქთა მუშახელი დაეკარგეინებინა, — სონტონაქსი იძულებული გახდა ჰავანაში გაქცეულიყო. ჰაიტის ზანგები კი ახლა დამოუკიდებლობას მოითხოვენ.

— ისინი აქაც ისევე იქცევიან, — განაგრძო ბროტემ და გაიხსენა, რომ გვიანაში თავისუფლებამინიჭებულ მონათა ორი აჯანყება იქნა ჩახშობილი, ამასთან ამტკიცებდნენ, თუმცა სავსებით უსაფუძვლოდ, თითქოსდა მეორე ამბოხების სულისჩამღმელი კოლო დ'ერბუა ყოფილიყო.



ესტებანმა სიცილი ვერ შეიკავა, სხვებისთვის ეს, ალბათ, გაუგებარი უნდა ყოფილიყო, — იმის გაფიქრებაზე, რომ კოლო ამ ფრანგულ კოლონიაში ზანგთა კობლენცის შექმნას აპირებდა.

— დღემდე მახსოვს, — დაიწყო ისევ სიგერმა, — კაიენას ხახლებზე ჟანეს მიერ გაკრული სასაცილო აფიშები, რომლებიც უდიდეს მოკლენას იუწყებოდნენ — და მიწათმფლობელმა ზეიმური კილოთი დაიწყო: — „ალარ არსებობენ ალარც ბატონები და ალარც მონები... მოქალაქეებს რომლებიც დღემდე „ლტოლვილ ზანგებად“ იწოდებოდნენ, შეუძლიათ დაუბრუნდნენ თავიანთ თანამომძეებს, ისინი ჰპოვებენ სიმშვიდესა და მფარველობას, ჰპოვებენ სიხარულს, რადგან დღეის ამას იქით ისარგებლებენ ადამიანის ყველა უფლებით. ყოფილ მონებს შეუძლიათ თანასწორუფლებიანად ესაუბრონ გუშინდელ ბატონებს ადრე დაწყებული სამუშაოების დასრულების პირობებისა და ახალ სამუშაოთა შესრულებაზე“, — სიგერმა ისევ თავისი ხმით განაგრძო: — საფრანგეთის რევოლუციამ მხოლოდ დააკანონა თავისუფლებისათვის ბრძოლა, რომელიც ზანგებმა ამერიკაში მეთექვსმეტე საუკუნიდან დაიწყეს. მანამ, სანამ თქვენ ინებებდით, მათ უთვალავჯერ გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა.

და სიგერმა, ფრანგისთვის გასაოცარი ცოდნა რომ გამოამჟღავნა ამერიკის ისტორიისა (თუმცა ესტებანს უმაღლესად გაახსენდა, რომ იგი შვეიცარიელი იყო), დაიწყო ზანგთა ამბოხებების ჩამოთვლა, რომლებიც შემაშფოთებელი თანმიმდევრობით ზედიზედ იფეთქებდა ხოლმე კონტინენტზე... თავდაპირველად დოღების ბრაგაბრუგმა ვენესუელაში აუწყათ ზანგების აჯანყება; სადაც ბურიელ მაღაროელთა ამბოხებას ზანგი მიგელი მეთაურობდა, და იმისთანა თვალისმომჭრელ თეთრ მიწებზე დააარსა თავისი სამეფო, რომ იქაურობა დანაყილი ბროლით მოფენილი გეგონებოდათ. საზეიმო ცერემონიას კი ნაცვლად ორდანის მიღების გუგუნისა, თან ახლდა მიწაზე ბამბუკთა ღეროების რიტმული ცემა, რის დროსაც რომისათვის უცნობმა კონგოელმა თუ იორუბის ტომის ზანგმა ეპისკოპოსმა, რომელსაც თავზე მიტრა ეხურა და ხელთ კვერთხი ეპყრა, მეფის გვირგვინი დაადგა ამერიკის პირველი აფრიკელი მონარქის მეუღლეს — ზანგ ქალს ხიომარას. ხიომარა მიგელზე ნაკლები გავლენით როდი სარგებლობდა... შემდეგ, როცა მეფისნაცვალმა მარკის ენრიკესმა ზოინდომა გაქცეულ ზანგთა სამაგალითო დასჯა და ბრძანა შეპყრობილი მოსლების დაკოდვა „მათი დანაშაულთა და ბოროტმოქმედების გაურკვეველად“, დოღები მეხიკოს მახლობლად მდებარე ზანგების ველზე და მთელი ვერაკრუსის სანაპიროს გაყოლებაზე აბრაგუნდნენ... და თუ თავისუფლებისათვის ზანგთა ბრძოლის უმრავლესობა წარუმატებლად დასრულდა, ძლევა მოსილი ბელადის განგა-სუმბას მიერ ბრაზილიის ტროპიკული ტყის შუაგულში გამაგრებულმა პალენკე-დე-ლოს-პალიმარესის ბანაკმა სამოცდახუთ წელიწადს გაძლო; ხის ძროებისაგან გაკეთებულსა და ლიანებშემოწნულ მესერს არტილერიით აღჭურვილი ორი ათეული ჰოლანდიური და პორტუგალიური დამსჯელი ექსპედიცია შეაწყდა, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყეს, რადგან თავდაცვისას ზანგები მომთაბარეთა ძველისძველ საომარ ეშმაკობას იყენებდნენ და არცთუ იშვიათად მტერზე გარეული ცხოველების ჯოგს მიუშვებდნენ ხოლმე, რითაც პანიკა და არევ-დარევა შეჰქონდათ თეთრების რიგებში. ტყვისთვისაც კი მოუხელთებელი გამოდგა მეფე სუმბას ძმისწული და ზანგთა არმიის მარშალი სუმბი. მის ხალხს შეეძლო სრულიად თავისუფლად გაედწია ტროპიკული ხეების დახლართულ ფესვებს შორის და მტერს მოულოდნელად დატყდომოდა თავს... ბრაზი-



ლიის სელვაში უკვე ორმოცი წელი გრძელდებოდა ბრძოლა, როცა ახლა იამაიკის ლტოლვილმა ზანგებმა შეაფარეს თავი ტყიან მთებსა და დაარსეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც ლამის ერთ საუკუნემდე იარსება. ბრიტანეთის სამეფო გვირგვინის წარმომადგენლებს აჯანყებულებთან ხანგრძლივი და შეუპოვარი მოლაპარაკება დასჭირდათ, ბოლოს აჯანყებულთა კუზიან შეთაურს — „მოხუც ქაჯოს“ შეჰპირდნენ, მისი ხალხი უკლებლივ ყველა თავისუფლებას მიიღებდა, თვითონ მას კი სართად ათას ხუთას აკრ მიწას უკმარებდნენ. ათი წლის შემდეგ ახლა ჰაიტში გაისმა დოლების ბრაზუნის კაპ-ფრანსეს ოლქში ცალხელა მაკმადიანმა ზანგმა მაკანდელმა, ზანგების რწმენით ნაირნაირ ცხოველთა სახის მიღება რომ შეეძლო, შხამით დაიწყო თეთრი ბატონების წინააღმდეგ ბრძოლა — სახლებში, საჯინიბოებსა და ფარეხებში გამოუცნობ საწამლავს ჰყრიდნენ და იხოცებოდნენ ადამიანებიც და შინაური ცხოველებიც. ვერც კი მოასწრეს ამ შეამბოხის ქალაქის მოედანზე დაწვა, რომ კოლანდიამ ევროპაში დაქირავებული ჯარების შეგროვება დაიწყო სურინამას უღრან ტყეებში ლტოლვილ ზანგთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათი მრისხანე რაზმების სახელგანთქმული სამი ბელადი — სან-სანი, ბოსტონი და არაბი კოლონიის დარბევით იმუქრებოდნენ. ოთხი საომარი ექსპედიცია გახდა საჭირო, რათა გაეტეხათ — არცთუ საბოლოოდ — იღუმალი სამყარო, რომლის ბინადრებს ესმოდათ ხეების, ღიანების და გარეული მხეცების ენა, საფროთხის მოახლოებისას თავს აფარებდნენ გაუვალ ტყეებში მიკარგულ სოფლებს და კვლავ თავვანს სცემდნენ თავიანთი წინაპრების უძველეს ღმერთებს... კონტინენტზე თეთრების ბატონობა თითქოს განმტკიცდა უკვე, როცა ანაზდად, შვიდი წლის წინათ — მეორე მუსულმანმა ზანგმა, ვინმე ბუკმანმა სენ-დომენგში ბუა კაიმანის მახლობლად მოაწყო აჯანყება. მისი ხალხი სწვადა სახლებს და აოხრებდა სოფლებს. აგერ სულ ახლახან, რაღაც სამიოდე წლის წინათ, კვლავ აჯანყდნენ იამაიკელი ზანგები, რათა სამაგიერო მიეზღოთ ტრელონი-ტაუნში ორი შფოთისთავის სიკვდილით დასჯისთვის. ამ ამბოხების ჩასახშობად ფორტროიალიდან გამოიძახეს მეომრები, კუბიდან კი მონტ-ბეიში ზანგებზე დაგეშილი ძაღლების ზროვა ჩამოიყვანეს. ახლა ბაიას ფერადი მოსახლეობაც მოჰყვა დოლების ბრაგაბრუგს. დაიწყო მონათა ახალი მრისხანე აჯანყება, რომლის მონაწილეებიც გამხმარი გოგრების ბრაზუნით ხმამაღლა მოითხოვდნენ თანასწორობას, ძმობას და ველური დოლების აკომპანიმენტით წარმოთქვამდნენ ფრანგული რევოლუციის ლოზუნგებს...

— ამრიგად, ადვილად შეიძლება დარწმუნდეთ, — დაამთავრა სიგერმა, — რომ პლიუვიოზის ცნობილ დეკრეტს ახალი არაფერი მოუტანია ამერიკის კონტინენტზე, აქაურ ზანგებს იგი მხოლოდ დიდი ხნის წინათ თავისუფლებისათვის დაწყებული ბრძოლის გავრძელების საბაბად ექცათ.

— ყველაზე საოცარი ისაა, — წამოიწყო ცოტა ხნის ღუმლის შემდეგ ბროტიემ, — რომ ჰაიტელმა ზანგებმა გადაჭრითა თქვეს უარი გილიოტინაზე.

სონტონაქსმა ერთადერთხელ მოახერხა მისი ამოქმედება. ზანგები სირბილით მოდიოდნენ, რათა საკუთარი თვალთ ენახათ, რანაირად სჭრიდნენ თავს ადამიანს. ნახეს თუ არა, ეცნენ და სულ ნამსხვრევებად აქციეს მრისხანე მანქანა.

ეშმაკმა აბატმა იცოდა საითაც უმიზნებდა.

— გვადელუბაში თუ დაგჭირდათ მკაცრი ზომების მიღება წესრიგის აღ-



სადგენად? — დაინტერესდა ბიო, ვისთვისაც, ეტყობა, ცნობილი იყო კუნძულზე მომხდარი ამბები.

— თავდაპირველად კი, — უპასუხა ესტებანმა, — იმ ხანებში გამარჯვების მოედანზე იდგა გილიოტინა.

— დაუნდობელი რამაა, არც კაცის დანდობა იცის, არც ქალისა, — თქვა სიგერმა რაღაც უცნაურ კილოზე.

— სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს ერთი ქალიც, რომ ვეფხვანათ გილიოტინაზე, — უცბად ამოთქვა ჭაბუკმა და უმაღ იგრძნო, რა უადგილო იყო მისი შენიშვნა.

აბატმა ბროტიემ სცადა საუბრისათვის მხარი ეცვალა და ზოგად მსჯელობას მოჰყვა:

— მხოლოდ თეთრკანიანები ავრცელებენ ქალებზე უმკაცრეს კანონებს. ზანგებს მრისხანებისას შეუძლიათ ქალი გააუპატიურონ ან დაასახიჩრონ, მშვიდობიანი კი ქალს არასოდეს არ სჯიან. მე, ყოველ შემთხვევაში, ამისთანა რამ არა მსმენია.

— იმათ თვალში ქალი მუცელია, — ისევ როყიოდ წარმოთქვა ესტებანმა.

— ჩვენს თვალში კი — თავი, — დაუმატა სიგერმა, — მუცლის ქონება მხოლოდ ბუნების კანონია, მხრებზე თავის ტარება კი უკვე რაღაც პასუხისმგებლობაა.

ბიომ მხრები აიჩეჩა, თითქოს იმის თქმა სურდა, რომ შვეიცარიელის შენიშვნა მოკლებული იყო მახვილგონიერებას.

— ისევ ჩვენს საუბარს მიუბრუნდეთ, — თქვა მან ღიმილით და ეს ღიმილი ძლივძლივობით დააჩნდა უგრძობელ სახეზე, რომლის შემხედვარე ვერასოდეს ვერ გაარკვევდით, საკუთარ ფიქრში იყო გართული თუ საუბარს უსმენდა.

სიგერმაც განაგრძო ზანგების აჯანყებაზე გაწყვეტილი თავისი საუბარი:

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბართლომე დე ლას კასასი<sup>1</sup> ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბოროტგანმზრახველია. თითქმის სამი საუკუნის წინათ მან წამოჭრა უდიდესი პრობლემა, რომელიც თავისი მასშტაბით ისეთ მნიშვნელოვან მოვლენასაც კი აჭარბებს, როგორცაა საფრანგეთის რევოლუცია. ჩვენს შვილიშვილებს სინამარაში, კურუში, კონამამაში და ირაკუბოში მომხდარი ახლანდელი ამბები ადამიანური სატანჯველის უბადრუკ მაგალითებად მოეჩვენებათ, ზანგთა პრობლემა კი მუდამ იარსებებს. სენ-დომენგში ჩვენ დავაკანონეთ ზანგების თავისუფლებისაკენ სწრაფვა და ისინიც უკვე გვერეკებიან ამ კუნძულიდან. მერე კი ზანგები თეთრების თანასწორადაც მოინდომებენ ცხოვრებას.

— ამას ვერასოდეს ვერ ეღირსებიან, — იყვირა ბიომ.

— ვითომდა რატომო? — ჰკითხა ბროტიემ.

— იმიტომ, რომ ჩვენ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ც ო მ ი თ ვართ მოზელილნი. მე თავიდან მოვიშორე ზოგიერთი კაცთმოყვრული ოცნება, ბატონო აბატო. ნუმიდიელმა<sup>2</sup> კიდევ დიდი გზა უნდა განვლოს, სანამ რომაელს დაემგვანება, არც ლიბანელი ზანგი არის ათინელი და ნურც აქაური პონტო ევქსინოსი,<sup>4</sup> რომლის სანაპიროზეც გადმოგვასახლეს, გეგონებათ, ხმელთაშუა ზღვა...

ამ დროს შემოვიდა ბიოს ახალგაზრდა მოსამსახურე ბრიგიტა; იგი სამზარეულოდან უკვე რამდენჯერმე შემოვიდა სასადილოს მაგიერ ოთახში, და



ესტებანმა შეამჩნია მისი დახვეწილი სახის ნაკვთები, რასაც არცთუ ხშირად შეხვდებით ზანგებში, ის უფრო მულატებისთვის ან კვარტერონებისთვის არის დამახასიათებელი. გარეგნულად გოგონა ცამეტი წლისას ჰგავდა, მაგრამ უკვე დაქალბუღიყო და ხორცსავსე სხეული აშკარად ეკვეთებოდა უხეში ტილოს კაბაში. მან ბიოს მოკრძალებით აუწყა, ვახშამი — ბატატისაგან, ბანანისა და მხეზე გამოყვანილი ხორცისაგან მომზადებული კერძი უკვე მზად არისო. ბიო ღვინის მოსატანად გავიდა, რაც აქ გაუგონარ ფუფუნებად ჩივილებოდა, თუმცა ამ ფუფუნებით ბოლო სამიოდე დღეს სარგებლობდა. მაგიდასთან მამაკაცები ერთმანეთის მოპირდაპირედ დასხდნენ. ესტებანი პურობის დროს ამაოდ ცდილობდა მიხვედრილიყო, მაინც რა უჩვეულო ვითარების გამო გამომულიყო გამოუცნობი მეგობრობა ყველასათვის საძულველ ბიოს, ვინ იცის, ეგებ იმავე ბიოს წყალობით გადმოსახლებულ აბატსა და მიწათმფლობელ კალვინისტს შორის, რომელიც სწორედაც რომ ამ სახლის პატრონის იდეების ცხოვრებაში განხორციელების შედეგად გაკოტრებულიყო. სიტყვა ჩამოაგდეს პოლიტიკაზე: რაღა არ ითქვა — გოში მოუწამლაუთო, ბონაპარტის პოპულარობა დღითი დღე იზრდებაო, მოუსყიდველის ქალაქებში წერილი აღმოუჩენიათ, რომლიდანაც ირკვევა, რომ სანამ მისი დამამხობელი 9 თერმიდორის მოვლენები დატრიალდებოდა, საზღვარგარეთ უპირებია წასვლა, სადაც საიმედოდ ჰქონია ფული დამალულიო. ესტებანს კარგა ხანია ჯავრსა ჰკვრიდა ადამიანთა ბედის გუშინდელ გამგებლებსა და კერპებზე გამუდმებული მითქმა-მოთქმა და ჭორაობა. საითაც გაიხედავდით, ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ჭაბუკს გულით სურდა ამის ნაცვლად მშვიდად ესაუბრათ ღვთის ქალაქზე ან თახვების ცხოვრებაზე ანდა ელექტრობის შესანიშნავ თვისებებზე. ძილს თავს ვერ ართმევდა და რვა საათი არც იქნებოდა, ბოდიშის მოხდით, ბიოს მიერ სტუმართმოყვრულად შეთავაზებულ ტახტზე დაწოლის ნება ითხოვა. საწოლთან მდგარი ტაბურეტიდან აიღო ვიღაცის მიერ დატოვებული წიგნი. ეს იყო ანა რადკლიფის რომანი „იტალიელი, ანუ მონანიე შაოსანის სააღსარებო“. შემთხვევით თვალში მოხვედრილმა ფრაზამ შესძრა ესტებანი: „Alas I have no longer a home: a circle to smile welcome upon me. I have no longer even one friend to support, to retain me! I am a miserable wanderer on a distant shore!..“ ნაშუალამევს გამოეღვიძა. მეზობელ ოთახში სიცხის გამო წელზევით შიშველი ბიო-ვარენი ლამპის შუქზე რაღაცას წერდა, დროდადრო კი მხრებსა და კისერზე ხელისგულების ტყაპუნით მომაბეზრებულ მწერებს ხოცავდა. მის მახლობლად დარბულ საწოლზე იწვა ახალგაზრდა ბრივიტა. მას ტანისამოსი გაეხადა და შიშველ მკერდსა და თეძოებს „ფილოსოფიური დეკადის“ ძველი ნომრით იწიავებდა.

### XXXIII

იმ წლის ოქტომბერი განსაკუთრებით მტანჯველი გამოდგა ესტებანისთვის — ღამდამობით კოკისპირულად წვიმდა, დილით საშინლად ცხელოდა, მერე მთელი დღის ჭექა-ქუხილის შემდეგ სულისშემხუთველი სიცხე, სველი აყა-

\* „ვამ რომ, აღარა მაქვს სახლი, სადაც შეიძლება კეთილმოსურნე დიმილით შემხვდნენ, მეგობარიც კი აღარა მყავს, რომ გამამხნევოს და მანუგეშოს, ვარ შორეულ სანაპიროზე მოხეტიალე საბრალო ვარიბი!..“ (ინგ.).



ლოს, აგურისა და ნაცრის სუნისგან გაჟღერებული ჰაერის გამო, კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა. აბატი ბროტიუს უეცარმა სიკვდილმა ერთიანად შეძრა ჭაბუკი; აბატს სინამარაში შეჭროდა რაღაც სნება და კაიენაში ხანმოკლე ყოფნის დროს გარდაცვლილიყო. ესტებანს აქამდე ბუნდოვნად მაინც ეძიებოდა, რომ მოღვაწე და გამოცდილი მღვდელი, რომელიც კარგად იცნობდა გავლენიან ხალხს, როგორმე ხელს მოუმართავდა სურინამაში გასამგზავრებლად. ახლა უკვე აღარ იცოდა, ვის ნდობოდა და თავს ტყვესავით გრძობდა ხაშკრობილედ ჰქცეოდა ქალაქი და მთელი ქვეყანა. ამ ქვეყანას კი კონტინენტზე ისეთი გაუვალი ტროპიკული ტყე შემორტყმოდა. მისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ზღვა იყო მხოლოდ, და ეს გზაც ყველაზე დაუძლეველი ბარიერით — ქალაქების ბარიერით გადაეღობათ. უქალაქდებოდ იმ ეპოქაში ნაბიჯსაც ვერ გადადგამდით. ეს ქალაქები აჭრელებული იყო გერბიანი თუ ლუქის ბეჭდებითა და წარწერებით, რაც რაღაცაზე ნებას რთავდა, რაღაცას კრძალავდა; ათასნაირი სახელი ერქვა ამ ქალაქებს — „ნებართვა“, „საშვი“, „პასპორტი“, და ყველა ეს სიტყვა იმას ნიშნავდა, რომ ქალაქის მფლობელს უფლება ჰქონდა გადასულიყო ერთი ქვეყნიდან ან ერთი ოლქიდან მეორეში, ხანდახან კი ერთი ქალაქიდან მეორეში. ძველი მეზაჟეები, გადასახადებისა და სხვადასხვა გამოსაღებების ამკრებები, საფასურს რომ ახდევინებდნენ საგუშაგოებზე გავლისათვის თუ საქონლის გატანისათვის, მხოლოდ ხატოვანი პირველსახენი იყვნენ მთელი არმია პოლიციელებისა და პოლიტიკოსებისა, რომელნიც ახლა — ერთნი რევოლუციის წინაშე შიშის გამო, სხვები — კონტრევოლუციის წინაშე შიშის გამო — ცდილობდნენ, ყველგან შეეზღუდათ ადამიანთა თავისუფლება, წაერთვათ მათთვის უხსოვარი დროიდან მოკიდებული სავსებით ბუნებრივი და ყოვლად აუცილებელი გადაადგილების უფლება იმ პლანეტაზე, სადაც მათთვის ცხოვრება დაეწესებინათ. ესტებანი შფოთავდა, მრისხანებისგან კანკალი იტანდა, როცა ფიქრობდა, რომ იმ ხალხისთვის, ვისაც საკუთარი სურვილით ეთქვა უარი წინაპრების მომთაბარული ცხოვრების წესზე, ახლა სულ წაერთვათ მიმოსვლის უფლება და დამოკიდებულნი იყვნენ რაღაც სამუდამო ქალაქებზე. „მე სულაც არა ვარ გაჩენილი იმ ადამიანის როლისათვის, ვინც ახლა კეთილგანმზრახველ მოქალაქედ იწოდება“, ეუბნებოდა საკუთარ თავს. კაიენაში მთელი თვე არევ-დარევა, დაბნეულობა და უწესრიგობა სუფევდა. სამსახურიდან გადაყენების გამო გაღიზიანებული ჟანე ზანგების ლაშქრით ცდილობდა ელზასელ მსროლელთა ბუნტის ჩახშობას, რომლებიც რამდენიმე გადაუხდელ ხელფასს მოითხოვდნენ. მაგრამ მერე შესაძლო შედეგით შეშინებულმა ქალაქში ჭორები გაავრცელა, ჩრდილოეთ ამერიკული ხომალდები გვიანას ბლოკადით ემუქრებიანო, და შიმშილის შიშით დამფრთხალმა მოსახლეობამ სასურსათო ფარდულებთან გამართა რიგები.

— ამ გზით ჩაწოლილ საქონელს გაასაღებს და თავის შემცვლელს მშრალზე დატოვებს, — თქვა კოლონიის ჩინოვნიკების არაერთი თაღლითური ოინის მომსწრე ოგარმა.

ნოემბრის პირველ დღეებში კაიენაში დამაბულობა მინელდა. ბიურნელი ქალაქში ფრეგატ „ინსურგენტით“ შემოვიდა, სანაპიროდან მისასაღმებელი ბათქებით შეეგებნენ. დირექტორიის ახალ აგენტს, როგორც კი მთავრობის რეზიდენციაში დაბინავდა, სულ არ მიუქცევია ყურადღება შესასვლელთან შექუჩებული ბევრი რამის „საუწყებლად“ გამზადებული ხალხისთვის, უმაღლესი სინამარადან ბიო-ვარენის ჩამოყვანა ბრძანა და ყველას თვალწინ გადაეხვია,



რამაც შიშის კანკალი მოჰკვარა იმათ, ვინცა ფიქრობდა, ოდესღაც მრისხანე იაკობინელი სამუდამოდ არის მივიწყებულიო. მალე კაიენაში ცნობილი გახდა, რომ ბრიუნელი და ბიო-ვარენი სამი დღე ზედიზედ იყვნენ ჩაკეტვით კაბინეტში, საიდანაც მხოლოდ სადილად გამოდიოდნენ ყველით და ღვინით ძალ-ღონის მოსაკრებად; მთელი ამ ხნის მანძილზე საგულდაგულად განიხილავდნენ ადგილობრივ პოლიტიკურ პრობლემებს. შესაძლებელია ვადასახლებულთა მდგომარეობასაც განსჯიდნენ, რადგან კურუდანი უკვე აკადემიური მოულოდნელად სინამარაში გადმოეყვანათ.

— უკვე გვიანაა, — კბილებშია გამოსცრა ოგარმა, — სიკვდილიანობა კურუში, ირაკუბოსა და კონამამაში, უკეთეს შემთხვევაში, თვეში ოცდაათ პროცენტს აღწევს. შარშან ზომალდ „ბაიონეზით“ დევნილთა პარტია ჩამოიყვანეს და, როგორც შევითვქვე, ორმოცდათერთამეტი კაციდან ცოცხალი ორიღა დარჩენილა. ახლახან გარდაცვლილთა შორის ყოფილა ერთი სწავლული კაცი, გვარად აველანეი, ლუვენის უნივერსიტეტის რექტორი.

სასტუმროს მფლობელი მართალი იყო, გვიანაში გადასახლებამ ხალხი სასაფლაოებითა და ადამიანთა ჩონჩხებით მოფენილ სიკვდილის ველზე მოიყვანა, რომელსაც გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ ყვავ-ყორნები. ამ ქვეყნის ოთხმა დიდმა მდინარემ თავისი ინდური სახელები დაარქვა თეთრი ადამიანების ვრცელ სასაფლაოებს, სადაც ბევრმა გადასახლებულმა საბოლოო ბინა მხოლოდ იმიტომ ჰპოვა, რომ ერთგულნი დარჩნენ იმ რელიგიისა, რომელსაც თეთრი ადამიანი თითქმის სამი საუკუნის მანძილზე იძულებით ახვევდა თავს ამერიკის ინდიელებს... ბიო-ვარენისთვის პატარა კარ-მიდამოს საშოვნელად ქალაქში ჩამოსულმა შვეიცარიელმა სიგერმა ესტებანს საიდუმლოდ აუწყა იმ ახალ გეგმებზე, რომლებიც მოწმობდნენ, რომ კაიენას მმართველები კვლავ განმსჭვალულიყვნენ არა მარტო იაკობინელებისა და კორდელიერების, არამედ „ცოფიანების“ სულისკვეთებითაც. ბიურნელს განზრახული აქვს დირექტორიის ფარულად სურინამაში გაგზავნოს საიდუმლო აგენტები, მათ დავალებული ექნებათ ისარგებლონ რესპუბლიკის მეორე წლის 16 პლიუვიოზის დეკრეტით, მოაწყონ იქ მონათა აჯანყება და, ამრიგად, საფრანგეთს საშუალება მისცენ, ხელში ჩაიგდონ კოლონიაო; ეს ჭეშმარიტად მუხანათური გეგმა იყო, თუკი გავიხსენებთ, რომ მაშინ ჰოლანდია ამ ადგილებში საფრანგეთის ერთადერთი ლოიალური მოკავშირე იყო. სადამოთი ესტებანმა შვეიცარიელი თავისთან მიიწვია, ისინი ნელ-ნელა იგემოვნებდნენ მსუბუქ ღვინოს მოსამსახურებთან — ანჯესასა და სქოლასტიკასთან ერთად, რომელთაც არ დასჭირვებიათ ბევრი ხვეწნა ბლუზებისა და ქვედა კაბების გასაძრობად; ოგარი ერთხანს დამცინავად უცქერდა თავისი მდგმურების თავშექცევას, მერე უხმოდ დატოვა ისინი. ქეიფის მერე გამოძინებულმა ესტებანმა გულახდილი საუბარი გაუბა ახლად შეძენილ მეგობარს: ეხვეწებოდა ესარგებლა თავისი გავლენით და მისთვის სურინამაში წასასვლელად პასპორტი ეშოვა.

— იქ სასარგებლო ვიქნები მეამბოხური იდეების გასავრცელებლად, — უთხრა ჭაბუკმა და შეთქმულივით მიაჩერდა.

— სავსებით სწორია, — მიაგება სიგერმა, — გვიანამ ამის შემდეგ შეიძლება მხოლოდ სპეკულიატორები და ახალი მთავრობის მომხრეები დააინტერესოს, აქ კაცი ან პოლიტიკოსი უნდა იყოს ან შემცველი პირი. ბიოს მოეწონე. ვეცდები გიშოვნო საჭირო ქალაქი...

ერთი კვირის შემდეგ ზომალდი „დიომედი“, რომლისთვისაც ის-ის იყო



ახალი სახელი „დაპრობილი იტალია“ დაერქვათ, ღუზიდან მოიხსნა და კურსი მეზობელი კოლონიისაკენ აიღო, რათა იქ გაეყიდა — ამჯერად ბიურნელის სასარგებლოდ — ჯერ კიდევ ჟანეს მმართველობის დროს კორსარების მიერ პიტაცებული საქონლის ახალი პარტია.

ესტებანმა დატოვა კაიენა — კოლონიის მთავარი ქალაქი, რომლის მთელი ისტორია ძარცვის, ეპიდემიის, გადასახლებისა და სიკვდილიანობის ერთ მთლიან ჯაჭვს წარმოადგენდა. და როცა ამ ქალაქის დამთრგუნველსა და საძაგელ ვითარებაში ყოფნის შემდეგ პარამარიბოს ქუჩებში აღმოჩნდა, ისე მოეჩვენა, თითქოს დიდი დღესასწაულისათვის დასუფთავებულსა და გალამაზებულ ქალაქში მოხვედრილიყოს, რომელიც ძალზე ჰგავდა ფლამანდურ ბაზრობას, უფრო სწორად — ზღაპრულ ტროპიკულ ქვეყანას. ფორთოხლის, თამარინდისა და ლიმონის ხეებჩარიგებულ ფართო ქუჩებში სიმდიდრე და სიუხვე სუფევდა. ლამაზი სახლები ძვირფასი ხით იყო ნაგები — აქ შეხვდებოდით ოთხ და ხანდახან ხუთსართულიან შენობებს, — სახლის უმინო ფანჯრებს მუსლინის ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. ვეება კარადები ათასი რამით იყო გამოტენილი, მოსკიტებისაგან დასაცავ ტიულის ფარდებქვეშ კი მზინვარე ფოჩებშემოვლებული ჰამაკები ქანობდნენ. ესტებანს კვლავ თვალწინ დაუდგა ბროლის ჭაღები და ჟირანდოლები, ძვირფასი სარკეები, ქარსაცავი მინის ფარები — ყველაფერი ის, რაც ბავშვობიდანვე იყო მისთვის ნაცნობი. სატვირთო ნავისადგომებზე აგორებდნენ კასრებს; პორტის უკანა ეზოებში ბატები ყიყინებდნენ; ჰაერში მხიარულად გაისმოდა სასიგნალო ბუკის ხმა, ზელანდიის ფორტის საგუშაგო კოშკზე მდგარი ჯარისკაცი კი მოსამართი თოჯინასაყვით მექანიკური მოძრაობით რეკდა ზარს და იუწყებოდა მზის საათის სვლას. სანოვაგით მოეაჭრე დახლებისა და საყასბოს მახლობლად, სადაც მყიდველებს კუს ხორცსა და ნივრით დატენილ ხბოს ფეხებს სთავაზობდნენ, ესტებანმა აღმოაჩინა თითქმის უკვე მივიწყებული გემრიელი სასმელ-საჭმელი; ლუდი, ვესტფალიური შაშხი, შებოლილი გველთევზა, ახალი ორაგული, ანჩოუსის მარინადი — დაფნის ფოთლითა და კაპარით, დარემული მაგარი მდოგვი. მდინარეზე დაცურავდნენ ცხვირმოქროვილი და კიჩოფარნიანი დიდი ნავეები. შავკანიან მენიხბებს ერტყათ ქათქათა თემოსაკრავები და ტილოს ფარდულისა და აბრეშუმის ან გენუური ხავერდის ბალდახინის ქვეშ მარჯვედ უსვამდნენ მოკლე ნიჩბებს. ჰოლანდიის ამ ზღვისგაღმა სამფლობელოს ზოგიერთ მაცხოვრებელს გემოვნება ისე გაფაქიზებოდა, რომ წითელი ხის იატაკს ყოველდღიურად ნარინჯებით წმენდდა: პარკეტი იწოვდა ნაყოფის წვენს და ძლიერსა და ნაზ სურნელებას აფრქვევდა. კათოლიკური ტაძარი, პროტესტანტული და ლუთერანული ეკლესიები, პორტუგალიელი და გერმანელი ებრაელების სინაგოგები — ყველა სამლოცველო, თავიანთი ზარებით, ორგანებით, საგალობლებით, ჰიმნებითა და ფსალმუნებით, კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში რომ გაისმოდა — აღდგომა იქნებოდა, ცოდვათა განტეკების დღე, იუდეველთა პასეჟი თუ დიდი შაბათი, — თავიანთი წმინდათაწმინდა ტექსტებითა და ლოცვებით, ოქროსფერი თაფლის სანთლებით, კანდელებით, ხანუკის დღეს ანთებული მდიდრული ლამპრებით, ესტებანს რჯულთშემწყნარებლობის სიმბოლოდ ეჩვენებოდა, რასაც ადამიანი, რელიგიური თუ პოლიტიკური დევნის მიუხედავად, სამყაროს ზოგიერთ ადგილებში მაინც ჯიუტად იცავდა და ინარჩუნებდა... სანამ „დაპრობილი იტალიიდან“ საქონელს ტვირთავდნენ და ასალებდნენ, ჭაბუკი მდინარე სურინამას სანაპიროზე დასეირნობდა — მთელი ქა-



ლაქი აქ გამოხულიყო საბანაოდ — და ჩრდილოეთ ამერიკის ხომალდების შე-  
ნოსვლის ამბებს კითხულობდა, რომელთა შორის მოხდენილი იალქნიანი გე-  
მი „ეროუც“ შეიძლება ყოფილიყო. ესტებანს მაინცდამაინც იმედი არ ჰქონ-  
და, რომ პარამარიბოში მისი ჩამოსვლა დაემთხვეოდა კაპიტან დექსტერის  
ხომალდის გამოჩენას — ამასთან, ექვსი წლის მანძილზე კაპი-  
ტანი შეიძლება კიდევ შეცვლილიყო — მაგრამ გული მაინც უგრძობდა, ურემ  
მისი სახიფათო თავადასავლები დასასრულს უახლოვდებოდა. <sup>მისი</sup> ფრანგულმა  
შხუნა მალე მოიხსნებოდა ღუზიდან, თვითონ კი, კაიენას მთავრობის „სა-  
ვაჭრო აგენტის“ უფლებით პარამარიბოში დარჩებოდა, თუმც სინამდვილეში,  
დავალებული ჰქონდა საიდუმლო მისია — მიზანშეწონილად და შესაძლებლად  
როცა მიიჩნევდა, გაევრცელებინა ჰოლანდიურად თარგმნილი, აჯანყებისკენ  
მომწოდებელი რესპუბლიკის 11 წლის 16 პლიუვიოსის დეკრეტის რამდენიმე  
ასუელი ეგზემპლარი. ესტებანს უკვე შეერჩია ადგილი, სადაც ყველაზე მარ-  
ჯვედ შეძლებდა, სამუდამოდ დასასამარებლად, ლოდგამობმული ქალაქის  
დასტების მდინარეში გადაყრას, შემდეგ დაელოდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის  
ხომალდს, რომელიც, უკან დაბრუნებისას, ბალტი-მორში ან ბოსტონში, სან-  
ტიაგო-დე-კუბაში ანდა ჰავანაში გაჩერდებოდა, იქამდე კი დროს რომელიმე ქე-  
რათმიან, ლერწამტანიანსა და ვნებიან, ფუშფუშა მაქმანებიდან ფიქალ მკერდგა-  
ნომჭვირვალე ჰოლანდიელ გოგოსთან გაატარებდა. იქაური ლამაზმანები ვახშ-  
მობის შემდეგ ან ფანჯრის რაფაზე ისხდნენ და ღამის სიგრილით სულს ითქ-  
ვამდნენ, ან არადა, ბარბითზე მღეროდნენ, ხანდახან მეზობლებთანაც შეივლიდ-  
ნენ, ერთმანეთს უჩვენებდნენ მოქარგულ ხალიჩებსა და ფიანდაზებს, რომლებ-  
ზედაც დელფტის საყვარელ ქუჩებს თუ მეხსიერებით აღდგენილ სახელგან-  
თქმული რატუშის ფასადს გამოსახავდნენ; ხან კი უბრალოდ ერთიმეორეს უხა-  
მებდნენ ფერად გერბებსა და ტიტებს. ესტებანს უთხრეს, რომ ეს მშვენიერი  
ქმნილებები ქმრების გამოსაჯავრებლად სწყალობდნენ უცხოელებს — მათ ქმრებს  
შავკანიანი საყვარლები ჰყავდათ მამულებში, სადაც პატივცემული მიწათ-  
მფლობელნი ძალზე ხშირად რჩებოდნენ ღამელგომით: „შავი მე და შუე-  
ნიერ, ასულნო იერუსალიმისანო, ნუ მხედავთ მე, რამე თუ დაშავებული ვარ,  
რამეთუ უგულუბელს-მყო მე მზემან“. ამასთან ეს საჩოთირო პრობლემა დიდი  
ხანია არსებობდა. ბევრი თეთრი მამაკაცი, ერთხელ რაკი დაძლევადა ყოყ-  
მანს, ასეთი ვნებით ინთებოდა შავკანიანი ქალის მიმართ, რომ უნებურად ჩნდე-  
ბოდა აზრი ჯადოქრობაზე. მთელი ლეგენდები დადიოდა რაღაც საიდუმლო  
სველ საფენებზე, ათასგვარ შინაურ წამლებზე, უცხო მცენარეთა ფესვების  
ნახარშზე, ყოველივე ამას თითქოს ქალი თეთრი საყვარლის უჩუმრა იყენებდა  
იმისათვის, რათა „გამოეფიტა“ იგი, თავი შეეყვარებინა და იმ ზომამდე და-  
ემორჩილებინა, რომ სრულიად გულგრილი გაეხადა თავისივე თვისტომი ქალე-  
ბის მიმართ. ამასთან, მიწათმფლობელს მოსწონდა ხარის, გედისა და ოქროს  
წვიმის როლის თამაში იმ ქალთა წრეში, ვინც კეთილშობილ თესლთან ერთად  
საჩუქრად დებულობდნენ სამაჯურებს, თავსაფრებს, ჩითის ქვედა კაბებს და  
პარიზიდან ჩამოტანილ სურნელოვან ზეთს. მოსამსახურესთან თეთრი მამა-  
კაცის სატრფიალო ფანდებზე ყველა თვალს ხუჭავდა, ხანგ ქალთან შეკავში-  
რებით კაცი არავის თვალში არ მცირდებოდა, და თუ ამ კავშირის შემდეგ იბა-  
დებოდნენ ხუჭუჭთმიანი ბავშვები — მულატები, კვარტერონები, ანდა ისე-  
თები, რომელთა მარღვებში სულ ცოტადა ერია შავკანიანთა სისხლი, — ეს გა-  
რემოება მას ნაყოფიერი პატრიარქის შესაშურ რეპუტაციას უქმნიდა. სამა-



გიეროდ, თუთრი ქალის ფერადკანიანთან ურთიერთობას რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა, ზიზღით უყურებდნენ. და მთელ ამერიკულ კონტინენტზე — იმ ოლქებიდან მოკიდებული, სადაც ნატჩეზელი ინდიელები ცხოვრობდნენ მარ-დელ-პლატას სანაპიროებამდე — გაგიძნელდებოდათ უფრო უბედური ქალის მოძებნა, ვიდრე კოლონიელი დეზდემონა იყო... ლა-პლატადან დაბრუნებული ბალტიმორის სატვირთო გემის, „ამორძალის“ გამოჩენამ, როგორც იქნა, ბოლო მოულო ესტებანის პარამარიბოში ლოდინს, სადაც ჭაბუკს ერთხანს კიდევ მოუხდა ყოფნა მას შემდეგ, რაც „დაპყრობილმა იტალიამ“ პორტი დატოვა. სასურველი ხომალდის მოლოდინში ჭაბუკს სწყალობდა ერთი უკვე დაქალებული, მაგრამ ჯერ მაინც ნორჩი და მუდამ კეთილსურნელოვანი ასული, რომელიც, სხვათა შორის, ძალზე ჭარბად ხმარობდა ბრინჯის პუდრს. ქალი გატაცებით კითხულობდა, მისი აზრით, ახალ წიგნებს — რიჩარდსონის რომანებს „კლარისა გალოუს“ და „პემილას“<sup>2</sup>, ესტებანს კი პორტუგალიური ღვინით უმასპინძლებოდა, როცა ქალის ქმარი, ყველასათვის კარგად ცნობილი მიზეზის გამო, ღამეს თავის მამულში ათევდა. ესტებანმა ბარგი „ამორძალზე“ რომ აიტანა, თვითონ ხომალდის გასვლამდე ორი საათით ადრე ქალაქის საავადმყოფოში შეიარა, ბოლო ხანებში აწუხებდა მარცხენა იღლიაში გამოსული რაღაც სიმსივნე და სურდა გაეგო მთავარი ქირურგის — გრებერის აზრი. პატივცემულმა ექიმმა ჭაბუკს მტკივან ადგილზე მალამო წაუსვა, შეუხვია და დერეფანში გამოაცილა. მოსაცდელში შეიარაღებული ჩაფრები ყარაულობდნენ ცხრა ზანგს, რომლებიც მშვიდად ეწეოდნენ მწარე, ძმრისსუნიანი თუთუნით დატენილ ყალიონებს; თიხის ჩიბუხის მიღები ისე დაედრნათ, რომ გაღვივებული თუთუნისაგან ლამის ტუჩები დასწვოდათ. შეძრწუნებულმა ესტებანმა შეიტყო, რომ ეს მონები გაქცევის მცდელობის გამო მიეცათ სასამართლოში, სურინამას თემიდას ქურუმებს კი თითოეული შფოთისთავისთვის მარცხენა ფეხის მოკვეთა მიესაჯათ, და ვინაიდან განაჩენი დიდი გულმოდგინებით, მეცნიერების წესების დაცვით უნდოდათ მოეყვანათ სისრულეში და არ უნდა გამოეყენებინათ მოძველებული ხერხი, რასაც მხოლოდ ბარბაროსები ხმარობდნენ, და ამით ზედმეტად აწამებდნენ დამნაშავეს, ხან კი საფრთხესაც უქმნიდნენ მის სიცოცხლეს, ცხრავე ზანგი პარამარიბოს საუკეთესო ქირურგთან მიეყვანათ, რათა ხერხით შეესრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება.

— ხანდახან ხელის ამპუტაციაც მიხდება, ასეთ ზომებს მაშინ მიმართავენ, თუკი მონა ხელს აღმართავს თავისი ბატონის წინააღმდეგ, — უთხრა ექიმმა გრეიბერმა, მერე რიგის მომლოდინე ზანგებისკენ შეტრიალდა და იკითხა: — რომელი ხართ პირველი?!

ესტებანმა დაინახა თავისი ადგილიდან უსიტყვოდ როგორ წამოიმართა ზორბა, დაკუნთული, სახეზე ნებისყოფააღბეჭდილი ზანგი. — ჭაბუკს ლამის თვალთ დაუბნელდა. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, მახლობელ ტავერნაში შესულმა არაფი მოითხოვა ამ საშინელების დასავიწყებლად, მაგრამ მზერა მაინც უნებურად საავადმყოფოს შენობისკენ გაურბოდა, თვალი ვერ მოეწყვიტა საოპერაციოს მიხურული ფანჯრისთვის და ცდილობდა წარმოედგინა, რა ხდებოდა ახლა იქ.

— ადამიანები დედამიწაზე ყველაზე საშინელი მხეცები ვართ! — იმეორებდა გაშმაგებით.

ამ წუთში საკუთარი თავიც ეზიზღებოდა, და რომ შეძლებოდა, სიამოვნებით დაწვადა საავადმყოფოს... „ამორძალი“ მდინარე სურინამას დინებას რომ



დაუყვა, სულ ახლოს ჩაუარა მეთევზეთა კანჯომ. კანჯოში შავი მენიჩბები ისხდნენ, ზედ ბორტთან მდგარმა ესტებანმა ზანგებს რამდენიმე პაკეტი გადაუგდო და დაუყვირა:

— წაიკითხეთ, კითხვა თუ არ იცით, სხვას წააკითხეთ.

პაკეტში ეწყო პოლანდიურად თარგმნილი რესპუბლიკის 11 წლის 16 პლი-  
უვიონის დეკრეტის ტექსტი, და ახლა ჭაბუკს უხაროდა, რომ განმარტებულნი  
ვერ შეასრულა და ვერ მოასწრო ფურცლების წყალში გადაყრა. შიგლით

### XXXIV

...იგი იმყოფებოდა ბოკას-დელ-დრაგონის სრუტის შესასვლელთან, თავზე ვარსკვლავებით მოჭედული ცა დაჰყურებდა; ფერდინანდისა და იზაბელას დიდი აღმირალი სწორედ აქ აკვირდებოდა, რა თავგანწირვით ებრძვის მტკნარი წყალი მარილიან წყალს, — ეს ბრძოლა გრძელდებოდა ამ ქვეყნის შექმნის პირველი დღიდან: „ყოველნი ღვარნი შესდიან ზღვასა შინა და ზღვა არ არს აღვსებული, ადგილსა ზედა, სადაც ღვარნი მივალენ, მუნც იგინი მიიქცევიან მისვლად...“ მაგრამ დღესაც კვლავინდებურად სადაც მატერიკის სიღრმიდან მოცურავდნენ აგვისტოს წყალდიდობის დროს ძირფესვიანად დაგლეჯილი ვეება ხის ძროები; ისინი ეჯახებოდნენ ქარაფებს და მტკნარი წყლის მუფფებას თავდაღწეულნი ზღვისკენ აგრძელებდნენ გზას, რათა გამქრალიყვნენ მარილიანი ოკეანის უკიდევანო სივრცეში. ესტებანი უცქერდა, როგორ მიცურავდნენ ხეები ტრინიდადისკენ, ტობაგოსა და გრენადინისკენ; ხეები მოცახცახე ფოსფოროვან ტალღებს შორის შავად მოჩანდნენ, მოჩანდნენ ძალზე გრძელი ნაკებივით, იმ ნაკებივით, რომლებიც ამავე გზით რამდენიმე საუკუნის წინათ დაეხეტებოდნენ აღთქმული მიწის საძებნელად. იმ დროს აქაური ხალხი ისევ ქვის ხანაში ცხოვრობდა, — ბევრისთვის იგი ახლად დასრულებულყო, ვერ საბოლოოდ არც დავიწყებოდათ, — და კოცონის გარშემო შემოკრებილ ადამიანებს დაუძლეველად იზიდავდა თავისკენ ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა, თუმცა თითქმის არაფერი იცოდნენ მასზე. მეთევზეები ამბავს სხვა მეთევზეებისაგან ტყობილობდნენ, იმათ ამ ამბავს უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები მეთევზეები უყვებოდნენ, ისინი კი თავის მხრივ, ყოველივე ამას კიდევ უფრო შორეული მხარის მკვიდრთაგან გებულობდნენ. მაგრამ ათასი კაციის ხელში გამოვლილი ნაირ-ნაირი ნივთები, რასაც ერთმანეთში სცვლიდნენ, ანდა ერთიმეორეს ჩუქნიდნენ — საბოლოოდ აქ იყრიდა თავს. ეს იყო იდუმალი, დიდებული და ამასთან, უცხო მასალისაგან ნაკეთები საგნები. ეს სულ პატარა კენჭები იყო, — საქმე სიდიდე როდია! — მაგრამ თითქოს მეტყველებდნენ, გამომწვევად გიცქერდნენ, ლამის გიღიმოდნენ, გამოუცნობად იცვლიდნენ სახეს. ეს ნივთები აქ იმ კუთხიდან ხვდებოდა, რომელიც ამყობდა თავისი თვალუწვდენელი ესპლანადებით, ახალგაზრდა ქალების მდიდრულად მოწყობილი საბანაოებით, არნახული ნაგებობებით... ხალხი იმდენს ლაპარაკობდა ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაზე, რომ თანდათანობით მას საკუთრებასავით დაუწყეს ცქერა. ამ ქვეყნის განძეულობის ამბავი ჯიუტად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, და, ბოლოს და ბოლოს, თვითონ განძი თითქოსდა ტომის საერთო აულადიდებად ქცეულიყო. ეს შორეული სამყარო სანუკვარ მიწად ესახებოდათ, სადაც ერთ მშვენიერ დღეს რჩეულ ხალხს ელოდა დამკვიდრება და ზეციურ სასწაულსდა ელოდნენ, რათა საბოლოოდ დასგომოდნენ ხიფა-



ით აღსაესე გზას. ჯერჯერობით კი ხალხი სულ წინ და წინ მიიწევდა, ბო-  
კას დელ-დრაგონის სრუტიდან ასობით დღის სავალზე, უსასრულო მდინარის  
— სამხრეთის დიდი მდინარის — შესართავი მუდამ ხალხით იყო სავსე. ერთი  
ტომი მთებიდან ჩამოდიოდა, ტოვებდა ქოხებს, სადაც უხსლვარი დროიდან ეც-  
ხოვრა, მეორე მდინარის მარჯვენა მხარეს ინაცვლებდა, ტროპიკული ტყის  
შუაგულში მცხოვრებნი კი ყოველ ახალ მთვარეზე ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდ-  
ნენ უღრანი ტყიდან და ნაკადულთა დენას აღევნებულნი, ტროპიკულ ჭაობთა  
გვერდისავლით, თვეობით დაყიალობდნენ მწვანე ნახევარწყვილიადში... მაგრამ  
მოლოდინი ჭიანჭურდებოდა. წინ იმგვარი რთული საქმე ედოთ, გზაც ისეთი  
შორეული ჰქონდათ, რომ ტომთა ბელადებს ვერა და ვერ გაეხედათ რაიმე გადა-  
წყვეტილების მიღება. იზრდებოდნენ შვილები და შვილთაშვილები, ხალხ-  
კი აღვილდან მაინც არ იძვროდა; ჭიანჭველებით განუწყვეტლივ დაფუსფუსე-  
ბდნენ, ნამდვილ საქმეს კი ვერ აკეთებდნენ, მარტო ერთსა და იგივეზე ლაპა-  
რაკობდნენ და თვალმოუწყვეტლად მისჩერებოდნენ შორეული ქვეყნის უცხო  
საგნებს, რომლებიც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდათ.  
მაგრამ ერთ ღამეს — ეს ღამე სამუდამოდ უნდა აღბეჭდილიყო მათ მეხსიერე-  
ბაში — ცისკარი საშინელი წივილით გაჰკვეთა რაღაც მანათობელმა სხეულმა  
და ხალხს გეზი უჩვენა, რომელიც თავადაც კარგა ხანია ნიშანში ამოეღოთ: ეს  
იყო ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა. მაშინ კი დაიძრა ურდო — ასეულ საბრ-  
ძოლო რაზმებად დაყოფილი ტომი სხვის მიწაზე შეიჭრა. უცხო ხალხის ყვე-  
ლა მამაკაცი უმოწყალოდ ამოეღიტეს, ქალებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, რა-  
თა მუცლად ედოთ დამპყრობლებისგან. ასე წარმოიშვა ორი სხვადასხვა ენა:  
ქალების ენა, ანუ კერისა და საოჯახო საქმეების ენა და მამაკაცების ენა, ანუ  
მებრძოლთა ენა, რომელსაც ყველა არა ფლობდა... საუკუნეზე მეტხანს გრძე-  
ლდებოდა ტროპიკულ ტყეებში, ველებსა და ხეობებში სვლა, სანამ დამპყრობ-  
ლებმა, ბოლოს და ბოლოს, ზღვას არ მიაღწიეს. იქ შეიტყვეს, რომ სანაპი-  
როს მცხოვრებლებს გაეგოთ სამხრეთიდან მომავალ მრისხანე მებრძოლთა მო-  
ახლოება და მოშორებით — თუმცა არც ძალიან შორს — პორიზონტს იქით მდუ-  
ბარე კუნძულზე გადასახლებულიყვნენ. მაგრამ ლტოლვილებს აქა რჩებოდათ  
სამხრეთის ტომებისათვის უკვე ნაცნობი ნივთები და გადამთიელები მიხვდნენ,  
კუნძულამდე თუკი მიაღწევდნენ, ყველაზე უმოკლესი გზით შეძლებდნენ ჩრდი-  
ლოეთის ქვეყანაში გაღწევას. დროს არაფრად აგდებდნენ — ყველას მხოლოდ  
ერთი აზრი დაუფლებოდა: ერთ მშვენიერ დღეს მიეღწიათ სახუკვარი მიწისა-  
თვის, ამიტომაც შეჩერდნენ სამხრეთელები სანაპიროზე და მტკიცედ გადაწყ-  
ვიტეს დაუფლებოდნენ ზღვაოსნობის ხელოვნებას. სილაზე მიყრილი დამტ-  
ვრეული პიროგები დამპყრობლებმა პირველი ნავების ნიშნებად გამოიყენეს,  
რომლებსაც ხის ტანისაგან ჩორკნიდნენ, მაგრამ რადგან წინ დიდი გზა ედოთ,  
თანდათანობით დაიწყეს უფრო ტევადი, მაღალი და ვიწროცხვირიანი, გრძე-  
ლი და განიერი ნავების შენება, რომლებიც ერთდროულად სამოც კაცს მაინც  
დაიტევდა. და ერთხელაც, იმათმა ბადიშებმა, თავდაპირველად ფეხით ვინც  
დაადგა გზას, პირველი საზღვაო ლაშქრობა დაიწყეს: თავიანთ პატარა გემებზე  
დაბარგებულები კუნძულის დასაპყრობად გაეშურნენ. იოლად სერავდნენ ვიწ-  
რო სრუტეებს, სძლევდნენ დინებას, გადადიოდნენ კუნძულიდან კუნძულზე და  
ხოცავდნენ იქაურ მაცხოვრებლებს — მშვიდობიან მიწათმოქმედებსა და მე-  
ოევზეებს, ვისთვისაც უცხო იყო ბრძოლის ხელოვნება. სულ უფრო შორსა და  
შორს მიცურავდნენ და დღითი დღე უფრო მამაცნი და მოხერხებულნი ხდებო-



დნენ: ახლა უკვე ესწავლათ ვარსკვლავების მიხედვით თავიანთი ადგილსამყოფელის გამოცნობა. რაც უფრო და უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო ცხადად წარმოიდგენდნენ ჩრდილოეთის ქვეყნის კოსმებს, ესპლანადებსა და სახლებს. მისი სიახლოვე ახალ-ახალი თანდათანობით მომრავლებული მთაგორიანი და ბარაქიანი კუნძულებითაც გამოიცნობოდა. და ვინ იცის, სამი, ორი, ან სულაც ერთი კუნძულის უკან მოტოვების შემდეგ — სამხრეთელები ანგარიშს კუნძულთა მიხედვით ეწეოდნენ — ეგებ კიდევ მიეღწიათ სანუკვარი კუნძულები მოწინავე რაზმები მიახლოვებოდნენ უკვე ყველაზე დიდ კუნძულს, — შესაძლოა, გზის საბოლოო ეტაპს. ახლა სასწაულებრივი განძი ახლოს იყო და იგი დამპყრობელთა შვილთაშვილს როდი ერგებოდა! დამპყრობლები საკუთარათვალთ იხილავდნენ ყველაფერს. ამის გაფიქრებაზე მენიხებები ერთმანეთს ამხნევებდნენ, დაუდევარი ხელებით კი უფრო სწრაფად და ღონივრად უსვამდნენ ნიჩბებს.

მაგრამ პორიზონტზე გამოჩნდა ვეებერთელა უცხო რაღაცა, რომელსაც გვერდზე ნახვრეტები ჰქონდა, ცაში არნახული ხე აღემართა და ზედ უცნაური ნიშნებიანი ქსოვილი ეკიდა, რომელიც ქარზე ხან იბერებოდა, ხან ძირს ეშვებოდა. დამპყრობლები შეეჯახნენ, კაცმა არ იცის საიდან მოვლენილ სხვა დამპყრობლებს — დაუპატიჟებელი სტუმრები თავს დაესხნენ მათ, თითქოსდა იმისთვის, რათა სამუდამოდ მოესპოთ სამხრეთელი მეომრების მიერ საუკუნეების მანძილზე გულში გამოტარებული ოცნება. დიდ ლაშქრობას არ ეწერა წარმატებით დასრულება: ჩრდილოეთის ქვეყანას აღმოსავლეთიდან მოვლენილი გადამთიელების ხელში ჩავარდნა ელოდა. მწარე სინანულით შეპყრობილი კარიბელები ბრმა მპეინვარებით ესხმოდნენ თავს ვეება ხომალდებს და თავიანთი სიმამაცით ანცვიფრებდნენ მტრის მეზღვაურებს. ინდიელები ებლოტებოდნენ პლანშირებზე და შორეული კონტინენტის მცხოვრებლებისთვის გაუგონარი გააფთრებით და მრისხანებით ეკვეთებოდნენ ევროპის შვილებს. ორი შეურიგებული ისტორიული ეპოქა შეჯახებოდა ამ დაუნდობელ ბრძოლაში, სადაც ერთმანეთს წინააღმდეგობას უწევდა ხალხი, რომელსაც სწამდა ტოტემისა და ხალხი, რომელიც თავყანსა სცემდა ღმერთს. ვინაიდან არქიპელაგი, რომლის გამოც წარმოებდა ეს ბრძოლა, ანაზდად გამხდარიყო ღმერთის მიერ გამორჩეულ არქიპელაგად; მისი კუნძულები, თანდათანობით რომ იცვლიდნენ ძველ სახელწოდებებს, თითქოსდა მსოფლიოს გრანდიოზულ სცენაზე მიმდინარე მისტერიის ნაწილად ქცეულიყო. უცნობი კონტინენტიდან მოსულმა დამპყრობლებმა აქაურ ზღვებში შეხვედრილ პირველსავე კუნძულს ქრისტეს სახელი უწოდეს, და იმავე კუნძულის სანაპიროზე აღმართეს ხის რტოებისაგან გაკეთებული პირველი ჯვარიც. მეორე კუნძულს ღვთისმშობლის პატივსაცემად შეარქვეს სახელი — სანტა-მარია-დე-ლა კონსეპსიონი. ანტილის კუნძულები მზის სხივებით გაკაშკაშებულ გრანდიოზულ ვიტრაჟს დამგვანებოდა, სადაც მწყალობელნი წარმოდგენილნი იყვნენ მათ პატივსაცემად სახელშერქმეული კუნძულებით: „ფერდინანდით“ და „იზაბელათი“. აქ თავისი ადგილი ჰპოვეს: მოციქულმა იოჰანამ, იოანე ნათლისმცემელმა, წმინდა ლუსიამ, წმინდა მარტინმა, უწმინდესმა ქალწულმა გვადელუპამ და სამების წმინდა იპოსტასმა. სხვადასხვა კუნძულზე აღმოცენებულ ქალაქებსაც ქრისტიანული სახელები დაარქვეს: „ნავიდადი“, „სანტიაგო“, „სანტო-დომინგო“.\* ირგვლივ ტლაშუნი გაუდიოდა ზე-

\* „შობა“, „წმინდა იაკობი“, „წმინდა კვირა“ (ესპ.).



ცასავით კრიალა ზღვას, რომელზედაც თეთრი ყელსაბამივით გაბმულიყო „თერთმეტი ათასი ქალწული“, თუმცა სინამდვილეში მათ ისევე ვერ დაითვლიდნენ, როგორც ვარსკვლავებს „ირმის ნახტომზე“. ამერიკის ეს ხმელთაშუა ზღვა, ნახტომი რომ გაეკეთებინა ათასწლეულებს შემდეგ, თითქოს შემკვიდრედ ჰქცეოდა ჭეშმარიტად ხმელთაშუა ზღვას და ხორბალსა და ლათინურთან, ღვინოსა და უულგატასთან<sup>2</sup> ერთად მიეღო ქრისტიანული სარწმუნოება მთელი თავისი წეს-ჩვეულებებითა და სასწაულებით. კარიბელებმა მაინც ვერ მიაღწიეს მაიას იმპერიამდე; ისინი შეაჩერეს, სისხლის ზღვაში აცურეს და გაანადგურეს სწორედ მაშინ, როდესაც ზენიტისათვის მიეღწია საუკუნეების მანძილზე მომზადებულ ლაშქრობას, და კრახით დასრულებულ ამ ეპოპეიდან, რომელიც, ცხადია, ამაზონის მარცხენა სანაპიროზე უნდა დაწყებულიყო, მაშინ, როდესაც იმ სხვეების კალენდრით XIII საუკუნე იღგა, — XIII საუკუნე იღგა მხოლოდ მათთვის — არავითარი კვალი არ დარჩენილა; მარტოოდენ ზღვის სანაპიროსა და მდინარის სიახლოვეს შემორჩა ქვეები კარიბული დამწერლობით. ამ გადარჩენილ ქვეებზე ამოტვიფრული დამწერლობა და მზის ამაყი სიმბოლო შეიძლება მივიჩნიოთ დიდი ლაშქრობის დღემდე დაუწერელი უძველესი ისტორიის ძირითად ეტაპად... ესტებანი იმყოფებოდა ბოკას-დელ-დრაგონის სრუტის შესასვლელთან და თავზე რიფრაჟის წინა, ჯერ ისევ ვარსკვლავებით მოჭედული ცა დაჰყურებდა; დიდი ადმირალი სწორედ აქ აკვირდებოდა, რა თავგანწირვით ებრძვის მტკნარი წყალი მარილიან წყალს, — ეს ბრძოლა გრძელდებოდა სამყაროს შექმნის პირველი დღეებიდან: „ყოველნი ღვარნი შესდიან ზღვასა შინა და ზღვა არ არს აღვსებული, ადგილსა ზედა, სადაცა ღვარნი მივაღვენ, მუნ იგინა მიიქცევიან მისვლად“. მაგრამ მტკნარი წყლის ნაკადი უჩვეულოდ ძლიერი გამოდგა, ის, უეჭველია, სათავეს იღებდა უსასრულო დედამიწის უბეში ანდა ამქვეყნიური სამოთხის წიაღში, რაც ხალხს უფრო სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რადგან სჯეროდა წმინდა ისიდორ სევილიელის მიერ აღწერილი ურჩხულის არსებობა. გეოგრაფიული რუკების შემდგენლები ამქვეყნიურ სამოთხეს და უღედესი მდინარეების მკვებაუ მის სათავეს ხან აზიაში მიუჩენდნენ ხოლმე ადგილს, ხან აფრიკაში. აი, რატომ იყო, რომ ადმირალმა გაუსინჯა თუ არა გემო მტკნარ წყალს, რომელსაც ახლა მისი ხომალდი მიაპობდა, და ნახა თუ არა, რომ იგი „თანდათანობით გამჭვირვალე და გემრიელი ხდებოდა“, ვარაუდი გამოთქვა, რომ მდინარე, რომელსაც მტკნარი წყალი ჩააქვს ზღვაში, სიცოცხლის ხის ძირში უნდა იღებდეს სათავესო. უეცარმა აზრმა იგი აიძულა დაეჭვიბულიყო კლასიკური ტექსტების სიზუსტეში: „მე არ ვიცი და არც არასოდეს შემჩვედრია ლათინებისა თუ ბერძნების მიერ დაწერილი არც ერთი თხზულება, ზუსტად რომ იყოს მითითებული, სად იმყოფება ამქვეყნიური სამოთხე; არც გეოგრაფიულ რუკებზე გამოსახული მინახავს იგი“. და რამდენადაც ბუდღირსპატივცემული, წმინდა ამბროსი და დუნს სკოტი<sup>3</sup> მიწიერ სამოთხეს აღმოსავლეთში ვარაუდობენ — ხალხი ევროპიდან მზის მოძრაობის მიხედვით რომ მიცურავდა და არა მის საპირისპიროდ, ფიქრობდა, რომ აღმოსავლეთს მიაღწიეს — ამიტომ კოლუმბის ზოგიერთ თანამგზავრს განსაცვიფრებელი რწმენა განუმტკიცდა, თითქოსდა კუნძული ესპანიოლა, რომელსაც შემდეგ სან-დომინგო ეწოდა, იყო ტარსი ან კიტია, უფირი<sup>4</sup> ან უფარი ანდა სიპანგო, ასე ერქვათ ძველი წიგნების მიერ მოხსენიებულ კუნძულებსა და მიწას, რომელთა ადგილსამყოფელი ესპანეთის მიერ შემოსახლვრულ სამყაროში მანამდე არ ყოფილა



საიმედოდ მინიშნებული (ასე ჰქონდა მსოფლიო წარმოდგენილი პირინეის ნა-  
 ხევარკუნძულის ხელახლა დამპყრობელ ხალხს). ალბათ დამდგარიყო სენეკას<sup>9</sup>  
 პიერ აღიარებული „გვიანი წლები“: „ოკეანე გაიწ-გამოიწვეს და ახალი ზღვა-  
 მოგზაური, იმისი დარი, ოდესღაც გზა რომ უჩვენა იასონს, აღმოაჩენს ახალ  
 სამყაროს; მაშინ ტულეს კუნძული აღარ იქნება დედამიწის ბოლო წერტილი“<sup>10</sup>  
 ამერიკის აღმოჩენამ რელიგიური აზრი შეიძინა.<sup>7</sup> მარგარიტის სრუტის სამოთ-  
 ხისდარ სანაპიროზე<sup>8</sup> ეს მოგზაურობა ხომ უკვე უჩვეულო სიცხადით იყო აღ-  
 წერილი ისაია წინასწარმეტყველის წიგნში. აღსრულდა იოაჰიმ კალაბრიელის<sup>9</sup>  
 წინასწარმეტყველება — სიონის მთაზე ახალ ტაძარს ესპანეთიდან მოსული აღ-  
 მართავსო: დედამიწის სფერო თავისი ფორმით ქალის მკერდს ჰგავს და იქ, სა-  
 დაც კერტი ივარაუდება, იზრდება ხე სიცოცხლისაო. იმ დღიდან ხალხისთვის  
 ცხადი გახდა, რომ დაუშრეტელი წყარო, წყურვილს რომ უკლავს და ჰკვებავს  
 ყველა ცოცხალ არსებას, იყო არა მარტო განვა, ტიგროსი და ევფრატი, იყო  
 ორინოკოც, მდინარე, რომლის დინებას ვეება ხის ძროები გაჰქონდა ზღვაში;  
 სწორედ ორინოკოს სათავესთან არისო მიწიერი სამოთხე — დაადგინეს ბოლ-  
 ოს და ბოლოს, საუკუნეების ყოყმანის შემდეგ: ახლა იგი ყველასათვის მისად-  
 გომი და ხელმისაწვდომი გახდებოდა, მთელი თავისი დიდებულებით წარმოჩ-  
 ნდებოდა ადამიანების თვალწინ და აქ, დილის მზის სხივებზე მოლიცლიცე  
 ბოკას-დელ-დრაგონის სრუტის გამჭვირვალე წყალზე დიდ აღმირალს შეედლო  
 ბოლოს და ბოლოს გულისთვის ამოეტანებინა სიხარული, რადგან უკვე ჩასწვ  
 დომოდა მტკნარი წყლისა და მარილიანი წყლის დაუსაბამო ბრძოლის მრავალ-  
 საუკუნოვან აზრს და აღტაცებით აღმოეთქვა: „დაე, მეფემ და დედოფალმა, მემ-  
 კვიდრე უფლისწულებმა და ყველა ქვეშევრდომმა აღუვლინონ ქება-დიდება  
 ჩვენს მაცხოვარს იესო ქრისტეს, რომელმაც გარდმოგვივლინა ეგოდენ დიდი  
 გამარჯვება. დაე, ქალაქების ქუჩებში ჩაიარონ მორწმუნეთა პროცესიებმა, გა-  
 იმართოს სადღესასწაულო ზეიმები, დაე, შეამკონ ტაძრები ყვავილებითა და  
 მწვანე რტოებით, დაე, ისევე განიხაროს ქრისტე ღმერთმა დედამიწაზე, როგ-  
 ორც ხარობს ცათა შინა, რამეთუ ხელავს, რომ ახლოვდება ხსნა აქამომდე და-  
 სალუპავად განწირული ხალხისა“. ოქროს სიუხვე ახლად აღმოჩენილ მიწაზე  
 ბოლოს მოუღებს იმ დამამცირებელ დამოკიდებულებას, რასაც განიცდის ადა-  
 მიანი ევროპაში ამ კეთილშობილური ლითონის ნაკლებობით. აღსრულდა  
 წინასწარმეტყველთა სიტყვები, დადასტურდა ძველთაძველ ადამიანთა შორს-  
 მჭვრეტელობა და ღვთისმეტყველთა წინასწარხედვა. დედამიწის სფეროს ამ  
 აღვილებში დასაბამიდან მომდინარე წყალთა ბრძოლა მეტყველებს იმაზე, რომ  
 მრავალსაუკუნოვანი მტანჯველი მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ხალხმა  
 მიაგნო ალთქმულ ქვეყანასო... ესტებანი იმყოფებოდა ბოკას-დელ-დრაგონის  
 სრუტის შესასვლელთან. მას ახსენდებოდა მრავალი ექსპედიცია დედამიწის  
 პირიდან უკვალოდ აღგვილი მხოლოდ იმიტომ, რომ მიეტოვებინათ მარილიანი  
 წყალი და მტკნარი წყლის სიღრმეში შესულიყვნენ ალთქმული მიწის საძებ-  
 ნელად, რომელიც მოჩვენებითი იყო მირაჟივით და მუდამ თვალსა და ხელს  
 შუა სხლტებოდა. იმდენად მოჩვენებითი იყო და ისე ჯიუტად უსხლტებოდა  
 ხელიდან, რომ, ბოლოს და ბოლოს, სამუდამოდ გაქრა სადღაც პათაგონიის  
 ტბის<sup>10</sup> ცივი სარკის მიღმა. „ამორძალის“ ბორტს დაყრდნობილი ჭაბუკი გაჰყუ-  
 რებდა ტყეებით დასერილ სანაპიროს და თავისთვის ფიქრობდა, რომ ეს ადგი-  
 ლები შეიძლება არც შეცვლილიყო იმ დღის შემდეგ, როცა მათ უმზერდა იზა-  
 ბელასა დ ფერდინანდის დიდი აღმირალი, რომელსაც ჯერ კიდევ სწამდა მი-



თი აღთქმულ მიწაზე. გადიოდა საუკუნეები და ცხოვრებასაც არაერთხელ შე-  
 უცვლია ეს მითი, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი არსი: არსებობდა, უნდა  
 ეარსება, ყველა ეპოქაში უეჭველად უნდა ეარსება უკეთეს სამყაროს. კარი-  
 ბელ ინდიელებს თავისებურად წარმოედგინათ ეს უკეთესი სამყარო, თავისებ-  
 ურად წარმოედგინა იგი აქ, ბოკას-დელ-დრაგონის სრუტის ბობოქარ წყლებ-  
 ში იზაბელასა და ფერდინანდის დიდ ადმირალსაც, რომელმაც ცხუბინჯა თუ  
 არა გემო შორიდან მოსულ ამ მტკნარ წყალს, იგრძნო რაღაც გაცისკროვნება  
 და გასხივოსნება. პორტუგალიელები ოცნებობდნენ პრესვიტერ იოანეს<sup>11</sup> დიდუ-  
 ლულ სამეფოზე, კასტილიის ზეგნის შვილებმა კი ერთხელ გემო გაუგეს თუ  
 არა ნივრიანსა და ზეითუნის ზეთიან ხმელ პურს, ფიქრი დაიწყეს ხაუხის<sup>12</sup>  
 ზღაპრულად მდიდრულ ველზე. ენციკლოპედიისტებმა ძველი ინკების სახელმ-  
 წიფოში საუკეთესო ქვეყანა დაინახეს; ევროპელებს საუკეთესო ქვეყნის წარ-  
 მომადგენლებად მოეჩვენათ შეერთებული შტატების პირველი ელჩები: ისინი უპა-  
 რიკოდ იყვნენ, ეცვათ აბზინდიანი ფეხსაცმელი, აზრს ნათლად და უბრალოდ  
 გადმოსცემდნენ და ადამიანებს თავისუფლების სახელით ლოცავდნენ.  
 ივითონ ესტებანიც მოგიზგიზე, ცეცხლოვანი სვეტებით დაბრძალებული, არც-  
 თუ ისე დიდი ხნის წინათ გაემგზავრა ახალი სამყაროს საქებნელად. ახლა ჭა-  
 ბუკი უკან ბრუნდებოდა, დამსხვრეოდა ძველი ოცნებები და საშინლად დაქა-  
 ნცული ამოდ ცდილობდა რაიმე სასიამოვნოს გახსენებას. ხომალდზე მყოფი  
 ფიქრობდა უკან მოტოვებულზე და ყველა ნახანძრალი, დევნა თუ სიკვდი-  
 ლით დასჯა ეჩვენებოდა ერთ გაჭიანურებულ კომმარად, იმდაგვარ კომმარად,  
 რაზედაც კაზოტი წერდა: დადგება დრო და აქლემები მეძებრებს ამოანთხევე-  
 ნო; როგორც ეტყობა, დასასრულს მიახლოვებული ამ საუკუნის ბოლო ხანებ-  
 ში, რომელიც სავსე იყო რამდენიმე საუკუნისთვის სამყოფი ხანგრძლივი და  
 ძალზე მდიდარი მოვლენებით, ამოდ არ ვრცელდებოდა უამრავი წინასწარმე-  
 ტყველება ქვეყნის მოახლოებულ აღსასრულზე... ფერები, ხმები თუ სიტყვები  
 ჯერ ისევ განუწყვეტლივ რომ სდევდა ჭაბუკს, მასში სადღაც შიგნით ბადებდა  
 დრო ტკივილს, და ეს ტკივილი იმ უსიამოვნო შეგრძნებას ჰგავდა, რომელიც  
 თან ახლავს სახიფათო, ღამის სასიკვდილო სნეულების უკანასკნელ შემოტევას,  
 რაც ავადმყოფს დამთრგუნველი შიშით ავსებს და მის გულს ყრუ, აჩქარებ-  
 ულსა და არათანაბარ ძვერას აიძულებს. ყოველივე ის, რაც უკან დარჩენილი-  
 ყო, რაც ესტებანის ხსოვნაში სამუდამოდ დაკავშირებოდა ჯოჯოხეთურ წყვი-  
 ადს და მრისხანე არეულობას, დოღების ბრაგაბრუგსა და სასიკვდილო ხრო-  
 ტინს, ეშაფოტზე სიკვდილმისჯილთა ყვირილს, ახლა მას მიწისძვრად, სა-  
 ყოველთაო შეშლილობად თუ რიტუალურ ურჯულობად ეჩვენებოდა.

— მე ბარბაროსებიდან დავბრუნდი, — უთხრა სოფიას, როდესაც მის წინ  
 ზეიმურად გაიღო ანჯამებზე აჭრიალებული მშობლიური სახლის მძიმე კარი.

სახლი ძველებურად იდგა ქუჩის კუთხეში და ადრინდელივით მაღალი, თე-  
 თრი გისოსებით იყო დამშვენებული.



ნაწილი მეხუთე

გონივრულია თუ არა.

პოია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

XXXV

— შენა ხარ? — შესძახა სოფიამ მზით გარუჯული, დავაჟკაცებული, მხარ-  
სეჭიანი, ვეება უხეშხელებიანი კაცის დანახვაზე, რომელსაც, როგორც ყველა  
მეზღვაურს, მთელი თავისი ავლა-დიდება ზურგზე ეკიდა. შენა ხარო, — ეკით-  
ხებოდა და კოცნიდა პირდაპირ ტუჩებში, გაუპარსავ ლოყებზე, შუბლსა თუ ყე-  
ლში.

— შენა ხარ? — დაბნეული იმეორებდა ესტებანიც და განცვიფრებული მის-  
ჩერებოდა მკლავებში მოქცეულ ჩამკვრივებულსა და გაღალბებულ ქალს, რომე-  
ლიც სულ აღარ ჰგავდა იმ ეიწროთემოებიან ქალიშვილს, ვისი ხატებაც სულ  
იან დასდევდა.

ღიახ, მის წინ მდგარი ქალი აღარაფრით ჰგავდა ძველ სოფიას, რომელიც  
მისთვის მარტო ბიძაშვილი კი არ იყო, იყო ქალიშვილი-დედა, მოუხეშავი მო-  
ზარდი, მის ყმაწვილურ თამაშობათა ამხანაგი, მეგობარი, ყოველთვის მხსნელ-  
ად მოვლენილი მტანჯველი ავადმყოფობის შემოტევისას. აქეთ-იქით იყურებო-  
და, ირგვლივ ყველაფერი ნაცნობი იყო, მაგრამ მაინც ვერ მოეშორებინა თა-  
კოდან გაუცხოების გრძნობა. ის ოცნებობდა შინ დაბრუნებაზე, ახლა კი რა-  
ტომღაც სიხარულს ვერა გრძნობდა ნაცნობი სახლი — მერედა როგორი ნაცნ-  
ობი სახლი — უცხო ეჩვენებოდა, ველარ ჰგუობდა მიჩვეულ საგნებს. კუთხეში  
ისევ ძველი არფა იდგა, მის ზემოთ კვლავინდებურად ეკიდა ხალიჩა, რომე-  
ლზედაც ამოქარგული იყო თუთიყუში, მარტორქა და ბედაურები. ფანჯრებს  
შუა ეკიდა დამჭკნარგირლანდებიანი, ჩარჩოში ჩასმული ვენეციური სარკე. კე-  
დლის გაყოლებით ჩაემწკრივებინათ წიგნებით სავსე თაროები, ამას-  
თან, წიგნები ახლა ისე ეწყო, როგორც წესი და რიგია. სოფი-  
ასთან ერთად გაიარა სასადილო ოთახი, სადაც იდგა ვეება ბუფეტი, კედ-  
ლზე კვლავინდებურად ეკიდა ლაქით დაფარული ნატურმორტები — ხილშემო-  
რიგებული ხობბები და კურდღლები. გაიარეს სამზარეულოც და მიადგნენ მი-  
ბავშვობისდროინდელ ოთახს.

— მოიცა, გასაღებს მოვიტან, — უთხრა სოფიამ.

და ესტაბანს გაახსენდა კრეოლურ ოჯახებში დადებული წესი — სამუდა-  
ნოდ დაეკეტათ გარდაცვლილთა ოთახი.

კარის გაღებისთანავე ჭაბუკს თვალში ეცა დამტვერილი თოჯინების გრო-  
ვა და ფიზიკის ხელსაწყოები: ისინი უწესრიგოდ ეყარა ყველგან — იატაკზე,  
სავარძლებზე თუ ვიწრო რკინის საწოლზე, რომელიც კარგა ხანს ტანჯვის სა-  
რეცელად ჰქონდა ქცეული; გახუნებული საჰაერო ბუშტი ისევ თოკზე ეკიდა;  
თოჯინების თეატრის სცენა ისევ ისე წარმოსახავდა ხმელთაშუა ზღვის რომ-  
ელიდაც პორტს — მასზე თუნდაც ახლა შეიძლებოდა წარმოდგენილიყო „სკაბე-  
ნის ოინები“. მაიმუნთა ორკესტრის ირგვლივ მიმოფანტულიყო დამტვერეულ-  
ლეიდენური ქილები, ბარომეტრები და ზიარჭურჭელი. თავის ბავშვობასთან,  
უფრო სწორად, თავის ყრმობასთან უეცარმა შევრამ ესტებანს ტირილი მოჰგ-  
ვარა, სოფიას კალთაში თავწარგული დიდხანს ქვითინებდა, როგორც ბავშვო-



ბაში ტიროდა ხოლმე, როცა თავის მწუხარებას ანდობდა და მოთქვამდა იმაზე, რომ ერთი ავადმყოფი და ბელუკულმართი ადამიანი იყო. დარღვეული კავშირი უმაღლესად და გარშემო მყოფმა საგნებმაც თითქოს ენა ამოიდგეს. ესტებანი და სოფია სურათებით კედლებდაფარული წინკარის გავლით ისევ სასადილო ოთახში შევიდნენ, არლეკინი კუნძულ ციტერაზე ხალისიანად აწყობდა მხიარულ ფერხულს. შარდენის<sup>1</sup> მიბაძვით შესრულებულ ფფფფფფფფფფამ ცივ ნატურმორტზე კვლავინდებურად იწონებდნენ თავს თქვენივე ხელს ლარნაკი, ორი ვაშლი, პურის ნაჭერი და პრასის კონა, მეორე ტილო კი წარმოსახავდა უკაცრიელსა და მონუმენტურ მოედანს — ეს სურათი, სადაც, როგორც იტყვიან, იყო ნაკლები ჰაერი და არა ჰყოფნიდა პერსპექტივა, წერის მანერით ჟან-ანტუან კარონის<sup>2</sup> ნამუშევრებს მოგაგონებდათ. ისევ ძველ ადგილზე ეკიდა ჰოგარტის სატირული პერსონაჟები, რომლებიც თითქოსდა მიელტვოდნენ სურათს, რომელზედაც აღბეჭდილი იყო „წმინდა დიონისეს წარკვეთა“, მისი ფერები ტროპიკული მზის სხივებს არა თუ გაეფერმკრთალებინა, პირიქით, თითქოს უჩვეულო სიცხოველეს კი შეეძინა მისთვის.

— ეს სურათი ახლახან აღვადვინეთ და ლაქით დავაფარინეთ, — აუხსნა სოფიამ.

— ვხედავ, ვხედავ, გეგონება, ნამდვილი სისხლია.

მაგრამ ცოტა მოშორებით, იქ, სადაც ოდესღაც მკისა და რთვლის ამსახველი ტილო ეკიდა, უკვე ახალი, საოცრად მშრალი მანერით შესრულებული ზეთის საღებავით დაწერილი ტილო მოჩანდა: მასზე ძველი ისტორიის, ტარკვინიუსისა და ლიკურგეს ცხოვრების ამსახველი, დამმოდერი სცენები იყო წარმოსახული, — მსგავსმა სიუჟეტებმა საკმაოდ მოაბეზრეს თავი ესტაბანს საფრანგეთში ყოფნისას.

— ვხედავ, უკვე თქვენამდეც ჩამოულწევია ამგვარ სურათებს.

— ახლა მაგნაირ ტილოებს ყველაზე დიდი გასავალი აქვს, აქ მარტო ფერთა თამაში როდია, ეს აზრიანი ხელოვნებაა, შეიძლება, მაგალითად გამოვადგეს, ფიქრი გაიძულოს, — მიუგო სოფიამ.

მაგრამ ესტაბანი უკვე დიდი შინაგანი მღელვარებით გარინდულიყო უცნობი ნეაპოლიტანელი ოსტატის ტილოს წინაშე — „აფეთქება კათედრალურ ტაძარში“, სურათში, ეტყობა, ნაგულისხმევი იყო მრავლისმაუწყებელი, ამჟამად უკვე ახდენილი მოვლენა, და ყმაწვილი კაცი დაბნეულიყო, აღარ აცოდა, რანაირად აეხსნა მათ სახლში საესეებით საიდუმლოდ მოხვედრილი, ყველა მხატვრული სკოლისათვის უცხო ეს წინასწარმეტყველური ტილო, რომელსაც დაერღვია პლასტიკის თითქმის ყველა კანონი. თუკი ტაძარი, იმ დოქტრინის შესატყვისად, რასაც თავის დროზე ესტაბანს ასწავლიდნენ, იყო სიმბოლო — კიდობანი თუ სანაწილე მისი საკუთარი არსებისა, მაშინ, უეჭველად, აფეთქება იქ ნამდვილად მოხდა, აფეთქება დახანებული და შეყოვნებული, რომელსაც დაენგრია საკურთხეველი, ემბლემები და წმინდათაწმინდა საგნები, რომელთაც ადრე თავყვანსა სცემდა... თუ ტაძარი ეპოქის სიმბოლოს წარმოადგენდა, მაშინ უსაშინლეს აფეთქებას ოღონდაც რომ საფუძვლიანად შეერყია ყველა მისი მთავარი ბურჯი და ნანგრევების ქვეშ შესაძლოა სწორედ ის ადამიანები მოეყოლებინა, რომელთაც ჯოჯოხეთური მანქანა შეექმნათ; თუ ტაძარი ქრისტიანული ეკლესიის სიმბოლოს წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში, როგორც ესტაბანმა შენიშნა, მასიური სვეტების ნაწილი ტყუილებრალოდ არ გადარჩენილიყო, მაშინ, როცა კოლონადის მეორე წყება ჰაერში იყო ატყორც-



ნილი, თანაც მისი ნამსხვრევები კი არ გაფანტულიყო, არამედ აპოკალიპსურ ბოჩვენებასავით ჰაერშივე გაშეშებულიყო. დაუზიანებლად გადარჩენილი სვეტები თითქოსდა გამოხატავდნენ იმ შენობის გამძლეობასა და ურყეობას, რომელსაც კვლავაც აღორძინება ეწერა, როდესაც გადაივლიდა ნგრევის ხანა და ჩაქრებოდნენ ძველის სიკვდილისმაუწყებელი ვარსკვლავები.

— შენ მუდამ გიყვარდა ამ სურათის ცქერა, — უთხრა სოფიამ შენ წარმოიდგინე, უაზრო და გულისდამამძიმებელი მეჩვენება.

— ეგ კი არა, ჩვენი დრო არის უაზრო და გულისდამამძიმებელი, — მიუგო ესტებანმა.

ესტებანს უცებ ბიძაშვილი გაახსენდა და იკითხა, კარლოსი როგორღა არისო.

— დილაუთენია ჩემს ქმართან ერთად სოფელში წავიდა, საღამოზე დაბრუნდებიან...

სოფიას ენა დაება, რაკი შეატყო, რომ მის სიტყვებზე ესტებანს საშინელი დაბნეულობა და წუხილი აღებუჭდა. მერე სოფიამ უდარდელი და დაუდევარი კილოთი, მისთვის უჩვეულო ენამრავლობით დაიწყო თხრობა, რომ ერთი წლის წინათ გათხოვდა კაცზე, რომელიც ახლა სავაჭრო საქმეებში კარლოსის კომპანიონი გამხდარიყო, და ამასთან მიუთითა ადრე მუდამ დაკეტილ ცალკარიან პატარა ეზოზე, სადაც ჰყვოდა ყვავილები და იდგა აქაურობისაივის სრულიად შეუფერებელი სვეტების დარი ორი პალმა. ფრანკმასონების დევნა რომ შეწყდა, — თუმცა ყველაფერი ცარიელი მუქარა გამოდგა — კარლოსმა თავიდან მოიშორა დონ კოსმე და ისეთი კომპანიონის ძებნა დაიწყო, რომელიც საქმეში გამოცდილებას, შრომისმოყვარეობას და კომერციული საქმეების ცოდნას გამოიჩენდა, ერთი სიტყვით, ექნებოდა ისეთი თვისებები, რაც აკლდა თავად კარლოსს. სწორედ ასეთ მცოდნე ადამიანს, სავაჭრო ოპერაციებში გარკვეულ კაცს გაეცნო იგი მასონთა ლოჯიაში.

— ლოჯიაში? — ჩაჰკითხა ესტებანმა.

— ნუ მაწყვეტილებ, — სთხოვა სოფიამ და აღტაცებით მოჰყვა ქმრის ქებას, რომელსაც, მისი თქმით, უმაღლესი გაუმჯობესებინა ფირმის საქმე, ესარგებლა ჰვეყნის არაჩვეულებრივი აღმავლობით და გაესამშაგებინა, ლამის ხუთმაგიც კი გაეხადა მათი შემოსავალი, — ახლა შენ მდიდარი ხარ, ნამდვილი მდიდარი, — შესძახა ესტებანს აღტაცებისაგან ლოყებანთებულმა. — ყველაფერ ამას ხორხეს უნდა ვუმაღლოდეთ. ერთი წელია ვიქორწინეთ. მისი პაპა და ბებია ირლანდიელები არიან, ო' ფარილების გვარისაა წარმოშობით.

ესტებანს არ მოეწონა, რომ სოფიამ არ დააყოვნა აღენიშნა თავისი ნათესაური კავშირი კუნძულის ერთ-ერთ ყველაზე ძველსა და გავლენიან ოჯახთან.

— ახლა ალბათ ხშირად მართავ დარბაზობებს? — კუშტად ჰკითხა ესტებანმა.

— ნუ სულელობ, ჩვენს სახლში არაფერი არ შეცვლილა, ხორხეც სულ ჩვენა გვგავს, აი, ნახავ, როგორ კარგად შეეწყობი.

და მოჰყვა იმაზე ლაპარაკს, რა კმაყოფილი იყო, როგორ უხაროდა, რომ შეეძლო ბედნიერების მინიჭება სხვისთვის, რომ მას ახლა თავდაჯერებულობისა და სიმშვიდის საოცარი გრძნობა დაუფლებოდა, რაკი ჰყავდა ცხოვრების ერთგული თანამგზავრი. მერე თითქოსდა თავისი უნებური ღალატის გასამართლებლად დააყოლა:

— შენ და კარლოსი კაცები ხართ, ადრე თუ გვიან, ოჯახებს მოეკიდებით.



რატომ მომწერებიხარ ვგრე? ხომ გეუბნები, ჩვენს სახლში ყველაფერი ძველბურად დარჩა-მეთქი.

ესტებანი მაინც ნაღვლიანად შეჰყურებდა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ სოფიასაგან მოისმენდა ბურჟუაზიული მორალისათვის ნიშანდობლივ ამდენ რამეს: „ბედნიერების მინიჭება სხვისთვის“, „თაუდაჯერებულობის საოცარი გრძნობა“, რომელსაც განიცდის ქალი, როცა იცის, რომ „ჰყავს ცხოვრებას ერთგული თანამგზავრი“... საშინელება იყო იმის გაფიქრება, რომ სახლა არა გონება, არამედ მხოლოდ ქალის ბუნება მეტყველებდა სოფიას ბავით, — იმ ქალის ბავით, რომლის თვით სახელსაც კი იგი „მომღიძარი სიბრძნისა“ და მხიარული გონების მფლობელად უნდა ექცია. ესტებანის წარმოიდგენაში სახელი „სოფია“ ყოველთვის განუყოფელი იყო ბიზანტიური ტაძრის ძალადი გუმბათისაგან, სიცოცხლის ხის მარადმწვანე რტოებისაგან, ძველბერძენ არქონტთა დიდებულებისაგან, უბიწოების უდიდესი საიდუმლოებისაგან. მაგრამ აი, საკმარისი გამოდგა განეცადა ფიზიკური ჰარმონიის გრძნობა, რომელიც შესაძლოა წარმოეშვა ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელ მომავალი დედობის სიხარულს, — ამის მიხვედრა შეეძლო, რადგან მოწიფულობის შემდეგ სისხლი, რომელიც დასაბამს იღებს ქალის არსების წიაღში, პირველად შეწყვეტდა თავის რეგულარულ დენას, — და მისი უფროსი და, ქალიშვილი-დედა, ოდესღაც ქალურობის უმაღლესი განსახიერება ანაზღეულად ქცეულიყო დინჯ, წინდახედულ და სათნო მეუღლედ, რომელიც მხოლოდ თავის სანუკვარ მუცლადღებულ ნაყოფზე ფიქრობდა, ამასთან ეამაყებოდა ქმრის ნათესაობა ოლიგარქიასთან, ვისაც სიმდიდრე იმის წყალობით შეეძინა, რომ საუკუნეების მანძილზე სწოვდნენ სისხლს შავი მონების მთელ თაობებს. და თუ დიდხანს შინ არყოფნის შემდეგ დაბრუნებული ესტებანი საკუთარ სახლში უცხოდ გრძნობდა თავს, კიდევ უფრო უცხოდ და გარმძიანულად გრძნობდა თავს ამ ქალის თანდასწრებით, რომელიც მეტისმეტად აშკარად ავლენდა თავის უფლებამოსილებას და პატრონობას მათ სახლზე, სადაც ყველაფერი ზედმეტად კეთილმოწყობილი, ზედმეტად სუფთა და ყოველგვარი შემთხვევითობისაგან ზედმეტად დაზღვეული ეჩვენებოდა. „აქ ყველგან იგრძნობა ირლანდიური სული“ — გაიფიქრა ესტებანმა და ნებართვა ითხოვა (სწორედაც რომ „ნებართვა ითხოვა“), დაუბანო. სოფიამ იგი, ჩვეულებისამებრ, მიაცილა სააბაზანო ოთახამდე და იმდენხანს ექაქანებოდა, სანამ ესტებანი მოკლე საცვლის ამარა არ დარჩა.

— ოჰ, დიდი საიდუმლოა! ვითომც უთვალავჯერ არ მენახოს ეგ შენი სათაკილო, — სიცილით უთხრა სოფიამ და თეჯირის ზემოდან კასტილიური საბინი გადაუგდო.

შემდეგ ესტებანი სამზარეულოსა და საწყობში გაეშურა, გადაეხვია მის დანახვაზე გახარებულ როსაურასა და რემიხიოს; მის აქ არყოფნაში თითქმის არც ერთი არ შეცვლილიყო: როსაურა კვლავინდებურად გამოირჩეოდა თავისი სანდომიანობით, რემიხიოს წლოვანებას კი ვერ გამოიცნობდით — ამ ზანგს, ეტყობა, მთელი საუკუნე ცხოვრება ეწერა სააქაოში.

სოფიამ და ესტებანმა ერთად ისაუბრეს, თან უმნიშვნელო რამეებზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ სულ ერთმანეთს მისჩერებოდნენ; თითოეულს ძალზე ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ვერც ერთი ვერა ბედავდა. ესტებანი გაკვრით იხსენებდა ნანახსა და განცდილს, მაგრამ დაწვრილებით არაფერს ჰყვებოდა. თუ მათ შორის კვლავ დამყარდებოდა ხანგრძლივი განშორების გამო გაწყვეტილი ადრინდელი სულიერი ერთობა და გაბედავდა გულის გადაშლას,



პრავალი საათი და დღე დასჭირდებოდა, რათა მოეთხრო ყველაფერზე, რაც რამ განეცადა და გადაეტანა იმ შფოთიანსა და ბობოქარ წლებში. ახლა როცა ის წლები უკან დარჩენილიყო, ეჩვენებოდა, რომ მათ სწრაფად ჩაექროლათ. და მაინც ამ მოკლე დროშიც აქ ბევრი რაღაც, უმთავრესად კი ზოგიერთი წიგნი, უჩვეულოდ მოძველებულიყო. თაროზე აბატ რეინალის თხზულების დანახვაზე ლამის სიცილი წასკდა. ბარონი პოლბახი, მარმონტელი თავისი ხატირებულ ინკებით, ვოლტერი, ვისი ტრაგედიებიც ასე საჭირობოროტო იყო, მარტინოვი საჭირობოროტო კი არა, გამანადგურებელი, სულ ათიოდე წლის წინათ, ახლა მას მოძველებულად, დროისაგან ჩამორჩენილად და ისევე დახავსებულად მიაჩნდა, როგორც შეიძლება მიეჩნია XIV საუკუნის ფარმაკოლოგიის ტრაქტატი, მაგრამ არაფერი ეჩვენებოდა ისეთ ანაქრონიზმად, როგორც „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“<sup>5</sup> ეს ნაწარმოები მთლად უსარგებლოდ და უმაქნისად ქცეულიყო მრისხანე მოვლენების ზემოქმედებისაგან. ესტებანმა აიღო წიგნი, რომლის გვერდები ოდესღაც აეჭრებოდა ძახითი ნიშნებით, შენიშვნებით და მინაწერებით.

— გახსოვს? — ჰკითხა სოფიამ და თავი ბიძაშვილის მხარს მიაყრდნო, — ადრე ვერაფერი გამეგო ამ თხზულებისა. ახლა ყველაფერი მშვენივრად მესმის.

და-ძმა ზემო სართულის ოთახებში ავიდა. ესტებანი განიერი „საქორწინო სარეცლის“ წინ შეჩერდა, რომელიც მას ძალზე ვიწრო მოეჩვენა — ამ სარეცელს სოფია იყოფდა მისთვის უცნობ, ვიღაც უცხო ადამიანთან; ყმაწვილი კაცი მღუმარედ მისჩერებოდა სასთუმლების გვერდით მდგარ ლამის მაგიდებს, იქვე დაწყობილ ნაირ-ნაირ ყუიან წიგნებს, მისი ბიძაშვილის ფეხსაცმლის გვერდით მეორე წყვილ ტარსიკონის ლამის ფეხსაცმელს. თავი კვლავ უცხოდ მოეჩვენა და არ ისურვა მეზობელ ოთახში, „ხორხეს კაბინეტში“ დაბინავება, თუმცა „ხორხეს ამ ოთახით არასოდეს ესარგებლა“, და კვლავ თავისი ძველი სენაკისაკენ გაეშურა. ფიზიკის ხელსაწყოები, მუსიკალური ყუთები და თოჯინები კუთხეში მიაწყო და ჰამაკი კედლებში დატანებულ მსხვილი ლითონის რგოლებზე გააბა — ამ რგოლებზე თავის დროზე გამობმული იყო დაგრეხილი ზეწარი, რომელსაც იგი ნიკაპით ეყრდნობოდა ასთმის შემოტევისას. ანაზღად სოფიამ ვიქტორ იუგის ამბავი იკითხა.

— ვიქტორი აღარ გამახსენო, ნამდვილ მხეცად იქცა, — უპასუხა თავის ბრეზენტის ტომარაში ხელების ფათურში გართულმა ესტებანმა, — პო, მართლა, შენთან წერილი გამომატანა.

ესტებანმა ჯიბეში რამდენიმე მონეტა ჩაიღო და ქუჩაში გავიდა. ის მოუთმენლად ელოდა მშობლიურ ქალაქში გავლას, სადაც ხომალდიდან ჩამოსვლისთანავე უამრავი ცვლილება შეამჩნია. სულ მალე მიაღწია კათედრალურ ტაძარს: მისი მკაცრი ანტაბლემენტები — გამოკვეთილი ადგილობრივი ქვისაგან, რომელიც ქვისმთელთა ხელში მოხვედრისთანავე ძველ იერს იღებდა, გვიანდელი პერიოდის ბაროკოს სტილის ხვიებით მთავრდებოდა. ვისოსებიანი და აივნებიანი სასახლეებით გარშემორტყმული ეს არცთუ დიდი ხნის წინათ აგებული ტაძარი მეტყველებდა იმათი გემოვნების ევოლუციაზე, ვინც განსაზღვრავდა ქალაქის არქიტექტურას. გვიან სადამომდე დაეხეტებოდა ესტებანი ჰავანას ქუჩებში, — ოფისიოსის ქუჩიდან ინკისიდორის ქუჩაზე გადავიდა, იქიდან კი მერკადერესზე; ქრისტეს მოედნის გავლით სულიწმინდის ტაძართან აღმოჩნდა. გაიარა ახლად აშენებული პაულის პროსპექტი და დე არმა-



სის მოედანი — შებინდებოდა თუ არა, მის თალებქვეშ თავს იყრიდნენ ხმაურიანი, უსაქმური ქალაქელები. ერთ-ერთი ფანჯრის ქვეშ შეჯგუფული შარახუეტიები ევროპიდან ახლად ჩამოტანილი, მათთვის ჯერ უცხო ფორტეპიანოს ხმას ისმენდნენ. თავიანთი სადალაქოების ზღურბლზე მდგარი დალაქები გიტარის სიმებს აწვალვებდნენ. რომელიღაც პატიოში მეფოკუსე მიაძიებ მაყურებელს მოლაპარაკე თავს უჩვენებდა. გვერდით ჩავლიტყა [არმა შარილიანმა ზანგმა გოგომ — პროსტიტუციას ღრმად პატივცემულს [კათოლიკე] ქალბატონის გასამდიდრებლად რომ ეწეოდნენ — ესტებანს უხმეს. იმანაც ჯიბეში მონეტები მოისინჯა და ბინდბუნდში საეჭვო ფუნდუკისკენ გაჰყვათ უკან... შინ გვიან ღამით დაბრუნდა. კარლოსი ძმას გზაშივე მიეგება და გადაეხვია. ახალგაზრდა ნეგოციანტი თითქმის არ შეცვლილიყო, თუმცა დავაჟკაცებული ჩანდა, უფრო დარბაისლურად გამოიყურებოდა, ოდნავ კიდევ შესუქებულიყო.

— ჩვენ, კომერსანტები ბინადრულ ცხოვრებას ვეწევი... — თქვა სიცილით. ამ დროს სოფია შემოვიდა, თან ქმარი ახლდა, გამზდარი იყო, გარეგნულად ოცდახუთი წლის გეგონებოდათ, თუმცა უკვე ოცდაცამეტი შესრულებოდა. ჰქონდა დახვეწილი, კეთილშობილური ნაკვთები, ღამაზი სახე, მაღალი შუბლი, მგრძნობიარე პირი, რასაც რამდენადმე უფუჭებდა ქედმაღლური, ცივი გამომეტყველება. ესტებანი, რომელსაც ეშინოდა, რომ დაინახავდა ჩვეულებრივ ყბედსა და გონებაშეზღუდულ ვაჭარს, სასიამოვნოდ განაცვიფრა ხორხეს გარეგნობამ; თუმცა იმის შემჩნევაც მოასწრო, რომ სოფიას მეუღლის სიარულში, მანერასა თუ ტანსაცმელში, ხელალებით ყველაფერში, მუდავნდებოდა რაღაც ფიქრიანი შემწყნარებლობა, დაბნეული თავაზიანობა და მსუბუქი მელანქოლია. გადაკეცილი ბრტყელსაყელოიანი შავი კოსტუმის სიყვარული და დაუდევარი ვარცხნილობა იმ ახალგაზრდების ნიშანდობლივი თვისება იყო, ვისაც სულ რამდენიმე წლის წინათ უმაღლესი განათლება გერმანიაში ანდა, ხორხეს დარად, ინგლისში მიეღოთ.

— აბა, ერთი გაბედე და თქვი, რომ ღამაზი არ არის ჩემი ქმარი, — უთხრა სოფიამ ესტებანს, თან მეუღლეს აღფრთოვანებით შეჰყურებდა. იმ საღამოთი დიასახლისმა ბრძანა, მაგიდაზე მოოქროვილი კანდელაბრი დაედგათ და ვერცხლის ჭურჭელი გაეშალათ, რათა ღირსეულად აღენიშნათ კვლავ ერთად თავშეყრილი ოჯახის პირველი ტრაპეზი.

— ეტყობა, ყველაფრისათვის მუსრი გაგივლიათ, — გაიხუმრა ესტებანმა, როცა ხონჩებით ზედიზედ შემოიტანეს შემწვარ-მოხრაკული ფრინველები და ძნელსაცნაური, პიკანტური საწებლები.

ამ ვახშამმა ესტებანს გაახსენა ამავე ოთახში გამართული ნადიმი გუშინდელი სამი მოზარდისათვის, ვისაც პოტსდამის სასახლეში, კარლსბადის კურზალში ანდა სადღაც ვენის გარეუბნებში, როკოკოს სტილით ნაგებ სასახლის პალატებში წარმოედგინათ თავი. სოფიამ აუხსნა, რომ შემწვარი ნანადირევი, ცომში შებრაწული პაშტეტი, ღვინის საწებლიანი თირკმელა, სოკოთი დატენილი ხბოს ხორცი მომზადდა ევროპაში დიდხანს ნაცხოვრები კაცისთვის, ვინც ალბათ რჩეულ საჭმელებსაა მიჩვეულიო. ესტებანი კი იძულებული იყო ელიარებინა, — აქამდე ამაზე არც დაფიქრებულა, — რომ ის უმნიშვნელო პერიოდი, როცა აღტაცებაში მოჰყავდა სამზარეულოს თავისი არაჩვეულებრივი მდიდრული არომატით, ნაირ-ნაირ საწებლებით, სახელებლებით, სურნელოვანი მწვანილებით, სუნელებით და რჩეული ესენციებით, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. იქნებ იმიტომაც, რომ რამდენიმე თვე დაკმაყოფილება უხდებოდა



ერთევეხათი, წიწაკითა და ბასკებთან გავრცელებულ სხვა ყოველდღიური სა-  
ნოვაგით, შეჩვეოდა გლეხებისა და მეზღვაურების უბრალო, საღ საჭმელებსა  
და ეს უბრალო საჭმელები სწორედ იმის გამო ერჩივნა, რის გამოც მათ აგლებ-  
ულად „ბლანტი საწებლებით“ შენელებულ კერძებს ეძახდნენ, და ახლა იგი  
უპირატესობას ანიჭებდა დადარში შემწვარ გამჭვირვალე, სურნელოვან ბა-  
ჭატს; კარაქში დაბრაწულ მწვანე ბანანს; პალმის ხის გულს, რომელიც გემ-  
ოთი საოცრად ჰგავს სატაცურს და შეიცავს ხის ყველანაირ მასწარებლებელ  
წვენს; კუსა და გარეული ტახის შაშხს; ზღვის სანაპიროზე მანგროს რტოე-  
ბზე მცხოვრებ ზღვის ზღარბსა და ხამანწკას, ჯარისკაცურ ორცხობილაჩამტ-  
ურულ ცივ შეჭამადს, შიგ პაწაწინა კიბორჩხალები რომ ცურავენ, — მათი  
შემწვარი კანი კბილებშუა ტკაცუნით იმსხვრევა და კიბორჩხალას ხორცს  
ზღვის მარილის გემოს აძლევს. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ბადიდან ახლად  
ამოყვანილი სარდინი მოსწონდა, რომელსაც ლამის ცოცხლად სწვავენ  
ცხელ ტაფაზე ნაშუაღამევის თევზაობის მერე — მას იქვე გემბანზე ჭამდნენ.  
შავ პურსა და ქორფა ხახვს ატანდნენ, თან პირდაპირ რუმბებიდან ზედ შავ  
ღვინოსაც აყოლებდნენ.

— მე კი დღე და ღამე გავასწორე და საგულდაგულოდ შევისწავლე სამზა-  
რეულო წიგნები, — სიცილით უთხრა სოფიამ.

ყავა დიდ სასტუმრო ოთახში მოართვეს და ესტებანმა ნაღვლიანად შენი-  
შნა, რომ აქ გამეფებული მისთვის ასე მახლობელი არეულობა წარსულს ჩა-  
ბარებოდა. აშკარად ჩანდა, ირლანდიელების შეილიშვილს სახლის დიასახლი-  
სთან შეუღლების შემდეგ მკაცრი წესრიგი დაემყარებინა. ამასთან, სოფია ცდი-  
ლობდა ქმრის უმნიშვნელო სურვილის გამოცნობას: წამდაუწუმ დგებოდა, გა-  
დიოდა, უკან ბრუნდებოდა, ქმრის ჩიბუხისათვის ნაკვერცხალი მოჰქონდა, მე-  
რე იქვე, მის სავარძელთან პატარა ტაბურეტზე ჯდებოდა. ხორხეს ღუმელში,  
კარლოსის მომლოდინე ღიმილში, სოფიას მკვირცხლ მოძრაობაში, ჩქარი ნა-  
ბიჯით რომ გავიდა ბალიშის მოსატანად — იგრძნობოდა მოუთმენლობა და აშკა-  
რა იყო, ყველა ელოდა, როდის დაიწყებდა ესტებანი ძველი მოგზაურის და-  
რად თავგადასავლის თხრობას — მთავარი მოვლენებიდან ძალზე შორს მცხო-  
ვრები ნათესავებისთვის იგი ფრანგული რევოლუციის სენ მანდევითად ქცე-  
ულიყო, მაგრამ ესტებანი დუმდა, იცოდა, ერთი თუ სიტყვას დასძრავდა, მას  
უამრავი სხვა სიტყვა მოჰყვებოდა, თავს დაათენდებოდათ, ის კი სავარძელში  
მჯდომი კვლავ გააგრძელებდა თხრობას.

— მოგვიყვი ვიქტორ იუგზე, — ვეღარ მოითმინა კარლოსმა.

რაკი ესტებანი მიხვდა, უღიბეს დარად, იმ ღამეს აუცილებლივ მოუხდე-  
ბოდა თავისი ოდისეის მოყოლა, სოფიას სთხოვა:

— მომიტანე ერთი ბოთლი ყველაზე უბრალო ღვინო, გასაციებლადაც ჩა-  
აწყე, გრძელი ამბავი უნდა მოგიტხროთ.

### XXXVI

ყვირილი არ ღირს.  
გონია

ესტებანმა თხრობა სახუმარო კილოთი დაიწყო: იხსენებდა სხვადასხვა  
პერიპეტეებს, რომელიც თან ახლდა პორტ-ო-პრენსიდან საფრანგეთში ჩას-



ელამდე, — მოგზაურობდა ლტოლვილებით გაჭედული ხომალდით, ისინი კი, თითქმის ყველანი, სენ-დომინგოში ძალზე გავლენიან ფილადელფიელთა კლუბის წევრი მასონები იყვნენ. ნამდვილად ძალზე საინტერესო იყო თვალყურის დევნება, როგორ იმუქრებოდა ყველა ეს ფილანთროპი, ჩინელის, სპარსელისა თუ ინდოელი ალგონიკების მეგობრები, რომ ზანგების აჯანყების დამარცხების შემდეგ ყველაზე დაუნდობლად გაუსწორდებოდნენ უმადურ მსახურებს, ვისაც ანთებული ჩირაღდნით პირველად წაუკიდებინა ცეცხლი თაჰიანთი ბატონების სახლებისა და კარ-მიდამოსათვის. შემდეგ ყმაწვილი კაცი სიცილით ჰყვებოდა, ვოლტერის გურიონის დარად, როგორ ეცნობოდა პარიზს, ჰყვებოდა თავის ოცნებებსა და იმედებზე, თავის თავგადასავლებსა და მიღებულ გამოცდილებაზე; ამასთან რამდენიმე ანეკდოტური ამბავიც გაიხსენა. ერთ-ერთი ამბის გმირი იყო ვილაც მოქალაქე, რომელიც მოითხოვდა, საფრანგეთის საზღვარზე აევოთ გიგანტური ფიგურა — ბრინჯაოს ბორბალი, რომელსაც ისეთი დამორგუნავი და საშინელი შესახედაობა უნდა ჰქონოდა, რომ მის დანახვაზე ტირანები თავიანთი დამფრთხალი არმიით უკან გაბრუნებულიყვნენ; მეორე მისი ღირსეული თანამოძმე ქვეყნისთვის მრისხანე საფრთხის დღეებში ეროვნულ კრებას ამაოდ ახარჯვინებდა დროს და უმტკიცებდათ: ყოველ ქალს „მოქალაქეს“ თუ დაუძახებდნენ, გაურკვეველი დარჩებოდა ერთი მეტად ამაღელვებელი კითხვა, ცალკეულ შემთხვევაში ვისზე იქნებოდა ლაპარაკი — ქალიშვილზე თუ ქალზე; მერე ესტებანმა ისიც თქვა, რომ პიესა „მიზანთროპის“ დასასრული მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გაჟღინთესო — ალცესტი მოულოდნელად ურიგდება კაცობრიობის მოდგმას და საზოგადოებას უბრუნდება. ესტებანი გადარეკას იყო საფრანგეთში „პატარა ემილის“ წარმატებით, თუმცა ეს ყოველივე მისი იქიდან გამოგზავრების შემდეგ მომხდარიყო. წიგნი მას გვადელუპაში წაუკითხა; მასში მოთხრობილი ამბავი კი ეხებოდა ვერსალში მოხვედრილ უბრალო ხალხის შვილს, რომელიც თავისდა განსაცვიფრებლად აღმოაჩენს, რომ თურმე დოფინიც კუჭში გადის... ესტებანი ცდილობდა იუმორი შეენარჩუნებინა, მაგრამ მისი მოთხრობის მოვლენები და სურათება თანდათან უფრო და უფრო პირქუშ ელფერს ღებულობდა. კოკარდების აღისფერი უფრო ხშირად უთმობდა ადგილს მუქი წითელი, შედედებული სისხლის ფერს. თავისუფლების დღეების ეპოქა ადგილს უთმობდა ეშაფოტების ეპოქას. რაღაც მოუხელთებელ, გამოუცნობ, მაგრამ საშინელ წუთს ადამიანთა სულში განსაცვიფრებელი ცვლილება მომხდარიყო: ის, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ ღმობიერებით სცნობდნენ, მეორე დღეს დაუნდობელი ხდებოდა. ვინც ადრე მხოლოდ მკაცრი სიტყვებით იფარგლებოდა, ახლა საბრალოდმდებლო განაჩენებს აწერდა ხელს. ყველა ჭკუაზე შეშლილსა ჰგავდა, და ეს შეშლილობა მით უფრო აუხსნელი იყო, რადგან ეს ხდებოდა ისეთ ქვეყანაში, სადაც ცივილიზაციას ლამის ყველაფერი სავსებით გაეწონასწორებინა, სადაც კარმონიული ნაგებობანი ბუნებასაც დაემშვენებინა, სადაც არნახულად იყო განვითარებული ხელოვნება თუ ხელოსნობა და ამ ქვეყნის ენაც კი, თითქოს განგებ, ზომიერი კლასიკური ლექსისათვის იყო შექმნილი. ყოველივე ამის გამო ფრანგი ხალხი ყველაზე ნაკლებად გამოდგებოდა ეშაფოტების აღსამართავად. ესპანეთის ინკვიზიციასთან შედარებით საფრანგეთის ინკვიზიცია ბავშვურ თამაშობას ჰგავდა. ბართლომეს ღამე' ახლოსაც ვერ მივიდოდა მეფე ფილიპეს ბრძანებით მოწყობილ პროტესტანტების საყოველთაო ელექტასთან. ახლა, როცა, რამდენიმე წლის შემდეგ ესტებანი მაშინდელ ბიო-ვარენს იხსენებდა, იგი რატომღაც



აცტეკების ეგზოტიკურ ქურუმად წარმოუდგებოდა, დანა და ობსიდი რომ უპყრია გასისხლიანებულ ხელში; მახლობლად აღმართულიყო დიდებული კოლონადა და ჰულონის<sup>2</sup> ქანდაკებები, ირგვლივ კი ამწვანებული, შეკრეჭილი და მოვლილი ბაღი შემოსდგომოდა. რაღა თქმა უნდა, საფრანგეთის რევოლუციის პასუხი იყო ადამიანების სულში საუკუნეების მანძილზე მომწიფებული ბუნდოვანი სწრაფვისა, რომელიც ასეთ გრანდიოზულ მოვლენაში გაცხადდა. მაგრამ ესტებანს აძრწუნებდა ყოველივე ამისათვის გაღებული მსხვერპლი: ჩვენ შაღლიან მალე ვივიწყებთ მკვდრებს: პარიზის, ლიონის, ნანტის, არასის მკვდრებს (ესტებანმა მიათვალა ორანჟის მსგავსი ქალაქებიც, რომელთა წამება ბოლო ხანებშიღა გამხდარიყო ცნობილი); ვივიწყებთ იმათ, ვინც თავიანთი აღსასრული ატლანტის მცურავ ციხეებში, კაიენას ჭაობებში და სხვა უამრავ ადგილებში ჰპოვა, რომ აღარაფერი ითქვას საპრობილეებში დახოცილებზე, საიდუმლოდ მოკვდინებულებსა თუ უკვალოდ დაკარგულებზე... ცოცხალ ლეშად რამდენიღა იქცა, რამდენს გაუმრუდდა ცხოვრება, ჩაუკვდა მოწოდება, რამდენის შრომამ ჩაიარა ამაოდ — ყველა ისინი განწირულნი იყვნენ უბადრუკი ცხოვრებისათვის, თუკი თავის მოსაკლავად არ ეყოფოდათ გამბედაობა. ესტებანი გაცილებით მალე აყენებდა ბედშავ ბაბუვისტებს, მათში ხედავდა ჭეშმარიტ რევოლუციონერებს, ვისაც შერჩენოდათ თანასწორუფლებიანობის დიდ იდეალების ერთგულება; ბედისწერამ მათ იმ ადამიანების თანამედროვეობა არგუნათ, ვინც კოლონიებში ძმობასა და თავისუფლებაზე ლაყობდა, სინამდვილეში კი ეს ლოზუნგები პოლიტიკური ინტრიგის იარაღად ექციათ, რათა შეენარჩუნებინათ უკვე მიტაცებული მიწები და ხელთ ახლა სხვები მოეგდოთ. უძელესი ღმერთი, ვისი ტაძრებიც და მონასტრებიც ყველგან ხელახლა იხსნებოდა, სადაც დროებით ათეიზმს ეზეიმა, გამარჯვებული გამოვიდა მძიმე გამოცდის შემდეგ. მის მიმდევრებს ახლა შეეძლოთ ნიშნისმოგებით ემტკიცებინათ, რომ ყველაფერი ის, რაც მოხდა, საბოლოო ჯამში მხოლოდ ღმერთის მიერ თავსდატეხილი მრისხანება იყო, საუკუნის მიწურულის — ახალი ასწლეულის დაწყებამდე რამდენიმე კვირალა დარჩენილიყო — მრავალრიცხოვანი ფილოსოფოსებისათვის, რომელთაც ჰყოფნიდათ გამბედაობა, უპატივცემულად სწვდომოდნენ მას წვერში და ემტკიცებინათ, თითქოს წინასწარმეტყველი მოსე მატყუარა იყო, მოციქული პავლე — სულელი, და იმასაც კი ირწმუნებოდნენ, ვითომცდა იესო ქრისტეს ნამდვილი მამა ვიღაც რომელი ლეგიონერი ყოფილიყო: ამაზე გაკვირით ვიქტორ იუგიც ლაპარაკობდა ერთ თავის სიტყვაში, სადაც იყენებდა ბარონ ჰოლბახის მოსაზრებას: ესტებანმა ბოლო ჭიქა გამოცალა და თხრობის დასასრულს სინანულით წარმოთქვა:

— ამჯერად რევოლუცია წარუმატებლად დამთავრდა. შემდგომმა რევოლუციამ შესაძლოა ბევრ რამეს მიაღწიოს. მაგრამ შემდგომ რევოლუციაში ანკესზე აღარ წამოვეგები, თვალსა და ხელს შუა უკვალოდ გავქრები. არაფერია უფრო სახიფათო, ვიდრე ზარზეიმური ფრაზები და საუკეთესო სამყარო, როცა იგი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი. ჩვენი ეპოქა პირდაპირ წალეკა სიტყვათა ნიაღვარმა. არსებობს ერთადერთი აღთქმული მიწა — ის, რაც ადამიანს შეუძლია საკუთარ თავში ჰპოვოს.

ამას რომ ამბობდა, ესტებანს უნებურად ოჟე გაახსენდა, რომელსაც ხშირად მოჰქონდა თავისი მასწავლებლის მარტინეს დე პასკუალის სიტყვები: „ადამიანს მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება ჭეშმარიტი ცნობიერება, როდესაც საკუთარ თავში მთვლემარე ღვთაებრივ ნაპერწკალს თავისი სხეულის ტვირთი-



საგან გაანთავისუფლებს...“ განთიადისწინა შუქი უკვე აფერადებდა ფანჯრების მინებს და სასტუმრო ოთახის სარკეს. კვირა დღე იდგა, ყველა სამრეკლოზე ცისკრის ზარებსა რეკდნენ, ჩრდილოეთის ქარი კი რიურაჟიდანვე ასკდებოდა სახლების კედლებს. ესტებანისათვის ბავშვობიდანვე ნაცნობი ზარების ხმას ახლა უერთდებოდა ახალი კათედრალური ტაძრის დიდი ზარის ძლიერი ზანი. ღამე საოცრად მალე გავიდა – როგორც იმ ბედნიერ დღეებში, როდესაც სახლში არეულობა სუფევდა. არც ერთი იქ მყოფი არ ჩქარობდა დასაძინებლად წასვლას, ოთხივენი, პლედებში გახვეულები, ყველას თავთავისთვის რომ შემოეტანა, თითქოსდა ფიქრით დამძიმებულნი, მღუმარენი იხდნენ სავარძლებში.

– ჩვენ კი არ გეთანხმებით, – განაცხადა უცებ სოფიამ მშვიდად, მაგრამ ოდნავ ღვარძლიანი კილოთი, როგორც სჩვეოდა ლაპარაკი საკამათოდ განწყობილს.

ესტებანი დაინტერესდა, ვის გულისხმობდა სიტყვაში „ჩვენ“.

– ჩვენ, ყველა, სამივენი, – უპასუხა სოფიამ და ხელის წრიული მოძრაობით საკუთარ თავზე, ქმარსა და ძმაზე ისე მიუთითა, თითქოსდა ამით ესტებანს ოჯახიდან გამორიცხავდა.

და, გეგონება, მართლაც თავისთვის ლაპარაკობსო, ყმაწვილმა ქალმა დაიწყო გრძელი მონოლოგი, კარლოსი და ხორხე კი მოწონების ნიშნად მხოლოდ თავს უქნევდნენ. სავსებით ნათელია, რომ პოლიტიკური იდეალების გარეშე ცხოვრება უაზრობააო, ხალხის კეთილდღეობის მიღწევა უცებ არ შეიძლება, რაღა თქმა უნდა, სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული, მაგრამ ეს შეცდომები მომავლისათვის სასარგებლო გაკვეთილად გამოდგება: მას, რა თქმა უნდა, ესმის, რომ ესტებანს მძიმე განსაცდელი გადაეტანა და დიდადაც თანაუგრძნობს, მაგრამ იგი ალბათ თავისი გადაჭარბებული იდეალიზმის მსხვერპლი შეიქნა; მართალია, რევოლუციის დროს დაუშვეს ბევრი დასანანი ექსცესი, მაგრამ კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი ყოველთვის ტანჯვისა და მსხვერპლის საზღაურად მიიღწევა. ერთი სიტყვით, ამქვეყნად არაფერი დიადი სისხლის დაუღვრელად არ ხდება.

– ეს შენამდე უკვე თქვა სენ-ჟიუსტმა, – შესძახა ესტებანმა.

– სენ-ჟიუსტმა ეს იმიტომ თქვა, რომ ჩვენსავით ახალგაზრდა იყო, როდესაც სენ-ჟიუსტზე ვფიქრობ, მანცვიფრებს ახლად კოლეჯდამთავრებული ამ ყმაწვილი კაცის მოწიფულობა, – მიუგო სოფიამ.

ყველაფერი, რასაც ბიძაშვილი მოჰყვა, მან, სოფიამ, ადრევე იცოდა, განსაკუთრებით ის, რაც პოლიტიკას ეხება და შესაძლოა იცოდა უკეთესად, ვიდრე თვითონ ესტებანმა, რადგან მისი შეხედულება მოვლენებზე მიკერძოებითი და შეზღუდული იყო, ხანდახან კი მოვლენების შეფასებაში გარკვეულად ხელს უშლიდა ათასგვარი სულელური წერილმანი და გულუბრყვილობის უცილობელი გამოვლენა, რაც ტიტანური მცდელობის სიდიადეს არანაირად არ აკნინებს.

– ეგრე გამოდის, რომ ჯოჯოხეთში ყოფნას ჩემთვის არც არაფერი უსწავლებია და არც არაფერი მოუცია?.. – ხელახლა იფეთქა ესტებანმა.

არა, რატომ, მას, სოფიას მხოლოდ ის სურდა ეთქვა, რომ შორიდან შეიძლება ვაცილებით სწორი – ნაკლებად მიკერძოებული – შეხედულება შეგვექნნეს მიმდინარე მოვლენებზე. იგი ძალიან წუხდა დიდებული მონასტრების დანგრევას, ცეცხლმიცემული ტაძრების, დასახინრებული ქანდაკებებისა და



ჩამსხვრეული ვიტრაჟების გამო, მაგრამ, მისი აზრით, მთელი შუა საუკუნეების ძეგლების გაწირვა ჯობდა, თუკი ამას მოითხოვდა ადამიანის ბედნიერება. „ადამიანის ბედნიერების“ გაგონებაზე ესტაბანი მრისხანებამ მოიცვა.

-- სულაც არ იქნებოდა ცუდი, თუკი ჩვენც დაუყოვნებლივ შევძლებდით ეშაფოტის აღმართვას დე-არმასის მოედანზე, ჩვენს სულელურსა და დამბალ ქალაქში, — მოუჭრა სოფიამ.

დიახ, იგი სიამოვნებით უყურებდა, როგორ მოსცილდებოდა ჰენრი მონნიკების, მონათა მჩაგვრელი მიწათმფლობელების, ამპარტავანი მდიდრებისა და ეპოლეტებით გადიდგულეებული მეომრების თავები საკუთარ მხრებს. ამგვარი ხალხით კი სავსე იყო ეს კუნძული, რომლისთვისაც განგებას ყველაზე საცოდავი და ზნედაცემული მთავრობა ურგუნებია: მან ამ კუნძულზე უმეცრება გაამეფა, იგი სამყაროს მივარდნილ კუთხედ აქცია და რაღაც სიგარების ყუთს დაამსგავსა.

— აქ, მართლაც, არ იქნებოდა ურიგო ვიღაც-ვიღაცების გილიოტინაზე გაგზავნა, — მხარი აუბა დას კარლოსმა.

— ვიღაც-ვიღაცების კი არა, ძალიან ბევრი ვინმესი, — წარმოთქვა ხორხემ.

— ყველაფერს მოველოდი, მაგრამ სულ არ მეგონა, აქ თუ იაკობინელთა კლუბი დამხვდებოდა, — თქვა ესტებანმა.

მთლად ეგრე არ არის, ერთხმად ალაპარაკდნენ სამივენი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისინი მშვენივრად ერკვევიან (ამ სიტყვებმა კვლავ მოთმინებიდან გამოიყვანა ესტებანი) და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, „არ დადგნენ განზე“, ეს კი იმას ნიშნავს — ფხიზლად შეაფასონ მოვლენები, ცხოვრებაში გარკვეული მიზანი ჰქონდეთ და საკუთარი ადგილი იპოვონ წარამარა ცვალებად სამყაროში. ცოტა ხნის წინათ კარლოსმა, როგორც იქნა, მოახერხაო მცირე მასონთა ლოჟის დაარსება, სადაც მარტო მამაკაცები კი არა, ქალებიც შედიან — მოწინავე ადამიანები კუნძულზე ძალიან ცოტანი არიან და არ უნდა უარყოფოთ ჭკვიანი და განათლებული ქალების მხარდაჭერა — ლოჟის წევრები თავიანთ პოლიტიკურ ამოცანას იმაში ხედავენ, რომ გააერცელონ პოლიტიკური სულისკვეთებით გამსჭვალული ფილოსოფიური თხზულებები და მნიშვნელოვანი რევოლუციური დოკუმენტები: ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, საფრანგეთის კონსტიტუცია, პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, სამოქალაქო კატეხიზმო და მისთანანი. მათ ესტებანს უჩვენეს რამდენიმე ფურცელი და თხელი წიგნი. სტამბური ლიტერის უჩვეულო მოხაზულობასა და ცუდ ანაბეჭდზე ეტყობოდა, რომ ეს ტექსტი სადღაც ახალი გრანადის ან ახალი ჰავანის, შესაძლოა ლა-პლატის ან პუებლო-დე-ლოს-ანხელესის საიდუმლო სტამბაში იბეჭდებოდა. ესტებანისთვის ნაცნობი იყო ასეთი ტექსტები. იმდენად კარგად იყო ნაცნობი, რომ ზოგიერთი განუმეორებელი კონსტრუქციის, რამდენიმე მარჯვე მიგნებისა და ზუსტი ეპითეტის წყალობით, რისი ძებნისთვისაც საკმაო ენერგია მოენდომებინა, იცნო საკუთარი თარგმანი — ამას ჯერ კიდევ პუენტ-ა-პიტრში ყოფნისას მოჰკიდა ხელი ვიქტორ იუგის ბრძანებით, ტექსტი კი მამა-შვილმა დიოიეებმა ააწყვეს, და ახლა, ამ წუთში, სადღაც ამერიკის კონტინენტზე ხელახლა ნახა საბეჭდ დაზგებზე გამრავლებული იგივე ფურცლები.

— News m' emmerdez!\* — შესძახა ესტებანმა და კარისაკენ გაქანებული სავარძელს დაეჯახა.

\* თავი მომაბეზრეთ (ფრანგ.).



პატიოს გადაჭრისას დაინახა, რომ საწყობის კარში გასაღები იყო დატყეპული, ჭაბუკს უცებ გარკვეულწილად მისი კუთვნილი საწყობისა და მალაზიის დათვალიერება მოუნდა, მით უფრო კვირა დღე იყო და იქ არაუინ იქნებოდა. წათხის, ბატატის, ხახვის, აპოხტის სუნი, რომელიც ადრე ასე უსიამოვნო ეჩვენებოდა, ახლა ცხვირში ისე ეცა, როგორც ნეშომბალის ძლიერი და მაცოცხლებელი სურნელება. ასეთი სუნი დგას ხომალდების ტრუქებში, საპორტო ქალაქების ბაზრებსა და ათასგვარი ხორავით [გატენიძე] საწყობებში. კასრების ონკანებიდან ღვინო წვეთავდა, მომწვანოდ მოჩანდა ლამანური ყველის თავები; ვეება თიხის დოქებს მუცლებზე ზეთის ლაქები აჩნდა. და ყველგან სუფევდა სანიმუშო, ადრე აქაურობისთვის უცხო სისუფთავე. ყველაფერი თავთავის ადგილას წესსა და რიგზე იყო დაწყობილი, დალაგებული და ჩამოკიდებული, ერთი სიტყვით, თითოეულ საქონელს თავისი შესაფერისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი: კოჭებზე ეკიდა ნივრის გალები; აქა-იქ ხორბალი იყო დახვავებული; იატაკზე ელაგა ანოუსითა და დამარილებული თევზით სავსე კასრები; მოშორებით, პატიოში, სადაც ფარდულები მოეწყოთ, გისოსებით შემოღობილ დახლებზე მოჩანდა ისეთი საქონელი, რითაც ფირმა ადრე არ ვაჭრობდა. აქ იყო სამარილეები, მედალიონები, სანთლის ნამწვის მოსაცილებელი მექსიკური ვერცხლის მამები, ნაზი ინგლისური ფაიფური, აკაპულკოს გზით შემოტანილი ჩინური სამშვენისები, მოსამართი სათამაშოები, შვეიცარული საათები, გრაფი არანდის ძველი მარნის ღვინოები და სხვა სპირტიანი სასმელები. შემდეგ ესტებანი კანტორისკენ გაეშურა: აქ საანგარიშო დავთრები, საწერი მოწყობილობა, ჯიბის დანები, საქვიშეები, სახაზავები, სასწორები ელოდნენ მოსამსახურეებს, რომლებიც კვლავ მოვიდოდნენ აქ მეორე დღეს ვრცელსა და ნათელ ოთახში შესვლისას, სადაც ორი მასიური მაგიდა იდგა, ჭაბუკმა გაიფიქრა, რომ აქ მისთვისაც აუცილებელივ დადგამდნენ მესამე მაგიდას, ისიც დაიკავებდა თავის ადგილს წითელი ხით დაპანელებულ კედელთან, რომელზედაც ეკიდა მამის — ამ ფირმის დამაარსებლის — ზეთის საღებავით შესრულებული პორტრეტი. მოხუცს წარბები მკაცრად შეეჭმუნა — ის ნიადავ წარბებშეკრული დადიოდა, — და მთელი მისი გარეგნობა მეტყველებდა წესიერებაზე, ხასიათის სიმკაცრესა და უნარიანობაზე. ესტებანმა წუთით წარმოიდგინა, რომ აქ მოუხდებოდა ყოფნა სხვადასხვა ჯიშის ბრინჯისა თუ ალიხლობის ნიმუშებს შორის გამოკეტილს, დავთრებისა და ინდიკატორების ფურცვლაში გართულს დავა ექნებოდა ურჩ გადამხდელებთან და სხვადასხვა ყაიდის პროვინციულ ვაჭრებთან, გარეთ კი თვალისმომჭრელი დილა იქნებოდა, მზის სხივები უბის ზედაპირზე ლიცლიცს დაიწყებდა, როდესაც მის ზედაპირს გასერავდა ნიუ-იორკისაკენ ან გორნის კონცხისკენ კურსაღებული რომელიმე კლიპერი. და ესტებანი მიხვდა, ყოველივე ეს არასოდეს არ გაიტაცებდა იმდენად, რომ დათანხმებულიყო მსგავსი რამისთვის შეეწირა თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. იგი სამუდამოდ მოწამლულიყო საზღვაო თავგადასავლებით, ჩვეულებად ჰქცეოდა — ეცხოვრა დღევანდელი დღით და არ გამხდარიყო ნივთების მონა. ეჩვენებოდა, რომ ჯოჯოხეთიდან დაეხსნა თავი და ჯერჯერობით საკუთარი მე ვერ ეპოვა — ვერ ეგრძნო დამოუკიდებლობა, ხეირიანად ვერ განეცადა, რომ კვლავ ცხოვრობდა ყველასათვის ჩვეულებრივი ცხოვრებით. იგი თავის ოთახში დაბრუნდა. სოფია არ დაწოლილიყო. კუთხეში დახვავებული მარიონეტებისა და ფიზიკის ხელსაწყოების მახლობლად მჯდარი შეწუხებული ელოდებოდა.



— შენ გვიბრაზდები იმიტომ, რომ რაღაცა გვწამს, — უთხრა მან.

— რწმენა იდეისა, რომელიც ყოველდღე იცვლება, უღმობელსა და მტანჯველ გულგატეხილობას მოგიტანთ, — მიუგო ესტებანმა, — თქვენ მხოლოდ იმას მიხვდით, სახელდობრ, რა უნდა გძულდეთ და მეტი არაფერი, და რაკი ამას მიხვდით, მზად ხართ დაუჯეროთ ყველანაირ ოცნებას, მზად ხართ მას დაუკავშიროთ იმედები.

სოფიამ ძმას აკოცა ზუსტად ისე, როგორც ჰკოცნიდა ბავშვობისას და მამაკიდან გადმოვარდნილი საბანი გაუსწორა.

— დაე თითოეული ფიქრობდეს ისე, როგორც სურს, ჩვენს ოჯახში კი ყველა ძველებურად უნდა ვიყოთ, — თქვა და ოთახიდან გავიდა.

მარტო დარჩენილმა ესტებანმა საკუთარ თავს ბრაზმორევით უთხრა, ეს შეუძლებელიაო. არსებობენ ეპოქები, რომლებიც თითქოს იმისთვის შექმნილან, რათა გაუღიტოს ნახირი, ერთმანეთში აურ-დაურიოს ენები და გათიშოს ხალხები.

### XXXVII

დღე დღეს მიჰყვებოდა, ესტებანს კი ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა სავაჭრო ფირმის საქმეებში ჩაბმა.

— ხვალიდან დავიწყებ, — იტყოდა ხოლმე თითქოსდა ახლობლების წინაშე თავის გასამართლებლად, თუმცა არავინ არაფერს აძალებდა.

და იმ ხვალესაც ისევ ქუჩაში მიდიოდა საყიალოდ ანდა სერავდა ყურეს და ქალაქ რეგლასკენ იღებდა გეზს. იქ პირდაპირ დახლთან შეეძლო დაეღია მაგარი ლერწმის წვენი ან ტკბილი შავი ღვინო, ზედ ერთი ნაჭერი შემწვარი გოჭის ხორციც დაეყოლებინა, რაც კორსარების გარდასულ პურობას ახსენებდა. ნავსადგურის მივარდნილ კუთხეში მოსასვენებლად ადგილმიჩენილი უსარგებლო, ობმოკიდებული იალქნიანი გემები დაძაბუნებული ინვალიდებით ერთმანეთის გვერდით ისე მიყუჟულიყვნენ, როგორც ზამთრის ცივ ღამეს მათხოვრები. ახლა, ზღვის მსუბუქ ტალღებზე მოქანავენი, მოლუსკებითა და ერთმანეთში გადახლართული იისფერი წყალმცენარეებით დაფარულიყვნენ და დამსკდარ ბორტებშუა ცოტაოდენ წყალსაც უშვებდნენ. მოშორებით ჯერ კიდევ მოჩანდა სანახევროდ დაქცეული ფიცრული სახლები, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ ესპანეთის ამერიკული სამფლობელოებიდან გაძევებული პატიმარი იეზუიტები. ისინი აქ, ანდებში განლაგებული მონასტრებიდან პორტობელოს გზით ჩამოეყვანათ; ლოცვის ტექსტებით, ალექსანდრე ძველით, ყოველნაირი თილისმით — მაგნიტით, შავი ქარვის ნატეხებით, რკინისა და მარჯნის ყელსაბამებით მოვაჭრენი დაუბრკოლებლივ ასაღებდნენ თავიანთ საქონელს. აქ ყოველ ქრისტიანულ ეკლესიაში პირდაპირ სამოსელთ საცავს უკან იფარებოდა ობათალის, ოჩუმისა და იემაის<sup>1</sup> საიდუმლო ტაძრები და ვერც ერთ მღვდელს ვერ ამოედო საპროტესტოდ ხმა, თუმცა იცოდნენ, კათოლიკური ტაძრების საკურთხეველთან, ჯვარცმისა და ღვთისმშობლის ქანდაკების წინ დაჩოქილი გააზატებული ზანგები სინამდვილეში თავიანთ ძველ, აფრიკულ ღმერთებს სცემდნენ თავყანს. ხანდახან, ჰავანაში დაბრუნებისას ესტებანი „კოლისეოს“ თეატრშიც შეივლიდა, სადაც ესპანელ აქტიორთა დასი მხიარულ ტონადილიას<sup>2</sup> პანგზე წარმოადგენდა მადრიდელ



პეწენიკებსა და ლოთიშფოთებს, რაც ჭაბუკს იმ ქალაქს ახსენებდა, რომლისკენაც მიმავალი გზა ომში გადაუღობა. შობის წინა დღეებში ხორხეს ნათესავებმა სოფია, კარლოსი და ესტებანი სადღესასწაულოდ თაყიანთ მამულში მიიპატიჟეს, რომელიც კუნძულზე ერთ-ერთ ყველაზე მდიდარსა და აყვავებულ კუთხედ ითვლებოდა. წლის ბოლოს, როგორც ყოველთვის, გაცხოველებული იყო ვაჭრობა, კარლოსს და ხორხეს არ შეეძლოთ მაღაზიის დატოვება და გადაწყვიტეს, სოფია და ესტებანი ადრე წასულიყვნენ, ხორხე და კარლოსი კი, ქალაქში საქმეს რომ მოითავებდნენ, ერთი კვირის მერე ჩავიდოდნენ. გადაწყვეტილება ესტებანს მოეწონა, რადგან ხორხეს მუდმივი შინყოფნა ამორებდა სოფიას; ვერც კარლოსთან მოეხერხებინა ადრინდელი მეგობრობის აღდგენა: იგი სულ ფირმის საქმეებში იყო გართული. საღამოობით კი ფრანკმასონების კრებაზე მიდიოდა, შინ რომც დარჩენილიყო, მთელი დღის გადაღლილი ვახშობის მერე სავარძელში ყვინთავდა, თან გულმოდგინედ ცდილობდა ისეთი იერი მიეღო, თითქოსდა საუბარს ყურს უგდებდა...

— როგორც იქნა, კვლავ დაგიმარტოხელე, — უთხრა ესტებანმა სოფიას. როდესაც არტემისისკენ მიმავალ ეკიპაჟში მარტონი დარჩნენ.

კარეტა ოღროჩოღრო გზაზე ჯაყჯაყებდა, მაგრამ მუშაობის საფარქვეშ მოგზაურები საკმაოდ მყუდროდ გრძნობდნენ თავს და ისე ირწეოდნენ, როგორც კვანში. სასაუზმოდ სასტუმროებთან და ფუნდუკებთან ჩერდებოდნენ და მეტი ხალისისთვის ყველაზე უცხოსა და უბრალო საჭმელებს უკვეთდნენ; ბოსტნეულის შეჭამადს, წიწაკიან ხორცს თუ შემწვარ გარეულ მტრელებს, — და სოფია, შინ სასმელს პირს რომ არ აკარებდა, სიამოვნებით უსინჯავდა გემოს შესანიშნავ ღვინოს, რომელსაც შემთხვევით აღმოაჩენდნენ ხოლმე პატარა ფარდულების დახლებზე ჩვეულებრივ არაყებსა და იაფფასიან შავ ღვინოებს შორის. სოფიას სახე აუვარდისფრდა, საფეთქლები ოფლმა დაუცვარა, თან იცინოდა, იცინოდა ისევე მხიარულად, როგორც ოდესღაც: ახლა სულ აღარაჰგავდა თავმომწონე ქალს, წესიერი ოჯახის დიასახლისს, თითქოსდა თავი დაეღწია ფხიზელი, მაგრამ არცთუ მომაბეზრებელი ზედამხედველისგან. გზაზე ვიქტორ იუგზე ჩამოაგდეს სიტყვა. ესტებანმა ჰკითხა იუგის წერილზე.

— არაფერი ისეთი არ არის. მე მეტს მოველოდი, მაგრამ ხომ იცნობ ვიქტორს: მისი ენამრავლობა მთელ მარილს ჰკარგავს, ქალაქზე როცა გადააქვს ხოლმე. საერთოდ კი ნაღვლიანი წერილია, ჩივის, მეგობარი არა მყავსო.

— თავის თავს დააბრალოს, ჰკონია, დიდ ადამიანებს არ ეკადრებათ მეგობრობამდე დამდაბლება. ეგრე რობესპიერსაც კი არ უფიქრია.

— იუგს საკუთარ თავზე მუდამ დიდი წარმოდგენა ჰქონდა, — მიუგო სოფიამ, — სინამდვილეში, როცა ბედმა სხვებზე ძალა დააყენა, აღმოჩნდა, რომ საამისო უნარი არ შესწევს. იგი ტრაგედიის გმირად გახდომას ოცნებობდა, სინამდვილეში კი სტატისტიკის როლში აღმოჩნდა. თანაც, წარმოიდგინე, სად მოღვაწეობდა: რომფორი, გვადელუპა... მიყრუებულ ადგილებში!

— პატარა კაცია, ამას უამრავი ფაქტი ადასტურებს.

და ესტებანმა გაიხსენა ყველაფერი, რასაც შეეძლო დაემცირებინა ქედმაღალი და ამპარტავანი ვიქტორ იუგი. გაიხსენა უხამსი სიტყვები, რაც ერთხელ მისგან მოესმინა; უკბილო ხუმრობები; განურჩევლობა სასიყვარულო თავგადასავლებში; სისუსტის გამოვლენა — ჭაბუკმა მოიგონა სამარცხვინო სცენა, როცა იუგს გამათრახებით დაემუქრა ფიუე, თუკი დაუპატიჟებლად გაუბედავდა კორსარების მასონთა ლოყაში გამოჩენას, ვიქტორი კი დუმდა და მარტო ცალ-



ებად იღიმებოდა, თანაც ეს რობესპიერი კულტად გაიხადა და მის საცოდავ მიმბაძველად იქცა... ესტებანს სულ ახალ-ახალი მაგალითები მოჰქონდა თავისა გუშინდელი მეგობრის დასამცირებლად, ამასთან აღიარა, იუგის სისუსტე განსაკუთრებით სწორედ იმიტომ აშფოთებდა, რომ აღრე უყვარდა.

— სიამოვნებით ვიტყვოდი მასზე რაიმე კარგს, მაგრამ არ შემიძლია, ვიქტორზე ჩემს მოგონებებს ძალზე ბევრი რამ ამწარებს.

სოფია უსმენდა და თითქოს ეთანხმებოდა; დროდადრო კი რაღაც მსუსხს ამქვეა ლიძახებდა, რაც შესაძლოა იუგის სისასტიკით, მარცხით, სიმდაბლითა თუ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით გამოწვეულ მის დაბნეულობას, გულისწყრომას, შიშსა და აღშფოთებას გამოხატავდა.

— თავი გავანებოთ ვიქტორს, იგი დიდი რევოლუციის უიღბლო შვილი გამოდგა, — თქვა ბოლოს სოფიამ.

— უიღბლო? — ჩაეცინა ესტებანს, — ამას მისთვის ხელი სულაც არ შეუშლია ქონება დაეგროვებინა და დაქორწინებულიყო ვიღაც მდიდარ ქალზე. — თუკი სახელმწიფო ფულის მითვისებისათვის, ანდა ამბოხების მოწყობის მცდელობისათვის უკვე ციხეში არ ამოაყოფინეს თავი. იმაზე აღარას ვამბობ, რომ ახლა, როცა ტერორის ახალი ხანა დადგა, შეიძლება უფრო მკაცრად მოექცნენ.

— მოვეშვათ ვიქტორს, — გაიმეორა სოფიამ.

მაგრამ ერთ-ორ მილს რომ გაივლიდნენ, კვლავ ამ თემას უბრუნდებოდნენ და ისევ იწყებდნენ იუგის სათაკილო დახასიათებას.

— ვულგარულია...

— ვერ გამიგია, თავიდან რატომ მოგვეჩვენა საინტერესო...

— არც განათლებულია: თავის სიტყვებში სულ წაკითხულ წიგნებს ემყარება...

— ჩვეულებრივი თავგადასავლების მაძიებელია...

— სხვანაირი არცა ყოფილა არასოდეს...

— მაშინ იმიტომ განგვაცვიფრა, რომ შორიდან იყო ჩამოსული და ბევრი ემოგზაურა.

— ისე კი, კაცმა რომ თქვას, მაინც ვაჟკაცურია...

— ამასთან, გამბედავი...

— თაუდაპირველად ფანატიკოსს ჰგავდა, მაგრამ, ეტყობა, პატივმოყვარული ზრახვების გამო თავს იკატუნებდა...

— გაქნილი პოლიტიკანია...

— ეგეთი ადამიანები ჩრდილს აყენებენ რევოლუციას...

ხორხეს ნათესავების პალმებითა და ყავის ხეებით გარშემორტყმული სახლი რომაულ სასახლეს ჰგავდა; მისი დორიული კოლონები — დამშვენებულა ფაიფურის ლანგრებით, ანტიკური ლარნაკებით, ტალავრული მოზაიკით და ბეგონიებიანი ჟარდინერებით — გალერეებს მიუყვებოდა. სასტუმროს, მთავარი პატიოს პორტიკებს, სასადილო დარბაზს თავისუფლად შეეძლო ასობით სტუმარი დაეტია. სამზარეულოში მთელი დღე ცეცხლი ვარვარებდა, საუზმეს სამხარი სცვლიდა, ერთ ტრაპეზს — მეორე, და სტუმრებს სულ მუდამ შეეძლოთ თითო ჭიქა შოკოლადისა და თითო ჭიქა ხერესის დალევა. ბროწეულებს, ბუგენვილებსა და ერთმანეთში გაბარჯდულ ღიანებს შორის თვალს ახარებდა თეთრი ქანდაკებები. ხორცსავსე პომონა და მონადირე ღიანა იცაუდნენ გვიმრიანსა და მალანგამორეულ ადვილებში ნაკადულებისაგან წარმოქმნილ წყალსატევებს. ნუშები და სამეფო პალმებიჩარიგებული თვალუწვდენელი ხეივნები შორს, ხშირ



სიმწვანეში იკარგებოდნენ, მოსეირნებს წინ მოულოდნელად ეფეთებოდა ვარდებშემოხვეული იტალიური ფანჩატური, პატარა ბერძნული ტაძარი, სადაც თავშესაფარი ეპოვა ანტიკურ ქაღალდმერთს, და რცხილის ბუნქებისგან წარმოქმნილი ლაბირინთი. სასიამოვნო იყო აქ დავანება, როცა მწუხრის ჩრდილები თანდათანობით გრძელდებოდნენ. მასპინძლები ცდილობდნენ, სტუმრებს ისე ეგრძნოთ თავი, როგორც საკუთარ სახლში, და არაფერი უნდა უზღუდავდნენ. ძველი კრეოლური სტუმართმოყვრული წესი თითქმის უცვლელად ეკეთებინა ის, რასაც მოისურვებდა. და სანამ ერთნი სოფლის შარაზე ცხენებს დაატყენებდნენ, მეორენი სანადიროდ მიდიოდნენ ანდა შორეულ გასეირნებას აწყობდნენ, სხვები პარკის სიღრმეში იკარგებოდნენ — ვინ ჭადრაკის დაფას მიუჯდებოდა, ვინ წიგნს კითხულობდა. კოშკის ზარს აქაური ძამულის ცხოვრებაში გარკვეული წესრიგი შექტონდა: სტუმრებს სატრაპეზოდ უხმობდა ანდა სასტუმრო ოთახში იწვევდა, თანაც იქ ის შედიოდა, ვისაც სურდა; ნავიანევი ვახშმის შემდეგ, დაახლოებით ათ საათზე, როცა უკვე საგრძნობი ხდებოდა დამის სიცივე, დიდ მოედანზე ენთებოდა ფარნების გირლანდები და იწყებოდა კონცერტი — კონცერტს მართავდა ოცდაათიოდე ზანგი მუსიკოსისაგან შემდგარი ორკესტრი, ხელმძღვანელი გერმანელი მანესტრო იყო, რომელიც თავის დროზე მანგეიმის ორკესტრში პირველ ვიოლინოზე უკრავდა. ვარსკვლავებით მოჭედებულ ცისქვეშ — ვარსკვლავები კი იმდენად იყო, რომ ძნელად მიხვდებოდით, რანაირად თავსდებოდნენ ერთად, — ჟღერდა ჰაიდნის სიმფონიის საზეიმო შესავალი ანდა ქუხდა სტამიციისა თუ კანაბიხის მხიარული ალევრო. ხანდახან სტუმრების მონაწილეობით ტელემანის ოპერები ანდა პერგოლეზეს „მოახლე ქალბატონიც“ სრულდებოდა. ასე უნაღვლო მხიარულებაში იწურებოდა უკანასკნელი დღეები განმანათლებელი საუკუნისა, რომელიც, გეგონება, სამას წელს გრძელდებოდა, ისე იყო მოვლენებით გადატვირთული.

— მშვენიერია ცხოვრება, მაგრამ ვაი რომ ამ ხეებს მიღმა იმალება ისეთი რაღაც რასთან შეგუებაც შეუძლებელია, — თქვა სოფიამ და ხელი მცენარეულობით გარშემორტყმული, მაღალი, მუქი მწვანე ობელისკივით აღმართული კვიპაროსების კენწეროებისკენ გაიწოდა, რომლებიც ფარავდნენ სულ სხვა სამყაროს — ფიცრული ბარაკების სამყაროს, სადაც ზანგ მონებს შეეფარებინათ თავი. დროდადრო იქიდან დოღების ბრაგაბრუგი სეტყვის რაკარუკივით აღწევდა.

— იმათ შენზე ნაკლებად არ თანავუგრძნობ, მაგრამ უღონონი ვართ შეცვალოთ მოვლენათა მსვლელობა. ეს აკი სცადეს სხვებმა, სრული ძალაუფლებით აღჭურვილებმა, მაგრამ მათი მცდელობა მარცხით დასრულდა... — უპასუხა ესტებანმა.

24 დეკემბერს, საღამოჟამს, როდესაც სტუმრების ნაწილი სასწრაფოდ ამთავრებდა საშობაო სამზადისს, სხვები კი წარამარა შერბოდნენ სამზარეულოში, რათა ენახათ, კარგად იყო თუ არა შებრაწული ინდაურები, და შეესუნთქათ სადღესასწაულო საწებლების მადისაღმძვრელი სურნელება, სოფია და ესტებანი კარლოსისა და ხორხეს შესახვედრად ძამულის ვეება თუჯის ჭიშკრისკენ გაემართნენ. უეცარმა თავსხმამ ისინი აიძულა ნახევრად გადაშლილი რძიანას ყვავილებით გადაღანებული ერთ-ერთი იტალიური ფანჩატურისათვის შეეფარებინათ თავი. ნოტიო მიწას მწკლარტე სუნი დაჰკრავდა, გზებზე ჩამოცვენილი ფოთლები კი ირგვლივ ნაზ, გამოსათხოვარ სურნელს აფრქვევდა.



— წვიმა დასცხრა და წარვიდა გზასა თვისსა; ყუავილნი გამოჩნდა ქვეყანასა ჩუენსა; ჟამი სხელისა მოიწია, ხმაი გურიტიისა ისმა ქვეყანასა ჩვენსა, — ბუტბუტით ვაიხსენა ესტებანმა ჯერ კიდევ სიყრმის წლებში წაკითხული ბიბლიის სტრიქონები.

უეცარმა აღმოჩენამ უსაზღვრო სიხარულით აღავსო, იგრძნო, რომ როგორც იქნა, იპოვა საკუთარი თავი, რომ თითქოს მონანიების ჟამი დაიწყო... „შენ ახლა ყველაფერი იცი. იცი, ამდენი ხნის მანძილზე რა მომწიფდა...“ სულში. შენ ჭკრეტ მის სახეს და ხედები ერთადერთს, რისი გაგებაც აქამდე გეწადა, — შენ კი ამის სანაცვლოდ ცდილობდი ჩასწვდომიდი ჭეშმარიტებას, რაც შენს ძალას აღემატებოდა. იგი პირველი ქალი არის, რომელიც შეიცან, მას ისე ეხვეოდი, როგორც მშობელ დედას — დედა ხომ არასოდეს გინახავს — პირველმა მან გაგიმეღავნა სასწაულებრივი ქალური ალერსის საიდუმლო იმ წუთებში, როდესაც ღამეს გითევდა სასთუმალთან, თანაუგრძნობდა შენს ტანჯვას, საალერსო სიტყვებით გამსუბუქებდა. იგი დაც იყო შენი, მოწმე იყო თანდათანობით როგორ ვაჟკაცდებოდა შენი სხეული, — იგი ამას ისევე აკვირდებოდა, როგორადაც მხოლოდ არარსებულ შენს თანაშემზრდილ საყვარელს შეეძლო დაჰკვირვებოდა... ესტებანმა თავი სოფიას მხარს დააყრდნო, რომელიც, როგორც მოეჩვენა, იყო მისივე საკუთარი სხეული, და ისეთი თავშეუკავებელი ქვითინი აუვარდა, რომ სოფია ჯერ წუთით გაშტერდა, მერე თავისკენ მიიზიდა, მოეხვია და შუბლსა და ლოყებზე დაუწყო კოცნა. მაგრამ ანაზღეულად იგრძნო, რომ ვაჟის მხურვალე, დახარბებული ბაგეები მის ბაგეებს ეძებდნენ. ყმაწვილმა ქალმა ხელი უშვა ბიძაშვილის სახეს, მკვეთრად მოსცილდა და გაირინდა, თან მის მოძრაობას ისე დაჟინებით ადევნებდა თვალყურს, როგორც მტრის უმნიშვნელო მოძრაობას უთვალთვალევენ. ესტებანი აღარ იძვროდა, მარტო ნადვლიანად მიშტერებოდა, მაგრამ მის თვალებში კვლავ ვნების ცეცხლი კიაფობდა. სოფია რომ მიხვდა, ისე უცქერდნენ მას, როგორც ქალს, განზე გაიწია. მაშინ კი დაძრა ხმა ესტებანმა: ლაპარაკობდა იმაზე, რომ საკუთარი თავი ახლად შეეცნო. თითქოს სხვისი ხმით მეტყველებდა, რაღაც მოულოდნელსა და დაუკავშირებელ სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ ეს სიტყვები სოფიას არათუ აღელვებდა, პირიქით, გაცვეთილ, ცარიელ და ბანალურ სიტყვებად ეჩვენებოდა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა, არ სიამოვნებდა ამ უთავბოლო მონოლოგის მოსმენა, რომელიც სავსე იყო მისთვის გონებისამრევი აღსარებით: ჭაბუკი ჩიოდა, სასიყვარულო კავშირი სიხარულს აღარ მანიჭებსო, ჩემს ოცნებებს ახდენა არ უწერიაო, ქარაგმულად თქვა, უნაყოფო და გამოფიტული მიწიდან წარმომდგარი სულის სიღრმეში ჯერ ისევ ველი, ეგებ რაიმემ გარდასული დრო დამიბრუნოსო.

— კმარა! — შესძახა სოფიამ და სახე მრისხანებით აენტო.

სხვა ქალს ეგებ ეს სიტყვები ინტერესით მოესმინა, მაგრამ სოფიას მთელი არსება პროტესტს მოეცვა და ბიძაშვილის სიტყვები ყალბი ეჩვენებოდა. რაც უფრო მგზნებარედ ლაპარაკობდა ესტებანი, სოფია მით უფრო მკვახედ იმეორებდა — „კმარა!“ და ხმას უფრო და უფრო უმაღლებდა, სანამ საბოლოო ყვირილით არ აიძულა გაჩუმება. დადგა დამთრგუნველი სიჩუმე. ესტებანის და სოფიას გულებს ბაგაბუკი გაუდიოდათ.

— ყველაფერი გააფუჭე, ყველაფერი დაანგრიე, — ხმა დასძრა სოფიამ.

და ახლა მას წასკდა ქვითინი და წვიმაში გავარდა... სუდარასავით ჩამოწვა ღამე. დღეიდან აღარაფერი იქნებოდა ძველებურად. მგზნებარე აღსარება



სამუდამოდ აღმართავდა მათ შორის უნდობლობის კედელს. მარტოდ დარჩენილნი დაძაბულ სიჩუმეს ირჩევდნენ, ერთმანეთს ავად დაუწყებდნენ ცქერას და ყოველივე ეს აუტანელი შეიქნებოდა ესტებანისთვის. ესტებანმა ერთხანს გაიფიქრა, უმჯობესი იქნება გავეცალო მშობლიურ სახლს და სადმე წავიდეო, მაგრამ წინასწარ იცოდა, ამისათვის ძალი არ ეყოფოდა. ისეთი არეული დრო იყო, რომ გზას დამდგარი კაცი, როგორც შუა საუკუნეებში, მარტო ცუდის მოლოდინში უნდა ყოფილიყო. ესტებანს მშვენივრად ესმოდა, რამდენ სიფხოს ფარავდა სიტყვა „თავდასავალი“... წვიმამ გადაიღო, ბუჩქებს შორის სინათლეები გამოკრთა — გამოჩნდნენ სამასკარადედ გამოწყობილნი. ყოველი მხრიდან მორბოდნენ მწყემსები, ფქვილით სახემოთხუპნული მეწისქვილეები, ზანგები, რომლებიც სინამდვილეში სულაც არ იყვნენ ზანგები, თორმეტი წლის მოხუცები, მხიარული წვეროსნები, მუყაოს გვირგვინიანი მეფეები და ყველანი ერთად გაუთავებლად იქნევდნენ ვოგრის ჩხარუნებს, ზარებს, სცემდნენ დაფსა და აწკარუნებდნენ ეყვნებს. მღეროდა ბავშვების გუნდი:

მობრძანდება დედაბერი,  
ძღვენი მოაქვს საშობაო,  
იმას ბევრი ჰგონია და  
ჩვენ იქნება გვეცოტაოს.  
აყვავებულ ლიმონის ტოტს  
მოხვევია უსურვაზი,  
იდიდე შენ, ქრისტე ღმერთო, —  
აიწია ცისკენ თასი.

ბუგენვილის ხეებს შუა მოჩანდა სინათლით გაკაშკაშებული სახლი, ბრწყინავდა კანდელაბრები, გაბღღვრიალებულიყო ვენეციური ჭალები. ახლა ოთახებში პუნშიანი სინებით გაწყობილ მაგიდებთან შუალამემდე უნდა ეცადათ. მერე ძალიან კოშკიდან თორმეტჯერ ჩამოჰკრავენ ზარს და თითოეული შეეცდება თორმეტი რიტუალური ყურძნის მარცვლის სულმოუთქმელად გადაყლაპვას.<sup>5</sup> მერე კი დაიწყება უსასრულო ნადიმი, ნადიმს დესერტი მოჰყვება და სატეხებმომარჯვებულნი ხელს მიჰყოფენ გარეული თხილისა და ნუშის მტვრევას. ზანგების ორკესტრი ამ ღამისთვის ახალ ვალსებს დაუკრავს, ნოტები წინა დღით მიეღოთ და მუსიკოსები დილაუთენია შესდგომოდნენ უცნობი მელოდის შესწავლას. ესტებანმა აღარ იცოდა რა მოეგონებინა, რომ დღესასწაულს გასცლოდა, აღარ იცოდა რანაირად მოეშორებინა თავიდან აბეზარი ბავშვები, როგორ გარიდებოდა მსახურებს, რომლებიც სახელით უხმობდნენ საერთო თამაშობებში მონაწილეობის მისაღებად და ღვინოსათვის ჭაშნიკის გასასინჯად იწვევდნენ — განათებულ კარებში მდგარ სტუმრებს, ეტყობა, უკვე ეგემათ ღვინო, რადგან უფრო ხმაძალდა ლაპარაკობდნენ და გადამდებდაც იცინოდნენ. სწორედ ამ წუთში გაისმა ფლოქვების თქარათქური. ხეივნის ბოლოს ტალახით მოთხვრილი კარეტა გამოჩნდა; კოფოზე რემიხით იჯდა, მაგრამ კარეტაში არავინ იყო, ესტებანს გაუსწორდა თუ არა, ცხენები უცებ შეაჩერა და სულმოუთქმელად დაიწყო, სენიორ ხორხემ ჯერ გრძნობა დაკარგა, მერე კი ლოგინად ჩავარდა. ქალაქს უეცრად ეპიდემია მოედო. ამბობენ, ვილომცდა ეპიდემია გვამებისაგან გავრცელებულიყოს, რითაც მოფენილია თურმე ნოელი ევროპის ბრძოლის ველები. ჩვენში კი თითქოს ეს საშინელი სენი პორტში ამას წინათ შემოსულ რუსულ ხომალდებს შემოეტანოთ; რუსებს აქ



უცნაური საქონელი ჩამოუტანიათ, თვითონ კი ხომალდებს ტროპიკული ნა-  
წოფით ტვირთავენ, რაც ძალზე ჰყვარებიან სანკტ-პეტერბურგის მდიდარ ბა-  
ტონებს.

XXXVIII



ავადმყოფობა სახლში მთელი უფლებამოსილებით გაბატონებულიყო. შე-  
სასვლელშივე იგრძნობოდა სამზარეულოდან გავრცელებული მდოგვისა და  
სელის ზეთის სუნი. დერეფნებსა და კიბეებზე წინ და უკან მიმოდიოდნენ მსახუ-  
რები, მიმოჰქონდათ სასმელები და მდოგვის საფენები, ნახარშები და ქაფურის  
ზეთი, ბაღის ფესვებსა და ზამბახის ბოლქვებზე დაყენებულ წყალს ვედრო-  
ებით ეზიდებოდნენ ავადმყოფის დასაზულად, რომელიც ისე გაწამებულიყო  
ულმობელი და ჯიუტი ციებ-ცხელებისაგან, რომ დროგამოშვებით ხმამაღლა  
აბოდებდა. სოფია და ესტებანი უკან დაბრუნებისას ლამის შეუსვენებლივ მო-  
დიოდნენ და მთელი ამ ნაღვლიანი მოგზაურობის მანძილზე ერთმანეთისათ-  
ვის ხმა თითქმის არ გაუციათ. ხორხე მძიმე მდგომარეობაში დაუხვდათ. მისი  
ავადმყოფობა არ იყო შემთხვევითი. ეპიდემიას ლამის ქალაქის ნახევარი მო-  
ეცვა, სიკვდილითაც ბევრი მომკვდარიყო. ცოლის დანახვაზე ავადმყოფმა სასო-  
წარკვეთით შეაფათურა თვალები და ხელზე ხელი ისე ჩასჭიდა, თითქოს მათ-  
ში თავდახსნის ღუზას ჰპოვებდა. ორპირი ქარის შიშით კარდახურულ ოთახში  
სულისშემზუთველად ცხელოდა: იდგა წამლების, დასაზული სპირტისა და თა-  
ფლის სანთლის სუნი, სანთლები გამუდმებით ენთო, რადგან ხორხეს საშინელ-  
წინათგრძნობა ჰქონდა — ეგონა, სიბნელეში რომ დაეძინა, ვეღარ გაიღვიძებდა.  
სოფიამ საბანი ამოუკეცა, გავარვარებულ შუბლზე ძმრიანი ტილო დააფინა, და  
ავადმყოფს ჩასთვლიდა თუ არა, საწყობისაკენ გაეშურა, რათა კარლოსისათ-  
ვის ეკითხა, როგორი მკურნალობა ჰქონდა ექიმებისაგან დანიშნული, რომელ-  
თაც, კაცმა რომ თქვას, თვითონაც არ იცოდნენ, რანაირად შებრძოლებოდნენ  
ამ გამოუცნობ სნეულებას... აი, როგორ შეაბიჯეს სახლის ბინადრებმა ახალ  
საუკუნეში; ახალმა საუკუნემ უძილობა, ლამისთევეები და განგაშით სავსე  
დღეები მოუტანათ. და ეს განგაში იშვიათად თუ იცვლებოდა იმედის ნაპერწკ-  
ლით, იმ დღეებში მოზაიკით დაფარული წინკარი კვლავ ივსებოდა სუტა-  
ნიანი ხალხით, ისინი თითქოს ვიღაცის საიდუმლო ბრძანებით მოდიოდნენ და  
ჯიუტად სთავაზობდნენ ოჯახის წევრებს სასწაულმოქმედი რელიქვიისა და  
ჯვარცმის მოტანას. მეორე სართულზე ყველგან რეცეპტები მიმოხეულიყო,  
ქა-იქ ეწყო წამლის შუშები, ელაგა ნახევრად დამწვარი პატრუქები — მათ  
ავადმყოფისთვის კოტოშების დასაყრელად იყენებდნენ. ღრმად დამწუხრებული,  
მაგრამ გარეგნულად სიმშვიდეშენარჩუნებული სოფია ქმრის სასთუმალს არა  
სცილდებოდა, თუმცა ექიმები ერთავად იმას უმეორებდნენ, ავადმყოფობა გადა-  
ბლებიაო. მართალია, ყმაწვილი ქალი ტანს სურნელოვანი ესენციით იზულდა  
და პირში გამუდმებით მიხაკი ედო, ავადმყოფს მაინც ისეთი ყურადღებით და-  
სინაზით უვლიდა, რომ ესტებანს უნებურად ახსენდებოდა ყრმობისა და სიჭაბ-  
უკის წლები, როდესაც ასომის შემოტევეები სტანჯავდა. ახლა სოფიას აღერ-  
სიანი მზრუნველობა — მასში, შესაძლოა, შეუცნობლად ვლინდებოდა დედობ-  
რივი გრძნობა — სხვა ადამიანს ეკუთვნოდა, და ესტებანს ეს განსაკუთრებით  
მწარე ნაღველით ავსებდა, რადგან სწორედ ახლა ჰქონდა საფუძველი, მწუხარე-



ბით გაეხსენებინა მისთვის დაკარგული სამოთხე. გრძნობდა, რომ სამუდამოდ დაჰკარგოდა ეს სამოთხე, იმ შორეულ დღეებში კი, როცა შეეძლო მის თავს გარდმოვლენილი ბედნიერების დაფასება, ამას არ სჩადიოდა, რადგან იგი ყოველდღიური და ჩვეულებრივი ეგონა და ეჩვენებოდა, რომ მას ეს სამართლიანად ეკუთვნოდა.

სოფია მთელ ღამეებს, თავადადებული მესასთუმლეებით, უძილოდ ატარებდა სავარძელში. როგორმე რომც ჩაეთვლიმა, საკმარისი იყო ავადმყოფს ამოეოხრა, რომ უმაღლესი ფხიზლდებოდა. ხანდახან ქმრის ოთახიდან შეშფოთებული გამოდიოდა.

— ისევ აბოდებს, — იტყოდა ხოლმე და ქვითინი წასკდებოდა.

მაგრამ მერე სიმხნევს იკრებდა, რაკი ხედავდა, გონზე მოსული ავადმყოფი უჩვეულო ძალით იბრძოდა სიცოცხლისათვის: ნემსებზე პროტესტს აცხადებდა — ისედაც უკვე დამინახვლიტეს მთელი გვერდებით, და ხმამაღლა ყვიროდა, სიკვდილი ვერ მომერევაო. მერე, მცირე ხნით გამობრუნდებოდა თუ არა, მომავლის გეგმებს აწყობდა: არა, საწყობებსა და მალაზიებში აღარ გავფლანგავ ახალგაზრდობას, ადამიანი ამისთვის როდი იბადება, როგორც კი მოემჯობინდები, სოფიასთან ერთად საზღვარგარეთ წავალ, კმარა გადადება, დროა, მოგზაურობას შევუდგეთ. ვნახავთ ესპანეთს, იტალიას, სიცილიის რბილი ჰავა საბოლოოდ გამომაკეთებს და სამუდამოდ მივატოვებთ ჯანმრთელობისთვის მომაკვდინებელ ამ კუნძულს, სადაც ხალხი ეპიდემიით ისევე ეწამება, როგორც იდესლაც ევროპაშიო... ესტებანმა იცოდა ეს გეგმები და მწუხარებით ივსებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლება ამ გეგმებს განხორციელება ეწერა და ეღვარ უნდა ენახა სოფია — ერთადერთი ადამიანი, რომელიც რაღაც აზრს ანიჭებდა მის უიდეალო, უსურვილო და მისწრაფებამოკლებულ იმჟამინდელ ყოფას. ცხოვრებისეულ გამოცდილებას მწარე გულგატეხილობამდე მიეყვანა, რაც განსაკუთრებით ძალუმაღ დაუფლებოდა ახლა, როცა დღეში რამდენჯერმე უნდა მიეღო ავადმყოფის ამბის შესატყობად მისული მნახველები. მომსვლელთაგან არავინ არავითარ ინტერესს არ უღვიძებდა. ყველა საუბარს უსულგულოდ ეკიდებოდა. განსაკუთრებით თავს აბეზრებდნენ ფილანთროპები — ეს ძველმოდური ადამიანები, რომლებიც კვლავ დადიოდნენ მისი ნათესაუების მიერ დაარსებულ მასონთა ლოჯაში — თვითონ იქ წასვლაზე ცივი უარი განაცხადა. იდეები, რაზედაც თავისი აზრით, სამუდამოდ ეთქვა უარი, ახლა ჰავანაში წამოსწეოდნენ, მაგრამ აქ ისეთ წრეებში აღიარებდნენ, სადაც მათ ყველაფერი აზრს უკარგავდა. მონების მწარე ხვედრზე მოსთქვამდნენ ისინი, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ ეყიდათ ზანგები თავიანთ მამულებში სამუშაოდ. კოლონიის ხელისუფლების გამყიდველობას განსჯიდნენ ისინი, ვისაც სწორედ ამ გამყიდველობის წყალობით მოეხვეჭათ სიმდიდრე და ქონება. კუნძულის დამოუკიდებლობის უპირატესობაზე ისინი მსჯელობდნენ, ვინც მეფის მიერ ნაბოძები აზნაურის ტიტულით თავის დროზე ცასა სწეოდა. შეძლებულ წრეებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა იგივე განწყობილება, რასაც თავის დროზე მოეცვა ევროპის არისტოკრატები და საბოლოო ჯამში ეშაფოტამდე მიეყვანა ისინი. ჰავანაში ახლა, ორმოცი წლის დაგვიანებით, კითხულობდნენ რევოლუციის მქადაგებელ წიგნებს, ამასობაში კი რევოლუცია სულ სხვა, მოულოდნელი გზით წასულიყო და უარეყო ამ წიგნების შინაარსი... გაიარა სამმა კვირამ და გაჩნდა ავადმყოფის გამოჯანმრთელების რაღაც იმედი. უკეთესად არ შექმნილა, ისევ ძველებურად მძიმედ იყო, მაგრამ მდგომარეობა აღარ უარესდებოდა. ყველა,



ვინც ხორხესთან ერთად გამხდარიყო ავად, ვერ გაეძლო წამებისათვის და სიცოცხლეს გამოსალმებოდა. ეპიდემიის პერიოდში ექიმებს, ასე თუ ისე, გამოცდილება დაგროვებოდათ, და თავიანთ პაციენტებს იგივე საშუალებებით მკურნალობდნენ, რითაც ფილტვების ანთებას ებრძოდნენ. ერთხელ, მწუხრისას, სახლში ძლიერი ბრაზაბრუნი გაისმა — ვიღაც მთავარ შემოსასვლელზე მოუთმენლად აბრაზუნებდა კარის ჩაქუჩს. სოფია და ესტებანი პატიოში გამავალი გალერეის მოაჯირიდან გადაწვდილები ცდილობდნენ ხმაურიანი სტუმრის დახუხვას და განცვიფრებულებმა იცნეს ლურჯ სერთუკსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი კაპიტანი კალებ დექსტერი. მეზღვაურს არ სცოდნია, სახლში ავადმყოფი თუ იყო და ისევე გაუფრთხილებლად გამოცხადდა, როგორც სწევოდა, როცა მისი გემი „ერროუ“ ჰავანის პორტში უშვებდა ღუზას. ესტებანი სტუმარს მხიარულად გადაეხვია, მისმა მოსვლამ სასიამოვნო მოგონებები აუშალა. მომხდარი ამბის შეტყობით გულწრფელად შეწუხებულმა დექსტერმა შესთავაზათ, რომ მოიტანდა შინაურ წამალს, რომელიც, მისი თქმით, მეზღვაურებს უკვე გამოეცადათ. სოფია ცდილობდა გადაეთქმევინებინა, — ხორხეს კანი ისე ჰქონდა გაღიზიანებული კომპრესებითა და მდოგვის საფენებით, მცირე შეხებასაც ვეღარ იტანდა — მაგრამ კაპიტანს სწამდა თავისი წამლის სასწაულმოქმედებისა და მის მოსატანად ხომალდზე წავიდა. მწუხრისას დაბრუნდა ძალამოიანად, რომელსაც ძალზე მკვეთრი და მძაფრი სუნი ჰქონდა. მაგიდა ერთით ზედმეტ კაცზე გააწყვეს, შემოიტანეს დიდი ლამაზი ინგლისური საწვწე და უკანასკნელი რამდენიმე კვირის მანძილზე ოჯახის წევრები პირველად დასხდნენ სატრაპეზოდ დამშვიდებულნი. ხორხეს ჩასთვლიმა, მას სოფიას მიერ წმინდა კლარას მონასტრიდან მოწვეული მონაზონი მეთვალყურეობდა.

— გამომჯობინდება, გული მივრძნობს, რომ საფრთხემ უკვე გაიარა, — თქვა კარლოსმა.

— ღმერთმა ინებოს! — მიუგო სოფიამ და მისთვის უჩვეულო ეს სიტყვები ცრუმორწმუნის ფიცივით თუ ლოცვასავით გაისმა.

ესტებანმა უნებურად ჰკითხა საკუთარ თავს, რომელ ღმერთს აღუვლენსო სოფია თავის ვედრებას: ბიბლიურ იაჰვეს, ვოლტერის ღმერთს თუ ფრანკმასონების სამყაროს დიდ არქიტექტორს, — ახლანან დამთავრებულ განმანათლებელ საუკუნეს უცნაურად აერია ერთმანეთში ყველა ღმერთი. ესტებანი ხელახლა მოჰყვა კარიბის ზღვაში თავის თავგადასავალს, მაგრამ ამჯერად სიამოვნებდა ამბის თხრობა, რადგან დექსტერისათვის კარგად იყო ნაცნობი ესტებანის მიერ მოვლილი ადგილები...

— საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ომი უეჭველად ჩქარა დამთავრდება, სამშვიდობო მოლაპარაკება უკვე დაიწყო, — თქვა კალებ დექსტერმა.

რაც შეეხება გვადელუპას, იქ მუდამ არეულობააო, ეს არეულობა, კაპიტანის თქმით, მაშინ დაიწყო, როცა ვიქტორ იუგმა უარი განაცხადა ნებით დაეთმო ხელისუფლება პელარდისა და დეფურნოსათვის, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ძალით აიყვანეს ხომალდზე და ისე დააბრუნეს საფრანგეთშიო. კუნძულზე გამუდმებით ხდება აჯანყება, თითქოს ფერფლიდან ხელახლა წამომდგარი ძველი დროის „თეთრი უფროსები“ კი აშკარად ებრძვიან პრივილეგიადაბრუნებულ „ახალ თეთრ უფროსებს“, მოკლედ, საფრანგეთის კოლონიებში ნელ-ნელა უბრუნდებიან ძველი რეჟიმისდროინდელ წესრიგს, განსაკუთრებით



მას შემდეგ, რაც ვიქტორ იუგმა კაიენაში დირექტორიის აგენტის ახალი თანამდებობა მიიღო.

— არ იცოდით? — გაუკვირდა მეზღვაურს, დაბნეულობა რომ შეატყოს თავის თანამოსაუბრეებს, რომელთაც ვიქტორ იუგი დამარცხებული, კარიერადამთავრებული, ციხეში გამომწყვდეული და უკვე სიკვდილით დასჯილიც კი ეგონათ.

ახლავა შეიტყვეს, რომ იუგს პარიზში დიდი წარმატებები ჰქონდა მიღწეა, ზერე ტრიუმფით დაბრუნებულიყო ამერიკაში და ძალაუფლებით აღჭურვილს თავი კვლავ დაემშვენებინა სამკუთხა შლაპით. ამ ამბავს გვიანამდე რომ ჩაუღწევია, ჰყვებოდა იანკი, მოსახლეობა შიშს მოუცავს. ხალხი ყვირილით გამოფენილა ქუჩებში, ნამდვილი უბედურება ახლა დაიწყებაო. სინამარაში, კურუში, ირაკუბოსა და კონამამაში გადასახლებულები ფიქრობდნენ, ახალ უბედურებას ნამდვილად ვეღარ გავუძლებთო, გოდებდნენ და ლოცვებს აღუვლენდნენ უფალს, ევედრებოდნენ, ეხსნათ ისინი გარდუვალი ტანჯვისაგან. ყველა ისეთ შიშის ზარს მოეცვა, იფიქრებდით, დედამიწას ანტიქრისტე მოუვლენიაო. კაიენაში ხალხის თავმოყრის ადგილებში მოსახლეობის დასაშოშმინებლად აფიშებიც კი გაუკრიათ, დრო შეიცვალა და ის, რაც გვადელუპაში მოხდა, აქ აღარ გამეორდებაო. პირიქით, დიდსულოვნებითა და სამართლიანობით აღსავსე დირექტორიის ახალი აგენტი ეცდება ყველაფერი გააკეთოს კოლონიის კეთილდღეობის განსამტკიცებლადო.

— Sis\*, — ჩაიბურტყუნა ესტებანმა ნაცნობი სიტყვების გაგონებაზე.

და უკვე მეტისმეტად ტრაგიკომიკურად გამოჩნდა შემდეგი ფაქტი: თავისი კეთილი სურვილების დასამტკიცებლად ვიქტორ იუგი კაიენაში ორკესტრით ჩასულა, ორკესტრი გემის ცხვირზე განულაგებია, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ადრე გვადელუპას მოსახლეობის გასაფრთხილებლად და დასაშინებლად გილიოტინა იდგა. მაშინ, ექვსი წლის წინათ, გემის ცხვირზე ხანდახან გაისმოდა ავისმომასწავებელი სტვენა ძირს დაცემული გილიოტინის დანისა, რომლის მუშაობასაც ანსი დროდადრო ამოწმებდა, ახლა კი აქ გოსეკის ხალისიანი მარში, მოღური პარიზული სიმღერები და ფლეიტასა და კლარნეტზე შესრულებული სოფლური კონტრადანსი გაისმოდა. ვიქტორ იუგი კაიენაში მარტო ჩასულა, ცოლი საფრანგეთში დაეტოვებინა, ეგებ ცოლი არც შეურთავს, ამაზე დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლიაო, თქვა კალებ დექსტერმა. მე იუგზე მარტო ის ვიცი, რაც პარამარიბოში გადმომცეს, სადაც უკანასკნელ ხანებში დირექტორიის მრისხანე აგენტის მეზობლობა ყველას აშფოთებდა. მაგრამ ყველას განსაცვიფრებლად ამ ყოვლისშემძლე კაცს ახლა მოულოდნელი დიდსულოვნება გამოუმჟღავნებია, პირადად უნახავს გადასახლებულები, რამდენადმე შეუმსუბუქებია მათი მდგომარეობა და ბევრისთვის ჩქარა სამშობლოში დაბრუნებაც აღუთქვამს.

— მგელი ბატკნის ტყავში ცდილობს გაეხვიოს, — ჩაეცინა ესტებანს.

— გაქნილი პოლიტიკოსია და მარჯვედ უღებს ალლოს დროის მოთხოვნებს, — მხარი აუბა კარლოსმა.

— რაც უნდა ვთქვათ, ვიქტორი არაჩვეულებრივი ადამიანია, — წარმოთქვა სოფიამ.


კალებ დექსტერმა მცირე ხანს დაჰყო, ეჩქარებოდა თავის ზომალდზე, რომელსაც განთიადისას უნდა ამოეღო ღუზა: პოლიტიკაზე დაწვრილებით ერთი

\* ასეა (ლათ.).



თვის შემდეგ ვისაუბროთ, როდესაც სამხრეთისაკენ მიმავალი ჰავანაში კვლავ შევჩერდები, მაშინ ავადმყოფის გამოჯანმრთელებასაც, როგორც წესია, ისე აღენიშნავთ, რამდენიმე ბოთლ დიდებულ ღვინოს გამოვცლითო. ესტებანმა თავად წაიყვანა კაპიტანი ნავმისადგომზე... შინ მობრუნებულს შესასულელთან კარლოსი დაუხვდა.

— ჩქარა, ექიმი მოიყვანე, — მიაგება მან, — ხორხე სულს ებრძვის, — დამდე, ეფიქრობ, ველარ გააწევს.



### XXXIX

ავადმყოფი ისევ უძალიანდებოდა სიკვდილს. ვინ იფიქრებდა, რომ ამ წარმავალი გვარის ნაშიერს, ამ გამხდარსა და ფერმკრთალ კაცს ამდენი სასიცოცხლო ენერჯია ექნებოდა! ძლივძლიობით სუნთქავდა, ციებ-ცხელები-საგან გათანგულიყო, მაგრამ საიმისო ძალა მაინც შერჩენოდა, რომ ბოდვისას თავგანწირულად ეყვირა, არ მსურს სიკვდილიო. ესტებანს არაერთხელ ენახა, როგორ ესალმებოდნენ სიცოცხლეს ინდიელები და ზანგები: აღსასრულის უამს მათ სულ სხვანაირად ეჭირათ თავი; ისინი მძიმედ დაჭრილი პირუტყვებით მორჩილად ეთხოვებოდნენ წუთისოფელს, ყოველ წუთში სულ უფრო მეტად ცდილობდნენ სიცოცხლისაგან თავის დაღწევას და, გარდუვალ აღსასრულს თითქოს წინასწარვე შეგუებულნი, ყველასაგან მოხვენებით ყოფნას ირჩევდნენ. ხორხე პირიქით, შფოთავდა, მძვინვარე პროტესტს აცხადებდა, კვნესოდა, ჩიოდა, არა ჰყოფნიდა ვაჟკაცობა მორჩილად მიეღო ის, რაც სხვებისთვის უკვე აშკარა გამხდარიყო. ცივილიზაციას ადამიანისთვის წაერთვა თითქოს სიკვდილის წინაშე შეუპოვრობა. თუმცა მას საუკუნეების მანძილზე იმდენი გამოცდილება დაეგროვებინა, რომ ადამიანს უნდა დახმარებოდა, ჩაწვდომოდა სიკვდილის არსს და მშვიდად მიეღო იგი. ახლა, როცა საათის ქანქარის ყოველ მოძრაობაზე უმოწყალოდ უახლოვდებოდა სიკვდილი, წამებულს სურდა თავი დაერწმუნებინა, რომ ეს აღსასრული კი არა, სხვა სამყაროში გადასვლა იყო, რომ დედამიწაზე სიცოცხლის შემდგომ სულ სხვაგვარი ცხოვრება ელის ადამიანს, და იმ სხვა ცხოვრებაში შესვლა საჭიროებს სააქაოს მიღებულ გარკვეულ გარანტიას. ხორხემ თვითონ მოითხოვა მღვდლის მოყვანა და მოძღვარმაც მოუსმინა მის უკანასკნელ, უთავბოლოსა და ძნელად მისახვედრ აღსარებას. როსაურას შეეტყო თუ არა, ექიმებმა მკურნალობაზე ხელი აიღესო, სოფია დაიყოლია ავადმყოფისთვის მოხუცი ზანგი ექიმბაში მოეყვანა.

— როგორც გინდა ისე მოიქეცი! — უთხრა ყმაწვილმა ქალმა, — აკი ოჟეც არ უარყოფდა ექიმბაშებს...

ჯადოქარმა, უპირველეს ყოვლისა, ოთახი „გაწმინდა“, ირგვლივ სურნელოვანი სითხე მოაპკურა; მერე ჰაერში ნიჟარების სროლას მოჰყვა, თან ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ ეცემოდნენ ძირს — პირქვე თუ პირაღმა. ბოლოს ავადმყოფის საწოლთან ბაზრის მახლობელ დუქანში სამკურნალო ბალახეულის მოვაჭრისაგან ნაყიდი ერთი ილღია ბალახი დააწყო. და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მოხუცმა შეძლო ავადმყოფის მდგომარეობის შემსუბუქება. ხორხეს უკვე ნაკლებად ეხუთებოდა სული, გული კი, ღამის გაჩერებას რომ ღამობდა, თანაბრად აუძგერდა... მაგრამ უფრო მეტის იმედი გადაეწურათ. მომაკვდავის ორგანოები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ მწყობრიდან.



ექიმბაშის შინაურმა წამალმა ავადყოფს მხოლოდ მცირე ხნით მოუტანა შვე-  
 ლა. დამკრძალავი საქმეების უტყუარაღლოიანი ოსტატები მთელი დღე სახლის  
 გარშემო დაწრიალებდნენ, და ესტებანს სულაც არ გაჰკვირვებია, როცა კა-  
 რლოსს მკერაუმა სამგლოვიარო ტანისამოსი მოუტანა. სოფიასაც აღრევ შე-  
 ეკვეთა თავისი მკერავისთვის თაღბი კაბები, თანაც ისე ბლომად, რომ რამდენ-  
 ნიმე კალათა იყო გავსებული. კალათები უწესრიგოდ უწყო მოშორებულ  
 ოთახში, სადაც ქმრის ავადყოფობისას იცვლიდა ხელსაცმელს. მა-  
 გრამ შესაძლოა, იღუმალი ცრურწმენის გამო, ჯერ ვერ გაებედა ამ კალათების  
 გახსნა. ესტებანს ესძოდა მისი: სათაღბობლის წინასწარი შეკვეთით ადამიან-  
 ნები თითქოსდა რაღაც ჯადოთი იკვრებიან, თაღბის ნაადრევად გამომზეურება  
 კი ნიშნავდა იმის შეგუებას, რისი შერიგებაც ძნელი იყო. თითოეულს თავი  
 ისე უნდა მოეჩვენებინა, თითქოს არ სჯეროდა, რომ მათ სახლში ფლასი კვლა-  
 ვაც გამოჩნდებოდა, მაგრამ სამი დღის მერე, ნაშუადღევის ოთხ საათზე, საბუ-  
 დისწერო გულის შეტევის შემდეგ, რომლის შეჩერება ვეღარ შეძლეს, თაღბი  
 ამ სახლში საპარადო შესასვლელიდან შემოვიდა. თაღბი აქ შემოვიდა მო-  
 ნაზუნების შავი შესამოსელით, მღვდლების შავი სუტანებით, მეგობრების, მუშ-  
 ტრების, ფრანკმასონების, ნაცნობების თუ სავაჭრო ფირმის მომსახურეთა შა-  
 ვი კოსტუმებით; თაღბი აქ შემოვიდა დამკრძალავი კანტორის იმ წარმომად-  
 გენელთა შავი ქვაბქუდებითა და ხელთათმანებით, რომელთაც შავი კატაფალკა  
 და სუდარა მოეტანათ. თაღბი აქ შემოვიდა შავკანიანთა ტანისამოსით, რომ-  
 ელთა ოთხი თაობა უგზავნიდა ამ სახლს მსახურებს; ახლა ზანგები, მივიწყებ-  
 ული აჩრდილებივით, შორეული უბნებიდან მოსულიყვნენ და პატიოს თაღბ-  
 ქვეშ შეჯგუფულნი ერთხმად დასტიროდნენ მიცვალებულს; ოდითგან წოდებ-  
 რივი და რასობრივი მიჯნით დაყოფილ საზოგადოებაში მიცვალებულთან დამ-  
 შვიდობება ერთადერთი ცერემონია იყო, სადაც ამ დაყოფას ყურადღება აღარ  
 ექცეოდა: აი, რატომ იყო, რომ დალაქი, რომელიც ოდესღაც პარსავდა მიცვა-  
 ლებულს, კუბოსთან გვერდზე ედგა კოლონიის მეფისნაცვალს თუ სამედიცი-  
 ნო კორპორაციის უფროსს, გრაფ დე პოსოს-დულისესა თუ მდიდარ მემამუ-  
 ლეს, რომლისთვისაც მეფეს ის-ის იყო ებოძებინა მარკიზის ტიტული. ასეუ-  
 ლობით უცნობი ადამიანის მოსვლით განცვიფრებული — ჰავანის მთელმა კო-  
 მერციულმა სამყარომ ნახა იმ დამეს მალაღსვენებელიანი სახლი — უძილო დამე-  
 ებისაგან ჩამომხმარი სოფია ღრმად დამწუხრებული, უცრემლოდ და უდრტვინ-  
 ველად, ისეთი ღირსებითა და კეთილშობილებით ასრულებდა მისთვის უჩვეულო  
 ქერივის როლს, რომ ესტებანი განცვიფრებული მისჩერებოდა. ოთახი დახუთუ-  
 ლიყო. იდგა ათასგვარი ყვავილის გამაბრუებელი სურნელება, რომლის გამო  
 დაღვენთილ თაფლის სანთელსაც კი უსაამოვნო სუნი ჰქონდა, ყოველივე ამას  
 ერეოდა სანთელთა ბული და ჯერაც გაუნიავებელი წამლების, განსაკუთრებით  
 ბლოგვისა და ქაფურის სუნი; სიცხისაგან ყმაწვილ ქალს, ეტყობა, თავბრუ ეხ-  
 ვეოდა; შეჭმუხნული სახე გაფითრებოდა, მაგრამ ულაზათო თაღბი კაბისა და  
 გარეგნული ნაკლის მიუხედავად, სოფია თავისებურად მშვენიერი იყო. ჰქონდა  
 ძალზე ჯიქური შუბლი, მეტად ხშირი და გადაბმული წარბები, ძალზე უმოდ-  
 რაო და ზანტი მზერა, ოდნავ გრძელი ხელები, ფეხები კი საკმაოდ წვრილი  
 ზორცსავსე თემოებთან შედარებით. მაგრამ ამ მძიმე ვითარებაშიც კი განუ-  
 შეორებელ მომხიბვლელობას ასხივებდა — ასხივებდა სადღაც მისი არსების  
 წიაღიდან მომდინარე სრულყოფილსა და უნაკლო ქალურ მომხიბვლელობას,  
 და ესტებანს ახლა განსაკუთრებით მძაფრად შეეგრძნო ეს მომხიბვლელობა, რა-



კი ჩაწვდომოდა ამ მდიდრული ნატურის ფარულ შესაძლებლობებს. ესტებანი პატიოში გავიდა, რათა ცოტათი მაინც დაესვენა მონოტონური ხმებისაგან – სასტუმრო ოთახში ცხედართან ლოცვებს რომ ბუტბუტებდნენ. მერე თავისი ოთახისაკენ გაეშურა და კუთხეში მიყრილი მარიონეტები მოხვდა თვალში. მათი უცნაური გარეგნობა, ტანსაცმელი და პოზები – ყველაფერი კოლოსებურ პროტესსსა ჰგავდა. ესტებანი ჰამაკში ჩაეცა, ვერ მოეშორებინა აკვირებულ აზრი, რომ ხვალ სახლში ერთი ადამიანით ნაკლებნი დარჩებოდნენ. ცოცხლების მომავალი მოგზაურობის გეგმები, რამდენიმე დღის წინათ ასე რომ აფრთხილებდა, უკვე აღარასოდეს განხორციელდებოდა: ახლა დადგებოდა ნაღვლიანი გლოვის წელიწადი, რომელსაც თან უნდა ხლებოდა სულის მოსახსენებელი მესები თუ სასაფლაოზე უცილობელი სიარული. წინ მთელი წელიწადი ექნებოდა დისა და ძმის დასარწმუნებლად, რომ საჭირო იყო ცხოვრების წესის შეცვლა. არ იქნებოდა ძნელი დაბრუნებოდნენ ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ნალოლიავე გარდასულ ოცნებას. მართალია კარლოსი მეტისმეტადაა ჩაფლული სავაჭრო საქმეებში, მაგრამ, ალბათ, ორი ან სამი თვით მაინც შეძლებს მოგზაურობას. მერე კი ესტებანი ისე მოაწყობს საქმეებს, რომ მარტო დარჩეს სოფიასთან სადმე ევროპაში, თუნდაც, ესპანეთში, ქვეყანაში, რომელსაც ახლა, წინანდელთან შედარებით, ნაკლებად ელოდა ომის საფრთხე ფრანგებთან – ისინი ხომ ხმელთაშუა ზღვაზე ნახტომის წყალობით სრულიად უაზროდ გაჩხერილიყვნენ ევროპტეში. მთავარია არ აჩქარდეს, არ აჰყვეს წუთიერ აღტკინებას. რაც შეიძლება მეტად ითვალთმაქცოს, როცა საჭირო იქნება, იცრუოს კიდევ, თავისი ნებისთნე შეასრულოს ტარტიუფის როლი... ესტებანი დაბრუნდა ნახევრად ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში. მოდიოდნენ სულ ახალი და ახალი მოსამძიმრებები, ისინი მაგრად ართმევდნენ ხელს, ეხვეოდნენ, თანაგრძნობის სიტყვებს ეუბნებოდნენ და გაღერვაში გადიოდნენ. ესტებანმა კუბოს შეხედა. შიგ მწოლიარე კაცი მისთვის უცხო იყო, მას ხვალ მხრებზე შეიდგამდნენ და სახლიდან გაიტანდნენ; ესტებანი მის წინაშე არ იყო დამნაშავე, სულის სიღრმეში არცა სურდა მისი ფიზიკური მოცილება, – გასული საუკუნის პედანტი ფილოსოფოსები ამ სიტყვებით გამოხატავდნენ არასასურველი ადამიანის განადგურებას. გლოვა სახლის კარს დაუკეტავდა უცხო ხალხს, ოჯახის ცხოვრება კვლავ ბუნებრივ კალაპოტში მოექცეოდა, კვლავ განახლდებოდა წარსული დღეების სუნთქვა. ეგებ სახლში მისთვის სასურველი უწესრიგობაც აღმდგარიყო და ძველი დრო დაბრუნებოდათ. გაივლიდა მიცვალებულთან დამშვიდობების ეს გრძელი დამე; დავიწყებას მიეცემოდა დაკრძალვის პროცესიაზე ჯვრის მზიდავი კაცი, შეწირულება, სამგლოვიარო ტანისამოსი და ვეება თაფლის სანთლები, ყვავილები და სუდარა, პანაშვიდი და რეკვიემი. მიწყდებოდა საუბარიც – ერთი დაკრძალვაზე საპარადე მუნდირით მოვიდა, მეორე ტიროდა, მესამე კი მწუხარე ხმით წარმოთქვა, მიწა ვართ და მიწად ვიქცევითო. ახლა კი ესტებანი, როგორც მიცვალებულის ახლო ნათესავს შეშვენის ასობით მოსამძიმრეს ართმევს გაოფლილ ხელს მცხუნვარე მზის ქვეშ, რომლის სხივებიც, არუკლილი მარმარილოს ფილებზე, მტკივნეულად სჭრის თვალებს, – და როცა ყოველივე ეს უკან დარჩება, და-ძმების სულში აღსდგება წარსულთან ბუნებრივი კავშირი...

დაკრძალვასთან დაკავშირებული უსიამოვნო მოვალეობის შესრულების შემდეგ კარლოსი, ესტებანი და სოფია, ისევე როგორც რამდენიმე წლის წინათ, ერთად შემოუსხდნენ დიდ სასადილო მაგიდას; ახლაც მაშინდელივით კვირა



დღე იყო და ახლაც მეზობელ სასტუმროში მომზადებული სადილით დანაყრუბა გადაწყვიტეს. რემიხიომ, სასაფლაოზე რომ ყოფილიყო და ბაზარში წასვლა ვეღარ მოესწრო, შემოიტანა ხელსახოცგადაფარებული სინები, ზედ ელაგა მარციპანი, შამფურზე შემწვარი მტრედები, ტრიუფელი და სხვა ნუგბარი საჭმელები, — ყველაფერი ესტებანს შეეკვეთა, მსახურებისთვის ნაბრძანები ჰქონდა, არ დაეზოგათ ფული, თუკი რისიმე შოვნა გაუჭირდებოდათ.

— როგორი დამთხვევაა, — წამოიძახა სოფიამ, — თუბრალოდ ვერცხვები, ზუსტად ეს საჭმელები გვქონდა მაშინაც, დაკრძალვაზე, როცა... მან ფრაზა აღარ დაასრულა: სახლში არასოდეს არ ლაპარაკობდნენ განსვენებულ მამაზე...

— ჰო, ზუსტად ეს საჭმელები, — დაუდასტურა ესტებანმა, — კერძები სასტუმროში ნაკლებად იცვლება.

ესტებანმა შენიშნა, რომ ბიძაშვილი მაგიდას იდაყვით დაყრდნობოდა, თითქოს გადავიწყებოდა კარგი მანერები და აღრინდელი უშუალობა დაბრუნებოდა. სოფიამ ჯერ ერთ კერძს გაუსინჯა გემო, მერე — მეორეს, არავითარი ანგარიშგებობას არ იცავდა, ჭიქებს აქეთ-იქით ალაგებდა და სუფრაზე ნახატებს ათვალთქვებდა. მრავალი უძილო ღამისაგან ქანცგამოღებული ძაღვ წავიდა თავის ოთახში დასაძინებლად. ახლა უკვე აღარ ღირდა რისკის გაწევა. გადამდებ ავადმყოფობას მოერიდა, ბრძანა, სხვენიდან მისი ქალიშვილობისდროინდელი საწოლი ჩამოეტანათ და მოშორებულ ოთახში დაედგათ, სადაც ჯერ ისევ გაუხსნელად ელაგა სამგლოვიარო ტანისამოსიანი კალათები.

— საბრალო სოფია, რა დროს დაქვრივდა, — აღმოხდა კარლოსს, მარტონი რომ დარჩნენ მამაკაცები.

— აბა, მაგრამ ძაღვს ვაძულებ, — უპასუხა ესტებანმა, თან ნაცრისფერ კრიალოსანს მარცვლავდა, რაც ზღვაზე ხეტიალისას ქარიშხლის ასარიდებელ და უბედურებიდან თავის დასაღწევ თილისმობას უწევდა.

მომდევნო დღეებში ესტებანი ცდილობდა ცოტა რამეთი მაინც დახმარებოდა ძმას, კეთილსინდისიერად მიდიოდა კანტორაში და ხორხეს მაგიდას ისე მიუჯდებოდა ხოლმე, თითქოს სავაჭრო ფირმის საქმეების მეტი არაფერი აგონებოდა. აქ ესტებანი მუდამ ხვდებოდა ქალაქის ნეგოციანტებსა და პროვინციულ ვაჭრებს, მათგან შეიტყო, რომ კუნძულზე მრისხანე მოვლენები მზადდებოდა, ყველგან ყრუ მღელვარება იგრძნობოდა. მდიდარი მეშამულეები შიშისგან კანკალებდნენ, სულ იმის მოლოდინში იყვნენ, აქაური ზანგებიც სანტოლომინგოს ზანგების მსგავსად აჯანყდებოდნენ. ხმები დაირბა, შეთქმულთა ხელმძღვანელი ვიღაც მულატი, რომელიც არც არავის ენახა და არც სახელი იცოდნენ მისი, სოფელ-სოფელ დადის და შაქრის სახარშავის მუშებს ამბოხებისათვის აგულიანებსო. ბევრსა ჰქონდა ჯიბეში დამალული პატარა წიგნაკი „შენგებულნი ფრანგები“; ჰავანაში ყოველ დღით პოულობდნენ სახლის კედლებზე დამლამობით ჩუმად გაკრულ მუქარის ფურცლებს, ეს ფურცლები აცხადებდა უფლებას „სინდისის თავისუფლებაზე“, ადიდებდა რევოლუციას და იუწყებოდა, რომ ჩქარა ქალაქის მოედანზე გილიოტინა აღიმართებოდა. საკმარისი იყო ზანგს — მოვრალს, გინდა შეშლილს ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა ან ეცემა, რომ მეამბოხედ მოენათლათ. ჰავანაში შემოსულ ხომალდთა მუხღეაურები ჰყვებოდნენ ვენესუელისა და ახალი გრენადის მღელვარებაზე. ყველგან შფოთი მწიფდებოდა. ამბობდნენ, გარნიზონები საბრძოლო მზადყოფნაში არიანო, პრინსიპეს ციხე-სიმაგრეში მყოფი ბატარეის გასაძლიერებლად კი ესპანეთიდან ახალი ზარბაზნები ჩამოიტანესო...



— სისულელეა, — განაცხადა კარლოსმა, როდესაც ეს ამბები უთხრეს და საუბარი წინდახედულად სხვა თემაზე გადაიტანა, — ამ დიდ სოფელში ხალხმა თვითონაც არ იცის, რასა ჰყვება, — დაუმატა გუნებაში.

XL



ერთ საღამოს, როცა კარლოსი და სოფია მასონთა ლოჯაში რაღაც ცერემონიაზე დასასწრებად წავიდნენ, ოდნავ გაციებული ესტებანი სასტუმროს ოთახში მოხალვათდა, გვერდით პუნშით სავსე ჭიქა მოიდგა და წინასწარხილვათა და წინასწარმეტყველებათა კრებულის კითხვას შეუდგა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ ტორეს ვილიაროელს „დიდი საღამანკური აღმანახის“ სახელწოდებით გამოეცა. ჭაბუკს ძალზე გაუკვირდა, როცა აღმოაჩინა, რომ ვილიაროელი, აღმანახის უფრო სწრაფად გასაღების მიზნით, საკუთარ თავს ალქიმიის, მაგიისა და ნატურფილოსოფიის დოქტორად მოიხსენიებდა, ამასთან, შესაშინებელი სიზუსტით წინასწარმეტყველებდა საფრანგეთის მეფის დაშლას.

ათი საუკუნე დაითვალე,  
ზედ ექვსასი წელიც მიათვალე,  
ორ ასეულ წელს ათით ნაკლებს  
იმ მიღებულ რიცხვს თუ მიუმატებ —  
საბედისწერო ჯამს მიიღებ...

ო, მწუხარება გეწვევა, საფრანგეთო!  
თუმცა არსიდან არ ელი განსაცდელს,  
მეფე, დოფინი, ხალხი თუ სასახლე  
მოწმენი გახდებიან, შენს ბედნიერ სვეს  
როგორ დაუდგება აღსასრულის დღე!

შერე ესტებანმა ვილიაროელის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერის კითხვა დაიწყო და მისმა თავგადასავლებმა ძალზე გაიტაცა. დახლართული იყო ამ არაჩვეულებრივი ადამიანის გზები: იყო განდევილთა გამყოლი სტუდენტი, მატადორი, ექიმბაში, მოცეკვავე, ანდერძის აღმსრულებელი, მათემატიკოსი, ოპორტის ჯარისკაცი, უნივერსიტეტის მასწავლებელი, ბოლოს კი წყუდრო ნავსაყუდელი მონასტერში ჰპოვა. ესტებანი მივიდა იმ იღუმალ ეპიზოდამდე, სადაც ავტორი ჰყვებოდა, როგორ დაერღვიათ მოჩვენებებს მადრიდის ერთ-ერთი სახლის სიმყუდროვე, და როგორა ჰყრიდნენ ხმაურით კედლიდან სურათებს. სწორედ ამ დროს ესტებანმა უცებ შეამჩნია, რომ ბინდუნდს დაწყებული თავსხმა ქარიშხალნარევ დაჟინებულ კოკისპირულ წვიმად ქცეულიყო. უცბად ზედა სართულის ფანჯრის რაზუნმა მიიპყრო მისი ყურადღება — ეტყობა, ფანჯარა კარგად არ იყო მიხურული. ასეთი დამთხვევა ცოტა სასაცილოდ მოეჩვენა. რაზუნი ხომ სწორედ იმ წამს შემოესმა, როცა აჩრდილების და მოჩვენებების ამბავს კითხულობდა. თავი ისევ წიგნში ჩა-



რგო, მაგრამ განმეორებულმა ხმაურმა წიგნს მოაცილა; ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა მალლა ასულიყო. სოფიას არ დაეკეტა თურმე თავისი ახალი საძინებელი ოთახის შემინული კარი. ესტებანი მიხვდა, დაუდევრად რომ მოიქცა და მაშინვე არ წამოვიდა კარის დასაკეტად: აღმაცერ კაცისპირულ წვიმას თავისუფლად ედინა იატაკზე და საწოლთან დაგებული ხალხი ერთიანად დაესველებინა. კარადის მახლობლად ოდნავ ჩადრეკილ ფილებდაგებულ იატაკზე გუბე იდგა. სწორედ ამ გუბეში ეწყო სოფიას ჯერაც გაუხსნელი სამგლოვიარო ტანსაცმლიანი კალათები, რომელთა წნელები ხარბად ისრუტავდნენ წყალს. ესტებანმა კალათები მაგიდაზე დააწყო, მაგრამ ძირები ისე ჰქონდა დასველებული, რომ იფიქრა კაბები აუცილებლად უნდა ამოეღო. გახსნა პირველი კალათა; ესტებანი სამგლოვიარო კაბების დანახვას მოელოდა, მტკიცე ატლასისა და ნაზი აბრეშუმის ფერადი კაბები კი შერჩა ხელთ. ჭაბუკი განაცვიფრა ამ საზეიმო ფერებმა, მით უფრო, რომ სოფიას არასოდეს ჰქონია გარდერობში ასეთი მდიდრული ტანისამოსი. ახლა მეორე კალათს ახადა სახურავი და თვალი მოსჭრა ქათქათა ჰოლანდიურმა ტილომ, ვალანსიენურმა მაქმანმა, უნაზესმა მუსლინმა, გამჭვირვალე ღამისპერანგებმა და საცვლებმა. დაბნეულმა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ესტებანმა, თითქოსდა სხვისი საიდუმლოების უნებართვოდ შეტყობა მოეწადინებინოს, კალათები დახურა და მაგიდაზე დატოვა. ოთახიდან გასული უმაღლ ჩვრით ხელში დაბრუნდა უკან. იატაკს წმენდდა, მაგრამ თვალი მაინც კალათებისკენ გაურბოდა, კალათები სწორედ იმ დღეებში მოიტანეს, როცა ხორხე მეზობელ ოთახში სასიკვდილო აგონიაში იყო. ქმრის სიკვდილის მერე სოფიას, ბუნებრივია, თალხები ეცვა; სულ სამი შავი კაბა ჰქონდა, რომელთაც ჯერჯერით იცვამდა; უცნაური ჩანდა, ყმაწვილ ქალს ასეთი უბრალო და სადა ტანსაცმელი რომ აერჩია, — ალბათ ამით ხორცის მოკვდინებას ესწრაფვისო, ფიქრობდა ესტებანი. ახლა კი ამაოდ იმტერევედა თავს მიძხვდარიყო, როგორ შეეძლო სოფიას ასეთ დროს მისი მდგომარეობისათვის უსარგებლო და შეუფერებელი ძვირფასი ტანისამოსის შეკვეთა. კალათებში ხომ სამეჯლისო, სათეატრო კაბემა ეწყო. ეწყო ერთი ღუჭინი თხელი წინდები, დაქარგული სანდლები; მდიდრული მორთულობა, რომელსაც სინათლეზე დამატყვევებლად უნდა ებრწყინათ ყველაზე ინტიმურ ვითარებაში. ესტებანმა უკანასკნელ კალათსაც ახადა თავი. აქ უფრო ყოველდღიური საჭიროების უბრალო ტანსაცმელი იყო: საგარეო კაბა, რომელიც სადღესასწაულოდ კი არა, საყოველღიუროდ შეეძლო ჩაეცვა; შესანიშნავი ფერადი ატლასისაგან შეკერილი და გემოვნებით გაწყობილი კაპოტი. ესტებანი საგონებელში ჩავარდნილიყო: კალათებში არ იყო არც ერთი შავი კაბა, არ იყო არც შავი წინდები, არც შარფი და არც ვუალი რასაც სამგლოვიარო დღეებში ატარებდნენ. სოფიამ კი მშვენიერად იცოდა, რომ იმხანებში არაფერი ისე სწრაფად არ იცვლებოდა, როგორც ქალების მოდა. ამ დროს უკვე არნახულად აყვავებულ ჰავანას ქალებს მშვენივრად მოეხსენებოდათ, როგორ იცმევდნენ ევროპაში, ამიტომაც ველარ გაეგო, რატომღა ეყიდა სოფიას მთელი ეს მდიდრული მორთულობა, როცა იცოდა, რომ მთელ წელიწადს თალხები უნდა სცმოდა, მომდევნო წელიწადს კი ნახევრად თალხები. ხომ უნდა ეფიქრა, რომ ეს ყველაფერი თანდათანობით მოდიდან გამოვიდოდა... ესტებანი თავს იმტერევედა პირდაპირ ამ ამოუხსნელ ამოცანაზე, ხანდახან ყველაზე შეურაცხმყოფელი ვარაუდიც კი მოსდიოდა თავში — ეგებ სხვანაირ ცხოვრებას ეწევა ჩემი ბიძაშვილი, რასაც მისი ღვიძლი ძმაც კი ვერა ხვდებაო



– მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა ჭიშკარში შემოსული ეკიპაჟის თვლების ხმაური. სოფია თავისი ოთახის ზღურბლს მოადგა და განცვიფრებისგან ერთ ადგილზე გაშეშდა. ესტებანმა აუხსნა, რაც მოხდა, თან ვედროში ჩვარსა წურავდა.

– კაბები ალბათ გვარიანად დაგისველდა, – უთხრა და კალათებზე ანიშნა.

– კაბებს მე თვითონ ამოვალაგებ, დამტოვე თუ შეიძლება, – უპასუხა ვიამ, ბიძაშვილი კარამდე მიაცილა, დამემშვიდობისა უსურვა და ოთახში ჩაიკეტა.

მეორე დღეს ესტებანი კანტორაში რომ იჯდა და ამაოდ ცდილობდა საქმეებისთვის თავის გართმევას, ქუჩაში ხმაური ატყდა, ხალხი აღელვებული ყვიროდა, ჰავანის ზანგებმა თავიანთ ჰაიტელ თანამოძმეებს მიბაძეს და აჯანყება დაიწყესო. ქალაქის მკვიდრნი ფანჯრებს კეტავდნენ; მოხეტიალე ვაჭრები ჩქარა-ჩქარა ალაგებდნენ თავთავიანთ საქონელს და აქოშინებულები მიჩქაროდნენ სახლებისკენ: ვინ სათამაშოების სავსე ურიკას მიაგორებდა, ვინ სტატუეტებითა და საკურთხევლის მოსართავეებით გატენილ ტომარას მიათრევდა, თავიანთ ჭიშკრებთან გამოსული ენაჭარტალები ერთმანეთს მკვლელობისა და ძალადობის ამბებს უყვებოდნენ. იქვე კუთხეში სწრაფად მოტრიალებული რომელიღაც ეკიპაჟი ხმაურით გადაყირავდა. ქუჩებში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა და დაუჯერებელ ამბებს ჰყვებოდა. ჯარისკაცების ორმა პოლკმა ქალაქის გარშემორტყმულ კედელს მიაშურა მონების მოახლოებული კოლონიის მოსაგერიებლადო; ფერადკანიანებმა სცადეს დენტის საწყობის აფეთქებაო; ქალაქში ბალტიმორიდან ზომალდებით შემოსული ორანგი აგიტატორები მოქმედებენო; არსენალის უბანში ხანძარი გაჩენილაო. მალე გაირკვა, რომ პანიკა მულატებსა და ამერიკელ მეზღვაურებს შორის ატეხილ ჩხუბს გამოეწვია; მეზღვაურებს გარყვნილების ცნობილ სახლ „ლოლაში“ ქეიფის, ბანქოს თამაშისა და ქალებთან დროსტარების შემდეგ ფულის გადაუხდელოდ გადაეწყვიტათ წასვლა. თანაც დაწესებულების პატრონი ეცემათ, დიასახლისი ლანძღვა-ვინებით აეკლოთ, მაგიდები და სარკეები დაეღწათ. სკანდალი გვარიანი მუშტიკრივით დასრულებულიყო, რადგან ჩხუბში კონგოელი ზანგებიც ჩაბმულან – იმ დროს მათი ფარნებიანი პროცესია თავიანთ წმინდანზე სალოცავად პაულას ეკლესიაში მიდიოდა თურმე. ჰაერში ხელკეტები და მარგილები დატრიალებულა, მერე ამ გაწევ-გამოწევამი ქალაქის გუშავი ჯარისკაცებიც ჩარეულან და მიწაზე უკვე დაჭრილებსაც დაუწყიათ ფართხალი. ერთი საათის შემდეგ ამ ნიადაგ აურზაურიან უბანში წესრიგი დამყარებულა, მაგრამ გუბერნატორს გადაუწყვეტია, ესარგებლა მარჯვე შემთხვევით, რათა წერტილი დაესვა ბოლო ხანებში ჩადენილი რამდენიმე ძალზე შემაშფოთებელი მოქმედებისთვის; უბრძანებია, ყველას გასაგებად განოცხადებინათ, რომ უმკაცრესი ზომები იქნებოდა მიღებული იმის წინააღმდეგ, ვისაც ბრალად დაედებოდა მავნებლური იდეების გავრცელება, სახლის კედლებზე მონობის გაუქმების მომწოდებელი ფურცლების გაკვრა – ასეთი ფურცლები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა – ანდა ესპანური გვირგვინის უპატივცემულოდ მოხსენიება...

– აბა, კიდევ გააგრძელეთ რევოლუციის თამაში, – უთხრა დას სადამოს შინმობრუნებულმა ესტებანმა.





— არაფრის თამაშს რაღაცის თამაში მაინც სჯობია, — გესლიანად ჩაილაპარაკა სოფიამ.

— ყოველ შემთხვევაში, მე საიდუმლო და დასაფარი არაფერი მაქვს, — თქვა ესტებანმა და პირდაპირ თვალებში შეხედა.

სოფიამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ზურგი შეაქცია, მაგრამ სახეზე ავი და ჯიქური გამოძეტყველება აღებეჭდა. სადილობისას მხრებზე მდებარე იყო და ბიძაშვილის დაშტერებულსა და კითხვადქცეულ მხერგს არიდებდა. მაგრამ სოფია სულაც არ ჰგავდა იმ ადამიანს, უხერხულობას რომ გრძნობს რაიმე საძრახის საქმეში მხილების გამო, არა, მას ამპარტავანი ქალივით ეჭირა თავი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, არავის არ ჩააბაროს ანგარიში საკუთარი საქციელის გამო. საღამოთი, როდესაც ესტებანი და კარლოსი ჭადრაკის დაუმთავრებელ პარტიას უსხდნენ, სოფია ვეებერთელა ასტრონომიულ ატლასს ჩაჰკირკიტებდა.

— დექსტერის ხომალდი დღეს პორტში შემოვიდა, — თქვა უცებ კარლოსმა, შავი კუთი ესტებანის უკანასკნელ მხედარს რომ დაემუქრა, — ხვალ კაპიტანი სადილად გვეწვევა.

— კარგია, რომ გაიხსენე, — თქვა ყმაწვილმა ქალმა, — მაგიდა ერთი კაცით მეტზე უნდა გავაწყოთ.

მეორე დღეს სადილობისას შინდაბრუნებული ესტებანი ფიქრობდა, რომ სახლში ყველა ლამპა და სანთელი ანთებული დახვდებოდა, მაგრამ სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე მიხვდა, რაღაც გაურკვეველი ხდებოდა. კაპიტანი დექსტერი აღელვებული დადიოდა ოთახის კუთხიდან კუთხეში და კარლოსისათვის რაღაცის ახსნა-განმარტებას ცდილობდა, კარლოსი კი დაბნეული და ნამტირალები უსმენდა, რაც მის მსუქან სახეს სასაცილო გამოძეტყველებას აძლევდა.

— არაფრის გაკეთება არ შემიძლია, — ხმამაღლა ამბობდა ამერიკელი და უძწეოდ შლიდა ხელებს, — ქერივია და თანაც სრულწლოვანი. მოვალე ვარ თქვენს დასაც ისევე მოვექცე, როგორც ყველა დანარჩენ მგზავრს. ვეცადე, გადამერწმუნებინა, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურს. ჩემი ქალიშვილიც რომ იყოს, ვერაფერს გავაწყობდი.

კაპიტანმა დექსტერმა ზოგიერთი წერილმანიც აუწყათ: სოფიას სატრანსპორტო კანტორა „მირალსა და კომპანიაში“ ნაღდ ფულზე შეუძენია ბილეთი, ვიღაც ფრანკმასონის დახმარებით მიღებული ყველა საჭირო, ბეჭედ-დასმული საბუთიც სრულ წესრიგში აქვსო. „ეროუზე“ ბარბადოსამდე იმგზავრებს, იქ კი კაიენაში მიმავალ პოლანდიურ ხომალდზე გადავაო.

— კაიენაში, კაიენაში, — დაბნეული იმეორებდა კარლოსი, — წარმოვიდგენია! იმის მაგივრად, რომ მადრიდში, ლონდონში ან ნეაპოლში წასულიყო, კაიენაში მიდის. გადაირია ნამღვილად! — დანახვისთანავე ისე დაუწყო ესტებანს ლაპარაკი, თითქოსდა უკვე იმანაც იცოდა ყველაფერი... — აუჩემებია, სახლშიც და ქალაქშიც ყველაფერმა თავი მომაბუზრაო, დაპკრა ფეხი და სამოგზაუროდ წავიდა, არც არავინ გააფრთხილა, არც არავის დაემშვიდობა! ორი საათია, რაც თავისი ბარგიბარხანით გაემგზავრა.

და კარლოსი დაწერილებით მოუყვა, რა ამაოდ შეეცადა დისთვის განხრახულის გადათქმევენებას.

— მაგრამ ვერაფერი შევასმინე, შეაყარე კედელს ცერცვი. ძალით ხომ არ წამოვიყვანდი. უნდა წასვლა და მორჩა, — კარლოსი ისევ დექსტერს მიუბ-



რუნდა, — თქვენ კი კაპიტანი ხართ და უფლება გაქვთ, უარი უთხრათ ამა თუ ამ მგზავრს წაყვანაზე, ნუ იტყვიან, რომ არ შეგიძლიათ.

კარლოსის სიტყვებმა დექსტერი მოთმინებიდან გამოიყვანა, იფიქრა, კარლოსს ეჭვი ეპარება ჩემს პატიოსნებაში და თვითონაც აუწია ხმას.

— ასე მოქცევის არავითარი უფლება არა მაქვს — არც კანონიერი და არც ზნეობრივი. ნუ დაუშლით თქვენს დას გააკეთოს ის, რაცა სურს. ალუღება წინ, წავიდეს კაიენაში. თუ ამ ხომალდზე ვერ მოახერხებთ ვაჭარებას, მომდევნოთი წავა. სახლის ყველა კარი რომც დაუკეტოთ, ფანჯრიდან გადავა.

— მერედა, რატომ? — მისცვივდნენ ახსნა-განმარტების მომლოდინე ძმები.

კაპიტანმა დექსტერმა ძლიერი ხელებით ჩამოიშორა ისინი.

— გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ: მშვენივრად იცის, რატომაც გადაწყვიტა კაიენაში წასვლა, სწორედაც რომ კაიენაში და არა სადმე სხვაგან, — მან ედაგვივით ასწია საჩვენებელი თითი და ბიბლიიდან მოიტანა გამონათქვამი: „სიტყვანი ორენათანი თუცა წრფელ, შთამჭრელ სწრაფ მუცელთა შინა მცონარსა ერევინ შიში, სულთა ღირწთასა შიოდისყე“.

ამ ფრაზამ, რომლის უკანასკნელი სიტყვები რაღაც უხამს, გადაკრულ ნათქვამს ფარავდა, ესტებანზე შოლტის გადაწვნასავით იმოქმედა. იგი სერთუკის საყელოში სწვდა ამერიკელს და უბრძანა არაორაზროვნად და პირდაპირ ეთქვა, რას გულისხმობდა. მაშინ დექსტერმა წარმოთქვა უხეში ფრაზა, რამაც ყველაფერს ნათელი მოჰფინა:

— სანამ შენ და ოჟე სანტიაგოს სანაპიროზე ქაღების საძებნელად ხეტილობდით, სოფია ხომალდზე მარტო დარჩა იმასთან. მეზღვაურები მომიყვანენ ყველაფერს. სკანდალი ცოტაა კიდევ! ისეთი შეწუხებული ვიყავი ამ ამბით, რომ ღუზა დროზე ადრე ამოვიღე.

ესტებანს მეტი არაფერი უკითხავს. ყველაფერი ნათელი შეიქნა. ახლა კი მიხვდა, რატომაც შეუკვეთია სახელდახელოდ მთელი ეს მდიდრული ტანისამოსი, როცა შეიტყო, რომ ვიქტორი კვლავ ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის ძლევაამოსილი მბრძანებელი გახდაო. მიუხვდა დაუსრულებელი კითხვების ფარულ მიზანსაც: იუგის მისამართით რამდენიმე შეურაცხყოფელი ეპითეტის წამოსროლით ცდილობდა ესტებანისთვის დაეცდევინებინა ყველაფერი, რაც აინტერესებდა, რაც ვიქტორის ცხოვრებას, მას წარმატებებს თუ შეცდომებს ეხებოდა. ის თვალთმაქცურად უკრავდა კვერს, რომ იუგი მტარვალი, საძაგელი პიროვნება და გაიძვერა პოლიტიკანი იყო, და ამრიგად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, კნინი და უმნიშვნელო ცნობების წყალობით ახერხებდა დაწვრილებით შეეტყო იმისი საქციელი, მისწრაფებები და მოღვაწეობა, ვინც ადრე ძალაუფლებით იყო აღჭურვილი, შემდეგ დაემხოთ და კვლავ ხელახლა აღზევებულიყო. სოფია მდუმარედ, თავის გაუმჟღავნებლად, ჯიუტად მიისწრაფვოდა ფარული მიზნისკენ და ქმრის სასიკვდილო აკადემოფობამაც კი ვერ მოსდო აღვირი, ჭკუაზე ვერ მოიყვანა. რაღაც ცინიკური და საძაგელი იყო მის საქციელში; მიცვალებული ქმრისათვის ყვავილები და სანთლები შეუკვეთა, თავისთვის კი მდიდრული საცვლები და პენუარები. მომაკვდავის სარეცელთანაც არა სტოვებდა ცოდვილი აზრები. და ესტებანს უცბად თვალწინ დაუდგა სულ სხვა სოფია, — სულმდაბალი, ხორცის ძახილს აყოლილი, რომელიც საკუთარი სურვილით ნებდება კაცს და ნეტარებით კვნე-



სის იმ ადამიანის სხეულის ქვეშ, ვისაც ოდესღაც ქალწულობა წაერთვა მისთვის. ყმაწვილ კაცს გაახსენდა, რა ზიზღით უყურებდა სოფია ერთ ღამეს მეძავ ქალებს, სიყვარულის ამ ღამის ყველაზე უანგარო ქურუმებს, ავხორციობის მორჩილ მსახურებს, და უკვე ვეღარ მიმხვდარიყო, როგორ ეგუებოდა მასში ეს ორი სრულიად სხვადასხვა არსება: მოკრძალებული ქალი, რომელიც მარტო ხორციელი აქტის ხსენებაზეც კი მრისხანებისა და აღშფოთებისაგან წითლდებოდა, და ავხორცი ფარისეველი, რუმულეფსე უცებ დაპყლოდა ხორციელ სურვილებს და საიდუმლოდ მინებებოდა სასიყვარულო თავშეკცევას.

— შენა ხარ ყველაფერში დამნაშავე, შენ მიათხოვე იმ კრეტინს! — უყვირა ესტებანმა კარლოსს, რადგან ცდილობდა ვინმესთვის დაებრალებინა ის, რასაც გულში სოფიას საზარელ ღალატს უწოდებდა.

— ამ ქორწინებას სასურველად ვერასოდეს ვერ მივიჩნევდით, — ჩაერია საუბარში კაპიტანი დექსტერი, თან სარკის წინ ქურთუკის დაჭმუჭნულ ბორტებს ისწორებდა, — როცა ცოლ-ქმარი საწოლში საერთო ენას პოულობს, უმალ ეტყობათ, თუნდაც სულ ჩხუბობდნენ. აქ კი ყველაფერი კომედიას ჰგავდა. რაღაც აკლდათ. საკმარისი იყო, მარტო მისი ხელებისთვის შეგეხედათ — კათოლიკე ბერს უგავედა ხელები; ისეთი რბილი და უნებისყოფო თითები ჰქონდა, იფიქრებდით, ხელს, როგორც საჭიროა, ვერაფერს მოჰკიდებსო.

ესტებანს გაახსენდა, რა თავგამოდებით თამაშობდა სოფია სამაგალითო მეუღლის როლს, ქმრის სიკვდილამდე ყველაფერში ეთანხმებოდა, თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა მის თავქეიფა და დამოუკიდებელ ბუნებას. და ახლა ესტებანს ღამის უზაროდა, რომ სოფია არ იყო უბიწო თავისი ქორწინებისას, რომელიც მისთვის ეგოდენ საძულველ საზოგადოებათა ტრადიციების ყველაზე სამარცხვინო დათმობად ეჩვენებოდა. და ესტებანს გონების თვალწინ კვლავ დაუდგა ძლიერი ადამიანის სახე, რომელიც ამ სიშორიდანაც კი პირქუში წყვილიადით დასწოლოდა მათ სახლს. ესტებანმა შეხედა ცხვირჩამოშვებულსა და უილაჯო კარლოსს და ადვილიდან წამოხტა.

— რაღაც არ უნდა დამიჯდეს, წაუალ და უკან დაეაბრუნებ.

— ძალით ვერაფერს გახდები, სრული უფლება აქვს, წავიდეს, — უპასუხა დექსტერმა.

— წადი, უკანასკნელად სცადე მაინც, — სთხოვა კარლოსმა...

ესტებანი გავიდა, კარი გაიჯახუნა. ჩქარი ნაბიჯით გაიარა ნავმისადგომი. ზვირთსაქცევს რომ მიაღწია, რომლის იქით კაპიტან დექსტერის ხომალდი იდგა, ახლად დაჭერილი თევზის მკვეთრი სუნი იგრძნო: ირგვლივ ვერცხლის ფერი მრეყნიკებით, თინუსებით, სარდინებით სავსე კალათები ჩაემწკრივებინათ. თევზის ქერცლი ჩირაღდანთა შუქზე ბრწყინავდა. დროდადრო თევზის გამყიდველი ხელს ტილოს ქვეშ შეჰყოფდა, გამოაძვრენდა რამდენიმე კალამარს და სასწორზე ისროდა. სოფია ხომალდის ცხვირზე იდგა. მას ისევ სამგლოვიარო კაბა ეცვა, რის გამოც უფრო მაღალი მოჩანდა. ნავმისადგომიდან არემარეზე მოღებულ ქერცლის, თევზის შიგნეულობისა და სისხლის სუნს თითქმის ვერაგრძნობდა. იგი რაღაცით ძველი მითის გმირსა ჰგავდა, უშფოთველად რომ დასცქერის ზღვის მცხოვრებთა მიერ მის ფეხთით მიტანილ შესაწირავს. ამ კუმტად და შეუპოვრად მზირალი გაქვავებული ქალის დანახვაზე ესტებანმა იგრძნო, გამბედაობა ღალატობდა. უეცრად შეშინდა, მიხვდა, არ ეყოფოდა ძალა იმ დაუნდობელი სიტყვების მოსასმენად, რომელიც ყოველ წუთში შეიძლება და-



სცდენოდა ქალის ბაგეს. და ვერ გაბედა ხომალდზე ასვლა, იქ, სადაც ის იდგა, მხოლოდ მღუმარედ მისწერებოდა.

— წავიდეთ, — როგორც იქნა წარმოთქვა ბოლოს.

სოფია ნელა შეტრიალდა, ზურგით პლანშირს მიეყრდნო და მზერა ნავსადგურს მიაპყრო. მოპირდაპირე ნაპირზე მისთვის უცხო უბნებში სინათლეებია ენთო; უკან კი ქალაქი იყო, იგი ბაროკოს სტილის უზარმაზარე კანდელებს რივით ანათებდა და მისი წითელი, მწვანე თუ ნარინჯისფერი მინიხს საკანდელებს თაღედებს შორის ბრწყინავდნენ. მარცხნივ ვიწრო სრუტე იყო, იგი ბნელით შესუდრულ ამერიკის ხმელთაშუა ზღვაში გადიოდა, გადიოდა ათასობით კუნძულით დაფარულ ზღვაში, რომელიც სარისკო თავგადასავლებსა და ხიფათიან მგზავრობას იქადნებოდა, გადიოდა ზღვაში, რომლის სიმშვიდეს უხსოვარი დროიდან არღვევდა სისხლიანი შეტაკებები და იმები. სოფია ისწრაფვოდა მისკენ, ვინც დახმარებოდა საკუთარი თავის შეცნობაში, ვინც ქვემოთ მდგარი ამ უბადრუკი ადამიანის მიერ ჩამოტანილ წერილში აღიარებდა, — მიუხედავად ტრიუმფისა, თავს მარტოდმარტო ვგრძნობო. ისწრაფვოდა იმ მზარეში, სადაც იგი ხელახლა ჩასულიყო და იცოდა, რისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი: ისეთ ადამიანს, როგორც იუგია, რაღა თქმა უნდა, გრანდიოზული კეკებები ექნება და ყველას დაანახვებს რისი შემძლებელიც არის.

— წავიდეთ, — კვლავ გაისმა ქვემოდან ესტებანის ხმა, — შენ გადაჭარბებულად აფასებ საკუთარ უნარს.

დაბრუნება სოფიასათვის ნიშნავდა თავის ძალებში დაეჭვებას, მეორეჯერ დამარცხებას. ეყო ღამეები, როცა ხორცი ღუმს, როდესაც ცივი ხარ ყინულივით და თავი კი უნდა მოიკატუნო, თითქოსდა სიამოვნებას განიცდი.

— წავიდეთ.

უკან მოძულეებული, ნიჟარის კედლებით მოუშორებელი სახლია, წინ კი ბრწყინვალე განთიადი, თვალშეუდგამი ნათელი, იქ ვერ გაიგონებს ვერც ქუჩის მეწვრილმანე ვაჭრების ყვირილს, ვერც ნახირის ეჟვანთა უხალისო ჟღარუნს. აქ — უფერული, კარჩაკეტილი, უსამველო არსებობაა, როცა ერთი დღე მეორესა ჰგავს, იქ კი ტიტანებით დასახლებული სამყარო.

— წავიდეთ, — კვლავ გაისმა ხმა.

სოფია გემის ქიმს მოშორდა, თითქოს სიბნელეს შეერია. ესტებანი რაღაცის ლაპარაკს განაგრძობდა, თანდათანობით ხმას უმაღლებდა, მაგრამ მის მონოლოგს თევზის გამყიდველთა ყვირილი ახშობდა და სოფიამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებიღა აღწევდა: ესტებანი ლაპარაკობდა თავიანთ სახლზე, რომელიც ყველას ერთად აეშენებინა, ლაპარაკობდა იმაზე, რომ ახლა მას გაუკაცრიელება ელოდა. „თითქოს ძმებთან შეიძლებოდეს ნამდვილი სახლის აშენება“, — გაიფიქრა სოფიამ. ხელებით ხომალდის ცხვირის სარტყელს დაყრდნობილი ესტებანი ისევ ლაპარაკობდა, მაგრამ სოფია აღარ უსმენდა. მარლის, წყალმცენარეებისა და ზღვის ბალახის სუნით გაჟღენთილი ვეებერთელა ხომალდი, მისი ნოტიო ფერდები ისეთი დამყოლი იყო, რომ ესტებანს ღამის ქალის სხეულივით რბილი მოეჩვენა. ჭაბუკმა თავი ასწია, მაღლიდან მონუქურთმებული ხის ფიგურა დასცქეროდა, რომელსაც თაბაშირით თეთრი ქალის სახე და ღურჯარშიაშემოვლებული თვალეები ჰქონდა; ესტებანს ახლა ალიონზე ზღვაში გასასვლელად გამზადებულ, სასწაულებრივად გამდიდრებულ ამ უმოძრაო ქალისთვის მიეშტერებინა მზერა; ქალს კვლავაც მოეპოვებინა სურვილისა და შეგრძნების უნარი, განთავისუფლებულიყო სიმძიმისგან,



რომელიც ღუპავდა მის სიღამაზეს და უსპობდა სიხარულს. მიეტოვებინა სახლი და აპირებდა ამ სახლის ყველა საიდუმლოს დაუნდობლად გამჟღავნებას, აპირებდა ყველაფერი მოეთხრო იმისთვის, ვინც შესაძლოა, უცდიდა უკვე ესტებანს იმის გაფიქრებაზე, რომ სოფიას ძალით წაყვანას უპირებდა, სინამდვილეში კი ხვეწნა-მუდარა დაუწყო, თავი საპყრად და დუდიშობილად მოეჩვენა — დიახ, ორმაგად დუდიშობილად ჩანდა სოფიას თვალში, რადგან მრავალჯერ ენახა მისი სიშიშველე. სოფია იდგა მალლა და ელოდა, როდის ამოვარდებოდა ქარი და დაბერავდა იალქნებს. მზად იყო თავის წიაღში მიეღო სხვისა თესლი, იმისი თესლი, ვისაც უკვე დაეხნა მისი მინდორი; მას ჭურჭლად და კიდობნად ქცევა ელოდა, მსგავსად იმ ქალისა, რომელიც საყოფაცხოვრებო რომანებში, მამაკაცთან ურთიერთობისთვის მამისეულ სახლს ტოვებს. ხალხმა უკვე ყურება დაუწყო ესტებანს, ისმენდნენ მის სიტყვებს და ცალყბად ეცინებოდნენ, რადგან ეგონათ მიმხვდარიყვნენ, რაცა ხდებოდა. ესტებანი მოსცილდა ხომალდს და თევზით სავსე კალათებს შორის გზის გაგნებისას კაპიტან დექსტერს შეეჩხრა.

— რა ქენი, დარწმუნდი? — ჰკითხა მეზღვაურმა.

— სავსებით. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ ყველას!

## XLI

თავისი დამარცხებით შერცხვენილი და ყოყმანმოძალეული ესტებანი ნაემისადგომის მახლობელი ქუჩის კუთხეში იდგა. ის ბუტბუტებდა ფრაზებს, რომელიც ადრე უნდა წარმოეთქვა, მაგრამ არ დასცდენია. ხომალდი ჯერ ისევ აქ, სულ ახლოს იდგა; ჩირაღდნების მკრთალი შუქით განათებული ხომალდი ბუნდად მოჩანდა ღამის წყვლიაღში და მთელ მის გარეგნობაში იყო რაღაც ჯადოსნური და აუბედითი. დროდადრო ფარნის შუქი წყვლიაღიდან გამოიტაცებდა გემის ცხვირზე გამოკვეთილ კუდგაორებულ სირინოზს.

ახლა სოფიას სახე აკლდამიდან წამოყენებულ მკვდრის ნილაბს ჰგავდა. ესტებანს გონებაში დომხალივით არეოდა წარმოუთქმელი სიტყვები, რომლებიც საბრალოდებლო, გამაფრთხილებელ, საყვედურისა და მუქარის სიტყვებად ლაგდებოდნენ; იგი მზად იყო შეურაცხყოფელი და საგინებელი ფრაზები მიეხალეებინა სოფიასათვის, მაგრამ სულის სიღრმეში გრძნობდა, მათ წარმოსათქმელად ენა არ მოუბრუნდებოდა. თუკი სოფია შეუპოვრად გაუძლებდა მის სიტყვიერ შეტევას — რაც მშვენივრად ეხერხებოდა — მაშინ ვერაფერს მიაღწევდა. და კვლავ გადაწყვიტა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. საღამოს რვა საათი იქნებოდა. კაპიტან დექსტერის ხომალდი დილის ხუთ საათზე მოიხსნებოდა ღუზიდან. რჩებოდა ცხრა საათი, ამ დროში კიდევ შეიძლებოდა რაიმე ელონა. მწველ შეურაცხყოფას ესტებანი მოვალეობის გათვალისწინებით იქარწყლებდა: იგი მოვალეა ჩაუშალოს სოფიას კაიენაში გამგზავრება. არ უნდა შეჩერდეს არაფრის წინაშე, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, წინ უნდა აღუდგეს ამ ზნეობრივ თვითმკვლელობას. ის, რაც სოფიას გადაეწყვიტა, ჯოჯოხეთში ნებით ჩასვლას უდრიდა. თუმცა სოფია სრულწლოვანია, მაგრამ კანონი კარლოსს ნებას რთავს წინ აღუდგეს დის გამგზავრებას, ანაზღეულად თავსდატეხილი შემლილობის გამო. რამდენიმე თვის წინათ ქალაქში მსგავსი ამბავი მოხდა უკვე, — დიდგვაროვანი ოჯახის ერთ ახალგაზრდა ქერიუს



„კოლისეოს“ თეატრის ფიციარნაგებზე ქარაფშუტული კუბლეტების მომღერალ ვილაც კომედიანტთან ერთად ესპანეთში გაქცევა გადაწყვიტა. როცა საპატიო ოჯახის ღირსებას საფრთხე ემუქრება, მუდამ შეიძლება ხელისუფლების დახმარების იმედზე ყოფნა. აქაური საზოგადოება აღმაცერად უყურებდა მოჭარბებული ვნების გამოძულავნებას. რომელიმე ქარაფშუტა ან თავნება ქალი გარეგნულ წესიერებას თუკი დაარღვევდა, მზად იყვნენ დაუფიქრებლად მკაცრ ემართათ ალგვასილის სამსახურისათვის. ეკლესიაც თავის მხრივ, ტყვეობაში გაშს და გზას უღობაუდა დამნაშავეს სიმრუშისაკენ. ესტებანმა მტკიცედ გადაწყვიტა, ყველაფერი ეღონა სოფიას უგუნური გადაწყვეტილების ჩასაშლელად და ნაბიჯს აუჩქარა, მერე კი სირბილზე გადავიდა. გაოფლიანებულმა და აქოშინებულმა სახლს რომ მიადწია, გაკვირვებულმა შენიშნა, მთელი სახლი პირქუში ხალხით იყო სავსე, — მათში იოლად შეიცნობოდნენ პოლიციელები. ასინი საოცარ საქმეს შესდგომოდნენ: ყველაფერს ჩხრეკდნენ, კარადებს აღებდნენ, მაგიდებისა და სეკრეტერების უჯრებს აქოთებდნენ; ხან მეორე სართულზე აღიოდნენ, ხან საჯინიბოში შეძვრებოდნენ. ერთ-ერთ პოლიციელს, კიბეებზე რომ ჩამოდიოდა, თავზე დაწყობილი დაბეჭდილი ფურცლების მთელი დასტა მოჰქონდა. პოლიციელები მოჰყვნენ ფურცლების ხელიდან ხელში გადაცემას — თითქოსდა სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს ნამდვილად ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია და საფრანგეთის კონსტიტუცია იყო; ტექსტი სოფიას საწოლქვეშ აღმოეჩინათ.

— ჩქარა გაეცალეთ აქაურობას, სენიორ კარლოსი სახურავიდან გაიპარა, — ჩასჩურჩულა ესტებანს მიახლოებულმა როსაურამ.

ჭაბუკმა სცადა წინკართან აუჩქარებელი ნაბიჯით მისვლა, რათა იქიდან შეუმჩნეველად გასულიყო ქუჩაში, მაგრამ სადარბაზო შესასვლელთან ორი კაცი დახვდა.

— დაპატიმრებული ხართ, — განუცხადეს მას, სასტუმრო ოთახში შეიყვანეს და მეთვალყურე მიუჩინეს.

რამდენიმე საათი მოლოდინში იყო, არავინ არაფერს ეკითხებოდა. პოლიციელები ესტებანის მახლობლად წინ და უკან ისე მიმოდიოდნენ, თითქოს მის იქ ყოფნას ვერც ამჩნევდნენ; ერთნი სურათებს სინჯავდნენ, ჩარჩოს შიგნითაც ათვალთვლებდნენ იმაში დასარწმუნებლად, რომ არაფერი იყო შიგ დაშალული, ხალიჩების ქვეშ იყურებოდნენ; მეორენი რკინის წკებლით ყვავილნარს ამოწმებდნენ, ეგებ მწვანე გაზონებში ყუთებია ჩაფლულიო. ვილაც კაცო თაროებიდან წიგნებს ალაგებდა, ყდებს ათვალთვლებდა, ხელით სინჯავდა, მერე იატაკზე ყრიდა, თუმცა ამას შერჩევით აკეთებდა: მას აინტერესებდა ვოლტერის, რუსოს, ბიუფონის თხზულებები. მოკლედ ყველაფერი, რაც ფრანგულ ენაზე და პროზად იყო დაბეჭდილი. ღუქსებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. როგორც იქნა, დილის სამ საათზე ჩხრეკა დასრულდა. პოლიციელებმა ხელში იგდეს საკმაო საიმისო სამხილი, რათა დაედგინათ, რომ სახლი იყო შეთქმული ფრანკმასონების ბუდე, საიდანაც ვრცელდებოდა რევოლუციური თხზულებები; იყო ბუდე ესპანეთის ტახტის მტრებისა, ვისაც ანარქია და უპატიოსნება გაემეფებინათ ესპანეთის ზღვისგაღმა სამფლობელოში.

— სად არის დიასახლისი? — კითხულობდნენ პოლიციელები, რაკი, ეტყობა, ხელთა ჰქონდათ იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ სოფია ერთ-ერთ ყველაზე საშიშ შეთქმულად მიეჩნიათ.

როსაურა და რემიხიო პასუხობდნენ — არ ვიცით არაფერი, ჯერ ისე



დღე იყო, დიასახლისი სადღაც რომ წავიდა, მთელი დღეები თითქმის შინ ზის, დღეს კი, თითქოს განგებ, რატომღაც ღამეც არ დაბრუნდაო. ერთ-ერთმა პოლიციელმა წინადადება წამოაყენა, გასაქცევი გზების მოსაჭრელად, ნავსადგურში ყველა ხომალდი გაეჩხრიკათ.

— ამაოდ კარგავთ დროს, — თქვა ჯერ ისევ სასტუმრო ოთახის კუთხეში მჯდარმა ესტებანმა, — ჩემს ბიძაშვილ სოფიას ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს. შეცდომაში შეუყვანიხართ. ეს ქაღალდები სწორედ დღეს საღამოს შევიტანე მის ოთახში დაუკითხავად.

— მერედა, თქვენი ბიძაშვილი ღამეს შინ არ ათევს?

— მისი პირადი ცხოვრება არავის ეკითხება.

პოლიციელებმა დამცინავეი მზერა შეაგებეს ერთმანეთს.

— მკვდრები საფლავში არიან, ცოცხლები ერთობიან!.. — თქვა ერთმა და ხმამაღლა გადაიხარხარა.

ისევ ხომალდის გაჩხრეკვაზე ჩამოაგდეს სიტყვა. ამ დროს ერთმა პოლიციელმა ესტებანს სთხოვა ქაღალდის ფურცელზე რამდენიმე სტრიქონი დაეწერა. ამ თხოვნით განცვიფრებულმა ჭაბუკმა სან-ზუან დე ლა კრუსის ლექსის სტრიქონები დაჩხაპნა. რამდენიმე დღის წინათ წაეკითხა და კარგად ახსოვდა: „დაე სათუთმა სიყვარულმა მეყსეულად იფეთქოს გულში“.

— იგივე ხელია, — განაცხადა პოლიციელმა, თან „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“ იქნევდა ჰაერში.

ესტებანს გაახსენდა, რომ რამდენიმე წლის წინათ ამ წიგნის არშიებზე მონარქიის შეურაცხმყოფელი რამდენიმე შენიშვნა მიაწერა. ახლა საყოველთაო ყურადღება სწორედ იმას მიეპყრო.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს-ესაა დაბრუნდით დიდი ხნის აქ არყოფნის შემდეგ.

— სრული სიმართლეა.

— სად ბრძანდებოდით?

— მადრიდში.

— სტყუი, — მიახალა ერთ-ერთმა პოლიციელმა, — თქვენი ბიძაშვილის ზარდახმაში პარიზიდან გამოგზავნილი ორი წერილი ვნახეთ, რომლებშიც, სჯობია გამოტყდეთ, აღფრთოვანებას გამოთქვამთ რევოლუციის გამო.

— შეიძლება, მაგრამ შემდეგ უკვე მადრიდში წავედი, — მშვიდად მიუგო ესტებანმა.

— დამაცადეთ, მაგას მე მოვუვლი, ჩემს გაცურებას ვერ მოახერხებს, — თქვა ერთმა და ესტებანთან მივიდა.

მან ჭაბუკს ქალაქის ქუჩებზე, ბაზრებზე, ეკლესიებსა და სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებზე დაუწყო გამოკითხვა, რაზედაც ესტებანს წარმოადგენაც არა ჰქონდა.

— თქვენ მადრიდში არასოდეს ყოფილხართ, — განუცხადა პოლიციელმა.

— შეიძლება, — აუღელვებლად გაიმეორა ესტებანმა.

დაკითხვაში მეორე პოლიციელიც ჩაერია.

— რა სახსრებით ცხოვრობდით პარიზში? ესპანეთმა ხომ საფრანგეთს ომი გამოუცხადა და სახლიდან ფულს ვუღარ მიიღებდით.

— ფულს თარგმნით ეშოულობდი.

— რას თარგმნიდით?

— რაც მომხვდებოდა.



საათმა ოთხჯერ დარეკა. ვილაცამ ისევ გაიმეორა, ძნელი ასახსნელია სოფიას შინარყოფნა და ხომალდები უნდა გაეზრდიკოთო...

— სისულელეა ყველაფერი, — იფეთქა უცებ ესტებანმა და მაგიდას მუშტი დაჭკრა, — თქვენა ფიქრობთ, ჰავანას კერძო სახლში შეიჭრებით და ამ გზით თავისუფლების იდეებს მთელ მსოფლიოში მოსპობთ? გვიან მოხვედით/გონზე! ვერავინ შეაჩერებს ისტორიის მსვლელობას!

ესტებანს კისერზე ძარღვები ებერებოდა და სულ უფრო და უფრო მძაღლა იმეორებდა მეამბოხურ ფრაზებს, ადიდებდა ძმობასა და თანასწორობას; მწერლის კალამიც უსწრაფესად მოძრაობდა ქაღალდზე.

— ერთობ საინტერესოა, ერთობ საინტერესო, ჩვენ, ეტყობა, ერთმანეთს გავუგებთ, — გამოცოცხლდნენ დაკითხვის მონაწილენი.

ერთ-ერთი კი, ალბათ, ჩინით უფროსი, ესტებანს სულის მოთქმას აღარ აცლიდა ისე აყრიდა შეკითხვებს:

- ფრანკმასონი ხართ?
- დიახ.
- უარყოფთ იესო ქრისტესა და ჩვენს წმინდა რწმენას?
- მწამს მხოლოდ ერთი ღმერთი — ფილოსოფოსების ღმერთი.
- იზიარებთ თუ არა საფრანგეთის რევოლუციის იდეებს?
- სავსებით ვიზიარებ.
- სად არის დაბეჭდილი ჩვენ მიერ აღმოჩენილი პროკლამაციები?
- მე მამბუზდარა არ გახლავართ.
- ვინა თარგმნა ესპანურ ენაზე?
- მე.
- ამერიკელი მეამბოხეების ტექსტიც თქვენა თარგმნეთ?
- ყველაფერი შესაძლებელია.
- როდის მოხდა ეს?

ამ დროს შემოვიდა პოლიციელი, რომელიც მეორე სართულს ჩხრეკდა და რაიმე ზედმეტი სამხილის აღმოჩენის მოიძებნე იქ უფრო მეტხანს დაყოვნებულიყო.

— შეხედეთ დიასახლისის მარაოს, — თქვა და ერთ-ერთი მარაო გაშალა, რომელზედაც ბასტილიის აღების სცენა იყო გამოხატული, — ეს კიდევ არაფერი, ზევით ძალზე საეჭვო ფერის სანემსებებისა და კოლოფების მთელი კოლექციაა.

ესტებანმა თვალი ჰკიდა სამფეროვან სამშვენისებს და უნებურად გული აუჩუყდა; გაიფიქრა ახალგაზრდულ გატაცებაზე, რასაც ისეთი ძლიერი ბუნების ადამიანიც კი, როგორიც სოფიაა, იძულებული გაეხადა, შეეგროვებინა უკანასკნელ წლებში მთელ მსოფლიოში მოღებული ეს ციციქნა სასიამოვნო საგნები.

— რაღაც უნდა დაგვიჯდეს, ჩიტი მახეში უნდა გავაბათ, — ჩაიბურღლუნა უფროსმა პოლიციელმა.

და კვლავ ნავსადგურში წასვლაზე ალაპარაკდნენ...

მაშინ ესტებანმა დაწვრილებით დაიწყო თავისი თავგადასავლის თხრობა. მოჰყვა იქიდან, როგორ ჩამოვიდა ჰავანაში ვიქტორ იუგი, და ყოველნაირად ცდილობდა ამბის გაწელვას, მწერალიც სიტყვასიტყვით, ჩქარა-ჩქარა იწერდა მის ჩვენებას. ჭაბუკი ჰყვებოდა ბრისოსა და დაღბარადოსთან შეხვედრის ამბებს; ჰყვებოდა, როგორ ავრცელებდა ფრანგული რევოლუციის იდეებს ბას-



აების ქვეყანაში, ლაპარაკობდა „საძაგელ მოღალატეებთან“ — მარჩენასა და მარტინეს დე ბალიესტეროსთან თავის მეგობრობაზე. შემდეგ უამბოთ, როგორ ჩამოვიდა გვადელუპაში. გაიხსენა ძამა-შვილი ლიოიეების სტამბა, კაიენაში ყოფნის ამბავი, სადაც რამდენჯერმე შეხვდა საფრანგეთის მეფის დაუძინებელ ინტერს ბიო-ვარენს.

— ესეც შეიტანეთ დაკითხვის ოქმში, აუცილებლად შეიტანეთ, — ეუბნებოდა მწერალს ასეთი აღიარებით სასიამოვნოდ გაკვირვებული უფროსი პოლიციელი.

— რამდენი „ნარი“ იწერება ვარენის გვარში? — დაინტერესდა საქმის მწარმოებელი.

— ორი, — უპასუხა ესტებანმა, და დაიწყო ფრანგული ორთოგრაფიული წესების ახსნა, — ორი „ნარი“ იმიტომ იწერება, რომ...

— დავას ნუ გაემართავთ ახლა ამ ზედმეტი ასოს გამო, — უყვირა უფროსმა და ხელი აუქნია, — ჰავანაში როგორღა მოახერხეთ დაბრუნება.

— ფრანკმასონებისთვის ძნელი არაფერია, — მიუგო ესტებანმა.

და კვლავ განაგრძო თხრობა, თავი ლამის ყველაზე გამოჩენილ შეთქმულად წარმოადგინა. ამასთან, რაც უფრო მეტად უახლოვდებოდნენ ისრები ხუთს, მისი ჩვენებაც უფრო გამჭირდავი ხდებოდა. პოლიციელებს ვერ გაეგოთ, რატომ იყო, რომ ჭაბუკი არა თუ თავს იცავდა, პირიქით, აღიარებდა შეთქმულებაში თავის მონაწილეობას და დაწვრილებით ჩამოთვლიდა ისეთ დანაშაულებებს, რითაც სასიკვდილო განაჩენი — საზარელი სასჯელი — მოშთობა შეიძლება მოემკო. ესტებანს მოსაყოლი ადარაფერი ჰქონდა და ყველაზე უბეზუმრობაზე გადავიდა; ლაპარაკობდა ბურბონთა დინასტიის მესალინებზე, იმაზე, რომ მის უდიდებულესობას რქებს ადგამდა თავადი მირა, რომ ჩქარა დადგებოდა ის დღეც, როდესაც პეტარდები პირდაპირ მეფე კარლოსის გავას იწიადგებოდნენ...

— ეს ვილაც ფანატიკოსია, — თქვა ერთმა.

— ფანატიკოსი ან შეშლილი, — ერთხმად გაიმეორეს სხვებმაც, — ამერიკა სავსეა ასეთი რობესპიერებით. ფხიზლად თუ არ ვიქნებით, აქაც ჩქარა დაიწყება საყოველთაო ხოცვა-ჟლეტა.

ესტებანი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, ახლა ისეთ რამეებსაც კი მიიწერდა, რაც არასოდეს ჩაედინა, ტრაბახობდა, რომ თვითონ შეჰქონდა რევოლუციური ლიტერატურა ვენესუელასა და ახალ გრანადაში.

— არაფერი გამოტოვო, არაფერი, ყველაფერი შეიტანე ოქმში, — ამასღა იმეორებდა უფროსი, რადგან პატიმარს კითხვების დასმა აღარ სჭირდებოდა.

საათის ისრები ექვსის ნახევარს აჩვენებდნენ.

ესტებანმა ითხოვა ვინმე გაჰყოლოდა სახურავზე, თითქოსდა ბალუსტრადას ანტიკურ ლარნაკში რაღაც ჰქონდა დამალული. იფიქრეს, შეიძლება ხელთ ახალი, დამატებითი საბუთი მოვიგდოთო და ყმაწვილ კაცს თან რამდენიმე პოლიციელი გააყოლეს. ლარნაკში კრაზანების ბუდის გარდა არაფერი აღმოჩნდა, გააკვებული მწერები შეურაცხყოფელთ მიესივნენ. ნავსადგურს მიჩერებული ესტებანი პოლიციელების ლანძღვა-გინებასა და მუქარას ყურადღებას არ აქცევდა. „ეროუს“ ღუზა ამოეღო. მის ადგილას სიცარიელეს დაელო პირი... ესტებანი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა.

— შეიტანეთ ოქმში ჩემი სიტყვები, ბატონო საქმის მწარმოებელო, — თქვა მან, — საზეიმოდ ვაცხადებ ღმერთის წინაშე, რომელიც მწამს, რომ ყვე-



ლაფერი, რაც ადრე ვთქვი, სიცრუეა. ვერ იპოვით ვერავითარ საბუთს, რაც ჩემს ნალაპარაკებს დაადასტურებს, გარდა იმისა, რომ პარიზში ნამდვილად ვიყავი. არ არსებობს საამისო არც მოწმე და არც დოკუმენტი. ყველაფერი, რაც ვთქვი, ვთქვი იმიტომ, რომ ერთ კაცს გაქცევაში დაეხმარებოდი. გაეკეთე ის, რაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა.

— სიკვდილს ალბათ გადაურჩები, მაგრამ სეუტის კატორღაში ლეზლივ ჩაგსვამენ, — ჩაიბურტყუნა უფროსმა პოლიციელმა, — ნაკლებ დამნაშავეებს აგზავნიან აფრიკის ქვის სამტეხლოებში.

— ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთია, — ჩამქრალი ხმით თქვა ესტებანმა.

იგი შედგა ტილოს წინაშე, რომელზედაც კაიედრალური ტაძრის აფეთქება იყო გამოსახული და მიაჩერდა ჰაერში ატყორცნილ, უძოდრად გაშეშებული სვეტების ნამსხვრევებს — რაც მხოლოდ კოშმარულ სიზმარში შეიძლება მოხდეს.

— ის ქვებიც კი, ამიერიდან რომ უნდა ვამტყურო, ამ სურათზე ადრევე იყო გამოსახული! — ეს თქვა, ტაბურეტს მოავლო ხელი და კედელს ესროლა: ტილო გაიხა, სურათი ხმაურით დაეცა იატაკზე, — მომაშორეთ აქაურობას, — წარმოთქვა დაღლილობისაგან არაქათგამოცლილმა, დასვენებას მოწყურებულმა ესტებანმა, რომელიც მარტო ერთსლა ოცნებობდა: გამოეძინა სადმე, თუნდაც ციხეში.

## ნაწილი მეექვსე

### XLII

სამხრეთიდან აგორებული ტალღები მშვიდად, თანაბრად ხლართავდნენ და ისევ შლიდნენ ქაფის არშიაშემოვლებულ ძნელსაცნაურ ნაყშებს, და ისინი მუქ მარმარილოზე დაჩნულ ძარღვებს ჰგავდნენ. მწვანე სანაპირო უკან დარჩა, ხომალდი ახლა ისეთ ლურჯ წყლებში მიცურავდა, თითქოს ირგვლივ წყალი კი არა, გამდნარი და უკვე გაყინული მინა შემოსდგომოდა, დროდადრო ამ წყნარ, თითქოსდა უძრავ ზედაპირს მსუბუქი ჭავლი გადაუვლიდა. ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ ჩანდა, მაგრამ ზღვა თავის სიღრმეებში მთებსაც იფარავდა და უფსკრულებსაც, იმ პირველყოფილი ზღვის დარად, რომელიც სამყაროს შექმნის დღეებში, პირველი ნიჟარებისა და პირველი მოლუსკების გაჩენამდე აღმოცენდა. მხოლოდ კარიბის ზღვას შესწევს უნარი თავი უკაცრიელ ოკეანედ მოგაჩვენოთ, თუმცა სინამდვილეში სავსეა სიცოცხლით. თითქოსდა იდუმალ ბრძანებას დამორჩილებული თევზები სწრაფად მიცურავდნენ წყალქვეშ, მეღუზები სიღრმეში ჩადიოდნენ, სარგასუმის წყალმცენარეები ზედაპირიდან ქრებოდნენ, და ადამიანს თვალწინ მხოლოდ ის ეშლებოდა, რაც უსასრულო ჰგონია: მარად შორს მსწრაფი პორიზონტის ხაზი, თვალუწვდენელი სივრცე და ყოველივე ამის ზემოთ კი — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა — მყარი. სიტყვა „ცა — მყარი“ შეტყველებს იმაზე, თუ რა დიადად, ამასთან, რა სულისმკმეველად ეჩვენებოდათ ზეცის კამარა იმ ადამიანებს, ვისაც პი-



რველად მოემბნა მისთვის ეს სახელი, — შესაძლოა, ეს სიტყვაც უმაღლესი გამოიგონეს ტკივილის, შიშისა და შიმშილის გამომხატველ სიტყვებთან ერთად. აქ, ამ უკაცრიელ ზღვაზე ცა მართლაც მყარად დაპირქვავებული გეგონებოდათ, ზედაც იგივე თანავარსკვლავედები კრთოდა, ათასწლეულთა წინათ რომ ციმციმებდა: მრავალი საუკუნე გავიდა, სანამ ადამიანი მათ გარჩევას ისწავლიდა, სანამ სახელებს დაარქმევდა, მითოლოგიური არსებებები დასახლებდა მიუწვდომელი ზეცის გუმბათს, რაკი მსგავსება აღმოეჩინა თანავარსკვლავედთა კონტურებსა და თავის წარმოსახვაში — დაუცხრომელი მეოცნებისა და პოეტის წარმოსახვაში — თავმოყრილ ჩვეულებრივ საგნებსა თუ ცხოველთა და ადამიანთა მოხაზულობას შორის. რაოდენი ბავშვური სითამამე გამოამყლავნეს იმათ, ვინც ცის მყარი დათვებით, ქოფაკებით, კუროებით და ლომებით დაასახლა, ფიქრობდა ხომალდის გემბანზე მდგომი და წყვილადს მიშტერებული სოფია. მაგრამ ეს უეჭველად სწორი გზა იყო მარადიულის ადამიანის გაგებასთან მისაახლოებლად; ზესკნელის გამოსახატავად ისე დიდებულად გამოცემულ წიგნებში, როგორც შინ, ბიბლიოთეკაში დატოვებული ასტრონომიული ატლასი იყო: მის ფურცლებზე დახატული კენტავრები თითქოს მზად იყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდნენ ღრიანკალებს, დრაკონები კი — არწივებს. თანავარსკვლავედების სახელწოდებებმა ადამიანი დააბრუნა უძველესი მითების ენასთან, რომლის მიმართ იმდენად ერთგული დარჩენილიყო, რომ წარმართები! მიერ დასაკუთრებულ ზეცაზე პირველმა ქრისტიანებმა ერთი თავისუფალი ადგილიც ვეღარ მონახეს. ვარსკვლავები ანდრომედასა და პერსევსის, ჰერაკლესა და კასიოპეს მფლობელობაში გადასულიყო. მათ თითქოს უკვე საკუთრების უფლება მოეპოვებინათ ამ მეკვიდრეობით ქონებაზე, რაზედაც პრეტენზიების გამოცხადება ვეღარ გაბედეს ტივირიადის ტბის ღარიბმა მეთევზეებმა, ვისაც, კაცმა რომ თქვას, არც სჭირდებოდათ ვარსკვლავები, რათა თავიანთი ნაგებობა წასულიყვნენ იქ, სადაც კაცს ვინმეს ადამიანის ხსნისათვის საკუთარი სისხლის დასაღვრელად გამზადებულს, ვარსკვლავთა განუგებლად დაეწყო გამოჭედვა რწმენისა... როგორც კი ხომლი გაფერმკრთალდა და მზე ამოვიდა, გემთან იასპის მსგავსი ათასობით ჩაფხუტი მოცურდა; მათ უკან წყალქვეშ მოსთრეველად გრძელი, წითელი გირლანდები, რომლებიც შუა საუკუნეთა მეომრების, მსუბუქჯაუშნიანი ლომბარდიელი ქვეითი ჯარისკაცების სილუეტებს ჰგავდნენ — გზადაგზა შეხვედრილი წყალქვეშა მცენარეები მხრებიდან თეძობამდე, ნიკაპიდან მუხლებამდე, ერთი სიტყვით, თავით ფეხებამდე, ჯავშნის რგოლებივით შემოსწვნილად მზის სხივთა ისრებით გამსჭვალულ ამ აჩრდილისებურ რაინდებს, რომელთაც კაპიტანი დექსტერი „men-of-war“-ს ეძახდა. წყალქვეშა მეომრები იალქნიანი გემის ცხვირთან აქეთ-იქით გაიწვი-გამოიწვიდნენ, მერე კვლავ ამჭიდროვდნენ თავიანთ რიგებს; არავინ უწყოდა, საიდან მოსულიყვნენ ან საით აგრძელებდნენ ყოველდღე თავის მღუმარე სვლას — ეს სვლა მანამდე გაგრძელდებოდა, სანამ თავ-ჩაფხუტები მზის სხივებისგან არ დასკდებოდა, სხეულ-გირლანდები კი სიღამპლისაგან არ დაიშლებოდა... გვიან დილით ხომალდი ახალ სამყაროში — მედუზების სამყაროში შევიდა — მედუზები ცურავდნენ თავიანთსავე, ჩიტვიით ფრთებგაშლილი, უთვალავი სხეულისაგან გადათეთრებულ ზღვის ზედაპირზე. მათ უკან გამოჩნდა პატარა, სათითების მსგავსი, უამრავი შავი არსება, ისინი გაშმაგებით იკუმშებოდნენ და იშლებოდნენ; ამათ

\* სამხედრო გემების ესკადრა (ინგ.).



მოსდევდა ლოკოკინების მთელი რაზმი, მათ ბუშტოვანი მყარი მასისგან უცნაური ტივი წარმოექმნათ... უეცარმა თავსხმამ ზღვა უეცრად ღია მწვანე და გაუმჭვირვალე გახადა. წყლის ზედაპირს, რომელსაც წვიმა თავგამეტებით უჟაჟუნებდა, მკვეთრი მარილის სუნი ავარდა, ვემბანის ფიცრები წვიმის მსხვილ წვეთებს ისრუტავდნენ, დაჭიმულ აფრებზე კი ისე ხმაურობდა, როგორც სეტყვა კრამიტის სახურავზე. გემსართავები საბრალოდ კენკსოდნენ და ჭრაჭუნობდნენ. დასავლეთიდან ჭექა-ქუხილი აღმოსავლეთისკენ მიიწვივდა; ხომალდის თავზე დროდადრო გაისმოდა ძლიერი გრუხუნი, მერე გრუხუნი ნელ-ნელა წყდებოდა და ღრუბლებს თან მიჰქონდათ. სადამო ხანს ჭექა-ქუხილმა გადაიარა. ზღვა ისე განათდა, როგორც მხოლოდ ალიონზე სჩვევია ხოლმე: ახლა ცისარტყელას ნაირგვარი ფერებით ზღვის ზურგიც მაღალმთიანი ტბის ზედაპირით ღივლივებდა. ხომალდის ცხვირი გუთანით მიაპობდა იოლად დამყოლ, უმოდრაო ზედაპირს და ზედ თავის კვალს ქაფის უცნაური ნაყშებით სტოვებდა. ამ ნათელი კვალით რამდენიმე საათის შემდეგაც მიხედვბოდიოთ, რომ აქ ხომალდს გაეკლო. ბინდბუნდში რამდენიმე ნათელი კვალი აშკარად აჩნდა მუქმელნისფერ წყალს. ისინი გზებივით კვეთდნენ გაუდაბურებულ ზღვის რუკას, ისეთ გაუდაბურებულს, რომ მის მჭერეტელთ ეგონათ, მარტოდმარტონი დაცურავდნენ უკიდევანო ტალღებზე. მალე ხომალდი დამისეულ სვლას დაიწყო და წყლის წიაღიდან ამომჭვირვალე ფოსფორული ნათების სამყაროში: იღუმალე სინათლე სხივთა კონებად იღვრებოდა, მოციმციმე ნაკადად მოედინებოდა, უცნაურ მოხაზულობას იძენდა, ხან ღუზას ემსგავსებოდა, ხან ყურძნის მტევანს, ხან ფაფარს, ხან ანემონას ან ერთ მუჭა ბრჭყვი-ალა მონეტებს, ხან საკურთხევლის ლამპრებს, ხან კი ჩაძირული კათედრალური ტაძრის შორეულ ვიტრაჟებს — წყალქვეშა მნათობის ცივი სხივებით განათებულს... როგორც „ეროუზე“ თავისი პირველი მოგზაურობისას, სოფია ახლაც გემის ცხვირზე, ზედ ბორტთან იდგა და სახე ცივი ქარისთვის მიეშვირა, მაგრამ ახლა აღარ შეეპყრო მოუსვენარ ყმაწვილურ წუხილს. გაბედული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იგი თავს თითქოს საბოლოოდ დადინჯებულად გრძნობდა და დარწმუნებული იყო, ყველა მოლოდინი შეუსრულდებოდა. პირველ ორ დღეს ახალგაზრდა ქალი მხოლოდ მიტოვებულ სახლზე ფიქრობდა, მესამე დღით კი უკვე თავისუფლების დამათრობელი გრძნობით გაედვიდა: წარსულთან გაწყვიტა ყველა კავშირი. მიატოვა უხალისო ყოველდღიურობა და წარუვალ საუფლოში შედგა ფეხი. ჩქარა წინ გადაეშლება დიდი ხნის ნანატრი სამოღვაწეო ასპარეზი, რაც გასაქანს მისცემს, ყველას დაანახვოს რისი შემძლებელიც არის. სოფია კვლავ მოეცვა შორეულ გზაზე დამდგარი ადამიანისათვის კარგად ნაცნობ სიხარულს და მღელვარებას; რაღაც ამის მსგავსი ერთხელ უკვე განეცადა ამ ხომალდზე, როდესაც მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა, ახლა კვლავ ისუნთქავდა მაშინდელი მგზაურობიდან ნაცნობი კუპრის, წათხის, ფქვილისა და ქატოს მკვეთრ სუნსა და მარტო ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მომდევნო წლები ამოეშალა მეხსიერებიდან. კაპიტან დექსტერის გვერდით მაგიდასთან მჯდარი კვლავ გემოს უსინჯავდა შებოლილ ხამანწკას, ინგლისურ სიდრს, რევანდითა და ფლორიდული შუინდით დატენილ ღვეზელს და სიამოვნებისაგან თვალედახუჭული თავის პირველ ზღვით მოგზაურობას იგონებდა. მაგრამ ახლა სხვა გზით მიცურავდნენ, მართალია, ტუსენ-ლუვერტიუსი<sup>1</sup> ყოველნაირად ცდილობდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ ჩრდილოეთ



ამერიკელი ნეგოციანტები არცთუ მაინცდამაინც ენდობოდნენ ზანგი ბელადის გადახდისუნარიანობას და ამ ნაკლებ საიმედო ბაზარს უთმობდნენ იმით, ვინც იარაღსა და საომარ მასალას ჰყიდდა — ეს ერთადერთი საქონელი იყო, რაშიც ჰაიტელეები ნაღდ ფულს ყოველთვის იხდიდნენ, პურის გამოსაცხობი ფქვილიც რომ არა ჰქონოდათ. კაპიტან დექსტერის ხომალდს იამაიკა გვერდზე მოეტოვებინა და უკვე მერამდენე დღე იყო, რაც უნდა გაეგრძელებინა პორტისკენ კურსაღებული კარიბის ზღვის ყველაზე უდაბურ სტრუქტურებში მიცურაედა, ამ ადგილებში იშვიათადღა ჩნდებოდნენ აქა-იქ შემორჩენილი გვაღელუპელი კორსარები, მათ იალქნიან ხომალდებს ახლა „ნაპოლეონი“, „კამპოფორმიო“ და „დაპრობილი ეგვიპტი“ ერქვათ. ერთ დილას ჰორიზონტზე მცირე ხომალდი გამოჩნდა და საოცარი სისწრაფით პირდაპირ მათი გემისკენ გამოემართა. „ეროუს“ ეკიპაჟმა გადაწყვიტა, არასასიამოვნო შეხვედრა გველისო, მაგრამ წუთიერი განგაში მზიარულმა გამოცოცხლებამ შეცვალა: მეზღვაურებმა უცნობ ხომალდში შეიცნეს თავზეხელაღებული მისიონერ-ფრანცისკელის ლამის ლეგენდარული „ბერის კანჯო“, რომელიც უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც აქაურ წყლებში კონტრაბანდას ეწეოდა. ამას გარდა, გზაზე „ეროუს“ ჰაენასა და ახალ ბარსელონას შორის რეგულარულად მავალი, აპოხტით დატვირთული რამდენიმე შხუნაც შემოხვდა. ჩაივლიდნენ შორიახლო და ირგვლივ შაშხეულის მკვეთრ სუნს ტოვებდნენ. სოფია დროის მოსაკლავად და მოუთმენლობის დასაოკებლად ინგლისურ წიგნებს კითხულობდა. წიგნები კაპიტან დექსტერის კაიუტის თაროზე ელაგა, პატარა შემინული კარადის გვერდით, სადაც ინახებოდა მისი მასონური წინსაფარი, ზედ გამოხატული აკაციით, კოლონებით და აღთქმის კარავით, მაგრამ იმ დღეებში სოფიასათვის ერთნაირად უცხო გამხდარიყო „ლამეთა“ განწყობილებაც და „ოტრანტოს ციხედარბაზის“<sup>2</sup> დამთრგუნველი გარემოც. რამდენიმე ფურცელს გადაავლებდა თვალს და რაკი წაკითხულის აზრს ვერა სწვდებოდა, წიგნს მალევე ხურავდა. უჭირდა რაიმეზე გულის დამყარება და უზრუნველად მთელი არსებით ზღვასა და ქარს მინებებოდა, რაც გაცილებით მეტს ეუბნებოდა მის გულს, ვიდრე წარმოსახვას... ერთ ცისმარე დილას ჰორიზონტზე გაწოლილი თხელი მომწვანო ნისლის ფონზე უზარმაზარი იისფერი რაღაც გამოიკვეთა.

— კარაკასის უნაგირაა, მატერიკამდე ოცდაათი მილილა გვაშორებს, — აუხსნა კაპიტანმა.

ხომალდზე ყველაფერი ამოდრავდა, როგორც ზღემა ხოლმე გაჩერების მოახლოებისას. ვახტისაგან თავისუფალ მეზღვაურებს წესრიგში მოჰყავდათ თავი, პირს იპარსავდნენ, თმებს იკრეჭდნენ, ფრჩხილებს ისუფთავებდნენ, ხელებში ჩამკვდარ ჭუჭყს იბანდნენ. გემბანზე გაჩნდა სამართებლები, სავარცხლები. სასაპნეები, ნემსი თუ ძაფი. ერთი თავზე რაღაც სურნელოვან ესენციას ისხამდა, მეორე დახეულ ხალათს იკერებდა, ზოგი საკვრებელს ადებდა დახეულ ფეხსაცმელს, ზოგი პატარა სარკეში დამტერებით ათვალთვრებდა თავის მწემოკიდებულ სიფათს. ყველას მღელვარება დაუფლებოდა, რაც მარტო იმით არ აიხსნებოდა, რომ სასურველი ცურვის შემდეგ ხომალდი ხმელეთს უახლოვდება. სანაპიროზე გადაჭიმული მაღალი ქედის ფონზე აღმართულ მთის ძირში იცდიდა ქალი — ჯერ კიდევ უცნობი, თითქმის აბსტრაქტული, გაურკვეველი სახის, მაგრამ მის იქ ყოფნას პორტი უკვე იუწყებოდა. ქალაქის საზურავზე თითქოს დგებოდა თავისკენ მიმხმობი ქალის ფიგურა, ხომალდის მაღალ ანძებზე კი იალქნები ისე იბერებოდა, გვეგონება, ქალს მამაკაცების მოახ-



ლოებას აცნობებდა. იალქანი სანაპიროზე უკვე შეემჩნიათ და პორტის უბანში დიდ ფაციფუცში იყვნენ. ქალები ჭებისკენ იჩქაროდნენ, ვედროებით წყალს ეზიდებოდნენ, იზელდნენ ტანს, იცხებდნენ ნელსაცხებელს, იცვამდნენ ქვედა კაბებს, ირჩევდნენ სამკაულებს. სანაპიროსა და ზღვას შორის უსიტყვო დიალოგი გაბმულიყო, წყალს მეთევზეთა ნავეები სერავდნენ. პალსშეცვლილი „ეროუ“ ახლა ქედის გაყოლებით მიდიოდა, რომელიც ღრუბლებიდან ისედაც თავგამეტებით გარბოდა წყლისკენ, რომ მის კალთებზე ძნელადღა თუ გაარჩევი-  
დით დამუშავებულ ნაკვთებს. ხანდახან უზარმაზარი კედელი აქეთ-იქით გაიწევდა და თვალწინ იშლებოდა უზარმაზარი ლოდებით გარშემომდგარი, დაცემული, ჩრდილიანი ნაპირი, ხშირი და მუქი მცენარეულობით დაფარული, რომელიც შორიდან ისე ჩანდა, თითქოს მათ ნაპრალებში დამეთა ნაფლეთები იყო განაბული. ამჯერადაც ხელუხლებელი მატერიკიდან განუწყვეტლივ მოიწევდა სინესტე, იგი ზედ უბის თავზე გროვდებოდა, სადაც ხმაურიან ზვირთცემას ზღვის თესლი მოჰქონდა. მაგრამ აი, მოებმა ზღვის სანაპიროდან უკან იწყო დახევა და მთაგრეხილად გადაქცეული აღარ აჩენდა, რა იმალებოდა მის უკან, მარტო სახლებით მოფენილი, გზებით დასერილი, ქოქოსის პალმებით, ზღვის ყურძნითა და ნუშით დაფარული ნაპირის ვიწრო ზოლია ჩანდა. ხომალდმა შემოუარა თითქოსდა კვარცის ლოდისაგან გამოთლილ მაღალ კონცხს და უეცრად ლავუაირის პორტიც გამოჩნდა... ზედ ოკეანის ნაპირზე იგი ვეება ამფითეატრივით განლაგებულიყო, სახლის სახურავები კიბე-კიბე იწევდა ზევით... სოფია სიამოვნებით მოინახულებდა კარაკასს, მაგრამ გზა გრძელი და დამღლელი იყო. ხომალდი კი ნავსადგურში დიდხანს არ გაჩერდებოდა. თავისუფალი მეზღვაურები, ნაპირისკენ რომ ისწრაფვოდნენ, სადაც უკვე უცდიდნენ ქალები, ფაციფუცით ჩასხდნენ კანჯოში, მეორე კანჯოში, კაპიტან ლექსტერთან ერთად, რომელიც რაღაც ფორმალობის შესასრულებლად იჩქაროდა პორტში, სოფიაც გადმოვიდა.

— სულაც არა ხართ ვალდებული იზრუნოთ ჩემზე, — უთხრა სოფიამ კაპიტანს, რაკი შეატყო, მეზღვაურთა მოუთმენლობა არც მისთვის იყო უცხო.

და სოფიამ მარტო დაიწყო აღმართზე ასვლა, იქ, სადაც ნიაღვრის დამშრალი კალაპოტის გაყოლებით ციცაბო ქუჩები იწყებოდა. მას წინ ხვდებოდა ქანდაკებებით დამშვენებული ლამაზი მოედნები და სკვერები, ირგვლივ მდგარი სახლები კი — ხის გისოსებიანი ფანჯრებით და ვიწრო გალერეებით — სანტ-იაგო-დე-კუბას აგონებდა. ქვის სკამზე ჩამომჯდარი სოფია უყურებდა, საპალნიანი ვირების მწკრივი როგორ შესდგომოდა აკაციებით მოჩრდილულ მთის ბილიკებს; ეს ბილიკები ღრუბლებშემოხვეულ მთათა მწვერვალებისკენ ისწრაფვოდნენ, იქ, სადაც მოჩანდნენ სათვალთვალოკოშკიანი ციხეები, ბევრი ასეთი ციხე იცავდა ესპანეთის პორტებს ახალ მიწაზე, ისინი წყლის ორი წვეთივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ასე რომ, შეიძლება გეფიქრათ, ერთი და იგივე ხუროთმოძღვრის მიერ არისო აშენებული.

— იქ ბოლო დღეებამდე ჰყავდათ მადრიდიდან ჩამოყვანილი ფრანკმასონები, მათ „სან-ბლასელ მეამბოხეებს“ ეძახიან. ისინი ესპანეთში რევოლუციის მოხდენას აპირებდნენ თურმე, შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ საყვრობილეშიც კი კვლავ შეთქმულების მზადება დაუწყიათ, — უთხრა სოფიას ერთმა მოხეტიალე ვაჭარმა, რომელიც ამასთან ჯიუტად სთავაზობდა ატლასის ლენტებს.

მრისხანე მოვლენები, ეტყობა, უკვე მომწიფებულიყო, სოფია არ შემც-



დარა, როცა მისი მოახლოება იგუमानა, და ახლა ადრინდელზე უფრო ძალუმად მოუნდა, რაც შეიძლება მალე მიეღწია თავისი მოგზაურობის საბოლოო მიზნისთვის, ეშინოდა კიდევ, რომ ჩასვლა მეტისმეტად დააგვიანდებოდა, და დილა აზრების მპყრობელი კაცი მოქმედებას უიმისოდ შეუდგებოდა: ტროპიკული ტყის მწვანე კარვებს აიძულებდა გზიდან ჩამოცლას, მსგავსად იმისა, როგორც ჭველმა ებრაელებმა აიძულეს წითელი ზღვის ტალღებში ჩაეშვათ. მართალი გამოდგა, რაზედაც მისთვის არაერთხელ უთქვამს უსტუბანს: კიქტორმა ჯერ კიდევ თერმიდორული რეაქციის დაწყებამდე გაავსო სამხრეთ ამერიკის ეს კუთხე ესპანურ ენაზე თარგმნილი საფრანგეთის კონსტიტუციითა და ამერიკელი შეთქმულებით, და რევოლუციის ცეცხლს იქ იმ დროს აღვივებდა, როცა ძველ სამყაროში უკვე იფერფლებოდაო. ამაში დასარწმუნებლად მარტო რევოლუციის ქარიშხლის სქემაზე დაკვირვებაც იკმარებდა: გვადელუპადან ქარიშხალი გვიანასაკენ გაემართა, იქიდან თავს დაატყდა ვენესუელას, რის შემდეგაც ბუნებრივი გზა მატერიკის მოპირდაპირე სანაპიროზე მდებარე პერუს სამეფოს მდიდრული სასახლეებისკენ წარიმართა. სწორედ იქაურმა იეზუიტებმა — სოფია იცნობდა ვიღაც ვისკარდო გუსმანის თხზულებებს — მოითხოვეს პირველად ამ მიწის დამოუკიდებლობა, რისი მიღწევაც მხოლოდ რევოლუციის მეშვეობით შეიძლებოდა. ყველაფერი ნათელი შეიქნა — კიქტორ იუგის კაიენაში ჩასვლა იმას მოასწავებდა, რომ ჩქარა გრანდიოზული მოვლენის მოწმენი გახდებოდნენ: მინდვრებს მამაცი ცხენოსნები გადათქერავდნენ, მათი თანამზრახველები კი, ლეგენდარული მდინარის ტალღებს აღევნებულნი, გიგანტურ მთათა ქედებს გადალახავდნენ. მზადდებოდა ახალი ეპოპეა, და რევოლუციას, რომელიც წარუმატებლად დასრულებულიყო დამაბუნებულ ევროპაში, აქ უბიწო მატერიკის სივრცეებში უნდა ეზეიმა გამარჯვება. მაშინ კაპავანაში დარჩენილი ნათესავები, რომლებიც ახლა, რაღა თქმა უნდა, განსჯიან სოფიას, და ბოლოს და ბოლოს, მიხედებიან, რომ მის სწრაფვას არავითარი საერთო არა ჰქონია მარტო მორთულობასა და ძონძებზე მეოცნებე ქალის ჩვეულებრივ სწრაფვასთან, ისინი, უეჭველია, ლაპარაკობენ, რომ მისი სასკანდალო გაქცევა მითქმა-მოთქმის ქარიშხალს გამოიწვევს საზოგადოებაში, ის კი არ უწყიან სინამდვილეში, რა ქარიშხალი ამოვარდება. ამჯერად თამაში ვა-ბანკზე წავა, დახვრეტენ გენერლებსა და ეპისკოპოსებს, მაღალი თანამდებობის პირებსა და მეფისნაცვლებს.

კაპიტან დექსტერის ხომალდი ღუზიდან ორი დღის შემდეგ მოიხსნა. კურსი ბარბადოსისკენ აიღო და გრენადასა და ტობაგოს შუა გასავლელად გარს შემოუარა მარგარიტის კუნძულს. აქ ინგლისის სამფლობელოებში უფრო მეტი უსაფრთხოება იყო და მშვიდი მოგზაურობის შემდეგ სოფია ბრიჯტაუნში აღმოჩნდა, სადაც სრულიად ახალი სამყარო გადაეშალა თვალწინ — მთელ კარიბის ზღვაზე მსგავსი რამ ჯერ არ ენახა. ამ ჰოლანდიურ ქალაქში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევდა, ჰქონდა ესპანურისგან სრულიად განსხვავებული საკუთარი არქიტექტურა, ესპანურ ხომალდებს არც მათი განიერი კანჯოები ჰგავდა, რომლითაც ხე-ტყეს ეზიდებოდნენ სკარბოროდან, სენტ-ჯორჯოსიდან თუ პორტ-ოფ-სპეინიდან. აქ მიმოქცევაში იყო იმ ხანებში მოჭრილი უცნაურ სახელებიანი მონეტები „ანანას-პენი“ და „ნეპტუნ-პენი“. როცა სოფიამ იქ მასონთა ქუჩაც აღმოაჩინა და სინაგოგაც, ეგონა, ძველი სამყაროს რომელიღაც ქალაქში მოხვდა. სოფია კალეზ დექსტერის რჩევით, ერთ სუფთა სასტუმროში გაჩერდა, რომელიც ოფლისგან სახეგაპრიალეზულ ვიღაც ზანგის



ქალს ეკუთვნოდა. გამოსამშვიდობებელი საუბრის შემდეგ, როცა სოფიამ ზედმეტი სიხარულისაგან ყველა კერძს გაუსინჯა გემო და პორტერს, მადერას და ფრანგულ ღვინოსაც ჯეროვანი ხარკი მიუზღო, კაპიტანთან ერთად ეტლით ქალაქის შემოგარენის დათვალიერება გადაწყვიტა. რამდენიმე საათი სწინობდნენ მცირე ანტილის ამ ყველაზე დასახლებულ კუნძულზე. ირგვლივ აქ-იქ დაბალი ქედებით დასერილი ველი გადაშლილიყო, — კუნძულზე არაფერი ჩანდა მეტისმეტად დიდი, სულისშემბუთველი და საშიში. ზღვის ნაპირამდე იყო დამუშავებული. შაქრის ღერწამი მობიბინე ჯეჯილსა ჰგავდა; ნაზი ბალახით დაფარული მდელოები — გაზონებს; პალმებიც კი არა ჰგავდა ტროპიკულ ხეებს. სახლები ხშირ სიმწვანეში იყო ჩაფლული, ბერძნულ ტაძართა სვეტების დარი მათი კოლონები სუროშემოხვეულ ფრონტონებს ასდევდა. დიდფანჯრიანი მდიდრული სასტუმრო ოთახები სავსე იყო მზეზე მბრწყინავი ლაქით დაფარული სურათებით. აქ შეგხვდებოდათ კრამიტისსახურავიანი პატარა სახლებიც, ისეთი პატარები, რომ ფანჯრიდან ბავშვს თავი რომ გადმოეყო, უცხო თვალისთვის სულ იფარებოდა ოჯახის წევრებით გარსშემომსხდარი სასადილო მაგიდა, სადაც დიდი სურვილის მიუხედავად, ჭადრაკის დაფაც აღარ გაიმართებოდა. კუნძულზე გადაყვრებოდათ რაყმოდებულ ნანგრევებსაც, სადაც თავს იყრიდნენ მოჩვენებები — მეეტლის თქმით, აქ მოჩვენებებს ფეხს ვერ აუქცევდით — და გულსაკლავად კენესოდნენ ქარიან ღანებს; ზღვის მახლობლად კი, ზედ წყლის პირას, გადაჭიმულიყო კიპარისებოთ დაფარული, მუდამ უკაცრიელი სასაფლაო. ნაცრისფერი საფლავის ქვები განსაკუთრებულად მოკრძალებულნი ჩანდნენ, ესპანური აკლდამების მდიდრულ მკვხოლეულებთან შედარებით; ეს საფლავის ქვები ჰყვებოდნენ გემის კატასტროფაში დაღუპული ვიღაც ეულოლფესა თუ ელვირეს ამბავს, და მათ რატომღაც რომანტიკული იდილიის გმირებად ხატავდნენ. წარწერის ცქერამ სოფიას „ახალი ელოიზა“ გაახსენა, კაპიტან დექსტერს კი — „ღამეები“. თუმცა ქალაქიდან შორს იყვნენ, ცხენებიც დაქანცულიყვნენ და უკან სწრაფად დაბრუნების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, რადგან სადმე ცხენების გამოცვლაზეც უნდა ეზრუნათ, სოფიამ დექსტერს მაინც ალერსიანი სიჯიუტით დაუწყო მუდარა, რაც კაპიტანს ზედმეტად მოეჩვენა, აუცილებლივ წასულიყვნენ კლდეზე აღმართული სენტ ჯონის ბასტიონის სანახავად: იქ, ეკლესიის უკან საფლავის ქვის წარწერა იუწყებოდა იმ ადამიანის უეცარ სიკვდილს, რომლის უძველესი პაგვარეულო არაერთხელ მოიხსენიებოდა ისტორიაში. წარწერა იუწყებოდა: აქ განისვენებს ნეშტი ფერდინანდ პალეოლოგისა — იმპერატორთა დინასტიის შთამომავლის — ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის ნაშიერის, 1655-1656 წლებში ამ ეკლესიის კაპელანისა. გზაში დაღუპული ღვინის გამო ცოტა არ იყოს გულაჩუყებულმა კაპიტანმა დექსტერმა, პატივისცემის ნიშნად, ქუდი მოიხადა. დაისის მზე მეწამულისფრად ღებავდა კლდეზე დამსხვრეულ ქაფმოდებულ ტალღებს. სოფიამ მღვდლის ბაღში მოკრეფილი ბუგენვილებით შეამკო საფლავი. ვიქტორი ჰავანაში პირველად რომ მოვიდა მათ სახლში, დიდხანს და დაწვრილებით ჰყვებოდა ამ საფლავზე, სადაც განისვენებდა იმ ადამიანის მიწვენილი ნაშიერი, ვინც ბიზანტიის აღსასრულის დღეებში დაცემულიყო და აერიდებინა შებილწვა, რაც გამარჯვებულ თურქებს მსოფლიოს პირველი პატრიარქისთვის დაეტეხათ თავს, ახლა სოფიას ეპოვა საფლავი მინიშნებულ ადგილას და კონსტანტინეს ჯვრით აღბეჭდილ ამ ნაცრისფერ ქვას ზედ ხელს



უსვამდა, ამით იმეორებდა სხვა ხელის მოძრაობას, რომელიც რამდენიმე წლის წინათ თითის წვერებით ზუსტად ასევე ეხებოდა ამოტვიფრულ ასოებს...

— წარმოვიდგენია, წმინდა სოფიას ტაძრის მფლობელი ამ კუნძულზე ცხოვრობდა და აქვე მოკვდა... — შენიშნა ამ მოულოდნელი და მეტონქვად გაჭიანურებული ცერემონიის შესაწყვეტად კაპიტანმა დექსტერმა.

— ბნელდება, — თქვა მეეტლემ.

— ჰო, დროა დავბრუნდეთ, — უპასუხა ყმაწვილმა ქალმა.

სოფია განცვიფრდა, რომ მეზღვაურის ბანალურ შენიშვნაში მოულოდნელად თავისი სახელი მოესმა. ეს ისეთი საოცარი დამთხვევა იყო, რომ იგი რაღაცის მომასწავებლად, რაღაცის გაფრთხილებად თუ წინასწარმეტყველებად მოეჩვენა. მას არაჩვეულებრივი ბედი ელოდა. იმ შორეულ საღამოს, როდესაც მათ ჭიშკარზე ძლიერი ხელით გამაყრუებლად ახმიანდა კარის ჩაქუჩი, მისთვის საიდუმლო გზა გაიხსნა მომავლისაკენ. ზოგიერთი სიტყვა უბრალოდ არ წარმოითქმება. იდუმალი ძალა მათ წინასწარმეტყველთა ბავეთ წარმოათქმევინებს. სოფია. სიბრძნე.

### XLIII

შეიტყო თუ არა, რომ დიდი კონეტაბლის ფრიალო კლდე გარიჟრაჟისას გამოჩნდებოდა, სოფია დილაუთენია უკვე ძველი ჰოლანდიური სატვირთო ხომალდის „ბატავის რესპუბლიკის“ გემბანზე იყო, რომლისთვისაც იმხანად მიენიჭებინათ ეს ახალი, დიდებული სახელწოდება. იგი მთელი წლის განმავლობაში მიმოდიოდა შიშველ კუნძულ ბარბადოსსა და მატერიკის უღრან ტყეებს შორის, საიდანაც ბრიჯტაუნის ოსტატი ღურგლებისათვის წითელ ხეს ეზიდებოდა, ნორმანდიული ორსართულიანი სახლების ყაიდაზე აგებული ოისტინის ლამაზი ოდებისათვის კი — საშენ მასალას. გზადშემხვედრი ხომალდის პოლოდინში ყმაწვილმა ქალმა რამდენიმე კვირა იცხოვრა პორტის სასტუმროში. მოუთმენლობისაგან ეწამებოდა, მობუზრდა ძალზე პატარა ქალაქის ქუჩებში ხეტიალი, სადაც მისდა სამწუხაროდ, შეიტყო, რომ საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ზავი ჩამოვარდნილიყო: ეს ადრევე რომ სცოდნოდა, მოგზაურობა გაცილებით გაუადვილდებოდა, მაშინ შეეძლო ჰავანაშივე ასულიყო რომელიმე ჩრდილოამერიკულ ხომალდზე, რომელთაც უკვე დაეწყოთ კაიენაში შესვლა. მაგრამ სოფიას მთელი ეს უსიამოვნება სულ გადაავიწყდა, როცა მატერიკის მახლობლად აღმართული კლდეები და კუნძულები დაინახა — თავზე მათ მხიარული ყვილ-ხივილით დაჰფრენდნენ ვარხვები და თოლიები. შემდეგ გამოჩნდნენ „დედა და ქალიშვილები“, რომელთა შესახებ თავის დროზე ესტებანი უყვებოდა. ნაპირი ყოველ წუთში ახლოვდებოდა და უკვე მცენარეულობათა შორის მოფუსფუსე ადამიანთა გარჩევაც შეიძლებოდა. ნაპირზე მიღწევისას სოფიას ყველაფერი უჩვეულო, ბრწყინვალე და ზეიმურა მოეჩვენა. ეგონა, ბუნება საგანგებოდ მის შესახვედრად მორთულიყო ათასნაირად მოლივლივე ფერებით. ხომალდის გემბანზე ასულმა სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ცოტა არ იყოს, განცვიფრება გამოთქვეს, როცა შეიტყვეს, რომ მარტოხელა ქალს მიეტოვებინა ისეთი ხმაურიანი ქალაქი, როგორც ჰავანა იყო, და კაიენაში დარჩენას აპირებდა, მაგრამ საკმარისი გამოდგა სოფიას ვიქტორ იუგის სახელი ეხსენებინა, რომ ეჭვი იმავე წამს თავს



ვაზიანობით შეცვლოდათ. გვიანი საღამო იყო, როცა სოფია ეტლით მძინარე ქალაქის ქუჩას გაუყვა. იგი ოგარის სასტუმროში გაჩერდა, მაგრამ ამჯობინა ესტეპანის ნათესაობაზე არაფერი ეთქვა, რადგან ახსოვდა, ჭაბუკის პარამარიბოში წასვლა გაქცევას ჰგავდა... მეორე დღით თავისი ჩამოსვლა წერილით აუწყა იმას, ვისაც მოესწრო ამ ხნის მანძილზე დირექტორიის აგენტთან საკონსულტაციო აგენტად ქცეულიყო — ბინდისას გერბიან ქალაქზე დახმარების მოთხოვნა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ხვალ წასაყვანად ეტლი გეასტუმრებთ. ვ.“ სოფია ელოდა მოუთმენლობით აღსავსე წერილს, ამის მაგივრად ორიდღე ცივი სიტყვა მიიღო; ამის გამო მთელი დამე ცუდად ეძინა. მახლობელ ეზოში გააყვებით ყეფდა ვიღაც ლოთის ნაბიჯებით შემფოთებული ძაღლი: მიდიოდა ქუჩაში მუნის ფხანვისგან დაიარაღებული ლითი და მრისხანე წინასწარმეტყველებას აფრქვევდა იმაზე, რომ წმინდანები დედამიწაზე დაიქსაქსებოდნენ, რომ მეფის მკვლელებს სასჯელი მოელოდათ, ყველა წარსდგებოდა უზუნაესის ტახტის წინაშე განკითხვის დღეს, რომელიც, არავინ უწყოდა რატომ, სადღაც ახალი მოტლანდიის ველზე უნდა მომხდარიყო. უცნობის ხმა რომ მიწყდა და საყარაულო ძაღლს ჩასთელიდა, ჭუჭრუტანებში თვალთ დაუნახავი წერები შემოდგინენ და მოჰყვნენ ფიცრების ფხაჭვნას, ჩრჩილვასა თუ ღრღნას. გარედან ისმოდა, როგორ სცვიოდა ხეს მძიმე თესლი და ტყვიის საფანტივით როგორ ეყრებოდა დაბირქვავებულ ნაკებს. სასტუმროს კართან ხმამაღლა დაელობდა თითქოსდა სათავგადასავლო რომანის ფურცლებიდან გადმოსული ორი ინდიელი. ყოველივე ამის გამო სოფიას ძილი გაუტყდა და ათასი შემაშფოთებელი ვარაუდით იმტვრევდა თავს. აი, რატომ იყო ასე მოთენთილი, როცა დღით მის წასაყვანად ეტლი მოვიდა. ყმაწვილ ქალს ეგონა, მთელი თავისი ჩემოდნებითა და სამგზავრო სკივრებით მთავრობის რეზიდენციაში წაიყვანდნენ, მაგრამ კარეტას ცხენები პირდაპირ ნავმისადგომისკენ მიაქროლებდნენ, სადაც უკვე უცდიდათ მაღალბორტიანი ნავი. ნავის სკამებზე ბალიშები ეწყო, მზისა და ქარისგან კი მგზავრებს მოჩარდახებული უხეში ტილო იცავდა. სოფიამ შეიტყო, რომ იგი ქალაქიდან რამდენიმე მილით მოშორებულ მამულში მიჰყავდათ. მართალია, სულაც არ ელოდა ასეთ შეხვედრას, მაგრამ მეზღვაურების მოწიწებული მოპყრობით, უნებურად მაინც კმაყოფილებას გრძნობდა. მცირე გემს ახალგაზრდა ოფიცერი სენტ-აფრიკი ხელმძღვანელობდა. იგი სოფიას უყვებოდა ვიქტორ იუგის ჩამოსვლის შემდეგ კოლონიის წარმატებებზე. ახლა სოფლის მეურნეობა ჰყვავის, საწყობები საქონლითაა გატენილი, ყველგან მშვიდობა და კეთილდღეობა სუფევს. თითქმის ყველა გადმოსახლებული საფრანგეთში დააბრუნეს და მათ ტანჯვა-წამებას ირაკუბოში ვეება სასაფლაოდა გადახსენებს, რომლის საფლავის ქვებზე ცნობილი რევოლუციონერების სახელებია ამოტვიფრული... ბინდბუნდზე ნავმა დაჭაობებულნაპირებიან მძინარეს შესართავს მიაღწია; წყლის ზედაპირზე მოცურავე ფოთლები, რომლებსაც წყლიდან იისფერი ფურცლები ამოეყოთ, დუმფარის ყვავილებს ჰგავდა. ძაღუ გამოჩნდა ნავმისადგომი. მერე კი ელზასური სახლების ყაიდაზე ნაკები ვეება შენობაც — შენობა გორაკზე ლიმონებსა და ფორთოხლებს შორის იყო ჩაფლული. სოფიას შესახვედრად გამოცვივდნენ თავაზიანი ზანგის ქალების მთელი გუნდი და სოფია მეორე სართულზე, მისთვის გამოყოფილ პალატში შეიყვანეს; კედლებზე ეკიდა დახვეწილად შესრულებული გრაფიურები, მათზე გამოსახული იყო ძველი რეჟიმისდროინდელი მოკვლენები: ნამიურის ალფა, დაფნის გვირგვინით შემკული კოლტერის ბიუსტი და კალასის ბედკრული ოჯა-



ხი; იქვე ეკიდა ტულონის და როშფორის ზღვის სანაპიროების და ეკსის და სენ-მალოს კუნძულების ლამაზი პეიზაჟები. სანამ ყბედი მოსამსახურეები თეთრულს ალაგებდნენ და კაბებს კარადებში კიდებდნენ, სოფია ფანჯარაში იყურებოდა: ვარდის ბუჩქებით დაფარულ ბაღს უძალ სცვლიდა შაქრის ლერწმის პლანტაცია, ირგვლივ კი მიჯრით ტროპიკული ტყე შემოსდგომოდა. რამდენიმე მაღალ ვერცხლისფერძროიან ამარტის ხეს გზა დაეჩრდილეს, ნაპირებზეც მირიქსილონი, ჯავაზი და ყვითელი პილპილი იყრდნობდნენ.

მღელვარე მოლოდინში გადიოდა საათები; ბოლოს, როგორც იყო, ნავმისადგომს ნიჩბებიანი კანჯო მოადგა. უკვე საღამოს ბინდით მოცულ ხეივანში გამოჩნდა ოქროსფერი ზოლებითა და სირმებით მოვლვარე ნახევრად სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცის ფიგურა; თავს ბუმბულისჯილიანი სამკუთხა შლაპა უმშვენებდა. სოფია პორტიკისკენ გაეშურა და სიჩქარისაგან ვერ შენიშნა, შავი ღორების კოლტი ზედ შესასვლელთან ერთობ სასიამოვნო საქმეში რომ გართულიყო: ყვავილების კლუმბები გადაეჯეგათ, ტიტები ძირფესვიანად დაეთხარათ და ხალისიანი ღრუტუნით გორაობდნენ გუბებში. დაინახეს თუ არა, კარი გაიღო, ღორები ერთმანეთის დინგების ცეშით შეცვივდნენ სახლში და ტალახიანი ზურგებითა და ფერდებით კაბა სულ ამოუგანგლეს სოფიას, რომელიც ყვირილითა და ხელების ქნევით ამაოდ ცდილობდა მათ შეკავებას.

მრისხანებისაგან გაცოფებული ვიქტორი სახლში შევარდა:

— ეშმაკმა უწყის რა ხდება! რატომ უშვებენ ღორებს ბაღში თავისუფლად?

ვიქტორმა ხმალი დაადრო და სიბრტყით დაუწყო ღორებს ცემა, რომლებიც ცდილობდნენ შიგნითა ოთახებში შეცვივნასა და კიბეებით მეორე სართულზე აჭრას. სახლის ყველა კუთხიდან მორბოდნენ მსახურები, ეზოდან იქ მომუშავე ზანგები მოცვივდნენ; ბოლოს, როგორც იქნა, საერთო ძალით, გამორეკეს თავხედი ცხოველები: კუდებსა თუ ყურებში ხელჩავლებულ ღორებს, მათსავე გამაყრუებელ ჭყვივლში, ერთმანეთის მიყოლებით მიათრევდნენ გარეთ, თან პანღურს აყოლებდნენ. სამზარეულოსა და ყველა დამხმარე სათავსოსაკენ გამავალი კარი ჩაკეტეს.

— დახედე რას გავხარ, — უთხრა ვიქტორმა სოფიას, როცა ღორების შემოჭრით ატეხილი აურზაური მიწყნარდა, და ამოთართლულ კაბაზე ანიშნა, მჭრე დაუმატა, — წადი, გამოიცვალე, მე კი ვბრძანებ ღორები აქაურობას მოაშორონ...

როცა თავის კაბინეტში ასულმა სოფიამ სარკეში ჩაიხედა, ძალზე უბედურად იგრძნო თავი, ტირილი მოერია იმის გაფიქრებაზე, რომ ასე დასრულდა ამდენი ხნის ნანატრი და ნაოცნებარი შეხვედრა. ამ შეხვედრისათვის საგანგებოდ შეკვეთილი დიდებული მორთულობა დაჭმუჭნული, დაგლეჯილი, ჩხრინკელით ამოსერილი და აყროლებული იყო. ყმაწვილმა ქალმა ფეხსაცმელი კუთხეში ისროლა და გაცოფებულმა გაიძრო წინდები. იგი მთლად გაჟღენთილი იყო საღორის, სიბინძურისა და ნაყარ-ნუყარის სუნით. სოფია იძულებული გახდა მოსამსახურეებისათვის დაეძახა, რათა რამდენიმე ვედრო წყალი მოეტანათ და დაბანას შეუდგა, თან სულ იმაზე ფიქრობდა, რა სისულელეა ახლა ეს უდროო დროს ბანაობაო. რაღაც სასაცილო და დამამცირებელი იყო იმაში, რომ წყლის შხაპუნი, უეჭველია, ესმოდა ვიქტორს. ბოლოს ხელში პირველად მოხვედრილი კაბა ჩაიცვა და ბორძიკით, თავის გარეგნობაზე უფიქრელად, ჩავიდა სასტუმრო ოთახში, თან ისეთსავე მტანჯველ სინანულს განიცდიდა, რასაც აქტიორი განიცდის ხოლმე, სცე...



ნაზე ეფექტური გამოსვლა რომ ჩაუფლავდება. ვიქტორმა მკლავში ხელი გაუყარა და გვერდით მოისვა. მას თავისი ბრწყინვალე კოსტუმში იღბლიანი პლანტატორის ხალვათი ტანსაცმლით შეეცვალა: ეცვა თეთრი პანტალონი, ფართოსაყელოიანი პერანგი და თხელი ტილოს ქურთუკი.

— იმედია, დამრთავ ნებას! აქ ამ ტანსაცმელს ვიცვამ მუდამ, როდისღაც ხომ უნდა დავისვენო შებოჭილობისა და კოკარდისაგან.



ვიქტორმა ესტებანის ამბავი იკითხა. პარამარიბოდან წაყიდა, შერეულბუნა პეანაში დაბრუნდებოდაო. იუგს, ეტყობა, სურდა მოეთხრო თავისი ცხოვრების ამბავი, მას შემდეგ, რაც გვადელუპაში მმართველობა შეეწყვიტა, და მოჰყვა დეფურნოსა და პელარდის წინააღმდეგ თავისი ბრძოლის პერიპეტიებს: ბოლოს და ბოლოს განაიარაღეს, დააპატიმრეს და ძალით გააგზავნეს საფრანგეთში. პარიზში თავი ოსტატურად დაიცვა და პელარდეს წამოყენებული მთელი ბრალდებები ნაცარმტვრად აქცია. ასე რომ, როცა საბოლოოდ კონსულ ბონაპარტეს კაენას მმართველობისათვის საიმედო კაცი დასჭირდა, არჩევანი მასზე, ვიქტორზე შეაჩერა... იუგს დაბრუნებოდა უწინდებური სიტყვამრავლობა და შეუსვენებლივ ლაპარაკობდა, თითქოს დიდი ხნით თავშეკავებული, ახლა ჩქარობდა გულის გადაშლას.. თავის ახლანდელ ცხოვრებაზე დაწვრილებით რომ ჰყვებოდა ამბავს, შიგადაშიგ გულშიჩამწვდომი ხმით სულ ერთსა და იგივეს იმეორებდა: „ამას მართო შენ გეუბნები, მხოლოდ და მხოლოდ შენ, აქ სხვას ვერავის ვერ ვენდობი“. თანაც წუხდა. ძალაუფლება ადამიანს იმონებსო, ლაპარაკობდა გულგატეხილობასა და უსიამოვნებაზე ვინმესთან მეგობრობის შეუძლებლობაზე მაშინ, როცა კაცი მმართველობის სათავეში დგას.

— ალბათ გადმოგცეს, რომ გვადელუპაში სასტიკი ვიყავი, მეტიხმეტად სასტიკი ასევე როშფორშიც, — განაგრძო მან, — სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო. რევოლუციასზე არ მსჯელობენ: რევოლუციას ახდენენ.

შეუჩერებლივ ლაპარაკობდა, მხოლოდ დროდადრო, სულ ერთი წამით თუ შეჩერდებოდა იმის მოლოდინში, რომ მოესმინა სოფიას დასტური თავის მოკლულ შეკითხვებზე: „ასე არ არის?“, „ეს უკვე იცოდი?“, „თანახმა ხარ?“, „შენ როგორ ფიქრობ?“, „გითხრეს უკვე?“, „თქვენთანაც იცოდნენ ეს ამბავი?“. სოფია კი ამასობაში თავისთვის განსჯიდა მის გარეგნობაში მომხდარ ცვლილებას: იგი შესამჩნევად იყო შესუქებული, მაგრამ ძვალმსხვილობის გამო უფრო კუნთებიანი გეგონებოდათ, ვიდრე მსუქანი, სახე რამდენადმე გავსებოდა, მაგრამ საერთო გამომეტყველება უფრო გამკაცრებოდა. კანზე ოდნავ მიწისფერი გადაჰკვროდა, თუმცა ძველებურად ჯანმრთელად და მხნედ გამოიყურებოდა.. სასადილო ოთახის კარი გაიღო, ორმა მოსამსახურემ ცივი საუზმეულობით გაწყობილ მაგიდაზე კანდელაბრი დადგა. მასიური ვერცხლის ჭურჭლის დანახვაზე შეჭკველად იფიქრებდით, რომ აქ იგი ხომალდიდან უნდა მოხვედრილიყო, რომელზედაც მექსიკის ან პერუს ვიცე-მეფე ცურავდა.

— დილაძე თავისუფლები ხართ, — უთხრა ზანგის ქალებს, მერე ხმა დაირბილა და სოფიას მიუბრუნდა, — ახლა შენი ამბავი მომიყევი.

მაგრამ ყმაწვილმა ქალმა მეხსიერებაში ამაოდ გადაჩხრიკა მთელი ამ წლების მანძილზე თავის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები, — ვერაფერი გაიხსენა საინტერესო და ყურადღების ღირსი. ვიქტორის ხიფათით სავსე და მღელვარე ცხოვრებასთან შედარებით, რომელიც აღბეჭდილი იყო ეპოქის ყველაზე გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებით, საკუთარი არსებობა უფერულად და საცოდავად წარმოუდგა. მისი ძმა უბრალო ვაჭარი იყო და მეტი არაფერი, ბიძაშვილი



კი მხდალი ადამიანი გამოდგა და ახლა, როცა საკუთარი თვალთ დარწმუნდა ვიქტორის სიდიადეში, ესტებანის განდგომილება ისე სამარცხვინოდ მოეჩვენა, სიბრაულის გამო არჩია, მასზე არაფერი ეთქვა; საკუთარი ქორწინების ამბავიც არ მატებდა ღირსებას. თავისი ცხოვრება მშობლიური ქვეყნის სამსახურს მიუძღვნა, მაგრამ ამით ის სიხარულიც ვერ მოეპოვებინა, რასაც დემეტრის სამსახურისთვის ავილას მონაზვნები ჰპოვებენ. სოფია იცდიდა, ეს გადიოდა მონოტონური, უღიმღამო წლები, მისთვის დღესასწაულები უკვე აღარ აღსასწაულს — ან რა უნდა ეთქვა მისთვის შობას თუ ნათლობას, როცა სწამდა სამყაროს დიდი არქიტექტორი, რომელსაც ხის ბაგაში ვერ ჩააწვენ?

— რა? რა იყო? — ეკითხებოდა ვიქტორი გასამხნეველად, — ჰა, რა იყო?

მაგრამ ამოუხსნელსა და დაუძლეველ სიჯიუტეს კრიჭა შეეკრა სოფიასთვის. მერე გადიმება სცადა; სახთლის აღს მიშტერებული ხელს ხან სუფრას გადაუსვამდა, ხან ჭიქისკენ გაიწვდიდა, თუმცა ხელში არ იღებდა.

— ჰა, რა მოგივიდა?

ანაზღეულად ვიქტორი უფრო ახლოს მიუჯდა, სახთლის შუქი თითქოს ყირამალა გადავიდა, მათი ჩრდილები კუთხეს დაეცა, მამაკაცის ძლიერი ხელები სოფიას ტანს შემოეჭდა და ქალი უეცრად სურვილმა აიტანა, როგორც იმ შორეულ სიყმაწვილის დღეებში, როდესაც ვნება პირველად გამოსცადა... მაგიდასთან გაოფლილები, აჩაჩულები დაბრუნდნენ, ერთმანეთს ხელს უბიძგებდნენ, ეცინებოდათ საკუთარ თავზე და კვლავ ძველებური ენით ალაპარაკდნენ, როგორც ოდესღაც სანტიაგოს პორტში, როცა არად ჩააგდეს მეზღვაურთა სულმდაბლური ცნობისმოყვარეობა, ყურადღება არ მიაქციეს სიცხეს, ტრიუმიდან მომავალ საძაგელ სუნს და ზემო გემბანის ვიწრო კაიუტაში ხვდებოდნენ ერთმანეთს, სადაც ფიცრულ კედლებს, ისევე როგორც აქ, ახალი ღაქის სუნი ასდიოდა. ქარს ოთახში სანაპიროდან ზღვის სუნთქვა შემოჰქონდა. ისმოდა მეზობლად მდებარე კაშხლის წყლის მზუილი. სახლი ხომალდით მიაპობდა ფანჯრებზე ნელი ჩქამით მოლამუნე ფოთოლთა ტალღებს.

#### XLIV

სოფიამ განცვიფრებით აღმოაჩინა საკუთარი გრძნობადი სამყარო. მის ხელებს, მხრებს, მკერდს, თეძოებს, მუხლებს უცბად თითქოს მეტყველების უნარი შეეძინათ. ახლა, როდესაც მამაკაცს ნებდებოდა, მის სხეულს სულ სხვაგვარი, მშვენიერი და დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო, ამიერიდან ემორჩილებოდა საკუთარ აღმაფრენას, სურვილებს და აღარ საჭიროებდა გონიერების თანადგომას. მისი სხეული ნეტარებით ირინდებოდა მამაკაცის ძლიერი ხელის მიკარებაზე; ძალუმი შეხების მოლოდინში კანს ვრუოლვა იტანდა. თმასაც კი, სიყვარულის ბედნიერ ღამეებს რომ გაიშლიდა ხოლმე, თმასაც კი სწყუროდა დანებებოდა იმას, ვის თითებშუაც იღვრებოდა. ქალი დაუფიქრებლად, დაუნანებლად და უხვად გასცემდა ყველაფერს, და მაინც ნიადაგ იმას ფიქრობდა: „რა შემიძლია კიდევ მივცეო“. ამის მიუხედავად ვნებიანი ალერსის წუთებში, როდესაც მთელი მისი არსება ღამის სავსებით იცვლებოდა, თავს საბრალოდ და ღატაკად გრძნობდა, რადგან არ შესწევდა უნარი სრულად მიეგო იმის საზღაური, რასაც თვითონ ღებულობდა; სინაზით, სიხარულითა და სასიცოცხლო ენერგიით საოცრად აღწევდა აუძლეურობდა შიში იმისა, რომ ვერ ახერხებდა სამაგიეროდ დაესაჩუქ-



რებინა ის, ვინც თავად უშურველად ჩუქნიდა მას. მიჯნურთა მეტყველება დაბრუნებოდა დასაბამ ფორმას, პირველქმნილ სიტყვებს, ჩურჩულს — პოეზიის ამ წინამძღვარს — ასე ძველ დროში ასხამდნენ ქებას ადამიანები თაკარა მზეს, მდინარეს — დახნული მიწის მასაზრდოებელს, თესლს — კვალში ჩავარდნილს და თითისტარივით მოგრძო თავთავს. სიტყვა იბადებოდა შეხებისაგან, და იყო იგი ისეთივე ნათელი და უბრალო, როგორც მისი წარმოქმნის მოქმედებები. უღებების სიცოცხლე დამორჩილებოდა გარემომცველი ბუნების რიტმს, მანამდე ჯერად რომ გაწვიმდებოდა, ღამ-ღამობით ყვავილი რომ გაიშლებოდა ან ქარი მიმართულებას შეიცვლიდა, — როცა არ უნდა მომხდარიყო ეს, მათ კვლავ ეძალებოდათ სურვილი, თავს გადახალისებულად გრძნობდნენ, როგორც მაშინ, პირველად რომ შეიცნეს ერთმანეთი. თითქოს არაფერი იცვლებოდა, გარშემო ძველებურად რჩებოდა ყოველივე, მათ კი სხვაგვარად ეჩვენებოდათ. დღევანდელი ღამე, ასე ხელა და გაუბედავად რომ ახლოედებოდა, არ ემგვანებოდა არც გუშინდელსა და არც ხვალინდელს, იგი თან თავის სიხარულსა და ალტაცებას მოიტანდა. დროის სვლას დაუმორჩილებელი მიჯნურნი, მის მდინარებას თავიანთ ნებაზე რომ ანელებდნენ და აჩქარებდნენ, ერთნაირად მისცემოდნენ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს — სწრაფვას, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდომოდნენ საკუთარ თავს, აი, რატომ იყო, რომ ის, რაც გარშემო ხდებოდა და შემთხვევით აღწევდა მათ შემეცნებად, მყარი და უცვლელი ეგონათ: ასე იყო, როცა ჭექა-ქუხილი ახლოედებოდა, როცა ფანჯარასთან მომაბეზრებლად ჭყიოდა ჩიტი ანდა განთიადის ნიავს მოქქონდა ტროპიკული ტყის სურნელება. ხშირად ეს იყო ქარის შემთხვევითი დაქროლება, წუთიერი ხმაური, მსუბუქი სიო, მაგრამ ამ დროს მათ ყველაფერი ავიწყდებოდათ. ვნებით შეპყრობილებს თუ მსუბუქ თვლებში — ნეტარსა და საამო სიმშვიდეში ჩაძირულებს ეგონათ, ასე გაგრძელდებოდა მთელი ღამე. მიჯნურებს ხშირად ეჩვენებოდათ, რომ აედრის ხმაურში იყვნენ ერთმანეთს ჩახვეულები, ეს მათ სხეულებს აიძულებდა უფრო მჭიდროდ ატმასნოდნენ ერთმანეთს, რამდენიმე საათის შემდეგ გამოღვიძებულნი კი ხვდებოდნენ, რომ ქარი სულ ორიოდე წუთს გაგრძელებულიყო და ხის ტოტებიც სიოს ოდნავ აეტოკებინა... ფანჯარასთან...

ყოველდღიური ცხოვრებისთვის გემო რაკი კვლავაც გაეგო, ბოლოს და ბოლოს, სოფია სრულფასოვან ადამიანად გრძნობდა თავს და სურდა, ყველას გაენაწილებინა მისი სიხარული, სიამოვნება თუ დიდი სიმშვიდე. ახლა, როცა ხორციელი შიმშილი განეძლო, კვლავ უბრუნდებოდა ადამიანებს, წიგნებს, საგნებს. გრძნობდა სულიერ დაშოშმინებას და განცვიფრებას იყო, თურმე როგორ განაბრძნობსო ადამიანს ფიზიკური სიყვარული. სოფიას გაგონილი ჰქონდა, ზოგიერთი აღმოსავლური სექტა ხორციელ ტკბობას ზნეობრივი სრულყოფისაკენ გადადგმულ აუცილებელ ნაბიჯად მიიჩნევსო, და ახლა მზად იყო ერწმუნა ეს, რადგან ატყობდა, თვითონ მას როგორ უმტკიცდებოდა მსგავსი უნარი ირგვლივ არსებულის შესაცნობად, რაც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა ღამის. იმ მრავალწლიანი ნებაყოფლობითი განდგომილების შემდეგ, როცა მთელ დროს თითქმის ითხ კედელშუა, მიჩვეულ საგნებსა და ადამიანებთან ატარებდა, ახლა მის გონებას გაქანება შეეძინა და ყოველივე ფიქრის საბაბად ექცია. ძველი კლასიკური ნაწარმოებების გადაკითხვისას, რომლებშიც ადრე მარტო თავმოყრილ ლეგენდებსა და მითებს ხედავდა, სოფიამ ახლალა აღმოაჩინა მათი ნამდვილი აზრი. მას არ იზიდავდა თანამედროვე ავტორების მეტიმეტად ღამაზი თხზულებები, გულისამაჩუყებელი რომანები, რაც ასე მოსწონდათ მაშინდელ მკითხველებს, ის ეტანებო-



და ისეთ წიგნებს, სადაც თხრობის მართალი ფორმით ანდა სიმბოლური იგავებით იყო აღწერილი მტრულსა და ხიფათით აღსავსე გარემოში მოხვედრილი ქალისა და მამაკაცის ცხოვრება. ახლა სოფიასთვის ნათელი გამხდარიყო მანამდე მისთვის გაუგებარი სიმბოლოების — შუბისა და თასის საიდუმლოება. ყმაწვილ ქალს ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, რომ კვლავ მოჰქონდა სარგებლობა, რომ მის არსებობას, ბოლოს და ბოლოს, აზრი და მიზანი შეეძინებოდა. ჯერჯერობით მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობდა; ერთმანეთს მისდევდა, კვირები, ის კი ბედნიერებით ტკბებოდა მხოლოდ და არა ფიქრობდა მომავალზე. მაგრამ სოფიას მაინც სწამდა, შორს არ იყო ის დღე, როცა დიად მოვლენებშიც მიიღებდა მონაწილეობას იმ ადამიანთან ერთად, თავისი ბედი ვისთვისაც დაეკავშირებინა. ვიქტორისნაირი გამიჩენილი პიროვნება, ფიქრობდა იგი, ვერ შეძლებს დიდი ხნით გაუდგეს განზე მნიშვნელოვან მოვლენებს, ადრე იქნება თუ გვიან, ამ მოვლენებში იუგი მაინც მიიღებს მონაწილეობასო. რაღა თქმა უნდა, მისი ქცევა ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდებოდა ევროპაში, პარიზიდან მოსულ ახალ ამბებს კი დიდი ცვლილებების პირი უჩანდა. იქ ვითარება უჩვეულო სისწრაფით იცვლებოდა, გაზრეები კაიენამდე ძალზე მოგვიანებით აღწევდა — და მათი კითხვისას უნდა გვევარაუდებოდნენ, რომ ყოველივე ეს ისტორიის შემდგომი მსვლელობით უკვე უარყოფილი იქნებოდა. ამასთან, ეტყობა, ბონაპარტეს ნაკლებად აინტერესებდა ამერიკის რევოლუციური გარდაქმნისათვის ზრუნვა, მისი ყურადღება სხვა, მისთვის უფრო ახლობელ ამოცანებს დაეპყრო. აი, რატომ უთმობდა ამდენ დროს ვიქტორ იუგი კოლონიის მართვას; ხელმძღვანელობდა სარწყავ სამუშაოებს, გზათა მშენებლობას, გამალებით ავითარებდა სავაჭრო ურთიერთობას სურინამასთან, აღწევდა სოფლის მეურნეობის აყვავებას. მის მმართველობას გულშემატკივრულად და გონივრულად აღიარებდნენ. კოლონიისტები კმაყოფილნი იყვნენ. იუგის მცდელობით მთელი ეს კუთხე აყვავდა. კაიენაში უკვე კარგა ხანია ეთქვათ უარი დეკადურ სისტემაზე და ჩვეულებრივ გრიგორიანულ კალენდარს მიბრუნებოდნენ; კოლონიის მმართველი ქალაქში ორშაბათობით მიდიოდა, თავის მამულში კი ხუთშაბათს ან პარასკევს ბრუნდებოდა. სოფია ამ დღეებში ყოველ დილით რამდენიმე საათს სახლზე ზრუნვას უთმობდა; ყველაფერში თადარიგს იჭერდა, ღურგლებს უკვეთდა აკვჯს, ზრუნავდა ბაღის უკეთ მოწყობისთვის — ეაჭრობის აგენტის შვეიცარული სიგერის მეშვეობით პარამარიბოდან ღებულობდა ტიტის ბოლქვებს, თავისუფალ დროს ბიბლიოთეკაში ატარებდა, სადაც საფორტიფიკაციო და სანაოსნო ხელოვნების მომხმარებელ ტრაქტატებსა თუ ფიზიკურსა და ასტრონომიულ შრომებს შორის ბევრი შესანიშნავი წიგნი აღმოაჩინა. გავიდა რამდენიმე თვე, ყოველი კვირის მიწურულს ჩამოსულ ვიქტორს კი არა და არ მოჰქონდა რაიმე ამბავი, რაც ოდნავ მაინც დაარღვევდა განცხრომაში მყოფი კოლონიის მშვიდობიან ცხოვრებას.

ერთხელ სოფიამ გადაწყვიტა მიეტოვებინა სოფლის განმარტოება და საყიდლებისათვის კაიენაში წასულიყო. ქალაქში უცნაური რამ ხდებოდა. განთიადიდანვე გამაყრუებლად რეკდა წმინდა პავლე მარტრელის მონასტრის ყველა ზარი. მათ უერთდებოდა დანარჩენი, მანამდე სხვენებსა თუ საწყობებში დამალული ზარების ხმებიც, რომელთაც ახლა ჩაქუჩებს, რკინის ჯოხებს და ნალებსაც კი ურტყამდნენ, რადგან ჯერ კიდევ არ ჩამოეკიდათ თავთავიანთ ადგილებზე. ქალაქის ყველა კუთხიდან ისმოდა ზარების რეკვა, ის-ისაა ნაპირს მომდგარი ზომალდიდან გადმოდიოდნენ მღვდლები და ბერები. ქალაქს თითქოს რწმენის უჩვეულო მხედრიონი დასტყდომოდა თავს. სუტანებსა და ფართოფარფლებიან შლაპებში



გამოწყობილი ქრისტეს მსახურნი ქვაფენილზე მოაბოტებდნენ. გამვლელები ეს-  
 აღმებოდნენ შავ, ყავისფერსა და ნაცრისფერ შესამოსელიან ადამიანებს, მის-  
 ჩერებოდნენ დიდი ხნის მივიწყებულ საგნებს — კრიალოსანს, ხატებს, ომფო-  
 რებსა თუ ლოცვანს. ზოგიერთი მღვდელი ჰაიჰარად აძლეოდა ლოცვა-კურნებს  
 ფანჯრებში თავგამოყოფილ ქალაქელებს. პროცესიის სხვა მონაწილეები ცდილობ-  
 დნენ ხმაურის დაფარვას და ხმაშეწყობილად მღეროდნენ საეკლესიო ღმერთებს.  
 ამ სანახაობით განცვიფრებული სოფია მთავრობის რეზიდენციის კარს მიუღწეა.  
 სადაც იუგი ეგულებოდა, მაგრამ მის კაბინეტში მარტო დივანში გადაშხლართუ-  
 ლი სიგერი დაუხვდა, რომელსაც გვერდით ლერწმის არყის ბოთლი მოედგა. ვაჭ-  
 რობის აგენტი გადაჭარბებული თავაზიანობით შეხვდა ყმაწვილ ქალს და დაფა-  
 ცურებით დაიწყო კამზოლის შეკვრა.

— როგორ მოგეწონათ ქრისტეს მსახურთა ეს სვლა, ქალბატონო? მღვდლე-  
 ბი კაიენას მთელი სამწყსოსთვის ჩამოვიდნენ, ბერები კი ლაზარეთებისათვის!  
 კვლავ მოგვიბრუნდა რელიგიური პროცესიების ჟამი! ახლა ხომ კონკორდატი  
 გვაქვს დადებული! პარიზი და რომი ამბორყოფენ ერთიმეორეს! ფრანგები კვლავ  
 კათოლიკეები ხდებიან! ამ წუთში რუხ მონაზონთა კაპელაში სამადლობლო პა-  
 რაკლისს იხდიან. იქ შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი მთავრობის ყველა ჩინოვნიკი, ის-  
 ინი საპარადო მუნღირებში გამოეწყვნენ და მოწიწებით ხრიან თავს საეკლესიო  
 ლათინურის მოსმენაზე: „Preces nostrae, quaesumus, Domine propitiatus  
 admitte“.\* წარმგიდგენიათ, მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა იმისათვის, რა-  
 თა აღეკვეთათ რელიგია, რასაც ახლა კვლავ აღორძინებენ!

სოფია ქუჩაში გამოვიდა. მღვდლებისა და ბერების ხომალდებიდან ნავსად-  
 გომზე კვლავ გადმოდიდნენ მგზავრები და უმაღლ შლიდნენ კეება წითელსა თუ  
 მწვანე ქოლგებს; მებარგულე ზანგებს თავზე ფუთები და ჩემოდნები შემოედგათ.  
 ოგარის სასტუმროს წინ რამდენიმე მღვდელს ერთად დაეწყო თავიანთი ბარგი-  
 ბარხანა და უჯრა-უჯრა ცხვირსახოცებით გაოფლიანებულ შუბლს იწმენდნენ.  
 უცებ მოულოდნელი რაღაც მოხდა: ნაპირზე სულ ბოლოს გადმოსულ პარიზის  
 წმინდა სულპიცის სემინარიის ორ მღვდელს კოლეგები აღშფოთებული შემა-  
 ხილებით შეეგებნენ.

— მოღალატეებო! გამყიდველებო! კონსტიტუციაზე ფიცდადებულებო! — ის-  
 მოდა განრისხებული ყვირილი და ამ სიტყვებზე ახლადმოსულებს თხრილიდან  
 ამოკრეფილ ანანასის ქერქებს, ქვებსა და ნარჩენებს ესროდნენ. — მოშორდით  
 აქაურობას! ტყეში მიბრძანდით დასაძინებლად! მოღალატეებო! კონსტიტუციაზე  
 ფიცდადებულებო!

ისინი მაინც უშიშრად გაემართნენ სასტუმროსაკენ, თან მარჯვნივ თუ მა-  
 რცხნივ ქიმუნჯსა და პანლურს იკვრევიანებოდნენ, მაგრამ გარშემო უმაღლ შაოსა-  
 ნი ხალხის მრისხანე ბრბო შემოეხვიათ. რესპუბლიკის ერთგულებაზე დაფიცული  
 მღვდლები კედელთან მიიმწყვდიეს, ისინი კი ამაოდ ცდილობდნენ „ნამდვილი“  
 და „დაუმორჩილებელი“ მღვდლების პირში მიხლილი ბრალდების უარყოფას,  
 რომლებიც კონკორდატს ანაზღუდად ქრისტეს ჭეშმარიტ მხედრიონთა შარა-  
 ვანდელით შეემოსა, ვინაიდან დევნილთ და წამებულთაც შეენარჩუნებინათ ქრის-  
 ტეს ერთგულება, უჩუმრად სწირავდნენ და რომაულ კატაკომბთა პირველი დიაკვ-  
 ნების ღირსეულ შთამომავლებად ქცეულიყვნენ. ხმაურზე მოცვივდნენ ჩაფრები  
 და კონდახებით დაუწყეს ეკლესიის მსახურთ გარეკვა. წესრიგი თითქმის აღსდგა,

\* „მიიღე წყალობით, უფალო, ლოცვანი ჩვენი“ (ლათ.).



როცა ანაზღად იქვე მდებარე ხორცის ღუქნიდან გამოსულმა ახალგაზრდა მღვდელმა გამოიტანა ის-ისაა დაკლული მოზვრის სისხლით სავსე ვედრო და პირდაპირ ისე მიუშვა განდგომილებს, რომ მკერდზე ვეება სისხლის ლაქები დააჩნდათ, სისხლის წვეთებმა და ლეკერტებმა წითლად შეღებეს შენობის თითო ფასადიც. კვლავ გაძაყრუებლად გაისმა ზარების რეკვა, სამადლობელო პარაკლისი/დამთავრდა და საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილი ვიქტორ იუგერ, მკაფურაბეს ჩინოვნიკების თანხლებით, რუხ მონაზონთა კაპელიდან გამოვიდა.

— რა ჰქენი, მოიხილე მოსახილველი? — ჰკითხა ვიქტორმა თავის რეზიდენციაში დახვედრილ სოფიას.

— კომედიას ჰგავდა ყველაფერი, — მიუგო ქალმა და მოუყვა ეკლესიის მსახურთა შეხლა-შემოხლაზე.

— ამ ორ ბედშავ მღვდელს ვუბრძანებ დაბრუნდნენ საფრანგეთში. აქ მოსვენებას მაინც არ მისცემენ.

— მე მგონი, თავი უნდა გამოგედო მათ დასაცავად, რაც არ უნდა იყოს, დანარჩენებთან შედარებით შენთვის უფრო ახლოს ესენი არიან, — უთხრა სოფიამ. ვიქტორმა მარტო მხრები აიჩეჩა.

— არც საფრანგეთში უწევენ ანგარიშს რევოლუციის ერთგულებაზე ფიცმილებულ მღვდლებს.

— საკმეველის სუნი აგდის, — მოუჭრა სოფიამ.

ისინი მამულში დაბრუნდნენ. გზაში თითქმის ხმა არ ამოუღიათ. სახლში უკვე უცდიდნენ ცოლ-ქმარი „ბიოთები“ (ასე ეძახდნენ სოფია და ვიქტორი ბიოვარენსა და ბრიგიტას), რომლებიც ჯერ ისევ შუადღისას მოსულიყვნენ თავიანთ ერთგულ ძაღლ პასიანსთან ერთად. მათ არცთუ იშვიათად, ამასთან გაუფრთხილებლად, იცოდნენ მოსვლა, თანაც რამდენიმე დღე აგრძელებდნენ თავიანთ სტუმრობას.

— ფილემონი და ბავკიდა კვლავაც ბოროტად სარგებლობენ თქვენი სტუმართმოყვარეობით, — თქვა ბიომ და პირველად გამოიყენა კონსტიტუცია, რაც არ დასცდენია მას შემდეგ, რაც თავისი მოსამსახურე ცოლად დაესვა.

სოფია ატყობდა, რომ უკანასკნელ თვეებში ბავკიდას გავლენა სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა ფილემონის სახლში. არაჩვეულებრივად საზრიანი ზანგის ქალი ბიო-ვარენს გადაჭარბებული ყურადღებით გარემოსავდა, რასაც იმით ამჟღავნებდა, რომ ყველა მის სიტყვასა და საქციელზე მგზნებარე აღფრთოვანებას გამოხატავდა. ბიო-ვარენის მიერ შეძენილ ორვილეს ფერმის მეზობლად, სანაპიროზე მცხოვრებ ხალხს არ უყვარდა ნაციონალური კონვენტის ყოფილი თავმჯდომარე, რის გამოც ერთხანს ბიოს უეცარი სულიერი დებრესიაც კი დასჩემდა. კოლონიის მცხოვრებლები ჩუმი ნიშნისმოგებით უგზავნიდნენ პარიზულ გაზეთებს, სადაც დროდადრო ზიზღითა და სიძულვილით იხსენიებდნენ მის სახელს. ამ დროს ბიო-ვარენი თავს ვეღარ იმორჩილებდა და იწყებდა ყვირილს, რომ იგი მსხვერპლი შეიქნა საშინელი ცილისწამების, რომ ქვეყნად არავის შეეძლო ისტორიაში მისი როლის დაფასება და არავინ თანაუგრძნობდა მის ტანჯვას. ბიოს ცრემლებისა და სასოწარკვეთის შემხედვარე ბრიგიტა მუდამ ერთსა და იგივე ფრაზას წარმოთქვამდა: „ნუთუ შენ, ჩემო მბრძანებელო, ამდენი ხიფათის გადამლაზველი, ყურადღებას აქცევ, რას წერენ ეს გარეწრები“. ამ სიტყვებით უმაღლამშვიდებულ ბიოს სახეზე ღიმილი ეფინებოდა და მადლიერების ნიშნად ცოლს უფლებას აძლევდა თავის ნებაზე ემართა ფერმა; მოსამსახურეებთან ქალს ქედმადლურად ეჭირა თავი, დღიურ მუშას მკაცრად ექცეოდა, ყველაფერს ამჩნევდა,



ყველაფერში ერეოდა, ყველაფერზე ზრუნავდა — ერთი სიტყვით, თავი ისე ეჭირა, როგორც მამულის მფლობელს და კარგა მარჯვედაც განაგებდა შემოსავალს... სოფიას ბრიგიტა სამზარეულოში დახვდა, მსახურებს სადილის მოსამზადებლად აჩქარებდა, თან როგორც საკუთარ სახლში, ისე იძლეოდა განკარგულებას. ახალგაზრდა ზანგს ყველაზე საუკეთესო კაბა ეცვა, რისი შოვნაც შეიძლებოდა კაიენაში, მაჯებზე ოქროს დასტანგები უბრწყინავდა, თითებზე — ფეფურუნული ბეჭდები.

— რა მშვენიერი ხარ, საყვარელო! — შესძახა ბრიგიტამ და თავი მიანება ვეება ჩაძჩით საწებლის გემოს გასინჯვას, — გასაგებია დღითიდღე ასე რატომაც გიჟდება ვიქტორი შენთვის.

სოფიას სახეზე მსუბუქი გრიმასა აუთამაშდა. არ ესიამოვნა ზანგი ქალის ფამილარობა; იგი მეტიმეტად ამკარად მიანიშნებდა, რომ სოფია საყვარელი იყო გავლენიანი კაცისა.

— რა გვაქვს დღეს სადილად? — იკითხა სოფიამ.

და თუმცა ყმაწვილი ქალი კარგად ეპყრობოდა ბრიგიტას, მის ხმაში უნებურად მაინც გაისმა თავის მზარეულთან მოსაუბრე დიასახლისის ინტონაცია... სასტუმრო ოთახში ვიქტორს უკვე მოესწრო ბიო-ვარენისთვის კონკორდატისა და კაიენაში იმ დღით მომხდარი ამბის მოყოლა.

— ესღა გვაკლდა! მალე სულ ერთიანად განავალში ჩავეფლობით, — ყვიროდა ბიო-ვარენი და თან ყოველ სიტყვაზე ინგლისურად ინკრუსტირებულ მაგიდას მუშტს უბრაზუნებდა.

## XLV

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, მოქუფრულ ცარგვალზე მობობოქრე ციკლონის მაცნე ზაფხულის მრისხანე ჭექა-ქუხილივით გადაუარა მთელ კარიბის ზღვის მხარეს საშინელმა ამბავმა, რის პასუხადაც ჩქარა გაისმა გოდება და აიგრაგნა ცეცხლის ენები. გამოქვეყნებული იქნა რესპუბლიკის მეათე წლის 30 ფლორეალის კანონი, იგი აუქმებდა რესპუბლიკის მეორე წლის 16 პლიუვიოზის დეკრეტს და საფრანგეთის ამერიკულ კოლონიებში მონობას აღადგენდა. მდიდარი პლანტატორები და მიწათმფლობელები თავდავიწყებით ზეიმობდნენ. ახალ ამბავს უცბად მოეწვლი ყველა ზომალდი, რომლებითაც საფრანგეთიდან ახალი კანონის ტექსტი მოჰქონდათ და პლანტატორთა ყურამდეც ელვისუსწრაფესად მიეღწია. მიწათმფლობელებს განსაკუთრებით ის ახარებდათ, რომ უბრუნდებოდნენ 1789 წლამდე არსებულ კოლონიურ სისტემას, რითაც ერთხელ და სამუდამოდ მოეღებოდა ბოლო მათთვის სამულველი რევოლუციის „ადამიანისმოყვარულ ბოდეებს“. გვადეღუპაზე, დომინიკასა და მარი-გალანტის კუნძულებზე ახალი ამბავი ბენგალიური მამხალების შუქზე, ქვემეხების სალუტით იქნა გამოცხადებული, ჯერ კიდევ გუშინ ათასობით „თავისუფალი მოქალაქე“ ჯოხებითა და შოლტებით შერეკეს ბარაკებში. სადღა არ დაძრწოდნენ დვედგამობმული აფთარი ძაღლებით ძველი დროის „თეთრი უფროსები“ თავიანთი ყოფილი მონების საქებნელად: საბრალოებს ბორკილებს ადებდნენ და მეოვალყურეს უჩენდნენ. ადამიანებზე ამ მხეცური ნადირობის უნებურ მსხვერპლად გადაქცევის შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ ბევრმა გააზატებულმა ზანგმა, თავისუფლება ჯერ კიდევ მონარქიის დროს რომ მიეღო და ახლა საკუთარი დუქნები და მცირე მიწის ნაკვე-



თები ჰქონდა, ქონების გაყიდვა და პარიზში გამგზავრება გადაწყვიტა. მაგრამ განზრახულის შესრულება არავის ეწერა: 5 მესიღორს გამოცხადებული იქნა ახალი დეკრეტი, რომლითაც ფერადკანიანებს ეკრძალებოდათ საფრანგეთში ჩასვლა. ბონაპარტი ფიქრობდა, რომ ზანგები მეტროპოლიაში ისეთად საკმაოდ მეტნი იყვნენ, ისიც აშინებდა, რომ მათ ახალ მოზღვავეებს შეიძლება რამდენადმე შეემღვრია ევროპული სისხლი და ფრანგები უფრო შავგვრეულებს გამოეძვარიყვნენ, „როგორც ესპანელებს დაემართათ ძაღვების შემოსევიით“.

— ახლა ზანგები გაქცევას შეეცდებიან, — თქვა ვაჭრობის აგენტმა.

— არ მივცემთ სამაგისო დროს, — უპასუხა იუგმა.

და უმაღლესი განკარგულება მეორე დღისთვის საიდუმლო კრებაზე მოეწვიათ ახლომახლო მოლაშქრეებისაგან შედგენილი რაზმის ოფიცრები. იუგმა გადაწყვიტა, ვითარება აეწონ-დაეწონა და 30 ფლორენტის კანონი გამოექვეყნებინა მას შემდეგ, როცა მონობა სინამდვილეში უკვე აღდგენილი იქნებოდა... მოქმედების გეგმა შეიშუშავეს და პლანტატორებმა, მოუთმენლობისაგან ხელეები რომ ექავებოდათ, მღელვარებით დაუწყეს ლოდინი შებინდებას. ქალაქის ჭიშკარი დაკეტეს, მეზობელი მამულები მეომრებმა დაიკავეს, საღაშოს რვა საათზე ზარბაზნის გასროლით მიცემულ ნიშანზე 16 პლიუვიოზის დეკრეტით გათავისუფლებული ყველა ზანგი ჯარისკაცებმა და ყოფილმა პატრონებმა ალყაში მოიმწყვდიეს და ტყვეებით წაასხეს მდინარე მაურის დაცემულ ველზე, სადაც შუალამისთვის უკვე რამდენიმე ასეული ზანგი აღმოჩნდა: ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილნი შიშისაგან აცახცახებულები და დაბნეულები ვერ მიმხვდარიყვნენ რა ხდებოდა, აქ რატომ შეყარეს. ყველას, ვინც კი განიზრახაუდა შეშინებული და ოფლში გაწუნული ჯგუფიდან მოშორებას, პანლურითა და კონდახის ცემით აბრუნებდნენ უკან. ბოლოს გამოჩნდა ვიქტორ ფუგი, ყველას კარგად რომ დაენახა, საკონსულოს აგენტი კასრზე ავიდა, მაშხალების სინათლეზე ხელა გაშალა ახალი კანონის ეტრათი და დინჯად და საზეიმოდ დაიწყო კითხვა: ისინი, ვინც ახლოს იდგნენ და უკეთ ესმოდათ, იუგის სიტყვებს უმაღლესი თავიანთ ენაზე თარგმნიდნენ და გადასცემდნენ, ასე რომ, ბოლო რიგებამდეც დაუყოვნებლივ მიაღწია საშინელმა ამბავმა. შემდეგ ზანგებს გამოუცხადეს: ვინც არ დაემორჩილებოდა ყოფილ პატრონებს, უმკაცრესად დაისჯებოდა. მეორე დღეს შემამულები დაიბრუნებდნენ თავიანთ უფლებებს და კუთვნილ მონებს ან თავიანთ მამულებსა და პლანტაციებში გაგზავნიდნენ ან მსახურებად დაიტოვებდნენ. ის ზანგები, ვისაც პატრონები არ წაიყვანდნენ, აუქციონზე გაიყიდებოდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დოლების გამყარებული ბრახაბრუსით დატოვეს იქაურობა, ველი კი ხმაშალაღმა მოთქმამ, სასოწარკვეთამ და უნუგეშობამ მოიცვა, — მთელი ბრბო ქვითინებდა, და ზანგების ეს მწუხარე გოდება დავარდნილი პირუტყვის სულისშემძვრელ ბლავილსა ჰგავდა... ამასობაში, ღამის სიბნელეში აქა-იქ ღანდებმაც დაიწყეს ხოხვა და ბორიალი. — ხალხი რაყსა და ტროპიკულ ტყეში ეძებდა თავშესაფარს. პირველ ალყას გადარჩენილნი უდაბურ ტყეში მიმალვას ცდილობდნენ, ზანგები იტაცებდნენ პიროვნებს, ნავეებს და მდინარეს აღმა მიუყვებოდნენ, — ნახევრად შიშვლებს და უიარაღოებს მტკიცედ გადაეწყვიტათ, დაბრუნებოდნენ თეთრებისათვის მიუღწეველ ადგილებში ადრემოსახლე წინაპართა ცხოვრებას. ქალაქიდან მოშორებით მყოფ მამულებთან ფეხით ან ცურვით ახლოს ჩავლი-



სას თანამოძმეთ ატყობინებდნენ საშინელ ამბავს და კვლავ ათეულობით ზანგი ტოვებდა სამუშაოს; ტოვებდნენ ინდიგოსა და მიხაკის პლანტაციებს და ამრავლებდნენ გაქცეულთა რიგებს. ასეულობით ზანგი, ქალებისა და ბავშვების თანხლებით იკარგებოდნენ დაბურულ, გაუვალ ტყეში და ეძებდნენ, სად შეიძლებოდა აეშენებინათ მიუვალ მესერშემორტყმული სოფელი. გზადაგზა წყლებსა და ნაკადულებში მზიურას თესლსა ჰყრიდნენ, რათა მზის სხივების თევზი და გახრწნილ თევზს წყალი მოეწამლა. მარტო ამ დღისების მეორე მხარეს რომ გადასულიყვნენ და ჩანჩქერთამფრქვეველი მთა გადაელახათ, განაახლებდნენ აფრიკას; გაიხსენებდნენ მივიწყებულ ენას, მიუბრუნდებოდნენ შეწყვეტილ ჩვეულებებს და კვლავ თაყვანს სცემდნენ თავიანთ ძველ ღმერთებს, ქრისტიანების ღმერთზე გაცილებით უფრო აღრინდელთ... ბარდება გაუვალ კედლად იკვრებოდა ზანგების ზურგს უკან, ვინც თავიანთი ისტორიის სათავეებისკენ მიდიოდნენ იმ დროის ასაღორძინებლად, როდესაც სამყაროს დიდკერტებიანი და ვეებაშუცლიანი სიყვარულისა და ნაყოფიერებას ღმერთი განაგებდა, მას თაყვანს სცემდნენ ღრმა გამოქვაბულებებში, სადაც კედლებზე ადამიანის გაუბედავ ხელს პირველად დაეჩხაპნა ნადირობის ამსახველი სურათები და მნათობთა სადიდებელი დღესასწაულები... კაიენაში, სინამარში, კურუში, რიაპოკისა და მარინის სანაპიროზე ყველა შიშს მოეცვა. დაუმორჩილებელსა და ამბოხებულ ზანგებს ხასიკვდილოდ სცემდნენ, სიკვდილით სჯიდნენ, ხელ-ფეხს ჰკვეთდნენ, უსასტიკესად აწამებდნენ. ბევრს ქალაქის სასაფლაოზე ნეკნებით ჰკიდებდნენ კაუჭებზე. მთელ ამ მხარეს მოსდებოდა ადამიანზე შეუბრალებელი ნადირობა, მსროლელებს თავი მოჰქონდათ მიზანში სროლით, ცეცხლში ინთქმებოდა ქოხმახები და დამუშავებული მინდვრები. და იმ ადგილას, სადაც ჩამწკრივებული ჯვრები აქ გადმოსახლებულთა საფლაკებს მიანიშნებდა, ახლა ხანძართა შუქზე იხატებოდა სახრჩობელათა საზარელი კონტურები, ანდა — მით უფრო უარესი — ხშირფოთლოვან ხეთა კონტურები: მათი ტოტები გვამებით იყო დახუნძლული, გვამებს კი მხრებზე გაუძაძღარი სვაკები ჩამოსხდომოდნენ. გვიანა უკვე მერამდენედ ამართლებდა თავის მეტსახელს — „დაწყველილი მიწა“.

სოფიამ პარასკევსდა შეიტყო ორშაბათს მომხდარი ამბავი. ყმაწვილ ქალს თავზარი დაეცა. მთელი იმედები, რასაც ამ ახალი ედევით დაწინაურებულ ბასტიონზე ამყარებდა, საშინელი გულგატეხილობით შესცულოდა. ფიქრობდა, სარგებლობას მოიტანდა მამაცი, სამართლიანი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანთა გვერდით ცხოვრებით, რომელთაც დავიწყებოდათ ღმერთზე ფიქრი, რადგან არ საჭიროებდნენ ზეციურ მოკავშირეს და გრძნობდნენ, ძალა მოსდევდათ, თვითონვე ემართათ სამყარო, თავიანთი სამყარო; იგი იმედოვნებდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა ტიტანთა მუშაობაში და მოყვასის მოსალოდნელი სისხლის დაღვრაც კი აფრთხობდა: ამის სანაცვლოდ მის თვალწინ აღორძინებას იწყებდა ის, რაც უკვე განადგურებული ეგონა, რაც ეპოქის უდიდესი მწერლებისა და ფილოსოფოსების აზრით უსაბულოდ უნდა მოსობილიყო. ახლა, ტაძრების აღდგენის კვალდაკვალ, ყოფილი მონებისათვის ბორკილების დადება დაეწყათ, მაგრამ ადამიანები, რომელთაც ძალა შესწევდათ წინ აღსდგომოდნენ ამას და ჯერ კიდევ შეეძლოთ ამერიკის კონტინენტზე გადაერჩინათ ის, რაც ოკეანის მეორე მხარეს დაღუპულიყო, არცა



ცდილობდნენ თავიანთი ძველი იდეალების ერთგულებას. კაცს, რომელსაც გვადელუპადან ინგლისელები გაერეკა, რომელსაც უკან არ დაეხია საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოსალოდნელი ომის გამო, ახლა მორჩილად დაეხარა თავი 30 ფლორეალის საძაგელი კანონის წინაშე. რვა წლის წინათ მან უჩვეულო, თითქმის არაადამიანური უნარი გამოამჟღავნა მონობის გაუქმებისათვის ბრძოლაში, ახლა კი ისეთივე უნარით ვრდებოდა მას. ყმაწვილ ქალს ანცვიფრებდა ვაქტორის ბუნების წინააღმდეგობრიობა, რომელსაც ერთნაირი გულცივობით შეეძლო ეკეთებინა ბოროტებაც და სიკეთეც. თანაბრად შეეძლო ყოფილიყო ორმუხდიცა და ჰარიმანიც. ძალა შესწევდა ემართა სინათლის საუფლოცა და წყვდიადიც. ფეხებოდა დრო, მასთან ერთად ისიც ერთბაშად იცვლებოდა, დღეს უარყოფდა იმას, რასაც გუშინ თავგამოდებით ამტკიცებდა.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს მე ვიყო ამ კანონის ავტორი, — უთხრა ვიქტორმა სოფიას პირველი მკაცრი საყვედურის მოსმენაზე, და, ეგებ, სინდისის მცირეოდენ ქენჯნასაც განიცდიდა, რადგან მშვენივრად ახსოვდა, რომ განდიდებაში დიდად იყო დავალებული რესპუბლიკის 11 წლის 16 პლიუვიოზის დღესულოვანი დეკრუტისაგან.

— შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ყველანი უარს ამბობთ რევოლუციის საქმის გაგრძელებაზე. — მოუჭრა სოფიამ, — მაგრამ ხომ იყო დრო, როცა ამტკიცებდით, რევოლუციის ცეცხლს ამერიკას მიწაზეც გადმოვიტანთო.

— ეტყობა, იმ ხანებში ჯერ კიდევ მოლიანად ბრისოს იდეებით ვიყავი შთაგონებული; იმას ეწადა რევოლუციის ცეცხლის ყველგან გაღვივება. მაგრამ თუკი მან, უდიდესი შესაძლებლობის ადამიანმა ესპანეთის დარწმუნებაც კი ვერ მოახერხა რევოლუციის აუცილებლობაში, მე, მით უმეტეს, არ ვაპირებ ლიმასა და ახალ გრანადაში ამბოხების მოწყობას. იმან, ვისაც ახლა ყველა ჩვენგანის სახელით შეუძლია ილაპარაკოს, — და მან თავის საწერ მაგიდაზე იმხანად დადგმულ ბონაპარტეს სურათზე მიუთითა, — კარგად თქვა: „ჩვენ უკვე მოვრჩით რევოლუციაზე რომანებს; დროა უკვე მისი ისტორია დავიწყოთ და რევოლუციის პრინციპები მივიღოთ მხოლოდ იქ, სადაც შესაძლებელი და სამჯობინოა“.

— ფრიად სამწუხაროა, რომ ეს ისტორია მონობის განახლებით იწყება, — შენიშნა სოფიამ.

— ამას თვითონვე ვწუხვარ, მაგრამ მე, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსი ვარ და თუკი მონობის აღდგენა პოლიტიკური აუცილებლობით იქნება გამოწვეული, ქედის მოხრა მმართველს მის წინაშე...

მათ შორის კამათი კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდა, ყმაწვილი ქალი ბოლომდე იცავდა იდეებს, აღშფოთებას, მოუთმენლობასა და სინანულს გამოთქვამდა თავის დროზე რევოლუციის შემოქმედ ადამიანთა ღირსების შემლახველ გამუდმებულ დამთმობლობასა და შემთანხმებლობაზე, ასე გაგრძელდა კვირა-მდე. სანამ სიგერი არ ჩამოვიდა და არ შეწყვიტა მათი ღვარძლიანი საუბარი.

— დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! — შესძახა შვეიცარიელმა კარის ზღურბლიდან გახეთის გამყიდველივით.

და ეაჭრობის აგენტმა ნელ-ნელა დაიწყო თბილი პალტოს, უფრო სწორად, ოფლისაგან ერთიანად გაზინთული, ჩრჩილისაგან საყელოდაჭმული ბეწვის ქურთუკის გახდა, რომელსაც წვიმის დროს იცვამდა ხოლმე, — იმ სამ დღეს



კი კოკისპირულად წვიმდა, წყლის ნაკადები მოედინებოდა ზეგნებიდან ან, იქნებ, იმ შორეული, მწვერვალებიდან, საიდანაც სათავეს იღებენ უდიდესი მდინარეები, სადაც ჭიუხები ღრუბლებს სწვდებიან, სადაც ადამიანს ჯერაც არ დაუბიჯებია ფეხი.

— დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! — გაიმეორა და თან ვეება, თითქოსდა ღორის ქადის ფოთლებისაგან ნაკეთებ მწვანე ქოლგას კაცავდებოდა. რენი მონებს ყიდულობს. მან უკვე შეიძინა კატონი, ფანფარონი, ჭეშმარიტად კოლა, ჟოზეფი, ლინდორი, სამ შინამოსამსახურეს თუ არ მივათვლით. წარმატებას ვაღწევთ, ბატონებო, ჭეშმარიტად, წარმატებას ვაღწევთ. რაღა თქმა უნდა, კონვენტის ყოფილი თავმჯდომარე საბუთებსაც საკმაოდ მოიძარჯვებდა: „საკვებით დავრწმუნდი, — განაგრძო სიგერმა ბიოს მალარფარდოვანი კილოს წაბადვით, — რომ ზანგები უამრავი მანკით იბადებიან, მოკლებულნი არიან ჭეშმარიტ გონიერებასა თუ გრძნობას და მხოლოდ მაშინ არიან დამჯერნი, როცა ეშინიათ“.

შვეიცარიელმა გადაიხარხარა, რაკი დარწმუნებული იყო, გონებასახვილურად გაამასხრა ოდესღაც ხალხის რისხვად ქცეული ადამიანის თავის მართლების მანერა.

— კმარა, — შეაწყვეტინა აშკარად გულმოსულმა ექტორმა და რაღაც გეგმა მოსთხოვა; იმანაც უმალ დაადრო ღორის ტყავის პორტფელიდან...

სულ მალე, როგორც ჩანს, ამ გეგმის მიხედვით, იუგის მამულში დიდა სამუშაოები დაიწყო. მორეკეს ასობით ზანგი და ისინიც, შოლტის ქვეშ, შეუდგნენ ვეება ტროპიკული ტყის სიგრძეზე ტყისთვის წართმეული მიწის ხვნას, თხრას თუ გაფხვიერებას. ზოგნი თხრილს თხრიდნენ და აგებდნენ მიწაყრილს, ტყის გაყოლებით ნოყიერ მიწაზე იქცეოდა ასწლოვანი ხეები, რომელთა ვარჯებს აუარებელი მაიმუნი, ქვეწარმავალი და მწერი ესია, იმდენი, რამდენსაც სიმბოლურ ხეზე გამოსახავენ ალქიმიკოსები. წაქცეული გიგანტები ბოლავდნენ, მათ შიგნეულობას ცეცხლი ნთქავდა, თუმცა ალაგ-ალაგ ცეცხლი ქერქს მაინც ვერას აკლებდა; ხარები ხალხით მოფუთფუთე ამ ბრძოლის ველიდან ნელა მიიზღაზნებოდნენ ის-ისაა გამართული სამხერხაოსკენ: მიათრევდნენ ჯერ კიდევ ფისით და ხის წვენით გაჟღენთილ, გასხეპვისას აქა-იქ მწვანე რტოებშერჩენილ ვეება ძროებს. უზარმაზარი ჯირკვები ფესვებით ჩასჭიდებოდნენ ჩიადაგს და მაშინაც კი, ცუდით შუაზე რომ იხლიჩებოდნენ, დატოტვილი საცეცებით მაინც ცდილობდნენ რაღაცაზე ჩაბლაუჭებას. ყველგან ცეცხლის ენები მოჩანდა, ყოველი მხრიდან აღწევდა რაკუნი, ისმოდა გამამხნევებელი შედახილები და ლანძღვა-გინება; ცხენები გაჭირვებით მიათრევდნენ ძირს დაცემულ ხეებსა და კებრაჩოს მძიმე ძროს ადგილზე მიტანის მერე, უკან გაოფლილები ბრუნდებოდნენ, ფერდები ულაპლაპებდათ, ლაშებზე ქაფი მოსდებოდათ, აღკაზმულობა გვერდზე მოჰქცეოდათ, ნესტოებით კი ლამის ფლოქვებით გადათხრილ მიწას ეხებოდნენ, საკმარისი სამშენებლო მასალის დაგროვების შემდეგ ხარაჩოების აყვანა დაიწყეს: მორებზე, გათლილ ბოძებზე აღიმართა ხიდები და ვერანდები, ჯერ კიდევ გამოუცნობი შენობის რაღაც ნაწილები. ერთ მშვენიერ დილას გამოჩნდა უცნაური, მრგვალი გაღერვის ჩონჩხი, მასში შეიცნობდით მომავალ რიტონდას. ზეცისკენ ისწრაფვოდა კოშკი, რომლის დანიშნულების გაგება ჯერჯერობით ძნელი იყო, რადგან კოჭებითა და ნივნივებით ეშმაკურად დაფარული მისი კონტურები ძლივძლივობით ილანდებო-



და. ცოტა მოშორებით ღუმფარებს შორის წელამდე წყალში მღვარი ზანგებ• მდინარის ფსკერზე ქვებს აწყობდნენ, რასაც მოძავალში გემმისადგომის ბალა- ვრობა უნდა გაეწია. ზანგები ტკივილისაგან გულისგამგმირავად ყვიროდნენ, ფეხში სკაროსის დინგი რომ შეერჭმებოდათ ანდა საზარდულში მურენები კბილებს რომ ჩაასობდნენ და ყბებს ხაფანგივით მოუჭერდნენ; ხანაც ელექტ- რული სკაროსის დატაკებისგან ცას შეკლმოოდნენ საბრაფრინდნშამქვალი გა- ლავნისათვის, საპარადო კიბეებისთვის, აკვედუკისა და ბმალუდქმისისთვის პეო- ნები ქვებს უახლოეს ქვის სამტეხლოში თლიდნენ. ხელები დასისხლიანებო- დათ, ათიოდე დარტყმის შემდეგ საჭრისებს და ღოჯოებს პირები ემტვრეო- დათ, უნლუნგდებოდათ და იმათაც წარამარა სამჭედლოში მიჰქონდათ. საითაც გაიხედავდი, ფიცრები და კავები, კოჭები და ძელები ეყარა, იდგა ჯალამბ- რები, მიწა რკინის ურდულეებით და სახელურებით იყო მოფენილი. ვერსაით გაექცეოდი მტვერს, კირს, ნახერხს, სილას თუ ხრემს. სოფია ვერ მიმხვდარიყო, რატომ წამოეწყო ვიქტორს მთელი ეს სამშენებლო სამუშაო, მით უმეტეს, ჩანაფიქრს წარამარა ცვლიდა და უარყოფდა ჯიბეებიდან ამოჩრილ, გრავნი- ლებად დახვეულ ნახაზებს.

— მე დავჯაბნი აქაურ ბუნებას, ავაგებ ქანდაკებებსა და სვეტებს, გავიყ- ვან გზებს, დავტბორავ მიწას და კალმახს მოვაშენებ, — ამბობდა იგი.

ყმაწვილი ქალი წუხდა, ამდენ ძალასა და ენერგიას რომ ხარჯავდა ვი- ქტორი, ამოდ ცდილობდა ამაზონის სათავეებამდე და, შესაძლოა, იმის იქი- თაც — წყნარი ოკეანის ნაპირებამდე — გადაჭიმული ამ ტროპიკული ტყის შუაგულში სამეფო პარკის დარ რაღაცის შექმნას. ამასთან, ავიწყდებოდა — საკმარისი იყო მცირე ყურმიუგდებლობა, რომ ქანდაკებებისა და როტონდის- თვისაც ტყეს გადაეკლო, მშენებლობას ბარდი მოსდებოდა, მცენარეულობას ქვები შუაზე დაეპო, კედლები დაერღვია, ძეგლები დაეფშვნა და ყველაფერი გაენადგურებინა. ადამიანი ცდილობდა თავისი საცოდავი არსებობა გაეცხადე- ბინა ოკეანიდან ოკეანემდე გადაჭიმულ ამ მწვანე სივრცეში, თანაც თითქოს მა- რადიულის განახლებას ემსახურებოდა!

— მე რამდენიმე კვალი ბოლოკი გაცილებით მეტ სიამოვნებას მომანი- ჭებდა, — ეუბნებოდა სოფია ახლად მოვლენილ მშენებელს გასაგულისებლად.

— „ნაცნობი სიტყვებია „სოფლის ჯადოქრიდან“, — პასუხობდა ნახაზებში თავჩარგული ვიქტორი.

## XLVI

სამშენებლო სამუშაოები გრძელდებოდა, ჰაერში მტვრის ბული იდგა. წე- რაქვის რაკუნით, ხერხის ღრჭიალით, ჯალამბარის ჭრაჭუნით, ხის ჩაქუნების რახუნით, ყოველი მხრიდან მომდინარე ხმაურით დაღლილი სოფია შინიდან გარეთ თითქმის აღარ გამოდიოდა. ბოლოს სახლზე შტორებიც გამოიჩნდა, ეს არ იკმარა და ყველა ფანჯარას შალი ჩამოაფარა, თითოეულ ღრიჭოს თეჯირი მიადგა და თავს ისე გრძნობდა, როგორც ციხე-კოშკში, რადგან მამული ჩა- ფრებითა და გუშაგებით იყო სავსე — რომლებიც სხვადასხვა ენაზე მოლაპარა- კე ზანგების ბრბოს ყარაულობდნენ. მოძრავ კიბეზე მოკალათებული, ხალიჩა- ზე გაწოლილი თუ წითელი ხის გრილ მაგიდასთან მიმჯდარი ყმაწვილი ქა- ლი სულმოუთქმელად კითხულობდა საოჯახო ბიბლიოთეკის წიგნებს; გვერდ-



ზე აწყობდა მისთვის არაფრისმოქმედ აღგებრისა და გეომეტრიის სამეცნიერო ტრაქტატებს, აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერების ალეგორიულად გამოძახველ გრაფიურებსა და ესტამპებს: თითოეული მათგანის ფიგურა ზურგით ვერდნობოდა რომელიმე ასოს: „ა“-ს ან „ბ“-ს და ერწყმოდა ნახაზს, რომელიც მნათობთა მოძრაობისა თუ უჩვეულო ელექტრული მოვლენის ამხსნელი თეორემას მტკიცების საფუძველს წარმოადგენდა. აი, რატომ ემადლიერებოდა სწორედ ფია ახალგაზრდა ოფიცერს, დე სენტ-აფრიკს, პარიზის ცნობილ წიგნით მოვაჭრე ბიუიონისგან ხშირად რომ იწერდა მისთვის ახალ წიგნებს. თუმცა საფრანგეთიდან იმ დღეებში არაფერი განსაკუთრებულად საინტერესო არ შემოდიოდა, თუკი არ ჩავთვლით კამჩატკაზე, ფილიპინების კუნძულებზე, ნორვეგიის ფიორდებში; მექაში მოგზაურობის შედეგად დაწერილ ზოგიერთ წიგნს და გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და ხომალდთა დაღუპვაზე შექმნილ მოთხრობებს; ასეთი ნაწარმოებების წარმატება, შესაძლოა, იმითაც აიხსნებოდა, რომ ყველას დიდი ხანია უკვე გული აცრუებოდა იმ ავტორთა თხზულებებზე, რომლებიც ვიდაცას ეკამათებოდნენ. ხალხს მობეზრებოდა ობუსები, სადაც პოლიტიკური მოღვაწეები ან თავს იცავდნენ, ანდა საკუთარ თავს დითირამბებსაც კი უმღეროდნენ. მობეზრებოდათ ყოველგვარი მემუარები, ამა თუ იმ მოვლენის „მართალი“ ისტორია, — ერთი სიტყვით, ბოლო ხანებში საოცარი სიუხვით მოზღვავებული ნაწარმოებები. ყმაწვილ ქალს არ აინტერესებდა არავითარი კოლონები, ხელოვნურ მდინარეზე გადებული რკალოვანი ხიდები თუ სახლის ირგვლივ უკვე წამომართული ლედუს<sup>1</sup> მანერით აგებული, გარემომცველი პეიზაჟისთვის სრულიად შეუფერებელი პატარა ტაძრები — ველური და ტანაყრილი მცენარეულობა არ ეხამებოდა მკაცრ პროპორციებსა და ხაზებს დამორჩილებულ არქიტექტურულ ნაგებობას; ამიტომაც სოფია სიამოვნებით ტოვებდა რეალურ სამყაროს და ფიქრით კაპიტან კუკისა და ლაპერუზის ხომალდებით დაცურავდა, თუკი ამ დროს სათათრეთის უდაბურ სტეპში ლორდ მაკარტნის კვალს არ იყო ადევნებული. კითხვისათვის მეტად ხელსაყრელი წვიმების სეზონი გასრულდა, კვლავ დადგა ხანა, როდესაც ასე დიდებულია იღუპალებით მოცულ შორეულ ხელვაზე ჩამოწოლილი ბინდი. მაგრამ ეს ბინდი ახლა ყმაწვილ ქალს უსაშველოდ სულისშემზუთველი ეჩვენებოდა. ყოველი ბინდი ხომ უმიზნოდ და უაზროდ გატარებული დღის სანაცვლოდ დგებოდა! დე სენტ-აფრიკი ქალს უყვებოდა: იმ გაუვალ ტყის შუაგულში საოცარი მთებია აღმართული, მათი კალთებიდან კი თავგამოდებით მოექანებიან ჩანჩქერებით, მაგრამ სოფიამ იცოდა, რომ არ არსებობდა იქ მისასვლელი გზა, ამასთან, დაბურული ტყე პირველყოფილი ცხოვრების წესს მიბრუნებული გაბოროტებული ხალხით იყო სავსე და მარჯვედ ნასროლი ისრით უმაღლ განკმირავდნენ ტყეში შესვლის მოწადინე ყველა სულიერს. მას მოსწყურებოდა საქმიანი, სასარგებლო, სისხლჭარბი ცხოვრება, ამ სწრაფვას მოეყვანა იგი ხეების გარემოცვაში ჩაკეტილ არსებობამდე და გაეწირა დედამიწის უკიდურეს კუთხეში, ღმერთებისგან მივიწყებულ უღრან ტყეში უმიზნო სიცოცხლისთვის. ირგვლივ ყველა მარტო საქმეებზე ლაპარაკობდა. ახალი ეპოქა მძაფრად, დაუნდობლად და ძლევამოსილებით შეჭრილიყო ლამის ჯერ ისევ ესპანეთის ვიცე-მეფეებისა და მეფისნაცვლებისდროინდელ ამერიკაში და თითქოსდა წინ უბიძგებდა მას; ახლა იმათ, ვინც თავის დროზე არ უმიზნებოდნენ გარდუვალ სისხლისღვრას, ვინც ჯიუტად და დაჟინებით ამკვიდრებდნენ მას, გეგონება, და-



ვიწყებოდათ მთელი თავიანთი დიდებული წარსული და საანგარიშო დაკორექტირებაში თავწარგულები იხდნენ. ბრწყინვალე კოკარდები გადაეყარათ, ადრინდელი ღირსება დაეკარგათ და თავიანთ გაბედულსა და დიდ ჩანაფიქრზე ხელაღებულებს წვრილმანი თამაში წამოეწყოთ. ზოგიერთის თქმით, უახლოესი წარსული დაუშვებელი ექსცესებით იყო აღბეჭდილი, მაგრამ სწორედ მსგავსმა ექსცესებმა შემოინახეს ისტორიის ფურცლებზე იმათი ხსენება, ვისაც სახელებიც უკვე მეტისმეტად ბრწყინვალე ჩანდა იმ უბადრუკი ტროლსავე, რომლის თამაშსაც ახლა შესდგომოდნენ. როდესაც სოფიამ ყური მოჰკრა, ყოველდღეა მოსალოდნელი გვიანაზე ჰოლანდიის ან ინგლისის თავდასხმას, სურდა, ეს რაც შეიძლება ჩქარა მომხდარიყო: ეგებ მკაცრმა გამოცდამ მთვლემარე მდგომარეობიდან გამოიყვანოს მოყირჭებული ადამიანები და დააეიწყოს სავაჭრო გარიგებები, უხვი მოსავალი და მოგებაო! ცხოვრება სხვა ქვეყნებში გრძელდებოდა, წინ ახალი გზებით მიიწევდა, ზოგ რამეს უარყოფდა, ზოგს შარავანდედით მოსავდა, იცვლებოდა გემოვნება, ჩაცმულობა და ზნე-ჩვეულებანი, ძოლიანად ცხოვრების წილი. აქ კი ყველა ისე ცხოვრობდა, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ, შეიძლება გეფიქრათ, ქვეყნად არაფერი არ შეცვლილიყო — მდიდარი პლანტატორების ტანსაცმელიც კი ასე წლის წინანდელ ჩაცმულობას ჰგავდა. სოფიას ხელახლა დაუფლებოდა თავის დროზე უკვე განცდილი მტანჯველი გრძნობა — კვლავ ეჩვენებოდა, თითქოს დრო ერთ ადგილზე შეჩერებულიყო, დღევანდელი დღე ტყუპისცალივით ჰგავდა გუშინდელსა თუ ხვალინდელ დღეებს.

ზაფხული მიიღია, პაპანაქებას იგი დინჯად, ზანტად და აუჩქარებლად ეთხოვებოდა, სანამ ძალას მოიკრებდა შემოდგომა, რომელიც, უეჭველია, კვლავაც დაემსგავსებოდა გასულსა თუ მომავალ შემოდგომებს, მაგრამ ერთხელ, სამშაბათ დღეს, ზანგების სამუშაოზე მომხმობი ზარების რეკვას ისეთმა მღუმარებამ უპასუხა, რომ შოლტმომარჯვებული ჩაფრები ხის ბარაკებისკენ გაექანენ. ბარაკებში არავინ დახვდათ. მოწამლული საყარაულო ძაღლები უსუსლოდ ეყარნენ ამონარწყვეის გუბეებში, მუცლებდაბერილი და ნესტოებიდან სისხლმომდინარე ცხენები საჯინიბოების ბაგაში თავწარგულები ჩაკეცილიყვნენ. გომებიდან გამორეკილი ძროხები მთვრალეებივით ქანაობდნენ, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კი სილაში ბრაგვანით ეცემოდნენ. მალე გამოჩნდნენ მეზობელი მამულის მფლობელები — იქაც ზუსტად ასეთივე ამბავი მომხდარიყო. მონებს ფრთხილად, სრულიად უხმაუროდ მოეხსნათ ბარაკებს შუა კედლები და ტიხრები, გუმაგთა ყურადღების გასაფანტად რამდენიმე ადგილას ხანძარი გაეჩინათ და ღამ-ღამობით გათხრილი ხვრელით ტროპიკული ტყისთვის მიეცათ თავი. უცებ სოფიას გაახსენდა, რომ წინა ღამეს ულრანი ტყიდან დოღების ცემის შორეული ხმა მოესმა. მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ყველას ეგონა, ინდიელები ასრულებდნენ რაღაც ბარბაროსულ წეს-ჩვეულებას. ვიქტორ იუგი კაიენაში იმყოფებოდა და სასწრაფოდ აფრინეს მაცნე. ყოველ შებინდებისას შიშისა და განგაშის მოლოდინში მყოფი თეთრკანიანთა დასახლების განსაცვიფრებლად მთელმა კვირამ გაიარა, საკონსულოს აგენტისა კი არაფერი იხმოდა. მაგრამ, აი, ერთხელ საღამო ხანს მდინარეზე გამოჩნდა კანჯოთა უცნაური ფლოტილია, ჯარისკაცებით, იარაღით და სურსათით დატვირთული მსუბუქაფრებიანი ნაუბი და მცირე წყალშიდი გემები. ვიქტორი პირდაპირ სახლისკენ გაეშურა და თავისთან იხმო ყველა, ვისაც რა-



იმის თქმა შეეძლო ახლახან მომხდარ ამბავზე; თან ამბავს ისმენდა, რადგან იწერდა, თანაც ყველაფერს რამდენიმე რუკაზე ამოწმებდა. მერე იუგმა ოფიცრები შეჰყარა, თავისებური სამხედრო საბჭო მოიწვია და განაცხადა, გამაგრებული სოფლის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია უნდა გაგზავნოთ და უღრან ტყეში მიმოფანტული ყველა ზანგი უსასტიკესად დავსაჯოთ. ოთახის ზღურბლზე მდგარი სოფია მიშტერებოდა ამ კაცს, რომელიც ახლაც ესევე მტკიცედ და შეუვალად ლაპარაკობდა, როგორც ოდესღაც: იძლეოდა ნათელ განკარგულებას, კარგად იცოდა, რაცა სწადდა, ერთი სიტყვით, კვლავ ქცეულიყო გარდასული წლების მხედართმთავრად. მაგრამ ახლა ამ მხედართმთავარს მთელი თავისი ნებისყოფა და ძველებური სიმამაცე სურდა მკაცრი და საძაგელი საქმის განსახორციელებლად გამოეყენებინა. ყმაწვილმა ქალმა გულისწყრომით გაჰხედა და ბაღში გავიდა, სადაც ჯარისკაცები პირდაპირ ღია ციქვეშ შესდგომოდნენ კარვების გაშლას, ბარაკებში შესვლაზე უარი განეცხადებინათ, შიგ ზანგების სუნი ტრიალებსო. ეს ჯარისკაცები სავსებით განსხვავდებოდნენ ადრე ამ ადგილებში სოფიას მიერ ნახული დონდლო და მოუქნელი ელზასელებისგან. მზემოკიდებული სახეები ნაჭრილობევეებით ჰქონდათ დასერილი, ტრაბახითა და ხმამალლა ლაპარაკობდნენ, ქალებს ღამის თვალებით აშიშვლებდნენ — ერთი სიტყვით, სავსებით პასუხობდნენ ომის იმ ახლებურ ხასიათს, რომელიც მისთვის ნიშანდობლივი სითავხედის მიუხედავად თავისებურად მაინც მოსწონდა სოფიას, რადგან ვაჟკაცობა და საკუთარ თავში დარწმუნება ახასიათებდა — ახალგაზრდა ოფიცერი დე სენტ-აფრიკი შეშფოთდა ჯარისკაცების წრეში სოფიას დანახვაზე და უმაღლეს მასთან გაჩნდა, რათა ვინიცობაა რაიმე მომხდარიყო, საფრთხისგან დაეცვა; ყმაწვილმა ქალმა მისგან გაიგო, რომ შავი ჭირის ეპიდემიას გადარჩენილი ნაპოლეონის მეომრები ეზვივნენ გარს, ისინი აქ იაფეში ეგვიპტის კამპანიის დამთავრების შემდეგ გამოეგზავნათ, თუმცა გადატანილი მძიმე განსაცდელის შემდეგ ჯერ წესიერად სული არც მოეთქვათ: საქმე ის იყო, რომ ესენი გვიანას პავისთვის უფრო შესაფერისად მიეჩნიათ, ვიდრე ელზასელები, რომლებიც აქ ბუზებივით იხოცებოდნენ, და ახლა სოფია განცვიფრებული შესცქეროდა ამ თითქოსდა ლეგენდებიდან მოსულ ჯარისკაცებს — მათ ხომ იეროგლიფებით აჭრელებულ აკლდამებში სძინებოდათ, დრო ეტარებინათ კოპტელ თუ მარიონეტელ მეძავებთან, ტრაბახობდნენ, ყურანი ვიცითო, და მოურიდებლად დასცინოდნენ ფრინველის და ტურისტავიან ღმერთებს, ვისი ძველებიც აღემართათ სვეტებიან ტაძრებში. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან — აბუკირიდან, აკრადან, თაბორის მთიდან მოსულ ამ ხიფათიან ხალხს სოფია მონაცვლეობით ეკითხებოდა, რა ენახათ ან რას ფიქრობდნენ ამ უჩვეულო საომარი ექსპედიციის დროს, რასაც ფრანგების არმია პირამიდებამდე მიეყვანა. სოფიას სურდა, გვერდით მისჯდომოდა ჯარისკაცებს, იმათთან ერთად ეჭამა მზარეულის მიერ ჯამებით ჩამორიგებული შეჭამადი, დოლის ტყავზე თვითონაც გაეგორებინა ზედ სეტყვასავით მორაკირუკე კამათლები და არაბული დამწერლობით დაფარული სალდათური მათარიდან დაეღია არაყი.

— თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, ქალბატონო, ესენი ყველანი უხეშები და შფოთისთავები არიან, — ეუბნებოდა ყმაწვილ ქალს დე სენტ-აფრიკი, რომელიც კარგა ხანია ეჭვით შეჰყრობილი ასრულებდა მისი ჩიჩისბეის<sup>2</sup> როლს. სოფია მაინც განაგრძობდა გმირობაზე მოყოლილი შელამაზებული ამბების



გულსყურით მოსმენას; ამკარად გრძნობდა, რომ ჯარისკაცებს ვნებიანად სურდათ იგი, ფიქრით აშიშვლებდნენ და ხელსაც ჰკიდებდნენ, შავ ჭირს სასწაულად გადარჩენილება ახლა თავიანთ გამბედაობას იმისთვის აღამაზებდნენ, რათა ქალს ხსოვნაში შერჩენოდა მათი ვაჟკაცური სახე, მაგრამ სოფიას ეს არათუ აღშფოთებდა, გულში კიდევ სიამოვნებდა...

— მარკიტანტობა? გადაწყვიტე? — გესლიანად ჰკითხავდა ვიქტორმა შინ მიბრუნებულ სოფიას.

— მარკიტანტები, ასე თუ ისე, რაღაცას მაინც აკეთებენ.

— რაღაცას აკეთებენ, რაღაცას აკეთებენ! ამოიჩემა ერთი და იგივე. თითქოსდა ადამიანს შეეძლოს იმაზე მეტის გაკეთება, რის ძალაც მოსდევს!..

ვიქტორი შინიდან გადიოდა, უკან ბრუნდებოდა, იძლეოდა ბრძანებებს, ხაზავდა მოქმედების გეგმებს, კარნახობდა ინსტრუქციებს, როგორ უნდა მიეწოდებინათ მდინარით სანოვაგე და საომარი იარაღი დამსჯელი ექსპედიციისათვის. სოფია მზად იყო აღფრთოვანება გამოეთქვა მისი დაუოკებელი ენერჯის გამო, მაგრამ უმალ გაახსენდა, რომ ამ სახლის ჭერქვეშ ზანგების დაუნდობელ გაულეტას იზრახავდნენ და უცაბედად მოწოლილი მრისხანების დასაფარავად თავის ოთახში შესული ცრემლად დაიღვარა. ბაღში ეგვიპტის არმიის ჯარისკაცებს გამხმარი ქოქოსისაგან გაკეთებული პატარა პირამიდებისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ და მოსკიტების გაფანტვას ცდილობდნენ. დაღამდა, სიჩუმეს ლაპარაკი, უხეში სიცილი და ფუსფუსი არღვევდა; განთიადი-სას კი ხმამაღლა გაისმა ბუკის ხმა. კანჯოების, იალქნიანი მცირე გემების და ნავეების ფლოტილია მორეეებისა და ჩქერების გვერდის აულით მდინარეს აღმაუყვია.

გავიდა თვენახევარი. ბოლო სამი დღე ზედიზედ გადაუღებლად წვიმდა. ერთ საღამოს წვიმის ხმაურიანი აკომპანიმენტით ნაპირს რამდენიმე ნაღვი მოადგა. ნავეებიდან დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილი, ამოთხვრილი და ციებ-ციხლებით აკანკალებული ჯარისკაცები გადმოვიდნენ; ბევრ მათგანს ხელი ჰქონდა შეხვეული, სისხლისა და ჭაობისაგან გაწაბლისფერებული სახვევები ყარდა. ზოგ-ზოგი ინდიელების ისრებისა და ზანგების დანებით ისე იყვნენ დასერილები, საკაცეებით მოჰყავდათ. ბოლოს ვიქტორი გადმოვიდა ციებისაგან აცახცახებული, მხრებში შემდვარ თავის ოფიცრებზე ჩამოკიდებული, ფეხებს ძლივს მოათრევდა. სახლში შესვლისთანავე სავარძელში უღონოდ ჩაეცა და საბნების დაფარება მოითხოვა; მაგრამ რამდენიმე შალის საბანსა და მოთელილ პლედში საგულდაგულოდ გახვევის შემდეგაც აკანკალებდა. სოფიამ შეამჩნია, რომ თვალები ჩაწითლებოდა და მოწირპლოდა, ნერწყვსაც ძლივს ყლაპავდა.

— არა, ეს ომი არ არის, — ამოთქვა ბოლოს ხრინწიანი ხმით, — ადამიანებთან შეიძლება იბრძოლო, ხეებთან კი არასდიდებით.

დუ სენტ-აფრიკს შავ-ყვითელი ლოყები ხშირი ჯაგრით დაფარვოდა, მან სულმოუთქმელად დაცალა სოფიას ბრძანებით მისთვის მოტანილი ერთი ბოთლი ღვინო და დაიწყო:

— სრული დამარცხება ვაგემეთ. გამაგრებულ სოფელში კაცის ჭაჭანება არ აღმოჩნდა. მაგრამ მაინც წამდაუწუმ ალყაში ვექცეოდით. ზანგები ხოცავდნენ ჩვენს ჯარისკაცებს და თვითონ უვნებლად ქრებოდნენ სადღაც. მდინარისკენ რომ დავიხიეთ და ნავეებში ჩასხდომა დავიწყეთ, ნაპირიდან ტყვიასავით დაგვა-



ყარეს ისრები! იძულებულნი გავხდით ჭაობსა და წელამდე წყალში გვევლო. ყველაფერთან ერთად ახლა ეგვიპტურმა ავადმყოფობამაც იფეთქა.

ახალგაზრდა ოფიცერმა აუხსნა სოფიას: იაფეში შავ ჭირს გადარჩენილმა ჯარისკაცებმა თან რაღაც გამოუცნობი ავადმყოფობა ჩამოიტანეს, ეპიდემიამ თითქმის ნახევარი ევროპა მოიცვა და დააცარიელა იქაურობაო. ხაიდუმლოდ სენი ავთვისებიან ციებ-ცხელებას ჰგავს და სახსრების ტკივილი ახლავს; სიცხე ნელ-ნელა მიიწევს თავისკენ, ბოლოს თვალების ამოჭმას იწყებს, თვალის კაკლებში ანთება ჩნდება, ქუთუთოები კი ჩირქისგან სივდებაო. ნეალ ნავები კვლავ მოიყვანენ ავადმყოფებსა და დაჭრილებს — ტროპიკულ ტყესთან ბრძოლაში დამარცხებულ, ძველი იარაღით ძლეულ ხალხსო: მაიმუნის ძვლისგან ნათალმა ხელშუბებმა, ლერწმის ისრებმა, რკინის ოროლებმა და გლეხურმა მარტებმა აჯობა არტილერიას.

— ტროპიკულ ტყეში ზარბაზნის სროლით მხოლოდ იმას მოიმკით, რომ თავზე დამპალი ფოთლების ნიაღვარი დაგატყდებათ, — დაასრულა თავისი მოთხრობა ახალგაზრდა ოფიცერმა.

გადაწყვიტეს, მეორე დღეს ვიქტორ იუგი სხვა მძიმედ დაჭრილ ოფიცერებსა და ჯარისკაცებთან ერთად კაიენაში გადაეყვანათ. დამსჯელი ექსპედიციის წარუმატებლობით ნასიამოვნებმა სოფიამ თავისი კაბები მოკრიფა და ვერბენას სასიამოვნო სუნით გაჟღენთილ კალათში ჩააწყო; სამზადისში დე სენტ-აფრიკი ეხმარებოდა. ყმაწვილ ქალს ისეთი გრძნობა ჰქონდა, ამ სახლში აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

## XLVII

კაიენაში ეგვიპტური ავადმყოფობა გავრცელდა. წმინდა პავლე შარტრელის ლაზარეთი ველარ იტევდა ავადმყოფებს. ყველა ერთხმად აღუვლენდა ლოცვებს წმინდა როსს, წმინდა პრუდენციას და წმინდა კარლ ბორომელს, რომელთაც ჟამის გავრცელებისას მიმართავდნენ ხოლმე. ხალხი სწყევლიდა ჯარისკაცებს — ადრე სადღაც მიწისქვეშ, მუმიების განსასვენებელში, სფინქსებისა და მებაღეების იდუმალ სამყაროში დაბუდებული შავი ჭირის შემოტანისთვის. ქალაქში სიკვდილი გამეფებულიყო, სახლიდან სახლში გადადიოდა, მისი უეცარი გამოჩენა ყველას თავზარს სცემდა, ამრავლებდა პანიკურ ხმებსა და უაზრო ჭორებს. ამბობდნენ, ეგვიპტური არმიის ჯარისკაცები გაცოფებულან, საფრანგეთის საზღვრებს გარეთ რომ გამოუგზავნიათ და ახლა კოლონიის მოსახლეობის გაჟლეტა განუზრახავთ, რათა აქაურობას თვითონ დაეპატრონონო; ირწმუნებოდნენ, ჯარისკაცები რაღაც სახის შინაურ წამალს და ბანგს ამზადებენ, მათ სიბანძურეში ლესავენ და იმ სახლის ფასადებს უსვამენ, სადაც გადამდები სენის გავრცელება სურთო. ახლა თითოეულ ლაქას შიშით უყურებდნენ, კაცი თაკარა სიცხეში წინდაუხედავად კედელს რომ მიკარებოდა და ზედ ოფლიანი ხელისგულის ანაბეჭდი დაეტოვებინა, გამვლელები ქვებით ქოლავდნენ. ერთ დილას გვამის მეთვალყურე ხალხმა ვიღაც ინდიელი კეტებით მხოლოდ იმიტომ სცემა, რომ მსუქანი შავი თითები ჰქონდა. თუმცა ექიმები ირწმუნებოდნენ, ავადმყოფობა ჟამს არა ჰგავსო, ყველა მაინც „იაფურ შავ ჭირს“ ეძახდა. ყველა ფიქრობდა, ადრე თუ გვიან, ავადმყოფობა



შეეყრებოდა და ამის შიშით სიმდიდრე ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა საძინებელი ოთახის კარი ღია იყო. სიკვდილის მოახლოებას ქალი და კაცი ერთმანეთისთვის ჩაეწმახნა. ამ გაცხარებული ეპიდემიის დროს ყველგან მეჯლისეები და ნადიმები იმართებოდა. ზოგი ერთ ღამეს ხარჯავდა მრავალი წლის ბოროტმოქმედებით დაგროვილ ფულს. ზოგიერთი, თავს ოდესღაც იაკობინელს რომ ეძახდა, რასაც ოქროს ლუიდორების გადამალვაში ხელი სულაც არ შეეშალა, ახლა მთელ ქონებას ბანქოში აგებდა, ოგარი მსუბუქი დევნით უმასპინძლდებოდა სასტუმროს ნომერში საყვარლების მომლოდინე მდიდარ ქალბატონებს. სამგლოვიარო ზარების რეკვა დღესასწაულებსა და ნადიმებზე გათენებადღე მოგუგუნე ორკესტრის გრუხუნს ერწყმოდა; არცთუ იშვიათად შუა ქუჩაში გამოტანილ მაგიდებსა და სკამებს ჰაიჰარად კრეფდნენ, რათა კუბრით ერთიანად დაფარული ურიკით, ორთვალათი თუ ძველი ფურგონით დილაადრიან გამოტანილი კუბოები გაეტარებინათ. ორი გაცოფებული ბერი პირდაპირ სანაპიროზე მისცემოდა სიძვას, სიგამხდრისაგან ჩონჩხადქცეული მოხუცი აკადიელი კი ქალაქის მოედნებსა და გზაჯვარედინებზე ახალი ისაია და იერემიასავით მრისხანედ წინასწარმეტყველებდა, ღმერთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის ჟამი დგებაო.

ალტეას ნაყენში დასველებული ბინტით თვალბეჭევეული ვიქტორი ბრძანსავით დაბორილობდა თავისი რეზიდენციის ოთახებში, სკამების ზურგს დაყრდნობილი ბორძიკობდა, ვაებდა და ხელების ცეცებით ეხებოდა საგნებს. სოფია ხედავდა, რომ იუგი უჩვეულოდ იყო დასუსტებული, დათრგუნული და ქალაქის ზმაურით დამფრთხალი. ძალაღი სიცხის მიუხედავად უარი ეთქვა ლოგინში წოლაზე, ეშინოდა, რომ კიდევ უფრო უარესი წყვდიადი მოიცავდა, ვიდრე სახვევებით უკვე დამდგარი წყვდიადი იყო. ყველა ხელში მოხვედრილ საგანს სინჯავდა, მუჭში იმწყვდევდა, ხელისგულზე სწონიდა, თითქოს ეს ეხმარებოდა, ცოცხალთა შორის ეგრძნო თავი. ეგვიპტური ავადმყოფობა ჯანში გასჯდომოდა, საკვირველი ისღა იყო, ასეთი სიჯიუტით რომ ებრძოდა სენს ორგანიზმი.

— არც უარესობაა, არც უკეთესობა, — უცვლელად იმეორებდა ყოველ დილით ექიმი, რაიმე ახალი წაჭლის მოსინჯვის შემდეგ.

მთავრობის რეზიდენციას ჯარისკაცები შემორტყმოდნენ, უცხო კაცს შიგნით არ უშვებდნენ. სახლში აღარავინ დარჩენილიყო, არც მსახურები, არც ჩაფრები და არც ჩინოვნიკები. მარტო სოფიას არ მიეტოვებინა ძალაუფლებით აღჭურვილი კაცი, რომელიც ჩიოდა, ხელ-ფეხი მიშეშდება, მტანჯველი ტკივილები მკლავს და თვალები არაადამიანურად მტეხავსო; ისინი მარტო იმყოფებოდნენ ედიქტებითა და ხელისუფლების ბრძანებებით კედლებაჭრელებულ სახლში. გარეთ, ფანჯრების მახლობლად კი დამკრძალავი დროგები ჩაწალიკებულიყვნენ. „არ გარდაცვლილან, თუმც განადგურდნენ“, თავისთვის იმეორებდა ყმაწვილი ქალი გონებაში უნებურად ამოტივტივებულ ლაფონტენის ლექსის სტრიქონებს, რომელსაც ვიქტორი ხმამაღლა უკითხავდა ჰავანაში, როცა სწორ ფრანგულ გამოთქმას ასწავლიდა. სოფია გრძნობდა, რომ სახლში დარჩენით სრულ უგუნურობას სჩადიოდა, მაგრამ ხიფათთან ვაჟკაცურად შეგებებით სიყვარულის და ერთგულების დამტკიცება სურდა, რისიც თვითონვე აღარ სწამდა. როცა ხედავდა, როგორ იყო დაშინებული ვიქტორი, თვითონ კი შიში არ ეკარებოდა, საკუთარ თვალში თითქოს ძალღდებოდა. ერთი კვირის



მერე სოფია დარწმუნდა, სენი არ მიეკარებოდა, და სიამაყით აღივსო, თავი ბედის რჩეულად წარმოიდგინა, რაკი მიხვდა, რომ ქალაქში განუკითხავად გამეფებულმა სიკვდილმა გულმოწყალებდ ჩაუარა გვერდით.

კაიენაში ახლა წმინდა სებასტიანეს აღუკლედნენ ლოცვებს, თითქოს უკვე შეშინებოდათ მხოლოდ სამი წმინდანის — რონას, პრუდენციას და კარლოს მოსარჩლეობის იმედზე ყოფნა: „Dies irae, dies illa“<sup>•</sup> საუკუნეების ადამიანებისათვის კარგად ნაცნობ დანაშაულის გრძობას აეტანა ისინი, ვისაც მშვენიურად ახსოვდა ირაკუბოში, კონამამასა და სინამარაში დახოცილ გადასახლებულთა ტანჯვა-წამების მიმართ თავისი სრული გულგრილობა, და ამ ამბის ყოველდღე შემხსენებელი მოხუცი აკადიელი ჯოხის ცემით ლამის სიკვდილის პირას მიიყვანეს. გულდამძიმებული ვიქტორი თანდათანობით უფრო იშვიათად დგებოდა სავარძლიდან, ნამდვილ ბრძასავით ხელების ფათურით სინჯავდა საგნებს და მომაკვდავივით ლაპარაკობდა, — რომ მოვკვდები, კონვენტის კომისრის ტანისამოსი ჩამაცვან.

ამ სიტყვებზე კარადიდან ხელების ცეცებით გადმოიღებდა ძველ საგარეო კოსტუმს და სოფიას აჩვენებდა. მერე მხრებზე კამზოლს მოიგდებდა, სახვევებით დაფარულ შუბლზემით კი ფრთებით დამშვენებულ შლაპას იხურავდა.

— თითქმის ათი წლის მანძილზე ჩემი ბედის ბატონ-პატრონად მივიჩნევიდა, სინამდვილეში კი სხვისი ნების აღმსრულებელი ვიყავი, იმათი, ვინც აღგვაზევებს ანდა დაგვამხობს, თუმცა ამაზე არცა ვეჭვობთ, იმდენ სხვადასხვა როლში გამოვდიოდი, ნამდვილად არ ვიცი, რომელი უფრო შემეფერებოდა. იმდენნაირი ტანისამოსი გამოვიცვალე, ვერც კი გამიგია, რომელი უფრო მიხდებოდა, — ცოტა სული მოითქვა და განაგრძო, — მაგრამ ერთ-ერთ მათგანს, აი, ამას უპირატესობას ვანიჭებ დანარჩენებთან შედარებით, — ამ სიტყვებზე მკერდი წინ წამოსწია, საიდანაც ხროტინი ისმოდა, — იგი მაჩუქა ერთადერთმა ადამიანმა, რომელსაც საკუთარ თავზე ძალდა ვაყენებდი. ის რომ დამარხეს, მაშინ დავკარგე სულიერი წონასწორობა. იმის შემდეგ თითქოს საკუთარი თავიც დავკარგე. მექანიკურ თოჯინებს დავემსგავსე, მომართვის მერე რომ დადიან, ჭადრაკს თამაშობენ, ფლეიტაზე მულოდიას ასრულებენ და დოღს უბრაზუნებენ. ერთი როლილა მაკლდა — როლი ბრძისა და აი, დავბრძავდი კიდევ, — მერე ხმას დაუწია, რიგრიგით ღუნავდა თითებს და თან ითვლიდა: „ეფუნთუშე, ნეგოციანტი, მასონი, მასონთა მოწინააღმდეგე, იაკობინელი, მხედართმთავარი, მეამბოხე, ტყვე, იმათ მიერ განთავისუფლებული, ვინც მოკლა ჩემი აღმზევებელი, ჯერ დირექტორიის, მერე კი საკონსულოს აგენტი...“

თითები უკვე აღარ ჰყოფნიდა, ის კი ჩამოთვლას მაინც განაგრძობდა, მერე მისი სიტყვები გაურკვეველ ლულულად იქცა. ავადმყოფობისა და შეხვეული თვალების მიუხედავად, კამზოლმოსხმული კონვენტის კომისარი უკვე დამსგავსებოდა იმ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიულსა და ძალ-ღონით სავსე ადამიანს, ერთხელ გვიან საღამოთი ჰავანაში საპატიო კაცის ჭიშკართან რომ მივიდა და სახლი ანაზღად კარის ჩაქუჩის გამაყრუებელი ბრაზუნით გაავსო. თითქოს წუთით კვლავ ძველ იუგად ქცეულიყო, იმ იუგად, სანამ ხარბი და ყველას მიმართ რწმუნადაკარგული მმართველი გახდებოდა. ახლა სამარის

\* „ღღე განკითხვისა, ღღე ესე“, (ლათ.).



სიცოვე ეგრძნო და მზად იყო უარი ეთქვა უკვე უსარგებლო სიმდიდრეზე, ამო პატივზე და ისე ლაპარაკობდა, როგორც კარგი ქადავი პანაშვიდზე.

— ლამაზი ტანსაცმელი იყო, — თქვა სოფიამ და შლაპის ბუმბულებს ხელი გადაუსვა.

— მაგრამ მოდიდან გამოვიდა, ახლა მართო სუდარისთვისდა თუ გამოდგება.

ეროვნული

ერთხელ ექიმმა გადაწყვიტა, ახალი წამალი შემუშავებულა რომელსაც პარიზში ეგვიპტური ავადმყოფობით დაზიანებული თვალების მკურნალობისას პირდაპირ სასწაულები მოეხდინა: ქუთუთოებზე უნდა დაედოთ ახლად დაკლული ხბოს ჯერ ისევ სისხლიანი ხორცის ნაჭერი.

— მეფის მკვლელს ჰგავხარ ანტიკური ტრაგედიიდან, — აღმოხდა სოფიას ის-აზაა საძინებელი ოთახიდან გამოსული თვალებმეხვეული ვიქტორის დანახვაზე; მას უნებურად გაახსენდა ოიდიპოსი.

იუგისადმი სიბრაღული უცებ გაუქრა.

მეორე დღეს ვიქტორს მოეშვა ციებ-ცხელება; მოსამაგრებლად ერთი ჭიქა ღვინო დალია. თვალებიდან სახვევები მოხსნეს. სისხლიანი ხორცის ნაჭრები მოაშორეს და სოფიამ ვიქტორის სახეზე ავადმყოფობის ნიშან-კვალიც ვეღარ შენიშნა. იუგი ისე დაბნეულიყო, თითქოს სამყაროს სილამაზემ დააბრმავაო. წყვილი ბრჭყალებს თავდაღწეული დადიოდა თავისი რეზიდენციის ოთახებში და სიხარულისგან ლამის ერბინა, ეხტუნა, ისეთი სახით შესცქეროდა ხეებს, მხვიარა მცენარეებსა და კატებს, თითქოს ყოველი არსებული ახლახან გაჩენილიყო და ადამივით თვითონ უნდა დაერქვა მათთვის სახელები. ეგვიპტური ავადმყოფობა ქალაქიდან უკანასკნელ მსხვერპლთ იმძღვარებდა. საბრალონი წაჩქარევად მიჰქონდათ სასაფლაოზე და მარხავდნენ, აღარ დაეძებდნენ არც ზარების რეკვას, არც დაკრძალვის ცერემონიას. იხდიდნენ წმინდანების — როხას, პრუდენციას, კარლის და სებასტიანეს სადიდებლად სამადლობლო პარაკლისებს. ზოგიერთ ცოდვილს კი უკვე დაეიწყებოდა თავისი ღოცვა-ვედრება და დამცინავად ქირქილებდა, — წმინდანებისათვის პარაკლისის გადახდას ის ურჩევნიათ, კისერზე ნივრის გალები დაიკიდონო. ნავსადგურში ორი ხომალდი შემოვიდა, ნაპირზე მყოფი ბატარეა მისასალმებელი ზალპით შეეგება.

— შენ კი დიდებული იყავ, — უთხრა ვიქტორმა სოფიას და განკარგულება გასცა მამულში დასაბრუნებლად მოემზადებინათ ყველაფერი.

ყმაწვილმა ქალმა იუგს თვალი აარიდა, მაგიდიდან არაბეთში მოგზაურობაზე დაწერილი წიგნი აიღო, რომელსაც ბოლო ხანებში კითხულობდა და ყურანიდან ამოღებული ფრაზა აჩვენა: „ყამით ამოწყვეტილ იქმნა დევარდანი, ქალაქი იუდეისა, მცხოვრებთა უმრავლესობანი ოტებულ იქნენ. უფალმა უთხრა მათ: „მოკვდიოთ“, და ისინიც დაიხოცნენ. გამოხდა წლები და, ეზეკიას მუდარის მეოხებით, მკვდრეთით აღადგინა მან ისინი, მაგრამ ს ა ხ ე ზ ე ყ ვ ე ლ ა ს ჰ ე ჭ ე დ ი ა ჩ ნ დ ა ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა“.

სოფია ერთხანს შეყოვნდა.

— დავიდალე მიცვალებულთა შორის ცხოვრებით. საშინელმა სენმა ქალაქი დატოვა, მაგრამ დღეის ამას იქით ყველას სიკვდილის ბეჭედი გექნებათ აღბეჭდილი.



ვიქტორისაგან ზურგშექცეული სოფია შეუსვენებლივ ლაპარკობდა; მისი მუქი სილუეტი განათებულ ფანჯარაში იკვეთებოდა. ბოლოს აუწყა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა იქაურობის დატოვება.

— შინ, სახლში აპირებ დაბრუნებას? — ჰკითხა ვიქტორმა.

— არასოდეს არ დავბრუნდები იმ სახლში, რომელიც უკეთესი ძიები-სათვის მივატოვე.

— ეგ უკეთესი სახლი სადღაა, საით ესწრაფვი?

— არ ვიცი, სადაც ხალხი სხვაგვარად ცხოვრობს, აქ ყველაფერს შორის სუნი უდის. მე ცოცხალთა შორის მინდა დაბრუნება, იმათ შორის, ვისაც ჯერ კიდევ რაღაცის სჯერა. აღარაფერს ველი იმ ადამიანთაგან, ვინც თავად გამხდარან რწმენადაკარგულნი.

მთავრობის რეზიდენცია კვლავ გაკსებულისო მსახურებით, ჩაფრებით, ჩინოვნიკებით და კვლავ დაბრუნებოდნენ თავიანთ ჩვეულ სამუშაოს — რეცხავდნენ, ასუფთავებდნენ, ასრულებდნენ ბრძანებებს, ფარდები გადაეწიათ, ოთახი მზის სხივებით აკსებულისო, რომელთა შუქზე მირიადი მტვრის ნაწილაკი დარიალობდა და ფანჯრისკენ მიმსწრაფი ირიბული სვეტები წარმოექმნათ.

— ახლა შენ ტროპიკულ ტყეში გაქცეული ზანგების წინააღმდეგ მეორე დამსჯელ ექსპედიციას მოამზადებ, — ხელახლა აღაპარაკდა სოფია, — სხვანაირად არც შეიძლება. ამას მოითხოვს შენი თანამდებობა. ტყუილად როდი ხარ ძალაუფლებით აღჭურვილი, მე კი ამის ხილვა აღარ შემიძლია.

— რევოლუციამ ბევრ რამეს უცვალა სახე, — თქვა ვიქტორმა.

— შეიძლება, რევოლუციას ყველაზე კარგი სწორედ ეგა აქვს, რომ ბევრ რამეს უცვლის სახეს, — მიუგო სოფიამ და საკიდებიდან კაბების მოხსნა დააწყო, — ახლა მე ის მაინც ვიცი, რა უნდა უარყო და რა მივიღო.

იმ დილით კიდევ ერთ, რიგით მესამე ხომალდს შეხვდა სანაპიროს ბატარეა მისასალმებელი ზალპით.

— შეიძლება კაცმა იფიქროს, ხომალდები ჩემ წასაყვანად მოადგნენ სანაპიროს, — თქვა სოფიამ.

ვიქტორმა მოქნეული მუშტი კედელს მიართვა.

— მოკრიფე შენი ძონძმანძი და ჯანდაბამდის გზა გქონია, — იფეთქა უცებ.

— გმადლობ, — მშვიდად მიუგო სოფიამ, — მირჩენია, ასეთს რომ გხედავ. იუგი ხელში სწვდა და მთელი ოთახი ჯაჯგურ-ჯაჯგურით ათრია, საწოლთან მიიყვანა, ზედ დააგდო, თვათონაც ზედ დაეცა და მკლავებში მომწყვდეულს მთელი ძალით იკრაუდა გულში. სოფია არ ვაძალებია: იწვა ცივი, უძრავი, შორეული, თითქოსდა ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც ჩქარა დამთავრებულიყო ყველაფერი. იუგი ახლაც ისევე უცქერდა, როგორც უთვალავჯერ უცქერია ასეთ წუთებში, მისი თვალები ისე ახლოს იყო ქალის თვალებთან. მათი ბრწყინვა ლამის ერთმანეთს შერწყმოდა, სოფიამ სახე ზელა მიიბრუნა.

— დიახ, ოღონდაც რომ წასვლა გიჯობს, — უთხრა ვიქტორმა და მოსცილდა.



იგი ისევ მძიმედ სუნთქავდა, ვერ ეგრძნო მოსალოდნელი სიხარული და მწუხარება დაუფლებოდა.

— საშვის მომზადება არ დაგაეწყდეს, — მშვიდად უთხრა სოფიამ და საწოლის მეორე კიდიდან გადასული საწერ მაგიდასთან მივიდა, სადაც გერბიანი ქაღალდები ინახებოდა: — მოიცა! მელანი ამჟამად...

სოფიამ წინდები გაისწორა, დაჭმუჭნულ კაბაზე წელი დაისვა, შუშით მელანი მოიტანა, დასველებული კალამი ვიქტორს გაუწოდა, მერე ისევ განაგრძო საკიდებიდან კაბების მოხსნა, თან აღმაცერად უცქერდა ვიქტორს, რომელიც განრისხებული წერდა რაღაცას.

— სულ ესაა? მეტი არაფერი გვრჩება? — ჰკითხა იუგმა.

— როგორ არა, უკვე გარდასულის სახე გვრჩება.

საკონსულოს აგენტი კართან მივიდა, ზღურბლიდან უკან მოიხედა — სახეზე საცოდავი, მუდარიანი ღიმილი აღბეჭვდოდა.

— წამოხვალ ჩემთან?

პასუხად ისევ ღუმილი იდგა.

— მაშინ კეთილი მგზავრობა!

იუგის ფეხის ხმა კიბეზე გაისმა. ქვემოთ ეკიპაჟი ელოდებოდა, იგი მაშულჭი უნდა წაეყვანა... სოფია მარტო დარჩა, ირგვლივ მისი ტანისამოსი მიმოფანტულიყო. ატლასებსა და მაქმანებს შორის მოჩანდა კონვენტის კომისრის კოსტუმი, რომელიც დაბრძანებისას არაერთხელ უჩვენა ვიქტორმა. ნახევრად დარღვეული კოსტუმი სავარძელზე ეფინა: პანტალონი ძირს ეთრეოდა, კამზოლს მხარიღლივ სამფურა ქსოვილი ჰქონდა გადაჭერილი, ბუმბულე-ბიანი ქუდი შარვლის გვერდით იდო; ეს მდიდრული ტანისამოსი საოჯახო რელიქვიას დამგვანებოდა; მას თითქოს ვერ კიდევ შემოენახა იმ ადამიანის მსგავსება და სხეულის კონტურები, რომელსაც ოდესღაც გამორჩეული როლი ეთამაშა. ახლა ევროპის ქალაქებში გარდასულ დროთა ცნობილი მოღვაწეების ტანისამოსის ჩვენება დაეწყო; სამყარო ისე შეცვლილიყო, ვეღარ იცნობდით. მოხრობელნი წინათ ამბის მოყოლას ასე იწყებდნენ: „ერთხელ თურმე“... ახლა ამის ნაცვლად იმეორებდნენ: „ეს რევოლუციამდე ყოფილა“, „ეს რევოლუციის შემდეგ მომხდარა“. — და ალბათ ხალხიც ამის გამო ნახულობდა სიამოვნებით მუხეუმებს.

იმ საღამოს, თითქოსდა მარტოხელა ქალის მდგომარეობის შესაცნობად, სოფია ახალგაზრდა ოფიცერ დე სენტ-აფრიკს დანებდა, რომელიც ვერთერივით აღმერთებდა კაიენაში ჩამოსვლის პირველი დღიდან. ქალი კვლავ ქცეულიყო თავისი სხეულის ბატონ-პატრონად და მამაკაცთან საკუთარი ნებით დამყარებულ ურთიერთობას საბოლოოდ გაენთავისუფლებინა იუგის ხანგრძლივი ძალაუფლებისაგან. იგი შეიგრძნობს სხვა მამაკაცის ძალუმ ალერსს, მეორე კვირის ოთხშაბათს კი ავა ხომალდზე, რომელიც ბორდოში ჩაიყვანს.



ნაწილი მეშვიდე

და მეყსეულად ქარი დიდი მოკდა უდაბნოთ და ეკუთა ოთხთავე კიდეთა სახლისათა, და დაეცა სახლი იგი ყრმათა შენთა ზედა და მოწყდეს. განვერი მე მარტოა და მოვედ თხოვად შენდა.

წიგნი იობისა, 1, 19

ქართული  
ბიბლიოთეკა

XLVIII

მგზავრმა ფუნკარალის ქუჩაზე მდებარე ერთ სახლთან გათოშილი ხელი მხრებზე მოხურული პლედიდან გაინთავისუფლა და მთავარ შესასვლელთან დაკიდებული წყლის მბრძანებელი ღმერთისგამოსახულებიანი მძიმე კარის ჩაქუჩი ჩამოიღო. სწორედ ამ დროს მის ყურთასმენას მისწვდა გიტარის ხმა და ქუსლების რიტმული ბაკუნი, რის გამოც მეორე სართულის იატაკს ზანზარი გაჰქონდა. თუმცა ჩაქუჩის დარტყმა სახლში მუშკეტის გასროლასავით უნდა გახშიანებულიყო, მეორე სართულზე ხმაურმა უფრო იმატა, ამასთან, გაისმა საეკლესიო გუნდის რეგენტის ხმა — იგი გულმოდგინედ ცდილობდა ცნობილი „კონტრაბანდისტის სიმღერის“ მელოდიის გახსენებას. ჭირხლმოკიდებული ბრინჯაო მგზავრს ხელსა სწვაავდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა კარის ბრახუნს, თან ერთდროულად საგდულს ისე ურტყამდა თბილფეხსაცმელიან ფეხს, რომ ქვის პარმალზე ყინულის ნამსხვრევები ჩამოცვივდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარის საგდული ჭრიალით გაიღო და ღვინის სუნით გაჟღენთილმა მსახურმა მგზავრს ზედ სახესთან მიუტანა ლამპარი. დაინახა თუ არა, მგზავრის სახე ორი წვეთი წყალივით რომ ჰგავდა იმ კაცს, ვისი პორტრეტიც სასტუმრო ოთახში ეკიდა, შეშინებულმა ლაქიამ უმაღლესეუშვა უდროოდ დროს მოსული სტუმარი, თან დაბნეული ბოდიშობდა და თავს იმართლებდა: არაფრით არ მეგონა, ბატონი ასე ძალე თუ ჩამოვიდოდა, ეს რომ მცოდნოდა, საფოსტო სადგურში აუცილებლივ დავხვდებოდი. ახლა მოგეხსენებათ, ახალი წელია, წმინდა მანუელის დღესასწაული, ბედად, მეც სწორედ მანუელი მქვია, და ჩემი ნაცნობები, სრულიად წესიერი ხალხი, თუმცა ცოტა ხმაურიანები, დაუპატიჟებლად მომადგნენ კარს, ის-ის იყო დაწოლას ვაპირებდი და ღმერთს ვაკედრებდი, დაიფარე-მეთქი ბატონი ყოველგვარი უბედურებისაგან; ამათ კი ჩემს რჩევა-დარიგებას ყურიც არ ათხოვეს და მოჰყვნენ სიმღერას, ცეკვას და „თანმოტანილი“ ღვინის სმას, ეჭვიც არ შეგეპაროთ, ღვინო „ნამდვილად თანმოტანილია“. ბატონი ორიოდე წუთს თუ მოიცდის, მთელ ამ კამპანიას უკანა გასასვლელიდან გავრეკავო... მგზავრმა მსახური გზიდან ჩამოიცილა, ფართო კიბე აიარა და სასტუმრო ოთახში შევიდა. მთელი ავეჯი კუთხეში იყო მიწყობილი; ახვეული ნოხები კედელზე მიეყუდებინათ; მხიარულებას ზენიტისთვის მიედწია; გამოპრანჭული უბრალო ხალხის ქალიშვილები მკვირცხლად ცეკვავდნენ თავიანთ არცთუ დიდად სანდოგამომეტყველებიან კავალრებთან; ყმაწვილ კაცებს ვეება ღვინის ჭიქები დაეცალათ და ახლა მოურიდებლად იფურთხებოდნენ იატაკზე. კუთხეში ცარიელი ბოთლები და მათარები ეყარა — აშკარად ჩანდა, უკვე შუა ღრეობაში შესულიყვნენ. ერთი თამამი ლამაზმანი ჭირვეულად მოითხოვდა შემწვარ წაბლს, რაც, ეტყობა, სუფრაზე აკლდათ. მეორე სავარძელში გაშხლართულიყო და მთელი ხმით გაჰკიოდა პოპულარულ სიმღერას; ცოტა მოშორებით ვიდაც ვაჟბატონს ქალიშვილი ჩაებლუჯა. რამდენიმე გვარიანად შემთვრალი



სტუმარი ბრძას შემოხვეოდა, რომელიც ყელს იწმენდდა ანდალუზიური სიმღერის წამოსაწყებად.

— მოშორდით აქაურობას! — იყვარა მსახურმა.

სტუმრები მიხვდნენ, შოტლანდიურ პლედწამოსხმული მგზავრი დიდი ბატონი რომ ბრძანდებოდა და კიბეებს მიაწყდნენ, ნახევრად დაუღვეკლი ბოთლებიც თან გაიყოლეს. ლაქია უთავბოლო ბოდიშების ბურტყუნით ყველს ჩქარა-ჩქარა დგამდა თავ-თავის ადგილზე, ახვეულ ნოხებს ხელში აქვდა და ცარიელი ბოთლები გარეთ გაჰქონდა. ალბათ კარგა ხანს მოგუზგუზე ბუხარს რამდენიმე შეშა კიდევ მიუკვთა, მოიმარჯვა შვაბრა, საგველა, მტვრების ტილოები და გულმოდგინედ შეუდგა სავარძლებზე, იატაკსა და ღვინოგადასხმულ პიანინოს სახურავებზე ღრეობის ნაკვალევის წაშლას.

— ყველა წესიერი ხალხია, — ღურღურებდა მსახური, — ქინძისთავსაც არ ახლებენ ხელს. ვე არის, გაუნათლებლები არიან. ჩვენთანაც ისე კი არ არის, როგორც სხვაგან, იქ ბავშვობიდანვე ასწავლიან პატივისცემას..

მგზავრმა, როგორც იქნა, მოიხსნა პლედი, ცეცხლს მიეფიცხა და ერთი ბოთლი ღვინო მოითხოვა; დაუდგეს თუ არა მაგიდაზე, მიხვდა, მონადირეებსაც ზუსტად ამავე ღვინით უმასპინძლებოდნენ, მაგრამ არ შეიმჩნია და მხერა მისთვის ალბათ კარგად ნაცნობ სურათს მიაპყრო... ეს იყო კათედრალურ ტაძარში აფეთქების წარმომსახველი ტილო, რომელიც თავის დროზე ძალზე დაზიანებული უნდა ყოფილიყო: გახეული ტილო დაეწებებინათ, მაგრამ კვალი მაინც აჩნდა. ლაქიას თანხლებით, რომელსაც წინგაწვდილ ხელში ახალსანთლებიანი ვეება კანდელაბრი ეჭირა, მგზავრი მეორე ოთახისკენ გაემართა. ეს ბიბლიოთეკა იყო. უბრალო, ცარიელ წიგნის თაროებზე იტალიური ნაკეთობის ჩაფხუტებსა და მუხარადებს შორის ფარი და ძახვილი ეკიდა. ყველა იარაღი არ აღმოჩნდა თავის ადგილზე, გაღუნულ, ცარიელ კაჩხაზე ეტყობოდა, რომ ისინი ნაჩქარევად ჩამოეხსნათ ადგილიდან. პატარა, ვიწრო მაგიდის აქეთ-იქით ორი ვეება სავარძელი იდგა, მაგიდაზე გაშლილი წიგნი იდო, იქვე ბოლომდე დაუღვეკელი მალანგიანი ჭიქა იდგა: ღვინო ამომშრალიყო, მიწას მუქი ნალექი შერჩენოდა.

— როგორც წერილობით მოგახსენებდით, ბატონო, აქ ყველაფერი ძველებურად დარჩა, — თქვა მსახურმა და მეორე კარი გამოაღო.

ახლა ისინი ქალის საძინებელ ოთახში აღმოჩნდნენ. დიასახლისს, ეტყობა, გაღვიძებისას ვეღარ მოესწრო იქაურობის მილაგება; დაჭმუჭნულ ზეწარზე ადვილად მიხვდებოდით, რომ ქალს ძალზე ნაჩქარევად ჩაეცვა ტანსაცმელი: ღამის პურანგი ძირს ეგდო, საწოლზე კარადიდან გამოღებული კაბები იყო დახვავებული, ეტყობა, კაბებს მხოლოდ ის აკლდა, რაც ქალს ჩაეცვა.

— მაქმანებიანი, თამბაქოსფერი კაბა ჩაიცვა, — აუხსნა მსახურმა.

კაცები ფართო გაღერვაში ვავიდნენ, რომლის ფანჯრის მინებს გარედან ჭირხლი მოჰკიდებოდა.

— ეს კი იმისი ოთახია, — თქვა ლაქიამ და ჯიბიდან გასადები ამოიღო.

უცხოელს თვალწინ დაუდგა მკაცრად და უბრალოდ მოწყობილი ვიწრო ოთახი; მის ერთადერთ მორთულობას საწოლის მოპირდაპირე კედელზე დაკიდებული ნოხი შეადგენდა. მასზე ამოქარგული იყო მაიმუნების ორკესტრი, რომლებიც კომიკური მანჭვა-გრეხით უკრავდნენ კლავიკორდებზე, ვიოლებზე, ფლეიტებზე და კორნეტებზე. ღამის მაგიდაზე წამლის შუშები, წყლის სურა და კოვზი ელაგა.

— წყალი აყროლდა და გადავღვარე, — თქვა მსახურმა.



იქაურობა მხოლოდ სამხედროებისათვის ჩვეულ სისუფთავესა და წესრიგს მოეცვა.

— ბატონი ყოველთვის თვითონ ასწორებდა საწოლს, თავის ტანსაცმულსაც თვითონვე უვლიდა, — ისევ ალაპარაკდა მსახური, — ავად რომ იყო, მაშინაც კი არ უყვარდა მოსამსახურის შესვლა.

ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ.

— მოძიევე ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა, — მოითხოვა მგზავრმა. მამიძე გრამ მონაცოლი ნაკლებ საინტერესო გამოდგა, თუმცა მსახური ცდილობდა დაწვრილებით მოეთხრო ყველაფერი, რომ ნადამი და დაღუული ღვინო რაც შეიძლება ჩქარა დაევიწყებინა; დროდადრო ლაქია ამბავს გადაუხვევდა და მოჰყვებოდა თავისი ბატონის დიდსულოვნებისა და კეთილშობილების ქება-დიდებას. ყველაფერი, რასაც მგზავრი ამჟამად ისმენდა, უკვე იცოდა მსახურის მიერ ადრე გაგზავნილი წერილებიდან, რომლებიც დაქირავებული გადამწერისთვის დაეწერინებინა. გადამწერს ხუსტი ცნობების ნაკლოვანება საკუთარი ვარაუდით შეევისო. და ეს ვარაუდები ლამის უფრო მეტს ამბობდნენ, ვიდრე ლაქიის გონებაში შემორჩენილი არსებითად ცოტა რაიმის მოქმელი მწირი ფაქტები. იმ დილით საერთო სახალხო ღელვას აყოლილმა მსახურებმა მიატოვეს სამზარეულოები, სამრეცხაოები, საჯინიბოები, საწყობები და ქუჩაში გამოსულ ბრბოს შეუერთდნენ. მოგვიანებით შინ ზოგი დაბრუნდა, ზოგი — არა... მგზავრმა კალმისტარი და ქალღი მოითხოვა და გულმოდგინედ შეუდგა იმათი სიის ჩამოწერას, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო შეხვედრიდნენ სახლის პატრონებს. მას ყველა აინტერესებდა: ექიმი, დალაქი, მკურავები, ავეჯის გადამკვრელები, წიგნით მოვაჭრენი, შუაფთიაქენი, პარფიუმერები, მუდუქნეები და ხელოსნები; ისიც კი არ გამოჩენია, რომ ვიღაც მარაგების გამყიდველი თავისი საქონლით ხშირად დაიარებოდა ამ სახლში, ხოლო დალაქმა, რომელსაც აქვე ახლოს ჰქონდა თავისი სადალაქო, შესანიშნავად იცოდა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ფუნქციონირების ქუჩის ყველა მობინადრის ცხოვრების წირი და წესი.

თი, როგორ მოხდა ეს ყოველივე.  
გონი

მეზობელ ღუქნებსა და სახელოსნოებში გაგონილით, ახლომახლო სამიკიტნოში არაფერ ენაამოღვმული ხალხისაგან მონათხრობით, სხვადასხვა მდგომარეობისა და წოდების ადამიანებისაგან შეტყობილი ამბით კარლოსს თვალწინ დაუდგა შეკოწიწებული ამბები; სადაც ბევრი რამ მაინც ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩებოდა — ასეთი დაცალცალკეული ფრაგმენტების შეკრებით იქმნება, ნაწილობრივ, ძველი მატთანეც...

— გრაფინია დე არკოსის სახლი კარგა ხანია გამოცარიელებული იყო, — უყვებოდა ვიღაც ნოტარიუსი კარლოსს და სულაც არ ეჭვობდა, რომ საერთო სიუჟეტით გაერთიანებული პატარ-პატარა ამბების კრებულის თავისებური შესავლის ავტორის როლში გამოდიოდა, — გამოცარიელებული იყო, რადგან რამდენიმე წლის წინათ დროდადრო აჩრდილებმა და მოჩვენებებმა იწყეს გამოჩენა, რაც მოელ ამ მხარეში ყოველთვის იყო ცნობილი. გადიოდა დრო, ამ ღამეზ სახლს კი, მასთან დაკავშირებული საშინელი ხმების გამო, არავინ ეკარებოდა,



ასე რომ, ამ უბნის ვაჭრები სინანულით იგონებდნენ შორეულ დღეებს, როდესაც სახლის ძველი მეპატრონეები აწყობდნენ მეჯლისებსა და წვეულებებს, უამრავ ფულსა ხარჯავდნენ მორთულობებზე, სანთლებზე, გემრიელ კერძებსა და რჩეულ ღვინოებზე. აი, რატომ იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როცა ამ სახლის ფანჯრებში სინათლე გამოკრთა, ყველა სიხარულით მიესალმა ამ სასიამოვნო მოვლენას. მეზობლები სახლს მოადგნენ და ცნობისმოყვარედ უთვალავდნენ, როგორ მიმოდიოდნენ მსახურები წინ და უკან, როგორ შედიოდნენ ეტლის ფარულში, ადიოდნენ სხვენზე, მიათრევდნენ ფუთებს, სამგზავრო ზანდუკებს, ბოხჩებს, ჭერზე ჰკიდებდნენ ახალ ჭალებს. მეორე დღეს, თავიანთი კიბეებითა და ფიცარნაგებით, გამოჩნდნენ მებათქაშეები, მღებავები და ავეჯის გადამკვრელები. ოთახებში დატრიალებულმა სუფთა ჰაერმა განდევნა ჯადოქრებსა და გრძნეულებზე მოგონებები. ნათელმა ფარდებმა სასტუმრო ოთახს მხიარული და საზეიმო ელფერი მისცა. ლივრეაში გამოწყობილმა მეჯინებმა საჯინბოში ორი შესანიშნავი ჩორთით მოსიარულე ცხენი მოიყვანა და იქაურობაში ისევ თივის, შვრიისა და იონჯის სასიამოვნო სუნი დატრიალდა. მოგვიანებით ყველამ შეიტყო, რომ ვიღაც მდიდარ კრეოლ ქალს, ვისაც თურმე სულ არ ეშინოდა ავი სულების, იჯარით აეღო ეს სახლი... ქრონიკა ამის შემდეგ კალიე-მაიორის ქუჩაზე მცხოვრებმა მაქმანით მოვაჭრე ქალმა განაგრძო. გრაფინია დე არკოსის სახლის მოიჯარადრეს ჩქარა ყველამ „კუბელი“ შეარქვა. ლამაზი ქალი იყო, დიდი, მუქი თვალები ჰქონდა, მარტო ცხოვრობდა, არავის არ ღებულობდა და სულ არ ცდილობდა დედაქალაქის მაცხოვრებლებთან თუ სამეფო კართან ურთიერთობის დამყარებას. ერთთავად რაღაც საზრუნავს დაედარდიანებინა, მაგრამ შეეხებას რწმენაში არ ეძებდა. ეკლესიაში ერთხელაც არ უნახავთ. აყვანილ მსახურებსა და ხელგამლილ ცხოვრებაზე ეტყობოდა, ქალი მდიდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავდაჭერილად იცვამდა: თუმცა ქსოვილისა და მაქმანის შერჩევისას ყოველთვის საუკეთესოს მოითხოვდა და ფასზე უკან არასოდეს იხევდა... მაქმანებით მოვაჭრემ მეტი ვერაფრის თქმა ვერ შეძლო. და დადგა გიტარის ჩინებული დამკვრელისა და დალაქის, პაკოს ჯერი, რომლის სადალაქო იმ უბნელებს რაღაცით კლუბის მაგივრობასაც უწევდა. მისი თქმით, კუბელი მადრიდში მეტისმეტად დელიკატური საქმის გამო ჩამოსულიყო: იგი ცდილობდა, მიეღწია თავისი ბიძაშვილის შეწყალებისთვის, რომელიც უკვე რამდენიმე წელი იყო იტანჯებოდა სეუტის საპყრობილეში. ამბობდნენ, ეს ბიძაშვილი ფრანკმასონია და შეთქმულებას აწყობდა ესპანეთის ამერიკულ სამფლობელოებში. ირწმუნებოდნენ, ფრანგების მომხრეა, რევოლუციის იდეებს იზიარებს და მეამბოხურ თხზულებებსა და სიმღერებს თხზავდა, რომლებიც ზღვების გაღმა კოლონიებში მეფის ხელისუფლების დამხობით იმუქრებოდა. კუბელი ქალიც შეთქმულებსა და ათეისტებს ჰგავდა, ვარაუდს თუ გაუწევდით მის კარჩაკეტილ ცხოვრებასა და რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას: სახლის ახლოს ჯვარცმასა და წმინდა ზიარებას რომ ჩაატარებდნენ, ფანჯარაშიც არ გამოიხედავდა, ზოგიერთი ირწმუნებოდა, თითქოს გრაფინია დე არკოსის ყოფილ სახლში მასონური ლოჟის ბიწიერი კოლონები აღემართოთ და შავი მესები ეწიროთ. ამ ამბის ყურმოკვრის მერე პოლიცია რამდენიმე კვირა საიდუმლოდ დარაჯობდა სახლს, მაგრამ საბოლოოდ დაასკვნეს, რომ იქ ვერავითარი — ვერც შეთქმულთა, ვერც ცოდვითა და ვერც ფრანკმასონთა — თავყრილობა ვერ გაიმართებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახლში თითქმის არავინ შედიოდა. მოჩვენებებისა და აჩრდილების გამოცხადების გამო ოდესღაც საიდუმლოებით მოცული გრაფინია დე



არკოსის სახლი იქ ლამაზი უცხოელის ჩასახლების შემდეგაც გასაიდუმლოებული რჩებოდა. მამაკაცებს ამ ქალის ნახვა იმ იშვიათ შემთხვევაში შეეძლოთ, როცა მახლობელ დუქანში მიდიოდა, ანდა შობის წინაღღეს ტოლედური მარციაზის საყიდლად პლასა-მაიორზე ეშურებოდა... შემდეგ მოხუცი ექიმის თხოვნის რიგი დადგა, რომელიც თავის დროზე ხშირი სტუმარი ყოფილიყო გრაფინია დე არკოსის სახლისა. იქ იგი მკურნალობდა ერთ წარმოსადგე მამაკაცს, რომელსაც ჯანმრთელობა სეუტში ყოფნისას სასტიკად შერყეოდა. მეფისაგან შეწყვეტილი ეს კაცი სწორედ იმხანად დაბრუნებულიყო კატორლიდან. ფეხებზე ჯერ კიდევ აჩნდა ბორკილების კვალი. დროდადრო ციებ-ცხელება შეუტევდა, ხან ასთმა აწუხებდა, რითაც ბავშვობიდანვე ყოფილიყო დაავადებული; თუმცა შეტევები ეხსნებოდა, სიგარად დახვეულ ლემას ფოთლებს თუ მოსწევდა — რასაც ტრიბულეტის უბნის აფთიაქარი კუბიდან უწერდა ხოლმე. სწორი მკურნალობის შედეგად ავადყოფმა მოიხედა, ძალა თანდათანობით მოიკრიბა და ექიმიც გრაფინია დე არკოსის სასახლეში აღარ მიუწვევიათ... მერე წიგნებით მოვაჭრემ იამბო: ესტებანს გაგონებაც კი არ უნდოდა ფილოსოფიისა და ეკონომისტების იმ შრომებისა თუ თხზულებებისა, სადაც უკანასკნელი წლების ევროპის ისტორია იყო მოთხრობილი. კითხულობდა მოგზაურებებზე დაწერილ წიგნებს, ოსიანის სიმღერებს,<sup>1</sup> ახალგაზრდა ვერთერის ვნებებს, ბოლო ხანებში თარგმნილ შექსპირს. წიგნის გამყიდველმა გაიხსენა, რომ კლიენტი აღაფრთოვანა „ქრისტიანობის გენიამ“,<sup>2</sup> ჭაბუკმა ამ წიგნს „არაჩვეულებრივზე არაჩვეულებრივი“ უწოდა და სთხოვა ხავერდის ყდაში აეკინძა და ოქროს პატარა შესაკრავი გაეკეთებინა, როგორც უკეთებენ ხოლმე, როცა სურთ, საიდუმლოდ ინახებოდეს არშიებზე მიწერილი შენიშვნები. კარლოსი კითხულობდა შატობრიანის წიგნს და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რატომ გამოიჩინა ინტერესი ესტებანმა ამ მთლიანობას მოკლებული, ადგილ-ადგილ უთავბოლო ნაწარმოების მიმართ, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად დამარწმუნებელი იყო იმისათვის, ვისაც რწმენა ძვალსა და რბილში არ ჰქონდა გამჯდარი. კარლოსმა დაიწყო ამ წიგნის ძებნა და ბოლოს და ბოლოს სოფიას ოთახში მიაგნო მის მეხუთე ტომს. შლიდა ამ ტომს და განცვიფრებულმა აღმოაჩინა, რომ ამ გამოცემაში ნაწარმოების მეორე ნაწილი მოიცავდა რომანტიკულ ამბავს, სახელწოდებით „რენე“, რომელიც ცოტა ხნის წინათ ჰავანაში მიღებულ გვიანდელ გამოცემაში არ შედიოდა. წიგნის უძრავლეს გვერდზე არავითარი შენიშვნა არ ჩანდა, არც ერთი სიტყვა არ იყო ხაზგასმული, მაგრამ ცალკეული ფრაზები და აბზაცები ვიღაცას წითელი მელნით შემოეხაზა: „ცხოვრება, რომელიც თავდაპირველად აღმაფრთოვანებდა, სულ მალე აუტანელი გახდა. მომბეზრდა ერთი და იგივე სცენები და ერთი და იგივე იდეები. მე შევუდექი საკუთარი გულის შესწავლას, იმის გარკვევას, თუ რა მსურს...“, „ნათესავებს, მეგობრებს და, შეიძლება ითქვას, ქვეყნად სიყვარულს მოკლებულს, მიჭირდა მჩქეფარე სიცოცხლე... ველადაც გავჭრილვარ, მთებზეც ავსულვარ და მთელი ძალ-ღონით ვესწრაფოდი ჩემს მგზნებარე სურვილთა იდეალურ საგანს...“, „ახლა კი წარმოიდგინეთ, იგი ქვეყნად ერთადერი ქალი იყო, რომელიც ოდესმე მყვარებია, მას დაეპყრო მთელი ჩემი გრძნობები, რაც განუყოფელი იყო ჩემი ბავშვობის ნაღვლიან მოგონებებთან...“, „სიბრალულით აღძრული მოვიდა იგი ჩემთან...“ კარლოსს უნებურად დაებადა ეჭვი და გადაწყვიტა, დაწერილებით გამოეკითხა ამბავი სოფიას ყოფილი მოახლისთვის. მას მოერიდა ამ უაღრესად დელიკატური საქმისადმი ამკარა ინტერესის გამომჟღავნება და ქალიშვილს შემოვლით გამოჰკითხა რაღაც ამბები, იმ იმედით, რომ შეიძლება ქალიშვილს



თავისით ელიარებიან რამე. უეჭველია, სოფიას და ესტებანს ერთმანეთს ძალიან უყვარდათ, სათუთი და თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება ჰქონდათ. ზამთრის ცივ დღეებში, როდესაც რექტორის შადრევანიც კი იყინებოდა, ბუხართან საყარძლებს მიიდგამდნენ და ერთად სადილობდნენ სოფიას ოთახში, ზაფხულობით კი ეტლით დიდხანს დასეირნობდნენ, ხანდახან პირდაპირ ქუჩაში სითო ჭიქა ცივი ორშადის დასალევად თუ გაჩერდებოდნენ. ყოფილა შემთხვევა სან-ისიდროს ბაზრობაზე უნახავთ, სადაც სახალხო სეირნობის სანახაობით ერთობოდნენ. ყოველთვის და-ძმასავით ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენ. არა ყოფილა შემთხვევა ეჩხუბოთ ანდა ხმამაღლა ეკამათოთ, ასეთი რამ ერთხელაც არ მომხდარა. სოფიას ის მუდამ სახელით მიმართავდა, სოფიაც „ესტებანს“ ეძახდა ყოველთვის. და ბორიტ ენებს — მოსამსახურეთა შორის კი იგი ყოველთვის მოინახება — არასოდეს არ დასცდენიათ, რომ მათ შორის რაიმე ინტიმური სიახლოვე არსებობდა. არა, არა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ არავის შეუნიშნავს. ესტებანი ავად რომ ხდებოდა და მთელი ღამეები არ ეძინა, სოფია ხშირად სასთუმალთან უჯდა ხოლმე. მოკლედ, და-ძმასავით იყვნენ. ხალხს ერთი რამ მაინც უკვირდა: რატომ არ უნდოდა ასეთ ღამაზე ქალს გათხოვება. ოღონდ მოესურვებინა და მოსვენებას აღარ მისცემდნენ ყველაზე სახარბიელო სასიძოვები... „ხდება ხოლმე, ჭეშმარიტებას ვერასდიდებით ვერ მიაკვლევ, — ფიქრობდა კარლოსი წითელ ხავერდშემოკრულ წიგნში შემთხავული ფრაზების კითხვისას, და ხვდებოდა, რომ სულ სხვაგვარად შეიძლებოდა მათი ახსნა. — არაბი იტყოდა: რომ ისევე ამოდ ვკარგავ დროს, როგორც ცაში ფრინველის ან წყალში თევზის კვალის მძებნელი“. ახლა უკვე ბოლო დღეების ვითარების აღდგენა და დარჩენოდა, იმ დღეებისა, როცა ორი სიცოცხლე თვალსა და ხელს შუა გამჭრალიყო მრისხანესა და სისხლიანი მოვლენების წიაღში. მხოლოდ ერთ-ერთ მოწმეს — ხელთათმანების გამყიდველს — შეეძლო ცოტაოდენი რაღაცის თქმა დრამის დასაწყისზე: იგი დილაადრიან მოსულიყო გრაფინია დე არკოსის სახლში და სოფიასათვის რამდენიმე წყვილი ხელთათმანი მიეტანა; ასეთი რამე თუ უნდა მომხდარიყო, არც კი ეჭვობდა. სახლში, მისდა განსაცვიფრებლად, მხოლოდ მოხუცი დაუხვდა, სოფია და ესტებანი ბიბლიოთეკაში იყვნენ; ღია ფანჯრის რაფაზე იდაყვდაყრდნობილნი აყურადებდნენ, რა ხდებოდა გარეთ. ქალაქს ყრუ ხმაური ავსებდა, თუმცა ფუნეკარალის ქუჩაზე თითქოს არაფერი უჩვეულო არ შეიმჩნეოდა, ანაზღეულად დაიწყეს დუქნებისა და სამიკიტნოების კარების დაკეტვა. სახლებს იქით, მეზობელ ქუჩებში, ეტყობოდა, ხალხი იყრიდა თავს. დანდობილა არეულობა დაიწყო. გზაჯვარედინზე ქალებისა და ბავშვების თანხლებით უცებ უბრალო ხალხის ბრბო გამოჩნდა და მოჰყვნენ ყვირილს: „სიკვდილი ფრანგებს!“ სახლებიდან გამორბოდა ხალხი და ხელში ვისაც რა მოჰყვებოდა, ის მოემარჯვებინა: დანები, საჩხრეკეები, ხუროს იარაღები, ერთი სიტყვით, რითაც დარტყმა, გაჭრა და ჩხვლეტა შეიძლებოდა. ყოველი მხრიდან სროლა ისმოდა, ბრბო კი იზრდებოდა და იზრდებოდა, იგი პლასა-მაიორისა და პუერტა-დელ-სოლისკენ მიემართებოდა. ახალგაზრდობას წინ მღვდელი მიუძღვოდა, ხელში დასაკეცი დანა ეჭირა; დროდადრო თანამგზავრებს მიუტრიალდებოდა და ხმამაღლა ყვიროდა: „სიკვდილი ფრანგებს! სიკვდილი ნაპოლეონს!“ მთელი მადრიდი ქუჩისკენ ისწრაფვოდა. ამ უეცარმა მრისხანე აჯანყებამ სრულიად მოულოდნელად იფეთქა, იგი არც დაბეჭდილი ფურცლებით მოუმზადებიათ და არც გამოცდილ ორატორთა მოწოდებებით. სამაგიეროდ, რა მჭევრმეტყველური იყო მამაკაცების საქციელი, რა გამომსახველი იყო აღელვებულ ქალთა ყვირილი, რა უძლეველი — ბრბოს იერიში და საერთო მრისხანება! მამ-



გრამ ხალხის ზღვა, გიგანტურ მორევში მოხვედრილივით, თითქოს გაირინდა, სროლის ხმა თანდათან გახშირდა ყოველი მხრიდან, მერე კი ჩახლეჩილი ბანით ზარბაზანიც ალაპარაკდა.

— კავალერია, ფრანგების კავალერია! — გაისმა წინა რიგებში.

ბევრი უკვე უკან გამორბოდა — სახეზე, ხელებზე და მკლავებზე ხმლის ნაკვალევი და სისხლი აჩნდათ.

სისხლის დანახვაზე დანარჩენები სულაც არ შემდრკალან — ისინი გახურებულ ბრძოლისაკენ მიიწვედნენ, იქ, სადაც ფეთქებოდა ფინდიხი და გრუხუნებდნენ ქვემეხები... სოფია სწორედ ამ დროს მოსწყდა ფანჯარას.

— წავიდეთ! — იყვირა და კედლიდან ხანჯალი და ხმალი ჩამოვლიჯა.

ესტებანმა სცადა შეეკავებინა:

— ეგ ხომ სისულელეა: ქვემეხებს ისვრიან, რას გააწყობ ამ დაუანგული ხარახურით?

— შენ თუ გინდა დარჩი! მე მივდივარ!

— მაგრამ ვისი გულისთვის აპირებ ბრძოლას?

— იმათთვის, ვინც ქუჩაშია გამოსული! — შეჰყვირა სოფიამ, — რაღაცა უნდა ვიღონოთ!

— რა, მაგალითად?

— რა ვიცი, რამე.

და ესტებანმა დაინახა მრისხანებისგან თავდავიწყებული სოფია როგორ გავარდა სახლიდან: კაბა მხრიდან გადავარდნოდა, ხმალი თავზემით მოეღერებინა. არასდროს სჩვენებია მას სოფია ასეთი ძლიერი და თავგანწირული.

— დამიცადე! — მიაძახა ესტებანმა.

კედლიდან სანადირო თოფი ჩამოვლიჯა და კიბეზე ჩაირბინა... ეს იყო ყველაფერი, რაც კარლოსმა შეიტყო. ქალაქში კვლავ დიდხანს მძვინვარებდა ვნებათაღელვა, იქაურობა გრუხუნსა და ბრბოს ყვირილს მოეცვა, ყველგან უთანასწორო შეტაკებათა ქაოსი გამეფებულიყო. ქალაქელებზე კირასირებს, ცხენებზე ამხედრებულ მამლუქებს და პოლიონელ გვარდიელებს მიჰქონდათ იერიში, მადრიდის მკვიდრნი კი მათ ცივი იარაღით ხვდებოდნენ, დანებმომარჯვებული ქალები თუ კაცები ცხენებს ფეხქვეშ უშიშრად უცვივდებოდნენ მათთვის მყესების გადასაჭრელად. ჯარისკაცთა რაზმები აჯანყებულებს გარს ერტყმოდნენ და შუაში იმწყვდევდნენ, ისინი კი სახლებში დამალვას და გაქცევას ლამობდნენ — მესერს თავს გადაეღებოდნენ და სახურავებზე ადიოდნენ. ფანჯრებიდან ფრანგებს მუგუზღებს, ქვებსა და აგურებს აყრიდნენ; ზედ აღუღებულ ზეთით სავსე ქვაბებს აპირქვაებდნენ. აჯანყებულთა ერთმა ჯგუფმა ქვემეხი იგდო ხელთ და მაშინაც კი, მამაკაცები ერთმანეთის მიფოლებით ძირს რომ დაეცნენ, ქვემეხი სროლას მაინც აგრძელებდა — ქმრებსა და ძმებს გააფთრებული ქალები სცვლიდნენ და ანთებულ პატრუქებს ქვემეხებს უმარჯვებდნენ. მადრიდში ვულკანის ამოფრქვევის დარი დიდი კატაკლიზმები მეუფებდა; გეგონებოდათ, ცეცხლი, რკინა და ფოლადი — ყველაფერი, რაცა სჭრის ან რაც სწევას — თავიანთ პატრონებს ამხედრებოდა, და ახმთანდა განკითხვის დღის საყვირის ხმა... შემდეგ ჩამოდგა ღამე. უღმობელი ხოცვა-ყლეუტისა, სისხლის ღვრისა და განადგურების; ხალხს შეუბრალებლად ხვრეტდნენ მანსანარესის სანაპიროზე და მონკლოის უბანში. მანამდე ქალაქში მოდებულ უთავბოლო ბათქაბუთქს ახლა აქა-იქლა გაიგონებდით. გარკვეული შუალედის შემდეგ ყოველ ბრძანებას თან ქვემეხთა გრუხუნი მოსდევდა, ტყვიით დაცხრილული და სისხლით შეღებილი კედლები კი



ავბედითი დეკორაციის მაგივრობას უწევდა ამ სცენებს. მაისის იმ ღამეს დრო ძალზე ნელა გადიოდა, გვეგონებოდათ, დაღვრილი სისხლისა და საშინელებისაგან დამძიმებულ საათებს ღონე გამოსცლოდათ. ქუჩებში გვაძებნიდნენ, კვნესოდნენ ფეხზე წამოდგომის ილაჯწართმეული დაჭრილები — მათ ადგილებზევე ათავებდნენ მირმიდონელი პირქუში პატრულები; აქა-იქ გამოჩნდებოდა ვიღაც კაცი ფარნით ხელში და აუარებელ დახოცილთ შორის მთელ ქალაქში გულმოდგინედ ეძებდა მისთვის ძვირფას მიცვალებულს; ფარნის შკრთალი და მოცახცახე შუქი ანათებდა ჰუსართა დაფლეთილ მოსასხამებს, დაგლეჯილ ბუზმენტებს, დაჭმუჭნულ კივერებს, რაც მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა ომის უბედურებაზე... სოფია და ესტებანი აღარ დაბრუნებულან გრაფინია დე არკოსის სახლში. იმის თქმაც არავის შეეძლო, როგორ დაიხოცნენ ან სად დაიმარხნენ.

კარლოსმა შეიტყო ის მცირეოდენი ამბავი, რისი შეტყობაც შეიძლებოდა. მადრიდში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ბრძანა დაელუქათ ყუთები, სადაც ოჯახში სახმარი ნივთები, წიგნები და ტანსაცმელი ელაგა, ისინი თავისი ფორმით, სუნით თუ ნაკეცებით გაახსენებდა იმათ, ვისაც სამუდამოდ დაეტოვებინა ეს ქვეყანა. ქვემოთ კარლოსს სამი ეკიპაჟი უცდიდა, რათა მთელი ეს ტვირთი საფოსტო სადგურში წაეღოთ. გრაფინია დე არკოსის სახლი მფლობელებს დაუბრუნდა, და იმ დღიდან კვლავ გაუკაცრიელება ელოდა. კარებს ერთმანეთის მიყოლებით კეტავდნენ გასაღებით და მიტოვებულ სახლში თანდათანობით სიბნელე ისადგურებდა. იდგა ზამთარი, ქალაქს თავზე ნაადრევად დასწოლოდა ბინდი, ოთახში სანთლები ჩააქრეს, ბუხარში ნახევრად დამწვარი მუგუზლები ერთად მოაქუჩეს და წითელი თლილი გრაფინით წყალი დაასხეს.

უკანასკნელი კარი რომ დაკეტეს, თავისსავე ადგილზე დატოვებული კათედრალურ ტაძარში აფეთქების წარმომსახველი სურათი — შესაძლოა წინასწარი აკვიატების გამო — თითქოს გადაიდლაბნა, გადნა, ლამის უბრალო მუქ ლაქადღა ჩანდა სასტუმრო ოთახის კედლებზე გაკრულ მუქი წითელი ფარჩის ფონზე, იქ, სადაც ქსოვილი ნესტს დაესველებინა, ფარჩას თითქოს სისხლი სდიოდა.

გვადელუკა, ბარბადოსი, კარაკასი.

1956-1958 წ.

### ვიქტორ იუგის სახის ისტორიული უტყუარობისთვის

ვიქტორ იუგი თითქმის უცნობია საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში — იქ ძალზე დაწვრილებით არის აღწერილი ევროპაში მომხდარი მოვლენები კონვენტის პერიოდიდან მოვიდებულ თვრამეტი ბრიუმერით დამთავრებული, მაგრამ თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს დათმობილი იმას, თუ რა ხდებოდა ამ დროს კარიბის ზღვის შორეულ მხარეს — ამიტომაც წიგნის ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ორიოდ სიტყვა თქვას ვიქტორის სახის ისტორიულ უტყუარობაზე.

ცნობილია, რომ ვიქტორ იუგი დაიბადა მარსელში მეფუნთუშის ოჯახში, — არსებობს იმის სავარაუდო საფუძვლებიც, რომ მას ძარღვებში ზანგური სისხლიც



ქონდა შერეული, თუმცა ამის დამტკიცება ძნელია. ბავშვობიდანვე იტაცებდა ზღვა, რომელიც—განსაკუთრებით მარსელში—ადამიანებს, ჯერ კიდევ პიტუესისა, და ფინიკიელი ვაჭრების დროიდან, თავგადასავლებისაკენ მოუწოდებს. აი, რატომ მოეწყო იუნგად ამერიკაში მიმავალ ხომალდზე, რის შედეგადაც დიდხანს მოუხდა კარიბის ზღვაში ცურვა. იყო შტურმანი და ლოცმანი, საეაჭრო გემები დაჰყავდა ანტილის კუნძულებზე, ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, იტუნდა ~~ქვემოც~~ დილებას, მერე კი საბოლოოდ მიატოვა მეზღვაურის კარიერა და ისტორიკოსის ხსში გახსნა დიდი მალაზია თუ *comptoir*,\* სადაც ყველანაირი საქონელი ქონდა, ამ საქონელს ათასგვარი გზით იძენდა და აგროვებდა: ყიდულობდა, მერე კვლავ ჰყიდდა, არ თაკილობდა კონტრაბანდას, აბრეშუმს ყავაზე სცვლიდა, ვანილს — მარგალიტზე, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ ჭრელი, ეგზოტიკური სამყაროს საპორტო ქალაქში არსებული სავაჭრო ფირმებისათვის.

ისტორიაში ვიქტორ იუგი შევიდა იმ დამეს, როცა ჰაიტელმა აჯანყებულებმა მალაზია და საწყობი დაუწვეს. იმ დღიდან მოკიდებული ჩვენ შეგვიძლია ფეხდაფეხ მივსდით იუგის კვალს — ის ზუსტად ისეთი იყო, როგორც ამ წიგნშია აღწერილი. იმ თავებში, სადაც გადმოცემულია გვადელუპას განთავისუფლება ინგლისელთა ძალაუფლებისაგან, ყველა მოვლენა იმ თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი, როგორც სინამდვილეში მოხდა. რაც შეეხება შეერთებული შტატების წინააღმდეგ იუგის მიერ წამოწყებულ ომს — იმ დროს ამერიკელები მას „პირატულ ომს“ უწოდებდნენ — ანდა კორსარების მოქმედებას, რაც შეეხება კორსართა სახელებსა და ხომალდთა სახელწოდებებს, აქ ავტორი ეყრდნობა გვადელუპაზე და კუნძულ ბარბადოსის ბიბლიოთეკებში შეკრებილ დოკუმენტებს და ხელმძღვანელობდა ლათინურ-ამერიკული ისტორიკოსების მოკლე, მაგრამ ძალზე არსებითი ცნობებით, სადაც გარკვევით არის მოხსენიებული ვიქტორ იუგი.

იუგის საფრანგეთის გვიანაში მოღვაწეობასთან დაკავშირებით კი მრავალი მასალა მოიძებნება გადასახლებულთა ცხოვრების აღმწერ მემუარებში. ვიქტორის გამოჯანმრთელების შემდეგ იქ მოვლენები ასე განვითარდა: იუგმა საფრანგეთის ეს კოლონია პოლანდიას ჩააბარა—კაპიტულაცია, კაცმა რომ თქვას, გარდუვალი იყო, — რის გამოც პარიზში იგი სამხედრო სასამართლოს გადასცეს. მრისხანე გამოცდიდან სახელმწიფოებრივად თავდაღწეული იუგი (ის ყველაფერში გაამართლეს) ისევ პოლიტიკურ მოღვაწეობას უბრუნდება. ცნობილია, რომ იგი ახლოს იყო ფუშესთან. ისიც ცნობილია, რომ იუგი პარიზში იმყოფებოდა ნაპოლეონის იმპერიის დამხობის დღეებში.

მაგრამ შემდეგ მისი კვალი იკარგება. ზოგიერთი ისტორიკოსი — იმ მცირეოდენ ისტორიკოსთა შორის, ვინც გაკვირით მაინც მოიხსენიებს მას (მე არ ვგულისხმობ პიერ ვიტს, რომელმაც ვიქტორ იუგს ოციოდე წლის წინათ დიდი შრომა მიუძღვნა, მაგრამ დღემდე არ გამოქვეყნებულა) — გვამცნობს, რომ 1820 წელს იგი გარდაიცვალა ბორდოს გარეუბანში, სადაც თითქოსდა „ფლობდა მიწებს“. დიდოს „მსოფლიო ბიბლიოგრაფია“ იუგის გარდაცვალების თარიღად 1822 წელს მიიჩნევს. გვადელუპაში კი, სადაც ვიქტორ იუგის სახე ჯერ კიდევ შემორჩენია ადამიანთა ხსოვნას, ირწმუნებიან, რომ ნაპოლეონ პირველის იმპერიის დამხობის შემდეგ იგი გვიანაში დაბრუნდა, სადაც მამული და ქონება დარჩაო. გვადელუპას ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ავტორების ცნობით, იუგი დი-

\* აქ: სავაჭრო კანტორა (ფრანგ.).



დხანს იტანჯებოდა რაღაც ავადმყოფობისაგან, რაც ადვილი შესაძლებელია კეთრი იყო, მაგრამ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით უფრო კიბო უნდა ყოფილიყო.\*

როგორი იყო სინამდვილეში ვიქტორ იუგის აღსასრული? ეს არ ვიცით; ამასთან, ძალიან ცოტა რამ ვიცით მისი ადრეული ცხოვრების წლებზე, მაგრამ ერთი რამ ეჭვს არ იწვევს: მისი ისტორიული მოღვაწეობა — პირველ ეტაპზე — ვაჟაკური, ეპიტომური, გმირული, მეორე ეტაპზე კი — შემთანხმებლური, წინააღმდეგობრივი, მსგავსებიანი და ხანდახან ცინიკურიც კი — გვიხატავს არანეულებრივი ადამიანის სახეს, რომლის საქციელი აღინიშნებოდა ტრაგიკული გაორებით. აი, რატომ მიიჩნია ავტორმა საჭიროდ ამ ნაკლებად ცნობილი ისტორიული პიროვნებისთვის მიეძღვნა რომანი, რომლის მოქმედება მოიცავს მთელი კარიბის ზღვის მხარეს.

ა. კ.

კომენტარები

1. „ზოკარი“ — შუა საუკუნეების ერთ-ერთი ებრაული რელიგიურ-მისტერიული ნაწარმოები.
2. სარგასუმის წყალმცენარეები მოცურავდნენ სარგასოს ზღვიდან — სარგასოს ზღვა — ატლანტის ოკეანის ნაწილი, მდებარეობს სუბტროპიკულ განედებში. სახელი ეწოდება მის ზედაპირზე დიდი რაოდენობით მცურავ სარგასუმის წყალმცენარეების გამო, რომელთა სიგრძე 1-2, ზოგჯერ კი 10 მეტრია.

ნაწილი პირველი

1. „სადაც მალანგის გარემოცვაში პალმის ორი ძრო ყველა არქიტექტურული ანსამბლისთვის უცხო სვეტებივით აღმართულიყო — მალანგა — ბანანის სახესხვაობაა.

II

1. მარციპანი — გახეხილი ნუშისაგან, კაკლის ან გარგარის გულისგან მომზადებული ცომისებური მასით დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი.
2. ალონსო ბერუპეტი (1480-1561) — ესპანელი მხატვარი.
3. ხუსეპე დე რიბერა (მეტსახელად სპანიელბო) — ესპანელი ფერმწერი და გრაფიკოსი. XVII ს. ესპანური მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი ადრინდელი ნაწარმებისათვის დამახასიათებელია შუქისა და ჩრდილის მკვეთრი კონტრასტები. 1620-30 წლებში შექმნა წმინდანთა, აგრეთვე ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა გამოსახულებანი.
4. ნაზი წინაპრები ესტრემადურლანდის შთამომავლები არიან... — ესტრემადურა ესპანეთის ერთ-ერთი პროვინციაა. ესტრემადურელმა რაინდებმა დიდი როლი ითამაშეს ახალი მიწის დაპყრობაში. მექსიკის დამპყრობელი ერნანდო კორტესი და პერუს დამპყრობი ფრანსისკო პისარო ესტრემადურელები იყვნენ.
5. ტარპეის კლდე — კაპიტოლიუმის ბორცვის დასავლეთი კლდის სახელწოდება ძველ რომში. ამ კლდიდან ყრიდნენ სიკვდილმისჯილ სახელმწიფო დამნაშავეებს. ტარპეის კლდის სახელწოდება წარმოდგება კაპიტოლიუმის ციხესიმაგრის სპერიუს ტარპეიუსისაგან, რომელმაც საბინებთან ბრძოლის დროს კაპიტოლიუმი მათ გადასცა. მეფე რომულუსის ბრძანებით იგი კლდიდან გადააგდეს.

\* ავტორის შენიშვნა: ეს სტრიქონები უკვე გამოქვეყნებული მქონდა მექსიკაში დაბეჭდილი ამ წიგნის პირველი გამოცემის ბოლოს, როცა, პარიზში ყოფნისას, შესაძლებლობა მომეცა, გავცნობოდი ვიქტორ იუგის პირდაპირ შთამომავალს — ჩემი გმირის ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი საოჯახო დოკუმენტის მფლობელს. მიჰგან შევიტყვე, რომ ვიქტორ იუგია საფლავი კაიენადან ცოტა მოშორებით იმყოფება. ერთ-ერთი დოკუმენტის თვალყურებისას განსაცვიფრებელი რამ აღმოვაჩინე: მრავალი წლის მანძილზე ვიქტორ იუგს თავდავიწყებით ჰყვარებია ლამაზი კუბელი ქალი, რომელსაც, იშვიათი დამთხვევის წყალობით, სოფია რქმეფია.



6. **ქალიან უნდოლა ლექსინგტონის ბრძოლის ვალის ხილვა...** — ლექსინგტონი — ახლანდელი ნიუ-იორკის შტატი; 1775 წელს ამერიკელმა პატრიოტებმა აქ ბრძოლა გაუმატეს ინგლისის ჯარს. 19 აპრილს დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა, რომლის შედეგად გამოცხადდა აშშ-ის დამოუკიდებლობა.

III



1. კარადიდან კარადაზე გადაებულ სკივრს „დრეიდების“ ბილივი ერქვა... — **ფრუიფილი** — კულტების ქურუმები.

2. ...ალბერტ დიდი მუშაობას შეუდგაო... — **ალბერტ დიდი (1198-1280)** — გერმანელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და ბუნებისმეტყველი. არისტოტელეს ფილოსოფიის საფუძველზე შექმნა კათოლიკური ღვთისმეტყველების ერთიანი სისტემა. ეკუთვნის შრომები ლოგიკაში, ფიზიკასა და ეთიკაში. აქვს აგრეთვე საბუნებისმეტყველო ნაშრომები, მან გავლენა მოახდინა როგორც თავის თანამედროვე, ისე შემდგომი დროის ფილოსოფოსებზე.

IV

1. ...კიურასოს კუნძულებზე სეფარდების ვეება სასაფლაოს... — **სეფარდები** — კასტილიიდან და არაგონიდან 1492 წელს გაძევებული ესპანელი ებრაელების შთამომავლები. მათ ეკრძალებოდათ ესპანეთის ამერაკულ სამფლობელოებში ცხოვრება, მაგრამ პოლანდიის ამერიკულ კოლონიებში ყველა უფლებით სარგებლობდნენ.

2. **სან-დომინგო** — კუნძულ სანტო-დომინგოს ფრანგული სახელწოდება.

3. ბატონმა იუგმა ჯერჯერით წარმოადგინა **მუციუს სცევოლა**, **გაიუს გრაკუსი** და **დეიოსიანე**, — ბერძენი ორატორი მაყურებელმა უმაღლესი შეიქნო, როგორც კი პატიოში კენჭების საძებნელად გავიდა... — მუციუს კვინტუს სცევოლა — რომაელი იურისტი. მისმა თხზულებებმა საფუძველი დაუდო სამოქალაქო სამართლის მეცნიერების დამუშავებას, დიდი გავლენა მოახდინა რომაული იურისპრუდენციის შემდგომ განვითარებაზე; გაიუს გრაკუსი — ძველი რომის პოლიტიკური მოღვაწე. გაიუსი 123-122 წ. აიარჩიეს სახალხო ტრიბუნად. გაატარა მთელი რიგი დემოკრატიული რეფორმები, მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო რომის საზოგადოების დემოკრატიზაციას; გადმოცემით ცნობილი ათინელი ორატორი დემოსთენე ახილგაზრდობაში ენაბრგვნილი იყო და თავი რომ დაედწია ამ ნაკლისაგან, მჭევრმეტყველებაში ვარჯიშობდა, რის დროსაც პირში კენჭებს იწყობდა.

4. **ფრიდრიხ პრუსიელი** — იგულისხმება პრუსიის მეფე ფრიდრიხ II (1740-1786), რომელიც პოეზიითა და მუსიკით იყო გატაცებული.

5. წარმოადგინა ჯერ ინეს დე კასტრო; მერე ხუანა შეშლილი, შემდეგ ცნობილი „ქურჭლის მრეცხავი“... **ინეს დე კასტრო (1820-1855)** პორტუგალიელი პრინცის დონ პედროს საყვარელი; ხუანა შეშლილი (1479-1555) — იმპერატორ კარლოს V-ის დედა, ჰქუაზე შეიშალა ქმრის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ სიკვდილამდე ითვლებოდა კასტილიის დედოფლად; „ქურჭლის მრეცხავი“ ესპანეთის მეფის კარლოს IV-ის ცოლი, მარია ლუისა, უნიკო მედროვის გოდონის საყვარელი.

V

1. „**მოთაბაზი**“ — ცნობილი ფრანგი დრამატურგის ჟან ფრანსუა რენიარის (1655-1709) კომედია.

2. ჩილაპარაკა კარლოსმა და შეეცადა ფარენჰაიტის სკალიდან გრადუსი რეომიურის სკალაზე გადაეტანა... — **ფარენჰაიტის სკალა** — ტემპერატურის სკალა, შემოიღო გერმანელმა ფიზიკოსმა დ. ფარენჰაიტმა; რეომიურის სკალა — პრაქტიკული ტემპერატურის სკალა, 1730 წ. შემოიღო რეომიურმა.

VI

1. გონებადაფანტული ჩასცქეროდა წიგნს, სადაც პატროკლესა და ენეასის გმირობა იყო მოთხრობილი... — **პატროკლე** — ძველ ბერძნულ ეპოსში: ტროას ომის ერთ-ერთი მთავარი გმირი, აქილევსის მეგობარი. მოკლა ჰექტორმა; ენეასი — ტროას ომის მონაწილე, ტროელი გმირის ანჭიზეს და აფროდიტეს ვაჟი; მამაცი, ბრძენი და პირდაპირი, ხალხი შთამომავლობის გამო თავიანთსა სცემდა როგორც ღმერთს.

2. **ლიპურგი** — ლეგენდარული სპარტელი კანონმდებელი (ძვ. წ. IX VIII ს. ს. მან მიაწერენ სპარტის საზოგადოების და სახელმწიფო წყობილების თითქმის ყველა ინსტიტუტის



შექმნას. რაც სინამდვილეში ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგი იყო. სპარტაში არსებობდა ლიკურგეს, როგორც სინათლის ღვთაების განსაკუთრებული კულტი.

VIII

1. **ფრანკმასონობა** — იგივეა, რაც მასონობა — რელიგიოზო-ეთიკური მოძრაობა, აღმოცენდა XVIII ს. ინგლისში. მასონები გაერთიანებულნი იყვნენ „მძობის, სიყვარულის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპით“. 1714 წ. უკრძალავს შექმნა „დიდი ლოჯა“. მასონი არც ათეისტი იყო და არც რელიგიის გარეშე წყუჯაღარა უწყვეტადი მოაზროვნე. უარყოფდნენ საეკლესიო დოგმებს, მაგრამ თავიანთ სცემდნენ ღმერთს, როგორც „სამყაროს დიდ არქიტექტორს“. მასონები ერთმანეთს ძმებს უწოდებდნენ. ერთიანდებოდნენ ადგილობრივ ორგანიზაციებში — ლოჯებში, ამ ლოჯებს კი აერთიანებდა „დიდი ლოჯა“, რომლის სათავეში იდგა დიდი მაგისტრი. სიმბოლური ნიშნები — ფარგალი, ჩაბუჩი, შვეული, წინსაფარი და სხვ. ნასესხები ჰქონდათ შუა საუკუნეების მშენებელ-კალატორების საამქრო გაერთიანების პრაქტიკიდან. ფრანკმასონობამ თანდათანობით არისტოკრატიული ხასიათი მიიღო, მასში გაძლიერდა მისტიციზმის ელემენტები. შეიქმნა მდიდრული რიტუალი. მასონთა სოციალური შემადგენლობა, ფილოსოფიური სისტემა თუ პოლიტიკური პოზიცია არ იყო ერთგვაროვანი. სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში მისი მიმდევრები იყვნენ მეფეები, აშშ-ის პრეზიდენტები ჯ. ვაშინგტონიდან პ. ტრუმენამდე, ფილოსოფოსები და მწერლები: ლესინგი, ვოლტერი, ფიხტე, გოეთე; კომპოზიტორები მოცარტი, ჰაიდნი და სხვ. XX ს. 60-იან წლებში მსოფლიოში მასონთა ლოჯების 8 მილიონი წევრი იყო.

2. პაპმა **კლიმენტიმ** და პაპმა **ბენედიქტმა** ეკლესიისგან განაძევეს ეს ბიჭიერნი... — მასონიზმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ რომის პაპები. 1738 წელს გამოქვეყნდა პაპი კლიმენტი XII-ისა და პაპი ბენედიქტ XIV-ის რამდენიმე ბულა; მათში გაკიცხული იყო მასონიზმი, ხოლო კათოლიკე მასონები განკვეთეს ეკლესიისგან.

3. ისინი თავიანთი სცემდნენ **ჰირამ აბის...** — აქ იგულისხმება მასონთა მითური წინამორბედი.

4. თავიანთ საიდუმლო ცერემონიებში განადიდებდნენ ოსირისსა და ისიდას. **ოსირისი, ოზირისი** — ძველ ეგვიპტურ რელიგიაში მცენარეულის, მთვარის, ნილოსის უზენაესი ღმერთი. მითის მიხედვით კვდებოდა შემოდგომობით და კვლავ აღსდგებოდა გაზაფხულობით, ითვლებოდა აგრეთვე საიქიოს ხელმწიფედ, გარდაცვლილი სულების მსაჯულად; **ისიდა, იზიდა** — ძველ ეგვიპტელთა უზენაესი ქალღმერთი, ოსირისის და და მეუღლე. ნაყოფიერების, სიცოცხლის მფარველი.

5. **კადეში, კადეში** — ქალაქი-სახელმწიფო ძველ სირიაში, ამავე სახელწოდების ქალღმერთის კულტის ცენტრი. კადეში იხსენიება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან. ძვ. წ. XV ს. დაიპყრო ეგვიპტემ, მოგვიანებით ზეთების ვასალი გახდა.

6. **ტამპლიერები, მებაძრეები** — შუა საუკუნეებში ერთ-ერთი კათოლიკური სასულიერო-რაინდული ორდენის წევრები. ორდენი დაარსეს ფრანგმა რაინდებმა იერუსალიმში I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ (დაახლ. 1118-19). ორდენის მიზანი იყო სალოცავად მავალთა დაცვა და პალესტინასა და სირიაში ჯვაროსანთა სამფლობელოების განმტკიცება-გაფართოება. ტამპლიერები ეწოდათ ორდენის დამაარსებელთა თავდაპირველი რეზიდენციის სახელწოდების მიხედვით. იგი იმყოფებოდა ეკლესიის მახლობლად, რომელიც, გადმოცემით, სოლომონის ტაძრის ადგილზე იყო აგებული. ტამპლიერები ატარებდნენ თეთრ მოსახამებს, რაზედაც წითელი ჯვარი ჰქონდათ გამოსახული... XIV ს. საფრანგეთის მეფე ფილიპ IV ლამაზი იწყებს ორდენის წინააღმდეგ ბრძოლას. ტამპლიერებს ბრალად დასდეს მწვალებლობა. 1312 წ. ორდენი საბოლოოდ გააუქმეს.

7. **შაპ დე მოლე** — ტამპლიერების ორდენის უკანასკნელი მაგისტრი, 1310 წელს დაწვეს „ჯადოქრობისთვის“, სატანასთან ურთიერთობისთვის.

8. ეს ხალხი წმინდანებზე კი არა, ბაალზე, ასტარტესა და ბეჰემოთზე ლოცულობს. **ბაალი** — ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული სემიტური ღვთაება. თავიანთ სცემდნენ წინა აზიაში, არაბეთსა და კართაგენში. ბაალი არის „უზენაესი უფალი ხმელეთისა“, მთის მწვერვალთა, ღრუბელთა და საერთოდ ტაროსის მეუფე, იგი წვიმის მომყვანი ღვთაებაა და ნაყოფიერების კულტს უკავშირდება; ასტარტე — ფინიკიელთა და ქანაანელთა ნაყოფიერების, სიყვარულის, სილამაზისა და მთვარის ქალღმერთი, ბაალის მეუღლე (თუ და). ასტარტეს ქურუმი ქალები — ჰიეროდულები ე. წ. საღვთო პროსტიტუციას ეწოდნენ. ასტარტეს გამოსახავდნენ შიშველ ქალად, თავზე ძროხის რქებით.



9. ფილანთროპია — ქველმოქმედება, კაცთმოყვარეობა, მოწყალება.

10. მრფევისი — ბერძნულ მითოლოგიაში მომღერალი, რომლის სიმღერა ხიბლავდა არა მარტო ადამიანებს და ცხოველებს, არამედ ქვებს, კლდეებს, მდინარეებს..

X

1. „ერთადერთი მემკვიდრე“ — ჟ. რენიარის კომედია.

2. „ამირა და აზორი“ — ფრანგი კომპოზიტორის ანდრე გრეტის (1741-1813) ოპერა.

3. თუე ჰყვებოდა მაგნეტიზმის სასწაულებზე, ტრადიციული ფსიქოლოგიის ბავშვებზე და სხვა, ანდა საიდუმლო ორდენებზე... — ლაპარაკია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებულ რაინდულ ორდენებზე.

4. ავინიონელი ილუმინატები... — ილუმინატების ორდენი შეიქმნა 1776 წელს ბავარიის ვაისპაუტის ხელმძღვანელობით. ილუმინატების ორდენის შექმნით ა. ვაისპაუტმა სცადა მასონიზმი გადაექცია საგანმანათლებლო ხასიათის საიდუმლო ორგანიზაციად. ამ შემთხვევაში კი ლაპარაკია ავინიონელ (საფრანგეთის) ილუმინატებზე.

5. როზენკროციანები — შუა საუკუნეების რაინდული ორდენი.

6. ...ხმარობდა აგრეთვე კაბალადან და პლატონის მიმდევართა მოძღვრებიდან ნასესხებ ცნებებს, ხშირად კატარგებსაც ეყრდნობოდა... — კაბალა შუა საუკუნეების მისტიკური მიმართულების ებრაულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სერია; კატარგები — შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ერესის მიმდევრები, უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიას და ცდილობდნენ ადრეული ქრისტიანული ნორმების აღდგენას.

7. იგი ხან ტიტანთა შერკინებას მოგაგონებდათ, ხან ლაოკონსა და მის ვაჟიშვილებს... — ლაოკონი — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში აპოლონის ქურუმი ტროაში. დმერთების გადაწყვეტილების მიუხედავად შეეცადა გადაერჩინა ტროა. ამის გამო იგი დაახრჩვეს გველებმა თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად.

8. ... ხან შქროლავ კვადრიგას... — კვადრიგა — ანტიკური ორთელიანი ეტლი, რომელშიც ერთმწყრივად აბამდნენ ოთხ ცხენს; მეეტლე დგომელა მართავდა ეტლს.

9. ქალიშვილს ვერ დაეჭვებინა, რომ გოლოტურიები ხეივანს ყლაპავდნენ. გოლოტურიები ეკუთვნიან კანეკლიან ცხოველებს, ტანი 1 მეტრამდე ეზრდებათ, აქვთ კიტრის მოყვანილობა, ცხოვრობენ ზღვაში, ზოგიერთ ადგილებში იყენებენ საჭმელადაც.

10. „ნარკალი“ — ზღვის მარტორქა.

XI

1. გიგანტი, რომელიც ზედ ზვირთსაქრელის კიდესთან იდგა და ხალხს ვეება კლმასს წონით სთავაზობდა, ბენვენუტო ჩელინის ნამუშევარს, პერსევსს ჰგავდა... — ბენვენუტო ჩელინი (1500-1574) იტალიელი მოქანდაკე, ოქრომჭედელი, მწერალი, ეკუთვნის ვირტუოზულად დამუშავებული ქანდაკება „პერსევსი“ (1545-1554), ბიუსტები, დეკორატიული ნამუშევრები, ეკუთვნის აგრეთვე ტრაქტატები საოქრომჭედლო ხელოვნებასა და ქანდაკებაზე, აგრეთვე ავტობიოგრაფიული ნაწარმოები — „ცხოვრება ბენვენუტოსი, ოსტატ ჯოვანე ჩელინის ძისა“, გამოსცა 1728 წ., პერსევსი — მაკედონიის უკანასკნელი მეფე (213-166).

ნაწილი მეორე

XII

1. „ტრაქტირი, რომლის აბრაზე კასრზე შემომჯდარი სილენი ეხატა... — სილენი — სილენოსი — ტყის კეთილი დემონი, ბაკქოსის განუყრელი თანამგზავრი. ღვინის ტიკია მისი განუყრელი ატრიბუტი.

2. იმ უბნის წიგნით მოვაჭრეებმა ესტებანს „გურონი“ შეარქვეს... — გურონი — ვოლტერის მოთხრობის „გულუბრყვილოს“ გმირი. იგი ინდიელია, გურონის ტომის წარმომადგენელი, რომელიც საფრანგეთში მოხვდა და მწარე გამოცდილებით შეიცნო ევროპული „ცაგილიზაციის სიკეთე“.

3. რევოლუციას ესალმებოდნენ და უმღეროდნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ იერემია ბენტამი, შილერი, კლოპშტოკი, პესტალოცი, კანტი, ფიხტე — იერემია ბენტამი (1748-1832) — ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, სამართალმცოდნე, ფილოსოფოსი, ფრიდრიხ გოტლიბ კლოპშტოკი — გერმანელი პოეტი; იოჰან ჰინრიხ პესტალოცი (1746-



- 1827) — დიდი შვეიცარიელი პედაგოგი; **იოჰან გოტლიბ ფიხტე** (1782-1814) — გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, კანტის მოწაფე.
4. ამასთან უშუალოდ პირით აგინებდნენ იბერიის დინასტიის ყველა წევრს... — იგულისხმება **ესპანეთის ბურბონთა დინასტიის მფუძვლები და პრინციები**.
5. **ანახარსის კლოტცი** — ჟან ბატისტ დე ვალდე გრასი, ბარონი კლოტცი (1755-1794), პრუსიის ქვეშევრდომი, ცხოვრების მეტი წილი პარიზში გაატარა, ძველბერძნული დემოკრატიის სიყვარულის გამო ბერძნული სახელი ანახარსისი დასწავლის მიზნით საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისშივე მისი აქტიური მონაწილე გახდა. წამოაყენა მსრფხტს ხალხების ერთ ოჯახად გაერთიანების პროექტი.
6. ახლა იგი ფრთხილად უახლოვდებოდა გრაალის ფიალის საიდუმლოებას — **ბრაალის თასი** — ჯადოსნური თასი, ინახებოდა მოჯადოებულ კოშკში, რომელსაც წყველა მოგზავნიდნენ მასში, თუ თასს ვინმე ღირსეული რაინდი დაეპატრონებოდა.
7. **იაკობ ბიომე** (1575—1624) — გერმანელი ფილოსოფოსი, მისტიკოსი, ორიგინალური მოაზროვნე.
8. ... საკუთარი თავის პოვნის მოსურნე პარციფალისა არ იყოს... **კარცისალი** — შუა საუკუნეების დიდი ჩრდილოეთური ებოსის გმირი. მრგვალი მაგიდის რაინდი. გრაალის თასის შიძიებელი.
9. ყველა ეს ადგილი იუწყებოდა, რომ ჩქარა მიადწევდნენ ასპის ველზე. **ასპი** — საფრანგეთის პირინეების ველი, ესპანეთის საზღვრის მახლობლად.
10. მატეო ფრანკმასონი იყო, ისევე როგორც ბრუნელესკი, ბრამანტი, ხუან დე ერერა... — **მატეო** — ესპანელი ხელოვნების მოძრაობის XII ს. მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული არქიტექტურული ძეგლების აგება სანტიაგო დეკომპოსტელსა და ესპანეთის პროვინცია გალიციაში, სადაც შუა საუკუნეების მომლოცველები მიემართებოდნენ იაკობ მოციქულის აკლდამის თავჯანის საცემად; **ვილიამ ბრუნელესკი** (1377-1446) — ფლორენციელი არქიტექტორი სანტა-მარია დელ ფიორეს ტაძრის გუმბათის შემოქმედი; **დონატო ბრაშანტი** (1444-1514) დიდი იტალიელი ხელოვნების მოძრაობის რენესანსის შემდეგ დასრულდა; **ხუან ერერა** (1530-1597) — ესპანელი არქიტექტორი, ესკურიალის მშენებელი...
11. კაბუჯი ამოკალიფსში ნახსენებ ვარსკვლავ აფსინთზე ოცნებობდა... — „და სახელი ვარსკვლავისა, მის არს აფსინთი ჯდა გარდაქცა შესამედი წყლისა აფსინთად; და მრავალნი კცთაგანა მოსწყდეს წყალთა მიერ, რამეთუ დამწარდეს“.

XIII

1. ... და იმაზე თუ როგორ უნდა მიეღოთ ქიმიური საშუალებით **ბოჰანის შხამი**... — ლაპარაკია ძლიერ შხამზე, რომელიც XVI-XVII სს. გავრცელებული იყო იტალიაში.
2. **იოჰან კასპარ ლაშატიერი** (1741-1801) — შვეიცარიელი მღვდელი, ცნობილი გახდა თავისი ნაშრომებით, რომლებშიც ამტკიცებდა, რომ ადამიანის ხასიათი და სულიერი წყობა შეიძლება განესაზღვროთ თავის ქალის ფორმით და სახის კუნთების აგებულებით.
3. ხანდახან საღამოობით **გოტორბის ჯადოსნურ ციხე-კოშკს** ნისლი რომ მოიცავდა იგულისხმება ძველი ციხე-კოშკი შლეზვიგში; შლეზვიგ-გოლშტეინ-გოტორბელი პერცოგების რეზიდენცია. **გოტორბის ციხე-კოშკი** განთქმული იყო სიძველეების კოლექციით და ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოებებით.
4. ... აქ იგი ხვდებოდა ბიით-ვარენსა და კოლო დ' ერბუას... — **ჟან ნიკოლ ბიით-ვარენი** (1756-1819) საფრანგეთის რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე. იაკობინური დიქტატურის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მონაწილეობას ღებულობდა თერმიდორის გადატრიალებაში, მაგრამ 1795 წელს კოლო დ' ერბუასთან ერთად გადაასახლეს კაიენაში. 18 ბრიუშერის გადატრიალების შემდეგ თანამშრომლობს ბონაპარტესთან. გარდაიცვალა 1819 წ. სანტა-დომინგოზე. **კოლო დ' ერბუა** (1750-1798) კონვენტის წევრი. იაკობინელი, 1793-1794 წ. ფრანგულთან ერთად ლიონში რეპრესიების ინიციატორი.
5. ...**ჩვენი გოდოებისა და მესალინებისათვის თვალთვალის კმარა**... — აქ ბალიესტეროს მხედველობაში აქვს მადრიდის კარის ზნეობა, სადაც მედროვე გოდოი, დედოფალი მარია ლუისა და ბურბონთა სასახლის პრინციები აშკარად გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ; მესალინა ვალერია — რომის იმპერატორის კლავდიუსის მესამე ცოლი. იყო ძალაუფლების მოყვარე, უღმობელი და გარყვნილი; სახელი „მესალინა“ უზნეო და თავაშეებულ მადლი მდგომარეობის ქალების საზოგადო სახელად აქცა.



XIV

1. **კარმანიოლა** — ფრანგული ხალხური რევოლუციური სიმღერა (შეიქმნა 1792 წ.), ამ სიმღერაზე ასაყობები ცეკვა.
2. ფეხდაფეხ მარკიზ დე სენ-სიმონის ჯარი მოსდევდა... — ლაპარაკია სენ-სიმონის საგვარეულოს ერთ-ერთ წევრზე, **გენერალ კლოდ-ან სენ-სიმონზე**.



XVI

1. **ჰან გაბისტ კარიე (1756-1794)** — ტერორის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი წარმომადგენელი. 1794 წ. სიკვდილით დასაჯეს.
2. **ანტონ** — ყოფილი მელოდე, 1792-1793 წწ. ხელმძღვანელობდა ნაციონალურ გვარდიას. 1794 წელს რობესპიერთან ერთად სიკვდილით იქნა დასჯილი.
3. **კოგლენსი** — გერმანიის ქალაქი რეინია ოლქში; 1792 წ. იყო როიალისტების კონტრრევოლუციური მოღვაწეობის ცენტრი.

XVII

1. **„მანა დიუზენი“** — ულტრამეარცხენე გაზეთი, 1789 წლიდან სცემდა ვაკ-რენე-ებერი.
2. გაახსენდა ლექსი „ქარიშხლიდან“... — იგულისხმება შექსპირის დრამა „ქარიშხალი“ (1611), რომლის მოქმედება ხდება ატლანტის კუნძულებზე.

XVIII

1. ...მოხუცი ლიონე, მამა კამიზარი რომ კვოლოდა... — **კამიზრები** — საფრანგეთის გლეხთა აჯანყების (1702-1704) მონაწილენი.

XX

1. ჩვენ ფილოსოფოსთა ღმერთს მივმართავთ და არა ტორკვემადებისა... — **ტომას ბოკავემადა (1420-1498)** — ესპანური ინკვიზიციის მამამთავარი, დომინიკელი ბერი. რამდენიმე ათასი „ერეტიკოსი“ სიკვდილით დასაჯა. მიადწია ებრაელების განდევნას ესპანეთიდან.
2. ... ჩვენ მარსის ველზე კი არა, სულ სხვა განედზე ვიმყოფებით... — **მარსის ველი** — სადაც იმართებოდა მარსის ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები. **მარსი** — რომაელთა უძველესი ღვთაება. იმ თვეს, როდესაც მისი კულტისადმი მიძღვნილი დღესასწაულები იმართებოდა, მარსი — მარტი უწოდეს. კელტის ადგილს — მარსის ველი.

XXI

1. **კარმანიოლა** — აქ: მოკლე ქერთუკი. სანკიულოტების უცვლელი ტანსაცმელი საფრანგეთის რევოლუციის პირველ წლებში; სანკიულოტი — უპერანგო — ასე უწოდებდა საფრანგეთის არისტოკრატია რესპუბლიკელებს 1789 წ.

XXII

1. ხომალდ „მამა როზარს“, რომლის სახელწოდება კაცს ბენიამინ ფრანკლინის აღმანახის სახელწოდებას რომ მოაგონებდა... — ბენიამინ ფრანკლინის აღმანახი გამოდიოდა 1732-1757 წ. სახელწოდებით „ბედშავი რიჩარდის აღმანახი“, შემდეგ ფრანგებმა მას სახელი რამდენჯერმე შეუცვალეს.
2. წამდაუწუმ აწუხებდა ტარკვინიუსის, კატონისა და კატილინას აჩრდილებს... — **ტარკვინიუსი** — რომაული ტრადიციით, რომის უკანასკნელი, მე-7 მეფე (ძვ. წ. 534-510), მოძალადე და უსამართლო მმართველობით აღმზედრებია რომაელები, რომელთაც პორაციუს ლუციუს იუნიუს ბრუტუსის მეთაურობით რომიდან გაუქვევებიათ; **კატონი** (ძვ. წ. 234-149) — რომის პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, რომაული პროზის ფუძემდებელი, პირველი რომელი ისტორიკოსი; **კატილინა (108-62)** რომელი პოლიტიკური მოღვაწე. სულას რეგიმის სისხლიანი რეფორმის აქტიური მონაწილე.
3. ქვედა კაბის გაზდისას ერთდროულად რასინის ორ ტრაგედიას მჩუქნის... — აქ მინიშნებულია იმაზე, რომ ქალიშვილის სახელი და გვარი ემთხვევა რასინის ორი ტრაგედიის სახელწოდებას „ატალასა“ და „ბაიაზეთს“.



4. **როსტრული სვეტი** — ცალკე აღმართული სვეტი, რომლის ტანი შემკულია გემების ცხვირებით ან მათი სკულპტურული გამოსახულებებით. ეს ტრადიცია არსებობდა ძველ რომში. როსტრულ სვეტს აღმართავდნენ საზღვაო გამარჯვებათა აღსანიშნავად ან როგორც ქვეყნის საზღვაო ძლიერების სიმბოლოს.

ნაწილი მესამე



XXIV

1. ამ დაუწველი მაყულოვანის... — „ეჩუნა მას ანგელოზი უფლისა ცეცხლითა აღისათა მაყულოვანით გამო, და იხილა, ვითარმედ მაყულოვანსა მას ალატყდების ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწვების“... გამოსვლათა, III, II... ითვლება წმინდა ადგილის სინონიმად.

XXV

1. მაგრამ სულ მალე მიხვდა, რომ კაპერებს არ ელოდა რაიმე სერიოზული საფრთხე... — **კაპერი** — კერძო გემი, რომელიც ხელისუფლების ნებართვით მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად სპეციალურადაა შეიარაღებული.

2. **კარტახენა** — ქალაქია ესპანეთში, აგრეთვე კოლუმბიაში.

XXVI

1. **ფრანსუაზე დე მენტონი** (1635-1719) — ლუდოვიკო XIV-ის ფავორიტი, მისი მორგანტიკული მეუღლე.

2. „**გორგონა**“ — ბერძნულ მითოლოგიაში: ზღვის ან ქვესკნელის საშინელი არსება, თავზე გველებით. მისი მთავარი თვისებაა მხილველების გაქვავება.

XXVII

1. თუ არად ჩავაგდებთ უიღბლო შეტაკებას ალტონას დანიურ ხომალდთან... — **ალტონა** მდ. ელბის მარჯვენა ნაპირზე, დღეს ჰამბურგის ერთ-ერთი რაიონია, XVII-XVIII სს. ეკუთვნოდა დანიას.

2. მსოფლიოს წინაშე რა ხანია თავის კვაკერულ კომედიას თამაშობს... **კვაკერიზი** — პროტესტანტული სექტის „მეგობართა საზოგადოების“ წევრები. საზოგადოება დააარსა დაახ. 1650 წელს ინგლისელმა ხელოსანმა ჯორჯ ფოქსმა. კვაკერები გამოდიოდნენ ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ, უარყოფდნენ სამღვდლოებას, საეკლესიო საიდუმლოს, მათი მოძღვრებით, ადამიანს უშუალოდ შეუძლია დაუკავშირდეს ღმერთს. 1689 წ. ინგლისელი დამერიცელი კვაკერების მდგომარეობა ლეგალიზებული იქნა „შემწყნარებლობის“ აქტით.

3. რეპერტუარში შედიოდა... „**მოახლე ქალბატონი**“, „**მშვენიერი არსენა**“ და სხვ... — „მოახლე ქალბატონი“ — იტალიელი კომპოზიტორის ჯოვანე ბატისტა პერგოლეზის (1710-1736) ოპერა; „მშვენიერი არსენა“ ფრანგი კომპოზიტორის პიერ ალექსანდრ-მონსიენის (1729-1817) ოპერა.

XXVIII

1. „კლეოპატრას ცხვირი რომ არა...“ — აქ ლაპარაკია გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსის **ბლეზ პასკალის** (1623-1662) გამონათქვამზე, ამ ფრაზის არსი ასეთია: სხვაგვარ იქნებოდა მსოფლიოს ბედი, კლეოპატრას უფრო მოკლე ცხვირი რომ ჰქონოდა.

ნაწილი მეოთხე

XXIX

1. **ჩვენ აკადიელაზი ვიყავით**... — აკადია XVII და XVIII ს. პირველ ნახევარში ერქვა კანადის ატლანტის სანაპიროზე მდებარე ახალი შოტლანდიის ნახევარკუნძულს, საერთოდ აკადია იყო საბერძნეთის ქალაქი. აკადიელები მხიარული და სტუმართმოყვარე ხალხად ითვლებოდა. XVI-XVIII ს. პასტორალებში და ანტიკურ ლიტერატურაში აკადია წარმოდგენილია როგორც უბრალოების, უბიწოების ქვეყანა. მხატვრები აკადიას ბედნიერ, იდეალურ მხარედ წარმოსახავდნენ. აქ, უეჭველია, ამასაც მიანიშნებს აკადიელი მოხუცი.



2. ...გვიცნო კონტრასა ანა სტიუარტი ან უფინდური მიფე გეორგი... — საფრანგეთის სამფლობელოები კანადაში XVIII ს. მიიტაცეს ინგლისელებმა. ანა სტიუარტი მართავდა 1702-1714 წწ.; გეორგ III, რომლის დროსაც საფრანგეთმა ინგლისს დაუთმო კანადა, მართავდა 1760-1820 წწ.

3. მერე დაიწყო დიდი აზროვნება... — იგულისხმება 1776-1783 წწ. ამერიკის რევოლუცია.



XXXI

ეროვნული

1. უილიამ კოვატი (1697-1764) — გამოჩენილი ინგლისელი მხატვარი-ისტორიკოსი.
2. მღუმარე ატრიდივით ყველასათვის საძულველი... — ატრიდივი — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში მიკენის მეფე ატრევსის შვილები, აგამემნონი და მენელაოსი, ღმერთების მიერ მამის ბოროტი ცოდვებისათვის დასჯილნი.
3. ანტუან ფუკე-ტენვილია (1746-1795) — რობესპიერის თანამოღვაწე, რევოლუციური ტრიბუნალის ბრალმდებელი, დანტონისა და „ცოფიანების“ პროცესის ორგანიზატორი. 9 თერმიდორის შემდეგ სასამართლოში იქნა მიცემული და 1795 წ. სიკვდილით დასაჯეს.
4. ჟორჟ კუტონი (1756-1794) — რობესპიერის თანამებრძოლი, სიკვდილით დასაჯეს 1794 წ.
5. „გეორგია“ — რომელი პოეტის ვერგილიუსის (70-19 წწ. ძვ. წ.) პოემა უმღერის სოფლური ცხოვრების სიხარულს.
6. ანტუან ლენესი — ფრანგი მხატვარი. მეტწილად ხატავდა გლეხებს.
7. ...ტახტის მოლაღატე და ბაბუეისტი... — ბაბუეისტი — საფრანგეთის უტოპიურ-კომუნისტური მოძრაობის მეთაურის ბაბუე გრაჟის (1760-1797) მომხრე.

XXXII

1. ლეჟე სონტონაჟი (1763-1811) — ფრანგი კომისარი კუნძულ სან დომინგოზე (1792-1793) და 1796 წწ. გარკვეულ ზომები მიიღო დომინიკელი ზანგების გასათავისუფლებლად.
2. ...ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბართლომეას დე ლას კასასი ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბოროტგანმზრახველია... — პლანტატორი და მონათმფლობელი სიგერა აქ გმობს ამერიკაში ინდიელების და ზანგების თავისუფლებისათვის მებრძოლ ესპანელ ჰუმანისტს ბართლომე დე ლას კასასს (1474-1566).
3. ნუმიდიელმა კიდევ დიდი გზა უნდა განელოს, სანამ რომაელს დაემგვანება, — ნუმიდია — ისტორიული ოლქი ჩრ. აფრიკაში, ალჟირის აღმოსავლეთ ნაწილში. I ათასწლეულში მომთაბარე ტომები გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე. III ს. კართაგენმა დაიპყრო, 46 წ. ძვ. წ. დაიპყრო იულიუს კეისარმა და რომის პროვინციად გამოაცხადა. 533 წ. ბიზანტიელებმა დაიპყრეს, 699 წელს — არაბებმა.
4. ნურც აქაური პონტო ვექსინოსი გეგონებათ ხმელთაშუა ზღვა... — კონტოს ეპქსინოსი — შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდებაა, რომლის საწარმო შორეულ პროვინციად ითვლებოდა.

XXXIII

1. მიწათმფლობელებს მოსწონდათ ხარის, გედისა და ოქროს წვიმის როლის თამაში... — აქ მინიშნებულია ძველი ბერძნების ღმერთის ზევსის სასიყვარულო ხრიკებზე — ზევსი ხან წვიმის სახით უკავშირდებოდა მიწიერ ქალწულებს, ხან ხარის, ხან გედის სახით; მაგალითად, არგონის მეფის აკრისიოსის ქალიშვილს ოქროს წვიმად გადაქცეული შეუკავშირდა, ფინიკიის მეფის აგენორის ქალიშვილს — ევროპეს მშვენიერ ხარად გამოეცხადა და გაიტაცა, ეტოლიის მეფის თესტიოსის ასული ლედა კი გედად ქცეულმა აცდუნა.
2. სიმუელ რიჩარდსონი (1689-1761) — ინგლისელი რომანისტი. მისი სენტიმენტალური რომანები „პამელა“ (1740) და „კლარისა გარლოუ“ (1748) პრაგმატულად გამოიყენა ევროპაში.

XXXIV

1. მისი კუნძულები თანდათან იცვლიდნენ სახელწოდებებს... — აქ საუბარია კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენაზე. კოლუმბმა თითოეულ კუნძულს თავისი სურვილისამებრ შეარქვა ახალი სახელები.
2. ვულგატა — ბიბლიის ლათინური თარგმანი, შესრულებული IV საუკუნის დაღმართინელი ბერის იერონიმის მიერ.



3. რამდენადაც ბედა ღირსპატივემული, წმინდა ამბროსი და ღუნს სკოტი... — **ბედა ღირსპატივემული** (673-735) — ინგლისელი ღვთისმეტყველი და ისტორიკოსი, ზეწოდება „ვენერაბილისი“ (ღირსი, პატივემული) მის სახელს დაუროეს მპნ წელს. მისი თხზულებებიდან აღსანიშნავია „ინგლისელი ერის საეკლესიო ისტორია“ „აბატთა ისტორია“. ძველ ინგლისურზე თარგმნა იოანეს სახარება. ბედას შემეკვიდრეობა 40-მდე წიგნს მოიცავს; წმინდა ამბროსი — მილანელი ეპისკოპოსი, ფილოსოფიური ტრაქტატების ავტორი; ღუნს სკოტი (1256-1308) — შოტლანდიელი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი კოლუმბი იცნობდა მათ ნაწარმოებებს და 1498 წ. ფერდინანდსა და იზაბელასადმი მიწერილ წერილში მათ იმთხმებდა.

4. **უფირი** — ბიბლიაში უფირის ქვეყანა აღწერილია როგორც ოჭროთი და ძვირფასი ქვეებით მდიდარი მიწა. ეტყობა, ამ ქვეყანაზე არსებულ თემულებში ასახვა პპოვა რეალურმა ცნობებმა და იგულისხმებოდა სომალის ნახევარკუნძული ან სამხრეთ არაბეთი, უფირის ქვეყანას ეძებდნენ აზიაშიც, აფრიკაშიც და ახალ მიწაზეც კოლუმბი იმედოვნებდა; რომ წას ატლანტის მეორე მხარეს — კუბასა და ტრანიდადში იპოვიდა.

5. **სენეკა** — ძვ. წ. რომელი ფილოსოფოსი, დრამატურგი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი.

6. ანტიკური დროის გეოგრაფები ტულებს მიწას უწოდებდნენ ატლანტის ჩრდილოეთ ნაწილის სხვადასხვა კუნძულებს.

7. ამერიკის აღმოჩენამ რელიგიური აზრი შეიძინა... — იგულისხმება კოლუმბის ნისტიკური აზნა, რომელსაც ვხედებით იზაბელასა და ფერდინანდისადმი 1498 წელს მიწერილ წერილში. კოლუმბი იმთხმებდა ღვთისმეტყველებას და ამტკიცებდა, მდინარე ორინოკო მიწიერი სამოთხიდან იღებს სათავესო, ამასთან ამტკიცებდა, ამქვეყნიური სამოთხის წყალს ერთდროულად კვებავს განგა, ნილოსი, ტაგროსი და ევფრატისი.

8. ...მარგარიტის სრუტეში სამოთხისდარ სანაპიროზე... — იგულისხმება პარიის სრუტე და მისი ნაპირები. სამხრეთ ამერიკის პირველი მიწა, რომელიც კოლუმბმა აღმოაჩინა 1498 წელს.

9. **იოაკიმ კალაბრიელი** — XIII საუკუნის იტალიელი მისტიკოსი. კოლუმბი მის წინასწარმეტყველებას იმთხმებს იზაბელასა და ფერდინანდისადმი მიწერილ წერილში, სადაც აღწერს III მოკზაურობის შედეგს.

10. **პათაგონიის ტბა** — იგულისხმება სამხრეთ ამერიკაში პათაგონიის მყინვარული ტბები.

11. **პრესვიტერი იოანე** — XII ს. ევროპაში გაჩნდა ლეგენდა სადღაც აღმოსავლეთში არსებული ქრისტიანულ სახელმწიფოზე, რომელსაც მართავდა **პრესვიტერი იოანე** — მეფე-მღვდელი.

12. ფაქრი დაიწყო ხაუბის ზღაპრულად მდიდარ ველზე... — აქ საუბარია არნახული სიმდიდრით ოდიოვან განთქმულ პერუს სანახებზე.

**ნაწილი მესამე**

**XXXV**

1. **ჟან ბატისტ შარდენი** (1699-1779) — ცნობილი ფრანგი მხატვარი-პორტრეტისტი.
2. **ჟან ანტუან კარინი** (1520-1598) — ფრანგი მხატვარი, ქმნიდა სურათებს და ფრესკებს რელიგიურსა და მითოლოგიურ თემებზე.
3. **აბატი რენალი** — ტომას ფრანსუა გიომი (1713-1796) ფრანგი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი.
4. **ბარონი პოლბახი** — პოლ პოლბახი (1723-1789) — ფილოსოფოსი-მატერიალისტი, XVIII ს. ერთ-ერთი გამოჩენილი ენციკლოპედისტი.
5. „**საზოგადოებრივი ხელშეკრულება**“ — ენ-ეაე რუსოს (1712-1772) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელშიც წარმოდგენილია მისი ძირითადი სოციალური და პოლიტიკური შეხედულებები.

**XXXVI**

1. **ბართლომეს ღამე** ატლანტის ვერ მივიდოდა მეფე ფილიპეს ბრძანებით მოწყობილ პორტუგალიელების საყოველთაო ელექტაითან... — **ბართლომეს ღამე** — კათოლიკების მიერ პუგნოტების მასობრივი ელექტა პარიზში 1572 წ. წმ. ბართლომეს დღესასწაულის წინა ღამეს.



მეთაური — ეკატერინე მედიჩი. დახოცეს სამი ათასი ჰუგენოტი. ბართლომეს დამე მასობრივი ელექტის სინონიმად იქცა.

2. **ანტუან კულონი** (1741-1828) — ფრანგი ნოქანდაკე, საბელგანთქმული რეალისტური პორტრეტებით. შექმნა დიდებული პორტრეტები ვოლტერის, დიდროსი და სხვების.

XXXVII

1. პირდაპირ სამოსელთსაცავის უკან იმალებოდა **ობათალის, ოჩუხისა და იფიას** საიდუმლო ტაძრები... — ლაპარაკია ზანგთა პანთეონის დმერთებზე, რომელთა მხარეში თაყვანსა სცემდნენ დასაელეთ აფრიკის ქვეყნებიდან წარმომავალი.

2. **ბონადილია** — მსუბუქი ქანრის სიმღერა.

3. ...მისი დორიული კოლონები, დამშვენებული ფაიფურის ლანგრებით... — **დორიული კოლონები** — გლუვი კოლონები, დამახასიათებელია ფორმათა უბრალოება და პროპორციულობა; **დორიული ორდენი** — არქიტექტურული ორდენი, შეიქმნა დორიდაში (**დორიდა** — ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი პროვინცია).

4. **იოჰან სტამისი** (1717-1757) — ჩეხი მევიოლანე და კომპოზიტორი.

5. თითოეული შეეცდება თორმეტი რიტუალური მარცვლის სულმოუთქმელად გადაეღებას — აქ იგულისხმება ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში გავრცელებული ადათი — ახალწლის ღამეს უნდა გადაეღებო ყურძნის თორმეტი მარცვალი — თითო ზარის ჩამოყვრაზე თითო მარცვალი — სიმბოლო გასრულებული თორმეტი თვისა.

XXXIX

1. **ჟაკ-კოლო** (1592-1635) — ფრანგი მხატვარი, ქანრული სცენების ოატატი.

XLI

1. **სან-ხუან დე ლა კრუსი** (1542-1591) — ესპანელი პოეტი და ღვთისმეტყველი.

ნაწილი მეექვსე

XLII

1. **ბუსან-ლუვერტიური** (1743-1803) — პაიტელი ზანგი ჰაიტის რევოლუციის ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადი. ფრანგმა ინტერვენტებმა ტყვედ წაიყვანეს და პარიზის ციხეში გარდაიცვალა.

2. უცხო გამხდარიყო „**ლამეითა**“ განწყობილებაც და „**ობრანტოს ციხე-დარბაზის**“ დამორგუნველი ატმოსფეროც... — ლაპარაკია ინგლისელი მწერლის ე. იენგის (1683-1765) პოემაზე „ჩივილი, ანუ ღამეული ფიქრები ცხოვრებაზე, სიკვდილსა და უკვდავებაზე“ და ინგლისელი მწერლის ჰ. უოლპოტლის (1717-1797) რომანზე „ობრანტოს ციხე-დარბაზი“.

XLIII

1. **ჟან კალასი** — ფრანგი პროტესტანტი, რომელიც დასაჯეს ცრუ ბრალდებით — რელიგიურ ნიადაგზე საკუთარი ვაჟის მკვლელობის გამო.

XLIV

1. **კონკორდატი** — რომელიმე საბელმწიფოს მთავრობისა და რომის პაპს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობას ამ საბელმწიფოში.

XLV

1. ...**რესპუბლიკის მათი წლის მი ფლორიალის კანონი**... — ეს კანონი ნაპოლეონის ინიციატივით იქნა მიღებული და პასუხობდა ვესტ-ინდოეთის პლანტატორების ინტერესებს. აწორედ ამ დროს იქნა გავრავილი ჰაიტზე ნაპოლეონის კოლისამა ლეკლერკი რევოლუციის დროს შექმნილი ჰაიტის რესპუბლიკის გასაუქმებლად.

XLVI

1. **კლოდ ნიკოლა ლეჟუ** (1736-1806) — ფრანგი არქიტექტორი, კლასიციზმის წარმომადგენელი.



2. ...ასრულებდა მისი ჩიჩისბეის როლს... — **ჩინისბაი** — იტალიაში (XVI-XVII სს.) დიდგვაროვანი მდიდარი გათხოვილი ქალის მედმივი თანამგზავრი მამაკაცი სეიონობის დროს.

3. **მარკიტანტი** — ძველად ვაჭარი, რომელიც მისდევდა ჯარა ლაშქრობაში და ჰყილდა სურსათსა და საწვრილმანოს.

ნაწილი მეზვიდე



XLVII

1. „**ოსიანის სიმღერები**“ — შოტლანდიური პოეტის ჯეიმს მაკფერსონის ფალსიფიკაცია; 1762-1763 წ. მან გამოსცა ძველი კელტური სიმღერების „თარგმანები“ და გამოაცხადა, რომ იგი თითქმის III საუკუნის ირლანდიელ ბარდს ოსიანის ეკუთვნოდა.

2. „**ქრისტიანობის გენია**“ — ფრანგი მწერლის ფრანსუა რენე შატობრიანის (1768-1848) ნაწარმოები.

3. ...ადგილზევე ათაგებდნენ მირმიდონიანეს პირქუში პატრულები — **მირმიდონიანე** — ძველბერძნული ტომი, რომლის მეფე იყო აქილევესი. აქ გადაკრულად იგულისხმება ნაპოლეონის ჯარისკაცები.





# პიანაპური პოეზია

## ლექსები

თარგმნა ბივი თათაიზაილა



ქართული

სისხლისღვრა

რადგან,

თე ხალ

სეცოცხლისთვის სისხლს ღვრიდრ.

გეომრის ხალათი

შენ ამაყი ხარ,  
ღვთის წინაშე ხარ პირნათელი,  
გლოცავს მამული და ნათელი ცის  
თალის გადგას,

ო ძმაო ჩემო,  
საფიცარო ფრონტელო ძმაო,  
ჩამოგხევი ხომტით ძველი ხალათი  
ხაკის.

შენთვის ინთება ჩვენს ტაძრებში  
თაფლის სანთელი.

შუბლზე გაჩნია ჭრილობა და  
ზედ დარი დარობს,  
გეთამაშება მაისის მზე  
ბრძოლებში დაღლილს.  
ჩამოხეული გულისპირა  
ისე ჩანს შორით,  
ვით წვიმის წვეთით მოციმციმე  
ფოთოლი არყის.

შენ იმედი ხარ ხვალის, ძმაო,  
და ამიტომაც

და მის რხევაში გესმის, როგორ  
მძვინვარებს ომი,  
და ჩვენს მანდორ-ველს მტერი ბომბებს  
თუ როგორ აყრის.

მაგ შენს დაფლეთილ  
და გაცრეცილ ხაკის ხალათზე,  
მეჩვენება, რომ სიცილია  
თუ ჩუმი გლოვა,  
ოქროს ვარსკვლავი კიაფობს და  
ბნელეთს ანათებს.

იქნებ გეცნობა მის ცახცახში  
ჩურჩული ძმათა,  
სიკვდილის წინ რომ წყალს  
გთხოვდნენ და

თე ლან ვიან

წერილს ველი

არ იყო წყალი.  
შენ შველა გწადდა...  
ჩამოეშვა ნისლების ფარდა  
და საძმო საფლავს ჭრიდი ოხვრით,  
ცრემლიან თვალით.  
... დამთავრდა ომი,

დიდი ხანია ველი  
შენს წერილს  
დარდი გულს მიღრღნის,  
შენს ყრმობას ვფიცავ.  
და თუ მივიღე წერილი შენი,  
ეს იმას ნიშნავს, შენ მამულს იცავ,  
მაგრამ არა ჩანს წერილი შენი,  
არ გეკითხები:

დაუბრუნდი მშობლიურ კერას,  
ამაყ იერით დააბიჯებ ნატანჯ მიწაზე.  
ომის დღეები შენს ჭრილობებს  
ქანგისფრად ფერავს,  
წარსული ისევ გეურჩება  
და თვალს იტაცებს.  
მაგრამ შენ ცოცხლობ,

რატომ და რისთვის.  
მე შენგან მხოლოდ ერთ რამეს ველი—  
როდის შეწყდება ღვრა ფრონტზე  
სისხლის.

ველი მე ასეთ სანუკვარ ცნობას,  
სანთელს ვანთებ და  
გლოცავ შენს ყრმობას.



# საქარსაჲ მოაჲი

## მოთხრობები

ინგლისურიდან

თარგმნა თაჲაჲ ჳიოლიაჲ



### ბანძი

**რ**იჩარდ ჰარინჯერი ბედნიერი კაცი გახლდათ. რაც უნდა ილაპარაკონ ეკლესიასისტებმა თუ მერმინდელმა პესიმისტებმა, ამ ჩვენს უბედურ წუთისოფელში ბედნიერი ადამიანი მაინც მოიძებნება. რიჩარდ ჰარინჯერმა იცოდა, რომ ბედნიერი კაცი იყო. ასეთი ადამიანები კი ძალიან იშვიათია ამქვეყნად. ზომიერება, რაც წინათ სანაქებო თვისებად ითვლებოდა, ახლა მოდაში აღარ არის და მისი მიმდევრები იძულებულნი არიან დამცინავი ღიმილით შეეგუონ იმათ, ვისაც არც სიამოვნების მოკლება უნდა და არც საღ აზრს აგდებს რამედ.

სხვები — გინდ ხიფათში ჩაეგლოთ თავი, გინდ ჯოჯოხეთის ცეცხლით დადავულიყვნენ, მთელი ქონება ბანქოს ქალაღზე დაესვათ, დიდებისაკენ მიმავალი გზის უძირო უფსკრულზე გადებულ ბეწვის ხიდზე შემდგარიყვნენ, უყოყმანოდ შეეწირათ სიცოცხლე ღიადი მიზნისათვის, გადაჰყოლოდნენ დაუოკებელ ვნებათა ღელვას თუ რაიმე სახიფათო საქმეს — რიჩარდ ჰარინჯერს სულ არ ენადვლებოდა, მხოლოდ თავაზიანად აიჩქარავდა ხოლმე მხრებს და დამცინავად გაიღიმიებდა. იგი არც სხვების გმირობით მოპოვებულ დიდებას შენატროდა და არც მათი სასტიკი მარცხი აუჩუყებდა გულს.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქოს რიჩარდ ჰარინჯერი თავკერძა ან უსულგულო კაცი იყო. არც ერთი გახლდათ და არც მეორე. ის კი არადა, თავაზიანიც იყო და ხათრიანიც. შეძლებაც მოსდევდა და ამიტომ მეგობრებს ყოველთვის სიამოვნებით უმართავდა ხელს. ცოტაოდენი ფული ჰქონდა გადანახული, თან შინაგან საქმეთა სამინისტროში კარგ თანამდებობაზე მუშაობდა და გვარიან ჯამაგირსაც იღებდა. როგორც უნდოდა, ისეთი სამსახური ჰქონდა — მუდმივი, პასუხსაგები და სასიამოვნო, სამუშაოს მერე, ყოველდღე ერთი-ორი საათით კლუბში დადიოდა ბრიჯის სათამაშოდ, შაბათ-კვირას კი გოლფით ერთობოდა. შევებულებას საზღვარგარეთ ატარებდა, კარგ სასტუმროებში ბინავდებოდა და ტაძრებს, გალერეებსა და მუზეუმებს ათვალიერებდა, ყოველ ახალ წარმოდგენას ესწრებოდა და შინ იშვიათად სადილობდა. მეგობრებს უყვარდათ. კარგი მოუბარი იყო — ნაკითხი, განათლებული და ხალისიანი. გარეგნობითაც თვალში მოგხვდებოდათ — ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ მაღალი, ტანადი კაცი გახლდათ და დახვეწილი ინტელიგენტური სახე ჰქონდა. თმა შეთხვლებოდა — აკი უკვე ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული — მაგრამ თაფლისფერ თვალებში ისევ ღიმილი უკრთოდა და ჯერ არც ერთი კბილი არ აკლდა. ჯანმრთელი კაციც იყო და თავსაც კარგად უვლიდა. ბედის სამღურავიც არ ეთქმოდა და, თუ ცოტაოდენი თვითკმაყოფილება ეტყობოდა, დიდად არც გაემტყუნებოდა.



მან იღბლიანად გაიარა ისეთი შფოთიანი და სახიფათო სრუტეც კი, როგორც ქორწინებაა, სადაც მრავალმა გონიერმა და ყოჩაღმა ადამიანმა განიცადა მარცხი. ოცდაორი თუ ოცდასამი წლისა იყო, როცა სიყვარულით შეერთო ცოლი. რამდენიმე წელიწადი სიამტკბილობით იცხოვრეს ერთად, მერე კი ორივეს გაუნელდა სიყვარული. ახალი ოჯახის შექმნას არც ერთი არ აპირებდა, ასე რომ, განქორწინების საკითხიც არ წამოჭრილა (რაც რიჩარდ ჰარინჯერის კარიერისთვის სახელმწიფო სამსახურში ერთობ არასასურველი იქნებოდა). ქონება უხმაუროდ გაიყვეს ოჯახის აღვოკატის შემწეობით. ამან ორივეს საშუალება მისცა თავთავიანთ ნებაზე ეცხოვრათ და ერთიმეორის საქმეში არ ჩარეულიყვნენ. ისე გაიყარნენ, ერთმანეთის ხათრი და პატივისცემა არ დაუკარგავთ.

რიჩარდ ჰარინჯერმა თავისი სახლი, სენტ-ჯონ ვუდის ქუჩაზე რომ ჰქონდა, გაყიდა და უაიტჰოლის\* ქუჩიდან ფეხით სავალ მანძილზე დაიქირავა ბინა. სასტუმროს ოთახის კედლებს წიგნებით სავსე კარადები მიადგა. სასადილოს ძალიან მოუხდა ჩიპენდილის\*\* ავეჯი, მომცრო სამინებელიც მოეწონა — ერთი კაცისთვის კმაროდა. სამხარეულოს გვერდით მოსამსახურეების ოთახიც იყო. ახალ ბინაში მხოლოდ მზარეული გადაიყვანა, რომელიც სენტ-ჯონ ვუდის ქუჩაზე დიდ ხანს ემსახურებოდა, სხვები კი დაითხოვა, რაკი უკვე ამდენი მსახური აღარ სჭირდებოდა, მოახლის დასაქირავებლად მომსახურების ბიუროში მივიდა და უფროსს თავისი მოთხოვნები ჩამოუთვალა: ძალიან ახალგაზრდას მოახლედ ვერ ავიყვან, ჯერ ერთი იმითომ, რომ ისინი თავქარიანები არიან და მეორეც, მოწიფული კაცი კი ვარ და არც თავდაჭერილობა მაკლია, მაგრამ არ მინდა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, კარისკაცს ან მედუქნეს სალაპარაკო მიეცესო. ამითომ საშუალო ასაკის ქალი მირჩევნია, არც მე გავილანძღები და არც ისაო. მოახლეს ვერცხლეულის კარგი მოვლაც უნდა სცოდნოდა. რიჩარდ ჰარინჯერს ძალიან უყვარდა ძველებური ვერცხლეული და არც გაემტყუნებოდა, რომ ზრუნავდა დედოფალ ანას დროინდელ დანა-ჩანგალს სათუთად მოპყრობოდნენ. ბიუროს უფროსს ისიც უთხრა, სტუმარი მიყვარს, კვირაში ერთხელ შვიდ-რვა კაცს ვიწვევ, ყოველ შემთხვევაში ოთხ კაცზე ნაკლები არასოდეს მყოლია; მზარეული გემრიელ კერძებს ამზადებს და მინდა მოახლემ მარდად და ლამაზად მიართვას სტუმრებსო. ეს მოახლე ხელზეც უნაკლოდ უნდა მომსახურებოდა. ჰარინჯერი კოხტად იცვამდა თავისი ასაკისა და მდგომარეობის შესაფერისად, ამითომ მოახლედ ისეთი ქალი უნდოდა, რომელიც კარგად დაუუთოვებდა შარვალსა და ჰალსტუქს, გაუპრიალებდა ფეხსაცმელს — ფეხი მომცრო ჰქონდა და თუმცა ფეხსაცმლის შერჩევა ძალიან უჭირდა, მაინც ბევრი დაგროვებოდა. გაიხდიდა თუ არა, მოახლეს მაშინვე კალაპოტი უნდა ჩაედო შიგ. ბოლოს, რაც მთავარია, ბინა სულ სუფთა და მილაგებული უნდა დახვედროდა. თავისთავად ცხადია, მოახლე უზადო ხასიათის, სანდო, პატი-

\* უაიტჰოლი — ქუჩა ლონდონის ცენტრალურ ნაწილში, რომელზეც მდებარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი სამინისტრო და მრავალი სხვა სახელმწიფო დაწესებულება.

\*\* ჩიპენდილი — XVIII საუკუნისეული მდიდრულად მოჩუქურთმებული როკოკოს სტილის ავეჯი. წითელი ზის ცნობილი მეავეჯის ტომას ჩიპენდილის (1718—79) გვარის მიხედვით.



ოსანი, ჭკვიანი და სასიამოვნო გარეგნობის ქალი უნდა ყოფილიყო. თავის მხრივ რიჩარდ ჰარინჯერი კარგ გასამრჯელოს გადაუხდიდა, მის სურვილებს ანგარიშს გაუწევდა და გახანგრძლივებულ შვებულებას მისცემდა. ბიუროს უფროსი ქალი იყო. მან ყველაფერი თვალის დაუხამხამებლად მოისმინა, შეპირდა, სწორედ მაგნაირ მოახლეს გამოგიძებნითო, და უამრავი მსურველიც გამოუგზავნა, მაგრამ აშკარა გახდა, რომ ჰარინჯერის არც ერთი სიტყვა ყურად არ ელო. ყოველ მათგანს გაესაუბრა — ზოგიერთმა სულ არაფრის კეთება არ იცოდა, ზოგი თავქარიანი ჩანდა, ზოგი მეტიმეტად ხნიერი ან ძალზე ახალგაზრდა იყო, ზოგი კი შეუხედავი. ერთიც არ გამოერია ისეთი, გამოსაცდელი ვადით რომ აეყვანა. რიჩარდ ჰარინჯერი კეთილი და თავაზიანი კაცი გახლდათ და ყველანი ზრდილობიანი უარითა და ღიმილით გაისტუმრა. იმედი მაინც არ დაუკარგავს. მოახლის შერჩევაზე ხელის აღებას მანამდე არ აპირებდა, სანამ თავის უუნებობას არ იპოვიდა.

ცხოვრებაში ზოგჯერ უცნაურად ხდება ხოლმე. თუ რაიმეს გულით მოინდომებ, მიაღწევ კიდეც, ოღონდ მოთმინება უნდა გამოიჩინო და იმას არ დახარბდე, რაც პირველად მოგხვდება ხელში. ბედი ჯერ გაგიგულისდება, ეს რა უგუნური ვინმეა, ამაზე მეტი რაღა უნდაო, მერე კი ერთ მშვენიერ დღეს, სულ რომ არ ელი, ისე აგისრულებს სასუკვარ სურვილს.

ერთხელ რიჩარდ ჰარინჯერი მოულოდნელად კარისკაცმა შეაჩერა და უთხრა:

— გავიგე, მოახლის აყვანა გლომებიათ, სერ. ერთი ნაცნობი ქალი ეძებს მოახლის ადგილს.

— მირჩევთ მის აყვანას?

რიჩარდ ჰარინჯერმა კარგად იცოდა, მსახურის რეკომენდაცია ბატონისაზე გაცილებით საიმედო იყო.

— წესიერი ქალია. ამის თავდები მე ვარ. კარგ ოჯახებში მსახურობდა.

— შვიდ საათზე ტანსაცმლის გამოსაცვლელად შემოვივლი, თუ ეს დრო ხელს აძლევს, ვინახულებ.

— ძალიან კარგი, სერ. მაგ დროისთვის დავიბარებ.

შინ ხუთი წუთის მისულიც არ იქნებოდა, რომ ზარმა დარეკა, მერე კი მზარეული შემოვიდა და მოახსენა, კარისკაცმა რომ გითხრათ, ის ქალი მოვიდაო.

— შემოიყვანეთ, — უთხრა რიჩარდ ჰარინჯერმა.

ოთახი უფრო გაანათა, მოსული რომ უკეთ დაენახა, მერე ბუხართან მივიდა და ზურგით მიეყრდნო. ქალი შემოვიდა და მოწიწებით დადგა კართან.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა ჰარინჯერი, — რა გვარი ხართ?

— პრიჩარდი, სერ

— რამდენი წლისა?

— ოცდათხუთმეტის.

— ასაკი არ გაქვთ ჯასაწუნი.

რიჩარდ ჰარინჯერმა სიგარეტი მოქაჩა და ქალი ყურადღებით შეათვალიერა. მაღალი ტანის ქალი ეთქმოდა, თითქმის მისი სიმაღლის იყო, თუმცა, ეტყობოდა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. შავი კაბა მჭიდროდ ჰქონდა მომდგარი ტანზე და თავი მოხდენილად ეჭირა. ლამაზი სახის ნაკვთები და ვარდისფერი ღაწვები ჰქონდა.



— ქუდს ხომ არ მოიხდით? — შეეკითხა ჰარინჯერი.

ქალმა ქუდი მოიხადა, ჰარინჯერმა დაინახა, რომ ღია ყავისფერი თმა კონტად ჰქონდა დავარცხნილი. იგი ღონიერი და ჯანმრთელი ჩანდა. არც მსუქანი ვიქნოდა და არც გამხდარი. მოახლის ტანსაცმელში გამოწყობილი ძალიან სანდომიანი იქნებოდა. კარგი გვარიშვილი რომ ყოფილიყო, ღამაზადაც კი ჩაითვლებოდა. ჰარინჯერმა განაგრძო მისი გამოკითხვა და კატეხუხუხები მოეწონა. ბოლო ოჯახიდან წამოსვლაც არ გაემტყუნებოდა. ერთ მსჯინაში მსჯინა რმე უფროს მსახურს გაეწერთნა და თავისი მოვალეობანი კარგად შეესწავლა. ბოლო ოჯახში იგი უფროს მოახლედ ყოფილა და სამი დამხმარე ჰყოლია, მაგრამ ახლა თანახმა იყო მარტო გაძლიოდა ყველაფერს. ადრე ერთი ჯეშტლმენის მოსამსახურედ მდგარა, რომელსაც იგი ტანსაცმლის დაუთოების შესასწავლად თერძთან გაეგზავნა. ცოტა მორიდებული იყო, მაგრამ მორცხვიან გაუბედავი არ ჩანდა. რიჩარდი დინჯად და მეგობრულად ეკითხებოდა და ისიც მშვიდად პასუხობდა. ქალმა მასზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ბოლოს ჰკითხა, რეკომენდაციები თუ გაქვთო. რეკომენდაციებიც კარგი აღმოაჩნდა.

— ახლა ყური დამიგდეთ, — უთხრა რიჩარდმა. — თქვენ ალბათ, აგიყვანთ, ოღონდ ძალიან არ მიყვარს მოახლეების წარამარა გამოცვლა. მზარეული ჩემთან თორმეტი წელიწადია მსახურობს. თუკი მომეწონებით და თქვენც კმაყოფილი იქნებით, მაშინ ალბათ დარჩებით. მოკლედ, არ მინდა სამ ან ოთხ თვეში მოხვიდეთ და გამომიცხადოთ, ვთხოვდებიო.

— ეგ ნუ გეფიქრებათ, სერ. ქვრივი ვარ. მეორედ გათხოვებას აღარ ვაპირებ. იმ ერთხელაც რა მოვიგე?! ქმარს ჩემს ხელში ჩხირი არ გადაუბრუნებია და სიკვდილამდე ჩემი სარჩენი იყო. ახლა ერთადერთი სურვილი მაქვს, კარგ ოჯახში მოვეწყო.

— მართალი ხართ, — გაელიმა ჰარინჯერს. — გათხოვება კარგია, მაგრამ ჩვევად გადაქცევა არ ვარგა.

ქალმა ამაზე არაფერი მიუგო და საბოლოო პასუხს დაელოდა. ეტყობოდა, დიდად არ ღელავდა, ვაითუ არ ამიყვანოსო. ჰარინჯერმა იფიქრა, თუ თავისი საქმის ასეთი კარგი მცოდნეა, ალბათ ისიც მშვენივრად იცის სამუშაოს შოვნა არ გაუჭირდებაო. უთხრა, რა გასამრჯელოს სთავაზობდა და ქალს უკმაყოფილება არ დასტყობია. ბოლოს იმაზე დაუწყო ლაპარაკი, თუ რა უნდა ეკეთებინა, მაგრამ ქალმა აგრძნობინა, რომ უკვე იცოდა. ჰარინჯერი მიხვდა, პრიჩარდს წინასწარ გაეკითხა ყველაფერი. ამას სულაც არ გაუნაწყენებია. პირიქით, გაახალისა კიდევ. იფიქრა, გონიერი და წინდახედული ქალი ყოფილაო.

— მოახლედ რომ აგიყვანით, როდის შეგიძლიათ გადმოხვიდეთ? ამჟამად არავინა მყავს. მზარეული ჯერჯერობით ყველაფერს აუდის, მაგრამ მინდა ამ არეულობას მალე მოედოს ბოლო.

— იცით, სერ, მინდოდა ერთი კვირა დამესვენა, მაგრამ რადგან ასეა საქმე, სულაც არ დავისვენებ და, გნებავთ, ხვალვე გადმოვალ.

რიჩარდმა თავისი მიმზიდველი ღიმილი შეანათა.

— არა, რატომ?! დაგელოდებით. რაკი აპირებდით, დაისვენეთ. ერთი კვირა შემიძლია მოგიცადოთ. დაისვენეთ და მერე მოდით.

— დიდი მადლობა სერ. მაშინ დღეის სწორს რომ მოვიდე?

— კარგი იქნება.



როცა ქალი წავიდა, რიჩარდ ჰარინჯერმა შვებით ამოისუნთქა, ბოლოს და ბოლოს ამ საქმეს თავი დაუდგო. მგონი, მე რომ ვეძებდი, ისეთიანო, გაიფიქრა. ზარი დარეკა და, მზარეული რომ შემოვიდა, უთხრა, როგორც იქნა, მოახლე ავიყვანეთ.

— ჩემი აზრით, გამოგადგებათ, — უთხრა მზარეულს, — ნაშუადღევს მოვიდა და მელაპარაკა. მაშინვე მივხვდი, თავისი საქმის მცოდნე რომაა. ქარაფშუტა არ უნდა იყოს.

— ვნახოთ, ვნახოთ, მისის ჯედი. იმედია, ჩემზე კარგის მეტი არაფერი გითქვამთ.

— ვუთხარი, სხვებს არა ჰგავს, ნამდვილი ჯენტლმენია და წესრიგი უყვარს-მეთქი.

— მართალი გითქვამთ.

— მიპასუხა, ეგ არ მაფიქრებს. ავკარგიანი კაცი მიყვარს. რა ფასი აქვს საქმის კეთებას, თუ არ დაგინახავენო. ეტყობა, თავმოყვარეა და ცდილობს საქმე ისე აკეთოს, ყველას მოეწონოს.

— მეც სწორედ ეგეთი მინდა. მგონი ამაზე უკეთესს ვერც ვიშოვიდით.

— სწორი ბრძანდებით. მართალია, სანამ ადამიანს კარგად არ გაიცნობ, მანამდე ვერაფერს იტყვი, მაგრამ, როგორც შევატყვე, ნამდვილი განძია.

პრიჩარდი მართლაც განძი გამოდგა. იშვიათად თუ ღირსებია ასეთი მოახლე ვინმეს. დილაობით ჰარინჯერი ხალისიანად და ამაყად მიაბიჯებდა სიმსახურში, რადგან სარკესავით გაპრიალებული ფეხსაცმელები ეცვა. ტანსაცმელსაც ისე უვლიდა, მალე კოლეგებმა ოხუნჯობა დაუწვეს, მთელ ქვეყანაზე სამსახურში შენზე უკეთესად გამოწყობილი არავინ დადისო. ერთხელ შინ რაღაც საქმეზე დაბრუნდა და სააბაზანოში გასაშრობად გაფენილი წინდები და ცხვირსახოცები ნახა.

— წინდებსაც და ცხვირსახოცებსაც თქვენა რეცხაეთ, პრიჩარდ? მეგონა, უამისოდაც ბევრი საქმე გქონდათ.

— სამრეცხაოში აფუჭებენ, სერ. ისევ ის მირჩენია, თვითონ გავრეცხო, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ.

პრიჩარდმა უკითხავადაც კარგად იცოდა, რომელ წვეულებაზე რას ჩაიცვამდა ჰარინჯერი — სმოკინგსა და შავ ჰალსტუხს თუ ფრაკსა და თეთრ ბაბთას. თუ ისეთ წვეულებაზე იყო წასასვლელი, სადაც მედლების გაკეთება იყო საჭირო, ფრაკის გულისპირზე სამი თუ ოთხი მედალი უკვე დაბნეული დაუხვდებოდა. ჰარინჯერი დილაობით კარადიდან ჰალსტუხის გამოსაღებად თავს აღარ იწუხებდა, რადგან პრიჩარდს უზადო გემოვნება ჰქონდა და სწორედ ისეთ ჰალსტუხს ამოურჩევდა, რომელიც იმ დღეს ჩასაცმელ კოსტუმს ყველაზე მეტად უხდებოდა. ჰარინჯერს უბის წიგნაკშიც აღარ სჭირდებოდა ჩახედვა იმის გასაგებად, თუ ვისთან უნდა წასულიყო სტუმრად — ეტყობა, მოახლეს კორესპონდენციის წაკითხვა არ უზარებოდა და ზეპირად ახსოვდა, სად და რომელ საათზე უნდა ყოფილიყო მისი ბატონი. გარდა ამისა, შესანიშნავად იცოდა, ვისთან როგორ ელაპარაკა ტელეფონით. მედიდურად მხოლოდ მედუქნეებს ექცეოდა. ყოველთვის შეუცდომლად ხვდებოდა, ვისთან ისურვებდა ჰარინჯერი ლაპარაკს და ვისთან არა. რამდენჯერ გაუგონია სასტუმრო ოთახში მჯდომარეს, მშვიდად და გულწრფელად რომ უპასუხებდა ვინმეს, ჰარინჯერი შინ არ არი-



სო. მერე კი შემოვიდოდა და ეტყოდა, ამან და ამან დაგირეკათ, მაგრამ ვიფიქრე, რომ მისი გულისთვის არ ღირდა თქვენი შეწუხება.

— კარგი გიქნიათ, პრიჩარდ, — ღიმილით ეტყოდა იგი.

— მივხვდი, კონცერტზე უნდოდა წაეყვანეთ და იმიტომ ვუთხარი, შინ არ არის-მეთქი, — დასძენდა პრიჩარდი.

მისი მეგობრები პრიჩარდს უბარებდნენ, ჰარინჯერის ნახვამდგომელად სალამოს სათითაოდ ჩამოუთვლიდა, ვინ იკითხა და ვის რა პასუხი უბარებდა.

— მისის სოუმსმა დაგირეკათ, სერ, და გთხოვათ, იქნებ რვაში, ხუთშაბათს საუზმეზე მეწვიოთო, მე კი ვუთხარი, ალბათ გული დაწყდება, მაგრამ მაგ დროს ლედი ვერსაინდერთან გახლავთ დაპატივებული-მეთქი. კიდევ მისტერ ოკლეიმ დაგირეკათ. იკითხა, სამშაბათს, ექვს საათზე, „საუთიში“ კოკტეილის დასალევად ვიკრიბებით და ჰარინჯერიც ხომ არ წამოვაო. მე ვუთხარი, შესაძლოა წამოვიდეს, თუკი კბილის ექიმთან არ გახლავთ დაბარებული-მეთქი.

— კარგად მოქცეულხართ.

— ვიფიქრე, მანამდე თვითონ მოიფიქრებს-მეთქი.

ბინას მუდამ სუფთად ინახავდა. ერთხელ შვებულებიდან დაბრუნდა (მაშინ პრიჩარდი სულ ახლადაყვანილი ჰყავდა), თაროდან წიგნი გადმოიღო და ნახა, მტკერი გადაწმენდილი ჰქონდა. მაშინვე ზარი დარეკა და, პრიჩარდი რომ შემოვიდა, უთხრა:

— გამგზავრებამდე სულ დამავიწყდა მეთქვა, წიგნებს არავითარ შემთხვევაში ხელი არ ახლოთ-მეთქი. თუ გასაწმენდად გადმოიღეს, მერე თავის ადგილზე ველარ იპოვი. მტვრიანი იყოს, არ დავეძებ, ოღონდ თავის ადგილას მეგულებოდეს.

— დიდი ბოდიში, სერ, — მიუგო პრიჩარდმა, — მაგრამ ვიცი, ზოგ ჯენტლმენს ყველაფერში წესრიგი უყვარს და იმიტომ ყოველი წიგნი ისევ თავის ადგილას დაუღე.

პრიჩარდ ჰარინჯერმა წიგნებს შეავლო თვალი. მართლაც ყველა თავის ადგილას ჩანდა. პრიჩარდს გაუღიმა და ბოდიში მოუხადა.

— ძალზე მტვრიანი იყო და, ხელი რომ მოგეკიდათ, დაგესვრებოდათ, — დასძინა პრიჩარდმა.

ვერცხლეულს ისე აპრიალეებდა, სულ ლაპლაპი გაუღიოდა. ერთხელ დაუძახა და საგანგებოდ შეაქო კიდევ.

— ამათგან ბევრი ანა დედოფლისა და ჯორჯ I-ის დროინდელია, — აუხსნა ჰარინჯერმა.

— ვიცი, სერ! ასეთი ძველებური ნივთების მოვლაც კი ძალიან სასიამოვნოა.

— თქვენ ძალიან გემარჯვებათ ვერცხლეულის მოვლა. ვერც ერთი მსახური ასე ვერ უვლიდა.

— კაცებს ჩვენისთანა მოთმინება არა აქვთ, — მოკრძალებით მიუგო მან.

ჰარინჯერმა დაიცადა, სანამ მოახლე ახალ ადგილს შეეგუებოდა, და მერე ისევ დაიწყო კვირაში ერთხელ სადილების გამართვა. დარწმუნდა, პრიჩარდმა იცოდა სუფრის გაწყობა, მაგრამ განსაკუთრებით ის ესიამოვნა, რომ იგი შესანიშნავად ემსახურებოდა სტუმრებს. საოცრად მარდი, უთქმელი და ყურადღებიანი იყო. სანამ სტუმარი სუფრას ათვალთქვებდა, რა გადავიდოდა, პრიჩარ-



დი მასთან გაჩნდებოდა და სწორედ იმ კერძს მიაწვდიდა, რომლის გადაღებაც საც თვითონვე აპირებდა. მალე გაეცნო ჰარინჯერის უახლოესი მეგობრების გემოვნებას და არ ავიწყდებოდა, ვის უბრალო წყლით უყვარდა ვისკის გაზავება, ვის — სოლით და ვის — ბატონის კოჭის გამოხვრა. შესანიშნავად იცოდა, რამდენ ხანს უნდა ჩაეციებინა რეინვეინი ისე, რომ გემო არ დაჰკარგვოდა, რამდენ ხანს უნდა გაეჩერებინა ოთახში კლარეტი, სურრჩეფლებურად დასტყობოდა. ერთ რამედ ღირდა იმის ნახვა, როგორ ასხამდა მუდგუნდს ღვინოს ისე, რომ ბოთლის ძირში დაგროვილი ნალექი არ ამღვრეულიყო. პრიჩარდმა ერთხელ სუფრაზე ის ღვინო არ მოიტანა, ჰარინჯერმა რომ უთხრა. როცა ჰარინჯერმა უსაყვედურა, მე სხვა ღვინო ვითხარო, უპასუხა:

— ერთი ბოთლი გავხსენი, სერ, მაგრამ ცოტა ხელი დაჰკარავდა, ამიტომ შამპერტენის მოტანა ვარჩიე.

— კარგი გიქნიათ, პრიჩარდ.

მალე ეს საქმე სულმთლად პრიჩარდს მიანდო, რადგან მშვენივრად ეხერხებოდა სტუმრის მოსაწონი ღვინის შერჩევა. თუ მიხვდებოდა, სტუმრებმა ღვინის ცნობა იციანო, ჰარინჯერის უკითხავად მოჰქონდა საუკეთესო ღვინო და ყველაზე ძველი ბრენდი. თუ სტუმრად ქალები ჰყავდათ, ღვინის მაგათ მაინც არაფერი გაეგებათო და ყველაზე მდარე შამპანურს მიუტანდა. როგორც ყველა ინგლისელი მსახური, ისიც გუძანით ხვდებოდა სტუმრის გვარიშვილობას და, თუ იგი ჯენტლმენი არ იყო, ვერც მისი თანამდებობა და ვერც ფული თვალს ვერ აუბამდა. ჰარინჯერის მეგობრებიდან ზოგიერთი გამორჩეულად უყვარდა. როცა მისი რომელიმე რჩეული საჭმელს მადიანად შეექცეოდა, პრიჩარდი მას საგანგებო შემთხვევებისათვის შემონახულ ღვინოს დაუსხამდა. ეს ამბავი ჰარინჯერს ახალისებდა.

— მაგისი გული მოგივია, ჩემო კარგო. — ეტყოდა მეგობარს. — ამ ღვინოს ყველასათვის კი არ იმეტებს.

სტუმრებს ჰარინჯერის წვეულებები ვეღარც კი წარმოედგინათ პრიჩარდის გარეშე. მალე უბადლო მოახლის სახელი გაითქვა. ნაცნობ-მეგობრები ჰარინჯერს შენატროდნენ, რა მოახლე ჰყავსო. ყველა აქებდა. თავისი წონა ოქროსაო, რომ იტყოდა ვინმე, მაშინვე შეუსწორებდნენ, ოქრო კი არა, მარგალიტიაო. როცა პრიჩარდს შეაქებდნენ, ჰარინჯერი კმაყოფილებით გაიბადრებოდა და მხიარულად ეტყოდა, კარგ ბატონს ყოველთვის კარგი მსახური ჰყავსო.

ერთ საღამოს პორტუგეისს სვამდნენ და, როცა პრიჩარდი გავიდა, მასზე ჩამოაგდეს საუბარი.

— თქვენგან რომ წავიდეს, საშინლად იდარდებთ.

— რატომ უნდა წავიდეს?! ერთმა თუ ორმა სცადა მისი გადაბირება, მაგრამ ცივი უარი უთხრა. თვითონ იცის, სადაც ურჩევნია.

— დღეს თუ არა, ხვალ გათხოვდება.

— არა მგონია, გათხოვებას აპირებდეს.

— ლამაზი ქალია.

— ჰო, კარგი შესახედავია.

— რას ამბობ! კარგი კი არადა, ძალიან ლამაზია. მოახლე რომ არ იყოს, საქვეყნოდ ცნობილი ლამაზმანი იქნებოდა და მაგისი სურათებით გაზეთებს ააჭრელებდნენ.



ამ დროს პრიჩარდმა ყავა შემოიტანა. ჰარინჯერმა თვალი შეავლო. აგერ უკვე ოთხი წელია — მაინც რა სწრაფად გადის დრო — ყოველდღე თვალწინ უტრიალებს, მაგრამ როგორია, ვერც კი იტყვის. უყურებს და, პირველად რომ ნახა, მას შემდეგ სულაც არ შეცვლილა. არც გასუქებულა, ღაწვებიც ისევ ისე ვარდისფერი აქვს და სწორნაკეთებიან სახეზეც ისევ ისეთი დაძაბული და უტყვი იერი ადევს. მოახლის მუქი ტანისამოსიც უხდება. პრიჩარდი ისევ გავიდა.

— ერთი სიტყვით, უნაკლო ქალია, — თქვა ერთმა სტუმარმა.

— საქმეში ნამდვილად უნაკლოა, — მიუგო ჰარინჯერმა. — უმაგისოდ არ ვიცი, რა მეშველება. მაგრამ, მართალი გითხრათ, დიდად მაინც არ მომწონს.

— მაინც რას უწუნებ?

— ცოტა მაღიზიანებს. როგორ გითხრათ. საუბარი სულ არ ეხერხება. რამდენჯერმე ვცადე ამეყოლიებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მართო კითხვებზე მატლევს პასუხს. მაგისას ვერაფერს გაიგებ. არც ის ვიცი, მოვწონვარ თუ სრულიად გულგრილია ჩემდაძი. სწორედ რომ ცოცხალი ავტომატია. ისე, პატივს ვცემ, ვაფასებ და ვენდობი. ამქვეყნად არაფერი სიკეთე არ აკლია და მეც მიკვირს, რატომ არ მიზიდავს. ალბათ იმიტომ, რომ თვითონ არ არის მიმზიდველი.

მეტი ამაზე აღარაფერი უთქვამთ.

ორი თუ სამი დღის შემდეგ, რაკი თვითონ არსად არ იყო დაპატიჟებული და პრიჩარდსაც იმ საღამოს დასვენება ეკუთვნოდა, მარტოდმარტო სადილობდა კლუბში. მასთან მსახური ბიჭი მივიდა და უთხრა, სახლიდან გირეკავენ, გასაღები შინ დაგრჩათ და ტაქსით ხომ არ მოფუტანოთო. ხელი ჯიბეში ჩაიყო. გასაღები მართლაც აღარ ედო. ასეთი რამ იშვიათად დამართვია. სანამ სასადილოდ წამოვიდოდა, კოსტუმის გამოსაცვლელად შინ შეიარა, გასაღები კი გამონაცვალ კოსტუმში ჩარჩა. ბრიჯის თამაშსაც აპირებდა, მაგრამ იმ დამეს კლუბი ისვენებდა, ადრე კეტავდნენ და გულიანი თამაში ვეღარ გაიმართებოდა. უცებ გადაწყვიტა შემთხვევით ესარგებლა და ერთი გახმაურებული ფილმი ენახა. მსახურ ბიჭს დააბარა უთხარი, გასაღებისათვის თვითონ შემოივლის-თქო.

როცა ზარი დარეკა, კარი პრიჩარდმა გაუღო და გასაღებები შეაგება.

— აქ რას აკეთებთ, პრიჩარდ? ამ საღამოს ხომ დასვენება გაქვთ?

— დიახ, სურ. მაგრამ წასვლა არსად მინდოდა და მისის ჯედის კუთხარი, ჩემ მაგიერ შენ დაისვენე-მეთქი.

— როცა შემთხვევა მოგეცემათ, უნდა გაისეირნოთ სადმე, — ჩვეული გულითალობით უთხრა რიჩარდმა. — სულ შინ ხომ არ უნდა იჯდეთ?!

— ხანდახან საქმეზე მიხდება ხოლმე გასვლა, საღამოს კი, მთელი თვე იქნება, არსად გამივლია.

— მერედა რატომ?

— მარტო სიარული აღარ მეხალისება, ისეთი ნაცნობი კი არავინა მყავს, სადმე წავყვე.

— ხანდახან გასართობადაც უნდა მოიცალოთ. გახალისდებით.

— გართობაზე რა ხანია აღარ მიფიქრია.

— ყური მიგდეთ. ახლა მე კინოში მივდივარ. თქვენც ხომ არ წამოხვალთ? ამისი თქმა იმ ცხელ გულზე სიკეთით მოუვიდა და, თქვა თუ არა, მაშინვე ინანა.



- დიახ, სერ, სიამოვნებით წამოვალ, — მიუგო პრიჩარდმა.
- მაშინ წადით და ქუდი დაიხურეთ.
- ამწუთშივე აქ გავჩნდები.

პრიჩარდი მაშინვე გაუჩინარდა, ჰარინჯერი კი სასტუმრო ოთახში შევადა და სივარეტი გააბოლა. თავისი საქციელი ართობდა და სიამოვნებდა კიდევ. სასიამოვნოა, ადამიანი გაახარო და დიდადაც არ შეწყნებულა. მაინც რა თავდაჭერილია პრიჩარდი, არც გაოცებულა და არც შეწყნებულა.

პრიჩარდმა ხუთ წუთზე მეტხანს არ ალოდინა, ხოლო როცა დაბრუნდა, ჰარინჯერი მიხვდა, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა. ცისფერი, ეტყობა, ხელოვნური აბრეშუმის კაბა ეცვა, თავზე შლაპა ეხურა, რომელზეც ლურჯი ბროში დაეხნია, კისერზე კი მელიის ვერცხლისფერი ბეწვი მოეხვია. ცოტა არ იყოს გულზე მოეშვა, როცა დაინახა, ქალს არც სათაკილოდ ეცვა და არც თვალშისაცემად. თუკი ვინმე დაინახავდა მასთან, ვერავინ იფიქრებდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიმე მსხვილ მოხელეს მოახლე კინოში მიყავსო.

- მაპატიეთ, რომ გალოდინეთ, სერ.
- როგორ გეკადრებათ, — თავაზიანად მიუგო ჰარინჯერმა.

ჰარინჯერმა კარი გამოაღო და პრიჩარდი გაატარა. მას ლუი მეთოთხმეტისა და მისი კარისკაცის ცნობილი ანეგდოტი მოაგონდა. თვალში მოხვდა, რომ პრიჩარდმა თამამად გაუარა წინ. რა ფილმიც უნდა ენახათ, მახლობელ კინოთეატრში უჩვენებდნენ და ამიტომ ფეხით წაუიდნენ. გზაზე ჰარინჯერი ამინდზე, გზების აკარგიანობასა და ადოლფ ჰიტლერზე ესაუბრებოდა. დროდადრო პრიჩარდი საზრიანად ჩაურთავდა სიტყვას. კინოში სწორედ მაშინ მივიდნენ, როცა „მიკი-მაუსი“ დაიწყო და ორივენი კარგ გუნებაზე დადგნენ. ის ოთხი წელიწადი, რაც მასთან პრიჩარდი მოახლედ იდგა, ჰარინჯერს იგი გაღიმებულები არ ენახა, ახლა კი წამლაუნწუმ გაისმოდა მისი კისკისი და ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მერე ფილმი დაიწყო. კარგი სურათი იყო და ორივენი სულგანაბულნი უყურებდნენ. ჰარინჯერმა ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო და უნებლიეთ პრიჩარდს გაუწოდა.

- გმადლობთ, სერ, — მიუგო პრიჩარდმა და ერთი სივარეტი აიღო.

ჰარინჯერმა მოაკიდებინა. პრიჩარდი ეკრანს ისე მისჩერებოდა, ეს არც კი შეუნიშნავს. როცა ფილმი დამთავრდა, მაყურებლებთან ერთად ქუჩაში გამოვიდნენ და შინისაკენ გაემართნენ. წყნარი, ვარსკვლავიანი ღამე იყო.

- მოგეწონათ ფილმი? — შეეკითხა ჰარინჯერი.

- ძალიან, სერ. დიდი სიამოვნება მომანიჭა.

უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა ჰარინჯერს თავში.

- ჰო, მართლა, თუ ივახშმეთ?

- ვერა, სერ, ვერ მოვასწარი.

- მაშინ ძალიან გეშეიებათ.

— შინ რომ მივალთ, ცოტა პურსა და ყველს შევჭამ და ერთ ჭიქა კაკაოს დავაყოლებ.

„მთელი საღამო მშიერი ყოფილა“, — შეეცოდა ჰარინჯერს და ირგვლივ მიმოიხედა. გარშემო სიხალისე სუფევდა. ხალხი ღალად მიმოდიოდა ქუჩაში.

„მადლი ჰქენი, ზედ მარილი მოაყარეო“, — გაივლო გუნებაში და შეეკითხა:

- ყური მიგდეთ, სადმე ხომ არ გვევახშმა ერთად?



— როგორც ინებებთ, სერ.

— წამოდით.

პარინჯერმა ტაქსი გააჩერა. სიკეთის საოცარ მოზღვაუებას გრძნობდა და ეს ძალიან მოსწონდა. მძღოლს უთხრა, ოქსფორდ-სტრიტზე წაგვიყვინე რესტორანში. იქ მუდამ მხიარულება იყო და არც ვინმე ნაცნობს გადაეყვებოდა. იმ რესტორანში ორკესტრიც უკრავდა და ცეკვაც შეიძლებოდა. პრინარდს ალბათ მოეწონებოდა იქაურობა. როცა მაგიდას მიუსხდნენ, მათ დაელოდნენ მისი მივიდა.

— აქ ვახშმად რამდენიმე თაყი საჭმელი აქვთ, — უთხრა პარინჯერმა, რადგან იფიქრა, მსუბუქი ვახშამი ვერ დაანაყრებსო. — ჩვენც კარგად ვივახშმით. ოღონდ რას დალევთ? თეთრ ღვინოს?

— მე ყველას ღიმონათი მირჩევნია.

პარინჯერმა თავისთვის სოლიანი ვისკი შეუკვეთა. ქალი ძალიანად შეუდგა ვახშმობას და, თუმცა სულ არ შიოდა, პარინჯერმაც დაიწყო ჭამა, პრინარდს მისი რომ არ მორიდებოდა. სასაუბრო თემა საქებნელი არ გახდომიათ — ახალ ნანახ ფილმზე დაიწყეს ლაპარაკი. მართაღს ამბობდნენ ამას წინათ მისი მეგობრები — პრინარდი არ იყო უღამაზო ქალი და ამიტომაც სულაც არ ეხალვლებოდა, თუ მასთან ვინმე დაინახავდა. რა ამბით მოუყვებოდა თავის მეგობრებს, ჩვენი სანაქებო პრინარდი კინოში მყავდა, მერე კი რესტორანში ვივახშმეთო. პრინარდი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მოცეკვავეებს და ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა.

— გიყვართ ცეკვა? — შეეკითხა პარინჯერი.

— ქალიშვილობისას ძალიან მიყვარდა, მაგრამ გათხოვების მერე იშვიათად მიცეკვია. ქმარი ცოტათი დაბალი მყავდა, ჩემი აზრით კი ცეკვას შნო მაშინა აქვს, თუ მაშაკაცი ქალზე მაღალია. ახლა კი რაღა დროს ჩემი ცეკვაა.

პარინჯერი თავის მოახლეზე გაცილებით მაღალი იყო — სიმაღლით შესაფერი იქნებოდნენ. თან ცეკვა უყვარდა და კარგადაც ცეკვავდა. ყოყმანი დაიწყო, საცეკვაოდ გავიწვიო თუ არა — ვაითუ არ უნდა და ხათრი ვერ გამიტეხოსო. თუმცა ამით რა დაშავდება? ძალიან მოსაწყენი ცხოვრება აქვს და ცოტათი გაურთობა. არადა, თუ იჩოთირებს, გონიერი ქალია და საუცხოო საბაბს გამონახავს, რომ უარი მითხრას.

— ხომ არ ეიცეკვოთ, პრინარდ? — შეეკითხა პარინჯერი, როცა ორკესტრმა ისევ დაიწყო დაკვრა.

— ცეკვა სულ დამავიწყდა, სერ.

— არა უშავს.

— თუ არა უშავს, კი ბატონო, — მიუგო ქალმა და წამოდგა.

პრინარდი სულაც არ მორცხვობდა, ოღონდ ეშინოდა, ვაითუ პარინჯერს ფეხი ვერ შევუწყო. სხვა მოცეკვავეებს შეერივნენ. პრინარდი ძალიან კარგად ცეკვავდა.

— პრინარდ, თქვენ შესანიშნავად ცეკვავთ, — უთხრა მან.

— თანდათან მახსენდება.

იგი მოსული ქალი გახლდათ, მაგრამ მსუბუქად ცეკვავდა და რიტმსაც კარგად გრძნობდა. მასთან ცეკვა ფრიად სასიამოვნო იყო. პარინჯერმა სარკეებიან კედლებს შეავლო თვალი და უნებურად გაიფიქრა, ერთმანეთს ძალიან ვუხდებითო. სარკეში მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა — ნეტავი პრინარ-



დიც ამას ხომ არ ფიქრობდა?! კიდევ ორჯერ იცეკვეს და მერე რიჩარდ პარინჯერმა თქვა, ახლა კი დროა წავიდეთო, ფული გადაიხადა და ქუჩაში გამოვიდნენ. პარინჯერმა შენიშნა, როგორი კდეძამოსილებით გაარდვია პრიჩარდმა ხალხი. ტაქსში ჩახხდნენ და ათ წუთში სახლთან იყვნენ.

— მე ცალკე ავალ, სერ, უკანა კარიდან! — უთხრა პრიჩარდმა.

— რატომ? რატომ? ერთად ავიდეთ ლიფტით. *პრიჩარდმა*

კარისკაცს რომ ჩაუარეს, პარინჯერმა მას ცივად *გამხედა, სქესდა!* არაფერი უცნაური არ არის, თუ გვიან საღამოს მოახლესთან ერთად დაებრუნდი შინო. შემდეგ კარი გააღო და პრიჩარდი წინ გაატარა.

— ძილი ნებისა, სერ, — უთხრა პრიჩარდმა, — მადლობას მოგახსენებთ. ერთობ დიდი სიამოვნება მომანიჭეთ, არასოდეს დამავიწყდება.

— მეც მადლობელი ვარ თქვენი, პრიჩარდ. რა გამაძლებინებდა მთელი საღამო მარტოს! მიხარია, რომ დღევანდელი გასეირნების კმაყოფილი ხართ.

— ძალიან, ძალიან, სერ. ენით ვერც კი გამოძითქვამს.

საღამომ დიდებულად ჩაიარა. რიჩარდ პარინჯერი თავისი თავის კმაყოფილი იყო. უხაროდა, რომ სხვას ასეთი სიამოვნება მიანიჭა. საკუთარმა კეთილშობილებამ ადაგზნო და წუთით გული ადამიანთა მოდგმისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღუვსო.

— ძილი ნებისა, პრიჩარდ, — უთხრა მან. შემდეგ ბედნიერებითა და სიკეთით მთვრალმა ქალს წელზე მოხვია ხელი და ტუჩებში აკოცა. პრიჩარდმაც არ მოაშორა ტუჩები და კოცნა დაუბრუნა. პარინჯერმა სიმწიფის ხანაში შესული ქალის ჯანსაღი და მკვრივი სხეულის სიმხურვალე შეიგრძნო და უფრო ძლიერ ჩაიკრა გულში. ქალმა კისერზე მოხვია ხელები...

საერთოდ პარინჯერს მანამდე არ ეღვიძებოდა, სანამ პრიჩარდი წერილებს არ შემოუტანდა, მაგრამ მეორე დღიას რვის ნახევარზე გაახილა თვალი. რაღაც უცნაური შეგრძნება ჰქონდა, მაგრამ ერთბაშად ვერ გაერკვია, რა სჭირდა. მუდამ ორ ბალიშზე ეძინა, ახლა კი თავი ერთ ბალიშზე ედო. უცებ ყველაფერი გაახსენდა და შემკრთალმა ირგვლივ მიმოიხედა. მეორე ბალიში იქვე გვერდით, სასთუმალთან იდო. ბალიში, მადლობა ღმერთს, ცარიელი იყო, მაგრამ ზედ ამკარად ვიღაცას სდებოდა თავი. გული გადაუქანდა... ცივმა ოფლმა დასხხა...

— ღმერთო ჩემო, რა სისულელე ჩავიდინე! — ხმაძალლა აღმოხდა პარინჯერს.

მაინც რა ჯანდაბა მოუვიდა. ისე როგორ წახდა, რომ მოახლეს გაუყადრა თავი, ეს რა სირცხვილი ჭამა ამ ხნისა და ასეთი თანამდებობის კაცმა. პრიჩარდის ლოგინიდან გაპარვა არც გაუგია, ალბათ ეძინა. მერედა დიდად მოსწონდეს მაინც! მისი გემოვნებისაც არ არის. აკი ამას წინათ ეუბნებოდა ერთ მეგობარს, ზოგჯერ მწყინდება კიდევ მაგის ყურებაო. გვარის მეტი რაიმე იცოდეს მაინც მისი! ისიც არ იცის, რა ჰქვია! რა სიგიჟე ჩაიდინა! ახლა როგორღა იქნება საქმე? არა, ასეთი რამ დაუშვებელია. ცხადზე ცხადია, მოახლედ ვეღარ დაიტოვებს. არადა, საკუთარი დანაშაულის გამო რომ დაითხოვოს — თუმცა პრიჩარდის ბრალიცაა — საშინელი უსამართლობა იქნება. სულ ტყუილუბრალოდ უნდა გადააყოლოს ასეთი მოახლე წუთიერ თავდავიწყებას.

— სულ ჩემი გულკეთილობის ბრალია ყველაფერი. — ამოიოხრა მან.

ისეთს ვიღას იშოვის, პრიჩარდისთვის რომ მოუაროს მის ტანსაცმელს ან



ასე ვინ გაუპრიალეს ვერცხლულს. მისი მეგობრების ტელეფონის ნომრებიც სულ ზეპირად რომ ახსოვს და ღვინის ცნობაც იცის! მაგრამ მაინც უნდა დაითხოვოს. თვითონვე უნდა მიხვდეს, რომ წუხანდელი ამბის შემდეგ მათი ერთად ყოფნა შეუძლებელია. კარგად უნდა დაასაჩუქროს და საუკეთესო რეკომენდაციებიც გაატანოს. ახლა სადაცაა შემოვა. ნეტავი როგორ მოიტყუება — ეშმაკურად, შინაურულად? ან იქნებ მედიდურად შემობრძანდეს? შესაძლებელია, წერილების მოტანა არც იკადროს! ვაითუ ზარის დარეკვა დასწრის შემდეგ კი მისის ჯედი შემოვიდეს და უთხრას, პრიჩარდს წუხელ გვიან დაუძინია და ჯერ არ ამდგარათ.

— რა სისულელე ვქენი! რა რეგენი ვარ!

კარზე დააკაკუნეს. ჰარინჯერს მღელვარებისგან გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

— შემოდით!

ახლა რიჩარდ ჰარინჯერი უბედურზე უბედური კაცი იყო.

საათის დარეკვა და პრიჩარდის შემოსვლა ერთი იყო. ტანთ ისევ ის ჩითის კაბა ეცვა, რომელსაც შუადღემდე იცვამდა ხოლმე.

— დილა მშვიდობისა, სერ.

— დილა მშვიდობისა.

პრიჩარდმა ფარდები ასწია და წერილები და გაზეთები მიართვა, სახეზე უმფოთველი იერი ედო და თავიც წინანდებურად ეჭირა. ისევ ისე, დინჯად და წინდახედულად აკეთებდა ყველაფერს. არც თვალს არიდებდა და არც მის მზერას ექებდა.

— ნაცრისფერ კოსტუმს ხომ არ ჩაიცვამთ? სამკერვალოდან გუშინ მოიტანეს.

— ჩავიცვამ.

ჰარინჯერი ვითომ წერილებს კითხულობდა, წარბებს ქვემოდან კი თვალს არ აცილებდა პრიჩარდს. ქალი ზურგიით იდგა მისკენ. წინა დღის ნაცვამ ხალათის სახელოებს საკინძეები მოხსნა და გაუთოებულ ხალათს გაუკეთა. კარადის უჯრიდან სუფთა საცვლები და წინდები ამოალაგა, წინდები წვივსაკრავების გვერდით დადო სკამზე, საცვლები კი საზურგეზე გადაჰკიდა. კარადიდან ნაცრისფერი კოსტუმი გამოიღო, შარვალზე აჭიმი დაამაგრა, წუთით დაფიქრდა და კოსტუმის შესაფერი ჰალსტუჩი ამოარჩია. შემდეგ წინა დღეს ნაცვამი კოსტუმი ხელზე გადაიღო, ფეხსაცმელები აიღო და ჰკითხა:

— ჯერ ისაუზმებთ თუ აბაზანას მიიღებთ?

— ჯერ ვისაუზმებ.

— კეთილა, სერ.

პრიჩარდი მშვიდად და აუჩქარებლად გავიდა. იგი ისევ ის მოკრძალებული საქმიანი და თავდაჭერილი მოახლე იყო. ვითომ, რაც მოხდა, მხოლოდ სიზმარი ყოფილიყოს და მეტი არაფერი. თითქოს პრიჩარდს სულ არ ახსოვდა წუხანდელი ამბავი. ჰარინჯერს გულზე მოეშვა: ყველაფერი ძველებურად დარჩება! პრიჩარდის დათხოვნა აღარ მოუწევს. პრიჩარდი შესანიშნავი მოახლეა. ჰარინჯერი მიხვდა, რომ პრიჩარდი თავის დღეში, არც სიტყვიერად და არც მინიშნებით, არ აგრძნობინებდა, რომ მათი ურთიერთობა ოდესმე გადასცდება ამ მიჯნას, რომელიც ერთმანეთისაგან ამორებს ბატონსა და მოახლეს.

რიჩარდ ჰარინჯერი ნამდვილად ბედნიერი კაცი იყო.



## ბანსრომის კაცი

იშვიათად, რომ ადამიანმა თავისი ნებით აირჩიოს ცხოვრების გზა, იგი იძულებულია ცხოვრების ჩარხის ტრიალს აჰყვეს და თუმცა ზოგი წუწუნებს, წუთისოფელმა არ გამიმართლა, თორემ უკეთესი ბედის ღირსი ვიყავი, უმეტესობა მორჩილად თუ არა, უდრტვინველად მაინც ურიგდებდა თავის ნვედრს. ისინი იმ ტრამვაის ვაგონებს ჰგვანან, ერთი და იმავე გზით, გამუდმებით წინ და უკან რომ დადის, ვიდრე საბოლოოდ არ მოიშლება და ჯართად არ გადაიქცევა. ძნელია ნახოთ ადამიანი, რომელიც თავისი ბედის ბატონ-პატრონი გამხდარა, და თუ ასეთი მაინც შეგხვდათ, კარგად უნდა გაეცნოთ.

ტომას უილსონმაც ამიტომ დამაინტერესა. მას საოცარი გაბედულება გამოეჩინა. მართალია, ჯერ არაფერი იცოდა, საბოლოოდ რა გამოუვიდოდა, მაგრამ სხვების ნაამბობით უცნაური კაცი ჩანდა და მისი გაცნობა მომინდა.

წინასწარ მითხრეს, გულჩათხრობილი ადამიანიყო, მაგრამ ვიფიქრე, ტაქტიკა და მოთმინებით მის ნდობას დავიმსახურებ-მეთქი. მინდოდა თვითონვე მოეთხრო თავისი ამბავი.

ადამიანებს სჩვევიათ ჩვეულებრივი ამბავი გააზვიადონ, რომანტიკულ ფერებში წარმოგვიდგინონ. ამიტომ მოველოდი, ტომასის ამბავი ისეთი უჩვეულო სულაც არ იქნება, როგორც ირწმუნებიან-მეთქი.

მოლოდინმა მართლაც გამიმართლა, როცა უილსონი გავიცანი. იმ ზაფხულს კაპრიში\* შეგობართან ვიყავი სტუმრად ჩასული და მთელი აგვისტო იქ ვავატარე. უილსონიც მთავარ მოედანზე გამაცნეს.

მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე, როცა კუნძულის ბინადარნი — მკვიდრები თუ ჩამოსულები — ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ საღამოს საამო სიგრილეში სამუსაიფოდ, მე და ჩემი შეგობარი ტერასაზე ვიდექით, საიდანაც ნებალის ყურე მოჩანდა. როცა მზე ნელ-ნელა ეშვება ზღვაში, წითლად შეფერილ პორიზონტზე მკაფიოდ იკვეთება კუნძულ ისკიას მოხაზულობა. მე და ჩემი მასპინძელი მონუსხულებივით ვუმხერდით ამ თვალწარმტაც სანახაობას. უცრად შეგობარმა მითხრა:

— აი, უილსონიც აქა ყოფილა.

— სად?

— აგერ, ცისფერხალათიანი, მოაჯირზე რომ ზის ჩვენკენ ზურგშემოქცეული. უკნიდან სრულიად ჩვეულებრივი კაცი ჩანდა. შეთხელებული თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი.

— ნეტავი მოიხედოს, — ვთქვი მე.

— საცაა მოიხედავს.

— მორგანოს\*\* რესტორანში დაპატიჟე.

— კარგი.

გასაოცარი სილამაზის წუთმა განვლო — მზე დიდი ფორთოხალივით ნელ-ნელა ჩაიძირა ღვინისფერ ზღვაში. ჩვენც შემოვბრუნდით, ზურგით მოაჯირს მივეყრდენით და ტერასაზე მოსეირნეებს დავუწყეთ თვალიერება. ისინი მხია-

\* ქალაქი იტალიის ამავე სახელწოდების კუნძულზე.

\*\* ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმრო დიდი ბადითა და ღია რესტორანით ტიმერაუსის ქუჩაზე ქ. კაპრიში.



რულად მასლაათობდნენ და იცინოდნენ. მერე ეკლესიის ზარის ოდნავ გაბზარული, მაგრამ სასიამოვნო ხმა გაისმა. კაპრის მოედანი თავისი სამრეკლოთი, ნავსადგურიდან ამომავალი საცაღფეხო კიბითა და შორიანლო ოდნავ შემაღლებულზე მდგომი ეკლესიით ისე საოცრად ჰგავდა დონიცეტის ობერების დეკორაციას, გეგონებოდათ, ტერასაზე თავმოყრილი ხალხი სადაცაა ერთად ამღერდებოთ. ყოველივე ეს მომხიბლავი და უჩვეულო იყო. *ერჩენენ*

ისე გამიტაცა ამ სანახაობამ, ვერც შევამჩნიე, რომ უილსონი მისკინისგან ჩამოხტა და ჩვენკენ წამოვიდა. გვერდზე რომ გაგვიარა, მეგობარი შეეხმინა:

- უილსონ, ამ ბოლო დღეებში პლაჟზე არ ჩანხართ.
- სულ ერთ აღვიღას ბანაობა მომწყინდა და ახლა სხვაგან გადავინაცვლე.

მეგობარმა უილსონი გამაცნო. მან თავაზიანად, მაგრამ გულგრილად ჩამომართვა ხელი. ჩემსავით ცოტა ხნით ჩამოსული, ვინ იცის, რამდენი გაუცვნია და მერე თვალითაც აღარ უნახავს. ჩემმა მეგობარმა სთხოვა, წავიდეთ, სადმე დავლიოთო.

- შინ მივდივარ სავახშმოდ, — იუარა უილსონმა.
- მოგვიანებით რომ ივახშმობთ? — შევეკითხე მე.
- ეგ მგონი, შეიძლება, — ღიმილით მომიგო მან.

დიდი ვერაფერი კბილები ჰქონდა. მაგრამ კეთილად და მიმზიდველად ილიმებოდა. ტანთ ღურჯი ჩითის ხალათი, დაჭმუჭენილი და, ცოტა არ იყოს, ჭუჭყიანი, ნაცრისფერი ტილოს თხელი შარვალი ეცვა, ფეხზე კი — ტილოსვე ძველი სანდლები.

ეს თვალწარმტაცი მორთულობა შეეფერებოდა ამინდსა და გარემოს, მაგრამ სულ არ ეხამებოდა უილსონის გარეგნობას. მას მზით გარუჯული, ნაოჭებით დაღარული, მოგრძო და სწორნაკკეთებიანი სახე, თხელი ტუჩები და ახლო-ახლო ჩამჯდარი ცისფერი თვალები ჰქონდა. ჭადარაშიერული თმა გულდასმით დაევარცხნა. ულამაზო არ უთქმოდა, ის კი არა, ახალგაზრდობაში შეიძლება ძალიან ლამაზ კაცადაც ითვლებოდა, მაგრამ ახლა მკაცრი იერი ედო.

საკინძეშეხსნილი ღურჯი ხალათი და ნაცრისფერი ტილოს შარვალი ჩამირული გემის გადარჩენილ მგზავრს ამგვანებდა, რომელიც გულმოწყალე ადამიანებს გამოხატვალ ტანსაცმელში გამოეწყობოთ. მიუხედავად ამისა, მაინც საღაზღვევო კომპანიის განყოფილების გამგეს ჰგავდა, რომელსაც შავი სერთუკი, ტვიდის შარვალი, ქათქათა ხალათი და ლამაზი ჰალსტუხი მოუხდებოდა. ჩემდა უნებურად წარმოვიდგინე, რომ ვითომ საათი დაკარგე და დაზღვევის ფულის ასაღებად უილსონთან მივდივარ, ნირწამხდარი ეპასუხობ მის კითხვებს და თუმცა თავაზიანად მეპყრობა, ეტყობა, გულში ფიქრობს, ამგვარი პროტენზიით მოსული ადამიანი ან სულელი ან ყალბაბანდი უნდა იყოსო.

უილსონთან ერთად მოედანი გადავჭერთ, ქუჩას დავუყევით და მორგანოს ღია რესტორანში მაგიდას შემოვუსხედით. გარშემო რუსული, გერმანული, იტალიური და ინგლისური ლაპარაკი ისმოდა.

სასმელი შევუკვეთეთ. რესტორანის პატრონის ცოლი — დონა ლუჩია, მაგიდასთან მოვიდა და გამოგვესაუბრა. ეს სქელი, ხანში შესული ქალი ბაჯბაჯით დადიოდა, მაგრამ ახალგაზრდული სილამაზე ისევე შემორჩენოდა. სწორედ



ამ სილამაზე დაახატვინა მხატვრებს მისი ამდენი უვარგისი პორტრეტი. ამ ოცდაათი წლის წინათ ჰერასავით დიდრონი, წყლიანი თვალები და ეშხიანი ღამილი ჰქონდა. ერთხანს წავიჭორავეთ. კაპრიზე საჭორაოს რა გამოლევს, მაგრამ საინტერესო არაფერი თქმულა. ცოტა ხნის შემდეგ უილსონი წამოდგა და გამოგვეთხოვა. მალე ჩვენც ჩემი მეგობრის ვილაში დავბრუნდით სასადილოდ. გზაზე მეგობარი შემეკითხა, უილსონზე რას იტყვებოდა?

— არაფერს, — მიუუგე მე. — რასაც მასზე ამბობენ, ~~ბევრი საინტერესო~~ არა მჯერა.

— ვითომ რატომ?

— ეგეთი კაცი არა ჩანს.

— გარეგნობაზე რას შეატყობ, ვინ რისი გამკეთებელია?

— მე რომ მკითხვით, ერთი ჩვეულებრივი საქმოსანი კაცია, რომელიც საქმეებს ჩამოსცილებია, სახელმწიფო აქციებში დაუბანდებია ფული და ახლა საიმედო რენტით ცხოვრობს. მე მგონი, თქვენი ნაამბობი აქაურების მონაჭორია.

შენი ნებაა, გინდ დაიჯერე, გინდ არაო, მითხრა მეგობარმა.

საბანაოდ ერთი ადგილი გვქონდა ამორჩეული. ამ ადგილს ტიბერიუსის აბანოს\* ეძახდნენ. დაღმართს დაუყვებოდით, მერე გზიდან გადაუხვევდით, კრიჭინობელების კრიჭინში დაგვალულ ვენახებსა და სურნელოვან ღიმონის ბაღებს გავივლიდით და იმ კლდის ქიმს მივადგებოდით, საიდანაც დამრეცი, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი ზღვის პირას ეშვებოდა.

ორი დღის მერე, ზღვის ნაპირას რომ ჩავედით, მეგობარმა მითხრა:

— შეხედე, უილსონი ისევ აქ დაბრუნებულა საბანაოდ.

ზღვისკენ წავედით. პლაჟი ლამაზი ჩანდა, მაგრამ კენჭებით იყო მოფენილი და სიარულის დროს სულ ხრაშინაობაში გაუდიოდა. უილსონს რომ მივუახლოვდით, დაგვინახა და ხელი დაგვიქნია. ტრუსის ამარა იდგა და ჩიბუხს ეწეოდა. მზით გარუჯული კანი და გამხდარი, მაგრამ მკვრივი სხეული ჰქონდა. ჭაღარა თმასთან და ნაოჭებიან სახესთან შედარებით ტანი ძალიან ახალგაზრდული უჩანდა.

სიარულში გვარიანად დაგვცხა, ამიტომ სწრაფად გავიხადეთ და ზღვაში გადავეშვით. წყალი აქ ღრმა იყო — ნაპირიდან ექვს ფუტზე სიღრმე ოცდაათი ფუტი მაინც იქნებოდა, მაგრამ ისეთი კამკამა გახლდათ, ფსკერს დაინახავდით. წყალი თბილი და სასიამოვნო იყო.

ნაპირზე რომ ამოვედი, უილსონი პირსახოცზე გულაღმა გაწოლილიყო და წიგნს კითხულობდა. სიგარეტს მოვუკიდე და გვერდით მოვუჯექი.

— კარგად იბანაკეთ? — შემეკითხა იგი და გვერდის მოსანიშნად წიგნში ჩიბუხი ჩადო. აშკარად ეტყობოდა, ლაპარაკის გუნებაზე იყო.

— შესანიშნავად, — მიუუგე მე. — ასეთი კარგი საბანაო არსად მეგულება.

— ამბობენ, იქ ძველად ტიბერიუსის აბანო\* იყოო, — მითხრა უილსონმა და იმ ნანგრევებისაკენ გაიშვირა ხელი, რომლებსაც სანახევროდ წყალი ფარავდა. — ხისულელეა. სინამდვილეში აქ მისი ერთ-ერთი ვილა იდგა.

\* კაპრის ჩრდილო სანაპიროს შუა ნაწილში შემორჩენილი კედლის ნანგრევი. მიხეულის იმპერატორ ტიბერიუსის (ახ. წ. 14-37 წ. წ.) მიერ აგებული აბანოს ნაშთად.



ეს მეც ვიცოდი, მაგრამ არაფერი ვთქვი. თუ კაცი გულის მოგება გინდათ, სათქმელი უნდა დაამთავრებინოთ. ადამიანს ძალიანს უყვარს, როცა ცოდნის გამომჟღავნების საშუალება ეძლევა.

— დიდი უცნაური კაცი იყო ეს ტიბერიუსი. სამწუხაროა, რომ ახლა მასზე შემორჩენილ კადმოცემებში მართალი ერთი სიტყვაც არ ვგულებათ, — დიმილით თქვა უილსონმა და ტიბერიუსზე ნაირ-ნაირი ამბები მომიყვა. სისა\* და რომის იმპერიის ადრეული ისტორიის შესახებ დაწერილი წიგნები მეც მქონდა წაკითხული და მის მონაყოლში ჩემთვის უცნობი არაფერი იყო, მაგრამ მაინც შევაქე, ნაკითხი კაცი ყოფილხართ-მეთქი.

— აქ რომ დავსახლდი, წარსულმა მაშინ გამიტაცა, დროც ბევრი მაქვს საკითხავად. როცა ასეთ ადგილზე ცხოვრობ და წარსულს ამდენი რამე გაგონებს, ძალაუნებურად დაგაინტერესებს გარდასულ ჟამთა ამბები. აქ თითქოს ყოველ ფეხის ნაბიჯზე წარსული გესაუბრება.

მაშინ 1913 წელი იყო. სამყარო წყნარი და სასიამოვნო გვეჩვენებოდა და ვერავინ იფიქრებდა, თუ რაიმე დაარღვევდა ამ უშფოთველ ცხოვრებას.

— რამდენი წელიწადია, რაც აქ ცხოვრობთ? — შევეკითხე მე.

— თხუთმეტი.

მან ცისფერ და წყნარ ზღვას გახედა და თხელ ტუჩებზე საოცრად ნაზი ღიმილი გაუკრთა.

— აქაურობა ჩამოსვლისთანავე მომეწონა. თქვენ აღბათ გაგონილი \*გექნებათ იმ გერმანელის ამბავი, რომელიც ნეაპოლიდან ნავით ჩამოსულა სასაუზმოდ და ცისფერი მღვიმის\*\* სანახავად, მერე კი ორმოცი წელიწადი გაუტარებია ამ კუნძულზე. ვერ გეტყვით, მეც ასე დამემართა-მეთქი, რადგან მხოლოდ ოცდახუთ წელიწადს ვაპირებ აქ ცხოვრებას. თუმცა წლებს რა მნიშვნელობა აქვს.

დავიცადე, სანამ მოყოლას გააგრძელებდა. მომეჩვენა, რომ ახლა უილსონი იმ უცნაურ ამბავს შეეხო, რომელიც ასე ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ ამ დროს წყლიდან ჩემი მეგობარი ამოვიდა, დიდად კმაყოფილი, ერთი მილი გავცურეო, და საუბარი სხვა რამეზე გადავიდა.

ამის მერე უილსონს რამდენჯერმე შევხვდი ხან მოედანზე, ხან კი — პლაჟზე. გულითადად და თავაზიანად მხვდებოდა ხოლმე და ყოველთვის სიამოვნებით მიბამდა საუბარს. იგი არა მარტო კაპრის კუნძულის, არამედ მატერიკის საუცხოო მცოდნე გამოდგა. ნაკითხი კაცი იყო, ოღონდ მაინცადამაინც დიდი გაქანებისა და ნიჭის პატრონი არ ჩანდა. ხშირად, მაგრამ თავშეკავებულად იცინოდა და მის გასაცინებლად პატარა ხუმრობაც კმაროდა. მოკლედ რომ ვთქვა, ერთი ჩვეულებრივი კაცი იყო. ვერა და ვერ მოვიცილე გონებიდან ჩვენი პირველი, დაუმთავრებელი საუბარი, მაგრამ მას შემდეგ ამ საკითხს აღარ დაბრუნებია.

ერთხელ პლაჟიდან მოედანზე დავბრუნდით. მეეტლეს გასამრჯელო რომ

\* რომაელი ისტორიკოსი (ახ. წ. 70—122 წ.).

\*\* სანახევროდ წყლით დაფარული მღვიმე კუნძულ კაპრის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. წყლიდან არეკლილი მზის შუქი მღვიმეს ცისფრად ანათებს, მის ფსკერს კი ვერცხლისფრად.



მივეცა, ჩემმა მეგობარმა უთხრა, ხუთ საათზე მოგვაკითხე და ანაკაპრიში\* წაგვიყვანე. გვინდოდა მონტე სოლაროზე\*\* ავსულიყავით, ჩვენს საყვარელ ტავერნაში გვესადილა და მთვარიან ღამეში შინ ფეხით დავბრუნებულყავით. მაშინ სავსე მთვარე იდგა. ასეთ ღამეებში კი იქაურობა საოცროდ ღამაზია. მეეტლეს რომ ველაპარაკებოდით, უილსონიც გვერდით გვედგა — იმ სიცხესა და ბუღში მართო არ გამოეუშვიო და პლაჟიდან ეტლით წამოვიყვანეთ. თავაზიანობის გულისათვის იმასაც ვკითხე, თქვენც ხომ არ წამოხვედით? დიდი სიამოვნებით, მიპასუხა უილსონმა.

წასვლის დრო რომ მოვიდა, ჩემი მეგობარი შეუძლოდ გახდა. მითხრა, ეტყობა, წყალში მეტიხმეტად დიდხანს დავყავი და სეირნობის თავი აღარა მაქვსო. ასე რომ, მართო მე და უილსონი დავადექით ტავერნის გზას. მთაზე ავედით, ირგვლივ გადაშლილი არემარის ცქერით დავტკბით და შეღამებისას დაქანცულები და მშვიერ-მწყურვალნი შევედით ტავერნაში. სადილი წინასწარ გვქონდა შეკვეთილი. ანტონიო შესანიშნავი მზარეული გახლდათ, გემრიელი კერძები დაგვახვედრა და თავისივე ვენახის ღვინო მოგვართვა. მსუბუქი, საამო დასალევი ღვინო იყო და მაკარონის ჭამაში ერთი ბოთლი დავლიეთ. მეორე რომ დავცალეთ, ცხოვრება ხალისიანი გვეჩვენა. ბაღში ვისხედით, — მაღალი, მტევნებდახუნძლული ვაზის ძირას. წყნარი ღამე იყო, სიო არ იძვროდა და ირგვლივაც არავინ ჩანდა. მოახლემ ყველი „Bel paese“ და ერთი თეფში ლელკი მოგვიტანა. მე ყავა და საუკეთესო იტალიური ლიქიორი „სტრუკა“ შევუკვეთე. სიგარები მოგვართვეს, მაგრამ უილსონმა უარი უთხრა და თავისი ჩიბუხი გააბოლა.

— შინ წასვლამდე დრო ბევრი გვაქვს, — თქვა მან. — მთვარე მთას ეფარება და ერთი საათის შერე ამოვა.

— მთვარე ამოვა თუ არ ამოვა, — მივუგე მე, — დრო მართლაც ბევრი გვაქვს. კაპრიზე ცხოვრება იმიტაც არის სასიამოვნო, რომ არსად არ გეჩქარება.

— რა სჯობს უზრუნველად ცხოვრებას! — მიპასუხა მან. — მაგრამ აღამიანები ამას ვერა ხვდებიან. არადა, ამის ფასი რა არის ამქვეყნად! ხალხი კი ისეთი უგუნურია, ვერ გაუგია, ტყუილუბრალოდ რომ შრომობს ამდენს. საქმეს თავს აკლავს და არ იცის, რომ შრომა იმისათვის არის საჭირო, კაცმა უზრუნველად იცხოვროს.

ღვინო ზოგიერთს ფიქრებს აუშლის ხოლმე. უილსონის ნათქვამი მართალი იყო, თუმცა ორიგინალურად ვერ ჩაითვლებოდა. მე ხმა არ ამომიღია, ასანთი ავანთე და სიგარას მოვუკიდე.

— როცა კაპრიზე პირველად ჩამოვედი, მახსოვს, მაშინაც სავსე მთვარე იყო. — ჩაფიქრებული განაგრძობდა უილსონი. — სწორედ ისეთივე, როგორიც ამაღამ ამოვა.

— აღბათ ისეთივე, — ღიმილით მივუგე მე.

უილსონსაც გაეღიმა, ბაღში მართო ჩვენი სუფრის თავზე დაკიდებული

\* სიდიდით მეორე ქალაქი კუნძულ კაპრიზე.

\*\* (იტალ. „მზიანი მთა“). ყველიზე მაღალი მთა კუნძულ კაპრიზე ქალაქ ანაკაპრის სამხრეთით. დამთვარიელებლები სიამახვად ეტანებიან შებინდებისას, როცა მწვანედ შეიფერება.



ნავთის ლამაზა ენთო. მისი სინათლე სუფრას ძლივს გვინათებდა, მაგრამ გულახდილი საუბრისთვის განგვაწყობდა.

— მე სულ სხვა რამე მქონდა მხედველობაში. მთვარე ისე მომაგონდა. ეს ამბავი გუშინდელ დღესავით მახსოვს. მას შემდეგ თხუთმეტი წელიწადი გავიდა, მაგრამ როცა ვიხსენებ, მგონია, ერთი თვეც არ გასულა-მეთქი. ზაფხულში შვებულებით ჩამოვედი იტალიაში. მანამდე აქ ნამყოფი არ ვყოფილვარ. მარსელიდან ნეაპოლში ჩავედი და პომპეი, პესტუმი და კაპრი კვირით მკველი ქალაქი დავათვალიერე. მერე ერთი კვირით კაპრიზე ჩამოვედი. ხმელეთს რომ მოუვახლოვდით, აქაურობა ძალიან მომეწონა. მერე კი, გემიდან ნავებში რომ ჩავსხედით და ხმელეთზე გადმოვედით, ნაპირზე მოყაყანე ხალხმა — მუბარგულებმა და სასტუმროების გამჭირავებელმა აგენტებმა, ნავმისადგომის გაყოლებაზე ჩამწკრივებულმა შელანძღულმა სახლებმა, სასტუმროებთან ასასვლელმა ბილიკმა, ტერასაზე სადილობამ — მოკლედ, ყველაფერმა აქ ნანახმა და გაგონილმა ერთბაშად დამატყვევა. მართალი ვითხრათ, იმასაც ვერ გეტყვოდით, მიწაზე დავდიოდით თუ ჰაერში დავფრინავდი. კაპრული ღვინის ქება კი გამეგონა, მაგრამ მანამდე არასოდეს დამეღია. მე მგონი, ცოტა არ იყოს, შევზარხოშდი კიდეც. ყველანი დასაწოლად წავიდნენ, მე კი ისევ ტერასაზე ვიჯექი და თვალს ვერ ვაშორებდი მთვარის შუქით განათებულ ზღვასა და შორეულ ვეზუვის კრატერიდან აზიდულ ალისფერ კვამლს. ახლა ცხადია, კარგად მესმის, ღვინომ კი არა, აქაურობამ — ამ კუნძულის სილამაზემ და მისმა ხალისიანმა ადამიანებმა, მთვარის შუქით განათებულმა ზღვამ და სასტუმროს ბაღში დარგული ოლეანდრების\* სურნელებამ დამათრო. ოლეანდრე მანამდე არასოდეს მენახა...

უილსონს პირი გაუშრა და ჭიქა აიღო ხელში, მაგრამ ჭიქა ცარიელი იყო. შევეკითხე, ისევ ლიქიორს ხომ არ ინებებთ-მეთქი.

— ლიქიორს არა და ერთი ბოთლი ღვინო კარგი იქნება. — მითხრა უილსონმა, — რაც არ უნდა იყოს, ყურძნის წვენი და არც არაფერს წყენს.

ღვინო მოვატანინე და ჭიქები შევაკვე. უილსონმა ერთი მოსმით ჭიქა შუამდე დაიყვანა, ნასიამოვნებმა ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო:

— მეორე დღეს იმ ადგილს მივაგენი, სადაც ახლა დავდივართ საბანაოდ. ვიფიქრე, კარგი ადგილია-მეთქი. მერე კუნძულზე დავიწყე ხეტიალი. ჩემდა ბედად თუ საუბედუროდ, იმ დღეს ტიბერიუსის კონცხზე დღესასწაული ჰქონდათ და მეც მოზეიმეებში ამოვყავი თავი. მღვდლებს ღვთისმშობლის ხატები ეჭირათ, მნათევები საცეცხლეურებს აქნევდნენ. სულ მხიარულ, მოცინარ და აღფრთოვანებულ ხალხს მოეყარა თავი. უმრავლესობას სამასკარადო ტანსაცმელი ეცვა. ვიღაც ინგლისელი შემხვდა და ვკითხე, რა ამბავია-მეთქი.

— „ღვთისმშობლის მიძინების“ დღესასწაულია, — მითხრა მან. — ყოველ შემთხვევაში, ასე თვლის კათოლიკური ეკლესია, მაგრამ ამას ნუ დაიჯერებთ — ეს ვენერას დღესასწაულია — წარმართობის დროინდელი. ხვდებით ალბათ — აფროდიტეს ზღვიდან ამოსვლა და ამგვარი ამბები.

მისმა ნათქვამმა უცნაურ გუნებაზე დამაყენა, თითქოს შორეულ წარსულში გადავსახლდიო. ალბათ მიმიხვდებით, რისი თქმა მინდა. ამის შემდეგ, ერთ

\* მარადმწვანე დეკორაციული ბუჩქი ან დაბალი ხე.



სალამის, მთვარის შუქით განათებული ფარალიონის\* სანახავად წავედი. ბედს რომ ჩემი ბანკის მმართველად დატოვება ნდომებოდა, როგორმე ამ გასეირნებას ამაცილებდა.

— ნუთუ ბანკის მმართველი იყავით? — შევეკითხე მე და შიგნით, რომ მისი პროფესიის გამოცნობაში დიდად არ შევძლარვარ.

— ჰო, — თავი დამიქნია უილსონმა. — „იორკისა და სიტის“ ბანკში კროფორდ სტრიტის\*\* განყოფილების მმართველი ვიყავი. სამსახურთან ახლოს, ჰენდონის\*\*\* გზაზე ეცხოვრობდი. სამსახურში ფეხით მისვლას ოცდაჩვიდმეტ წუთს ვანდომებდი.

ჩაქრობაზე მისული ჩიბუხი მაგრად მოქანა, გააბოლა და განავრძო:

— მეორე დღეს კაპრიდან მივემგზავრებოდი. ორშაბათ დილას ბანკში უნდა გამოვცხადებულყავი, მაგრამ წყლიდან ამოშვერილ და მთვარის შუქით განათებულ ამ ორ დიდ კლდის ქიშსა და სიპინების\*\*\*\* დასაჭერად გასულ მებაღურების ფარნიან ნავებს — მთელ ამ გარინდებულ და უღამაზეს სანახაობას — თვალი ვერ მოვწყვიტე. გუნებაში ვთქვი, უკან რაღას დაებრუნდემთქი. მეუღლე ოთხი წლით ადრე ფილტვების ანთებამ გამომაცალა ხელიდან, ამის შემდეგ ჩემი გოგონა ბებიაამისთან — ჩემს სიდედერთან — იზრდებოდა, მაგრამ ჩერჩეტმა ქალმა ვერ მოუარა, ბავშვმა სადღაც ფეხი გაიჭრა და სისხლი მოეწამლა. ფეხი მოკვეთეს, მაგრამ ვერც ამან უშველა და საწყალი ბავშვიც გარდამეცვალა.

— ეს რა დავმართიათ!

— დიდი უბედურება დამატყდა თავს, — დამეთანხმა იგი, — მაგრამ მისთვის იქნებ არც ღირდა გადარჩენილიყო. აბა ცალფეხა გოგოს ვინ ითხოვდა! ცოლის სიკვდილი კი დღემდე ვერ მომიხელებია. არ ვიცი, სულ ასე იქნებოდა თუ არა, მაგრამ ძალიან კარგი ცოლქმრობა გვქონდა. ერთი კია, ჩემი ცოლი სხვების აზრს მეტისმეტად დიდ ყურადღებას აქცევდა და მოგზაურობა არ უყვარდა. დასასვენებლად სულ ისტბორნში\*\*\*\*\* დავყავდი და სანამ ცოცხალი იყო, ინგლისს არ ვავცილებივარ.

— ნათესავები არა გყავთ?

— არა. დედისერთა ვარ. ერთადერთი ბიძა მყავდა, ისიც ჩემს დაბადებამდე ავსტრალიაში გადახვეწილა. ჩემისთანა უთვისტომო კაცი ალბათ ამქვეყნად არც მოიძებნება. ამიტომ, რასაც მინდოდა, იმას ვავაკეთებდი — დამშლელი არავინ მყავდა. თანაც, მაშინ მხოლოდ ოცდათოთხმეტი წლისა ვიყავი.

თხუთმეტი წელიწადიც აქ გაუტარებია, ახლა ორმოცდაცხრა წლისა ყოფილა-მეთქი, — გავიფიქრე გუნებაში. მეტი ხნისა მართლაც არ ჩანდა.

— შრომა ჩვიდმეტი წლიდან დავიწყე, — განავრძო უილსონმა, — პენსია-

\* ზღვიდან ამოშვერილი კლდის ორი დიდი ქიმი კუნძულ კაპრის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

\*\* ლონდონის ერთ-ერთი ქუჩა, სადაც კომერციული დაწესებულებებია განლაგებული.

\*\*\* ლონდონის ერთ-ერთი გარეუბანი.

\*\*\*\* ზღვის მოზრდილი გრძელსაცეცებიანი მოლუსკი.

\*\*\*\*\* ცნობილი საკურორტო ქალაქი ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე, სასექსის საგრაფოში.



ზე გასვლამდე სულ ერთი და იგივე საქმე უნდა შეკეთებინა. გუნებაში ვთქვი, ნეტავი რა ყრია ასეთ ცხოვრებაში, მოდი, ყველაფერს თავს დავანებებ და დარჩენილ სიცოცხლეს აქ გავატარებ-მეთქი. ასეთი ლამაზი ადგილი ჩემს დღეში არ მენახა, მაგრამ, როგორც ყველა საქმის კაცს, მეც სიფრთხილე ძნელსა და რბილში მქონდა გამჯდარი. არა, ასეთი აჩქარება არ ივარგებს, ხვალვე, როგორც ვაპირებდი ლონდონში წავალ და ყველაფერს იქ ავეწინააღმდეგებ, იქნებ იქ სულ სხვა გუნებაზე დავდგე-მეთქი. ასეც მოვიქეცი, მაგრამ სისულელე მომივიდა, ტყუილუბრალოდ დავკარგე მთელი წელიწადი!

— მაშ, ლონდონში ყოფნამ განზრახვა ვერ შეგაცვლევინათ?

— ცხადია, ვერა. მთელი წელიწადი, რაც იქ ვმსახურობდი, სულ ამ ნაპირებზე ბანაობა, გორაკებზე სეირნობა, აქაური ვენახები, მთვარის შუქით განათებული ზღვა და სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოედანზე სამასლაათოდ გამოსული ხალხი მელანდებოდა. ერთი რამ მაფიქრებდა მხოლოდ, შევძლებდი თუ არა ჩემს თვალში საკუთარი თავის გამართლებას, მთელი ცხოვრება რომ აღარ შემუშავა. იმხანად ვინმე მარიონ კროფორდის\* ისტორიული წიგნი წავიკითხე. წიგნში ორი ქალაქის — სიბარისისა\*\* და კროტონას\*\*\* ამბავი იყო მოთხრობილი. სიბარისის მოსახლეობა დროსტარების მეტს არას დაგიღვედათ, კროტონასი კი — გამრჯე, ბეჯითი და სამაგალითო ხალხი იყო. ერთხელ კროტონელები სიბარისს თავს დაესხნენ და აღგავეს პირისაგან მიწისა. არ გასულა დიდი ხანი და, კროტონაც იაკარპყვეს უცხოელმა დამპყრობლებმა. ადრინდელი სიბარისისაგან ქვა-ქვაზე აღარ დარჩა, ხოლო კროტონას ნაქალაქარზე ერთი სვეტი დგას მხოლოდ. მოკლედ, ორივე ქალაქს მაინც ერთი ბედი ხვდა წილად. ამ წიგნმა ჩემს ყოყმანს ბოლო მოუღო. რას იტყვით, ვინ უფრო მოგებული დარჩა, სიბარისელები თუ კროტონელები?

მე არაფერი ვუპასუხე. უილსონმა განაგრძო.

— მხოლოდ ის მაფიქრებდა, რითი მერჩინა თავი. ბანკმა პენსია რომ დავინიშნოს, ოცდაათი წელიწადი უნდა იმუშაო, ხოლო თუ ვინმე მანამდე გავა პენსიაზე, მარტო ფულად დახმარებას აძლევს. ეს დახმარება, ჩემი სახლის საფასური და მცირეოდენი დანახოგი სამუდამო რენტის შესაძენად არ მეყოფოდა. ის კი სისულელე იქნებოდა. უზრუნველი ცხოვრებისათვის ყველაფერი გამეწირა და საამისოდ საჭირო შემოსავალი ვერ მეშოვა. არადა, იმდენი ფული მჭირდებოდა, რომ კაპრიზე საკუთარი სახლი შემეძინა, მსახური ამეყვანა, თამბაქო და ხეირიანი საჭმელ-სასმელი არ მომეკლო, ხანდახან წიგნებიც მეყიდა და ცოტაოდენი თანხა გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვისაც გადამენახა. ყველაფერი გამოვითვალე და დავრწმუნდი, რომ ოცდახუთწლიანი რენტის საყიდელ ფულს მოვუყრიდი თავს.

— მაშინ ოცდათხუთმეტი წლისა იყავით?

— დიახ. ერთი სიტყვით, სამოც წლამდე მეყოფოდა და ადამიანმა ხომ არ იცის, უფრო მეტს იცოცხლებს თუ არა. ბევრი ხომ ორმოცდაათ წლამდეც ვერ აღწევს. სამოცი წლის კაცს კი ცხოვრება უკვე მოჭმული აქვს.

\* ამერიკელი რომანისტი. (1854—1909) დაიბადა იტალიაში. ცნობილია რომაელ დიდგვაროვანთა ცხოვრების აღწერით.

\*\* ანტიკური ხანის ბერძნული კოლონია სამხრეთ იტალიაში.

\*\*\* ანტიკური ხანის ქალაქ-სახელმწიფო სამხრეთ იტალიაში.



— კი მაგრამ, არც ის იცის კაცმა, რომ უთუოდ სამოცი წლისა მოკვდება!  
— შევეპასუხე მე.

— როგორ გითხრათ? განა ჩვენი სიცოცხლე ჩვენს ხელთ არ არის?

— მე რომ თქვენი ვიყო, პენსიაზე გასვლამდე სამსახურს თავს არ დავანებებდი.

— ამასობაში ორმოცდაშვიდი წლის გავზდებოდი. ისევე ხდებოდა, — აკი ახლა ცოტა მეტიც ვარ და ჯერ სიხალისე არ მომკვდება, — მაგრამ ახალგაზრდობა მაინც სულ სხვა არის. ორმოცდაათი წლის კაცმა შეიძლება ოცდახუთმეტი წლის ბიჭივით ატარო დრო, მაგრამ ის ეშხი და ლაზათი აღარ ექნება. ამიტომ მანამ მინდოდა დავმტკბარიყავი ამ ცხოვრებით, სანამ ჯანი და ღონე მომდევდა. ოცდახუთი წელიწადი ხომ მთელი ცხოვრებაა და თუ ამ წლებს ბედნიერად გავატარებდი, რაღა იყო დასაშური! ერთ წელიწადში ყოველივე ეს ავწონ-დავწონე და სამსახურს თავი დავანებე. ფულადი დახმარება ავიღე თუ არა, რენტა ვიყიდე და აქ დავსახლდი.

— ოცდახუთწლიანი რენტა?

— დიახ.

— და ეს არასოდეს გინანიათ?

— არასოდეს. მიღებული სიამოვნება უკვე მიღირს იმ თანხად, რაც რენტას დასჭირდა და კიდევ ათი წელი დამრჩა. ადამიანი ოცდახუთ წელიწადს ბედნიერად რომ იცხოვრებს, გული აღარაფერზე უნდა დაწყდეს.

— ალბათ მართალი ბრძანდებით. — ვუთხარი მე.

იმ ათი წლის მერე რას აპირებდა, აღარ უთქვამს, მაგრამ უთქმელადაც აშკარა იყო. მე ამხანაგის ნაამბობმაც შემაფიქრია, ახლა კი მისივე პირით მონაყოლმა გამაოგნა. უილსონს მალულად შევაკვლე თვალი, მაგრამ უჩვეულო ვერაფერი შევატყვი. ამ ნატიფი და მკაცრი იერის კაცზე ვერავინ იფიქრებდა, თუ ასეთ რამეს გაბედავდა. სულაც არა ვკიცხავდი — მეტად უჩვეულო ცხოვრება გადაუწყვეტია და თავის სიცოცხლეს, რაც უნდა, ის უქნას-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ტანში მაინც შრუანტელმა დამიარა.

— ხომ არ შეგცივდათ? — ღიმილით მკითხა უილსონმა. — მოდი ჩავუყვებ გორაკს, საცაა მთვარე ამოვა.

სანამ ერთმანეთს გამოვეთხოვებოდით, უილსონმა მთხოვა, რომ მოიცლით, ოქნებ მეწვიოთ და ჩემი სახლი დაათვალიეროთ.

ორი თუ სამი დღის შემდეგ კითხვა-კითხვით ვიპოვე უილსონის სახლი. იგი ქალაქიდან კარგა მოშორებით, ზღვისპირად, ვენახში ჩადგმულ პატარა სახლში ცხოვრობდა. პარმალთან ოლეანდრე ჰყვოდა. სახლი ოროთახიანი იყო, სამზარეულო პატარა ჰქონდა. შეშის შესანახად გვერდზე ფარდული მიეშენებინათ. საძინებელი ოთახი, თავისი ღარიბული ავეჯით, ბერის საკანს ჩამოჰგავდა, მყუდრო სასტუმრო ოთახში თამბაქოს სასიამოვნო სუნი იყო. შიგნისიდან ჩამოტანილი ორი დიდი სავარძელი, მოზრდილი საწერი მაგიდა და პიანინო იდგა, კედლებს თითქმის მთლიანდ ფარავდა წიგნებით სავსე თა-



როები. მათ შორის დარჩენილ ცარიელ ადგილებზე ჯორჯ ფრედერიკ ჰელდინ-სა\* და ლორდ ლეიტნის\*\* ნახატთა გრაფიურები ეკიდა.

უილსონმა მითხრა, სახლიც ვენახის პატრონის არის. იგი გორაკზე, სხვა სახლში ცხოვრობს. მისი ცოლი ყოველდღე მოდის, სახლს მილაკებს და საჭმელს მიკეთებსო. ეს სახლი პირველად რომ ჩამოვედი, მაშინ მომეწონა, ლონდონიდან დავბრუნდი თუ არა, დავიქირავე, და მას შემდეგ აქვე ცხოვრობო.

პიანინოზე გადაშლილი ნოტები იდო. უილსონს ეუთხარს, ~~„მეცემს“~~ რაზე დაუკრათ-მეთქი.

— იცით, ცუდად ვუკრავ, — ღიმილით მიპასუხა მან, — მაგრამ მუსიკა ყოველთვის მიყვარდა და პიანინოზე ბარტოლმეოტი ძალიან მსიამოვნებს.

უილსონი პიანინოს მიუჯდა და ბეთჰოვენის რომელიღაც სონატის ერთი ნაწილი დაუკრა. მართლაც ვერ უკრავდა კარგად. ამასობაში ნოტების თაროს შევაკლე თვალი. ზედ შუმანის, შუბერტის, ბეთჰოვენის, ბახის და შოპენის ნოტები ეწყო. სასადილო მაგიდაზე ხმარებისაგან გაზინთული კარტი იდო.

— ხანდახან პასიანსს ხომ არა შლით?

— ძალიან ხშირად, — მიპასუხა მან.

მის ცხოვრებას რომ გავეცანი და სხვების მონათხრობსაც ჩაუკვირდი, ნათლად წარმომიდგა თვალწინ, თუ როგორ გაატარა უილსონმა აქ თხუთმეტი წელიწადი. უწყინრად ცხოვრობდა, არავის არაფერს უშავებდა, ბანაობდა და ბევრს სეირნობდა. ეტყობა, არა და არ გაუნელდა ამ ღამაში კუნძულის სიყვარული. პიანინოს უკრავდა, პასიანსს შლიდა და წიგნებს კითხულობდა. როცა ვინმე დაპატიჟებდა, ხალისით მიდიოდა. წვეულებების სული და გული არ იყო, მაგრამ სასიამოვნო მოსაუბრედ კი ითვლებოდა. თუ ვინმე საუბარში არ აყვებოდა, არა სწყინდა. ადამიანებთან ყოფნა უყვარდა, ოღონდ დიდად არავის უახლოვდებოდა. ფულს არა ფანტავდა, მაგრამ თვითონ არაფერს იკლებდა. არავის ახსოვდა ვინმესთვის ერთი პენი გამოერთმოს სესხად. არა მგონია, ქალებს ოდესმე გადაყოლილი ყოფილიყოს, ხოლო სანამ უფრო ახალგაზრდა იყო, თუ ხანდახან ვინმე ჩამოსულ და აქაური მზით თავბრუდახვეულ ქალს დაუახლოვდებოდა, ეჭვი არ მეპარება, თავდავიწყებას არ მიეცემოდა. როგორც ჩანს, თავის გადაწყვეტილებას არ ღალატობდა — ყოველნაირად ცდილობდა, პირადი თავისუფლება შეენარჩუნებინა. უილსონს ბუნების სიმშვენიერე თავდავიწყებით უყვარდა და ყველასათვის ხელმისაწვდომსა და სხვებისთვის შეუმჩნეველ სიამოვნებას მწყურვალედ ეწაფებოდა.

ვინც უილსონის ცხოვრებას გაეცნობოდა, იტყოდა, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანიაო და მართალიც იქნებოდა. იგი არავის არაფერში გამოადგებოდა, მაგრამ არც დაუშავებდა რაიმეს. მას მხოლოდ განცხრომით ცხოვრება სურდა და თითქოს საწადელსაც სწეოდა. ცოტა ვინმემ თუ იცის, რაში ეძებოს ბედნიერება და კიდევ უფრო ცოტა პოულობს მას. ვერ გეტყვით, უილსონი ჭკვიანი იყო თუ დამთხვეული, მაგრამ კარგადი იცოდა, რაც უნდოდა.

გასაოცარი ის იყო, რომ უილსონი არაფრით არ გამოირჩეოდა. ალბათ სულაც მიმავიწყდებოდა, რომ არ მცოდნოდა, ათი წლის მერე (თუ მანამდე რაიმე სენი არ იმსხვერპლებდა) თავისი ხელით გამოესაღებოდა წუთისო-

\* ინგლისელი მხატვარი და მოქანდაკე (1817—1904).

\*\* ინგლისელი მხატვარი (ბარონი ფრედერიკი, 1830—1896).



ფელს, რომელიც ესოდენ ძლიერ უყვარდა. იქნებ ამის შეგნება უფრო უმძაფრებდა სიცოცხლის სიყვარულს და ამიტომაც იყო, რომ ასე ხარბად ეწაფებოდა სიამოვნებას.

ისიც უნდა ითქვას, რომ უილსონს არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი. დარწმუნებული ვარ, ჩემი მასპინძელი ერთადერთი კაცი იყო, ვისაც უილსონი გაენდო. მე კი, შესაძლოა, იმიტომ მომიყვა თავისი ამბავები, რომ ცხოვრობდა, მაინც ეცოდინებო. თანაც იმ ღამეს კარგა ბლომად დავაღწიე.

მაღე ჩემი წასვლის დროც მოვიდა და კაპრიდან გავებგზავრე. ერთი წლის შემდეგ ომი დაიწყო, თავს ბევრი რამ გადაძხდა და ჩემს ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. ასე რომ, კაპრიზე მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ მოვახერხე ჩასვლა. ჩემი მეგობარი, ხელმოკლეობის გამო, უფრო პატარა სახლში გადასულიყო და სტუმრის დასაწოლი ადგილი აღარა ჰქონდა, ამიტომ სასტუმროში უნდა დავბინავებულიყავი. მეგობარი ნავსადგურში დამხვდა და სასადილოდ წამიყვანა. სადილობისას ვკითხე, ახლა სად ცხოვრობ-მეთქი.

— შენ ნამყოფი ხარ იმ სახლში, — მიპასუხა მან. — მაშინ იქ უილსონი ცხოვრობდა.

რაც კაპრიდან წავედი, საზრუნავი და საფიქრალი არ დამლევია და უილსონი ერთხელაც არ მომგონებია. ახლა კი ყველაფერი გამახსენდა და უეცრად გავხვედი — ის ათი წელი, რაც მაშინ სასიცოცხლოდ დარჩა, უკვე კარგა ხნის გასული იყო.

— რა ჰქნა უილსონმა, მართლა მოიკლა თავი?

ჩემს მეგობარს აშკარად არ ეხალისებოდა ამ ამბავზე ლაპარაკი.

— ნუღარ მკითხავ, საშინლად წაუვიდა საქმე.

მე აღარ მოვეშვი და ყველაფერი მოვაყოლე.

უილსონს ყველაფერი კარგად ჰქონდა მოფიქრებული, ოღონდ ერთი რამ გამორჩენოდა მხედველობიდან: არასოდეს მოსვლია აზრად, რომ ოცდახუთ წელიწადს ამ მყუდრო სავანეში არხეინად ცხოვრებას, შესაძლო იყო, მისი ნებისყოფა თანდათან მოედუნებინა. დაბრკოლებების გადალახვა ადამიანს ნებისყოფას უწრთობს და უძტკიცებს, ხოლო თუ იოლად — ერთი ხელის გაწვდენით — ისრულებს ყოველგვარ საწადელს, ნებისყოფა უსუსტდება. ისიც კუნთებივით არის, თუკი ადამიანი სულ ვაკეზე ივლის, კუნთები გაელევა, დაუსუსტდება და მთაზე ასვლას ვეღარ შეძლებს. ნებისყოფაც ასეა.

როცა უილსონს ცხოვრების სარჩო გამოეღია, ამდენი ხნის უზრუნველად ცხოვრების საზღაური, რომლის გადახდა აღრე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ვეღარ გაიღო. ჩემი მეგობრისა და სხვების მონაყოლი ერთმანეთს რომ შევუჯერე, დავრწმუნდი, რომ უილსონს გაბედულება არ აკლდა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მაინც გაუჭირდა. ეტყობა, ყოველდღე სახეალიოდ სდებდა თავის განზრახვას.

უილსონი კაპრიზე ოცდახუთ წელიწადს ცხოვრობდა და თავის დანახარჯს მუდამ პირიანად იხდიდა. ამიტომ ნისიად ყველაფერს აძლევდნენ. რადგან წინათ ვალს არ იღებდა, ახლა გამოუჩნდა ხელის გამმართველები — ცოტაოდენ თანხას არავინ უჭერდა. სახლის პატრონმაც — რომლის მეუღლე, ასუნტა, ისევ მოახლედ ემსახურებოდა — რამდენიმე თვე აღროვა ქირის გადახდა. ყველამ დაიჯერა მისი ნათქვამი — ნათესავი მომიკვდა და სანამ შემკვიდრეობას დამიმტკიცებენ, ხელმოკლედა ვარო.



წელიწადზე ცოტა მეტ ხანს ასე გაიტანა თავი. მერე შედუქნებმა სურსათ-სანოვაგის მიცემა შეუწყვიტეს და ფულსაც აღარავინ აძლევდა სესხად. სახლის პატრონმაც საბოლოო ვადა დაუთქვა და გააფრთხილა, თუ ვალს მანამდე მთლიანად არ გადამიხდით, სახლი დამიცალეთო.

მიცემულ ვადაზე ერთი დღით ადრე, თავის ერთი ბეწო საძინებელ ოთახში გამოიკეტა, ფანჯრის ფარდა ჩამოაფარა და მაყალი გადუქნა.

მეორე დღით, როცა დიასახლისი უილსონს საუბრის უძრავს დაელოდა, ეახლა, იგი გონივრული ეგლო იატაკზე. კარ-ფანჯრების ღრიტოები კი დაეგმანა, მაგრამ უგულოდ და უხეიროდ. ალბათ გრძნობდა, უკან დასახვევი გზა რომ არა ჰქონდა, მაგრამ ბოლო წუთებში, ეტყობა, მაინც წახდა.

უილსონი საავადმყოფოში წაიყვანეს და კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჯანსაღდა. ოღონდ ნახშირის აირით მოწამვლამ იმოქმედა თუ გადატანილმა ტანჯვამ, გონება შეერყა, სულ არ შეშლილა, ყოველ შემთხვევაში, საგიუეთში წასაყვანი არ გამხდარა, მაგრამ სრულ ჭკუაზეც აღარ იყო.

— ერთხელ საავადმყოფოში მის სანახავად მივედი, — მითხრა ჩემმა მეგობარმა, — ვცადე საუბარში ამეყოლიებინა, მაგრამ ისე უცნაურად მომშტერებოდა, თითქოს ვერ გაეხსენებინა, სად ვყავდი ნანახი. ლოგინში იწვა, ჭალარა წვერი ერთი კვირის გაუპარსავე მაინც ექნებოდა. შეშხარავი სანახავი იყო, მაგრამ უცნაური გამოხედვა რომ არა, სიგიჟის არაფერი ეტყობოდა.

— მაინც ასეთი რა გამოხედვა ჰქონდა?

— არც კი ვიცი, როგორ გითხრა! გაოგნებული თუ რა დაეარქვა. აი როგორც იმ ადამიანს ექნება, ქვა რომ აავდოს მალა და ის ქვა ჰაერში დაეკიდოს...

— დაბნეული გამოხედვა? — სიტყვა შევაშველე მე.

— ჰო, რაღაც ეგეთი სახე ჰქონდა.

უილსონს საავადმყოფოდან გამოწერის დრო რომ მოუვიდა, არავინ იცოდა, რა მოეხერხებინათ მისთვის. მისი ავლადიდების გაყიდვამ ვალებიც ვერ დაფარა. რაკი ინგლისელი იყო, იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი დაიბანეს, ნეაპოლის ბრიტანულმა საკონსულომ კი მას სარჩო ვერ დაუნიშნა. ვინმე მიმხედავი რომ ჰყოლოდა, ინგლისში მაინც გააგზავნიდნენ. ბოლოს ისევ ასუნტამ უთხრა, რაკი კეთილი ბატონი და წესიერი მღვმური იყავით და სანამ ფული გქონდათ, ქირას სულ პირნათლად იხდიდით, ჩვენს შეშის ფარდულში დაგაწვენთ და ჩვენს საჭმელ-სასმელსაც გიწილადებთო. კაცი ვერ იტყვის, მიხვდა თუ არა უილსონი ქალის ნათქვამს, ეს კია, როცა საავადმყოფოდან წასაყვანად მიაკითხა, უსიტყვოდ გაჰყვა. ის ქალი თითქმის ორი წელიწადია, რაც უილსონს ინახავს.

— ცხადია, დაღვინებული ცხოვრება აღარა აქვს, — განაგრძო ჩემმა მეგობარმა. — სახელდახელოდ ხის საწოლი შეუჭედეს და ზედ ქვეშაგებაც დაუგეს, მაგრამ მისი ფარდული უფანჯროა, ზამთარში ყინავს, ზაფხულში კი ღუმელივითაა გავარვარებული. აქაური გლეხების საჭმელ-სასმელი ხომ, თვითონ-ნვე მოგეხსენებათ, როგორია: მაკარონს მხოლოდ კვირადღეს ჭამენ, ხორცს კი ათასში ერთხელ თუ ჩაუშვებენ პირში.

— კი მაგრამ, ახლა რაღას აკეთებს?

— გორაკიდან გორაკზე დაეხეტება. ორჯერ თუ სამჯერ ვცადე სალაპარაკოდ შევხვედროდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. თუ ვინმე დალანდა ახლო-



მახლო, კურდღელივით ვარბის. ასუნტა ხანდახან სამუსაიფოდ ჩამოდის ჩემთან და უილსონისათვის თამბაქოს საყიდელ ფულს ვაძლევ-ხოლმე, მაგრამ, ღმერთმა იცის, უილსონთან თამბაქო მიაქვს თუ არა.

— კარგად მაინც თუ ექცევიან სახლის პატრონები? — შევევრითხე ჩემს მეგობარს.

— დიასახლისს ეცოდება და ბავშვივით უვლის, მისთვის უდიერად ეპყრობა—სულ აყვედრის, მე გარჩენო. იმას ვერ გეტყვიან, მაგრამ სცემდეს, მაგრამ ერთთავად ეჯაჯღანება, წყალს აზიდვინებს, ბოსელს აწმენდინებს და სხვა შავ სამუშაოზე იშველიებს ხოლმე.

— საშინელებაა, კაცი რომ ასე დაეცემა, — ვუთხარი მე.

— თავისი ბრალია, სხვისა არავის!

— რაც მოგვდის, სულ ჩვენი თავით მოგვდის, — მივუხე მე, — ისე კი მაინც საშინელებაა, კაცი რომ ასეთ დღეში ჩავარდება.

ორი-სამი დღის შემდეგ მე და ჩემი მეგობარი სასეირნოდ გავეშურეთ. ზეთისხილის ჭალაში ვიწრო ბილიკს რომ მივუყვებოდით, უეცრად მეგობრის შემახილმა შემაჩერა:

— აი, უილსონი! ნუ შეხედავთ, თორემ შეაშინებთ.

თავაუწევლად გავუყევი გზას, მაგრამ ცალი თვალით ვხედავდი ზეთისხილის ხეს ამოფარებულ კაცს. როცა მიუუახლოვდით, არ განძრეულა, მაგრამ ვგრძნობდი, თვალს არ გვაშორებდა. ჩაუკარეთ თუ არა, თავპირისმტვრევით გაიქცა -- თითქოს დამფრთხალმა ნადირმა თავს უშველაო. ამის მერე უილსონი აღარ მინახავს.

იგი შარშან გარდაცვლილა. ბოლო ექვსი წელიწადი ასე გაძალღებულად უცხოვრია. ერთ დღით მთის ფერდობზე უნახავთ მკვდარი. მიცვალებულს ისეთი მშვიდი იერი ჰქონია, ძილში გაპარულს ჰგვანებია. ცხედარი იმ ადგილას უპოვიათ, საიდანაც კარგად ჩანს ზღვიდან ამოშვერილი კლდის ორი დიდი ქიმი—ფარალიონი. მაშინაც სავსე მთვარე ყოფილა და უილსონს, ეტყობა, მთვარის შუქზე უნდოდა მისი ხილვა. ალბათ ამ სილამაზის ცქერაში ამოხდა სული!

## სიზმარი

სამსახურეობრივი მოვალეობის გამო 1917 წლის აგვისტოში, ნიუ-იორკიდან პეტროგრადში უნდა ჩავსულიყავი. ჩასვლა ვლადივოსტოკის გავლით მირჩიეს, რადგან ეს გზა უფრო უზიფათოდ მიიჩნიეს. ვლადივოსტოკში დილით ჩავედი და რაკი ტრანსციმბირული მატარებელი, რამდენადაც მახსოვს, ცხრა საათზე ადრე არ გადიოდა, მთელი დღე ქალაქში ხეტიალს მოვანდომე. სადგურის რესტორანში მარტო შევედი. მაგრამ ცალკე მაგიდა ვერ ვიპოვე; იძულებული გავხდი პატარა მაგიდას მივჯდომოდი და მეტად უცნაურ კაცთან ერთად მესადილა. რუსი იყო — მაღალი და ძალიან მსუქანი. იმოდენა ღიპი ედო, მაგიდას ხეირიანად ვერ მივჯდომოდა. ტანთან შედარებით მოკლე და მორგვივით მსხვილი ხელები ჰქონდა. შეთხელებული, გრძელი და შავი თმა გვერდზე გადაეყარცხნა, რათა გამელოტებულნი თავი დაეფარა. მისი ვეება ღაბაბიანნი ნიკაპი და მსუქანი, სუფთად მოპარსული, მოყვითალო ლოყები უკადრისი სიშიშვლის გრძნობას აღვიძრავდათ. ამ უშველებული ხორცის გროვას მეჭე-



ჭივით აჯდა პაწია ცხვირი. შავი, ცოცხალი თვალებიც წვრილი მოუჩანდა, სამავიეროდ დიდი, წითელი და ავხორცული ტუჩები ჰქონდა. ტანთ საკმაოდ კარგი, შავი კოსტუმი ეცვა. კოსტუმი ჯერაც ახალი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რაც ჩაიცვა, შემდეგ არც გაეწმინდა და არც უთო მიეკარებინა.

მომსახურება არ ვარგოდა, მომტანის მოხმობას ბევრი ძახილი და დიდი მოთმინება სჭირდებოდა. საუბარი გავაბით. რუსი ინგლისურს <sup>განსმარებულად</sup> ლაპარაკობდა. აქცენტი ცოტათი ეტყობოდა, მაგრამ სმენას არ გიღიზიანებდათ. გამომკითხა, ვინ ვიყავი და რას ვაპირებდი, რადგან ჩემი მაშინდელი სამსახურის გამხელა სახიფათო იყო, ყასიდი გულწრფელობით გავეცი პასუხი. სიძარბო, რა თქმა უნდა, არ ვუთხარი — ჟურნალისტად გავაცანი თავი. შემეკითხა, მხატვრულ ნაწარმოებებსაც ხომ არ წერთო, და როცა ვუთხარი, მოცალოების ფაშს ვწერ-მეთქი, თანამედროვე რუს მწერლებზე ჩამომიგდო საუბარი. ჭკვიანურად და დამაჯერებლად ლაპარაკობდა. ამკარად ეტყობოდა, განათლებული კაცი იყო.

ამასობაში, როგორც იქნა, ოფიციალტს ბორში მოვატანინეთ. ჩემმა ნაცნობმა ჯიბიდან პატარა ბოთლით არაყი ამოაძვრინა და შემომთავაზა. ვერ გეტყვით, ყბედობა სჩვეოდა თუ არაყმა ამოადგმევინა ენა, რადგან არაფერი მიკითხავს, ისე მიამბო ბევრი რამ თავის თავზე. გამოირკვა, რომ კარგი გვარიშვილი და პროფესიით იურისტი იყო, ოღონდაც რადიკალი, ამიტომ ხელისუფლებას ვერ შეგუებოდა და იძულებული გამხდარა კარგა ხანს საზღვარგარეთ ეცხოვრა. ახლა შინ ბრუნდებოდა. ვლადივოსტოკში რაღაც საქმეს დაეყოვნებინა. ერთ კვირაში მოსკოვში აპირებდა გამგზავრებას. თუ იქ მოვიხდათ ყოფნა, ძალიან გამეხარდება თქვენი ნახვალ, მითხრა და ბოლოს მკითხა, ცოლიანი ვიყავი თუ უცოლო. არ ვიცი, რად უნდოდა ამის გაგება, მაგრამ ვუთხარი კი, ცოლი მყავს-მეთქი.

მან ნალვლიანად ამოიოხრა.

— მე კი ქვრივი ვარ, — მითხრა მან — ცოლი შვეიცარიელი მყავდა, შენვიდან, უაღრესად განათლებული ქალი. ინგლისური, გერმანული და იტალიური სრულყოფილად იცოდა. ფრანგულზე არას ვამბობ, ეს ხომ მისი მშობლიური ენა იყო. უცხოელის კვალობაზე რუსულსაც კარგად ლაპარაკობდა, ოღონდ უმნიშვნელო აქცენტით.

მან ოფიციალტს დაუძახა, რომელმაც თეფშებიანი ლანგრით ჩამოიარა. მაშინ რუსული კარგად არ მესმოდა, მაგრამ, მგონი, ჰკითხა, მეორე კერძის მოტანამდე კიდევ რამდენ ხანს გვალოდინებთო. ოფიციალტმა პასუხად რაღაცა მოგვაძახა, ალბათ დააიმედა, მალე მოვიტანთო, და მაშინვე თვალს მიეფარა.

— უჰ, რევოლუციის შემდეგ რესტორანში აღარ შეისვლება, ზედ არავინ გიყურებს, — დაიწუწუნა ჩემმა ახალმა ნაცნობმა და, ვინ იცის, უკვე პერამდუნედ, სიგარეტს მოუკიდა, მე კი საათს დავხედე, ნეტავი გამგზავრებამდე დანაყრებას თუ მოვასწრებ-მეთქი.

— ჩემი ცოლი შესანიშნავი ქალი იყო. — განაგრძო მან. — იგი ენებს ასწავლიდა პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში. კარგა ხანს ვიცხოვრეთ ერთად სიამტკბილობით, თუმცა ეჭვიანიც იყო და, საუბედუროდ, გაგიჟებითაც ვუყვარდი.

გაოცება ძლივს დაემაღე. ასეთი კაცი იშვიათად მენახა. მსუქან, დაჟღა-



ჟა და გულლია ადამიანებს მართლაც აქვთ ხოლმე ერთგვარი მიმზიდველობა, მაგრამ მისი უზომო სიმსუქნე შემაზრზენი იყო.

→ არა ვმალავ, ვლალატობდი ხოლმე, როცა შევირთე, უკვე ახალგაზრდა აღარ იყო და მერე ათი წელი ვიცხოვრეთ ერთად. დაბალი, გამხდარი და უზახური ქალი გახლდათ — გესლიანი ენისა და რაღაცნაირი მესაკუთრული ხნისა. ვერ იტანდა, მის გარდა თუ სხვა რამეც შემიყვარებოდა. მართლაც ჩემს ხატობს ქალებზე კი არა, მეგობრებსა, კატასა და წიგნებზეც კი ვცხვავს. ერთხელ, როცა შინ არ ვიყავი, ჩემი ქურთუკი მხოლოდ იმიტომ გააჩუქა, რომ ჩემს ტანსაცმელში ყველას მერჩია. საერთოდ, მშვიდი ხასიათის კაცი ვარ. მართალია, სისხლს მიშრობდა, ვიცოდი, რომ კაპასი ხასიათი გამჩენს ვრგუნებინა მისთვის, და ვერაფერს ვაწაწობდი; განა შეიძლება ცუდი ამინდი გამოაკეთო ან გაციებას აარიდო თავი? ამიტომ ჩხუბსა და დავას რომ დამიწყებდა, სანამ ძალია შემიწყვედა, თავს ვიმართლებდი, მერე მხრებს ავიჩეჩავდი ხოლმე და სიგარეტს ვავაბოლებდი.

ამ გაუთავებელ აყალმაყალს მაინცდამიანც გულზე არ ვიკარებდი და ჩემს ნებაზე ვცხოვრობდი. რამდენჯერ მიფიქრია, ასეთი ჟინიანი გააფთრების მიზეზი თავდავიწყებული სიყვარულია თუ დაუთოკებელი სიმულვილი-მეთქი? თუმცა, ჩემი აზრით, სიყვარული და სიმულვილი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შესაძლოა მთელი სიცოცხლე ასე გაგვეტარებინა, ერთხელ ერთი უცნაური ამბავი რომ არ მომხდარიყო. ერთ ღამეს ცოლის ყურისწამლებმა კივილმა გამომალვიდა. შემინებულმა ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, მითხრა, შემზარავი სიზმარი ვნახე, ვითომ მოკვლას მიპირებდით. ჩვენ მაღალი სახლის სულ ზემო სართულზე ვცხოვრობდით. კიბეებს შორის მოქცეული არე ძალიან ფართო იყო. სიზმრად უნახავს, როცა ჩვენს სართულზე ავედით, თურმე ხელი დავაკულე და მოაჯირიდან გადავდებო და ვუბირე. ჩვენი სახლი ექვსსართულიანი იყო და ადამიანს სული ძირს არ ჩაყვებოდა.

მთელი სხეული უცახცახებდა. დიდი გაჭირვებით დავამშვიდე. მაგრამ ჯერ დილით, მერე ორი-სამი დღის შემდეგ ისევ გაიხსენა ეს ამბავი და თუმცა ბევრი ვიცინე, მივხვდი, რომ შიში აეკვიატა. ამ სიზმარს ვერც მე ვივიწყებდი, რადგან ისეთ რამეზე ამიხილა თვალი, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი: მივხვდი, რომ ჩემი ცოლი დარწმუნებული იყო, ქმარს ვძულვარ და ცდილობს თავიდან მომიცილოსო. ცხადია, იცოდა, აუტანელი ხასიათისა რომ იყო და როგორღაც აზრად მოუვიდა, შესაძლოა მოსაკლავადაც გამიმეტოსო. რამდენ რამეს არ გაივლებს ადამიანი გუნებაში, ზოგჯერ კი, რა დასაძალია და, ისეთ რამესაც გაიფიქრებს, სირცხვილით ვერც კი გაამჩხელს. ხანდახან მართლაც მინატრია, ნეტავი ვინმეს გაეკიდებოდეს, ან უეცრად და უწვალებლად მოკვდებოდეს და გამათავისუფლებდეს-მეთქი. მაგრამ არასოდეს, მანამდე არასოდეს გამივლია გულში საკუთარი ხელით მომეცილებინა თავიდან ეს აუტანელი ტვირთი.

ამ სიზმარმა ჩემზეც და ჩემს მეუღლეზეც უჩვეულოდ იმოქმედა. ცოლი შემინდა, სიკაპასეს უკლო და შედარებით თვინიერი გახდა, მე კი კიბეს ისე ვერ ავუყვებოდი, უნებლიეთ მოაჯირიდან არ გადამეხედა და გუნებაში არ გამეველო, თუ რა ადვილი ასახდენი იყო მისი სიზმარი. კიბეს მეტად დაბალი მოაჯირი ჰქონდა, ერთი ხელის კვრა საკმარისი იქნებოდა. ეს აზრი ვერა და



ვერ მოვიცილე გონებიდან: რამდენიმე თვის მერე ცოლმა ისევ გამოძალკა, იმხანად ამდენი ჩხუბითა და დავიდარაბით გასავათებული და გაბეზრებული ვიყავი. გაფითრებული ცოლი ერთიანად ცახცახებდა. ისევ ის სიზმარი ენახა. ქვითინებდა და შეკითხებოდა, ხომ არა გძულვარო. რუსული კალენდრის ყველა წმინდანი დაუფიცე, მიყვარხარ-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა. ჰეტის ატანა აღარ შემეძლო. ძილი აღარ მომეკარა. ვიწექი და გონებებს შევალთ ვხედავდი, როგორ მიექანებოდა ძირს, ყურში ჩამესმოდა მისი უკმარისი ღმერთების ფილაქანზე დანარცხების ხმა. მოელი სხეული მითრთოდა.

რუსი გაჩუმდა, შუბლზე ოფლმა დაასხა. ამბავს თავისუფლად და დალაგებულად მიაშობდა და მეც გულსყურით ვუსმენდი. ბოთლში ცოტა არაფერი დარჩენილი, დაისხა და ერთბაშად გადაჰკრა.

ცოტა ხანს ორივენი ვლუმდით. მერე ვკითხე:

— ბოლოს რით მოკვდა თქვენი მეუღლე?

მან ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა.

— შეიძლება ასეთი დამთხვევა უცნაური გეჩვენოთ, მაგრამ ერთ გვიან საღამოს კისერმოტეხილი იპოვეს კიბის ძირას.

— ვინ იპოვა?

— ერთმა მეზობელმა, რომელიც ამ უბედური შემთხვევის შემდეგ მალე შემოსულა შენობაში.

— თქვენ სად იყავით?

მის ბოროტსა და ცბიერ გამოხედვას ვერ ავიწერო. წვრილი, შავი თვალები ავად უკრთოდა.

— იმ საღამოს ამხანაგთან ვიყავი. ეს ამბავი ჩემს დაბრუნებამდე ერთი საათით ადრე მომხდარა.

ამ დროს მომტანმა ჩვენი შეკვეთილი ხორციანი კერძი მოგვართვა. რუსი მადიანად შეუდგა ჭამას, ვეება ლუკმებს იტენიდა პირში.

გაოგნებისაგან გავხეედი, ასე შენიღბულად თავისი მეუღლის მკვლელობის ამბავი ხომ არ მიაშობ-მეთქი. ეს მსუქანი და შემზარავი კაცი მკვლელს არა ჰგავდა. ვერ დავიჯერებდი, რომ საამისოდ გამბედაობა ეყოფოდა, ან იქნებ სულაც მახითურებდა?

რამდენიმე წუთში მატარებელში უნდა ჩავმჯდარიყავი. უცნობს გამოვეთხოვე და მას შემდეგ არასოდეს მინახავს. დანამდვილებით დღესაც ვერ ვეჭვით, გამამასხარავა თუ ნამდვილი ამბავი მიაშობ.

## ტაიპანი

თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ დიდი კაცი იყო. იგი ინგლისის სავაჭრო წარმომადგენლობის ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების უფროსი გახლდათ ჩინეთში. ამ თანამდებობას დიდი გარჯითა და მეცადინეობით მიაღწია და ახლა დიშმორეული იგონებდა იმ ახალბედა მოხელეს, ამ ოცდაათი წლის წინათ ჩინეთში სამუშაოდ რომ ჩავიდა. როცა თავისი ხელმოკლე ოჯახი და პატარა წითელი სახლი მოაგონებოდა, ბარნეზის გარეუბანში რომ იდგა ასეთივე წითელი სახლების რიგში, და დღევანდელ ფართოაივნთან და უზარმაზართახებიან ვეება შენობას შეადარებდა, რომელშიც მისი კანტორაც იყო მო-



თავსებულები და ბინაც, კმაყოფილებით ჩაეცილებოდა. მაინც რა სევდისმომგვრელი იყო იმ საცოდავი გარეუბნის გახსენება, რომლის მცხოვრებნი უიმედოდ შენატროდნენ დიდკაცურ ცხოვრებას. არა, მას შემდეგ მართლაც ბევრს მიაღწია. აგონდებოდა ღარიბული სადილი, სკოლიდან დაბრუნებისას (ბავშვობაში წმინდა პავლეს სამრევლო სკოლაში დადიოდა) რომ ხვდებოდა. მაშინ მშობლებსა და ორ დასთან ერთად მიუჯდებოდა ხოლმე ზეგნულად მოხარული ხორცის თხელი ნაჭრით, კარაქიანი პურიტა და რძისა და ხაჭაპურის იკლავდა შიმშილს, თუმცა დედ-მამაცა და დებიც თავიანთი ულუფასაც უწილადებდნენ. ახლა კი, სადილობის ხანს, ყოველ საღამოს, საგანგებოდ გამოწყობილი უჯდა ხორავით დატვირთულ სუფრას და სტუმარიც რომ არა ჰყოლოდა, მაინც სამი ლაქია ემსახურებოდა. თვითონ საოჯახო საქმეებით თავს არ იწუხებდა, რადგან უფროსი მსახური ყოველ სურვილს უსიტყვოდ უგებდა. სადილად ყოველთვის რამდენიმე თავი საჭმელი — წვნიანი, თევზი, სალათა, შემწვარი ხორცი და ტკბილეული ხვდებოდა. სტუმრები ისე შეეძლო მოეყვანა, რომ წინასწარ არ დაეჭირა საგანგებო თადარიგი. ძალიან მოსწონდა ასე სადილობა და თანამეინახეც რომ არ ჰყოლოდა, ამაზე ღარიბულ სუფრას არ სჯერდებოდა.

მართლაც ბევრს მიაღწია. ამიტომაც იყო, რომ სამშობლოში არ მიუწევდა გული. ინგლისში უკვე ათი წელიწადია არა ყოფილა და შვებულებას იაპონიასა და ვანკუვერში ატარებდა. დანამდვილებით იცოდა, რომ იქ ჩინეთის ზღვისპირეთიდან მასავით დასასვენებლად ჩასულ ვინმე ძველ ნაცნობს გადაეყრებოდა. სამშობლოში ახლობელი არავინ ეგულებოდა. დები თავიანთი წრის კაცებს გაყვნენ და ორივეს ქმარ-შვილი წვრილი მოხელეები ჰყავდათ. მათთან ვერც საერთო ენას ნახულობდა და არც დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ნათესაურ ვალს იმით იხდადა, რომ დებს ყოველ წელიწადს, საშობაოდ, საკაბეს, ძვირფას ნაქარგსა ან თითო ყუთ ჩაის უგზავნიდა. ძუნწი არ იყო და სანამ დედა ცოცხალი ჰყავდა, ყოველთვიურად უგზავნიდა ფულს. გადაწყვეტილი ჰქონდა პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ დაბრუნებულიყო ინგლისში. რამდენ ვინმეს იცნობდა, ასე რომ მოიქცა და სანახებლად გაიხადა საქმე. საბოლოოდ შანხაიში აპირებდა დამკვიდრებას — სახლს დაიქირაუებდა იპოდრომთან, სადაც თავის პონებს დოღში გამოიყვანდა და ბრიჯისა და გოლფის თამაშით სიკვდილამდე უზრუნველად იცხოვრებდა, თუმცა პენსიაზე გასვლას ჯერ დიდი ხანი უკლდა. ხუთ-ექვს წელიწადში ჰიგინზი ინგლისში დაბრუნდებოდა, ამიტომ იმედოვნებდა, შანხაიში მთელი ფირმის მმართველად მე დამნიშნავნო. მანამდე კი ამ თანამდებობაზეც მშვენივრად გრძნობს თავს, ფულსაც ინახავს (რასაც შანხაიში ვერ შეძლებს) და დროსაც კარგად ატარებს. აქაურობა შანხაის ერთი რამითაც ურჩევნია. ევროპელთა უბანში ყველაზე გავლენიანი კაცია და მის ნათქვამს წინ ვერაფერი დაუდგება. კონსულიც კი ცდილობს მისი გულის მოგებას. ერთხელ მასა და კონსულს ჩხუბი რომ მოუვიდათ, თითო მოაკაკვინა. ამის გახსენებაზე მედიდურად შეათამაშა მხრები.

სახეზე ღიმილი მიუღია — დღეს რაღაც საუცხოო გუნებაზე იყო. ახლა პონგ-კონგისა და შანხაის ბანკის მიერ გამართული ვახშმიდან ბრუნდებოდა თავის კანტორაში. იქ მართლაც რომ დიდებული მასპინძლობა იცოდნენ. სუფრაც უნაკლო იყო და სასმელებიც ნაირ-ნაირი ჰქონდათ. ჯერ ორნაირი კოქ-



ტეილი დალია, შემდეგ ცოტ-ცოტა საუცხოო სოტერნი\* სვა, ბოლოს კი ორი ჭიქა პორტვეინი და ბრენდი დააყოლა. ახლა კარგ გუნებაზე იყო. როცა ასეთ გუნებაზე იდგა, ჩვეულებას დალატობდა და ფეხით მისეირნობდა. მსახურები რამდენიმე ნაბიჯზე ტახტრევნით მოსდევდნენ უკან, იქნებ ჩაჯდომა მოისურვოსო, მაგრამ ახლა მუხლის გასამართავად გავლა სიამეს გერიდა — მაინც ამ ბოლო ხანებში სულ არ უხდებოდა სიარული. სიმსუქნისგან უკვე მინდობა ირნობაც უჭირდა, მაგრამ მაინც ვერ ელეოდა.

რა საამო სიო ქრის — მალე საგაზაფხულო დიდი გაიმართება. სამსახურში ერთი-ორი ახალბედა მოხელე ჰყავს, რომლებზეც დიდ იმედს ამყარებს, ერთი მათგანი კი ჭოკეიც გამოდგა (თვალი უნდა ეჭიროს, ვინმემ არ წაართვას, თორემ იგივე პიგინზი, თუ ყურში ჩაეწვეთა ეს ამბავი, ფულს არ დაიშურებს ამ ბიჭის შანხაიში გადასაბირებლად) და ორ ან სამ შეჯიბრს მაინც მოაგებიანებს.

მისი საჯინიბო ქალაქში უბაღლი იყო და ამით დიდად მოჰქონდა თავი. ეს რომ გაახსენდა, ინდაურივით გაიფხორა. იმ დღეს დიდებული დარი იდგა და ადამიანს სიცოცხლე უზაროდა.

სასაფლაოს რომ მიაღვა, შეჩერდა. სუფთა და მოვლილი სასაფლაო ამ უბნის სიმდიდრეზე მეტყველებდა. აქ ჩავლისას ყოველთვის სიამაყეს გრძნობს, ისიც სიამოვნებს, რომ ინგლისელია. ის ადგილი, სადაც ახლა ევროპელთა სასაფლაოა, ადრე ჩალის ფასადაც არა ღირდა. მაგრამ ქალაქი რომ გაიზარდა, ისეთ ადგილზე მოექცა, დიდი ფასი დაედო. ზოგიერთებმა ისიც კი დააპირეს, სასაფლაო სადმე სხვაგან გადაეტანათ და ეს ადგილი სახლების ასაგებად გაეყიდათ, მაგრამ ამ უბნის მცხოვრებლებმა არა ქნეს. სასიამოვნოა იმის გაფიქრება, რომ მათი მიცვალებულები ასეთ ძვირ მიწაში ასვენია. ეს იმას მეტყველებს, რომ ამ უბნის მკვიდრნი ზოგს რამეს ფულზე მეტად აფასებენ. ჯანდაბას ფული! „როცა საქმე საქმეზე მიდგება“ — ეს ტაიპანის\*\* საყვარელი გამოთქმა იყო — ფული რა სახსენებელია.

სასაფლაოზე მოუნდა გავლა. საფლავების თვალიერება დაიწყო. სავალი ბილიკები სარეველებისაგან გაეწმინდათ, საფლავებიც მოვლილი იყო. ეტყობოდა, რომ შემღებული ხალხის სასაფლაო გახლდათ. მისეირნობდა და საფლავების ქვებზე წარწერებს კითხულობდა. აი, გვერდიგვერდ სამი მარხია: ზომალდ „მერი ბაქსტერის“ კაპიტანი და მისი პირველი და მეორე თანაშემწე. ისინი ერთად დაიღუპნენ 1908 წლის ტაიფუნისას. ეს ამბავი კარგად ახსოვდა. აი კიდევ მისიონერთა ორი ჯგუფი ცოლ-შვილიანად, ბოქსიორების\*\*\* აჯანყებისას რომ დახოცეს. რა შემზარავი ამბავი იყო! მისიონერების სიკვდილი კი არ აღარდებდა, გული მოსდიოდა, ამ წყეული ჩინელების დასახოცი ვართო?!

ერთი საფლავეს ჯვარს მიაღვა, ზედ მისი ნაცნობის სახელი და გვარი ამოიკითხა. ეღუარდ მალაკი, კარგი ბიჭი იყო, მაგრამ სმა ვერ მოიშალა და

\* ოქროსფერი საღესურტო ფრანგული ღვინო.

\*\* უცხოური სავაჭრო წარმომადგენლობის მეთაური ჩინეთში.

\*\*\* ანტიიმპერიალისტური სახალხო აჯანყება ჩინეთში (1899—1901).



საწყალს ოცდახუთი წლის ასაკში ლოთობამ მოუღო ბოლო. ტაიპანს სხვებიც ბევრი ახსოვდა, სასძელს რომ გადააყოლეს თავი. აგერ ოცდახუთი, ოცდაექვსი და ოცდაშვიდი წლის ბიჭების ჯვრით შემკული საფლავეები. ყველას ერთნაირი ბუდი ეწია. ჩინეთში რომ ჩამოვიდნენ და ამდენი ფული იშოვეს, სმა დაიწყეს. კარგი ბიჭები იყვნენ, მაგრამ ლოთებს აჰყვნენ. ბოლოს უხიმო სმა ველარ აიტანეს და აი, ახლა სამარეში წვანან. ჩინეთის ზღვესპირეთში კადამიანმა სმას რომ გაუძლოს, კარგი ჯანი და ამტანობაა საჭირო. სწავლას სყო, მაგრამ ტაიპანმა დამილი ვერ შეიკავა, როცა გაიხსენა, ლოთობამ რამდენი კაცა გაისტუმრა საიქიოში, რომელთაც სმაში ტოლს არ უღებდა. ზოგიერთის სიკვდილი მისთვის ხელსაყრელიც გამოდგა. აი, თუნდაც მისი ფირმის თანამშრომელი: მისი უფროსიც იყო და მასზე ჭკვიანიც. იმ ბიჭს რომ ეცოცხლა, დღეს იქნებ ტაიპანიც არ ყოფილიყო. მართლაც რა უცნაურია ადამიანის ბუდი! აი, აქ მისის ტერნერი, ვაიელიტ ტერნერი, მარხია. ლამაზი გოგო იყო და ერთხანს საყვარლადაც ჰყავდა. როგორ დასწყვიტა გული მისმა სიკვდილმა! საფლავის ქვაზე აღნიშნული თარიღების მიხედვით მისი ასაკი გამოთვალა. სიცოცხლე რომ დასცლოდა, ახლა უკვე ხნიერი ქალი იქნებოდა. გაიხსენა ამდენი მკედრები და ერთგვარი კმაყოფილება დაეუფლა. მისოდენი ვერავინ იცოცხლა — ისინი ახლა სამარეში წვანან, თვითონ კი ცოცხალია. ღვთას მადლით, ყველას აჯობა. გონების თვალთ თავი მოუყარა მიმოფანტულ საფლავეებს და დამცინავად გაეღიმა. ლამის კმაყოფილებით მოეფშვნიტა ხელები.

— უჭკუობა ოდესმე მეტყობოდა?! — ჩაიბუტბუტა მან.

ზიზღნარევი სიბრაღულით მიუყვებოდა მიჯრით ჩარიგებულ საფლავეებს. ცოტაჯ გაიარა და უეცრად ორ კაცს წაადგა თავზე, სამარეს რომ თხრიდნენ. ძალიან გაუკვირდა, რადგან უბანში გარდაცვლილი არავინ ეგულებოდა.

— ვისთვის თხრით? — ხმამაღლა შეეკითხა მათ.

მესაფლავეებმა ზედაც არ შეხედეს და თხრა განაგრძეს; ღრმად ამოთხრილ სამარეში იდგნენ და დიდ ბელტებს ისროდნენ ზემოთ. ტაიპანი უკვე დიდი ხანია ცხოვრობდა ჩინეთში, მაგრამ ჩინური არ იცოდა, რაც მაშინ დიდ ცოდვად არ ითვლებოდა, ამიტომ ინგლისურად ჰკითხა, ვისი სამარეაო. მესაფლავეებმა მისი შეკითხვა ვერ გაიგეს და ჩინურად უპასუხეს. ტაიპანს გული მოუვიდა და გამოლანძღა, ყვეფრები ხართო. იცოდა, მისის ბრუმის ბავშვი სიკვდილის პირას იყო, მაგრამ რომ მოჰკვდომოდა, უსათუოდ გაიგებდა. ამას გარდა, ეს ბავშვის კი არა, დიდის სამარე იყო — თანაც ზორბა ტანის კაცისა. ეს ამბავი უცნაური ეჩვენა. ინანა, სასაფლაოზე რამ შემომიყვანაო. იქაურობას გაეცალა და გუნებამოშხამული ჩაუჯდა მსახურებს ტახტრევანში. სახე შეეჭმუნხა და ხასიათი გაუფუჭდა. კანტორაში მიიყვანეს თუ არა, მაშინვე მსახური იხმო.

— ერთი მითხარი, პიტერზ, ვინმეს სიკვდილი ხომ არ გაგიგია?

პიტერზმა არაფერი იცოდა და ტაიპანიც საგონებელში ჩავარდა. მერე ერთ-ერთი ჩინელი მოხელე გამოიძახა და მესაფლავეებთან ამბის გასაგებად გაგზავნა. მის მოსვლამდე კი საბუთებზე ხელის მოწერას შეუდგა. მოხელე დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, სასაფლაოზე არავინ დამხვდა და ვერაფერი გავიგეო. ტაიპანი რაღაც უცნაურმა წუხილმა შეიპყრო. ვერ იტანდა, როცა მის უკითხავად ხდებოდა რამე. ჩემს ჩინელ მსახურს იცოდინება, მას ხომ არაფერი გამოეპარებაო,



გაიფიქრა და სასწრაფოდ მოაყვანინა. უბანში ვინმეს სიკვდილი არც მას გაეგო.

— შეც ასე ვიცი, — წაიბურტყუნა შემცბარმა ტაიპანმა. — მაგრამ სამარე რატომ გათხარეს?

შემდეგ იგი სასაფლაოს ზედამხედველთან გაგზავნა, ერთი <sup>სამარე</sup> რატომ გათხარესო?

კართან მსახური შეაჩერა, სანამ წახვიდოდა, სოდიანი ვისკი <sup>შემცბარმა</sup> მაინც ვერ გაეგო, სამარის ნახვამ ასე რატომ ააფორიაქა. შეეცადა, ეს ამბავი თავიდან ამოეგდო, ვისკის დაღვევამ ცოტა გაამხნევა და საბუთების გადახედვას მორჩა.

ზემო სართულზე ავიდა და ჟურნალი „პანჩი“ გადაათვალიერა, სადილობამდე ორიოდე ხელი ბრიჯის სათამაშოდ კლუბში დადიოდა, მაგრამ ახლა მსახურის დაბრუნებას დაელოდა, იქნებ მისმა მოტანილმა ამბავმა გული გამიკეთესო. მალე ისიც დაბრუნდა და ზედამხედველს მოიყვანა.

— სამარე რატომ გათხარეთ? — ისე შეეკითხა ზედამხედველს, რომ მისალმებაც არ დააცალა.

— არავითარი სამარე არ გაგვითხრია, — მიუგო ზედამხედველმა.

— ვითომ რა გინდათ მაგით მითხრათ? დღეს იქ ორი კაცი სამარეს თხრიდა.

ჩინელებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე მსახურმა თქვა, სასაფლაო ორივემ მოვიარეთ და ახალი სამარე ვერსად ვნახეთო.

ნირწამხდარი ტაიპანი გაყუნდა.

„ღმერთმა დასწყევლოს, აკი ჩემი თვალით ვნახე“, — პირზე მოადგა მაგრამ ენას კბილი დააჭირა და წამოჭარხლდა. ორივე ჩინელი მას მიშტერებოდა. ტაიპანს წუთით სუნთქვა შეეკრა.

— კარგი, ვადით, — ამოიღულღულა ბოლოს.

გავიდნენ თუ არა, მსახური მოაბრუნა და მთლად მისკვათებულმა უთხრა, ვისკი მომიტანეთ. ტაიპანმა გაოფლიანებული სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა. როცა ვისკიანი ჭიქა პირთან მიიტანა, ხელი აუკანკალდა. ვინც რა უნდა ისა თქვას, მაგრამ სამარე ხომ თავისი თვალით ნახა. ახლაც ყურში უდგას სამარიდან ამოსროლილი ბელტების ყრუ ხმა. ნეტა რა ამბავია მის თავს? გულმა ბაგაბუგით დაუწყო ცემა. საშინელ გუნებაზე დადგა, მაგრამ გულა გაიმაგრა — სისულელეაო. თუ სამარე იქ მართლაც არ არის, მაშინ ჰალუცინაცია მოსვლია! ყველაფერს აჯობებს კლუბში წავიდეს და, თუ ექიმში ნახა, გაესინჯოს.

კლუბში ყველა და ყველაფერი წინანდებურად დაუხვდა. თუმცა ვერ გეტყვოდათ, რატომ უნდა სიკვდილიყო რამე? ამის გაფიქრებამ ცოტათი დაამშვიდა. ამდენი ხნის ნაცნობსა და შეჩვეულ ადამიანებს სხვადასხვა ახირებანი სჭირდათ — ზოგი განუწყვეტლივ დიღინებდა ბრიჯის თამაშისას, ზოგი მილაკით გამუდმებით წრუპავდა ლუდს. ადრე ძალიან აღიზიანებდა ერთიცა და მეორეც, ახლა კი პირიქით, შიშს უფანტავდა და ამშვიდებდა. კარგი ქნა, აქ რომ მოვიდა, ცოტათი მოეშვა გულზე, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ ამოიგდო გონებიდან ის უცნაური ამბავი. ბრიჯის თამაშშიც ვერ ააწყო, პარტნიორი ბრაზობდა და ტაიპანსაც სულ უფრო და უფრო ეწამლებოდა გუნება. ფიქრობდა, მოთამაშეები რაღაც უცნაურად მიმხერენ — რას მომშტერებიათ, ნეტავი რა მჭირს ასეთიო.

უეცრად მოეჩვენა, კლუბში გული აღარ მიდგებო. კლუბიდან რომ გადა-



ოდა, ექიმი დაინახა — სამკითხველო დარბაზში „ტაიმსს“ კითხულობდა, მაგრამ მისვლა ვერ გაბედა. ბოლოს გადაწყვიტა, თავისი თვალით დარწმუნებულყო, მართლაც არსებობდა თუ არა სამარე, ტახტრევანში ჩაჯდა და მსახურებს უთხრა, სასაფლაოზე წამიყვანეთო. ჰალუცინაცია ორჯერ ხომ არ მოუვა ადამიანს? გარდა ამისა, ზედამხედველსაც შეიყვანს სასაფლაოზე და, თუ იქ სამარე არ აღმოჩნდა, მართლაც მოსჩვენებია და ეგ არის, თუ არა, ერთს მაგრად თხლიშავს ყბაში. ზედამხედველი ვერსად ნახეს და წახუტდნენ და გასაღებებიც თან წაეღო. როცა ტაიპანი მიხვდა, რომ სასაფლაოზე ვეღარ შევიდოდა, ერთბაშად საშინელი დაქანცულობა იგრძნო. ისევ ტახტრევანში ჩაჯდა და მსახურებს უთხრა, შინ წამიყვანეთო. სადილობამდე ნახევარი საათით მაინც უნდა წამოწვეს, გადაღლილია, ესაა და ეს — გაუგონია, ჰალუცინაციები გადაღლილობის ბრალიაო. როცა ჩინელმა მსახურმა ის ტანსაცმელი მიართვა, სადილობისას რომ იცვამდა ხოლმე, თავს ძალა დაატანა და წამოდგა. ისეთ გუნებაზე იყო, სულ არ უნდოდა იმ ტანსაცმლის ჩაცმა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. რაკი ოცი წელიწადია ყოველ საღამოს ასე იცვამს, არც ახლა უღალატებს ჩვეულებას. მსახურს სადილზე ერთი ბოთლი შამპანურიც მოატანინა. ამან ცოტა ხასიათი გამოუკეთა. ნასადილევს მსახურს უთხრა, საუკეთესო ბრენდი მომიტანეთ, ორი ჭიქა დალია და გულიდან დარდი გადაეყარა. — „ჭირი არ მომჭამონ ჰალუცინაციებმა!“

საბილიარდოში გავიდა და ერთ-ორ რთულ დარტყმაში წაივარჯიშა. შესაშფოთებელი რა უნდა სჭირდეს, როცა ასე უჭრის თვალი. ბალიშზე თავი დადო თუ არა, მაშინვე უდარდელად ჩაეძინა.

უეცრად გამოეღვიძა. სიზმარში ისევ ის სამარე ნახა, გულგრილად რომ თხრიდნენ მესაფლავეები. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ არაფერი მოჩვენებია. ან მოჩვენება როგორ ეთქმოდა იმას, რაც საკუთარი თვალით ნახა. ღამის დარაჯის ფეხის ხმა და გასაღებების ჩხარუნი მოესმა. ამოწმებდა, სადმე ღია ხომ არ დარჩა კარიო. ღამის სიწყნარეში გასაღებების ჩხარუნი ისეთ ხმას გამოსცემდა, რომ ტანში ფრუანტელმა დაუარა. ისევ შიშმა აიტანა. ძრწოლას გვრიდა ამ ჩინური ქალაქის ურიცხვი და დაკლაკნილი ქუჩების გახსენება. რაღაც საშინელი და შემზარავი იყო ეს უცნაურსახურავეებიანი, დაღმეჭილდემონებიანი პავოდები. სძავდა აქაურობის სუნი და აქაურები: ლურჯად შემოსილი აურაცხელი ყული,\* ჩამოძონძილი მათხოვრები, გრძელ, შავ მოსასხამში გამოხვეული, შემპარავად მომდიმარი მომრიგებელი მოსამართლეები და დიდვაჭრები, თითქოსდა მუქარით რომ მოიწვევენ მისკენ. სძულდა ეს ქვეყანა — ჩინეთი. მაინც რამ ჩამოიყვანა აქ? ახლა მთლად დაჯაბნა შიშმა. უნდა გაეცალოს აქაურობას, რის შანხაიში გადასვლა?! ერთ წელიწადს, ერთს თვესაც ვერ გაძლებს აქ.

— ღმერთო, — აღმოხდა მას, — ნეტავი მშვიდობით ჩამიყვანდე ინგლისში!

სამშობლოში მოუნდა დაბრუნება. თუ სიკვდილი უწერია, ინგლისში მოკვდეს. ღმერთმა ნუ ქნას, ამ თვალეპმოჭუტულ, დაღმეჭილ ყვითელკანიანებთან დაიმარხოს. მშობლიურმა მიწამ უნდა მიიბაროს და არა იმ სამარებში. იქ რა მოსვენებას, არა და არა! ხალხი რას იტყვის? ვინც რა უნდა ისა თქვას! მთავარია, სანამ დროა, ამ ქვეყანას გაეცალოს!

\* შავი მუშა აზიის ქვეყნებში.



ლოგინიდან წამოვარდა და ფირმის მმართველს ბარათი მისწერა. მომაკვდინებელი სენი აღმოაჩნდა. შემცვლელი უნდა უშოვონ. რაც შეიძლება მალე უნდა გაანთავისუფლონ. დაუყოვნებლივ სამშობლოში მიემგზავრება.

დილით ხელში ჩაბლუჯული ბარათი უბოვეს. სკამიდან ჩამოცურებული, სკამსა და მაგიდას შორის გახიდულიყო. ღამითვე ამოხდომოდა სული.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### ყოველსობოღნი კაჟბატონი

მაქს კელადა გაცნობამდე ავითვალწუნე. ომი ახალდამთავრებული იყო და საოკეანო ლაინერები მგზავრებს ვერ აუდიოდა. ბილეთები ძალიან ჭირდა, ცალკე კაიუტის შოვნაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა და მგზავრი იმ ადგილს უნდა დასჯერებოდა, რასაც სანაოსნო კომპანიის აგენტი შესთავაზებდა. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა ორადგილიან კაიუტაში ერთი ბილეთი ვიშოვე, მაგრამ ჩემი თანამგზავრის გვარი რომ მითხრეს, გულზე შემომეყარა, ვიფიქრე — ილუმინატორს არ გამაღებინებს და ღამლამობით დახუთულ კაიუტაში მომიწევს-მეთქი ყოფნა. კაიუტაში ვაღაც უცხო გაცთან ორი კვირა ცხოვრება ისედაც უსიამოვნოა (მე სან-ფრანცისკოდან იოკოჰამაში მივდიოდი), მაგრამ გუნება ისე არ გამიფუჭდებოდა, ჩემი თანამგზავრი გვარად სმითი ან ბრაუნი რომ ყოფილიყო.

როცა კაიუტაში შევედი, მისტერ კელადას ბარგი უკვე იქ დამიხვდა. არც მისი ბარგი მომივიდა თვალში: ჩემოდანს უამრავი იარლიყი ეკრა, ტანისამოსის ჩანთა კი უზომოდ დიდი იყო. თანამგზავრს ტუალეტის ნივთები ამოელაგებინა. თვალი გადავაავლე თუ არა, მივხვდი, რომ მისტერ კელადა ჩვენი სათაყვანო მესიე კოტის მუშტარი იყო. პირსაბანზე კოტის ფირმის სუნამო, შამპუნი და ბრი, ლიანტინი ეწყო. შავი ჩის ოქროსმონოგრამიან ჯაგრისებს გაწმენდა არ აწყენდა. არა, მისტერ კელადა ნამდვილად არ მომეწონებოდა.

თამბაქოს მოსაწევ ოთახში ვავედი, ბანქო მოვითხოვე და პასიანსის გამლაღვიწყე. ის-ის იყო კარტის გამლას შევუდექი, რომ ერთი მგზავრი მოვიდა და მკითხა, ესა და ეს კაცი ხომ არა ხართო.

— მე კი მისტერ კელადა გახლავართ, — მითხრა მან, გაღიმებისას ქათქათა კბილები გამოაჩინა და სკამზე ჩამოჯდა.

— აჰა, ჩვენ, მგონი, ერთ კაიუტაში ვართ.

— ბედი გვქონია, ერთად რომ მოვხვდით. ძალიან გამიხარდა, რომ მითხრეს, ინგლისელიაო. ინგლისელები უცხოეთში მხარში უნდა ამოვუდგეთ ერთმანეთს. ალბათ მიმიხვდებით, რისი თქმა მინდა.

— თქვენც ინგლისელი ბრძანდებით? — ისე გამიკვირდა, რომ მერე შემრცხვა კიდევ. უზრდელობაში არ ჩამომართვას-მეთქი.

— ინგლისელი გახლავართ. ამერიკელი გეგონეთ, არა? სულით ხორცამდე ბრიტანელი ვარ, ნამდვილი ბრიტანელი.

მისტერ კელადამ ჩემს დასარწმუნებლად ჯიბიდან პასპორტი ამოიღო და ცხვირწინ ამიფრიალა.

მაინც რა ჯურის ქვეშევრდომი არა ჰყავს მეფე ჯორჯს! მისტერ კელადა ტანდაბალი და ჩაფსკენილი კაცი იყო. შავვერემანი, სუფთად გაპარსული სახე, მოზრდილი, მოკაუჭებული ცხვირი და დიდრონი წყლიანი თვალები ჰქონდა, გრძელი, ხუჭუჭა თმა კი შავად უბზინავდა. მისტერ კელადა იმი-



თაც განსხვავდებოდა ინგლისელისგან, რომ სხაპასხუპით ისროდა სიტყვებს და ხელებსაც სხარტად აყოლებდა ლაპარაკს. დარწმუნებული ვარ, თუ მის ბრიტანულ პასპორტს გულდასმით გაესინჯავდი, აღმოჩნდებოდა, რომ ეს კაცი ინგლისის ღრუბლიანი ცის ქვეშ არ იყო დაბადებული.

— რას დალევთ? — შეშეკითხა იგი.

მისტერ კელადას უნდოდ შეეკავლე თვალი. მაშინ მშრალი კანონი იყო და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, გემზე სასმელი წამლად არ მოიძებნებოდა. არადა, თუ არ მწყურია, ლიმონათიც და გაზიანი წყალიც ერთნაირად მეჯავრება.

მისტერ კელადას სახეს აღმოსავლური ღიმილი მოეფინა.

— სოლიანი ვისკი გინდათ თუ მშრალი მარტინი, თქვენ მხოლოდ ბრძანეთ.

შარვლის ჯიბეებიდან თითო-თითო ბოთლი ამოიღო და მაგიდაზე დამიწყო. მე მარტინი ავირჩიე, მისტერ კელადამ კი ოფიციანტს დაუძახა და სთხოვა, ყინულის ნაჭრები და ორი ჭიქა მომიტანეთო.

— ძალიან კარგი კოქტეილია. — ვუთხარი მე.

— ჯერ ეგ იყოს, მერე სხვაც იქნება. თუ გემზე მეგობრები გყავთ, უთხარით, ერთ ჩემს ნაცნობს, რამდენიც გინდათ, იმდენი სასმელი აქვს-თქო.

მისტერ კელადას ლაპარაკი უყვარდა. ყვებოდა ნიუ-იორკისა და სან-ფრანცისკოს ამბებს. ლაპარაკობდა პიესებსა, ფილმებსა და პოლიტიკაზე. თავგამოდებული პატრიოტი იყო. ბრიტანეთის დროშა დიდებული რამ არის, მაგრამ, როცა მას ალექსანდრიელი თუ ბეირუთელი ჯენტლმენი აფრიალებს, მაშინ მისი ღირსება იბღალბება. მისტერ კელადა ფამილარული კაცი ჩანდა. მედიდურობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, მე თუ მკითხაუთ, როცა უცხო კაცი დამელაპარაკება, ჩემს გვართან „მისტერის“ ხმარება არ უნდა დაავიწყდეს. მისტერ კელადამ კი, ეტყობა, მე რომ უფრო თავისუფლად მეგრძნო თავი, სულაც არ დაიცვა ეს ფორმალობა. აღარ მომწონდა მისტერ კელადა. როცა სკამზე ჩამოჯდა, კარტი გვერდზე გადავდე, მაგრამ მერე გავიფიქრე, პირველ ნახვაზე საუბარი ცოტა გაგვიგრძელდა-მეთქი, და ისევ განვაგრძე კარტის გაშლა.

— სამიანი ოთხიანს დაადეთ, — მითხრა მისტერ კელადამ.

იმაზე უფრო გამაღიზიანებელი არაფერია, როცა პასიანსის გაშლას სხვა არ გაცლის და სწავლებას დაგიწყებს, ამა და ამ კარტს დაადე კარტიო.

— იჭრება, იჭრება, — წამოიძახა მან, — ათიანი ვალეტზე.

ბრაზმორეულმა და გულგასიებულმა დავამთავრე პასიანსი. მაშინ მან კარტი აიღო.

— ფოკუსები გიყვართ?

— ვერ ვიტან, — მივუგე მე.

— ერთს მაინც გიჩვენებთ.

ერთი კი არა, სამი ფოკუსი მიჩვენა. მერე განუუცხადე, სასადილოში ჩავალ და ადგილს ავირჩევ-მეთქი.

— ნუ შეწუხდებით, — მითხრა მან. — ეგ საქმე უკვე მოგვარებულია. ვიფიქრე, რაკი ერთ კაიუტაში მოვხვდით, ბარემ ერთ მაგიდასთან დავსხდებით-მეთქი.

მაინც არ მომწონდა მისტერ კელადა.

ჩვენ არა მარტო კაიუტაში ვიყავით ერთად და დღეში სამჯერ ერთ მაგი-



დასთან ვსაუბრობდით, უიმისოდ გემბანზეც ველარ გამედგა ფეხი, უმაღვე ჩემ გვერდით გაჩნდებოდა. მისი მოცილება შეუძლებელი იყო. ეგონა, შენც დიდად გსიამოვნებდა მისი ნახვა. თუნდაც საკუთარი სახლის კიბეებიდან დავეკრებინათ და ცხვირწინ კარი მიგეჯახუნებინათ, მაინც ვერ მიხვდებოდა, რომ არასასურველი სტუმარი იყო. ყველას ეტმასნებოდა და სამ დღეში გემზე არავინ დარჩენია გაუცნობელი. ყველასა და ყველაფერს თავკაცობდა: <sup>საწყობდნა</sup> <sup>ღმრთა</sup> ტარიებს, უძღვებოდა აუქციონებს, აგროვებდა შეჯიბრებებში <sup>გამარჯვებულ</sup> <sup>საპრიზო</sup> ფულს, მართავდა სერსოსა და გოლფის თამაშებს, კონცერტებსა და ბალ-მასკარადებს. ყველას თვალში ეჩხირებოდა და, ცხადია, საყოველთაო სიძულვილსაც იწვევდა. ჩვენ მას ყოვლისმცოდნე ბატონს ვეძახდით პირში და ისიც იფერებდა. მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი სასადილოში იყო. აქ თითქმის მთელი საათი მის ხელში ვიყავით. იგი ხუმრობდა, ხარხარებდა, მჭევრმეტყველებდა, კამათობდა. ყველაფრის ცოდნას იჩემებდა და, თუ არ დაეთანხმებოდით, თავს ძალიან შეურაცხყოფილად თვლიდა. სულ უმნიშვნელო რაიმეზეც კი თავს მანამდე არ დაგანებებდათ, სანამ არ დაეთანხმებოდით. ვერ წარმოედგინა, რომ რაიმეში შემცდარიყო. ყველასთან მართალი ეგონათავი. ჩვენს მაგიდასთან ერთი ადგილი გემის ექიმისთვისაც იყო განკუთვნილი. მე და ექიმი კელადას ლაპარაკში არ ვყვებოდით, რადგან ექიმი სიტყვაძვირი კაცი გახლდათ, ჩემთვის კი სულერთი იყო, რაზე საუბრობდნენ. მეოთხემ — რემზიმ კი დაჩემებული ლაპარაკი იცოდა და ლევანტელის\* თავდაჯერებულობა მოთმინებას აკარგვინებდა. ისინი ღვარძლიანად და გაუთავებლად კამათობდნენ ზოლმე.

რემზი კობეს\*\* ამერიკულ საკონსულოში მსახურობდა. იგი შუა დასავლური შტატებიდან იყო, მოსულსა და ზონზროხას მაღაზიაში ნაყიდი კოსტუმი ძლივს ეტეოდა. მას მეუღლისათვის ჩაუკითხავს ნიუ-იორკში, სადაც ერთ წელიწადს ჰყოლია დატოვებული, და ახლა კობეში მიჰყავდა. მისის რემზის საუცხოო გარეგნობა, დახვეწილი მიხრა-მოხრა და სათნო ხასიათი ჰქონდა. საკონსულოში დაბალი ხელფასები აქვთ და მისის რემზიც ძალიან სადად, მაგრამ მნოიანად იცვამდა. შეიძლება მისთვის ყურადღება არც მიმექცია, მისი ერთი თვისება რომ არა, რაც ალბათ ქალებში იშვიათი არ არის, მაგრამ ჩვენს დროში ძნელად შეხვდებით. უსათუოდ თვალში გეცემოდა მისი მოკრძალება. ეს ისევე შევენოდა მისის რემზის, როგორც კაბას ყვავილი.

ერთ საღამოს მარგალიტზე ჩამოვარდა სიტყვა. გაზეთებში ბევრს წერდნენ, მოხერხებულმა იაპონელებმა ხელოვნური მარგალიტის წარმოება დაიწყესო. ექიმმა შენიშნა, მაშინ ნამდვილი მარგალიტის ფასი დაეცემა, ხელოვნური მარგალიტის ცნობა ახლაც ბევრს უჭირს, სულ მალე კი ნამდვილში ვერავინ გაარჩევსო. მისტერ კელადამ, როგორც სჩვეოდა, მაშინვე აიტაცა საუბრის თემა. თავი გამოიღო, მარგალიტის ამბავი მე მკითხეთო, და ლაპარაკით ყურები გამოგვიჭვდა. არა მგონია, რემზის მარგალიტებისა რამე გაეგებოდა, მაგრამ ლევანტელთან შებმის შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ხუთი წუთიც

\* ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყნების, საფრანგეთის ყოფილი სამფლობელოების მოძველებული სახელწოდება (მთ. შენიშ.).

\*\* იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური და დიდი სამრეწველო ქალაქი (მთ. შენიშ.).



არ გასულა, რომ ჩვენ ირგვლივ გაცხარებული შეხლა-შეძოხლა გაჩაღდა. მისტერ კელადას თავგამოდებული და გაცხარებული ლაპარაკი ადრეც მინახავს, მაგრამ ასეთი გააფთრებული და ენად გაკრეფილი მანამდე არ მახსოვს. ბოლოს კელადას გულზე მოხვდა რემზის რაღაც ნათქვამი, მაგიდაზე მუშტი დაჰკრა და შესძახა:

— მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. იაპონიაში სწორედ იმეტი მკვიდრია, რომ მარგალიტის წარმოების იაპონურ ხერხს გავეცნო. მე მარგალიტის სპეციალისტი ვარ. ყოველი ექსპერტი გეტყვით, რომ ჩემს სიტყვას წყალი არ გაუვა. ამქვეყნად არსებული ყველა ცნობილი მარგალიტი მინახავს და რაც არ მინახავს, ისიც იმიტომ, რომ მათი ნახვა არ ღირდა.

ეს ჩვენთვის ახალი ამბავი იყო, რადგან მისტერ კელადას, მართალია, ყბედობა სჩვეოდა, მაგრამ აქამდე არ დასცდენია, რა საქმიანობას ეწეოდა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ იაპონიაში რაღაც კომერციულ საქმეზე მიდიოდა. მან გამარჯვებულის მხერა მოგვავლო ყველას.

— იაპონელები ისეთ ხელოვნურ მარგალიტს ვერ გააკეთებენ, ჩემისთანა სპეციალისტმა თვალის ერთი შევლებით ვერ იცნოს, — მან მისის რემზის ყელსაბამზე მიუთითა. — მერწმუნეთ, მისის რემზი, მაგ მძივის ფასი არასოდეს ერთი ცენტითაც არ დაიკლებს.

როგორც მოგახსენეთ, მისის რემზი მოკრძალებული ქალი იყო. ახლაც სახე აელანმა და მძივი გულისპირში ჩამალა. რემზი წინ გადმოიხარა, ყველა შეგვათვალა და თვალეში ღიმილი გაუკრთა.

— ხომ ლამაზი მძივია?

— დანახვისთანავე მომტაცა თვალი, — მიუგო მისტერ კელადას. — აი, ეს მესმის. გუნებაში ვთქვი, მარგალიტები მართლაც ამას ჰქვია-მეთქი.

— ეს მძივი ჩემმა ცოლმა იყიდა. თქვენი აზრით, რამდენს მისცემდა?

— თ... მაგისი ფასი ასე თხუთმეტი ათასი დოლარი იქნება, მაგრამ თუ მებუთე აკენიუხეა შექენილი, სულაც არ გამიკვირდება, რომ მითხრან, ოცდაათი ათასია მიცემული.

რემზის ნიშნის მოგებით ჩაეღიმა.

— მაშინ ალბათ ნამდვილად გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ ეს მძივი მისის რემზიმ თვრამეტ დოლარად იყიდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, სწორედ ჩვენი წამოსვლის წინა დღეს.

მისტერ კელადა წამოჭარხლდა.

— სისულელეა. ეს მარგალიტები არათუ ნამდვილი, სიდიდითაც იშვიათია. ასეთი მძივი არც კი მინახავს.

— გინდათ დაგენამდევით? ას დოლარზე გენამდევებით, რომ ყალბია.

— თანახმა ვარ.

— ოჰ, ელმარ, როგორ შეიძლება ისეთ რამეზე დანამდევება, რაც დანამდევილებით იცი, — ოდნავი ღიმილით უთხრა ქმარს მისის რემზიმ. მის ხმაში საყვედური ისმოდა.

— ვითომდა რატომ? სულელი უნდა ვიყო, მუქთ ფულზე რომ უარი ვთქვა.

— როგორ უნდა გაიგოთ, ყალბია თუ ნამდვილი? — თქვა მისის რემზიმ, — მე ჩემსას ვამბობ, მისტერ კელადა კი თავისას.

— ერთი ახლოს ვნახო და ახლავე მოგახსენებთ, ყალბია თუ ნამდვილი. დამეკარგება და დამეკარგოს ეგ ასი დოლარი, — თქვა მისტერ კელადას.



— მოიხსენი მძივი, ძვირფასო. ათვალეროს ამ ჯენტლმენმა, რამდენიც უნდა.

მისის რემზი წუთით შეყოყმანდა, მერე კი შესაკრავზე მოიკიდა ხელები.

— ვერ შევიხსენი, — თქვა მან. — იქნება მისტერ კელადა ჩემს სიტყვას ენდოს.

უეცრად ეჭვმა გაბიელვა, ახლა რაღაც უბედურება მოხდება-მეთქი, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე.

რემზი ცოლთან მიიჭრა.

— ახლავე შეგხსნი.

მან ცოლს მძივი შეხსნა და მისტერ კელადას გაუწოდა. ლევანტელმა ჯიბიდან გამადიდებელი შუშა ამოიღო და მძივი გულდასმით გასინჯა. მის მაგვრემანსა და სუფთად გაპარსულ სახეს გამარჯვებულის ღიმილი მოეფინა. მან მძივი რემზის დაუბრუნა და ის-ის იყო რაღაცის თქმა დააპირა, რომ უეცრად მისის რემზის მოჰკრა თვალი. ქალს სახე ისე გაფითრებოდა, თითქოს სადაცაა გული წაუვაო. იგი მისტერ კელადას შეძრწუნებული, ფართოდ გახეული თვალებით მისჩერებოდა. მისი თვალები უზომო მუდარას გამოხატავდნენ. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ მიკვირს, ქმარმა როგორ ვერ შენიშნა.

მისტერ კელადას სიტყვა პირზე შეაშრა და სახე აელეწა. თვალნათლივ ჩანდა, როგორ ცდილობდა თავს მორეოდა.

— შევცდი, — თქვა მისტერ კელადამ ბოლოს. — ნამდვილისაგან ვერ გარჩევ, მაგრამ გამადიდებელი შუშით დავხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ყალბია. თვრამეტ დოლარზე მეტი ეს მძივი ნამდვილად არ ღირს.

მან ჯიბიდან საფულე ამოიღო, ასდოლარიანი ამოაძრო და უხმოდ გაუწოდა რემზის.

— იქნებ ამის მერე მაინც მოიშალოთ სიჯიუტე, ვაჟბატონო! — უთხრა რემზიმ და ფული გამოართვა.

შევნიშნე, რომ მისტერ კელადას ხელები უცახცახებდა.

ეს ამბავი, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, მალე მთელ გემს მოედო. და მისტერ კელადას იმ საღამოს ბევრი დაცივნის ატანა მოუხდა. მართლაც სასაცილო იყო, რომ ყოველსმცოდნე ვაჟბატონს ასეთი მარცხი მოუვიდა. მარტო მისის რემზი არ ესწრებოდა ამ სიცილ-ხარზარს — მას თავი ასტკივდა და კაიუტაში შეიკეტა.

მეორე დღიას, ავდექი თუ არა, წვერის პარსვა დავიწყე. მისტერ კელადა ლოგინზე იყო წამოწოლილი და სიგარეტს ეწეოდა. უეცრად ფაჩუნი მომესმა, კარის ქვემოდან წერილი შემოაცურეს. კარი გავაღე და გარეთ გავიხედე, მაგრამ არავინ ჩანდა. წერილი ავიღე და დავხედე: „მაქს კელადას“ — მსხვილი ასოებით ეწერა კონვერტზე. წერილი გავუწოდე.

— ვისგან უნდა იყოს? — მან კონვერტი გახსნა. — აჰა, — აღმოხდა მას, როცა კონვერტიდან წერილი კი არა, ასდოლარიანი ამოიღო. მისტერ კელადამ მე შემომხედა და ამჯერად მეორედ გაწითლდა. მერე კონვერტი დახია და მთხოვა, თუ არ შეწუხდებით, საკუწები ილუმინატორში გადაყარეთო. თხოვნა შევასრულე და კელადას ღიმილით შევხედე.

— როგორი საქმეა, ტყუილუბრალოდ გაისულელო თავი! — თქვა მან.

— მარგალიტები ნამდვილია იყო?

— მე რომ ლამაზი ცოლი მყავდეს, ერთ წელიწადს ნიუ-იორკში არ დავტოვებდი და კობეში არ წავიდოდი სამუშაოდ.



იმ წუთას ისე ძალიან აღარ მეჯავრებოდა მისტერ კელადა. იგი თავის საფულეს დასწვდა და ფრთხილად ჩადო შიგ ასდოლარიანი.

## შრანო



ქართული

ვიცი, უცნაურ ამბავს მოგიტხრობთ. თვითონაც ვერც ვიცი, რატომ ქალაქ-დზე მხოლოდ იმიტომ გადმოვიტანე, იქნებ დაწერილი უფრო ნათელი გახდეს ან იქნებ რომელიმე მკითხველმა, ვინც ჩემზე უკეთესად იცნობს ადამის მოდგმის ამოუცნობ სულს, რაიმე განმამარტოს-მეთქი.

როცა ამ ამბავს ვუფიქრდება, გონებაში გამიელვებს ხოლმე, მასში არის-მეთქი რაღაც ფროიდისტული. მე კარგად ვიცნობ ფროიდსა და მის მიმდევრებს და რადგან ამ მოთხრობის დაწერას ვაპირებდი, ახლახან კვლავ გადავათვალიერე „მოდერნ ლაიბრერის“ მიერ გამოცემული ფროიდის რჩეულ თხზულებათა ერთტომეული. ვერ გეტყვით, ძალიან სახალისო იყო-მეთქი, რადგან ფროიდი გაჭიანურებულად, მოსაწყენად და თანაც ღვარძლიანდ წერს — ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, ესა და ეს თეორია მე წამოვაყენეო, მედიდურად დასცქერის ზემოდან თავის კოლეგებს და ამავე დროს შურს კიდევ მათი. ეს, რა თქმა უნდა, მეცნიერს არ შეეფერება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მწამს, იგი ერთი კეთილი და უწყინარი ბერიკაცი იყო. მოგეხსენებათ, რა დიდი განსხვავებაა ხშირად მწერალსა და მის პიროვნებას შორის. კაცი შეიძლება გესლიანად, უხამსად და უხეშად წერდეს, ცხოვრებაში კი ისეთი გულჩვილი და ღმობიერი იყოს, ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდეს. თუმცა სიტყვა გამიგრძელდა. ფროიდის თხზულებათა ხელახალმა გადაკითხვამ ისეთი ვერაფერი შემძინა, რაც ოდნავ მაინც ნათელს მოჰფენდა ამ ამბავს. ასე რომ, მე მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს აღვწვსხავ.

უწინარეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ამბავი არც მე და არც რომელიმე ჩემს ნაცნობს არ გადაგვხდენია. იგი ერთ საღამოს ჩემმა მეგობარმა, ნედ პრესტონმა იმიტომ მიაგზო, რომ არ იცოდა, რა ეღონა და ეგონა (როგორც მერე აღმოჩნდა, დიდადაც ცდებოდა), რაიმე სასარგებლო რჩევას მომცემსო. ჩემი მეგობარი ინსპექტორად მუშაობდა „უერმუდ სკრაბზის“ ციხეში. იგი თავის მოვალეობას გულმოდგინედ ეკიდებოდა და პატიმართა გასაჭირი გულთან ახლოს მიჰქონდა. ჩვენ ვისხედით კაფე „რუილის“ გრძელსა და დაბალჭერიან ოთახში, რომელსაც ძველი კაფე „რუილისგან“ მხოლოდ ძველი დროის მხატვართათვის ესოდენ საყვარელი, უაზრო, მაგრამ მიმზიდველი მოხუცობა შემორჩენოდა. მე და ჩემი მეგობარი ვისხედით და ყავასა და ლიქიორს ვსვამდით; ნედი, თუმცა ექიმმა აუკრძალა, ძალიან გრძელსა და საუცხოო პავანურ სიგარას აბოლებდა.

— ახლახან „სკრაბზში“ ერთ უცნაურ ყმაწვილს გადავეყარე და, ეშმაკის კერძი ვიყო, თუ ვიცოდე, რა მოვუხერხო, — მითხრა მან ხანმოკლე ღუმლის შემდეგ.

— რისთვის ზის? — შევეკითხე მე.

— მეუღლე მიატოვა და სასამართლომ ალიმენტის გადახდა დააკისრა, რაზედაც ცივ უარს აცხადებს. მანამდე ვერხუბე, სანამ ხმა არ ჩამიწყდა. ვეუბნები, მაგით ხომ მხოლოდ შენს თავს ვნებ-მეთქი. მთელი სიცოცხლე ციხეში რომ გავა-



ტარო, ერთ პენისაც არ გადაუხდით, მითხრა. აბა შიმშილით ხომ არ მოკლავ-  
მეთქი, ვკითხე. მიპასუხა, „რატომაც არაო?“ მშვენივრად იქცევა, კარგად მუ-  
შაობს, თავი უდარდელად უჭირავს, იმისი ფიქრი კი, მისი მეუღლე რა გასაჭირ-  
ში ჩავარდა, სიამოვნებს კიდევაც.

— რას ერჩის ცოლს?

— ფრანი დაუმტვრია.

— რაო? — ყურს არ დაუჯერე მე.

— რაც გაიგონე. ფრანი დაუმტვრია. ამბობს, ამას სიკვდილამდე არ ვაპა-  
ტიებო.

— გიჟი ყოფილა.

— სულაც არა. სრულ ჭკუაზეა, თანაც განათლებული და ზრდილი ყმაწვილია. იმ ყმაწვილს ჰერბერტ სანბერი ერქვა, — დედამისი კი ისეთი „სათუთი არ-  
სება“ გახლდათ, ჰერბის ან ბერტის არამც და არამც არ დაგაძახებინებდათ —  
მხოლოდ ჰერბერტი უნდა გეწოდებინათ. ქმარსაც არასოდეს სემს არ ეძახდა,  
არამედ მხოლოდ სემუელს. თვითონ ბეატრისა ერქვა და მისტერ სანბერიზე რომ  
დაინიშნა და ქმარმა ბეას დაძახება გაუბედა, სასტიკად იწყინა.

— მე ბეატრისად მომნათლეს, — მკვახედ მიახალა მან, — ყოველთვის ბეა-  
ტრისას მეძახდნენ და ბეატრისად დავრჩები შენთვისაც და ყველა ჩემი ნაცნობ-  
მეგობრისთვისაც!

დაბალი ტანის ქალი იყო, მკვირცხლი, ენერგიული და ძარღვმაგარი. მო-  
ყვითალო კანი, მკვეთრი სწორი ნაკვთები და წვრილი, მოუსვენარი თვალები  
ჰქონდა. მისი ასაკისათვის საოცრად შავ თმას კარგად უვლიდა და დედოფალ  
ვიქტორიას დროინდელ ვარცხნილობას იკეთებდა, რომელიც — საამისო ასაკს  
შიაღწია თუ არა — მაშინვე გადაიღო და მერე მისი შეცვლა საჭიროდ არასოდეს  
მიუჩნეოდა. ადრინდელი ფერის შესანარჩუნებლად თუ მართლაც თმას იღებავდა,  
მხოლოდ ეს იყო მისი კეკლუცობა, რადგან ფერუმარილსა და პომადას არა ხმა-  
რობდა, პუდრი ხომ თავის დღეში არ მიუკარებია. მოდას არად დაგიდეკდათ და  
მუდამ შავ კაბას იცვამდა, რომელსაც გამძლე ნაჭრიდან (იქვე, შესახვევში  
მცხოვრებ ერთ ჩია ტანის ქალს) ისე აკერინებდა, რომ მოსახერხებელიც ყოფი-  
ლიყო და ლაზათიანიც. მისი ერთადერთი სამკაული ოქროს ყელსაბამი გახლდათ,  
რომლის წვრილ ძეწკვზე ერთი ციცქნა ჯვარი ეკიდა.

სემუელ სანბერიც ტანდაბალი კაცი იყო, ცოლივით გამხდარი და გალეული,  
ოღონდაც თმა ჟღალი ფერისა ჰქონდა, თანაც ისე შეთხელებული, ცალ მხარეზე  
გრძლად უშვებდა და გამელოტებული თავის დასაფარავად გვერდზე გულდასმით  
ივარცხნიდა. ღია ცისფერი თვალები და შეშუპებული სახე ჰქონდა. ადუოკატთა  
კანტორაში მოხელედ მსახურობდა. სამსახური შიკრიკობიდან დაეწყო და ბეჯი-  
თი შრომით საპატიო მდგომარეობისთვის მიეღწია — კანტორის მფლობელი ბა-  
ტონობით მიმართავდა და ზოგჯერ თითო-ორილა წვრილფეხა კლიენტის მილე-  
ბასაც ანდობდა ხოლმე. აგერ უკვე ოცდაოთხი წელიწადია სემუელ სანბერი ყო-  
ველ დღით სიტიში ერთი და იგივე მატარებლით ჩადიოდა — თუ, რა თქმა უნდა,  
მხედველობაში არ მივიღებთ კვირა დღეებსა და ზღვაზე გატარებულ ორკვირიან  
შვებულებას — და ყოველ საღამოს იმავე მატარებლით უბრუნდებოდა თავის გა-  
რეუბანს. ყოველთვის სუფთად ეცვა, სამუშაოზე ნაცრისფერი შარულით, შავი  
პალტოთი და ცილინდრით დადიოდა და შინ რომ დაბრუნდებოდა, ფოსტლებსა  
და შავ ქურთუკს იცვამდა, რომელიც ისე გაცრეცილიყო, სამსახურში ჩასაცმე-  
ლად აღარ ვარგოდა. კვირაობით, ეკლესიაში მიმავალს კი — ისინი წირვას არა-





სოდეს არ აკლდებოდნენ — საგარეო სერთუკი ეცვა და განუყრელი ცილინდრი ეხურა, ამით გამოხატავდა იგი უქმე დღისადმი პატივისცემას და გულისწყრომას იმ ურწმუნოთა მიმართ, რომლებიც ველოსიპედებს დააქროლებდნენ ან ქუჩებში დაბორილობდნენ და სამიკიტნოების გაღებას ელოდნენ. თვითონ სანბურები სასმელს არ ეკარებოდნენ, კვირაობით კი ბეატრისა ქმრის ყოველდღიურ ღარიბულ საუზმეს — ერთ ჭიქა რძესა და კარაქიან პურს — რუხუბუხუ და იორკშირულ პუდინგს ამატებდა და რაკი ჯანმრთელობისათვის მას არგუტად მიიჩნდა, ერთ ჭიქა ლუდსაც ასმევდა. ვინაიდან ბეატრისა სასმელს სახლში არამც და არამც არ გააჭაჭანებდა, სემუელი დილის წირვის მერე სახლიდან ორკვარტიანა სურით გამოიძურწებოდა და შესახვევთან მდებარე სამიკიტნოდან ერთი კვარტი ლუდი მოჰქონდა. მაგრამ არაფრის გულისთვის მარტო არ დალევდა და ამიტომ მისი ხათრით ერთ ჭიქას ბეატრისაც მიირთმევდა.

ღმერთმა მათ ერთადერთი შვილი, ჰერბერტი აჩუქა და რომ იგი ერთადერთი იყო, რა თქმა უნდა, მათი ბრალი სულაც არ გახლდათ — უბრალოდ, ასე მოხდა. ცოლ-ქმარი თავს ევლებოდა პატარას. იგი მართლაც საყვარელი ბავშვი იყო და ცოტა რომ წამოიზარდა, ლამაზი ბიჭი დადგა. მისის სანბური დიდი სისათუთით ზრდიდა, ასწავლიდა, როგორ უნდა მისჯდომოდა სუფრას ისე, რომ იდაყვებით არ დაყრდნობოდა, აჩუქდა, როგორ უნდა ეხმარა დანა-ჩანგალი, რომ ყველას ეთქვა, ეს ბავშვი პატარა ჯენტლმენიაო; აჩვენებდა, როგორ უნდა გაეზიკა ნეკა თითი, როცა ჩაის ფინჯანს აიღებდა ხელში და თუ ბავშვი იკითხავდა, „რატომო“, ეტყოდა:

— მაგას შენ არ გეკითხებიან. ასეა წესი. ამით შეგატყობენ, რომ კარგი გაზრდილი ხარ.

მალე ჰერბერტის სკოლაში წასვლის დროც დადგა. ამან მისის სანბური ძალიან შეაწუხა, რადგან ჰერბერტი ქუჩაში ბავშვებთან სათამაშოდ არასოდეს გაუშვია.

— ცუდი წრე ადამიანს ზრდილობას აკარგვინებსო, — იტყოდა ხოლმე იგი. — ხალხში არასოდეს ავთქვეფილვარ და თავი ყველასგან განზე მეჭირა.

თუმცა ქორწინების დღიდან მოყოლებული ერთსა და იმავე სახლში ცხოვრობდნენ, ბეატრისა მეზობლებთან დაახლოებას გაურბოდა.

— რა ჯურის ხალხი არ ცხოვრობს ლონდონში, — ამბობდა იგი. — დღეს ესაო, ხვალ ისაო და ისე შეუმჩნევლად გაითქვიფები მათთან, თავს კუღარ დააღწევ.

დედას არ მოსწონდა, საგრაფოს საბჭოს საუწყებო სკოლაში ჰერბერტი თანატოლ ბიჭებთან რომ ამხანაგობდა, და ეუბნებოდა:

— ჰერბერტ, მუდამ ეცადე ჩემსავით მოიქცე. თავი ყოველთვის განზე გეჭიროს და რაც შეიძლება ნაკლებად იქონიე სხვებთან საერთო.

ჰერბერტმა სკოლაში მალე გამოიჩინა თავი, გულმოდგინედ სწავლობდა და კარგ ნიშნებს იღებდა. მისი აკადემიური მოსწრების ფურცელი საუკეთესო იყო. მათემატიკის ნიჭი აღმოაჩნდა.

— რადგან ასეა, კარგი იქნება, ბუღალტერი გახდეს, — თქვა სემუელ სანბერიმ. — კარგი ბუღალტერისთვის მუდამ მოიძებნება შესაფერი სამუშაო.

ასე და ამრიგად გადაწყდა ჰერბერტის მომავალი.

იგი ტანს სწრაფად იყრიდა.

— ჰერბერტ, მალე მამაშენს დაეწევი სიმაღლეში, — ეუბნებოდა დედა.

მართლაც სკოლის დამთავრებისას მამას ორი დუიმით გაუსწრო, ხოლო



ზრდა რომ დაასრულა, მისი სიმაღლე უკვე ხუთ ფუტსა და ათ ლუიმს აღწევდა.  
 — კარგი სიმაღლისაა, — ამბობდა დედამისი. — არც ძალიან მაღალია და არც ძალიან დაბალი.

ლამაზი ბიჭი იყო, სახის ნაკეთობითა და შავი თმით დედას ჰგავდა, როდესაც მამის ცისფერი თვალები გამოჰყოლოდა და, თუმცა ფერმკრთალი იყო, სუფთა და სასიამოვნო კანი ჰქონდა. სემუელ სანბერიმ შვილს ერთ საბურთალოს კანტორაში, რომელიც წელიწადში ორჯერ მის ფირმაში ანგარიშებს წარმოადგენდა, ადგილი გამოუძებნა და ჯერ ოცდაერთი წელიც არ შესრულებოდა, რომ ყოველი კვირის ბოლოს დედამისთან კარგა მოზრდილი თანხა მიჰქონდა. დედა მას საუზმისათვის სამნახევარ კრონს აძლევდა და ათ შილინგს ჯიბის ფულად უტოვებდა. დანარჩენი კი „შავი დღისთვის“ შემნახველ საღაროში შეჰქონდა მის სახელზე.

იმ დამეს, როცა ჰერბერტს ოცდაერთი წელი შეუსრულდა და მისტერ და მისის სანბერები დასაძინებლად წვებოდნენ — თუმცა სიტყვას მოჰყვა და უნდა მოგახსენოთ, მისის სანბერი კი არ წვებოდა, არამედ „მოსასვენებლად მიდიოდა“, მისტერ სანბერი კი, რომელსაც მეუღლის სიფაქიზე აკლდა, იტყოდა ხილმე: „აბა, ახლა გადავბრუნდი კედლისაკენო“ — ჰოდა, მისტერ და მისის სანბერები რომ წვებოდნენ, მისის სანბერიმ ქმარს უთხრა:

— ზოგიერთი ვერც კი გრძნობს საკუთარ ბედნიერებას, მაღლობა ღმერთს, მე ასეთი არა ვარ. ჩვენი ჰერბერტისთანა შვილი ვის ეყოლება. ავად თუ გახდებოდა, ისიც ერთი დღით, თორემ ისე სულ არ შეეუწუხებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, თუ შვილს კარგად გაზრდი, სიბერეში დაგიფასდება. წარმოგიდგენია, ოცდაერთისა გახდა, არც კი მჯერა.

— ჰო, ასეა, მგონია, თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ, რომ ცოლსაც შეირთავს და საცხოვრებლადაც ცალკე გადავა.

— რატომ უნდა გადავიდეს? — უკმეხად ჰკითხა მისის სანბერიმ. — განა აქ ცუდად გრძნობს თავს? იცოდე, სისულელეებს ნუ ჩააგონებ, თორემ მე და შენ ვინხუბებთ, ჩხუბი კი სულაც არ მინდა. ცოლს შეირთავსო! ბრიყვი კი არ არის, იცის როდის უნდა შეირთოს ცოლი. ჰერბერტი საზრიანი, ჭკვიანი ბიჭია.

მისტერ სანბერი ღუმდა. უკვე დიდი ხანია შეეგნო, რომ ბეატრისასთვის სიტყვის შებრუნება კარგს არას უქადდა.

— ვერ ვიტან, როცა მამაკაცი ცოლს მანამდე შეირთავს, სანამ ჭკუაში ჩავარდებოდეს, — არა ცხრებოდა ბეატრისა, — მამაკაცმა კი, სანამ ოცდაათი-ოცდაათხუთმეტი წლისა არ გახდება, არ იცის, რა უნდა.

— საჩუქრები ძალიან მოეწონა, — თქვა მისტერ სანბერიმ, რათა საუბრის თემა შეეცვალა.

— ასეც უნდა ყოფილიყო, — მიუგო ჯერ კიდევ აღელვებულმა მისის სანბერიმ.

მართლაც გულუხვობა გამოიჩინეს. მისტერ სანბერიმ მანათობელ ციფერბლატიანი ვერცხლის მაჯის საათი უსახსოვრა, მისის სანბერიმ კი ფრანი აჩუქა. ეს საჩუქარი მისთვის პირველი როდი იყო. პირველად ასეთი რამ შვიდი წლისას აჩუქეს; ეს კი ასე მოხდა: მათი სახლის ახლოს ერთი ვრცელი ეწერი იყო და ყოველ შაბათს, საღამოობით, თუ კარგი ამინდი იდგა, მისის სანბერის ქმარ-შვილი იქ დაჰყავდა სასეირნოდ. ამბობდა, მთელი კვირა დახუთულ კანტორაში გამოკეტილ სემუელს სუფთა ჰაერი მოუხდებოდა. ეწერზე ყოველთვის ბევრი ხალხი იყრიდა თავს, მაგრამ მისის სანბერი, რომელსაც თავი ყველასაგან განკერძოებით ეჭირა, რაც შეიძლება ერიდებოდა მათთან დაახლოებას.



— დედა, შეხედე იმათ ფრანებს, — მოულოდნელად თქვა ერთ დღეს პერბერტმა.

სასიამოვნო სით ქროდა და ცაზე რამდენიმე დიდი და პატარა ფრანი დაფრინავდა.

— იმათ ფრანებს კი არა, იმ ფრანებს, პერბერტ, — გაუსწორა მისის სანბერიმ.

— გინდა წაყიდეთ და ვნახოთ, როგორ უშვებენ, პერბერტ, — მამამ.

— კი, მამი, ძალიან მინდა!

ეწერის შუაგულში პატარა ძაღლი იყო და როცა ახლოს მივიდნენ, ნახეს — მარტო ვოგო-ბიჭები კი არა, მამაკაცებიც ჩამორბოდნენ ძაღლიდან, ფრანი რომ გაეშვათ. ზოგჯერ არაფერი გამოსდიოდათ და ფრანი მიწას ენარცხებოდა, ზოგჯერ კი ფრანი აფრინდებოდა და, პატრონი რომ ზონარს მიუშვებდა, სულ უფრო და უფრო ზევით მიიწევდა. პერბერტი მოხიბლული შესცქეროდა ამას.

— დედა, მე მინდა ფრანი?! — აბუზღუნდა იგი.

ბავშვი უკვე მიხვედრილიყო, თუ რამე უნდოდა, პირველად დედისთვის უნდა ეთხოვა.

— რად გინდა? — შეეკითხა დედა.

— ცაში გაუშვებ.

— თუ ძალიან გინდა, თვითონ გააკეთე.

მისტერ და მისის სანბერებმა ბავშვის ძაღლად ერთმანეთს დიმილით გადახედეს. ხედავ, ფრანი მოგვთხოვა, უკვე პატარა აღარ არისო.

— თუ კარგი ბიჭი იქნები და ჩემს უთქმელად კბილებს ყოველდღე გაიხეზავ, მამინ სულ არ გამიკვირდება, საშობაოდ თოვლის პაპამ ფრანი მოგიტანოს.

შობასაც ბევრი აღარაფერი უკლდა და პირველი ფრანი პერბერტს თოვლის პაპამ მოუტანა. ერთხანს პერბერტმა მას ვერაფერი გაუგო და ფრანის გასაშვებად მის ნაცვლად გორაკიდან მისტერ სანბერი ჩამორბოდა. ფრანი ძალიან პატარა იყო, მაგრამ პერბერტს სულ ფრუანტელი დაუკლიდა ხოლმე, როცა თოკი დაეჭიმებოდა ხელში და ფრანი პაერში იწყებდა ლივლივს. ამის მერე, ყოველ შობათ საღამოს, მამამისი სიტყვიდან რომ დაბრუნდებოდა, მშობლებს თავს აბეზრებდა, ჩქარა ეწერზე წავიდეთო. ფრანის გაშვებაც ძალე ისწავლა. მისტერ და მისის სანბერები ძაღლიდან უმზერდნენ შვილს და გული სიამით ევსებოდათ, როცა პერბერტი ბორცვიდან სწრაფად ჩარბოდა ძირს, ქართი ატაცებული ფრანი კი სულ უფრო და უფრო ზევით მიიწევდა.

ასეთი გართობა პერბერტს მოთხოვნილებად გადაექცა და რაც უფრო წლები ემატებოდა და ტანს იყრიდა, დედამისიც სულ უფრო და უფრო მოზრდილ ფრანებს ყიდულობდა მისთვის. ერთობ დაოსტატდა ქარების გამოცნობაში და ფრანით წარმოუდგენელ სასწაულებს ახდენდა. ეწერზე ფრანის მოყვარულები ბლომად იკრიბებოდნენ, როგორც ბავშვები, ისე კაცებიც და რადგან ადამიანებს ისე არაფერი აახლოვებთ, როგორც საერთო გატაცება, დიდი ხანი არ გასულა, რომ უკარება მისის სანბერიმ აღმოაჩინა — თვითონაც, სემუელსაც და მის ვაჟიშვილსაც ნაცნობობა გაება დიდსა თუ პატარასთან. ისინი ფრანებს ერთმანეთს ადარებდნენ და ყველა თავისას აქებდა. ზოგჯერ პერბერტი, ამჟამად უკვე თექვსმეტი წლის ყმაწვილი, შეჯიბრებაში იწვევდა ვინმეს. იგი თავის ფრანს პირქარისაკენ უზამდა თავს და, როცა ქარი ფრანს გაიტაცებდა, ჯერ სხვისი ფრანის თოკს თოკით შეეხებოდა, მერე კი თავის თოკს სწრაფად მოსწევდა და მოქიშპის ფრანს



ძირს ანარცხებდა. მისტერ სანბერის უკვე დიდი ხანია გადასდებოდა ვაჟიშვილის გატაცება და ჰერბერტს ხშირად სთხოვდა, ფრანს ახლა მე გავუშვებო. დიდი სასერიო სანახავი იყო იგი თოკით ხელში, თავზე ცილინდრით, ზოლებიან შარვალსა და შავ პალტოში გამოწყობილი გორაკიდან რომ ჩარბოდა, მისი სანბერი კი ფუსფუსით, თუმცა მოწვევებითი აულელვებლობით, უკან მისდევდა და, ფრანს რომ ჰაერში აიჭრებოდა, ქმარს თოკს გამოართმევდა და ფრანს დაეკლავს თვალს ადევნებდა.

შაბათობით სანბერებს საზეიმო დღე უთენდებოდათ. დიდი დღეობით მისტერ სანბერი და ჰერბერტი, სიტისაკენ მიმავალი მატარებლის დასახვედრად, სახლიდან გამოვიდოდნენ თუ არა, ზეცას ახედავდნენ, ფრანის გასაშვები ამინდი თუ არისო. განსაკუთრებით ისეთი ამინდი უყვარდათ, როცა ქარბორბალა ამოვარდებოდა, რადგან ასეთ ამინდში უფრო მეტად ჩანდა მათი ოსტატობა, საღამოობით მთელი კვირა სულ ფრანზე ლაპარაკობდნენ. საკუთარ ფრანზე უფრო პატარა ფრანებს აგდებულად იხსენიებდნენ, უფრო დიდებს კი შურის თვალთ უცქეროდნენ. ფრანების მფლობელთა ხელმარჯვეობაზე ისე ცხარედ და გამკილაკად კამათობდნენ, როგორც მოკრივეებსა და ფეხბურთელებს სჩვევიათ ხოლმე მეტოქეთა გაკილვა. სულ იმას ოცნებობდნენ, ყველაზე დიდი და ყველაზე მალლა მფრინავი ფრანი ჰქონოდათ. თოკის ხმარებას დიდი ხანია თავი დაანებეს, რადგან ახალი ფრანი, იმ დღეს რომ აჩუქეს ჰერბერტს, როცა ოცდაერთი წელი შეუსრულდა, შეიდა ფუტის სიგრძისა იყო და ამიტომ კოჭზე დახვეულ პიანინოს სიმს ხმარობდნენ. ჰერბერტს ესეც არ აკმაყოფილებდა. სადღაც ყური მოეკრა, კოლოფისებური ფრანი გამოუგონებიათო, და მოსვენება დაკარგა — ფიქრობდა, ამგვარი ფრანის გაკეთებას მეც შევძლებო, და რადგან ცოტა ხაზვაც ეხერხებოდა, ნახაზი შეადგინა, პატარა მოდელი გააკეთა და ერთ საღამოს სცადა კიდეც ჰაერში გაეშვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჰერბერტს უდრეკი ხასიათი ჰქონდა და ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდა — ფრანს რაღაც ნაკლი აქვს და ამას უთუოდ გამოვასწორებო.

მალე უბედურება დატრიალდა. ჰერბერტმა ნავახშმევს სადღაც სიარული იწყო. მისი სანბერის ეს ამბავი არ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ მისტერ სანბერი ამოშმინებდა: ბოლოს და ბოლოს ოცდაორი წლის ბიჭია და სულ შინ რა გააჩერებს, ალბათ კინოში დადის ან სეირნობსო. ჰერბერტი კი შეყვარებული გახლდათ. ერთ შაბათ საღამოს, როცა ეწერზე შესანიშნავი დროსტარების შემდეგ ვახშმად იხდნენ, მოულოდნელად — თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო — ჰერბერტმა თქვა:

— დედა, ხვალ ჩაიზე ერთი ქალიშვილი დავპატიჟე, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?

— რაო? — ჩაეკითხა მისი სანბერი, რომელმაც უცებ სწორად მეტყველების უნარი დაჰკარგა.

— აკი ვითხარი, დედა.

— კი მაგრამ, ვინ არის ან საიდან იცნობ?

— გვარად ბივენია. ბეტი ბივენი. ერთ წვიმიან შაბათს გავიცანი კინოში. სულ შემთხვევით მოხდა. ჩემ გვერდით იჯდა და ჩანთა დაუვარდა, ავიღე და მივაწოდე, მან კი მადლობა გადამიხადა და ასე უნებლიეთ საუბარი გავაბით.

— და ამისთანა ხრიკზე წამოეგე? ჩანთა დაუვარდა, რას მეუბნები!

— ცდები დედა, ძალიან კარგი გოგოა, ამასთან, ძალიან განათლებულიც.

— მაინც როდის მოხდა ეგ ყველაფერი?



- ასე... სამი თვე იქნება.
- სამი თვის წინათ ქალიშვილი გაიცანი და ხვალისთვის ჩაიხე დაპატივე?
- არა, მას შემდეგაც ვხვდებოდი, რა თქმა უნდა; გაცნობის დღესვე, ფილმი რომ დამთავრდა, ვთხოვე — ხუთშაბათს ჩემთან ერთად კინოში წახვიდით-მეთქი. მითხრა, არ ვიცი, შეიძლება მოვიდე, შეიძლება ვერაი. თუმცა მოსვლით კი მაინც მოვიდა.
- აბა რას იზამდა! მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა! *ეროვნული* *გინგული*
- მას შემდეგ კვირაში ორჯერ კინოში დავდიოდით.
- მაშ ამიტომ იყო, ასე ხშირად სადღაც რომ დაეხეტებოდი?
- დიახ, მაგრამ მისმინე, დედა, მის მიღებას სულაც არ გაძალე და თუ არ გინდა მოვიყვანო, ვეტყვი, რომ თავი აგტკივდა და სადმე სხვაგან წავიყვან.
- მიღებით როგორ არ მიიღებს, — თქვა მისტერ სანბერიმ, — ასე არ არის, ძვირფასო? ოღონდ ესაა, რომ დედაშენი უცხო ადამიანებს ვერ ეგუება, სხვებთან ნაცნობობაც იშვიათად გაუბამს.
- სწორედ არ მიყვარს ყველასთან თავის გაყადრება, — პირქუშად თქვა მისის სანბერიმ და მერე იკითხა, — რას აკეთებს?
- სიტიში მუშაობს მბეჭდავად, ისე კი ოჯახთან ერთად ცხოვრობს, თუ ამასაც ოჯახი ჰქვია. საქმე ისაა, რომ დედა მოუკვდა, მამამისმა სხვა ქალი შეირთო და ახლა სამი შვილი ჰყავთ. დედინაცვალს ვერა და ვერ ეგუება. სულ იყვებოდა, — ამბობს.
- მისის სანბერიმ სტუმრის შესახვედრად საგულდაგულოდ მოემზადა. სასტუმრო ოთახში მდგომ პატარა მაგიდიდან, რომელიც მანამდე არასოდეს არ გამოუყენებიათ, სამშვენისები ააღაგა და სუფრა გადააფარა, არც მანამდე უხმარი ჩაის სერვიზი და მოვერცხლილი ჩაიდან დანახებია. ფუნთუშები და ნამცხვარი გამოაცხო და თხელი ბუტერბროდები გაამზადა.
- უნდა მიხვდეს, რომ არც ისე უბრალო ხალხი ვართ, — უთხრა მან სემუელს.
- ჰერბერტი მის ბივენის მოსაყვანად წავიდა, სემუელი კი შემოსასვლელ კარებთან აიტუხა, რომ მათთვის გზა გადაეღობა, თუ ვინიცობაა, ჰერბერტი იმ ოთახისაკენ გაემართებოდა, სადაც ისინი ჩვეულებრივ საუზმობდნენ ხოლმე. ჰერბერტმა სუფრას გაოცებით შეაგლო თვალი და ქალიშვილი სასტუმრო ოთახში შემოიყვანა.
- ეს ბეტია, დედა.
- მის ბივენი, თუ არ ვცდები, არა? — იკითხა მისის სანბერიმ.
- დიახ, მაგრამ თუ შეიძლება, ბეტი დამიძახეთ.
- მგონი, ჩვენი ნაცნობობა მეტად ხანმოკლეა საამისოდ, — მოხდენილი დიმილით მიუგო მისის სანბერიმ, — დაბრძანდით, მის ბივენ.
- საოცარი ის არის, ან იქნებ სულაც არაა საოცარი, რომ ბეტი ბივენი ისეთივე გარეგნობისა გახლდათ, როგორიც ალბათ მისის სანბერი იქნებოდა ქალიშვილობისას. ისეთივე მკვეთრი ნაკვთები და წვრილი, მოუსვენარი თვალები ჰქონდა, ოღონდ ტუჩებზე მყვირალა წითელი ფერის პიპადა ეცხო, ლოყებზე ფერუმარილი წაესვა და მოკლედ შეჭრილი შავი თმა დაეხვია. მისის სანბერიმ ყოველივე ეს თვალის ერთი შევლებით შეამჩნია და თითოეული პენის სიზუსტით გამოიანგარიშა მისი მოდური ხელოვნური აბრეშუმის კაბის, მაღალქუსლიანი ექსტრავაგანტური ფეხსაცმელებისა და უცნაური ქუდის ფასი. ბეტის ძალიან მოკლე კაბა ეცვა და ხორცისფერი წინდები უჩანდა. მისის სანბერიმ, რომელსაც



თვალში არ მოუვიდა მისი გამომეტყველება და მორთულობა, უმაღლესი აითვალწუნა ქალიშვილი, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა თავი ნამდვილი ქალბატონით დაეჭირა და მასზე უკეთ ამას ვინ შესძლებდა. ასე რომ, თავდაპირველად ყველაფერი რიგზე იყო. მან ჩაი დაასხა და ჰერბერტს სთხოვა ერთი ფინჯანი თავისი მეგობარი ქალისათვის მიეწოდებინა.

— ხემუელ, ძვირფასო, ჰკითხე მის ბივენს, ბუტერბროდს ინებებს თუ ფუნთუშას?

— ორივე მიირთვიო, — თქვა ხემუელმა და მისთვის დამახასიათებელი უღაზაობით ორივე თეფში მიიჩქრა. — მიყვარს, როცა მადიანად ჭამენ.

ბეტიმ მოკრძალებულად გადაიღო ერთი ნაჭერი ბუტერბროდი და ერთი ფუნთუშა, მისის სანბერი კი ენაწყლიანად ლაპარაკობდა ამინდზე. მას კმაყოფილებას ანიჭებდა იმის დანახვა, რომ ბეტი სულ უფრო და უფრო უხერხულად ვრძნობდა თავს. შემდეგ ნამცხვარი დაჭრა და ყველაზე დიდი ნაჭერი სტუმარს მიაწოდა. ბეტიმ ნამცხვარი მოციცქნა და თეფშზე რომ უნდა დაედო, იატაკზე დაუვარდა.

— ოჰ, ბოდიშს ვიხდი, — წაიღუღლუდა მან და ნაჭერი აიღო.

— არა უშავს რა, კიდევ მოგიჭრით, — თქვა მისის სანბერიმ.

— ოჰ, ნუ შეწუხდებით, აზიზი არა ვარ... იატაკი სუფთაა.

— იმედი მაქვს, — გესლიანი დაცინვით მიუგო მისის სანბერიმ, — მაგრამ იატაკზე ნაგდებ ნაჭერს ვერ გაჭმევთ. ჰერბერტ, მომაწოდე, ნამცხვარი, მის ბივენს კიდევ უნდა მოუჭრა.

— მეტი არ მინდა, მისის სანბერი, ნამდვილად არ მინდა.

— დიდად ვწუხვარ, რომ ნამცხვარი არ მოგეწონათ. მე კი საგანგებოდ თქვენთვის გამოვაცხეე. — მან ნამცხვარს გემო გაუსინჯა. — მე მგონი, არც ისე ცუდია.

— როგორ გეკადრებათ, მისის სანბერი, შესანიშნავი ნამცხვარია, ოღონდ სულ არ მინდა ჭამა.

მეორე ფინჯან ჩაიზეც უარი თქვა და მისის სანბერიმ შეამჩნია — ბეტის გაუხარდა, რომ ჩაის ხელახლა დალევა აიცდია, — „უსათუოდ სამზარეულოში ჭამენ“, — გაივლო გუნებაში.

მერე ჰერბერტმა სივარეტს მოუკიდა.

— ერთიც აქეთ მოიტა, ჰერბ, — უთხრა ბეტიმ, — ვვიჟდები, ისე მინდა მოეწიო.

მისის სანბერი ვერ იტანდა, ქალები რომ ეწეოდნენ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ წარბები აზიდა.

— ჩვენ ჰერბერტის დამახებას ვამჯობინებთ, მის ბივენ, — თქვა მან.

ბეტი არც ისეთი ბრიყვი გახლდათ, იმას ვერ მიმხვდარიყო, რომ მისის სანბერი ყოველ ღონეს ხმარობდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა და, რაკი ახლა შემთხვევა ეძლეოდა, გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა.

— ვიცი, — მიუგო მან, — როცა მიოხრა, ჰერბერტი მქვიაო, ვინაღამ სიცლით მოვკვდი. წარმოგიდგენიათ, აღამიანს ჰერბერტი ერქვას! რა სასაცილოა!

— ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემი ვაჟიშვილის ნათლობის სახელი არ მოგწონთ. მე მგონი, მშვენიერი სახელია, თუმცა გააჩნია, ვინ რას აფასებს.

ჰერბერტი შეეცადა ბეტის გამოქომაგებოდა.

— სამსახურში ყველა ბერტის მეძახის, დედა.

— რაღა მეოქმის, უბირ ხალხთან გქონია საქმე.



მისის სანბერი მედიდურ მღუმარებას მიეცა და საუბარში, თუ ესეც საუბრად ჩაითვლება, ჰერბერტს მხოლოდ მისტერ სანბერი უბამდა მხარს. მისის სანბერი ხვდებოდა, რომ ბეტი თავს შეურაცხყოფილად თვლიდა და ეს სიამოვნებდა კიდევ. იმასაც ხვდებოდა, რომ ქალიშვილს წასვლა უნდოდა და ვერ ახერხებდა. გადაწყვიტა, თვითონ არ დახმარებოდა; ბოლოს ისევ ჰერბერტმა უშველა.

— ახლა კი, ბეტი, მე მგონი, ჩვენი წასვლის დროა, — თქვა მან მანამ გაგაცილებ.

— რა გეჩქარებათ? — იკითხა მისის სანბერიმ და ფეხზე წამოდგა, — ვიმედოვნებ, უკმაყოფილო არ დაგვრჩით.

— მშვენიერი გოგოა, — გაუბედავად თქვა მისტერ სანბერიმ, მარტო რომ დარჩნენ.

— მშვენიერი, აბა! სულ პუდრით და პომადითაა გათხუპნული! კარგად დაიხსომე ჩემი ნათქვამი: შეუღებავი და თმადუხვეველი რომ გაჩვენა, ალბათ ზედაც არ შეეხედება. ვილაც მდაბიო, უბირი გოგოა.

მალე ჰერბერტიც დაბრუნდა, გაბრაზებული იყო.

— ერთი მითხარი, დედა, რას ერჩოდი იმ საწყალ გოგოს? შენ მაგიერ მე შემრცხვა.

— დედას ასე არ ელაპარაკებიათ, ჰერბერტ, — აენტო მისის სანბერი, — ასეთი ქალი შინ არც უნდა მოგეყვანა — ვილაც მდაბიო, უბირი გოგოა.

მისის სანბერის ბრაზი რომ მოერეოდა, არა მარტო სწორად მეტყველების უნარს ჰკარგავდა, მდაბიურადაც უქცევდა. ჰერბერტმა დედამისის ნათქვამს ყური არ ათხოვა.

— ჩემთვის ასეთი შეურაცხყოფა ჯერ არავის მოუყენებიაო, — მითხრა, — ძლივს დავამშვიდე.

— ძალიანაც კარგი. მეორედ აქ ფეხს ვეღარ მოადგამს, პირდაპირ გეუბნები.

— შენ ასე გგონია? ჩვენ უკვე დანიშნულები ვართ და ქვასაც რომ ახალო თავი, მაინც შევირთავ.

მისის სანბერის სუნთქვა შეეკრა.

— რას ამბობ?!

— ნამდვილად გეუბნები. ამაზე დიდი ხანია ვფიქრობდი. ამ საღამოს კი, ასე რომ აღელდა, შემეცოდა, წინადადება მივეცი და, მართალი გითხრა, ძლივს დავიყოლიე.

— სულელო! — შეჰკიეღა მისის სანბერიმ. — შე სულელო, შენა!

სასტიკი ჩხუბი ატყდა. მისის სანბერი და ჰერბერტი მიდგნენ და ლანძღვით აიკლეს ერთმანეთი, ხოლო როცა საბრალო სემუელმა სცადა ჩარეულიყო, ორივემ დაუტატანა, ხმა ჩაიკმინდო. ბოლოს ჰერბერტი ოთახიდან გავარდა და ქუჩაში გაიჭრა. მისის სანბერის კი ცხარე ცრემლები წასკდა.

მეორე დღეს ჩხუბის შესახებ არავის კრინტი არ დაუძრავს. მისის სანბერი ჰერბერტს საგანგებო თავაზიანობით ექცეოდა, ჰერბერტი კი მოღუშული და მღუმარე გახლდათ. ნავახშმევს სადღაც წავიდა. შაბათს მშობლებს გამოუცხადა, ამ საღამოს საქმე მაქვს და ეწერზე ვერ წამოგყვებითო.

— უნდა მოგახსენო, რომ უშენოდაც იოლად გავალთ, — მკვახედ მიუგო მისის სანბერიმ.

ახლოვდებოდა ის დრო, როცა სანბერები ორკვირიან შვებულებას ზღვაზე ატარებდნენ. დასასვენებლად ყოველთვის ჰერბერტში მიემგზავრებოდნენ, სადაც, მისის სანბერის თქმით, რჩეული საზოგადოება იყრიდა თავს და სადაც უკვე რამ-



დენიმე წელიწადია ერთსა და იმავე ორთახიან ბინას ქირაობდნენ. ერთ საღამოს, ვითომცდა შემთხვევით, ჰერბერტმა თქვა:

— ჰო, მართლა, დედა, კარგი იქნება, თუ მისწერთ, რომ წელს მე ოთახი არ დამჭირდება. ბეტის ცოლად ვირთავ და თაფლობის თვეს საუთენდში ვავატარებთ. ოთახში წუთით სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

— ნაუცბათევი ხომ არ არის შენი ნაბიჯი, ჰერბერტ? — ფრთხილად შევიკითხა მისტერ სანბერი.

— საქმე ისაა, რომ ბეტის სამსახურში შტატების შემცირებაა და ბეტი უმუშევარი რჩება; ასე რომ, უმჯობესია ახლავე დავქორწინდე. დაბნი სტრიტზე ორი ოთახი დავიქირავეთ და ბანკში შენახული ფულით ავეჯს შევიძენთ.

მისის სანბერის ხმა არ ამოუღია, მკვდარივით გაფითრდა და გამხდარ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— კარგი, დედა, ასე ახლოს ნუ მიიტან გულთან, — უთხრა ჰერბერტმა. — კაცმა ოდესმე ხომ უნდა შეირთოს ცოლი. მამას შენ რომ არ ეთხოვე, ახლა შე ხომ არ ვიქნებოდი, ასე არაა?

მისის სანბერიმ აკანკალებული ხელით ცრემლები მოიწმინდა. — რომ იცოდე, მაგან კი არ მითხოვა, მე ვათხოვნიხე თავი. ვიყიდე, რომ ჯიჯრიანი და ნაბუსიანი ბიჭი იყო. ვთქვი, ამისგან ხეირიანი ქმარი და მამა დაღვება-მეთქი. რა წავაგე, რა! მეც მოვიგე და მით უმეტეს, მამაშენმაც. ხომ მართალი ვარ, სემუელ?

— ცამდე მართალი ხარ, ბეატრისა, — უმალ მიაგება სემუელმა.

— გეუბნები, ბეტი ძალიან კარგი გოგოა. კარგად რომ გაიცნობ, შეგიყვარდება კიდევ. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამა გაქვთ საერთო; ოღონდ ცოტა აცადე, დედა.

— მკვდარს თუ გადმომაბიჯებს, თორემ ისე ფეხს ვერ შემოადგამს ამ სახლში.

— კარგი რა, დედა! თუ ცოტაოდენ მოთმინებას გამოიჩენ, ყველაფერი წინანდებურად იქნება. შაბათობით ისევ ძველებურად ვივლით ფრანის გასაშვებად. ჯერჯერობით, სანამ დანიშნული ვარ, არ მოხერხდება. ბეტის ჯერ კიდევ არ ესმის, რა სიამოვნებაა ფრანის გაშვება, მაგრამ მიუხევეა და როცა დავქორწინდებით, სხვანაირად წავა საქმე. მეც თქვენთან ერთად ვივლი ფრანის გასაშვებად. ყველაფერი მოგვარდება.

— ასე გგონია? აბა იცოდე, რომ თუ მაგ ქალს შეირთავ, ჩემი ფრანის გაშვებას ვერ ეღირსები. შენთვის ის არ მიჩუქებია. ოჯახისათვის გადაღებული ფულით ვიყიდე და ჩემია, გაიგე?!

— კარგი, ბატონო, როგორც გენებოს, ისე მოიხმარე! ბეტი ამბობს, ეს ბავშვიური თამაშია და შენს ასაკში სირცხვილია ფრანს სდიოთ.

ჰერბერტს ბრაზი მოერია, გარეთ გავიდა და კარი გაიჯახუნა.

ორი კვირის შემდეგ ცოლი შეირთო. მისის სანბერი ქორწილზე არც თვითონ წავიდა და არც სემუელი გაუშვა. ისინი ზღვაზე გაემგზავრნენ შვებულების გასატარებლად და იქიდან რომ დაბრუნდნენ, წინანდებურად განავრძეს ცხოვრება. შაბათ საღამოობით ეწერზე დადიოდნენ და ვეებერთელა ფრანს უშვებდნენ. მისის სანბერი ვაჟიშვილის სახელს არ ახსენებდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, არ ეპატიებინა. სემუელი კი ხშირად ხვდებოდა შეილს და როცა შემთხვევით ერთ ვაგონში მოხვდებოდნენ, გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ერთ დღლას მისტერ სანბერიმ ცას ახედა.

— დღეს სწორედ რომ ფრანის გასაშვები ამინდია, — თქვა მან.

— როგორ, ფრანის გასაშვებად კიდევ დადიხართ თუ?



— აბა რა გგონია, დედაშენი მე კი არ ჩამოძრება. ერთი უნდა ნახო, კაბას რომ წამოიწივს და მაღლობიდან ჩამორბის. მართალი ვითხრა, ვერც ვიფიქრებდი, ამდენი თუ შეეძლო. დარბის ქვია? დარბის კი არადა, დაფრინავს; აბა მე რას შევედრები.

— ნუ მაციხებ, მამა.

— მიკვირს, ფრანს არ ვიდულობ, ჰერბერტ. აკი ძალიან გვიყვარდა?!

— რაც მართალია მართალია, ერთხელ ჩამოვავდე კიდევ ამაზე სიტყვა, მაგრამ ხომ იცი ქალების ამბავი! ბეტიმ — „შენი ასაკის კაცს დაემსგავსეო!“ — დავინ იცის, კიდევ რა არ მოაყოლა. საბავშვო ფრანები, ხომ იცი, არ მინდა და დიდები ძვირი ღირს. ბინის აუჯივით გაწყობა რომ დავაპირეთ, ბეტიმ თქვა, ბარემ ერთხელ და სამუდამოდ ძვირფასი ვიყიდოთო, და ჩვენც საქონლის ნისიად მოვაჭრე მაღაზიებს მივაშურეთ. ასე რომ, ახლა, ყოველთვის შესატანს რომ გადავიხდით და ბინის ქირასაც გავისტუმრებთ, ძლივს დაგვაქვს თავი. ამბობენ. ცოლ-ქმარს მარტოხელაზე მეტი არ ეხარჯებაო, მაგრამ ჩვენზე ამას ვერ იტყვი, — ჯერჯერობით მაინც.

— განა თვითონ არ მუშაობს?

— არა, რას ამბობ. მთელი ცხოვრება ვირივით ვმუშაობდი და ახლა ცოტა მაინც უნდა დავისვენო. კაცმა რომ თქვას, ვინმემ ხომ უნდა აკეთოს საჭმელი და ოჯახს მიხედოს.

ასე, ექვსი თვის შემდეგ, ერთ შაბათს საღამოს, როცა სანბერები ჩვეულები-სამებრ ეწერზე იყვნენ, მისის სანბერიმ ქმარს უთხრა:

— დაინახე, სემუელ?

— ჰერბერტი კი დავინახე, თუ იმაზე მეკითხები, მაგრამ არ ვითხარი, არ მინდოდა ხერვები აგშლოდა.

— არ დაელაპარაკო, თავი ისე დაიჭირე, ვითომ ვერ ხედავ.

ჰერბერტი მაყურებელთა შორის იდგა. მშობლებთან გამოლაპარაკება არ უცდია, თუმცა მისის სანბერის არ გამოჰპარვია, რომ თვალს ვერ აშორებდა დიდი ფრანის ქროლვას, რომელიც თავადაც არაერთხელ გაუშვია. ცოტა აცივდა და სანბერები შინისაკენ გაემართნენ. მისის სანბერის მზაკვრულად უელავდა თვალები.

— ნეტა მომავალ შაბათს თუ მოვა? — იკითხა სემუელმა.

— დანაძლევება მეჯავრება, სემუელ, თორემ ექვსპენიანზე დაგენაძლევებოდი, რომ უსათუოდ მოვა. ამდენი ხანია ამას ველოდი.

— ამას ელოდი?

— თავიდანვე ვიცოდი, ასე აღვილად ვერ შეეღებოდა.

არც შემცდარა. მომდევნო შაბათს და მერეც, ყოველ შაბათს, კარგი ამინდი თუ იდგა, ჰერბერტი ეწერზე გაჩნდებოდა ხოლმე, ერთმანეთს არ ეკარებოდნენ. ჰერბერტი ერთხანს იდგა და მერე მიდიოდა, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ სანბერებმა მას სიურპრიზი მოუმზადეს. ახლა დიდ ფრანს კი აღარ უშვებდნენ, რომელსაც ჰერბერტმა თვალი უკვე შეაჩვია, არამედ ახალს, მისი მოდელის მიხედვით გაკეთებულ კოლოფისებურ, პატარა ფრანს. ჰერბერტმა დაინახა, რომ ფრანმა მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ისინი მისის სანბერის შემოხვეოდნენ და ისიც საკვირველ მჭევრმეტყველებას იჩენდა, როცა სემუელმა გორაკიდან პირველად ჩამოიბინა, ფრანი, სამწუხაროდ, არ აფრინდა და ძირს დაენარცხა. ჰერბერტმა მუშტები შეკრა და კბილები გააღრჭიალა — ამ მარცხმა საშინლად ატკინა გული. მისტერ სანბერი ხელახლა აბობლდა ბორცვზე და



თავსე დაეშვა, ამჯერად კი ფრანი ცაში აიჭრა. მაყურებლებმა ყიჟინა დასცეს. ცოტა ხნის შემდეგ მისტერ სანბერიმ ფრანი მიწაზე დასვა და გასაშვებად ისევ გორაკისაკენ გასწია. მისის სანბერი ვაჟიშვილთან მივიდა.

— ხომ არ გინდა სინჯო, ჰერბერტ.

მას სულმა წასძლია.

— კი დედა, ვსინჯავ.

— ეს მხოლოდ პატარა მოდელია. სულ არა ჰგავს ძველი ყაფიერებას. ჩვენ უკვე დიდი მოდელის ნახაზებიც გვაქვს, მაგრამ ამბობენ, ჯერ ალლოს აღება უნდაო. თუ გაწაფული ხარ და ქარიც ხელს გიწყობს, ორი მილის სიმაღლეზე ადისო.

მათ მისტერ სანბერი მიუახლოვდა.

— სემუელ, ჰერბერტს უნდა ეს ფრანი სინჯოს.

გახარებულმა მისტერ სანბერიმ ღიმილით მისცა ჰერბერტს თავისი ფრანი, მან კი დედამისს ქუდი გაუწოდა, დამიჭირეო, და მალეობიდან ჩამოირბინა. ფრანი ლამაზად აიჭრა ცაში, ჰერბერტი თვალმოუშორებლად უმზერდა ფრანს და გული სიხარულით ევსებოდა. დიდებული საყურებელი იყო, რა მოხდენილ ირავს აკეთებდა ცაში ეს პატარა შავი კოლოფი! უმზერდა და თან სულ იმ დიდ ფრანზე ფიქრობდა, რომელიც ძალე უნდა შეეკვეთათ. მაგრამ თვითონ ხომ ვერ გაუშვებდნენ — დედამ, ორი მილის სიმაღლეზე ადისო, აუჰ!

— ჩვენთან ხომ არ წამოხვიდოდი ჩაიზე, ჰერბერტ — უთხრა მისის სანბერიმ. — თანაც ახალი ფრანის ნახაზებსაც ნახავდი, იქნებ რაიმე გვირჩიო კიდევ.

ჰერბერტი შეყოყმანდა. ბეტისათვის ნათქვამი ჰქონდა, მუხლის გასამართავად გავივლიო. მან არც იცოდა, თუ იგი ყოველ შაბათს ეწერზე დადიოდა და ახლა ალბათ ელოდა, მაგრამ ცდუნება დიდი იყო.

— კარგი, წამოვალ, — თქვა მან.

ჩაის მერე საგულდაგულოდ განიხილეს ნახაზი. ფრანი ვეებერთელა გამოდიოდა, თან ისეთი მოწყობილობა ექნებოდა, მანამდე რომ არსად უნახავს და ძალიან ძვირიც დაჯდებოდა.

— მარტო თქვენ ვერ შეძლებთ ამის გაშვებას, — თქვა მან.

— მაინც ვცდით.

— რას იტყვით, პირველ გაშვებაზე მე რომ მოგოხმართ? — გაუბედავად იკითხა ჰერბერტმა.

— არც ისე ურიგო აზრია, — მიუგო მისის სანბერიმ.

ჰერბერტი შინ გვიან დაბრუნდა, გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე ვარაუდობდა. ბეტი გაჯავრებული დახედა.

— სად დაიკარგე, ჰერბ. ვიფიქრე, ხომ არ მოკვდა-მეთქი. ვახშამი სულ გაცივდა.

— ნაცნობ ბიჭებს შევხვდი და საუბარს შევეყვით.

ბეტიმ ერთი გამომცდელად შეხედა, გაიბერა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ნავაზშემეცს ჰერბერტმა კინოში წასვლა შესთავაზა, მაგრამ ბეტიმ უარი უთხრა.

— თუ გინდა, შენ წადი, — მიუგო მან. — მე სულ არ მიმიწევს გული.

მომდევნო შაბათს კვლავ ეწერისაკენ გასწია და დედამისმა ისევ მისცა ფრანი გასაშვებად. ახალი ფრანი უკვე შეეკვეთათ და სამ კვირაში მზად იქნებოდა. უცბად დედამისმა უთხრა:

— ელიზაბეტია აქ.





— ბეტი?

— შენ გითვალთვალებს.

ჰერბერტს ნირი წაუხდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— მითვალთვალს, რა მენაღვლება!

სინამდვილეში კი ნერვიულობდა და ჩაის დასალევად ველარ წაჭყვა მშობლებს. პირდაპირ შინ წავიდა ბეტი ელოდა.

— აი, თურმე ვინ ბიჭებს ელაპარაკები. კარგა ხანია მსჯელობდა შენი შაბათობით სეირნობა. ახლა კი ყველაფერს ვხედე. ამოდენა კაცი ხარ და ფრანს დასდევ! სამარცხეინოა და მეტი არაფერი!

— ჩემთვის სულერთია, შენ რას ფიქრობ. მე მომწონს და ვინდა არ ვინდა, უნდა შეურიგდე ამას.

— არაფრის დიდებით! ნებას არ მოგცემ თავი გაისულელო!

— ბავშვობიდან ყოველ შაბათს ფრანს ვუშვებდი და მანამ გაუშვებ, სანამ არ მომბეზრდება.

— ეს სულ იმ ბებერი ჯოჯოს ოინებია, ცდილობს ერთმანეთს დაგვაშოროს. ვიცო, ვინც ბრძანდება. შენ რომ კაცი იყო, მას შემდეგ, მე რომ ისე მომექცა, ხმასაც არ გასცემდი.

— არ გავიგონო, რომ ავად ახსენო. ჩემი დედაა და მაშინ მოვინახულებ, როცა მომესურვება.

ჩხუბში საათი საათს მისდევდა. ბეტი წიოდა. ჰერბერტი ღრიალებდა. წალაპარაკება აღრეც მოსვლიათ, რადგან ორივე ჯიუტი იყო, მაგრამ ასე ჯერ არ უჩხუბიათ. კვირა დღეს და მერეც, მთელი კვირის განმავლობაში, ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ და თუმცა დროდადრო დახაკდებოდნენ ხოლმე, შუღლი მაინც არ ცხრებოდა. ისე მოხდა, რომ მომდევნო ორშაბათს კოკისპირულად წვიმდა. ამ თავსხმას რომ უყურებდა, ბეტის გუნებაში ეცინებოდა, ჰერბერტი კი ბრაზობდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ჩხუბიც თითქმის დავიწყებას მიეცა — გული როგორ არ მოუბრუნდებოდათ, როცა ერთჭერქვეშ ცხოვრობდნენ, ერთ საწოლში ეძინათ. ბეტი ძალ-ღონეს არ იშურებდა, თავისი ჰერბისათვის ეამებინა და ეგონა, თვალი აკუხილე, მიხვდა, რომ თავს არავის დავაჩაგვრინებ და ჭკუას ისწავლისო. ისე კი ცუდი ქმარი არ ეთქმოდა, დინჯი კაცი იყო და ფულსაც არ უჭერდა ცოლს. ცოტაც და მოიყვანს ჭკუაზე.

მაგრამ ორი კვირის უამინდობის მერე გამოიღარა.

— ეტყობა, ხვალ ფრანის გასაშვები ამინდი იქნება, — თქვა მისტერ სანბერიმ, როცა დილის მატარებელს ელოდა და ბაქანზე ჰერბერტს შეხვდა.

— ახალი ფრანი მივიღეთ.

— უკვე?

— დედაშენი ამბობს, ნეტავი მოვიდეს და მოგვეხმაროსო, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის არავინ არ უნდა ჩადვეს და თუ გეშინია, რომ ბეტი ალიაქოთს ავიტეხს, მაშინ სჯობს, სულ არ მოხვიდე. ეწერზე ერთი ნაცნობი ბიჭი გყავს, ჩვენს ფრანზე ლამის ჭკუას ჰკარგავს და ამბობს, ამ ფრანს ჩემს მეტი ვერავინ გაუშვებსო.

ჰერბერტი ეჭვმა შესძრა.

— ხელი არავინ არ ახლოს. უსათუოდ მოვალ.

— კეთილი, ოღონდ კარგად მოიფიქრე, ჰერბერტ. თუ ვერ მოხვედი, არ დაგძრახავთ.

— მოვალ — მოუჭრა ჰერბერტმა.



მეორე დღეს, სიტიდან დაბრუნდა თუ არა, მაშინვე გაიხადა საგარეო ტანსაცმელი და საშინაო შარვალი და ძველი პიჯაკი ჩაიცვა. ოთახში ბეტი შემოვიდა.

— რას შეები?

— ტანსაცმელს ვიცვლი, — მხიარულად მიუგო მან. ისე აღტკინებული იყო, რომ საიდუმლოს ვეღარ დაფარავდა. — ახალი ფრანი მიიღეს და შენებდა ჯაზე-შვა.

— ვერა, ვერ გაუშვებ, — უყვირა ბეტიმ, — ეს არ მოხდება.

— ნუ სულელობ, ბეტი. ვითხარი, გაუშვებ-მეთქი, და, მაშასადამე, გაუშვებ კიდევ არ მოგწონს და რაც გინდა ისა ჰქენი.

— არ გაგიშვებ, მორჩა და გათავდა.

კარი დახურა და ზედ აეკრა. ქალს თვალები ანთებოდა და კრიჭა შეკვროდა. ბეტი პატარა ტანისა იყო, ჰერბერტი კი მაღალი და ღონიერი. იგი მკლავებში სწვდა ცოლს და ხელი ჰკრა, გზიდან რომ ჩამოეცილებინა, მაგრამ ბეტიმ ფეხებში ღონივრად ჩასცხო წიხლი.

— გინდა ერთი მაგრად ვთხლიშო ყბაში?

— წახვალ და იცოდე, ვეღარ დაბრუნდები, — იყვირა ბეტიმ.

ჰერბერტი ხელი სტაცა და თუმცა ბეტი გაუძალიანდა და ფეხების ქნევა დაიწყო, ლოგინზე დააგდო და გარეთ გავიდა.

თუ წინათ პატარა კოლოფისებურმა ფრანმა ეწერზე დიდი მღელვარება გამოიწვია, წარმოიდგინეთ, ახალი ფრანის გამოჩენაზე რა ამბავი ატყდებოდა, ოღონდ ეს იყო, გაშვება გაუძნელდათ. სანბერები რიგრიგობით ჩამორბოდნენ და სულს ძლივს ითქვამდნენ, მათ სხვა ენთუზიასტებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ ფრანის გაშვება ვერა და ვერ შეძლეს.

— არა უშავს, — თქვა ჰერბერტი. — მალე ავუღებთ ალღოს. დღეს შესაფერი ქარი არაა, ესაა და ეს.

იგი დედ-მამას კვლავ წაჰყვა ჩაიზე და მათ კარგა ხანს ისაუბრეს იმდღევანდელ მარცხზე — ისაუბრეს, როგორც უწინ სჩვეოდათ ხოლმე. ჰერბერტი წასვლას არა ჩქარობდა, რადგან არ იცოდა, რას უპირებდა ბეტი. ბოლოს, როცა მისის სენბერი ვახშმის თადარიგს შეუდგა, ჰერბერტი წამოდგა და წავიდა.

ბეტი გაზეთს კითხულობდა. მან ერთი ამოხედა და უთხრა:

— შენი ბარგი ჩალაგებულია.

— რა?

— დაგავიწყდა, რაც ვითხარი? წახვალ და ვეღარ დაბრუნდები-მეთქი. ყველაფერი ჩალაგებულია, ბარგი საწოლ ოთახში დევს.

ჰერბერტი ერთ წუთს გაოგნებული შეჰყურებდა. ბეტიმ თავი კვლავ ისე დაიჭირა, ვითომ გაზეთს კითხულობდა. „უჰ, რა გემოზე მიტყეპავდა“.

— კეთილი, შენი ნებაა, — მიუგო მან.

საწოლ ოთახში შევიდა. ტანსაცმელი ჩემოდანში ჩალაგებული დახედა, ხოლო ის, რაც შიგ არ ჩატეულიყო, ბეტის ქაღალდის პარკში ჩაეწყო. ერთ ხელში ჩემოდანი აიღო, მეორეში — პარკი, სასტუმრო ოთახი ხმაამოუღებლად გაიარა და სახლიდან გავიდა. იგი მშობლიურ სახლს მიადგა და ზარი დარეკა. კარი დედამ გაუღო.

— დაბრუნდი, დედა, — უთხრა მან.

— მართლა, ჰერბერტი? შენს ოთახში ხელი არაფრისთვის გვიხლია. ბარგი შეიტანე და მოდი. ეს-ეს არის ვახშმად უნდა დავმსხდარიყავით.



სასადილო ოთახში შევიდნენ. — სემუელ, ჰერბერტი დაბრუნდა. წადი, ერთი კვარტი ლუდი იყიდე.

ნავახშმევს, სანამ დაწვებოდნენ, ჰერბერტი დედ-მამას უყვებოდა, რა დღეში იყო ბეტის ხელში.

— კარგია, რომ თავი დააღწიე ამ ამბავს, — უთხრა მისის სანბერიმ, როცა ჰერბერტმა ლაპარაკით იჯერა გული. — აკი ვითხარი, ცოლად არ გამოგადგება-მეთქი, ვიღაც მდაბიო, უბირი გოგოა, შენ კი ასე სათუთად აღზრდილი გყავხარ!

ჰერბერტს ესიამოვნა ნაჩვევ საწოლში ძილი. გაიხსენა, კვირა დილას დაუბანელი და გაუპარსავი სასაუზმოდ ძირს რომ ჩამოდიოდა და „მთელი ქვეყნის ახალ ამბებს“ წაიკითხავდა ხოლმე.

— დღეს ეკლესიაში არ წავალთ, — თქვა მისის სანბერიმ. — წუხელ დიდი ნერვიულობა გადაიტანე, ჰერბერტ. დღეს შინ დავისვენებთ.

მთელი კვირა ახალ ფრანზე ლაპარაკობდნენ და ბეტიზედაც ხშირად ჩამოაგდებდნენ ხოლმე სიტყვას. მკითხაობდნენ, ნეტა რას იზამსო.

— შეეცდება ისევ ხელთ გიგდოს, — თქვა მისის სანბერიმ.

— მაგისი იმედი ნუ მოუშალოს ღმერთმა! — მიუგო ჰერბერტმა.

— მის რჩენას დაგაკისრებენ, — უთხრა მამამისმა.

— რად უნდა არჩინოს? — წამოიძახა მისის სანბერიმ, — ჯერ იყო მახე და უგო და თავი შეართვევინა, ახლა კი საკუთარი სახლიდან გამოაგდო.

— მივცემ, რაც ეკუთვნის, ოღონდაც თავი დამანებოს.

დღითი დღე თავს უკეთ გრძნობდა. ასე ეგონა, თითქოს სინამდვილეში არც დაეტოვებინოს სახლი. ისე მოეწყო, ძალდი რომ თავის სადგომში მოიკალათებს ხოლმე. სიამოვნებდა, დედა რომ ტანსაცმელს უწმენდა და წინდებს უკემსავდა, დიდი ხნის ნაჩვევ და საყვარელ კერძებს უკეთებდა. ბეტი უხეირო მზარეული გახლდათ — მის გაკეთებულ კერძს კაცი გემოს ვერ ჩაატანდა, მაგრამ ჰერბერტს ერთხანს მოსწონდა კიდევ ასე სახელდახელოდ საუზმობა — თავი პიკნიკზე ეგონა. ახლა კი დედის აზრს იზიარებდა — დაკონსერვებულს ახალი საჭმელი სჯობსო. ორაგულის კონსერვები ყელში ჰქონდა ამოსული და დასანახავად ევლარ იტანდა. გარდა ამისა, აქ ადგილიც მეტი იყო, ვიდრე მის ჩახუთულ, ოროთახიან ბინაში, რომელთაგან ერთ-ერთს სამზარეულოდაც ხმარობდნენ.

— დედა, ნეტავი ფეხი არ მომეცვალა აქედან. ასეთი სისულელე ჩემს სიცოცხლეში არ ჩამიდენია, — უთხრა მან ერთხელ დედამისს.

— ვიცი, ჰერბერტ, ვიცი, მაგრამ ხომ დაბრუნდი და აწი ნულარაფერი ვადარდებს.

პარასკევს ხელფასი აიღო და საღამოს ის-ის იყო ვახშმობას მორჩნენ, რომ ზარმა დარეკა.

— ეს ბეტია, — აღმოხდათ მათ ერთხმად.

ჰერბერტს ფერი ეცვალა დედამ ცერად გახედა.

— ეს საქმე შე მომანდუ. მე შევხვდები.

მან კარი გააღო. ზღურბლზე ბეტი იდგა. იგი ძალით შეეცადა შემოსულიყო, მაგრამ მისის სანბერიმ გზა გადაუღობა.

— მე ჰერბის ნახვა მიხდა.

— ვერ ნახავთ. შინ არ არის.

— არა, შინ არის! დავინახე, მამამისთან ერთად სახლში რომ შემოვიდა და მერე გარეთ აღარ გამოსულა.



— ჰერბერტს არა სურს თქვენი ნახვა და, თუ აყალმაყალს ატეხთ, პოლიციას დაუუძახებ.

— მე ჩემი კუთვნილი კვირის ფული მინდა.

— დიახ, თქვენ მხოლოდ ეს გინდოდათ მისგან. — მან საფულე ამოიღო და, თქვენ ოცდათხუთმეტი მილინგი.

— ოცდათხუთმეტი? კვირაში თორმეტი მილინგი მარტო ბინის ქმნა და დასახდელი.

— ამაზე მეტს ჩემგან ვერ მიიღებთ. აქაც ხომ უნდა ჭამა-სმა?

— მალე ავეჯის ფულიც შესატანია...

— როცა შეტანის დრო მოვა, მაშინ მოვილაპარაკოთ, აიღებთ თუ არა ფულს?

შემცბარი, გაუბედურებული და იხტიბარგატეხილი ბეტი იდგა და ყოყმანობდა. მისის სანბერიმ ფული ხელში მიაჩქია, კარი ცხვირწინ მიუჯახუნა და სასადილო ოთახში დაბრუნდა.

— ვუთხარი, რაც ეკადრებოდა, — თქვა მან.

კარზე კვლავ ატყდა ხარის რეკვა, მაგრამ არავინ გაეხმაურა და ბოლოს შეწყდა. მიხვდნენ, რომ ბეტი წავიდა.

მეორე დღეს შესანიშნავი ამინდი იდგა — სწორედ ფრანის გასაშვები ქარი ქროდა. ჰერბერტმა, ერთი-ორი წარუმატებელი ცდის შემდეგ, ხელი გაიწაფა და კოლოფისებური ვეებერთელა ფრანი გაუშვა. კოჭზე დახვეულ მავთულს შლიდა და ფრანი სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა.

— შეხედე, ერთ მილს არაფერი დააკლდება, — აღელვებულმა გასძახა დედას. ასეთი სიხარული ცხოვრებაში არასოდეს განუცდია.

გავიდა რამდენიმე კვირა. სანბერებმა ჰერბერტის სახელით წერილი შეადგინეს, რომლის თანახმადაც ჰერბერტი იმ პირობით, თუ ბეტი მას ან მისი ოჯახის წევრებს თავს არ მოაბეზრებდა, ყოველ შაბათს ოცდათხუთმეტი მილინგის ჩეკს გაუგზავნიდა და ავეჯის გადასახადსაც ვადაზე შეუტანდა. მისის სანბერი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ მისტერ სანბერი, თავის დღეში პირველად, ცოლის საწინააღმდეგო აზრისა აღმოჩნდა და ჰერბერტმაც მხარი დაუჭირა. ამასობაში ჰერბერტი ისე დაოსტატდა ახალი ფრანის გაშვებაში, პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. სხვა ფრანის მფლობელებთან შეჯიბრებით თავს არ იწუხებდა — ბაღალი მაინც არ ჰყავდა. შაბათი საღამოები ზეიმად იქცა. მაყურებელთა აღტაცება სიამოვნებას ანიჭებდა და ხელმოცარულ მოყვარულთა შური ატკობდა.

ერთ საღამოს, როცა სადგურიდან მამამისთან ერთად ბრუნდებოდა, ბეტიმ შეაჩერა.

— გამარჯობა შენი, ჰერბ.

— გავიმარჯოს

— მისტერ სანბერი. ჩემს ქმართან საუბარი მინდა.

— მამაჩემთან დასამალი არაფერი მაქვს. — პირშუქად მიუგო ჰერბერტმა. ბეტი შეყოყმანდა. მისტერ სანბერი შეცბუნდა — არ იცოდა, დაეცადა თუ განზე გასულიყო.

— ძალიან კარგი, — თქვა ბოლოს ბეტიმ. — მინდა შინ დაბრუნდე, ჰერბ. იმ დამეს, ჩემოდანს რომ ვალაგებდი, არ მეგონა, თუ ასე მოხდებოდა. მე მხოლოდ შენი შეშინება მინდოდა. საშინლად გაბრაზებული ვიყავი. მართლაც მეტიმეტი მომივიდა. გავიხილა ფრანისათვის ასეთი ამბის ატეხვა?



— არ გაგონილა, მაგრამ შინ ვერ დავბრუნდები, გაიგე? ძალიან კარგი ქენი, სახლიდან რომ გამომაგდე. ასეთი სიკეთე შენს დღეში არ გაგიკეთებია ჩემთვის.

ბეტის ცრემლები ჩამოუგორდა ლოყებზე.

— კი მაგრამ, მიყვარხარ, ჰერბერტ. თუ გინდა, იმ შენს დაწვევლილ ფრანს სდიო, სდიე, მე არ დაგიშლი, ოღონდაც შინ დაბრუნდი.

— დიდი მადლობა, მაგრამ ხელს არ მაძლევს. ისედაც კარგად ვგრძნობ თავს და ცოლის ყოლასაც კარგად გავუგე გემო. აღარ მინდა სიცოცხლე გავიძალლო. წავიდეთ, მამა.

ისინი სწრაფი ნაბიჯით გასცილდნენ და ბეტის არც უცდია გამოსდევნებოდა. მომდევნო კვირას ეკლესიაში წავიდნენ, ნასადილევს კი ჰერბერტი ფრანის დასახედად საკუჭნაოში ჩავიდა. სულ თავზე დაკანკალებდა და ვერა და ვერ სცილდებოდა. ჩავიდა და მაშინვე გაფითრებული გამოვარდა გარეთ, ხელში ნაჯახი ეჭირა.

— დაუმტვრევია! აი, ამით..

სანბერებს საშინელი ყვირილი აღმოხდათ და საკუჭნაოში შეცვივდნენ. ჰერბერტის ნათქვამი მართალი გამოდგა, ფრანი — ახალი, ძვირად ღირებული ფრანი — ნამსხვრეუებად ეყარა. იგი ნაჯახით დაუზოგავად დაემტვრიათ, ჩარჩო სულ დაეჩხათ, კოჭი ნაკუწებად ექციათ.

— ამას მაშინ იზამდა, როცა ეკლესიაში ვიყავით. გვითვალთვალეხდა, გარეთ როდის გავიდოდით, და აი, რა ჩაიდინა.

— კი მაგრამ როგორ შევიდა? — იკითხა მისტერ სანბერიმ.

— ორი გასაღები მქონდა. აქ რომ გადმოვუდი, ერთი აღარ ჩანდა, მაგრამ მაშინ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია.

— დაბეჯითებით ვერ იტყვი, რომ მისი გაკეთებული იყოს. ეწერზე ზოგიერთი ისე იქცეოდა, არ იქნება, კაცმა იმათზეც არ მიიტანოს ეჭვი.

— კარგი, ყველაფერს მალე გავიგებთ, — თქვა ჰერბერტმა. — წავალ და ვკითხავ და, თუ მისი გაკეთებულია, მოვკლავ.

იგი ისე იყო გაბრაზებული, რომ მისის სანბერი შეშინდა.

— და მისი გულისთვის გინდა სიკვდილით დაგსაჯონ? არა, ჰერბერტ, არ გაგიშვებ. მამაშენი წავიდეს და, როცა დაბრუნდება, მაშინ მოვილაპარაკოთ, როგორ მოვიქცეთ.

ჰერბერტის დაყოლიება არც ისე ადვილი გამოდგა, მაგრამ ბოლოს მაინც მისტერ სანბერი წავიდა. ნახევარ საათში უკან დაბრუნდა.

— მისი ნახელავია. პირში მომახალა. ამაყობს კიდევ ამით. რა თქვა, ვერც კი გავიმეორებ — სახტად დამტოვა. მაგრამ მისი სიტყვებიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ფრანზე ეჭვიანობდა. მითხრა ჰერბერტს ჩემზე მეტად ფრანი უყვარდა, ნაკუწებად იმიტომაც ვაქციე და რომ შეიძლებოდეს, ხელახლა დავამტვრევდიო.

— კიდევ კარგი, მე რომ არ მითხრა. კისერს მოვუგრებდი, თუნდაც მართლა სიკვდილი მოესაჯათ. კეთილი, დღეიდან ჩემგან ერთ პენისაც ვერ უღირსება — მორჩა.



— გიჩივლებს, — უთხრა ძამამ.

— მიჩივლოს.

— მომავალ კვირას ავეჯის ფულია შესატანი, ჰერბერტ, — წყნარად თქვა მისის სანბერიმ — შენი რომ ვიყო, ფულს არ გადავიხდიდი.

— მაშინ ავეჯს წაიღებენ, — თქვა სემუელმა, — და მთელი ის ფული, რაც გადახდილი აქვს, წყალში ჩაიყრება.

— მერე რა მოხდა? — შეეპასუხა ქმარს — არა უშავს, ფული დაეკარგოს! ის ქალი ერთხელ და სამუდამოდ მოიცილა და ახლა ჩვენთან ცხოვრობს, — ესაა მთავარი.

— ფული სულაც არ მენაღვლება, — თქვა ჰერბერტმა. — წარმომიდგენია მისი სახე ავეჯის წასაღებად რომ მიაღგებიან. იმ ავეჯს შეჭხაროდა, განსაკუთრებით პიანინოს. ასე ადვილად ვერ შეეღვევა.

და აი, მომდევნო პარასკევს მან ბეტის შეპირებული თანხა არ გაუგზავნა და აგენტთა წერილის საპასუხოდ — რომელიც მას ბეტიმ გადმოუგზავნა და რომელიც იტყობინებოდა, რომ თუ ამა და ამ ვადაში მორიგ გადასახადს არ შეიტანდა, ავეჯს წაიღებდნენ — ჰერბერტმა მისწერა, რომ გადასახადს ვერ შეიტანდა და შეეძლოთ, ავეჯი როცა სურდათ, მაშინ წაეღოთ. ბეტი სადგურთან უსაფრთხოებოდა და თუ ჰერბერტი ხმას არ გასცემდა, მთელი გზა მისდევდა და ლანძღვა-გინებით იკლებდა, საღამოობით იმათ კარს მიაღგებოდა ხოლმე და ზარს იმდენ ხანს რეკავდა, ეგონათ, სადაცაა გავვიყუდებითო, მისტერ და მისის სანბერები ძლივს აკავებდნენ ჰერბერტს, რომელიც ქუჩაში მიიწევდა, რომ ბეტი ლაზათიანად მიეხვევა ერთხელ ბეტიმ ქვა ისროლა და სასტუმრო ოთახის ფანჯრის შუშა ჩაამტვრია. სამსახურში საღამომად და უხამს ბარათებს უგზავნიდა. ბოლოს მოძრიგებულ მოსამართლესთან წავიდა და უჩივლა, ქმარი გამეყარა და სარჩოზე უარს მეუბნებაო. ჰერბერტს უწყება მიუვიდა. სასამართლოში ორივე თავიანთ ამბავს მოჰყვა და თუმცა მათი ნაამბობი მოსამართლეს უცნაური ეჩვენა, ამაზე კრინტი არ დაუძრავს. იგი შეეცადა შეერიგებინა ცოლ-ქმარი. მაგრამ ჰერბერტმა სასტიკი უარი თქვა ცოლს დაბრუნებოდა. მოსამართლემ მას ბეტის სასარგებლოდ კვირაში ოცდახუთი შილინგის გადახდა დააკისრა, მაგრამ ჰერბერტმა განაცხადა, არ გადავიხდიო.

— არ გადაიხდით და ციხეში წახვალთ. ახლა კი განვიხილავთ მომდევნო საქმეს.

მართლაც ჰერბერტი სიტყვის გატეხას არ აპირებდა. ბეტის საჩივარმა იგი ერთხელ კიდევ მიიყვანა მოსამართლესთან, რომელმაც ჰკითხა, რატომ არ ემორჩილებით სასამართლოს გადაწყვეტილებასო.

— ვთქვი, არ გადავიხდი-მეთქი, და ციხეშიც რომ ჩამსვით, მაინც არ გადავიხდი, — მივართმევ როგორ არა! მას შემდეგ, რაც მან ფრანი დამიმტვრია.

მოსამართლემ ამჯერად სიმკაცრე გამოიჩინა.

— ძალზე უგუნური ყმაწვილი ყოფილხართ, — უთხრა მან. — გაძღვეთ ერთ კვირას დავალიანების დასაფარავად, ხოლო თუ კვლავ ასეთ სულელურ პასუხს გავცემთ, ციხეში წაბრძანდებით და იქ მანამდე დაჰყოფთ, ვიდრე გონს არ მოხვალთ.



ჰერბერტმა დაუვლიანება არ გადაიხადა და აი ასე გაიცნო იგი ჩემმა მეგობარმა ნედ პრესტონმა, აე კი მისგან მოვისმინე ეს ამბავი.

— აბა, რას იტყვი? — შემეკითხა ნედი, როცა ყველაფერი მიაშმო. — კაცმა რომ თქვას, ბუტი ცუდი გოგო არ არის. რამდენჯერმე მინახავს და ჰერბერტის ფრანისადმი ავადმყოფური ეჭვიანობა რომ არა, ურიგო არაფერი შემინიშნავს. ჰერბერტიც არ არის უჭკუო ბიჭი, ის კი არა და, ჭკვიანიც ვიქნები. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ფრანის გაშვებაში ისეთი, ასე რომ ჩვენს ვინაობას იმ ოხერს ჭკუას?

— ვერაფერს ვეტყვი. — მივუგე მე და ცოტა ხნის მერე ვუთხარი. — აბა რა მოგახსენოთ, თვითონ ფრანი არასოდეს არ გამიშვია. იქნებ ღრუბლებისაკენ მქროლავ ფრანს თვალს რომ ადევნებს, თავი ყოელისშემძლე ჰგონია. იქნებ ფიქრობს, როცა ქარს წაისუნთქავს ნებასურვილს ვასრულებინებ, სტიქიაზე ვბატონობო. შეიძლება როგორღაც თავის თავს ზეცაში ლაღად მქროლავ ფრანთან აიგივეებს და ამით თითქოსდა ცხოვრების ერთფეროვნებას გაურბის. ან შეიძლება ფრანი ერთგვარად სიმაძაქისა და თავისუფლების იდეალად ესახება. ადამიანს კი, მოგეხსენებათ, ერთხელ რომ იდეალის ნექტარს იგემებს, ვეღარაფერი უშველის — ვერც როზგი და ვერც წამალი. თუმცა ეს მეტად საოცარი ამბავია და მე თუ მკითხავთ, სულელური და უაზროც. უმჯობესია, ეს გამოცანა ისეთ ვინმეს მოუთხროთ, ვინც ჩემზე უკეთ იცნობს ადამიანის მოდგმის იდუმალებით მოცულ სულს.

### შთაბრუნების წყარო

აღბათ ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის, რამ დააწერიან მისის ელბერტ ფორესტერს „აქილევსის ქანდაკება“, და, რაკი ეს წიგნი ჩვენი დროის ერთ-ერთ საუკეთესო რომანად მიიჩნეეს, არა მგონია, მოკლე ანგარიშმა იმ გარემოებათა შესახებ, რომლის წყალობითაც ეს ნაწარმოები შეიქმნა, არ დააინტერესოს ლიტერატურაში ჩახედული ადამიანი, ხოლო თუ ამ წიგნის დირსებას, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, დრო მართლაც ვერაფერს დააკლებს, იქნებ მხოლოდ მკითხველის გასართობ წიგნად არც ჩაითვალოს და მომავლის ისტორიკოსს ჩვენი დროის ლიტერატურული მატრიანის იშვიათ კომენტარადაც ეჩვენოს.

ცხადია, ყველას ახსოვს, თუ რა წარმატება ხვდა წილად „აქილევსის ქანდაკებას“. თვიდან თვემდე გამოცემას გამოცემაზე ბეჭდავდნენ მბეჭდავები, კინძაუდნენ მკინძაუდები, გამომცემლები კი ინგლისსა თუ ამერიკაში წიგნის მაღაზიების მოზღვავებულ შეკვეთებს ვერ აუდიოდნენ. რომანი მაშინვე ითარგმნა ყველა ევროპულ ენაზე; ამასწინათ კი გამოგვიცხადეს, მალე ურდუსა და იაპონურ ენებზედაც გამოვაო. თავდაპირველად ეს რომანი ჟურნალებში ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა ატლანტიკის ოკეანის გაღმა-გამოღმა მხარეს და მისის ფორესტერის აგენტმა გამომცემლებს იმდენი ფული დასცინცლა, რომ ამ თანხის გაგონებაზე კაცი შეიძლება გაოგნდეს. ამ რომანის მიხედვით დადგმული სპექტაკლი მთელი სეზონი არ ჩამოსულა ნიუ-იორკის თეატრების სცენიდან და უეჭველია, ლონდონშიც დიდი წარმატება მოეღოს. მისი ეკრანიზაციის უფლებაც უკვე გაიყიდა, თანაც ძალიან ძვირად. მისის ფორესტერის პონორარი (ლიტერატურულ წრეებში რომ ასახელებენ) იქნებ გაზვიადებული იყოს, მაგრამ ის კი



უდავოა, მხოლოდ ამ წიგნით მან იმდენი ფული იშოვა შეუძლია მთელი სიცოცხლე უზრუნველად იცხოვროს.

იშვიათად, რომ წიგნს ერთნაირი აღტაცებით შეეგებოს მკითხველიცა და კრიტიკოსიც, მისი ფორესტერისთვის კა განსაკუთრებით საამო ის გახლდათ, რომ სწორედ მან (თუ შეიძლება ასე ითქვას) გამოიცილა წრის კვადრატურა. მართალია, კრიტიკოსებს ქება არც ადრე დაუკლიათ და ისიც იფერებდა ამ ქებას, მაგრამ ხალხმა როგორღაც ვერ დაუფასა ღვაწლი. მის ყოველ ახალ გამოცემას — ლამაზად დაბეჭდილ და თეთრ ტილოს ყდაში ჩასმულ პატარა წიგნს — კრიტიკა შედეგად მიიჩნევდა და გაზეთის მთელ სვეტს უთმობდა; საკვირაო მიმოხილვებში, რომელთაც კლუბების ძველისძველ მტვრიან ბიბლიოთეკებში წააწყდებით, მისი ფორესტერის შემოქმედების ხოტბას მთელი გვერდი ეკავა ხოლმე. მის წიგნებს ლიტერატურაში ჩახელული ყოველი ადამიანი კითხულობდა და აქებდა კიდევ, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისინი იწუხებდნენ თავს მათი შექმნით და მისი წიგნები არ იყიდებოდა. ჭეშმარიტად სამარცხვინო იყო, რომ ესოდენ ცნობილ მწერალს — ასეთი იშვიათი წარმოსახვისა და ნატიფი სტილის პატრონს — არად აგდებდნენ ვიღაც ვიგინდარები. ამერიკაში ხომ თითქმის არც გაეგონათ მისი სახელი და თუმცა მისტერ კარლ ვან ფებტენის სტატია მკითხველ საზოგადოებას სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ამგვარი მიუხვედრელობისათვის, საზოგადოებას ყურიც არ გაუპარტყუნებია. მისი ფორესტერის აგენტი, მისი ნიჭის მგზნებარე თაყვანისმცემელი, ერთ ამერიკელ გამომცემელს დაემუქრა, თუ ეს ორი წიგნი არ დაგიბეჭდავს, შენი სანატრელი წიგნების (უთუოდ უვარგისი რომანების) გაყიდვას ვერ ეღირსებო. ამ ფანდით მისი ორი წიგნი დააბეჭდვინა, რომლებსაც პრესა გულთბილად გამოეხმაურა და რამაც ცხადყო, რომ ამერიკის ყველაზე განათლებული ადამიანები აფასებდნენ ავტორის ნიჭს. მაგრამ როცა ჯერი მესამე წიგნზე მიდგა, ამერიკელმა გამომცემლებისთვის ჩვეული უკმეხობით პირში მიახალა აგენტს, გასაფლანგავი ფული აღარა მაქვსო.

„აქილევსის ქანდაკების“ გამოქვეყნების შემდეგ მისი ფორესტერის ადრინდელი წიგნები ხელახლა გამოიცა. მისტერ კარლ ვან ფებტენმა ახალი სტატია დაწერა, სადაც გულდაწყვეტილი მკაფიოდ მიუთითებდა, ჯერ კიდევ ამ თხუთმეტობდე წლის წინ ვცადე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიმეპყრო ამ იშვიათი მწერლის ხალასი ნიჭისთვისო. ამ ახალ გამოცემას ისეთი რეკლამა გაუკეთეს, რომ შეუძლებელი იყო კულტურულ მკითხველს მხედველობიდან გამორჩენოდა. ამიტომაც არ ღირს იმ ქება-დიდებას გამეორება, მით უმეტეს, მისტერ კარლ ვან ფებტენის ორი ოსტატური წერილის შემდეგ, ნათქვამის გადამღერებას ვერ ავცდებოდი.

მისი ფორესტერმა წერა ადრე დაიწყო. მისი პირველი წიგნი (ელეგიების კრებული) რომ გამოვიდა, თერამეტი წლის ქალიშვილი იყო. მას აქეთ, ყოველ ორ ან სამ წელიწადში — რადგან თავის შემოქმედებას დიდად აფასებდა და არა ჩქარობდა — ლექსების წიგნს ან პროზაულ კრებულს აქვეყნებდა. „აქილევსის ქანდაკება“ რომ დაწერა, უკვე საპატიო ასაკს — ორმოცდაჩვიდმეტ წელს მიაღწია, ასე რომ, ცხადია, თხზულებებიც საკმაოდ დაუგროვდა. ქვეყანას უკვე ექვსიოდე ლათინურად დასათაურებული კრებული აჩუქა, როგორიცაა, მაგალითად — Felicitas, Pax Maris, Aes Triplex — ყოველი წიგნი ერთობ სერიოზული გახლდათ, რადგან მის მუზას „მარდად და ლაღად ნავარდის“ ნაცვლად მძიმე-მძიმედ გოგმანი ერჩია. მას არ უღალატნია ელეგიისათვის, სონეტსაც დიდ ყურადღებას უთმობდა, მაგრამ განსაკუთრებით ოდის აღორძინებით ისახელა თავი.



ვი — პოეზიის ამ უანრს ხომ თანამედროვე პოეტები დიდად არ ეტანებიან. ამასთან დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ოდა პრეზიდენტ ფოლიეს“ უსათუოდ შეეკა ინგლისური პოეზიის ყოველ ანთოლოგიაში. ეს ოდა გზიბლავთ არა მარტო კეთილხმოვანებით, არამედ საუცხოოდაც აკვიწერს საფრანგეთის სილამაზეს. მისის ფორესტერი ისეთი გატაცებით ხატავს ლუარის ველს, შარტრს, შარტრის ტაძრის ვიტრაჟებსა და პროვანსის მზიურ ქაღალქებს, უკრამ საქმეში ჩახედული ადამიანი გაოცებული რჩება — მისის ფორესტერის ხელოვნებისგან დასაწყობიდან მხოლოდ ერთხელ ჩაუიდა საფრანგეთში საექსკურსიო გემით, როცა სულ ახალგათხოვილი იყო და მაშინაც ბულონს არ გასცილებია. ჯერ იყო და გემზე გულისრევამ გააწამა, მერე კიდევ იმ ამბავმა, რომ ამ ზღვისპირა სანაპიროს მცხოვრებლებს მისი ძარღვიანი და უზადო ფრანგული არ ესმოდათ — რაც უსიამოვნოც გახლდათ და საჩოთიროც — ისე შეულახა თავმოყვარეობა, გადაწყვიტა, ხელმეორედ ასეთ განსაცდელში თავი არ ჩაერგო. ამის მერე მისის ფორესტერი არასოდეს მინდობია ზღვის ვერაგ სტიქიონს, თუმცა შემდგომშიც დიდი გატაცებით უმღეროდა ზღვას თავის ნაღვლიანსა თუ ხალისიან ლექსებში (Pax Maris)

გუდროუ უიოსონისადმი მიძღვნილ ოდაში აქა-იქ გვხვდება მშვენიერი ადგილები, ამიტომ შენახება რომ პოეტმა გული აიცრუა ამ უთუოდ შესანიშნავ ადამიანზე და ეს ოდა არ შეიტანა ახალ გამოცემაში. მაგრამ უდავოა, რომ მისის ფორესტერმა განსაკუთრებით პროზით ისახელა თავი. მან მოკლედ, უზადოდ დაწერილი ესეების რამდენიმე ტომი მიუძღვნა ისეთ თემებს, როგორცაა „შემოდგომა სასექსში“, „დედოფალი ვიქტორია“, „სიკვდილის შესახებ“, „გაზაფხული ნორფოლკში“, „ჯორჯიანული ხანის არქიტექტურა“, „მესიე დიაგილევი და დანტე“ და სხვა ნაშრომები, რომლებიც ცხადყოფს ავტორის ერთდროულად და მერვიდმეტე საუკუნის იეზუიტური ხანის არქიტექტურისა და ასწლიანი ომის ლიტერატურულ ასპექტში წვდომის უნარს. სწორედ პროზამ შესძინა ერთგული თაყვანისმცემლები, — ცოტანი, მაგრამ რჩეულნი, — როგორც თვითონ მოხდენილად იტყოდა ხოლმე, რომლებიც მას ჩვენი საუკუნის ინგლისურენოვანი მწერლობის უზადლო ოსტატად აცხადებდნენ. მისის ფორესტერი აღიარებდა, რომ მკითხველს ყველაზე მეტად მისი სტილი იზიდავდა — მაღალფარდოვანი, მაგრამ მძაფრი; ნატიფი, მაგრამ მსუყე — და სწორედ პროზაში ვლინდებოდა ის მომხიბლავი, მაგრამ თავშეკავებული იუმორი, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა მკითხველები. ეს იუმორი აზრებით ან თუნდაც სიტყვებით კი არ ვლინდებოდა, არამედ გაცილებით ნატიფი ხერხით — სასვენი ნიშნებით. წუთიერი აღმაფრენის დროს მისის ფორესტერი უეცრად ჩაწვდა წერტილმძიმის ამოუწურავ შესაძლებლობებს და ამას ხშირად და მარჯვედ იყენებდა კიდევ იგი წერტილ-მძიმეს ისე სვამდა, კულტურულსა და მახვილგონიერ მკითხველს თუ არ აახარხარებდა, გულიანად მაინც გააცინებდა, ხოლო რაც უფრო კულტურული იყო მკითხველი, მით უფრო გულიან სიცილს მოგვრიდა. მისი მეგობრები იმასაც ამბობდნენ, ამ იუმორთან შედარებით ყოველგვარი ხუმრობა უკბილო და ნაძალადევიყო. ბევრმა მწერალმა სცადა მიეებაძა მისთვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რა ნაკლიც არ უნდა მოგეძებნათ მისის ფორესტერისათვის, იმას მაინც ვერავინ წაართმევდა, რომ წერტილ-მძიმეს არნახული ოსტატობით იყენებდა და ამით გულიან სიცილს ჰგვრიდა მკითხველს.

მისის ფორესტერს მარმარილოს თაღის მახლობლად ჰქონდა დაქირავებული ბინა — არც უბანი დაიწუნებოდა და იაფიც ჯდებოდა. ნათელი სასტუმრო ოთახი და მისის ფორესტერის დიდი საძინებელი ქუჩას გადაჰყურებდა,



ხოლო ბნელი სასაღილო, სამხარეულო და ერთი ციციკნა საძინებელი უკანა მხარეს გადიოდა. ეს საძინებელი ბინის დამქირავებლის — მისტერ ელბერტ ფორესტერისათვის იყო განკუთვნილი. მისის ფორესტერი ყოველ სამშაბათ საღამოს სასტუმრო ოთახში ღებულობდა თავის მეგობრებს. ოთახი დახვეწილი, მკაცრი გემოვნებით იყო მორთული. კედელზე უილიამ მორისის ესკიზით მოხატული შპალერი იყო გაკრული და გაძვირებამდე ნაყიდი სადა, შავჩარჩოვანი მუცლი ტინტოები ეკიდა. ავეჯი ჩიპენდელის ყაიდისა იყო, გარდა, ლუი XV-ის დროის მსგავსი გასაშლელი საწერი მაგიდისა რომელზედაც მისის ფორესტერი თავის ნაწარმოებებს წერდა. ამ მაგიდას პირველად მოსულ ყოველ სტუმარს უჩვენებდნენ და იშვიათად ვინმეს აუღელვებლად შეეველოს მისთვის თვალი. იატაკზე სქელი ნოხი ეფინა და ოთახს მქრქალი შუქი ანათებდა. მისის ფორესტერი ძველებურ სწორსაზურგიან და მოწითალო კრეტონის ნაჭერგადაკრულ სავარძელში იჯდა ხოლმე. განა თუ საგანგებოდ, სტუმრებისაგან გამოსარჩევად, მაგრამ — რადგან ოთახში ამის მეტი რბილი სავარძელი არ იდგა — მაინც სტუმრებზე ძალა და განკერძობით მჯდომი მოჩანდა. სტუმრებს ჩაის ვიღაც გამოუცნობი ასაკის, ჩუმი და უფერული ქალი მიართმევდა ხოლმე, ეს ქალი სტუმრებისთვის არავის გაუცვნიდა მაგრამ მას თურმე თავი მოჰქონდა, რომ მისის ფორესტერი ანდობდა ამ მოსაწყენ მოვალეობას. ასე რომ, მისის ფორესტერს საუბარში ხელი არ ეშლებოდა და, უნდა ითქვას, მშვენიერი მოუბარიც გახლდათ. დიდად ცოცხალი ლაპარაკი არა სჩვეოდა და რადგან საუბარში სასვენი ნიშნებიც არ იხმარება, იქნებ იუმორს დიდად ვერ ავლენდა მაგრამ ბევრ რამეზე კი შეეძლო საფუძვლიანად, საინტერესოდ და დამაჯერებლად ელაპარაკა. მისის ფორესტერი კარგად იცნობდა სოციოლოგიას, იურისპრუდენციას და თეოლოგიას. მეტად ნაკითხი ქალი იყო და იშვიათი მეხსიერება ჰქონდა. ციტატებს მოხდენილად იშველიებდა, რაც მისწრებაა იმათთვის, ვინც გონებამახვილობას მოკლებულია, და რაკი ოცდაათი წელიწადი ასე თუ ისე გამოჩენილ ადამიანებში ტრიალებდა, ბევრი ანეგდოტიც იცოდა. მოყოლისას ვინმეს დასახელებას მოხერხებულად უვლიდა გვერდს და ერთი და იგივეს გამეორებით თავს არაუვის აბეზრებდა. მისის ფორესტერი ნაირნაირი ხალხის მოხიდვას ახერხებდა და ამიტომ მის სასტუმრო ოთახში შეიძლება ერთდროულად კაცი გადამდგარ პრემიერ-მინისტრსაც შეხვედროდა, გაზეთის გამომცემელსაც და რომელიმე დიდი სახელმწიფოს ელჩსაც. ვფიქრობ, ეს ხალხი იქ იმისთვის დადიოდა, ეგონათ, ამით ბოჭემას ვეზიარებითო. თანაც მისის ფორესტერი იმდენად წმინდა და სუფთა გახლდათ, შეეძლოთ შიში არა ჰქონოდათ, რამე ჩირქი მოგვეცხებაო. მისის ფორესტერს პოლიტიკა დიდად აინტერესებდა და ერთხელ ჩემი ყურით გავიგონე, ერთმა მინისტრმა პირში შეაქო, მამაკაცური გონება გაქვთო. მისის ფორესტერი თავის დროზე წინააღმდეგი იყო, ქალებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ, ხოლო როცა ქალებს ამის ნება დართეს, პარლამენტში თავისი კანდიდატურის წამოყენება განიზრახა. მხოლოდ ის ვერ გადაეწყვიტა, რომელი პარტია ამოერჩია.

— ბოლოს და ბოლოს, — ხუმრობით იტყოდა ხოლმე და თავის ვეება მხრობს კეკლუცად შეატოკებდა, — მარტო ჩემი თავისაგან პარტიას ხომ ვერ ჩამოვაყალიბებ.

ბევრი მგზნებარე პატრიოტის მსგავსად, სანამ კარგად არ გამოიცნობდა, საქმე როგორ წარიმართებოდა, რა პოლიტიკური შეხედულების იყო, ვერაუინ



გაიგებდა. მოგვიანებით კი ნელ-ნელა იბრუნა პირი ლეიბორისტებისაკენ, როგორც ქვეყნის ყველაზე საიმედო ძალისაკენ და ვინმეს რომ შეეთავაზებინა, არჩევნებში აუცილებლად გაგამარჯვებინებო, საქვეყნოდ თავსაც გამოიდებდა ჩაგრული პროლეტარიატის დასაცავად.

მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო უცხოელთათვის — ჩეხებისა და სლოვაკელების, იტალიელებისა და ფრანგებისათვის — თუკი გამორჩენილ ადამიანებად ითვლებოდნენ, და ამერიკელებისათვის, თუნდაც სახელგანთქმული ადამიანები არ ყოფილიყვნენ. უნდა გითხრათ, მისი ფორესტერი სნობი არ გახლდათ და ზოგჯერ მის ოჯახში ჰერცოგიც შეიძლება მოხვედრილიყო — თუ იშვიათი ინტელექტის კაცი იყო — და პერის მეუღლეც, თუ წოდების გარდა თავისი წრისათვის შეუფერებელი რამ შეცოდებაც ჰქონდა ჩაღვნილი, რითაც შეიძლებოდა მისი ფორესტერის თავისუფლებისმოყვარე გული მოეგო: ვთქვათ, ქმართან იყო გაცილებული, რომანი ჰქონდა გამოქვეყნებული ან კიდევ ჩეკზე სხვის მაგიერ ხელი მოწერილი. მოკრძალებული და უენო მხატვრები არ ეჭაშნიკებოდა და არც მუსიკოსებს სწყალობდა, თუნდაც რომ დაეკრათ რამე. დაკვრა კი, განსაკუთრებით ცნობილ მუსიკოსებს, არ უყვარდათ, ხოლო თუკი ვინმე დაუკრავდა ამითაც ხელს შეუშლიდნენ საუბარში. მოკლედ, ვისაც მუსიკა ნებავდა, დაე, კონცერტზე წაბრძანებულიყო. თვითონ კი სულის უფრო დახვეწილი მუსიკა აერჩია. მწერლებს — განსაკუთრებით მოძავლის მქონე და ახალგაზრდა, უცნობ მწერლებს — მუდამ გულთბილად მასპინძლობდა. ახლად გამოვლენილ ნიჭს უმაღლე მოწყალე თვალს დაადგამდა და იმ მწერალთა შორის, რომლებიც დროდადრო ჩაის დასალევად შემოუვლიდნენ ხოლმე, იშვიათი იყო ისეთი, ასპარეზზე გამოსვლამდე რჩევა არ მიეცა და ტკბილი სიტყვით არ გაემხნევებინა. თვითონ ისე მტკიცედ იყო ფეხმოდგმული მწერლობაში, შური ვერაფერს დააკლებდა, ხოლო რაკი ხალას ნიჭად აღიარებდნენ, სულაც არ წყდებოდა გული, თუ ნიჭით სხვები სარფას ნახულობდნენ, თვითონ კი ამისი ბედი არა ჰქონდა.

მისი ფორესტერს ეჭვი არ ეპარებოდა, შთამომავლობა ღვაწლს დამიფასებსო, თავს ფუფუნების ნებას აძლევდა და უანგარობას იჩენდა. მაშ ამის შერე რაღა გასაკვირია, რომ მისი ფორესტერმა თავისი ოჯახი იმდენად დაამსგავსა XVIII საუკუნის საფრანგეთის სალონებს, რამდენადაც ეს შეიძლებოდა ჩვენს ბარბაროსულ ქვეყანაში მოხერხებულიყო.

სამშობათ საღამოობით ერთ ფინჯან ჩაისა და ფუნთუშაზე მიწვევა ისეთი პატივი იყო, იშვიათად თუ ვინმე იტყოდა უარს. ადამიანს ამ მკაცრი გემოვნებით მორთულსა და სუსტად განათებულ ოთახში ჩიპენდელის ყაიდის სკამზე რომ იჯდა, თავი მართლა ლიტერატურის ისტორიის შექმნის მოწმე ეგონებოდა.

ერთხელ ამერიკელმა ელჩმა მისი ფორესტერს უთხრა:

— თქვენს ოთახში ერთი ფინჯანი ჩაის დალევა გონებას იმდენს რამეს მატებს, ამ საუნჯეს ვერაფერი შეედრება.

ზოგჯერ კი იქ ყოფნა ცოტა არ იყოს მომქანცველიც იყო. მისი ფორესტერი ისეთ უზადო გემოვნებას ამჟღავნებდა და თავის სათქმელს იმდენად მართებულად და უნაკლოდ გამოხატავდა, სული შეგებუთებოდათ ყოველთვის, როცა მისი სალონის გაიშვიათებულ ატმოსფეროში უნდა ამომეყო თავი, გასამხნევებლად ერთ ან ორ ჭიქა კოქტეილს გადაკვრავდი ხოლმე. ერთხელ ბეწვზე გადავრჩი, რომ სამუდამოდ არ მოეხურათ ამ სალონის კარები.

ერთ საღამოს სტუმრად მივედი და, მოახლემ რომ კარი გამიღო, ნაცვლად



იმისა — „მისის ფორესტერი შინ თუ ბრძანდება-მეთქი“ — მეთქვა, ვიკითხე, დღეს წმინდანობანა თუ იქნება-მეთქი.

ცხადია, ენამ მისწრო, მაგრამ მოახლემ ჩაიხითხითა, ჩემდა საუბედუროდ, მისის ფორესტერის ერთ-ერთი უანგარო თაყვანისმცემელი, ჰელენ ჰენეუვი დერეფანში სწორედ იმ დროს იდგა და ბოტებს იხდიდა. სანამ სასტუმრო ოთახში შევიდოდი, ჩემი ნათქვამი მასპინძლისთვის მიეტანა და შეხვედრისას მისის ფორესტერმა განმგმირავი მზერა მომაგება.

— რატომ იკითხეთ დღეს წმინდანობანა თუ იქნებაო? — შემეკითხა იგი.

აუუხსენი, დაბნეულობით მომივიდა-მეთქი, მაგრამ მისის ფორესტერი მაინც გაბრაზებული მომჩერებოდა.

— იქნებ თქვენ ჩემი წვეულებები... — იგი შეყოყმანდა, რათა შესაფერი სიტყვა ეპოვა — საკრამენტული გგონიათ?

შეკითხვა კარგად ვერ გავიგე, მაგრამ არ მინდოდა ამდენ ჭკვიან ადამიანთან უვიცობა გამოემჩინა და პირმოთნეობის მეტი ვერაფერი მოვახერხე.

— თქვენი წვეულებები, მისის ფორესტერ, თქვენსავით ბრწყინვალე და ღვთაებრივია.

მისის ფორესტერის წარმოსადგეგ სხეულს ფრჟოლამ დაუარა. იგი ისეთ ადამიანს დაემსგავსა რომელიც უეცრად მოხვდა სუმბულის სურნელებით გაჟღენთილ ოთახში და მისმა დამატრობელმა სურნელებამ შეაბარბაცა. მივხვდი, რომ მისის ფორესტერი უკვე მოღბა.

— თუ ხუმრობის გუნებაზე ხართ, — მითხრა მან, — უძჯობესია ჩემს მოახლეს კი არა, სტუმრებს გაეხუმროთ... მისის უორენი ჩაის მოგართმევთ.

მისის ფორესტერმა ხელის დაქნევით მანიშნა, შენთან საუბარს მოვრჩიო, მაგრამ ეს ამბავი არ დავიწყებია. ამის მერე, მთელი ორი-სამი წელიწადი, როცა ვინმეს გამაცნობდა, უსათუოდ დასძენდა:

— ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ბატონი აქ მოსვლით ბეგარას გვიხდის. კარს გაუღებენ თუ არა, იკითხავს ხოლმე, დღეს აქ წმინდანობანა არ შედგებაო? სასაცილოა, არა?

მისის ფორესტერი მარტო ჩაით გამასპინძლებას არ სჯერდებოდა და ყოველ შაბათს რვაკაციან წვეულებას მართავდა. მისი აზრით, ეს რაოდენობა საერთო საუბრისათვის ზედგამოჭრილი იყო და მისი სასადილო ოთახიც ამაზე მეტს თავისუფლად ვერ იტევდა.

მისის ფორესტერს ინგლისური ლექსთწყობის ცოდნით ისე არ მოჰქონდა თავი, როგორც თავისი წვეულებებით. სტუმრებს დიდი მზრუნველობით არჩევდა ხოლმე და ამ წვეულებაზე ყველას ისე მიუხაროდა, თითქოს ზიარებაზე მიდიოდა. გაშლილ სუფრასთან, ცხადია, გაცილებით მოსახერხებელია ამაღლებულ თემებზე საუბარი, ვიდრე სასტუმრო ოთახში მიმოფანტულ, ჩაის სმითა და ერთმანეთთან საუბრით ვართულ სტუმრებთან, ამიტომ ამგვარი წვეულებიდან იშვიათად წასულა ვინმე, მისის ფორესტერის ნიჭისა და ადამიანის კეთილშობილებისადმი უფრო ღრმა რწმენით რომ არ გამსჭვალულიყო. მართალია, მისის ფორესტერი ქალებს დიდ პატივს სცემდა და სხვა დროს მათთან ყოფნა თვითონაც უყვარდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ სუფრასთან ქალები მარტო გვერდით მსხდომთ ესაუბრებიან ხოლმე, რაც საერთო აზრთა გაცვლა-გამოცვლას აფერხებს. ამიტომ იგი მხოლოდ მამაკაცებს პატივებდა და ამის წყალობით წვეულება არა მარტო სტომაქის, სულის დღესასწაულადაც იქცეოდა. ისიც უნდა ითქვას, მისის ფორესტერი სტუმრებს მართლაც გემრიელი კერძებით,



საუკეთესო ღვინითა და საუცხოო სიგარებით უმასპინძლებოდა. ამან კი როგორ შეიძლება არ გააკვიროს კაცი, ვისაც ლიტერატორის მასპინძლობა გამოუცდია. მოგეხსენებათ, ლიტერატორები ჩვეულებრივ ამალღებულად აზროვნებენ, მაგრამ სადაც ცხოვრობენ. ერთთავად სულიერ ამბებს დასტრიალებენ და ვერ ამჩნევენ, რომ ცხვრის ხორცს შეწვა აკლია და კარტოფილი გაციებულია. ლუდს, მართალია, არა უშავს, მაგრამ ღვინო რამდენიც უნდა სვა, არ მოგეკიდება, ყავა სულაც პირში არ ჩაისვლება. მისის ფორესტერი სიამოვნებას არ ფარავდა, როცა სუფრას შეუქებდნენ ხოლმე.

— თუ ვინმე პატივს დამდებს და სტუმრად მეწვევა, — იტყოდა ხოლმე იგი, — ისე მაინც უნდა გავუმასპინძლდე, როგორც თავის ოჯახში მიირთმევს.

თუ სუფრას მეტიხმეტად შეუქებდნენ, უმაღვე შეაწყვეტინებდა.

— თქვენი ქება დიდ უხერხულობაში მაგდებს, რადგან არ ვიმსახურებ. მისის ბულფინჩის მადლიერი უნდა იყოს.

— ეგ ვინლაა?

— ჩემი მზარეულია.

— მაშინ მზარეული კი არა, ჯადოქარი გყოლიათ. იქნებ თქვათ, ღვინოც მისი შერჩეულიაო.

— კარგი ღვინოა? ღვინოსა მე არაფერი გამეგება და მისი შერჩევა ნაცნობი სირაჯისათვის მაქვს მინდობილი.

თუკი ვინმე სიგარეტს მოუწონებდა, მისის ფორესტერს სახე გაუბრწყინდებოდა.

— ეგ ელბერტს უნდა დაუმაღლოთ, მისი ნაყიდია. როგორც მითხრეს, სიგარის ცნობაში ვერაფერს შეედრება.

ამას რომ იტყოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა და ისეთი სიამაყით გადახედავდა სუფრის ბოლოში მჯდომარე ქმარს, იტყოდით, ჯიშინი, მაგალითად, თაფლისფერბუმბულიანი ორპინგტონის კრუხი უყურებს თავის ერთადერთ წიწილასო. სტუმრებიც სწორედ ამ შემთხვევას ელოდნენ, რათა ოჯახის უფროსი სადმი თავიანთი მადლიერება გამოეხატათ და ერთმანეთს არ აცლიდნენ ელბერტის უსაზღვრო ცოდნისა და საუცხოო გემოვნების შექებას.

— მადლობას მოგახსენებთ, — იტყოდა იგი, — მიხარია, რომ სიგარები ძალიან მოგწონთ. — შემდეგ სიგარებზე დაიწყებდა ლაპარაკს, განმარტავდა, როგორი უნდა იყოს კარგი სიგარა და დაიწუნებდა, მას შემდეგ, რაც მასიურად აწარმოებენ, ხარისხი გააფუჭესო. მისის ფორესტერი ისეთი თავმოძვონე ღიმილით უსმენდა, აშკარა იყო, ქმრის წარმატება ძალიან ახარებდა. ცხადია, სიგარებზე გაუთავებლად ლაპარაკი ძნელი მოსასმენია და როგორც კი მისის ფორესტერი სტუმრებს მოწყენას შეატყობდა, რამე უფრო მნიშვნელოვან და ყველასათვის საინტერესო საუბარს წამოიწყებდა. ელბერტი დადუმდებოდა. მან უკვე გამოიჩინა თავი.

სწორედ ელბერტის გამო იყო, ზოგიერთს მისის ფორესტერის წვეულებები ისე არ იზიდავდა, როგორც ჩაიზე მისვლა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ელბერტი საშინლად მოსაწყენი ადამიანი იყო. მისის ფორესტერმა ეს, უეჭველია, თვითონაც შესანიშნავად იცოდა, მაგრამ თვლიდა, რომ ქალს თავის ოჯახში გამართულ წვეულებაზე ქმარი გვერდით უნდა ჰყოლოდა. და რადგან ელბერტს სხვა დღეებში არ ეცალა, წვეულებებს მხოლოდ შაბათობით მართავდა. არაფრით არ გამოტყდებოდა, რომ სულიერი სიმდიდრით მისთვის შეუფერებელ კაცს წაჰყვა ცოლად. ვინ იცის, რამდენი ღამე გაუთენებია თეთრად იმაზე ფიქრით, ნე-



ტავი ჩემი შესაფერი მამაკაცი თუ სადმე მოიძებნებაო. მისის ფორესტერის მეგობრებს ასეთი სიტყვაძვირობა არ სჩვეოდათ და ერთმანეთს გაოცებით ეკითხებოდნენ, ამას რამ გააყოლო, ბოლოს კი (რადგან უმრავლესობა უცოლო და გაუთხოვარი იყო) დაიწუნებდნენ, ცოლქმრობა რა მოსაგონი იყო.

ელბერტი სულაც არ იყო ყბელი და აბეზარი. არც გაუთავებელი საუბრით მოგქანცავდა, არც უკბილო ხუმრობით შეგაწყენდა თავს და არც სუფთაფეხით ცნობილი ჭეშმარიტების მტკიცებით დაგაოსებდა. არა, იგი უბრალოდ იმის ობობა — ნოლი იყო. კლიფორდ ბოილზტონმა, ფრანგი რომანტიკოსების ყველა საიდუმლოს მცოდნემ და თავადაც ნიჭიერმა მწერალმა, ერთხელ თქვა, იმ ოთახში რომ შეიხედოთ, სადაც ეს-ესაა ელბერტი შევიდა, ვერაფერს დაინახავთ. მისის ელბერტ ფორესტერის მეგობრებს ეს ფრიად გონებაშახვილურ ნათქვამად ეჩვენათ და ერთხელ ცნობილი მწერალი და პირშიმთქმელი ქალი, როუზ უოტერფორდი გაკადნიერდა და ეს ამბავი თვით მისის ფორესტერს უამბო. მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს გაბრაზდა, მაგრამ ღიმილი ვერ შეიკავა. თვითონ ელბერტს ისე ექცეოდა, რომ მეგობრების დიდ პატივისცემას იმსახურებდა. გულში ვისაც რა უნდოდა, ის ეფიქრა, ოღონდ მის ქმარს ყველა ჯეროვანი პატივისცემით უნდა მოპყრობოდა. თვითონ კი მართლაც რომ სანაქებოდ ექცეოდა — თუ ელბერტი რაიმეს იტყოდა, სახეგაბრწყინებული უსმენდა, ხოლო როცა ქმარი საჭირო წიგნს მოუტანდა ან უცბად მოსული აზრის ჩასაწერად ფანქარს მიაწოდებდა, მადლობის თქმა არ დაავიწყდებოდა. მეგობრებსაც აშკარად აგრძნობინებდა რომ ისინიც ასევე უნდა მოქცეოდნენ მის ქმარს, მაგრამ ტაქტიანი ქალი იყო და კარგად ესძიოდა, მეტისმეტი იქნებოდა, ქმარი ყველგან წაეყვანა. ამიტომ ხშირად მარტო დადიოდა, მაგრამ მისმა მეგობრებმა იცოდნენ, წელიწადში ერთხელ მაინც სადილად ქმართან ერთად უნდა მიეწვიათ ოფიციალურ ბანკეტებზე, სადაც მისის ფორესტერი სიტყვით უნდა გამოსულიყო, ქმარი ყოველთვის თან ახლდა, ხოლო თუ ლექცია უნდა ჩაეტარებინა, თადარიგს იჭერდა, მისტერ ფორესტერისათვის სცენაზე აღგილი გამოენახათ.

ელბერტი, მგონი, საშუალო ტანის კაცი იყო, მაგრამ თავისი წარმოსადეგი მეუღლის გვერდით (ცალკე კი აბა ვის რაში გაახსენდებოდა) დაბალი ჩანდა, იგი კაფანდარა კაცი გახლდათ და თავის ასაკზე უფრო ხნიერად გამოიყურებოდა, თუმცა მეუღლე და ის ტოლები იყვნენ. მოკლედ შეკრეჭილი მეჩხერი ჭალარა თმა და ხეშემში უღვაში ჰქონდა. გამხდარი და დანაოჭებული სახე არაფრით იქცევდა ყურადღებას. ოდესღაც ალბათ მიმზიდველი ცისფერი თვალები ახლა მოქანცული და გამოხუნებული უჩანდა. მუდამ უზადოდ იყო გამოწყობილი. სულ ერთნაირი ტვიდის შარვალი და შავი სერთუკი ეცვა, ნაცრისფერ ჰალსტუხზე მარგალიტისთვლიანი ქინძისთავი ებნია. მეტისმეტად მოკრძალებული კაცი გახლდათ და როცა სასტუმრო ოთახის კართან მეუღლის მოწვეულ სტუმარს ეგებებოდა, ძველებური, სადა ავეჯით, თვალში არ გეცემოდათ. სტუმრებთან საუცხოოდ ეჭირა თავი, თავაზიანი ღიმილით ჩამოართმევდა ხოლმე ხელს და თუ ძველი ნაცნობი იყო, ეტყოდა, ძალიან მიხარია, რომ მობრძანდით, როგორ გიკითხოთო. მაგრამ თუ მათ ოჯახს პირველად ეწვეოდა ვინმე გამოჩენილი პიროვნება, სასტუმრო ოთახის კართან შეეგებებოდა და ეუბნებოდა:

— მე მისის ელბერტ ფორესტერის ქმარი ვარ. ნება მიბოძეთ, ჩემი მეუღლე გაგაცნოთ.

მერე მეუღლესთან მიიყვანდა, რომელიც სინათლისაკენ მუდამ ზურგით იდგა და ისიც გახარებული ხელგამოწვდილი მიეგებებოდა სტუმარს.



ერთ ნახვად ღირდა, რა დარბაისლურად ამაცობდა მისტერ ფორესტერი მე-  
უღლის ლიტერატურული რეპუტაციით და რა უანგარო შემწეობას უწევდა ყვე-  
ლაფერში. თუ საჭირო იყო, უმაღლვე ცოლთან განსჯებოდა, არადა, თავს მიეფა-  
რებოდა. თუ გამოძუშავებული არა, თანდაყოლილი ტაქტი ჰქონდა. მისი ფო-  
რესტერი მუდამ პირველი აფასებდა ხოლმე მის ყურადღებას.

— მართლაც არ ვიცი, უმაგისოდ რა მეშველება, — ამბობდა ფიცი — ოქრო  
პყავს, ოქრო. ხელნაწერს ყოველთვის მას ვუკითხავ და მისი შენიშვნები დიდად  
მშველის ხოლმე.

— რაღა თქვენ და რაღა მოლიერი და მისი მზარეული, — დაგესლა მისს  
უოტერფორდმა.

— გგონიათ, ძალზე სასაცილო რამა თქვით, ძვირფასო როუზი? — შეეკი-  
თხა მისის ფორესტერი ღვარძლიანად.

როცა მისის ფორესტერს ვინმეს ნათქვამი არ მოეწონებოდა, მოსაუბრეს  
იმით დააბნევდა, რომ ჰკითხავდა, იზუნრეთო? თითქოს იმდენად ბრიყვი იყო,  
ვერ ხვდებოდა. მაგრამ ამჯერად მის უოტერფორდს წარბიც ვერ შეახრევინა. ამ  
ქალბატონს ცხოვრებაში ბევრი გატაცება ჰქონდა, მაგრამ სათაყვანებელი ერ-  
თადერთი ლიტერატურა შემორჩენოდა. მისის ფორესტერს სულაც არ უყვარდა  
როუზი, მაგრამ მაინც იტანდა.

— კარგი ერთი, ჩემო ძვირფასო, — მიუგო მის უოტერფორდმა — თვითონ-  
ნაც მშვენივრად იცით, უთქვენოდ რომ არარაობა იქნებოდა და ვერც ჩვენს ნა-  
ცნობობას ეღიროსებოდა. ეზუმრებით?! ჩვენი დროის ყველაზე განათლებულ და  
სახელგანთქმულ ადამიანებში ტრიალებს.

— ფუტკარს სკა რომ არა ჰქონდეს, ალბათ მოკვდებოდა, მაგრამ ფუტკარ-  
საც ხომ თავისი ფასი აქვს.

მისის ფორესტერის მეგობრები მართალია, ხელოვნებასა და ლიტერატუ-  
რას ზედმიწევნით იცნობდნენ, მაგრამ ბუნებისმეტყველებისა არაფერი გაეგე-  
ბოდათ, ამიტომ ხმა არავის ამოუღია და იმანაც განაგრძო.

— სულაც არ მიშლის ხელს. გუმანით ხვდება, როდის უნდა მომერიდოს.  
ის კი არადა, როცა ფიქრებს მივეცემი, მისი სიახლოვე არათუ ხელს მიშლის,  
მსიამოვნებს კიდევ.

— სპარსულ კატასავით, — თქვა მის უოტერფორდმა.

— მაგრამ გონიერი, კარგად გაზრდილ სპარსულ კატასავით, — მკვახედ მი-  
უგო მისის ფორესტერმა და მის უოტერფორდს ხმა გააკმენდინა.

მისის ფორესტერი ქმარზე ლაპარაკს ვეღარ მორჩა.

— ჩვენ, ინტელიგენციის წარმომადგენლები, — თქვა მან, — საკუთარ სამ-  
ყაროში ვცხოვრობთ. ხელშესახებზე უფრო განყენებული გვიტაცებს და ხანდა-  
ხან მგონია, რომ ადამიანთა ცხოვრების ორომტრიალს გულგრილად დავცქერით  
თვალუწვდენელი სიმაღლიდან, როგორ გგონიათ, იმის საფრთხე ხომ არ მოგ-  
ველის, უგულონი გაუხდეთ? მე ელბერტის მაღლიერი ყოველთვის ვიქნები —  
მისი წყალობით მუდამ თვალწინ მიდგას ჩვეულებრივი მოკვდავი.

მისის ფორესტერს სჩვეოდა ამგვარი ნატიფი შეხედულებების გამოთქმა  
და მათ გამჭრიახობასა და დახვეწილობას მისი არც ერთი მეგობარი არ უარ-  
ყოფდა. ახლაც ძალიან მოეწონათ ეს შენიშვნა და ელბერტს ერთხანს მეგობრე-  
ბის ვიწრო წრეში „ჩვეულებრივ მოკვდავს“ ეძახდნენ. მაგრამ ეს სახელიც მა-  
ლე მიივიწყეს და მერე „ფილატელისტი“ შეარქვეს. ეს მეტსახელი ენამოსწრე-



ბულმა კლიფორდ ბოილზტონმა გამოუგონა ერთხელ, რა არა სცადა, მაგრამ ელბერტი საუბარში ვერ აიყოლია და ბოლოს სასოწარკვეთილმა ჰკითხა:

- თქვენ ფილატელისტი ხომ არა ხართ?
- არა, მშვიდად მიუგო ელბერტმა. - რას ბრძანებთ!



კლიფორდ ბოილზტონს შეკითხვა არ დაესრულებინა, რომ გონებაში გაუქ-  
ლვა, ეს რა კარგი რამ წამომცდაო! მას ბოდლერის ცოლის დეიდაზე წიგნები  
ნდა გამოქვეყნებული; ამ წიგნმა ყველა ფრანგული ლიტერატურული კლიფორდ  
სებული ადამიანის ყურადღება მიიპყრო. მისტერ კლიფორდ ბოილზტონმა დიდი  
დრო შეაღია ფრანგული სულის შესწავლას და ამიტომ ითვლებოდა, რომ თვი-  
თონაც შეისისხლხორცა გალური გონებადამახვილობა და ენამოსწრებულობა. მან  
ყური არ ათხოვა ელბერტის ნათქვამს და იხელთა თუ არა დრო, მაშინვე აცნობა  
მისის ფორესტერის მეგობრებს, როგორც იქნა, ელბერტის საიდუმლო გავიგე -  
მარკებს აგროვებსო. ამის მერე ისე არ ჩაუვლიდა, რომ არ ჩაექილიკა:

- აბა, მისტერ ფორესტერ, როგორაა კოლექციის საქმე? რაც არ მინახავ-  
ხართ, მას შემდეგ, რაიმე მარკა ხომ არ იყიდეთ?

ამაოდ უარობდა ელბერტი, ფილატელისტი არა ვარო; ხუმრობა იმდენად  
მოსწრებულად მიაჩნდათ, რომ აგრე იოლად ვერ ელვოდნენ. ეუბნებოდნენ, ასე  
ადვილად ვერ გაგვაცურებო, და მასთან საუბარს ისე არ დაასრულებდნენ, კო-  
ლექციის შესახებ რომ არ ეკითხათ რამე მისის ფორესტერიც, როცა ძალიან  
ხალისიან გუნებაზე იყო, ქმარს „ფილატელისტად“ იხსენიებდა. ყველა ფიქრო-  
ბდა, ელბერტისათვის ეს მეტსახელი ზედგამოჭრილიყო. ხანდახან პირშიც ასე  
ეძახდნენ. ელბერტი მოთმინებით იტანდა მათ ოხუნჯობას და მისის ფორესტე-  
რის მეგობრები აღტაცებას ვერ ფარავდნენ. ელბერტი კი უწყინრად იღიმებოდა  
და მალე აღარც უარობდა ფილატელისტობას.

ცხადია, მისის ფორესტერი ყოველგვარ წეს-ჩვეულებას ზედმიწევნით იცა-  
ვდა და წვეულებას რომ წარმატებით ჩაეკლო, დიდ სიფრთხილეს იჩენდა; ყვე-  
ლაზე გამოჩენილ სტუმარს ელბერტს გვერდით არ დაუსვამდა. საამისოდ ორ  
ძველსა და უახლოეს მეგობარს წინასწარ შეარჩევდა და, როცა სამსხვერპლოდ  
განწირულნი ოთახში გამოჩნდებოდნენ, ეტყოდა:

- ვიცი, რომ უარს არ მეტყვიოთ, ელბერტს მოუსხდეთ გვერდით.

მათაც მეტი რა გზა ჰქონდათ, „სიამოვნებით“, ეტყოდნენ, მაგრამ თუ სა-  
ხეზე წყენა შეეტყობოდათ, სათითაოდ ხელზე ხელს მოუთათუნებდა და დაამშვი-  
ლებდა, მეორედ ჩემს გვერდით დაგვამთ. ელბერტი ძალიან მოკრძალებულია უც-  
ნობებთან, თქვენ კი იცით, როგორ მოექცეთო.

მისის ფორესტერის მეგობრებმა მართლაც კარგად იცოდნენ, როგორ მო-  
ქცოდნენ ელბერტს - ზედაც არ უყურებდნენ, თითქმის სკამზე არც კი მჯდა-  
რიყოს. მას კი წყენის ნატამალიც არ ეტყობოდა, რომ მისი ხარჯით გაშლილ  
სუფრას შემომსხდარი სტუმრები არად აგდებდნენ (მისის ფორესტერი თავისი  
შემოსავლით ხომ ვერ გაუმასპინძლებოდათ მდინარე ორაგულითა და საად-  
რეო სატაცურიო). ელბერტი წყნარად იჯდა და დუმდა ხმას მხოლოდ იმისთვის  
თუ ამოიღებდა, რომ მოახლისათვის განკარგულება მოეკა. თუ სტუმარს პირვე-  
ლად ხედავდა, კარგა ხანს ისეთი ყურადღებით მიაცქერდებოდა. თუ არა საოც-  
რად ბავშვური გამომეტყველება, კაცი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა.  
ელბერტი თითქოს თავის თავს ეკითხებოდა, ნეტა ვინ უნდა იყოს ეს უცნაური  
არსებაო, მაგრამ სახეზე ვერ შეატყობდით, ახალგაჯობილ სტუმარზე. რა აზრი  
შეექმნა. როცა გაცხოველებული საუბარი გაიმართებოდა, იგი ხან ერთ მოსა-



უბრეს შეაჩერდებოდა, ზან მეორეს, მაგრამ მის გამხდარსა და დანაოჭებულ სახეზე კაცი ვერ ამოიკითხავდა, მძაფრი პაექრობა რა ფიქრებს აღუძრავდა.

კლიფორდ ბოილზტონი ამტკიცებდა, მთელი ჩვენი ბრძნული და ჭკვიანური საუბრის ბაიბურში არ არისო. კი ხვდება, რომ ვერაფერს ვაუწყებს, მაგრამ თავი ისე უჭირავს, თითქოს ყველაფერი ესმოდესო. ფართო დიპლომატიის კრიტიკოსი — ჰარი ოუკლენდი კი ირწმუნებოდა, ეს უბედურე ჩვენი საუბრით ისეა მოხიბლული, თავის სუსტ გონებას ძალას ატანს, რომ ვერაფერს ვაუწყებს არ გამორჩეს და ამდენი საინტერესო ამბებიდან აზრი გამოიტანოსო. სიტიში კი ალბათ გამოჩენილი ადამიანების ნაცნობობით ამაყობს და იქნებ ლიტერატურისა და ფილოსოფიის მცოდნედ მოაქვს თავი. ნეტავი იქ მაგის ლაპარაკისთვის მომასმენინაო. ჰარი ოუკლენდი მისის ფორესტერის თავგამოდებული თაყვანისმცემელი გახლდათ და მისი სტილის შესახებ ნატიფი და ბრწყინვალე ესსეიც ჰქონდა დაწერილი. ისეთი ლამაზი იყო, იტყოდით, წმინდა სებასტიანის განსახიერებაა, ოღონდ თმის ამოსაყვანი წამალი უხმარია ჭარბად და ასე ამიტომ გაბანჯგვლულაო. ამ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ოცდაათი წელიც არ შესრულებოდა, უკვე გაესარჯა თავისი კალამი თეატრის, ლიტერატურის, მუსიკისა და ბოლოს მხატვრობის კრიტიკაში, ახლა კი ხელოვნებაზე გული აცრუებოდა და იქადნებოდა, მომავალში ჩემი ნიჭი სპორტის კრიტიკას უნდა შევადიოთ.

უნდა ითქვას, რომ ელბერტი კომერსანტი იყო თუმცა, საუბედუროდ, დიდი სიმდიდრის პატრონი არ გახლდათ, რასაც მისის ფორესტერი, მისი მეგობრების აზრით სანაქებო მოთმინებით იტანდა. ელბერტი რომ დიდვაჭარი ყოფილიყო და სახელმწიფოს ბედზე გავლენა მოეხდინა ანდა უცხო სანელებლებით დატვირთული ვეშები ეგზავნა ლევანტის ნავსადგურებში, რომელთა კეთილხმოვანი სახელები იშვიათ და მძლერად რითმებად აქცია ბევრმა პოეტმა — მაშინ იქნებ რომანტიკული შარავანდედითაც კი შემოსილიყო, მაგრამ იგი ქიშმიშით ვაჭრობდა და მხოლოდ იმდენ ფულს შოულობდა, რომ მისის ფორესტერს საკმაოდ კარგად და უდარდელად ეცხოვრა. რადგან ელბერტს კანტორაში ექვს საათამდე უწევდა ყოფნა, სამშაბათობით ჩაიზე მოწვეულ საპატიო სტუმრებს ვერ უსწრებდა. მისი მოსვლის დროისთვის შინ ცოლის სამი ან ოთხი მეგობარიდა ხვდებოდა, რომლებიც მოურიდებლად აქილიკებდნენ წასულ სტუმრებს. და როცა კარში მისი გასაღების ჩხაკუნს გაიგონებდნენ, მაშინდა გაიფიქრებდნენ, უკვე გვიანაო. წუთიც და ელბერტი კარს გააღებდა და ოთახში მორიდებულად შემოიხედავდა, მისის ელბერტ ფორესტერი საამური დიმილით შეეგებებოდა.

— შემოდი, შემოდი ელბერტ! აქ უცხო არავინაა.

ელბერტი შემოვიდოდა და ცოლის მეგობრებს ხელს ჩამოართმევდა.

— სიტიდან მოხვედი? — ჰკითხავდა ცოლი, თუმცა მშვენივრად იცოდა, მეტი ვერსაიდან მოვიდოდა. — ჩაის ხომ არ დალევ?

— არა, გმადლობთ, ჩემო კარგო, ჩაი კანტორაში დავლიე.

მისის ფორესტერი კიდევ უფრო ამოდ გაუღიმებდა ხოლმე, სტუმრები კი გუნებაში ფიქრობდნენ, ქმარს რა კარგად ექცევაო.

— მე ხომ ვიცი, ერთ ფანჯან ჩაიზე უარს არ მეტყვი. მოდი, ჩემი ხელით დაგისხამ.

იგი ჩაის მაგიდასთან მივიდოდა, ის კი სულ არ ახსოვდა, რომ ჩაიდან. მთელი საათნახევარია ხელუხლებლად იდგა და მთლად გაცივებული იყო, ჩაის დაუსხამდა, დაუშაქრავდა და რძეს დაუმატებდა. ელბერტი მადლობას გადაუხ-



დიდა, ფინჯანს აიღებდა და წყნარად მოურევდა, მაგრამ როცა მეუღლე მისი შემოსვლის გამო შეწყვეტილ საუბარს განაახლებდა, ქმარი ჩაის არც კი გასინჯავდა ისე, უხმაუროდ დადგამდა მაგიდაზე. მის გამონახვას შემორჩენილი სტუმრები წასვლის ნიშნად მიიჩნევდნენ და ერთი მეორის მიყოლებით გაიქცებოდნენ ხოლმე. ერთხელ კი ისეთ საინტერესო საკითხზე საუბრობდნენ და თანაც ისეთი გატაცებით, რომ მისის ფორესტერმა არაფრით არ გაუშვა სტუმრები.

— ერთხელ და საბოლოოდ ვთქვათ და გავათავოთ. ეგეც არ იყოს, — დაუმატა მან ოდნავ უშმაკურად, — შეიძლება ელბერტსაც ჰქონდეს თავისი შეხედულება ამ საკითხზე. მოვუსმინოთ და მისი აზრი გავიგოთ.

მაშინ მოდაში თმის შეჭრა შემოდიოდა და იმაზე დაობდნენ, მისის ფორესტერს თმის შეკრეჭა მოუხდება თუ არაო. მისის ფორესტერი წარმოსადგევი, ძვალმსხვილი და ხორცსავსე ქალი იყო. მაგრამ ტანი მსუბუქად ეჭირა. ასე მაღალი და აზოვანი რომ არ ყოფილიყო, სქელი გამოჩნდებოდა. სახის ნაკვთები ცოტა არ იყოს მსხვილი ჰქონდა და ალბათ სწორედ ეს აძლევდა მამაკაცურ, ჭკვიანურ გამომეტყველებას. მისი შავგერემანი კანი ადამიანს აფიქრებინებდა, ძარღვებში ლევანტელის სისხლი უჩქეფსო და თვითონაც ხშირად უთქვამს: ვგრძნობ, ძარღვებში ბოშური სისხლი მირევია და, ეტყობა, ამიტომაც, ზოგჯერ ჩემს ლექსებში ველური და დაუოკებელი ვნებათაღელვა რომ ამოხეთქავს ხოლმეო. თვალები დიდი, შავი და მოელვარე ჰქონდა, ცხვირი — ჰერცოგ უელინგტონისებური, მაგრამ უფრო მოზრდილი, ნიკაპი — ოთხკუთხა, ნებისყოფის გამომხატველი, დიდი პირი და მსხვილი, უპომალოდაც — კოსმეტიკას მისის ფორესტერი არა სწყალობდა — წითელი ტუჩები. ხშირი და მსხვილი ჭალარა თმა კინკრიხოზე მურგვივით ჰქონდა დახვეული და ისედაც მაღალ ქალს უფრო ამაღლებდა. ერთი სიტყვით, თუ მედიდური არა, წარმოსადგევი ქალი გახლდათ.

ყოველთვის მოხდენილად, დიდი გემოვნებით იცვამდა. მეტწილად ძვირფასი თალხი ფერის სამოსს ხმარობდა და ვინც შეხედავდა, იფიქრებდა, ნამდვილი ლიტერატორიაო. მაგრამ ასე თუ ისე (ბოლოს და ბოლოს ისიც ადამიანი გახლდათ და პატივმოყვარეობას არ იყო მოკლებული) მოდას მაინც მისდევდა და მოდურ კაბებს იცვამდა. თმის შეჭრა უკვე კარგა ხანია გულით ეწადა, მაგრამ ერჩია, თმა თვითონ კი არა ამხანაგების დაჟინებით შეეჭრა.

— უნდა შეიჭრაო, უნდა შეიჭრაო, — ბავშვურად ნააცივდა ჰარი ოუკლენდი. — საოცრად, საოცრად მოვიხდებათ.

კლიფორდ ბოილზტონს, რომელიც იმჟამად მაღამ დე მენტენონზე წიგნს წერდა, ეჭვი ეპარებოდა და საერთოდ სახიფათო ექსპერიმენტად თვლიდა.

— მე მგონი, არ ღირს, — ამბობდა იგი, თან ბატიისტის ცხვირსახოცით პენსნეს წმენდდა, — გარეგნობა არ უნდა შეიცვალოს ადამიანმა. აბა, რა იქნებოდა ლუი მეტოტხმეტე უპარიკოდ?

— არ ვიცი რა ვთქვა, — მიუვო მისის ფორესტერმა. — ბოლოს და ბოლოს დროს ხომ უნდა ავუწყოთ ფეხი. მე თანამედროვე ქალი ვარ და არ მინდა ცხოვრებას ჩამოვრჩე. „ამერიკა, დღევანდელი ამერიკა, — ვილჰელმ მაისტერის თქმისა არ იყოს — ასეთია და უნდა შევეთვისოთ“!

იგი ღიმილით მიუბრუნდა ელბერტს.

— რას მეტყვის ჩემი ბატონი და მბრძანებელი? შენ როგორ ფიქრობ, ელბერტ? შევიჭრა თუ არა, საკითხავი აი ეს არის.

— არა მგონია, რომ ჩემს აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, — წყნარად უპასუხა ელბერტმა.



— ჩემთვის კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. — ალერსიანად მიუგო მისის ფორესტერმა. გრძნობდა, როგორ ხიბლავდა მეგობრებს, ასე სათუთად რომ ექცეოდა „ფილატელისტს“.

— ძალიან გთხოვ, — არ ცხრებოდა ცოლი. — ძალიან გთხოვ შენსავით ვინ მიცნობს, ელბერტ?! მომიხდება შეჭრილი თმა?

— შესაძლოა, — მიუგო ქმარმა. — მაგრამ ახოვანი ქალი მხარ და ვაითუ... ელადის იმ კუნძულს დაემსგავსო, „სად ტრფობის აღნი დაშვარი სწფო დიად სიყვარულს ჰიმნს უგალობდა“.

წუთით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. როუზი უოტერფორდს სიცილი წასკდა, სხვები კი ხმაგაკმენდილები იხდნენ. მისის ფორესტერს დიმილი ტუჩებზე შეახმა. „ძალიან არ ისახელა ელბერტმა თავი?!“

— ბაირონს ყოველთვის საშუალო პოეტად ვთვლიდი, — ამოიბურტყუნა ბოლოს მისის ფორესტერმა.

სტუმრები დაიშალნენ. მისის ფორესტერს თმა არ შეუკრეჭია და ამის შესახებ კრინტი აღარავის დაუძრავს.

ერთ სამშაბათ საღამოს, როცა საღაცაა უკვე უნდა დაშლილიყვნენ. ისეთი ამბავი მოხდა, რამაც მისის ფორესტერის ლიტერატურული საქმიანობა სულ სხვანაირად წარმართა.

იმ დღეს დიდებული წვეულება გაიმართა. სტუმრად ჰყავდათ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი და მისის ფორესტერი ისე გათამამდა, აგრძნობინა (თუმცა უკან დასახევი გზაც დაიტოვა), ჩემს ბედს უყოყმანოდ დაუუკავშირებდი ლეიბორისტებსო. მართლაც, თუ პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლას აპირებდა, ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა აღარ მიეცემოდა. კლიფორდ ბოილზტონმა საფრანგეთის აკადემიის წევრი მოიყვანა და, თუმცა მისის ფორესტერმა იცოდა, რომ სტუმარს ინგლისური ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა, მაინც ეამა, როცა მან თავაზიანად შეუქო მაღალფარდოვანი და ამავე დროს გამჭვირვალე სტილი. სტუმრად ეწვიათ ამერიკის ელჩიც და ვილაც ახალგაზრდა რუსი თავადი, რომელიც, მის ძარღვებში მჩქეფარე რომანოვების სისხლი რომ არა, პროფესიონალი მოცეკვავე გეგონებოდათ.

ძალიან მომხიბლავად ეჭირა თავი ვილაც ჰერცოგის ნაცოლარს, რომელსაც ცოტა ხნის წინ ქმარი მიეტოვებინა და ჟოკეის გაჰყოლოდა ცოლად. მისი წოდებრივი ღირსება — თუმცა ცოტა ნირშეცვლილი და შებლალული — თავისებურ პეწს მატებდა წვეულებას. ერთი სიტყვით, აქ ლიტერატურის მნათობთა თანავარსკვლავედისთვის მოეყარათ თავი. ახლა უკვე ყველანი წასულიყვნენ და სასტუმრო ოთახში მხოლოდ კლიფორდ ბოილზტონი, ჰარი ოუკლენდი, როუზ უოტერფორდი, ოსკარ ჩარლზი და სიმონზი დარჩენილიყვნენ. ოსკარ ჩარლზი ჯუჯასავით ჩია ტანის კაცი იყო, ჯერაც ახალგაზრდა. მოვარაყებულჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, მაგრამ სახე ცბიერი მაიმუნივით დანაოჭებოდა. თავს სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახურით ირჩენდა, თავისუფალ დროს კი ლიტერატურას უთმობდა. იგი პატარ-პატარა წერილებს წერდა ყოველკვირეული იაფფასიანი გაზეთებისთვის და ამქვეყნად ყველაფერი უზომოდ სძულდა. მისის ფორესტერს მოსწონდა იგი — ნიჭიერიყო, ფიქრობდა. თავის მხრივ კლიფორდიც აღტაცებული იყო მასპინძლის სტილით (სხვათა შორის მას კლიფორდმა შეარქვა წერტილ-მძიმის ოსტატი), მაგრამ თავისი ღვარძლიანობით, ცოტა არ იყოს, დიასახლისსაც აფრთხობდა.



სიმონში მისი აგენტი გახლდათ. ამ პირმრგვალ კაცს სქელშუშიანი სათვალე თვალებს ძალზე უუშნოებდა და აკვარიუმში ნანახ უცნაურ კიბოს ამსგავსებდა. იგი მისის ფორესტერის წვეულებებს არ აცდენდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი იყო და მეორეც, მის სასტუმრო ოთახში ახალი კლიენტის შოვნის იმედი ჰქონდა. მისის ფორესტერი, რომელსაც სიმონში დიდი ხანია უმნიშვნელო გასამრჯელოს ფასად უწევდა სასტუმრო ოთახის მადლიერებას იმით გამოხატავდა, რომ დაუყვედრებელი ლეკვების მსახურებას ეხმარებოდა: ყველას აცნობდა, ვისთანაც კი ლიტერატურული საქონელი ეგულებოდა. ის კი არადა, თავიც მოჰქონდა, რომ ლედი სენტ-სუითინის ესოდენ გახმაურებული და გამომცემელთათვის საოცრად სარფიანი მემუარები პირველად სწორედ მის სასტუმრო ოთახში იქცა მსჯელობის საგნად.

სტუმრები მისის ფორესტერს გარს შემოსხდომოდნენ და, გულახდილად უნდა ითქვას, დიდის ამბითა და, ცოტა არ იყოს, გამჭირდავად მასლაათობდნენ იმდღევანდელ სტუმრებზე. მის უორენი, ფერმკრთალი სახის ქალი, რომელიც მთელ ორ საათს ჩაის ჩამოსასხამ მაგიდასთან იყო დაყუდებული, ახლა ოთახში მიმოდინდა და ცარიელ ფინჯნებს აგროვებდა. იგი სადღაც კი მსახურობდა, მაგრამ საიმისო დროს ყოველთვის შოულობდა, რათა მისის ფორესტერის წვეულებებს დასწრებოდა, სტუმრებისათვის ჩაი მიერთშია, საღამოობით კი ნაწერები ებეჭდა. მისის ფორესტერი ამისათვის არაფერს უხდოდა. პირიქით, გუნებაში ფიქრობდა, მადლობელი იყოს, რომ ვაბეჭდინებო. ერთი ეგ იყო, მუქთად ნაშოვნ კინოს ბილეთებს აძლევდა და ხანდახან თავის გამონაცვალ ტანსაცმელსაც აჩუქებდა ხოლმე.

მისის ფორესტერი თავისი მჟღერი, ბოხი ხმით დარბაისლურად ლაპარაკობდა, სხვები კი სულგანახულნი უსმენდნენ. იმ დღეს მაინც საოცრად უჭრიდა ენა და მისი ყოველი სიტყვა შეიძლებოდა კაცს უცვლელად იქვე ქაღალდზე გადაეტანა.

უეცრად დერეფანში ბრაგვანი გაისმა, თითქოს რაღაც მძიმე დაეცაო. მერე კი ამას ყაყანი მოჰყვა.

მისის ფორესტერი დადუმდა და კეთილშობილური სახე, ცოტა არ იყოს, მოედუნა.

— აქამდე ვერ შეიგნეს, რომ ვერ ვიტან სახლში ალიაქოთს. მისს უორენ, თუ შეიძლება, დარეკეთ და გაიგეთ, რა მოხდა.

მის უორენმა ხარი დარეკა და მსახური შემოვიდა თუ არა, მის უორენმა კარებშივე ჰკითხა რაღაც ხმადაბლა, რათა მისის ფორესტერისთვის ლაპარაკში ხელი არ შეეშალა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა მისის ფორესტერმა საუბარს თავი მიაჩნება.

— რა მოხდა, კარტერ? სახლი ინგრევა თუ, როგორც იქნა, რევოლუცია დაიწყო.

— როგორ გითხრათ, მემ, ალიაქოთი ახალი მზარეულის სკივრის გამო ატყდა. შვეიცარმა შემოიტანა და იატაკზე დაავდო. ახალი მზარეული კი გაცეცხლდა.

— რომელ ახალ მზარეულზე მეუბნები?

— მისის ბულფინჩი დღეს ჩვენგან წავიდა, მემ, — მიუგო მოახლემ.

მისის ფორესტერი გაკვირვებით მიაშტერდა.

— პირველად მესმის. კი მაგრამ, წინასწარ გაგვაფრთხილა? როგორც კი მისტერ ფორესტერი მოვა, უთხარით მნახოს.



— დიახ, მემ.

მოახლე გავიდა. მის უორენი ნელა მივიდა ჩაის მაგიდასთან და, თუმცა ჩაი არავის უნდოდა, რამდენიმე ფინჯანი მექანიკურად აავსო.

— რა უბედურებაა! — წამოიძახა მის უოტერფორდმა.

— მზარეული უნდა დაიბრუნოთ, — თქვა კლიფორდ ბოილზტონმა. — ეგ ქალი ხომ ნამდვილი განძია — არნახული მზარეულია, უნდაც დღითიდღე სულ უკეთეს და უკეთეს კერძებს ამზადებს.

ამ დროს მოახლე ისევ შემოვიდა და მოვერცხლილი ლანგრით დიასახლისს ბარათი გადასცა.

— ეგ რა არის? — ჰკითხა მისის ფორესტერმა.

— მისტერ ფორესტერმა დამიბარა, როცა მომიკითხავს, ეს ბარათი მიაართვიო, მემ — მიუგო მოახლემ.

— თვითონ სადღაა?

— მისტერ ფორესტერი წავიდა, მემ, — თითქოს შეკითხვამ გააოცაო ისე მიუგო მოახლემ.

— წავიდა? კარგი. შევიძლია წაბრძანდე.

მოახლე გავიდა და ნირწამხდარმა მისის ფორესტერმა ბარათი გახსნა. რო-უზ უოტერფორდმა მერე მითხრა, პირველად ვიფიქრე, ეტყობა, ელბერტს შეეშინდა, მისის ბულფინჩის გადასვლის გამო ცოლის რისხვას ვერ გადაურჩებო, და ტემზაში გადავარდა-მეთქი. მისის ფორესტერმა ბარათი წაიკითხა და ელდა ეცა.

— რას მოვესწარი! — შეიცხადა მან. — ამას რას მოვესწარი!

— რა მოხდა, მისის ფორესტერ?

მისის ფორესტერმა გაოჩნებული ცხენივით დასცხო ფეხები ხალიჩას, დონიჯი შემოიფარა (სიტყვით ძნელი ასაწერია, მაგრამ ალბათ ყველას გინახავთ საჩხუბრად შემართული თევზის ვაჭარი) და ცნობისმოყვარე და შეპრწუნებულ მეგობრებს მოავლო თვალი.

— ელბერტი მზარეულს გაჰკიდებია.

ყველას გაოცების შემახილი აღმოხდა. მერე კი რაღაც საშინელება მოხდა. მის უორენს, რომელიც ჩაის დასასხმელი მაგიდის იქით იდგა, უეცრად სული შეეხუთა. მის უორენს, რომელსაც არასოდეს კრინტი არ დაუძრავს და მისთვისაც არავის გაუცია ხმა, მის უორენს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ყოველ სამშაბათს ხედებოდნენ, მაგრამ ქუჩაში მაინც ვერ ცნობდნენ, უეცრად თავშეუკავებელი კისკისი აუტყდა. ყველა უმაღვე მიბრუნდა და გაოცებული მიაჩერდა. ალბათ ასე გაოგნდა ბალაამი, როცა მისმა სახედარმა ენა ამოიდგა. მის უორენი თავშეუკავებლად კისკისებდა. ეს თავზარდამცემი რამ იყო, თითქოს ბუნების ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესები დაირღვა. სკამებსა და მაგიდებს რომ მოულოდნელად უცნაური როკვა წამოეწყოთ, ასე არ გაუკვირდებოდათ. მის უორენი ცდილობდა თავი შეეკავებინა და რაც უფრო ცდილობდა ამას, მით უფრო ცახცახებდა სიცხლისაგან. ბოლოს ცხვირსახოცი პირში ჩაიჩარა და გარეთ გავარდა. კარი ჯახუნით დაიხურა.

— ისტერიკა მოუვიდა, — თქვა კლიფორდ ბოილზტონმა.

— ცხადია, ნამდვილი ისტერიკაა, — მიუგო ჰარი თუკლენდმა.

მისის ფორესტერს ხმა არ ამოუღია.

ბარათი მის ფერხით ეგდო. სამონზმა, მისმა აგენტმა, აიღო და მიაწოდა, მაგრამ ქალმა არ გამოართვა.



— წაიკითხეთ, — უთხრა მისის ფორესტერმა, — ხმამაღლა წაიკითხეთ. მისტერ სიმონზმა სათვალე შუბლზე აიწია, ბარათი თვალებთან მიიტანა და კითხვა დაიწყო:

„ჩემო ძვირფასო!

მისის ბულფინის გარემოს გამოცვლა სჭირდება და ჩვენგან წახვლა გასული წყვიტა. რადგან უიმისოდ არ გამეძლება, მეც მივევები მეყოფა, რაც ვითმინე — ლიტერატურა და ხელოვნება ყელში ამომვიდა.

მისის ბულფინი ცოლობას არ მთხოვს, მაგრამ თუ გამეყრები, შევირთავ. ვიმედოვნებ ახალი მზარეულის კმაყოფილი დარჩები. მას საუკეთესო რეკომენდაციები აქვს. თუ რაიმეში დაგჭირდეს, გაცნობებ, რომ ჩემი და მისის ბულფინის მისამართია: კენინგტონ 411, საუთ სიტი.

ელბერტი“.

კრინტი არავის დაუძრავს. მისტერ სიმონზმა სათვალე ისევ ცხვირზე ჩამოიწია: მართალია, შესანიშნავი მოუბარნი იყვნენ და საუბრის თემა არასოდეს შემოაკლდებოდათ, ახლა ვერც ერთი სიტყვას ვერ პოულობდა. მისის ფორესტერი ისეთი ქალი არ იყო, თანაგრძნობის გამოცხადებით დაგემშვიდებინა, ესეც არ იყოს, ყველას ეშინოდა, ისეთი არაფერი წამოგვცდეს, მერე სხვების სასაცილო შევიქნეთო. ბოლოს კლიფორდ ბოილზტონმა ამოიღვა ენა.

— არც კი ვიცი, რა ვთქვა, — შენიშნა მან.

კვლავ სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს როუზი უოტერფორდმა იკითხა:

— შესახედავად როგორია ეგ მისის ბულფინი?

— რა ვიცი, — ამრეზილად მიუგო მისის ფორესტერმა. — ხეირიანად არც კი შემიხედავს. მსახურებს მუდამ ელბერტი იყვანდა. მზარეული ჩემთან მხოლოდ ხუთი წუთით თუ შემოვიდოდა და კერძებს გამასინჯებდა. საკმაში ხომ არ აკლიაო?

— ნუთუ ყოველ დღით მითითებების მისაღებად არ შემოდიოდა?

— მითითებებს ელბერტი აძლევდა ყველას. მე არ მაწუხებდა, საქმეს ნუ მოცდებო. ადამიანი ყველაფერს ვერ გასწვდება.

— სუფრასაც ელბერტი აშლევინებდა შაბათობით?

— რა თქმა უნდა. ასეთ რამეებს თვითონ აგვარებდა.

კლიფორდ ბოილზტონმა ოდნავ აზიდა წარბები. რა რეგენია! აქამდე როგორ ვერა ხვდებოდა, რომ ასეთი ძვირფასი სუფრა ელბერტის გემოვნებით იყო გაწყობილი. ცხადია, მისი წყალობით იყო საუცხოო „შაბლი“ სწორედ იმდენად ჩაცებიული, რომ ენას საამოდ გადავლებოდა და თან არც თაიგული დაჰკარგვოდა და არც სურნელება.

— სწორედ რომ კარგად იცოდა საჭმლისა და ღვინის ცნობა.

— აკი გეუბნებოდით, ბევრი კარგი თვისება აქვს-მეთქი, — ისე მიუგო მისის ფორესტერმა, თითქოს კლიფორდ ბოილზტონს რამე ესაყვედურებინოს. — თქვენ კი ყველანი დასცინოდით. არა გჯეროდათ, რომ გეუბნებოდით, ცხოვრებას მიიღლებს-მეთქი.

ხმა არავის ამოუღია და ისევ დუმილი ჩამოწვა — მძიმე და ავბედითი. უცრად მისტერ სიმონზმა ყუმბარა ისროლა.

— ქმარი უნდა დაიბრუნოთ.

მისის ფორესტერი გაოცებისაგან ერთი-ორი ნაბიჯით მაინც წაბარბაცდებოდა უკან, ზურგით ბუხარზე რომ არ ყოფილიყო მიყრდნობილი.

— რას ამბობთ! — წამოიძახა მან. — ხანამ სული მიღვას, ჩემი თვალები



მას აღარ იხილავს. ამას ვაპატიებ?! არასოდეს! ვერ ეღიბება, მუხლის ჩოქვითაც რომ მოვიდეს!

— აპატიეთ კი არა, — აბრუნეთ-მეთქი.

მაგრამ მისის ფორტერმა ყურა არ ათხოვა უადგილო შეხსოვრებას.

— მისთვის არაფერი დამიშურებია. მითხარით, უჩემოდ რა ეშველებოდა? ჩემს ხელში ისეთ რამეს ვარსა, სიზმრადაც არ მოელანდებოდა?

მისის ფორესტერის გულისწყრომა უსახდვრო იყო, მაგრამ მისი ნიერი ვერ უცვალა მისტერ სიმონზს:

— კი, მაგრამ, თავის რჩენას როგორ აპირებთ?

მისის ფორესტერმა ისეთი მხერა ესროლა, მეგობრობისა რომ არაფერი ეცხო, და ცივად მიუგო, ღმერთი მომცემსო.

— რაღაც არა მგონია, — დაეჭვდა სიმონზი.

მისის ფორესტერმა მხრები აიჩეხა. საშინლად აღმფოთებული ჩანდა, სიბრაზისაგან სახე უელავდა, მაგრამ მისტერ სიმონზმა ამას ყურადღება არ მიაქცია, მოხერხებულად მოეწყო სკამზე და სიგარეტს მოუკიდა.

— ხომ იცით, რომ ჩემსავით არავინ გაფასებთ, — თქვა მან.

— არა, ჩემსავით, — სიტყვა გააწყვეტინა კლიფორდ ბოილზტონმა.

— ან კიდევ ჩვენსავით, — სხვებსაც მიმართა მისტერ სიმონზმა, — ჩვენ ყველანი ვთვლით, რომ თქვენი ბადალი არავინა გყავს. თქვენი ლექსიცა და პროზაც საუკეთესოა, სტილი ხომ ყველამ იცის, როგორი გაქვთ.

— სერ ტომას ბრაუნის მძალადგარდოვანი და კარდინალ ნიუმენის ვამაყობოდა, — თქვა კლიფორდ ბოილზტონმა. — ჯონ დრაიდენის ვამაყობოდა და ჯონათან სვიფტის ვამაყობოდა.

კრიჭაშეკრულ მისის ფორესტერს სახეზე ცაღება ღიმილი გაუკრთა და ამით თუ მიხვდებოდა კაცი, რომ კლიფორდ ბოილზტონს ყურს უგდებდა.

— იუმორიც არ გაკლიათ.

— ვინ გეგულებათ ისეთი, — წამოიძახა მის უოტერფორდმა, — თქვენსავით რომ ეხერხებოდეს ამდენი საზრიანობა, სატირა და გონებამახვილობა ჩააქსოვოს წერტილ-მძიმეში?

— მაგრამ თქვენი წიგნები მაინც არ იყიდება, — აღუშფოთებლად განაგრძობდა მისტერ სიმონზი. — ოცი წელიწადია, თქვენს საქონელს ვასაღებ და დაუფარავად ვეტყვით — საკომისიომ ვერ ამაშენა, მაგრამ მათ გასაღებაზე ხელს არ ვიღებ, იმიტომ რომ მინდა ხოლმე კარგ წიგნს გზა გაუხსნა. მე მუდამ მწამდა თქვენი და იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან თქვენს წიგნებს დაიტაცებენ, მაგრამ თუ გგონიათ, თქვენი ნაწერებით თავს გაიტანთ, იცოდეთ, მაგის იმედი ნუ გექნებათ.

— გვიან მომიხდა ცხოვრება, — თქვა მისის ფორესტერმა. — მე შეთვრამეტე საუკუნეში უნდა მეცხოვრა, როცა მდიდარი მეცენატები მიძღვნილი ნაწარმოებისათვის ას გინებას იძლეოდნენ ჯილდოდ.

— რას იტყვით, ქიშმიშით ვაჭრობა სარფიანი საქმეა?

მისის ფორესტერმა მუშად ამოიოხრა.

— არა, რას ამბობთ. რამდენჯერ უთქვამს ელბერტს, ჩემი წლიური შემოსავალი ათას ორას გირვანჯას არ აღემატებაო.

— ისე დიდი მოხერხებული კაცი ჩანს, მაგრამ რაც შემოსავლიდან თქვენ რაღა უნდა გერგოთ სარგოდ? — ყური დამიგდეთ, სხვა გამოსავალი აღარა გაქვთ, უნდა დაიბრუნოთ ქმარი.



— მაგას მირჩევნია, მანსარდაში ვიცხოვრო. ნუთუ გვინათ, ასეთ შეურაცხყოფას ვაპატიებ? ხომ არ გინდათ, მისი თავი წავართვა ჩემს ყოფილ მზარეულს? ნუ დაივიწყებთ, რომ ჩემისთანა ქალისთვის მთავარი კეთილდღეობა კი არა — თავმოყვარეობაა.

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნებით. — მშრალად მიუგო მისტერ სიმონზმა.

მან იქ მყოფთ გადახედა და ელაში თვალები მართლაც კიბოსავით გადმოსკარკლა.

— ეჭვი არ მეპარება, მწერლობაში საბატიო და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ადვილი ვიჭირავთ, — განაგრძო მან! — ყველასგან გამორჩევით ნიჭი ფულზე არასოდეს გაგიცვლიათ და მუდამ მაღლა ვიჭირავთ ხელოვნების წმინდათაწმინდა ალაში. ამასთან პარლამენტის წევრობას აპირებთ. მე პოლიტიკოსებზე დიდი აზრის არ გახლავართ, მაგრამ თუ მართლაც ავირჩიეს, თავისთავად ცხადია, ეს საუცხოო რეკლამას გაგიწევთ და სხვა თუ არაფერი, იქნებ ამერიკაში ლექციების ტურნე მაინც მოგიწყობთ. თქვენ იდეალები გაგანიათ და ამიტომ ისეთი ადამიანებიც გცემენ პატივს, თქვენი დაწერილი ერთი სიტყვაც რომ არ წაუკითხავთ. ოღონდ თქვენი მდგომარეობის ადამიანს ერთადერთი რამ არ ეპატიება — სასაცილოდ გაიხადოს თავი.

მისის ფორესტერი შესამჩნევად შეკრთა.

— მაინც რა უნდა ვქნა?

— არ ვიცი, როგორი ქალია მისის ბულფინჩი. ადვილი შესაძლებელია, პატიოსანი ქალიც იყოს. ერთი კი ცხადია, კაცი რომ თავის მსახურს გაეკიდება, ცოლს სასაცილო ყოფაში აგდებს. სხვა საქმეა, მოცეკვავეს ან დიდგვაროვან ქალს გაკიდებოდა, მაშინ ვერას გავნებდათ, მაგრამ თავი მოგჭრათ — ვიღაც მზარეულს გაეკიდა. ერთ კვირაში მთელი ლონდონი სასაცილოდ ავიგდებთ, მწერალსა და პოლიტიკოსს კი მხოლოდ მასხრად აგდება ასამარებს. ქმარი უნდა დაიბრუნოთ და რაც შეიძლება მალე.

მისის ფორესტერს ბრაზით აენტო სახე, მაგრამ მაშინვე არაფერი უთქვამს. მას ჯერაც ყურებში ედგა მის უორენის გამაყრუებელი და თავშეუკავებელი კისკისი, რამაც ქალი აიძულა გარეთ გავარდნილიყო.

— აქ სულ თქვენი მეგობრები ვართ და ეს ამბავი არსად დაგვცდება.

მისის ფორესტერმა თვალი მოავლო თავის მეგობრებს და მოეჩვენა, რომ როუზ უოტერფორდს უკვე მზაკვრულად უელავდა თვალები. ოსკარ ჩარლზის დანაოჭებულ სახეზე დაცინვა გამოსჭვითდა. გულში გაივლო, ნეტავი ცხელ გულზე ასეთი საიდუმლო ამათთან არ დამცდენოდაო. მისტერ სიმონზი კარგად იცნობდა ლიტერატორთა წრეს და ყველას სათითაოდ მოავლო თვალი.

— თქვენ ხომ მწერლობის სული და გული ხართ. თქვენი ქმარი მართლ თქვენ კი არ გაგექცათ, არამედ ამათაც აქცია ზურგი. ეს არც სხვებისთვისაა სასიამოვნო: ერთი სიტყვით, ელბერტ ფორესტერმა ყველანი მასხრად ავიგდოთ.

— ყველანი, — კვერი დაუკრა კლიფორდ ბოილზტონმა. — ახლა ყველანი ერთ დღეში ვართ. მართალს ამბობს, მისის ფორესტერ, „ფილატელისტი“ უნდა დაიბრუნოთ.

— Et tu, Brute\*.

მისტერ სიმონზს ლათინური კიდევ რომ სცოდნოდა, მისის ფორესტერის შემახილი ალბათ მაინც ვერ აუტოკებდა გულს. მან ჩაახველა და თქვა:

\* შენაც, ბრუტუს? (ლათ.).



— ჩემი აზრით, მისის ფორესტერმა ხვალვე უნდა მოინახულოს ოჯახის თავი — მადლობა ღმერთს, მისამართი დაგვიტოვა — და განზრახვა შეაცვლევინოს. ვერ გეტყვით, ასეთ დროს რას ეუბნებიან ქალები ქმრებს, მაგრამ მისის ფორესტერს ტაქტიკა აქვს, წარმოსახვის უნარიც და სათქმელს ებოვის. თუ მისტერ ფორესტერი პირობებს წამოუყენებს, უნდა დათანხმდეს. უარი არაფერზე უნდა უთხრას. არაფერს არ დაერიდოს.

— თუ საუბარს მოხერხებულად წარმართავთ, საესტაბლიშმენტისა, ხვალ სადამოსვე დაიბრუნოთ ქმარი, — უზრუნველად თქვა როუზ უოტერფორდმა.

— რას იტყვით, მისის ფორესტერ, თანახმა ხართ?

მათკენ ზურგმუქცეული მისის ფორესტერი ორიოდ წუთით მაინც უცქერდა ჩამქრალ ბუხარს, მერე წელში გასწორდა, სტუმრებისკენ პირი იბრუნა:

— რას ვიზამ! ჩემი ინტერესები ხელოვნებას უნდა ვანაცვალო. ვერ ავიტან, რომ ფილისტერების ქირქილი ლაფში ავლებდეს ყოველივე იმას, რაც სიკეთედ მშვენიერებად და ჭეშმარიტებად მიმაჩნია.

— მართალს ბრძანებთ, — თქვა მისტერ სიმონზმა და ფეხზე წამოდგა. — ხვალ შინ წასვლამდე შემოვივლით და ვიმედოვნებ, თქვენ და მისტერ ფორესტერს მტრედებივით მოღუღუნეს გიხილავთ.

იგი წავიდა თუ არა, იმის შიშით, მისის ფორესტერთან და მის ნაღველთან მართლ არ დავრჩეთო, სხვებიც უკან მიჰყვნენ.

მეორე დღეს, მოსაღამოებულზე, მისის ფორესტერი, შავი აბრეშუმის კაბასა და ხავერდის ტოკაში გამოპრანჭული, შინიდან გამობრძანდა და „მარბლ არჩისაკენ“ გასწია, რათა იქიდან ვიქტორიას სადგურამდე ავტობუსით ემგზავრა. მისტერ სიმონზმა ტელეფონით აუხსნა, როგორ მისულიყო სწრაფად და იაფად კენინგტონ როუდზე. მისის ფორესტერი დალილას არა ჰგავდა და არც თვითონ მოჰქონდა დალილად თავი. ვიქტორიას სადგურთან იმ ტრამვაიში ჩაჯდა, რომელიც ვოქსჰოლის ხიდზე გადიოდა. ტემზის გაღმა უბანი უფრო ბინძური, მოფუსფუსე და ხმაურიანი ჩანდა, ვიდრე ის, სადაც თვითონ ცხოვრობდა, მაგრამ ფიქრებში გართულმა ვერც კი შენიშნა, რომ ტრამვაი ახალ უბანში შევიდა. როცა გამოერკვა, დაინახა, რომ ტრამვაი, ბედად, სწორედ კენინგტონ როუდს მიუყვებოდა და კონდუქტორს სთხოვა, იმ სახლის აქეთ გამიჩერეთო. როცა ჩავიდა და ტრამვაიმ რახრახით ჩაუარა, უცნობ ქუჩაში აღმოჩნდა და უცნაური დაბნეულობა იგრძნო — თითქოს აღმოსავლური ზღაპრის მგზავრი ჯინს უცნობ ქალაქში ჩამოესვა. იგი ხელა მიუყვებოდა ქუჩას და აქეთ-იქით იყურებოდა. და თუმცა მის დიდ მკერდში ბრაზი და დაბნეულობა ერთმანეთს ენაცვლებოდა, იმის ფიქრი არ შორდებოდა — ჩემ თვალწინ მზამზარეული მასალააო ნარკვევისთვის. დაბალ სახლებს იმ გარდასული დროის რაღაც ლაზათი შემორჩენოდათ, როცა აქ ჯერ კიდევ პატარა სოფელი იყო. მისის ფორესტერმა გაიფიქრა, ერთი ბიბლიოთეკაში უნდა ვნახო, რა ლიტერატურული ასოციაციებია დაკავშირებული კენინგტონ-როუდთანო.


სახლი № 411 ქვაფენილიდან ცოტა მოშორებით იდგა, ძველისძველი შენობების რიგში და თვითონაც გვარიანად მოძველებული ჩანდა. წინ დამჭკნარი ბალახის ვიწრო ზოლი გასდევდა და მოკირწყლული ბილიკი დიდი ხნის შეუღებავ, გისოსებიან ხის პარმალთან მიდიოდა. პარმალი და სახლის ფასადი, რომელსაც დახლართული, უსუსური სურთ მოსდებოდა, აქაურობას სოფლურ იერს აძლევდა, რაც უცნაური და რაღაც ავბედითიც ჩანდა ტრანსპორტის რახრახსა



და ხმაურში. ჰქონდა ამ სახლს რაღაც ისეთი საეჭვო იერი, რომ ადამიანი იფიქრებდა, აქ დროსტარებას გადაყოლილი ქალები ცხოვრობენ და დაუმსახურებელი ჯილდო რეგებიანთ.

კარი თხუთმეტიოდუ წლის გამხდარმა, აყლაყულა და თმაგაჩენილმა გოგომ გაუღო.

— ვერ მეტყვი, აქ ცხოვრობს მისის ბულფინჩი?

— თქვენ სხვისი ზარი დარეკეთ. ის ზემო სართულზეა, —  — ზემო სართულზე მიუთითა და თან ყურისწამლებად გასძახა: — მისის ბულფინჩი, თქვენთან სტუმარია! მისის ბულფინჩი!

მისის ფორესტერი ჭუჭყიან კიბეს აუყვა. კიბეზე დახეული ნოხი ეფინა. ქოშინი რომ არ ავარდნოდა, ნელა ადიოდა. მეორე სართულზე რომ ავიდა, კარი მისმა მზარეულმა გაუღო.

— სადამო მშვიდობისა, ბულფინჩი, — ღირსეულად უთხრა მისის ფორესტერმა — მინდა თქვენი ბატონი ენახო.

მისის ბულფინჩი წამით შეყოვნდა, მერე კი ფართოდ გაუღო კარი.

— შემობრძანდით, მემ, — მან უკან მიიხედა. — ელბერტი, მისის ფორესტერია შენთან.

მისის ფორესტერმა მარდად აუარა მას გვერდი. ელბერტი ბუხართან, ტყავის გაცვეთილ სავარძელში ხალათის ამარა იჯდა და ფოსტლები ეცვა. სალამოს გაზეთს კითხულობდა და სიგარას აბოლებდა. მისის ფორესტერი რომ ოთახში შევიდა, იგი წამოდგა, მისის ბულფინჩმა კარი დაკეტა და სტუმარს ფეხდაფეხ მიჰყვა.

— როგორა ხარ, ჩემო ძვირფასო? — ხალისიანად დაუხვდა ელბერტი. — იმედია, კარგად იქნები.

— კარგს იზამდი, პიჯაკი რომ ჩაგეცვა, ელბერტი, — უთხრა მისის ბულფინჩმა, — თორემ ასე რომ ვხედავს, ვინ იცის რას იფიქრებს მისის ფორესტერი?

მან საკიდიდან პიჯაკი ჩამოხსნა და მისტერ ფორესტერს ჩაცმაში უშველა, მერე კი იმ ქალივით, რომელმაც იცის, როგორ გაუსწოროს მამაკაცს ტანისამოსი, საყელო რომ არ მოკეცვოდა, უილეტი ჩამოუწია.

— შენი წერილი მივიღე, ელბერტი, — უთხრა მისის ფორესტერმა.

— რომ არ მიგეღო, ისე როგორ მომაგნებდი?!

— დაბრძანდით, მემ, — სთხოვა მისის ბულფინჩმა, შინდისფერხავერდგადაკრული ექვსი ერთნაირი სკამიდან ერთ-ერთს მარჯვედ გადააცალა მტვერი და მისის ფორესტერს დაუდგა.

მისის ფორესტერმა ოდნავ დაუკრა თავი და სკამზე ჩამოჯდა.

— შენთან მართო მინდა ლაპარაკი, ელბერტი! — უთხრა მან.

მისტერ ფორესტერს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— რაკი შენი სათქმელი მისის ბულფინჩსაც ეხება, უმჯობესია, მისი თანდასწრებით ვისაუბროთ.

— როგორც გენებოს.

მისის ბულფინჩმა სკამი მიიწია და ჩამოჯდა. მისის ფორესტერს აქამდე იგი მხოლოდ ჩითის კაბისა და დიდი წინსაფრის ამარა ენახა, ახლა კი თეთრი აბრეშუმის გულამოჭრილი ზედატანი, შავი ქვედა კაბა და ვერცხლისბალთიანი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ასე, ორმოცდახუთი წლის ქალი იქნებოდა,



ელალთმიანი, წითური სახისა. ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ საამო და ეშხიანი კი გახლდათ. მან მისის ფორესტერს რომელიღაც ძველი ჰოლანდიელი ოსტატის სურათში ნანახი სიცოცხლით სავსე, ლოყებლაჟდაჟა, ჩასუქებული მოახლე მოაგონა.

— აბა, ჩემო კარგო, რა გაქვს ჩემთვის სათქმელი? — ჰკითხა ელბერტმა.

მისის ფორესტერმა ქმარს საოცრად ალერსიანად გაუღიმა და დიდრონი შავი თვალები ღმობიერად და გულთბილად მიანათა.

— ცხადია გესმის, ელბერტ, რომ ეს საშინელი უაზრობაა. ეტყობა, სრულ ჭკუაზე აღარა ხარ.

— რას მეუბნები, ჩემო კარგო? ხომ არ ხუმრობ?

— არ გიბრაზდები, მეცინება კიდევ, ოღონდ ყველაფერს საზღვარი აქვს და მეტიმეტი არაფერი ვარგა. ახლა კი შინ უნდა წაგიყვანო.

— ბარათი გასაგებად არ იყო დაწერილი?

— სავსებით! მე არც არაფერს გეკითხები და არც არაფერს გისაყვედურებ ოდესმე. ეს წუთიერ თავდავიწყებად მივიჩნით და ამით გავათავოთ ას ამბავი.

— შენთან ცხოვრებას ველარაფერი მაიძულებს, ჩემო კარგო, — უთხრა ელბერტმა სავსებით მეგობრულად.

— მაშ არა ხუმრობ?

— სულაც არა.

— გიყვარს ეს ქალი?

მისის ფორესტერი ისევ ისე ნაძალადევი გულითადობით უღიძოდა.

გადაწყვეტილი ჰქონდა მშვიდად სჭეროდა თავი. თავისი ფხიზელი გონებით კარგად ხვდებოდა ამ სცენის მთელ კომიზმს. ელბერტმა მისის ბულფინჩს შეხედა და დანაოჭებულ სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— ხომ ვეგუებით ერთმანეთს, ჩემო გოგონა?

— არც ისე ცუდად, — მიუგო მისის ბულფინჩმა.

მისის ფორესტერმა წარბები აზიდა. ერთხელაც არ ახსოვს, ქმარს მისთვის „ჩემო გოგონი“ დაეძახოს და არც თვითონ დაამახებინებდა.

— თუ მისის ბულფინჩი ოდნავ მაინც გაფასებს ან ხათრი აქვს შენი, უნდა ხვდებოდეს, რომ თქვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. არ უნდა ეგონოს, რომ შენსავეთ ნაცხოვრები და შენი წრის ადამიანი ბედნიერი იქნება ასეთ უბადრუკად გაწყობილ ბინაში.

— ეს ავეჯიანად ნაქირავები ბინა არ გახლავთ, მემ, — თქვა მისის ბულფინჩმა. — ეს ავეჯი ჩემია. სხვის იმედზე ყოფნა არ მიყვარს და მუდამ მაქვს ჩემი ბუდე მაშინაც კი, როცა მოსამსახურედ ვდგები, რომ ყოველთვის მეგულეობდეს თავშესაფარი.

— და ძალიან მყუდრო თავშესაფარიც — თქვა ელბერტმა.

მისის ფორესტერმა ოთახს მოავლო თვალი. ბუხარში შედგმულ ქურაზე ჩაიდანი შიშინებდა, ბუხრის თავზე კი, ორ შავ შანდალს შორის, შავი მარმარილოს საათი იდგა. დიდ მაგიდაზე წითელი სუფრა იყო გადაფარებული. ოთახში კომოდი და საკერავი მანქანა იდგა. კედლებზე ფოტოსურათები და ჩარჩოში ჩასმული, საშობაო კალენდრიდან ამოჭრილი ნახატები ეკიდა. მეორე კარს წითელი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული და მისის ფორესტერი მიხვდა, თუ ამ ბინის მოცულობას გაითვალისწინებდა, ეს კარი ერთადერთი საძინებელი ოთახისა იყო. ერთი სიტყვით, ცხადზე ცხადი იყო რა ურთიერთობაც ჰქონდათ ელბერტსა და მისის ბულფინჩს.



— განა ჩემთან ბედნიერი არ იყავი, ელბერტ? — ჰკითხა მისის ფორესტერმა უფრო დადინჯებულად.

— ჩემო კარგო, ჩვენ ოცდათხუთმეტ წელიწადს ვიყავით ცოლ-ქმარი. ეს ძალიან დიდი დროა, მეტიმეტად დიდი დრო. შენ დასაწუნი ადამიანი არა ხარ, მაგრამ ვერ შეგეგუე. შენ ლიტერატურა და ხელოვნება გიყვარს, მე კი არა.

— მე ხომ მუდამ ვცდილობდი ყველაფერში ჩემს თანამდგომარეობას, ყოველ დონეს ვხმარობდი, რომ წარმატებით არ დამეჩრდილე. ყველურებ უყურადღებოდ მექცეოდით.

— შესანიშნავი მწერალი ხარ, ამას წუთითაც არ უარყოფ, თუმცა, სიმართლე გითხრა, შენი ნაწერები არ მომწონს.

— უკაცრავად ვარ შენთან, მაგრამ ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ გემოვნება არ გივარგა. ყველა ცნობილი კრიტიკოსი აღიარებს მათ ცხოველყოფილობას და მომხიბვლელობას.

— აღარც შენი მეგობრები მომწონს. ერთ საიდუმლოს გაგიმხელ ჩემო კარგო. შენს წვეულებებზე ერთი სული მქონდა, მოდი გავშიშვლდები და ვნახავ რას იზამენ-მეთქი.

— არაფერსაც არ ვიზამდით, — მიუგო მისის ფორესტერმა და კოპები შეიკრა. — მაშინვე ექიმს გამოვუძახებდი, ეს არის და ეს.

— სამაგისოდ არც ტანი გიწყობს ხელს, ელბერტ, — უთხრა მისის ბულფინჩმა.

მისის ფორესტერს არ დავიწყებია, მისტერ სიმონზმა რომ სიტყვა გადაუკრა თუ საჭირო გახდა, უყოყმანოდ გამოიყენეთ ქალური მომხიბლაობა, რათა თქვენი გზააბნეული ქმარი ოჯახურ კერას დაუბრუნოთო, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა მოეხერხებინა. გაიფიქრა, საღამოს კაბა რომ მეცვას, ალბათ უფრო გამაადვილდებოდა ელბერტის მოხიბლვაო.

— ნუთუ ოცდათხუთმეტი წლის ერთგულება არაფერს ნიშნავს? სხვა მამაკაცისთვის ჩემს დღეში არ შემიხედავს ელბერტ შეგეჩვიე. უშენოდ რა მეშუელება!

— ახალ მზარეულს მთელი მენიუ დაფუტოვე, მემ. მარტო ის უთხარით, რამდენი კაცისთვის მოამზადოს, და ყველაფერს გაართმევს თავს. — თქვა მისის ბულფინჩმა. — საუცხოო კერძებს ამზადებს, ნამცხვრები კი ისეთი იცის, მაგის ნახელავს ვერაფერი შეედრება.

მისის ფორესტერი წახდა. მისის ბულფინჩის ამ შენიშვნის მერე, რაც უეჭველია, მხოლოდ სიკეთით იყო ნაკარნახევი, ძნელი იყო საუბარი ისე წარემართა რომ გრძნობებზე ლაპარაკი ადამიანს ყურით მოთრეულად არ მოჩვენებოდა.

— ვფიქრობ ტყუილუბრალოდ ჰკარგავთ დროს, ჩემო კარგო, — უთხრა ელბერტმა. — ჩემს სიტყვას არ გადავალ. ახალგაზრდა აღარა ვარ და მომვლელიც მჭირდება. ცხადია, სარჩოს არ მოგაკლებ. კორინი ჩამცივებია, საქმეს თავი დაანებეო.

— კორინი ვინლაა? — შეეკითხა გაოგნებული მისის ფორესტერი.

— ჩემი სახელია, — თქვა მისის ბულფინჩმა. — დედაჩემი ნახევრად ფრანგი იყო.

— ახლა ბევრი რამ გასაგებია, — მიუგო მისის ფორესტერმა და ტუჩები მოკუმა. თუმცა ჩვენი მეზობლების ლიტერატურა აღტაცებას გვრიდა, ისიც იცოდა, რომ ხნეობით დიდად ვერ დაიკვივნიდნენ.



— ვეუბნები, გეყოფა, რაც იმსახურე, დროა შენს თავსაც მიხედო-მეთქი კლექტონში ერთი პატარა სახლი მაქვს. მიდამოც ჩინებულია და ჰაერიც საუცხოლო — მშვენივრად ვიცხოვრებთ. იქ რა მოაწყენს ადამიანს — ხან პლაჟზე გაივლის და ხან ნავმისადგომზე გავა. იქაურებიც კარგი ხალხია. შენ თუ არ შეაწუხებ ვინმე, უბატონოდ ხმას არავინ გაგცემს.

— დღეს ჩემს კომპანიონებს ველაპარაკე და მზად არაა ჩემი წილი შეისყიდონ. ზოგი რამ უნდა დავთმო. ყველაფერს რომ მოვრჩები, წლიური შემოსავალი ცხრაასი გირვანქა მექნება. ჩვენ სამნი ვართ, ასე რომ თითოეულს წელიწადში სამასი გირვანქა შეგვხვდება.

— ეს რას მეყოფა! — წამოიძახა მისის ფორესტერმა. — მდგომარეობას ხომ ვერ დაგვარგავ?

— შენ კალამი გიჭრის ჩემო კარგო!

მისის ფორესტერმა გაბრაზებით აიჩენა მხრები.

— მშვენივრად იცი, რომ წიგნებით თავს ვერ ვირჩენ. მარტო სახელი რაში მარგია? გამომცემლები ყოველთვის მიჩვიან, — თქვენი წიგნების გამოცემით ვზარალობთო. მხოლოდ იმისთვის მიბეჭდავენ, ცნობილი მწერალი ვარ და ესახელებათ.

სწორედ მაშინ იყო, რომ მისის ბულფინჩს აზრად მოუვიდა ის, რასაც მერე ესოდენ დიდი შედეგი მოჰყვა.

— ისეთ დეტექტიურ რომანს რატომ არა სწერთ, რომ სულ ჟრუოლა მოჰგვაროს ადამიანს?

— რაო? — წამოიძახა მისის ფორესტერმა და თავის დღეში პირველად დაკარგა სწორად მეტყველების უნარი.

— კაცმა რომ თქვას ურიგო აზრი არაა, — თქვა ელბერტმა, — სულაც არაა ურიგო აზრი!

— კრიტიკოსების რისხვას ვერ გადავურჩები.

— არა მგონია. ამპარტავან ადამიანს ქელი ისე მოახრევეინე, თავმოყვარეობას ნუ შეუღახავ, და ქვეყანაზე შენი ფასი არავინ ეყოლება.

— „მადლობელი ვარ შენი დიდად, ჩემო ბერნარდო“, — წარმოთქვა ფიქრებში წასულმა მისის ფორესტერმა.

— ჩემო კარგო, კრიტიკოსებს აღფრთოვანებაში მოიყვან. წიგნი ბრწყინვალე ენით იქნება დაწერილი და ისინიც არ დაერიდებიან შედევრად გამოაცხადონ.

— სულელური აზრია, სავსებით შეუფერებელი ჩემი ნიჭისათვის. არა მგონია, ოდესმე ფართო მასების გული მოვიგო.

— ვითომ რატომ? ფართო მასებს კარგი წიგნების კითხვა უყვართ, მაგრამ მოწყენილობას ვერ ეგუებიან. შენი სახელი ყველამ იცის, მაგრამ შენსას არაფერს კითხულობენ, იმიტომ რომ მოსაწყენად წერ. შენი წიგნები კი ჩემო კარგო, მართლა მოსაწყენია.

— ნეტა თუ იცი, რას ამბობ, ელბერტ? — მიუგო მისის ფორესტერმა. სულაც არა სწყენია ელბერტის ნათქვამი. განა მზეს ეწყინება, ვინმემ რომ უთხრას, არ ანათებო? — ყველა აღიარებს, რომ მე იშვიათი იუმორის გრძნობა მაქვს და წერტილ-მძიმეს ჩემსავით მარჯვედ ვერავინ ხმარობს.

— ფართო მკითხველს თუ საინტერესო რომანს მიაწვდი და თანაც აფიქრებინებ, რომ ცოდნასაც იძენს — ძალიან გამდიდრდება.

— დეტექტიური რომანი ჩემს დღეში არ წამიკითხავს. ერთხელ მოვკარი



მხოლოდ ყური ვინმე ნიუ-იორკელი მისტერ ბარნზის სახელს მითხრეს, დეტექტიური რომანი „ჰენზობის კების საიდუმლო“ დაუწერიაო, მაგრამ არ წამიკითხავს.

— მაგის დაწერას, რა თქმა უნდა, მიჩვევა უნდა, — თქვა მისის ბულფინჩმა. — მთავარია, გახსოვდეთ, რომ სიყვარული არ უნდა გაურიოთ. დეტექტიური რომანში ეს საჭირო არაა. მანდ ოღონდ მკვლელობა იყოს, ჯაშუშებმა ირბინონ და ბოლო გვერდამდე არ მოხერხდეს მკვლელის დადგენა.

— მაგრამ მკითხველი პირში ჩალაგამოვლებული არ უნდა დატოვო, ჩემო კარგო, — დასძინა ელბერტმა. — ყოველთვის მაღიზიანებს, ეჭვს რომ მდივან ან დიდგვაროვან ქალზე მიიტანენ, მკვლელი კი წვრილფეხა ლაქია აღმოჩნდება, რომელიც იმის მეტს არას აკეთებდა, რომ მოეხსენებინა, „ეტლი მზად არისო“. მკითხველი რაც შეიძლება დახლართული გზით ატარე, მაგრამ მასხრად არ უნდა აიგდო.

— დეტექტიურ რომანს რა სჯობია. — თქვა მისის ბულფინჩმა. — რომ წავიკითხავ, ბიბლიოთეკის იატაკზე საღამოს კაბაში გამოწყობილი და თვალმარგალიტში ჩასმული, მკერდში ხანჯალგაყრილი ლედი წევსო, საამო ერუანტელი დამივლის ტანში.

— გაანჩია, ვის რა მოსწონს, — თქვა ელბერტმა, — მე კი, მაგალითად, მიჩვევნია, როცა დარბაისელი, კეთილი სახის ბაკენბარდებიან კერძო ადვოკატის გვამს პოულობენ ჰაიდ პარკში. თანაც ამ ადვოკატს საათის ოქროს ძეწკვიც უნდა მოუჩანდეს.

— ყელგამოჭრილი გირჩევნია?

— არა, ზურგში დანაგარჭობილი. ადამიანს რატომღაც იზიდავს შეუბღალავი სახელის მქონე ჯენტლმენის მკვლელობა. სიამეს განაცდევინებს იმისი ფიქრი რომ ჩვენ შორის ყველაზე უმწიკლო ადამიანები რაღაც მწველ საიდუმლოს ფარავენ.

— მიგიხვდი, ელბერტ, — თქვა მისის ბულფინჩმა. — მოკლულმა ვილაციის საშინელი საიდუმლო იცოდა.

— რჩევა-დარიგებას არ მოგაკლებო, ჩემო კარგო, — თქვა ელბერტმა და მისის ფორესტერს ალერსიანად გაუღიმა. — ასობით დეტექტიური რომანი წამიკითხავს.

— როგორ, შენ? — გაიოცა მისის ფორესტერმა.

— მე და კორინი თავიდან ამან დაგვაახლოვა. წიგნს ჯერ მე წავიკითხავდი, მერე იმას ვაძლევდი წასაკითხად.

— სინათლეს რომ ჩააქრობდა, ფანჯარაში გავიხედავდი და უკვე რიჟრაჟი იწყებოდა. გუნებაში ჩავიცინებდი, აჰა, როგორც იქნა, დაამთავრა და ახლა ალბათ გემრიელად ჩაეძინება-მეთქი.

მისის ფორესტერი წამოდგა და წელში ამაყად გასწორდა.

— ახლა კი ვხედავ, რა უფსკრულია ჩვენ შორის, — თქვა მან და საამური კონტრალტო ოდნავ აუთრთოლდა. — ოცდაათ წელიწადს ინგლისური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები გეხვია გარს, შენ კი თურმე ასობით დეტექტიურ რომანს კითხულობდი!

— ასობით კი არა ათასობით, — შეუსწორა ელბერტმა კმაყოფილი ღიმილით.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ ზოგი რამე დამეთმო, ოღონდ შინ დამებრუნებინე. ახლა კი ნურას უკაცრავად! შენ სამუდამოდ დამარწმუნე, რომ საერთო



არაფერი გვაქვს და არც არასოდეს გვექონია ჩვენ შორის საშინელი უფსკრული ძეგს, უძირო უფსკრული!

— ძალიან კარგი, ჩემო ძვირფასო. შენს გადაწყვეტილებას წინ არ აღუდგები, მაგრამ დეტექტურ რომანზე მაინც იფიქრე.

„ახლა კი დროა დავადგე შორეულ ინისფრის გზას“ — ჩაიხურჩულა მისი ფორესტერმა.

— ქვემოთ ჩაგაცილებთ, — თქვა მისის ბულფინჩმა, — ხალხმა აქა-იქ გახეულია და შეიძლება ფეხი წამოსდოთ.

მისის ფორესტერი ერთობ ღირსეულად ჩაუყვია კიბეს, მაგრამ თან დიდად ფრთხილობდა — ფეხი არაფერს გამოვლოო. როცა მისის ბულფინჩმა კარი გაუღო და ჰკითხა, ტაქსი ხომ არ დაგიჭიროთო, უარის ნიშნად თავი გააქნია და ჩაილულულა:

— ტრამვაით წავალ.

— მისტერ ფორესტერზე ნუ ინაღვლებთ, მემ, — თავაზიანად უთხრა მისის ბულფინჩმა, — არაფერს გავუჭირვებ. მისტერ ბულფინჩი ლოგინად რომ ჩავარდა, სამ წელიწადს ვუვლიდი. ასე რომ, ამ მხრივ, დიდი გამოცდილება მაქვს. თუმცა მისტერ ფორესტერი ჯერ არც ჯანს უჩივის და არც სიხალისე აკლია. საქმეს ვაიჩენს. კაცი რომ უსაქმოდ არის, იმაზე უარესი არაფერია. მარკების შეგროვებას დაიწყებს.

მისის ფორესტერი გაოცებისგან შეკრთა. მაგრამ ამ დროს ტრამვაი გამოჩნდა და როგორც ქალებს სჩვევიათ (ძალიან ცნობილებსაც კი), თავგანწირულად გავარდა შუა ქუჩაში და აღელვებით დაუქნია ხელი. ტრამვაი გაჩერდა და ქალი სწრაფად ავიდა ვაგონში. ფიქრობდა, მისტერ სიმონზს რა პირით უნდა ეჩვენო, ალბათ შინ მელოდებოო. კლიფორდ ბოილზტონიც იქ იქნება, ყველანი მას მიაცქერდებიან და უნდა მოყვეს, რა სირცხვილი ჭამა. ამ წუთას თავგანისმცემლების ვიწრო წრე არავითარ გულთბილ გრძნობას არ აღუძრავდა. იცოდა, უკვე გვიანი იყო, ამიტომ მის წინ მჯდომ კაცს მორიდებით ახედა — უხერხული ხომ არ იქნება ვკითხო, რომელი საათიაო, — მაგრამ უეცრად შეკრთა: მის წინ შუახნის, უაღრესად დარბაისელი ბაკენბარდებიანი კაცი იჯდა, კეთილი სახე ჰქონდა და ოქროსძეწკვიანი საათი ეკიდა, სწორედ ისეთი, ელბერტმა რომ ჰაიდ პარკში მოკლული კაცი დაუხატა. მისის ფორესტერმა უმაღვე დაასკვნა, უთუოდ აღვოკატი იქნებოო. გასაოცარი დამოხვევა იყო; თითქოს ამ საქმეში განგების ხელი ურევიაო. ამ კაცს აბრეშუმის ცილინდრი ეხურა, შავი სერთუკი და ტვიდის შარვალი ეცვა. ახოვანი ტანის ჩასუქებული მამაკაცი იყო და გვერდით პატარა ჩემოდანი ედო. ვოქსპოლის ხიდს გასცდნენ თუ არა, იმ კაცმა კონდუქტორს სთხოვა, ტრამვაი გამიჩერეთო, და მისის ფორესტერის თვალწინ ვიწრო, უღიმღამო ქუჩაბანდში შეუხვია. ნეტავი რატომ? ფიქრებში ისე გაერთო, ტრამვაი ვიქტორიას სადგურზე რომ მივიდა და კონდუქტორმა უბოდიშოდ მიამახა, ბოლო გაჩერებაა და ვაგონიდან ჩაბრძანდითო, აღვილიდან არ დაძრულა. ედგარ ალენ პოც ხომ დეტექტურ მოთხრობებს წერდა!

მისის ფორესტერი ავტობუსში ჩაჯდა და ისევ ფიქრებში ჩაიძირა, მაგრამ როცა ავტობუსი ჰაიდ პარკის კუთხეში გაჩერდა, გადაწყვიტა ჩასულიყო. ერთ ადგილზე ჯდომა აღარ შეეძლო. ფეხით გასეირნება მოუნდა. ჭიშკარში შესვლისას ნაბიჯი შეანელა სახეზე დაძაბულობაც აღბეჭდოდა და დაბნეულობაც. პო, ედგარ ალენ პო. ვის ძალუძს ამის უარყოფა. აკი სწორედ მან შექმნა ეს თანრი... ხოლო რა გავლენა ჰქონდა მას პარნასელებზე, ყველას მოეხსენება,



პარნასელებზე თუ სიმბოლისტებზე? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ბოლ-  
ლერი იყო და კიდევ ვიღაც-ვიღაცები. — იგი აქილევსის ქანდაკებასთან შეჩერდა,  
წარბები აზიდა და მიაჩერდა.

ბოლოს სახლში დაბრუნდა და კარი შეაღო თუ არა, პოლში საკიდზე რამდენ-  
ნიმე ქუდი დაინახა. ყველანი მოსულანო, გაიფიქრა და სასტუმრო ოთახში შე-  
ვიდა.

— მოვიდა, როგორც იქნა! — წამოიძახა მის დანახვაზე როუზი უიტერფო-  
რდმა.

მისის ფორესტერმა ხალისიანი ღიმილით ჩამოართვა ყველას ხელი. მის-  
ტერ სიმონზი და კლიფორდ ბოილზტონი აქ გახლავან, პარი ოუკლენდიც აქ  
არის და ოსკარ ჩარლზიც მობრძანებულა.

— ჩემო საწყლებო, თქვენთვის ჩაი არ მოურთმევიათ? — წამოიძახა მან  
მხიარულად, — არ ვიცი, რა დროა, მაგრამ ალბათ ლოდინით დაგზოცეთ.

— აბა, რას გვეტყვი? — მოუთმენლად ჰკითხეს სტუმრებმა.

— ჩემო კარგებო, ახალი ამბავი უნდა გითხრათ, ერთი შთაგონება მომივი-  
და. რაღა სხვებს დავანებოთ მკითხველთა გულის დაპყრობა?!

— რაზე გვიბრძანებთ?

მან ცოტა შეისვენა, რომ მის სათქმელს უფრო მეტი შთაბეჭდილება მოე-  
ხდინა, მერე კი ერთბაშად მოჭრა:

— დეტექტიური რომანი უნდა დავწერო!

ყველანი პირდაღებულნი მიაშტერდნენ. მან ხელი შემართა, დამაცადეთო,  
თუმცა ხმის ამოდებას არავინ აპირებდა.

— დეტექტიური რომანი ნამდვილი ხელოვნების სიმალლეზე უნდა ავიყვა-  
ნო. ეს აზრი უეცრად მომივიდა ჰაიდ პარკში, მკვლელობის ამბავი იქნება და  
მხოლოდ ბოლო გვერდზე გაირკვევა ყველაფერი. რომანს უზადო ინგლისურით  
დავწერ და რაკი ამ ბოლო ხანებში ვფიქრობდი, მგონი, უკვე ამოვწურე წერ-  
ტილ-მძიმის შესაძლებლობები-მეთქი, ახლა ორი წერტილი უნდა მოვსინჯო.  
მის პოტენციურ შესაძლებლობებს ჯერჯერობით არავინ იცნობს. იუმორი და  
საიდუმლოება — აი, რას ვესწრაფვი. წიგნს „აქილევსის ქანდაკება“ ერქმევა.

— მარტო სათაური რად ღირს! — სხვებზე ადრე გამოერკვა მისტერ სიმო-  
ნზი. — ჟურნალებთან მოსარიგებლად მარტო ეგ სათაური და თქვენი სახელი  
კმარა.

— კი მაგრამ, ელბერტზე რას გვეტყვით? — ჰკითხა კლიფორდ ბოილზტო-  
ნმა.

— ელბერტი? — ყრუდ გაიმეორა მისის ფორესტერმა. — ელბერტი?

მან ისე შეხედა კლიფორდ ბოილზტონს, თითქოს ვერ ხვდება, რას ეკით-  
ხებაო. მერე ხმადაბალი შემახილი აღმოხდა, თითქოს უეცრად რაღაც მოაგონ-  
დაო.

— ელბერტი! განა არა, ვიცოდი, რაღაც საქმეზე გავედი, მაგრამ ჰაიდ პა-  
რკში რომ შევედი, ეს შთაგონება მომივიდა და ყველაფერი მიმავიწყდა. ალბათ  
ჩემზე ფიქრობთ, რა ჩერჩეტიაო!

— მაშ, ელბერტი არ გინახავთ?

— ღმერთო ჩემო, სულ არ დამავიწყდა? — მისის ფორესტერს უღარდელად



გაეცინა. — იყოს თავის მზარეულთან. ელბერტის თავი აღარა მაქვს. ელბერტი წერტილ-მძიმის ხანას ეკუთვნის. მე დეტექტიური რომანი უნდა დავწერო.

— ჩემო კარგო, მართლაც რომ საოცარი ქალი ხართ, — უთხრა პარი ოუკლენდმა.

**ჭრიჭინა და ჭიანჭველა**



ქართული ენის ინსტიტუტი

პატარაობისას ლაფონტენის რამდენიმე იგავი ზეპირად მანსწავლეს და ყველა მათგანის აზრი ბავშვისათვის გასაგები ენით ამიხსნეს. ერთ-ერთი იგავი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ იყო, რომელმაც ყმაწვილს უნდა ჩააგონოს, რომ ამ ცოდვილ ქვეყანაზე გარჯა ფასდება, ფუქსავატობა კი ისჯება. ამ საუცხოო იგავში (ბოდიშს ვიხდი, რომ ყველასათვის ცნობილ იგავზე გესაუბრებით, მაგრამ შესაძლოა ზოგს კარგად არ ახსოვს) ჭიანჭველა მთელ ზაფხულს გარჯაში ატარებს და ზამთრისათვის სარჩოს ინახავს, ბალახის ღეროზე შემოსკუპებული ჭრიჭინა კი ჭრიჭინით აყრუებს არემარეს. დგება ზამთარი და მას ჭიანჭველა მომზადებული ეგვება, ჭრიჭინას კი სულს იქით არაფერი გააჩნია. ჭრიჭინა ჭიანჭველას მიადგება კარზე და სთხოვს, ცოტა საჭმელი მიწილადეო. სწორედ მაშინ აძლევს ჭიანჭველა საკადრის პასუხს! ჯერ ეკითხება, ზაფხულში რას აკეთებდიო და, როცა ჭრიჭინა უპასუხებს:

ვილხენდი, გამოვაყრუე ჭრიჭინით არემარეო — მიახლის:  
 მაშ თუ აგრეა, რადგანაც ზაფხულში იფარფაშეო,  
 მიბრძანდი ახლაც და სინჯე — იხტუნე, ითამაშეო.\*

მაშინ საიმიხსო ჭკუა არ მქონდა, ავისა და კარგის გარჩევა მცოდნოდა, ამიტომ სულ არ მომეწონა იგავში გადმოცემული შეგონება. მე მთლიანად ჭრიჭინას ვამართლებდი და ერთხანს ჭიანჭველას გაუსრესავს არ ვუშვებდი. ამგვარი ფიცხი და უღმობელი საქციელით (რაც, როგორც შემდგომში დავრწმუნდი, სავსებით ბუნებრივია ადამიანისათვის) გამოვხატავდი ჩემს გულისწყრომას წინდახედულობისა და საღი აზრისადმი.

როცა ამას წინათ ჯორჯ რემზის შევხვდი რესტორანში, უნებურად ეს იგავი გამახსენდა. იგი მარტოდმარტო საუზმობდა და ფანჯარაში უაზროდ გასცქეროდა სივრცეს. ასეთ უემურ გუნებაზე არასოდეს მინახავს. თითქოს მთელი ქვეყნის ტვირთი დასწოლოდა მხრებზე. ძალიან შემეცოდა. ვიფიქრე, ასეთ დღეში ისევ მისი უმადური ძმის გამო იქნება-მეთქი. მივედი, ხელი ჩამოვართვი და მოვიკითხე.

— უგუნებოდ ვარო, მომიგო პასუხად.

— ისევ ტომის გამო?

ამოიოხრა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— ნუთუ ველარ ჩამოცილდი? მაგას გადაჰყევი და ვერა ხვდები, რომ აღარაფერი ეშველება?

თითო მახინჯი ყოველ ოჯახში გამოერევა. ოცი წელიწადი ტომი სისხლს უშრობდა. ჯერ ადამიანურად იქცეოდა. ბიზნესმენი გახდა, ცოლი შეირთო და ორი შვილი ეყოლა. მათ ოჯახს ყველა პატივს სცემდა და ყველაფერი ხელს

\* თარგმანი იკავი წერეთლისა.



უწყობდა, ცხოვრებაში წინ წასულიყო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დაურიღებლად განაცხადა, შრომა და ოჯახის პატრონობა საჩემო საქმე არ არისო. ტომს დროსტარება მონდომებოდა, ახლობლების დარიგება არ შეისმინა და ცოლ-შვილიც მიატოვა და სამსახურიც. ცოტაოდენი შემონახული ფული ჰქონდა და რიწელი არხინად ატარებდა დროს ევროპის დედაქალაქებში. მისი ამბები დროდადრო აღწევდა ხოლმე ნათესაობის ყურამდე და თავზარს სცემდათ. ტომი დროსტარებას იყო გადაყოლილი. ნათესავეები თავს აქნევდნენ და ამბობდნენ, ფული რომ შემოელევა, ნეტავი რაღას იზამსო. მალე გაიგეს, სესხება დაუწყიაო. უნამუსო, მაგრამ ისეთი მომხიბლავი ადამიანი იყო, ფულს ვერავინ უჭერდა ტომს. ნაცნობ-მეგობრებისაგან მყარი შემოსავალი შეიქმნა — ნაცნობ-მეგობრებს კი იოლად იჩენდა — მაგრამ სულ იმას ამბობდა, თავის გასატანი ფული რა დიდი რამეა, თუ იშოვი, იმდენი უნდა იშოვო, განცხრომით გაცხოვროსო. ამიტომ იყო, რომ ჯორჯს აწვა კისერზე. ძმის მოსახიბლავად ტომი თავს არ იწუხებდა — იცოდა სერიოზული კაცი იყო და ასეთი რამ მასთან არ გაუვიდოდა. ჯორჯი ალალი კაცი გახლდათ. ამიტომ ერთი-ორჯერ ძმის სიტყვას ენდო და მოზრდილი თანხა მისცა, იქნებ წესიერ გზას დაადგესო. ამ თანხით ტომმა მანქანა და თვალმარგალიტი შეიძინა. როცა ჯორჯი მიხვდა, საქმეს არ მოეკიდებო, ხელი ჩაიქნია მასზე; მაშინ ტომმა უტიფრად დაუწყო ფულის გამოძალვა. არადა, დარბაისელი ადვოკატისათვის თავისმომჭრელი იყო, როცა ღვიძლი ძმა ხან ბარმენად გამოეცხადებოდა მის საყვარელ რესტორანში და კოქტილს უმზადებდა, ხან კი თავისი კლუბის კართან დაუხვდებოდა ტაქსის მძღოლად. ტომი ეუბნებოდა, მე ბარმენობა და ტაქსისტობა არ მეთაკილება, მაგრამ თუ პატივს დამღებ და ას ან ორას გირვანქას არ დაინანებ, ოჯახის ხათრით ამ საქმეს თავს დავანებებო. ჯორჯიც რაღას იზამდა, ფულს აძლევდა.

ერთხელ ტომს კინალამ საციხედ გაუხდა საქმე. ჯორჯი ნერვიულობით ლამის გაგიჟდა. მაშინვე დატრიალდა. ტომს მართლაც მეტიმეტი მოსვლოდა. აკი მუდამ თავაშვებული, უღარდელი და თავკერძა იყო, მაგრამ აღრე ასეთი უსინდისობა — უსინდისობად ჯორჯი კანონის დარღვევას თელიდა — მაინც არ უკისრია. ახლა კი, თუ საქმე სასამართლომდე მივიდოდა, პატიმრობა არ აცდებოდა. მაგრამ ერთადერთ ძმას საციხედ ხომ ვერ გაიმეტებს ადამიანი. ტომის მიერ მოტყუებული ვინმე კრონშო ფულის ანაზღაურებას მოითხოვდა. თუ არ ამინაზღაურებთ, ვიჩივლებ და მაგ თაღლითს ციხეში ამოვალბობო. ამ საქმის მოსაგვარებლად ჯორჯმა ბევრი იწვალა და მომჩივანს ხუთასი გირვანქაც გადაუხადა, მაგრამ პირდაპირ გაცოფდა, როცა გაიგო, ფულის მიღებისთანავე კრონშომ მონტე-კარლოში წაიყვანა ტომი და იქ მთელი თვე გემოზე ატარეს დრო.

ტომი აი უკვე ოცი წელიწადი იყო, დოღს არ გამოსტოვებდა, თან ბირჟაზეც თამაშობდა, ლამაზ ქალებს ეარშიყებოდა, საცეკვაოდ დადიოდა მეჯლისებზე, მხოლოდ საუკეთესო რესტორნებში სადილობდა და საუცხოოდ იცვამდა. ორმოცდაექვსი წლისა გახლდათ, მაგრამ ოცდათხუთმეტისა გეგონებოდათ. ყველამ იცოდა, ყოვლად უქნარა და ქარაფშუტა კაცი იყო, მაგრამ მასთან ყოფნა და მასლაათი არავის სწყინდებოდა. ძალიან ხალისიანი, ლაღი და მომხიბლავი გახლდათ და ამიტომ ის ფული, რომელსაც ბეგარასავით მართმევდა ხოლმე, არასოდეს დამნანებია. არ მახსოვს, ორმოცდაათი გირვანქა ისე მესესხებინოს, თვითონვე არ მეგრძნო თავი დავალებულად. ტომ რუმზის ვინ არ იცნობდა! იქნებ ყველა მისი მეგობარი არ იყო, მაგრამ მასთან ყოფნა ყველას სიამოვნებდა.



საბრალო ჯორჯი კი — თუმცა თავის უსაქმურ ძმაზე სულ ერთი წლით იყო უფროსი, სამოცი წლის კაცსა ჰგავდა. აგერ საუკუნის მეოთხედი იყო, ორ კვირიან შვებულებაზე მეტი არ ღირსებია წელიწადში. დილის ათის ნახევრიდან საღამოს ექვს საათამდე კანტორიდან ვერ გამოდიოდა. ამ პატივთან, შრომისმოყვარე და პატივცემულ ადამიანს კარგი მეუღლე და ოთხი ქალიშვილი ჰყავდა. ცოლის ღალატი ფიქრადაც არ გაუვლია და შვილებზე გადგეულილი მამა იყო. შემოსავლის ერთ მესამედს ინახავდა და გადაწყვეტილი ჰქონდა კრმოცდათხუთმეტი წლის ასაკში ქალაქგარეთ დასახლებულიყო, ბაღისათვის მოეწყო და გოლფი ეთამაშა. ასე უმწიკვლოდ ატარებდა თავის წუთისოფელს და უხაროდა კიდევ, რომ ბერდებოდა, რადგან მის ძმასაც ემატებოდა ხანი. იგი ხელებს იფშენებდა და ამბობდა:

— ტომი ჩემზე ერთი წლით უმცროსია, სანამ ახალგაზრდა და ლამაზია, რა უჭირს, მაგრამ ოთხ წელიწადში ორმოცდაათისა რომ გახდება, მერე რაღა ეშველება?! მე კი ორმოცდაათი წლისას ოცდაათი ათასი გირვანქა მექნება. ოცდახუთი წელიწადია ვიძახი, ყოფა ეტირება, სადმე ქუჩაში უპატრონოდ ამოძვრება სული-მეთქი. ჯანი რომ აღარ ექნება, მაშინ გამოჩნდება, შრომა სჯობნებია თუ უსაქმურობა.

საბრალო ჯორჯი! ძალიან მეცოდებოდა როცა ახლა გვერდით ვუჯექი და ვფიქრობდი, ტომს განა რა უნდა ჩაედინა, რომ ჯორჯი ასე აღელვებულიყო-მეთქი?

— არ იკითხავთ, რა მოხდა? — შემეკითხა იგი.

გავიფიქრე, ახლა რაიმე საშინელებას მეტყვის, ბოლოს და ბოლოს ალბათ პოლიციას ჩაუვარდა ხელში-მეთქი. ჯორჯმა ძლივს ამოიღვა ენა.

— თქვენ მაინც ხომ იცით, რა თავაულებელ შრომაში გაკატარე მთელი ჩემი ცხოვრება. მიუხედავად ამისა, ჩემი გარჯისა და მომჭირნეობის წყალობით, სამსახურს რომ თავს დავანებებ, მართალია, პატარა, მაგრამ მუდმივი რენტის მფლობელი ვიქნები. არადა, ღვთის მონდობილი საქმისათვის არასოდეს მიღალატია.

— ვიცი, ვიცი.

— ტომის ამბავიც ხომ იცით, რა უქნარა, თავაშვებული და ხელიდან წასული კაცია. სადმე რომ სამართალი იყოს, ციხეში უნდა იჯდეს და სულს ხდიდნენ მუშაობით.

— მართალი ხართ.

ჯორჯი წამოწითლდა.

— რამდენიმე კვირის წინ დედის ტოლი ქალი შეირთო. ის ქალი კი ახლახან მოკვდა და მთელი მისი ქონება ტომს დარჩა: ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი, იახტა, სახლი ლონდონში და აგარაკი ქალაქგარეთ.

ჯორჯ რემზიმ გულმოსულად მუშტი დაჰკრა მაგიდას.

— ესაა სამართალი? მითხარით, ესაა სამართალი?

ჯორჯის განრისხებულ სახის ცქერას ვეღარ გავუძელი და ისეთი ხარხარი ამიტყდა, კინაღამ სკამიდან გადმოვევარდი. იმის შემდეგ ჯორჯი ხმას აღარა მცემს, ტომი კი ხშირად მეპატიჟება ვახშმად თავის საუცხოო სახლში — მეიფეარის უბანში, ხოლო თუ ზოგჯერ ფულს დამესხესხება, უფრო ჩვეულების გამო და ისიც მხოლოდ სოვერენს.



თარგმნა მუღლა კახიკაძე

## კატარინა ფონ ვუტანი

(ბოსნიელი პოეტი ქალი)



●  
სწრაფი მიმოხვრით  
ჰაერს აპობს  
ხელის მტევნები,  
და მოლოდინში  
საესე მკერდი  
ვნებით ცახცახებს,  
ვნებიან თვალებს  
უნათებს ღამე,  
ძლივს როგორც იქნა  
დადგა ივნისი  
გოგონა დადის  
შეყვარებული  
ყოველი კუნთი უთრთის  
სურვილით

კაცი სიგარეტს  
მოისვრის განზე  
და საცეკვაო მოედანზე  
გულდაგულ გადის.  
გულში იცინის  
...აგაცეკვებ სულ სხვანაირად  
წამოგახურებ როცა კაბას  
საკუთარ თავზე.  
იცოცხლე ისეთ დღეში  
ჩაგაგლებ  
დაგაკარგვინო  
ყურთასმენაც, თვალის სინათლეს  
როცა გავხდები ღირიჟორი  
შენი სხეულის!

## სვეტლანა იოვანკო

●  
ბედნიერი ვარ  
თუნდაც იმით  
მქონია ბედი,  
რომ შენ არსებობ  
და დროდადრო  
ღიმილით მხვდები,  
რომ არ მარხია  
ამ ღიმილში  
სიმწარის წვეთიც  
ბედნიერი ხარ  
და სიხარულს  
იმეტებ ჩემთვის  
დავშორიშორდით  
სამუდამოდ

გაყრილან გზები  
აღარ გადაგლლი  
გარდასული ოცნების ძეხვით.  
სხვა ქარს გავყევი  
ეგ ჩურჩული  
მესმის, არც მესმის  
აღარ ვაგროვებ  
მწირ ნამცეცებს  
შენი ალერსის,  
ვიცი გწყინს რადგან  
შენთან აღარ მსურს შეყრა,  
ბედნიერი ვარ  
იმითაც რომ  
არსებობ ქვეყნად!



## დარა სეკულირი

(ბოსნიელი პოეტი ქალი)

●  
სძინავს,  
ხელები აქვს მამის,  
თმებიც  
მამას უგავს ლამის.  
ბაგენი ჩემს ბაგეს  
უგავს,  
გუგები  
ჩემეულ გუგას,  
დღეები უძილოდ ვთვალე,  
რა ელის  
ამ ლამაზ თვალებს!

### გარეუბანი

მატარებლები  
დადიან დღისით,  
მაგრამ მათი ხმა  
არსაით ისმის.  
მე გთხოვთ!  
უსმინოთ  
ორთქლმავლის ბლავილს,  
მათი ხმა სულში  
შემოდის ღამით,  
ჩვენ გვაფრთხილებენ  
შორიდან მკვდრები,  
რომ დრო გვიპირებს  
ჩაქოლვას ქვებით.  
ჩემს შვილს შორეთში  
ძალიან უჭირს.  
ვერ უმკლავდება  
ცხოვრებას დუხჭირს.  
რომ სადღაც ომმა  
ქვეყანა შეძრა,  
აკატორლებენ  
უკვალოდ ჩემს ძმას.  
დას თავს ესხმიან  
ავაზაკები,  
მეც ბედი მელის  
არანაკლები.  
მატარებლები  
მიჰქრიან ღამით,  
და განწირული  
ხმით გზებზე ბლავის.

●  
ჩემი პატარა  
ლამაზი ბიჭი  
დაკაცებულა  
ერთბაშად უცებ.  
უმწეო ხელებს  
არავის უწვდის,  
დილით ჩუმრუმად  
ისინჯავს კუნთებს.  
ბაგესთან ოდნავ  
მოუჩანს ღინღლი,  
ჩემთან საუბრით  
თავს აღარ იღლის,  
თითქოს ერთმანეთს  
დავუწყეთ მდურვა,  
აღარ ვსაუბრობთ,  
ორივე ვლუმეართ,  
მომწიფებულა,  
ვერ შევნიშნე  
მე კი აქამდე,  
ამ გაზაფხულზე ცაცხვები კი  
გვიან აყვავდნენ.



### გადათიქვა

გამოგვეცხადეთ  
ნაღვლით და ურა ცხენებით,  
ფეხქვეშ გაიგდეთ  
ბოსტნები და მინდვრის ბალახი,  
მოუძოვარი  
არ დატოვეთ ერთი კუნჭულიც,  
მერე ჩვენივე ავლა-დიდება  
ჩვენივე ქუჩა-მოედნებზე  
გაინაწილეთ  
და ბნელ ღამეში გაუჩინარდით,  
ახალ-ახალი  
ბალ-ვენახის მოსაოხრებლად.  
დაურჩით დაღლილი  
მთვარის ამარა  
თივის სურნელით  
გაბრუებულ მყუდრო ოთახში  
და თქვენს გზას ვწყევლით!



მასების ამბოხი  
მეორე ნაწილი



XVI

ვინ მართავს მსოფლიოს?

**ე**ვროპული ცივილიზაციის განვითარებამ (რისთვისაც არაერთხელ მიმიქცევია უპურადღება) გარდუვალად გამოიწვია მასების ამბოხი. ერთის მხრივ, მასების ამბოხი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უადრესად პოზიტიური მოვლენა (არც ეს დამიტოვებია უუპურადღებოდ), რადგანაც ის განაპირობა შესაძლებლობათა არნახულმა ზრდამ, რის წინაშეც ჩვენმა ეპოქამ დააყენა თანამედროვე ადამიანი. მეორეს მხრივ, იგივე მოვლენა შეუძლებელია დიდ შესწოთებას არ იწვევდეს, რამდენადაც მასების ამბოხი ზნეობის არნახული დაცემის ნიშანია. მოდით, უფრო ღრმად გავაანალიზოთ ამ მოვლენის მიზეზები.

I

ახალი ისტორიული ეპოქის გარეგანი სახე და თვით მისი არსი განსაზღვრავენ როგორც შინაგან ცვლილებებს — ადამიანისა და მისი ხულიერი ცხოვრების ფერისცვალებას, ისე ფორმალური და მექანიკური ხასიათის მქონე გარეგან ცვლილებებსაც. ამ უკანასკნელთა შორის უცილობლად უმთავრესი იქნება ძალაუფლების სტრუქტურული ცვლილება, რაც განაპირობებს საზოგადოების ხულიერი ატმოსფეროს შეცვლას.

ამიტომ, თუ გვინდა გავიგოთ იმის მიზეზები, რაც ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში ხდება, თავდაპირველად უნდა ვიკითხოთ: „ვინ მართავს ამ დროს მსოფლიოს?“ არის დრო, როცა კაცობრიობა პატარ-პატარა განმხოლოებულ ჯგუფებადაა დაყოფილი, რომლებსაც არავითარი ურთიერთობა არა აქვთ ერთმანეთთან. ასე მაგალითად, მილტიადეს დროს ხმელთაშუა ზღვისპირეთის მცხოვრებლებს წარმოდგენაც არა ჰქონდათ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ამ შემთხვევაში, თუ გვინდა, რომ ჩვენს კითხვას ვუპასუხოთ, აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ ყველა ამ განმხოლოებულ სამყაროში არსებობის თავისებურებანი. XVI საუკუნიდან კაცობრიობა განვითარების ახალ ფა-

ზაში შედის: იწყება საყოველთაო გაერთიანების გრანდიოზული პროცესი, რომელიც ჩვენს დროში არნახულ მასშტაბურობას იძენს. მთელ მსოფლიოში აღარ რჩება ისეთი კუთხე, თავისი განკერძოებული, სხვებისაგან იზოლირებული ცხოვრებით რომ ცხოვრობდეს; არა, დღეს ამნაირი კუნძული აღარსად არის. ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული, ის, ვინც განაგებს მსოფლიოს, მის ერთ რომელიდაც ნაწილს კი არ განაგებს, არამედ მთელ მსოფლიოს. უკანასკნელი ხამი საუკუნის მანძილზე ევროპა სწორედ ასე განაგებდა მსოფლიოს, და მისი გამგებლობისას დამკვიდრებულ იქნა, ყოველ შემთხვევაში, თანდათანობით მაინც მკვიდრდებოდა ცხოვრების ერთიანი სტილი.

ეს ცხოვრებისეული სტილი ნიშნეულია იმ პერიოდისთვის, რომელსაც, ჩვეულებრივ, უღი: იმლამო და უფერულ სახელს — „ჩვენი დროის ისტორიას“ ვუწოდებთ. მაგრამ ეს სახელი ღრმა შინაარსის შემცველია, ჩვენი დროის ისტორია ევროპული ქვეყნების ჰეგემონიის პერიოდს მოიცავს.

როდესაც „მმართველობასა“ თუ „გამგებლობაზე“ ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ მატერიალური ძალაუფლების განხორციელებას. მე ვცდილობ არ გავიშვორო აქ ბრიყვული და გაცვეთილი ფრაზები. ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, რომელთა სიბრიყვეც აშკარაა, მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას: ადამიანებს შორის სტაბილური და ნორმალური ურთიერთობა, რასაც მმართველობას ვუწოდებთ, არასოდეს არაა დამუარბული ძალის ბამოქანებზე, უმალ, პირიქით: სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი ახორციელებს მმართველობას, მათ განკარგულებაში გადადის ის სოციალური მექანიზმი, რომელსაც ძალა ჰქვია. ის შემთხვევები, რომლებიც, ერთის შეხედვით, თითქოს ამტკიცებენ დებულებას იმის შესახებ, რომ მმართველობა ძალის გამოყენებაზეა დაფუძნებული, სინამდვილეში, უფრო გულმოდგინე ანალიზისას,



მხოლოდ ადასტურებენ ჩვენი თეზისის სისწორეს. ნაპოლეონი თავს დაესხა ესპანეთს და დაიმორჩილა იგი, მაგრამ ერთ დღესაც არ ყოფილა მისი მმართველი. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ზურგს უკან იდგა ძალა, — მარტოდენ ძალა და სხვა არაფერი. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ „აგრესიის, თავდასხმისა“ და „მმართველობის“ ცნებები. მმართველობა სხვა არა არის რა, თუ არა ძალაუფლების ნორმალური განხორციელება. მტკიცე იქნება მხოლოდ ის ძალაუფლება, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას ემყარება. ასე იყო ყოველთვის: ათი ათასი წლის წინათაც და დღესაც. თანაც, ეს შენიშვნა ხამართლიანია ყველასათვის. როგორც ინგლისელების, ისე ბოტოკუდების ტომისთვისაც. საზოგადოების მართვა ყველგან და ყოველთვის მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერაზე იყო დაფუძნებული.

ან, იქნებ, მართლა გგონიათ, რომ საზოგადოებრივი აზრის სუვერენობა ადვოკატმა დანტონმა მოიგონა 1789 წელს, ან წმიდა თომა აქვინელმა XIII საუკუნეში? სუვერენობის ცნება შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანაში, დროის ამა თუ იმ პერიოდში ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ ადამიანურ საზოგადოებაში ძირითადი მმართველი ძალა ყოველთვის იყო, არის და იქნება საზოგადოებრივი აზრი, უხსოვარი დროიდან, იმ მომენტიდანვე არის ცნობილი, როცა წარმოიშვა ადამიანი როგორც გონიერი არსება. ნიუტონის ფიზიკაში მიზიდულობის ძალა მოძრაობას იწვევს. საზოგადოებრივი აზრის ძალა საყოველთაო პოლიტიკური მიზიდულობის ძალაა, რომელიც ყოველთვის არსებობდა. მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თვით ისტორია, როგორც შეტანიერება. იუმი მახვილგონივრულად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით: ისტორიკოსის ამოცანაა გვიჩვენოს, თუ რა განაპირობებს იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ყოველთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე უტოპიური იდეალი, ყველა ეპოქაში უდიდეს ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებას იანიჩარების მუშევრებით მართავენ, მმართველები მარტო მათ აზრზე კი არ არიან დამოკიდებულნი, არამედ იმაზეც, თუ რა აზრისანი არიან ამ იანიჩარებზე მათი ქვეშევრდომნი.

სინამდვილეში, იანიჩარების მუშევრებით ვერავის და ვერაფერს ვერ მართავ. ამიტომაც იყო, რომ თავის დროზე ტალეირანმა გაბედა და ნაპოლეონს უთხრა: „ხისტების მუშევრებით, მოწყალეო ხელმწიფევ, შეიძლება ყველაფერს მიაღწიო, გარდა ერთისა, — მათზე ვერ ჩამოჭდები“. მმართველობა ძალაუფლების ხელში

ჩაგდებას როდი ნიშნავს. იმის საპირისპიროდ, რაც ასე მიაშიტურად სურთ ჩავვაგონონ პრესის ფურცლებიდან, მე ვამტკიცებ: ძალაუფლების შენარჩუნება მუშტების გამოტყენებაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ იმაზე, გაქვს თუ არა სავარძლები. სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობა ამიტომაცაა იგი წონახწორობის სტატიკურ მდგომარეობაში.

მაგრამ ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრი საერთოდ არ არსებობს. ერთუროს მიმართ მტრულად განწყობილ ჯგუფებად დანაწევრებულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი აზრი; მაშასადამე, შეუძლებელია ამ საზოგადოების მართვა. და რაკი ბუნება ვერ ითმენს ვერავითარ ვაკუუმს, არარსებული საზოგადოებრივი აზრის ადგილს უხეში ძალა იკავებს. უკეთეს შემთხვევაში, უხეში ძალა თავის თავზე იღებს იმ ფუნქციებს, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრი უნდა ასრულებდეს.

ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა მთელი სიზუსტით გამოვხატოთ საზოგადოებრივი აზრის (როგორც ისტორიული მიზიდულობის) კანონი, უნდა ვითვალისწინებდეთ ამ შემთხვევებსაც. მაშინ ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომელიც უკვე დიდი ხანია უბადალებულ, მთარულ ქეშმარიტებად იქცა: მმართველობა შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, მის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს: მმართველობა ნიშნავს იმისკენ სწრაფვას, რომ შენს მოქმედებას უფარდებდე საზოგადოების უმრავლესობის აზრს, ესე იგი, ერთსულოვან განწყობილებასა თუ ერთ სულიერ მიმართულებას, და მაშინ მმართველობა სხვა არა არის რა, თუ არა სულიერი ძალაუფლება. ისტორიული ფაქტები მთელი სიცხადით გვიმომწმენენ ჩვენი შენიშვნების სისწორეს. თავდაპირველად ნებისმიერ საზოგადოებრივ ძალაუფლებას საკრალური ხასიათი აქვს, რამდენადაც რელიგიურ მოთხოვნებზეა დაფუძნებული; ვინაიდან ჯერ სწორედ რელიგიური ფორმით ვლინდება ის, რაც შემდეგ სულიერი მისწრაფებების, იდეებისა თუ შეხედულებების, ესე იგი, არამატერიალური, ზებუნებრივი საწყისის გამოხატულებად უნდა იქცეს. სწორედ ეს ხდება შუა საუკუნეებში, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით: ევროპაში პირველად აღმოცენებულ სახელმწიფოებრიობასა თუ სახელმწიფო ძალაუფლებას რელიგიური ფორმა ჰქონდა, სპეციფიკურ ხასიათს რომ ანიჭებდა მას, რამაც გამოხატულება ჰპოვა სიტყვებში — „სასულიერო ძალაუფლება“. პოლიტიკოსები საეკლესიო გამოცდილებიდან სეს-



ხულობენ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ნებისმიერი ძალაუფლება, როგორც იდეოლოგია მოქმედებისას, სულიერი უნდა იყოს. ახე იქნება „რომის საღვთო იმპერია“. მას აქვთ მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლების ამ ორ ფორმას შორის, რომლებსაც თანაბრად სულიერი ხასიათი აქვთ. რაკილა შეუძლებელი შეიქნა მათი დიფერენცირება იმაში, რაც ორივეს არსს ეხება, — ერთიცა და მეორეც ხომ სულის გამოვლენაა, — ისინი ორმხრივ შეთანხმებამდე მივიდნენ, რომლის თანახმადაც, თითოეულ მათგანს თავისი დრო განეკუთვნება: ერთს — ადამიანური, საერო, წარმავალი; მეორეს — ღვთიური დრო, მარადისობა; როგორც საერო, ისე სასულიერო ძალაუფლება ერთნაირად სულიერია, მაგრამ ერთი მათგანი დროის სულით ცოცხლობს: ესაა ცვალებადი, ამქვეყნიური, საზოგადოებრივი აზრი; მეორე კი სხვა არა არის რა, თუ არა მარადისობის სულის გამოხატულება, რომელიც გვიმუდავებს ღმერთის აზრს, მის წარმოდგენებს ადამიანებსა და მათ ბედ-იღბალზე.

ამრიგად, გინდ ის ვითქვამს, რომ მსოფლიოს ამა და ამ დროს ესა თუ ის კაცი, ესა თუ ის ხალხი, ან ხალხების ერთობლიობა მართავს, და გინდაც ის, რომ ამა და ამ დროს მსოფლიოში წარმოდგენებისა და შეხედულებების ესა თუ ის სისტემა დომინანტობს: იდეები, სიმბოლოები, მისწრაფებები, ზრახვები.

რას ნიშნავს ეს დომინანტობა? ადამიანთა უმრავლესობას არავითარი წარმოდგენა, არავითარი აზრი არა აქვს; მათ ძალის შემოქმედებით უნდა ჩაუნერგოს ეს აზრები ისევე, როგორც წნევის შემოქმედებით, შეშუავთ მანქანაში საცხი. ამიტომ აუცილებელია, რომ სულიერ საწყისს — რანაირი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი, — რეალური ძალა ჰქონდეს და ის ამ ძალის რეალიზაციას ახდენდეს. მაშინ ისინი, ვისაც არაფერზე არავითარი აზრი არა აქვს, — ხოლო ისინი უმრავლესობას შეადგენენ, — ალბათ, შეიძენდნენ ამ აზრს. საპირისპირო აზრთა კიდელის გარეშე ადამიანური არსებობა ერთ მთლიან ქაოსად, ისტორიული თვალსაზრისით, არარაობად იქცეოდა. ამიტომ, თუ ადამიანთა გულებზე არ ვრცელდება არავითარი სულიერი ძალაუფლება, არ იქნება არავითარი მმართველობა, და ვიდრე ის არ იქნება, მსოფლიოს შეიძლება მართავდეს მხოლოდ ქაოსი. ამისდა კვალად, ძალაუფლებისა თუ მმართველი ძალების შეცვლა სხვა არა არის რა, თუ არა წარმოდგენებისა და შეხედულებების, ანუ, სხვა სიტყვებით, ისტორიულ ძალთა მიზიდულობის შეცვლა.

მოდით, დავუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის

დასაწყისს. ევროპა — სულიერი თვალსაზრისით, მონათესავე ქვეყნების ერთობლიობა, — დიდი ხნის განმავლობაში მართავდა მსოფლიოს. შუა საუკუნეებში მსოფლიოს მმართველი არა მყოფლია. ახეთსავე სურათს გვთავაზობს ნებისმიერი ცივილიზაციის „შუა საუკუნეები“. ამიტომაცაა, რომ ყველა ამ ეპოქაში ევროპული ქვეყნები ქაოტურსა და ბარბაროსულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ამგვარად იგრძნობა საზოგადოებრივი აზრის დეფიციტი. ამ დროს ხალხს უყვარს, სძულს, ხარბად მიეღტვის, ან გადაქრით უარყოფს გარკვეულ საგნებსა თუ მოვლენებს, თანაც, უოველივე ამას უზარმაზარი ენერჯია ეწირება, თუმცა, იმავდროულად, არავინ არ გამოთქვამს საკუთარ აზრს. ყველა ამ დროებას თან ახლავს თავისებური ხიბლი. მაგრამ კაცობრიობის ისტორიის დიად ეპოქებში ცხოვრება საზოგადოებრივი აზრით სულდგმულობს, და სწორედ ამის წყალობით მყარდება წესრიგი. თუ შუა საუკუნეების წინამორბედ ეპოქას მივაპყრობთ მზერას, დავინახავთ, რომ იმ დროს, ისევე, როგორც დღეს, მსოფლიოს ვიღაც მართავდა, მთლიანად თუ არა, მის ერთ პატარა ნაწილს მაინც. ეს „ვილაცა“ რომი იყო, ძალაუფლების დიდი ტრფიალი. სწორედ მან დაამყარა წესრიგი ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და მის მომიჯნავე ქვეყნებში.

ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ევროპა უკვე ვეღარ მართავს მსოფლიოს. თუ გესმით, რაოდენ სერიოზულია ეს დიაგნოზი? ეს ხომ ძალაუფლების შეცვლას მოახწავებს. ვის ხელში გადავა იგი? ვინ იქნება, ევროპის შემდეგ, მსოფლიოს მმართველი? ან შეიძლება თუ არა, დარწმუნებული ვაყოთ იმაში, რომ ევროპას, ამ თვალსაზრისით, გამოუჩნდებიან მიმდევრები? კი მაგრამ, რომ არ გამოუჩნდნენ? რას გვიქადის ეს?

2

არავის ეპარება ექვი იმაში, რომ ამქვეყნად ჩვენი არსებობის უოველ მომენტში და, მაშასადამე, ამჟამადაც, უთვალავი რამ ხდება. თუმცა, ძნელია სერიოზულად, ირონიის გარეშე ამტკიცო, რომ ყველაფერს, რაც ხდება, თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს. მაგრამ, რაკი არ შეგვიძლია უშუალოდ ვიცოდეთ ყველაფერი, რაც ამქვეყნად ხდება, სხვა რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ თვითნებურად ავაგოთ ერთგვარი სამყარო, გარკვეული რეალობა, და ვივარაუდოთ, რომ საგნებს რაღაც სხვანაირი კი არა, სწორედ ამნაირი ბუნება აქვთ. ამის შედეგად



ჩვენ მივიღებთ სინამდვილის სქემატურ ასახვას, ცნებითა თუ ცნებების ერთობლიობით რომ გამოიხატება. ეს ცნებები თითქოს ერთგვარი შინაა, რომლის წიაღაც ჩვენ ვჭვრეტთ გარემომცველ სამყაროს და მიახლოებითი წარმოდგენა გვექმნება მასზე. სწორედ ესაა მეცნიერულ მეთოდთა სპეციფიკა, მეტიც, სწორედ ასე ხორციელდება გონების ქმედითობა. როცა ბალიდან ვხედავთ, როგორ გვიახლოვდება ჩვენი მეგობარი პედრო, გულში ვამბობთ: პედრო მოდისო. მაგრამ ამის თქმისას შეგნებულად ვუშვებთ შეცდომას: პედრო ჩვენთვის მხოლოდ გარკვეული სქემაა, ფიზიკური თუ მორალური ქცევის ერთგვარი საშუალება, რასაც ჩვენ „ხახიათს“ ვეძახით. ქეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ ჩვენი მეგობარი პედრო ზოგჯერ არა ჰგავს „ჩვენი მეგობარი პედროს“ იდეას.

ნებისმიერი ცნება თუ წარმოდგენა, გინდ მარტული იყოს და გინდ საგანგებო, სპეციალური, საკუთარი თავისადმი ირონიულ დამოკიდებულებაზეა დაფუძნებული; ესაა თითქოს რეალური ბავის არამატერიალური დიმიდი, როგორც ოქროს ბუდეში ჩასმული ნატიფი ლალი. ცნება სავსებით სერიოზულად გვარწმუნებს: „ეს არის A, ეს კი — B“, მაგრამ ეს სერიოზულობა pincesans—rire\*-სა ჰგავს; ესაა მოჩვენებითი, ნაძალადევი სერიოზულობა იმისა, ვინც სიცილით იგუდებოდა, თუმცაღა გამწარებული ცდილობდა თავის შეკავებას, მაგრამ ვერ მოასწრო მაგრად მოეკუმა პირი და ხარხარი აუტყდა. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ არც ერთი საგანია A, და არც მეორე შეესაბამება B-ს ცნებას. საქმე ისაა, რომ ცნება ერთს გვეუბნება და სხვას კი გულისხმობს, და სწორედ ეს გაორება გვევლინება ირონიის სათავედ. აი, რას გულისხმობს ცნება სინამდვილეში: მე ხომ ვიცი, — ფიქრობს თავისთვის ცნება, — რომ, თუ გულახდილნი ვიქნებით, ეს საგანი სულაც არ არის A და არც მეორე საგანია B. მაგრამ, როდესაც ვუშვებ, რომ ერთი A-ბ. მეორე — B, ჩემსავე თქვთან ვდებ გარიგებას, რადგანაც ასე უფრო მეადვილება გარკვეული ცხოვრებისეული პოზიცია მეჭირვოს A-ს და B-ს მიმართ.

ეს თეორია, რაციონალისტური შეშეცნების არსს რომ გვიხსნის, ალბათ, აღაშფოთებდა ძველ ბერძენ მოაზროვნეებს, რომლებსაც ეგონათ, რომ სინამდვილის ახსნის რაციონალური საფუძვლები და ცნებები იგივეა, რაც თვით

სინამდვილე. ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, რომ რაციონალისტური, ცნებებისმიერი აზროვნება ადამიანის საშინაო ხელსაწყოა, რომელსაც იგი იყენებს, რათა გაიცხადოს, თუ როგორია მისი მდგომარეობა ამ უსახრულ და ზეპრობლემატურ სინამდვილეში, რასაც მისი ცხოვრება ჰქვია. ცხოვრება გარემომცველ სამყაროსთან ბრძოლაა, ამ ბრძოლის მიზანს — თვითშენახვა, გადარჩენა. ცნება ის სტრატეგიული გეგმაა, რომელსაც ჩვენ ვადგენთ, ცხოვრების იერიში რომ მოვიგერიოთ. ამიტომ, თუ შევეცდებით, რომელიმე ცნების სიღრმისეულ აზრს ჩავწვდეთ, დავინახავთ, რომ ის არაფერს არ გვეუბნება იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს მოცემული საგანი, ანდა მოვლენა. პირიქით, ცნება შეიცავს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რანაირად შეუძლია ადამიანს, ისარგებლოს ამ საგნითა თუ მოვლენით, ან რანაირ საფრთხეს უქმნიან ისინი მას. რამდენადაც ვიცი, იმნაირი წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც, ცნება ადამიანისათვის ყოველთვის ცხოვრებისეული შინარსითაა სავსე და ყოველთვის გულისხმობს მისთვის შესაძლო მოქმედებასა თუ შესაძლო საფრთხეს, დღემდე არავის გაუზიარებია. მაგრამ, ჩემის აზრით, ის გვევლინება ღირსეულ დაგვირგვინებად იმ ფილოსოფიური მიმართულებისა, რომელიც კანტისაგან იღებს დასაბამს. ამიტომ, თუ თვალს გავადევნებთ ფილოსოფიური აზრის განვითარებას კანტამდე, დავინახავთ, რომ ყველა ფილოსოფოსი, პრესბიტერიანული, ერთსა და იმავეს იმეორებდა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ფილოსოფიაში რაიმე ახლის აღმოჩენა იმის მიკვლევას და გამოვლენას ნიშნავს, რაც მანამდე სიღრმეში იმალებოდა.

მაგრამ მე ძალიან დავცილდი ჩემი გამოკვლევის თემას, რომელიც ასე შორსაა ფილოსოფიური პრობლემეტიკისაგან. მე კი მხოლოდ ის შინდოდა მეთქვა, რომ დღევანდელ მსოფლიოში შემდეგი მოვლენის მოწმენი ვართ: უკანასკნელი ხამი საუკუნის მანძილზე ევროპა მარტავდა მსოფლიოს, დღეს კი თვითონვე ეჭვქვეშაა მმართველობის მისეულ უნარში და აღარ იცის, კვლავაც შესძლებს თუ არა თავისი როლის შესრულებას. ესოდენ მარტივ ფორმულირებაზე რომ დაგვყავს მთელი მრავალფეროვნება იმისა, რაც ისტორიულ სინამდვილეში ხდება, შესაძლოა, გადაჭარბებულ მნიშვნელობასაც ვანიჭებთ ახლანდელი მდგომარეობის სერიოზულობას. მიუხედავად ამისა, მე შინდოდა ერთხელაც შემეხსენებინა თქვენთვის, რომ აზროვნების პროცესი, გვინდა თუ არა ეს, ყოველთვის გულისხმობს გადაჭარბებას. ვისაც გადაჭარბება არა სურს, იძულებულია და-

\* სიტყვასიტყვით: „ჩქმეტა სიცილის გარეშე“ (ფრანგ.) გადატანით, — გრიმისა იმ ადამიანისა, სიცილის შეკავებას რომ ცდილობს.



დუმდეს, დუმილი კი გონების დამბლასა და, საბოლოო ანგარიშით, გამოთაყვანებას იწვევს.

მე მგონია, სწორედ ეს ხდება დღეს მსოფლიოში, ყოველივე დანარჩენი კი ამ მოვლენის შედეგი, პირობა, ნიშანი თუ დასტური გახლავთ.

მე არ მითქვამს, რომ ევროპა აღარ მართავს მსოფლიოს; მე მხოლოდ უურადლება გაგამახვილებინეთ იმ ფაქტზე, რომ დღეს ევროპელებს თვითონვე ეპარებათ ექვი იმაში, კვლავაც მართავენ თუ არა მსოფლიოს, და შესძლებენ თუ არა მომავალშიც მართავდნენ მას. ევროპელების ამ შეგრძნებას შეესაბამება სხვა ხალხების ანალოგიური სულიერი მდგომარეობა: ველარც ისინი ამბობენ დაბეჭითებით, მართავს თუ არა დღეს ვინმე მათ.

ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ევროპის დაიხზე. დაბეჭითებით გთხოვთ, ნუ დაუშვებთ მიაშიტურ შეცდომას და ნუ დაიწყებთ შენგლერზე ფიქრს, როცა ევროპული თუ, საერთოდ, დასავლური ცივილიზაციის დაიხზე ჩამოვარდება სიტყვა, — ჭერ კიდევ მანამ, ხანამ მისი წიგნი გამოქვეყნდებოდა, ყველას პირზე ეკრა ეს. შენგლერის წიგნმა სწორედ იმის წყალობით მოიხვეჭა პოპულარობა, რომ ადამიანები გუმანით უკვე გრძნობდნენ მასში აღძრული პრობლემის მტკივნეულობას, სულ სხვადასხვა მიზეზის გამო და სხვადასხვანაირი აზრით რომ აწუხებდა და აფორიაქებდა მათ.

ევროპული ცივილიზაციის დაცემაზე იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ადამიანებმა გადაწყვიტეს, ეს დაცემა უკვე მოხდაო. საქმე ის კი არაა, რომ დღეს ღრმად და სერიოზულად სწამთ, თითქოს მართლაც შესაძლებელი იყოს ევროპული ცივილიზაციის ჩასვენება: არა, ხალხს ჩვევად ექცა, განუსჯელად სჭეროდეს ეს დებულება, თუმცა ჭერ კიდევ ვერავინ შესძლო, არგუმენტირებულად დავერწმუნებინეთ მის სისწორეში. ამას წინათ გამოვიდა უოლდო ფრანკის წიგნი — „ამერიკის ახალი აღმოჩენა“, მთლიანად დაფუძნებული იმ ვარაუდზე, რომ ევროპა უკვე სულს დაფავს. ფრანკი არც კი აანალიზებს, სადაოდ არ ხდის და განხილვის ღირსადაც არ მიიჩნევს ეხოლდენ რთულ პრობლემას, რომელიც მთელი მისი მსჯელობის ძირითად წანამდვრად გვევლინება: ეს პოსტულატი მისთვის ეჭვშეუვალე ქეშმარიტება გახლავთ. საკუთარი მსჯელობის წანამდვართა შერჩევინადმი ეხოლდენ მიაშიტური დამოკიდებულება ძალაუნებურად მაფიქრებინებს, რომ ფრანკი სრულიადაც არ არის დარწმუნებული, მართლა ევროპული ცივილიზაციის დაცემის ხანაში ვცხოვრობთ თუ არა. როგორც ჩანს, თავისი თავისთვის არც დაუსვამს ასეთ კითხვას; მან განუსჯელად ირწმუნა ამ დე-

ბულების სისწორე, ზედ მოაბტა და ისე გაიხიერა, თითქოს ტრამვაი ყოფილიყო: მოარული წარმოდგენები ხომ სხვა არა არის რა, თუ არა ტრამვაი ინტელექტის სატრანსპორტო საშუალებათა შორის.

ბევრი სწორედ უოლდო ფრანკით იქცევა. მეთიც, დღეს ასე იქცევიან მთელი ხალხები.

მთელი მსოფლიო თითქოს გაბავშვდა: ყველა თამაშობს. სკოლაში, როგორც კი დაინახავენ, მასწავლებელი გავიდაო, პატარა ონავრები უიჟინით იკლებენ იქაურობას, ხტიან, დარბიან, უირამალა გადადიან; სინარულით ფეხზე აღარა დგანან, რაკიდა თავისუფლად დაიგულეს თავი და გამოიქცნენ იმ საპრობილედან, რომელშიაც იტანჯებოდნენ, ვიდრე მასწავლებელი კლასში იყო. რა ბედნიერებაა, ბორკილივით შემოიშხვრიო ქცევის შემზღუდველი წესები, ერთიშეორის მიყოლებით გაანადგურო ყველაფერი, საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონად იგრძნო თავი გაშმაგებულ ონავრებს ვერაფერი ველარ აოკებს, აღარავინ უნაწილებს მოვალეობებს, არავინა სვამს მათ წინაშე სერიოზულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც დროსა და აზროვნებას მოითხოვს. ბავშვებს საქმე აღარა აქვთ, და სხვა რა დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ კისრისტებით დარბოდნენ?

არანაკლებ სამწუხარო სურათს გვთავაზობს პატარა ხალხების თავქარიანობა, მათი ფუქსავატური ქცევა. რაკიდა უური მომჭრეს, ევროპული ცივილიზაციის მზე ჩაესვენაო, და, მაშასადამე, მიხვდნენ, რომ ევროპას უკვე აღარ შეუძლია მსოფლიოს მართვა, ყოველი ერი თუ ეროვნება სინარულით ცას ეწია, გამარჯვების უიჟინი დასცა, ცალ ფეხზე ხტომასა და ხელების ქნევას მოჰყვა; გალალებული და ამაყად თავადერილი თითის წვერებზე იწევა, ბაქი-ბუქობს, მედიდურად იფხორება, თითქოს გვანიშნებს, რომ უკვე დიდი გახდა და შეუძლია თვითონვე განაგოს თავისი თავი. აი, რატომაა, რომ დღეს, საითაც არ გაიხედავ, ყველგან ფუთფუთებს ათასნაირი „ნაციონალიზმი“.

ზემოთ მე ვცდილობდი დამეხატა ადამიანის ახალი ტიპის პორტრეტი, ადამიანისა, რომელიც დღეს აშკარად ჭარბობს მთელ მსოფლიოში. მე მას ადამიანი-მასა ვუწოდებ და საგანგებოდ გავამახვილე უურადლება ერთ მომენტზე: ადამიანი-მასის ქცევის ძირითადი თავისებურება ის გახლავთ, რომ, რაკი თავის უფერულობას და უღიმღამობას გრძნობს, გადაქრით აცხადებს, რომ სრული უფლება აქვს უღიმღამობა იყოს, და ხელალებით უარყოფს ყოველგვარ უზენაეს ავტორიტეტს. ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ, თუ ადამიანის ამნაირი ტიპი ჭარბობს ყველა ქვეყანაში, მაშასადამე,



ანალოგიური მოვლენის მოწმენი უნდა გავხდეთ მაშინაც, როცა მთელი ერებისა და ეროვნებების ქცევის ანალიზს ვახდენთ. და მართლაც, საერთაშორისო ასპარეზზეც გვხვდებიან ეროვნება-მასები, რომლებიც მზად არიან აღიქვან ისტორიის შემოქმედი დიდი ერების, კაცთა მოდგმის ამ რჩეული უმცირესობის წინააღმდეგ. როდენ სახაცილოა, როდესაც ხედავ, როგორ უფლებლობს ესა თუ ის ერთი ციციკა, რუკაზე ძლივს შესამჩნევი რესპუბლიკა, თითის წვერებზე ღვება, ხმას იმადლებს თავისი მიწრუებული კუნჭულიდან, ლანძღვა-გინებით იკლებს ევროპას და თან თავს იწონებს თავისი ისტორიის სიძველით.

რა გვეთქმის? ევროპამ შექმნა კანონები, რომლებმაც შექმნეს წარნატებით და ნაყოფიერად ემოქმედათ საუკუნეების განმავლობაში. საქმე ის კი არაა, რომ ისინი უკეთესი კანონებია უველა შესაძლო კანონთა შორის, არამედ ის, რომ მათ აუცილებლად ბოლომდე უნდა იარსებონ, ვიდრე არ შექმნიან, ან არ გამოიგონებენ ახალ კანონებს. ძველს მხოლოდ ახალი თუ აღემატება. დღეს ეროვნება-მასებმა გადაწყვიტეს, რომ კანონთა ის კოდექსი, რასაც ევროპული ცივილიზაცია მქვია სახელად, უკვე მოძველდა, მაგრამ რაკილა ახლის შექმნის თავი არა აქვთ, გაცოფებულნი თავდაყირა დადიან, როგორც ბავშვები.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ერთი ერების ერთობლიობა უკვე აღარ მართავს მსოფლიოს, გარდუვალად იწვევს იმას, რომ სხვა ერები, იმ ერისა თუ ერების წინააღმდეგ აღძრულნი, მათ რომ მართავდნენ, — უქმად რჩებიან, თავიანთ საარსებო პროგრამას მოკლებულნი.

მ

„ბოშამ გადაწყვიტა აღსარება ეთქვა ცოდვების მოსანანიებლად. პადრემ სახვათაშორისოდ მკითხა, სახარებისეულ მცნებებს თუ იცნობო, რაზედაც ბოშამ მიუგო: ღმერთმანი, მინდოდა ზეპირად მესწავლა, პადრე, მაგრამ როგორც კი მათი დაზუთხვა დავაპირე, ასე მითხრეს, მალე სუყველას გააუქმებენო“.

განა დღეს მსოფლიოში იგივე არ ხდება? ხმა დაირბა, ევროპული კანონები უკვე ვეღარ მართავენ მსოფლიოსო, და ამიტომაც უქლებლივ უველამ (ცალკეულმა პიროვნებებმაც და მთელმა ხალხებმაც) გადაწყვიტა, სასწრაფოდ ისარგებლოს ამ მომენტით და თავის ნებაზე იცხოვროს, ისე, რომ არავითარ იმპერატივს აღარა სცნობდეს. იმპერატივები კი ჩვენი დროის მთე-

ლი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ევროპული იყო, საქმე ის კი არაა, რომ ახალი ნორმების დღემდე არნახულმა განვითარებამ დაჩრდილა ძველი ნორმები და, ბოლოს, სულაც შთანქვა ისინი. ჩვეულებრივ, ასე ხდება უწინ, როცა სიძველის მინავლულ კერაზე ანაზღუდად იფეთქებდა ახალი ენთუზიაზმის კალი. მე თუ მკითხავთ, ძველი თავისი მისწრაფებების გამო როდი გვეჩვენება ძველად; არა, ძველი კიდევ უფრო ძველი გვეჩვენება იმის შედეგად, რომ მის გარშემო დულს და გადმოდის ახალი სიციციკლე. რომელიც მხოლოდ თავისი სიახლით აღემატება ძველს. შეილება რომ არასოდეს გვეულოდა, ალბათ, არც დავებრდებოდით, ყოველ შემთხვევაში, უფრო დიდხანს შევინარჩუნებდით ახალგაზრდობას. იგივე შეიძლება ითქვას ტექნიკაზედაც: თუ ერთმანეთს შევადარებო ციცი წლის წინანდელ ავტომანქანას და ორთქლმავალს, მანქანა უფრო მოძველებული მოგვეჩვენება, რადგანაც მანქანათმშენებლობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება. ახალგაზრდა ბობოქარი სიციცილით გარშემორტყმული სიბერე საზოგადოების სიჭანსალის ნიშანია.

მაგრამ დღეს მსოფლიოში რაღაც ავადმყოფურად უცნაური რამ ხდება. ევროპულმა კანონებმა ძალა დაკარგეს, მათი შემცვლელი კი არსადა ჩანს. ამბობენ, ევროპა ვეღარა მართავს მსოფლიოსო, და ჭერჭერობით არავინ იცის, ვინ იქნება მისი მემკვიდრე. როდესაც ვამბობ „ევროპაო“, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთს, ინგლისსა და გერმანიას უნდა ვგულისხმობდეთ. დედამიწის იმ ნაწილში, სადაც ისინი მდებარეობენ, შეიქმნა არსებობის იმნაირი მოდუსი, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა. თუ, როგორც დღეს ამტკიცებენ, ეს სამი ერთი ძალასა კარგავს, ხოლო მათი სასიციცილო პროგრამა ძველებურ მნიშვნელობას ვეღარ ინარჩუნებს, მაშინ აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ მთელი კაცობრიობა ზნეობრივ დეგრადაციას განიცდის.

ხოლო ეს მართლაც ასეა. მსოფლიო საზოგადოებრიობა — მთელი ერებიცა და ცალკეული ინდივიდუუმებიც — დემორალიზებულია. ერთხანს ისინი კიდევაც ერთობიან ამ დემორალიზაციით და გარკვეული ილუზიაც კი უჩნდებათ ამასთან დაკავშირებით: ვინც ქვემოთაა, ასე ჰგონიათ, დიდი ტვირთი მომეხსნა მხრებიდანაო. ევროპულ კანონებში კვლავინდებურად საგრძნობია იმ მშფოთვარე დროების სული, როცა მათ ქვასა თუ ბრინჯაოზე კვეთდნენ. სიტყვა „ბრძანება“ წარმოსდგება ზმნიდან „ვტვირთავ, მოვალეობას ვაკისრებ“. ვინც ბრძანებას იძლევა, ახალ-ახალ მოვალეობათა მძიმე ტვირთს გვიკიდებს ზურგზე. საზოგადო-



ების ქვედა ფენები, ამ სიმძიმით ქანცაწყვე-  
ტილი, მიაძიმურად შექმნიან გულისგამაწ-  
ვრებელი იმპერატივებისაგან განთავისუფ-  
ლებას. მაგრამ ზეიმი ხანმოკლეა: რაკი კანონე-  
ბი აღარა გვაქვს, რომლებიც გვაძლავდნენ  
ცხოვრების გარკვეული წესით გვეცხოვრა, თვი-  
თონვე გავხდით საკუთარი ცხოვრების სრულ-  
ფულეიანი ბატონ-პატრონი. სწორედ ასეთია  
ჩვენი ახალი თაობის უკეთეს წარმომადგენელ-  
თა ხულიერი განწყობილება: როგორც კი თა-  
ვასუფლად დაივლეს თავი, როგორც დაწყ-  
ვიტეს მოვალეობის არტახები, დაუყოვნებლივ  
ჩინა თავი სიცარიელის განცდამ. თუ შენს  
განკარგულებაშია მთელი სიცოცხლე, ეს უფრო  
სრული უარყოფაა სიცოცხლისა, ვიდრე თვით  
სიკვდილი. რადგანაც სიცოცხლე რაღაცის კე-  
თებას, შენი საკუთარი მისიის შესრულებას  
ნიშნავს. ცოტაც და მთელ პლანეტას შესძრავს  
ადამიანის გულშემწარავი ყვირილი: ეს იქნება  
ყვირილი ადამიანის, შემწეობას რომ ითხოვს,  
საწყალობელი ვედრება, იქნებ ვინმე მოგვევ-  
ლინოს ხელისამპყრობლად და გამრიგედ, რათა  
კვლავ ჩავინერგოს სერიოზული ზრახვები და  
ნამდვილი საქმე მოგვანდოს.

დაე, მომავლის ეს საწარელი სურათი კიდევ  
ერთი გაფრთხილება იყოს უველასთვის, ვინც  
ბავშვური დაუდევრობით აცხადებს, ევროპამ  
ხელიდან გაუშვა მმართველობის სადავეო. ად-  
ამიანების მართვა იმასა ნიშნავს, რომ კეთილ-  
გონიერება ჩაუნერგო მათ, სერიოზული ამო-  
ცანების წინაშე დააყენო ისინი და ხელი შე-  
უწყო იმაში, რომ თავიანთ ქეშმარიტ დანიშნუ-  
ლებას მიაგნონ. ამასთანავე, მმართველობა იმა-  
საც ნიშნავს, რომ აღკვეთო ადამიანთა ქცევის  
სხვადასხვაგვარი ექსტრავაგანტურობა, ვინა-  
იდან ექსტრავაგანტურობა, ჩვეულებრივ, უსაქ-  
მურობის, უმიზნო ცხოვრების, სასოწარკვეთის  
შედეგია.

მსოფლიოს ბედ-იღბლის გამგებლის პოსტი-  
დან ევროპის გადადგომის ფაქტს ესოდენ დი-  
დი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მას რომ თავისი  
შემკვიდრე გამოსჩენოდა. მაგრამ ჭერჭერობით  
იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, თუ ვის  
შეუძლია დაიკავოს მისი ადგილი. ვერ ვიტყვით,  
რომ ნიუ-იორკი და მოსკოვი თავიანთი სიახ-  
ლით ძირეულად განსხვავდებოდნენ ევროპი-  
საგან. ერთი და მეორეც ევროპის კანონმდებ-  
ლობიდან ამოვარდნილი ორი ფურცელია, რო-  
მლებსაც ამ კონტექსტის გარეშე არავითარი  
აზრი არა აქვთ. და მართლაც სევდის მომგვრე-  
ლია საუბარი მოსკოვსა და ნიუ-იორკზე. ჩვენ  
ხომ ჭერჭერობით არც ვიცით, რანი არიან ისი-  
ნი სინამდვილეში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ  
არც ერთსა და არც მეორეზე ჭერ კიდევ არა-

ვის უთქვამს გადამწყვეტი სიტყვა, არ გამო-  
უტანია საბოლოო განაჩენი. და თუმცა ჩვენ  
ჭერ კიდევ ვერ ვიტყვით დაბეჭითებით, რას  
წარმოადგენენ ისინი, ჩვენი ცოდნა იმისთვის  
მანც საკმარისია, რომ მივხვდეთ: ისინი სახე-  
ობრივი რიგის მოვლენებია. ერთი და მეო-  
რეც სავსებით შეესატყვისება <sup>მას, რასაც მე</sup>  
<sup>„ისტორიული კამუფლაჟი“ მოვლენას ვუ-</sup>  
წოდებ. კამუფლაჟი ისაა, რაც სულ სხვა  
რამედ გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. ამ  
მოვლენის გარეგნული თვისებები, ნაცვლად იმი-  
სა, რომ გვიმუღავებდნენ, პირიქით, მალავენ  
მის ნამდვილ არსს, და ამიტომაცაა, რომ შეც-  
დომასი შემყავთ ამდენი ხალხი. კამუფლაჟის  
მოვლენა თავგზას ვერ აუბნევს მხოლოდ იმას,  
ვინც წინასწარვე პრინციპულად დარწმუნებუ-  
ლია მის არსებობაში. ასე, როცა წინასწარ ვი-  
ცით, რომ ჩვენ წინაშე მირაჟია, უკვე აღარ  
ვენდობით ჩვენსავე თვალს.

ისტორიული კამუფლაჟის ნებისმიერი მოვ-  
ლენა ორი რეალობის არსებობას გულისხმობს,  
რომელთაგანაც ერთი სიღრმისეულია, ქეშმა-  
რიტი და არსობრივი, მეორე კი — შედაპირუ-  
ლი. შემთხვევითი, მოჩვენებითი. ასე მაგა-  
ლითად. დღეს მოსკოვის განკარგულებაშია  
ევროპული იდეების კომპლექსი, კერძოდ, მარ-  
ქსიზმი, იდეებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულ  
იქნენ ევროპაში, ევროპული სინამდვილის ანა-  
ლიზის საფუძველზე და პირწმინდად ევროპული  
პრობლემების გადასაჭრელად. ამ იდეების ნი-  
დაბქვეშ კი იმალება ხალხი, რომელიც ევრო-  
პელებისგან განსხვავდება არა მარტო ეთნიკუ-  
რად, არამედ — რასაც გაცილებით უფრო დი-  
დი მნიშვნელობა აქვს, — ასაკითაც. რუსი  
ხალხი ახალგაზრდა ხალხია; ის ჭერ კიდევ არ  
დადუღებულა. მარქსიზმს რომ გავმარჯვა რუ-  
ხეთში, რომელსაც არა აქვს მრეწველობა, არა-  
ფერი ასე არ დაუპირისპირდებოდა მარქსის  
მოძღვრებას. მაგრამ ამნაირი დაპირისპირება  
არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს ამნაირი  
გამარჯვებაც. რუსეთს მხოლოდ ძალზე პირო-  
ბითად თუ შეიძლება ეწოდოს მარქსისტული  
ქვეყანა, ზუსტად ისევე, როგორც პირობითად  
თუ მივიჩნევდით რომაელებად „რომის საღვ-  
თო იმპერიის“ ტერიტორიაზე მცხოვრებ გერ-  
მანულ ტომებს. ახალგაზრდა ერებს თავიანთი  
იდეები არ გააჩნიათ. როცა ისინი იმ რეგი-  
ონში ვითარდებიან, სადაც არსებობს ან არ-  
სებობდა ძველი კულტურა, მაშინ ამ კულტურის  
იდეას სამოსივით ირგებენ ტანზე. აი, ესეც  
თქვენი კამუფლაჟი და მისი არსებობის მი-  
ზეზიც. როგორც არაერთხელ შემიინიშნავს, რა-  
ტომდაც ყოველთვის ივიწყებენ, რომ ხალხს  
ისტორიული განვითარების ორი გზა აქვს.



ზოგჯერ ხალხი თავის საკუთარ კულტურას ქმნის იმ გარემოში, სადაც ხაერთოდ არ არსებობს არავითარი ცივილიზაცია. ასეთი იყო ისტორიული პირობები, რომლებმაც დასაბამი მისცეს ძველ ეგვიპტურსა თუ ძველ ჩინურ ცივილიზაციას. ამნაირი ხალხის ნებისმიერ ქმედითობას ნამდვილი ეთქმის, ხოლო მოქმედებას — უშუალო და პირდაპირი. მაგრამ არიან ხალხები, რომლებიც იმნაირ სახიცოცხლო სივრცეში ქმნიან თავიანთ კულტურას, სადაც აღრევე დაირწა ისტორიულად გაცილებით უფრო ძველი ცივილიზაციის აკვანი. სწორედ ასე ვითარდებოდა რომის იმპერია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, სადაც თითქმის თვით პაერიც კი გაუღენთილი იყო აღმოსავლეთ ბერძნული ცივილიზაციის სულით. ამ მიზეზის გამო, სულ მცირე, ნახევარი მაინც იმისა, რასაც რომაელებმა მიაღწიეს, მათი საკუთარი ნამოღვაწარი როდი იყო; ეს კარგად ათვისებული ძველის გადამღერება გახლდათ. ხოლო ის, რაც ათვისებულია და დასწავლილი, ყოველთვის ორმაგი ბუნებისაა: მისი ნამდვილი მნიშვნელობა არ შეიძლება უშუალო და პირდაპირი იყოს, ის ყოველთვის ორაზროვანია. ვინც დასწავლილ მოძრაობას ასრულებს, ვთქვათ, უცხო სიტყვის წარმოსათქმელად მომართავს თავის სარტიკულაციო აპარატს, ყოველთვის ნამდვილსა და უშუალო მოქმედებას იშველიებს მიზნის მისაღწევად: თავის მშობლიურ ენაზე თარგმნის მისთვის უცხო სიტყვას. ამიტომ, თუ გვინდა გავიაზროთ კანონების მნიშვნელობა, მთარგმნელის ადგილას უნდა დავდგეთ, ლექსიკონის დახმარებით რომ თარგმნის ტექსტს. იმედი მაქვს, ოდესმე გამოვა წიგნი, რომელშიაც მარქსიზმის სტალინური ვარიანტი თავის ახსნას ვპოვებს რუსეთის ისტორიის კონტექსტში. ამ რეჟიმის რუსული ხასიათი იმაში ვლინდება, რომ ის მკაცრი რეჟიმია, და არა იმაში, რომ ის კომუნისტურია. ვინ იცის, რად იქცევა ის მომავალში! დღესდღეობით კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია დაბეჭითებით, რომ ჯერ კიდევ ბევრი საუკუნე გაივლის, ვიდრე რუსეთი შესძლებს პრეტიენსიბა ბანაცხადოს მსოფლიო ბატონობაზე. რამდენადაც მას თავისი „აღთქმები“ არ გააჩნია, ამიტომ ისე დაიჭირა თავი, ვითომ მარქსის ევროპულ პრინციპს მიემხრო. და რაკი ნამდვილად არ აკლია ახალგაზრდული ძალა, ამ ფუნქციით დაკმაყოფილდა. ახალგაზრდა კაცს არ სჭირდება ყოფიერების მიზეზთა ჩხრეკა, მისთვის სავსებით საკმარისია არსებობის საბაბი.

იგივე შეიძლება ითქვას ნიუ-იორკზედაც. არანაკლები შეცდომა იქნებოდა, ამერიკის დღევანდელი ძლიერება იმ „აღთქმებისთვის“ მიგ-

ვეწერა, რომლებსაც ემორჩილებიან ამერიკელები.

ბოლოს და ბოლოს, ყველა ეს „აღთქმა“ ერთ რამეზე, სახელდობრ, ტექნიკაზე დაიყვანება. აი, კიდევ ერთი ევროპული, და არა ამერიკული გამოგონება. ტექნიკა XVIII-XIX საუკუნეების ევროპაში გამოგონეს. რა საგულისხმო დამთხვევაა სწორედ ამ დროს იბადება ამერიკა. დღეს კი მთელი სერიოზულობით ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ცხოვრების ამერიკული წესის თავისებურება ტექნიციზმსა და პრაქტიციზმში ვლინდება. ნაცვლად ამისა, აი, რა უნდა ეთქვათ: ეთნიკური თვალსაზრისით, ამერიკა (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კოლონია) ძველი, უწინარეს ყოვლისა კი ევროპელი ხალხების აღორძინებისა და გაახალგაზრდავების შედეგია. ამერიკელები, ზუსტად ისევე, როგორც რუსები (თუმცაღა სულ სხვა მიზეზების გამოისობით) იმ სპეციფიკური ისტორიული რეალობის ნიშნად გვევლინებიან, რასაც ჩვენ ახალგაზრდა ხალხს ვუწოდებთ. „ახალგაზრდა ხალხის“ ცნება მეტაფორა კი არა, ისეთივე რეალობაა, როგორც ნებისმიერი ადამიანის ახალგაზრდობა. ამერიკა ძლიერია თავისი ახალგაზრდობით, რომელიც მან თანადროულობის კანონის — ტექნიკის სამხახურში ჩააყენა, ზუსტად ისევე, როგორც შეეძლო ბუდიზმისთვის მიეძღვნა თავი, დღის წესრიგში ტექნიკა კი არა, ბუდიზმი რომ მდგარიყო. მაგრამ ამერიკა მხოლოდ ახლა იწყებს თავისი ისტორიის წერას, მხოლოდ ახლა იწყება მისი ძნელბედობა! თავს იჩენენ შინაგანი წინააღმდეგობანი, შეხლა-შემოხლა, შუღლი, ურთიერთმტრობა. ამერიკას ყველაფერი წინააქვს. ის ჯერ კიდევ ბევრ რამეს მისცემს მსოფლიოს, მათ შორის, რაღაც ისეთსაც, რაც ძირეულად უპირისპირდება ტექნიკურ პროგრესსა და პრაქტიციზმს. ამერიკა რუსეთზე ახალგაზრდაა. მიუხედავად ჩემი შიშისა, ვაითუ მეტიმეტობა დამწამონ-მეთქი, ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ამერიკაში ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების ნიღაბქვეშ იმალება პირველყოფილი ხალხი. დღეს კი უოლდო ფრანკი თავის წიგნში „ამერიკის ახალი აღმოჩენა“ ხმამაღლა ამტკიცებს ამას. ამერიკას ჯერ კიდევ არ გამოუვლია დიდ განსაცდელთა ქარცეცხლში, მან ჯერ კიდევ არ იცის, რა არის ნამდვილი ტანჯვა, და ამიტომ ილუზია იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ მას აღმოაჩნდება საკმარისი ღირსებები, რათა ხელიდან არ გაუშვას მსოფლიო ბატონობის სადავე.

ვინც უკვე მზადაა პესიმისტურად დაასკვნას, რომ მსოფლიოს უკვე აღარ ეყოლება მმართველი, რის შედეგადაც მთელ მზისქვეშეთს უთ-



უოდ ქაოსი მოიცავს, დაე, ჩვენი მსჯელობის ამოსავალ წერტილს მიუბრუნდეს და მთელი სერიოზულობით დაეკითხოს საკუთარ თავს: „ნუთუ საქმე მართლა ისეა, როგორც გამოდგებით ჩაგვიჩინებენ ყოველი მხრიდან? ნუთუ ევროპა მართლა ისე დაძაბუნდა და დაეცა, რომ უარი თქვა ძალაუფლებაზე და ტახტიდან გადადგა? იქნებ ეს მოჩვენებითი დაცემა სხვა არა არის რა, თუ არა სასიკეთო კრიზისი, რის შემდეგაც ევროპა შესძლებს კვლავაც ევროპად იქცეს, ამ სიტყვის კემარითი გაგებით? ან იქნებ ევროპული მრავალფეროვნების ეს დაცემა, რაც ჩვენ თვალწინ ხდება, აბრძოლებად იქცეს იმის საწინდრად, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიქმნება „ევროპის შეერთებული შტატები“ და ევროპულ მრავალფეროვნებას ევროპული ქვეყნების ფორმალური ერთიანობა შეცვლის?“

4

ვერც ერთი საზოგადოება ვერ შესძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას, თუკი მას არავინ მართავს და არც არავინ ემორჩილება ამ მმართველობას. როგორც კი მმართველობის საკითხში თავს იჩენს თუნდაც სულ მცირე ბუნდოვანება, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება მახინჯდება და მრუდდება; დაუყოვნებლივ ირღვევა და ფალსიფიცირდება ნებისმიერი პიროვნების უღრმესი შინაგანი ცხოვრება, თუკი ზოგადი წესიდან გენიალურ გამოჩაქვნილებს არ ეხება საქმე. ადამიანი რომ თავისი არსით ეული და მართლმდებოფი არსება იყოს, მას რომ მხოლოდ ხანდახან სკირდებოდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, იქნებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს არც ეგზომ დიდი გავლენა მოეხდინა მასზე, ხოლო მისი პირადი ცხოვრება არც ასე დამოკიდებული ყოფილიყო ძალაუფლების შეცვლასა. თუ საზოგადოებრივი მმართველობის სფეროში ყველა შესაძლო კრიზისზე. მაგრამ, რაკი ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, თვით ის ცვლილებებიც, რომლებიც პირადად მას კი არა, მთელ საზოგადოებას ეხება, უშუალო გამოძახილს პოულობს მის სულში. ამიტომ, თუ გვინდა გავანალიზოთ ამა თუ იმ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის არსებობის მოდუსი, თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, როგორ დგას მის სამშობლოში მმართველობისა თუ მორჩილების საკითხი.

საინტერესო და გარკვეული თვალსაზრისით, სასარგებლოც იქნებოდა, ამნაირი ანალიზისათვის დაგვექვემდებარებინა საშუალო ესპანელის ინდივიდუალური ხასიათი. მაგრამ, თუმცა ეს

ობერაცია ბევრ რამეში წარგვადგებოდა, მაინც სევდიან ფიქრებს აღგვიძრავდა და შეიძლება ჩვენი აღშფოთებაც კი გამოეწვია, ამიტომ თავს ავარიდებ მას. და მაინც, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მორალურ დეგრადაციას, რასაც განიცდის დღეს საშუალო ესპანელი: ყოველივე ეს იმის შედეგი გახლავთ, რამაც ქვეყნის მთელი აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა „ქვეყნის“ ტანუქვრეტელ ნისლსა თუ ბურჟუაზიაში ცხოვრობენ, რადგანაც საერთოდ აღარ აქვთ იმის გაგება, თუ ვინ მართავს მათ, ან ვის მორჩილებენ, მორალური დაცემა სხვა არა არის რა, თუ არა ჩვეულება, არანორმალურ მდგომარეობას რომ გვჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვალიარებთ რაღაცას, ის მაინც, ასე თუ ისე, აკრძალული გვეჩვენება, და რაკი ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად და ჯანსაღად აქციოს ის, რაც თავისი არსით არანორმალური და დანაშაულებრივია, ამიტომ ცდილობს თვითონვე მიესადაგოს მას, ნორმალურად დასახოს არანორმალური სიტუაცია, და ამრიგად, დანაშაულებრივ არსებობას გაუიგივოს თავისი საკუთარი არსებობა. ყოველი ხალხის ისტორიაში ყოფილა ისეთი მომენტი, როცა მას მართავდა ის, ვინც ამისი ღირსი არ იყო, მაგრამ ჯანსაღი ინსტიქტი ყოველთვის აიძულებდა ხალხს ერთ მუშტად შეეკრა მთელი თავისი ენერჯია და თავიდან მოეშორებინა უღირსი მმართველი. ასე ხდებოდა დროებითი უზურპაციის გამოსწორება და საზოგადოებრივი მორალის აღდგენა. მაგრამ ესპანელები ყოველთვის პირიქით იქცეოდნენ: ნაცვლად იმისა, რომ აშკარად დაპირისპირებოდნენ მათთვის საძულველ მთავრობას, რომელსაც გულის სიღრმეში უარყოფდნენ, ისინი ამჯობინებდნენ გაეყალბებინათ და გაემრუდებინათ პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი გამოვლინება, რათა ხელისუფლების სათავეში მდგარი გაიძვერებინათ მოთხოვნებისათვის მიესადაგებინათ მთელი თავიანთი ყოფა.

ამიტომ ვასაოცარი არა არის რა იმაში, რომ საკმარისი იყო ოდნავი უნდობლობა მაინც აღგვიძროდა ჩვენი მმართველების მიმართ, ან თუნდაც სულ მცირე ექვი შეგვეპარვოდა მათ ღირსებაში, რომ მაშინვე დაწყებულიყო როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ცხოვრების ზნეობრივი დეგრადაცია.

ადამიანის ბუნებაში დვრიტადაა ჩადებული იმისკენ სწრაფვა, რომ რაღაცას მიუძღვნას თავი; სულერთია, დიდსა თუ პატარა, სასახელო თუ ხავესებით ჩვეულებრივ საქმეს მოახმაროს მთელი თავისი სიცოცხლე. ასეთია ჩვენი არსებობის, ცოტა არ იყოს, უცნაური, მაგრამ აუცილებელი პირობა. ერთის მხრივ, ყველა



თავისით და თავისი თავისთვის ცოცხლობს, მეორეს მხრივ კი, თუ მე რაღაცას არ ვწირავ მთელ სიცოცხლეს, რაღაცას ისეთს, რასაც, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ ჩემთვის აქვს მნიშვნელობა, მაშინ ჩემი არსებობაც მიინავლება, სასიცოცხლო ძალა ჩაქრება და მოქმედების უნარიც დამიჩლუნვდება. დღეს ჩვენ შთამბეჭდავი ხანაობის მოწმენი ვართ, როცა ადამიანთა ურთიბვი ბრბოები ბრმეზვიით დაბორიანდობენ თავიანთი ცხოვრების ბნელ ლაბირინთში, სწორედ იმიტომ, რომ არ იციან, რას მოახმარონ სიცოცხლე. სათუო ხდება ყოველგვარი იმპერატივის, ყოველგვარი კანონის არსებობა. ერთის შეხედვით, მდგომარეობა თითქოს იდეალური უნდა იყოს, რადგანაც ყველას შეუძლია, რასაც უნდა, იმას მოახმაროს მთელი თავისი სიცოცხლე, გინდ სხვარამ საქმეს და გინდა საკუთარ თავს. იგივე ითქმის მთელ ხალხებსა და ერებზედაც: ევროპა ძველებურ შემოქმედებას ვეღარ ახდენს მსოფლიოზე, მაგრამ შედეგი კი სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც მოელოდნენ: თავისი თავის ამარა მიტოვებულ ადამიანს სიციარიელის აუტანელი განცდა ეუფლება და აღარ იცის, რა ქნას, რა იღონოს, რა გზას დაადგეს. და რაკი სიცოცხლე რაღაცით მაინც უნდა შეავსო, ის მიაშიტურად იტყუებს თავს, ცდილობს საქმეს მოჰკიდოს ხელი, მაგრამ მხოლოდ იმნაირ საქმეს, დიდ წვალებას, ოფლისღვრას და კაპანწყვეტას რომ არ მოითხოვს; დღეს ერთს წაებოტინება, ხვალ კი მეორეს. თავისი თავის ანაბარა შთენილი სიცოცხლე თანდათანობით იწრიტება, აღარ იცის, რა მიზანს მისდოს. ეგოიზმის გზას ყოველთვის ლაბირინთში შევყავართ, და ეს სავსებით გასაგებია. ყოფიერება მიზანში ნატყორცნ ისარსა ჰგავს; ესაა გზა, რომლითაც ჩვენ მიერ დასახულ მიზანს მივღვლტვით. თვით, გზა შეუძლებელია მიზანი იყოს, ისევე, როგორც შეუძლებელია მიზანი იყოს სიცოცხლე. მიზანი ისაა, რასაც ჩემს სიცოცხლეს ვწირავ; ამიტომ მიზანი უფრო მაღალია, ვიდრე სიცოცხლე. ეგოისტისთვის მართლაც რომ მივუყვები ცხოვრების გზას, მე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ მასზე; მთელი ჩემი „სიარული“ ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა იქნება. სწორედ ესაა ლაბირინთი, — გზა, რომელსაც არსაითენ არ მივყავართ; ლაბირინთში ყველა გზა იხლართება და იკარგება, სწორედ იმიტომ, რომ არსაითაც არ მიგვიძღვის.

\* \* \*

ომის შემდგომ პერიოდში\* ევროპელი თავის თავში განმარტოვდა, საკუთარი არსებობის დი-

ლეგში ჩაიკეტა, და ამის შედეგად არა მარტო თვითონ დარჩა უსაქმოდ, არამედ სხვებსაც მოუსპო საქმის კეთების საშუალება. დღეს, ისტორიული თვალსაზრისით, მდგომარეობა იდნავადაც არ შეცვლილა: ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც ამ ათი წლის წინათ იყო.

ნებისმიერი მმართველობა ვარკვეულ მოვალეობებს გვაკისრებს: ძალაუფლება შემოქმედებაა, მაგრამ მართლმოდენ ამით როდი ამოიწურება. ძალაუფლება რომ მხოლოდ იძულება და შემოქმედება იყოს, მაშინ ძალადობად გადაიქცეოდა. გახსოვდეთ, რომ ყოველნაირ მმართველობას ორმაგი მიმართულება აქვს: მმართველი ბრძანებას იძულება და, თავის მხრივ, განაწებს იღებს იმათგან, ვისაც თვითონვე მართავს, ეს განაწესი, საბოლოო ანგარიშით, სხვა არა არის რა, თუ არა გრანდიოზულ შთანაფიქრთა და დიად ისტორიულ მიზანდასახულობათა განხორციელების სურვილი. ამიტომაც შეუძლებელია ნებისმიერი მმართველობა სასიცოცხლო პროგრამის, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ გეგმის გარეშე, რომლითაც უნდა მართო ქვეყანა. შილერის თქმისა არ იყოს, „როდესაც შეფეები მშენებლობას იწყებენ, მეეტლებმა ოფლი უნდა ღვარონ“.

ამიტომაც არ უნდა ვენდობოდეთ მთარულ წარმოდგენებს, რომელთა თანახმადაც, დიდი ხალხებისა თუ დიდი ადამიანების მოქმედებას მხოლოდ და მხოლოდ მათი ეგოისტური ინტერესები განაპირობებს. არც ისე ადვილია აბსოლუტური ეგოისტი იყო, — ამნაირი ადამიანები ყოველთვის წაგებულნი რჩებოდნენ. დიდი ხალხებისა და დიდი ადამიანების მოჩვენებითი ეგოიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სულის სიმტკიცე, რაც აუცილებლად სჭირდება ყველას, ვინც დიად მიზანს მიუძღვნის თავის სიცოცხლეს. როცა მართლაც მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ და მტკიცე გადაწყვეტილებას ვიღებთ, მთელი სიცოცხლე შევწიროთ მას, სიბრიყვე იქნებოდა, ქუჩაში დავმდგარიყავით, რათა გზა მიგვეწავლებინა გამვლელთათვის, ან თვალთმაქცური ქველმოქმედებისთვის მიგვეყო ხელი. ერთი ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება, რაც ესპანეთში მოგზაურობისას რჩება უცხოელს, ის გახლავთ, რომ, თუ ქუჩაში შეაჩერებს ვინმეს და სთხოვს, ესა და ეს სახლი, ან ესა და ეს მოედანი მიმასწავლეთო, ესპანელი აუცილებლად გადაუხვევს თავისი გზიდან, განსაცვიფრებელი დიდსულოვნების წყალობით; მაშინვე შეხთავაზებს სამსახურს და იმ ადგილამდე მიაცილებს მთხოვნელს, რომელსაც იგი ეძებდა. ჩემდათავად, მეც ვაღიარებ, რომ ამნაირ საქციელში შეიძლება მართლაც ვლინდება ღირსეული კელტ-იბერიის დიდსულოვნეა

\* იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი.



ბა, და, მართალი ვითრათ, ძალიანაც მსია-  
მოვნებს, როცა უცხოელები სწორედ ასე  
განმარტავენ მის ქცევას. მაგრამ უოველთვის,  
როცა ამნაირი შემთხვევის ამბავს ვისმენ, ანდა  
ვკითხულობ, ვერასდიდებით ვერ ვიხშობ გულ-  
ში, ცოტა არ იყოს, იქვენულ გრძნობას: კი  
მაგრამ, მართლა თავის საქმეზე მიეშურებოდა  
თუ არა ჩემი ძვირფასი თანამემამულე? ადვილი  
შესაძლებელია, რომ ის არსადაც არ მიდიოდა,  
რადგანაც ესპანელის წინაშე საერთოდ არა დგას  
არავითარი ნიშანი, არავითარი ამოცანა, რომე-  
ლიც უნდა გადაწყვიტოს. ის მხოლოდ თავის-  
თვის მიხეირობს ცხოვრების გზაზე, და იმე-  
დი აქვს, რომ სხვები მაინც შეავსებენ მისი  
უმიზნო არსებობის სიცარიელეს. მენდეთ, ჩე-  
მი თანამემამულეების უმრავლესობა ხშირად  
სწორედ იმ მიზნით გამოდის ქუჩაში, რომ იქ-  
ნებ უცხოელს გადაეყაროს და ამა თუ იმ აღ-  
გელამდე მიაცილოს.

არანაკლებ სავალალოა ის ფაქტი, რომ ევ-  
როპული ქვეყნების ეჭვი, მგონი, მართლა აღ-  
არ შეგვიძლია მსოფლიოს მართვად. სხვა  
ხალხების დემორალიზაციას იწვევს, რა თქმა  
უნდა, მათი გამოკლებით, ვინც თავისი ახალგა-  
ზრდობის გამო ჯერ კიდევ არ გასცილებია გან-  
ვითარების პრეისტორიულ ეტაპს. მაგრამ კი-  
დევ უფრო დამთრგუნველია იმის შეგნება, რომ  
ეს *piétinement\* sur place* აუცილებლად გამო-  
იწვევს ევროპელთა სრულ მორალურ დეგრადა-  
ციას. თუ ღმერთი გწამთ, ნუ იფიქრებთ, თით-  
ქოს, რაკი ევროპელი ვარ (ხოლო ევროპა დიდ-  
ხანს ვეღარ შესძლებს მსოფლიოს მართვას),  
აღარ მაინტერესებდეს დანარჩენი ხალხების  
ბედი. ევროპელების მიერ მსოფლიო ბატონო-  
ბის დაკარგვის ფაქტს არც ისე დიდი მნიშვნე-  
ლობა ექნებოდა ჩემთვის, სადმე რომ მეგულე-  
ბოდეს სხვა ხალხების ერთიანობა, რომელიც  
შესძლებდა შეეცვალა ევროპა და თვითონ  
დამდგარიყო მსოფლიო საზოგადოებრიობის მა-  
რთვის საჭეხთან. მე იმაზეც თანახმა ვიქნებოდი,  
სულაც არავის ემართა მსოფლიო, თუკი  
ეს გარდუვალად არ გამოიწვევდა ყველა იმ  
საქველისა და შემოქმედებითი უნარის იავარ-  
ყოფას, რაც ოდითგანვე ნიშნულია ევროპე-  
ლისთვის.

სამწუხაროდ, ეს გარდუვალია, თუ ევროპე-  
ლები საბოლოოდ შეეგუენ იმას, რომ მსოფ-  
ლიოს ვეღარ მართავენ, უახლოეს ოც-ოცდაათ  
წელიწადში ჩვენი ბებერი კონტინენტიცა და,  
მასთან ერთად, მთელი დანარჩენი მსოფლიოც  
კომაში ჩაცვივდებიან; ეს იქნება მორალური  
მწერციის მდგომარეობა, სადაც ყველას და

ყველაფერს ეშუქრება ინტელექტუალური უნა-  
ყოფობა, საყოველთაო ბარბარიზაცია. თუნდაც  
ილუზორული რწმენა იმისა, რომ ევროპა  
კვლავინდებურად მართავს მსოფლიოს, რწმენა,  
რომელიც განამტკიცებს პასუხისმგებლობის  
გრძნობას — არის ერთადერთი ფაქტორი,  
რომელსაც შეუძლია სასიცოცხლო დაკავშირება  
სიმხნევე და შემართება შეუწარმოოს მსოფ-  
ლიო ადამიანის სულს. მეცნიერებას, ხელოვ-  
ნებას, ტექნიკას შეუძლიათ კვლავაც იარსებონ  
ჯანსაღ ატმოსფეროში, რასაც ბადებს იმის  
შეგნება, რომ მსოფლიო შენგან მოელის შეე-  
ლას. არადა, ევროპელის სიცოცხლეს ყოველ-  
გვარი აზრი დაეკარგება, გონებას აღარ შერჩება  
თავისი ძლევამოსილების ცხოველყოფელი  
რწმენა, დიადი იდეების ენერგიული, თამამი  
ძიებინა და ახალი აღმოჩენებისთვის რომ აქე-  
ზებს მას; ევროპელების არსებობა შემოქმედე-  
ბათი სფეროდან მთლიანად გადაინაცვლებს  
პირწმინდად ყოფით სფეროში. რაკი დიადი შე-  
მოქმედებითი მოღვაწეობის უნარი აღარ შერ-  
ჩება, ევროპელი გუშინდელი დღით, დრო-  
მოკმული ჩვეულებებით, ყოველდღიური სა-  
ფიქრალ-საზრუნავით დაიწყებს ცხოვრებას. ბი-  
ზანტიელებისა თუ ელინური ცივილიზაციის  
დაცემისდროინდელი ბერძნებისა არ იყოს,  
ისიც ფუჭხავატ, უბადრუკ და ბიწიერ არსებად  
იქცევა.

შემოქმედებითი ცხოვრება საგანგებოდ მო-  
ითხოვს ჯანსაღ რეჟიმს; ის ღირსებითაა სავსე,  
მაგრამ გამუდმებით სჭირდება სტიმული, რათა  
შეინარჩუნოს საკუთარი ღირსების გრძნობა.  
შემოქმედებითი ცხოვრება აქტიური ცხოვრე-  
ბაა, აქტიური ცხოვრება კი მხოლოდ ორი პი-  
რობის დაცვითაა შესაძლებელი: ან ჩვენ თვი-  
თონ უნდა ვმართავდეთ სხვებს, ან იმ სამყა-  
როში ვცხოვრობდეთ, რომელსაც სხვები მარ-  
თავენ. და ვალისებრდეთ მათ უფლებას, მარ-  
თავდნენ და განაგებდნენ ჩვენს სიცოცხლეს.  
სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ან მე ვახორცი-  
ელებ ძალაუფლებას, ან სხვის ძალაუფლებას  
ვემორჩილები. მაგრამ მორჩილება პასიური  
თმენა როდია: თმენა თავის დამცირებაა. პირი-  
ქით, მორჩილება ნიშნავს პატივსა სცემდე  
იმას, ვინც ვმართავს, განუხრელად მიჰყვებო-  
დე კვალდაკვალ, მხარს უჭერდე მის პრინცი-  
პებს და შეგნებულად გეჭიროს ადგილი იმათ  
რიგებში, ვინც მისი მმართველობის ლაღად მო-  
შრიალე დროშის ქვეშ დადგა.

5

ახლა კი კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენი მსჯე-  
ლობის ამოსავალ წერტილს, კერძოდ, იმ და-

\* ერთი და იმავე ადგილის ტყეპნა (ფრანგ.).



ვას ევროპული ცივილიზაციის დაცემის თაობაზე, რომელიც აგერ უკვე რამდენი წელია არ ცხრება. თავისთავად უცნაურია ის ფაქტი, რომ ეს დაცემა პირველად სხვა ხალხებმა კი არა, თვითონ ევროპელებმა შენიშნეს: მაშინ როდესაც სხვა კონტინენტების მკვიდრთ აზრადაც არახოდეს მოსვლიათ ეს, მადანსა და მადან გერმანელს, ინგლისელსა და ფრანგს ანაზღვეულად გაუელვა თავში: კი მაგრამ, ვაითუ უკვე ჩვენი ცივილიზაციის დაცემის ხანაში შევედითო. ეს იდეა ისე ფართოდ იქნა რეკლამირებული პრესაში, რომ დღეს უკლებლივ ყველას ევროპის დაისი აკერია პირზე, თითქოს საქმე ეხებოდეს რაღაც ექვშეუვალ კემარობებს.

მაგრამ, აბა, ერთი წამით შეაჩერეთ ადამიანი, რომელიც ამას ამტკიცებს, და ჰკითხეთ, რა კონკრეტულსა და უღაო ფაქტებს ემყარება მისი დიაგნოზი. თქვენ დაინახავთ, როგორ დაიბნევა ნიწამხდარი და წყალწაღებულივით დაიწყებს ხელების ქნევას, წყალწაღებულივით, რომელიც ცდილობს ხავსს მოეჭიდოს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ვერაფერს მოსჭიდებს ხელს. ერთადერთი, რასაც შეიძლება ჩაებლაუქოს, როცა თავგამოდებით ცდილობს ზოგადად მაინც განსაზღვროს თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის დაცემის მიზეზები. — ის რთული ეკონომიკური პრობლემებია, დღეს რომ დგანან ნებისმიერი ევროპული ქვეყნის წინაშე. მაგრამ, თუ ვეცდებით შეძლებისდაგვარად მაინც გავერკვეთ ამ პრობლემების არსში, დავინახავთ, რომ არც ერთი მათგანი სერიოზულად არ ეხება სიმდიდრის კვლავწარმოების უნარს, და რომ, ამ მხრივ, ევროპულ ქვეყნებს თავის დროზე გაცილებით უფრო მძიმე კრიზისიც განუცდიათ.

ან იქნებ, გერმანელი თუ ინგლისელი დღეს უკვე ვეღარა გრძნობს თავის თავში იმდენ ძალას, რომ კიდევ უფრო გაზარდოს და უფრო სრულყოფილი გახადოს წარმოება? არა, ნამდვილად ვერ ვიტყვით! ამას. მოდით, ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას შევუწონოთ ამ გერმანელისა თუ ინგლისელის სულიერი მდგომარეობა. აი, რა განაპირობებს მოვლენის უჩვეულო ხასიათს: ევროპელის აშკარა სულიერი დათრგუნვილობის მიზეზი ის კი არაა, თითქოს ეჭვი ეპარებოდეს, კვლავაც შერჩა თუ არა მოქმედების უწინდელი უნარი; პირიქით, დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ის თავის თავში გრძნობს პოტენციურ ძალთა უზარმაზარ მარაგს. ევროპელი იმიტომ ქმუნავს, რომ უოველთვის, როცა აპირებს სრული დატვირთვით იმოქმედოს, აუცილებლად აწყდება ათასნაირ დაბრკოლებას, რაც ხელს

უშლის თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში. ეს გადაულახავი დაბრკოლება, რასაც გარდუვალად აწყდება მეწარმე, რომელიც ცდილობს ეკონომიკურ საქმიანობას მიჰყოს ხელი გერმანიაში, ინგლისსა თუ საფრანგეთში, — სხვა არა არის რა, თუ არა ამ სახელმწიფოების პოლიტიკური საზღვრების ამრიგად, ძირითადი სიძნელეებსა და უფრო კონკრეტული პრობლემები კი არა, ის ფაქტია, რომ ეკონომიკური ცხოვრება უკვე ვეღარ ეტევა საზოგადოებრივი ცხოვრების ვიწრო ჩარჩოში. უმწიფობისა და მიუსაფრობის განცდას, რაც ამ ბოლო დროს ეუფლება ევროპელებს, ჩემის აზრით, განაპირობებს აშკარა დისპროპორცია, ერთის მხრივ, ჩვენი თანამედროვეობის უზარმაზარ შესაძლებლობებსა და, მეორეს მხრივ, სახელმწიფოების პოლიტიკური ორგანიზაციის სულისშემბუთველად ვიწრო ჩარჩოებს შორის. თანამედროვეობის ურთულეს პრობლემათა გადაჭრის სურვილი დღეს ჩვენში უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე, მაგრამ, როგორც კი ჩვენი საქმიანობა უფრო მასშტაბური ხდება და გასაქანს ეძებს, დაუყოვნებლივ აწყდება იმ გადაულახავ ზღუდეს, რასაც პატარა ევროპული ქვეყნების სახელმწიფო საზღვრები ჰქვია. ევროპელის დათრგუნვილობა, მისი პესიმისტური პულიერი განწყობილება დატყვევებული ფრინველის განცდას გვაგონებს, რომელიც ცდილობს ლაღად გაშალოს ფრთები, მაგრამ ამაოდ ეხეთქება თავისი ვიწრო გალიის კედლებს.

ასეთსავე სიტუაციას ვხედავთ სინამდვილის სულ სხვა სფეროებშიაც, რომლებსაც თითქოს საერთო არაფერი აქვთ ეკონომიკასთან. კერძოდ, ინტელექტუალური ცხოვრების სფეროშიც. ნებისმიერი გერმანელი, ინგლისელი თუ ფრანგი მოაზროვნე ინტელექტუალურ გრძნობს, როგორ ეხუთება სული თავისი ნაციონალიზმის ჩარჩოებში, და სრულ თვითშეზღუდვად მიაჩნია ის, რომ მხოლოდ ამ ვიწრო ანპარეზითაა შემოფარგლული. ასე მაგალითად, გერმანელ პროფესორს უკვე აღარ აკმაყოფილებს თავისი ბუნდოვანი სტილის მაღალფარდოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბუნდოვანებას ასე მიჩვეულნი არიან მისი მკითხველები — გერმანელი პროფესორები, და ის შურის თვლით უყურებს საკუთარი აზრების გამომხატვის იმ უსაზღვრო თავისუფლებას, რაც, მისი აზრით, ნიშნულია ფრანგი მწერლისა თუ ინგლისელი ესსეისტისთვის. და პირიქით, ესა თუ ის პარიზელი კალმოსანი უკვე აშკარად გრძნობს, რომ ლიტერატურული მამებლობისა და სიტყვიერი ფორმალიზმის პირწმინდად ფრანგული ტრადიცია ჩიხში მო-



ექცა. ამიტომ ისიც ამჟობინებდა, შეენარჩუნებინა ყოველივე საუკეთესო, რითაც ასე მდიდარია ეს ტრადიცია, და, იმავდროულად, გერმანელი პროფესორის სტილის ზოგიერთი ღირსებითაც შეევსო იგი.

დაბლოებით ასეთივე სურათია საშინაო პოლიტიკის სფეროშიც. დღემდე არავის უცდია სერიოზულად გაეანალიზებინა ერთი საინტერესო საკითხი: რატომაა, რომ დიდი ქვეყნების საშინაო პოლიტიკური ცხოვრება დღეს თითქოს ჩამკვდარი გვეჩვენება? როგორც ამბობენ, დემოკრატიული ინსტიტუტები დეკადანსს განიცდიან, — ხწორედ ეს მინდოდა ამეხსნა უფრო დაწვრილებით. საქმე ისაა, რომ ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური დეკადანსია: ამჟამად უკლებლივ ყველა აკრიტიკებს პარლამენტს, მაგრამ ჭერჭერობით არავის გაუგონია, რომ სადმე დაარსებულიყოს ესა თუ ის ინსტიტუტი, რომელიც შესძლებდა პარლამენტის შეცვლას. პეტიც, ჭერ კიდევ არსად წამოუყენებიათ არც ერთი, თუნდაც უტოპიური პროექტი სახელმწიფოებრიობის სხვა ფორმებისა, რომლებიც პრაქტიკულად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იდეალურ ნიმუშთა სახით, შეიძლებოდა პარლამენტზე უმჯობესად მიგვეჩნია. ამიტომ მაინცდამაინც დიდ ნდობას არ იმსახურებენ ისინი, ვისი მტკიცებითაც, შემოხსენებული დეკადანსი მოჩვენებითი მოვლენა კი არა, უკვე რეალური ფაქტია. ევროპაში საზოგადოებრივი ცხოვრების ინსტრუმენტთა, ანუ საზოგადოებრივ ინსტიტუტთა საქმე როდია ცუდად; არა, პრობლემა ისაა, რომ ჩვენ არ გავგაჩნია მათი რატიონალური გამოყენების საკმარისი საშუალება. ცოტაა მოქმედების ისეთი გეგმა, რომელიც შეიძლება მივუხადაგოთ ევროპელთა თანდათანობით მზარდ სასიცოცხლო შესაძლებლობებს.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხედველობის ცდომილებასთან, და უკვე დროა, ხმამაღლა განვაცხადოთ ეს. გული გეტკინება, როდესაც ხედავ, რა აბსურდულ დასკვნამდე მიდის ყველა, ვინც, ვთქვათ, პარლამენტზე მსჯელობს: ერთმანეთზე ახვავებენ საკმაოდ საქმიან შენიშვნებს ამის თაობაზე, თუ რა გზით შეიძლება დავხვეწოთ ტრადიციული პარლამენტის საქმიანობა, მაგრამ, თუ დაწვრილებით განვიხილავთ თვითოეულ მათგანს, დავრწმუნდებით, რომ, არსებითად, ვერც ერთი ვერ გვისაბუთებს პარლამენტის გაუქმების აუცილებლობას. პირიქით, ყველა თვალნათლივ გვიმოწმებს, რაოდენ საჭიროა საპარლამენტო რეფორმა. ამრიგად, ჩემი თეზისი ასეთია: დღეს ყველაზე უმჯობესი, რაც შეიძლება ითქვას ამაზე, მისი რეფორმაა და, მაშახადამე, მისი განახლების სასიცოცხლო

აუცილებლობა გახლავთ. დღევანდელი ავტომობილი იმ კრიტიკული შენიშვნების შედეგია, რომლებიც გამოთქმულ იქნა ავტომობილის 1910 წლის მოდელის მიმართ. მაგრამ, რუბროს არავითარი პატივისცემა აღარ ღერჩა პარლამენტისადმი, ეს იმის ბრალი როდია, რომ პარლამენტის მისამართით ხშირად ვგაჩნის კრიტიკა. ასე მაგალითად, პარლამენტის ეფექტურობას აყვედრიან; მაშინ ნება გვიბოძეთ, ვიკითხოთ: „რაში მდგომარეობს ეს არაეფექტურობა?“ ეფექტურობა არის თვისება, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის საგანი თავის დანიშნულებას. პარლამენტის დანიშნულება კონკრეტულ ქვეყანაში ხოციალური პრობლემების გადაჭრაა; ამიტომ კაცს, რომელიც პარლამენტს არაეფექტურობას საყვედურობს, ჩვენ ვთხოვთ, ზუსტად ჩამოაყალიბოს, როგორ ესახება თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების მართებული გადაჭრა. თუ თვითონაც არ იცის ეს, თუ ვერც ერთ ევროპულ ქვეყანაში დღემდე თეორიულადაც კი ვერ გაურკვევიათ, თუ რომელი პრობლემების გადაჭრა გვმართებს უწინარეს ყოვლისა, აბსურდია, არაეფექტურობას ვდებდეთ ბრალად საზოგადოებრივი მმართველობის ინსტიტუტებს. ერთხელაც უნდა შეგახსენოთ, რომ ისტორიას არ ახსოვს მმართველობის უფრო ქმედითი და უფრო სრულყოფილად ორგანიზებული ფორმები, ვიდრე XIX საუკუნის საპარლამენტო სისტემა იყო. ეს ექვეშეუვალე ქეშმარიტებაა და სიბრძნვე იქნებოდა მისი დავიწყება. ერთმანეთში ნუ აფურევთ, ერთის მხრივ, საკანონმდებლო საკრებულოთა სერიოზული რეფორმების შესაძლებლობასა და საარსებო საჭიროებას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებლობას.

იმ გარემოებას, რომ პარლამენტმა თავისი უწინდელი პრესტიჟი დაკარგა, არაფერი აქვს საერთო მმართველობის ამ ფორმის მანკიერ მხარეებთან, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარლამენტის, როგორც პოლიტიკური ძალა-უფლების ინსტრუმენტის, ქმედითობის პრობლემასთან. ამ დეკადანსის მიზეზი სულ სხვა რამეა; საქმე ისაა, რომ დღევანდელმა ევროპელმა აღარ იცის, როგორ მოიხმაროს, ან რას მოახმაროს პოლიტიკური ძალაუფლების ეს ინსტრუმენტი; რომ ის პატივს აღარ სცემს თავისი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციულ გამოვლინებებს, და არავითარი ილუზიები აღარ ღერჩა სახელმწიფოს შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სახელმწიფოსი, რომელიც მისი საცხოვრებელი ადგილია და, იმავდროულად, მისი საპყრობილევ. თუ ვეც-



დებით უფრო გულდასმით გავერკვეთ პოლიტიკურ ინსტიტუტთა პრესტიჟის უბადადებული დეკადანსის მიზეზებში, დავინახავთ, რომ თითქმის არცერთი ევროპელი არავითარ პატივს აღარა სცემს მათ, და სრულიად ზედმეტი იქნებოდა მცდელობა იმისა, რომ ზოგიერთი დეტალი შეგვეცვალა მმართველობით ინსტიტუტთა მანქანაში, რადგანაც ეს უპატივცემულობა ძირითადად მათ მიმართ კი არა, თვით სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში ვლინდება, სახელმწიფოსადმი, რომლის ფარგლებშიც მეტისმეტად ვიწრო გახდა მისი მოქალაქეებისათვის.

როცა თავის ეკონომიკურ, პოლიტიკურსა თუ ინტელექტუალურ მოღვაწეობაში ევროპელი პირველად შეეჩახა იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც უქმნის ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ერს ეკუთვნის, მან იგრძნო, რომ მოღვაწეობის ყველა ეს ასპექტი, ანუ, სხვა სიტყვებით, მისი ცხოვრებისეული სტილის ყველა ეს ინგრედიენტი, მთელი მისი სასიცოცხლო შესაძლებლობა გაცილებით უფრო მახშტაბურია, ვიდრე მისი ერის კოლექტიური ცხოვრების ვიწრო ასპარეზი და მაშინ ის მიხვდა, რომ — იყო ინგლისელი, ფრანგი, ან გერმანელი, ნიშნავს იყო პროვინციელი. ახლა მან აღმოაჩინა, რომ უფრო „პატარა“ გახდა, ვიდრე უწინ იყო, ვინაიდან ფრანგს, ინგლისელსა თუ გერმანელს ოდესღაც მთელი სამყარო ეგონა თავისი სამშობლო. მე თუ შეიხსნათ, სწორედ ესაა ქემშიტი მიზეზი ჩვენი ცხოვრების დეკადანსის იმ მტკივნეული განცდისა, რაც ასე დამთრგუნველად მოქმედებს ევროპელზე, ამ მოვლენის საწყისი ძალზე ღრმა და პარადოქსული, რადგანაც იმის შეგნებას, თუ რარიგ დავიწროვდა ნაციონალური სახელმწიფოს საზღვრებით შემოფარგლული სასიცოცხლო სივრცე, საფუძვლად უდევს კონფლიქტი, რამაც აშკარად იჩინა თავი ადამიანის გაზრდილ შესაძლებლობებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოძველებულ სტრუქტურას შორის, რომლის ფარგლებშიც ეს შესაძლებლობანი უკვე ვეღარ პოულობენ გახაქანს.

ჩვენი აზრის განსამარტავად, მოდით, მაგალითისათვის განვიხილოთ ნებისმიერი კონკრეტული საქმიანობა, ვთქვათ, მანქანათმშენებლობა. ავტომობილი პირწმინდად ევროპული გამოგონებაა. მაგრამ დღეს ამერიკელები აშკარად ჩვენზე წინ არიან ამ დარგში. დასკვნა ერთია: ევროპული მანქანათმშენებლობის დონე დაეცა. თუმცა ევროპელ მანქანათმშენებლებს — მრეწველებსაც და ტექნიკურ სპეციალისტებსაც — მშვენივრად ესმით, რომ ამერიკული

პროდუქციის უპირატესობას ოკეანისგაღმულ ავტომობილტრუქტორთა რაღაც უჩვეულო ღირსებები კი არ განაპირობებს, არამედ ის, რომ ამერიკულ საავტომობილო ქარხანას ხულ თავისუფლად შეუძლია თავისი პროდუქცია შესთავაზოს ას ოც მილიონ მომხმარებელს ისე, რომ არავითარი შეზღუდვის შიშე არ ჰქონდეს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ევროპელ მანქანათმშენებელს შესაძლებლობა აქვს თავისი საქონელი გაიტანოს ბაზარზე, რომელიც ყველა ევროპულ ქვეყანას, აგრეთვე მათ კოლონიებსა და პროტექტორატებსაც მოიცავს. მაშინ უკვე აღარავის შეეპარება ექვი იმაში, რომ ხუთასი თუ ექვსასი მილიონი მომხმარებლისათვის განკუთვნილი ავტომობილის ეს მოდელი ფორდის მოდელზე უფრო კომფორტული და უფრო იაფი იქნება. ამერიკული ტექნიკის ყველა საგანგებო ღირსება, ჩვეულებრივ, გასაღების ამერიკული ბაზრის მახშტაბურობისა და ერთგვაროვნების მიზეზად კი არა, მის შედეგად გვევლინება. მრეწველობის „რაციონალიზაცია“ სხვა არა არის რა, თუ არა მისი მახშტაბურობის ლოგიკური შედეგი.

აშრიგად, საქმის ვითარება ევროპაში დღეს ასეთია: ერთის მხრივ, მისმა სასახელო და ხანგრძლივმა ისტორიულმა განვითარებამ სასიცოცხლო შესაძლებლობათა არნახულ ზრდას მიაღწია; მეორეს მხრივ კი, წარსულიდან შემკვიდრებით მიღებული საზოგადოებრივი ძალაუფლების სტრუქტურები ევროპისათვის თანდათან ვიწრო შეიქნა, და მხოლოდ ხელს უშლის საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ განვითარებას. ევროპამ სწორედ მის შემადგენლობაში შემავალი პატარა ერების ინდივიდუალური განვითარების შედეგად შესძლო ერთ ორგანულ მთლიანობად ჩამოყალიბებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმის გრძნობა და ნაციონალიზმის იდეა ევროპის ყველაზე სპეციფიკური გამოგონებაა. დღეს კი ევროპა თავს თავს უნდა აღემატოს. ასეთია, ძალზე ზოგადად, იმ რთული და დიადი დრამის სქემა, რომელიც, აღბათ, ახლო მომავალში გათამაზდება ევროპულ ხცენაზე. შესძლებს თუ არა ევროპა განთავისუფლდეს თავისი ისტორიული შემკვიდრებისაგან, თუ სამუდამოდ მის ტყვეობაში დარჩება? ჩვენ ხომ ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ ერთი გრანდიოზული ცივილიზაცია უკვე დაიღუპა იმის გამო, რომ ვერაფერი შეუნაცვლა სახელმწიფოს დანიშნულების ტრადიციულ გაგებას.







გამოცალკევებულიყვენ გეობოტანიკური კოს-  
მოსიდან. რატომ ან რანაირად შეიქნა ეს  
შესაძლებელი?.. როგორ მოახერხებს ადამიანი  
ველ-მინდორში დამალვას? სად წავა, თუ მთე-  
ლი დედაშიწა ერთი ვეება ველ-მინდორია, უსას-  
რულო და უკიდვანო? გამოსავალი მარტივია:  
ველ-მინდორის ამა თუ იმ ნაწილს გალავანი უნ-  
და შემოვავლოთ, რომელიც უსასრულო და  
ამორფული სივრცისგან გამოჰყოფს ამ საზღვ-  
რულსა და სასრულ სივრცეს: ასე იქმნება მოე-  
დანი. სახლისაგან განსხვავებით, რომელიც  
ჭერით გადახურულ ინტერიერად გვევლინება,  
და ამ გაგებით მღვიმეს მოგვაგონებს, ტყეში  
რომ გვხვდება, მოედანი ტყისა და ველ-მინ-  
დორის სრული და აბსოლუტური უარყოფაა.  
გალავნით შემოფარგლული მოედანი ველ-  
მინდორისეული სივრცის ნაწილია; მთელ ველ-  
მინდორს რომ დაუპირისპირდა, მოედანი გა-  
მოეყო და ზურგი აქცია მას. ეს პატარა, ამბო-  
ხებული ველ-მინდორი, რომელმაც ბოლო მო-  
უღო უსასრულობას, ეს ნაწილი, მკვეთრად  
რომ დაუპირისპირდა მთელს, სპობს და აუქ-  
მებს ველ-მინდორს, რომელმაც დასაბამი მისცა  
მას. ამიტომ, აბსოლუტურად ახალი თვისება  
რომ შეიძინა, მოედანმა შესძლო *sui generis*\*  
სივრცედ ქცეულიყო, რომელშიაც ადამიანმა,  
ბოლოს და ბოლოს, თავი დააღწია ცხოველურ-  
სა და მცენარეულ სამყაროსთან ნათესაობას,  
და გალავნის გარეთ რომ დატოვა ისინი, სპე-  
ციფიკური, პირწმინდად ადამიანური სივრცე  
შექმნა თავის საცხოვრისად. — ეგრეთ წოდებული  
კულტურული სივრცე. სოკრატემ, ნებესმიერ,  
სხვა ბერძენზე უკეთ რომ გამოხატა ანტიკური  
პოლისის მკვიდრის სპეციფიკური ფსიქოლოგია,  
ერთხელ შენიშნა: რა მესაქმება ტყეში მოშ-  
რიალე ხეებთან, მე მხოლოდ მოქალაქეებთან  
თუ შემიძლია ურთიერთობა მქონდესო. განა  
შეეძლო ეს ეთქვა ძველ ინდოელს, სპარსს, ჩი-  
ნელსა თუ ეგვიპტელს?

თვით ალექსანდრე მაკედონელისა და იული-  
უს ცეზარის ეპოქამდე ძველი საბერძნეთისა და  
ძველი რომის ისტორია ფაქტიურად ეს იყო  
დაუნდობელი ბრძოლა ორ სასიცოცხლო სივ-  
რცეს — ქალაქის რაციონალურ სივრცესა  
და ველ-მინდორის ვეგეტატიურ სივრცეს შო-  
რის. იმავდროულად, ეს იყო ბრძოლა იურის-  
ტსა და მიწათმოქმედს, *ius*-სა და *rūs*-ს შორის.\*\*  
ნუ იფიქრებთ, თითქოს ქალაქის წარმოშობის

ამნაირი ახსნა ჩემი პირადი მიზნედრა იყოს, მხო-  
ლოდ სიმბოლურად რომ შეესაბამება სინამდ-  
ვილეს. ძველი ბერძნები თუ რომაული ქალაქის  
მკვიდრი განსაცვიფრებელი დაჟინებით ცდი-  
ლობენ თავიანთი მეხსიერების ყველაზე ღრმა  
და დასაბამიერი ფენებიდან გამოიხმონ მოგონება  
*Synoikismos*\*-ია შესაბამე შენიშვნის სის-  
წორეში რომ დარწმუნდეთ, არაა აუ-  
ცილებელი პირველწყაროთა ჩხრეკა, საკმარისია  
თვით ეს სიტყვა ითარგმნოს. *Synoikismos*  
ხელშეკრულებაა ერთად ცხოვრების შესახებ,  
ამ სიტყვის როგორც ფიზიკური, ისე იური-  
დიული გაგებით. დაუმუშავებელ, ველურ სივ-  
რცეზე ვეგეტატიური არსებობის ხანას ენაც-  
ვლება ქალაქურ გარემოში კულტურული  
კონცენტრაციის დრო. ქალაქი თითქოს შე-  
სახლია; ის კულტურის უფრო მაღალ დონეზე  
დგას, ვიდრე სახლი, რადგანაც სახლი იგივე  
ბუდეა, რომელსაც — ყველას კარგად მოეხ-  
სენება — მარტო ადამიანები კი არ აკეთებენ,  
არამედ ფრინველებიც, ქალაქი უფრო  
აბსტრაქტული და უფრო რთული წარ-  
მონაქმნია ვიდრე ოჯახური *oikos*\*\* . ქალაქი უკვე  
რემბუზლიბაბ, *politeia*\*\*\*, რომელიც ქალე-  
ბისა და კაცებისაგან კი არ შედგება, არამედ  
მოქალაქეებისაგან. ქალაქის წარმოშობასთან  
ერთად ადამიანური არსებობა ახალ განზომი-  
ლებაში გადადის, რომელიც არანაირად არ  
დაიყვანება პირველყოფილ, ცხოველურ მდგო-  
მარეობაზე. იმათ, ვინც გუშინ მხოლოდ ადა-  
მიანები იყვნენ, ხოლო დღეს უკვე მოქალაქე-  
ები გახდნენ, მოუწევთ მთელი თავიანთი ძალ-  
ღონე მოახმარონ იმას, რომ უფრო მეტად  
აამაღლონ ამ ახალი არსებობის დონე. სწო-  
რედ ასე იქმნება ქალაქი, და თანაც, ის მაშინ-  
ვე იქცევა ქალაქ-სახელმწიფოდ.

ხმელთაშუა ზღვისპირეთის მკვიდრთათვის  
ყოველთვის ნიშნეული იყო მიდრეკილება სა-  
ხელმწიფოს სწორედ ამ ტიპის მიმართ. ზოგა-  
დი წესიდან ყოველგვარი გამონაკლისის გა-  
რეშე, ეს მოვლენა დამახასიათებელია აფრიკის  
ჩრდილო სანაპიროსთვისაც (ქალაქი კართაგე-  
ნი). XIX საუკუნემდე იტალია ქალაქ-სახელმწი-  
ფოდ რჩებოდა, და ჩვენს ლევანტსაც დროდა-  
დრო შევიცარიის კანტონი ჰგონია თავი. მერე-  
და, რა არის ეს, თუ არა ათასწლოვანი ისტო-

\* თავისებურა (ლათ.).  
\*\* აქ, ქალაქსა და სოფელს შორის (ლათ.).

\* თანასახლობა, თანაცხოვრება (ძვ. ბერძნ.),  
\*\* სახლი (ძვ. ბერძნ.).  
\*\*\* ქალაქი, სახელმწიფო (ძვ. ბერძნ.).



რის მქონე პრინციპის დრომოკმული გამოვლინება?\*

თავისი ინსტიტუტების არასაკმარისი განვითარების გამო ქალაქ-სახელმწიფოს მაგალითი საშუალებას გვაძლევს თავიდან ბოლომდე გავადევნოთ თვალი სახელმწიფოებრიობის პრინციპის თავისებურებებს. ერთის მხრივ, სიტყვა „სახელმწიფო“ იმას ნიშნავს, რომ ისტორიულ ძალთა შორის სიმშვიდე და წონასწორობა დამყარდა\*\*. ამ გაგებით, სახელმწიფოებრიობის პრინციპი უპირისპირდება ისტორიული მოძრაობის პრინციპს; სახელმწიფო მისი მოქალაქეების სტაბილური, სტატიკური და ერთმთლიანობად კონსტიტუირებული არსებობაა. მაგრამ როგორც უოველთვის, წონასწორობის მდგომარეობისას, ეს უძრავი, მშვიდი და ნათელი ფორმა თავის ხიდრმეში დინამიურ ძალებს იმარხავს, რომლებმაც დასაბამი მისცეს სახელმწიფოს და დღემდე უზრუნველყოფენ მის არსებობას. დინამიურ ძალთა ფარული ხახიათი გვაძლავს დავივიწყოთ, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ჩამოყალიბებული ფორმა იმ ძალების შეუპოვარი ჭიდილის შედეგია, რომლებიც ამ ძალაუფლების დამყარებას ცდილობდნენ. სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებულ ფორმებს წინ უსწრებს მათი კონსტიტუირების პროცესი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტატიკის პრინციპს წინ უსწრებს დინამიკის პრინციპი.

უოველივე შემოთქმულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სახელმწიფო ზეგარდმო ბოძებული საჩუქარი, ზეცის წყალობა როდია; პირიქით, სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების იმნაირი ფორმაა, რომელიც, დიდი შრო-

მისა და ოფლისდრის ფასად, ჩვენივე ხელით უნდა გამოვქედოთ. სახელმწიფოს არაფერი აქვს საერთო ურდოსთან, ტომთან თუ სხვა სოციალურ წარმონაქმნებთან, სისხლბორცეული ნათესაობა რომ უდევთ საფუძვლად, ნათესაობა, რომლის ბუნებრივი წარმომავლობაც ადამიანის არავითარ ჩარევას არ საჭიროებს. სახელმწიფო სწორედ მაშინ იღებს დასაბამს, როცა ადამიანი ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობს თავი დაადწიოს საზოგადოების იმ გვაროვნულ ტიპს, რომელთანაც სისხლბორცეული ნათესაობა აკავშირებს. „სისხლბორცეულობის“ ცნება უშუალოდ იწვევს ბუნებრივი წარმომავლობის სხვა ცნებებსაც, მაგალითად, ენის ცნებას. თავისი არსებობის პირველი მომენტებიდანვე სახელმწიფო ნაირ-ნაირი სისხლისა და ენის ნაშავით ხახიათდება; სახელმწიფო ბუნებრივი, ზოოლოგიური ნიშნის მიხედვით წარმოქმნილი ნებისმიერი ტიპის საზოგადოებაზე უფრო მსდლა დვას; სახელმწიფო მეტისურია და მრავალენოვანი.

ახე, ქალაქი სხვადასხვა ხალხის გაერთიანებისაგან იღებს დასაბამს; ზოოლოგიურად ნაირგვარი მახალისაგან ის აგებს აბსტრაქტულსა და ერთგვაროვან ერთიანობას.\* რა თქმა უნდა, იურიდიულ ერთიანობას არ შეუძლია იმ ძალად იქცეს, სახელმწიფოს შექმნამდე რომ მიგვიყვანდა. რეალიზაციისაკენ სწრაფვა უოველთვის გაცილებით უფრო კმედიითია, ვიდრე ნებისმიერი სამართალი, სახელმწიფოებრიობის ნებისმიერი ფორმის სათავესთან ჩვენ ხან ბუნდოვნად, ხან უფრო ცხადად, მაგრამ მაინც უოველთვის ვამჩნევთ დიდი ორგანიზატორის ნიშან-თვისებებს.

თუ ხელს მივყოფთ იმ ისტორიული პერიოდის შესწავლას, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფოს წარმოშობას, თითქმის ყველგან დავინახავთ ერთსა და იმავე სურათს: ადამიანთა პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან გათიშულ და განცალკევებულ ჯგუფებს, რომელთა სოციალური სტრუქტურაც ხელს უწყობს ამა თუ იმ ჯგუფის საშინაო ცხოვრების განმტკიცებას და დამკვიდრებას. ამ პატარა კოლექტივების სოციალური ფორმა საიმისოდაა გამიზნული, რომ უზრუნველყოს ადამიანთა არსებობა მხოლოდ მოცემული კოლექტივის შიგნით. ეს მოწმობს, რომ უწინ ადამიანთა უ-

\* საინტერესო იქნებოდა გაგვეანალიზებინა, რანაირად ხდებოდა კატალონიისა ორი ურთიერთსაპირისპირო ძალის განვითარება: ევროპული ნაციონალიზმისა და ბარსელონის ქალაქური პატრიოტიზმისა, სადაც უოველთვის ძლიერი იყო ხმელთაშუა ზღვისპირეთის ძველ მკვიდრთა სულისკვეთება. ერთხელ უკვე გამახვილებინეთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ სწორედ ლევიანტელებს შემორჩათ ყველაზე მეტად homo antiquus-ის (ძველი ადამიანის, — ლათ.) სული, რომელიც ოდესღაც პირენეის ნახევარკუნძულზე მძლავრობდა.

\*\* ესპანურსა და, საერთოდ, ყველა რომანულ ენაში „სახელმწიფო“ (ესპ., პორტუგ. estado; ფრანგ. état; იტალ. stato) წარმოსდგება ლათინური ზმნიდან stare რაც „დგომას“ ნიშნავს. — მთარგმნელის შენიშ.

\* იურიდიულ კომოგენურობას აუცილებლად როდღ მივყავართ ცენტრალიზმამდე.



ველი პატარა გაერთიანება სხვებისაგან იზო-  
ლირებულიად, თავისით და თავისთვის ცხოვ-  
რობდა. ნებისმიერ კონტაქტს, რადაც ის ხანდა-  
ხან მაინც ამყარებდა მეზობლებთან, ჩვეულებ-  
რივ, იშვიათი გამონაკლისის სახე ჰქონდა. მაგ-  
რამ ადამიანთა პატარ-პატარა ჯგუფების ამ იზო-  
ლირებულ არსებობას თანდათანობით სხვა ჯგუფ-  
ებთან გარეგანი კონტაქტები და მათთან თანაარ-  
სებობა ცვლის, რაც განსაკუთრებით აქტიურად  
ვლინდება ეკონომიურ სფეროში, — და ახლა  
ადამიანი მარტოდენ თვისტომთა ცხოვრებით  
როდღა ცხოვრობს. ამიერიდან მისი არსებობა  
სხვა ტომობრივი გაერთიანების წევრთა არსე-  
ბობაზეა დამოკიდებული, რამდენადაც ის არა  
მარტო მერკანტილური, არამედ ინტელექტუა-  
ლური ხასიათის ურთიერთობასაც ამყარებს მათთან.  
წონასწორობა თანაარსებობის ორ—შინაგან და გარეგან ფორმას შორის ირდევია,  
უკვე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სო-  
ციალური ფორმა — სამართალი, „ადათი“, რე-  
ლიგია — ხელს უწყობს შინაგან თანაარსებობას  
და დაბრკოლებად ეღობება გარეგანს, უფრო  
ფართოდ გახსნილს და ახალს. ამ სიტუაციაში  
სახელმწიფო იქცევა იმ ძალად, რომელსაც შე-  
უძლია მიწის პირისაგან აღგავოს შინაგანი თა-  
ნაარსებობის დრომოკმული სოციალური ფორ-  
მები და მათ ადგილას დაამკვიდროს სულ სხვა  
ფორმა, რომელიც ყველაზე სრულად შეესაბა-  
მება გარეგანი თანაარსებობის ახალ მოთხოვ-  
ნებს. საკმარისია ევროპის დღევანდელ სიტუა-  
ციას მიუხადავით შემოთქმული, და თქვენ და-  
ინახავთ, რომ ეს აბსტრაქტული დასკვნები რეა-  
ლური სინამდვილის ფორმებსა და ფერებს  
შეიძენენ.

სახელმწიფოებრიობის ახალი ფორმების  
შექმნა შეუძლებელია, თუ ხალხი ფსიქოლოგი-  
ურად მომზადებული არ არის საიშისოდ, რომ  
ხელი აიღოს თანაარსებობის მისეული ფორმის  
ტრადიციულ სტრუქტურებზე, და ახალი, მის-  
თვის ჯერ კიდევ უცნობი სტრუქტურები წარ-  
მოიდგინოს. ამიტომ სახელმწიფოს შექმნა შე-  
მოკმელებითი პროცესია: სახელმწიფოს წარ-  
მოშობა სხვა არა არის რა, თუ არა წარმოსახ-  
ვის ქმედითობის აბსოლუტური ნაყოფი. წარმო-  
სახვის აღმაფრენა თავისუფლებას ანიჭებს  
ადამიანს. სახელმწიფოს იდეა შეიძლება დაება-  
დოს მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც შეუძ-  
ლია იოცნებოს. ამიტომაც იყო, რომ ყოველი  
ხალხი თავისი განვითარების ამა თუ იმ მომენ-  
ტში მიაღწებოდა გარკვეულ ზღვარს, რომლის  
იქითაც შეუძლებელი ხდებოდა სახელმწიფოებ-  
რიობის ფორმების შემდგომი სრულყოფა, —  
ეს იყო მათი ფანტაზიის ზღვარი, თვით ბუნე-  
ბის მიერ დადგენილი და დაწესებული.

ძველი ბერძნები და რომაელები, რომლებმაც  
შეძლეს გამოეგონებინათ ქალაქი, რათა მისი  
მეშვეობით დაეძლიათ უზარმაზარ ველურ სივ-  
რცეზე მიმოფანტული დაბები, — ამ ზღვართან  
შედგნენ და ვეღარ მოახერხეს ქალაქის ვიწრო  
გალავნიდან გამოსვლა. ვერ ვიტყვით, რომ მათ  
შორის არ იყვნენ გამრები რომლებიც ცდილო-  
ბდნენ გადაელახათ ძველი ბერძნებისა თუ  
რომაელების კარჩაკეთილობა და მათი ქალაქე-  
ბის გალავნიდან გამოეყვანათ ისინი, მაგრამ  
ყველა ეს ცდა ფუჭი აღმოჩნდა. ბრუტუსის  
სახით, ვინც თავს იღო ანტიკურობის ყველაზე  
დიდი მეოცნების — ცეზარის მოკვლა, გაიმა-  
რკვეს ბნელმა ძალებმა, რომლებიც ჰბოქავდნენ  
და გასაქანს არ აძლევდნენ ძველი რომაელების  
წარმოსახვას. მე შემთხვევით როდი ჩამოვაგდე  
სიტყვა ამაზე: საქმე ისაა, რომ ევროპის ის-  
ტორიის წიგნი დღეს კვლავ იმავე თავზე გადა-  
იშალა.

7

მთელს ძველ სამყაროში, როგორც ჩანს,  
მხოლოდ ორი ნათელი გონება თუ მოიძებნე-  
ბა — თემისტოკლე და ცეზარი, თანაც, ორივე  
პოლიტიკოსია. სწორედ ესაა საოცარი, რადგა-  
ნაც პოლიტიკოსებად, მათ შორის, სახელგან-  
თქმულ პოლიტიკოსებადაც, ჩვეულებრივ, ისი-  
ნი გვევლინებიან, ვისი გონებრივი თვალსაწიე-  
რიც საკმაოდ შეზღუდული გახლავთ.\* რა  
თქმა უნდა, ძველ საბერძნეთშიც და რომშიაც  
იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ნათელი წარ-  
მოდგენა ჰქონდათ ფილოსოფიის, მათემატიკი-  
სა თუ ბუნებისმეტყველების პრობლემებზე,  
მაგრამ ეს სინათლე და სიცხადე ნებისმიერი  
მეცნიერების აუცილებელი ატრიბუტია. ეს  
აბსტრაქტული მეცნიერული სიცხადე გახლავთ.  
ყოველივე ის, რაზედაც მსჯელობს მეცნიერება,  
აბსტრაქტული ბუნებისაა. მეცნიერება ოპერი-  
რებას ახდენს აბსტრაქტული ცნებებით, ხო-  
ლო ყველა აბსტრაქტული ცნება ნათელი ცნე-  
ბაა. მეცნიერების ენა ნათელია, მაგრამ არა იმი-  
ტომ, რომ მეცნიერებს შეუძლიათ ნათლად გად-  
მოგვცენ თავიანთი აზრები, არამედ იმიტომ,  
რომ თვით მეცნიერების საგანია მკაფიოდ გამო-

\* ამ მოკლე მტკიცების უფრო საფუძვლიან  
დასაბუთებას, აგრეთვე უფრო ნათელ განსა-  
ზღვრის იმისა, თუ რას წარმოადგენს სინამდ-  
ვილეში პოლიტიკა (მიუხედავად იმისა, „სუფ-  
თაა“ ის თუ „ბინძური“), მკითხველი იპოვის  
ჩემს შრომაში — „ადამიანი და ადამიანები“.



კეთილი. ცხოვრებისეული, კონკრეტული რეალობა უოველთვის უნიკალურია. მეცნიერებისაგან განსხვავებით, ის არსობრივად რთულია. ბუნდოვანი, გაუგებარი. ვისაც ამ სირთულესა და სიბნელეში სწორი ორიენტირების უნარი შესწევს, ვისაც შეუძლია ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაციის ქაოსში გამოიცილოს მისი არსის იღუმალე მექანიზმი, მოკლედ, ვინც არ იბნევა ცხოვრების ორომტრიალში, მართლაც რომ ნათელი გონების პატრონია. დაუკვირდით თქვენს ნაცნობებს და დაინახავთ, რა დაღვრემილ-დაძმარებული, უურებჩამოყრილი და დაბნეულნი მილასლასებენ ცხოვრების გზაზე, მთვარეულებივით უაზროდ მიხდევენ თავიანთ ბედნიერებას თუ სვედავსილობას, და წარმოდგენაც არა აქვთ, რა ამბავია მათ თავს. როცა მათხავე საკუთარსა თუ მოყვასთა ცხოვრებაზე გამოთქვამენ თავიანთ ბანალურ აზრებს, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ აზრის ნატამალი მაინც მოეძებნებათ, მაგრამ საკმარისია ზერელედ მაინც გაანალიზოთ ეს აზრები და დაინახავთ, რომ ისინი არანაირად არ შეესაბამებიან იმ სინამდვილეს, რომელთან დაკავშირებითაც მათ გამოთქვამენ. ხოლო თუ დააპირებთ უფრო ღრმა ანალიზს დაუქვემდებაროთ ისინი, დარწმუნდებით, რომ ეს ადამიანები ხულაც არ ცდილობენ თავიანთი აზრებით რაღაცნაირად მაინც გამოხატავდნენ სინამდვილეს; პირიქით, ამნაირი აზრები და წარმოდგენები მხოლოდ ამღვრევენ რეალობას, აბუნდოვანებენ ცხოვრების საზრისს. საბოლოო ანგარიშით, ცხოვრება ქაოსია, რომელშიაც ინთქმები და იკარგები ჩვენ გუმანით ვგრძნობთ ამას, მაგრამ გვეშინია პირისპირ შევეჭახოთ საზარელ სინამდვილეს; ძალიან გვინდა, რომ ყველაფერი ნათელი და გასაგები იყოს ჩვენთვის, და ამიტომაც გამოგნებელი წარმოდგენების ნიღაბს ვაფარებთ სინამდვილეს. „ადამიანი-მანა“ არას დაგიდევს ამ წარმოდგენების ქეშმარიტებას თუ მცდარობას. ოღონდაც ცხოვრების შეტევა მოიგერიოს და ისევე იშალება ამ წარმოდგენებში, როგორც ხაიმედო ხანგარში. ასე ჰგონია, წარბს თუ შეიკრავს და თვალებიდან ცეცხლს დააკვეთებს, სინამდვილის დაფრთხობას და დაშინებას შესძლებს.

ნათელი გონების პატრონია ის, ვისაც შეუძლია განთავისუფლდეს ამ ქაოსური წარმოდგენებისგან და თამამად გაუსწოროს თვალი თავის ცხოვრებას. მაშინ მისთვის ცხადი გახდება ამ წარმოდგენების პრობლემატური ხასიათი და მთელ მის არსებას მოიცავს მიუსაფრობის გრძობა. ყველაფერი ეს მართლაც ასეა: ცხოვრობდე, ნიშნავს აშკარად გრძობდე შენს მიუსაფრობას ამქვეყნიური არსებობის ქაოს-

ში, და ვინც ცხოვრებას აღიქვამს ისე, როგორც ისაა სინამდვილეში, ამით უკვე პოულობს გამოსავალს უოფიერების ლაბირინთიდან, რადგანაც თავისი ნამდვილი სახით რომ კვრეტს რეალობას, ფეხქვეშ ჰანჭრობს კი აღარა გრძობს, არამედ მყარ ნიადაგს. წყალწაღებულისა არ იყოს, მის არსებაში აღიქვრის გადარჩენის შმაგი სურვილი და ხარბად დაიწყებს იმის ძებნას, რასაც შეიძლება ჩაეზღაუქოს, და მაშინ მის მიერ შეძენილი ახალი, ბასრი, ტრაგიკული და აბსოლუტურად მართალი მწერა, რომლითაც ის აღიქვამს სამყაროს, დაეხმარება, რომ შეძლებისდაგვარად მოაწესრიგოს თავისი არსებობის ქაოსი. ამქვეყნად ქეშმარიტია მხოლოდ ის აზრი, წყალწაღებულს რომ გაუელვებს თავში, წყალწაღებულს, რომელიც თავის გადარჩენას ცდილობს, ყოველივე დანარჩენი კი რიტორიკაა, პოზა და, არსებითად, ფარსი. ვინც ამქვეყნად თავის მიუსაფრობას და დაკარგულობას არ გრძნობს, სამუდამოდ დაკარგულია: ის ვერასოდეს იზილავს, ვერასოდეს მისწვდება რეალურ სინამდვილეს.

ზემოთქმული სამართლიანია ცხოვრების ყველა გამოვლენისთვის, მათ შორის, მეცნიერებისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება ცხოვრებისგან თავისებური გაქცევაა (ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ უღრმავდება მეცნიერებას, რომ ეშინია პირისპირ შეეჭახოს ცხოვრებას. ნათელი წარმოდგენა რომ არა აქვთ იმის თაობაზე, რაც მათ ირგვლივ ხდება, ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში თავგზა ებნევათ). ჩვენი მეცნიერული წარმოდგენები ფახეულნი ხდებიან მაშინ, როცა ამა თუ იმ მოვლენის კვლევისას ხელმოცარულნი ვხედავთ მის პრობლემატურობას და ისიც გვესმის, რომ ჩვენ უკვე აღარ შეიძლება გვაკმაყოფილებდნენ ძველი წარმოდგენები, მითითებები, ლოზუნგები და სიტყვები. იმისათვის, რომ მეცნიერებაში რაღაც ახალი აღმოაჩინო, ბევრი ოფლის ღვრა და ყოველივე იმის მონელება მოგიწევს, რაც აღრე შეგისწავლია. ახალ ქეშმარიტებას მხოლოდ ბანალური აზრებისა და წარმოდგენების უკიდვანო ტრამალზე ხეტილისაგან დასისხლიანებული ფეხებით თუ მიადგები.

პოლიტიკა უფრო ახლოა რეალურ ცხოვრებასთან, ვიდრე მეცნიერება, რამდენადაც პოლიტიკური სიტუაცია ყოველთვის უნიკალურია, და ადამიანი ძალაუნებურად ჩათრეულია მასში. ამიტომ, იმის განსაზღვრის მიზნით, თუ ვის შეიძლება ვთვლიდეთ გამჭრიახ კაცად და ვის — რეტროგრადად, მოდით, პოლიტიკას მივმართოთ.



ცეზარის მოღვაწეობა ყველაზე ნათელი ნიშნული იქნება, თუ როგორ შეიძლება განჭვრიტო არსობრივი სინამდვილის კონტურები იმ კრიტიკულ მომენტში, როცა შეცბუნებულმა გონებამ აღარ იცის, რა გზას დაადგეს, და ერთ-ერთ ყველაზე ქაოტურ ეპოქაში, რომელშიაც ოდესმე უცხოვრია კაცობრიობას. და თითქოს ცეზარის გამჭრიახობის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ბედმა ისე იწვინა, რომ მის გვერდით შესადარებლად დაეყენებინა ციცირონი თავისი უებრო ინტელექტით, რომელსაც დიდი ორატორი მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ იმას ახმარდა, რაც შეიძლება უფრო მეტად დაეხლართა ყველაზე ცხადი ქეშმარიტებანი.

მუდმივმა წარმატებებმა თავბრუ დაახსარა რომელი პოლიტიკოსებს. ტიბერისის პირას მდებარე ქალაქი, რომელსაც ეკუთვნოდა იტალია, ესპანეთი, აფრიკის ნაწილი, აგრეთვე კლასიკური და ელინისტური აღმოსავლეთი, თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსი იყო. მისი საზოგადოებრივი ინსტიტუტები მხოლოდ საშინაო პოლიტიკის პრობლემების გადასაჭრელად იყვნენ ვარგისნი, მათ ვერ მოსწყვეტდით ქალაქს ისე, რომ ყველანი არ დაღუპულიყვნენ, როგორც ილუპებიან დრიადები, თუკი იმ ფულუროდან ამოიყვანენ, რომელშიც ცხოვრობენ.

ნებისმიერი დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა (მისი განვითარების საფეხურს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს) ერთ პატარა ტექნიკურ ლეტალზეა დამოკიდებული: ეს გახლავთ არჩევნების სისტემა. ყოველივე დანარჩენი მეორეხარისხოვანია. თუ არჩევნების ჩატარების წესი გონივრულადაა მოფიქრებული, თუ ის პოლიტიკურ რეალობას ესადაგება, მაშასადამე, საქმე კარგადაა, თუ არა და ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თვით იმ შემთხვევაშიაც კი, დანარჩენი დემოკრატიული ინსტიტუტები უნაკლოდაც რომ ფუნქციონირებდნენ. ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის დამდეგს რომის იმპერიის ძლევამოსილება ჯერ კიდევ უსაზღვროა, ის მდიდარია, ლალი, ამაყი, და საშიშიც თითქოს არაფერია. მაგრამ მისი აღსასრული ცხრა მთას იქით როდია, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არახდიდებით არ ხურს ხელი აიღოს არჩევნების ყოველად აბსურდულ სისტემაზე. არჩევნების სისტემა აბსურდული ხდება მაშინ, როცა ის მოუფიქრებელია. ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მოქალაქეებს ჰქონდათ, სოფლებს არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ საარჩევნო კამპანიაში, ხოლო პერიფერიის მოსახლეობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაკი ნამდვილი არჩევ-

ნების ჩატარება შეუძლებელი გახლდათ, იძულებულნი იყვნენ მისი ფალსიფიცირება მოეხდინათ. ამომრჩევლებს შოლტით მიერეკებოდნენ ხმის მისაცემად. კანდიდატები ვეტრან ქარისკაცებს და ცირკის ათლეტებს ქირაობდნენ საარჩევნო ურნების დასამსხვრევად.

ქეშმარიტად საყოველთაო არჩევნების, მისი შემწეობის გარეშე [დემოკრატიული] ინსტიტუტები ქაერში გამოკიდებულნი რჩებიან, ჰაერში, სადაც დღემდე რიალებენ ცეზარის სიტყვები: „რესპუბლიკისაგან მხოლოდ მისი სახელია დარჩა“. არცერთი თანამდებობა არ სარგებლობს პატივისცემით. როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე გენერლები — მარიუსიც და სულაც — ხალხს თავზე ახვევენ თავიანთ უაზრო და სისხლიან დიქტატურებს, რომლებიც ჩიხში აქცევენ ქვეყანას.

ცეზარს არახოდეს აუხსნია თავისი პოლიტიკის არსი: ახსნას მის განხორციელებას არჩევდა. განხორციელებით კი თვითონვე ახორციელებდა თავის პოლიტიკას, ისე, რომ ანგარიშს არ უწევდა ცეზარიზმის სახელმძღვანელოებს, ცეზარიზმისა, რომელმაც სულ მალე იჩინა თავი. თუ ამ პოლიტიკის გაგება გვინდა, სხვა გზა არა გვაქვს, გარდა იმისა რომ გავანალიზოთ ცეზარის მოქმედება და თავისი სახელი ვუწოდოთ მას, მაშინ ჩვენ მოგვიწევს გავშიფროთ მისი ყველაზე გრანდიოზული საქმის საიდუმლო: ეს გახლავთ გალიის მხარეთა დაპყრობა. იმისათვის, რომ გალიაზე გაელაშქრა, ცეზარი იძულებული იყო დაპირისპირებოდა მმართველობის არსებულ ფორმას. რამ განაპირობა ეს?

იმ ხანად ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელები, ესე იგი, ქალაქ-სახელმწიფოს პრინციპთა ერთგული კონსერვატორები იდგნენ. მათი პოლიტიკური ხაზი შეიძლება ორი ძირითადი მომენტით განისაზღვროს: ჯერ ერთი, მათი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი უბედურება რომის იმპერიის უკიდურესი გეოგრაფიული ექსპანსიის შედეგი იყო. ერთ ქალაქს, ამბობდნენ ისინი, არ შეუძლია ამდენი ხალხის მართვა; ამიტომ ყოველი ახალი მიწა-წყლის შემომატება რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად უნდა იქნეს შერაცხილიო. მეორეც, მათი მტკიცებით, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ საზოგადოებრივ ინსტიტუტთა კრახი, სახელმწიფოს სათავეში უნდა დაეყენებინათ ერთპიროვნული მმართველი.

ჩვენთვის სიტყვას „მმართველი“ იმის ხრულიად საპირისპირო მნიშვნელობა აქვს, რასაც მას ანიჭებდნენ ძველი რომაელები. მათთვის „მმართველი“ ისეთივე მოქალაქეა, როგორც



ყველა დანარჩენი. მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ის უზენაესი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, რათა უზრუნველყოს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ძალაუფლების ინსტიტუტთა საქმიანობის რეგულირება. ციციერონი თავის წიგნში „რესპუბლიკისათვის“ და სალუსტიუსი თავის მოგონებებში ცეზარზე აქამებენ რომაელ პუბლიციისტთა მსჯელობას ამ საკითხზე და მოითხოვენ, რომ აუცილებელია არჩეულ იქნეს princeps civitalis, rector rerum publicarum moderator\*.

ცეზარი სულ სხვანაირ გამოხავალს სთავაზობს თავის თანამოქალაქეებს, ვიდრე კონსერვატორები. მთლიანად რომ იღებს და აღიარებს თავისი ქალაქის ესოდენ ქმედით პოლიტიკას, ცეზარს ესმის: საიმისოდ, რომ შენარჩუნებულ იქნეს ოდინდელ ლაშქრობათა შედეგი, რომაელებმა მომავალშიაც უნდა განაგრძონ იგივე პოლიტიკის განხორციელება. უწინარეს ყოველისა, საჭიროა დახვედრის ახალი ხალხების დამორჩილება, რომლებიც, მისი აზრით, სულ მალე გაცილებილ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნიან რომს, ვიდრე აღმოსავლეთის გააზიზებული ხალხები. ამიტომაც ის გამუდმებით შეახსენებს თავის თანამოქალაქეებს, რაოდენ აუცილებელია დახვედრის ბარბაროსული ტომების რომანიზაცია.

ამბობენ (შპენგლერი და სხვ.), რომ ძველ ბერძნებს და რომაელებს არ გააჩნდათ დროის შეგრძნების უნარი, ისინი თითქოს ვერ გრძობდნენ მათი სიცოცხლის განფენილობას დროში. ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ აწმყოში არსებობდნენ. ამნაირი განსაზღვრა მე არასწორი მგონია, ყოველ შემთხვევაში, ის ერთმანეთში ურევს ორ მოვლენას. ძველი ბერძენი თუ რომაელი გამოვლენილად ბრმაა მომავლის მიმართ. ის ვერც კი ამჩნევს მას, ისევე, როგორც დალტონიკოსი ვერ არჩევს წითელ ფერს. ანტიკური ეპოქის ადამიანი წარსულით ცოცხლობს. ვიდრე რაიმეს აღასრულებდეს, ის უკან იხევს, ხვლიპიპიში, თავდასხმას რომ უპირებს მსხვერპლს. წარსულში ის ეძებს მისაბად ნიმუშს და წარსულის პრიზმიდანვე ჭვრეტს მთელ სამყაროს, პრიზმიდან, რომელიც ყველაფრის დეფორმაციას ახდენს. ამიტომ მისი ცხოვრება წარსულის განცდაა და ვადამდერება. ეს კი ნიშნავს, რომ ძველი ბერძენი და რომაელები არქაისტები იყვნენ, თუმცა ყველა ძველი ხალხი არქაისტია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მათ არ შეეძლოთ დროის აღქმა. დროის მათეული აღქმა არას-

რულფასოვანია. მისთვის ნიშნეულია მომავლისადმი ინტერესის უქონლობა და ჰიპერტროფირებული ყურადღება წარსულის მიმართ. ძველი ხალხებისაგან განსხვავებით, ჩვენ, ევროპელები, ყოველთვის მომავალზე ვართ ორიენტირებულნი, რადგანაც გვესმის, რომ სწორედ მომავალია დროის არსებითი განზომილება. ასე რომ, ჩვენთვის დრო — თანდებულით — „მდე“ კი არაა იწყება. არამედ ზმნიზედით — „შემდეგ“\*, ამიტომაც გერვენება, რომ ძველი ბერძენებისა და რომაელების ცხოვრებას დროისმიღმური ხასიათი ჰქონდა.

თავის პედანტურ ჩვეულებას, ნიმუშად აიღოს წარსული და მას მიუსადაგოს აწმყო, თანამედროვე ფილოსოფოსი შემკვიდრეობით იღებს ძველი დროის ადამიანისაგან. ფილოლოგიც ასევე ბრმაა მომავლის მიმართ. ისიც ისეთივე რეტროგრადია, როგორც ანტიკური ეპოქის ადამიანი; ისიც წარსულში ეძებს აწმყოს პრეცედენტებს და ქედმაღლურად ამტკიცებს, რომ სწორედ ამ ცოდნაშია მოქცეული მისი „ძალის“ უჩვეულო ბუკოლიკური მომნიბვლულობა. მე უფლება მაქვს ამის თქმისა, ვინაიდან ჯერ კიდევ ცეზარის ძველ ბიოგრაფებს გადაჭრით არ უნდოდათ მისი გრანდიოზული მოღვაწეობის ქეშმარიტი მნიშვნელობის გაგება და ვარაუდობდნენ, თითქოს თავისი მოქმედებით ის ალექსანდრე მაკედონელსა ბაძავდა. თუკი ალექსანდრეს ძილს უფრთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა მილთიადეს დიდება, მაშასადამე, ალექსანდრეს დიდების ხსოვნას ცეზარიც ასევე უნდა გაეტანჯა უძილობით, და ასე შემდეგ, და სხვა მისთხნანი. იგივე ნაბიჯი უკან, და თანაც ისე, რომ აწმყო ფეხდაფეხ მიედევნებინათ წარსულისათვის. თანამედროვე ფილოლოგი, ამ თვალსაზრისით, კლასიკური ეპოქის ბიოგრაფის ნაკვალევს მისდევს.

გინდ თითქმის ყველა ისტორიკოსივით გიმტკიცებია, რომ ცეზარი შესაგონებელი იყო ალექსანდრე მაკედონელის მაგალითით, და გინდ კატეგორიულად უარგოყვია ყოველგვარი მცდელობა იმისა, რომ ცეზარის მოღვაწეობის თავისებურებებს ჩახწვდე. ამ მოღვაწეობის ტენდენცია კი სრულიად სხვაა, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის პოლიტიკური კურსისა. ერთადერთი, რაც მათ ერთმანეთთან აახლოებს, ის განლავთ, რომ ორივეს მოქმედება მსოფლიო ბატონობის იდეითაა მოტივირებული. მაგრამ ეს იდეა ალექსანდრეს როდი ეკუთვნის,

\* ესპანურში და, საერთოდ, ინდოევროპულ ენებში მეტყველების ამ ნაწილთა (თანდებული, ზმნიზედა) ნაცვლად იგულისხმება „წინსართი“ (ლათ. praepositio). — მთარგმნელის შენიშ.

\* ქალაქის მთავარი, სახელმწიფოს მმართველი, ზომიერად გამრიგე (ლათ.).



მას დიდი მკაცრობის დაბადებამდეც ელექციონებზე სპარსეთი. ცეზარი რომ ალექსანდრეს მაგალითით ყოფილიყო შთაგონებული, მაშინ ის, წარსულის კვალდაკვალ, აღმოსავლური სამეფოების დაპყრობას დააპირებდა. მაგრამ რაკი გულის სიღრმეში ურყევად სწამდა, რაიგად აუცილებელი იყო დასავლეთის დამორჩილება, ეს ერთხელ კიდევ გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ მისი პოლიტიკური მრწამსი ძირითად განსხვავებულად ალექსანდრე მაკედონელის მრწამსისაგან. ეგეც არ იყო, ცეზარი ხელაყ არ ესწრაფოდა იმას, რომ აღმოსავლური ტიპის მსოფლიო იმპერია შეექმნა. არა, მისი მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბური იყო. ცეზარს უნდოდა დაეარსებინა რომის იმპერია, რომელიც რომის კი არა, პროვინციებისა და პერიფერიების ხარჯზე იარსებებდა. ეს კი გულისხმობდა სახელმწიფოებრიობის ახალი, უფრო მაღალი დონის მიღწევას, ვიდრე ქალაქი-სახელმწიფოს განვითარების მაშინდელი დონე იყო. ახალი სახელმწიფო, ცეზარის ოცნებით, სხვადასხვა ხალხის თანამშრომლობისა და ურთიერთშეწყვენის პრინციპებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. აქ უკვე აღარ იქნებოდა ცენტრი, რომელიც ბრძანებას იძლევა, და პერიფერია, რომელიც მის ბრძანებას ემორჩილება. დიდ მხედართმთავარს სურდა შეექმნა უზარმაზარი საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომლის თითოეული წევრის მთელი საქმიანობა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ იქნებოდა მიმართული, ზუსტად ისევე, როგორც თანამედროვე სახელმწიფოში. სწორედ ამ სწრაფვაში ვლინდება იულიუს ცეზარის გენიის პროვიდენციული შორსმჭვრეტელობა. მაგრამ მაშინ ამნაირი სახელმწიფოს არსებობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ანტიარისტოკრატიული საზოგადოებრივი ძალაუფლება, რომლის ინსტიტუტებიც რომის გარეთ უნდა ყოფილიყვნენ განლაგებულნი და გაცილებით უფრო დიდი ძალა ჰქონოდათ, ვიდრე რესპუბლიკურ ოლიგარქიას, ვიდრე თვით მმართველს, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ primus inter pares\* იქნებოდა. ამნაირი აღმასრულებელი ძალაუფლება, მსოფლიო დემოკრატიის ინსტიტუტებისა გამომხატველი, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მონარქია ქალაქ რომის ტერიტორიის გარეთ მდებარე სატანტო ქალაქით.

რესპუბლიკა და მონარქია! აი, ორი სიტყვა, რომლებიც მთელი ისტორიის მანძილზე გამუდმებით იცვლიდნენ თავიანთ ჰერმეტიკ მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ აუცილებელია ყველა ცალკეულ შემთხვევაში გულდასმით ვიხი-

\* პირველი თანასწორთა შორის (ლათ.).

ლავდეთ ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციას, თუ გვინდა მათ ჰერმეტიკ აზრს მივაკვლიოთ.

ცეზარის დაახლოებული პირები, რომლებსაც ის ენდობოდა, თავიანთი ქალაქის არქაისტოპატრიოტები როდი იყვნენ. პირიქით, მათ შორის ვხედავთ ახლად დაწინაურებულ, ენერგიულსა და საქმიან ადამიანებს, რომლებსაც პროვინციელებსაც კი ცეზარს მსწავლურად უფრო კორნელიუს ბალბუსი, ენერგიული და ფხიანი კაცი, ატლანტის ოკეანის ხანაპიროზე მდებარე „კოლონიის“ — კადისის მკვიდრი.

მაგრამ ჯერ კიდევ არ მოეწია დროს, როცა შეიძლებოდა ცხოვრებაში განხორციელებულიყო ოცნება ახალი სახელმწიფოს შესახებ: ლაციუმელ გონებრილუნგთა გამბედაობა საქმარისი არ იყო ესოდენ გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად. ქალაქის ხატება, მთელი თავისი გრძობადი მატერიალურობით, თვალეზულიბრს აკრავდა მათ, და ამიტომ რომაელებმა ვერ შეხედეს „დაენახათ“ რაიმე არსებითი სიახლე იმ ტიპის საზოგადოებრივ ძალაუფლებაში, რომლის დამყარებაც უნდოდა ცეზარს. სად გაგონილა, რომ საზოგადოების მართვაში მარტო რომის მოქალაქეები კი არა, პროვინციელებიც მონაწილეობდნენ? ან რას შეიძლება ემყარებოდეს ამნაირი მმართველობა, ერთის შეხედვით, ესოდენ მყიფე და მისტიური?

ამასთან დაკავშირებით, ერთხელაც უნდა შევახსენოთ, რომ ის რეალობა, რასაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ, არ შეიძლება სისხლისმიერი ნათესაობით გაერთიანებულ ადამიანთა ხტიკიური თანაარსებობა იყოს. სახელმწიფოს დასაბამი ეძლევა მაშინ, როდესაც ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან სისხლისმიერი ნათესაობა არ აკავშირებთ, იძულებულნი არიან თანაარსებობის პრინციპს დაემორჩილონ. ეს იძულებითი თანაარსებობა აღვირახსნილი ძალმომრეობის შედეგი როდია. პირიქით, ესაა ადამიანთა გათიშულ-განცალკეეებული ჯგუფების ნებაყოფლობითი გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად. სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, მოქმედების პროექტი და თანამშრომლობის პროგრამაა. ის მოუწოდებს ადამიანებს, ერთობლივი ძალისხმევით იმოქმედონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად. სახელმწიფო არ არის საერთო ენისა თუ ტერიტორიის მქონე, სისხლისმიერი ნათესაობითა თუ ხანგრძლივი თანაცხოვრებით, ერთმანეთთან დაკავშირებულ ადამიანთა გაერთიანება. „სახელმწიფოს“ ცნება არავითარ მატერიალურს, ინერტულს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულსა და შეზღუდულს არა გულისხმობს. სახელმწიფო თვით დინამიკაა, მისთვის ნიშნულია სწრაფვა საერთო მიზნის ხორცშესხმისაკენ. სწორედ



ამიტომ სახელმწიფოებრიობის იდეა არ შეიძლება ექვემდებარებოდეს რაიმე ფიზიკურ შეზღუდულობას.\*

საგანგებო აზრის შემცველია სააფედრა-ფარხადოს პოლიტიკური დევიზი-ისარი, და მის ქვემოთ წარწერა: „სიმაღლისკენ ან ხილრმისკენ“. აი, ესაა სახელმწიფო. მისი არსი სტატია კი არაა, არამედ მოძრაობა. თავისი არსებობის ყოველ მომენტში სახელმწიფო სანიღანდაც მოდის და სადაც მიმართება. მოძრაობის ყველა სხვა სახისა არ იყოს, ისიც terminus a quo და terminus ad quem\*\* ია. შეწყვეტეთ. ერთხანს სახელმწიფოს ქეშმარიტი ცხოვრება, და თქვენ მართლაც დაინახავთ ადამიანთა თანაარსებობას, რომელიც ტიტუს მატერიალური ცხოვრების ამა თუ იმ ატრიბუტზე — სისხლისმიერ ნათესაობაზე, ენაზე თუ „ბუნებრივ საზღვრებზე“ დაფუძნებული, სტატუტის თვალსაზრისით სწორედ ესაა სახელმწიფო. მაგრამ, აღრე თუ გვიან, აუცილებლად გამოვლავნდება, რომ ადამიანთა ეს გაერთიანება გამუდმებით ისწრაფის იმისაკენ, რომ გადალახოს თავისი გაერთიანების მატერიალური პრინციპი, რაკილა ისე იქცევა, როგორც ჩვეულებრივ, იქცევიან ამნაირი გაერთიანებანი: შეზობელ ხალხებს იმორჩილებს, კოლონიებს აარსებს, ან კოალიციურ კავშირს ამყარებს სხვა სახელმწიფოებთან. სწორედ ესაა terminus ad quem\*\*\* სწორედ ესაა ქეშმარიტი სახელმწიფო, რომლის ერთიანობაც ნებისმიერი სტატუტის დაძლევაზე და გადალახვაში მდგომარეობს. თუ ეს სწრაფვა გარკვეული მიზნისკენ ქრება, სახელმწიფოს ნგრევა გარდუვალია. მისი ხსნა თვით იმ ერთიანობასაც კი აღარ შეუძლია, რომელიც ყოველთვის არსებობდა და, თავისი მატერიალურობის წყალობით, თითქოს ურყევი ჩანდა (რასა, ენა, ბუნებრივი საზღვრები). სახელმწიფო ირღვევა, იშლება და მტკრად იქცევა.

მხოლოდ სახელმწიფოს ამ ორმაგი ბუნების — უკვე არსებული ერთიანობისა და ახალი ერთიანობისაკენ დაუცხრომელი სწრაფვის — მართებული გაგება თუ შეგვაძლებინებს გავიცხადოთ მისი ქეშმარიტი არსი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ აქამდე არ არსებობს ერის ზუსტი განსაზღვრა, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. ქალაქი-სახელმწიფო გვივლენდა ცხადზე უცხადესი ცნების ნიმუშს, რაც შეიძლებოდა თვალნათლივ დაგენახათ. მისგან განსხვავებით,

ადამიანთა გაერთიანების ახალი ტიპი, გალიისა და გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეში რომ უალიბდებოდა და ხელს უწყობდა დასავლეთში პოლიტიკური მოღვაწეობის ახალი მიმართულების დამკვიდრებას, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი, განუსაზღვრელი და გაურკვეველი ჩანდა. არქაუზაციის მოყვარე ფილოლოგი (ხოლო ნებისმიერ შემთხვევაში ისტორიკოსი გულის ხილრმეში სწორედ ამნაირი ფილოლოგია) შეცბუნებული ჩერდება ამ ძნელად ასახსნელი ფაქტის წინაშე და ზუსტად ისევე იბნევა, როგორც ოდესღაც იბნეოდნენ ცეზარი და ტაციტუსი, თავიანთი რომაული ტერმინოლოგიით რომ ცდილობდნენ იმის ახსნას, თუ რას წარმოადგენდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც აღპებსა თუ რაინს გადაღმა გააქიმულ ტერიტორიაზე, ან, ვთქვათ, ესპანეთში უალიბდებოდნენ. ისინი მათ civitas-ს, gens natio“-ს უწოდებდნენ, თუმცა მშვენივრად ესმოდათ, რომ არცერთი ეს სახელწოდება არ ესადაგებოდა დასავლელთა ამ გაერთიანებებს. რომელთა წევრებსაც მოქალაქეებად ვერ მიიჩნევდით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი მოქალაქეები არც იყვნენ.\*\*

არავითარი აზრი არა აქვს, კიდევ უფრო გავაბუნდოვნოთ ამ სიტყვის (ერი) მნიშვნელობა და ვამტკიცოთ, რომ ის გულისხმობდა გარკვეულ ტერიტორიასაც, სადაც ბარბაროებო ცხოვრობდნენ. ახალი ხალხები ძალიან ადვილად იცვლიდნენ თავიანთ საცხოვრისს, ან, ყოველ შემთხვევაში, ასევე ადვილად ავრცობდნენ ან ამცრობდნენ მას. მათ გაერთიანებებს საფუძვლად უკვე აღარ უდევს ეთნიკური ერთობა, როგორც gentes nationes\*\*\*. საითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან დავინახავთ, რომ ახალ სახელმწიფოთა შემადგენლობაში სხვადასხვა ტომების წარმომადგენელი შედიან, მათ ძარღვებში სხვადასხვა წინაპართა სისხლი ჩქეფს. მაშ, რაღაა ერი, თუკი მას ვერც სისხლისმიერ ნათესაობას ვუწოდებთ, ვერც გარკვეულ ტერიტორიაზე თანაცხოვრებას და ვერც სხვა მისთქანათ?

მოდით, ამ შემთხვევაში ისე მოვიქცეთ, რო-

\* ქალაქი, ერთი ტომის ხალხი (ლათ.).

\*\* რომაელები ვერასოდეს ვერ ბედავდნენ ქალაქები ეწოდებინათ ბარბაროსთა დასახლებებისათვის, რაგინდ მჭიდროდაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი განაშენიანებულნი. ისინი მათ sedes aratorum (მშენელ-მთესველთა დასახლებები, — ლათ.) უწოდებდნენ, faute de mieux (უკეთესი სახელწოდების უქონლობის გამო, — ფრანგ.).

\*\*\* თვისტომნი (ლათ.).

\* იხ. ავტორის შრომა „სახელმწიფოს სპორტული წარმოშობა“.

\*\* აქ, რაღაცის ზღვარი, რაღაცის საწყისი (ლათ.).

\*\*\* აქ, რაღაცისაკენ მიმართება (ლათ.).



გორც უნდა ვიქცეოდეთ მუდამ, ესე იგი, გავანალიზოთ კონკრეტული ისტორიული ფაქტები. ალბათ, ამნაირი ანალიზი მაინც მოგვცემს ამ მოვლენის აბსნის საშუალებას. რა გვიცემა თვალში, როცა ვაკვირდებით ამა თუ იმ „თანამედროვე ერის“, ვთქვათ, ფრანგების, ესპანელებისა თუ გერმანელების განვითარების ისტორიას? უწინარეს ყოვლისა, აი, რა არის თვალში ხაცემი: ის რაც გარკვეულ ისტორიულ მომენტში თითქოს ერთად გვევლინებოდა, ისტორიის მომდევნო პერიოდში უკვე აღარ იყო ერთი. თავდაპირველად, ერთი თითქოს სხვა არა არის რა, თუ არა ტომი, არა ერთი კი — მეორე, მეზობელი ტომი. შემდეგ ერთი უკვე ორი ტომისაგან შედგება, უფრო გვიან მის შემადგენლობაში შედიან სხვა მეზობელი ტომები და ხალხები, ბოლოს კი ერთი საგრაფოს, საჰერცოგოსა თუ „სამეფოს“ კმნის. თავდაპირველად ერთი ლეონია, მაგრამ არა კახტილია, შემდეგ ლეონი და კახტილია, მაგრამ არა არაგონი. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორ პრინციპთან. ერთი — გარდუვალი ზრდის ცვლადი პრინციპი — ხაერთო ენითა თუ დიალექტით გაერთიანებული ტომი, ოლქი, საჰერცოგო, „სამეფო“. მეორე პრინციპი კი მუდმივია, თავისუფლად რომ ევლება თავს ყველა ზღვარსა თუ საზღვარს და ერთიანობის საფუძვლად აცხადებს იმას, რაც, პირველი პრინციპის თანახმად, სხვა არა არის რა, თუ არა რადიკალური დაპირისპირებულობა.

თანამედროვე ფილოლოგები (მე ამ სახელს ვუწოდებ ყველას, ვისაც „ისტორიკოსად“ მოაქვს თავი) მომხიბლავი მონაჩმახით გვიმასპინძლდებიან, როცა ამტკიცებენ, თითქოს ის დასავლელი ერები, რომლებიც ხულ ცოტა ხნის წინათ, ორი თუ სამი საუკუნეა, რაც ჩამოყალიბდნენ, — ოდითგანვე არსებობდნენ, და თითქოს ვერცინგეტორიქსი და სიდი ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი საფრანგეთი, სენ-შალოდან სტრასბურგამდე, ანდა spania\*, — ფინისტერიდან გიბრალტარამდე. ეს ფილოლოგები, ერთი მიაშიტი დრამატურგისა არ იყოს, თითქმის ყოველთვის ოცდაათწლიან ომში ისტუმრებენ თავიანთ გმირებს. როდესაც ცდილობენ აგვიხსნან, როგორ წარმოიშვა თანამედროვე საფრანგეთი ან ესპანეთი, „ისტორიკოსები“ მხოლოდ თავიანთ ვარაუდს ეყრდნობიან, რომლის თანახმადაც, ერთიანი საფრანგეთი და ერთიანი ესპანეთი თითქოს უკვე არსებობდნენ სადღაც, ფრანგებისა თუ ესპანელების ხულის სიღრმეში. მაგრამ ან ფრანგი სად იყო და ან ესპანელი ერთიანი საფრანგეთისა თუ ეს-

\* ესპანეთი (ლათ.).

პანეთის შექმნამდე? განა ფრანგი ან ესპანელი ერთიანი იყო, ერთის დაკრით ჩამოყალიბდა, და არა ისტორიის უმძიმესი, ორიათსწლოვანი რუღუნების შედეგად?

ქეშმარიტება კი ის გახლავთ, რომ არცერთი თანამედროვე ერთი სხვა არა არის რა, თუ არა იმავე დასაბამიერი ცვლადი პრინციპის გამოვლინება, პრინციპისა, რომელიც ბედის მიერ საიმისოდაა განწირული, რომ თავისი თავი დასძლიოს. ახლა უკვე ეს პრინციპი სისხლისმიერ ნათესაობასა თუ ენობრივ ერთიანობაში როდის ვლინდება, ვინაიდან საფრანგეთის ან ესპანეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, სისხლისა და ენისმიერი ერთიანობა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების მიზეზი კი არა, მისი შედეგი იყო. ამ ეტაპზე შემოხსენებული პრინციპი „ბუნებრივი საზღვრების“ დადგენაში ვლინდება.

სავსებით ბუნებრივია, რომ დიპლომატი, თავისი მახვილგონივრული მოსაზრებებით რომ ხელმძღვანელობს და გამოცდილ მოფარიკავესავით მოხერხებულად კენწლანობს „ბუნებრივი საზღვრების“ ცნებით, დავისას ultima ratio\*-დ იყენებს მას. მაგრამ ისტორიკოსის საქმე როდია ამ ცნების ჩრდილს შეაფაროს თავი, თითქოს ის უკანასკნელი სანგარი იყოს. „ბუნებრივი საზღვრების“ ცნებას საგანგებო აზრობრივი დატვირთვა არ გააჩნია და ის არაფერ საბოლოოსა და დასრულებულს არ შეიცავს.

არ უნდა დაგვაგვიწყდეს ჩვენ მიერ დასმული საკითხის მთელი სერიოზულობა. ამრიგად, ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, მაინც რა განასხვავებს ნაციონალურ სახელმწიფოს (ესე იგი, იმას, რასაც ამჟამად ერს ვუწოდებთ) სახელმწიფოთა სხვა ტიპისაგან, როგორცაა, მაგალითად, ქალაქი-სახელმწიფო, ანდა ამ უკანასკნელის საპირისპირო სახელმწიფოებრივი ფორმაციისაგან, როგორცაა, ვთქვათ, ავგუსტუსის მიერ დაარსებული იმპერია\*\*. თუ საჭიროა კიდევ უფრო ზუსტად და მკაფიოდ ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი, მაშინ შეიძლება ითქვას: „რა რეალურმა ძალამ მისცა დასაბამი საფრანგეთს, ინგლისს, ესპანეთს, იტალიას, ან გერმანიას, ესე იგი, ასეულ მილიონობით ერ-

\* უკანასკნელი არგუმენტი (ლათ.).

\*\* საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავგუსტუსის მიერ დაარსებული იმპერია ძირითადად უპირისპირდებოდა იმპერიის იმ ტიპს, რომლის შექმნასაც ავგუსტუსის მამობილი — ცეზარი ესწრაფოდა. ავგუსტუსი პომპეუსისგან, ესე იგი, ცეზარის მტერივით იქცეოდა. დღესდღეობით ამ თემისადმი მიძღვნილი საუკეთესო შრომაა ედუარდ მაიერის წიგნი „ცეზარის იმპერია და პომპეუსის პრინციპატუსი“, 1918.



თუ მცხოვრებ ადამიანს, ერთი და იმავე ტიპის საზოგადოებრივ ძალაუფლებას რომ ემორჩილებიან?" ეს ძალა არ შეიძლება დასაბამიერ სისხლხორცულ ნათესაობაზე იყოს დაფუძნებული, ვინაიდან თვითვე ამ კოლექტიურ ორგანიზმს სრულიად სხვადასხვა შედგენილობის სისხლი ასაზრდოებს. ეს ძალა ვერც ლინგვისტური ერთიანობა იქნება, რადგანაც მოცემულ მომენტში ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული ხალხები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, ან დღესაც ლაპარაკობენ. ენისა და წარმომავლობის ფარდობითი ერთგვაროვნება, რომლითაც ისინი სიამოვნებით სარგებლობენ დღეს (თუკი აქ, ხაერთოდ, შეიძლება სიამოვნებაზე ვილაპარაკოთ), სხვა არა არის რა, თუ არა პოლიტიკური გაერთიანების შედეგი. ამრიგად, სახელმწიფოს წარმოშობა შეუძლებელია როგორც სისხლისმიერი ნათესაობის, ისე ენობრივი ერთობის საფუძველზედაც: პირიქით, სწორედ სახელმწიფო ახდენს იმ თავდაპირველ სხვაობათა ნიველირებას, რაც ნიშნულია სისხლის შედგენილობისა თუ სხვადასხვა სიტყვათა წარმოთქმისათვის. ყოველთვის ასე იყო. არახოდეს, ან ძალზე იშვიათად თუ მომხდარა, რომსახელმწიფოს წარმოშობას საფუძვლად დასდებოდა სისხლისმიერი ნათესაობის კავშირი თუ ენობრივი ერთობა. ესპანეთი დღეს ესპანელი ხალხის სახელმწიფოა, მაგრამ იმდროს კი არა, რომ მთელ მის ტერიტორიაზე ესპანურად ლაპარაკობენ.\* არაგონი და კატალონია იმის შედეგად როდი ჩამოყალიბდნენ ნაციონალურ სახელმწიფოებად, რომ მათი საზღვრები ერთ მშვენიერ დღეს კასტილიის საზღვრებს დაემთხვა. ჩვენ უფრო ახლოს ვიქნებოდით სინამდვილესთან, თუ რეალური ისტორიული სიტუაციის მთელი სირთულის გათვალისწინებით, ამნაირ ვარაუდს წამოვაყენებდით: ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისათვის ნიშნულ ლინგვისტურ ერთობას, ჩვეულებრივ, წინ უსწრებდა გარკვეული ტიპის გაერთიანება პოლიტიკური პრინციპის თანახმად.\*\* სახელმ-

წიფო ყოველთვის დიდი მთარგმნელი-პოლიგლოტი იყო. ამნაირი დასკვნა დიდი ხანია თავისით გვეხვევა თავზე, და მით უფრო საოცარია, როდესაც ხედავ, რა დაუინებოთ ცდუნობენ დაგვარწმუნონ იმაში, რომ ერის ძირითად ნიშნებად სისხლისმიერი ნათესაობის კავშირი და ენა გვევლინება. ამგვარ მტკიცებას მე აღვიკვამ არა მარტო შეუძლებელი ხუნამდვილის მიმართ, არამედ უმადურების გამოვლენადაც. თანამედროვე საფრანგეთი და ესპანეთი ხომ აწვიანთ არსებობას უნდა უმადლოდნენ გარკვეულ\* პრინციპს, რომლის მოქმედებაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ თანდათანობით გადაეღობა სისხლისა თუ ენისმიერი ერთობის ზღვარი სახელმწიფოებრიობის გავრცელების კვალდაკვალ. დღევანდელი საფრანგეთი ან ესპანეთი შეიძლებოდა იმის სრულიად საპირისპირო რამ ყოფილიყო, რამაც ორივე მათგანის წარმოშობა განაპირობა.

ზუსტად ასევე აბუნდოვანებს საკითხის არსს ყველა, ვისი მტკიცებითაც, ერის ფორმირებას საფუძვლად დაედო ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება; მათი აზრით, რაკი სისხლისმიერი კავშირი და ენობრივი ერთობა საკმარისი არ არის ერის გასაერთიანებლად, ამ გაერთიანების მიზეზი უნდა იყოს იმ პრინციპის მისტიური მოქმედება, რომელიც ადგენს „ბუნებრივ საზღვრებს“. თუ დღევანდელი ერები კონტინენტურ ტერიტორიათა დიდი ნაწალისა და ახლომდებარე კუნძულების მცხოვრებლებად გვევლინებიან, ეს საკმაოდ შემთხვევით გარემოებათა შედეგი გახლავთ. თავგამოდებით ცდილობენ ახლანდელ საზღვრებს საბოლოო და ამაღლებული მნიშვნელობა მიანიჭონ. მათ ბუნებრივ წარმომავლობას რომ ამტკიცებენ, ამით სურთ ხაზგასმით წარმოგვიჩინონ, თითქოს მათი „ბუნებრიობა“ იმ ერთგვარი მისტიური უპირატესობის შედეგია, რასაც ბუნება ანიჭებს ხალხების გაერთიანებას გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. მაგრამ საკმარისია ამ მოსაზრებას იგივე არგუმენტი დაფუძირისპიროთ, რომელსაც ვეყრდნობოდით იმ მტკიცების გასაბათილებლად, თითქოს ერის ფორმირებას სისხლისა და ენისმიერი ერთობა ედოს საფუძვლად, და ეს მითი მაშინვე გაქარწყლდება. თუ დაფუძირდებით, რას წარმოადგენდა საფრანგეთი ან ესპანეთი რამდენიმე საუკუნის წინათ, დავინახავთ, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობას, სისხლის სხვადასხვაობის მიხედვით, ძალიან კრელი ხალხი შეადგენდა; თანაც, ყოველი ეს ხალხი თავის საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობდა და თავისი საზღვრები ბქონდა. პირენეები და ალპები, რომლებიც დღეს ბუნებრივ საზღვრებად გვევლინებიან, შეიძლებოდა

\* არ შეიძლება ხელაღებით ვამტკიცოთ, რომ ყველა ესპანელი ესპანურად ლაპარაკობს, ყველა ინგლისელი — ინგლისურად, ხოლო ყველა გერმანელი — ზემო გერმანულ დიალექტზე, ვინაიდან ეს ასე არ სრის.

\*\* რა თქმა უნდა, ჩვენ სათვალავში არ ვაგდებთ იმნაირ გამოწაკლისებს, როგორცაა koinon ან lingua franca, რომლებიც ნაციონალურ ენებად კი არ გვევლინებიან, არამედ იქნენ გამოგონილი საერთაშორისო ურთიერთობისათვის.



არც ისე მალეები ყოფილიყვნენ, ხოლო საზღ-  
ვამ თუ სამდინარო საზღვრებს, ვთქვათ, რა-  
ინს, პა-დე-კალესა თუ გიბრალტარის სრუტეს  
ნაკლები სიგანე ჰქონოდათ. ეს ერთხელ კიდევ  
ადასტურებს ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ  
ამ საზღვრების „ბუნებრიობა“ ძალზე ფარდო-  
ბითი ცნებაა და ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომი-  
ურ სიძლიერესა თუ სამხედრო პოტენციალზეა  
დამოკიდებული.

უბადადებული „სახელმწიფო საზღვრების“  
ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს,  
რომ ისინი თითქოს ბუნებრივ დაბრკოლებად  
გვევლინებიან, რაც A ხალხის ექსპანსიისაგან  
იცავს B ხალხს. ამრიგად, სახელმწიფო საზ-  
ღვრები მართლაც დაბრკოლებად ეღობება  
წინ A ხალხს, რომელიც ომსა თუ მშვიდობიან  
თანაარსებობას ესწრაფვის. „ბუნებრივი სა-  
ზღვრების“ ცნება თვით ამ საზღვრებზე უფრო  
ბუნებრივად გულისხმობს ექსპანსიისა და  
ხალხთა ერთ მთლიანობად შერწყმის უსაზღვ-  
რო შესაძლებლობას. როგორც ჩანს, ამ შერწყ-  
მას ხელი შეიძლება შეუშალოს მხოლოდ  
იხეთმა მატერიალურმა ზღუდემ, როგორცაა  
„ბუნებრივი საზღვრები“. დღეს ჩვენ უკვე  
აღარ გვგონია, რომ საფრანგეთისა და ესპანე-  
თის გუშინდელი თუ გუშინწინდელი საზღვრე-  
ბი ხელს უწყობდნენ ფრანგებისა თუ ესპანე-  
ლების ნაციონალურ ერთიანობას. და მაინც,  
ჩვენ ვცდილობთ ფუნდამენტური და საბოლოო  
მნიშვნელობა მივანიჭოთ სახელმწიფო საზღვ-  
რებს, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსპორტო  
საშუალებებისა და სამხედრო ტექნიკის გან-  
ვითარების შედეგად ისინი უკვე აღარ შეიძ-  
ლება დაბრკოლებად გვევლინებოდნენ.

რა როლი უნდა ეთამაშათ საზღვრებს ერე-  
ბის ფორმირების პროცესში, თუკი მათი არსე-  
ბობა, როგორც უკვე დავამტკიცეთ, არ შეიძ-  
ლებოდა ამ პროცესის პოზიტიური საფუძველი  
ყოფილიყო? ამ კითხვის პასუხი მარტივია და,  
თანაც, მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასა-  
გებად, თუ რა განახსვავებს ასე ძირფესვიანად,  
ერთის მხრივ, იმ პრინციპებს, რომლებიც წარ-  
მართავდნენ ნაციონალური სახელმწიფოს შემ-  
ქმნელთა მოქმედებას, და მეორეს მხრივ, პრინ-  
ციპებს, რომლებიც საფუძველად უდევს ქალაქ-  
სახელმწიფოს არსებობას. საზღვრების ფუნქცია  
სწორედ ის იყო, რომ დაეფიქსირებინათ დრო-  
ის გარკვეულ მომენტში მიღწეული პოლიტი-  
კური ერთიანობა. მაშასადამე, საზღვრების არ-  
სებობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის სპე-  
შიისი, რომელიც ხელს უწყობდა ერის ჩამო-  
ყალიბებას. პირიქით, საზღვრები ჯერ დაბრ-  
კოლებად გვევლინებოდნენ, ხოლო მათი საბო-  
ლო დადგენის შემდეგ იმ ბუნებრივ საშუა-

ლებად იქცნენ, რაც უზრუნველყოფდა მიღწე-  
ული ერთიანობის შენარჩუნებას.

არადა, ზუსტად ამნაირი ისტორიული როლი  
უნდა შეესრულებინათ სისტემისმიერ ნათესა-  
ობასაც და ენასაც. ტომობრივი ერთიანობა  
არასდიდებით არ შეიძლებოდა საფუძველად და-  
სდებოდა მრის ჩამოყალიბებას; პირიქით,  
ნაციონალური სახელმწიფოს (სახელმწიფოს) ფორმი-  
რების პროცესში იძულებული იყო გადაეღებინა  
ეს დაბრკოლებაც, მრავალ სხვა ხელისშემშლელ  
მიზეზთან ერთად, როგორცაა, მაგალითად,  
პოლიეთნიზმი თუ მრავალენოვნება. ამ დაბ-  
რკოლებების დაძლევა ხელს უწყობდა სხვა-  
დასხვა ტომებისა და სხვადასხვა ენაზე მოლა-  
პარაკე ადამიანების გაერთიანებას, ხოლო შემ-  
დეგ — ამ ერთიანობის განმტკიცებას.

რალა დავგრჩენია, გარდა იმისა, რომ ერთ-  
ხელ და სამუდამოდ ჩამოვაცილოთ უკლები  
შარავანდელი ტრადიციულ წარმოდგენას ნა-  
ციონალური სახელმწიფოს შესახებ და თანდა-  
თანობით შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ეს საში  
მიზეზი, რომელიც თითქოს საფუძველად უდევს  
სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სინამდვილეში  
სხვა არა არის რა, თუ არა ყველაზე დიდი  
დაბრკოლება, რისი გადალახვაც მოუხდა ნაცი-  
ონალურ-სახელმწიფოებრივ იდეას თავისი გან-  
ვითარების გზაზე. და რაკი პირველად შე ვცა-  
დე გამექარწყლებინა ეს მცდარი წარმოდგენა,  
რა თქმა უნდა, კრიტიკის ქარცეცხლი, უწინა-  
რეს უოვლისა, სწორედ შე დამატყდება თავზე,  
კრიტიკისა, რომელიც ბრალად დამდებს საკით-  
ხის არსის გაყალბებას.

მოდით, გავხედოთ და პირდაპირ განვაცხა-  
დოთ: ნაციონალური სახელმწიფოს საიდუმლო  
ისაა, რომ იგი სწორედ ნაციონალურ სახელ-  
მწიფოდ იქნა ჩაფიქრებული. ამ საიდუმლოს  
ახსნა თვით სახელმწიფოს პოლიტიკურ კურს-  
ში უნდა ვეძებოთ, და არა ამ პოლიტიკისათ-  
ვის სრულიად უცხო ბიოლოგიური თუ გეოგ-  
რაფიული ხასიათის პრინციპებში.

რატომ შეიქნა საჭირო „რასის, ენისა და  
საცხოვრებელი ტერიტორიის ერთიანობის“  
ცნებები მოგვესპო თანამედროვე ერების იდუ-  
მალებით მოცული წარმოშობის ახახსნელად?  
მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი ყაიდის სახელ-  
მწიფოებისაგან განსხვავებით, თანამედროვე სა-  
ხელმწიფოს მოქალაქენი აშკარად გამოხატავენ  
რადიკალურ თანხმობას საზოგადოებრივი ძა-  
ლაუფლების ინსტიტუტებისადმი, რომლებსაც  
უოველნაირად უქერენ მხარს. ძველ ათენსა თუ  
რომში საზოგადოებრივ ძალაუფლებას რამდენ-  
იმე კაცი განასახიერებდა, დანარჩენები კი  
შონები, პროვინციელი მოკავშირეები, თუ  
კოლონუსები, მოკლედ, ხელქვეითები იყვნენ.



თანამედროვე ინგლისში, საფრანგეთსა თუ ესპანეთში მოქალაქეები არასოდეს არ ყოფილან მართოდენ ხელქვეითები; პირიქით, ისინი ყოველთვის მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ძალაუფლებას და თვითონაც მონაწილეობდნენ მის აღსრულებაში. სხვადასხვა დროს ეს კავშირი სახელმწიფოსთან თვით სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვანაირ ფორმებს იღებდა, განსაკუთრებით, იურიდიულ სფეროში. ყოველთვის არსებობდა ინდივიდუალური სხვადასხვაობა რანგებისა თუ სტატუსის მიხედვით, ყოველთვის არსებობდნენ მეტ-ნაკლებად პრივილეგირებული საზოგადოებრივი კლასები თუ ადამიანები და ბევრად ჩაგრულნიც. მიუხედავად ამისა, თუ მოვიხილავთ გაუანალიზოთ პოლიტიკური სიტუაციის ნამდვილი სურათი ამა თუ იმ ეპოქაში, დავინახავთ, რომ ყოველი მოქალაქე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის წყალობით, აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოსთან. ერი, ამ სიტყვის იმნაირი გაგებით, რანაირითაც ის უკვე საუკუნეზე მეტხანს იზარება დასავლეთში, „ორი შიპოსტახის“ — საზოგადოებრივი ძალაუფლებისა და მისდამი დაქვემდებარებული მოქალაქეების ერთობას ნიშნავს. რანაირიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს ფორმა — პრიმიტიული, ანტიკური, შუა საუკუნეობრივი თუ თანადროული, — ის ყოველთვის გულისხმობს ხელშეკრულებას ორ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად. ეს საქმიანობა, მისი კონკრეტული გამოვლინებების მიუხედავად, საბოლოო ანგარიშით, მიზნად ისახავს თანაცხოვრების გარკვეული წესის დამკვიდრებას. სახელმწიფო და ცხოვრებისეული პროგრამა, მოქმედების გეგმა თუ ადამიანის ქცევა, — ყველა ეს ცნება ურღვევი კავშირით ერწყმის ერთმანეთს. ამა თუ იმ სახელმწიფოში სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის წარმოშობა იმ ურთიერთობაზეა დამოკიდებული, რასაც სახელმწიფო ძალაუფლებით მოხილი ჯგუფი ამყარებს საზოგადოების სხვა ფენებთან. ასე მაგალითად, ძველ სახელმწიფოთა ხელისუფალნი ვერასოდეს ვერ ახერხებდნენ ერთობლივი საქმიანობისათვის დაკავშირებოდნენ სხვა სოციალურ ჯგუფებს, რომი მართავდა იტალიასაც და პროვინციებსაც, რომი იყო როგორც ნახევარკუნძულის მოსახლეობის, ისე პროვინციელების ცივილიზატორი, მაგრამ მას არასოდეს გაუყადრებია თავი მათთვის და არც საერთო მიზნის მისაღწევად ერთობლივი თანამშრომლობისთვის მიუწყვეცია ისინი. საკუთრივ ქალაქში მიუღწეველი რჩებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური ერთიანობა. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ რესპუბლიკის

დროინდელი რომი ფაქტიურად ორი ქალაქი იყო: სენატის ქალაქი და ხალხის ქალაქი. სახელმწიფოებრივი ერთიანობა არასოდეს გაცვილებია ერთურთის მიმართ არსებითად უცხო ჯგუფების მექანიკური ურთიერთობის ფაქტლებს. ამიტომ როცა იმპერიას საფრთხე დაემუქრა, ხელისუფლებს საერთოდაც უჭიკნოთ სხვა ჯგუფების შემწეობის გმეფდეს. ამ შემთხვევებში იყვნენ მართოდენ სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით დაეცვათ იმპერიის სუვერენიტეტი. არა, ძველ ბერძნებს და რომაელებს არ შესწევდათ იმის უნარი, რომ სხვებს შერწყმოდნენ, რასაც რთული და სიღრმისეული შიზეზები უდევს საფუძვლად. ჩვენ აქ არა გვაქვს საიმისო დრო, რომ ამ შიზეზების ახსნას შევუდგეთ, მაგრამ ერთ — ყველაზე მთავარ შიზეზზე მაინც შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. საქმე ისაა, რომ ანტიკური ეპოქის ადამიანს ძალზე მარტივი, ტლანქი და პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონდა იმ თანამშრომლობაზე, რომელიც, გვინდა თუ არა, ნებისმიერი სახელმწიფოს საფუძვლად გვევლინება: მისი გაგებით, ეს იყო მმართველთა და ხელქვეითთა დუალიზმი.\* რომის მშწოდება მმართველობა იყო და არა მორჩილება.\*\* დანარჩენებს კი მართოდენ მორჩილება ევალეზობდათ და არა ის, რომ საზოგადოება ემართათ. ამიტომაც იყო, რომ სახელმწიფოს იღუა მატერიალიზდებოდა pomerium\*\*\*-ში და თავის სიმბოლურ გამოხატულებას ჰპოვებდა ქალაქის სახით, რომლის

\* ის ფაქტი, რომ იმპერიის ყველა მცხოვრებს შეიძლებოდა რომის მოქალაქეობა მინიჭებოდა, თითქოს ჩვენი მოსაზრების საპირისპიროდ მეტყველებს, მაგრამ, სინამდვილეში, ის მხოლოდ ადასტურებს ჩვენს აზრს. უცხოელებსათვის რომის მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევები ნიშნულად უფრო ხშირი ხდებოდა, რაც უფრო მეტად ეცემოდა რომის პოლიტიკური სტატუსის პრესტიჟი. ბოლოს და ბოლოს, რომის მოქალაქეობა, თანდათანობით გადაგარების გზით, „რომაული სამართლის“ კიდევ ერთ თავად და, ასე განსაჯეთ, ერთგვარ ბეგარადაც კი იქცა, რაც ძალაუფლებურად უნდა ეხადა სახელმწიფო სამსახურში გამწესებულ კაცს.

\*\* ამნაირი ცივილიზაციისგან, რომელსაც მონობა არსებობის პრინციპად მიაჩნდა, სხვა რანგ არც იყო მოსალოდნელი, მაშინ როდესაც თანამედროვე „ერებისათვის“ მონობა მხოლოდ წარსულის გადმონაშთია.

\*\*\* პომპილიუმ: თავისუფალი სივრცე ქალაქის გალავნის ორივე მხარეს, რომელიც წმინდად იყო მიჩნეული.



გალავნიდაც მატერიალურად შემოფარგლული იყო ქალაქის მთელი ტერიტორია.

მაგრამ დღეს უკვე ჩნდება „სახელმწიფოს“ ცნების ნაკლებად მატერიალური ინტერპრეტაცია. თუ სახელმწიფო ერთობლივი მოქმედების განსახიერებაა, მის ერთ-ერთ ძირითად სპეციფიკურ ნიშნად დინამიურობა გვევლინება: შიშობიერების პროცესი, თანამშრომლობა. ამ განსაზღვრის შესაბამისად, სახელმწიფოს საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკური სუბიექტი, ესე იგი, ნებისმიერი ადამიანი, ვინც საზოგადო საქმეს ალევს მთელ თავის ძალას. სწორედ ესაა მთავარი, ყოველივე დანარჩენი კი — რასა, სისხლისმიერი ნათესაობა, გეოგრაფიული საცხოვრისი, ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასისადმი კუთვნილება, — მეორე პლანზე ინაცვლებს. ახლა უკვე ძველი, უხსოვარი დროიდან არსებული, ტრადიციული, წარსულისაკენ მიქცეული, მოკლედ, დრომოჭმული ერთობა კი აღარ ანიჭებს სახელს იმ პოლიტიკურ თანაარსებობას, რასაც სახელმწიფო მქვია, არამედ სულ სხვა ერთობა. ესაა აბსოლუტურად ახალი ერთობა ადამიანებისა, რომლებიც თავიანთი ოფლითა და შრომით სქედენ საკუთარ მომავალს. სახელმწიფოში ჩვენ გვაერთიანებს არა მარტო ის, რაც იყო გუშინ, არამედ ისიც, რასაც ერთობლივი ძალიხმევეთ ავაგებთ ხვალ. აი, რატომაა, რომ დასავლური ქვეყნების პოლიტიკური ერთიანობის იდეა ასე ადვილად წყვეტს იმ ბორკილებს, რომლებიც ბოჭავდნენ ანტიკურ სახელმწიფოს. ამიტომ ვეროპელი, homo antiquus\*-ისაგან განსხვავებით, უფრო განხნილია მომავლისათვის. ის მომავლით ცხოვრობს და მომავლის მსჯავრითვე განსჯის თავის დღევანდელ მოქმედებას.

ამნაირი პოლიტიკური ტენდენცია გარდუვალად გამოიწვევს ადამიანთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის გაერთიანებას, რადგანაც ამ პროცესის შეჩერება, არსებითად, შეუძლებელია. უსაზღვროა ურთიერთშერწყმის უნარი. მე ვგულისხმობ არა მარტო ერთი ხალხის მეორესთან შერწყმის უნარს, არამედ (რაც უფრო მეტად ნიშნეულია ნაციონალური სახელმწიფოსათვის,) — ყველა საზოგადოებრივი კლასის შერწყმასაც პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში. რაც უფრო მეტად იზრდება ერი ეთნიკური თვალსაზრისით, რაც უფრო მასშტაბურია მისი გეოგრაფიული ექსპანსია, მით უფრო საბოლოო და შეუქცევად ხასიათს იღებს შიდაპოლიტიკური თანამშრომლობა, ნაციონალური სახელმწიფო დემოკრატიულია თვით

\* ანტიკური ეპოქის ადამიანი (ლათ.).

თავისი არსით და სწორედ ამიტომ მშარტყელობის სხვადასხვა ფორმებს ფუნდამენტური მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

აკვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა, ვინც თანამედროვე ერის წარმოშობას საერთო წარსულით ხსნის, ბოლოს და ბოლოს, იძულებული ხდება რენანისეული ფორმულის კიდევ ერთი წევრით შეავსოს თავისი აზრით, წევრით, რომელიც სისხლის, ენისა და ტრადიციების მიერ ერთობას ახალ ატრიბუტს — „პლებისციტუმის ჩვეულებას“ უმატებს. მაგრამ კარგად თუ გესმით, რას ნიშნავს ეს? იქნებ შეგვიძლია ამ გამოთქმას ახლავე მივანიჭოთ უფრო ჭეშმარიტი, იმ მნიშვნელობისაგან ძირეულად განსხვავებული შინაარსი, რასაც მას ანიჭებდა რენანი?

8

„იყო სახელმწიფო წარსულის მემკვიდრე, ზურგს უკან გქონდეს მოტოვებული აწ უკვე ბორცუებსხმული გრანდიოზული წამოწყებანი, ფლობდე აწმყოში მოქმედების ნებას და გქონდეს მომავალში კიდევ უფრო სასახლო საქმეთა აღსრულების სურვილი, — აი, რა უწყობს ხელს ერის, როგორც განუყოფელი მთლიანობის, ჩამოყალიბებას... ერმა წარსულისაგან მემკვიდრეობით მიიღო არა მარტო სინდისის ქენჯნა, არამედ დიადი მიღწევებიც, მომავალში კი მას ელის ერთობლივი მოქმედების ერთიანი პროგრამის განხორციელება... ერის არსებობის პირობა პლებისციტუმის ჩვეულებაა“.

ასეთია ერის საყოველთაოდ ცნობილი დეფინიცია, რომელიც რენანს ეკუთვნის. რითი აიხსნება მისი უჩვეულო პოპულარობა? ექვს გარეშეა, რომ რენანის გამონათქვამი თავის პოპულარობას უნდა უმადლოდეს სულ ბოლო, ძალზე დახვეწილ შენიშვნას. აზრი იმის შესახებ, რომ ერის არსს საზოგადოებრივი პრობლემის საყოველთაო-სახალხო განხილვა შეადგენს, მაცოცხლებელ სიოსა შვავს, დასიცხულ შუბლს რომ გვიგრილებს. მკაცრი, ფატალური სტატიური და ინერტული პრინციპები — სისხლისა თუ ენისმიერი ერთობა, საერთო წარსული — დილეგის ვიწრო კედლებივით დაშორებულ შემოქმედებას ახდენენ ჩვენზე. ერი რომ მარტოოდენ ამ სამი პრინციპის წყალობით არსებობდეს, მაშინ ჩვენ უკან მოვიტოვებდით თვით „ერის“ ცნებას, როგორც სრულიად უსარგებლო რაიმე. ერი პროცესის შედეგი იქნებოდა და არა თვით პროცესი. ამ შემთხვევაში აზრი აღარ ექნებოდა ჩვენი მტრებისაგან მის დაცვას.



გვინდა თუ არა, ადამიანის არსებობა უკველთვის მომავალზეა ორიენტირებული. აწმყოხ უკველი მომენტი უხილავი ძაფებით უკავშირდება მერმისს. ამიტომ ცხოვრება მუდმივი მოქმედებაა, შესვენებისა თუ სულის მოთქმის გარეშე. მაშ, დღემდე რატომ არავის მიუქცევია უურადლება იმისათვის, რომ მოქმედება, ნებისმიერი მოქმედება მომავლის შენებას ნიშნავს? აწმყოხ მოცემულ მომენტში ჩვენ იმნიშნით ვრთავთ ჩვენი მეხსიერების მექანიზმს, რომ უახლოეს მომავალში რაღაცას მივადწიოთ, თუნდაც ეს „რაღაცა“ მარტოდენ წარსულის სახიამოვნო მოგონება თუ მისი ხელახლა განცდა იყოს. მოგონებებით მოკრძალებული ტკბობის არსი ისაა, რომ წარსული ანაზღად, ერთის წამით, სასურველ მერმისად წარმოგვიჩნდება. აქედან დასკვნა: ადამიანისათვის არსებობას აზრი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მომავალს უკავშირდება.\*

\* უკველივე ზემოთქმული თვალნათლივ გვიდასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის არსებობას უცილობლად ფუტუროლოგიური მიმართულება აქვს: ადამიანი მომავლითა და მომავალში ცოცხლობს. და მაინც, მე ანტიკური ეპოქის ადამიანი ჩვენს თანამედროვეს დავეპირისპირე და აღვნიშნე, რომ დღევანდელი ადამიანის სული გაცილებით უფრო განხილია მომავლისათვის, ვიდრე ძველი ადამიანის სული. ადამიანისა, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, ბრმაა მომავლის მიმართ. ერთგვარი შინაგანი წინააღმდეგობა ამ ორ თეზისს შორის შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა განსაკუთრებით ნათლად ვლინდება მაშინ, როცა ვიფიქვებთ, რომ ადამიანის არსებობა ორ სიბრტყეში მიმდინარეობს. ერთის მხრივ, ესაა არსება, სწორედ ისეთი, როგორცაა სინამდვილეში, მეორეს მხრივ კი, მას გარკვეული წარმოდგენა აქვს თავის თავზე, წარმოდგენა, რომელიც მეტ-ნაკლებად თანხვდება იმას, რაღაც ის გვევლინება სინამდვილეში. რა თქმა უნდა, ჩვენი წარმოდგენები სიმბათიები თუ სურვილები ვერ შეცვლიან ჩვენი „შე“-ს კემმარტ არსს, მაგრამ მათ შეუძლიათ უფრო გაართულონ და კიდევაც შეცვალონ იგი. ძველ ადამიანსაც და თანამედროვე ევროპელსაც თანაბრად აღშფოთებს მომავალი; მაგრამ ანტიკური ეპოქის ადამიანი წარსულის პოზიციიდან განიხილავს მომავალს, მყოფად, ახალს. ეს ანტიგონიზმი, რომელიც არსებობის კი არა, რაღაცის მჭობინების, რაღაცისათვის უპირატესობის მინიჭების სფეროში ვლინდება, უთუოდ ამართლებს ჩვენს დე-

ერი რომ მხოლოდ წარსულით და აწმყოთი ცოცხლობდეს. არავინ აღარ დაიცავდა თავის სამშობლოს, როცა მას მტრები ესხმიან თავს. ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, ან ბრყუვია, ანდა პირფერი. ერის საერთო წარსული მხოლოდ ხელს უწყობს იმას, რომ მომავლის რეალურმა თუ წარმოსახულმა სტიმულებმა იჩინონ თავი. მერმისზე ფიქრისას, ~~მხვენსა~~ არსებობის გარეშე ვერ წარმოდგენას ~~მხვენსა~~ ამიტომ უკველ წამს მზადა ვართ, ძვირად დავუსვათ მტერს ჩვენს სამშობლოზე თავდასხმა. დიას, სწორედ ამიტომ, და არა იმის გამო, რომ უველას ერთი სიხსლი გვიდულს ძარღვებში, ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და საერთო წარსული გვაქვს: ჩვენი სამშობლოს არსებობას რომ ვიცავთ, ამით ჩვენს გუშინდელ კი არა, ხვალისდელ დღეს ვიცავთ.

სწორედ ამ რეალობას ასახავს რენანის დეფინიციია, რომლის თანახმადაც, მომავალში ერთობლივი მოქმედების გეგმაა ის, რაც ერს განუყოფელ მთლიანობად აერთებს. დღეს მოსახლეობის გამოკითხვა წყვეტს ხვალისდელი დღის ზედს. ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში სამომავლო მოქმედება წარსულში იმავე მოქმედების გაგრძელებად გვევლინება, იოტის ოდენადაც არა ცვლის საქმის არსს, არამედ ერთხელ კიდევ გვიდასტურებს რენანისეული დეფინიციის არქაისტულ ხახიათს.

ნაციონალური სახელმწიფოს იდეაში განხახიერებული სახელმწიფოებრიობის პრინციპი გაცილებით უფრო ახლოა სახელმწიფოზე იდეალურ წარმოდგენასთან, ვიდრე ანტიკური პოლიისი თუ ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული არაბთა „ტომობრივი“ სახელმწიფო. ჩვენო წარმოდგენა „ერის“ შესახებ საკმაოდ გადატვირთულია მისი „საერთო წარსულის, ერთი და

ფინიციის, რომლის თანახმადაც, თანამედროვე ევროპული ყოფა განისაზღვრება როგორც ფუტურისტული, ანტიკური ყოფა კი — როგორც არქაისტული. ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტი: როგორც კი ევროპელი იღვიძებს და ევროპელად აღიქვამს თავს, ის თავის ისტორიას „თანამედროვეობის“ სახელით ნათლავს. როგორც მოგეხსენებათ, „თანამედროვე“ თუ „თანადროული“ „ახალს, ძველი ჩვეულებების უარყოფელსა“ ნიშნავს. XIV საუკუნის დამლევიდანვე ევროპელები ხანჯასნით აღნიშნავენ იმ მოვლენების ტანბლროშლსა და ახალ ბუნებას, რომლებსაც იმხანად საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასე მაგალითად, „თეოლოგიური მისტიციზმის“ ერთ-ერთ ავანგარდულ მიმდინარეობას ისინი devotio moderna-ს (ახალ ღვთისმოსაობას, — ლათ.) უწოდებდნენ.



იმავე რასიზმში კუთვნილებიან თუ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრების ბადასტით. მაგრამ ხწორედ ამიტომ ჩვენს მუდმივ განცვიფრებას იწვევს ადამიანთა ერთობის დიადი პრინციპის ტრიუმფი, ერთობისა, რომელსაც ერთობლივი მოქმედების სასიცოცხლო პროგრამა უღევს საფუძვლად. მეტიც, მე ვიტყვოდი, რომ წარსულის ამ ბადასტსაც და ნაციონალური იდეის, როგორც მატერიალურ ნიშანთა ერთობლიობის, საკმაოდ არასრულ განსაზღვრასაც შემთხვევით როდი უჩენია თავი დასავლელ ადამიანთა სულში. ნაციონალური იდეის ამნაირი გაგება მისი „ერუდიტული“ ინტერპრეტაციისაგან იღებს დასაბამს, რომელიც რომანტიკოსებმა შემოგვთავაზეს. შუა საუკუნეებში რომ ჩამოყალიბებულყო ერთი ამნაირი გაგება, რომელიც XIX საუკუნემ შემოგვთავაზა, თანამედროვე ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთსა თუ გერმანიას, ალბათ, ვერახოდას იხილავდა ქვეყნიერება.\* ერის ამნაირი გაგება ერთმანეთში ურევს ორ პრინციპს: ესენია, ერთის მხრივ, პრინციპი, რომელიც ერის ჩამოყალიბების შთამაგონებელ სტიმულად გვევლინება და ხელს უწყობს მის ფორმირებას, მეორეს მხრივ, პრინციპი, რომლის წყალობითაც ხდება ერის კონსოლიდაცია და ერთგანუყოფელ მთლიანობად მისი ჩამოყალიბება. ერები (დროა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ ეს) პატრიოტიზმის წყალობით როდი ჩამოყალიბებულან. გინდ ის გიმტკიცებია, რომ ერს პატრიოტული იმპულსი აყალიბებს ერთ მთლიანობად, და გინდ დაუსრულებლივ გიმეორებია ერთი და იგივე გაცვეთილი ქეშმარიტება, რომლის მცდარობაზედაც უკვე მიგაქცევინეთ უურადლება. თვით რენანიც კი, თავისი სახელგანთქმული განსაზღვრის ფორმულირებისას, ანალოგიურ შეცდომას უშვებს. თუ „ერი“ ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის საერთო წარსულს ნიშნავს, მაშინ რანაირ პასუხს გავცემთ შემდეგ კითხვას: „რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა იმავე ჯგუფს, ვიდრე ის აწმყოდ განიცდის იმას, რაც დღევანდელი დღის სიმალლიდან წარსულად წარმოგვიჩნდება? როგორც ჩანს, აუცილებელია, რომ ერთობლივი არსებობა, წარსულში გადასვლისთანავე, უკვე აღარ იყოს ის, რაც არის. და მაშინ შეიძლება გვეთქვას: „ჩვენა ვართ ერთი ერი“. ნუთუ ვერ ამჩნევთ აქ იმავე პროფესიულ სიბეცეს წარსულის მიმართ მიქცეული ფილოლოგისა თუ არქივარიუსისა, აწმყოს დანახვა

\* ერების პრონოლოგიურა პრინციპი რომანტიზმის ერთ-ერთ უპირველეს ნიშნად გვევლინება (XVIII საუკუნის დასასრული).

რომ არ შეუძლიათ? ფილოლოგს საიმიხოდ, რომ ფილოლოგი იყოს, წარსულის არსებობა სჭირდება. მაგრამ ერებს, ვიდრე უკან მოიტოვებდნენ საერთო წარსულს, ჯერ ეს ერთობა უნდა შეექმნათ, მის შექმნამდე ეს უნდა მოეწადინებიათ მისი ხორცშესხმა, დაეგეგმათ და ეოცნებათ კიდევაც ~~შეიქმნა~~ ~~ერთს~~ ~~წარსებობისათვის~~ საკმარისია ~~ქვეყნიერება~~ ~~საარსებო~~ პროგრამა, თუნდაც ისეთი, ყოველთვის რომ არ უწერია ცხოვრებაში განხორციელება, და საბოლოოდ კრახსაც განიცდის, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ისტორიაში. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება ერთან, რომელმაც თავისი თავის რეალიზაცია ვერ შეხდლო (ასეთია, მაგალითად, ბურგუნდიელთა ერი).

ესპანელ ხალხსა და ცენტრალური თუ სამხრეთ ამერიკის ხალხებს საერთო წარსული, საერთო ენა აქვთ და საერთო წინაპრებიცა ჰყავთ, მაგრამ, შიუხედავად ამისა, ამერიკელი ხალხები არ შედიან ესპანელი ერის შემადგენლობაში, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ, ეტყობა, საერთო არა აქვთ ის, რაც მთავარია, კერძოდ, მომავალი. ესპანეთში ვერ შეხდლო მომავლის ერთად შენების ისეთი პროგრამა შეეთავაზებინა მათთვის, რომელიც თანამშრომლობის სურვილს აღუძრავდა ზოოლოგიური თვალსაზრისით ჩვენთან ახლოს მდგომ ამ ხალხებს. საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრისადმი ფუტურისტულმა მიდგომამ ვერასდევით ვერ მოიკიდა ფეხი ესპანეთში. ამიტომ ჩვენი გადარჩენა ვერც საარქივო მასალებმა შეხდლო, ვერც ერთობლივი წარსულის ხსოვნამ, ვერც საერთო წინაპრებმა და ვერც ეგრეთწოდებულმა „სიყვარულმა სამშობლოს მიმართ“. როდესაც არსებობს მომავლის შენებისაკენ საერთო სწრაფვა, ყოველივე ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, დაუყოვნებლივ იძენს ძალას და იმ საძირკვლად იქცევა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ერის განუყოფელი მთლიანობა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საძირკვლად.\*

ამრიგად, ნაციონალური სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა თავისი პლებისციტური ხასიათის ხარჯზე არსებული თავისებური სტრუ-

\* დღეს ჩვენ გრანდიოზული პოლიტიკური ექსპერიმენტის მოწმენი ვართ, რომლის შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებენ, შესაძლებს თუ არა ინგლისი შეინარჩუნოს მთელს მსოფლიოში მიმოფანტულ კოლონიათა თანაარსებობის სუბერენული ერთობა, შესაძლებს თუ არა ერთობლივი მოქმედების პროგრამის განსახორციელებლად დარაზმოს ისინი.



ქტურა. ნაციონალური იდეის ყველა დანარჩენი გამოვლინება, თავისი ფასეულობის მიხედვით, წარმავალია და ფარდობითი, რადგანაც ან შინაარსია, ან ფორმა, ანდა იმ პრინციპის დასტური, რომელიც პლენისციტუმის მოქმედებაში ვლინდება. რენანმა შესძლო ეპოვასიტყვა, რომელმაც ჩადონსური ფარანივით გააშუქა პრობლემის არსი, რადგანაც პლენისციტუმის ცნება საშუალებას გვაძლევს ნათელი მოვფინოთ ერის რთულ არსობრივ სტრუქტურას, რომელიც ორი ინგრედიენტისაგან შედგება. ერთი ამ ინგრედიენტისაგან ერთობლივი თანაარსებობაა, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი საყოველთაო მოქმედების განხორციელებას, მეორე კი — ასევე საყოველთაო მხარდაჭერა, რასაც ხალხი არ აკლებს ამ მოქმედების განხორციელების პროექტს. სწორედ ეს ერთსულოვანი და საყოველთაო მხარდაჭერაა ის შინაგანი ძალა, ერთ განუყოფელ მთლიანობად რომ აღუღაბებს ადამიანებს ნაციონალურ სახელმწიფოში და, ამრიგად, ისტორიაში არსებული ყველა სხვა სახელმწიფოსაგან განასხვავებს ამ უკანასკნელს. გარდასულ ეპოქათა სახელმწიფოებში ეს გაერთიანება ხორციელდება იმ გარეგანი ზემოქმედების შედეგად, რასაც ძალაუფლების ინსტიტუტები ახდენენ ერთმანეთისათვის უცხო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე, მაშინ როდესაც თანამედროვე სახელმწიფოს ძლიერებას „ხელქვეითთა“ სწორედ ამ უშუალო და ორგანულ მთლიანობაში აქვს ფესვი გადგმული. სინამდვილეში კი ეს „ხელქვეითები“ იგივე სახელმწიფოა, და ამიტომაც არ განიცდიან მას როგორც უცხო, მათდაში მტრულად განწყობილ ძალას. სწორედ ესაა „ნაციონალურობის“ ცნების აბსოლუტურად ახალი და განსაცვიფრებელი ხასიათი.

და მაინც რენანი თითქმის მთლიანად აქარწყლებს თავის მართებულ განსაზღვრას, აქარწყლებს იმით, რომ რეტროსპექტულ იერს ანიჭებს მას, რაკილა ამტკიცებს, რომ პლენისციტუმი ნიშნეულია უკვე ჩამოყალიბებული ერისათვის, და რომ პლენისციტუმის ქმედითობა თუ უმოქმედობა გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ერის შემდგომ ბედზე. მე ვამჩნობინებდი, შემეცვალა რენანისეული გამოთქმის ნიშანი და ერისადში *in statu nascendi*\* მიმესადაგებინა იგი. სწორედ ეს მდგომარეობა განაპირობებს მის სპეციფიკურ ხასიათს. ერი დინამიური ცნებაა. ამით განსხვავდება იგი სახელმწიფოებრიობის სხვა ფორმებისგან. ერი მუდმივად ან ფორმირების პროცესშია, ან დაშლის პროცესში, — *tertium non datur*\*. ის ან იძენს, ან კარგავს მომხრეებს. ეს იმაზეა დამოკიდებული, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, მრავალწლიანი მოქმედების ქმედითი გეგმა შესთავაზოს თავის მოქალაქეებს.

ძალზე საგულისხმო იქნებოდა, თვალის გაგვიდევნებინა იმისათვის, თუ რა წარუშლელ ზემოქმედებას ახდენდა დასავლეთში „სხვადასხვა“ გრანდიოზულ პროექტთა განხორციელება ადამიანური არსებობის მოდუსზე, რაც თვალნათლივ დაგვარწმუნებდა, რომ ამ პროექტების ხორცშესხმა არა მარტო განწონიდა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ატმოსფეროს, არამედ ევროპელის ინდივიდუალური არსებობის ყველაზე შორეულ კუნჭულებსაც უწევდა. ჩვენ დავინახავდით, რომ ამ გრანდიოზულ წამოწყებათა აღსრულება თავისებურად „წვრთნიდა“ ევროპელის სულს, მაშინ როდესაც უქმად ყოფნა ხელს უწყობდა მის შემდგომ დემორალიზაციას.

ამნაირი ანალიზი გამოავლენდა სახელმწიფოებრიობის ანტიკური ფორმების შემდეგ თავისებურებას: ძველი ხალხების სახელმწიფოებრივი წამოწყებანი დროსა და სივრცეში არსებითად შეუზღუდავნი იყვნენ სწორედ იმიტომ, რომ არასოდეს არ ბერბდებოდა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მათ მიერ დაპურობილი ხალხების ჩართვა. სახელმწიფო ტომისა თუ ქალაქის გარდუვალი შეზღუდულობისათვის იყო განწირული. ერთ ხალხს — სპარსელს, მაკედონელსა თუ რომაელს — შეეძლო თავისი იმპერიისათვის მიეერთებინა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ხალხების მიწაწყალი. მაგრამ რაკი ამნაირი გაერთიანება შეუძლებელია ქეშმარიტი, საბოლოო და შინაგანად აუცილებელი ყოფილიყო, ამიტომ მისი შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ სამხედრო ძალის მეშვეობითა თუ დამპყრობელი ხალხის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებებით. დასავლეთში კი ნაციონალურმა გაერთიანებამ თავისი განვითარების გზაზე რამდენიმე გარდუვალი ეტაპი განვლო. ის ფაქტი, რომ ევროპაში შეუძლებელი შეიქნა იმნაირი იმპერიის დაარსება, რომელიც სპარსული ყაიღისა თუ ალექსანდრე მაკედონელის ან ავგუსტუსის მიერ შექმნილ იმპერიებს ემგვანებოდა, — უფრო მეტ განცვიფრებას უნდა იწვევდეს, ვიდრე სინამდვილეში იწვევს.

ევროპული ერების ჩამოყალიბების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი. მხოლოდ დასავლელი ადამიანისათვის ნიშნეული საგანგებო ინსტიტუტს, რომლის ზემოქმედებითაც სახელმწიფო მოიაზრება როგორც

\* ფორმირების პროცესში (ლათ.).

\* მესამე მოცემული არ არის (ლათ.).



სხვადასხვა ხალხის ერთ მთლიანობად შერწყ-  
 მა, ქცევის ერთნაირ წესს რომ ემორჩილება, —  
 შედეგად მოხდეს გეოგრაფიული თუ ლინგვის-  
 ტური თვალსაზრისით ერთმანეთთან უკვლავ  
 ახლოს მდგომი ეთნიკური ჯგუფების გაერთიან-  
 ნება. ერთ ეთნიკურ, ლინგვისტურსა თუ გეოგ-  
 რაფიულ სიახლოვეზე როდია დაფუძნებული.  
 პირიქით, გაერთიანება ხდება იმის წყალობით,  
 რომ ახლოს მყოფის მრავალფეროვნება უფრო  
 ადვილად ემორჩილება მართვას. მემორა მტა-  
 ბი. კონსოლიდაციის პერიოდს შეესაბამება,  
 რომლის განმავლობაშიაც ის ვილაც სხვებში,  
 ახლად შექმნილი სახელმწიფოს გარეთ რომ  
 დარჩენენ, აღიქმებიან როგორც უცხონი და  
 პოტენციური მოწინააღმდეგენი. ამ პერიოდში  
 ნაციონალური იდეა თავის განსაკუთრებულო-  
 ბას აცხადებს და საკუთარი სახელმწიფოს ფარ-  
 გლებში იკეტება, მოკლედ, თავს იჩენს ის, რა-  
 ხაც დღეს ნაციონალიზმს ვუწოდებთ. მაგრამ  
 პარადოქსი ისაა, რომ ვიდრე სხვებს, პოლიტი-  
 კური თვალსაზრისით, უცხოებად და მეტოქეე-  
 ბად ვთვლით, ჩვენ შეგვიძლია ეკონომიურად,  
 მორალურად თუ ინტელექტუალურად კვლავაც  
 გავაგრძელოთ მათთან თანამშრომლობა და  
 თანაარსებობა, ნაციონალისტური ომები სწორედ  
 იმისთვისაა საჭირო, რომ მოახდინონ სახელმ-  
 წიფოთა ტექნიკური თუ სულიერი განვითარე-  
 ბის სხვადასხვაობათა ნიველირება. დასაბამიერი  
 მტრები თანდათანობით ისტორიულ ერთგვა-  
 როვნებად მიდიან.\* და მაშინ ჩვენი არსე-  
 ბობის მორიზონტზე თანდათანობით იკვეთება  
 იმის შეგნება, რომ ჩვენდამი მტრულად განწყ-  
 უობილი ხალხები ადამიანთა იმავე ერთობას  
 ეკუთვნიან, რომლის წევრებადაც ითვლებიან  
 ჩვენი სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი  
 ხალხებიც. თუმცა ჩვენ კვლავ უცხოებად და  
 ჩვენს მტრებად მიგვაჩნია ისინი. მესამე მტა-  
 ბი. სახელმწიფო უფრო მტკიცე გახდა, ვიდრე  
 ოდესმე. და მაშინ ჩვენ წინაშე ისახება ახალი  
 ამოცანა, ახალი მიზანი — იმ ხალხებთან გაერ-  
 თიანება, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ ჩვენს  
 მტრებად ვთვლიდით. იზრდება რწმენა იმისა,  
 რომ მათი ინტერესები და მათი მორალი ჩვენს  
 ინტერესებსა და მორალს ენათესავება, და რომ  
 ერთად უკეთ შევძლებთ წინ აღვუდგეთ უფრო  
 შორეულსა და ჩვენდამი უფრო მტრულად განწყ-  
 უობილ ხალხებს. ასე უაღიბდება ნაციონალური  
 იდეის ახლებური გაგება.

\* იმ პირობით, რომ ეს ერთგვაროვნება არ-  
 სებობის პირობათა დასაბამიერი მრავალფეროვნ-  
 ნების მოსპობას კი არ უწყობს ხელს, არამედ  
 მათ შენარჩუნებას.

ჩემი აზრის საილუსტრაციოდ მოვიტანთ  
 ერთ მაგალითს. ამტკიცებენ, რომ სიღის დროს  
 უკვე არსებობდა ესპანეთის (Spania), როგორც  
 ნაციონალური ერთიანობის გაგება. ამ თეზისის  
 დასტურად მოაქვთ წმიდა ისიდორეს სიტყვები,  
 რომელიც სიღის დაბადებამდე რამდენიმე სა-  
 უკუნით ადრე უკვე დასაბამობდა „დედა ესპა-  
 ნეთზე“. მე თუ შეითხავთ, აქ ჩვენ უბეშ შეც-  
 დომას ვუშვებთ, რომელიც აყალბებს ისტო-  
 რიულ პერსპექტივას. სიღის დროს მხოლოდ  
 ლეონ-კასტილიის სახელმწიფოს თანდათანობი-  
 თი ფორმირების პროცესზე თუ შეიძლება  
 ელაპარაკათ; ლეონისა და კასტილიის ერთ  
 სახელმწიფოდ გაერთიანება შეესაბამებოდა ნა-  
 ციონალური ქმნადობის მაშინდელი იდეის  
 განვითარების ხარისხს. პოლიტიკური თვალსაზ-  
 რისით მხოლოდ ის იდეა თუ შეიძლება  
 ყოფილიყო ეფექტური — ისე კი, Spania-ს იდეა  
 პირწმინდად „ერუდიტული“ წარმომავლობისა  
 გახლავთ. ესაა ერთი იმ ნაყოფიერ იდეათაგანი,  
 დასავლურ ნიადაგზე რომ გადმონერგა რომის  
 იდეოლოგიამ. „ესპანელები“ მიეჩვივნენ იმას,  
 რომ ოდესღაც რომმა ერთ ადმინისტრაციულ  
 ოლქად, ერთგვარ პროვინციულ მმართველად გა-  
 აერთიანა ისინი. მაგრამ ეს გეოგრაფიულ-ად-  
 მინისტრაციული ცნება ესპანელებისათვის უც-  
 ხო იდეა იყო, სხვა ხალხის მიერ იძულებით თავს  
 მოხვეული. ის ვერასოდეს ვერ აღგვირავდა სა-  
 იმისოდ, რომ ნაციონალური ერთიანობისათვის  
 საბრძოლველად დავრამულიყავით, და, მით  
 უშეტეს, ვერ იქნებოდა ამ ერთიანობის მიზანი.  
 რამდენსაც არ უნდა ვცდილობდეთ, ამ  
 იდეის დასტური ვპოვოთ XI საუკუნის ლიტერ-  
 რატურულ წყაროებში, მაინც იძულებულნი  
 ვიქნებით, ვაღიაროთ, რომ ის ძალზე შორსაა  
 იმ პოპულარობისაგან, რომლითაც ძველი წელ-  
 თადრიცხვის IV საუკუნეში სარგებლობდა ბერ-  
 ძნებს შორის ელაღის ცნება, რომელსაც გა-  
 ცილებით უფრო მკაფიოდ გამოხატული ხა-  
 სიათი მქონდა. და მაინც, ელაღის იდეა ვერა-  
 სოდეს ვერ იქცა ქეშმარიტად ნაციონალური  
 ერთიანობის იდეად. თუ გვინდა უფრო ზუსტად  
 ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შედარება, შეგვიძლია  
 ვთქვათ, რომ IV საუკუნის ბერძნებისათვის  
 ელაღის იდეა იგივე იყო, რაც Spania XI და  
 თვით XIV საუკუნის ესპანელებისათვის, ან  
 ევროპა — XIX საუკუნის „ევროპელითათვის“.  
 ჩვენი მაგალითი გვიჩვენებს, რა ეტაპობრი-  
 ვად ხორციელდება ცხოვრებაში ნაციონალური  
 ქმნადობის იდეა, ზუსტად ისევე, როგორც  
 ცალ-ცალკე მუდერი ნოტები თანდათანობით  
 ერწყმიან ერთმანეთს მელოდიად, გუშინდელი  
 სიახლოვე ხვალისდელ დღეს უნდა დაელოდოს,  
 რადგანაც სწორედ ხვალ დაიწყება საერთო-



ახალბო ქმედითობის ვულკანური ამოფრქვევა მთელი ერის საკეთილდღეოდ. მაგრამ ჩვენ დღევანდელ შეგვიძლია დაბეჭითებით ვთქვათ, რომ ადრე თუ გვიან, გარდუვალად დაჰკრავს ამ ქმედითობის საათი.

დადგა დრო, როცა ნაციონალური ერთიანობის იდეას შეუძლია ზოგადმეგრობულ იდეად იქცეს. დღეს ჩვენ გვწამს, რომ ამ იდეას განხორციელება უწერია, და ეს რწმენა გაცილებით უფრო ნაკლებ უტოპიურია, ვიდრე XI საუკუნის წინასწარმეტყველება მომავალი ერთიანი ესპანეთისა თუ საფრანგეთის შესახებ. რაც უფრო მეტად უერთგულებს დასავლური საბელმწიფო იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის არსებობას, მით უფრო მალე გამოამჟღავნებს თავის ქეშმარიტ არსს, და ერთ უზარმაზარ კონტინენტურ საბელმწიფოდ იქცევა.

9

როგორც კი მთელი სიცხადით იქვეთება დასავლელი ადამიანის პროფილი, მის ფონზე დაუყოვნებლივ ისახება ევროპა. ევროპელები ერთი და იმავე ჰაერით სუნთქავენ. ამ ჰაერს, ამ ატმოსფეროს ისინი თვითონვე ქმნიან. ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქიდან მოყოლებული, ევროპელი ერები, ისე, რომ თვითონაც ვერ ამჩნევენ ამას, ერთ მთლიანობად ყალიბდებიან, თითქოს თავიანთი აგრესიული მრავალსახეობისაგან აბსტრაქტირებას ახდენენო. საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი, იტალია და გერმანია კვლავინდებურად ეომებიან ერთმანეთს, სამხედრო კავშირებს ჰქმნიან, გამოდიან ამ კავშირებიდან და კვლავ შედიან მათში, მაგრამ როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროსაც ისინი კვლავ განაგრძობენ თანაარსებობას, და ეს თანაარსებობა თანაარსებობაა, ძველი რომაელებისაგან განსხვავებით, რომლებიც არც ომისა და არც მშვიდობის უამს არ კადრულობდნენ იმას, რომ თავი გაეყადრებინათ კელტიბერების, გალების, ბრიტანელებისა თუ გერმანელებისათვის. ისტორია, უწინარეს ყოვლისა, დასავლური ქვეყნების პოლიტიკისა თუ ერთაშორისი შუღლის ამბებს გადმოგვცემს, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ერთიანობის თესლი ევროპულ ნიადაგზე უფრო მალე მომწიფდა, ვიდრე მისი ნაყოფის მოწვევას მოახწრებდნენ პოლიტიკოსები. ვიდრე ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგენი მუსრს ავლებდნენ ერთიმეორებს, ასობით სხვა ასპარეზზე სავაჭრო ხელშეკრულებებს დებდნენ და ცხოვრებისეული გამოცდილების, ადგილისა თუ ხელოვნების

ნაწარმოებების გაცვლა-გამოცვლით ამდიდრებდნენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ საბრძოლო გრგვინვა-გრიალი ერთგვარი ტკაცუნა საფარი, შენიღბვის თავისებური საშუალება იყო, რომლის მიღმაც მშვიდობისობობა მოუღწედა ქსოვდა თავის ქსელს, მეომარი ქვეყნების მთელი ტერიტორია რომ უნდა მოეცვა. ევროპული ქვეყნების მცხოვრებთა ყოველი ახალი თაობა სულ უფრო და უფრო მეტად უახლოვდებოდა ერთმანეთს. თუ გნებავთ, მე შემიძლია უფრო მეტი გულმოდგინებითაც და სიზუსტით ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი. რა თქმა უნდა, ფრანგები, ინგლისელები თუ ესპანელები ნაციონალური ფსიქოლოგიით განსხვავდებოდნენ და დღესაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგრამ ჩვენ უკვლას საერთო ფსიქოლოგიური სტრუქტურა გვაქვს, რომელიც გამოდმებით ივსება ახალი შინაარსით. სწორედ ასე, თანდათანობით, რელიგია, მეცნიერება, სამართალი, ხელოვნება, საზოგადოებრივი თუ ერთიული ფასეულობანი საერთო საკუთრებად იქცევა. ყოველივე ეს კი, როგორც ცნობილია, აყალიბებს სულიერ ატმოსფეროს, რომელიც ადამიანს სისხლსავსე ცხოვრების საშუალებას აძლევს. უფრო მეტი სულიერი სიახლოვე შეუძლებელი იქნებოდა თვით იმ შემთხვევაშიაც კი, ყველა სული ერთ თარგზე გამოჭრილიც რომ იყოს.

ჩვენ რომ გვეცადა და ჩვენი დღევანდელი სულიერი ბაგაჟის (შეხედულებების, წესების, სურვილების, ვარაუდების) საერთო ბალანსი გამოგვეყვანა, ესე იგი, გაგვერკვია, რა არის მასში ნაციონალური და რა — ზოგადევროპული, დავინახავდით, რომ ზოგადევროპული ნაწილი გადასწონიდა, და არა ის, რაც პირწმინდად ნაციონალური ბუნების, ვთქვათ, ფრანგული თუ ესპანური წარმომავლობისაა. მეტიც, ექვს გარეშეა, რომ დღეს თითოეულ ჩვენგანშიც სწორედ ზოგადი, ევროპული ჩრდილავს კერძოს, ნაციონალურს, ვთქვათ, ფრანგულსა თუ ესპანურს, და ა. შ. რომ შეიძლებოდეს ჩავვეტარებინა წარმოსახვით ექსპერიმენტი და კაცისთვის გვებრძანებინა, მხოლოდ შენი „ნაციონალურობით“ იცხოვრო, ანდა მართლა წაგვერთმია საშუალო ფრანგისთვის ყველა ის ნივთი, ჩვეულება, აზრი თუ გრძნობა, რაც მან ჩვენი კონტინენტის დანარჩენი ხალხებისაგან შეითვისა, საბრალო ფრანგს, ალბათ, თავზარი დაეცემოდა. ის მიხვდებოდა, რომ შეუძლებელია მართლოდენ საკუთარი „ნაციონალურობით“ ცხოვრება. და დარწმუნდებოდა, რომ მისი ცხოვრების ოთხი მეხუთედი ზოგადევროპული ფასეულობების — ადათ-წესების, ჩვეულებების, აზრებისა თუ საგნებისაგან შედგება.



მე ვერ წარმომიდგენია ჩვენი პლანეტის მცხოვრებთათვის უფრო მნიშვნელოვანი სპეცი, ვიდრე იმ აღთქმის ასრულება, რომელიც აგერ უკვე ოთხი საუკუნე მაინც იქნება, რაც ჩვენთვის, ევროპელებისათვის, მოქცეულია თვით სიტყვის — „ევროპა“ სემანტიკაში\*. მხოლოდ რეტროგრადებს, წარსულისაკენ მიქცეული ძველი „ერების“ მომხრეებს თუ შეუძლიათ წინ აღუდგნენ ამ აღთქმის აღსრულებას. დადგადრო, შევამოწმოთ, შეიძლება თუ არა, ლოტის მეუღლის ნაშეიერებად მიგვაჩნდნენ ევროპელები, მერმისისაკენ ზურგმიქცეულნი რომ ქმნიან თავიანთ ისტორიას. დაე, ძველი რომაელისა და, საერთოდ, ანტიკური ეპოქის ადამიანის მაგალითი ჭკუის სასწავლი გაკვეთილი იყოს ჩვენთვის. განა ადვილი საქმეა, ზოგ-ზოგიერთს თავიდან გამოუბერტყოს სახელმწიფოს ის გაგება, კერძოთა კაკლის ღებანივით რომ ჩახქედია შიგ? საბედნიეროდ, ნაციონალური სახელმწიფოს იმ გაგებას, რომელსაც — შეხადლოა, ქვეშეცნეულადაც — ამკვიდრებს ამქვეყნად დასავლელი ადამიანი, საერთო არა აქვს რა მისხავე „ერუდიტულ“ — ფილოლოგიურ გაგებასთან, ასე ჭიუტად რომ გვახვევენ თავზე.

ახლა კი დროა, მოკლედ ჩამოვყალიბოთ ამ ჩემი შრომის ძირითადი დებულებები. დღეს მსოფლიო უფრო დემორალიზებულია, ვიდრე ოდესმე. ეს დემორალიზაცია ევროპული წარმომავლობისა გახლავთ. ავადმყოფობის სხვა სიმპტომებთან ერთად ის ვლინდება მასების აღვირაბსნილ ამბობში, რაც დღეს უკვე აშკარად საშიშ ხასიათს იღებს. ევროპული ცხოვრების დემორალიზაციას მრავალი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია იმ ავტორიტეტის დაკარგვა, რომლითაც სარგებლობდნენ ევროპული ქვეყნები არა მარტო ჩვენი პლანეტის სხვა მხარეებში, არამედ შინაც. ევროპამ აღარ იცის, კვლავაც მართავს თუ არა მსოფლიოს, და ველარც სხვა ქვეყნები გრძნობენ მისი ძალაუფლების ზემოქმედებას. ისტორიული თვალსაზრისით, ამ ძალაუფლებას ნიადაგი გამოეცალა ფეხქვეშ.

უკვე ვეღარავინ გრძნობს „საკუთარი არსებობის სისავსეს“, თავისთავად რომ გულისხმობდა ნათელ, განსაზღვრულ და უცვლელ პერსპექტივას, რომელიც იშლებოდა XIX საუკუნის ადამიანის წინაშე. ოო, მას კი ეგონა, რომ შეეძლო ზუსტად ეწინასწარმეტყველებინა, რას უმზადებდა ხვალისდელი დღე. ამჟამად ჩვენი არსებობის პორიზონტზე კვლავ უცხო ქარები

დათარეშობენ, და ეს იმიტომ, რომ უკვე აღარ შეგვიძლია ვთქვათ, ვინ იქნება ჩვენი მმართველი, ან რანაირი ფორმით განსორციელდება ეს მმართველობა მთელ პლანეტაზე. „ვინა“, რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ, რომელი ხალხი თუ ხალხების ჯგუფი, ესე იგი, რომელი ეთნოსი, რანაირი იდეოლოგიური ნიშნულების, წესებისა თუ სასიცოცხლო ქვეყნების სისტემა...

ჭერჭერობით შეუძლებელია იმისი თქმა, თუ სიმკმის რომელი ცენტრისაკენ გადაიხრებიან ახლო მომავალში ადამიანური ფახეულობანი. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერს წარმავალი ხასიათი აქვს. საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ყველა, აბსოლუტურად ყველა გამოვლინება, მათ შორის, ყველაზე ინტიმურიც (გარდა მეცნიერების ზოგიერთი დარგისა) ამ წარმავლობის ნიშნითაა აღბეჭდილი. მართალია, ვისაც არა სწამს დღევანდელი ქება-დიდება, ყბედობა, კვებნა, ბაქი-ბუქი თუ საქმის ჩხრეკა. ყოველივე ეს უფრო მალე გაქრება, ვიდრე მოეგონა ქვეყნიერებას. ყველაფერი გარდავა: სპორტით მანიაკური გატაცებაც (გატაცების სიშლეგე და არა თვით სპორტი), პოლიტიკური ძალმომრეობაც, „ახალი ხელოვნებაც“ და პლიაფებზე გახარუჯად კოტრიალის ჩვევაც. ყოველივე ეს გამონაგონია, ბრიყვული, ფუქსავატური უინი. შეუძლებელია ნამდვილი იყოს ყველა ეს საქმე თუ გატაცება, ვინაიდან ამნაირ ფორმებს როდი უნდა იღებდეს ყოფიერების სიღრმისეული, არსობრივი შემოქმედება. მოკლედ, ამნაირი ცხოვრება ყალბია ძირის-ძირამდე. ამ სასიცოცხლო სტილის შინაგანი წინააღმდეგობა იმაში გამოიხატება, რომ ის, ერთდროულად, წრფელიცაა და ყალბიც. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ მაშინაა ქეშმარიტი, როცა ყველა ჩვენი ქცევა თუ მოქმედება შინაგანად და არსობრივად აუცილებელია. ძნელად თუ მოიძებნება დღეს ისეთი პოლიტიკოსი, გულის სიღრმეში რომ სწამდეს მის მიერ გატარებული პოლიტიკის აუცილებლობა. ამიტომ რაც უფრო ექსტრემისტული ხასიათისაა მისი სიტყვაც და საქმეც, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება მათი ფრივოლური და შემთხვევითი არსი. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ მაშინ იძენს სიღრმეს, მხოლოდ მაშინ ხდება ქეშმარიტი, როცა ყველა ჩვენი მოქმედება ჩვენივე უღმობელი ბედითაა ნაკარნახევი. ყოველივე დანარჩენი კის, რაც შეიძლება ავიღოთ, ადგილზე დავტოვოთ, ან სხვა რამით შევცვალოთ, — მხოლოდ არსებობის ნიღაბია, მისი ფალსიფიკაცია.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება მეუფებათა-შორისი ანარქიის პროდუქტია, სიცარიელის ნაყოფი, სიცარიელისა, რომელმაც მას მერე იჩინა თავი, რაც მსოფლიოს ისე გაეცალა

\* „ევროპა“ ძველი ბერძნული კომპოზიტია: „ევროს“ (ფართო), „ოპსის“ ხედი, ხედვა, თვალა). — მთარგმნელის შენიშ.



მზრდნებელი, რომ შემკვიდრე არ დაუტოვე-  
ნია. აქედან — ჩვენი ცხოვრების ესოდენ წარ-  
მავალი ხასიათი. დღეს კაცმა აღარ იცის, რომელ  
საზოგადოებრივ ინსტიტუტს მიუძღვნას თავი,  
ქალმა კი — რომელ მამაკაცს.

ევროპელებს მხოლოდ იმ პირობით შეუძლიათ  
იარსებონ, თუ რაიმე გრანდიოზულ საზოგადო-  
ებრივ საქმეს აღევენ თავიანთ ძალას. როცა  
ამნაირი საქმე არა აქვთ, ისინი სულით ეცე-  
მიან, შეღანქოლია იპრობთ და ცხოვრებას  
არავითარი აზრი აღარა აქვს მათთვის. ეს პრო-  
ცესი უკვე იწყება ჩვენ თვალწინ. იმ საზოგა-  
დოებებში, რომლებსაც ჩვენ ერებს ვუწოდებთ,  
უკვე რამდენიმე საუკუნე, ან ცოტა ნაკლები  
იქნება, რაც თავიანთი განვითარების პიკს მიაღ-  
წიეს. დღეს მათ უკვე აღარ შეუძლიათ იმ სა-  
ხით არსებობა, რომლითაც უწინ არსებობდნენ.  
უკვე დროა, უკან მოიტოვონ თავიანთი საზღვ-  
რები. ევროპული ატმოსფერო წარსულითაა  
გაუღენთილი. ეს წარსული დამთრგუნველად  
მოქმედებს ჩვენზე. ახლა, როცა მეტი სასი-  
ცოცხლო თავისუფლება მივიღეთ, ვიდრე ოდ-  
ესმე ვვქონდა, ჩვენ ვგრძნობთ, როგორ გვე-  
ხუთება სული ჩვენივე ნაციონალიზმის ვიწრო  
საზღვრებში, რარიგ გვაკლია სილალე და სი-  
ბალვათე. ნებისმიერი ევროპული ქვეყანა, სადაც  
უწინ თავისუფლად დათარეშობდნენ ყოველი  
მხრიდან მონაბერი ქარები, დღეს პროვინციადა,  
„მიყრუებულ კუნჭულად“ იქცა. ევროპული თა-  
ნაარსებობის მომავალი უზენაესი ფორმა სრუ-  
ლიადაც არ გულისხმობს დღევანდელი მრავალ-  
სახეობის გაქრობას, ანტიკური სასელმწიფოსაგან  
განსხვავებით, რომელიც სასელმწიფო მმართვე-  
ლობას სიახლოვეს არ აკარებდა მის მიერ  
დაპურობილ ხალხებს და ნულამდე დაშვავდა  
ყოველგარი სხვაობა მათ შორის, ან, უკეთეს  
შემთხვევაში, უცვლელად ტოვებდა ამ სხვაობას,  
მაგრამ ისე კი, რომ არავითარ გასაქანს არ აძ-  
ლევდა და მის მუმიფიციკრებას ახდენდა, — ნა-  
ციონალური ერთიანობის დინამიური იდეა  
თავისთავად გულისხმობს ფორმათა იმ მრავალ-  
ფეროვნების აქტიურ ქმედითობას, რაც ყო-  
ველთვის ახასიათებდა ევროპულ ყოფას.

დღეს ყველას კარგად ესმის ახალი სასიცოც-  
ხლო პრინციპის აუცილებლობა. მაგრამ, რო-  
გორც ყოველთვის, ამნაირი კრიზისისას, ახლაც  
ბევრია ხალხი, რომელიც ცდილობს ხელოვნუ-  
რად იხსნას მდგომარეობა და ძალით დაამკვი-  
დროს მოძველებული, დრომოკმული პრინციპე-  
ბი. აქედან — ნაციონალიზმის ნამდვილი აფეთ-  
ქება, რისი მოწმენიც ამ უკანასკნელ ხანს  
ვხვდებით. თუმცა ყოველთვის, კვლავ ვიმეო-  
რებ, ყოველთვის ასე იყო. უკვე მინავლული  
ხანძრის უკანასკნელი ალი უფრო მაღლა იჭრება

ცაში; სულთშობრძავის უკანასკნელი ამოხუნთქვა  
ყველაზე დრმაა. ვიდრე საბოლოოდ გაქრებოდ-  
ნენ, ხამხედრო თუ ეკონომიური საზღვრები სა-  
შინელი კრუნჩხვებით ებრძვიან ხელოს.

ნაციონალიზმის გზას არსად არ მიყვავართ.  
გამყვით ამ გზას ზვალინდელე დღის საქმენად,  
და თქვენ ჩიხში შეხვალთ, ნაცვლად იქნება, რომ  
სადღაც მისულიყავით. ნაციონალიზმი ის ძა-  
ლაა, მკვეთრად რომ უპირისპირდება ნაციო-  
ნალური გაერთიანების ძალას, რომელიც ერს  
ყოველთვის სხვა ერების ერთიან კავშირში  
რთავს, მაშინ როდესაც ნაციონალიზმი მას, პი-  
რიქით, გამორიცხავს ამ კავშირიდან. მიუხე-  
დავად ამისა, ნაციონალური ერთობის განმტკი-  
ცების პერიოდში, უმაღლეს ისტორიულ კანონად  
ქცეული ნაციონალიზმი თავის დადებით; როლს  
ასრულებს. მაგრამ დღეს, როდესაც ევროპული  
ერების მდგომარეობა უფრო მტკიცეა, ვიდრე  
ოდესმე, ნაციონალისტი მხოლოდ მანიაკი თუ  
შეიძლება იყოს. ნაციონალიზმი ერთგვარ თავ-  
დასაძვრენ საშუალებად იქცა მათთვის, ვისაც  
შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა არ  
სურს, არ უნდა თავისი წვლილი შეიტანოს ერ-  
თობლივ გრანდიოზულ წამოწყებათა ხორც-  
შესხმაში. დაუკვირდით, რა ხალხი ქადაგებს  
ნაციონალიზმს, ან რა პრიმიტიული მეთოდებით  
ხელმძღვანელობს, და თქვენ თვალნათლივ და-  
რწმუნდებით, რომ ნაციონალიზმი და ისტო-  
რიული შემოქმედება ორი ურთიერთშეუთავსე-  
ბელი რამ გახლავთ.

შექმნილი ვითარებიდან მხოლოდ ერთი გამო-  
სავალი არსებობს: ერთობლივი გადაჭრა იმ  
ამოცანისა, რომელიც დიადი კონტინენტური  
ერის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. მხოლოდ  
ამ გზით თუ შეიძლება გამოვაცოცხლოთ ევრო-  
პული ცხოვრების მისუსტებული მაჯისცემა,  
და როცა ევროპა კვლავ ირწმუნებს თავის ძალას,  
უფრო მაღალ მოთხოვნებს წაუყენებს საკუთარ  
თავს და ეცდება უფრო მკაცრი დისციპლინით  
დასძლიოს სულის დღევანდელი მცონარება.

ევროპის ახლანდელი მდგომარეობა გაცილე-  
ბით უფრო დიდ საფრთხეს გვიქადის, ვიდრე  
ჩვენ გვგონია. წლები წლებს მისდევენ და  
სულ უფრო მეტად იზრდება აღბათობა იმისა,  
რომ ევროპელი შეეგუება ესოდენ არასრულ-  
ფასოვან ცხოვრებას, რომლითაც დღეს ცხოვ-  
რობს, და შეურიგდება იმ აზრს, რომ უკვე  
აღარა მართავს მსოფლიოს და არც თვითონ  
მას მართავს ვინმე. და მაშინ სამუდამოდ გაქა-  
რწყლდება ყველა მისი ღირსება თუ უნარი.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, ერის  
ფორმირების მთელი პერიოდის მანძილზე, ევ-  
როპის გაერთიანებას ეწინააღმდეგებიან კონსერ-  
ვატიული ელემენტები. მათმა წინააღმდეგობამ



შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს: საბოლოო დემორალიზაციისა და ევროპული ქვეყნების ისტორიული განვითარების შედეგად მათი სასიცოცხლო ძალების დაწრების საფრთხეს დაუმატეთ კიდევ ერთი, უფრო კონკრეტული და გარდუვალი განსაცდელი. როდესაც რუსეთში კომუნისტმა გაიმარჯვა, ბევრი შეშინდა, ვაითუ წიოელმა ნაკადმა მთელი დასავლეთი წალეკოსო. მე არასოდეს გამიზიარებია ამნაირი პროგნოზი; პირიქით, სწორედ იმ წლებში ვწერდი, რომ დასავლური კუჭი ვერ მოინელებდა რუსული კომუნისტის უბეშ საკვებს, რადგანაც სლავებისაგან განსხვავებით, ჩვენ, დასავლეთ ევროპელები, რაღაც უჩვეულო გულმოდგინებით, ყველაფერს ინდივიდუალიზმის პრიზმიდან აღვიქვამთ და ინდივიდუალობასვე ვწირავთ. გამოხდა ხანი, და, აი, უკვე დამშვიდდა ყველა, ვინც ჭერ კიდევ გუშინ ასე შფოთავდა კარს მომდგარი განსაცდელის გამო. ისინი სწორედ მაშინ დამშვიდდნენ, როცა საგანგაშო მომენტი დადგა. რადგანაც ევროპას შეიძლება სწორედ ახლა დაატყდეს თავს ძლევაშოსილი კომუნისტის ყოვლისწამლეკი ლავა.

ჩემი თეზისი ასეთია: დღეს, ისევე როგორც უწინ კომუნისტის რუსული ვარიანტი ვერასდიდებით ვერ მიიპყრობს ევროპელების ყურადღებას, რადგანაც მას არ შეუძლია შემოგვთავაზოს მომავლის შენების ისეთი გეგმა, რომელიც დაინტერესებდა ევროპას. ეს იმ ბანალურ მიზეზთა გამოისობით როდი ხდება, რომელთაც იმორწმებენ რუსული კომუნისტის მოციქულები, ისეთივე ურცხვი თვალთმაქცი, როგორც ყველა სხვა მოციქულია. დასავლელმა „ბურჟუამ“ კომუნისტური ქადაგების გარეშეც მშვენივრად იცის, რომ ადამიანი, რომელიც მარტოდენ რენტით ცხოვრობს, და თავის შეილებს მემკვიდრეობად უტოვებს მას, უთუოდ განწირულია. ევროპამ დღემდე ვერ გამოიმუშავა იმუნიტეტი რუსული სარწმუნოების მიმართ, და, ამ მხრივ, საფრთხის მუქარა ნამდვილად არ შემცირებულა. დღეს ჩვენ სახაცილოდ გვეჩვენება ის თვითნებური არგუმენტები, რომლებზედაც ამ ოცი წლის წინათ სორელი აფუძნებდა ძალმომრეობის მისეულ ტექნიკას. ბურჟუა არც ისე მხდალია, როგორც მას ეგონა. ის კი არა და, თვით მუშაზე უფრო თამამად მიმართავს ძალადობას, როცა გრძნობს, რომ ეს აუცილებელია. ყველას კარგად მოეხსენება: ბოლშევიზმმა სწორედ იმიტომ გაიმარ-

ჯვა რუსეთში, რომ ამ ქვეყანას ბურჟუაზია არ მყავდა.\*

ფაშისტებმა, რომლებიც ყველას ასევე კარგად მოეხსენება, წვრდობურტუაზიული იდეოლოგიის გამოშხატვლები არიან ძალადობის კიდევ უფრო აშკარა მომხრეებად წარმოგვიჩინეს თავი, ვიდრე მუშათა ყველა მოძრაობამ, ერთად აღებულმა მამახალაბე, ეს როდი უშლის ევროპას ხელს, კომუნისტური იდეოლოგიის აბჯრით აღიჭურვოს, არამედ სულ სხვა რამე. საქმე ისაა, რომ ევროპელს არა სჭერა, თითქოს კომუნისტში შეიძლება კაცობრიობის ბედნიერი მომავლის გარანტიად მოგვევლინოს.

და მაინც, კვლავ ვიმეორებ: ჩემის აზრით, ევროპამ ახლო მომავალში ღიახაც შეიძლება ენთუზიაზმით მიიღოს კომუნისტური დოქტრინა, მაგრამ ეს კომუნისტური პროპაგანდის წყალობით კი არ მოხდება, არამედ მის საპირისპიროდ.

წარმოიდგინეთ, რომ ხუთწლიანი გეგმით დასახული მიზანი, გეგმით, რომლის შესრულებაც ესოდენ გიგანტური ძალისხმევის ფასად უჭდება საბჭოთა ხელისუფლებას, — მიღწეულ იქნა, რის შედეგადაც რუსული ეკონომიკა არა მარტო აღდგება, არამედ ქვეყანას დიდ ეფექტსაც მისცემს. რანაირიც არ უნდა იყოს დღეს ბოლშევიზმის რეალური შინაარსი, შეუძლებელია დედ სოციალურ მიზანდასახულობად არ აღიქვა იგი. ბოლშევიზმის დროშის ქვეშ დარაზმული ადამიანები თამამად აღუდგნენ წინ ბედისწერის ყველა ქარტენილს და საკუთარი სარწმუნოების მკაცრ დისციპლინას დაუმორჩილეს თავიანთი სიცოცხლე, თუ ადამიანების შთაგონებული იდეების მიმართ სრულიად გულგრილი და ურყევი კოსმიური მატერია მტვრად არ აქცევს ამ დიად წამოწყებას და განხორციელების თუნდაც სულ მცირე შესაძლებლობას დაუტოვებს მას, მაშინ მისი ყალბი ციმციმი უცნაური შუქით გაანათებს ევროპული ცხოვრების შორიზონტს, ცის თალზე ახლად აკიაფებული ხელოვნური ვარსკვლავის მსგავსად. თუ ევროპა კვლავაც იმ უღირსი ვეგეტატიური ცხოვრებით იცხოვრებს, რაც მისთვის ნიშნეული გახდა ამ ბოლო წლების მანძილზე; თუ იმის გამო, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობის პროექტი არ გააჩნია, დაეცემა სულის დისციპლინა და შეხუბტდება ევროპული ცხოვრების პულსი, როგორღა ავიცილებთ თავიდან რუსული წამოწყე-

\* საკმარისია ერთხელ მაინც მიაქციოთ ყურადღება ამ ფაქტს, რათა სამუდამოდ დარწმუნდეთ, რომ ისტორიული თვალსაზრისით, მარქსის სოციალიზმს საერთო არა აქვს რა ბოლშევიზმთან.



ხის გადამდებ ეფექტს? ნუ გგონიათ, რომ ევროპელი არ აღენტება, როცა ახალი სპე-  
 მისტინ მოწოდება ხწორედ იმ მომენტში ჩა-  
 ესმის, როცა მას არ შეუძლია თავის დროშაზე  
 ესოდენ მაცდური ლოზუნგი წააწეროს, — მა-  
 შინ ცუდად გცნობიათ იგი; რადგანაც ევროპე-  
 ლის ყველაზე სანუკვარი სურვილი ისაა, რომ  
 მთელი არსებით ემსახუროს საყვარელ საქმეს,  
 ოღონდ კი ეს აზრს ანიჭებდეს მის ყოფას და  
 ხელს უწყობდეს იმაში, რომ თავი დააღწიოს  
 არსებობის სიცარიელეს. ამიტომ ადვილი შე-  
 ხადღებელია ისედაც მოხდეს, რომ მან დაივიწყ-  
 უს თავისი ანტიპათია კომუნიზმის მიმართ  
 და ამ ახალი მოძღვრების პროპაგანდისტებს  
 კომუნიზმის არსით თუ არა, მისი მორალური  
 სპექტით მაინც გააბრუებინოს თავი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ერ-  
 თიანი ნაციონალური, ზოგადევროპული სა-  
 ხელმწიფოს მშენებლობა თუ შეგვადლებინებს  
 წინ აღვუდგეთ ხუთწლიან გეგმას მისი წარ-  
 მატებით შესრულების შემთხვევაში.

პოლიტიკონომისტები, თავიანთი მხრივ, ვა-  
 რაუდობენ, რომ ამ გეგმას განხორციელება არ  
 უწერია. მაგრამ რაოდენ სულმდაბალი იქნებოდა  
 ანტიკომუნიზმი, უნიათოდ გულხელდაკრეფილი  
 რომ დალოდებოდა იმას, თუ როდის მოუღებენ  
 ბოლოს მატერიალური სიძნელენი მის დაუძი-  
 ნებელ მტერს. კომუნიზმი თავის მონსტრუოზულ  
 „მორალს“ გვთავაზობს. როგორ გგონიათ, განა  
 უფრო ღირსეული და ნაყოფიერი არ იქნებოდა,  
 ამ სლავური მორალისათვის დაგვეპირისპირები-  
 ნა მისგან ძირეულად განსხვავებული დასავლეთ  
 ევროპული მორალი და ახალი ცხოვრების ჩვე-  
 ნეული პროგრამის განსახორციელებლად მოგვ-  
 ეხმო კაცობრიობა?

XV

თანამედროვეობის ძირითადი საპიტიხის  
გადაპრის ზღურბლზე

აი, ეს საკითხი: ევროპა მორალური ხელმ-  
 ძღვანელობის გარეშე დარჩა. საქმე ის კი არაა,  
 რომ ადამიანი-მასამ, როგორც ფუჭი და უსა-  
 რგებლო, მიწის პირისაგან აღგავა ძველი მორა-  
 ლი და ახალი მორალის მიმდევარი გახდა. პრო-  
 ბლეშის არსი შემდეგი გახლავთ: ადამიანი-მასა  
 თავგამოდებით ეურჩება იმას, რომ თავისი არ-  
 ხებობა ამა თუ იმ მორალურ კანონს დაუ-  
 მორჩილოს. ნუ ენდობით ახალგაზრდებს, როცა  
 ისინი „ახალ მორალზე“ ლაპარაკობენ. მე ნამ-  
 დვილად არა მჯერა, რომ დღეს ევროპის მთელ  
 კონტინენტზე შეიძლება მოიძებნებოდეს ადა-

მიანთა თუნდაც ერთი ჩგუფი, რომელსაც უნა-  
 რი ექნებოდა ისეთი ახალი ethos\*-ი შემოეთა-  
 ვაზებინა ჩვენთვის, მიახლოებით მაინც რომ  
 ჰგვანებოდა ზნეობას. „ახალ მორალზე“ ლაპა-  
 რაკი კიდევ უფრო დიდი უზნეობაა. ეს რაღა-  
 ცით მოგვაგონებს ახალი გზების ძიებას კონ-  
 ტრადიციული საქონლის შემოსაძარკებად.

ამიტომ ჩვენის მხრივ მიამატება იქნებოდა,  
 თანამედროვე ადამიანისათვის უზნეობაში დაგ-  
 ვედო ბრალი. ამ ბრალდებას ის ერთ უფრო  
 რომ შეუშვებდა, მეორედან გამოუშვებდა, ან,  
 უშალ, კომპლიმენტად აღიქვამდა მას. ვისაც  
 დღეს თავისი უზნეობით მოაქვს თავი, მეტი  
 შანსი აქვს, იაფფასიანი პოპულარობა მოიხვე-  
 ქოს.

თუ (როგორც არაერთხელ მოვქცეულვარ ამ  
 ჩემს შრომაში) სათვალავში მივიღებთ ქრის-  
 ტიანების, „იდეალისტებისა“ თუ ძველი უა-  
 იდის ლიბერალების, ესე იგი, იმ ჩგუფების  
 ეთიკურ პრეტენზიებს, რომლებიც მემკვიდრ-  
 ეობით ვადმოგვეცა წარსულისაგან, ბევრიც  
 ვეძებოთ, ვერხად ვპოვებთ თუნდაც ერთ სო-  
 ციალურ ჩგუფს, ღრმად დარწმუნებული რომ  
 არ იყოს იმაში, თითქოს სრული უფლება აქვს  
 ცხოვრებისაგან მოითხოვდეს ყველაფერს, მაგ-  
 რამ თვითონ კი არავითარ მორალურ პასუხის-  
 მგებლობას არ კისრულობდეს. რანაირადაც არ  
 უნდა ინიღბებოდეს ადამიანი-მასა, რა სახელი-  
 თაც არ უნდა იწოდებოდეს — რეაქციონერად  
 თუ რევოლუციონერად, — რანაირადაც არ  
 უნდა ცდილობდეს თვალში ნაცარი შემოგვაყა-  
 როს, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამომულავნდე-  
 ბა, რომ გულის სიღრმეში ის გადაჭრით უარ-  
 ყოფს ნებისმიერი მოვალეობის ნებაყოფლობით  
 აღსრულების აუცილებლობას, და, ქვეშეცნე-  
 ულად, თავს უფლებამოსილად თვლის, აკე-  
 თოს ყველაფერი, რაც კი მოეპრიანება.

ნებისმიერი საქმე, რასაც არ უნდა პკიდებდეს  
 ხელს, ანალოგიურ შედეგამდე მიიყვანს თანამე-  
 დროვე ადამიანს და იმის კიდევ ერთ საბაზად  
 იქცევა მისთვის, რომ თავი აარიდოს ყოველ-  
 გვარ კონკრეტულ მოვალეობას. ისინი, ვისაც  
 რეაქციონერებად თუ ანტილიბერალებად მოაქვთ  
 თავი, ამტკიცებენ, რომ მათი მოღვაწეობა სამ-  
 შობლობა და სახელმწიფოს გადასარჩენად უფ-  
 ლებას აძლევთ ფეხებზე დაიკიდონ ადამიანური  
 თანაცხოვრების ყველა დანარჩენი ნორმა და,  
 დაბალ ღობესავით, თავზე გადაუარონ თავიანთ  
 მოყვასს, მით უმეტეს, თუ ეს მოყვასი არა-  
 ორდინარული პიროვნებაა. ზუსტად ასევე იქ-  
 ცევიან ეგრეთ წოდებული რევოლუციონერებიც;  
 მათი ზერედე ენთუზიაზმი, მათი „სიყვარული“

\* მორალი (ძვ. ბერძნ.).



პროლეტარიატისა და, საერთოდ, ყველა ჩაგრულისადმი, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ნიღაბი, რისი წყალობითაც ისინი ცდილობენ თავი დააღწიონ ნებისმიერ მოვალეობას. ისინი არას დაგიდევენ თავაზიანობის წესებს, პატიოსნებისა თუ კეთილშობილების პრინციპებს, და, რაც მთავარია, არავითარ ანგარიშს არ უწევენ, არად აგდებენ იმათ აზრს, ვინც აშკარად მათზე მაღლა დგას მორალური თუ ინტელექტუალური თვალსაზრისით. მე ვიცი, ბევრი მხოლოდ იმიტომ შედის მუშათა ამა თუ იმ პარტიაში, რომ სამუდამოდ დაიმკვიდროს ინტელექტის ფეხქვეშ გათელვისა და უღრმესი შინაგანი სიხარულით ტკბობის უფლება, სიხარული, რასაც საფუძვლად უდევს იმის შეგნება, რომ აღარაფერი აღარ იძულებს ქედს იხრიდეს ადამიანური სიბრძნის წინაშე. რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკურ მოძრაობებს, რომლებიც ცდილობენ თავს მოგვახვიონ თავიანთი დიქტატურა, ზემოთ მე უკვე მივაპყარი თქვენი ყურადღება იმას, თუ რა გულმხურვალედ უკმევენ გუნდრუქს მათი ლიდერები ადამიან-მასას, რა თავდავიწყებით უგალობენ მას ოსანას, და, იმავდროულად, ფეხქვეშ თელავენ, ლაფში სვრიან არაორდინარულობის ნებისმიერ გამოვლენას.

ეს თავგამოდებული ხწრაფვა იმისკენ, რომ თავი აარიდონ ნებისმიერ მოვალეობას, ერთგვარად მაინც გვიხსნის ჩვენი დროის ერთ სასაცილო და, იმავდროულად, სკანდალურ თავისებურებას, კერძოდ, თავიანთი ცემას „ახალგაზრდობის“ მიმართ, კერპთაყვანისმცემლობას რომ უახლოვდება, რაგინდ სასაცილოც არ უნდა იყოს, ადამიანები წელეებზე ფეხს იდგამენ, რათა ხაზგასმით წარმოგვიჩინონ თავიანთი „ახალგაზრდობა“, სწორედ იმიტომ, რომ იციან: ახალგაზრდობას უფრო მეტი უფლება აქვს ვიდრე მოვალეობა. ამიტომაც ცდილობენ სამერმისოდ გადასდონ თავიანთი მოვალეობის აღსრულება, და იმ ასაკს დაელოდონ, „მოწიფულობას“ რომ უწოდებდნენ ძველი ბერძნები. ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა კაცს თვით მისივე ახალგაზრდობა ათავისუფლებდა იმისაგან, რომ აწმყოში რაიმე დიადი საქმის პლსრულებსა და ნიღაბს მიეყო ხელი. მით უფრო დიდი უაზრობა იქნებოდა, ამნაირი საქმის პლსრულებს წარსულში მოეთხოვათ მისთვის. ახალგაზრდობა ყოველთვის ვალებით ცხოვრობს. ასეთია ადამიანის ბუნება. მოწიფულები ყოველთვის უყოყმანოდ უთმობდნენ ამ ფხვედო-უფლებას ახალგაზრდებს. ამაში გამოიხატებოდა მათი ირონიული და გულისშემძვრელი დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ. მაგრამ იმ თავდაჭერებუ-

ლობამ, რომლითაც დღეს ამ ფხვედო-უფლებას ნამდვილი უფლების მაგივრად იყენებს ახალგაზრდობა, შეუძლებელია სულის სიღრმემდე არ შეგვაძრწუნოს. ამით ახალგაზრდები მოწიფულების წისკვილზე ახლავე წყალს, მოწიფულებისა, რომლებსაც ახლა კი შეუძლიათ თამამად თქვან: ჩვენ ~~რადღაც~~ ~~წინა~~ ~~გავაკეთეთ~~.

ახალგაზრდობა ~~რადღაც~~ ~~წინა~~ ~~გავაკეთეთ~~ იქცა. ძნელია ამის დაჭერება, მაგრამ ეს მართლაც ასეა. ჩვენ საყოველთაო შანტაჟის ეპოქაში ვცხოვრობთ, და მის უკეთურ გრიმასებს ვჭვრეტთ. ამას ემატება ორი სხვა სახის შანტაჟი: ძალმომრეობის მუქარა და ცხოვრებისადმი არასერიოზული დამოკიდებულების საფრთხე. ორივე ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება — „საშუალო“ ადამიანის განთავისუფლებას ყოველგვარი დაქვემდებარებისაგან.

თუ ღმერთი გწამთ, ნუ ეცდებით კეთილშობილების ნატამალი მაინც აღმოაჩინოთ თანამედროვე კრიზისში და ორი მორალისა თუ ორი ცივილიზაციის — წარმავალისა და მომავალის — კონფლიქტად დასახოთ იგი. ადამიან-მასას საერთოდ არ გააჩნია არავითარი მორალი. რადგანაც მორალს საფუძვლად უდევს იმის შეგნება, რომ აუცილებელია მოვალეობის უზენაეს პრინციპებს დაუქვემდებარო შენი სიცოცხლე და საარსებო აუცილებლობად მიგაჩნდეს დიადი საქმისადმი მსახურების მოთხოვნილება. მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდომა დავუშვი, როცა მოგახსენეთ, ადამიან-მასას არავითარი მორალი არ გააჩნია-მეთქი. საქმე ის კი არაა, რომ ეს არსება ნემსის ყუნწში ძვრება, რათა თავი აარიდოს მოვალეობის მოხდის აუცილებლობას. არც ისე ადვილია, თავი დააღწიო მორალური მოვალეობის აღსრულებას. ის, რასაც ჩვენ ამორალულობას ვეძახით (ხოლო ეს სიტყვა თვით გრამატიკის თვალსაზრისითაც კი არასწორადაა ნაწარმოები), სინამდვილეში არ არსებობს. თუ მიზნად დაისახავთ არ დაემორჩილოთ ქცევის არავითარ წესებს; მაშინ *volens nolens*\* მოგიწევთ ნებისმიერი მორალის უარყოფა, ეს კი არა მარტო ამორალურია, არამედ ანტიმორალურიც. მორალის უარყოფას მორალის ფორმა აქვს, მაგრამ ესაა შინაარსისაგან დაცლილი ფორმა.

რატომაა, რომ ასე ხელაღებით ვირწმუნეთ ცხოვრების ამორალობა? იმიტომ, რომ კულტურისა და ცივილიზაციის დღევანდელი მდგომარეობა მთელი სიცხადით გვარწმუნებს ამაში. ევროპა სწორედ დღესაა იძულებული, მოისთვლას თავისი სულიერი განვითარების მწარე ნაყოფი. ევროპელებს დიდხანს მოუღლედად ამოპყავდათ თავიანთი კულტურის დიდებული ტა-

\* გინდა თუ არა; ძალაუნებურად (ლათ.).




ძრის კედლები, მაგრამ ამ ტაძარს საძირკველი არ ქონდა.

ჩემს შრომაში მე ვცდილობდი ზოგადად მაინც მომეხაზა გარკვეული ტიპის ევროპელის კოლექტიური პორტრეტი. უწინარეს ყოვლისა, ჩემი მიზანი იყო გამეანალიზებინა მისი ქვეყნის მისივე წარმომშობი ცივილიზაციის წიაღში. მე იძულებული ვიყავი მიმემართა ამნაირი ანალიზისთვის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ადა-შიანი-მასა არ შეიძლება ახალი ცივილიზაციის წარმომადგენელი იყოს, თავგამოდებით რომ ებრძვის ძველი ცივილიზაციის გადმონათესებს. ეს „გმირი“ ყოველგვარი ცივილიზაციის უარყოფელია, არადა კაცმა რომ თქვას, რა იმალება ამ უარყოფის მიღმა, თუ არა პირწავარდნილი პარაზიტისმი? ადამიანი-მასა დღემდე იმის ხარჯზე ცხოვრობს, რასაც თვითონვე უარყოფს, და გამგელებული ნთქავს სხვების მიერ შექმნილსა და დაგროვილ სინამდვილეს. ერთის მხრივ, მისი ფსიქიკის დი-აგრამის აგების ცდა არ უნდა ავურიოთ მეორე,

უაღრესად მნიშვნელოვან საკითხში: მაინც სადაა საძიებელი იმ სნეულებათა ბიწიერი ფესვი, რომელთაგანაც ვერასდიდებით ვერ დაუღწევია თავი ევროპულ კულტურას? მაგრამ, შეორეს მხრივ, ისიც ცხადია, რომ, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ამ სნეულებებისგან იღებს დასაბამს ადამიანური არსებობის ჩვენს მკერდულ წერილი ფორმა.

თუმცა ეს რთული და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა შორს სცილდება ჩვენი გამოკვლევის ფარგლებს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა დაგვეწერა ახალი, უფრო ვრცელი შრომა, სადაც გადმოცემული იქნებოდა, თუ რანაირად ხდება, რომ თანამედროვე ევროპული კულტურის ეს ავადმყოფური ნიშნები, ცალკეული ხმებისა არ იყოს, კონტრაპუნქტულად ერწყმიან ერთმანეთს და ამრიგად ქმნიან ადამიანური ცხოვრების ერთიან თემას. შესაძლოა, შორს აღარაა ის წამი, როცა კაცობრიობას ხმამაღლა უნდა ეუწყოს ჩვენი ყოფიერების ქეშმარიტი არსი.





# რულოვ შტაინერი

გერმანულიდან

თარგმნა რუსუდან გეგაშვილმა



პრაქტიკული აზროვნების გამოაშუაშვებელი

ლექცია, წაკითხული კარლსრუეში 1909 წლის  
18 იანვარს

**შ**ესაძლოა უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ სწორედ ანტროპოზოფია თვლის თავს მოვალედ, ილაპარაკოს პრაქტიკული აზროვნების გამოშვებაზე, რამეთუ გარეშეთაგან ხშირად შევხვედრივართ მოსაზრებას, თითქოს ანტროპოზოფია, საყოველთაო გაგებით, არის რაღაც არაპრაქტიკული რამ, რომელსაც ცხოვრებასთან არა ესაქმება რა. ამგვარი შეხედულება შესაძლოა მხოლოდ მაშინ შეგვექმნას, როცა მოვლენებს გარეგნულად და შედაპირულად განვიხილავთ. ხინამდვილეში კი ეს მოძღვრება უნდა იყოს წარმმართველი ძალა თვით ყოველდღიურ ცხოვრებაში; მან ყოველ მომენტში უნდა მოახერხოს გარდასახვა იმ შეგრძნებად თუ გრძნობად, რაც შეგვაძლებინებს საკუთარ თავში დარწმუნებულნი შევეგებოთ ცხოვრებას და მყარად ვიდგეთ.

ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს პრაქტიკულს უწოდებენ, ჰგონიათ, რომ უკიდურესად პრაქტიკული პრინციპებით ხელმძღვანელობენ. თუ საქმის არსს უფრო ღრმად განვიხილავთ, აღმოჩნდება რომ ე. წ. „პრაქტიკული აზროვნება“ ხშირად სულაც არ არის აზროვნება, არამედ მხოლოდ ოდესღაც ჩაბეჭდილი მოსაზრებებისა და აზროვნების ჩვევების წარმოჩენაა. თუ პრაქტიკოსების აზროვნებას ობიექტურად დავაკვირდებით და მას, რასაც ჩვეულებრივ, აზროვნების პრაქტიკას უწოდებენ, შევამოწმებთ, აღმოჩნდება, რომ აქ ნამდვილი პრაქტიკის მხოლოდ მცირე ნაწილი იმალება, ხოლო, რასაც პრაქტიკას უწოდებენ, იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლეს, როგორ აზროვნებდა ვინმე მოძღვარი, ანუ ის, ვინც ესა თუ ის საკითხი მანამდე დაამუშავა, და ისიც ისწავლეს, როგორ გამოიყენონ იგი. აქედან, მას, ვინც სხვაგვარად აზროვნებს, პრაქტიკულ კაცად თვლიან; რამეთუ აზროვნება ყოველთვის როდი ეთანხმება იმას, რაც ვინმეს ოდესმე აზრად მოხვლია.

თუ ოდესმე მართლაც გამოუგონებიათ რაიმე პრაქტიკული, ყოველ შემთხვევაში არა პრაქტიკოსებს, ჩვეულებრივი გაგებით. მაგალი-

თისათვის ავიღოთ ჩვენი დღევანდელი საფოსტო მარკა. უპირველესად ყოვლისა, ალბათ უნდა გვეფიქრა, რომ ის ვინმე საფოსტო საქმის პრაქტიკოსის გამოგონილია. მაგრამ ეს ასე როდი გახლავთ. ჭერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ძალიან რთული საქმე იყო წერილის ჩაბარება. როცა ვინმეს ასეთი სურვილი გაუჩნდებოდა, უნდა წასულიყო შესაბამის დაწესებულებაში, სადაც შესძლებლდა ამ საქმის მოგვარება. იქაც არაერთ წიგნში ქექვა იყო საჭირო, რაც თავისთავად მრავალ ხირთულეს უკავშირდებოდა. სამოც წელზე მეტია, ერთგვაროვანი საფოსტო ნიშანი რომ გვაქვს. დღევანდელი საფოსტო მარკა, ხირთულეების თავიდან აცილების საშუალებას რომ გვაძლევს, გამოგონილია არა ფოსტის პრაქტიკოსი მუშაკის, არამედ საფოსტო საქმისაგან შორს მდგომი ადამიანის მიერ; ეს იყო ინგლისელი პილი.

როცა საფოსტო მარკა გამოიგონეს, მინისტრმა, რომელიც იმხანად საფოსტო საქმეს ედგა სათავეში, ინგლისის პარლამენტში განაცხადა: დაუჭერებელია, ამგვარი გამარტივებით, ინფორმაცია მართლა ისე საოცრად გაფართოვდეს, როგორც არაპრაქტიკოსი პილი გვინატავსო; მინისტრი ამტკიცებდა, ლონდონის ფოსტის შენობაც კი არ ეყოფა ამგვარ ინფორმაციასო. ამ დიდ პრაქტიკოსს არც უფიქრია, რომ შენობა უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციას და არა ინფორმაცია შენობას. ამგვარად შეძლებისამებრ მოკლე დროში დაკანონდა ის, რაც მაშინ „არაპრაქტიკოსს“ უნდა დაეცვა „პრაქტიკოსის“ წინაშე. დღეს, თავისთავად ცხადია, წერილი საფოსტო მარკით იგზავნება.

მხგავსი რამ მოხდა რკინიგზასთან დაკავშირებით. 1887 წელს, როცა გერმანიაში პირველი რკინიგზა უნდა გაეყვანათ ნიურნბერგიდან ფიურტამდე, ბავარიის სამედიცინო კოლეგიამ კომპეტენტური განცხადება გააკეთა, რკინიგზების მშენებლობა არაგონივრულიაო, ხოლო ამას თუ მაინც აპირებენ, რკინიგზის მარჯვნივ და მარცხნივ უნდა აიგოს მაღალი ფიცრის კედ-



ლები, რათა გამვლელებს ნერვიული სტრესი ან ტინის შერყევა არ დაემართოთ.

როცა პოტხდამ-ბერლინის რკინიგზის ხაზი უნდა აშენებულიყო, გენერალურმა ფოსტმა-ისტერმა შტენგლერმა თქვა: „მე ყოველდღე ვაგზავნი ორ საფოსტო ოთხთვალას პოტხდამ-ში და ისინი თითქმის სულ ცარიელია; თუ ხალხს ფულის ფანჯარაში გადაყრა უნდა, მათ ახლავე შეუძლიათ ამის ქმნა“ — ცხოვრების რეალური ფაქტები სწორედ რომ წინ უხწრებენ „პრაქტიკოსებს“, მათ, ვისაც სჭერათ, რომ პრაქტიკოსები არიან. უნდა ვანხვავებდეთ ნამდვილ აზროვნებას ე. წ. აზროვნების პრაქტიკისაგან, რომელიც მხოლოდ კარგა ხნის შეთვისებული აზროვნების ჩვევების განსჯას წარმოადგენს.

ერთი პატარა ამბავი მინდა ვიამბოთ, რომელიც თავად შემემთხვა, და ჩვენი დღევანდელი დაკვირვებაც ამით დავიწყო: სტუდენტობის დროს, ერთხელ მეწვია ერთი ახალგაზრდა მეგობარი იმგვარი სიხარულით ანთებული, რომელიც უჩვეულო იდებით შეპყრობილთ ახასიათებთ, და მითხრა: „ახლა მივდივარ პროფესორ X-თან (რომელიც მაშინ უმაღლეს სასწავლებელში მანქანათმშენებლობას კითხულობდა), რადგანაც მეტად მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინე: სახელდობრ, როგორ შეიძლება ორთქლის სულ მცირე ძალის გამოყენებით, გადაცემის გზით, უზარმაზარი სამუშაოს შესრულება მანქანის საშუალებით“. მას მეტი არაფერი უთქვამს, სახწრაფოდ გაეშურა პროფესორთან. მაგრამ პროფესორი შინ არ დაუხვდა, უკან დაბრუნდა და ამიხსნა საქმის ვითარება. მე ეს ამბავი „პერპენტუუმ მობილედ“ მენიშნა, თუმცა გამორიცხული როდია, ოდესმე ასეთი რამეც მოხდეს. მას შემდეგ, რაც მან ყველაფერი ამიხსნა, იძულებული გავხდი მეტყვა: „აბა, შენედე, თუმცა ყველაფერი ხაკნაოდ გონებამახვილურად გაქვს მოფიქრებული, მაგრამ პრაქტიკულად ეს იხვევა, როგორც ის, როცა ვინმე ადის მატარებლის ვაგონში, ძლიერად უბიძგებს და ჰგონია, რომ ვაგონი დაიძრება. ამგვარი აზროვნების პრინციპია შენს აღმოჩენაში“. მოგვიანებით მან ეს თვითონაც გაიზარა და პროფესორთან აღარ წასულა.

ამგვარად, შესაძლოა გარკვეულწილად ჩაიკეტო საკუთარ აზროვნებაში. მეტად იშვიათად ეს ჩაკეტილობა მკვეთრადაც მოჩანს; მაგრამ ცხოვრებაში ბევრი ადამიანი იკეტება მსგავსად და ეს ყოველთვის როდია ესოდენ თვალშისაცემში, როგორც ამ ჩვენს მაგალითში. მან, ვისაც საგნებზე უფრო ინტიმური დაკვირვების უნარი აქვს, იცის, რომ ამგვარად მიედინება ადამიანთა აზროვნების მთელი რიგი პროცესები:

ის ხშირად ხედავს, რომ ადამიანები, ასე ვთქვათ, ვაგონში დგანან, შიგნიდან უბიძგებენ და ჰგონიათ, რომ სწორედ ისინი მოაქანებენ ვაგონს. ბევრი რამ, რაც ცხოვრებაში ხდება, სულ სხვაგვარად წარმართებოდა, ვაგონში მდგომთა მსგავსად თვითდაჭერებული რომ არ ყოფილიყვნენ ადამიანები.

აზროვნების ნამდვილი პრაქტიკული ფუნქციონებს აზროვნებისადმი სწორი დამოკიდებულების მიღწევას. როგორ დავიკავოთ აზროვნებისადმი სწორი პოზიცია? ვისაც ჰგონია, რომ აზროვნება ადამიანის შიგნით, მის თავსა ან სამშენებელში\* ხორციელდება, მას არ შეუძლია აზროვნებისადმი სწორი დამოკიდებულება იქონიოს. ვინც ასე ფიქრობს, იგი თავისი არასწორი გრძნობის გამო, ყოველთვის ასცდება ნამდვილი აზროვნების პრაქტიკის ძიებისაკენ მიმავალ სწორ გზას და ვედარც აუცილებელ მოთხოვნებს წაუყენებს საკუთარ აზროვნებას. ვისაც აზროვნებისადმი სწორი დამოკიდებულების გამოთქმვა სურს, მან საკუთარ თავს უნდა უთხრას: თუ მე შემძლია ვიქონიო აზრი საგნის შესახებ, თუ აზრის საშუალებით რაიმეს ვიგებ საგანზე, მაშინ აზრები თავად საგნებში უნდა იმყოფებოდნენ. საგნები აზრების თანახმად უნდა იყვნენ აგებული. მხოლოდ მაშინ შემძლია საგნებიდან აზრის გამოტანა.

ადამიანმა უნდა წარმოიდგინოს, რომ საგნები გარე სამყაროში იგივეა, რაც საათი. ადამიანის ორგანიზმის საათთან შედარებას ძალიან ხშირად მიმართავენ: მაგრამ ამ დროს ივიწყებენ ყველაზე მთავარს — რომ არსებობს მესაათიც. კარგად უნდა გავიზაროთ, რომ საათის რგოლებს თავისით კი არ მოუყრიათ თავი და თავისთავად კი არ შეერთებულან, რათა საათს ემუშავა, არამედ ჭერიყო მესაათე, რომელმაც ეს საათი ააწყო. მესაათის დავიწყების უფლება არა გვაქვს. აზრების მიხედვით აეწყო საათი, აზრები ჩაიღვარა საათში, როგორც ხაგანში. ამგვარად უნდა წარმოვიდგინოთ ყოველგვარი ბუნების ქმნილება თუ მოვლენაც. თუ ეს ადვილად შესამჩნევია ადამიანის ნახელავში, ბუნებრივ ქმნილებებში — პირიქითაა. ადამიანს ესოდენ იოლად როდი შეუძლია ყოველივეს განკვირება და, მიუხედავად ამისა, ბუნებრივი

\* სულიერი მეცნიერების თანახმად, ადამიანი სამწვეროვანი არსებია; იგი შედგება ფიზიკური სხეულის, სამშენებლისა და სულისაგან. სამშენებელი ემოციების მატარებელი სხეულია, რომელიც ფიზიკურ სხეულს აკავშირებს სულთან (მთარგმნ.).



ქმნილებებიც სულიერ ქმნილებათა შედეგს წარმოადგენენ და მათ უკანაც სპირიტუალური არსებები დგანან, საგნებზე ფიქრისას ადამიანი არსებით მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს ემას, რაც პირველადვე იყო ჩადებული მათში. მას უნდა სწამდეს, რომ სამყარო შექმნილია აზროვნების საშუალებით და ასევე განუწყვეტლივ განაგრძობს წარმოქმნას. მხოლოდ ამის რწმენა გახდის ნაყოფიერს ქეშმარიტი შინაგანი აზროვნების პრაქტიკას.

სამყაროში სულიერის არსებობისადმი ურწმუნობას მიეყავართ აზროვნების საშინელ არაპრაქტიკულობამდე თვით მეცნიერებაშიც კი. მაგალითად, როცა ვინმე ჩვენი პლანეტების სისტემის წარმოშობას ახასიათებს ისე, თითქოს პირველად იყო ნიხლი, რომელმაც დაიწყო მოძრაობა, შეიქრა ცენტრალურ სხეულად, მას გამოეყო რგოლები და ბურთულები და ასე მექანიკურად შეიქმნა პლანეტების მთელი სისტემა, დიდ შეცდომას უშვებს აზროვნებაში. მაგრამ ყოველივე ამას ფრიად მიმზიდველად შთააგონებენ დღეს ადამიანებს და თითქმის ყველა სკოლაში უჩვენებენ ერთ მშვენიერ ცდაზე: ჭიქა წყალში ასხამენ ცხიმის წვეთს, შემდეგ ამ წვეთს დაახობენ ნემსს და ყველაფერი ერთად მოჰყავთ მოძრაობაში. დიდი წვეთიდან წარმოიქმნება პატარა წვეთები და ჰგონიათ, რომ მოსწავლეებს მცირე მასშტაბში ერთობ თვალსაჩინოდ უჩვენებს, თუ რა წმინდა მექანიკური გზით შეიძლება წარმოიქმნას პლანეტათა მთელი სისტემა. მხოლოდ არაპრაქტიკულ აზროვნებას შეუძლია ამ მშვენიერ ცდას დაუკავშიროს ამგვარი დასკვნები, რადგანაც ადამიანს, რომელსაც ეს ცდა გადააქვს უდიდეს მსოფლიო სისტემაზე, ხშირად ავიწყდება. ავიწყდება რაღაც, რისი დავიწყებაც სხვა შემთხვევაში კარგიც იქნებოდა; ავიწყდება საკუთარი თავი, რომელმაც ეს საგანი მოიყვანა მოძრაობაში. რომ არ ყოფილიყო ადამიანი და ეს ყოველივე არ მოემოქმედა, მაშინ არ მოხდებოდა ცხიმის დიდი წვეთის პატარა წვეთებად დაყოფა. ამასაც რომ დაკვირვებოდა ადამიანი და ეს პლანეტათა სისტემაზე გადაეტანა, მაშინ იქნებოდა მიხი აზროვნება სრულყოფილი. ამგვარი აზროვნებისმიერი შეცდომები დღეს უდიდეს როლს თამაშობენ განსაკუთრებით იმ სფეროში, რასაც მეცნიერება ეწოდება. და ეს ვაცხილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მასზე ჩვეულებრივ ფიქრობენ.

თუ აზროვნების ნამდვილ პრაქტიკაზე გვინდა ვილაპარაკოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ აზრები მხოლოდ იმ სამყაროდან მომდინარეობენ, რომლებშიც ნამდვილად არიან. ანუ,

როგორც მხოლოდ წყლიანი ჭიქიდან შეიძლება წყლის გადმოსხმა, აზრებიც მხოლოდ იმ საგნებში შეგვიძლია ვაგვოთ, სადაც ისინი ნამდვილად არიან. სამყარო აზრების მიხედვით არის აგებული; ამიტომაცაა მისგან აზრის გამოტანა შესაძლებელი. ასე რომ არ ყოფილიყო, არავითარი აზროვნების პრაქტიკაზეც არ შეიძლებოდა ლაპარაკი. თუ ადამიანი ბოლომდე შეიგრძნობს, რაც აქ ითქვა, მაშინ იგი ადვილად შეძლებს აბსტრაქტული აზროვნებიდან გამოსვლას; თუ სრული ნდობით განეწყობა იმის მიმართ, რომ საგნებს მიღმა აზრები დგანან, რომ ცხოვრების რეალური ფაქტები აზრების მიხედვით ვითარდებიან, მაშინ იოლად გაიგებს აზროვნების პრაქტიკას, რომელიც ქეშმარიტებასა და რეალობაზეა აგებული.

მოვიყვანოთ ცოტა რამ იმ აზროვნების პრაქტიკიდან, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ანტროპოსოფიის საფუძვლებზე დგას. ვინც იმით არის გამსჭვალული, რომ ფაქტების სამყარო აზრებში მიედინება, მიხვდება, რაოდენ მნიშვნელოვანია სწორი აზროვნების გამომუშავება. ვთქვათ, თუ ვინმე ამბობს: მინდა ჩემი აზროვნება ისე მოვმართო, რომ სიტუაციებში სწორად ორიენტირებდეს, — მაშინ მან უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ყოველივე, რასაც ახლა ვიტყვით, და ეს ყოველივე ისე უნდა მივიღოთ, როგორც ნამდვილი პრაქტიკული პრინციპები; თუ ისევ და ისევ გვაქვს მიდრეკილება, ამგვარად მოვაწყუოთ საკუთარი აზროვნება, შედეგად მივიღებთ იმას, რომ იგი განდება პრაქტიკული, რაც დასაწყისში არ შეიმჩნეოდა. უფრო მეტიც, ასეთი პრინციპების გატარებისას აზროვნება იძენს სრულიად სხვაგვარ გამოცდილებას.

ვთქვათ, ვინმე დღეს დიდი ყურადღებით აკვირდება მისთვის ხელმისაწვდომ პროცესს სამყაროში, ამინდს. იგი იწყებს იმით, რომ აკვირდება ხალამოთი ღრუბლების განლაგებას, მზის ჩასვლას და ასე შემდეგ, მერე კი იქმნის იმის ზუსტ სურათს, რასაც აკვირდებოდა. ცდილობს ერთხანს, დაახლოებით მეორე დღემდე, შეინარჩუნოს ეს შთაბეჭდილება — სურათი ყველა თავისი წვრილმანით, მეორე დღეს, იმავე დროს, შესაძლოა სხვა დროსაც, აკვირდება ამინდის მდგომარეობას და ცდილობს შეინარჩუნოს ამ მდგომარეობის ზუსტი სურათიც.

როცა დამკვირვებელი ასე თანმიმდევრულ ზუსტ სურათებს იქმნის, მისთვის სრულიად ნათელი ხდება, თუ თანდათან, შინაგანად როგორ ამდიდრებს თავის აზროვნებას და ინტენსიურს ხდის მას, რადგან სწორედ ის, რაც აზროვნებას პრაქტიკულს ხდის, ჩვეულებრივ, არის ადამიანის მიდრეკილება სამყაროში



ერთმანეთის თანმიმდევრული მოვლენებიდან გააქვეს წვრილმანები და მხოლოდ საერთო, ბუნდოვანი წარმოდგენები შეინარჩუნოს. აზროვნების ყველაზე ფასეული და არსებითი პროდუქტი არის სწორედ ერთმანეთის თანმიმდევრულ მოვლენათა სურათის ფორმირება. საკუთარ თავში, რათა შემდეგ თქვა: გუშინ იყო ასე, დღეს ასე, და, ამასთანავე, ორივე სურათი, რომლებიც რეალურ სამყაროში ცალ-ცალკე არსებობენ, ხატოვნად აღიბეჭდოს სამშვიდველში.

ეს, უპირველეს ყოვლისა, სხვა არაფერია, თუ არა რეალური სამყაროს აზრებისადმი ნდობის განსაკუთრებული გამოხატულება. ადამიანმა მაშინვე არ უნდა გამოიტანოს დასკვნები და, რასაც დღეს აკვირდება, იქიდან არ უნდა დაადგინოს, როგორი ამინდი იქნება ხვალ. ეს მის აზროვნებას აამღვრევს. მას გაცილებით მეტი ნდობა უნდა ჰქონდეს იმის მიმართ, რომ გარე სამყაროში საგნებს ერთმანეთთან აქვთ რეალური ურთიერთკავშირი, რომ ხვალინდელი რაღაცით დაკავშირებულია დღევანდელთან. მან კი არ უნდა იფილოსოფოსოს ამის თაობაზე, არამედ ის, რაც დროში ერთმანეთის თანმიმდევრულად ხდება, უნდა გაიზაროს შეძლებისდაგვარად ზუსტ სურათებად, შემდეგ ეს სურათები ერთმანეთს დაუპირისპიროს და მისცეს საშუალება, ისინი ერთმანეთში გადავიდნენ. ეს გახლავთ სრულიად განსაზღვრული აზროვნების პრინციპი, რომელიც უნდა განვახორციელოთ, თუ მართლა გვინდა მიზანშეწონილი აზროვნების განვითარება. კარგია ამ პრინციპის სწორედ ისეთ საგნებში გატარება, რომლებიც ჰერჯერობით გაუგებარია, უცნობია შინაგანი ურთიერთობების თვალსაზრისით. ასეთია, მაგალითად ამინდი. უნდა გვეკონდეს ნდობა, რომ ის, რაც გარეთ არის ურთიერთობაში, ჩვენში შიგნითაც გამოვებს ურთიერთობას და ეს უნდა მოხდეს აზროვნებისაგან თავის შეკავებით, მხოლოდ წარმოსახვაში. საკუთარ თავს უნდა ვუთხრათ: მართალია, მე ჰერ არ ვიცი ამ ურთიერთობებს, მაგრამ მე მათ ჩემში სიცოცხლის ნებას მივცემ, ისინი უთუოდ რაიმეს მოიმოქმედებენ, თუ მე განსჯისაგან თავშეკავებას შევცდები. ადვილად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ, თუ ადამიანი ერთმანეთის თანმიმდევრულ სურათებზე შეძლებისდაგვარად ზუსტ ხატოვან წარმოდგენებს შეიქმნის, მის უხილავ ნაწილებში შესაძლოა რაღაც მოხდეს.

ადამიანს აქვს ასტრალური სხეული, როგორც წარმოსახვითი ცნობრების მატარებელი. ეს ასტრალური სხეული მანამ, ვიდრე ადამიანი განსჯის პროცესშია, წარმოადგენს მე-

მონას. მაგრამ იგი როდი ამოიწურება ამ შემეცნებითი საქმიანობით. გარკვეული თვალსაზრისით, ის ურთიერთობაში იმყოფება მთელ კოსმოსთან.

როგორც ჩვენ ვბორკავთ ჩვენი აზროვნების თვითნებურ მოქმედებას იმით, რომ სრული თავშეკავებით ვიქმნით თანმიმდევრულ მოვლენების მხოლოდ ხატოვან წარმოდგენას, ისევე მოქმედებენ სამყაროს შინაგანი აზრები ჩვენში და აღიბეჭდებიან ჩვენს ასტრალურ სხეულში ჩვენგან დამოუკიდებლად. რა ზომითაც წარვმართავთ საკუთარ თავს სამყაროს მსვლელობაში ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვების მეშვეობით, სურათებს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ აღვიქვამთ გონებაში და ვაძლევთ ჩვენში მოქმედების საშუალებას, იმ ზომითვე გონიერნი ვხდებით სხეულის ნაწილებში, რომლებიც ჩვენი შემეცნებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. თუ ოდესმე შევძლებთ ამგვარ შინაგან ურთიერთობაში მყოფი პროცესების დაკვირვებისას, ახალი სურათი გადავიყვანოთ, სხვაში, ზუსტად ისევე, როგორც ეს გადახვლა ბუნებაში ხორციელდება, რამდენიმე ხნის შემდეგ დავინახავთ, რომ ჩვენმა აზროვნებამ გარკვეული ელასტიურობა შეიძინა.

ასე უნდა მოვიქცეთ საგნებთან, რომლებიც ჰერ კიდევ არ გვეხმის; ხოლო იმ საგნების მიმართ, რომლებშიც ვერკვევით, ცოტა სხვაგვარად მოქცევთა საჭირო, მაგალითად, ჩვენი ყოველდღიური ცნობრების მოვლენების მიმართ, რომლებიც ჩვენ თვალწინ თამაშდება. გვიჩნდება კითხვა, რატომ მოიქცა ის ასე? შესაძლოა, მან ეს ჩაიდინა დღეს რაღაცის შემზადების თვალსაზრისით, რაც ხვალ უნდა მოიმოქმედოს; შემდეგ აღარაფერს ვიტყვით, მაგრამ თანმიმდევრულად ზუსტად წარმოვიდგენოთ როგორ მოიქცა იგი და შევეცდებით დავხატოთ სურათი იმისა, რას მოიმოქმედებს ხვალ. წარმოვიდგენთ მისი მოქმედების სურათს, და ველოდებით, სინამდვილეში როგორ მოიქცევა. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ მან ჩვენი წინასწარ დახატული სურათის თანახმად მოქმედოს, შეიძლება მოხდეს ისეც, რომ მან სხვა რამ მოიმოქმედოს. დავაკვირდეთ, რა მოხდება და შესაბამისად ვეცადოთ ჩვენი აზრების შესწორებას.

ამგვარად, ვეძებთ აწმყოში მოვლენებს, რომლებსაც აზრებით მომავალში მივყვებით და ველოდებით, თუ რა მოხდება. ამის გაკეთება შესაძლებელია როგორც ადამიანთა საქციელზე, ასევე სხვა ამბებზეც. სფეროში, სადაც რაიმე გაგვეგება, ჩვენ ვცდილობთ შევიქმნათ სურათი იმაზე, რაც, ჩვენი აზრით, არის მოსალოდნელი. თუ ის მოხდა, რასაც ველოდით,



მაშინ ჩვენი აზროვნება სწორია; და ეს კარგია. — ხოლო თუ განხვავებული რამ მოხდა, უნდა დავფიქრდეთ, რაში დავუშვიტ შეცდომა. შევეცადოთ ჩვენი არასწორი აზროვნება მშვიდი დაკვირვებით შევასწოროთ და გავარკვიოთ, სად იყო შეცდომა, როგორ მოხდა, რომ ასე გამოვიდა. თუ მართალი გამოვდებით, განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, — ტრახახს არ მოვყვებით ჩვენი წინასწარმეტყველების გამო. „დიან, მე გუშინ უკვე ვიცოდი, რომ ეს ასე მოხდებოდა“.

ეს გახლავთ ისევ და ისევ იმ ნდობიდან გამომდინარე პრინციპი, რომ თვით საგნებსა და მოვლენებში ძევს შინაგანი აუცილებლობა, რომ თავად ფაქტებში ძევს რაღაც, რაც წინ უბიძგებს საგნებს. და ის, რაც ამოძრავებს მათ დღეიდან ხვალამდე, არის აზრობრივი ძალები. თუ ამ ძალებს სერიოზულად ჩავუღრმავდებით, შეგვიძლია შევიმეცნოთ ისინი. ამგვარი სავარჯიშოებით აღვადგენთ აზრობრივ ძალებს და თუ აღსრულდა ის, რასაც ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით, — შინაგანად შევესაბამებით მათ, ე. ი. ჩვენ საგნის რეალურ აზრობრივ საქმიანობასთან კავშირში ვიმყოფებით. ამგვარად, ვეჩვენით არა თავისთავად, არამედ საგნების ბუნების შინაგანი აუცილებლობიდან გამომდინარე აზროვნებას.

მაგრამ სხვა მიმართულებითაც შეგვეძლო წარგვემართა ჩვენი აზროვნების პრაქტიკის წვრთნა. ყოველი მოვლენა, რაც დღეს ხდება, ასევე კავშირშია იმასთან, რაც გუშინ მოხდა; ვთქვათ, ყმაწვილი ურჩია! რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? თვალყური ვადევნოთ მოვლენებს უკუსვლით დღეიდან გუშინდელისაკენ, ავადგოთ ჩვენთვის უცნობი მიზეზები. შემდეგ თავს ვუთხრათ: მე ვფიქრობ, რადგანაც ეს დღეს მოხდა, მაშასადამე, იგი გუშინ ან გუშინწინ ასე თუ ისე მომზადდა.

შემდეგ საკუთარ თავთან შეიძლება ვაბახსება იმის თაობაზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში, და ამის მეშვეობით ვაგება იმისა, სწორია თუ არა დაკვირვება, თუ სწორი მიზეზები ვიპოვეთ, ხომ კარგი; ხოლო, თუ არასწორი წარმოდგენა შევიქმენით, მაშინ საჭიროა შეცდომის გარკვევა და მოძებნა იმისა, როგორ განვითარდა აზროვნების პროცესი; სინამდვილეში კი როგორ წარიმართა იგი.

ამ პრინციპების გატარება მეტად მნიშვნელოვანია. უნდა ნამდვილად გამოვინახოთ დრო საგნების იშვარად განსახილველად, თითქოს ჩვენ ჩვენი აზროვნებით საგნებს შიგნით ვიყოთ, ჩავიძიროთ მათში, მათ აზრობრივ საქმიანობაში. თუ ასე მოვიქცევით, შევამჩნევთ, როგორ შევესიხსნებორცებით საგნებს და

სრულებით აღარ გვექნება გრძნობა, თითქოს საგნები ჩვენს გარეთ არსებობენ, ჩვენ კი შიგნით ჩვენთვის ვფიქრობთ მათზე; არამედ გვიჩნდება გრძნობა, თითქოს ჩვენი აზროვნება შიგნით საგნებში მოძრაობს. როცა ადამიანი ამას უმაღლეს დონეზე მიადრწევს, მისთვის ბევრი რამ გახდება კნაღი.

ადამიანი, რომელმაც მაღალ დონეზე მიადწია ყოველივე ამას, მოაზროვნე, რომელიც თავისი აზრებით მუდამ შიგნით, საგნებში იდგა, იყო ბრემთა. ფსიქოლოგმა ჰაინროტმა 1828 წელს თავის წიგნში „ანთროპოლოგია“ აღნიშნა, რომ გოეთეს აზროვნება არის საგნობრივი აზროვნება, თავად გოეთეს ეს მეტად გახარებულია. ამის აღნიშვნა ნიშნავს, რომ ასეთი ტიპის აზროვნება არ უნდა განცალკევდებოდეს საგნებისაგან; იგი უნდა რჩებოდეს საგნებს შიგნით, მოძრაობდეს საგნების აუცილებლობის ფარგლებში. გოეთეს აზროვნება ერთსა და იმავე დროს იყო დაკვირვებაც, ხოლო მისი დაკვირვება — აზროვნება.

გოეთე მეტად შორს სწვდებოდა ამგვარად მიღწეული აზროვნებით. ხშირად მომხდარა ასეთი რამ, გოეთე რაიმეს განიზრახავდა, მივიდოდა ფანჯარასთან და ეტყოდა იქვე მყოფს: „სამ საათში იწვიშებს;“ და ეს მართლაც ასე ხდებოდა. მას შეეძლო ფანჯრიდან დანახული ცის პატარა მონაკვეთით ეწინასწარმეტყველა, თუ რა მოხდებოდა უახლოეს დროში ამინდის თვალსაზრისით. თავისი უტყუარი, საგნებში მყოფი აზროვნების წყალობით ის გრძნობდა, რა მზადდებოდა მოცემულ მომენტში და „ქედან გამომდინარე, შემდგომ რა მოვლენა იყო მოსალოდნელი.“

მართლაც, უფრო მეტის მიღწევა შეიძლება პრაქტიკული აზროვნების მეშვეობით, ვიდრე ჩვეულებრივ პგონიათ. — თუ დავეუფლებით აზროვნების იმ პრინციპებს, რაც აქ იყო აღწერილი, შევამჩნევთ, რომ აზროვნება მართლაც პრაქტიკული გაგვიხდა, თვალსაწიერი გაგვიფართოვდა და საგნები ახლა გაცილებით სხვაგვარად აღიქმება, ვიდრე ეს ადრე იყო. თანდათან სულ სხვა თვალთ შევხედავთ როგორც საგნებს, ასევე ადამიანებსაც. ეს არის ქეშმარიტი პროცესი, რომელიც ადამიანში მიმდინარეობს და ცვლის მთელ მის საქციელს. უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ის, რომ ადამიანი მართლა ცდილობს თავისი აზროვნების მეშვეობით ამგვარად შეეზარდოს საგნებს; რადგანაც ასეთი სავარჯიშოების კეთება არის პრაქტიკული პრინციპი აზროვნებისათვის ყველაზე მაღალი გაგებით.

სხვა საქმეა სავარჯიშო, რომელიც უნდა აქეთონ განსაკუთრებით იმათ, რომელთაც ჩვეუ-



დებრივ საჭირო რამ არ მოხდით აზრად შეხა-  
ბამის მომენტში. ის, რაც ამ ადამიანებმა უნდა  
აკეთონ, შემდეგში მდგომარეობს: ეცადონ,  
არ შემოიფარგლონ შიშველი აზროვნებით და  
ნებისმიერ მომენტში არ ეძლეოდნენ იმას, რაც  
საჭიროს ბრუნვას და საგნებს თან მოაქვთ.  
ხშირად ხდება ხოლმე, როცა ადამიანს აქვს  
ნახევარი საათი წამოსაწოლად და დასახვენებ-  
ლად, იგი თავის აზრებს სტიქიური თარეშის  
აშუალებას აძლევს, რომლებიც შემდეგ ასად  
და ათასად აზვავდებიან. ან კიდევ, თუ ადამი-  
ანი გარკვეული ცხოვრებისეული საზრუნავით  
არის შეპყრობილი — უცებ შემოიპრება იგი  
მის ცხოვრებაში და მთლად განმსკვამლავს მას,  
თუ ადამიანი მართლაც ასე იქცევა, ის ვერა-  
ხოდეს ვერ მივა იქამდე, რომ შესაბამის მომენ-  
ტში მოუვიდეს საჭირო აზრი. თუ მას ამის  
მიღწევა სურს, შემდეგნაირად უნდა მოიქცეს:  
აქვს თავისუფალი ნახევარი საათი—უნდა თავის  
თავს უთხრას: ხანამ დრო მაქვს, მინდა  
იმაზე ვიფიქრო, რასაც თავად ავირჩევ და სა-  
კუთარი ნებით შემოვუშვებ ჩემს ცნობიერებაში.  
მაგალითად, მინდა ვიფიქრო იმაზე, რაც გან-  
ვიცადე, ვთქვათ, ორი წლის წინანდელი ერთ-  
ერთი გასეირნების დროს; სურვილი მაქვს  
მაშინდელი განცდები უშუალოდ შემოვუშვა  
ჩემს აზროვნებაში და ვიფიქრო იმაზე თუნდაც  
ხუთი წუთი. ამასთან, სხვა ყველაფერი შორს  
უნდა იყოს ამ ხუთი წუთის განმავლობაში!  
თავად ვირჩევ იმას, რაზეც მინდა ფიქრი. არ-  
ჩევანი არც ისე რთული უნდა იყოს, როგორც  
უკვე მოგახსენეთ. პირველ რიგში იმაზე რე-  
ლია დაპარაკი, რომ რთული სავარჯიშოებით ვი-  
მოქმედოთ საკუთარი აზროვნების პროცესზე,  
არამედ იმაზე, როგორმე ამოვყვინთოთ იქი-  
დან, რაშიც ჩაფლული ვართ ყოველდღიურო-  
ბისაგან. ეს უნდა იყოს ისეთი რამ, რაც გა-  
მორიცხებულია ყოველივესგან, რაშიც ჩაბ-  
ღარტულნი ვართ ჩვეულებრივ დღეთა მსვლე-  
ლობაში. და თუ ადამიანი საზრიანობის ნაკ-  
ლებობას უჩივის და სხვა არაფერი მოხდის  
თავში, დამხმარე საშუალებად შესაძლოა მიმარ-  
თოს შემდეგს: გადაშალოს წიგნი და იფიქროს  
იმაზე, რასაც სწორედ იმ მომენტში წაიკით-  
ხავს პირველი თვალის გადავლებით. ან კი-  
დევ, შესაძლებელია შენს თავს უთხრა: დღეს  
ცოტა ხანს ვიფიქრებ იმაზე, რაც ვნახე დი-  
ლით, როდესაც საქმეზე მივდიოდი, და რასაც  
სხვა შემთხვევაში უუურადღებოდ დავტოვეჭდი.  
ეს ამავე დროს უნდა იყოს ისეთი რამ, რაც  
გამორიცხებულია ყოველდღიურობისაგან, რაზეც  
ჩვეულებრივ არ ვიფიქრებდით.

თუ სისტემატურად ვაკეთებთ ასეთ სა-  
ვარჯიშოებს, მივაღწევთ იმას, რომ მოგვივი-

დეს საჭირო აზრი, სწორედ ის აზრი, რომელიც  
უნდა მოგვივიდეს. ამით აზროვნება გახდება  
ელასტიური, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია  
ადამიანის პრაქტიკულ ცხოვრებაში.

მეორე სავარჯიშო განსაკუთრებით მნიშვნე-  
ლოვანია მეხსიერებაზე შემოქმედების მოსახ-  
დენად. პირველ რიგში უნდა შევქმედოთ უცხ-  
შად, როგორც ჩვეულებრივ *საგნები* [ხსენებ-  
ვენ, გავიხსენოთ რაიმე მოვლენა, ვთქვათ, გუ-  
შინ მომხდარი. როგორც ვიცით, მოვლენები  
საკმაოდ ნაცრისფერია. წესისამებრ ადამიანე-  
ბი იშითაც კმაყოფილდებიან, გუშინ შეხვედ-  
რილი კაცის სახელი თუ გაიხსენეს. მაგრამ  
მხოლოდ ამით დაკმაყოფილება არას გვარგებს,  
თუ ჩვენი მეხსიერების განვითარება გვინდა  
და ჩვენ ეს ნათლად უნდა გავიაზროთ, სისტე-  
მატურად უნდა ვაკეთოთ შემდეგი, კერძოდ,  
გუთხრათ საკუთარ თავს: მე მინდა შედმიწევ-  
ნით ზუსტად გავიხსენო ადამიანი, რომელიც  
გუშინ შემხვდა, ასევე, რომელიც სახლის კუთ-  
ხეში შემხვდა; და კიდევ რა ხდებოდა ირგვლივ.  
მინდა წარმოვისახო ზუსტი სურათი; მისი კოს-  
ტიუმი და ელიტაც კი ზუსტად წარმოვიდ-  
გინო. — ამის შემდეგ ადამიანთა უმრავლესო-  
ბისათვის გახდება ცხადი, რომ მათ ეს სულაც  
არ გამოხდით. ისინი შეამჩნევენ, რამდენი აკ-  
ლიათ საიმისოდ, რათა ნამდვილი ხატოვანი  
წარმოდგენა მიიღონ იმისაგან, რაც გუშინ  
შეემთხვათ ან განიცადეს.

პირველ რიგში უნდა ამოვიდეთ უმეტესი  
შემთხვევიდან, როცა ადამიანს არ შესწევს უნა-  
რი, მეხსიერებაში კვლავ გამოუხმოს იმას, რაც  
გუშინ განიცადა. ამ დროს ადამიანის დაკ-  
ვირვება მართლაც უმაღლეს დონეზე არაზუს-  
ტია. ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორის  
დაკვირვებამ თავის მსმენელებზე გვიჩვენა,  
რომ 30 დამსწრიდან მხოლოდ ორი აკვირდებ-  
ოდა მსვლელობას სწორად, ხოლო დანარჩენი  
28 კი — პირიქით, არასწორად. — კარგი  
მეხსიერება კი ზუსტი დაკვირვების პირშეშო  
გახლავთ. მეხსიერების განვითარებისათვის მთა-  
ვარია ფხიზელი დაკვირვება. კარგი მეხსიერე-  
ბა ზუსტი დაკვირვებით მოიპოვება, გარკვეულ  
მშვიდნიერ გარემოში უტყუარი მახსოვრობა  
ბავშვივით იბადება კარგი დაკვირვების შე-  
დეგად. ხოლო თუ არ შეგვიძლია, ზუსტად გა-  
ვიხსენოთ ის, რაც გუშინ განვიცადეთ, —  
როგორ მოვიქცეთ?

თავდაპირველად შევეცადოთ, შეძლებისდა-  
გვარად ზუსტად გავიხსენოთ ყოველივე, და,  
სადაც აღარ გვახსენდება, ვცადოთ ფაქტობ-  
რივად რაიმე მცდარი ჩავსვათ, მხოლოდ იმი-  
სათვის, რომ მივიღოთ მთლიანობა. დავუშვათ,  
სრულიად აღარ გვახსოვთ, გუშინ შეხვედრილ



კაცს ყავისფერი კოსტიუმი ეცვა თუ შავი; ასეთ შემთხვევაში თქვენ ალბათ წარმოიდგენთ, რომ მას ყავისფერი კოსტიუმი და ყავისფერივე შარვალი ეცვა და ყილექზე ასეთი და ასეთი დილეები ჰქონდა, ყელსახვევი ყვითელი — იქ მაშინ შემდეგი სიტუაცია იყო: კედელი—ყვითელი, მარცხნივ შალაშა, მარჯვნივ კი დაბალმა კაცმა ჩაიარა და ა. შ.

იმას, რაც დაგვამახსოვრდა, სურათში ჩავუერთავთ, მხოლოდ ის, რაც არ გვახსოვს, უნდა შევავსოთ, რათა სულიერ სივრცეში მივიღოთ სრულყოფილი სურათი. ეს, მართალია, იქნება არახწორი სურათი, მაგრამ ეს სურათი იმის წყალობით, რომ თქვენ ცდილობთ მიიღოთ იგი როგორც სრულყოფილი, დაგეხმარებათ შემდგომში უფრო და უფრო ზუსტი დაკვირვებისათვის. და ასე განაგრძეთ ამგვარი ხელოვნების კეთება, და თუ თქვენ ორმოცდაათჯერ გააკეთებთ ამას, ორმოცდამეთერთმეტედ უკვე ზუსტად გეცოდინებათ, თუ როგორ გამოიყურებოდა შავანი, თქვენ რომ შეგხვდათ, და რა ეცვა მას, თქვენ ყოველთვის ზუსტად გაიხსენებთ ექლექტის დილეების ფერსაც კი. ამის შემდეგ აღარაფერი აღარ გამოგრჩებათ, ყოველი წვრილმანი აღგებულებათ მეხსიერებაში. თავდაპირველად ამ ხელოვნების მეშვეობით თქვენ უფრო მკაფიოს გახდით თქვენი დაკვირვების უნარს, შემდეგ კი მიაღწევთ თქვენი მეხსიერების ხაზიმედობის გაუმჯობესებას, როგორც დაკვირვების უნარის ნაყოფს.

კარგი იქნება თუ მომეტებულ ყურადღებას მივაქცევთ, რომ მხოლოდ ხანებები და ცალკეული ძირითადი შტრახები კი არ შევინარჩუნოთ მეხსიერებაში ყოველივე იმისა, რისი გახსენებაც გვინდა, არამედ ვეცადოთ შეძლებისდაგვარად მივიღოთ ხატოვანი წარმოდგენა, განვრცობილი ყველა წვრილმანამდე; თუ რაიმეს ვერ ვიხსენებთ, უნდა ვეცადოთ სურათის შევსებას პირველ რიგში, რათა მივიღოთ ერთი მთლიანობა. მაღე ჩვენ შევამჩნევთ, ისე, როგორც ეს მიხვეულ-მოხვეულ გზებზე ჩანს ხოლმე, — რომ ჩვენი მეხსიერება თანდათან ზუსტი ხდება.

როგორც დავინახეთ, ადამიანს შეუძლია მოცემული მეთოდების საშუალებით თავისი აზროვნება გახადოს პრაქტიკული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი რამ: ადამიანს აქვს ბუნებრივი მისწრაფება იმაზე, რომ, როცა რაიმეს გაიაზრებს, მიიღოს რაღაც შედეგიც. მოიფიქრებს თუ არა რაიმეს გაკეთებას, შედეგამდე მისვლაც უნდა. ეს სრულიად გასაგები მადრეკილებაა. მაგრამ ეს ის არ გახლავთ, რასაც მივყავართ პრაქტიკული აზროვნებისაკენ. ყოველგვარ სულსწრაფობას აზროვნებაში მივ-

ყავართ არა წინ, არამედ უკან. ასეთ ამბებში მოთმინებაა საჭირო.

მაგალითად, ესა თუ ის საქმე გაქვს შესასრულებლი, რაც სხვადასხვაგვარად შეგიძლია აღასრულო, რადგან არსებობს შესაძლებლობათა მრავალფეროვნება. მაშ იქონიე მოთმინება და ეცადე წარმოადგინო რა მოხდება, როცა რაიმეს ასე შეასრულებ, ამასთან ისიც წარმოიდგინე, სხვა შემთხვევაში რა სახეს მიიღებდა ეს ამბავი. ყოველთვის მოიძებნება იმის მიზეზი, თუ რატომ ვანიჭებ უპირატესობას ერთსა თუ მეორეს, მაგრამ, რაც მთავარია, თავი უნდა შევიკავოთ დასკვნების მაშინვე გამოტანისაგან; ნაცვლად ამისა, შევეცადოთ ორი შესაძლებლობის წარმოდგენას და შემდეგ თავს ვუთხრათ: „ახლა კი მორჩა, ამ საგანზე ვწყვეტ ფიქრს“.

არიან ადამიანები, რომლებიც ასეთ დროს მოხვედრას კარგავენ; და შემდეგ ძნელია მოუხვეწრობის დაძლევა, მაგრამ ეს საჭიროა, იგი უნდა დაძლიო და თავს უთხრა: ასეც შეიძლება მოხდეს და ისეც, შე კი ცოტა ხანს არ ვიფიქრებ ამაზე. თუ შესაძლებელია, მოქმედება გადავდოთ მეორე დღემდე და კვლავ წარმოვიდგინოთ ორი შესაძლებლობა, გამოჩნდება, რომ ამასობაში საგნები შეიცვალა, ჩვენ მეორე დღეს უკვე სხვაგვარად ვფიქრობთ, უფრო საფუძვლიანად, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე წინა დღეს. საგნები საკუთარ თავში შეიცავენ შინაგან აუცილებლობას, და თუ ჩვენ არ მოვიქცევით მოუთმენლად და თვითნებურად, არამედ ამ შინაგან აუცილებლობას მივცემთ საშუალებას იმოქმედოს ჩვენში (და ის ჩვენში იმოქმედებს), იგი ჩვენს აზროვნებას უფრო გამდიდრებულს სახით წარმოგვიდგენს მეორე დღეს და მოგვცემს უფრო სწორი გადაწყვეტის შესაძლებლობას, რაც, ცხადია, ძალზე აუცილებელია!

მაგალითად, კითხულობენ რჩევას ამა თუ იმ საკითხზე, რაღაც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. აქ მოთმინება გვმართებს, რომ არ გადმოვიფრქვეთ საკუთარი მოსაზრებებით, არამედ გერ დავუშვათ სხვადასხვა შესაძლებლობები და არ მივიღოთ არავითარი გადაწყვეტილებანი ამის თაობაზე, მშვიდად დავეყრდნოთ თვით ამ შესაძლებლობებს. ნათქვამია: ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერო! მაგრამ მხოლოდ დახანებაც არაა საკმარისი, საჭიროა ორი, უმჯობესია, რამდენიმე შესაძლებლობა გაიაზროთ, რომლებიც შემდეგ ადამიანში განაგრძობენ მუშაობას, როცა, ასე ვთქვათ, მისი ცნობიერი მშ მასთან არ იმყოფება, და შემდეგ, მოგვიანებით კვლავ მოვუბრუნდეთ ამ საგანს. დავინახავთ, რომ ამ გზით შინაგანი



აზრობრივი ძალები ამოძრავდებიან, რის შედეგობითაც აზროვნება გახდება სინამდვილის შესაბამისი და უფრო პრაქტიკული.

და ვინც არ უნდა იყოს ადამიანი სამყაროში, იდგება ის ჩარბთან თუ გუთანთან, ანდა რომელიმე ე. წ. პრივილეგირებულ პროფესიას მიეკუთვნება, სულ ერთია, იგი გახდება ყოველდღიურ საგნებზე პრაქტიკულად მოაზროვნე, თუ ამ ამბებზე ივარჯიშებს. ამ ვარჯიშებით იგი საგნებს სრულიად სხვაგვარად აღიქვამს და დაინახავს სამყაროში, რაც არ უნდა შინაგანად მოგვეჩვენოს თავიდან ეს სავარჯიშოები, ისინი სწორედ გარე სამყაროსთვისაა პატირო, ისინი თავის თავში ატარებენ უდიდეს მნიშვნელობას სწორედ გარე სამყაროსათვის. მათ აქვთ მნიშვნელოვანი შედეგები.

მინდა მაგალითზე გიჩვენოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საგნებზე ნამდვილად პრაქტიკულად აზროვნება: ვთქვათ, ვინმე კიბით ავიდა ხეზე, იქ რაღაც მოიმოქმედა და შემდეგ ჩამოვარდა, დაიმტვრა და მოკვდა. უპირველესი აზრი, რაც მოგვივა, ისაა, რომ იგი დაცემისაგან გარდაიცვალა. განა ასე არაა? იტყვიან: ჩამოვარდნა იყო მიზეზი, სიკვდილი—შედეგი. აქ მიზეზი და შედეგი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ამაში შეიძლება იყოს დაშვებული უბეში შეცდომა. — ხომ შესაძლებელია, მას ზევით გული გასკდომოდა, ე. ი. იგი გულის გასკდომის გამო ჩამოვარდნილიყო. მოხდა ის, რაც მისი ცოცხლად დარჩენის შემთხვევაშიც მოხდებოდა, მან ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო მისი სიკვდილის მიზეზი. ასე შეიძლება მიზეზისა და შედეგის ერთმანეთში აღრევა.

ამ მაგალითზე ეს ნათლად ჩანს; მაგრამ ხშირად არც ისე ადვილი შესამჩნევია, რა გამოგვეპარა. ამგვარი აზრობრივი შეცდომები ძალზე ხშირად გვხვდება, დიახ, უნდა ითქვას, რომ დღეს მეცნიერებაშიც შეხვდებით ისეთ მსჯელობას, სადაც სწორედ ამგვარად არის არეული მიზეზი და შედეგი. უბრალოდ, ამას ადამიანები ვერ ხვდებიან, რადგან წარმოდგენა არა აქვთ აზროვნების შესაძლებლობებზე.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ ჩნდებიან ასეთი აზრობრივი შეცდომები, რაც ამასთანავე ცნადყოფს, რომ ადამიანს, რომელიც დღეს მოცემულ სავარჯიშოებს გააკეთებს, ასეთი რამ აღარ დაემართება. ავიღოთ თუნდაც შემდეგი: მეცნიერი ამბობს, რომ ადამიანი, როგორც იგი დღეს არის, მაიმუნისაგან წარმოიშვა; ე. ი. ის, რასაც მე მაიმუნში ვეცნობი, მასში მოქმედ ძალებს, დაიხვეწება და შემდეგ აქედან წარმოიქმნება ადამიანი. — ახლა რომ ნათელ-

ვყოთ ამ ამბის აზრობრივი მნიშვნელობა, მოდით დავუშვათ შემდეგი: წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი, რომელსაც უხდება ასეთი დასკვნის გაკეთება, გარკვეული მდგომარეობის გამო, დარჩა სრულიად მართლმადიდებელი. მის გარდა იქ იყვნენ მხოლოდ მაიმუნები, რომლებზეც მისი თეორია ამბობს, რომ ადამიანები მათგან წარმოიშვნენ. იგი ამ მაიმუნებს განსაკუთრებული უპირატესობით ნწავლობს, იქმნის დეტალურ წარმოდგენას იმის შესახებ, რაც მათში, მაიმუნებში არის. ახლა ის უნდა შეეცადოს, რომ ცნება „მაიმუნისაგან“ წარმოიქმნას ცნება „ადამიანი“, მაშინ, როცა მას ჯერ არასოდეს უნახავს ადამიანი. იგი დაინახავს, რომ აქამდე ვერასოდეს ვერ მივა: მისი ცნება „მაიმუნი“ ვერასოდეს ვერ გარდაიქმნება ცნებად „ადამიანი“.

მას რომ აზროვნების ხწორი ჩვევები ჰქონოდა, თავისი თავისათვის უნდა ეთქვა: ჩემი ცნება, რომელიც ისე არ გარდაიქმნება, რომ ცნება „მაიმუნის“ ნაცვლად მიგვეღო ცნება „ადამიანი“, ე. ი. მოხდა ისე, რომ რასაც მე მაიმუნში ვხედავ, ის ვერასოდეს ვერ მივა ადამიანამდე, რამეთუ სხვა შემთხვევაში, ჩემი ცნება უნდა შეცვლილიყო. მაშასადამე, აქ უნდა დაემატოს კიდევ რაღაც, რასაც მე ვერ ვხედავ. — ამ ადამიანს გრძნობით აღსაქმელი მაიმუნის მიღმა უნდა დაენახა რაღაც ზეგრძნობადი, რაც მან ვერ აღიქვა, მხოლოდ მას (ზეგრძნობადს) შეეძლო მაიმუნის ადამიანად გახდომა.

ჩვენ როდი ვლაპარაკობთ მოვლენის შეუძლებლობაზე, არამედ გვინდა მხოლოდ აზრობრივი შეცდომის ჩვენება, რომელიც ამ თეორიის მიღმა ძევს. თუ ადამიანი სწორად აზროვნებს, მივა იმ დასკვნამდე, რომ მან ასე არ უნდა იფიქროს, თუ რაიმე ზეგრძნობადის დაშვება არ უნდა. თუ ამ საგანს ჩავუფიქრდებით, დავინახავთ, რომ მთელი რიგი ადამიანების მიერ აქ ჩადენილია მიუტევებელი შეცდომა აზროვნებაში. ასეთ შეცდომას მეტად აღარ დაუშვებენ ისინი, ვინც ზემოთ მოცემულის მსგავსად ავარჯიშებს საკუთარ აზროვნებას.

ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის დიდი ნაწილი (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო), თავისი მრუდე, არასწორი აზრებით ხდება შემოქმედების წყარო იმათთვის, ვისაც ნამდვილად სწორად აზროვნება შეუძლია ფიზიკურ ტიპილამდეც კი, როცა ასეთ კაცს მასში ჩახედვა მოუხდება. — ეს როდი ითქმის იმ დაკვირვებების უდიდეს რიცხვზე, რომელიც ამავე საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და მისი ობიექტური მეთოდების მეშვეობით არის მოპოვებული.



ახლა მივადევით იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია აზროვნების სიბეცესთან. ადამიანმა სინამდვილეში ჩვეულებრივ არ იცის, რომ მისი აზროვნება სრულებითაც არ არის რეალობის შესაბამისი, არამედ უმეტეს შემთხვევაში, ის აზროვნების ჩვევების შედეგს წარმოადგენს. ამიტომაც იმის მსჯელობას, ვინც სამყაროსა და ცხოვრებაში ერკვევა, სრულიად სხვა მიმართულება აქვს, ვიდრე იმისას, ვინც ამ ამბებში საერთოდ ვერ ან ნაკლებად ერკვევა; მაგალითად, მატერიალისტურად მოაზროვნე. — მხოლოდ პიპოთეზებით, რაც არ უნდა კეთილგონიერული და მოსაწონი იყვნენ ისინი, ვინმეს დარწმუნება არც თუ ისე ადვილია. მისი დარწმუნება მოსაზრებებით ან მტკიცებებით ხშირად ამაო გარჯაა, რადგან მისთვის სრულიად მიუღებელია მოსაზრებები, რითაც მტკიცდება ესა თუ ის საკითხი. თუ ის მიეჩვია, რომ ყველაფერში, მაგალითად, მხოლოდ მატერია დაინახოს, მაშინ იგი მუდამ აზროვნების ამ ჩვევას ებღაუჭება.

დღეს საერთოდ არ არსებობენ მოსაზრებები, რომლებსაც მტკიცებამდე მიყვანა შეუძლიათ; არამედ მოსაზრებების მიღმა დგანან აზროვნების ჩვევები, რომლებიც ადამიანს გათავისებული აქვს და მის გრძნობასა და შეგრძნებაზე გავლენას ახდენს. როცა მას რაიმე მოსაზრება მოჰყავს, ის თავის გრძნობებსა და შეგრძნებებზე იფარებს ჩვეული აზროვნების ნიღაბს. ხშირად მხოლოდ სურვილი კი არ არის აზრის მშობელი, არამედ გრძნობები და აზროვნების ჩვევები წარმოშობენ აზრებს. ვინც ცხოვრებას იცნობს, იცის, რაოდენ ძნელია ადამიანების დარწმუნება ლოგიკური მტკიცებების საფუძველზე. აქ გადამწყვეტია სამშვიინველში რაღაც უფრო ღრმა, ვიდრე ლოგიკური დასაბუთება.

როცა გვაქვს ანტროპოსოფიული მოძრაობა, მას, რა თქმა უნდა, გააჩნია კარგი ფონი იმისათვის, რომ ჩვენთან იყოს და იმუშაოს განშტოებებში. ყველა ამჩნევს, რომ ამ მოძრაობაში გარკვეული დროის მუშაობის შემდეგ მან სულ სხვაგვარი აზროვნების, გრძნობისა და აღქმის უნარი შეიქმნა. რადგან განშტოებებში მუშაობენ არა მხოლოდ იმაზე, რომ რაიმეს ლოგიკური დასაბუთება მოუძებნონ, არამედ ითავისებენ ყოვლისმომცველ გრძნობასა და აღქმას.

რამდენიმე წლის წინ ალბათ ირონიულად ეციანებოდა ადამიანს, რომელიც პირველად ის-

მენდა ლექციას სულიერ მეცნიერებაში. — ახლა კი მისი მეშვეობით რამდენი რამ გახდა ნათელი და გარკვეული, რასაც იგი ალბათ სულ ცოტა ხნის წინ რაღაც უღიღეს აბსურდად თვლიდა. ანტროპოსოფიულ მოძრაობაში მუშაობით ჩვენ არა მხოლოდ გარდავიქმნით ჩვენს აზრებს, არამედ ვსწავდებით რაგორ გადავიყვანოთ მთელი მსჯელობის უფრო ვრცელ პერსპექტივაში. საბოლოოდ ნათელი უნდა გახდეს, რომ ჩვენი აზრების ელფერი გაცილებით უფრო ღრმა საფუძვლებიდან მოდის, ვიდრე ჩვეულებრივ ჰგონიათ. არის გარკვეული შეგრძნებები, გარკვეული გრძნობები, რომლებიც ადამიანს აზრს შთააგონებენ. ლოგიკური დასკვნები ხშირად გარსია მხოლოდ — ნიღაბი გრძნობების, შეგრძნებებისა და აზროვნების ჩვევებისათვის.

იქამდე რომ მივიდეთ, რათა ლოგიკური დასკვნები რაიმეს ნიშნავდეს ჩვენთვის, საჭიროა, ვისწავლოთ თავად ლოგიკის სიყვარული. როცა ობიექტურობის, მიზანშეწონილობის სიყვარულს ვსწავლობთ, მხოლოდ მაშინ ხდება ლოგიკური დასკვნები გადამწყვეტი. ჩვენ თანდათან ვეუფლებით, ასე ვთქვათ, ამა თუ იმ აზრის უპირატესობისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად აზროვნებას და შემდეგ ჩვენი თვალთახედვა უფრო ფართოვდება და ხდება უფრო პრაქტიკული; პრაქტიკული არა იმ თვალსაზრისით, რომ განვლილ გზაზე შეგვეძლოს მსჯელობა, არამედ ისე, რომ თვით საგნებიდან გამომდინარე ვისწავლოთ აზროვნება.

ნამდვილი პრაქტიკა პირმშოა მიზანშეწონილი, საგნებიდან გამომდინარე აზროვნებისა. ჩვენ საგნებიდან გამორკვევას ვისწავლით მხოლოდ მაშინ, როცა გავაკეთებთ ასეთ სავარჯიშოებს; და ამასთანავე ისინი უნდა კეთდებოდეს ჩანხალ საგნებზე. ეს ისეთი საგნებია, რომლებზეც ადამიანურ კულტურას ნაკლები წილი უდევს, რომლებიც ნაკლებად არიან დამახინჯებულნი, ე. ი. ისინი არიან ბუნების ობიექტები და ბუნების ობიექტებზე იმგვარად ვარჯიში, როგორც დღეს აღვწერთ, გაგვხდის ჩვენ პრაქტიკულად მოაზროვნეებს. ეს მართლაც პრაქტიკულია. ყოველდღიური საქმიანობაც კი შეიძლება პრაქტიკულად აღვიქვათ, თუ გავივარჯიშებთ ძირითად ელემენტს — აზროვნებას. მაშინ, როცა სამშვიინველს ზემოთ მითითებულის მიხედვით ვავარჯიშებთ, მოხდება აზროვნების პრაქტიკული ორიენტირება.



სულიერ-მეცნიერული მოძრაობის ნაყოფი ის უნდა იყოს, რომ მან ნამდვილი პრაქტიკოსები მისცეს ცხოვრებას. იმდენად მნიშვნელოვანი ის კი არაა, რომ ადამიანს შეეძლოს ესა თუ ის ჩათვალოს ჭეშმარიტებად, არამედ ის, რომ იგი სწორად ერკვეოდეს საგნებში. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის ზერხები, რომლითაც ანტროპოსოფია ჩვენში იქნება და ჩვენს სამშვინველსა და მთლიანად ჩვენ გვხელმძღვანელობს საქმიანობაში; აფართოებს ჩვენს სამშვინველსა და თვალთახედვას, და არა ის, რომ ჩვენ მხოლოდ ვთეორეტიკოსობდეთ გრძნობადი საგნებიდან სულიერამდე. ამით არის ანტროპოსოფია მართლაც რაღაც პრაქტიკული.

ეს არის ანტროპოსოფიული მოძრაობის მნიშვნელოვანი მისია. მისი მეშვეობით ადამიანის აზროვნება ელასტიური ხდება და იმდენად განისწავლება, რომ იგი უკვე ფიქრობს: საგნებს მიღმა სული დგას. თუ ანტროპოსოფიული

მოძრაობა ამ მოსაზრებას გაადვილებს, მაშინ იგი საფუძველს ჩაუყრის ისეთ კულტურას, რომლიდანაც არასოდეს გამოვა იმგვარი აზროვნება, ადამიანებს ვაგონის შიგნიდან დაძვრის შესაძლებლობას რომ განუმტკიცებს. ეს ყველაფერი სრულიად თავისთავად გადადის სამშვინველში. თუ სამშვინველი ცხოვრების დიდ ამბებზე ფიქრში განსწავლულია, მაშინ იგი სადილის კოვზზეც სწორედ იფიქრებს და არა მხოლოდ იმ სფეროში რაც სადილის კოვზს ეხება. ადამიანი გახდება უფრო პრაქტიკული, ისწავლის ლურსმნის უფრო პრაქტიკულად ჩაჭედებას, სურათის უფრო პრაქტიკულად ჩამოკიდებას, ვიდრე სხვა შემთხვევაში გააკეთებდა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მშვინველ-სულიერი ცხოვრების განხილვას ისე ვსწავლობთ, როგორც ერთ მთლიანობას. ასეთი შეხედულებით კი — ყველაფრის უფრო და უფრო პრაქტიკულად გამოხატვას.





# მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი

თარგმნა ვასილ ბურაკაძემ



## ფიქრები ადამიანის მოწოდებაზე (სამი საუბარი რწმენისათვის)

### წინათქმის

დღეს დასავლეთის სამყაროში გაცხოველებულია ინტერესი აღმოსავლეთის მართლმადიდებელი სარწმუნოებისადმი, მრავალი ადამიანი ამ ქვეყნებისა, აქამდე სხვა ქრისტიანული აღმსარებლობების წარმომადგენელი, ანდა სულაც ათეისტები, ხწორედ მართლმადიდებელი ქრისტიანობის ზეგავლენით ჭეშმარიტ სარწმუნოებას უბრუნდება. და ამ საღმრთო საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ინგლისში მოღვაწე მართლმადიდებელ მღვდელმთავარს, მიტროპოლიტ ანტონი სუროჟელს, რომლის სამ საუბარსაც ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, საერთო სათაურით — „ფიქრები ადამიანის მოწოდებაზე“ — ქვემოთ ვთავაზობთ ქართველ მკითხველს, და ალბათ, უპირანი იქნება, თუკი ორიოდ სიტყვას მის ცხოვრებისეულ გზაზეც ვიტყვით.

მიტროპოლიტი ანტონი, ერისკაცობაში ანდრია ბორისის ძე ბლუში, შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში დაიბადა 1914 წელს, ადრეული ყრმობა კი სპარსეთში გაატარა, სადაც მამამისი, წარმოშობით შოლანდიელი, რუსეთის მთავრობის კონსულად მსახურობდა რევოლუციამდე. დედა ანდრიასი—ქსენია ნიკოლოზის ასული სკრიაბინა იყო ცნობილი რუსი კომპოზიტორის ა. ნ. სკრიაბინის ნახევარდა... რევოლუციის შემდეგ ბლუმების ოჯახი საფრანგეთში წავიდა ემიგრაციაში; ანდრიამ მეორე მსოფლიო ომის წინ სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა პარიზში ონკოლოგიის სპეციალობით და ომის დროს საფრანგეთის არმიაში მსახურობდა ექიმ-ქირურგად. შემდეგ, საფრანგეთის კაპიტულაციის დროიდან, მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1948 წელს იგი ხაიდუმლოდ აღიკვეცა ბერად, ანტონის სახელით, 1948 წელს კი ხელდასხმულ იქნა მღვდელმსახურად. ინგლისში იგი პირველად 1949 წელს ჩავიდა როგორც მართლმადიდებელი კაპელანი წმიდა ალბანისა და წმიდა სერგის სახელობის ანგლიკანურ-მართლმადიდებელი თანამეგობრობისა, რომელიც ამ ორი ქრისტიანული აღმსარებლობის დაახლოების მიზნით

დააფუძნა ნიკოლოზ მიხეილის ძე ზერნოვა — ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული მართლმადიდებელი კულტურის ცენტრის პროფესორმა. 1950 წელს მღვდელმონაზონი ანტონი ლონდონის მართლმადიდებელი რუსული მრევლის წინამძღვარი შეიქნა. 1958 წელს იგი, უკვე არქიმანდრიტი, ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად, 1966 წელს კი — მიტროპოლიტად.

მთელი თავისი ღმრთივსულიერი მოღვაწეობის მანძილზე მიტროპოლიტი ანტონი სუროჟელი თვლიდა, რომ ემიგრაციაში მცხოვრები რუსი ქრისტიანი ადამიანები არ უნდა სწყვეტდნენ ლოცვით კავშირს დედაეკლესიასთან, და თვითონაც ყოველთვის ერთგული რჩებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, მოსკოვის საპატრიარქოსი, და ამას იგი იქმნა მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად ნეგატიურად იყო განწყობილი ყოფილი სსრკ-ის პოლიტიკისა და იდეოლოგიისადმი...

წინამდებარე სამი სიტყვა მიტროპოლიტმა ანტონი სუროჟელმა (სუროჟი ძველი რუსული სახელწოდებაა ყირიმის ქალაქ სუდაკისა და ასე ეწოდება ერთ-ერთ მართლმადიდებელ ეპარქიას ინგლისში) წარმოთქვა 1978 წელს ლამბეტის კონფერენციაზე, ანგლიკანური მსოფლიო ეკლესიის ეპისკოპოსთა შეკრებაზე, რომელზეც ინგლისში მოღვაწე ეს სახელგანთქმული მართლმადიდებელი მღვდელმთავარიც იქნა მიწვეული (აღსანიშნავია, რომ ასეთ შეკრებებზე ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან იკრიბებიან ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსები და საერო ღვთისმეტყველები, აგრეთვე მოწვეული სტუმრები სხვა აღმსარებლობებისა).

ამჟამადაც მიტროპოლიტი სუროჟელი ნაყოფიერად მოღვაწეობს ინგლისში და კვლავაც განამრავლებს თავის მართლმადიდებელ სამწყესოს დასავლეთის პროტესტანტულსა თუ კათოლიკურ სამყაროში.

მთარგმნელი



I. დიადი სიტყვა

ყოველი ქრისტიანი დიადი მოვალეობის აღსარულბლად და დიადი სიტყვის საქადაგებლად არის მოწოდებული. ეს სიტყვა თვით უფლისაგანაა, ხოლო სიტყვა ღმერთისა — არის ქეშმარიტება და ცხოვრება. ეს მსახურება და მოვალეობა იმ დროიდან აკისრია მას, როცა უფალი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე მკვდრეთით აღსდგა, გამოეცხადა თავის მოწაფეებს და მთელს ქვეყნიერებაზე საქადაგებლად წარგზავნა ამ სიტყვებით: „ვითარცა მომავლინა მე შამამან, მეცა წარგავლინებ თქვენ“ (იოანე 20, 21).

რაში მდგომარეობს ეს სიტყვა, ან რომ ადამიანებს უნდა ვაუწყოთ? — თავისთავად ცხადია, რომ ეს სახარებისეული ყოველისმომცველი სიტყვაა, სრულქმნილი თავისი მთლიანობით, მძლე უღმობელი გამოწვევით. მაგრამ აუცილებელია, რომ ყოველ ახალ თაობას მიაჩნდეს — ეს სიტყვა უშუალოდ ჩვენთვისაც არის განკუთვნილი. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, სულაც არ მოახწავებს იმას, თითქოს საღმრთო სიტყვა უნდა მიესადაგოს მოცემული თაობის სურვილებსა და განწყობილებას, — მისადაგება ხომ მხოლოდ კაცობრივისათვის არის შესაძლებელი საღმრთოსთან, და არამც და არამც — პირიქით! მაგრამ, როგორც ესაია წინასწარმეტყველი ამბობს, სახარებისეული სიტყვა ჩვენც მოგვიწოდებს — ნუგეში-იც, ნუგეში-იც ჩემს ერსაო. აქ საუბარია ნამდვილ, რეალურ ადამიანებზე, და ჩვენც ვალდებული ვართ ვანუგეშოთ ხოლმე ისინი ყოველივე იმაში, რასაც მათთვის მწუხარება მოაქვს, და განვადლიეროთ ისინი ყოველივე იმის წინაშე, რაც შიშით ალავსებთ. საქმარისი არ არის ოდენ უწყება—განცხადება იმისა, რასაც ჩვენ ეგზომი სიადვილით ვუწოდებთ მარადიულ, საუკუნო სიტყვას, ანუ დროის მიღმა გიებულ სიტყვას, რომელიც არც ერთ განსაზღვრულ ეპოქას არ ეკუთვნის, მაშინ, როდესაც შემოქმედი ღმერთი, მარად ცხოველი ღმერთი თანადროულია ყოველი ცალკეული ეპოქისა და იგი არასდროს არ წარვალს და არ რჩება წარსულში, არამედ მარად უცვალებელია მთელი საიდუმლო სრულყოფილებით თავისი ცხოვრებისა, ყოველ ცალკეულ ადამიანს, ყოველ ცალკეულ ეპოქას რომ უპასუხებს და ქმედითად ეხმარება...

და აქ მე მსურს მოვიშველიო ერთი სახე თანამედროვე ინგლისელი რელიგიური მოაზროვნისა და მწერლის კ. ს. ლიუისის შემოქმედებიდან: ქრისტიანი დღეს, მისი სიტყვისაებრ, უნდა აცხადებდეს: „ნახეთ ქანდაკნი განცოცხ-

ლდებიანი!“ — ანუ დღევანდელი ადამიანები — ის, ვისაც ჯერ არ შეხვედრია ღმერთი და არ შეუცვნიია იგი, და ის, ქრისტიანი, რომელიც აღსავსეა მარადიული ცხოვრებით, თვით ღმერთის ცხოვრებით, ხელახლა რომ შობს და გარდაქმნის მას, — ეს ორი ადამიანი ისევე ღრმად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც უსიცოცხლო ქანდაკება და ცოცხალი ადამიანი.

ღიან, ქეშმარიტად, რომ ქანდაკნი განცოცხლდებიანი ყოველ ჩვენთაგანს, რა კინად და უმნიშვნელოდაც არ უნდა მიაჩნდეს საკუთარი თავი, ძალუძს შეიქნას განცოცხლებულ ქანდაკად. ჩვენ უნდა განვცოცხლდეთ, უნდა გავხდეთ ნამდვილნი, ქეშმარიტად ცოცხალი ადამიანები, ანუ საღმრთო ცხოვრებით მცხოვრები ადამიანები, და არამც და არამც არ უნდა მივეშვავსოთ ღოტის ცოლს. იგი ხომ ნამდვილად იქცა მარილის სვეტად, — და მასში უკვე სიცოცხლე კი არ იყო, არამედ სიკვდილი და ხრწნილება. აკი ჩვენც ხშირად სხვა არარანი ვართ, თუ არ ამგვარივე სვეტნი მარილისა...

ამრიგად, სიტყვა, თითოეულმა ჩვენგანმა რომ უნდა თქვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ნაქადაგევი იყოს, თუკი ჩვენ, მისი წარმომოქმედნი, ცოცხალი დადასტურება ვიქნებით ყოველივე იმისა, რასაც ვქადაგებთ. სხვაგვარად ჩვენი სიტყვა მხოლოდ იმგვარი რამ შეიძლება გამოდგეს, რისი მოძაგება და უგულვებელყოფა უკვე დიდი ხანია უსწავლიათ ადამიანებს. ამ სიტყვამ, რომელიც ჩვენ უნდა ვაუწყოთ ადამიანებს, შიგ გულისგულში უნდა განმსჭვალოს ისინი. აკი წმიდა იოანე კობის-აღმწერელიც, ერთ-ერთი ძველ ქრისტიან მწერალთაგან, ასე ამბობს, — ღვთის სიტყვა სწორი, წვერწამახული ისრის მსგავსია, რომელსაც ძალუძს ნებისმიერ სამიზნეს მოხვდეს და ნებისმიერი ფარი განაპოს, მაგრამ ასეთი ისარიც კი უხმარი შეიქნება, თუკი არ გვექნება მშვილდი თუ საბელიო, ანდა თუკი არ იქნება დახელოვნებული თვალი და მარჯვე ხელი მისი განმტყორცნელისაო.

და ჩვენი მოვალეობაც, უწინარეს ყოველისა, ის არის, რომ ვიყოთ თვალი, რომელიც მოძებნის და დაინახავს სამიზნეს; ვიყოთ ხელი, რომელიც მძლედ გამოხწევს საბელს, და ვიყოთ მტკიცე შვილდი, რომელსაც შეეძლება გასტყორცნოს ისარი. ღმერთის სიტყვა არის ცხოვრება; ღმერთის სიტყვა არის სული; ღმერთის სიტყვას ძალუძს ნებისმიერი მიზანი მოსწყლას და ნებისმიერი წინაღობა განდრიკოს. მაგრამ მხოლოდ ჩვენს მიერ, ჩვენი და ჩვენი მეშვეობით შეუძლია მას სკვრეტდეს თა-



ვის დანიშნულებას და შიადწიოს თავის მიზანს. ის სიტყვა, რომელიც ჩვენ უნდა ვიქადაგოთ, არის სიტყვა ღმერთზეც და ადამიანებზეც, — ესაა სიტყვა, რომელიც საკვირველი სახით აკავშირებს ერთმანეთთან ღმერთსა და ადამიანს, და შექნის მათ ერთად, მთელად. სახარებისეული სიტყვა უაღრესად განსხვავდება ძველი, წარმართული — ფილოსოფიური თუ რელიგიური სიტყვისაგან; და იგი ძველი აღთქმის სიტყვისაგანაც კი განსხვავდება. იგი უნიკალური სიტყვაა, რადგანაც საკვირველსა და მიუწვდომელს რასმე გვაუწყებს, — იმას, რომ შემოქმედი ღმერთი, დამბადებელი და მპყრობელი უოვლისა ერთ-ერთ ჩვენგანად ქცეულა.

ტრანსცენდენტურობა, სიწმიდე და მიუწვდომელი სიდიადე ღვთისა ცნობილი იყო წარმართული სამყაროსათვისაც და ძველ-იუდეველური სამყაროსთვისაც. მაგრამ იმისთვის, რომ ტრანსცენდენტური იმანენტური გამხდარიყო, მარადიულობას შესძლებოდა აღევსო დრო მის დაურღვევლად და შეემოსა იგი მანამდე უცნობი სიცოცხლით; იმისათვის, რომ ღმერთს თავის დაუქნიებლად და დაუმცრობლად შესძლებოდა შექნილიყო ერთი ჩვენგანი, — უმწეო, უაღრესად მოწყვლადი, და ამგვარად, თითქოსდა, მოწყვლელიყო და მოძაგებელიყო კიდევ იმათგან, ვისაც მხოლოდ ხილული გამარჯვება და ხელშეხახები წარმატება სწამს, — უოველივე ეს თვით ღმერთს უნდა მონებებოდა, რამეთუ მხოლოდ მას ძალედვა ასე განეცხადებინა საკუთარი თავი, ხოლო ადამიანთაგან ვერავინ გაბედავდა ასეთი რამის წარმოქმნას გამოხისა და შეურაცხყოფის გარეშე... და აჰა, ცხოველი ღმერთი ყრმად იშვება ბეთლემში და მამაკაცად კვდება იერუსალემში, მოკვდივებული ჯვარზე წარმართთა ხელით, თავის უარყოფელ თვისტომთა ხელით, ვინც არ მიიღო იგი ჭეშმარიტ ღმერთად, განკაცებულად ადამის მოდგმის გამოსყიდვისა და ხსნისათვის.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელმაც უაღრესი დამცირება, უარყოფა და მოძაგება იწვნია თავისი ცხოვრების მანძილზე. მე დავიბადე პირველი მსოფლიო ომის წინ; ჩემი ყრმობა და სიჭაბუკე გადაეწნა რევოლუციისა და ემიგრაციის წლებს როცა ხუთი მილიონი რუსი ადამიანი, დევნილი თავისი სამშობლოდან, ძალზე შეჭირვებული და მოძაგებული, სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა უცხოობაში, არავისათვის საჭირო, ყველასაგან გარიყული და უარყოფილი...

ღრმად მოწყვლულებმა, და ამიტომ მოწყვლადებმა, უმწეოებმა და დაუცველებმა, — ჩვენ

მაშინ ღმერთი მოვიძიეთ, რომელიც აღრე არ ვუწყოდით, ღმერთი, ვინც ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულით ინება გამხდარიყო ის, რადაც ჩვენ შევქმნილიყავით საშინელებათა და ტანჯვათა მიერ. ეს ის ღმერთია, რომლისაც ჩვენ შეგვიძლია არა გვრცხვენოდეს; ეს ის ღმერთია, რომელსაც არა რცხვენის ჩვენგანთა და არ გრცხვინება ჩვენთან ყოფნა; ეს ის ღმერთია, რომელიც გარდამოხდა ზეციით და ჩვენთან მოხვლით იმჟომამდე დაიმდაბლა თავი, რომ უაღრესი დამდაბლება თავისა შეუძლებელიც კი იყო; და ამ ღმერთს ძალედვა შეგვხვედროდა ჩვენ, ტანჯულთა და მოძაგებულთ, და შეგვძენოდა ჩვენ თანაღმობაში, სიყვარულსა და ხსნაში. ამ ღმერთს მეც შევხვდი, მეც შევიძინე იგი ჩემს ახალგაზრდობაში, და მან ჩემი თანამედროვეების მთელი თაობის ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. ჩვენ რომ ჯეროვან დიდებულებაში შევხვედროდით ჩვენს ღმერთს, დამკვიდრებულსა და განმტკიცებულს მრავალრიცხოვან ტაძართა სიმშენიერეში, გარემოცულს შემკულობითა და მარშონიით, ისეთს, ვისაც არ სჭირდება მფარველი, — რამეთუ იგი იყო მეუფე ქვეყნისა, ღმერთი, ვისაც თაყვანს სცემდნენ და ვის წინაშეც შიშით ძრწოდნენ, — მაშინ ასეთ ღმერთს რომ შევხვედროდით-მეთქი ჩვენ, შესაძლოა, დროთა განმავლობაში უბრალოდ გვერდზე ჩავგვედლო და ვერ დაგვენახა იგი, ვერ მოგვეპოვებინა. საკმარისი არ არის უბრალოდ ცოდნა იმისა, რომ ღმერთი — არის; საკმარისი არ არის მისი ოდენ აღიარება სიტყვით როგორც უოველივეზე მეუფისა და მბრძანებელისა; საკმარისი არ არის ოდენ შიში მის წინაშე და მხოლოდ თაყვანისცემა მისი, თუკი ამავე დროს ჩვენ ჯეროვან პატივსაც არ ვცემთ ღმერთს ჩვენს გულში იმისათვის, რომ იგი ჩვენთანაა, ჩვენშია, ანუ იმისათვის, რომ იგი, შემოქმედი უოველივე არსებულისა, ჩვენი ცხოვრების ტრაგედიის, ჩვენი ცხოვრების საშინელებათა შუაგულშია; იმისათვის, რომ მას არ ნებავს ზეციური კეთილდღეობის ნეტარებაში ზგიებდეს მაშინ, როცა ქენი მისნი და ასულნი ამაქვეყნიურ ტანჯვათა და განსაცდელთა შორის ევნებინან....

ეს არის ის სიტყვა, რომლის უწყებაც ადამიანებისათვის ჩვენ შეგვიძლია. ეს არის ჩვენი ღმერთი. უსაზღვროდ დიადი და, ამავე დროს, მზადყოფი იმისთვის, რომ ჩვენდამი თავისი უსაზომო სიყვარულით უკიდურესი, უსრულესი დამცირება იწვნოს. როგორც შუა საუკუნეების გერმანელი მისტიკოსი ანგელუს სილვერიუსი ამბობს, „მე ისევე დიდი ვარ, როგორც



ღმერთია, ღმერთი ისევე მცირეა, როგორც მე ვარ!“. ღმერთმა თვით აღიჩინა ის, რომ ისეთივე მცირე გამხდარიყო, როგორც მე ვარ, მაგრამ იგი არ იქმნა ამას, ადამიანში რომ მისეული სიდიადე არ ყოფილიყო, რომელსაც უფრო მეტი ძალუძს, ვიდრე მიღება ამ სიტყვისა — ის სიდიადე, რომელსაც ძალუძს ღმერთის განკაცებული ძის — ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს სიდიადემდე გაიზარდოს.

ქრისტეში — საღმრთო გამოცხადებაა, რომელიც უნდა ეუწყოს ადამიანებს: ადამიანი საკმარისად დიდია იმისათვის, რომ ღვთაებრივი სისრულე სხეულებრივში ჰგებდეს. ადამიანი საკმარისად დიდია იმისთვის, რომ იყოს არამხოლოდ ქურქელი ღმერთისა, არამედ იმისთვისაც, რომ შეიქნას განკაცებული ღმერთის მსგავსიც. ადამიანი საკმარისად დიდია იმისთვის, რომ იყოს ნაწილი განკაცების სხეულისა.

ჩვენ, ასეთ ადამიანებს, გვეძლევა გამოცხადება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების სამყაროსათვის, ტექნიკის სამყაროსათვის, ანუ იმ სამყაროსათვის, რომელშიც ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ: ქრისტიანობა ერთადერთი რელიგიაა და ქრისტიანები ერთადერთნი არიან, რომელნიც პასუხისმგებლობით ეკიდებიან მატერიას. თუკი ჩვენ ნამდვილად გვჭერა ქრისტეს განკაცებისა, თუკი ნამდვილად გვწამს, რომ უზენაესი ღმერთი ამქვეყნად სხეულებრივად, ფიზიკურად იმყოფებოდა და მოქმედებდა, მაშინ რა შეიძლება ითქვას ასეთ მატერიაზე? — ამა ქვეყნის მატერია ხომ მთელის სისრულით იყო წარმოდგენილი მის სხეულში. მატერიის მთელი ფიზიკური თუ ქიმიური სუბსტანცია ხელახლა იქნა შეერთებული ღვთაებრივ სუბსტანციასთან ღმერთისა, განკაცებული და ხორციელქმნილი მის სხეულში. ასე რომ, იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ, და იმ მატერიას, რომელსაც ჩვენ შევებებით და შევიგრძნობთ, ჰქონია უნარი ხელახლა შეუერთდეს და ეზიაროს ღმერთს, ხელახლა მიეახლოს ღვთაებრივ არსებობასა და ცხოვრებას. ამრიგად, მატერია მოწოდებულია იმისთვის, რომ ღვთისმატარებლად შეიქნას და ღმერთშემოსილი იყოს, ანუ განღმრთოვდეს.

ჩვენ საკვირველ, სასწაულებრივ სამყაროში ვცხოვრობთ და ამას ნათლად დავინახავთ, თუკი არ დავუშვებთ იმას, რომ დავაბრმავებინოთ თვალი მის ფორმებსა და ფერებს. დღეს ჩვენ უფრო ხშირად უნდა ვიხსენებდეთ წმიდა დავით მეფის გაფრთხილებას ეშმაკისათვის „შუვა დღისა“ (ფსალმუნი 80,6). რატომ მაინცდამაინც შუადღისა? — იმიტომ, რომ ეს ის დროა, ის უამია დღისა, როცა მზე მაღლად, ზენიტში დგას და თავისი სხივებით

ყოველივეს სრულად ანათებს, და როცა ყოველი საგანი სხვაგვარ, უფრო გამოკვეთულ ფერებსა და მოცულობას იძენს ამის წყალობით, ვიდრე მზის ამოხვლისა თუ ჩახვლის უამს; შუადღე ის დროა, როცა ყოველივე ნათლად, ასეთი მკვეთრი განათების გამო, შეუშლია თვალი მოგვქრას, დავაბრმავდეს და მოგვქვლოს უნარს უზიდავის დანახვისა. ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებულნი, რომ უნდა შეგვეძლოს სამყაროს ჭეშმარიტი, საიდუმლო ბუნების ჭვრეტა და მისი ჭეშმარიტი დანიშნულების გულისხმის-ყოფა. ტყუილად როდი ამბობს წმიდა პავლე მოციქული, რომ ჩვენ პატივს უნდა მივაგებდეთ და განვადიდებდეთ ღმერთს როგორც სხეულით ჩვენით, ასევე ჩვენი სულით, და ამას უნდა ვიქმედოთ არამხოლოდ ჩვენი მოქმედებით და სიტყვებით, არამედ ისე, რომ ამ ჩვენი მოქმედებითა და სიტყვებით სამყაროს სრულად გარდავქმნიდეთ იმად, რაც ის თავდაპირველად იყო და რაც საბოლოოდ უნდა შეიქნას, რამეთუ ყოველივე სამყაროში ღვთის საგანია და ყოველივე მასში ღვთაებრივი უნდა იყოს!..

განსვენებული მამა შემანი, ცნობილი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი ამერიკაში, ამბობდა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის უველაფერი ამქვეყნად — საღმრთო სიყვარულია, ის საზრდოც კი, რომელსაც ჩვენ სხეულებრივი ცხოვრების გასაგრძელებლად მივიღებთ. და ეს ჩვენი ცხოვრების უველა გამოვლინებას შეეხება, მის ნებისმიერ სიტუაციაში. ჩვენ ჯეროვნად არა გვაქვს შეცნობილი მატერიის მნიშვნელობა, რადგანაც ყოველგვარი მატერია ჩვენთვის ოდენ მასალად ქცეულა — სახმარად, საშენებლად, შესაჭმელად; ანუ ჩვენთვის ეს მხოლოდ ის ნივთიერებაა, რომლითაც ჩვენ ვცოცხლობთ როგორც პარაზიტები. და ამიტომაც მატერია ჩვენთვის უკვე აღარ არის რაღაც ძვირფასი, მეტად ღირებული, რასაც ჩვენ პატივს უნდა ვცემდეთ და შევავსებდეთ. მაგრამ ყოველთვის, ევქარისტის საიდუმლოს აღსრულებისას, როცა ჩვენ მივიღებთ პურსა და ღვინოს და განწმედა-კურთხევის სიტყვებს წარმოვთქვამთ მათზე, და როცა რწმენისა და გამოცდილების წყალობით ვიცით, რომ ეს უკვე უბრალოდ პური და ღვინო კი არ არის, არამედ საიდუმლო, მიუწვდომელი სახით ქრისტეს სხეულად (ხორცად) და სისხლად გარდაქმნილი შესაწირავია, მსხვერპლია, — აი, ამ წამს ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ მატერია სიწმიდით აღივსება და შეიქნება ქურქლად ღმერთისა.

წმიდა სვიმეონს, ახალ ღვთისმეტყველს აქვს ასეთი სიტყვები: „თუკი შენ გსურს წმიდა, უზაკველი და მშვიდი გულით ილოცო, — გვას-



წავლის იგი, — შეურიგდი ღმერთს, საკუთარ სინდისსა და შენს მოყვასს, და ასევე ყოველ საგანსაც, რომელსაც კი ხელში აიღებ! — დიას, მატერიას შეიძლება მოეპყრა გაფრთხილებითაც და მკრეხელურადაც. ანუ ისე, რომ მხოლოდ მის სარგებლობას ეძებდე შენთვის. მაგრამ ნუთუ ქრისტიანს შეუძლია თავს ნება მიხცეს ამგვარადვე მოექცეს მთლიანად იმ სამყაროსაც, რომელიც თვით შემოქმედი ღმერთის მიერ არის მოწოდებული არსებობისათვის, და იმისთვის არსებობს, რომ, როგორც ანტონი დიდი ამბობს, ჩვენ, ადამიანებმა, თავი ვიხსნათ? ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილნი ვიყოთ დაუსრულებელი საიდუმლოსადმი, „არარასაგან“ ყველაფრის შექმნისა, არარსებობიდან — არსებობად მოყვანისა თვით ღმერთის მოწოდებით — „იყავნ“-ო. და პირველი, რაც განეცხადება თქოთოეულს, ქმნილს ამ მატერიისაგან, ანუ ყოველ ადამიანს, ყოველ საგანს, გამოსულს არარასაგან, — ესაა ღმერთი, ესაა საღმრთო სიყვარული და სიმშვენიერე. — მშვენიერება ყოველგვარი ქმნილებისა, რომელსაც თვით ღმერთმა გამოუხშო სიცოცხლისა და არსებობისათვის. ეს ნათლადაა აღწერილი წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახარებაში, IX თავში, სადაც მოთხრობილია ამბავი ქრისტეს მიერ ბრძის სასწაულებრივი განკურნებისა. პირველი, რასაც კი დაინახავს თვალახელილი კაცი — ეს არის ღვთაებრივი პირისაზე განკაცებული ღმერთისა, და პირველი მშერა, რომელსაც მისი თვალეზი ხვდება, ეს არის მშერა ღვთაებრივი თანაღმობისა. დაცემულ სამყაროში ეს არის ხავსებით ადეკვატური ხაზე არარასაგან ჰარმონიად მოყვანის სასწაულისა, არაფრისაგან — სიმშვენიერეში, სიყვარულში გადასვლისა.

სიტყვა, რომელიც ჩვენ უნდა ვაუწყოთ ადამიანებს, არ არის ძნელი და რთული, მაგრამ ეს სიტყვა შემდეგს განაცხადებს: „ღმერთი“, რომელიც შორს არის ჩვენგან და რომლისთვისაც ჩვენ, ცოდვილი ადამიანები, უცხონი ვართ, ეს „ღმერთი“ არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ღმერთი, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი ყოველთვის ჩვენთანაა და იგი ერთი ჩვენთაგანია. თუკი შევარსებობ, ეს იმიტომაა ასე, რომ მან შემიყვარა და სიცოცხლე მომანიჭა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობა მიბოძა. მან ასე უთხრა ადამიანს: მე შეგიყვარე შენ. შენ თანამგზავრით იქნები, რომელიც ჩემთან ერთად ივლის მარადიულობაში. და ყოველი ადამიანი სწორედ ამისთვის არის მოწოდებული. ჩვენი გარემომცველი სამყარო სწორედ სიყვარულის ამ ქმედებით ცოცხლობს და დაიცვება. ღმერთმა ჩვენ ცხოვრებად მოგვიწოდა, იცოდა რა, თუ როგორ ვიქნებოდით მასში, და მაინც მას

სჭერა ჩვენი. ერთმა რიგითმა რუსმა მღვდელმა „მაღალგანათლებული“ ინტელიგენტის ყველა მტკიცებაზე, არავითარი საფუძველი არა მაქვს მწამდეს ღმერთისაო, ასე უპასუხა: „რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თქვენ არა გწამთ ღმერთისა, ყველაზე მთავარი ის არის, რომ მას სჭერა და სწამს თქვენს! — ჭეშმარიტად, რომ ასეა! ამინ!“

## II. პასუხისმგებლობის, სიყვარულისა და თავისუფლებისათვის

ერთი ფრანგი ღვთისმეტყველი ამბობდა — ქრისტიანი ის არის, ვისაც ღმერთმა სხვებზე ზრუნვა დააკისრაო. ყოველი ქრისტიანი თუ ქრისტიანული თემი — ერთად შეადგენენ იმ ერს ღვთისა, რომელიც პასუხისმგებელია მთელი მსოფლიოს საბოლოო ბედისათვის. როცა ჩვენ პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობთ, მაშინ ვფიქრობთ ხოლმე ღმერთის სამსჯავროზე მიხაცემ პასუხზე ყოველივე იმისთვის, რაც ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე მოგვიმოქმედებია, ანდა იმისათვის, რაც უნდა გვექმნა. მაგრამ არ გვიქმნია. მაგრამ პასუხისმგებლობა, რომელსაც ვატარებთ, მანამდე დიდი ხნით აღრე იწყება ჩვენთვის. ჩემი პასუხისმგებლობა იმ წამს იშვება, როცა მე გონებით, გულითა და სულით ვეპასუხები იმ რთულ პირობებს, რომელშიც არსებობს სამყარო, ანუ რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე ყოველი ცალკეული ადამიანი. ღმერთისთვის კი ყოველი ადამიანი ისევე ღირებული და ძვირფასია, როგორც მთლიანად კაცობრიობა.

მაგრამ ვის წინაშე ვართ ჩვენ პასუხისმგებელნი? — ჩვენ ვთვლით, რომ უნდა ვეპასუხებოდეთ ადამიანთა გაკირვებას და პასუხისმგებლობასაც მათ წინაშე ვიდებდეთ. მაგრამ ჩვენი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა — გული გავუხსნათ ღმერთს და შევისმენდეთ მისას, ამ ჩვენი უხილავი მოყვასისას. ჩვენ ვატარებთ ისეთ პასუხისმგებლობას, როცა ადამიანური გადაწყვეტა ცხოვრებისეული სიტუაციებისა უნდა შეესტყვისებოდეს საღმრთო დადგინებათ, და არა — პირიქით. უფლის დღე — მხოლოდ მისი მეორედ მოსვლის დღე კი არ არის, არამედ ყოველი მიმდინარე დღეც — სწორედ მისი დღეა. ამიტომაც ჩვენ განუწყვეტლივ პასუხისმგებელნი ვართ ღმერთის წინაშე, და არა მარტო ადამიანთა წინაშე. და მაინც ჩვენ ძალზე ხშირად ვამაზინებთ არსს პასუხისმგებლობისა, რომელიც დაგვკისრებია. ბ. ბრეტის ერთ-ერთი პერსონაჟი როგორღაც ლაპარაკობს თავის სიყვარულზე კაცობრიობისადმი;



მას ეკითხებიან: „რას აკეთებთ ხოლმე, როცა ვინმე გიყვართ?“ იგიც პასუხობს: „მე ჯერ ვსწავლობ მას, მერე კი სქემას გამოვიმუშავებ ხოლმე და ვამოწმებ — შეესატყვისება თუ არა ეს ადამიანი ამ სქემას!“

ჩვენც ძალზე ხშირად ამასვე ხომ არ ვიქმთ? ჩვენც საკუთარ წარმოდგენებს — რაღაც სქემას ხომ არ მივუსადაგებთ ხოლმე ჩვენს მოყვასს, და თვით, საკუთარ სინდისსაც კი? და თუ ასე ვიქმთ, ამით ჩვენ ვკარგავთ ყოველგვარ წარმოდგენას იმ შესაძლებლობებზე, რომელთაც ღმერთი გვანიჭებს; ვკარგავთ წარმოდგენას მის განგებულებაზე, რომლითაც ჩვენი ჩვენი ხვედრი განგვემზადება, და იმაზეც, რისთვისაც მან მოგვივლინა თავისი მხოლოდშობილი ძე, ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენი მოყვასის წინაშე, მთელი მსოფლიოსა და კაცობრიობის წინაშე უნდა აღჭურვილი იყოს საღმრთო ხედვით და სწორედ ღმერთის ნებაში უნდა ვმგონებდეთ იმ ნათელს, რომლისკენაც მივისწრაფვით.

როგორც ვენის მთავარეპისკოპოსი კიონიგი ამბობდა, კაცობრიობის მთელი ისტორია არის მეშვიდე დღე შექმნათა, და ეს მეშვიდე დღე — ადამიანის დღეა. ადამიანი კი ვერ აღმოჩნდა ამ მოწოდების შესატყვის სიმაღლეზე, და ამ მოწოდებას მხოლოდ ქრისტე აღასრულებს აწ და მარადის, რამეთუ მან ბოლომდე განახორციელა ის, რისთვისაც ადამიანია მოწოდებული. ღმერთმა, შემოქმედმა ქვეყნისა და ყოველივესი, მეშვიდე დღეს მოისვენა ყოველთა საქმეთაგან, „და დასცხრა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა“ (დაბად. 2, 2), და ადამიანიც იმისათვის იყო მოწოდებული, რომ დაესრულებინა უფლის საქმე. მეშვიდე დღე არის სიმბოლო, ნიში მთელი კაცობრიობის ისტორიისა.

და ჩვენც იმისათვის ვართ მოწოდებულნი, რომ ქრისტეს ფერხთა ნაკვალევს მივსდით. იგი მოქმედებს ძალითა და ხელმწიფებით (იხ. სახარება ლუკასაგან, თავი 4, მუხლი 36), მოქმედებს როგორც წინასწარმეტყველი, როგორც მეუფე და პირველმდებელმთავარი მთელი ქმნილებისა. იგი მოქმედებს სიყვარულისა და თავისუფლების რთული ურთიერთმიმართების გზით. და ჩვენ, მისი ერთი, მისი წარგზავნილები, მისი ეკლესია და მისი განხორციელებული მუნწყოფობა ისტორიაში, — ჩვენ, ადამიანები სწორედ იმისათვის ვართ მოწოდებულნი, რომ ამგვარადვე, ქრისტეს მსგავსადვე ვმოქმედებდეთ...

მაგრამ პირველად საჭიროა დავაზუსტოთ განხვავება ძალასა და ხელისუფლებას (ხელმწიფებას) შორის, რომაული კანონ-სამართალი

და რომაულ-კათოლიკური ღვთისმეტყველება განხვავებენ მათ, თუმცა კი ყოფით მეთყველებაში ამ ცნებებს ხშირად აიგივებენ. ძალის მეშვეობით ადამიანი მოქმედებაში გაწახორციელებს თავის ნებას, თავის გადაწყვეტილებას, მიუხედავად ნებისმიერი წინააღმდეგობისა. ხელისუფლებას, ანუ ხელმწიფებას (სახარებისეული მნიშვნელობით ამ სიტყვისა), სრულყოფილად სხვა მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება ყოველგვარი ძალის გარეშე, ყოველგვარი იძულების გარეშე განხორციელდება. ხელისუფლება სამართლიანია. სწორედ ამითაა დამარწმუნებელი. ქრისტე — ძალითაც მოქმედებს და ხელმწიფებითაც. იგი ძალით მოქმედებს მაშინ, როცა უძლეურებით მოწყულთ განკურნავს და ბოროტ სულთ უბრძანებს ხოლმე დასტოვონ ეს ადამიანები, რომელთა სხეულებში შესახლებულან. ძალითვე მოქმედებს იგი, როცა მიუტევებს მონანულთ ადამიანურ ცოდვებს. ამით ძალა ეშმაკისა დამარცხებულია, სენი ძლეულია, ცოდვა მიტევებულია და წარიხოცება. მაშასადამე, ყოველივე ეს ძალის ქმედებანია. მაგრამ, როდესაც ქრისტე ხალხს მიმართავს, როცა იგი მოუწოდებს მათ იმ მარადიული ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია, მაშინაც ძალით როდი მოქმედებს, რამეთუ იგი მოგვმართავს მოწოდებით და გადმოგვცემს იმას, რაც ღმერთს ნებავენ, რომ ჩვენ ვიცოდით, გულისხმას-ვპყოფდეთ, და ჩვენ ისღა გვრჩება, რომ ვთქვათ: ამინ, ჭეშმარიტად ასეა! მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ მთლიანად მის სიტყვებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღგვაძვებენ ისინი ახალი ცხოვრებითა და სულით. ერთ-ერთი მამა ეკლესიისა გაბედულად ამტკიცებს, რომ ჩვენ არ უნდა მივსდით საღმრთო ბრძანებებს მანამდე, ხანამ არ შეგვეძლება მთელის სულითა და სრულის გულით ვუთხრათ მას: „ამინ, იყავნ ნება შენი!“ სხვაგვარად ქრისტეს სწავლებასა და სიტყვებს ჩვენ გადავაქცევთ ძველი აღთქმის მცნებებად და სიტყვებად, რითაც განვეშორებით ქმედითი, ცოცხალი ურთიერთობისაგან ღმერთთან და მონურ დაქვემდებარებაში შთავარდებითო.. მართლაც, აკი თვით ქრისტე გვეუბნება ჩვენ: „არღარა გეტყვი თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი შესმა მამისა ჩემისაგან, გაუწუე თქვენ“ (იოანე 15, 15). ჩვენ მოწოდებულნი ვართ იმისთვის, რომ თანამოსაქმენი, თანამოსაგრენი ვიყოთ ღმერთისა, ხოლო ღმერთის თანამოსაქმე — ქრისტეს აზრების გამზიარებელია. ქრისტეს ხელმწიფება იმაზეა დაფუძნებული-დამყარებული, რომ მისი სიტყვები —



ურყვი ქეშმარიტება, ანუ ქეშმარიტი ცხოვრება და ხულია სიცოცხლისა. და ასევე — იმაზეც, რომ ძენი ნათლისა უპახუხებენ მის ყოველ ხიტვას — ამინ-ო, და ეს „ამინი“ ერთნაირად აღგვამაღლებს ყველას ჩვენი ცოდვიანი მდგომარეობის მწუხარებიდან საღმრთო ნებასთან ერთობის სიხარულამდე, ღვთაებრივის გაზიარების ნეტარებამდე.

ქრისტე ერთადერთი მეუფეა ჩვენთვის, ყოველი ქრისტიანისათვის, მაგრამ ჩვენ, ერი მისი, მოწოდებულნი ვართ თანამონაწილენი ვიყოთ მისი საწინასწარმეტყველო, სამღვდელო და სამეუფო საქმეებისა. ერთს წინასწარმეტყველს აქვს ნათქვამი, რომ ღმერთის წინასწარმეტყველი ის არის, ვისაც ღმერთი თავის აზრებს გაანდობს, და ამიტომაც ჩვენც მოწოდებულნი ვართ ვუსმენდეთ მას, რათა ვირწმუნოთ და შევისმინოთ სულიწმიდისა. ქრისტიანი, რომელიც ცდილობს ძალის მეშვეობით აღაშენოს ღმერთის მეუფება, არ არის ნამდვილი ქრისტიანი, იგი არ არის ქრისტეს მოდგმისა, არ არის ერთ-ერთი მისი წმიდა ერისაგან. მაგრამ ვისაც ეშინის ძალისა და პასუხისმგებლობისა მაშინ, როდესაც მოვალეობა მოუწოდებს, სიმტკიცე წარმოაჩინოს, — ასეთი ადამიანი ღალატობს მისდა დაკისრებულ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას. როცა სამღვდელო მსახურებაზე საუბრობს, წმიდა იოანე კრიზოსტომი წერს, რომ ყველას, ნებისმიერს შეუძლია მმართველი იყოს, მაგრამ მხოლოდ მეფეს ძალუძს თავისი ერისათვის მოკვდესო. მეფის მოწოდებაა — ისე შეუერთდეს, იმგვარად გაუიგივდეს თავის ხალხს, რომ სიცოცხლეს ხალხისა — მის სიცოცხლედ იქცეს, ხოლო სიკვდილი ერისა — მისივე სიკვდილი იყოს. მეფე მხოლოდ ის როდია, ვინც მართავს, ვინც მეფობს, — არამედ მეფე ისაა, ვინც ბოლომდე გაიღებს თავის სიცოცხლეს თავისი ხალხისათვის მსგავსად ქრისტესი, რომელიც ამბობს, რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანებს... ქრისტე ხომ პირველმღვდელმთავარია მთელი ქმნილებისა, იგი ერთსა და იმავე დროს შესაწირავი მსხვერპლიცაა და ისიც, ვინც სწირავს ამ მსხვერპლს. და ჩვენც, ადამიანები იმისათვის ვართ მოწოდებულნი, რომ ასეთივენი ვიყოთ ჩვენი და ქრისტესმიერი ადამიანობის საზღვრებში, — ანუ ვიყოთ უკიდურესი მსხვერპლი, რომელიც ღმერთისათვის იწირება...

ერთხელ თოთხმეტი წლის მოზარდმა ვაჟმა ასეთი სიტყვები მითხრა: „მე მივხვდი, რომ თუკი არ ვცდილობ ხოლმე წმიდა ვიყო, ამით რაღაცას ვართმევ ღმერთსაც და ადამიანსაც. არ ვაძლევ მათ იმას, რაც უნდა მივცე“. სიწმიდე იწყება საკუთარი თავის სრული გაღებით, სრულ

ლი განცხადებით თავისა ღმერთის წინაშე და სრული მიღებით მისი ნებისა სიმდაბლითა და სიყვარულით.

ქრისტიანობა, როგორც არც ერთი სხვა რელიგია, განისაზღვრება სწორედ სიყვარულით, სიმდაბლითა და თავისუფლებით; სიყვარულითა და სიმდაბლით ~~ქრისტე~~ როგორცაა ეს ქრისტეში შევიცანთ ~~წმიდა~~ მსახურების მეშვეობით, და თავისუფლებით — ისე, როგორც უნიკალური თვისებით ურთიერთობებში ღმერთსა და ადამიანს შორის.

სიმდაბლე არ არის ოდენ დაკნინება საკუთარი თავისა. სიმდაბლე — ნოტიო, ნაყოფის მომცემი მიწის მსგავსია. ჩვენ მას მივიღებთ როგორც ჭეროვანს რასმე, ჩვენ განუწყვეტლივ ვიღებთ მისგან, ის კი განუწყვეტლივ იძლევა იმას, რაც ჩვენ გვიძმს. იყო მდაბალი — ნიშნავს უსიტყვოდ, სიხარულითა და სიუხვით გასცემდე ყოველივე იმას, რაც კარგი გაქვს, გაიღებდე შენს სიმდიდრეს ისე, რომ არ ინანდე, არ ძუნწობდე. ასეთი გაცემა, სხვასთან ერთად, უმთავრესად, სულიერი სიმდიდრის გაცემას რომ გულისხმობს, კი არ გაგაღარიბებს, არამედ, პირიქით, უფრო მეტის მქონედ შეგქმნის, გაგამდიდრებს. სიმდაბლის გარეშე არ არსებობს სიკეთე, რამეთუ ყოველგვარი სიკეთე და ქველი საქმე სწორედ სიმდაბლეზეა დაფუძნებული, მასში განხორციელდება და მისი მეშვეობით მოქმედებს და ქმნის...

სიყვარულს ჩვენ წარმოვიდგენთ როგორც სულისმიერ გრძნობას, სინაზეს, სიბოხს. მაგრამ სიყვარული, ამავე დროს, არის საკუთარი თავის გაცემაც, სხვისადმი მისი მიძღვნა, — სწორედ ამაშია მისი საწყისი და აზრი. აბა, მიიღე ჩემი თავი! — ღაღადებს სიყვარული. — აიღე ჩემი სიცოცხლე, ჩემი ცხოვრება!.. ერთმა ჩემმა მეგობარმა ამ უკანასკნელი ომის დროს ოთხი მძიმე წელიწადი გაატარა გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში. ჩვენი პირველი შეხვედრისას მან ამიხსნა, თუ რატომ განიცდიდა სულიერ ტანჯვას ბანაკიდან გამოსვლის შემდეგ, როცა განსაცდელი თითქოს წარსულს უნდა ჩაბარებოდა: „სანამ მე ბანაკში ვიმყოფებოდიო, — შეუბნებოდა იგი. — და სანამ სისახტიკის, ძალადობისა თუ აბუჩად აგდების მსხვერპლი ვიყავი; სანამ ყოველ წამს სიკვდილი შემუქრებოდა, მე შემეძლო ნებისმიერ დროს ღმერთისათვის მიმემართა და მეთქვა: უფალო: შეუნდე ამათ, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმანს.. და მე ვიცოდი, რომ ღმერთს უნდა შეეწყნარებინა ჩემი ლოცვა-ვედრება, რადგანაც მე საკუთარი ტანჯვა-წამებით ვინდიდი საზღაურს ამ ღოცვისათვის... ახლა კი, როცა სრულიად თავისუფალი ვარ და არანაირი



სატანჯველი არ მომწყლავს და არც უწინდელი განსაცდელი მემუქრება, თითქოს აღარაფერი მაქვს სათქმელი ღმერთის წინაშე. ჩვენმა მტანჯველებმა, შესაძლოა, დღესაც არ იციან, თუ რა მოიმოქმედეს. და როცა მე ვლოცულობ ხოლმე მათთვის და ვევედრები ღმერთს, შეუნდე-მეთქი მათ ცოდვები, განა რა შემიძლია წარვუდგინო უფალს დასტურად ჩემი ღოცვის გულწრფელობისა?! — მე ხომ აღარ ვიტანჯები, არ ვევენები უწინდებურად. როცა ვეუბნები, მოუტევე-მეთქი მათ, უფალო, — რა უნდა შეუნდოს მათ ღმერთმა? — მე ხომ აღარ ვიტანჯები ამ ადამიანთა გამო, და ამიტომ აღარც ძალმიძს იმ საფასურის გადახდა, რომელიც ჩემს ღოცვა-ვედრებას დამაჭრებელს გახდიდა!..

ასეთი სიყვარული ღრმად განიჩევა იმ ნაწი, თბილი გრძნობებისაგან, რასაც ჩვენ ერთმანეთის მიმართ განვიცდით და რასაც, ჩვეულებრივ, სიყვარულს ვუწოდებთ. ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი გაბრიელ მარსელი ამბობდა: „უთხრა ადამიანს მიყვარხარო, ნიშნავს, რომ ამცნო მას — შენ არასდროს არ მოკვდებიო“.. ჩვენ ყველანი შეშფოთებას, ჭოქმანის გრძნობას განვიცდით, არა ვართ დარწმუნებული ჩვენს თავში, და ასეთი მდგომარეობა სულითა თვით ჩვენი არსების სიღრმიდან მომდინარეობს. და თუკი ჩვენ უხიჯათობის გრძნობას განვიცდით და თავდაჭერებულნი ვართ, ეს იმიტომაა ასე, რომ უნარი გვაქვს რწმენით აღჭურვისა, რომელშიც მივენდობით ღმერთს. ვისაც ეს თავდაჭერებულობა და რწმენა არა აქვს შეძენილი, ის იმ ადამიანს მგავს, ვისაც ფეხქვეშ ნიადაგი გამოსცლია და ვერც კი გრძნობს, რომ არსებობს და რაღაც დანიშნულებისათვის არის მოწოდებული. ვერ გრძნობდე საკუთარ არსებობას — ეს ხომ ყოველად აუტანელი მდგომარეობაა ადამიანისათვის. და მხოლოდ დაჭერებულობას, რომ ვილაცხას ვუყვარვართ, ძალუძს გაგვათავისუფლოს ჩვენ თვითდაშვიდრების აუცილებლობისაგან. ვინც უყვართ, ის არ იმკვიდრებს თავს, მას ეს არ სჭირდება. ასეთ ადამიანს შეუძლია თავს ნება მისცეს დაიფიქროს აუცილებლობა საკუთარი მეობის დამკვიდრებისა, და მხოლოდ სხვაზე იფიქროს, მხოლოდ მოყვასზე იზრუნოს და მხოლოდ და მხოლოდ მოყვასისადმი იყოს მიქცეული, რომელიც უყვარს. დიან, ასეთი რამ შეგვიძლია ჩვენ, თუკი ვუყვარვართ და გვიყვარს, რამეთუ სწორედ ასეთი სიყვარული ამკვიდრებს ჩვენს მეობას, ჩვენს ღირსებას, ჩვენს ადამიანურ სიღირსებას; სწორედ ეს სიყვარული შეხიძნის ღირებულებას ჩვენს უცვალებელ და მარადიულ მნიშვნელობას სხვისათვის, სულ ერთია ვინ

იქნება იგი — ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ყრმა. სწორედ ამგვარი სიყვარულით ვუყვარვართ ჩვენ, თავისი ქმნილება, ღმერთს. ეს გასაგებია ქრისტიანისათვის, მაგრამ არ არის გასაგები ურწმუნო ადამიანისათვის, ვისაც არა სწამს ქრისტე, რამეთუ ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის სიცოცხლის მნიშვნელობა და მნიშვნელობაა, რომ ყოველთვის მთლიანად, მთლიანად მიუძღვნაღეს თავს სხვას, მოყვასს, მარად მზად იყოს მისთვის თავის გასაწირად.

ცნება თავისუფლებისა — განუყოფელია სიყვარულისაგან. თავისუფლება ისეთ სიყვარულს გულისხმობს და იმგვარ პატივისცემას მოყვასისადმი, როცა მას, მოყვასს, სრულყოფილად, შეუძლია იყოს ის, რაც არის, და არა ის, რაღაც ჩვენ გვსურს, რომ იგი იყოს, როგორცაა ჩვენ გვსურს ვიხილოთ იგი... კ. ს. ლიუიხის „შფოთისთავის წერილებში“ ბებერი ქაჩი ასე სწერს თავის დისშვილს: „ვერ გამოვიგია, რას გულისხმობს ჩვენი მტერი (ასე უწოდებს იგი უფალს — ა. ს.), როცა ამბობს — მიყვარს ჩემი ერი და ამიტომ სრულ თავისუფლებას ვანიჭებო მას. როცა მე გეუბნები, მიყვარხარ-მეთქი, — ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ჩემს ხელში ხარ, მე მიპყრიხარ და უჩემოდ ვერ იცოცხლებ. აი, ესაა ნამდვილი სიყვარული!“..

არა, ჩვენ ამგვარი სიყვარული არ გვინდა, — ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქრისტესმიერი სიყვარული, ისეთი, როცა შეგვეძლება საკუთარი სიცოცხლე მივუძღვნათ მოყვასს, თავი დავდოთ მისთვის, ყველაფერი, რაც გვაქვს, მისი კეთილდღეობისათვის გავიღოთ, და ამავე დროს თავისუფლებაც მივანიჭოთ ამ ჩვენს მოყვასს, ანუ მივცეთ შესაძლებლობა, რომ ყოველთვის იყოს ის, რაც არის!..

III. ფიქრები ეკლესიაზე

ყოველ საუკუნეს ძრისტიანობის ისტორიისა თავისი ძირითადი თემა აქვს. თავდაპირველად ქრისტიანული აზრი ღმერთის უდიდესი საიდუმლოსაკენ იყო მიმართული — ადამიანისათვის ჭეშმარიტი ღმერთის გაცხადების საიდუმლოსაკენ, რაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ აღსრულდა. ამ გამოცხადებამ მოგვიწოდა ჩვენ, ქრისტეს ეკლესიის წევრებს, უშუალოდ, პირადი გამოცდილებით შეგვეცნო სულიწმიდის ცხოველმყოფელი და ფერ-მცვალებელი გარდამოსვლა, და მანვე, ამავე გამოცხადებამ, შექმნა ეკლესია. მისი თითოეული წევრი და მთელი ეკლესია ზოგადად — ქრისტესმიერი ერთობითა და სულიწმიდის ძალით არიან ძენი და ასულნი უზენაესი ღმერთისა.



და სასწაულში ღმერთის განხორციელებისა, ჯვარისმიერ ვნებაში და მკვდრეთით აღდგომის დიდებულებაში ღმერთის მხოლოდშობილი ძის მიერ ეკლესიას მოემადღება გამოცხადება მამა-ღმერთისა — უზენაესისა და მიუწვდომელისა.

მომდევნო საუკუნეებში ეკლესია თავისი არსებობის არსს უნდა ჩაღრმავებოდა, და ახლა კი დადგა დრო იმის შეცნობა ვცადოთ, რაც თავიდან განგვეცხადება როგორც ხაილუმლო, შემდეგ, დროდადრო კი აღიქმება როგორც გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩვენ ვიბნევით, თავგზას ვკარგავთ, მაგრამ, რომელიც, ამავე დროს, გვაიძულებს ჩავუფიქრდეთ და ვცადოთ ჩავწვდეთ მთელს სიღრმეს ჩვენ მიერ ღმერთის შემეცნებისა. ამ შემეცნების გზა არ არის თეორიული, ინტელექტუალური, — ეს არის გზა გამოცდილებისა, ერთობისა, ზიარებისა და მონაწილეობისა. მაშახადამე, ჩვენი (საუკუნის) თემაა — ეკლესიის ბუნება; ეკლესია ღმერთის წინაშე, ეკლესია და მისი წევრები, ეკლესია და მსოფლიო, კაცობრიობა, — ის მსოფლიო, რომელშიც მოვიდა ქრისტე, რათა გამოესყიდა და ეხსნა იგი, და სრულიად ახალი ცხოვრება მოენიჭებინა მისთვის, ახალი სიცოცხლე შეეძინა; რათა განევრცო ამ მსოფლიოსათვის ჩვეული დრო მარადიულობის უსაზღვროებადმე, საუკუნოობამდე; და რათა ყოველივე ტრანსცენდენტური, თვით მიუწვდომელი ღმერთი — იმანენტური გამხდარიყო და მუნმყოფი ყოფილიყო არა მარტო მთლიანად ჩვენში, მთელს ეკლესიაში, არამედ თითოეულ ჩვენგანშიც...

ოდესღაც შედარებით ადვილი იყო ეკლესიის არსის განსაზღვრა, მისი საზღვრების გამოკვეთა. მაშინ დღის საჭირობოროტო საკითხი ძირითად საკითხად შეიქნებოდა ხოლმე: ადამიანთა რწმენა იყო რწმენა ქრისტესი, როგორც უფლისა და ღმერთისა, ანუ რწმენა სამებისა და მისი გამოცხადებისა, რაც ქრისტეს მიერ იყო მოცემული წმიდა სახარებაში. იმ ადრეულ ხანებში ყოველგვარი გადახვევა საერთო სარწმუნოებისაგან — იყო გადახვევა თვით ქრისტიანობისაგან. მოგვიანებით საქმის ვითარება შეიცვალა, ეს ყოველივე ნაკლებ გამოკვეთილი შეიქნა და გართულდა. ის, რაც აშემადა ბუფს ერთმანეთისაგან ქრისტიანებს (შე არ ვგულისხმობ იმას, ვინც, უბრალოდ, თანამედროვე ცხოვრების შესატყვისი სიტუცებით იმეორებს ძველ მწვალებლობებს და ნამდვილად უარმყოფელია ძირითადი ქრისტიანული ქეშმარიტებებისა). — ახლა ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც ძველ ქრისტიანებს განუოფდა და განაშორებდა ერთმანეთისა-

გან. ჩვენ წინაშე იმგვარი საკითხები წარმოდგება, რომლებიც ახე მწვავედ არ იდგა ხოლმე იმ დროს, როცა დავობდნენ თვით არსზე ქრისტიანობისა, ეს საკითხებია: როგორ განვსაზღვროთ ეკლესია, როგორ გამოვკვეთოთ მისი საზღვრები? როგორ განვსაზღვროთ თვით ბუნება ეკლესიისა? როგორ უნდა იქნება ემუქრება მას ამჟამად? რომელ შემცირებულებაში შეიძლება შთაცვივდნენ ეკლესიის ცალკეული წევრები და მთელი თემებიც, რითაც ისინი უღალატებენ არა მარტო ღმერთს, არამედ საკუთარ თავსაც და მსოფლიოსაც, რომელშიც მოვლენილან და რომელშიც საკუთარი თავი უნდა შეიცნონ?..

ეკლესიას ორი მხარე აქვს. ერთი მხრივ, ეკლესია წარმოადგენს ხილულ, ისტორიულ რეალობას, მას სწავლობენ ისტორიკოსები და სოციოლოგები. ეს არის კონკრეტული ადამიანური საზოგადოება, თემი თავისი ნაკლოვანებებითა და სისუსტეებით, თვითდადგინებისა და თვითდამკვიდრების პროცესში რომ აღმოცენდებოდნ... მეორეს მხრივ (და ეს მხარე მხოლოდ ქრისტიანისათვისაა მისაწვდომი), ეკლესია არის რწმენის ობიექტი. რწმენა — არის დაჯერება უხილავისა (ებრაელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლე, თავი II, მუხლი 1). როცა რწმენაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რწმენით მისაწვდომი — უხილავია, რომ რწმენა არის განსაკუთრებული ნიჭი, ზეგარდმო მომადლებული ადამიანისათვის. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ რწმენა არის მტკიცე, ურყევი დაჭერებულობა, — არა ქოქმანი, არა ეჭვი, არა უიშნეული სურვილი რაიმეს დაჭერებისა, არამედ ძალოვანი რწმუნება, დაფუძნებული პირად გამოცდილებაზე...

ისტორიულად ეკლესია წარმოადგენს უძლურ და ცოდვილ ადამიანთა ერთობას, უძლურ ადამიანთა თემს, მაგრამ, ამავე დროს, ერთს რაიმეში იგი არსებითად განსხვავდება ცოდვითა და უძლურთა სხვა ნებისმიერი თემისაგან; როგორც წმიდა ეფრემ ასური ამბობს, „ეკლესია არის არა მართალთა და კეთილმსახურთა კრებული (ოდენ), არამედ მონანულ ცოდვითა კრებული“. მაშახადამე, სწორედ სინანულია ეს განმასხვავებელი რამ.

მონანიება არ ნიშნავს ჩვენი ცოდვების დატირებას, ანუ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნას. მონანიება მოასწავებს ჩვენს მოქცევას ღმერთისაკენ, რომელსაც ცოდვის გამო ვიყავით დაშორებულნი; სინანული ნიშნავს თრთოლვით დგომას ღმერთის წინაშე და ჩვენი ცოდვების გამობა-გაკიცხვას; სინანული არის შემუსრვილი გულით წარდგომა ღმერთის წინაშე



და ამავე დროს ხიბარულითაც იმის გამო, რომ, აი, სწორედ მის წინაშე ვდგავართ, ჩვენი მხსნელის, ჩვენი მაცხოვრის წინაშე, რომელსაც უსაზღვროდ ვუყვარვართ და რომელსაც ჩვენი ხედნიერება სურს... ჩვენ, ყოველნი ამქვეყნად მცხოვრებ ადამიანთაგან, ჭეშმარიტად ცოდვილნი ვართ, მაგრამ სწორედ ჩვენ, როგორც არავის, ისე მოგვეცა შეცნობა ცხოველი ღმერთისა, — შეცნობა მისი როგორც ჩვენი გამოხსნილებისა, მხსნელისა და მაცხოვრისა, როგორც ცხოველმყოფელი სიყვარულისა, ჩვენ ამ ღმერთს შევიმეცნებთ როგორც იმას, ვინც ერთი ჩვენთაგანი შეიქნა, რათა ჩვენ შევქნილიყავით მონაწილენი ყოველივე იმისა, რაც იგია თავის ღმერთკაცობრივ ბუნებაში. მაგრამ ხაეკლესიო თემი არის არა მხოლოდ კრებული ცოდვილებისა, არამედ ისეთი ერთობაც ადამიანებისა, რომელთა გამოც პირველ ხანებში იტყოდნენ ხოლმე — მათ უყვართ ერთმანეთიო. და ვაგლახ, რომ იგივეს თქმა უკვე შეუძლებელია ჩვენთვისაც, თანამედროვე ქრისტიანთა გამოც. არც ერთი ურწმუნო ადამიანი, არანაირი მძიმებული ხარწმუნოებისა დღეს არ იტყვის — აი, ამ თემშია ცხოველი ღმერთი, რამეთუ მასში სიყვარულია განცხადებულიო... ადრეული ქრისტიანული თემი კი სწორედ იმედისა და სიყვარულის სიტყვას განაცხადებდა რწმენის მეშვეობით. ამ მტკიცე დაჭერებულობის გზით, რომელიც ადამიანს ღვთაებრივ ცხოვრებასთან საიდუმლო ზიარებით მოენიჭება. ჩვენ კი, თანამედროვე ქრისტიანებს, მნიშვნელოვანწილად დაგვიკარგავს ეს სიტყვადე და მკაფიობა. და ამიტომაც დღეს სახარებისეული სიტყვა (ჩვენ მიერ) ნაუწყებია და ნაქადაგევია როგორც განკითხვა, როგორც განსჯა და გახამართლება ყველასი, ვინც ჩვენნაირი არ არის...

ეკლესიაში, ანუ ეკლესიისა და ღმერთკაცის — იესუ ქრისტეს მიერ ჩვენ იმისათვის ვართ მოწოდებულნი, რომ შევიძინოთ მისი ადამიანურობა და ღვთაებრიობა. ნათლისღებისა და ევქარისტის საიდუმლო გზით, რწმენისა და სიყვარულის მეშვეობით, ქრისტესთან ლოცვითი ურთიერთობით ჩვენ მოწოდებულნი ვართ ჩვენი ადამიანური ბუნებით შევიქნათ იმად, რაც თვით იგია მარადიულად მისი ადამიანური და ღვთაებრივი ბუნებით; ანუ ისევე ვიცვალოთ ფერი, როგორადაც ჩვენმა უფალმა იცვალა თავის დიდებულებაში. მაგრამ მანამდე ჩვენ მხოლოდ მინამსგავსნი ვართ იმისა, რადაც ყოფნისათვის მოგვიწოდეს.

ეკლესიაში ჩვენ გვეძლევა გამოცხადება არა მხოლოდ ქრისტეს ღმერთკაცობისა, არამედ ღმერთის მუნდყოფობისაც სულიწმიდის მიერ... ჩვენ კარგად გვახსოვს საღმრთო წერილის გად-

მოცემა სულიწმიდის გარდამოსვლის შესახებ მეერგასის დღეს, მაგრამ ჩვენ ვივიწყებთ ხოლმე არანაკლები მნიშვნელობის მქონე მოვლენას, რომელზეც მოთხრობილია იოანეს სახარების XX თავში: როცა პირველად გამოეცხადა მოწაფეებს თავისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, ქრისტემ უთხრა მათ: „მშენებლებო, ქვეყნთანა!“ „და ვითარცა ეს თქუტუ შექმნრტუ მხურ და შრქუა; მიიღეთ სული წმიდაი!“ (იოანე 20, 21-22). არის ძალზე მნიშვნელოვანი განხილვა იმაში, თუ როგორ მოემადლათ სულიწმიდა მოწაფეებს, ანუ მთელს ხაეკლესიოს სხეულს, და იმ მოვლენაში, რომელიც მეერგასის დღეს აღსრულდა. სულიწმიდა ქრისტეს წმიდა მოციქულებს, მის მოწაფეებს იმიტომ მოენიჭათ, რომ ისინი ქრისტეს სხეული არიან მასთან და ერთმანეთთან ერთობაში. ძალი სულიწმიდისა თითოეულს ცალკე როდი მოემადლა. არც ერთ მათგანს არ შეუძენია ეს მადლი სულიწმიდისა ისე, როგორც მეერგასის დღეს შეიძინა ყველამ, ვინც კი იმ დროს იქ იმყოფებოდა. ეს მადლი სულიწმიდისა ერთობლივ დაეკისრათ მათ თვით უფლის მიერ, ამ დღეს მოწაფეთა შორის არ იყო თომა. როცა მოგვიანებით მან დაინახა ქრისტე, იგი არ საჭიროებდა იმას, რომ ცალკე მიეღო უფლისაგან სულიწმიდის ძალი, რამეთუ, იყო რა ნაწილი ამ ერთიანი სხეულისა, წევრი მოწაფეთა თემისა, მან მათთან ერთადვე, დაუსწრებლად მიიღო ეს საზოგადო მადლი. და ეს იმიტომ აღსრულდა ამგვარად, რომ სულიწმიდით აღსავსეა მთელი სხეული ეკლესიისა, მთელი ერთობა, მთელი თემი ქრისტიანებისა, და ამ თემის შიგნით სულს წმინდას შეუძლია მიაღწიოს მის ყოველ წევრამდე, შეუძლია სწორედ ეკლესიაში — ქრისტეანთა ერთობაში — აღგვავესო ჩვენ თავისი ძალით, და ეს დიადი რამ — სულიწმიდის გარდამოსვლა ჩვენში აღსრულდება ეკლესიის იმ ქმედებათა მეშვეობით და უფლის იმ დიდ საქმეთა მეშვეობით, რომელთაც ჩვენ საღმრთო საიდუმლოებებს ვუწოდებთ...

ამრიგად, ეკლესია ჩვენთვის არის ერთი სხეული, ერთი თემი, რომელიც აღვსებულია უფლის ღვთაებრივი საიდუმლოთი, და ეს საიდუმლო ჩვენ გადმოგვეცა როგორც მარცვალი, ანდა როგორც კვირტი, რომელიც უნდა გაღვივდეს და გაიზარდოს. ამ ურთიერთობაში, ამ თანაზიარობაში ჩვენსა და ღმერთის ძეს შორის ჩვენ ვართ ვაზის ნაზარდი რქები, დამყნობილნი მასზე. — ჩვენ ვართ სისხლმდინარი კრილობა სისხლმდინარ კრილობაზე, ისე, რომ მისი სიცოცხლე ჩვენს ძარღვებში მიედინება და ყოველივეს განაცხოველებს, ყოველივეს



განაღმრთოვებს ჩვენს არსებაში. ეს არის საიდუმლო ყოველი ჩვენგანის აღვსებისა სულიწმიდის მადლითა და ძალით. წმიდა შაქსიმე აღმსარებელის სიტყვებით რომ ვთქვათ: ეს იმას ჰგავს, ცეცხლი რომ მოიცავს ხოლმე ერთიანად რკინის მახვილს, ისე, რომ შესაძლებელია ვანკვეთო ცეცხლით და დასწვა რკინის მახვილით, ანუ როცა ეს ორი რამ ერთშია შეერთებული. ამ განუმეორებელ ურთიერთანაზიარობაში სულიწმიდის მეშვეობით ჩვენ ჰქმნარითად შევიქნებით; ძეგბად და ასულეგბად ჩვენი ზეციური შამისა. ქრისტესთან თანაზიარობაში ჩვენ იმად შევიქნებით ღმერთის მიმართ, რაც ქრისტეა მის მიმართ და მის მიერ. როგორც წმიდა ირინეოს ლიონელი ამბობს, ჩვენ თანდათანობით შევიქნებით ღმერთის მხოლოდშობილ ძედ. ჩვენი ჰქმნარითი ბუნება და მოწოდება არის ვიყოთ იმგვარი ერთიანობა, ისეთი თემი ადამიანებისა, რომელიც ერთდროულად კაცობრივიცაა და ღვთაებრივიც, ანუ კაცობრივიც და ღვთაებრივიც ერთდროულად ყოველ ცალკეულ ადამიანშიც და მთელს თემშიც ზოგადად. ღვთაებრივი — მხოლოდ იმიტომ კი არაა, რომ ღმერთი ჰგვიბს მათში, და კაცობრივიც — არა იმიტომ ოდენ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ, არამედ — ღვთაებრივიცა და კაცობრივიც ცხოველი ღმერთის ყოველივეს აღმავსებელი მუნშყოფობის მიერ...

განა უდიდესი სასწაული არ არის ეს, რომ ღვთაებრივი ცხოვრება ჩვენთან მატერიალური საშუალებებით მოდის — წყალით, პურიით და ღვინით! რა დიდი სასწაულია ის, რომ ისინი ჩვენ ადამიანური ხელით გადმოგვეცემა, იმ ხელით, რომელსაც სულიწმიდის მიძღვრით დაასხამენ თავზე! რა დიდი სასწაულია ის, რომ მთელი ეს არსებული სამყარო იმგვარად შეიქმნა, რომ იგი ყოველთვის აღსავსეა ღმერთით და შემოქმედი ღმერთიც ყოველთვის აღსავსეა თავისი ქმნილებით! ანუ, როგორც ღვთაებრივი პავლე მოციქული ამბობს, მოვალს დღე, ოდეს ღმერთი ყოველივეში სრულად იქნება... ჩვენი სხეულები — წმიდაა, საიდუმლონი—ნივთიერად, მატერიალურად რეალური არიან. ეს მხოლოდ სიმბოლოები როდია, ჩვენდა მოცემული იმისთვის, რომ მიუწვდომელის წვდომაზე შეგვეწიონ. არა, საიდუმლონი ეკლესიისა — ქმედითი გზაა მადლისათვის. ხალხთო ძალისა და სიყვარულის მოქმედებებია.

მე ვსაუბრობდი ეკლესიაზე, როგორც რწმენის ობიექტზე, რამეთუ ის, რასაც ჩემი სიტყვა შეეხებოდა, არ არის ხოლმე ხილული გარედან, თუკი ამ ეკლესიის ყოველი წევრისაგან, ანუ ერთიანად მთელი ეკლესიისაგან არ გამოიცემა რაღაც ნათელი, რაღაც ბრწყინვალეა. გავიხ-

სენოთ წმიდა მოსე, რომელიც სინას მთიდან ჩამოდიოდა, აღსავსე ისეთი ბრწყინვალეობით ხალხთო მადლისა და დიდებისა, რომ იგი იძულებული იყო დაეფარა კიდეც პირისახე, რადგანაც ამ ნათელის თვალისმომჭრელი ციალი აუტანელი, დამაბრმავებელი იყო ადამიანებისათვის. ასეთი ნათელის გამომგვინების მაგალითებს თუ გავიხსენებთ, გაცილებით ახლოს ჩვენთან დროის მხრივ არის წმიდა სერაფიმე საროველი, რომელსაც არაერთგზის დაურთავს ნება თავის ახლობელ ადამიანთათვის და მოწაფეთათვის ცხადად ეხილათ ხოლმე იგი არამქვეყნიური ნათლით საკვირველად გაბრწყინებული.

რუსული საბერმონაზვნო გადმოცემების თანახმად, ამქვეყნად არავის ძალუძს ბერად აღიკვეცოს და ნამდვილად საბერმონაზვნო ცხოვრებას შეუდგეს, თუკი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თუნდაც ერთი ადამიანის პირისახეა თუ თვალეში არ უხილავს ეს სასწაულებრივი ბრწყინვალეა ღვთაებრივი, საუკუნო ცხოვრებისა. აი, როგორნი უნდა ვიყოთ ჩვენ! აი, რისთვისა ვართ მოწოდებულნი! აი, საიდუმლო სახით, რანი ვყოფილვართ ჩვენ, მიუხედავად ჩვენი ცოდვიანობისა, მიუხედავად იმისა, რომ ასე მძიმენი ვართ, ასე გაუშვებრვალნი, — ჩვენ, ჩვენი ერთობა, ეკლესია ქრისტესი მაინც არის ის ადგილი, სადაც ღმერთი ჰგვიბს (მუნშყოფობს) და საკვირველად მოქმედებს!..

მე ვთქვი, ჩვენ მძიმენი, გაუშვებრვალნი ვართ-მეთქი. ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების მიზანიც სწორედ ეს არის, რომ მსუბუქნი შევიქნათ, გამშვებრვალნი, როგორც ქრისტალი, რომელიც შეაძლებინებს ღვთაებრივ ნათელს განგვსკვალოს ჩვენ, გაიაროს ჩვენში, და კვლავაც წმიდა და შეურყვნელი დარჩეს. და ჩვენც ქრისტალთა მსგავსად უნდა ვირეკლავდეთ ამ ნათელს, განვავრცელებდეთ მას, რათა იგი ყოველი მიმართულებით იფანტებოდეს, ყოველგნით ასნივებდეს ხალხთო მადლს და ყველას და ყველაფერს აღწევდეს. აი, ეს არის ჩვენი მოწოდება. მაგრამ იმისთვის, რომ აღვასრულოთ იგი, ჩვენ უნდა განვიწმიდოთ თავი. მძიმე, შავი ქვანახშირისაგან, — რაც აწ ვართ, — ჩვენ უნდა გადავიქცეთ ალმასად, რომელიც აკი იგივე ქვანახშირია, ოღონდ განწმედილი და გამჭირვალე! ჩვენში არის საოცარი შეზავებულობა სიწმიდისა და ცოდვიანობისა. იმ წამს, როცა ცოდვა აღარ არის ხოლმე ჩვენთვის ის კერპი, რომელსაც ჩვენ ასე ვეთაყვანებით, ანუ აღარ არის ის უფსკრული, ის დანახეთქი, რომელიც ჩვენ ღმერთისაგან გვაშორებს, იმ წამს იგი შეიქნება ხოლმე აღ-



გილად შეხვედრისა ჩვენსა და ღმერთს შორის. განკაცების გზით ღმერთმა შესახვედრად მოგვიწოდა, თავისთან დასაბრუნებლად გამოგვიხმოს ჩვენ ცოდვის წყვდიადიდან. ასე რომ, სადაც ცოდვა სჭარბობს, იქვეა—მადლიც! შეხვედრა ჩვენთან მისთვის ნიშნავს შეხვედრას ცოდვასთან, ბოროტებასთან. ქრისტე სწორედ ჩვენ-მიერი ბოროტების, ჩვენი ცოდვის მიერ იქნა ქვარცმული, მაგრამ ქრისტეს მიერ ჩვენ ვძლევთ ამ ბოროტებას, ცოდვას.

ცოდვას არ ძალუძს საბოლოოდ განგვაშოროს ღმერთისაგან, თუკი ჩვენ საკუთარი ცოდვინობის შეგნებით, მონანულნი წარვდგებით მის წინაშე. მაგრამ თითოეულ ჩვენგანში არის ის ბნელი რამ, ის გამოუსყიდველი თვისება, რომელსაც არ შეხება არც რწმენა და არც გამომსყიდველი ძალა სინანულისა. და რა ადვილია, ამიტომ, ვითომცდა ღმერთისა და ქრისტე-მარტოების სიყვარულით სიძულვილის მიერ ვიქნათ გატაცებულნი.. როგორღაც ასე მოთხრა ერთმა ადამიანმა: „რა თქმა უნდა, მე შევიყვარე ჩემი მტრები. მაგრამ მე მძულს ღმერთის მტრები!“ იგი ქველის-საქმედ მიიჩნევდა ამგვარ სიძულვილს, და აკი ყოველი ჩვენგანიც ადვილადაა მიდრეკილი იმისაკენ, რომ სძულდეს თავისი, და უფრორე კი, ღმერთის მტრები, რადგანაც ბოროტების აღმონაცენად მივიჩნევთ მათ. მაგრამ ჩვენ გვაფიქვდება, რომ წმიდა მოწამეებიც თავს სწირავდნენ თავიანთი მტანჯველებისათვის, რადგან ქრისტეს სიტყვებსა და აღთქმას აღასრულებდნენ, სწორედ იმას, როცა

იგი ამბობს: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკა 23, 34).

ქრისტეს ეკლესიაზე ამ ფიქრთა დასასრული, მე კვლავაც გავიმეორებ: ჩვენ ძალზე ვიფიქვებით ეკლესიის ქრისტეობის ბუნებას, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს ერთ თემს, ერთობას, კაცობრივსაც და საღმრთოესაც. ქრისტე ჩვენ ეკლესიას ისე განვიხილავდეთ, როგორც კაცობრივ ერთობას, მაშინ მას საკუთარი სიტლანქისა და შეზღუდულობის ტვირთით ვამძიმებთ; ჩვენ ვიფიქვებით, რომ ისტორიული ეკლესია — ეს ჩვენა ვართ, კრებული ცოდვილი ადამიანებისა, და ბრალსაც მას ვკიდებთ იმაში, რაზეც თვით უნდა ვაგებდეთ პასუხს. ასეთი თემი, ასეთი ერთობა უკვე აღარ არის ქრისტეს ცხოველი ეკლესია — განსულიერებული სხეული. და იგი იქცევა ხოლმე ან უხეშ ბაჟროკრატულ დაწესებულებად, ანდა მხოლოდ საკრებულოდ იმ ადამიანებისა, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებრივ მიდრეკილებებს გამოხატავენ. მხოლოდ განუწყვეტელ მოღვაწეებელ შეგნებას საიდუმლოსი ღმერთის მუნყყოფობისა, სულიწმიდის მუნყყოფობისა, ეკლესიას რომ აღავსებს და განაცხოველებს, ძალუძს დაგვაბრუნოს ჩვენ იმისაკენ, ძალუძს გვაქციოს ჩვენ იმად, რასაც ქრისტეს ეკლესია წარმოადგენს სინამდვილეში, და რაც იგი უნდა იყოს ჩვენთვის,— ანუ ადგილი უდიდესი სასწაულისა — ჩვენს შეხვედრის სასწაულისა შემოქმედ ღმერთთან, რომელსა შევნის დიდება საუკუნოდ. ამინ.





# ანდრა ჟილი

თარგმნა ჯუმაბარ თითქარიაშ



სსრკ-დან დაბრუნება  
ჩემი „სსრკ-დან დაბრუნების“ შესწორებები

ამ სტრიქონებს ვუძღვნი ეჭენ დაბის  
ხსოვნას — მის გვერდით, მასთან ერთად განც-  
დილისა და ნაფიქრალის ანარეკლს.

დემეტრასადმი აღვლენილი ჰომეროსის ჰიმნი  
მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ მივიდა თა-  
ვისი ასულების მიქბნელი დიადი ქალღმერთი  
კელეოსის სასახლეში. დედოფალმა მეტანეირამ  
მას ჰიანდო ახალშობილი, ცეროდენა დემო-  
ფოონი, რომელიც შემდეგ გახდება ტრიბო-  
ლეში, მიწათმოქმედების მინისტრი.

როცა სასახლეში ყველა კარი დაიკეტებოდა  
და მის მკვიდრთ შილი მოერეოდათ, დემეტრას  
რბილი აკვნიდან ამოჰყავდა დემოფოონი და  
შოჩვენებითი სისასტიკით, სინამდვილეში კი  
უსაზღვრო სიყვარულით და ბავშვის ღმერთად  
ქცევის წადილით შემსჭვალული, შიშველს აწ-  
ვენდა გავარვარებული ნახშირით მოფენილ  
სარეცელზე. თითქოს თვალნათლივ ვხედავ სხი-  
ვოსანი ბავშვისკენ, როგორც მომავალი კაცობ-  
რიობისკენ დაბრუნდები დიად დემეტრას. გავარვა-  
რებული ნახშირი ბავშვს ხრუკავს, იტი ეწა-  
მება და ეს განსაცდელი აწრთობს. მის არსე-  
ბაში ზეადამიანური, ძლიერი და ჯანსაღი, დი-  
დი სახელის განმთქმელი რაღაც წარმოიშობა.  
მაგრამ რაოდენ დასანანიია, რომ დემეტრამ  
ვერ შესძლო ჩანაფიქრის დაგვირგვინება. ლე-  
გენდა მოგვითხრობს, რომ ერთხელ დემეტრას  
ოთახში მეტანეირამ შეიხედა და ამ ხანახაობით  
დამფრთხალმა ქალღმერთს ხელი ჰკრა და  
ცეცხლოვან სარეცელს მოაცილა იგი. მერე  
ნახშირი მიმოფანტა და, თუმც ბავშვი გადა-  
არჩინა, დაღუპა ღმერთი.

## წინასიტყვაობა

სამი წლის წინათ ვლაპარაკობდი იმაზე, თუ  
როგორ მიყვარდა საბჭოთა კავშირი, როგორ  
ვიყავი მისი ნახვით აღტაცებული. იქ ტარ-  
დებოდა უპრეცედენტო ექსპერიმენტი, რომე-  
ლიც ჩვენს გულს იმედით აღავსებდა. იქიდან  
ველოდით დიად პროგრესს, იქ ისახებოდა აღ-  
ტყინება, მთელი კაცობრიობის მოხიბვლა და  
გატაცება რომ ძალუქდა. ვფიქრობდი, ღირდა  
სიცოცხლე იმისათვის, რომ კაცი ამ განა-

ხლების მოწმე ყოფილიყო, ღირდა სიცოცხ-  
ლე, ამ განახლებისთვის ხელი შეგეწყო. გულ-  
სა და გონებაში თვით კულტურის მომავალს  
უშუალოდ ვაკავშირებდით სსრკ-ს დიდებულ  
მომავალთან. ჩვენ ამას მრავალგზის ვიმეო-  
რებდით და ვიხურვებდით ამის კვლავაც გან-  
მეორების შესაძლებლობა გვექონოდა.

მაგრამ გამგზავრების წინ, — იქით კი იმის-  
თვის მივემგზავრებოდით, ყველაფერი ჩვენი  
თვალთ გვენახა, — შეგვაშფოთა ცოტა ხნის  
წინანდელმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც  
შეხედულებათა შეცვლას მოწმობდნენ.

მე მაშინ, 1985 წლის ოქტომბერში, ვწერ-  
დი: „სსრკ-ზე თავდასხმების სისულელე  
და უპატიოსნობა გვაიძულებს უფრო  
შეუპოვრად გამოვიდეთ მის დასაცავად,  
როგორც კი ჩვენ ამას შევწყვეტთ, სსრკ-ს  
დაცვას მაშინვე მისი მკარხველნი დაიწ-  
ყებენ, რამეთუ ისინი იწონებენ იმ და-  
თმობაებსა და კომპრომისებს, რაც მათ  
მისცამთ საშუალებას, თქვან: „აი, არც  
ისეა საქმე, თქვან რომ გგონიათ“, მაგ-  
რამ ამ დათმობებითა და კომპრომისე-  
ბით სსრკ გადაუხვევს დასახული მიზ-  
ნიდან... დაე, სწორად ამ მიზნისკენ მი-  
მართულმა მუხარამ არ მოგვცეს იმის ნე-  
ბა, რომ სსრკ-ს ზურგი შევატვირთო“.

მაგრამ დაწვრილებითი ცნობების მიღებამდე  
თან გვეწამდა სსრკ-სა, თან ვეჭვობდით. და  
მაინც, მოსკოვში ჩასვლიდან ოთხი დღის შემ-  
დეგ წითელ მოედანზე გორკის დაკრძალვისას  
წარმოთქმულ სიტყვაში განვაცხადე: „ჩვენს  
გონებაში კულტურის ხვედრს ჩვენ სსრკ-ს  
ვუკავშირებთ. ჩვენ მას დავიცავთ.“

მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ გამუდმე-  
ბით თავისი თავის ერთგულების წადილი ხში-  
რად ითავსებს არაგულწრფელობის საშიშროე-  
ბას. მე მიმაჩნია, რომ განსაკუთრებული მნიშ-  
ვნელობა აქვს გულწრფელობას ხწორედ მა-  
შინ, როცა საქმე ეხება მრავალი ადამიანის  
(ჩვენი ჩათვლით) მრწამსს..



თუ მე მაშინ შევცდი, ყველაფერს აჯობებს, ეს, რაც შეიძლება, ადრე ვალიარო, რადგან პასუხს ვაგებ იმათ გამოც, ვინც ჩემი შეცდომის მსხვერპლი გახდება. ამ შემთხვევაში თავმოყვარეობამ ხელი არ უნდა შემისალოს. თუმცა მე ის ძალიან ცოტა დოზითა მაქვს. არის რაღაცა, რაც ჩემს თვალში ჩემს „მე“-ზე, სსრკ-ზე უფრო მნიშვნელოვანია: ესაა კაცობრიობა, მისი ხვედრი, მისი კულტურა.

მაგრამ შევცდი თუ არა მე მაშინ? ისინი, ვინც უკანასკნელი წლის მანძილზე თვალს ადევნებდნენ სსრკ-ში მიმდინარე მოვლენებს, იტყვიან, ვინ შეიცვალა — მე თუ სსრკ. სსრკ-ში მე იმათ ვგულისხმობ, ვინც მას ხელმძღვანელობს.

სხვები, ჩემზე უფრო გაცნობიერებულნი, იტყვიან: ნუთუ მხოლოდ მოჩვენებითია ეს ცვლილებები და ის, რასაც ჩვენ კურსიდან გადახრად აღვიქვამთ, რაღაც დასაბამიერ წინასწარ განწყობილებას ხომ არ წარმოადგენს.

სსრკ „შენდება“. საჭიროა განუწყვეტლივ შევახსენოთ ეს ჩვენს თავს. ამიტომ მეტიმეტად საინტერესოა ყოფნა ამ თვალუწვდენელ ქვეყანაში, რომელიც მშობიარობის ტკივილებითაა შეპყრობილი, — როგორც ჩანს, ჩვენ თვალწინ თვით მომავალი იბადება.

იქ კარგიცაა და ცუდიც. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით: ყველაზე კარგიც და ყველაზე ცუდიც. ყველაზე კარგი ხშირად მიიღწეოდა წარმოუდგენლად დიდი ძალისხმევით. ამ ძალისხმევით ყოველთვის და ყველგან როდი აღწევდნენ იმას, რისი მიღწევაც ეწადათ. ზოგჯერ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჭერჭერობით ვერ მიაღწიეს. ზოგჯერ უარესი უკეთესს ერწყმის, შეიძლება ითქვას კიდევ, რომ მისი გაგრძელებაა. და გულდასამძიმებლად შეკვეთრია გადასვლები ნათლიდან წყვილიადში. არცთუ იშვიათად, მოგზაური, რომელსაც საკუთარი შეხედულება აქვს, მხოლოდ ერთ ან მეორე შემთხვევას იგონებს. ამიტომ სსრკ-ზე სიმართლე სიძულვილით ითქმის, სიცრუე კი — სიყვარულით.

მე კი ისეთი კაცი ვარ, რომ ყველაზე უფრო მკაცრად იმას ვებყრობი, ვინც მინდა მიყვარდეს. რა ფაზი აქვს სიყვარულს, რომელიც მხოლოდ ხოტბათაგან შედგება და მე ვფიქრობ, რომ დიდ ხამსახურს გავუწევ სსრკ-სა და მის საქმესაც, მასზე გულწრფელად და პირუთვნელად თუ ვილაპარაკებ. სსრკ-ით ჩემი აღფრთოვანება, აღფრთოვანება იმ წარმატებებით, რასაც მან უკვე მიაღწია, მისი გაკრიტიკების უფლებასაც მძლევს. მით უმეტეს იმის გამოც, რის იმედსაც ის გვაძლევს.

ვის შეუძლია გვითხრას, თუ რა იყო ჩვენ-

თვის სსრკ? ის იყო რჩეული ქვეყანა — მაგალითი, მოქმედების სახელმძღვანელო, ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვოცნებობდით, რაზეც ვფიქრობდით, რისკენაც ისწრაფვოდა ჩვენი სურვილები და რისთვისაც ძალ-ღონეს არ დავიშურებდით, — და არა მხოლოდ ეს, ეს იყო მიწა, სადაც უტოპია რეალობა ხდებოდა. უზარმაზარი წარმატებები გვახმედებდნენ ახალი, კიდევ უფრო გრანდიოზული მოვლენების მოლოდინი გვქონდა. გვეგონა, რომ ყველაზე ძნელი გზა უკან იყო დარჩენილი და ბედნიერი გულით ვერწმუნეთ მის მიერ ტანჯული კაცობრიობის სასიკეთოდ არჩეულ გაუცვალავ გზებს.

რა გამართლება ექნებოდა ჩვენს რწმენას წარუმატებლობის შემთხვევაში? მაგრამ წარუმატებლობაზე ფიქრიც კი დაუშვებელია.

თუ ზოგიერთი დაპირება შეუსრულებელი დარჩა, სად ვეძებოთ ამის მიზეზი? იქნებ დეკრეტებში ან, უფრო სწორად, მათ შეუსრულებლობაში — გადახრებში, დარღვევებში, გარემოებებთან შეგუებაში? თუ ასეა, რით შეიძლება მათი გამართლება?

მე თქვენ გაიმბობთ ჩემს პირად შთაბეჭდილებებს ყოველივე იმაზე, რასაც კანონიერი სიამაყით მიჩვენებდნენ სსრკ-ში, და რისი ნახვაც თავად შევძელი. სსრკ-ს მიღწევები ბევრ სფეროში თვალსაჩინოა. ზოგჯერ შეიძლება გვეგონოს კიდევ, რომ აქ ბედნიერება სუფევს.

თუ ვინმე იწონებს ჩემს ცდებს კონგოში, რომ ყველაფერში თავად გავრკვეულიყავი, ამ მიზნით კი გუბერნატორის ავტომობილზე უარი ვთქვი და ვცდილობდი ყოველ გამვლელს გავსაუბრებოდი, დამძრახავს განა იმის გამო, რომ სსრკ-შიც იშახვე ვესწრაფოდი?

არ მეტყვება, რომ ამ წიგნს გამოიყენებენ ჩემი მოწინააღმდეგეები, ისინი, ვისთვისაც „წესრიგის სიყვარული ტირანიისკენ მიდრეკილებას ეხამება.“\* როგორ მოვიქცე, ამის შიშით არ გამოვაქვეყნო და საერთოდ არ დავწერო არაფერი? მე მწამს, რომ, ჭერ ერთი, სსრკ დაძლევს მძიმე შეცდომებს, რომლებზეც მე ვწერ. მეორეც, — და ესაა ყველაზე მთავარი — ერთი ქვეყნის შეცდომებსაც კი არ ძალუძს კომპრომეტირება ქვეშაპრეტებისა, რომელიც ემხანურება ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალურ საქმეს. შესაძლებელია, ვიდაცას მიჩუმებითის სიცრუე ან სიცრუის ვითარებაში შეუპოვრობა გამართლებულად ერვე-

\* ა. ტორკვილი, „ამერიკის დემოკრატიის შესახებ“ (შესავალი).



ნებოდეს, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი  
ეს მტრებს აძლევს ხელს, ჭეშმარიტება კი,  
ძალიან მკაცრიც რომ იყოს, მხოლოდ გან-  
კურნებისთვის გვაყენებს ჭრილობებს.

I

მშენებლობებზე და ქარხნებში, დასასვენე-  
ბელ სახლებში, ბაღებსა და „კულტურის პარ-  
კებში“ მშრომლებთან ურთიერთობისას ვგრძნო-  
ბდი, თუ როგორ ძმურად მექცეოდნენ და გუ-  
ლი აღარ შფოთავდა, ის სიხარულით იმსჯელებ-  
და. ამიტომ იქ გადაღებულ ფოტოსურა-  
თებზე უფრო ხშირად ვიციანი, ვიდრე შეიძ-  
ლებოდა აქ, საფრანგეთში მეცინა და რამდენ-  
ჯერ დამინამა თვალი სიხარულის, სიყვარული-  
სა და სინაზის ცრემლმა მაგალითად, სოკის  
მახლობლად, მაღაროვითა დასასვენებელ სა-  
ხლში... არა, არა! იქ წინასწარ არავისთან არა-  
ფერი შეუთანხმებიათ, არავითარი მზადება არ  
ყოფილა — მე იქ მოულოდნელად, გაუფრთ-  
ხილებლად მივედი საღამო ხანს და მაშინვე  
განვიმსჯეალე მათდამი ნდობით.

ანდა მოულოდნელი მონახულება ბორჯო-  
მის ახლოს მოქმედი პატარა, თითქმის ლატა-  
კი ბანაკისა, სადაც ჯანმრთელი, ბედნიერი  
ბავშვები ისე მეხვეოდნენ, თითქოს ჩემი სი-  
ხარულით აღვსება სურდათ. რა შემოძლია  
ვთქვა? სიტყვებით ვერ გამოვხატავ ამ გულ-  
წრფელ და უბრალო გრძნობას... არადა, რამ-  
დენი სხვა შეხვედრაც იყო. ქართული  
პოეტები, სტუდენტები, ინტელიგენტები, გან-  
საკუთრებით მუშები, — ყველანი მომეწონენ,  
და ვნანობდი, რომ მათი ენა არ ვიცოდი. მათ  
ლილიში, გამოხედვაში იმდენი ხალასი გუ-  
ლითაღობა იყო ჩაქსოვილი! ყველგან მეგობ-  
რად წარმადგინეს და ყველგან მეგობრულ  
დამოკიდებულებას ვგრძნობდი.

იგულისხმება, რომ მეტი ხალისით სტუმარს  
იშას აჩვენებენ, რაც ყველაზე კარგი აქვთ. მაგ-  
რამ ბევრჯერ მოულოდნელადაც შევსულვართ  
სოფლის იმ სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და  
კლუბებში, რომელთა ჩვენთვის ჩვენებასაც არ  
აპირებდნენ, რომლებიც, უეჭველია, არაფრით  
გამოირჩეოდა და ჩემს აღტაცებას სწორედ  
ისინი იწვევდა სახელდობრ იმიტომ, რომ იქ  
წინასწარ არაფერი იყო მომზადებული.

ბავშვები ყველა პიონერთა ბანაკში მხიარუ-  
ლნი, ლამაზნი, მაძლარნი, (მათ დღეში ხუთჯერ  
აპურებენ), კარგად მოვლილნი, ნალოლიავებიც  
კი იყვნენ. ნათელი, მიმნდობი მწერა ჰქონდათ.

გულუბრყვილო, ალალი სიცილით იცინოდნენ.  
უცხოელი შეიძლებოდა სასაცილოდაც მოსჩ-  
ვენებოდათ, მაგრამ ოდნავი დაცივნაც კი ვე-  
რავის შევატყვე.

მშვიდი სიხარულის ახეთსავე გამოვლინებას  
ხშირად ვამჩნევდით მოწითულ ადამიანებშიც.  
„კულტურის პარკები“ სადაც ისინი საღამო-  
ობით, მუშაობის შემდეგ იკრიბებოდნენ, მათი  
უღაო მიღწევაა. ასეთი მიღწევაა მოსკოვის  
კულტურის პარკებიც.

მე ხშირად მივდიოდი იქ. ესაა გასართობე-  
ბის ადგილი, უზარმაზარი „ლუნა-პარკის“  
მსგავსი რამ. შეხველთ ჭიშკარში თუ არა, მა-  
შინვე უჩვეულო სამყაროში აღმოჩნდებით. ახ-  
ალგაზრდობის, კაცებისა და ქალების დიდი  
ჯგუფები... ირგვლივ — სერიოზულობა, მშვი-  
დი ღირსების გრძნობა, არავითარი ნიშანი უბ-  
ამსობისა, არავითარი ხულეულური სიცილი, მო-  
ურიდებელი ხუმრობა, სიგიჟეაქვე ან თუნდაც  
ფლირტი. აქ თამაშობენ, ცოტა მოშორებით  
ცეკვავენ. ჩვეულებრივ ყველაფერს ხელმძღ-  
ვანელობს თავშექცევის წამომწყები კაცი ან  
ქალი და ყველგან წესრიგი სუფევს. მაგრამ  
მაყურებელი ყოველთვის გაცილებით მეტია,  
ვიდრე მოცეკვავე. კიდევ იქით — ხალხური  
სიმღერები და ცეკვებია, ძალზე ხშირად —  
ჩვეულებრივი აკორდეონის თანხლებით საგან-  
გებო მოედანზე, სადაც ყველა მხურველს შე-  
უძლია შესვლა, — მოყვარული აკრობატები  
ტრიალებენ. საშიშ ნახტომებს მწვრთნელი ხელ-  
მძღვანელობს. ტრავმებისგან აზღვევს მოვარ-  
ჯიშეებს. უფრო შორს ტანვარჯიშის იარაღები  
დგას. ყველა მოთმინებით ელოდება თავის  
რიგს. ვარჯიშობენ, დიდი მოედნები ეთმობა  
ფრენბურთს. მე ვტკბებოდი მოთამაშეთა სი-  
ლამაზით, სიძლიერით, მოხდენილობით. მო-  
შორებით მშვიდი თამაშობებია: კადრაკი, შა-  
ში და მრავალი სხვა რამ, რომლებიც მოთ-  
მინებასა და გაწაფულობას მოითხოვენ. ვნახე  
ჩემთვის უცნობი, მეტისმეტად თავსამტვრევი  
თამაშებიც. არის ისეთებიც, რომლებიც ავი-  
თარებენ მოქნილობას, ძალას ან სიმარჯვეს.  
ეს თამაშები სხვაგან არსად შემხვედრია და  
მათ აღწერას არ შეეუდგები, თუმცა ამ თა-  
მაშებს ახლა ჩვენშიც შეიძლებოდა წარმატე-  
ბა ხვდომოდათ. შეიძლებოდა მათი მეოხებით  
დროის მოკვლა. არის თამაშები მოწითულთათ-  
ვისაც და ბავშვებისთვისაც. მთლად პატარე-  
ბისთვისაცაა გამოყოფილი ადგილი. იქაა სა-  
თამაშო სახლები, მატარებლები, გემები, სა-  
ბავშვო ავტომობილები. ბავშვის ასაკს მისა-  
დაგებულია მრავალი სახეობის ინსტრუმენტი.  
მაგიდის თამაშების მოედნისკენ (სადაც ირე-  
ვიან მოყვარულები, რომლებიც მაგიდის გა-



თავისუფლებას ელოდებიან) მიმავალი გრძელი ბეივინის გაყოლებით არის რებუხების, შარადებისა და გამოცანების სტენდები, და ყოველივე ამაში, ვიმეორებ, არ არის უხამსობის ნახაზიც კი. ამ უზარმაზარ მასას ღირსეულობაში, თავაზიანობაში წუნს ვერ დასდებ. საზოგადოება შედგება თითქმის მხოლოდ მუშებისგან, რომლებიც აქ მოდიან იმისთვის, რათა დაისვენონ, სპორტში ივარჯიშონ, გაერთონ ან გაიგონ რამე სასარგებლო (იქ, სხვა ყველაფერთან ერთად, არის სამკითხველო დარბაზები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, ლექტორიუმები და ა. შ.) მოსკოვ-მდინარეზე აუზებია. უშველებელ პარკში ირგვლივ პატარა ესტრადებია, საიდანაც ლაღადებენ იმპროვიზებული ლექტორები. სხვადასხვა ლექციები — გეოგრაფიისა და ისტორიის ლექციებს თვალსაჩინო მასალები ახლავს. აგრეთვე ლექციები იკითხება პრაქტიკულ მედიცინასა და ფიზიოლოგიაში. ლექციებს დიდი გულსუბურით ისმენენ. მე უკვე ვთქვი — არც ერთხელ და არსად შემიძინებია უმცირესი დაცივაც კი.

აგერ პატარა ღია თეატრი, სადაც ერთი თავისუფალი ადგილიც კი არაა. ზუთასი კაცი მოწიწებული ვარინდებით უსმენს მსახიობს, რომელიც კითხულობს პუშკინის „ევგენი ონეგინს“. პარკის კუთხეში, შესასვლელის ახლოს, პარაშუტისტების სამფლობელოა. ეს იქ სპორტის ძალზე პოპულარული სახეობაა. ყოველ ორ წუთში ორმოცმეტრიანი კოშკიდან მორიგეობით, ხტებიან საპარაშუტისტო სპორტის მოყვარულები. ცოტათი მკვეთრი დაშვება მიწაზე და ახალი პარაშუტისტიც მზადაა. აბა, ვინ გარისკავს? ხალხი ჩქარობს, ელოდება, რიგს იქერს. მე უკვე არაფერს ვამბობ დიდ მწვანე თეატრზე, სადაც ზოგიერთ სპექტაკლზე ოცდაათასამდე მაყურებელი იყრის თავს.

მოსკოვის კულტურის პარკი ყველაზე დიდი და სხვადასხვა ატრაქციონებით სხვებზე მდიდარი პარკია, ლენინგრადის პარკი კი ყველაზე ლამაზი, მაგრამ ახლა სსრკ-ში ყოველ ქალაქს, საბავშვო ბაღებს გარდა, თავისი კულტურის პარკიც აქვს.

თავისთავად იგულისხმება, რომ მე ვიყავი ბევრ ქარხანაში. მათ ნორმალურ მუშაობაზეა დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობა. მაგრამ მე სპეციალისტი არა ვარ და არ შემიძლია განვსაჯო, თუ როგორაა ორგანიზებული წარმოება. ეს სხვების საქმეა და მე მათ ქებას ვუერთდები. ჩემს კომპეტენციაში მხოლოდ ფსიქოლოგიური საკითხები შემოდის. აქ ამ საკითხების გარკვევას ვაპირებ. თუ სოციალურ საკითხებს მინიშნებით, არაპირდაპირ ვახსენებ,

მაშინაც მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვეხები.

რაც ასაკში შევდივარ, მით უფრო ნაკლებად და ნაკლებად მაინტერესებს პეიზაჟები, რაოდენ ლამაზიც არ უნდა იყოს. და უფრო და უფრო მეტად მაინტერესებს კადრმანერებ, სსრკ-ში შესანიშნავი ადამიანებია ~~[[არადა]] [[სსრკ-ში]]~~ ლოში, კერძოდ, კახეთში, აფხაზეთში (მე მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობ, რაც ვნახე), და კიდევ, როგორც მე მომეჩვენა, განსაკუთრებით უარიმსა და ლენინგრადში.

მე ვესწრებოდი ახალგაზრდობის ზეიმს მოსკოვში წითელ მოედანზე. კრემლის პირდაპირ ამართული უზნო შენობები შენიღბული იყო მწვანე და პლაცატებით. ყველაფერი ჩინებულად და თითქმის (ვჩქარობ, რომ ეს აქა ვთქვა, რადგან ამის საბაბი ყოველთვის როდი მექნება) საუკეთესო გემოვნებით იყო მოწყობილი. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ჩამოსული ბრწყინვალე ახალგაზრდობა მონაწილეობდა წითელი მოედნის პარადში. ის რამდენიმე საათს გრძელდებოდა. მე ასეთ დიდებულ ხანაობას ვერ წარმოვიდგენდი, რასაკვირველია, მისი შესანიშნავი მონაწილეები წინასწარ შეირჩნენ, მომზადდნენ, გაიწვრთნენ, მაგრამ როგორ არ უნდა აღფრთოვანდე იმ ქვეყნითა და რეჟიმით, რომელსაც ასეთი ახალგაზრდობა მყავს?

წითელი მოედანი აქამდე რამდენიმე დღით ადრე, გორკის დასაფლავების დროს ვნახე. ვნახე ისევ ეს ხალხი — ისევ ეს და მაინც სხვა, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო ცარიშმის რეჟიმისდროინდელ რუს ხალხს მგავდა. — დაუსრულებელ ნაკადად მიედინებოდა სვეტებიან დარბაზში სამგლოვიარო კატაფალკის გასწვრივ, მაშინ იქ მიედინებოდნენ ხალხის არა ყველაზე ლამაზი, არა ყველაზე ძლიერი, არა ყველაზე მხიარული წარმომადგენლები, არამედ მგლოვიარე „პირველი შემხვედრნი“ — ქალები, განსაკუთრებით ბავშვები, კანტიკუნტად — მოხუცები, რომლებსაც, თითქმის ყველას ცუდად ეცვათ და ზოგჯერ ძალიან უბედურ არსებებს მგავდნენ. გეგონებოდათ, რომ ეს მდუმარე, პირქუში, დაძაბული კოლონა უზადო წესრიგით მიედინებოდა წარსულიდან და იგი გაცილებით დიდხანს მოძრაობდა, ვიდრე სხვა — პარადის კოლონა. მე ძალზე დიდხანს ვაკვირდებოდი მას. ვინ იყო გორკი ამ ადამიანებისთვის? ხეირიანად არ ვიცი. მასწავლებელი? ამხანაგი? ძმა? ყველას, განსაკუთრებით ბავშვებს, ხახეზე აღბეჭდოდა ნაღვლიანი გაოცება, ღრმა მწუხარება, რამდენი ადამიანი



ვნახე, რომელთა ზეშთაგონებულობასაც მხოლოდ ხაზს უხვამდა სიღარიბე. თითქმის ყველა მათგანის გულში ჩახუტება მინდოდა.

ადამიანებთან ურთიერთობა ისე ადვილად, ძალდაუტანებლად, ღრმად და გულწრფელად არხად მყარდება, როგორც ხსრკ-ში. ზოგჯერ ერთი შეხედვით საკმარისი, რომ გულმხურვალე ურთიერთობათა იშვას. დიახ, მე არ ვფიქრობ, რომ კიდევ ხადმე, ხსრკ-ს გარდა, შეიძლება ამ ხიღრმისა და ძალის ადამიანური ერთობის განცდა. ენათა სხვაობის შიუხედავად, ასეთი ძალით არხად და არახოდეს მიგრძენია თავი ამხანაგად, ძმად. და ამისთვის მზადა ვარ მსოფლიოს საუკეთესო პეიზაჟებს შეველიო.

ისე, პეიზაჟებზე კიდევ ვილაპარაკებ, მაგრამ ჰერ კომკავშირლების ჯგუფთან ჩვენს პირველ შეხვედრაზე გაიმბობთ,

ეს მოხდა მოსკოვიდან ორჯონიკიძეში (ყოფილ ვლადიკავკაზში) მიმავალ მატარებელში. წინ გრძელი გზაა. საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მიხვილ კოლცოვმა მოგვთავსა ძალზე კომფორტულ ვაგონში. შესანიშნავად მოქმედებდა ექვსივენი — ჯეფ ლასტი, გიიუ, ერბარი, შიფრინი, დაბი და მე. საძილე კუბებს გარდა ვაგონში იყო სალონიც, სადაც ხუფრას გვიშლიდნენ. უკეთესი რამ არ არსებობს, მაგრამ არ მოგვწონდა, რომ ვაგონის მგზავრებთან ურთიერთობა არ შეგვეძლო. უახლოეს სადგურში ჩასულებმა შევამჩნიეთ, რომ მეზობელი ვაგონით ძალზე სასიამოვნო კომპანია მგზავრობდა. ისინი იყვნენ კომკავშირლები, რომლებიც არდადეგების დროს მყინვარწვერზე აპირებდნენ ასვლას. მივადწიეთ ვაგონებს შორის კარების გაღებას და მალე გავეცანით ჩვენს შესანიშნავ თანამგზავრებს. მე პარიზიდან ჩამოვიტანე სხვადასხვანაირი თავსატეხი თამაშობანი, რომლებიც არ მგავდა ხსრკ-ში გავრცელებულს. ეს თამაშობები, ჩვეულებრივ, მებმარება ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში, როცა მათი ენა არ ვიცო. ისინი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყმაწვილები და ქალიშვილები თავსატეხის ამოხსნამდე არ შოშმინდებოდნენ. „კომკავშირლები არახოდეს მარცხდებიან“, — ამბობდნენ ისინი სიცილით. მათ ვაგონში სიფიროვე იყო, ცხელოდა და ყველას ხული ეგუბებოდა. მაგრამ მაინც შესანიშნავი სადამო იყო.

უნდა ვთქვა, რომ მათი უმეტესობისთვის მე უცნობი არ ვიყავი. ზოგს წაკითხული ჰქონდა ჩემი წიგნები (ძირითადად „კონგოში მოგზაურობა“) და რაკი გაზეთებში წითელ მოედანზე, გორკის დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვასთან ერთად ჩემი პორტრეტიც იყო დაბეჭდილი, ბევრმა მაშინვე მიცნო. მა-

ლე ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა. ჯეფ ლასტი, რომელსაც კარგად ესმის რუსული და ლაპარაკიც შეუძლია, აგვიხსნა, რომ ჩემს მიერ შეთავაზებული თავსატეხები მშვენიერია, მაგრამ ახალგაზრდები მეკითხებიან: ნუთუ თავი ანდრე უილი იქცევს თავს ამით? ჯეფ ლასტი უპასუხა, რომ ეს მცირე გართობა დაღლილობის მოსახსნელად და გათვალისწინებული ნამდვილი კომკავშირლები მზად არიან საქმის ემსახურონ. ყველაფერზე სარგებლობის აზრით სჯიან. თუმცა, მოდით, პედანტები ნუ ვიქნებით, თვით ეს სიცილ-სიცილით მიმდინარე დისკუსიაც თამაში იყო. რადგანაც მათ ვაგონში სუნთქვა სულ უფრო და უფრო გაჭირდა. ათიოდე კაცი ჩვენთან მოვიპატიუეთ და დანარჩენმა სადამომ ხალხური სიმღერების მოსმენასა და ცეკვებში ჩაიარა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა თვით სალონი. ეს სადამო ჩემთვის და ჩემი თანამგზავრებისთვის ამ მოგზაურობის ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ სხვა ქვეყანაში ასეთი ხალხს, წრფელ გულითაღობას ვერ ვიგრძნობდით, ასეთ მომნიბვლელ ახალგაზრდობას ვერ შევხვდებოდით.\*

უკვე ვთქვი, რომ პეიზაჟები ნაკლებ მაინტერესებს... მაგრამ მე მინდა მოგიტბროთ კავკასიის შესანიშნავ ტყეებზე — კახეთის შესასვლელთან, ბათუმის შემოგარენში და განსაკუთრებით ბაკურიანში, ბორჯომთან, უფრო ზუსტად, ბორჯომის თავზე. ამაზე მშვენიერი ტყე არ მინახავს და ვერც წარმოვიდგენდი: ნორჩი ტყე ვერ ფარავს უშველელბელი ხეების ტანს, იღუმალ ველობზე მწუხრი დღის გახრულებამდე წვება, — მგონია, რომ სადაც აქ უნდა აბნეოდა გზა ცეროდენას. ეს ზღაპრული ტყე გადავჭერით, გავედით მთის ტბასთან და პატივი დაგვდეს: გვაუწყებს, რომ აქ უცხოელს ჰერ არ დაუდგამს ფეხი. მაგრამ მე უამისოდაც დავაფასე ამ ადგილების

\* კიდევ რით მომწონს ხსრკ? ესაა ხანგრძლივი ახალგაზრდობა, რაც ჩვენთვის, კერძოდ საფრანგეთში (ეფიქრობ, რომ საერთოდ რომანულ ქვეყნებში) ასეთი იშვიათობაა. ახალგაზრდულ ასაკს დაპირებათა სიმდიდრე ჩვევია. ჩვენში სიკბაუყე დაპირებებიდან მალე გადადის ცხოვრებაში. თოთხმეტი წლის ასაკში ყველაფერი მთავრდება, სახის გამომეტყველებაში უკვე იკითხება ცხოვრებით განცვიფრება, გულუბრყვილობას კვალიც კი არაა დარჩენილი. ბავშვი თითქმის გარდამავალი პერიოდის გარეშე ვაეკაცდება. თამაშები დამთავრდა.



დიდებულება. ტბის ნაპირასაა უცნაური პატარა სოფელი (ტაბაწყური) — ის წელიწადში ცხრა თვე თოვლითაა დაფარული, — რომელსაც სიამოვნებით ავწერდი... ეჰ, რატომ არ ჩამოვედი უბრალო ტურისტად ან ნატურალისტად, რომელიც აქ აღტაცებით აღმოაჩენდა ახალ მცენარეებს, მაღალმთიან პლატოზე იპოვიდა თავისი ბადის „ცის ფოლიოს“... მაგრამ მე სსრკ-ში ამისთვის არ ჩამოვსულვარ. აქ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანი, ადამიანები, ის, თუ რად შეიძლება აქციო ისინი და სინამდვილეში რად აქციეს. ტყე, რომელმაც აქ მომიზიდა და საოცრად გაუვალია, და რომელშიც ახლა დავებტები, — ესაა სოციალური საკითხები. სსრკ-ში ისინი უოველი კუთხიდან გვიტევენ — მშფოთვარებენ, ივედრებიან, თავს გვატყდებიან.

II

ლენინგრადში მე რამდენიმე ახალი კვარტალიც ვნახე, ლენინგრადში სანკტ-პეტერბურგი მალფრთოვანებს. უფრო ლამაზ ქალაქს, მეტალის\*, წყლისა და ქვის უფრო მარმონიულ შერწყმას არ ვიცნობ. ქალაქი თითქოს მუშკინის ან ბოდლერის წარმოსახვითაა შექმნილი. ზოგჯერ ის შირიკოს ტილოებს მოგვაგონებს. ძეგლებიც ისევე სრულყოფილად პროპორციულია, როგორც მუსიკალური თემები მოცარტის სიმფონიებში. „იქ სილამაზე და მარმონიაა“. სული ხარობს და ისვენებს ამ სილამაზით.

სიტყვები არ მყოფნის იმის გადმოსაცემად, თუ რაოდენ განსაცვიფრებელია ერთმანეთი მხოლოდ გზადაგზა აღვნიშნავ იმ გონივრულ წებს, რომლის მიხედვითაც რომელიმე მხატვრის ნამუშევრების ირგვლივ, როცა კი ეს შესაძლებელია, გამოფენილია მისი სხვა ნამუშევრებიც: ეტიუდები, ესკიზები, ჩანახატები — ყველაფერი, რაც ხელს გვიწყობს, იმის დანახვაში, თუ როგორ თანდათან უაღიბდება და ისხამს ხორცს ჩანაფიქრი.

ლენინგრადის შემდეგ მოსკოვის ქაოტურობა განსაკუთრებით შესამჩნევია. ის ჩვენ კიდევ გვჯაბნის და გვთრგუნავს. შენობები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, გონჯია (და არა მხოლოდ თანამედროვე შენობები), ერთმანეთს არ ეხამება. ვიცი, რომ მოსკოვი სახეს იცვლის, გარდაიქმნება, იზრდება. ეს ყველგან დასტურდება. მაგრამ, ვშიშობ, რომ ამის გაკეთება

ცუდად დაიწყეს. ყველაფერი მომავლისკენაა მიმართული. აშენებენ, ანგრევენ, თბიან, ახვაფერებენ და ყველაფერი ეს თითქოს შემთხვევით, საერთო ჩანაფიქრის გარეშე ხდება... მაგრამ მოსკოვი მაინც ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად რჩება — ის მძლავრი ცხოვრებით ცხოვრობს. მაგრამ სახლებში ნუ შევხედავთ — მე ბრბო უფრო მაინტერესებს.

ზაფხულში თითქმის ყველას თეთრი ტანსაცმელი აცვია. ყველა ერთმანეთსა ჰგავს. სოციალური ნიველირების შედეგები ისე არსად იგრძნობა, როგორც მოსკოვის ქუჩებში — უკლასო საზოგადოებაში ყველას თითქოს ერთნაირი გაჭირვება აღვას. მაგრამ ძალზე ერთფეროვნად აცვია. უეჭველია, ასეთივე ვითარება აღმოჩნდებოდა მათ გონებაშიც, ამის დანახვა შესაძლო რომ იყოს. უოველი შემხვედრი ცხოვრებით კმაყოფილი ჩანს (ისე დიდხანს უჭირდათ, აკლდათ ყველაფერი, რომ ახლა, რაცა აქვთ, იმ ცოტათიც კმაყოფილნი არიან). თუ მეზობელს მასზე მეტი არა აქვს, კაცს ეხეც აკმაყოფილებს. განსხვავება მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ უურადლებით დააკვირდები. ერთი შეხედვით გეჩვენება, რომ ადამიანი იმდენად შეერთო, შეერწყა ბრბოს, იმდენად ცოტაა მასში პირადული, რომ შეიძლებოდა საერთოდ არ გვეხმარა სიტყვა „ადამიანები“ და მხოლოდ ცნება „მასით“ შემოვფარგლულიყავით.

მე ვერთვი მასას, ვიყვინთები მახაში. რას აკეთებენ ეს ადამიანები მაღაზიის წინ? ისინი დგანან რიგში, რომელიც უახლოეს ქუჩამდე გაიწელა, ორასი თუ სამასი კაცი დგას და მშვიდად, მოთმინებით ელოდება. ჯერ ადრეა და მაღაზია დაკეტილია. ორმოცი წუთის შემდეგ ვბრუნდები და ვხედავ, რომ იგივე ხალხი განაგრძობს რიგში დგომას. ეს მანცივირებს — ადრე მოხვლა რა საჭირო იყო? რას იტყვენ ისინი?

— როგორ თუ რას? მოემსახურებიან იმათ, ვინც პირველნი მოვიდნენ.

და მე მიხსნიან, რომ გაზეთებში გამოცხადდა, რომ შემოიტანეს ბევრი... არ მახსოვს რა (მგონი, ბალიშებზე იყო საუბარი). შესაძლოა ოთხასი ან ხუთასი ბალიში შემოიტანონ, მუიდევილი კი რვაასი, ათასი ან ათასხუთასი კაცი იქნება. საღამომდე კარგა ხნით ადრე ერთი ცალიც არ დარჩება. მოთხოვნილება ძალზე დიდია, საზოგადოება კი რიცხვმრავალი, ასე რომ, მოთხოვნილება ჯერ კიდევ დიდხანს გადააქარბებს მოწოდებას, და მნიშვნელოვნადაც გადააქარბებს. ამისთვის თავის გართმევა ძნელია.

რამდენიმე საათის შემდეგ შევდივარ მაღაზიაში. უშველებელი ნაგებობაა და წარმოუ-

\* ბრინჯაოს გუმბათები და ოქროს შპილები.



დგენელი ჯგუფთა. და მაინც გამყიდველები სიმშვიდეს ინარჩუნებენ, რადგან ირგვლივ მოუთმენლობის ოდნავი კვალიც კი არ შეიმჩნევა. უველა, დგას თუ წის, ბევრი ბავშვით ხელში, თავის რიგს ელოდება. რიგი არ რეგულირდება, მაგრამ უწყესრიგობა ოდნავადაც არ იგრძნობა. შეუძლიათ მთელი დღია, მთელი დღეც კი დაჰყონ აქ, დახშულ ჰაერზე. თავიდან კი ეჩვენებათ, რომ აქ სუნთქვა შეუძლებელია, მაგრამ შემდეგ ადამიანები ამას თანდათან ეჩვევიან, ისევე, როგორც სხვა უველაფერს. მინდოდა დამეწერა: „ემორჩილებიან-მეთქი“, მაგრამ აქ საქმე დამორჩილებაში არაა — რუსი კაცი, ვგონებ, კმაყოფილებას გრძნობს მოლოდინში, გასართობად და თავშესაქცევად შეიძლება თქვენც კი გაიძულოთ დაელოდოთ.

ბრბოში გაღწევა-გადრომის (თუ ბრბოსთან ჯიკავ-ჯიკავის) შემდეგ მაღაზია სიგრძე-სიგანეზე, კვევით და ზემოთაც მოვიარე. საქონელი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უხეირია. შეიძლება ისიც კი გაიფიქროთ, რომ ქსოვილები, ხაგნები და ა. შ. საგანგებოდ არამიმზიდველი მზადდება, რათა მისი უიდვა მხოლოდ უციდურესი საქიროების გამო შეიძლებოდეს და არა იმიტომ, რომ ისინი მოგეწონა. მინდოდა შეგობრებისთვის რაიმე სუვენირები ჩამომეტანა, მაგრამ უველაფერი საშინელი სანახავია, თუმცა ამ უკანასკნელ თვეებში, როგორც მითხრეს, ზოგან საქმაოდ სასიამოვნო რამის მონახვაც შეიძლება. მაგრამ ხარისხზე მაშინ თუ შეიძლება ლაპარაკი, როცა საქირო რაოდენობის შექმნას მიაღწევ. დიდი ხნის მანძილზე უველაფერი ცოტა იყო. ახლა მდგომარეობა ხწორდება, მაგრამ ძნელად, თუმცა ისეთი პირი უჩანს, რომ სსრკ-ში ადამიანები ყაბულს არიან იყიდონ უველაფერი, რასაც კი შესთავაზებენ, ისიც კი, რაც ჩვენთან, დასავლეთში, უმსგავსობად მოგვეჩვენებოდა. ვიმედოვნებ, რომ მალე, წარმოების ზრდასთან ერთად გაიზრდება კარგი ხარისხის საქონლის გამოშვებაც, შესაძლებელი გახდება ამორჩევა და, ამავდროულად, შემცირდება ცუდი საქონლის გამოშვება.

ხარისხის ხაკითხი განსაკუთრებით კვების პროდუქტებს ეხება. ამ სფეროში კიდევ ბევრი რამის გაკეთებაა საქირო.

ვიდრე არ არსებობს აუცილებელი, გონივრულია შედმეტობისგან თავის შეკავება.

გემოვნება, სხვათა შორის, მხოლოდ მაშინ ვითარდება, როცა არჩევისა და შედარების საშუალება არსებობს. ასარჩევი არაფერია. ძალაუნებურად უპირატესობას იმას ანიჭებ, რასაც გთავაზობენ. გამოსავალი არა გაქვს — ან უნდა აიღო ის, რასაც გაძლევენ, ან არ უნდა აიღო. თუ სახელმწიფო ერთდროულად მწარ-

მოებელიცაა, მყიდველიცა და გამყიდველიც, — ხარისხი კულტურის დონეზეა დამოკიდებული.

და მაშინ, მიუხედავად ჩემი ანტიკაპიტალისტურობისა, ვფიქრობ იმ ადამიანებზე (დიდი მრეწველებიდან დაწყებული, წვრთლვაქრებით გათავებული), რომლებსაც არაქათს უწყდებათ და ერთადერთი საფიქრებელი ტექნიკებიან: კიდევ რისი მოფიქრებუ შედეგებსა სწოვადობის დასაკმაყოფილებლად? უოველი მათგანი რა გამოგონებლური ძალისხმევით ეძიებს კონკურენტის ჩამოშორების საშუალებას! სახელმწიფოს კი ამასთან არაფერი ესაქმება — მას კონკურენტები არა ჰყავს. ხარისხი? „ვის რაში სჭირდება ხარისხი, თუ კონკურენცია არაა?“ — ასე გვპასუხობენ. ხწორედ ასე, ძალიან უეშაკოდ ხსნიან იმას, თუ რატომაა სსრკ-ში წარმოებული უოველგვარი საქონელი ასეთი ცუდი ხარისხისა და, ამავდროულად, იმასაც, თუ რატომაა აქ საზოგადოება უგემოვნო. გემოვნება რომც ჰქონოდათ, ამით რა შეიცვლებოდა? არაფერი. პროგრესი ახლა აქ დამოკიდებული იქნება არა კონკურენციისგან, არამედ ზოგადი მოთხოვნილებისგან, რომელიც, თავის მხრივ, კულტურის ზრდასთან ერთად გაიზრდება, საფრანგეთში ეს პროცესი, უეჭველად, უფრო ჩქარა ვითარდებოდა, რადგან მოთხოვნილება უკვე არის.

და, აი, კიდევ რა: უოველ საბჭოთა რესპუბლიკაში არსებობდა მისი ხალხური ხელოვნება. რა ბედი ეწია მას? ელიტარულ ტენდენციათა გამო მას დიდხანს ანგარიშს არ უწყვიდნენ. მაგრამ ახლა ეროვნული ხელოვნებებისადმი ინტერესი კვლავ ღვივდება, მათ ახალისებენ, აღორძინებენ და, ვფიქრობ, ესმით მათი ყავლგაუვალე ღირებულება. განა გონივრული შორსმჭვრეტელობის გამოვლინება არ იქნებოდა ამ ხელოვნების ნიმუშებთან კვლავ დაბრუნება, ვთქვათ, ქსოვილებზე ძველი ნაქარგობების აღდგენა და საზოგადოებისთვის შეთავაზება?

ამჟამინდელ პროდუქციაზე უფრო ბრიყულბურჟუაზიული, მეშხანური რამის წარმოდგენა ძნელია. მოსკოვის მაღაზიებში ვიტრინები ხასოწარკვეთილებას ირეკლავს. ხელით მოქარგული ძველი ქსოვილები მშვენიერია. ეს ხალხური ხელოვნობა იყო, მაგრამ ეს ხელოვნება გახლდათ.

მოსკოველებს ვუბრუნდები. უცხოელს აოცებს მათი უშფოთველობა. მათი „სიზარმაცეო“ რომ გვეთქვა, ეს, რასაკვირველია, არ იქნებოდა მართალი... „სტახანოვური მოძრაობა“ ძვირფასი გამოგონება იყო იმისთვის, რომ ხალხი გამოედვიძებინა, აღეგზ-



ნო (ოდესლაც ამისთვის მათრახი იყო საჭირო). ჭვეყანაში, სადაც მაშვრალნი მუშაობას შეჩვეულნი არიან, სტახანოვური მოძრაობა საჭირო არაა, მაგრამ აქ ისინი, თქალყურს თუ არ ადევნებ, მაშინვე დუნდებიან და საოცრებასა ჰგავს, რომ, ამის მიუხედავად, საქმე კეთდება. არავინ უწყის, რა უჯდებათ ეს ხელმძღვანელებს, იმისთვის, რომ ამ ძალისხმევითა მასშტაბები წარმოიდგინო, რუსი კაცის თანდაყოლილი შცირე „მწარმოებლურობა“ უნდა იქონიო მხედველობაში.

ერთ-ერთ ქარხანაში, რომელიც ჩინებულად მუშაობს, გვაცნობენ სტახანოველს, რომლის უშველებელი პორტრეტიც ჰკიდია კედელზე. როგორც მითხრეს, მან შეძლო ხუთ საათში შეესრულებინა ის სამუშაო, რომლისთვისაც რვა დღეა საჭირო (ან შესაძლოა, პირიქით: რვა საათში შეასრულა ხუთი დღის ნორმა, უკვე აღარ მახსოვს). გავბედე მეკითხა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხუთსაათიანი სამუშაოსთვის თავიდანვე რვა დღე დაიგეგმა-მეთქი, მაგრამ ჩემი კითხვა უპასუხოდ დარჩა — ახე არჩიეს.

მაშინ მე მოვეყვი, სსრკ-ში სამოგზაუროდ მყოფი ფრანგ მადაროელთა ჯგუფი ამხანაგური გრძნობით როგორ შეენაცვლა საბჭოთა მადაროელთა ბრიგადას და დაუძაბავად შეასრულა სტახანოვური ნორმა, თან ისე, რომ ამ ნორმაზე არც უფიქრია.

უნებლიეთ ეკითხები საკუთარ თავს, რას მიადწევდა საბჭოთა რეჟიმი ჩვენი მუშების ტემპერამენტით, გულმოდგინებით, კეთილსინდისიერებითა და პროფესიული მომზადებით.

სოხუმის ახლოს მოვინახულეთ სანიმუშო კოლმეურნეობა. ის ექვსი წლის წინათ ჩამოყალიბდა. პირველ ხანებში სულს ძლიეს ითქვამდა, ახლა კი ერთ-ერთი აყვავებული კოლმეურნეობაა. „მილიონერს“ ეძახიან. ყველაფერი ცხადყოფს მის შეძლებულობას. ამ კოლმეურნეობას დიდი ტერიტორია უჭირავს. აქ ხელსაყრელი, სასიკეთო კლიმატია, ყველაფერი ჩქარა იზრდება. ხიმინჯებზე შემდგარი ხის სახლები ჩინებული და თვალწარმტაცია. მათ ირგვლივ დიდი ხეხილი არტყია. ხეებს შორის ყვავილები და ბოსტნეული მყვავის. შარშან კოლმეურნეობამ დიდი მოგება ნახა, რითაც მნიშვნელოვანი კაპიტალი დაუგროვდა და შრომადღეზე თექვსმეტი მანეთის საშუალება მიეცა. ეს უზარმაზარი მიღწევაა „ჩვენ აქ უკვე არა გვყვანან აქციონერები. თვით მუშებმა (რასაკვირველია, კოლმეურნეობის მუშებს ვგულისხმობთ) ისე ანაწილებენ ერთმანეთში შემოსავალს, რომ სახელმწიფოს არაფერს

ურიცხავენ.\* ეს შესანიშნავი იქნებოდა, რომ არ არსებობდნენ ღარიბი კოლმეურნეობები, რომლებიც სულს დაფავენ. იმიტომ, რომ, თუ მე სწორად გავიგე, კოლმეურნეობები მთლიანად ავტონომიური არიან, მათ, შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობს. იქნებ ვცდები? მინდა ვცდებოდე.

ამ აყვავებული კოლმეურნეობის მუშაკი წევრის სახლში ვიყავი... მინდოდა გამომეტყუებინა უცნაური და ნაღვლიანი განწყობილება, რომელსაც ამ სახლებში ახდენს „ინტერიერი“: ესაა აბსოლუტური უსახურობის შთაბეჭდილება. ყოველ სახლში ერთნაირად უხეში ავეჯია, იგივე სტალინის პორტრეტი — და მეტი არაფერი, არც ერთი საგანი, არც ერთი ნივთი, რომელიც კი მიგვანიშნებდა მასპინძლის პიროვნებაზე. ერთნაირი საცხოვრისები, იმდენად ერთნაირი, რომ კოლმეურნე (ისინი ერთმანეთს გვანან) შეიძლება ერთი საცხოვრისიდან მეორეში ისე გადაბარგდეს, ეს ვერც შეამჩნიოს. რასაკვირველია, ამ ხერხით ბედნიერების მიღწევა უფრო ადვილია. როგორც მითხრეს მათი სინარულიც საერთო სინარულია. თავისი ოთახი ადამიანს მხოლოდ ძილისთვისა აქვს. ყველაფერმა საინტერესომ კი გადაინაცვლა კლუბში, კულტურის პარკში, შეკრების ადგილებში. უკეთესს რას ინატრებ? საყოველთაო სინარული თითოეული ადამიანის გაუსახურებით მიიღწევა. ყველას ბედნიერება ყოველი ადამიანის ბედნიერების ხარჯზე მიიღწევა. იმისთვის, რომ ბედნიერი იყოთ, იყავით ისეთი, როგორც სხვებიც არიან.

### III

სსრკ-ში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა, რომ ნებისმიერ საკითხზე მხოლოდ ერთი აზრი უნდა არსებობდეს. თუმცა ადამიანთა შეგნება იმდამდგარადაა ფორმირებული, რომ ეს კონფორმიზმი მათ მძიმე ტვირთად არ აწევთ. ეს მათთვის ბუნებრივი რამაა, ისინი მას არ გრძნობ-

\* ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი რამ ბევრჯერ მითხრეს. მაგრამ შეუმოწმებელი „მონაცემები“ ისევე საეჭვო მეჩვენება, როგორც კოლონიებიდან მიღებული ცნობები. მიჭირს დავიჯერო პრივილეგია ამ კოლმეურნეობისა, რომელიც გათავისუფლებულია წლიური შემოსავლის 7 პროცენტის გადასახადისგან. რაც ყველა სხვა კოლმეურნეობისთვის სავალდებულოა, კაცზე 35-დან 39 მანეთამდე ინდივიდუალურ გადასახადს, თუ არ ჩავთვლით.



ბენ და, არა მგონია, ამაში ფარისევლობა იყოს გარეული. ესენი ნამდვილად ის ადამიანები არიან, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს? არა, ესენი ისინი არიან, რომლებმაც მისით ისარგებლეს. მათ უოველ დილით „პრავდა“ ატყობინებს, რა უნდა იცოდნენ, რაზე უნდა იფიქრონ და რა უნდა ირწმუნონ და რა ცუდია ხაერთო წესის დაუმორჩილებლობა. გამოდის, რომ როცა რომელიმე რუსს ელაპარაკები, შენ უველას ერთად ელაპარაკები. შეიძლება ის ზუსტად არ მიპყვებოდეს უველა მითითებას, მაგრამ გარემოებათა გამო სხვებისგან განსხვავება მას, უბრალოდ, არ შეუძლია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი შეგნება ბაღლობიდან იწყებს ფორმირებას. აქედან მოდის უცნაური ქცევა, რომელიც შენ, უცხოელს, ზოგჯერ გაკვირვებს, — ესაა ისეთი რამით გახარების უნარი, რაც შენ კიდევ უფრო გაკვირვებს. შენ გებრალებს ისინი, საათობით რომ დგანან რიგში, ისინი კი ამას ჩვეულებრივ რამედ თვლიან. ქსოვილი, საგნები უსახური, უღიმღამო გერჩენება, მაგრამ ასარჩევი არაფერია, რამდენადაც სხვას, თუ არა წყეულ წარსულს, ვერ ადარებ, სიხარულით იღებ იმას, რასაც გაძლევენ. ამასთან, უმთავრესი ისაა, დაარწმუნო ადამიანები, რომ ისინი ბედნიერნი არიან იმდენად, რამდენადაც შეიძლება კაცი ბედნიერი იყოს უკეთესი მომავლის მოლოდინში, დაარწმუნო, რომ სხვები ნაკლებ ბედნიერნი არიან. ამის მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა გარე სამყაროსთან (საზღვარგარეთს ვგულისხმობ) ნებისმიერ კავშირს საიმედოდ ჩაახშობ. ამიტომაცაა, რომ ცხოვრების თანაბარ ან გაცილებით უარეს პირობებშიც კი რუსი კაცი თავს ბედნიერად მიიჩნევს, ფრანგ მუშაზე გაცილებით უფრო ბედნიერია. მისი ბედნიერება მის იმედსა, რწმენასა და უმეცრებაშია.

ძალიან მიჭირს ჩემი ფიქრების წესრიგში, მოყვანა — ეს პრობლემები ისეა ერთმანეთთან გადახლართული. მე ტექნიკოსი არა ვარ, ამიტომ ემოციური პრობლემები ფსიქოლოგიური კუთხით მაინტერესებს. ფსიქოლოგიურად შემიძლია ავხსნა, რატომაა საჭირო საზღვრების დახშობა და ქვეყნიერებისგან იზოლირება: ვიდრე ახალი წესრიგი არ განმტკიცდება, ვიდრე საქმეები არ აეწყობა, ხსრკ-ს მცხოვრებთა ბედნიერებისთვის საჭიროა, რომ ეს ბედნიერება დაცული იქნას.

ხსრკ-ში ჩვენ აღგვაფრთოვანებს ლტოლვა კულტურისკენ, განათლებისკენ, მაგრამ აქ განათლება მხოლოდ იმას ემსახურება, რომ არსებული წყობით გახარება გაიძულოს. ესაა მიზანსწრაფული, დამგროვებლური ხელოვნება,

მასში არაა უანგარობა და თითქმის გამორიცხულია (მარქსიზმის მიუხედავად) კრიტიკული საწყისი. მე ვიცი, რომ იქ ე. წ. „თვითკრიტიკაზე“ ლაპარაკობენ. შორიდან აღფრთოვანებული ვიყავი ამით და, ვფიქრობდი, რომ სერიოზული და გულწრფელი დამოკიდებულების შემთხვევაში მას შესანიშნავი შედეგების მოცემა შეეძლო. მაგრამ ჩქარა გავიგე, რომ დასშენებისა და წვრილმანი შენიშვნების გარდა (სასადილოში წვნიანი ცივია, კლუბში სამკითხველო დარბაზი ცუდადაა გამოგვილი), ეს კრიტიკა გაიძულებს განუწყვეტლივ დაეკოხბო შენს თავს, რა შეესატყვისება ან არ შეესატყვისება „ხაზს“. თვით „ხაზზე“ ხულაც არ კამათობენ. კამათობენ იმის გამოსარკვევად, ესა და ეს ნაწარმოები, ასეთი და ასეთი მოქცევა, ესა და ეს თეორია შეესატყვისება თუ არა წმინდა „ხაზს“. და ვაი მას, ვინც შეეცდება ამ „ხაზიდან“ გადახრას. „ხაზის“ ფარგლებში, რამდენიც გნებავს, იმდენი აკრიტიკე. მაგრამ ზღვარს გადახვლა დაუშვებელია.

კულტურისთვის გონებათა ამგვარად მომართვაზე უარესი არაფერია. ქვემოთ ამაზე კიდევ ვიტყვი.

საბჭოთა მოქალაქემ უცხოეთის შესახებ არაფერი იცის.\* მეტიც, ის დაარწმუნეს, რომ უცხოეთში უკლებლივ უველად ვიღარც ვაცილებით უარესია. ვიდრე ხსრკ-ში. ამ ილუზიას მოქნილად უჭერენ მხარს — დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უველანი, უკმაყოფილონიც კი, შეზარადნენ უარეს ბოროტებათაგან მათ დამფარველ რეჟიმს.

აქედან იღებს სათავეს რაღაც „უპირატესობის კომპლექსი“, რომლის რამდენიმე მაგალითსაც ქვემოთ მოვიტან.

უოველი სტუდენტი ვალდებულია ისწავლოს უცხო ენა. ფრანგული სავსებით აგდებულია. მათ ინგლისურისა და განსაკუთრებით გერმანულის ცოდნა მართებთ. მე გამაკვირვა იმან, რომ გერმანულად ასე ცუდად ლაპარაკობენ. გერმანული ჩვენში მოწაფეებმა საბჭოთა სტუდენტებზე უკეთ იციან.

ამის თაობაზე ერთ სტუდენტს ვკითხეთ და ასეთი ახსნა მივიღეთ (რუსულად გვიპასუხა. ჩვენ ჭეფ ლასტმა გვითარგმნა): „ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანიასა და შეერთებულ შტატებს ჩვენთვის კიდევ შეიძლებოდა რამე ესწავლებინათ, მაგრამ ჩვენ ახლა უცხოეთისგან

\* ან, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ის იცის, რაც მის მრწამსს განამტკიცებს.



სასწავლი აღარაფერი გვაქვს. მოდა, მათ ენაზე ლაპარაკი, აბა, რა საქირთა?\*

თუმცა ისინი გულგრილობას არ იჩენენ იმის მიმართ, რაც ხდება საზღვარგარეთ, მაინც უფრო იმით არიან შეწუხებული, თუ რას ფიქრობს მათზე უცხოეთი. მათთვის ყველაზე მთავარია იცოდნენ, საკმარისად თუ ვართ ჩვენ მათით აღტაცებულნი. ამიტომ ეშინიათ, რომ ჩვენ შეიძლება ყველაფერი არ ვიცოდეთ მათ ღირსებებზე. ისინი ჩვენგან ელიან არა მარტო ცოდნას, არამედ ქათინაურებსაც.

საბავშვო ბაღში (რომელიც, სხვათა შორის, როგორც ყველაფერი, რაც იქ ახალგაზრდობისთვის კეთდება, ჩინებული რამაა) მომხიბვლელი ცეროდენა გოგონები შემომხევივნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და კითხვებს მაყრიდნენ. მათ აინტერესებდათ არა ის, არის თუ არა საფრანგეთში საბავშვო ბაღები, არამედ ის, ვიცით თუ არა ჩვენ საფრანგეთში, რომ მათ ასეთი შესანიშნავი საბავშვო ბაღები აქვთ.

კითხვები, რომლებსაც თქვენ გაძღვევენ, ზოგჯერ ისე გაცბუნებთ, რომ გეშინიათ მათი გამეორება. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ისინი თვითონ მე მოვიგონე. როცა ვამბობ, რომ მეტრო პარიზშიცაა, — სკეპტიკურად იღიმიებიან. „თქვენთან მხოლოდ ტრამვაებია? რამინიბუსებია?“ ერთი მეკითხება (ახლა უკვე ბავშვებზე კი არა, მოწიფულ მუშებზე ვლაპარაკობ), ჩვენც თუ გვაქვს სკოლები საფრანგეთში. მეორე, საქმეში უფრო ჩახედული კაცი, მხრებს იჩეჩავს: კი, რასაკვირველია, საფრანგეთშიცაა სკოლები, მაგრამ იქ ბავშვებს სცემენო. მან ეს საიმედო წყაროდან იცის. ჩვენთან რომ ყველა მუშა ძალიან უბედურია, ეს თავისთავად იგულისხმება, რადგან ჩვენ „რევოლუცია ჯერ კიდევ არ მოგვიხდენია“. მათთვის სსრკ-ს ფარგლებს გარეთ ბნელეთია, ზოგიერთი თვალახელილი ადამიანის გამოკლებით, მათთვის კაპიტალისტურ სამყაროში ყველანი წყვედიადში ითოშებიან.

განათლებული და ძალზე ზრდილობიანი გოგონები (არტეკში მხოლოდ რჩეულ ბავშვებს უშვებენ) გაოცდნენ, როცა რუსულ ფილმებზე საუბრისას მე მათ ვაუწყებ რომ „ჩაპაევსა“ და „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“ პარიზში

დიდი წარმატება ხვდა. მათ ხომ ეუბნებოდნენ საფრანგეთში ყველა რუსული ფილმი აკრძალულიაო. და რაკი ამას მათი მასწავლებლები ეუბნებოდნენ, დავინახე, რომ მათ ეტყობოდათ არა მათი, არამედ ჩემი ნათქვამი — ფრანგები ხომ ცნობილი ხუმარები არიან!

გავბედე და კრეისერზე, *კრომელმატ* — „აღმაფრთოვანა“ („მთლიანად სსრკ-შია დატყვევებული“), საზღვაო ოფიცრების ჯგუფს ვუთხარი, რომ საფრანგეთში უკეთ იციან, რა ხდება სსრკ-ში, ვიდრე სსრკ-ში იციან, რა ხდება საფრანგეთში. მაშინვე აბუზღუნდნენ: ჩვენ „პრავდა“, სრულ ინფორმაციას გვაწვდისო. და უცებ ამ ჯგუფის წევრმა ერთმა ლირიკოსმა ბაგენი განახვნათვისინი: „მსოფლიოში არ იკმარება ქალაქი, რომ მოეთბრო იმაზე, რაც ახალი, დიადი და მშვენიერია სსრკ-ში“.

ამავე სანიმუშო არტეკში, რომელიც სამოთხეა სანიმუშო ბავშვებისთვის — ვუნდერკინდებისთვის, მედალოსნებისთვის, დიპლომატებისთვის (ამიტომ მიჩვენია მას უფრო მოკრძალებული და ნაკლებ არისტოკრატიული მრავალი სხვა პიონერთა ბანაკი), ცამეტი წლის ბიჭმა (თუ არ ვცდები, გერმანიიდან იყო ჩამოსული, მაგრამ აქაური აზროვნების ყაიდა აეთვისებინა), მიჩვენა პარკი და ხაზი გაუსვა მის სილამაზეს: „შეხედეთ, შეხედეთ, ცოტა ხნის წინათ აქ არაფერი იყო... და უცებ — კიბე გაჩნდა. და ასეა ყველგან მთელ სსრკ-ში: გუშინ არაფერი იყო, დღეს ყველაფერია. შეხედეთ აი, იმათ, მუშებს, შეხედეთ, როგორ მუშაობენ! და მთელ სსრკ-ში ასეთივე სკოლები და პიონერთა ბანაკებია“. იგულისხმება, რომ ყველა ასეთი ლამაზი არაა, რომ არტეკი მსოფლიოში ერთადერთია. სტალინი მისით სპეციალურად ინტერესდება. და აქ ჩამოსული ყველა ბავშვი შესანიშნავი ბავშვია.

მალე თქვენ მოუსმენთ ცამეტი წლის ბიჭს, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო ვიოლონჩელია იქნება. მის ტალანტს ჩვენში უკვე იმდენად აფასებენ, რომ მას ძალზე ცნობილი ძველი ოსტატის ვიოლონჩელო აჩუქებს.\*

აგერ, ა, აგერ, ამ კედელს შეხედეთ! როგორ იფიქრებ ადამიანი, რომ ის ათ დღეში აღმართეს!

ამ ბავშვის ენთუზიაზმი ისე გულწრფელია, რომ არ მინდა მისი ყურადღება მივაქციო ამ

\* ისე, ჩვენი დაუფარავი გაცემა რომ დანაბა, სტუდენტმა დასძინა: „მე მესმის, ჩვენ გვესმის ახლა, რომ ეს აბსურდული საბუთია, უცხოური ენა, შას რაიმეს სწავლება რომც არ შეეძლოს, მაინც შეიძლება დარჩეს სწავლების საშუალებად“.

\* ცოტა ხნის შემდეგ მოვუსმინე იმ ბიჭსაოცრებას, რომელმაც თავის „სტრადივიარიუსზე“ პაგანიანი და ჰუნოს პოპულარი შეისრულა და, უნდა ვაღიარო, რომ ეს განსაცვიფრებელი შესრულება იყო.



ნაჩქარევად აღმართული კედლის ბზარებზე. მას უნდა მხოლოდ ის დაინახოს, რაც მის სიამაუეს იწვევს.

ეფენი დაბიმ, რომელსაც უპირატესობის ამ კომპლექსზე ველაპარკე და რომლის მიმართაც ის თავისი არაჩვეულებრივი მორიდებულობის გამო განსაკუთრებით მგრძობიარე იყო, გამომიწოდა „მკვდარი ხულების“ მეორე ტომი — სწორედ მაშინ კითხულობდა მას კიდევ ერთხელ. ტომს გოგოლის წერილი უძღვის. დაბიმ მასში რამდენიმე სტრიქონი გახაზა: „ბევრი ჩვენთავანი, — განსაკუთრებით ახალგაზრდები, — უკვე ახლავე ზღვარგადასულად ტრაბახობს რუსული სიქველევებით და იმაზე არც ფიქრობს, რომ ისინი თავის თავში გააღრმავოს და განავითაროს, არამედ ისწრაფვის წარმოაჩინოს და ევროპას შეუძახოს: „შემოგვხედეთ, გერმანელებო, ჩვენ თქვენ გჭობივართო!“ ეს ტრაბახი ღუპავს ყველაფერს. ის სხვებს აღიზიანებს და თვით მოტრაბახებს ვნებს. საუკეთესო საქმე შეიძლება ტალახად იქცეს, თუკი მისი იტრაბახებ და თავს იქებ.. არა, მე საკუთარი თავით მოგვრილი დროებითი გულგატეხლობა და ნაღველი შირჩევნია, ვიდრე თვითდაჭერებულობა“. ამ რუსულ „ტრაბახობას“, რომელზეც სინანულით წერს გოგოლი, ახლანდელი აღზრდა განავითარებს და ახალისებს.

ეს ბავშვური დაღადებანი (შესაძლოა, ჩაგონებული და დასწავლილი დაღადებანი) იმდენად ტიპური მეჩვენა, რომ იმავე საღამოს ჩავიწერე და ახლა თქვენ გიზიარებთ.

მაგრამ მე არ ვისურვებდი, ვინმესთვის იმის გაფიქრების საბაბი მიმეცა, თითქოს არტიკულ სხვა მოგონებები არ დამჩენია. თქმა არ უნდა, რომ ეს სახწაულებრივი ბავშვთა ბანაკია. იგი მშვენიერ ადგილზეა გაშენებული, ძალზე კარგადაა დაგეგმილი და ზღვისკენ ტერასებად ეშვება. ყველაფერი, რის მოფიქრებაც კი შეიძლება ბავშვის კეთილდღეობისთვის, მათი ჰიგიენისთვის, სპორტული გატაცებისთვის, გართობისა და დასვენებისთვის — რაციონალურადაა მოწყობილი მოედნებსა და გორაკების კალთებზე. ყველა ბავშვი ჯანმრთელი და ბედნიერია. ისინი ძალიან გაწბილდნენ, როცა გაიგეს, რომ ჩვენ ღამე მათთან ვერ ვრჩებოდით: ჩვენთვის ტრადიციული კოცონი გააჩაღეს და ქვედა ტერასზე ხეები ტრანსპარანტებით შორთეს. საღამოსთვის მრავალფეროვანი პროგრამები — ცეკვები, სიმღერები, — იყო დაგეგმილი, მაგრამ მე ვითხოვე, რომ ყველაფერი ხუთზე დამთავრებულიყო, დაღამებამდე უნდა მივბრუნებულიყავი სევასტოპოლში. და, როგორც გაირკვა, კარგადაც მოვი-

ქეცი, იმიტომ, რომ იმ საღამოს ავად გახდა ჩემი თანამგზავრი ეფენი დაბი. თუმცა არაფრით იგრძნობოდა, ავად თუ განდებოდა და მას შეეძლო უღარდელად დამტკბარიყო სპექტაკლით, რომელიც ბავშვებმა შემოგვთავაზეს, განსაკუთრებით იმ ტაქტიკ გოგონას ცეკვით, რომელსაც, მგონი, თაბარა ერქვა. ეს სწორედ ის გოგონაა, სტალინი რომ ეხვეოდა მთელ მოსკოვში გამოკრულ უშველებელ პლაკატებზე. შეუძლებელია ცეკვის მშვენიერებისა და მისი შემსრულებელი ბავშვის მომხიბვლელობის გადმოცემა. „ეს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მოგონებაა სსრკ-ისა“, მეუბნებოდა დაბი. ასევე ვფიქრობდი მეც.

სოჭის სასტუმრო ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო სასტუმროა. პარკი ჩინებულია, პლაჟი — ულამაზესი, მაგრამ დამხვენებლებს უნდოდათ ჩვენგან გაეგონათ, რომ საფრანგეთში მისი მსგავსი არაფერია. თავაზიანობის გამო ჩვენ მათთვის არ გვითქვამს, რომ საფრანგეთში ამაზე უკეთესი, გაცილებით უკეთესია პლაჟებია.

ღიას, შესანიშნავი საქმეა, რომ ამ კომფორტით, ამ ნახევარღუქსით ხალხი სარგებლობს, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ აქ დასვენებლად ჩამოსულნი მეტისმეტად პრივილეგირებული ადამიანები არ არიან. ჩვეულებრივ, უფრო ღირსეულთ ახალისებენ, მაგრამ იმ პირობით, ისინი „ხაზს“ თუ მიჰყვებიან, არ გამოიყოფიან საერთო მასიდან. შეღავათებით მხოლოდ ასეთნი სარგებლობენ.

სოჭში აღტაცებას იწვევს ქალაქის ირგვლივ თვალწარმტაცად განლაგებული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სიმრავლე და დიდებულება, რომ ყველაფერი ეს მუშებისთვისაა აგებული. მაგრამ უფრო მძიმე სანაზღვია, აქვე ახალ თეატრს როგორ აშენებენ მცირეჯამაგირიანი, მათხოვრულ ქობმახებში შეყრილი მუშები.

თუ სოჭის სასტუმროს ვაქებ, რა შემთხვევაში ვთქვა სოხუმის ახლოს მოქმედ სასტუმრო „სინოპე?“ ის გაცილებით უფრო შაღალი კლასისაა და შეგვიძლია საზღვარგარეთის საუკეთესო, ულამაზეს, ყველაზე კომფორტულ სასტუმროებს შევადაროთ. მშვენიერი ბაღი ჭერ კიდევ რევოლუციამდეა გაშენებული, მაგრამ შენობა სულ ცოტა ხნის წინათ აიგო. ის მოხერხებულადაა დაგეგმილი, ავეჯი ბრწყინვალე გემოვნებითაა შერჩეული. სამზარეულო შესანიშნავია, სსრკ-ში საუკეთესოთაგანია, სასტუმრო „სინოპი“ დედამიწის იმ ადგილთაგა-



ნია, სადაც ადამიანი ისე გრძნობს თავს, როგორც ლამის სამოთხეში იგრძნობდა.

სახტუმროს გვერდითაა საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მას სურსათ-ხანოვანით ამარაგებს: ალტაცებას იწვევს სანიმუშო თავლა, ხანიმუშო ფარები, სანიმუშო სალორე და განსაკუთრებით თანამედროვე გიგანტური მეფრინველეობის ფერმა. ყოველ ქათამს ფეხზე უკეთია რგოლი ინდივიდუალური ნორმითურთ. კვერცხების დება გულდასმით რეგისტრირდება. ამ მიზნით ყოველი ქათმისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური ბოქსი, რომელშიც ამწყვდევენ მას და მხოლოდ იმის შემდეგ უშვებენ გარეთ, როცა ის კვერცხს დადებს (და შემიქირს იმის ახსნა, კვერცხები, რომლებსაც სასტუმროში მძლევენ, რატომ არაა საუკეთესო ხარისხისა). დავუმატებ, რომ ამ ადგილებში მოხვედრა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა ფეხსაცმლის ძირებს მადეზინფექცირებულ ხალიჩაზე გაიწმენდო, საქონელი შენ გვერდით თავისუფლად გადის — რა გაეწყობა!

გადავივლით თუ არა ნაკადულს, რომლის იქითაც მეურნეობის ტერიტორია იწყება, ქობნახების რიგს დაინახავთ, ოთახს, რომლის ფართობიცაა ორი მეტრი ორ მეტრზე, ოთხნი ქირაობენ და თითოეული მათგანი თვეში ორ მანეთს იხდის — მეურნეობის სახაღილოში სადილი ორი მანეთი ღირს — ესაა ფუფუნება, რის უფლებასაც თავს ვერ მისცემს კაცო, ვისი გამომუშავებაც თვეში 75 მანეთია. მუშები იძულებულნი არიან პურსა და შებოლილ თევზს დასჭერდნენ.

ხელფასების უთანაბრობაზე არაფერი მეტქმის. გეთანხმებით, რომ ეს აუცილებელია. მაგრამ არის ცხოვრების დონეთა სხვაობის წაშლის სხვა ხერხებიც, თუმცა, არის იმის საშიშროება, რომ უთანაბრობა არა თუ არ აღმოიფხვრება, პირიქით, უფრო საგრძნობიც გახდება. ვშიშობ, რომ მალე არ შეიქმნას ჩვენი წვრილი ბურჟუაზიის მსგავსი ახალი სახესხვაობა.

ამის ნიშნები ყველგან იგრძნობა.\* ბურჟუა-

\* ამასწინანდელმა კანონმა აბორტების აკრძალვის შესახებ შეაძრწუნა ყველა, ვისაც დაბალი ხელფასი არ აძლევს თავისი სახლის აგების, ოჯახის ყოლის საშუალებას. მან ბევრი ვინმე სხვა მიზეზებითაც შეაძრწუნა. განა ამ კანონთან დაკავშირებით არ დაგვიბრდნენ რაღაც ალექსიტის, საყოველთაო განხილვის მოწყობას, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებდნენ. მოსახლეობის დიდი უმრავ-

ზიული ინსტიტუტები, ადამიანის მომდუნებელ, მოყვასისადმი გამაგულგრილებელ ტკბობათა წყურვილს რომ ახულდგმულებენ, კვლავაც აგრძელებენ თვლემას ადამიანთა გულგებობის მიერ რევოლუციის მიუხედავად (რაღვან საერთოდ ადამიანი მხოლოდ გარეგნულად იცვლება და არა არსებითად), ამიტომ განგაშით ვადევნებ თვალყურს იმას, არაპირდაპირ როგორ უქერს მხარს ამჟამინდელ სსრკ-ში ეს ბურჟუაზიული ინსტიტუტები ამასწინანდელ გადაწყვეტილებებს, ჩვენში რომ მოიწონეს. ოჯახის (როგორც „საზოგადოების უჭრედის“) აღორძინებასთან ერთად, მემკვიდრეობის უფლებისა და ანდერძით მიღებული ქონების მემკვიდრეობით გამდიდრებისკენ ლტოლვა, პირადი ქონება ახშობს კოლექტივიზმის გრძნობას, მისთვის უამახასიათებელ მშხანაგობასა და ურთიერთდანმარებას. ეს საშიშროება ყველას არა, მაგრამ უმეტესობას კი ემუქრება. ჩვენ ვხედავთ, როგორ იწყებს საზოგადოება კვლავ ფენებად დაშლას, როგორ იქმნება უკვე მთელი კლასები თუ არა, სოციალური ჯგუფები მაინც, იქმნება არისტოკრატის ახალი სახესხვაობა. შე ვლაპარაკობ არა დამსახურების ან პირადი ღირსებების მეოხებით გამორჩეულ პიროვნებებზე, არამედ ყოველთვის სწორად მოფიქრალ კონფორმისტთა არისტოკრატიაზე. მომავალ თაობაში ეს არისტოკრატია უკვე ფულიანი არისტოკრატია იქნება.

ჩემი შიში გაზვიადებული ხომ არაა? ვიხურვებდი, რომ ასე იყოს. სიტყვამ მოიტანა

ლესობა ამ კანონის წინააღმდეგია, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს ანგარიში არ გაეწია და, ყველას განსაცვიფრებლად კანონი მიიღეს. თავისთავად იგულისხმება, რომ განეთებში, მხოლოდ ამ კანონის მხარდამჭერი შეხედულებები გამოქვეყნდა. მრავალ მუშას ვესაუბრე ამის თაობაზე და მათგან მხოლოდ თვინიერი, გაუბედავი საჩივრები გავიგონე.

ეს კანონი გამართლებულად ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს. ის ძალზე სავალალო ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ რა ვიფიქროთ, თუ მარქსისტულ თვალსაზრისს დავადგებით, სხვა კანონზე, რომელიც უფრო ადრეა მიღებული და ჰომოსექსუალისტების წინააღმდეგაა მიმართული? ამ კანონის თანხმად, ჰომოსექსუალისტები გათანაბრებულა კონტრრევოლუციონერებთან (სხვაგვარად აზროვნება სექსუალურ სფეროშიც კი იღვენება), მათ ესჯებათ ხუთი წლით გასახლება და ამავე ვადით უკვე დაპატიმრებაც, თუ გასახლების ზონაში არ გამოსწორდებიან.



და, სსრკ-მა უკვე გვიჩვენა, რომ მოულოდ-  
ნელი გარდატეხების უნარი აქვს. და შეუძლია  
ერთბაშად მოუდოს ბოლო გაბურჭუებას, რო-  
მელსაც ახლა იწონებს და ახლისებს მთავ-  
რობა. ვაითუ, მალე საჭირო გახდეს მკვეთრი  
ზომების გატარება და ეს ზომები ისეთივე  
სახტიკი აღმოჩნდეს, როგორც ნების ლიკვი-  
დაციისას იყო.

როგორ შეიძლება არ გვეჩოთირობოდეს ის  
სიძულვილი თუ არა, გულგრილობა მაინც,  
რომელსაც იჩენენ „ხელისუფლებაში“ მყოფ-  
ნი ან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ იქა ვართო,  
„ხელქვეითებისადმი“, შავი მუშებისადმი, მო-  
ახლეებისადმი, შინამოსამსახურეებისადმი\* და,  
მე ვაპირებდი დამეწერა, ღარიბებისადმი. მარ-  
თლაც, სსრკ-ში უკვე აღარ არის კლასები,  
მაგრამ არიან ღარიბები. ისინი ბევრნი, ძალზე  
ჩვევრიანი არიან. მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ  
მათ ვერ დავინახავდი, — ან, უფრო ზუსტად,  
სსრკ-ში მე იმათ დასანახად ჩამოვდი. ამას  
ისიც დაუმატეთ, რომ პატივი აქვს აყრილი ქველ-  
მოქმედებასაც და თანადგომასაც.\*\* ამაზე სა-  
ხელმწიფო ზრუნავს. ის ზრუნავს ყველაფერზე  
და ამიტომ, ბუნებრივია, დახმარების აუცი-  
ლებლობა ქარწყლდება. აქედან მოდის, ამხა-  
ნაგობის სულისკვეთების მიუხედავად, გარკ-  
ვეული უგულობა ადამიანთა ურთიერთობებში,  
იგულისხმება, რომ თანასწორთა ურთიერთობე-  
ბზე არაა საუბარი, მაგრამ „ქვემოთმდგომებ-  
ზე „უპირატესობის კომპლექსი“, რომლებ-  
ზეც მე ვლაპარაკობდი, სავსებით ვლინდება.

ამ წვრილბურჭულაზიულ ცნობიერებას, რო-  
მელსაც სსრკ-ში ამჟამად „კონტრრევოლუცი-  
ურს“ უწოდებენ, კონტრრევოლუციასთან არა-  
ვითარი ურთიერთობა არა აქვს. სწორედ რომ  
პირიქით.

\* და როგორც ყოველივე ამის უკანა მხა-  
რე — როგორ მონურად ქედმოხრილია, რო-  
გორი მლიქვნელია მოახლე! სასტუმროებში  
აქა-იქ მას თავი ფრიად ღირსეულად უჭირავს,  
რაც, სხვათა შორის, ადამიანს ხელს არ უშ-  
ლის წრფელად გულთბილი და გულითადი იყოს.  
—იმ მოახლეზე მოგახსენებთ, რომელსაც „ხელ-  
მძღვანელებთან“, „პასუხისმგებელ მუშაკებ-  
თანა“ აქვს საქმე!

\*\* მინდა დავძინო: სევასტოპოლის პარკში  
ყავარჯიანი ხეივანი ბიჭუნა დგება სკამზე  
მსხდომთა წინ და მოწყალებას ითხოვს. მე  
დიღბანს ვადევნე მას თვალი. ოცი ადამიან-  
ნიდან, რომლებსაც ის სათხოვრად მიადგა,  
თვრამეტმა აჩუქა ხურდები. მაგრამ ეს თანად-  
გომა, უეჭველად, მისი სახიზრობითაა გამოწ-  
ვეული.

შეგნება, რომელსაც ახლა იქ კონტრრევო-  
ლუციურად მიიჩნევენ, სინამდვილეში რევო-  
ლუციური შეგნებაა, რომელსაც ნახევრად დამ-  
პალ მეფის რეჟიმზე გამარჯვებამდე მივყავართ.  
ვისურვებდი მეფიქრა, რომ ადამიანთა გულე-  
ბი აღსავსეა მოყვასის ბიყვარულით ან, უკიდურეს  
შემთხვევაში, მათთვის უფრო არაა სამართლიან-  
ობის გრძნობა. მაგრამ რევოლუციურ რევოლუ-  
ცია მოხდა, როგორც კი მან გაიმარჯვა, რო-  
გორც კი ის განმტკიცდა, ყოველივე ამაზე  
ლაპარაკი შეწყდა. პირველ რევოლუციონერთა  
აღმაფრთოვანებელი გრძნობა-განცდები შედ-  
მეტი ხდება, ისინი ხელს უშლიან ადამიანებს;  
ისევე, როგორც ხელს უშლით ყველაფერი,  
რაც მათ არ მსახურებთ. ეს გრძნობები შეიძ-  
ლება შევადაროთ ხარაჩოებს, რომლებსაც  
აღმართავენ კამარის წყობისას, — როგორც  
კი უკანასკნელ ქვას დადებენ, ხარაჩოებს ხსნი-  
ან.

ახლა, როცა რევოლუციამ გაიმარჯვა, რო-  
ცა ის მკვიდრდება და მას ეჩვევიან, როცა  
ის გარიგებებზე მიდის, ზოგიერთთა აზრით,  
კი ჰკუაში ვარდება, ისინი, ვისშიც ჯერ კი-  
დეც დულს რევოლუციური ხული, და ვინც  
თანმიმდევრულად განხორციელებულ დათ-  
მობებს კომპრომისებად მიიჩნევენ, შედმეტნი  
ხდებიან, ისინი ხელშისშემშლენი არიან და  
ამიტომ მათ სპობენ. სიტყვიერ უნგლიორობას  
იმის აღიარება სჭობია, რომ რევოლუციური  
ცნობიერება (უფრო უბრალოდაც რომ ვთქვათ:  
კრიტიკული გონება) უადგილო, შედმეტი ხდე-  
ბა, ის უკვე აღარავის სჭირდება. ახლა საჭი-  
როა მხოლოდ შემთანხმებლობა, კონფორმიზ-  
მი. ხურთ და მოითხოვენ მხოლოდ ყოველივე  
იმის მოწონებას, რაც ხდება სსრკ-ში, ცდი-  
ლობენ მიაღწიონ ეს მოწონება იძულებითი კი  
არა, ნებაყოფლობითი და გულწრფელი იყოს,  
რათა ენთუსიაზმითაც კი გამოიხატებოდეს.  
ყველაზე უფრო გასაოცარია, რომ ამას აღწე-  
ვენ კიდევ. მეორე მხრივ, უმცირესი პროტეს-  
ტისა და ოდნავი კრიტიკისთვისაც კი ადამიანი  
შეიძლება სასტიკად დაისაჯოს. ასეთი პროტეს-  
ტი და ასეთი კრიტიკაც მაშინვე იხშობა. არა  
მგონია, დღეს რომელიმე სხვა ქვეყანაში, ჰიტ-  
ლერულ გერმანიაშიც კი, ცნობიერება ამაზე  
უფრო შევიწროებულ-დაბეჩავებული, უფრო  
დაშინებული და დამონებული იყოს.

IV

სოხუმის ახლოს არსებულ ნავთობხანდელ  
ქარხანაში ყველაფერი ჩინებული მოგვეჩვენა:  
სასადილო, მუშათა საერთო საცხოვრებელი,



კლუბიც (თვით ქარხანას რაც შეეხება, პირადად მე მიხი არაფერი გამეგება, მაგრამ, უბრალოდ, მჭერა, რომ ის აღტაცებას იმსახურებს), მაგრამ ჩვენ შევჩერდით „კედლის გაზეთთან“, რომელიც, ჩვეულებრივ, კლუბშია გამოკრული. ჩვენ არ გვქონდა ყველა შენიშვნის წაკითხვის საშუალება, მაგრამ გამაკვირვარებრივად „წითელი დახმარება“, რომელშიც, პრინციპულად თუ განვსჯით, ესპანეთზე რაიმე ცნობა მინიშნებითაც არ იყო გამოქვეყნებული. უკანასკნელ დღეებში იქიდან მოღწეული ცნობები გვაშფოთებდა. არ გვიცდია დამალონებელი განცვიფრების დამალვა. წუთიერი შეცბუნების შემდეგ მადლობას გვიხდოდა შენიშვნის გამო— მას აუცილებლად გაითვალისწინებენ.

იგივე ხალხი. ბანკეტი. ჩვეულებრივ მრავალი სადღეგრძელო. როცა ყველა სტუმრისა და მასპინძლის სადღეგრძელო შეისვა, წამოდგა ჩემი ლასტი და იქ მყოფთ რუსულად შეხთავაზა, ესპანეთში წითელი ფრონტის გამარჯვების სადღეგრძელო შეესვათ. გაისმა მქუხარე აპლოდისმენტები, მაგრამ, როგორც მე მომეჩვენა, რაიმე დაბნეულობის გარეშე. და მაშინვე, თითქოს ნათქვამის საპასუხოდ, შეისვა სტალინის სადღეგრძელო. მე წარმოვთქვი გერმანიის, უნგრეთის, იუგოსლავიის პოლიტიკურ პატიმართა სადღეგრძელო... ამჭერად გაისმა გულწრფელი ტაში, ერთმანეთს კიკებს უჭახუნებენ, სვამენ და მაშინვე კვლავ სტალინის სადღეგრძელოს სვამენ. ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ ყველამ იცის, როგორი პოზიცია უნდა ჰქონდეთ გერმანიაში და სხვაგანაც ფაშიზმის მხნვერპლთაღმძი. ესპანეთში მიმდინარე მოვლენებსა და ბრძოლაზე კი ყველა, როგორც ერთი, ელის „პრავდის“ მითითებებს, რომელსაც ამის თაობაზე ჭერ არაფერი უთქვამს. ვიდრე ცნობილი არ გახდება, რა უნდა იფიქრონ ამ საკითხზე „არავის სურს გარისკვა, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ (უკვე სევასტოპოლში ვიყავით) წითელ მოედანზე შობილი თანაგრძნობისა და სიმპათიის მძლავრი ტალღა პრესაში გახშირდა და მაშინვე ყველგან დაიწყო მთავრობის ქარების მხარდაჭერის ხელმოწერები.

ქარხნის სამმართველოში მისვლისას ჩვენ განვაცვიფრა უშველებელი ზომის სიმბოლურმა სურათმა — ცენტრში გამოსახულია სტალინი, ის რადაცას ლაპარაკობს და მის ორივე მხარეზე მდგომი მთავრობის წევრები ტაშს უკრავენ.

სტალინის სურათებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. მიხი სახელი ყველას პირზე აკერია, ყველა ორატორი ხოტბას ასხამს. კერძოდ, სა-

ქართველოში ნებისმიერ საცხოვრისში, ყველაზე საწყალობელ და ლატაკ სახლშიც კი, თქვენ აუცილებლად ნახავთ სტალინის პორტრეტს სწორედ იმ ადგილზე, სადაც ადრე ხატი ეკიდა. მე არ ვიცი, რაა ეს: გაღმერთება, ნიჟვარული თუ შიში, მაგრამ ის ყველგანაა.

თბილისიდან ბათუმისკენ გზად გავიარეთ გორი, პატარა ქალაქი, სადაც სტალინი დაიბადა, გავიფიქრე, რომ ეს ყველაზე შესაფერისი შემთხვევაა, რათა მადლობა გადამეხადა მისთვის სსრკ-ში სტუმრობის გამო, სადაც გულსხმიერად გვხვდებოდნენ და ზრუნავდნენ ჩვენზე. უკეთესი შემთხვევა არ მომეცემოდა. დეპეშის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: „განვაგრძობთ რა ჩვენს გასაოცარ მოგზაურობას სსრკ-ში და ვიმყოფები რა გორში, განვიცდი გულითად მოთხოვნილებას გამოვხატო თქვენ მიმართ...“ მაგრამ ამ ადგილას მთარგმნელს ენა ებორკება: ასეთი ფორმულირება არ ვარგა, როცა „თქვენ“ სტალინს ეხება, ეს არ კმარა, ეს დაუშვებელიც კია. მას რაღაც უნდა დაემატოს. და რახან მე საგონებელში ვვარდები, იქ მყოფნი ბჭობას იწყებენ. ასეთ ტექსტს მთავრობენ: „თქვენ, მშრომელთა ხელმძღვანელს“, ან — „ხალხთა ბელადს“, ან... მე უკვე არ ვიცი, კიდევ რას არა.“ მე ეს აბსურდად მეჩვენება, პროტესტს ვაცხადებ და ვამბობ, რომ სტალინი ამ მლიქვნელობაზე მაღლა დგას. მე ტყუილუბრალოდ ვღელავ. მთავრის ვხვდები. დეპეშას არ მიიღებენ, თუ შის შევსებაზე არ დაეთანხმდები. და რამდენადაც ლაპარაკია თარგმანზე, რომლის შემოწმებაც კი არ შემიძლია, ჭიუტი წინააღმდეგობის შემდეგ ვთანხმდები, თან ნაღვლიანად ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს ქმნის შემადრწუნებელ, გადაუღალავ უფსკრულს სტალინსა და ხალხს შორის. მე ადრეც მივაქციე ყურადღება იქ ჩემი გამოსვლების თარგმანებში ამგვარ ჩამატებებსა და დაწუსებებს,\*\* მაშინვე ვთქვი,

\* ისე ჩანს, თითქოს მე ამეებს ვიგონებ, ვთხზავ, ხომ ასეა? ვაი რომ, არ ვიგონებ და ნუ ცდილობენ დამარწმუნონ, რომ საქმე რომელიღაც არცთუ ძალიან ჭკვიანი მოხელის გულმოდგინებას ეხება, სრულიადაც არა. იქ საკმოდ ბევრი მაღალი თანამდებობის, წარჩინებული, ყოველ შემთხვევაში, ასეთ საქმეებში კარგად გარკვეული პირი იყო.

\*\* მიხსნიან, რომ სსრკ-ზე ჩემს საუბარში გამოყენებულ სიტყვა „ბედისწერას“ რაიმე განმარტება უნდა დაემატოს. მე მას შევთავაზე სიტყვა „დიდებული“. X-მა მხარი დამიჭირა და მითხრა, რომ ეს სიტყვა ყველას დააქმაყოფილებს. მეორეს მხრივ, მე ისევ მიჩვენს არ



რომ უარს ვაცხადებდი სსრკ-ში ყოფნის დროს ჩემი სახელით გამოქვეყნებულ უველა მასალა-ზე\*, რომ მე ამაზე კიდევ ვიტყვოდი ჩემს სათქმელს. აი, ახლა სწორედ ეს გავაკეთე.

ოპ, დალახვროს ეშმაკმა, უველა ამგვარ, უფრო ხშირად უნებლიე ფანდში არ მინდა რაიმე ხრიკის დანახვა, ეს, უბრალოდ, იმის სურვილია, რომ დაეხმარო ადამიანს, რომელიც არ იცნობს ადგილობრივ ადათ-წესებს და რომელიც ჭობია დათანხმდეს, შესაბამისი სიტუაციები შეარჩიოს და შესაფერისად გამოხატოს აზრები.

ცვლილებები და დამატებანი, რომელთა შეტანაც სტალინმა პირველი და მეორე ხუთწლიედი გეგმებში თავის მოვალეობად ჩათვალა, გონების ისეთ მოქნილობას და ისეთ სიბრძნეს ადასტურებს, რომ უნებლიეთ მეზადება კითხვა — საერთოდ შესაძლებელია თუ არა ამაზე მეტი სიმტკიცე; ეს საწყისი კურსიდან, ლენინის კურსიდან გადახრა აუცილებლობით ხომ არ იყო გამოწვეული; საწყისი კურსის მეტი ერთგულება მთელი ხალხის არადაამიანურ ძალისხმევას ხომ არ მოითხოვდა. უოველ შემთხვევაში, დანახარჯები არის. და თვით სტალინი რომ არა, საერთოდ ადამიანი, ადამიანის ბუნება იმედს გიცრუებს, რწმენას გიკარგავს. უველაფერს, რასაც ეხწრაფვოდნენ, რაც ეწადათ, თითქოს კიდევ მიაღწიეს ისეთი ბრძოლის, დაღვრილი სისხლის, ცრემლების ფასად, — და უველაფერი ეს „ადამიანურ ძალებს აღემატებოდა?“ და ახლა როგორ მოიქცნენ? კიდევ დაელოდონ, შეურიგდნენ ვითარებას, თავიანთი იმედები მომავლისთვის გადადონ? აი, რას ეკითხები სასოწარკვეთით შენს თავს სსრკ-ში. ამაზე ფიქრიც საზარელია.

ძალისხმევათა ამდენი თვის, ამდენი წლის შემდეგ ადამიანი უფლებამოსილია კითხოს თავის თავს: ბოლოს და ბოლოს შეიძლება თუ არა თავის ოდნავ მაღლა აწევა? თავები ასე დაბლა არახოდეს ყოფილა დახრილი.

ის, რომ იდეალებს გადაუხვიეს, არავის ეეჭვება, მაგრამ ჩვენ, იმავდროულად, ისიც უნდა გვეეჭვებოდეს თუ არა, შეძლებენ კი ისინი ჩანაფიქრის ხორცშესხმას? ეს დამარცხებაა თუ მოულოდნელი სიძნელეებით გამო-

წვეული აუცილებელი და გამართლებული დათმობები?

„მისტიკიდან“ პოლიტიკაში ეს გადასვლა გარდაუვალადაა დაკავშირებული დეგრადაციასთან თუ არა? რამდენადაც საქმე უკვე თეორიას კი არა, პრაქტიკას ეხება, ანგარიში უნდა გაეწიოს menschliches allzumenschliches-საც\* და მტერსაც.

სტალინმა მრავალი გადაწყვეტილება მიიღო და ისინი ამ ბოლო ხანს ნაკარნახევია გერმანიის მიერ ჩაგონებული შიშით, ოჯახის, პირადი საკუთრების, მემკვიდრეობის მიღების უფლებები — ყოველივე ეს საკმაოდ დამაჭერებლად აიხსნება: საბჭოთა ადამიანს უნდა ჩავგონოს გრძნობა იმისა, რომ მას აქვს რაღაც თავისი, პიროვნული, რისი დაცვაც მართებს. მაგრამ ასე პირველი აღტყინება თანდათან ცხრება, წინ მიმართული მზერა ჩლუნგდება. მე შეტყვიან, რომ უველაფერი ეს აუცილებელია, სასწრაფო რამაა, რომ გარეშე ძალთა შემოსევამ შეიძლება წამოწყებული საქმე დაღუპოს. მაგრამ დათმობებს თუ დათმობები მოჰყვება, წამოწყებას სახელი უტყდება.

მეორე საშიშროებაა „ტროცკიზმი“ და ის, რასაც სსრკ-ში კონტრრევოლუციას უწოდებენ. არიან ადამიანები, რომლებიც უარს აცხადებენ აღიარონ, რომ პრინციპების დარღვევები აუცილებლობით არის გამოწვეული. ეს დათმობები მათ დამარცხებად მიაჩნიათ, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ პირველი დეკრეტებიდან უკანდახევას თავისი ახსნა და გამართლება აქვს, მათთვის მთავარია თვით უკანდახევის ფაქტი, მაგრამ ახლა მხოლოდ შეგუებასა და მორჩილებას მოითხოვენ. უველა უკმაყოფილო „ტროცკისტად“ გამოცხადდება. და უნებლიეთ იზადება ასეთი კიოხვა: რა მოხდება, ახლა უცებ თვით ლენინი რომ გაცოცხლდეს?+

ის, რომ სტალინი ყოველთვის მართალია, იმას ნიშნავს, რომ სტალინმა უველას სძლია, უველაზე გაიმარჯვა.

ჩვენ „პროლეტარიატის დიქტატურას“ შეგვიპირდნენ. იქამდე შორია. დიახ, რასაკვირველია, დიქტატურაა. მაგრამ ესაა დიქტატურა ერთი ადამიანისა და არა გაერთიანებული პროლეტარიატის, საბჭოების დიქტატურა. დიდი მნიშვნელობა აქვს, არ შეცდნენ და პირდაპირ აღიარონ, რომ ეს სულაც არაა ის, რაც

ვისმარო სიტყვა „დიდი“, როცა საუბარია მონარქზე. შეუძლებელია მონარქი დიდი იყოს.

\* ხომ არ მაიძულეს მე განმეცხადებინა, რომ ფრანგი ასალგაზრდობა ვერ მიგებდა და არ ვუყვარდი, რომ ამას იმით ვკისრულობ მხოლოდ მეშათა კლასისათვის ვწერო და ა. შ.?

\* ადამიანურს, საყოველთაო ადამიანურს (გერმ.).



უნდოდათ. კიდევ ერთი ნაბიჯი და შესაძლებელი იქნება ასეც თქვან: ეს ხწორედ ისაა, რაც არ უნდოდათ.

სახელმწიფოში ოპოზიციის განადგურება ან მისთვის აზრის გამოთქმის, მოქმედების აკრძალვა-ც კი მეტიმეტად საშიში საქმეა: ეს ტერორიზმისკენ წაბიძგებაა. ხელმძღვანელობისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, მთელ სახელმწიფოში ყველა ერთნაირად თუ იფიქრებდა. მაგრამ ასეთი ხულიერა დაკნინება-გაწაფულების ვითარებაში ვინ გაბედავდა „კულტურაზე“ ხმის ამოდებას? როგორ ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი საშიშროება: მე ვფიქრობ, რომ მოწინააღმდეგის ყურის დაგდება დიდი სიბრძნეა. საჭიროების შემთხვევაში მასზე ზრუნვაც კია საჭირო, — მას უნდა ებრძოლო, მაგრამ არ უნდა განადგურო, ოპოზიციის განადგურება... რა კარგია, რომ სტალინი ამას ცუდად ახერხებს.

„ადამიანში ყველაფერი რთულადაა, ამას უნდა შევეგუოთ და ყველაფრის გაუბრალოების, უნიფიცირების, გარეყნულ გამოვლინებაშიდე დაუვანის ნებისმიერი ცდა საძაგლობაა. ყველა ეს ცდა ძვირი გვიჯდება და ავბედით ფარსად გვიტრიალდება. იმიტომ, რომ ატალიის საუბედუროდ, ყოველთვის არსებობს იოასი, პეროდეს საუბედუროდ ყოველთვის მოინახება „წმიდა ოჯახი“. — ვწერდი 1910 წელს.

სსრკ-ში გამგზავრების წინ მე ვწერდი: „ვფიქრობ, რომ მწერლის ფასი განისაზღვრება მისი კავშირებით შემოქმედების მასტიმულირებელ რევოლუციურ ძალებთან, ან უფრო ზუსტად, — რადგან მე იმდენად უგუნური არა ვარ, რომ მივიჩნიო, თითქოს მხატვრული ფასეულობების შექმნის უნარი მხოლოდ შემარცხენე მწერლებს ჰქონდეთ, — განისაზღვრება მათი ოპოზიციურობა. ამგვარი ოპოზიციურობით არიან აღბეჭდილი ბოსიუე, შატობრიანი, ჩვენს დროში — კლოდელი, ასევე თავის დროზე ვოლტერი, ჰიუგო, მოლიერი და ბევრი სხვა. ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ვითარებაში ყველა დიდი მწერალი, დიდი მხატვარი ყოველთვის ანტიკონფორმისტია. ის დინების წინააღმდეგ მოძრაობს. ეს ითქმის დანტეზე, სერვანტესზე, იბსენზე, გოგოლზე... ეს კანონზომიერება არ გავრცელდა შექსპირსა და მის თანამედროვეებზე, რომლებზეც შესანიშნავად თქვა ჯონ ადინგტონ სიმონდემ: „ამ პერიოდის დრამატულმა ხელოვნებამ მხოლოდ იმიტომ მიაღწია ასეთ მწერვალეებს, რომ ავტორები ხალხის აზრის თანახმად ცხოვრობდნენ და ჰქმნიდნენ“. ეს ასეა სოფოკლეს და, უქვევლად, ჰომეროს-

ისი შემთხვევაშიც, ჰომეროსისა, რომლის ბაგეებითაც თითქოს თვით საბერძნეთი მღეროდა. ეს კანონზომიერება ირღვევა იმ მომენტიდან, როცა... და აქ სსრკ-სთან დაკავშირებით ჩვენ ერთი კითხვა გვალელებს: რევოლუციის გამარჯვება ნიშნავს თუ არა იმას, რომ მხატვარს მხოლოდ დინების მიმართულებით მოძრაობის უფლება აქვს? კითხვა სახელმძღვანელო ფორმულირდება: რა მოხდება, თუ ახალი სოციალური წყობის დროს მხატვარს უკვე არ ექნება საბაბი პროტესტისთვის? რას გააკეთებს მხატვარი, თუ მას არ დასჭირდება ოპოზიციის დგომა, არამედ მხოლოდ დინების მიმართულებით მოძრაობა მოუხდება? გასაგებია, რომ ვიდრე ბრძოლაა და გამარჯვება ჯერ მიღწეული არაა, მხატვარს შეუძლია თავად მიიღოს მონაწილეობა ამ ბრძოლაში, ასახოს იგი და ამით ხელი შეუწყოს გამარჯვების მიღწევას, შემდეგ კი...

აი, რას ვეკითხებოდი ჩემს თავს, როცა სსრკ-ში მივემგზავრებოდი.

„გესმით თუ არა, — მიხსნიდა X., — ეს სულაც არაა ის, რაც საზოგადოებას სურს; სულაც არაა ის, რაც ჩვენ დღეს გვჭირდება. ამ ცოტა ხნის წინათ მან შექმნა ბრწყინვალე ბალეტი, რომელიც კარგად მიიღეს („ის“ — შოსტაკოვიჩი, რომელზეც ზოგიერთები ისეთი აღტაცებით შელაპარაკებოდნენ, როგორც, ჩვეულებრივ, გენიოსებზე ლაპარაკობენ.), მაგრამ როგორ გნებავს ხალხი აფასებდეს ოპერას, რომლის არც ერთი არიის წამღერება არ შეგიძლია თეატრიდან გამოსვლის შემდეგ?“ (წელავთ, რას ჩაეჭიდა! ამასთან ერთად, X, თავად მხატვარი, დიდად განათლებული ადამიანი, აქამდე სავსებით გონივრულად შელაპარაკებოდა).

„ჩვენ დღეს გვჭირდება ყველასთვის გასაგები ნაწარმოები. შოსტაკოვიჩს ეს თუ არ ესმის, აგრძნობინებენ — მის მუსიკას აღარ მოუსმენენ“. მე პროტესტი განვუცხადე, ვუმტკიცე, რომ არცთუ იშვიათად უშესანიშნავეს ნაწარმოებს, იმათაც კი, რომლებიც შემდგომ, მოგვიანებით სახალხო აღიარებას პოულობენ, თავიდან მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრე იგებს; რომ თვით ბეთჰოვენიც კი... და მას გავუწოდე წიგნი, რომელიც თან მქონდა: აგერ, ა, ჩაიხედეთ.

„მეც რამდენიმე წლის წინათ (ამას ბეთჰოვენი ამბობდა) გავმართე კონცერტი ბერლინში, მე მასში მთელი ჩემი სული და გული ჩავაქსოვე და ვიმედოვნებდი, რომ რაღაცას მივალწიე და, მაშასადამე, ნამდვილ წარმატებას მოვიპოვებდი, და, ნახეთ, რა მოხდა: როცა შევ-



ქმენი ის საუკეთესო რამ, რისი შექმნაც კი შემიძლო, სწორედ ის არ მომიწონეს ოდნავადაც კი“.

X დამეთანხმა, რომ სსრკ-ში ბეთბოვენს ძალზე გაუჭირდებოდა ასეთი დამარცხების შემდეგ წელში გამართვა. „აი, რა გითხრათ, — განაგრძობდა ის, — ჩვენში მხატვარი, უწინარეს ყოვლისა, ხაზს უნდა მისდევდეს. უამისოდ უბრწყინვალესი ტალანტიც კი „ფორმალისტად“ ჩაითვლება. ჩვენ სწორედ ეს სიტყვა ავირჩიეთ ყოველივე იმის აღსანიშნავად, რისი ნახვაც ან რისი გაგონებაც არ გვინდა. ჩვენ გვინდა შევქმნათ ჩვენი დიდი ხალხის ღირსი ახალი ხელოვნება. ხელოვნება ახლა ან სახალხო უნდა იყოს, ანდა ის ხელოვნება არ იქნება“.

„თქვენ თქვენს მხატვრებს აიძულებთ, რომ კონფორმისტები გახდნენ, — ვუთხარი მას, — მათგან საუკეთესოთ კი, რომლებიც ხელოვნების წაბილწვაზე ან უბრალოდ მის დაკნინებაზე უარს იტყვიან, აიძულებთ გაჩუმდნენ. კულტურა, რომელსაც თქვენ ვითომ ემსახურებით, რომელსაც იცავთ, შეგაჩვენებ“.

მაშინ მან მითხრა, რომ მე ბურჟუაზიით ვმსჯელობდი. როგორც ამბობს, ის დარწმუნებულია, რომ მარქსიზმი, რომლის წყალობითაც ამდენი რამაა გაკეთებული სხვადასხვა სფეროში, დაეხმარება მხატვრული ნაწარმოების შექმნაში. და დასძინა: თუ ჯერ ახალი ნაწარმოები არ ჩნდება, ამის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ გარდასულ საუკუნეთა ხელოვნების როლი მეტიმეტად დიდიაო.

ის სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდა — გეგონებოდათ, გაკვეთილს ატარებს ან ლექციას კითხულობსო. ყველაფერი ეს ხდებოდა სოქის სასტუმროს შოლში. მე არ შევკამათებოვარ და დავემშვიდობეთ ერთმანეთს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჩემს ნომერში ამოვიდა და ჩურჩულით მითხრა:

— „ეჰ, დალაზროს ეშმაკმა! მე ყველაფერი მესმის... მაგრამ გვაუურადებდნენ და... მე კი დღე-დღეზე ნახატები უნდა გამოვფინო.“

მხატვარია და მას თავისი უკანასკნელი ნახატები უნდა გამოეფინა.

როცა ჩვენ სსრკ-ში ჩავედით, იქ ჯერ კიდევ არ იყო მიჩუმათებული კამათი, დავა ფორმალიზმზე. მე შევეცადე გამეგო, რა აზრს დებდნენ ამ სიტყვაში, და გავარკვიე, რომ ფორმალიზმი ბრალდებოდა ყველა მხატვარს, ვინც კი იჩენდა მეტ ინტერესს ფორმისადმი, ვიდრე შინაარსისადმი. სიტყვამ მოიტანა და, დავძენ, რომ აქ ყურადღების ღირსად (უფრო ზუსტად, ასატანად) მხოლოდ გარკვეული შინაარსი ითვლება. თუ ის არაა მხატვრული

ნაწარმოები ფორმალისტურად ითვლება და საერთოდ უაზრობაა. გამოვტყდები, რომ უდიდოდ არ შემიძლია დავწერო ეს ორი სიტყვა — „ფორმა“ და „შინაარსი“, თუმცა უფრო უნდა ვტიროდე, რაკი ვიცო, რომ კრიტიკა ასეთ აბსურდულ გამიჯვნას ეყრდნობა. შესაძლებელია, ეს სასარგებლო ნიქსი პოლიტიკური თვალსაზრისით; მაგრამ ეს მხატვრულ საუბარს საჭირო არაა. როცა კრიტიკა უკვე არაა თავისუფალი, მაშინ კულტურა საფრთხეშია.

როგორი მშვენიერიც არ უნდა იყოს ნაწარმოები, სსრკ-ში, თუ ის საერთო ხაზს არ მიჰყვება, იგმობა. როგორი გენიალურიც არ უნდა იყოს მხატვარი, თუ ის საერთო ხაზს არ მიჰყვება, მას არაფრად ჩააგდებენ, ის წარუმატებლობისთვისაა განწირული. მხატვრისგან, მწერლისგან მოითხოვენ მხოლოდ მორჩილებას, გამგონებას. ყველაფერი დანარჩენი მოგვარდება.

მე თბილისში ვნახე თანამედროვე ფერწერის გამოფენა — გულმოწყალების გამო აჭობებს მასზე საერთოდ არაფერი ვთქვა. მაგრამ მხატვრებმა როგორც იქნა, მიაღწიეს დასახულ მიზანს, რაც გულისხმობდა სწავლებას (თვალსაჩინო სახეების მეოხებით), დარწმუნებას (საილუსტრაციოდ გამოყენებული იყო სტალინის ცხოვრების ეპიზოდები). ეჰ, რასაკვირველია, ესენი „ფორმალისტები“ არ იყვნენ! საუბედუროდ, ესენი არც მხატვრები იყვნენ. მათ გამახხენეს აპოლონი, რომელმაც, ამ მეტიმეტის სამსახური რომ გაეწია, მზის სხივები ჩააქრო და მაინც ვერ უშველა. მაგრამ რამდენადაც სსრკ-მა პლასტიკურ ხელოვნებაში საგრძნობ წარმატებებს ვერც რევოლუციამდე მიაღწია და ვერც რევოლუციის შემდეგ, აჭობებს ლიტერატურაზე ვილაპარაკოთ...

„ჩემი ახალგაზრდობის დროს, — შეუბნებოდა X, — გვირჩევდნენ ესა და ეს წიგნები გვეკითხა და ესა და ეს წიგნები არ გვეკითხა, ბუნებრივია, რომ ჩვენს ყურადღებას ეს უკანასკნელი წიგნები იქცევდა. იმ და ჩვენს დროებს შორის ის განსხვავებაა, რომ ახალგაზრდობა დღეს რეკომენდირებულ ლიტერატურას კითხულობს და მას სხვა არაფრის წაკითხვა არ სწადია“.

მაშასადამე, დოსტოევსკის მკითხველი აღარა ბყავს, თანაც, დარწმუნებით არც იმის თქმა შეგვიძლია, ახალგაზრდობამ მას თავად შეაქცია ზურგი თუ შეაქცევინეს, — ასეა მისი ტვინი დამუშავებული.

ჭკუა, რომელიც იძულებულია, ვალდებულია ბრძანებას გამოეხმაუროს, უარესს თუ არა, თავის შებოქილობას მაინც იგრძნობს. მაგრამ თუ



ის ისეა აღზრდილი, რომ განჭვრეტს ლოზუნ-  
გებს „მაშინ მას უკვე არ ძალუძს თავისი მო-  
ნობის გაცნობიერება. მე ვფიქრობ, რომ სსრკ-  
ში ბევრი ახალგაზრდა კაცი გაცივდებოდა, პრო-  
ტესტს გამოთქვამდა, თუკი მათ ეტყოდნენ, რომ  
ისინი შეზღუდულად მსჯელობენ.

ჩვეულებრივ, ჩვენ არ ვაფასებთ იმას, რაც  
გვაქვს, რასაც შევეჩვიეთ. საკმარისია ერთხელ  
მოხვდე სსრკ-ში (ან გერმანიაში — ეს თავის-  
თავად იგულისხმება), რათა გაცივდებოდე, რა-  
ოდენ ფასდაუდებელია აზრის თავისუფლება,  
რომლითაც საფრანგეთში ჯერ კიდევ ვტკბებით  
და ზოგჯერ ბოროტადაც ვიყენებთ.

ლენინგრადში მე მთხოვეს მოკლე სიტყვით  
გამოვსულიყავი სტუდენტებისა და ლიტერა-  
ტორების წინაშე. სსრკ-ში სულ ერთი კვირის  
ჩასული ვიყავი და ვცდილობდი მომენახა სწო-  
რი ტონი და ჩემი სიტყვის ტექსტი წავაკით-  
ხე X-სა და Y-ს. მე მაშინვე მაგრძნობინეს,  
რომ ხაზიდან ვუხვევდი, ტონი ისეთი არ იყო,  
როგორც საჭიროა და, თანაც, უველაფერი,  
რაზეც ხაუბარს ვაპირებდი, სრულიად მიუ-  
ღებელია „აბა, რას ველოდი! მოგვიანებით უვე-  
ლაფერი გასაგები გახდა. რაკი შემთხვევა არ  
მომეცა იმ სიტყვის წარმოსათქმელად, ახლა  
გაგაცნობთ მას:

„ხშირად ინტერესდებოდნენ ჩემი შეხედულე-  
ბით სსრკ-ს თანამედროვე ლიტერატურაზე.  
მინდა ავხსნა, თუ რატომ ვარიდებდი თავს ამ  
კითხვაზე პასუხის გაცემას. ეს საშუალებას  
მომცემს დავაზუსტო წითელ მოედანზე გორ-  
კის დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ ჩემს  
სიტყვაში გამოთქმული ერთი აზრი. მე ვლაპა-  
რაკობდი თვით საბჭოთა რესპუბლიკის ტრიუმ-  
ფით წარმოსობილ „ახალ პრობლემებზე“, ის-  
ტორიის მიერ დაყენებულ პრობლემებზე,  
რომლებიც გადაჭრას მოითხოვენ. მათზე და-  
ფიქრების თავად აუცილებლობაც ცოტა  
დიდებას როდი მატებს სსრკ-ს და რაკი კულ-  
ტურის მომავალი მე მათ გადაწყვეტასთან მჭი-  
დრო კავშირში მესახება, აზრი აქვს, უკვე  
ნათქვამს ერთხელაც მივუბრუნდე და ზოგი  
რამ დავაზუსტო...

ადამიანთა უმეტესობა, მათში საუკეთესონიც  
კი, წყალობის თვალთ, არასოდეს ხვდებიან  
წარმოებებს, რომლებშიც არის რაღაც ახალი,  
უჩვეულო, საგონებელში ჩამგდები, დამაბნევე-  
ლი; მოწყალე თვალთ დანახვის იმედი უნ-  
და ჰქონდეს მხოლოდ იმ წარმოებს, რაც  
შეიცავს უკვე ნაცნობს ანუ ბანალობას. ისე-  
ვე, როგორც არსებობს ბურჟუაზიული ბანა-  
ლობანი, არსებობს — ამის გაგებას დიდი მნი-

შენელობა აქვს — რევოლუციური ბანაობა-  
ნიც. დიდი მნიშვნელობა აქვს იმაში დარწმუნე-  
ბასაც, რომ ის, რაც დოქტრინიდან (თუნდაც  
უველაზე საღი და უკვე განმტკიცებული დო-  
ქტრინიდან) მოდის, სულაც არ წარმოადგენს  
მხატვრული ნაწარმოების ფასეულობას და  
ხელს არ უწყობს მის დღეგრძელებას. ფასეუ-  
ლია ის, რაც ჯერ კიდევ დაუნსწელ კითხ-  
ვათა პასუხებს შეიცავს. ძალიან ვშიშობ, რომ  
წმინდა წყლის მარქსიზმის სულისკვეთებით  
დაწერილ ბევრ ნაწარმოებს, — რომელთა  
წარმატებასაც ამჟამად სწორედ წმინდა წყლის  
მარქსიზმის თარგზე გამოჭრა განაპირობებს, —  
მომდევნო თაობები თავიანთი ხტერილური ბუ-  
ნების წყალობით ხელს ჰკრავენ. და მე მჭერა,  
რომ მხოლოდ უოველგვარი დოქტრინიორობი-  
სგან თავისუფალი ნაწარმოები გაუძლებს  
დროის დინებას.

მას შემდეგ, რაც რევოლუციამ გაიმარჯვა  
და ის განმტკიცდა, ხელოვნებას თითქმის ისე-  
თივე საშიშროება დაემუქრა, როგორც ფა-  
შიზმის დროს: ეს გახლავთ ორთოდოქსია. ხე-  
ლოვნება, რომელიც, თუნდაც უველაზე მოწი-  
ნავე დოქტრინის ვითარებაში, ორთოდოქსიის-  
გან დამოკიდებულს ხდის თავის თავს, დასა-  
ღუპადაა განწირული. გამარჯვებულ რევოლუ-  
ციას შეუძლია მხატვარს, უწინარეს უოველისა,  
თავისუფლება შესთავაზოს და უნდა შესთავა-  
ზოს კიდევ, უამისოდ ხელოვნება თავის აზრსა  
და მნიშვნელობას კარგავს.

უოლტ უიტმენმა როცა პრეზიდენტ ლინ-  
კოლნის სიკვდილი შეიტყო, თავისი საუკეთესო  
სიმღერა დაწერა, მაგრამ ეს თავისუფალი შე-  
მოქმედება რომ არ უოფილიყო, უიტმენი იძუ-  
ლებული რომ უოფილიყო ბრძანებით და მი-  
ღებული კანონის შესატყვისად დაეწერა თავისი  
პოემა, მაშინ ასე მშვენიერი და მომზიბეღელი  
ვერ იქნებოდა, ან, უკეთ, უიტმენი ვერ შეძ-  
ლებდა მის დაწერას.

რაკი (ეს თავისთავად იგულისხმება) უმრავ-  
ლესობის კეთილგანწყობა, ოვაციები წილად  
ხვდება უველაფერ იმას, რისი მოწონებაცა და  
აღიარებაც საზოგადოებას მაშინვე ძალუძს,  
ანუ იმას, რაც კონფორმიზმითაა შობილი, შეშ-  
ფოთებით ვეკითხები ჩემ თავს: რა იქნებოდა,  
დიად საბჭოთა კავშირში ახლა უმიზნოდ თუ  
ცნოვრობს ბრბოსთვის უყნობი რომელიმე  
ბოდღერი, რომელიმე კიტსი, ან რომელიმე  
რემბო, და ამ რჩეულს არ ძალუძს საზოგა-  
დოება აიძულოს, მისი ხმა გაიგონოს. მაგრამ  
სწორედ ის ერთადერთია ჩემთვის მნიშვნე-  
ლოვანი და საინტერესო მოვლენა, რამეთუ  
თავიდან განკიცხულნი — რემბოები, კიტსები,



ბოდლერები, სტენდალები — ხვალ დიადნი გახდებიან\*

V

სევასტოპოლი ჩვენი მოგზაურობის ბოლო პუნქტია. უდავოა, რომ სსრკ-ში არის უფრო ლამაზი და ხაინტერესო ქალაქები, მაგრამ ასე კარგად თავი ჯერ არსად მიგრძენია. სევასტოპოლის საზოგადოება ხოქისა და სოხუმის საზოგადოებასავით რჩეული, მათხავით ბედნიერი არაა, მაგრამ აქ ვიხილეთ რუსების ცხოვრება მისი მიღწევებითა და წარმატებებით, ყოველივე იმით, რაც ადამიანს ბედნიერების იმედს უნერგავს. ვაი რომ, ხელმოკლეობაც, ნაკლოვანებებიც, ტანჯვაც ვნახე. ჩრდილები ზოგჯერ სხივონდებოდა, ზოგჯერ კიდევ უფრო პირქუშდებოდა, ყველაზე ნათელიც და ყველაზე ბნელიც, რისი დანახვაც აქ შე შეძლო, თანაბრად მაკავშირებდა — ზოგჯერ

\* შემომედავებიან: კვთილი, მაგრამ რაში გვპირდებიან დღეს ჩვენ კიტსები, ბოდლერები, რემბოები და სტენდალები? ისინი ჩვენ მხოლოდ იმიტომ გვაინტერესებს, რომ ასახავენ ცხოვრებას მომავლად, გარყვნილი საზოგადოებისა, რომლის წაყოფსაც თავად წარმოადგენენ. თუ მათ არ ძალუძთ იშვინენ ახალ, თანამედროვე ცხოვრებაში, მით უარესი მათვის და მით უკეთესი ჩვენთვის. არც მათ და არც მათდაგვართ არ ძალუძთ ჩვენთვის ჭკუის სწავლება. ჩვენი დამოძღვრა დღეს მხოლოდ ისეთ მწერალს შეუძლია, ვინც თავის თავს ახალ საზოგადოებაში სავსებით თავისუფალ მოქალაქედ გრძნობს, რომელსაც შთააგონებს ყველაფერი ის, რაც ძველ მწერლებს ხელს უშლიდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, ვინც ყველაფერს იწონებს, ყველაფერს ტაშს უკრავს და თავს ბედნიერად თვლისო.

მაგრამ სწორედ ამ მთალილუფთა ნაწერები შეიცავენ დამოძღვრას და ხალხმა, რომელსაც განვითარება სწადია, მათ სულ არ უნდა უგდოს ყური. ყველაფერს სჯობია ასწავლო ის, რაც დაფიქრებას გაიძულებს.

რაც შეეხება ლიტერატურას, რომელიც მხოლოდ ასახვის (საზოგადოების, მოვლენების, დროის ასახვის) ფუნქციას კისრულობს, რასაც მასზე ვფიქრობ, სხვაგან და სხვა დროს მაქვს ნათქვამი.

თვითგანკურებაზე, თავისი თავით აღტაცებაზე ზრუნვა მხოლოდ ჯერ კიდევ ახალგაზრდა საზოგადოებას ახასიათებს. და გულსატკეპნი, თუ ეს მისი ერთადერთი საზრუნავია.

მტკივნეულად — ამ მიწასთან, ამ მშვიდ ხალხთან, ამ ახალ კლიმატთან, რომელიც წარმართავდა მომავალს და რომელშიც მოულოდნელად შეიძლებოდა ახალი თესლი აღმოცენებულიყო.



და უკვე გამოუცნობი ნაღველი მიკუმშავდა გულს: რას ვიტყვი, რა უნდა ვთქვათ მივბრუნდები? როგორ ვუპასუხოთ კითხვებს, რომლებსაც ვერ აიცილებ? იგულისხმება, რომ ჩემგან გულწრფელ პასუხებს ელოდებიან. როგორ ავუხსნა მათ, რომ სსრკ-ში მორიგეობით (მორალურად) ხან ასე მცოდნა, ხან კი ასე მცხედლოდა? ჩემი სიყვარული რომ დავამტკიცო, შიში უნდა დავფარო, ყველაფერი გავამართლო და ვიცრუო? არა, შესანიშნავად მესმის, რომ ამით ცუდ სამსახურს გავუწევ სსრკ-საც და მის რევოლუციურ იდეებსაც. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ერთის მეორესთან გაიგვება და იდეის უხუსურად მიჩნევა, რაკი სსრკ-ში ჩვენ ყველაფერი არ მოგვწონს.

დახმარება, რომელიც სსრკ-მა სულ ახლახან გაუწია ესპანეთს, ცვლილებათა შესაძლებლობას მოწმობს.

სსრკ კვლავ გვანცვიფრებს, ის ჩვენთვის კვლავ გაკვეთილად, გამოცდილებად რჩება.

ანტირელიგიური ბრძოლა

მე არ ვყოფილვარ მოსკოვის ანტირელიგიურ მუზეუმში, მაგრამ ვიყავი ლენინგრადისაში, რომელიც ისაკის ტაძარში მოთავსებული. მისი ოქროს გუმბათი თვალწარმტაცად ბრწყინავს ქალაქის თავზე. გარედან მუზეუმი ძალზე კარგი სანახავია, შიგნით — საშინელებაა. რელიგიურ თემაზე გამოფენილმა დიდმა ტილოებმა შეიძლება დვთის გამობამდნე მიიყვანოს ადამიანი — იმდენად უმსგავსოა ეს სურათები, თვით მუზეუმში ვერ ნახავთ იმ უხეშობებს, რომელთა ნახვაც მოხალოდნელი იყო. იქ რელიგიისა და მეცნიერების დაპირისპირებაზეა საუბარი. ექსკურსიამძღოლები დახმარების ხელს უწყვიდნენ იმ გონებაზეზღუდულთ, რომლებიც ვერანაირმა ოპტიკურმა და ასტრონომიულმა, ბიოლოგიურმა, ანატომიურმა ან სტატისტიკურმა ტაბულებმა ვერ დაარწმუნეს. ყველაფერი წესიერების ფარგლებში, ზედმეტი აგრესიულობის გარეშე ხდება. ყოველივე იმაში რეკლიუსა და ფლამარიონისეული უფრო მეტია, ვიდრე ლეო ტაქსილისეული. ამ ანტირელიგიური ექსპონატებით, მაგალითად, მღვდლებს კიცხავენ. მაგრამ რამდენიმე დღით ადრე ლენინგრადის მიდამოებში მე შევხვდი ერთ მღვდელს, ნამდვილ მღვდელს. მისი გარეგნობა გაცილებით



უფრო მკვერამეტყველი იყო, ვიდრე სსრკ-ის ერთად აღებული ყველა ანტირელიგიური მუზეუმი. მას არ აღვწერ. უბადრუკი, უცნაური, ჭუჭყიანი მღვდელი ჰგავდა ბოლშევიზმის საგანგებო გამოგონებას, ბოლშევიზმისა, რომელიც ამ საფრთხობელის მეოხებით იმედოვნებდა სოფლებიდან საშუალოდ განედევნა რელიგიური გრძნობები.

მეორეს მხრივ, არ შემოძლია დავივიწყო ბერ-მონაზონი ძალიან ლამაზი საყდრისა, რომელიც ხერსონში ჩასვლამდე მოვინახულეთ. რამდენი ღირსებაა მთელ მის აღნაგობაში! რამდენი კეთილშობილებაა მისი სახის ნაკვთებში! რამდენი ნაღვლიანი სიამაყე და როგორი მორჩილება! და არცერთი სიტყვა, არცერთი შესტი ჩვენთვის, არცერთი გამოხედვა ჩვენსკენ! მალულად ვათვალიერებდი მას და თვალწინ დამიდგა სახარებისეული „tradebat autem“, რომელმაც ბოხიუეს მკვერამეტყველების შედეგები შთააგონა.

ხერსონის არქეოლოგიური მუზეუმიც (ხევასტოპოლის მიდამოებში) ეკლესიაშია მოთავსებული.\* კედლის მოხატულობა, უდავოა, მისი ანტიმხატვრობის გამო დაინდეს. ფრესკების ზემოთ ყველგან პლაკატები ჰქილია, ქრისტეს ქანდაკების თავზე წერია: „ლეგენდარული პიროვნება, რომელიც არასოდეს არსებულა“.

მე დარწმუნებული არა ვარ, რომ სსრკ ამ ანტირელიგიურ ბრძოლას საჭიროებისამებრ ეწეოდეს. მარქსისტები სწორად მოიქცეოდნენ, ყურადღებას მხოლოდ ისტორიაზე თუ გადაიტანდნენ და, — ქრისტეს ღვთაებრივობის (მისი არსებობისაც კი) უარყოფით, საექსლესიო დოგმებისა და მკვდრებით აღდგენის უკუგდებათ, — შეეცდებოდნენ კრიტიკულად და ადამიანურად მოკიდებოდნენ მოძღვრებას, რომელმაც კაცობრიობას ახალი იმედი და იმდროს შესაძლებელი უძლიერესი რევოლუციური ფერმენტი მოუვლინა. იმის თქმაც კი შეიძლებოდა, როგორ უმუხტლა ეკლესიამ ამ იმედებს, გამათავისუფლებელი სახარების დოქტრინა, — ვაი რომ, ეკლესიის მიმნებებლობით — როგორ უწყობდა ხელს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. მაგრამ ეს მაინც უფრო აჯობებდა ყველაფრის უარყოფასა და მიჩუმათებას. წარსულს ხომ ვერც წარხოცავ

და ვერც დაფარავ. ეს შეუძლებელია და იმ უვიცობის გამო, რაც ხვედრად არგუნეს სსრკ ხალხებს, ისინი უმწეონი არიან მისტიკის ეპიდემიის წინაშე, ეპიდემიისა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გაჩნდეს.

მეტიც, ყოველივე ამაში არის მრავალკუთხედიანი მხარეც და ამის შესახებ ჩემი მოსაზრებები უკვე გამოვთქვი. უვიცობაში, არაფრად ჩავლებამ სახარებისა და ყველაფრისა, რაც მას უკავშირდება, შეიძლება სავალალოდ გააღარიბოს კაცობრიობა, მისი კულტურა. არ ვისურვებდი, რომ ამგვარი მსჯელობა ჩემი პირველდაწყებითი სწავლისა და აღზრდის რეციდივებად მიიჩნიონ. ამასვე ვიტყვოდი ბერძნულ შითებზეც, რომელთა აღმზრდელი მნიშვნელობა უზარმაზარი და მარადყაბულია, მე-აბსურდად მიმაჩნია მათი დაქრება, მაგრამ ამდენადვე აბსურდულია დაუჭერებლობა ქრისტიანობისა, რომლებსაც ისინი შეიცავენ და ფიქრი, რომ ადამიანები ღიმილითა და მხრების აჩეჩვით შეიძლება შემოიფარგლონ. ცნობიერებაზე რელიგიის კონსერვატიული გავლენა, რომელსაც ტოვებს რწმენა, ჩემთვის ცნობილია და, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ახალი ადამიანის გათავისუფლება ყოველივე ამისგან. მე იმასაც ვვარაუდობ, რომ ცრურწმენა, რომელსაც მღვდელი უჭერს მხარს, საშინლად ვნებს მორალს სოფელშიც და სხვაგანაც (მე ვიყავი დედოფლის აპარატამენტებში), და მესმის, რომ შეიძლება ყოველივე ამაზე უარის თქმის სურვილი გაჩნდეს, მაგრამ... გერმანელებს აქვთ ერთი კარგი გამოთქმა, რომლის მსგავსსაც ფრანგულში ვერ ვაგნებ: „გადაღვრილ წყალს ბავშვიც გადააყოლებსო“.\* ეს უვიცობით და აჩქარებით მოხდით. შეიძლება გობში ჭუჭყიანი და მურალი წყალი იდგა. იმდენად ჭუჭყიანი, რომ ბავშვი არც კი გახსენებიათ, როცა გადაღვარეს.

ახლა მესმის, შემწყნარებლობისა და ბევრი სხვა მოსაზრების გამო, ზარები ხელახლა უნდა ჩამოვასხათ, ვშიშობ, ეს არ გახდეს ემბაზის ჭუჭყიანი წყლით ავსების დასაწყისი, ემბაზისა, რომელშიც... ბავშვი უკვე აღარ არის.

II

ოსტროვსკი

ოსტროვსკიზე უღრმესი პატივისცემის გრძნობის გარეშე ლაპარაკი არ შემოძლია. ჩვენ

\* სხვა ეკლესიაში, სოქის რაიონში, ჩვენ დავესწარიტ ცეკვებს, საკურთხევლის ადგილზე წყვილები ტანგოს ან ფოქსტროტის მანგებზე ცეკვავდნენ.

\* ზუსტად ასეთი გამოთქმაა ქართულშიც: „ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლებსო“ (მთარგმ.).



რომ სსრკ-ში არ ვყოფილიყავით, ასე ვიტყო-  
დი: „ეს წმინდანია“. რელიგიას არ შეუქმნია  
უფრო მშვენიერი სახეობა. აი, თვალსაჩინო და-  
დასტურება იმისა, რომ წმინდანებს მხოლოდ  
რელიგია არ წარმოშობს. საქმარისია გამსჭვალა-  
ვდეს მხურვალე რწმენა, თუმცა მომავალში  
რამიმე საზღაურის მიღების იმედი არც გქონ-  
დეს, არაფერს ელოდო, გარდა მკაცრი მოვა-  
ლეთობის მოხდის შეგნებით კმაყოფილებისა.

უბედური შემთხვევის შედეგად ოსტროვსკი  
დაბრმავდა, და მთლად დახეიბრდა... გარე სამ-  
ყაროს მოწყვეტილი, ფეხზე დადგომის უნარს  
მოკლებული ოსტროვსკის სული თითქოს მალ-  
ლა-მალლა მიიწევდა.

ჩვენ შემოვხვებით საწოლს, რომელსაც ის  
დიდი ხანია მიჯაჭვულია. მე თავით დავეუქე-  
ქი და გავუწოდე ხელი, რომელიც ხელისგუ-  
ლებში მოიქცია, ანდა, აჯობებდა კიდევ ასე  
მეთქვა: ის ამ ჩემი გაწვდილი ხელით შეერთო  
ცხოვრებას და მთელი საათის განმავლობაში,  
ვიდრე მასთან ვიყავით, ჩემსას გადაჭდობილი  
გამბდარი თითებით მაგრძნობინებდა მგზნებარე  
სიმბათიას.

ოსტროვსკი ბრმაა, მაგრამ ის ლაპარაკობს,  
მას ესმის. მისი აზრი დაძაბულია და აქტი-  
ური, აზრის მუშაობას მხოლოდ ფიზიკურმა  
ტანჯვამ შეუშალა ხელი. მაგრამ არ წუწუნებს  
და მის მშვენიერ ჩამომხმარ სახეს, მიუხე-  
დავად ნელი აგონიისა, არ დაუკარგავს გალი-  
მების უნარი.

ის ნათელ ოთახში წევს. ღია ფანჯრებში  
იჭრება ფრინველთა ხმები, იფრქვევა ყვავილე-  
ბის ხუნი ბაღიდან. როგორი მყუდროებაა აქ!  
დედა, და, მეგობრები, მნახველები თავდაჭე-  
რილად დგანან მისი საწოლის შორიახლოს,  
ზოგიერთები ჩვენს საუბარს იწერენ: მე ვეუბ-  
ნები ოსტროვსკის, რომ მისი სიმტკიცე ძალას  
მმატებს. მაგრამ შექება მას აცბუნებს — სა-  
ჭიროა მხოლოდ საბჭოთა კავშირით აღტაცე-  
ბა — ბევრი რამაა გაკეთებული. მას მხოლოდ  
ეს აინტერესებს და არა თავისი თავი. სამჯერ  
დავაპირე წახვლა, რადგან მეშინოდა არ გადა-  
ქანცულიყო, — ასეთმა დაუცხრომელმა წვამ  
შეუძლებელია ქანცი არ გაგაცალოს. მაგრამ ის  
მთხოვს დავრჩე, იგრძნობა, რომ უნდა კიდევ  
ისაუბროს. ის ჩვენი წახვლის შემდეგაც განა-  
გრძნობს ლაპარაკს და მისთვის ლაპარაკი კარ-  
ნახს ნიშნავს. სახელდობრ ასე შეეძლო მას  
დაეწერა წიგნი, რომელშიც თავისი ცხოვრება  
გადმოხცა. ანლა ის მეორე წიგნს კარნახობს,  
დიდიდან ხაღამომდე და შუალამის გადასვლა-  
მდე მუშაობს, გაუთავებლად კარნახობს.

ბოლოს, როგორც იქნა, ვდგები, რათა წა-  
ვიდე. ის მთხოვს, რომ ვაკოცო. და მე, როცა

მას შუბლზე ვემთხვით, ძლივს შევიკავე ცრემ-  
ლი. უცებ შეჩვენება, რომ დიდი ხანია მას  
ვიცნობ და ანლა მეგობარს ვეთხოვები. ისიც  
შეჩვენება, რომ იგი ჩვენგან მიდის და მე  
მომაკვდავს ვტოვებ. მაგრამ გადის თვეები  
და იუწყებიან, რომ ოსტროვსკი განაგრძობს  
სიცოცხლისა და სრულიად უშფაღარზე არსე-  
ბობას და დაუძლეველად სხეულში მხოლოდ  
ენტოზოაზმი ინარჩუნებს აგერ- აგერ ჩახაქ-  
რობად გამზადებულ აღს.

III

კოლმეურნეობა

მაშ ასე, სამუშაო დღეში თექვსმეტ-ნახევარ  
ფრანკს იღებენ. ცოტაა. მაგრამ კოლმეურნე-  
ობის ბრიგადირი, რომელსაც დიდხანს ვესა-  
უბრე, ვიდრე ამხანაგები საბანაოდ იყვნენ წა-  
სული (კოლმეურნეობა ზღვის პირასაა), მიხს-  
ნის, რომ „შრომადლე“ პირობითი საზოგადოება, კა-  
რგმა მუშაკმა დღეში ორი და სამი შრომადლეც  
კი შეიძლება გამოიმუშავოს,\* ის მიჩვენებს  
ინდივიდუალურ წიგნაკებსა და ანგარიშსწო-  
რების უწყისებს — ერთიც და მეორეც მის  
ხელში გადის. ითვალისწინებენ არა მხოლოდ  
შრომის ნაყოფის ოდენობას, არამედ მის ხა-  
რისხსაც. შერგოლურები მას წარუდგენენ აუ-  
ცალბებელ ცნობებს და მათ საფუძველზე დგე-  
ბა ანგარიშსწორების უწყისები. ყველაფერი  
ამის დაანგარიშება რთული საქმეა და ის არც  
მალავს, რომ ცოტა დაიღალა. ამავე დროს ძა-  
ლიან კმაყოფილიცაა იმით, რომ მის პირად  
ანგარიშზე ამ წლის დასაწყისიდან უკვე სამახსი  
შრომადლეა (ჩვენ მ აგვისტოს ვსაუბრობთ).  
მის ბრიგადაში 58 კაცია. ის მათ შერგოლუ-  
რების დახმარებით ხელმძღვანელობს. ერთი  
სიტყვით — იერარქიაა. მაგრამ ფასი ყველა-  
სთვის თანაბარია. ამას გარდა, ბრიგადის წევრს  
მოჰყავს პროდუქტები საქარმიდამო ნაკვეთზე.  
რომელსაც ის კოლმეურნეობაში მუშაობის  
შემდეგ ამუშავებს.

არ არსებობს ზუსტად დადგენილი სამუშაო  
დრო; თუ განსაკუთრებით სასწრაფო არაფერია,  
ყველა მაშინ მუშაობს, როცა სურს.

ეს მაიძულებს ვიკითხო: „ისეთები თუ არიან,  
დღეში შრომადლეზე ნაკლები გამოიმუშავება  
რომ მქონდეთ?“ — „არა, ასეთი რამ არ  
ხდება“, — მიპასუხებს. უეჭველია, რომ „შრო-  
მადლე“ მუშაობის იმ მოცულობას არ აღნიშ-

\* შრომადლე ათ თანაბარ ნაწილად იყოფა.



ნავს, რომელიც გამომუშავდება „საშუალოდ“, არამედ ეს მისაწვდომი მინიმუმია. ამას გარდა, გამოუსწორებელ, ხელიდან წასულ წარმაცებს მაშინვე გაყრიდნენ კოლმეურნეობიდან. კოლმეურნეობაში ყოფნის უპირატესობები კი იმდენად თვალსაჩინოა რომ ყველა ცდილობს მისი წევრი გახდეს. მაგრამ ამაოდ — კოლმეურნეთა რიცხვი შეზღუდულია.

ამგვარად, ამ პრივილეგირებულ კოლმეურნეებს თითქოს თვეში 600 მანეთამდე თანხის გამომუშავება შეუძლიათ. „კვალიფიციური“ მუშა ხშირად მეტსაც ღებულობს. არაკვალიფიციური მუშები — ისინი კი ბევრი არიან — დღეში 3-6 მანეთს გამოიმუშავებენ.\* შავ მუშას უფრო ნაკლებიც გამოსდის.

სახელმწიფოს, ალბათ, შეეძლო მათი უკეთ უზრუნველყოფა. მაგრამ ვიდრე არ იქნება ხაკმარისი სამომხმარებლო ხაკონელი, ხელფასის მომატება მხოლოდ ფასების მომატებას გამოიწვევდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ხსნიან, ჭერჭეროვით კი ხელფასების ხზვაობა ადამიანებს აიძულებს კვალიფიკაცია აიმაღლონ. ძალიან ბევრია შავი მუშა, კადრების სპეციალისტების ნაკლებობაა. მათ მოსამზადებლად ყველაფერი კეთდება და მე სსრკ-ში არაფერი მომწონს ისე, როგორც განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა ყველაზე ბეჩავი მშრომელებისთვის, რაც მათ (ეს კი მხოლოდ მათზეა დამოკიდებული) საშუალებას აძლევს თავი დააღწიონ იმ საწყალობელ მდგომარეობას, რომელშიც ახლა იმყოფებიან.

#### IV

### ბოლშევიკი\*

მე ვიყავი ბოლშევიკი. ექვსი წლის წინათ ის გორკის ინიციატივით თუ ბრძანებით, მიწიდან ამოწრილი სოფელია იყო. დღეს ხაკმოდ დიდი ქალაქია.

ამ ქალაქს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს: მისი მცხოვრებნი არიან მხო-

\* საჭირო არის თუ არა შეგახსენოთ, რომ თეორიული მანეთი უდრის სამ ფრანგულ ფრანკს, ანუ საბჭოთა კავშირში ჩამოსული უცხოელი სამ ფრანკს ერთ მანეთში ცვლის. მაგრამ მანეთის მსყიდველობითი უნარი ფრანკის მსყიდველობით უნარზე ნაკლებია. ამას გარდა, ბევრი პროდუქტი — ყველაზე აუცილებელიც კი — ჭერ ისევ ძალზე ძვირი ღირს (კვერცხი, რძე, ხორცი, განსაკუთრებით კარაქი).

ლოდ ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავეები, მკვლელებიც კი... როცა ქალაქს აპროექტებდნენ და აშენებდნენ, ხელმძღვანელობდნენ მოსახრებით: ესენი მსხვერპლნი, გარიყულნი არიან და შესაძლებელია, გომივრულმა ხელახლა აღზრდამ მათგან სანიმუშო საბჭოთა მოქალაქეები გამოგვაყვანოს. ბოლშევიკ სწორედ ამის შესაძლებლობას დადებს ტუტებაა, ქალაქი მკვავის, აქ აშენდა ქარხნები, რომლებიც მალე სანიმუშო საწარმოებად იქცა.

ბოლშევიკს ყველა გამომწორებული მცხოვრები თავისთავად, ვინმეს დაუხმარებლად, ბეჩითად, გულმოდგინედ შრომობს, ყველა ბოლშევიკს უყვარს სიმშვიდე და წესრიგი, ყველა იშვიათი კეთილზნაიანობითა და ცოდნისკენ ლტოლვით გამოირჩევა. საამისოდ საჭირო ყველა სახსარი მათსავე ხელშია. და მე მარტო მათი ფაბრიკა-ქარხნებით კი არ ვიყავი აღფრთოვანებული. ისინი მიწვევდნენ კრებების გასამართ დარბაზებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში, ყველგან, სადაც კი თავად არიან ხოლმე, — და უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი. ამ ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავეების სახეზე, ჩვევებში, მეტყველებაში ამაოდ დაიწყებდით მათი წარსული ცხოვრების კვალის ძებნას. ძნელია წარმოიდგინო რაიმე უფრო დამამშვიდებელი, დამაიმედებელი, ვიდრე ის, რაც ამ შეხვედრისას ვნახეთ. ეს ყველაფერი ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დანაშაულისთვის ბრალი ედება არა მის ჩამდენ ადამიანს, არამედ საზოგადოებას, რომელმაც ადამიანი აიძულა, ეს დანაშაული ჩაედინა. ჩვენ ვთხოვეთ ერთ მათგანს, მერე მეორეს, მოეთხროთ თავიანთ დანაშაულზე, იმაზე, თუ როგორ შეიცვალეს ცხოვრება, როგორ მოვიდნენ ახალი ხელისუფლების სამართლიანობის გაგებამდე, რა განცდებს იწვევს ეს ხელისუფლება მათში. და უცნაური ამბავია — მე ამან მომაგონა ყურადსაღები აღსარებები, რომლებიც ორი წლის წინათ მოვისმინე ტაუნში ოქსფორდის მოძრაობის მომხრეთა შეკრებაზე: „მე ცოდვილი და უბედური ვიყავი, ბოროტებას ჩავდიოდი, მაგრამ ახლა ყველაფერი გავიგე. მე გადარჩენილი ვარ, ბედნიერი ვარ“. ყველაფერი ეს უხამსობაა, ცოტა გულუბრყვილობაცაა, ფსიქოლოგი ამით არ დაკმაყოფილდებოდა. რაც გინდა თქვი, მაგრამ ბოლშევიკ რჩება ერთ-ერთ შეხანიშნავ მიღწევად, რომლითაც დატრაბახებაც კი შეუძლია ახალ საბჭო-

\* შემდეგში მე გავიგე, რომ ამ პატარა სანიმუშო ქალაქში ცხოვრების ნება მხოლოდ დამნაშავე-დამსმენებს ეძლევათ.



თა სახელმწიფოს. არ ვიცი, სხვა ქვეყანებში ადამიანი ასე ადვილად დამყოლი თუა.

V

უპატრონონი, მიუსაშარნი

ვიმედოვნებდი, რომ უპატრონოებს არ ვნახავდი, მაგრამ სევასტოპოლში მათი ტევა არაა, ამბობენ, ოდესაში კიდევ უფრო მეტი უპატრონოაო. ეს უკვე ახალი თაობაა. ახლანდელთ, შესაძლოა, მშობლები ჯერ ცოცხალი ჰყავდეთ. ეს ბავშვები გამოიქცნენ თავიანთი მშობლიური სოფლებიდან, გამოიქცნენ თავგადასავალთა საძებნელად, უფრო ხშირად კი იმიტომ, რომ იცოდნენ: ალბათ, არსად ისეთი მშვიდი და უბედური არ იქნებიან, როგორც საკუთარ სახლში. ზოგი მათგანი ათი წლისაც კი არაა, მათი ცნობა არ ჰქირს. ისინი სხვა ბავშვებზე „უფრო ჩაცმულნი“ არიან (მე არ ვამბობ „უკეთ“). ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იცვამენ ყველაფერს ერთად, რაც კი ახადიათ. სხვა ბავშვებს ზოგჯერ ტრუსს გარდა არაფერი აქვთ. (ახლა ზაფხულია და ძალიან ცხელა), ისინი ქუჩებში ფეხშიშველნი, ხანახევროდ ტიტველნი დაეხეტებიან, მაგრამ ეს აუცილებლად სიღარიბის ნიშნად არ უნდა ჩავთვალოთ. ისინი უხაბს იღებენ, მათ სახლში აქვთ თავიანთი კუთხე, სადაც შეუძლიათ დატოვონ წვიმის შემთხვევაში საქირო და ზამთრის ტანსაცმელი. მიუხაფართ რაც შეეხება — ისინი არიან უბინაონი. ტრუსს გარდა უპატრონოთ რაღაც კონკებიც აცვიათ.

არ ვიცი, რით არსებობენ უპატრონონი. ის კი ვიცი, რომ თუ პურის ნაჭრის ყიდვის საშუალება გამოუჩნდებოდათ, მას მაშინვე გეაბლებიან. ყველაფრის მიუხედავად, მათი უმეტესობა მხიარული ხალხია, მაგრამ ზოგიერთი ძალზე დონემიხდილია. ჩვენ ვესაუბრებით ბევრ მათგანს, ბოლოს და ბოლოს ვაღწევთ მათ ნდობას. ისინი გვიჩვენებენ ადგილს, სადაც უამინდობის გამო ათევენ ღამეს. ეს ადგილი ახლოსაა ლენინის ძეგლთან, — ხანაპიროზე, გემის მისადგომთან, ღამაში გაღერის ქვეშ. იქ, სადაც წყლისკენ ჩახახვლელია, მარცხენა მხრიდან, გაღერის ღრმულში არის პატარა ხის კარი. ერთ დილას, როცა ქუჩაში კაცის ჭკანება არ იყო, ეს კარი გამოვადე — ჩემს წი-

ნაზე აღმოჩნდა ნიში საწოლისთვის, რომელზეც ცინდალივით მოკუნტულ დამშეულ არსებას ეძინა. კარი მივხურე მაშინვე, ვიდრე ის გამოღვიძებას მოასწრებდა.

ერთ დილას ჩემი ნაცნობი უპატრონოები უცებ გაქრნენ (ჩვეულებრივ, ისინი ქალაქის პარკში ბუდობენ). მოგვიანებით მაინც გადავეყარეთ ერთ მათგანს, რომელმაც გვითხრა, რომ მილიციას ისინი ალყაში მოუჭყვევია და ყველა ჩაუსვამს. სხვათა შორის, ამ ალყას ორი ჩემი თანამგზავრიც შეესწრო. მილიციელმა აუხსნა მათ, ყველას სახელმწიფო დაწესებულებას ჩავაბრებთო. მეორე დღეს უპატრონონი იმავე ადგილზე აღმოჩნდნენ. „რა მოხდა?“ — „ჩვენ იმათ არ ვჭირდებით“, — გვპასუხობენ ბიჭუნები. მაგრამ, იქნებ, თვითონ მათ არ ისურვეს დისციპლინას დამორჩილებოდნენ. შესაძლოა, ახლაც გამოიპარნენ? მაგრამ მილიციას მათი უკან მიბრუნება არ გაუჭირდებოდა. ვფიქრობ, უნდა გახარებოდათ, რომ მათხოვრობისგან და უბინაობისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა მიეცათ. თუ თავისუფალი მათხოვრობა ურჩევნიათ იმას, რასაც შპირდებიან?

მე ვნახე, ორ სამოქალაქოტანსაცმლიან კაცს როგორ მიშყავდა რვა წლის ბიჭუნა. ის მხეცის ნაშიერივით უძალიანდებოდა და უსხლტებოდა მათ, ქვითინებდა, წკმუტუნებდა, ტლინკებს ჰყრიდა, ცდილობდა ეკბინა... როცა ერთი საათის შემდეგ მოვბრუნდი და ამ ადგილს თვალი შევაფლე, დავინახე ისევ ის ყმაწვილი, რომელიც უკვე დამშვიდებულიყო. ტროტუარზე იჯდა და ერთ-ერთი სამოქალაქოტანსაცმლიანი კაციც მის გვერდით იდგა და ელაპარაკებოდა. ბიჭუნა უკვე არ ცდილობდა გაქცევას და უღიმოდა იმ კაცს. მათ მიადგა სატვირთო მანქანა და კაცმა ჩახვა ბიჭუნა. საით წაიყვანა? არ ვიცი და ამ უმნიშვნელო ფაქტზე მხოლოდ იმიტომ ვყვები, რომ სსრკ-ში ძალზე ცოტა რამემ ამიჩუყა გული ისე, როგორც ამ კაცის მოქცევაში, მიუხაფარი ბავშვისადმი მისმა დამოკიდებულებამ: მისი ხმის დამაჯერებელმა სირბილემ (ვაი რომ არ გამეგებოდა რას ეუბნებოდა!), მისი ღიმილის გულისმომნადირებელმა აღერსიანობამ, იმან, თუ როგორ ნაზად აწყავდა მას ბავშვი ხელში. მე გამახსენდა დოსტოევსკის „გლეხი მარეი“ და გავიფიქრე, რომ მხოლოდ ამის დასანახადაც ღირდა სსრკ-ში ჩამოსვლა.



თეოდორ ფონტანეს (1818-1898) რომანის პოეტიკა



რეალისტური რომანის გზის გამკვალავი, ფრანგი ჰუმანოტების შთამომავალი, ხულით ხორცამდე გერმანელი მწერალი თეოდორ ფონტანე 1887 წელს თავის ბერლინელ მეგობარს ემილ დომინიკს სწერდა: „ვაითუ დროთა ვითარებაში დავიწყებას მიეცეს ჩემი ნოველა?“

მკითხველი დღესაც იხიბლება ფონტანეს პროზის ჰუმანიზმითა და ტოლერანციით; მკვლევარები კი — ვ. პრაიზენდანიცი, ფ. მარტინი, კ. დავიდი და სხვ. მწერლის ფილიგრანულ პოეტიკას, შინა გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ, იშუამინდელი უღიმღამო ლიტერატურული კრილიდან, საერთაშორისო დონემდე ამაღლებენ, რაც დავიწყების სკეპსისს აჩქარებს.

ფონტანეს შემოქმედებითი კრედიტ ბიურგერული ანუ პოეტური რეალიზმის ატმოსფეროში ჩამოყალიბდა; ამ სკოლის მიმდევრები იდეალიზაციასა და კრიტიკას შორის შუალედური პოზიციის ძიებაში აოციალურ სინამდვილეს „პოეტიზირებულად“, შერბილებულად გამოსახავდნენ.

1878 წელს ორმოცდაცხრამეტი წლის ფონტანემ პირველი რომანი — „ქარიშხლის პირისპირ“ გამოსცა და უკანასკნელამდე — „შტეჰლინამდე“ კიდევ თხუთმეტის დაწერა მოახწრო.

ასაკში შესულს შემოქმედებითი აღმავლობა, თომას მანის თქმით, „მეორე სიქაბუკეში“ რომ არ განეცადა, დავიწყებას მიეცემოდა ფონტანეს პროზა — ადრე დაწერილი უამრავი „სამოგზაურო“ თუ „სალაშქრო“ წიგნი; გერმანული ლიტერატურა ვერ იამაყებდა მწერლის რომანის სათუთი ნაყოფით — უთვალავი ნიუანსით.

„ბუნება ისეთ ტალანტებს ბადებს, კაბუკები რომ რჩებიან მარად; თუ ასეთებს ბედი გაუღიმებს და სიბერეში შევლენ, აღმოჩნდება, რომ მათ აღარაფერი აქვთ სათქმელი; ისეთებიც იბადებიან, ვინც გაფურჩქვნა სიბერეში იწყება; მე მათ კლასიკურ ხნიერებს ვუწოდებ! ისინი იმისთვის არიან ქვეყნად მოვლენილი, რათა კაცობრიობას გადაუშალონ თავიანთი სიჭარბავის ზიბლი — შეუდრეკელი გული და ახოვანება; ფხიზელი თვალთა და ჭანსალი ჰუმორით, ხალისისმომგვრელი სიბრძნით დაგვატკბონ; ამათ რიცხვს ეკუთვნოდა ხანში

შესული ფონტანეც“ — მწერალი თომას მანის ეხეიში „ხნიერი ფონტანე“.

თავად ფონტანეც მშვენივრად აცნობიერებდა საკუთარ ყადრს: „მე შემოქმედის ხალასი ნიქითა ვარ ცხებული და ბევრს ვჭობივარ; განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც თავი მწვანე კიტრად მოაქვს;

ხელოვანი ხშირად ღრმავდებოდა საკუთარ არსებაში; როცა განვლილი შემოქმედებითი გზის ავკარგი და საკუთარი ნიქი საბოლოოდ შეიცნო, მწერალმა გადაწყვიტა რომანის ჟანრში გამოეხატა ნაფიქრალ-ნანახი და 1848 წელს მეგობარს — ვოლფზონსს მისწერა: „სინანულით ვეთხოვება ღამაზ სიმღერას, რადგან თანდათან სასიმღერო ძალამ მიმტყუნა“.

ფონტანემ სამყაროს ტოტალურ აღქმას მერე და მერე პოეტის უფაქიზესი განცდები შეუნივთა და რომანის უთვალავ სათუთ ნიუანსად გადმოღვარა დამკვირვებლის ტალანტი.

ფონტანე გოეთეს რომანების — „სულთა ნათესაობისა“ და „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლების“ ფსიქოლოგიურ რეალიზმსა და კრიტიკულ ტენდენციას დაეყრდნო; სათანადო ყურადღება დაუთმო სიმბოლურ მეტყველებასაც, მაგრამ მეტაფიზიკას დააღწია თავი და სამყარო აბსოლუტის ემანაციად კი არა, საზოგადოების მიწვეშედეგობრიობაში წარმოაჩინა.

ფონტანეს ეპოქის რომანმა გერმანიაში ტრივიალურ-სათავგადასავლო ჟანრის ხელახალი აღზევების უამს მოიკიდა ფეხი; სათავგადასავლო ჟანრი მწერალმა არაერთხელ გააკრიტიკა და მან არც ინგლისელი წინაპრების რომანები — ფილდინგის „ტომი ჯონსისა“ და სმოლეტის „როდრიკ რენდრომის თავგადასავალი“ დაინდო და ახალი ჟანრისათვის სახელწოდებასაც კი დაუწყო ძებნა.

მწერალი თავის რომანს ხშირად ნოველას (ნოველ — ინგლისურად რომანს ნიშნავს) უწოდებს; თუმცა იმასაც აღნიშნავს, — სახელზე ბევრი არაფერია დამოკიდებულიო.

ფონტანეს რომანი მინიატიურულ-კამერული ფორმისა და შინაარსის, მონოფონური თემატიკისა და მოქმედების სწორხაზოვნების წყალობით „დიდ ნოველას“ ჰგავს; იგი შედმიწევნით ტრაგიკული, ან კომიკური სიტუაციების ნატვას ერიდება და განვითარებისა და აღ-



ზრდის რომანის დიდაქტიკურ სენტენციებსაა მოკლებული; რომანის სტრუქტურა ფსიქოლოგიურ-სოციალურ ეტიუდს, „მომცრო დრამას“ წარმოადგენს.

ფაბულის ეპიკურიული ხასიათი გარემომცველი სინამდვილისადმი მწერლის ერთგულებას წარმოაჩენს; მასალის შერჩევასთან დაკავშირებით ფონტანე იზიარებს შპილჰაგენის დევიზს — „მთავარი პოვნაა და არა გამოგონება“.

დაწუსტებულია მწერლის თითქმის ყველა რომანის წყარო — „ენი ტრაიბელი“, „ეფი ბრისტი“ და „სესილი“ მეგობრებისაგან გაგონილ ამბებზეა აგებული; რომანში „მსხლის ხის ძირში“ ფონტანე პირად განცდებს ეყრდნობა; „შაპი ფონ ვუტენო“ წერილობითი სარჩული გააჩნია; ხოლო „გრაფი პეტეფი“ და „ცოდვილი ქალი“ ბერლინურ სკანდალებს ასახავს.

ფონტანეს რომანის სიუჟეტი ობიექტურობის ლოგიკას ეფუძნება და ცხოვრებისეულ სიტუაციებს გადმოგვცემს. „შტეპლინის“ განხილვისას მწერალი აღნიშნავს: „უბრალო ამბავი ხუთას გვერდზეა გაშლილი; სიუჟეტში არაფერი ხდება საკვირველი — ბოლოს მოხუცი კვდება, ახალგაზრდები კი ჭვარს იწერენ.“

ფონტანეს რომანის შინაარსი რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა — „შაპი ფონ ვუტენო ვერ უძლებს ფრიდრიხ მეორეს სამეფო კარიდან მოძულეების მუქარას და უსიყვარულოდ ქორწინდება იმ ქალზე, რომელიც სულიერი ეიფორიისას შეაცდინა; სწორედ სულიერ კოლიზიას მიზყავს იგი თვითმკვლელობამდე. ენი ტრაიბელი თავის ვაჟს გაუთავებლად ჩასჩიჩინებს, ცოლი ანგარებით შეირთოს; დედის ნება-სურვილს აყოლილი ხატრფო ტებს კორინა შმიტთან დადებულ სიყვარულის ხაიდუმლო ფიცს. ეფი ბრისტი მარტოობის დაძლევის ძიებაში მაიორ კრამპასს უაზლოვდება; ურთიერთობა წყდება, მაგრამ გვიან მელავნდება—გვერტინშტეტენი მაიორის წერილებს წააწყდება და პატივის ამყრელს დუელში კლავს; ყველასაგან მიტოვებული ეფიც კვდება.

ფონტანეს გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთაც ხშირად ცხოვრებაში ჰყავთ პროტოტიპები და რომანებშიაც ყოველდღიური ყოფის ფერხულში ერთვებიან; მაგ. ქალბატონი ფონ კარაიანი რომანში „შაპი ფონ ვუტენო“ გრაფინია შვერინის მხატვრული სახეა, გერმანიაში იმხანად სალონური ცხოვრებით რომ იყო სახელგანთქმული; „ეფი ბრისტი“ კი ვინმე არმან ფონ არდენესა და ემილ ჰარტივიჩის დუელის მცირედ შეცვლილი ისტორიაა გადმოცემული.

რომანის პერსონაჟები მიწიერი სურნელით ხუნთქავენ — მათ არაჩვეულებრიობის პრეტენზია აღარ აწუხებთ; „გმირობას ძველი პეწი და ლაზათი მოაკლდა.“ — პასტორი ლორენცენი ამგვარად აფიქსირებს რომანში „შტეპლინი“ ეპოქის სიანდლეს. ხოლო ვან დერ შტრაატენი „ცოდვილ ქალში“ გაყრდნობს ეფუძნება ცოლს: „არ გეგონოს შენი სიყვარულით და მწვარმა ლეონე ლეონიასა ან სხვა რომანის გმირივით თავი მოვიკლა“.

„ჩემი რობინ ჰუდი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც შობის წინ მოხანახულებლად ბიძამისს შეუვლის და, შეზარხოშებული, შერვულის ჰუკის მაგივრად, გულისსწორთან წაღასღასდება.“ — წერს რომანისტი მათილდე ფონ რორისადმი მიწერილ წერილში.

პერსონაჟების გალერეა ფონტანესთან კლასიკური სტილის სამაგალითო ჰარმონიას აღარ ასხივებს; არც ერთი სახე-ხასიათი ერთმანეთს არ ჰგავს, მაგრამ ყველას მიწიერი ტიპილი ტანჯავს და ადამიანური სიხუსტეებიც გააჩნია; მაგ. სესილი ტიპიური ნევროსტენიკია, დეპრესიით შეპყრობილი გრაფი ჰალდერნი თავს იკლავს, დუბსლავ ფონ შტეპლენს რევმატიზმი აწუხებს, ეფი ბრისტი კი ცოდვის შვილია. ყველანი ვ. სკოტის მორტონისა და აივენზოს უაილის შუალედურ ხასიათებს წარმოადგენენ და, მოკლებულნი არიან რა ყოველისშემძლე, ზეადამიანურ თვისებებს, ცხოვრების პროზას ასახიერებენ.

ფონტანეს პერსონაჟები ფერწერის პრინციპით კომპოზიციის წინა, შუა და უკანა პლანზე მწყრივდებიან; მთავარი ხაზი არისტოკრატთა პირამიდას ასახიერებს; მეეტლეების, მებადეებისა და მსახურების პერიფერია რელიეფურად გამოკვეთს ძირითადი გმირის ცხოვრებას; ზოგჯერ დამხმარე ტიპები არსებითი პერსონაც ხდება, მაგალითად, ქვრივი პიტელკო რომანში „შტინე“.

გმირების ყოფა ძირითადად ორგვარ სპექტრში შექდება — „ცოდვილი ქალი“, „გრაფი პეტეფი“, „ეფი ბრისტი“ და „სესილი“ ქმარსა და საყვარელს შორის გაორებული ქალების ბედს გვიხატავს; „ლაბირინთები“, „განუმეორებელი“ და „შაპი ფონ ვუტენო“ კი მამაკაცის ხვედრს ორი მანდილოსნის ატმოსფეროში წარმოაჩენს.

რომანისტი პერსონაჟების ყოველ ნაბიჯს წონის და მისი სულის უნატიფეს განცდას აუურადებს; ხასიათები კონტრასტის ხერხით იხატება; „ეფი ბრისტი“ ვიტალური ეფისა და პროზაული ინშტეტენის კონტრასტი განხეთქილების საბაზად წარმოჩნდება; ეფის უმაწვილუ-



რი ხილადე და გამჭრიახობა კონტრასტულ ფონს ქმნის ღრმად სიღონია ფონ გრაზუნებისა და ზულქვა ცვიკერისათვის; ჭკუადამჭდარი ინსტრუქციებისათვის კრამპასის ახირებული ხასიათი უცხო ხილია.

ფონტანე ფსიქოლოგიურ სიმართლეს მისდევს — გულისთქმის დრამებს მკაცრი შინაგანი ლოგიკით ავითარებს; ბედნიერების მოსურნეებს გულის კანონი თავისუფლების სამყაროს უხხნის, რომელშიაც სულის მოთქმა არ უწერიათ — ფხვედომორალი ანადგურებს მათ ილუზიებს და, საბოლოოდ, ისინი, ერთი შეხედვით მარცხდებიან ისევე, როგორც ეფი ბრისტი. „რომანი ისე გავმართე, როგორც ფსიქოლოგმა და რას გავაწყობდი — ქალი უნდა დაღუპულიყო,“ — დანაებით თქვა ფონტანემ „ეფი ბრისტის“ განხილვისას.

ხელოვანი, ერთი მხრივ, წინა თაობის მწერლების — ახალგაზრდა გერმანელების — რევოლუციური ყიყინის ცალმხრივობასა და შემოქმედების ამამალლებელი მისიის გაუფასურებას გამოეყო, მაგრამ თავადაც საზოგადოებრივ ინტერესს დაეყრდნო; მეორეს მხრივ კი დაგმო ახალფეხადგმული ნატურალისტების მომეტებული მიწიერება, თუმცა ვერც გავლენას გადაურჩა — ბოლო რომანები „მატილდე მიორინგი“ და „შტეპლინი“ ყოფის ნატურალურ პროცესებს მოიცავს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს, ფონტანეს მიმესიხის არჩეული გეზი დაეგმოს — იგი ბოლომდე ასახვის რეალისტურ პრინციპებს იცავს და სწორედ ეს ხფერო — სინამდვილის გააზრება — გამოკვეთს ნატურალისტებისაგან მის განსხვავებას.

ფონტანე იცავდა ემპირიული სინამდვილისადმი ერთგულებას — „მწერალმა, როგორც მოქანდაკემ მარმარილოში, ბუნებიდან უნდა გამოაქრწოს ნაირნაირი ფიგურები: ოღონდ ნატურალისტებისაგან განსხვავებით, ბუნების მიბადვას არ ჭერდებოდა. ფონტანე — ხაგნიერი სამყაროს მიღმა არსის მზის სინათლეზე გამოტანას ითხოვდა, სწამდა: სინამდვილის შედაპირულ კონტურს ფოტოაპარატიც ჩინებულად იღებს; ხელოვანი გარე სამყაროს გულისგულს უნდა ჩაწვდეს და რეალობა უზენაეს პოეზიამდე აამაღლოსო.

ფონტანე ამტკიცებდა: მხოლოდ ასახვა რომ იყოს საკმარისი, მაშინ გამოძიების ნებისმიერი საქმე, ზუსტად რომ აღწერს დანაშაულის თითოეულ დეტალს, რეალიზმის ნიშნად ჩაითვლებოდაო.

რომანისტი გმობდა წმინდა ხელოვნებას — „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“ და მოვლენების კასკადიდან არსებითის — რეციპიენტი-

სათვის საინტერესო მასალის შერჩევასთან ერთად, ავისა და კარგის ჰარმონიულ შეზავებას ანიჭებდა უდიდეს მნიშვნელობას; იგი ზნეობის მაგალითის რეტროსპექციას უსწამდა ხაზს და სიმართლის გარანტიად დაკვირვებიდან სინამდვილის შეფასებაზე გადასვლა მიიჩნდა; მწერალი ხელოვნების მანქანის მქონე როლს გამოკვეთდა, პიროვნებასა და სივრცეს მამართების ემოციურ გაშუქებას ითხოვდა და თავის მრწამსს გ. ფრაიტაგის „წინაპრებზე“ დაწერილ რეცენზიაში მოჩვენებითი ნაიფურობით გადმოგვცემდა: „რომანმა ზომიერება უნდა დაიცვას — მანკი არ გაამუქოს და სილამაზე არ გააცამტვეროს; მკითხველს საინტერესო ამბავი უნდა მოუთხროს; მოთმინებით აავსოს და ფანტაზია გაუღვივოს; რომანმა ხელოვნების სამყარო რეალობიდან უნდა ასაზრდოვოს და ბოროტი ამხილოს, სიკეთე სთესოს და ხალხს სიმართლეზე აუხილოს თვალი; ჩვეულებრივი ადამიანი წუთისოფლის ავ-კარგზე დააფიქროს და გამოცდილებით გაამდიდროს; ალალი გული გაანათოს ნაცნობებთან ურთიერთობით“.

რომანის ამ რეალისტურ დეფინიციაში ფონტანეს პოეტიკის ფუძე-ცნება განათება წარმონდგება.

ისევე როგორც განმანათლებლებისათვის — განათლება, ახალგაზრდა გერმანელებისათვის კი ქმედითი ოპტიმიზმი, ფონტანესათვისაც განათება მხატვრული აღქმის ორიენტირია; იგი მოკლებულია განმანათლებლების აღზრდითსა და „ახალგაზრდების“ გარდამქმნელ მისიას და ეტიკურ-ესთეტიკურადაა მოდულირებული.

განათება მედიალურ როლს ასრულებს — თავისი სპეციფიკით ცხოვრების პროზას ხელოვნების ფიქციაში ადადგენს, რის შედეგადაც სრულყოფის აქტს ახორციელებს — ემპირიულ სიშიშვლეს რეალიზმად გარდაქმნის; „ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება ბუნება და ის ხატ-სურათი, რაც ხელოვნებამ უნდა დახატოს; რეალობას განათების გარადამავალი საფეხური რეალიზმამდე ამაღლებს“, — ფიქრობს მწერალი და განათებას რეალიზმის წინაპირობად აღიარებს:

ფიზიოგნომური შუქის მოფენა რეალობიდან ნეგატიურ მოვლენებს არ გამორიცხავს; აგი უკიდურესობას გმობს — სილამაზის კულტს არ ქადაგებს და ექსტრემალურობას — ფსკერის სიმახინჯეს აბათილებს; სინათლის სხივი ობსკურანტიზმს — უმეცრებასა და სიბნელეს თრგუნავს და ემოციას უსასოობისა და ზიზლის განცდისაგან ათავისუფლებს; განათება უკულმართ სინამდვილეს — შიმშილს, დაცემას, სილატაკეს ხელოვნებისათვის მისაღები კუ-



თხით აღევარებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ზომიერების დაცვით მიიღწევა.

ამრიგად, განათება პარმონიული ასახვით მიიღწევა; ზომა-წონა, თავის მხრივ, სილამაზეს აშუქებს და იმავდროულად, სიმართლის შეგრძნობას ბადებს, რომანში „სიმშვიდე მოქალაქის უპირველესი ვალია“, ფონტანე იმიტაციის სტილს უწუნებს ალექსისს, რადგან მიიჩნევს: „მანკის გამუქება ზომიერების შეგრძნებას სპობს, რის შედეგადაც ხელოვნებიდან სილამაზეც აღიკვება.“

სიმართლე ფონტანეს პოეტიკაში გოეთესეულ ტრანსცენდენტურობასაა მოკლებული და არც რომანტიკოსთა ინდივიდის სიმართლის ტოლფასია; ეს ცნება ახალგაზრდა გერმანელებისა და პროგრესულუციონერების იდეოლოგიურ მისიას აღარ ასრულებს და საგნის შინაგანი ბუნების გარეგანთან შესატყვისობას — ობიექტურ სისწორეს იცავს.

განათების ადეკვატურ, ხელოვნებაში ამალღების ესთეტიკურ კომპონენტს რომანტიკა წარმოადგენს, რომელსაც რომანტიზმთან, როგორც სკოლასა და მიმდინარეობასთან არაფერი აქვს საერთო, — „ხელოვანი თავკუდმოგლეჯილი უნდა გაეკცეს რომანტიზმის გამოგონილ ხამყაროს, რათა საღი აზრის დაბნელებას გადაურჩეს; ისე კი ასახვის ერთ მთავარ ხერხად რომანტიკა უნდა მიიჩნიოს“.

მორალური ამალღება ფონტანეს პოეტოლოგიის კარდინალური ტერმინია და იგი სულიერ მეტამორფოზას, რელიგიურ ფერიცვალებას ბატავს; ამ ცნების არსი თაბორის მთაზე მაცხოვრის გარდასახვის ტოლფასია: „...წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე, და

მაღალ მთაზე აიყვანა ისინი განმარტოვებით და იცვალა მათ წინაშე ფერი და მზეხავით გაბრწყინდა მისი სამოსი“. — ამბობს ბიბლია.

ფერიცვალების შემდეგ მოთმინება-მეტყვეების სიმაღლეს აღწევს ეფი ბრისტის ხული და იგი მონანიებული ტოვებს წუთისოფელს; მზეხავით ბრწყინავს ფილოსოფიურად ჩადრმავებული დუბსლავ ფონ შტეპლინის შინაგანი ბუნება და მორალური ამალღებით სიკვდილის გამომწვევ ბუნებრივ მიზეზს თრგუნავს.

მორალური ამალღება ფონტანეს რომანში ჰუმორის გზით მიიღწევა: მწერალი ჰუმორით განათებას ცალკე ტერმინად გამოყოფს და ვაჟიშვილის — თეოსადმი მიწერილ ბარათში აღნიშნავს: სასოწარკვეთის უამს ჰუმორით განათება საუკეთესო საშუალებააო.

ჰუმორის უგულვებელყოფის გამო რომანისტი არა ერთ მწერალს აკრიტიკებს.

ფონტანეს რომანის უთვალავი სათუთი ნი-

უანსიდან ჰუმორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა, რომელიც ეთიკურ-ესთეტიკურის გარდა მსოფლმხედველობრივ კტმოსფეროსაც ამკვიდრებს; მაგ, „შტეპლინი“ ფინალში სიძველე-სიახლის შენაცვლების ფონზე არისტოკრატიისადმი დამოკიდებულება ჰუმორისტულად სხვადასხვა პლანტში მწკლავდება — ოთახში ფეხაკრეფით შეღწევის სახურო ენგელკე და გარდაცვლილ ბარონს — დუბსლავ ფონ შტეპლინს კალთაში წითელ თაიგულს ჩაუდებს, თანაც ორაზროვნად ჩაილაპარაკებს — თქვენ ამის ღირსი ხართო; ამ პასაჟს წარსულის ნოსტალგიისა და მომავლისადმი სკეპსისის გარდა აუცილებლობის განცდაც ახლავს.

ჰუმორით განათება დიალოგის არქიტექტონიკაშიც უონავს და ყოფით მეტანქოლიას აქარვებს; მაგ, „ეფი ბრისტში“ ლუიზე შვილის ხაფლავთან სინდისის ქენჭნით უმხელს მეუღლეს გულისნადებს: „—მას შემდეგ, რაც საწყყალი ბავშვი დავეკრძალეთ, ერთი ფიქრი ამეკვიატა;“ — რა ფიქრი? — „—ჩვენ ხომ არ დავლუპეთ იგი“, — რას ამბობ ლუიზე, ებ რამ გაფიქრებინა?!

როლომ (ეფის ერთგულმა ძაღლმა) ამ სიტყვებზე თავი წამოყო, კისერი წაიგრძელა და ზანტად შეიშმუშნა; ბრისტმა კი მშვიდად წარმოსთქვა — ეჰ, ლუიზე, გეუოს... მაგაზე ფიქრი შორს წაგვიყვანს“.

მშობლების პესიმისტურ განწყობას წამიერად აქარვებს ხნიერი ბრისტის საყვარელი რეპლიკა — „მაგაზე ფიქრი შორს წაგვიყვანს“, რომელსაც იგი ზოგჯერ სიტუაციისთვის შეუფერებლადაც წამოისროდა; ჰუმორით განათების შედეგად რომანისტი მომხდარი უბედურების სევდიან ტონს ამსუბუქებს და მას ტრაგედიის ში გადაზრდისაგან იფარავს.

დიალოგი ფონტანეს რომანში კომპოზიციის მთავარი ღერძია, რომელიც აზრობრივ კრედოს წარმოაჩენს; მაგ, „შტეპლინი“ პასტორი ლორენციუს რევოლუციურ დისკუსიაში აღწევს დრამატიზმს; „ეფი ბრისტში“ კი კვანძი გეერტისა და ვიულერსდორფის დიალოგებში იხსნება.

პერსონაჟები თავიანთი ბუნებისა და წარმოშობის შესაბამისად საუბრობენ; დუბსლავის შერჩეული ლექსიკა სიბრძნეს აშუქებს ერმოვიციის გაუთავებელი ბუზღუნი კი სულიერ სიმდაბლეზე მეტყველებს; ეფის მოსწრებული მეტყველება არისტოკრატიულობას ასხივებს; ბერლინური დიალექტი კი როზვიტას წარმომავლობას უსვამს ხაზს; „ მთავარია, გმირს ერთი სიტყვაც არ დავაცდენინო ისეთი, რაც მის ხასიათს შეუფერებელ იერს შესძენს“, — ფიქ-



რობს მწერალი და ამ მოსაზრებას პრაქტიკულად ჩინებულად ართმევს თავს.

გმირების განცდა ზოგჯერ შინაგან მონოლოგში გადაიზრდება (ეფის ნოსტალგია ხოფელ კრამპახში); ხან კი ერთობლივ—სუფრულ, სამგზავრო, ან საკლუბო საუბრებში მუდგენდება.

პერსონაჟები ხშირად წვრილმან საკითხებზე მუსაიფობენ და შეუმჩნევლად ხატავენ მთავარ პრობლემას; „ხელოვნება სილამაზესა და სრულქმნილებას მაშინ აშუქებს, როცა დეტალი შუალედურს ეყრდნობა და არსებითს გამოკვეთს“, — ამბობს მწერალი: რომანის ხტილი გამოტოვებისა და გაჩუმების, კვალის წაშლის ტენდენციით გამოიჩინება: „სიტყვაძუნწი ვხდები, როცა მთავარს ვაწყდები; დიდი ბევრ ლაპარაკს არ საჭიროებს. — ფიქრობს მწერალი და დახატენს, — „დუმილი შევბას მგვრის.“

მართლაც, საუბარს ხშირად დუმილი მოსდევს; მაგ. „შტეპლინი“ ადელაიდეს ხურს ძმისწულს ცოლის შერთვაზე ჩამოუგდოს ლაპარაკი; დიალოგი ამ დროს ვიხტის პარტიებსა და ცხენებს ეხება; ის-ისაა დეიდაშ დაქორწინებაზე უნდა დაძრას სიტყვა, რომ საუბარი საერთოდ წყდება—ოთახში ვიღაც შემოდის.

ხშირად ფიგურების მეტყველებაში უღერს დუმილის თემა: „რა საჭიროა მაგდენი ლაპარაკი“, „ამის თქმა თქვენთვის მომინდვია“, „ყველას როდი აქვს დუმილის ნიჭი“, „პასუხს გავუბრუნებ“ და სხვ.—გაისმის „შტეპლინის“ უოველ პასაჟში.

მეტყველების ტონი კონკრეტულია და არაფერს არ ამტკიცებს; გაურკვევლობის ბურუსი მინიშნების ტექნიკით იფანტება; კითხვის ნიშანი ობიექტის მრავალმხრივ გაშუქებას ისახავს მიზნად და საბოლოოდ სიცხადეს ამკვიდრებს.

რომანის შინაარსი კონკრეტულ სივრცეშია განფენილი; მოქმედება კი განსაზღვრულ დროში მიმდინარეობს; სივრცე ადამიანს არსებობის პირობას უქმნის; დრო კი მისი ცხოვრების თიქოეულ დეტალს აღწესხავს.

სივრცე-დროითი ფაქტორი ფონტანესთან დოსტოევსკის ფსიქოლოგიური სულისკვეთებით არ გამოიჩინება და გოეთეს, რომანტიკოსებისა და კაფკას სიმბოლურ გააზრებასც მოკლებულია; იგი პრუსტის იმპრესიონისტული ქვერტით არ ხასიათდება და არც ზოლას მიზნობრივ შინაარსთანა აქვს რამე საერთო.

ფონტანეს რომანში მკვეთრად განსაზღვრული დრო გადის; დროის დინებას ზოგჯერ სიმბოლო აფიქსირებს, ისევე როგორც მზის საათი „ეფი ბრისტში“; დეტალურად აღწერილ სივ-

რცეში კი პერსონაჟები სულდგმულობენ—ხვდებიან და უყვართ ერთმანეთი, შორდებიან და იღუპებიან.

არაანონიმური დრო დაწვრილებით მინიშნებს დაბადებისა თუ გარდაცვალების, სეზონის, თვის თარიღს და სიზუსტის გარანტიას წარმოადგენს; პერსონაჟების ასაკი *„[...] [...] [...]* ფიქსირებული — ჩვიდმეტი წლისა *„[...] [...] [...]* ოცდაჩვიდმეტი წლის გერტს ცოლად მიყვება; წყვილს შორის ასაკობრივი ხხვაობა განხეთქილების მთავარ მიზეზს — თვისობრივ უთანაბრობას უსვამს ხაზს.

დროის ფაქტორი ხშირად მოტივის ხაზით წარმოდგება, როგორც, მაგალითად, განვლილი დრო „ეფი ბრისტში“; გერტმა შვიდი წლის მერე აღმოაჩინა მეუღლის წერილები და დუელის შემდეგ დანანებით უთხრა ვიულერს-დორფს— „ქკუა უნდა მეხმარა და შორსმკვრეტელობა გამომეჩინა; განვლილი დრო უნდა გამეთვალისწინებინა: სამწუხაროდ, რაც ქკუასთან დგას ახლოს, იმას თავს ვარიდებთ ხოლმე“.

ფონტანეს რომანი ზედმიწევნით ზუსტ ტოპოგრაფიულ-გეოგრაფიულ სივრცეს მოიცავს, რომელშიაც როგორც სცენაზე, ადამიანური დრამა ტრიალებს; მოქმედების არეში საზეიმო დარბაზებისა და საბილიარდო კლუბების, ვერანდებისა და კაზინოების, ბაღებისა და სახლების ზუსტი მისამართია დადგენილი და ისე მკაფიოდ გამოკვეთილი, როგორც პარმის სავანის ადგილსამყოფელი სტენდალთან.

რომანის სივრცეში უთვალავი სათუთი ნიუნანსი იყრის თავს—მოტივის ლაიტმოტივი წარმოაჩენს და მას სიმბოლო კიდევ უფრო ამძაფრებს; მაგ. „შტეპლინი“ დაბა-შტეპლინის მდებარეობის დაწვრილებითი აღწერით იწყება; ქალაქ გრანზეედან რაინსბერგის მიმართულებით, საგრაფო რუპინის ჩრდილოეთ ზონაში, დაბურულ ტყეს მიტმასნილი ტბების გაქვშია ჩართული ტბა—შტეპლინი, რომელიც ხსნის, გადარჩენის სიმბოლოს ხატავს — როდესაც გარეთ გარდაქმნების ცეცხლი ტრიალებს და ქვეყანა დაქცევის პირასაა, ტბაზე წყლის ქავლები ლივლივებენ და გაჯანსაღებ: იწყება; ტბა ხნიერი ბარონის მარტოობასაც ასახიერებს; მოხუცის ტოლერანცია მძაფრდება როდესაც იგი ტბის პირას განმარტოვდება და ბუნების ოპტიკურსა და აკუსტიკურ სიმშვიდეს ისრუტავს; გზადაგზა დაბა შტეპლინის სახლებისა და ბარაკების, სასახლის აღწერითი კონტურებით ივსება გეოგრაფიული გარემო და უთანაბრობის მოტივი იკვეთება; სასახლის გარეგანი ბრწყინავალება და შიდა ინტერი-



ერის სისადავე იუნკრობის გარდასულ დიდებულ მეთყველებს; მერე და მერე ირკვევა, რომ სასახლე — შტებლინი — „ერთი ცარიელი ყუთია და მეთი არაფერი.“ ბარონის საცხოვრებელი გარემოს თითოეული აქსესუარი სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს; შესახველელი დარბაზი ცხოვრებას ხატავს — დუბსლავე იქ უცდის ხოლმე ჩამოსუღსა თუ ადგილობრივ სტუმრებს; ვერანდა კი რწმენას ასახიერებს — ხნიერი ბარონი იქ ატარებს თავის უკანასკნელ, ღამაზსა და მშვიდ დღეებს.

„ეფი ბრისტში“ გარემოს შეცვლა ეფის ცხოვრების პერიპეტეებს აშუქებს; როდესაც ეფი შეუღლესთან გადასახლება აპირებს, მშობლიურ კერას ეთხოვება და რამდენჯერმე გაისმის ფრაზა — „ეფი, მოდი“, რაც უსიყვარულოდ გათხოვების მოტივს ებმინება; პოენგარემნიდან გადასვლა დაკარგული ბავშვობის განცდას უკავშირდება, რაშიც ცოლქმრული ცხოვრების დისონანსი უნდავს; კესინის ქაღალის იდუმალი ატმოსფერო ეფის სამომავლო ცოდვის იმპულსს ამწიფებს; წარმოსახულის ილუზია მარტოობის განცდას შორდება, რასაც ბისმარკთან აუდიენციები კიდევ უფრო ამძაფრებს; ჯვრისწერის მერე ჩინელის უცარი გაქრობის როზვიტას მიერ მოთხოვნილი ამბავი ეფის ცხოვრებისა და ტრაგიკული აღსრულების ზმანებად მოსჩანს; როდესაც ნატვრა რეალობად იქცევა და ეფი ბერლინში გადადის, მას კრამპასის დავიწყების შანსით გახარებულს, აღმოხდება — „მადლობა ღმერთს;“ კესინის სახლის მისტიკური აღქმა მერე და მერე ყმაწვილქალობის მონატრების სიმბოლოდ გადაიქცევა; საზოგადოებისაგან გაძევებული ეფი რელიგიური ფერიცვალების დამაგვირგვინებელ ფაზას ბერლინის ერთ მწირ კვარტალში გაივ-

ლის; განწმენდილსა და ავადმყოფობით დაძაბუნებულ ეფის მშობლები შინ უხმობენ — „ეფი, მოდი“ — ისევ გაისმის; ეს რეპლიკა საზოგადოებისადმი ბრალდების კონსტატაციაა!

ბერცის პოეტის ყოველი ნიუანსი, მოვლენის ზუსტი შესწავლის მიზნით, ლანდშაფტის შტრიხებს ადამიანის შიშის განცდას უთანსმებს; კრამპასი ეფის გულისტქმას ზამთრის პირქუშსა და დათოვლილ შემოგარენში უმხელს; ბუნების მოვლენები ემბლემებად იძერწებიან და ყველა რომანში ერთ სტერეოტიპს წარმოადგენენ: მთვარის ნათელი თვითმკვლელობის მოტივებს ხატავს; ფიფქების ცვენა ცოდვის სიმბოლოს ასახიერებს; ჩამავალი მზე ხაზს უსვამს ცხოვრების მიმწუხრს; ფლორა-ფაუნას დეტალები მოქმედების სასიგნალო მოტივებად განლაგდებიან: ლევკოიონი თავისუფლებას ასახიერებს, ისევე როგორც ავადმყოფი ალოეს კლუმბაში აღმოცენებული ქაღვარი „შტებლინში“; ველური ვაზი, ბაია და მჟაუნა იმედის სიმბოლოა — როდესაც ეფი სიკვდილის წინ მოიკეთებს და ბუნებაში გადის, ქარში ბაიასა და მჟაუნას ფურცლები ირევიან; უკვდავი სიკვდილის ყვავილს წარმოადგენს — ეფის სამშობლოს — შაფელანდის მონოტონურსა და მეჩხერ რელიეფზე აელვარებული უკვდავს ვარდები რელიეფურად მკვეთენ ეფის სიკვდილის ინტონაციას, რაც იმჟამინდელი გერმანიის ამბიციური წრეებისადმი საყვედურად ეღერს.

ფონტანემ 1898 წლის 20 სექტემბერს მშვიდად, აგონიის გარეშე განუტევა სული; მისი საწერი მაგიდა, როგორც ყოველთვის, ხანიმუშო წესრგის ასხივებდა. „იგი ხულით ხორცამდე არისტოკრატი იყო და თანაღმობით ხავხე მის გულს სიკეთე სწყუროდა.“

